გამოცემა კოსტანტინე ივანეს ძის მუხრან-ბატონისა.

# ქრონიკები

და

## სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა,

შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი

თ. ჟორდანიას-მიერ

---

წიგნი მეორე

(1213 წლიდამ 1700 წლამდე).

ვუძღვნი ძვირფასს სახსოვარს ნინო სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის ასულისას და ივანე კოსტანტინეს ძის მუხრან-ბატონის მეუღლისას.

ტფილისი,
სტამბა მ. შარაძისა და ამხ., ნიკ. ქ. № 21.
Типографія М. Шарадзе и К°. Ник. у. № 21.
1897

# ႼႨႬႠႱႨႲႷႥႠႭႡႨႱ ႫႠႢႨႤႰႨ.

წინამდებარე არქეოლოგიურს შრომაში, რომელიც არის გაგრძელება პირველის ჩვენის წიგნისა („ქრონიკები“ და სხ. ტფილისი, 1893 წ.), ჩვენ განზრახული გვქონდა წინწარგვემძღვანა ვრცელი აღწერა იმ ხელ-ნაწერებისა და სხვა წყაროთა, საიდანაც ამოგვიკრეფია ქვემო-დაბეჭდილნი ისტორიულნი ცნობანი (ხოლო მოკლე ცნობანი ამ წყაროებზე ჩვენ შიგ ტექსტში ჩავურთეთ) და დაწვრილებითი კრიტიკული გამოძიება ჩვენის მატიანის „ქართლის ცხოვრების“ პირველის ნაწილისა (გიორგი ლაშას მეფობიდამ დაწყებული ბოლომდე; ხოლო გიორგი ლაშამდე ჩვენ უკვე გავარჩიეთ ჩვენი მატიანე პირველს წიგნში) და უმეტესად მეორე ნაწილისა. უკანასკნელის ნაწილის დაწვრილებითი კრიტიკული გარჩევა აუცილებლად საჭიროა და ფრიად გამოსადეგი ჩვენის ისტორიისა და არქეოლოგიისთვის, მით უმეტეს რომ აქ, ამ უკანასკნელს «ქართლის ცხოვრების“ ნაწილში, ძევს ის ლოდი, რომელიც ებოძიება და აბრკოლებს ყველა ჩვენს არქეოლოგებს. ამ გარემოებით აღძრულთა, ჩვენ, დიდი ხანია, შევუდექით „ქ˜ცხბის“ მეორე ნაწილის კრიტიკულად გარჩევას და თვით იმ საბუთების გამოძებნასა და გამოჩინებას, რომელთაგან შედგენილია ეს ნაწილი ჩვენის მატიანისა. ჩვენს ცდას უნაყოფოდ არ ჩაუვლია და დღეს უკვე ვრცელი და დაწვრილებითი გამოძიება გვაქვს აღწერილი.

მაგრამ რადგან ეს მეორე წიგნი ჩვენის „ქრონიკებისა“ მეტად გაგრძელდა და რადგან თვით ბეჭდვა ამ წიგნისა, ჩემის ახალ-თანამდებობით ქუთაისის გუბერნიაში გადაყვანის გამო, მეტად გაძნელდა, ამის გამო გადავწყვიტეთ, ვრცელი აღწერა წყაროებისა და კრიტიკულად გამორკვევა „ქართლის ცხოვრების“ დანარჩენის ნაწილისა მესამე წიგნში ჩავურთოთ, სადაც ჩვენ დავბეჭდავთ იმ ცნობებსაც, რომელნიც უმეტესად საჭირონი არიან ჩვენის მატიანის გასარჩევად და გამოსარკვევად და რომელნიც ჩვენ ამ მიზეზით განზრახ გამოვუშვით.

წინამდებარე წიგნი შესდგება ორ ნაწილისაგან. პირველს ნაწილში (გვ. 1—90) ჩვენ დავბეჭდეთ „დამატებანი“ პირველის ტომისა, ანუ საისტორიო და სამწერლობო მასალა უძველესის დროისა მე-XIII საუკუნემდე და ამავე ნაწილში მოვაქციეთ „ძეგლი ერისთავთა“, რომელშიაც აღწერილია ისტორიული ამბები მთიულეთისა, დაწყებული მეექვსე საუკუნიდამ, თუმცა უმთავრესი ნაწილი მისი შეეხება XIII—XV საუკუნოებს. ამავე ნაწილში გვინდოდა ჩაგვერთო: ა) ახალი ფრიად საყურადღებო ვარიანტები წმიდა ნინოს ცხოვრებისა (ნაწყვეტი ამისი იხ. ბოლოს: გვ. 519—531), რომელიც ჩვენ ვიპოვეთ სამს სხვა-და-სხვა ხელნაწერებში; ბ) ახალივე ვარიანტი „აღმართებისათჳს პატიოსნისა ჯუარისაჲ მცხეთას“, რომელიც აღმოვაჩინეთ მეათე საუკუნის ხელ-ნაწერში (ეკლ. მუზ. № 144 შეად. „ქ˜-ცხბ.“ I, 93—97), გ) წ˜ის რაჟდენის ცხოვრება, რომელიც იძლევა განსხვავებულს და დიად საყურადღებო ცნობას მეფე ვახტანგ გორგასლანზე; დ) წ˜ს პეტრე მაიონელის ცხოვრების ახალი ვარიანტი (შეად. ქ˜ცხ. I, 102—

105); ე) ვრცელი აღწერა უძველესის ქართულ სამოციქულოსი, რომელიც, ჩვენის აზრით, გადმოწერილია მე-IX საუკუნეში პირველის დედნისაგან, თარგმნილისა, როგორც წარწერა გვაუწყებს, 399 წელსა: „მესამესა წელსა არკადის მეფობისასა და მეოთხესა ჰონორიოსისასა“. ამ წიგნის ორი დედანი, მე-XI და X საუკ. გადაწერილი, ჩვენ ვიპოვნეთ „წერა-კითხ. საზოგადოების“ ხელ-ნაწერებში და მისს ვრცლად შესწავლას შევუდექით, მაგრამ სანამ ჩვენს შრომას გავათავებდით, გამგეობამ საზოგადოებისამ ნება არ დაგვრთო და მოხსენებული ხელ-ნ წერები დაგვაბრუნებინა წიგნთ საცავში; ხოლო თვით ამ წიგნთ-საცავში, ადგილის უქონლობისგამო, ყოვლად შეუძლებელია გულდადებითი შრომა; ვ) იოანე გუთელ ეპისკოპოზის კურთხევა მცხეთას; ზ) ახალი და დიდ საყურადღებო ვარიანტი ბაგრატ მეოთხის ცხოვრებისა (1027—1072 წ.); ჱ) ათონას მონასტრის ალაპები, რომლისაგან, როგორც ჩვენ სრულის შედარების შემდეგ დავრწმუნდით, წ~ა გიორგი მთაწმიდელს შეუდგენია ერთი ნაწილი წ~ის ეფთიმე მთაწმიდელის ცხოვრებისა; თ) უძველესი ვარიანტები წ~ის იოანე და ეფთიმეს ცხოვრებათა, დაწერილი 1074 წელს, და წ~ის გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებისა, გადაწერილი მე-XII საუკუნის ხელით; ი) კათალიკოზის ნიკოლოზის მიერ 1176 წლის ახლო ჟამებს შედგენილი საკითხავი სვეტი-ცხოვლის სასწაულებზე; ია) ცხრა ქადაგება ქართველ მწერლისა იოვანე ბოლნელისა, ჩვენმიერ აღმოჩენილი მეათე საუკუნის ხელ-ნაწერებში (ეკლ. მუზ. №№ 95 და 144), საუკეთესო და უძველესი ნაშთი ჩვენის მჭევრ-მეტყველობითის მწერლობისა; გ) ორი ქადაგება წმიდის ნინოსი, ჩართული X საუკ. ხელნაწერში (ეკ. მუზ. №№ 95 და 144): თუმცა ძნელი დასაჯერებელია, რომ თვით წ~ას ნინოს აღეწეროს ეს ქადაგებანი, მაგრამ, ღრმად დაკვირვების და კრიტიკულად გარჩევის შემდეგ, ყოველს ეჭვს გარეშე რჩება, რომ მოხსენებულის სიტყვების დამწერს სახეში ჰყავს ის ერი, რომელიც თაყვანსა სცემს ნათელსა, ცეცხლსა და მზეს და, მაშასადამე, ქადაგება დაწერილია იმ დროს, როდესაც ქართველნი მზეს თაყვანს სცემდნენ: მქადაგებელი სცდილობს, ქრისტიანობა დაუახლოვოს ცეცხლისა და მზის თაყვანისმცემელთა სარწმუნოების უმთავრესს დოღმატებს და ამა მიზნით ქრისტეს ჰსახავს მზედ, ცეცხლად, სითბოდ, ნათლად, რომელიც გამობრწყინდა აღმოსავლეთით და განანათლებს ყოველს მისს მოსავს, ხოლო ურჩთა და უსჯულოთა დასწვავს; ხოლო თვით მიღება ახალის სჯულისა არის იგივე „ნათლის მიღება“ (ბერძნულად-კი „განბანვა“—ბაპტისმოს; ხოლო რუსულად—крещеніе, ე. ი. ჯვარის მიღება), რასაც ესვიან ცეცხლთ-მსახურნიცა; მონათვლა მღვდელთა მიერ არს „ნათლის ღება“ ანუ იგივე „ნათლის მიღება“, რომელსაც ეტრფოდნენ მზის თაყვანისმცემელნიცა: ცეცხლ-მსახურთა მოძღვრებით, რომელნიც არ მიიღებენ ამ განმაცხოველს ნათელს, ისინი დარჩებიან საუკუნო ბნელში, ჟანკაში და სატანჯველში. ამ ნაირად მქადაგებელი არა თუ არ არღვევს ხალხის ცეცხლთ-თაყვანისმცემლობათს აზრებს და დოღმატებს, არამედ უახლოვებს მას თითქმის ერთყოფამდე ქრისტიანობას, რომელიც შეიცავს ჭეშმარიტს ნათელს, რომლის გარეშე შეუძლებელია სიცოცხლე, ჭეშმარიტს მზესა, რომლის გარეშე სუფევს ბნელი და სიკვდილი. ესრეთი მიმართულება მოხსენებულ ქადაგებისა სრულიად ეთანხმება შე-

მდეგს ცნობას წმიდა ნინოს ქადაგების მიმართულებისას, რომელიც იპოვება წმიდა ნინოს ყველა ცნობილ ცხოვრებაში; „ორნი იგი მღვდელნი და დიაკონნი ნათელსცემდეს ერსა, და მიატუდებოდა ერი იგი ურთიერთარს, მოსწრაფებით ეუბნებოდენ მღვდელთა, რათა პირველად მასვე ნათელსცეს, და ესრეთ სურვიელ იყო ერი იგი ნათლისღებისათჳს, რამეთუ ესმინა ქადაგებაჲ წმიდისა ნინოსი, რომელსა იტყჳნ: „ყოველმან, რომელმან არა ნათელ-იღოს, არა პოვოს მან ნათელი საუკუნო“, ესე იგი, მზის თაყვანისმცემელნი ქართველნი, შემდეგ ესრეთის წმიდის ნინოს ქადაგებისა, დარწუნდენ, რომ თუ ახალი სჯული არ იწამეს და არ მოინათლნენ, ისინი მოაკლდებოდენ იმ ნათელს, რომელსაც უქადდა მათ თჳთ მათივე წინანდელი სჯული. ცხადია, რომ ერთი უმთავრესთა მიზეზთაგანი იმისი, რომ წმიდა ნინომ ადვილად მოაქცია ხალხი, არის ესრეთი ხელოვნურად დაყენება ახალის სჯულის ქადაგებისა.—თჳთ ტექსტი დ სრული განმარტება ამ ქადაგებათა და სრული თარგმანი მისი ერთად რუსულ-ქართულად დაწერილის და განმარტულის დავით აღმაშენებლის ანდერძთან, რომელიც შარშან გამოკვეცა მისის მეუფების გურიის ეპისკოპოზის ალექსანდრეს საფასით, ჩვენ პირველად (1892 წელს) გავუგზავნეთ ერთს „პროფესორს“ პეტერბურგში, რათა მას დაებეჭდვინებინა ესე რომელსამე რუსულს არქეოლოგიურს გამოცემაში, უსასყიდლოდ, როგორც საუკეთესო ნიმუშები უძველესის ქართულის მწერლობისა და საისტორიო საბუთებისა. სამწუხაროდ „პროფესორს“ ჩვენი ნაშრომი, სჩანს, არ მოსწონებია და ეს უნდა ყოფილიყოს მიზეზი იმისი, რომ პასუხიც არ გაგვცა ჩვენს წერილებზე და როდესაც უკანასკნელ ერთს ჩემს ნაცნობს მიანდვე შეეტყო „პროფესორის“ აზრი ჩვენს ნაწერებზე, მან შემომითვალა უკანასკნელის პირით, რომ არცერთი რუსეთის არქეოლოგიური გამოცემა ამ საბუთების დაბეჭდვას არ ჰკისრულობენო... აქ ჩვენ რაღა გვეთქმის იმის მეტი, რომ ან „პროფესორს“ არ წარუდგენია დასაბეჭდად ჩვენი შრომა, რადგან უვარგისად უცვნია, და ან თჳთ არქეოლოგიურ საზოგადოებათა მწევრნი ვერ არჩევენ უმაღლესის ყურადღების ღირსთა არქეოლოგიურთა ნაშთთა უმდაბლესებისაგან, რომელნიც დაუბრკოლებლად იბეჭდებიან ყველა არქეოლოგიურ გამოცემაში, თუ კი იმ ქართველ „პროფესორების“ კრიტიკას გაუძლებენ, რომელთა ხელში უსათუოდ უნდა გატარდეს ყველა ქართულ მწერლობის შესახები და ქართულ ტექსტიანი შრომა. ხოლო როდესაც ჩვენ პირდაპირ სამეცნიერო აკადემიას გავუგზავნეთ სხვა ჩვენი შრომა, რომელშიც აქა-იქ ჩართული იყო ქართული ტექსტიც, ცნობა მომივიდა, რომ სამეცნიერო აკადემიამ საყურადღებოდ სცნო რა თჳთ მასალანი და განსაკუთრებით ის ისტორიული მეთოდი, რომელსაც მისდევდა ჩვენი განმარტება, ღირსად სცნო მისი დაბეჭდვა; მაგრამ როდესაც ქათულის ტექსტის შესწორება მიენდო ქართველ „პროფესორს“ (მეორეს), უკანასკნელმა ვერ იცნოო ღირსად დაბეჭდვისა სიმრავლისაგამო მრავალ-გვართა შეცდომათა და სხ. და სხ. ჩვენ ჯერ ვერ მოგვიცლია იმისთვის, რომ უკანასკნელს ღირსეული პასუხი გავსცეთ სიცრუისა და მიდგომილებისათვის, მაგრამ ის კი ცხადია, რომ ჩვენი ქართველი „პროფესორები“ გზას უკრავენ ქართულ მწერლობის მუშაკთა პირადობით და შენ-

ჩემობით, გინა თავ-მოყვარულის ანგარიშებით, რაჲცა ყველაზე ნაკლე უნდა შეჰშვენოდეს პროფესორობას. ეს ზემოჩამოთვლილი ახალი უძველესის დროის საბუთები სივრცისაგამო ჩვენ ვერ შევიტანეთ ამ წიგნში, მით უმეტეს, რომ ჩვენ ვაპირობთ ამ მასალების ცალკე წიგნად დაბეჭდვას, როდესაც მოვრჩებით ამ „ქრონიკების“ მესამე ტომის გამოცემას.

მეორე ნაწილი წინამდებარის წიგნისა შეადგენს ჩვენგან შეკრებილ „ქრონიკას“ თამარ მეფის სიკვდილიდან დაწყებულს მე-XVII საუკუნის დასასრულამდე. ამ ნაწილში მოთავსებულია: ა) ოც-და-სამი „ცხრილოვანი ქრონიკები“ ანუ ქრონოლოგიური ცნობები, ჩვენგან ამოკრეფილი სხვა-და-სხვა ხელნაწერებიდამ: „აფხაზთა ქრონიკა“, ეკლესის მუზეუმის ხელნაწ. № 85 ჩართული ქრონიკები, „დადიანთა ქრონიკა“, „წიგნი ქორონიკონნი“, ქრონიკები, ჩართული ჩემს ჟამნებში №№ 2 და 3; ქრონიკები, ჩართული გულანებში: სამს გელათისაში (ორი გელათისა და ერთი წმიდა გიორგის ეკლესიისა), წმიდა ნიკოლოზის ეკლესიისაში (მეგვს ახლო), ყანჩაეთისაში ბედიისაში (ეკ. მუზ. № 186), ქვათახევისაში, ცაიშისაში, შემოქმედისაში; აგრეთვე ქრონიკები, ჩართული იგორთის მილისპირში № 6, წერა-კითხვის საზოგადოების ხელნაწერებში №№ 252 და 1204; ეკლესიის მუზეუმის პარაკლიტონში № 49, და ცალკე რვეულებზე სხვა-და-სხვა პირთაგან სხვა-და-სხვა დროს ხელ-ნაწერთაგან გადმოწერილნი ქორონიკონნი: ნ. ანთაძისა (გელათიდამ), „ჩხეიძის ქრონიკა“, მღ. პოლიევქტ კარბელაშვილის მიერ პოვნილი და გადმოწერილი ქრონიკა და რამდენიმე ქრონოლოგიური ცნობები, ცალკე ქაღალდზე დაწერილი, ნ. ანთაძის მიერ გადმოცემული.—სისრულისათვის და გასაადვილებლად შესწორებისა, ჩვენ ამ ქრონიკებს ჩავურთეთ ესრედ წოდებული „ვახუშტის ქრონიკაა“, დაბეჭდილი ქ. ცხ-ში II, გვ. 237—257. შემდეგს ჩვენს შრომაში ჩვენ დავამტკიცებთ, რომ ეს ქრონიკა ვახუშტის არ ეკუთვნის (მას მხოლოდ რამდენიმე ცნობა ჩაურთავს იმაში), არამედ სხვა პირებს, რომელთაც ეს ცნობები ამოუკრებიათ სხვა-და-სხვა ხელ-ნაწერებიდამ. ჩვენს ქრონიკებთან შედარებით მკითხველი დარწმუნდება, თუ რამდენად ამართლებს, ასწორებს ანუ ავსებს ჩვენი ქრონიკები პირველს და რამდენად საყურადღებო და დასანდობი ყოფილა იგი; ბ) სხვა-და-სხვა ხელ-ნაწერებში ჩართული კერძო საბუთები და ისტორიული ცნობები, რომელნიც ჩვენ ქრონოლოგიურად და ისტორიულად განვმარტეთ და თითოეულს თვისი წყარო ზედვე ვუჩვენეთ. განსაკუთრებულის ყურადღების ღირსად მიგვაჩნია ისტორიული წერილები და ცნობები, ჩართული იოანე შავთელის კვინკლოსში. ამ მასალის დაწვრილებითს ნუსხას მკითხველი იპოვის ქვემო, სარჩევში; გ) კერძო საბუთები, რომელთაგან განსაკუთრებით საყურადღებონი არიან უძველესნი: სამი საბუთი მეფის დავით-ნარინის დროჲსა (აქამდი არცერთი საბუთი არ იყო ცნობილი მისის მეფობისაგან), ულუ-დავითის დროს 1262 წლის ახლოხანებში მოხდარის საეკლესიო კრების „ძეგლისაგან“ ფრიად საყურადღებო ნაწყვეტი; რკონის სიგელი 1259 წლის და ამირეჯიბთა საგვარეულო ისტორიული სიგელები, ძვირფასი სიგელი მეფის დავით VII 1355 წლისა, რომლის დროისაგან აქამდი არცერთი არ იყო ცნობილი, და სხვა მრავალი კერძო გვარების სი-

ბელ-გუჯარნი, ქრონოლოგიურად დაწყობილნი და განმარტულნი; დ) ისტორიულნი წარწერანი, აღმოკითხულნი სხვა-და-სხვა ხელნაწერებში, ხატ-ჯვრებზე, შენობათა კედლებზე, სამღვდელო შესამოსლებზე და სხვ.; ე) სიგელნი და გუჯარნი სხვა-და-სხვა მონასტერთა და ეკლესიათა, უმეტესად მცხეთისა, ბიჭვინტისა, გელათისა და სხვ., ქრონოლოგიურადვე დაწყობილნი და, სადაც საჭირო იყო, განმარტულნი; ვ) მცხეთის სიგელ-გუჯართა ნუსხა, აღწერილი კათალიკოზის ნიკოლოზ ამილახორის ბრძანებით (1676—1688 წ.), რომელშიც ჩვენ ვიპოვეთ მრავალი უმაღლესის ღირსების საისტორიო ცნობანი (იხ. ქვემო დაწვრილებითი შინაარსი წიგნისა).

ყველა საბუთებს ზედვე უწერია ისიც, თუ საიდამ არიან ამოღებულნი; ხოლო მონასტერ-ეკლესიების საბუთებს და ნუსხებს იქვე უზის ნომრები და ქართული ნუსხები, რომლითაც მსურველი ადვილად მოსძებნის იმ საბუთებს იმავე ნომრებს ქვეშ სინოდალურ კანტორის გუჯრებსა და რეესტრებში, რომელნიც დაცულნი არიან ტფილისის და ქუთაისის სახელმწიფო ქონებათა გამგეობაში და საეკლესიო მუზეუმში. რადგან სიგელ-გუჯარნი იწყებიან გრძელ ღვთის-მეტყველურ წინასიტყვაობით და ჭბოლოვდებიან გრძლადვე დაწერილის წყევა-კრულვით, ამისგამო ჩვენ ეს ნაწილები განგებ გამოვუშვით შემოკლებისათვის და მხოლოდ რამდენსამე გუჯარში დავტოვეთ ნიმუშად; ხოლო იმ გუჯრებისაგან, რომელნიც შინაარსით ნაკლე მნიშვნელობისად ვცანით, ჩვენ ამოვკრიფეთ მხოლოდ უფრო საჭირო ცნობები სიტყვა-სიტყვით. სადაც ჩვენ განგებ გამოგვიშვია სიტყვები ანუ მთელი სტრიქონები, იქ დავსხით მრავალი წერტილები (....), ხოლო რომელი ალაგი დედანს აკლდა ანუ ვერ აღმოიბითხებოდა, იქ დავსხით მოკლე ხაზები ანუ „დეფიზები“ (- - - -); სადაც-კი მოხეული ანუ დაზიანებული ტექსტი ჩვენ მიგნებით აღმოვიკითხეთ და ანუ ნუსხით აღვადგინეთ, ის სიტყვები და ფრასები დიდს ფრჩხილებში ჩავსხით ([ ]). რომელს სიგელ-გუჯრებს უზის ორ-ორი ნომერი, რუსული (არაბული) და ქართული, ამისთანა სიგელ-გუჯრები ჩვენ გვიპოვია თჳთ-ასლიც (არაბულ ციფრის ნომრით) და ნუსხით (ქართულ ასოებით დანომრული, ნუსხისაგან № 507).

მეთექვსმეტე საუკუნის ნახევრიდამ დაწყებული საისტორიო სიგელ-გუჯრები და სხვა საბუთები, გარდა „ქრონიკებისა“ ჩვენ ან შემოკლებით შემოვიტანეთ ამ წიგნში და ან სრულიად გამოვუშვით, რადგან საჭიროდ ვცანით ეს მასალა მოვაქციოთ ამ „ქრონიკების“ მესამე ტომში, სადაც ჩვენ დაწვრილებითის განმარტებით და საბუთების შედარებით ერთად გვინდა გამოვცეთ უმთავრესნი დაბეჭდილნი და ჩვენგან პოვნილნი დაუბეჭდავნი ისტორიულნი საბუთნი მე XV—XVIII საუკუნისანი, რათა ამ გვარად გამოცემით სრულიად ცხად ვყოთ ის, თუ რას წარმოგვიდგენს ჩვენ ესრედ წოდებული მეორე ტომი „ქართლის ცხოვრებისა“, ვისგან და რა საბუთებით არის იგი შედგენილი, შეთხზული, გინა აღწერილი,—ვახტანგ მეფისაგან აღწერინებული, როგორც თვითონ მოგვითხრობს, ანუ მისის კომისიისაგან, გინა მხოლოდ ვახტანგის რედაქციით გასწორებული, როგორც რომელთამე გამოსთქვეს, და რა ღვაწლი მიუძღვის მასში თვით ვახუშტის.

აქ მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ ჩვენი მატიანე XIV—XVI საუკუნეთა ამ-ხავსეა დიადის ნაკლულევანებით და მეტად ღარიბია თვით ცნობებით. ამ წიგნში და-ბეჭდილ მასალასაც რომ დააკვირდეს გონიერი მკითხველი, იგი უსათუოდ უნდა დარწმუნდეს, თუ კითარის სიბნელით მოცულია ჩვენი მატიანე XIV, XV და XVI საუკუნოებისა: ამ საბუთებში მკითხველი იპოვის იმერთა და ამერთა არა ერთს და ორს მეფეებს, რომელნიც სრულიად მოხსენებულნი არ არიან ჩვენს მატიანეში და ისრეთთა მსხვილ-მსხვილ მოვლენათა, რომელნიც ცალის სიტყვითაც აღნიშნულნი არ არიან. მაგალითად აკილოთ კახთა მეფენი: ქართლის ცხოვრების და თვით ვა-ხუშტის ისტორიით მე XV—XVI საუკუნოებში კახეთში უმეფნიათ მხოლოდ სამს მეფეს: დავითს (†1471 წ.), მისს ძეს გიორგის (†1492 წ.) და ალექსანდრეს (†1511 წ.). ხოლო ამ წიგნში დაბეჭდილ ცნობებიდამ სჩანს, რომ ამავე დროს კა-ხეთში უმეფნიათ შვიდს მეფეს: დავითს, ალექსანდრე I-ს (იგივე ლეონ I), გიორგი I-ს, ალექსანდრე II ს († 1476), გიორგი II ს († 1492), კასტანგს და ალექსანდრე III ს, ავ-გიორგის მამას. ესრეთივე ნაკლულევანება სჩანს სამცხე-საათაბაგოს და იმერეთის ისტორიაშიც. დროა, შეუდგეს ჩვენი უკეთესი საზოგა-დოება იმის აღვსებასა, რაც ვერ შესძლო მხოლოდ კასტანგ მეფის მეცადინეობამ და ახალი წყაროები აღმოუჩინოს ამ საუკუნეთა წყვდიადს ჩვენის ისტორიისას (XV—XVI საუკ.).

გარდა ზემოხსენებულის XVI—XVIII საუკ. საისტორიო მასალისა მესამე ტომში ჩვენ გავაგრძელებთ ზემოდასახელებულ ცხრილოვან ქრონიკების ბეჭდვას და რამდენსამე ახალს ცხრილოვანსავე ქრონიკებს ჩავურთავთ XVIII—XIX საუკუ-ნისას და აგრეთვე სიგელ-გუჯრებიდამ და ხელ-ნაწერ წიგნებიდამ ამოკრეფილს საი-სტორიო და სამწერლობო მასალას, ხოლო დამატებაში დავბეჭდავთ მრავალს ახალ ისტორიულ წყაროებს, რომელნიც ქრონოლოგიურს რიგს ჩვენის ქრონიკისას ვერ ეთავსებიან. *)

დასასრულ ვალად ვრაცხ გამოვაცხადო, რომ ამ წიგნის დასტამბვის მიზეზი არის უბრწყინვალესი თავად, კამერგერი მისის იმპერატორებითის უდიდებულე-სობისა, კოსტანტინე ივანეს ძე მუხრან-ბატონი, წინამძღოლი თფილისის გუბერ-

---

*) აქ საჭიროდ ვრაცხ ორიოდ სიტყვა შემოვიტანო იმ მიზეზთა შესახებ, რო-მელთაგამო დაგვიანდა ამ მეორე ტომის გამოცემა 1893 წლიდამ ამა 1897 წლამდი. ჩვენ უკვე პირველსავე ტომში აღვნიშნეთ, რომ რამდენთამე ჩვენთა პირადის ანგარიშებით დაბ-ნელებულთა პირთა სასტიკი დევნა დაგვიწყეს იმავე დროიდან, რა-დროსაც გამოვაცხადეთ ხელ-მოწერა ჩვენის შრომის დასაბეჭდად, არა თუ ბულვარ-ქუჩებში, არამედ თვთ მწერლო-ბაშიც და შეაყენეს ხელისმოწერა (იხ. „ქრონიკები“ წიგნი I, გვ. IV—V და LXVII—LIX). ხოლო როგორც-კი გამოვიდა პირველი წიგნი ჩვენის შრომისა, ესვე პირნი გამოვიდ-ნენ ნიღაბამოფარებულად (ფსევდონიმებით)და გამოაცხადეს, რომ ჩვენი შრომა უნდა იყოს გადმობეჭდილი პ. იოსელიანის ვითამდა დაკარგულ ისტორიულ კრებულიდამ. რა თქმა უნ-და, ამ გვარის ბრალმდებლობით ვერცერთს, ისტორიაში შეგნებულს, კაცს ვერ დაარწმუნებ-დენ, რადგან თითოეულს ჩვენს ისტორიულს ცნობებს იქვე გვერდზე უწერია თვთ ის წყა-

ნიის თავად-აზნაურობისა, რომელმაც კეთილ-ინება და მიბრძანა მე ყველა ჩემგან შეკრებილის საისტორიო და საგრამატიკო მასალის და თხზულებათა დასტამბვა სრულის მისის უბრწყინვალესობის ხარჯით. ამასთან, მისმა უბრწყინვალესობამ გამომიცხადა, რომ თვით დაბეჭდილი წიგნები დარჩეს ავქსონის სასარგებლოდ. ესრეთი გულ-უხვი შეწირულობა საზოგადო საქმისადმი, სამშობლო ისტორიისა და მწერლობის გამოსაკვლევად დიადაც თვალსაჩინოა, და ჩვენ ვეცდებით ესრეთი ნდობა მუხრან-ბატონისა გავამართლოთ. რაც მათგან გამოცემულის წიგნების გასყიდვისა-

---

რო, საიდანაც ამოღებული გვქონდა დაბეჭდილი ცნობები, სად ინახება ის წყარო და რომელ ნომრებით და სხ. და სხვ. მაგრამ, მოგეხსენებათ, ჩვენს საზოგადოებაში სპეციალისტები ნაკლებია და მოქიშპეთაც ამისი იმედი ჰქონდათ. ჩვენს საპასუხოდ დაწერილ შენიშვნებში მაშინვე დავარღვიეთ ცილის წამება უსახელოთა მბრალმდებელთა და აღმოვაჩინეთ არა თუ თვით ის ვითომდა დაკარგული პ. იოსელიანის კრებული, დავამტკიცეთ, რომ ამ კრებულიდამ ჩვენ აღმოგვიწერია არა უმეტეს ორის გვერდისა და ყოველგან დაგვისახელებია ავტორად არა ჩვენი თავი, არამედ თვთ პ. იოსელიანი, ხოლო რაც მისის ხელით არ იყო დაწერილი, ის უსახელოდ დაგვიდვია ესრე: „იხილე ჩემი ისტორიული კრებული“, გვ. ~ სხ. აქ უნდა შევნიშნო, რომ ეს კრებული არ ეკუთვნის პ. იოსელიანს, არამედ შესდგება სხვა-და-სხვა პირთა-მიერ დაწერილს მასალასაგან, ხოლო ერთი მესამედი დაწერილია თვთ პ. იოსელიანის, ხელით და წარმოგვიდგენს შავს მისის ნაწერებისას, რომელთაგან უმეტესი უკვე გამოცემულია. განსვენებულმა დ. ბაქრაძემ დაშალა ეს კრებული, **რომელიც ბაქრაძისავე ხელით თავიდამ ბოლომდი აღნუსხული იყო**, და რაც საჭირო და გამოსაყენებელ მასალად სცნო, ის თავისთვის დაიტოვა და ცალკე ყდაში ჩაასმევინა, ხოლო დანარჩენი ნაწილი, რომელიც უვარგისად სცნო, მე მიბოძა; რომელსაც მე პირველ წიგნში და ამ მეორეშიც ვუწოდებ „ჩემ ისტორიულ რა-საკვირველია, კრებულად“, როგორც ნივთს და არა როგორც შრომას. თვთ დ. ბაქრაძე ამავე კრებულს უწოდებს მისს საკუთრებად ყველა შემთხვევაში, როდესაც აქიდამ ამოაქვს ცნობები (იხ. მისი შენიშვნები ვახუშტის ისტორიაში, და „საქართველოს ისტორიაში“ და სხ.). ამ ნაირად, იმ თავითვე ძირიანად დაირღვა უსახელო მწერალთა ცილის-წამება. მაშინ უკანასკნელთ ეს ხერხი იღონეს: რა-კი კარგად იცოდნენ, რომ ხსენებულის კრებულისაგან მე მქონდა მხოლოდ ერთი მესამედი და დანარჩენი დაცული იყო დ. ბაქრაძის ქვრივის სახლში, ამისგამო მათ შეაგონეს და ათქმევინეს უკანასკნელს, ვითომ დ. ბაქრაძის ბიბლიოთეკაში არავითარი ნაწილი იმ კრებულისა არ იპოვებოდეს და ვითომ მან არც ის იცოდეს, თუ რა გზით ჩამივარდა მე ხელში ერთი ნაწილი კრებულისა. აქიდამ ცილის-მწამებელთ ორგვარი იარაღი იშოვეს: ერთი ის, რომ მათ მიეცათ საშუალება, ყველა ქუჩა-უბნებში გაევრცელებინათ ხმა, ვითომ მე სწორედ ის ნაწილი კრებულისა უნდა დამებეჭდოს და მიმეთვისებინოს, რომელიც აკლდა ჩემს კრებულს და რომელიც დაბეჭდვის შემდეგ ვითომ ცეცხლში უნდა დამეწვას, ხოლო მეორე და უმწარესი ის, რომ სადაო კრებულის უკანონოდ მითვისება და დასაკუთრება დამაბრალონ. ამ ნაირად, საჭიროდ გახდა პირველად დ. ბაქრაძის ოჯახში აღმოგვეჩინა დანარჩენი ნაწილი კრებულისა, ხოლო მეორედ გამოგვეტეხა დ. ბაქრაძის ქვრივი იმაში, რომ ხსენებული ნაწილი სადაო კრებულისა მე მქონდა თვით მისის ნება-ყოფლობით და არა მალვით. ამაზე ატეხილმა პოლემიკამ სრულიად გაფანტა ყველა ეჭვები: დ. ბაქრაძის ქვრივმან ადვოკატის ფრენკელის პირით გაზეთ Новое Обозрѣніе-ში გამოაცხადა: 1) მეორე ნაწილი ხსენებულის კრებულისა უკვე აღმო-

ჯან ფული შეიკრიბება, ჩვენ სრულად მოვახმარებთ საქართველოს ისტორიის და მწერლობის გამოკვლევას და ყოველს ამ თანხით დაბეჭდილს შრომას გამოვცემთ მისის უბრწყინვალესობის სახელით.

---

ჩნდაო დ. ბაქრაძის წიგნებში და ამ კრებულში იპოვებაო ეს და-ეს გვერდები (სრულად ჩამოთვლილია) და დანარჩენი აკლიაო. სწორედ ის გვერდები, რომელიც აკლდა ამ ხელ-ნაწერ, აღმოჩნდა ჩემს კრებულში და, მაშასადამე, მთელი კრებული აღდგენილ იქმნა; 2) ამასთანვე დ. ბაქრაძის ქვრივმან გამოაცხადა, რომ მან 1892 წლიდამ, ესე იგი, პოლემიკის ატეხამდი ორის წლის წინეთ უკვე **უწყოდა ჩემგან**, რომ ხსენებული ნაწილი სადაოდ დადებულის კრებულისა მე მქონდა მისისავე ნებაყოფლობით და ცნობით.

საქმე იმაში გახლავთ, რომ დ. ბაქრაძის სიკვდილის უმალვე ყოველ ეჭვების ასაცდენად, მე მოვახსენე მისს ქვრივს ზემოაღწერილი გარემოება, რომ ზემოდასახელებული ნაწილი კრებულისა ნაბოძები მაქვს-მეთქი განსვენებულის დ. ბაქრაძის მიერ და თუ ჩემს საკუთრებად იცნობთ, კარგი, თუ არა, მიბრძანეთ და მოგართმევთ-მეთქი. ქვრივმა არ ისურვა, რომ ის კრებული ჩემს საკუთრებად დარჩენილიყო და მხოლოდ დროებით, ნათხოვრობით, დასტოვა ჩემთან, სანამდი დასრულდებოდა ბეჭდვა ჩემის თხზულებისა: „Антоній I, Католикосъ". ამის შემდეგ მეტი რაღა დამრჩებოდა: გამოვუცხადე ცილის მწამებელთ, რომ მობრძანებულიყვნენ და ორივე ნაწილი კრებულისა შეესწორებინათ და, თუ რასმე ავტორის გამოუცხადებლივ გადმობეჭდილს იპოვნიდენ ჩემს „ქრონიკებში", გაზეთით გამოეცხადებინათ. მაგრამ მოწვეულნი არ გამოცხადდენ, ნიღაბის ახდა სირცხვილით ვერ იკადრეს, სოროებში მიიმალნენ და გაინაბნენ, და ამით საქვეყნოდ საცნაურ ქმნეს, რომ იგინი თვითონაც სრულიად დარწმუნებულნი იყვნენ იმის სიცრუეში, რასაც სხვას არწმუნებდენ.

მთელი გრძელი პოლემიკა, ზემოხსენებულ კრებულის გამო ატეხილი, დიდად საყურადღებოა, როგორც ისტორიული მასალა, დამახასიათებელი ზნე დაცემულობისა იმ ნაწილის ჩვენის ვითომ-და ინტელიგენციისა, რომელსაც ის ნაკლულევანება-ღა აქვს, რომ შრომა ეზარებათ და მამულის სიყვარულისა და კაცურ-კაციანობისაგან გადაკარგულნი არიან. ამისგამო ჩვენ განზრახული გვაქვს ზემოხსენებული პოლემიკა სრულად გამოვცეთ.

გარდა ამისა, რადგან ერთმან უსახელო პირმან გაზეთს „ივერიაში" სურვილი გამოაცხადა, რათა შეიკრიბოს თანხა პ. იოსელ-ანის ყველა თხზულებათა გამოსაცემათ, ამისგამო ჩვენ დიდის სიამოვნებით გამოვცემთ იმ საისტორიო კრებულს, რომლის ერთი ნაწილი მე მაქვს, თუ-კი ამისთვის საჭირო თანხას გადმომცემენ. რედაქტორობასაც მე ვკისრულობ, რადგან პ. იოსელიანის ნაწერებში აუარებელი ისტორიული შეცდომები მოიპოვება, რომელიც შიგ ტექსტში ან შენიშვნებში თუ არ გასწორდა, ყოველი ფასი დაეკარგება გამოცემას, ხოლო დაბეჭდვის შემდეგ ხსენებულს ხელნაწერს გარდავსცემ დ. ბაქრაძის ოჯახობას ანუ „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნთ-საცავს. ამას-კი მაინც საჭიროდ ვრაცხ ამ თავითვე გამოვაცხადო, რათა ბოლოს საზოგადოების საყვედური ავიცდინო, რომ ის ნაწილი კრებულისა, რომელიც მე მაქვს, ვერ შესძენს ჩვენს ისტორიას ახალს ცნობებს. მხოლოდ უმცირესი მისი ნაწილი (ორმოციოდე გვერდი) გამოსაყენებელია ჩვენის ისტორიისთვის და ღირსი დასტამბვისა.

ხოლო ეს გამოცემა ჩვენ ვუძღვენით დაუვიწყარს სახსოვარს განსვენებულის ნინო სამეგრელოს მთავრის ლევან დადიანის ასულისა და ივანე კონსტანტინეს ძის მუხრან-ბატონის მეუღლისას. ყველამ იცის და ჩვენმა მწერლობამაც აღიარა, რომ განსვენებული ნინო, მიუხედავად მეფურის შთამომავლობისა, იყო შესანიშნავი მშრომელი, მხნე, მოღვაწე, მეოჯახე და მაღალკეთილშობილურის ხასიათითა და ზრდილობითა შემკობილი. იგი იყო ჭეშმარიტი სახე ჩვენის ძველის დედებისა, „უკანასკნელი დარბაისელი ქართველი ქალი“.

უკანასკნელ მადლობასა ვსწირავ ყველა იმ მეგობართა, რომელნიც ზნეობით, რჩევითა ანუ საისტორიო მასალის მოწოდებით შემეწივნენ, განსაკუთრებით ბატონს ალექსანდრე ყიფშიძეს, რომელმაც მრავალ-გვარი დახმარება აღმომიჩინა მე ამ შრომაში.

# დამატებანი

## I

### ძეგლი ერისთავთა.[1])

თავი ამისი დაკარგულარს სიძველითა, ჴ იწყების მხოლოდ ისტორია ესე ამა ლექსიდამ[2]):

„დასაფლავებისათჳს საფლავი მისცეს, ხოლო ერისთაობა არავისი ინებეს,

---

[1]) ეს ფრიად საყურადღებო ისტორიული წერილი, ძეგლად წოდებული, ჩართული ყოფილა ერთს ტყავის დაზიანებულს სვინაქსარში; თავი ჰკლებია და შიგა-და-შიგ რამდენიმე სტრიქონები წაშლილა სიძველით. ამ ტყავის ხელ-ნაწერიდამ 1828 წელს ეს წერილი გადმოუწერია უმეტ-ნაკლოდ თ. რევაზის ძეს შალვა ერისთავს. ამ რვეულიდამ 1830 წ. უმეტ-ნაკლოდ გადმოღებული პირი ვიპოვე თ. ნიკოლოზ ერისთვის სახლში, სოფ. ქვეშში. უკანასკნელმა მიბოძა მისგანვე სწორედ გადაღებული პირი ამ მატიანისა, რომლისათვის უგულითადესს მადლობას ვუძღვნი თ. ნიკოლოზ ერისთავს.

თვით ის ტყავის სვინაქსრის ხელნაწერი, რომელშიაც ჩართული ყოფილა ეს მატიანე, ჩვენ ვერ ვიპოვეთ ჯერ-ჯერობით. მაგრამ ის წიგნი ხელში ჰქონოდა დ. მეღვინეთხუცესოვს, რომელსაც გადმოუწერია ხსენებული ისტორია აკადემიკოსანის ბროსსესთჳს; უკანასკნელს ფრანგულად გადაუთარგმნია და დაუბეჭდავს თჳსს Addit. a l' Hist. de a la Géor. p. 372—384): ხოლო ქართული ტექსტი ამ მატიანისა არ არის გამოცემული ბროსსეს შრომებში.—შედარებიდამ ცხადდება, რომ ჩვენი ხელნაწერი უფრო სრულია და სწორედ აღმოკითხული, ვიდრე ბროსსესგან ფრანგულად გამოცემული.

შესანიშნავია, რომ ერთი ნაწილი ამ „ძეგლისა“, ცოტაოდენ შემოკლებულად და ზოგან სიტყვა-დართვით (როგორც ქვემო დავინახავთ), შეტანილია მინგრელიის ვარიანტის „ქართლის ცხოვრებაში“ (წერაკით. ხელნაწ. № 354, გვ. 498 და შემდეგი; იხ. აგრეთვე ბროსსეს Addit. p. 368-371).—„ძეგლი არისთავთა“ წარმოგვიდგენს შესანიშნავს საისტორიო მატიანეს, როგორც თვით ამ წერილის შინაარსიდამ სჩანს, თანამედროვესაგან აღწერილს, რომელსაც შუქი შემოაქვს მე XIII—XIV საუკუნეთა ბნელს ამბებში, „ქართლის-ცხოვრებაში“ მოკლედ და ბუნდად აღნიშნულებში (ქ-ცხ.

არამედ ეძიებდეს კაცსა ესე ვითარსა, რომელმანცა პატივით იპყრნა ჵ არა მძლავრობით ჵ იგიმცა დაამკვდრეს შუა ქუჱყანისა მათისა, ჵ მოსწრაფე იყვნეს ყოველნივე შენებას ლარგვისისა ყოველნი კევნი.—ამა ჟამთა შინა იქმნა ფრიადი შფოთი ქვეყანასა ოვსეთისასა, ჵ იქმნა ფრიადი სისხლთა დათხევა მეფეთა შორის მათთა; მაშინ მძლე-ექმნეს შვლნი უხუცესის ძმისანი, ჵ გარდმოიყუანნეს მთასა ზახისასა შვილნი უმრწემესისანი: როსტომ, ბიბილა, წითლოსან და ძენი მათნი, სამეოც-და-ათითა მონითა, კეთილითა, ჵ მოჲყვანეს ქუჱყანასა დვალეთისასა. მაშინ შეკრბეს ყოველნი დვალნი, ჵ თქუჱს: „არა გვინდა მეფე მჯდომარე ქუჱყანასა ჩუჱნსა რათამცა შემჭამნა ჩუჱნ". ხოლო მათ თქუჱს ფიცითა მტკიცითა, ვითარმედ არა გვერქვას მეფე, არამედ ქუჱყანისა მის, რომელ მომცეთ, სახელი მისი გუჱრქვას ჩუჱნ. მაშინ მისცეს ქუჱყანა ბიბალ-მთა ჵ უწოდეს ბიბილურნი.[3]) და დაიწყეს შენებად ციხისა ჵ სახლებისა დიდ-დიდებისა, რომელ ეგე ვითარი არა იყო ქუჱყანასა დვალეთისასა. მაშინ გულის-კმა-ყვეს დვალთა, შეკრბეს და სთქუჱს: „ხედავთა, ვითარითა საქმითა იწყეს შენებად ოვსთა ამათ მეფეთა, დალათუ სახელ ვზდევით ბიბილურად, არამედ სახელი ესე ვერ დაფარავს გვარ-ნათესაობასა მათსა, და შემდგომად მცირედისა ეუფლნენ ყოველსა ქუჱყანასა ჩუჱნსა, და მართვეთა სხმა დაბოლთა(?) დაბამდის განვაძოთ ორ-თავი გველი მუცლით ჩუჱნით". აღიყვანეს და მოასხნეს კევსა ისროლისასა ნაკაფოვანს, როსტომ და ყოველნი ძმანი და მონანი მისნი.—მას ჟამსა ცხრა-ძმის კეველნი ბრძოლვილ იყვნეს ციხესა გრუვისასა ხუთ თვე; მაშინ როსტომ მივიდა შეველად მათდა და მას დღესა სამ გზის მთამდის ომითა გამოესხნეს დიდად მოუძლურებულნი და დაკოდილნი ცხრა-ძმის კეველნი; მაშინ მივიდა როსტომ, ძმითა და სამეოცდა ათითა მონითა და წარუძღვა წინა ვითარცა ლომი ზახილითა და ვითარცა ვეფხვი სიფიცხითა, ვითარცა ჯიქი სიმხნითა; და მივიდა იგი და ყოველი ლაშქარი ციხესა მას და ბრძოლა უყვეს ბრძოლითა სასტიკითა, რომელ არაოდეს ეხილვა ეგე ვითარი. და მას დღესა აჲღეს ციხე ზემო და გამაგრდეს გრუელნი ორსა მას ციხესა ქუჱმოსა, და ჰყვეს ზავი და მას

---

I, 433—437). მაგრამ „მეგლის" პირველი ნაწილი, როგორც სჩანს, დაწერილია გადმოცემით, და ამ ნაწილის ისტორიულ სიმართლის ჯეროვანად გამორკვევა, ჯერ მაინც, შეუძლებელია.

[2]) ცხადია, რომ აქამდის ეს ზემო მოყვანილი სიტყვები დართულია გადამწერისაგან; ხელნაწერს თავი ჰკლებია შემდეგს სიტყვებამდი: „დასაფლავებისათვის, საფლავი მისცეს."

[3]) სხვა საბუთებიდამ არ სჩანს, რომ ერისთავნი იყვნენ ბიბილურის გვარისანი. სამების „სულთა მატიანე"-ცი გვიმტკიცებს, რომ არაგვის ერისთავნი XIV—XV საუკუნეთანი ყოფილან გვარით შაბურიძენი, მაგრამ რადგან გვარები ქართლში მეტად ხშირად იცვლებოდა (გამოჩენილ მამების სახელი გვარად გადაექცეოდათ ხოლმე შვილებს), ამის გამო ერისთავთა ბიბილურობა ამით ვერ ირღვევა.

ღამესა შევიდა როსტომ ღ წაუღო ორივე ციხე ღ ვითარცა განთენდა, დააქცივნეს ციხენი იგი ყოვლით ზღუდით და ნაშენებითურთ მისით. მიშინ თქუჱს ყოველთა ცხრა-ძმის-კეველთა: „არა განვიშოროთ ჩუჱნგან ამიერითგან კაცი ესე გოლიათი, არამედ ვყოთ ყოველი, რაჲცა უნდეს მას“. მაშინ რქუა მამასახლისმან ლარგვისისამან ხუციან-დაბის-ძემან: „უკეთუ გნებავს მკვიდრ ყოფა ქუჱყანასა ამას, ითხოვე საფლავი მონასტერსა ამას, რამეთუ ყოველთა დიდებულთა აზნაურთა საფლავი აქა არს, და სოფელნი ესე, რომელნი ღვთივ გვირგვინოსანისა იყო, იუსტინიანე აღმაშენებელისაგან შემოწირულ არიან, იყო წინამძღუარ მათდა, თუ ღმერთსა უნდეს“. მაშინ რქუა როსტომ: „მე მოვითხოვო ყოვლისა ამის ერისაგან, გარნა შენ შემიქმენ მარჯუჱნით კერძო საკურთხეველისა, ადგილსა უმჯობესსა; და იყოს ღმერთი შუა ჩემსა და შენსა, და შუა ნათესავისა შენისა და ჩემისა, რომელი პატივი და კელი შენი, რომელ მეფეთაგან მოცემულ არს, არა შეეცვალოს ნათესავსა შენსა უკუნისამდე, და რომელი სჯობდეს საქმედ ჩემდა, მეტყოდე მე“. მაშინ რქუა გუგაკ: „მე თავი ჩემი დავსდვა ერდგულებით მსახურებად შენდა და ღმერთმან წარგიმართოს უმჯობესი ყოველი“. მაშინ რქუა ყოველმან ერმან როსტომს: „რა გნებავს, რათა ვჰყოთ შენთჳს?“ ხოლო მან მოითხოვა საფლავი ლარგვისსა და საჯდომად სახლი შუა საყდრის-შვილთა, და ცხრა-ძმის ციხის-თავის ნაქონები მამული. და მისცეს ესე ყოველი ცხრა-ძმის კეველთა: შუა ცხრა-ძმის ციხის-თავისა ნაქონებნი სოფელნი და ქუჱყანანი, საფლავი ლარგვისსა და საჯდომი ქვენიფნევს, და უწოდნეს ქვენიფნეველნი, რამეთუ სხუა სახელი არა ინებეს. მაშინ იწყეს შენებად ციხისა და სახლებისა დიდ-დიდებისა; და უკეთუ სადა იყვის ლაშკრობა, იგინი იყვნიან წინამძღვარ ბრძოლათა, ღ არავინ იპოებოდა მარტოდ მბრძოლი როსტომისა, და შეჲყუარნა ყოველმან ერმან ცხრა-ძმის კევისამან. და შემდგომად მცირედის ჟამისა იქმნა დიდებულთა და აზნაურთაგან თხოვად ერისთაობისა ბირებითა ერისათა, რამეთუ იტყოდეს: «ვისიცა იყოს საფლავი, მას შეჰგავს ეკლესია ღ ყოველი მიმდგომი მისი“. მაშინ მეფემან იუსტინიანე[4])

---

[4]) რასაკვირველია აქ იგულისხმება ბერძენთა მეფე იუსტინიანე I (527—565) ანუ იუსტინიანე II (565—578). იუსტინიანე I-ს მართლა ეწყოდა ქართველთ მეფე ფარსმანი „ტასკუნთა“ ანუ ტავრ-სკვითთა წინააღმდეგ 551 წლის ახლო ხანებს (იმისი საბუთები იხ. ჩემს „ქრონიკებში“ წ, I გვ. 52 ღ 56) და თუ ქსნის ერისთავი ერია ამ ლაშქრობაში, მას შეეძლო აქ მოხსენებული ჯილდო მიეღო ბერძენთ მეფისაგან (იხ. ბროსსეს აზრიც მისს Addit a l'Hist de la G.p. 374 n 1). მაგრამ ჩვენ უფრო საბუთიანად მიგვაჩნია ის, რომ აქ უნდა იგულისხმებოდეს იუსტინიანე II, რომლის მეფობის დროს სპარსთა დროებით გააუქმეს საქართველოს მეფობა (ქცხ. I. 162); გარნა ქართველთა მოუწოდეს იუსტინიანე მეფეს, რომელთა „განასხნეს უსჯულონი იგი სპარსნი და დაიპყრეს ქვეყანა ესე ჩვენი: მიერითგან ერისთავნი იქმნნეს მპყრობელ ქართლისა“ (იხ. ჩე-

ბრძანა მოწოდება ყოველთა ცხრა-ძმის კეველთა წინაშე მათსა, და იხილნა მეფემან, რამეთუ ყოველთა მახლობელთა დიდებულთა და აზნაურთა შეექმნა საფლავი, ნუ თუმცა მიუბოძნა ქუჱყანანი შეწირულნი ეკლესიისათჳს. მაშინ ბრძანა მეფემან: «ვისაცა საფლავსა შეგავს უპატიოსნება, მისი არს ეკლესიისა მისაგებელ (გასაგებელი?) ყოველი სამართლად, უკეთუ ენებოს ერთა». მაშინ იკადრა წინაშე მეფისა კლიტეთ მპყრობელმან ეკლესიისამან, ვითარმედ მარჯუჱნით კერძო საკურთხეველისა წინაშე წმიდისა ტრაპეზისა არს საფლავი როსტომ ქუჱნიფნეველისა მიცემული ყოველთა ცხრაძმის კეველთაგან და უკეთუ ინებოს მეფობამან თქუჱნმან, მას შეგავს ყოველი გასაგებელი ეკლესიისა, მსახურება თქუჱნი და მთავრობა შვილთა მათ კევთაჲ. მაშინ იკითხა მეფემან: «ვითარ ნებავს ერთა?“ და სცნა, ვითარმედ ნებავს იგი ყოველთა კევთა შუა მკვიდრობისათჳს. მაშინ მიუწოდა როსტომს წინაშე მისსა და ვითარცა იხილა, ბრძანა, ვითარმედ კაცი ესე ღირს არს ყოვლისა პატივისა. მაშინ მიუბოძა შვილნი ესე კევნი გასაგებელად, ეკლესიანი და ყოველნი აზნაურნი მკვიდრნი მას შინა და უწოდა ერისთავი ცხრაძმის კევისა, და შემოსა სამოსლითა მით, რომელ ემოსა მაშინ მეფესა და შეაცვა ბეჭედი და საყურე და სარტყელი თჳსი, საჭურველი და ცხენი თოროსანი, დროშა და შუბი. ესე მიუბოძა მეფემან იუსტინიანე როსტომს, და წარმოგზავნა სიხარულითა. მაშინ როსტომ აღაშენა ქალაქი ლარგვისი და განასრულა, და შეამკო ყოვლითურთ ეკლესია.

და მოკვდა როსტომ და დაჯდა ერისთავად ძე მისი ლარგველ. და შემდგომად იუსტინიანესა დაჯდა მეფედ დავით ბაგრატოვანი[5]). ამან ფრიად განადიდა ქუჱნიფნეველი ლარგველი და სახელ სდვა ერისთავთ-ერისთავად, და მისცა მთავრობა ყოველთა დიდებულთა დ აზნაურთა, რომელნი მკვიდრ არიან შუა არაგვსა და ლიახვსა, ზემოთ შორის მდინარისასა; ამათ ყოველთა უბრძანა, რათა შემდგომად მეფისა იყვნენ მორჩილ და თანა-მოლაშკრე ერისთავთ-ერისთავისა ლარგველისა.

---

მი „ქრონიკები», წ. I. გვ. 56). ძნელი დასაჯერებელი არ არის, რომ იუსტინიანე II, დამპყრობი და დროებითი გამგე ქართლისა, რომელსამე უპირატესობას მიანიჭებდა ქსნის ერისთავებსაც. უკანასკნელი აზრი უფრო ეთანხმება შინაარსსა „მეგლისას“, სადაც იუსტინიანე დასა[illegible]ლია როგორც გამგე საქართველოისა. აქედამ ცხადია, რომ ქსნის ერისთავობა უნდა დაწესებულ იყოს იმ დროს, როდესაც სამეფო გაუქმდა და „ეპყრა უფლება ქართლისა აზნაურთა“ (ქ.-ცხ. I, 162), ე. ი. 567—575 წლებ-შუა, და როსტომიც იმ დროს ცხოვრებულა.

[5]) აქ ხელ-ნაწერის არშიაზე მერმინდელის ხელით ყოფილა მინაწერი: „დავით მე-69 მეფე 1299 წ.“ (Addit. p 374 n. 3). მაგრამ აქ მეფე „დავით ბაგრატოვანი“ უნდა ჰნიშნავდეს გურამ «დავითიან ბაგრატოვანს“. მართლაც გურამის შემდეგ მეოცე-და-ექვსე მეფე იყო ვახტანგ II (1289—1292 წ.) ანუ ვახტანგ III (1289—1292 წლებში), რომლის დროსაც, დაახლოვებით, აღგვიწერს შემდეგი ნაწილი „მეგლისა.

და მოკვდა ლარგველ და დაჯდა ძე მათი დიმიტრი, და გარდაიცვალნეს მეფენი 26-ნი [6]) და ერისთავნი 24-ნი და წელიწადნი არა მცირენი [7]).

მაშინ დაჯდა მეფედ ადარნასე [8]).

და მოკვდა [9]) ერისთავი კირშელ და დაშთა ძე მისი შალვა სამის წლისა და აღზარდა იგი მეფემან პატივითა მამათა მათთა [10]). [და მოკვდა მეფე და] [11]) დაშთა ძე მისი ვახტანგ ექუსისა წლისა [12]), [მაშინ მამის ძმამან მისმან, დავით, დაიპყრა მეფობა] [13]) და არა მისცა ძმისწულსა თჳსსა ვახტანგს. მაშინ შალვა, გაზრდილი მამისა მისისა, არა განეშორა, არამედ ზრდიდა ყრმასა მას. მაშინ დავით მრავლითა სიტკბოებითა და მრავლისა დიდებისა მინიჭებითა ევედრებოდა შალვას და [14]) მან არა ისმინა, არამედ განამაგრა ციხენი და შევედრნა ერდგულთა მონათა და თჳთ წარყვა ძესა მისსა [15]) ურდოს; მაშინ მეფემან და-

---

[6]) ქ. ი. გურამიდამ (№ 39) 26 მეფე, რაიცა უდრის (39+25=64) დიმიტრი თავ-დადებულის მეფობას († 1289 წ.), ანუ (39+26)—ვახტანგ II-ისას († 1292 წ.). ჩანს, „მეგლის" აღმწერს „ქართლის-ცხოვრება" საკმაოდ შესწავლული ჰქონია.

[7]) აქიდამ დაწყებული შენიშნვამდი № 39 შეტანილია მენგრელიის ქართლის ცხოვრებაში № 354, გვ. 498 და ფალავანდოვისაში (Brosset. Addit. a l'Hist. de la G. p. 368—371). რაც „მეგლიდამ" მენგრელიის ვარიანში გამოტოვებულია ანუ შემოკლებული, იმას ჩვენ დიდს ფრჩხილებში ჩავსვამთ; ხოლო სხვა დანარჩენს განსხვავებას ორისავე წყაროსას ჩვენ აღვნუსხავთ შენიშვნებში.

[8]) მენგრელიის ვარიანტი იწყება: „ქ̃კს: უმ: (ქ. ი. 1220 წ.) დაჯდა მეფე ადარნასე და განაგებდა სამეფოსა ქართლისასა" (გვ. 468). ცხადია, აქ ქორონიკონი მერე გადამახინჯებულად შეტანილი სხვა-და-სხვა წყაროდამ, რადგან «მეგლში" არ მოიპოვება. ამ დროს მეფე ადარნასე ცნობილი არ არის. შეიძლება ადარნასე იყოს მეტი სახელი ვახტანგ III-ისა.

[9]) აქ მენგ. ვარ. უმატებს: «ქსნის».

[10]) მენგ. ვარ.: „მათთათა".

[11]) ამ ოთხ წინა-სიტყვის მაგიერ მენგრ. ვარ. სწერია: „და მისსა შემდგომად მოკვდა მეფე ადარნასე" (დაჯდა?)

[12] აქ. მენგრ. ვარ. უმატებს: „და დაშთა (დაჯდა?) მეფედ დავით, მამის ძმა მისი, ადარნასესი". ფალავანდოვის ვარიანტით დავით იყო ძმა ადარნასესი (Add. p. 368).

[13]) აქ მინგრ. და ფალავ. ვარ. უმატებენ: „და განაგებდა სამეფოსა ქართლისასა. მაშინ მამის ძმამან მისმან დავით მეფემან არა რა." (მისცა ძმის-წულსა და სხ.). ბროსსეს აზრით ადარნასე უნდა იყოს დიმიტრი II (III?), ხოლო დავით —დავით VI, ხოლო მეფის ძე ვახტანგ—ვახტანგ III (Add. p. 368 n. 2.)

[14]) მინგ. ვარ.: „ხოლო" („და"-ს მაგიერ).

[15]) აქ მინგრ. და ფალ. ვარიანტები უმატებენ: «მეფისასა". მელკინეთ-ხუცევის წავითხულშიც ეგრე ყოფილა (Add. p. 374).—შეად. ქ.-ცხ. I 433, სადაც მოხსენებულია შალვა ქვეხიფხველის საქმე.

კით შეჰკრიბა ყოველი ლაშკარი თვსი ⷣ თათარნი შირვანელნი ⷣ ყოველნი მყო-ფნი კახეთს და მუხრანს, და მოადგა ცხრასავე კევსა შალვას საერისთვოს, და ჩამოასხნა დვალნი და ხადელ-ცხავატელნი და ყოველნი მთიულნი ქუცმონი, დასწვეს და მოაოკრეს ყოველი ცხრაძმის კევი გარეშე ციხეთა, და ციხეთა ბრძოდეს: ქუცნიფნევს, ქარჩოხს[16]), ქოლოთს, და ისროლს, არამედ ვერა აიხვნეს და შვიდ წელ განგრძელდა ომი მათი. ხოლო ციხოვანთა ესეოდენ შესჭირდა, დაჲწყეს ჭამად ღვედისა და ესე ვითართა ზედა მოვიდა კახტანგ და შალვა სპარსთა ლაშკრითა ურიცხვითა სპითა.

მაშინ დავით დგა ბაზალეთს, და ვითა სცნა მოსვლა მათი, მიმართა ციხესა დარიელისასა და მიუდგა უკანა სპაჲ ყოველი, და შეჲარეს[17]) არაგვი და გარ-დავლეს ჯვართაყელი და ჩავიდეს დარიელს და მოადგეს[18]) ციხეს გველეთისას; ხოლო შალვა დადგა ხადოს, და ეს ოდენ ძლიერად ბრძოდა, რომელ ერთს დღესა აჲღო ცხრა ციხე და დაარღვია და მას ერთსა კვირასა დაარღვია ციხე ოცდახუთი, (და) თხუთმეტი იქით არაგვისა. მაშინ მისცა კახტანგ დავითს ჯა-ვახეთი და დალისტანი (ალისტანი)[19]) და გამოჲყვანა გველეთით.

ხოლო შალვა მიმართა კევთა დვალეთისთა და გააოხრნა ყოველი, (და) მოუხდეს შავ-დვალნი ღამესა ბნელსა, დაუხვდეს მომლოდნელნი, რამეთუ ესმა შალვას მოსლვა მათი. მაშინ დააწყვდინეს იგინი მთხრებლსა კლდისასა, და ერ-თიცა მათგანი ვერღარა წავიდა და მოსწყდეს სიმრავლე არა მცირედი დვალ-თა. მაშინ მოწვნეს და მოაოხრეს ყოველნი კევნი დვალეთისანი და შემუსრნეს და დაარღვინნეს ყოველნი ციხენი თრუსით აჩაბეთამდის.—მაშინ წარვიდა ყოვე-ლი სპა სპარსთა. მაშინ მეფემან მიუბოძა შალვას თრუსი[20]), ღუდა, გაგასძენი, მლეთე (მლეთი?)[21]), არაკვეთი, კანდო, ყანჩაეთი, აბაზასძეთა მამული, ძაგნა-კორნანი[22]) დიღუამი, გავაზი - - - -[23]) აწერის, კევი[24]), ბეკუშე, და ყოველთა

---

[16]) მინგ. კარ.: „ქარჩოხს“. შეად. ქ. ცხ. 434—435.

[17]) მინგრ. კარ.: „შეიყარეს“ შეად. ქ.-ცხ. I 436.

[18]) აქ. მინგრ. კარ. უმატებს: „დავითს“ ხოლო მეღვინეთ-ხუცესოვი—„კახ-ტანგს“.

[19]) ყველა ვარიანტებში „ალისტანი“ სწერია; მაგრამ სჩანს ხელ-ნაწერში გა-დამახინჯებულია „დალისტანად“. რომ მეფის დავითისთვის მიუციათ ჯავახეთი, ამას ბროსსე ასაბუთებს ქართულ ფულით. რომელსაც აწერია: „ჯავახთ უფლისა“ (Add. p. 375. n. 2) შეად. ქ.-ცხ. I 437.

[20]) მინგ. და ფალავ. კარ. „თრუსკი“.

[21]) მეღვ.-ხუც. კარ. „მლეთი“. ხოლო ფალავ. „მეთე“.

[22]) მინგრ. კარ. „ძაგნაკორანანი“.

[23]) აქ გადამწერი შენიშნავს: „ამაში ამოფხეკილია კარგა ალაგი“. ეს შენიშნ-ვა მეღვინეთხუცესიშვილის ვარიანტს არა აქვს (Add. p. 375).

[24]) მინგრ. და ფალ. კარ.: „აწყვერის კევი“.

დიდებულთა მისთა უმჯობეს ხედევდა; [ხოლო შალვა მოჰყუანა ცოლად ოვსთა მეფის ასული, სახელად ბირდი, რომელმან განადიდა პატივი მონასტრისა ამის [25]) და შეჰქმნა ყოველი სამსახური ეკლესიისა ოქროსი და ვერცხლისა, ბარძიმი, ტაბაკნი, კანდელნი და სხუა ყოველი სამკაული და მოსჭედნა ხატნი, და შეამკო ხატი თეთროსანი წმიდათა ნაწილებითა და ყოვლითა სამკაულითა].

მაშინ მოკვდა დავით მეფე და მასვე წელსა მოკვდა ვახტანგ მეფე; მაშინ დაჰპყრა მეფობა გიორგი ძემან დავითისამან [26]). ხოლო აბაზას ძე ნავროზ წარვიდა სპარსეთად. მაშინ მეფემან უბრძანა შალვას მოდგომად ციხესა ლოწობანისასა. მაშინ შალვა მოადგა ლოწობანს და ბრძოდა სასტიკად ოთხ-დღე და მეხუთესა დღესა აღიღო იგი. მაშინ მოჰყვანნა ორნი ხატნი ფრიად შვენიერნი.

ხოლო მეფე გიორგი განილაშკრა მაღაროს და დიდად ევნოთ მათგან ვიწროთა მათ კევთა სიმრავლითა საგორავისათა, და დიდად მწუხარე მოვიდა და კუალად მეორედ წარვიდა დღეთა ყველიერისათა, და იყო სიცივე დიდი და შიშისაგან საგორავისა წარმოვიდეს გზასა მთისასა, რომელი იყო განყინებული, და მაშინ უმეტეს ევნო; რამეთუ იმქრეოდა ცხენები და კაცნი იგი მსგავსად მკეცთა შესვარულნი სისხლითა, მოსდევდეს მათ. ხოლო შალვა ორსა ამას ლაშქრობასა არა იყო მუნ, არამედ ძენი ხოლო მისნი იყვნეს; რამეთუ ესხნეს ძენი ცამეტნი, ქუშლნი და გონიერნი.

მაშინ შალვა წარვიდა ლაშქრითა თჳსითა, მივიდა, დასხ(დ)ა უმჯობესის ლაშქრით მზირად ღამე და (რა) განათლდა [27]), მივიდა მცირედითა ლაშკრითა და მოწვა და მოაოკრა ქუშყანა მათი და არა რა აჰლო ლაშქარმან ალაფი თჳნიერ აბჯრისა, და წარმოვიდეს; მაშინ მოუდგეს უკანა ლაშქარნი იგი მის ქუეყანისა(ნი) და წარკდეს მზირთა, და აღსდგა ყოველი ლაშკარი დამალული; და მოუბრუნდა შალვა და შეჰწყვდივნეს ადგილსა ვიწროსა, და მოკლეს მუნ ორმოცდათუთხმეტნი კაცნი და მრავალნი შეჰპყრეს.

მაშინ კვალად შთავიდეს და დადგეს და მოაოკრეს და დაწუშს ყოველი ქუშყანა მათი და წარმოვიდეს გამარჯვებულნი ალაფითა დიდითა [38]).

---

[25]) აქიდამ ცხადია, რომ ხელ-ნაწერი-სვინაქსარი, რომელშიც ჩართულია „ძეგლი", ლარგვისის მონასტრის კუთვნილება ყოფილა და ლარგვისშივე უნდა იყოს დაწერილი.

[26]) ამ უკანასკნელ ფრასის მაგიერ მინგრ. და ფალავ. კარ. სწერენ: „დაჯდა მეფედ ძე დავითისი გიორგი და განაგებდა საქმესა ქართლისასა".

[27]) მინგრ. კარ.: „განთიად".

[28]) აქ მინგრ. და ფალავ. კარ. უმატებენ: „ქ~კსა: იზ: ქრისტეს აქეთ: ჩსპდ:". ეს ქორონიკონი არეულია, რადგან ქ~კნი: იზ: უდრის 1229 წ. და არა 1284-ს. გარდა ამისა აქ მოხსენებული გიორგი მეფე უნდა იყოს გიორგი ბრწყინვალე, რომელმაც მთიულებზე გაილაშქრა 1329 წლის ახლო ხანებში. შეიძლება,—თანხმად

[მოკვდა შალვა და დაჯდა ძე მისი ლარგველი ერისთავად. ამან აღაშენა უკანა ციხე თავსა ისროლის კევისასა და ტფილისურითა წესითა დარბაზოვანი ქუჱნიფ-ნევს. ამან შეჰქმნა დიდი ესე ხატი მაცხოვრისა საზომითა ტანისა თვისისათა და მოსჭედა იგი. ამანვე შეამკო დიდი ესე ხატი თეოდორესი[29]) და შექმნა ორი კანდელი და დაუკიდნა.

ამას ჟამსა ადიდდა ქსანი და წარიღო ერთი კერძი ზღუდე აღმოსავლით კერძ და სამრეკლონი დიდ-დიდნი და შვენიერნი.

მოკვდა ლარგველი და დაშთეს სამნი ძენი მისნი და დაჯდა ერისთავად უხუცესი ძე ვირშელ სრული ყოვლიდა კეთილითა].

ამას ჟამსა მოვიდა ამბავი: კლიტენი იერუსალიმისანი სპარსთა დაჲპყრესო, და დიდად შესწუხნა მეფე გიორგი, მაშინ წარგზავნა ძე შალვა ერისთავისა რომელს ერქუა პიპა, გზასა კმელთასა მრავლითა ძღვენითა წინაშე მისრელისა [და წარყუა-თანა ბადანდას ძე[30]) დეკანოზი იოანე] და მივიდა პიპა წინაშე ნისრელისა; ხოლო მან სიხარულითა შეჲწყნარა ძღვენი იგი და მისცნა კლიტენი იერუსალიმისანი. მივიდა პიპა ზედა საფლავსა ქრისტესსა და შეემთხვია, ჟამი აწირვინა, ეზიარა [და დეკანოზი იოანე აკურთხეს მოძღვართ-მოძღვრად; და მოუწერეს სამთავნელსა და ერისთავსა ვირშელსა, და ყოველსა ერსა ცხრაძმის კევისასა, რათა მოძღვართ-მძღვარობა ნუვის კელეწიფების თვინიერ ამისა და შემდგომად ვინცა იყოს მონასტრის მოძღვრად - - - - - - .[31]) ხოლო პიპამან მოჲლოცნა წმინდანი ადგილნი და შეკრიბნა ნაწილნი წმინდათანი] და ხატნი შვენიერნი და წარმოვიდა მასვე გზასა კმელეთით, და მოვიდა წინაშე მეფისა და მოჲღო იერლაყი შეწყალებისა და აღსრულება ყოვლისა სათხოველისა მისისა; ფრიად განიხარა გიორგი მეფემან, რამეთუ მიეცნეს კლიტენი ქართველთა.

მაშინ მოადგა ოვსთა, გორს მყოფთა და ბრძოდა ამ წელ[32]). ხოლო ვირშელი და ლაშკარი მისი უმჯობეს ძრძოდა სპათა ყოვლისაგან და აქებდეს

---

„მეგლისა“,—აქ იგულისხმებოდეს „გიორგი მცირე“, დავითის შვილი. „ორ-წელ მეფე ქმნილი“ (1310—1312 ახლო ხანებში): ქ.-ცხ. I. 446—447.

[29]) ეს ფრასა არ იპოვება მეღვინეთ-ხუც. წაკითხულში (Addit. p. 376).

[30]) მეღვინეთ-ხუც. ვარ.: „ბანდასძე“.

[31]) აქ გადამწერი ჰმოწმობს: „ამას ადგილსა აკლია ერთი სტრიქონი“. ხოლო მეღვინეთ-ხუცესოვით—ერთ-ნახევარი (Add.. p. 377, n. 1). მისრელად ანუ ნისრელად ქართველნი უწოდებდნენ მეგვიპტეთა, რომელნიც ამ დროს მძლავრობდენ აღმოსავლეთში და პალესტინეში (ქ.-ცხ. I, 440—441). შეიძლება აქ „ნისრელად“ იწოდებოდეს მისრეთის ანუ ეგვიპტის სულტანი „ნასარ-მელიქი“, რომელთანაც ქართველ-მონგოლთა სახელოვანი ბრძოლა ჰქონდათ 1296 წლის ახლო ხანებში (ქ.-ცხ. I, 441).

[32]) ეველა ვარიანტებში: „სამ-წელ“. ოვსნი გორს მსხდომნი იხ. ქ.-ცხ. I, 443.

ქებითა დიდითა, რომელ ესე შეაშურთვეს მთიულთა არაგვისათა, და თქუჲს: „უკეთუ ომსა ამას გარეგანსა უმჯობეს არიან, არამედ მივიდეთ მთასა ლომისისასა და მუნ შემებნენ ჩუჲნ და იხილოთ რომელნი უმჯობეს ვართ". მაშინ შეჰქმნეს პაემანი და დაამუქრნეს და შემდგომად გორისა აღებისა აუწყეს ურთიერთსა და შევიდეს კირშელ და ყოველი ლაშქარი მისი მთასა ლომისსა, ხოლო არაგვისა მთიულნი დადგეს ლოჲსთავს და აწვევდეს ლომისსა. ხოლო იგინი ტყესა, ციხესა ლოჲს-თავისასა და ქარაფსა კლდეთასა არა განეშორნეს.

მაშინ მოვიდა დავით ძე გიორგისი და არღარა აუშვნა საომრად [33]). არამედ განყარა ყოველნი კევისთავნი [34]) და წარგზავნეს ყოველნი აზნაურნი ქართველნი და წარვიდეს ყოველნი თვნიერ სამთა მათ კევთა. მაშინ წარმოვიდა კირშელი და შთამოვიდა ვაკედ, ხოლო ლაშქარნი წყაროთა, მუხათა და წისქვილთა თანა გვერდსა მას შთამოვიდოდა; და ვითარცა ესმა ესე მთიულთა არაგვისათა, წარმოვიდეს უკანა მათსა და გამოვიდეს ლომისას.—

და დავით, ძე მეფისა, მუკლთა დაუყრიდა, ლომისასა მყოფნი ხატთა დაუსვენებდეს და ევედრებოდნენ, რათა არა სდევდენ. ხოლო მათ არა ისმინეს, არამედ მრავლითა გინებითა მოსძახდეს და საგორავისა სიმრავლესა ჩამოყრიდეს.

მაშინ კირშელმან შეკრიბნა მცირედნი [illegible] სამისა ამის კევისანი, და რქუა მათ: „აწ არღარა იქმნების ომი, რამეთუ გააყარა ლაშქარი ჩუჲნი, არამედ კვლავ შევკრიბოთ ლაშქარი ჩუჲნი [35]) და მაშინ ვებრძოლნეთ მათ". არა ინებეს ესე მცირედთა მათ ლაშქართა, არამედ თქუჲს: „მამანი ჩუჲნნი მცირედნი მძლავრობდიან მამათა მათთა დიდთა და მრავალთა, და უკეთუ არა ვართ შვილნი მამათა ჩუჲნთანი, რაჲსთვის გვაქუს მამული მათი?" მაშინ განიშიშვლეს ფეხები მათი და წარიძღვანეს დროშა და აღემართნეს ორსა მას ქედსა მთასა ლომისისა და ჩამოეგებნეს ერთსა მას ქედსა ცხავატელთ გარეთნი და ყოველი მიმდგომი მათი [და ერთსა მას ხადელმოკევენი და მიმდგომნი მათნი]. მაშინ ჩამოყარნეს საგორავნი ურიცხვნი და აღვიდეს კვალადცა, რამეთუ დაბურვილ იყვნეს ფარითა, ვითარცა ს(ი)პითა და დაასხეს ქვა და შუბი მსგავსი წვიმისა. მაშინ შეაქმნა სიმრავლე ისრისა, ვითარცა სეტყუა ხშირი და ფუცავდენ ღმერთსა, რომელ ქვემოთ ნასროლმან ისარმან ფარი და ჯაჭვიანი კაცი გაარის და მიწასა ნახევრად დაესვის; აღმოაწვადეს კრმლები და [36]) აახვნეს და აღემართნეს აღმა მთასა მას და გორვიდეს ჩამოღმა, და იგი იყო უმჯობესი მათ შორის, რომელმან დაჰყარის აბჯარი და ტანისამოსი და შიშველი მირბოდის.

მაშინ კირშელმან ერისთავმან იხილა რაჲ ესრეთ ულონო ქმნილნი მებრ-

---

[33]) მინგრ. კარ.: „და არა ჩაუშვნა ომად".

[34]) მინგრ. კარ.: „თავის-თავ". აქ მეღვინეთ-ხუცესოვის ვარიანტში სიტყვები აკლია (Add. p. 377).

[35]) მინგრ. კარ.: „ჩემი".—[36]) მინგრ. კარ. უმატებს: „შეუკდეს".

ძოლნი მისნი, უბრძანა არა კოცად მათდა, არამედ პყრობად; და დევნად და მიუდგეს უკანა და გაჰყვეს იქით არაგვისა. და მოვიდა ერისთავი ლომისსა და გაუშენა ყოველნი, რომელნი კელთა დარჩომოდეს, და შესწირა ლომისას არა მცირედი, და ისტუმრა შინა დაკით, ძე მეფისა [და შემოსწირა ეკლესიასა ამას სვნაქსარი კსჯ კეთილი [37]). და ერისთაობასა შინა მისსა იზრდებოდა ქვენიფნევს ორმოცდათუთხმეტი სახლი უძლურთა და დავრდომილთა და სამარადისოდ ყოველ პატრონის ტაბლისგან მიეცემოდა დღითი დღე.

და მოკვდა ერისთავი კირშელი და მეუღლე მისი გვანცა, სამსა დღესა შინა, და დარჩეს სამნი ძენი მისნი: ქვენიფნეველი, იოანე, და გიორგი, რამეთუ მცირე იყვნეს. მაშინ წინამძღვარ ექმნა ცხრაძმის კეველთა ბიძა მისი [38]) ცხრა წელ [39]). მაშინ აღიზარდა ქუენიფნეველი და დაჯდა ერისთავად, და იყო კაცი კეთილი, მშვიდი და გონიერი გამზრახი, ქებული და მოშიში ღვთისა, და მოყუარე მღვდელთა და ფრიად წარჩინებული წინაშე მეფეთა. ამან აღაშენა ქუენიფნევს ეკლესია და დარბაზოვანი დიდ-დიდი და მშვენიერი; ამან იწყო შენებად ზღუდეთა ამის მონასტრისათა და აღაშენა სამრეკლოჲთა და ყოვლითა სამკაულითა შეამკო ეკლესია, და შეკრიბნა მღვდელნი და მონაზონნი და პატივი სცა უუმეტეს ყოველთა ერისთავთა პირველ(თა) და შემდგომთა, და აღაშენა საზეთე და განაჩინა ჩვიდმეტი ალაპი, და შემოსწირა ცხრა ვენახი, და გლეხნი მსახურად ეკლესიისა.

ამათ ჟამთა იყო შალვა ერისთავის ნათესავი სამოცდა თორმეტი შუბოსანი, და ყოველნი მორჩილებასა ქუეშე ქვენიფნეველისასა; მაშინ ჩამოვიდნეს ცხაოტელნი ჟამურს. და მისცა ღმერთმან გამარჯვება გიორგის, ძმასა ერისთავისასა, და გააქცივნეს აღმა მთის სიმაღლესა, და ვითარცა აღვიდეს მთად, იდგეს წინა მამასახლისნი, და აღარ სდევნეს, რამეთუ სთქუეს: „კმა არს ბრალი ესე“, რამეთუ მომკვდარ იყო გარეშე წვრილის ერისა თვრამეტი თავადი კევისა ბერი ცხაოტელნი.

და მეორესა წელსა მოუხდეს ყოველნი დვალნი. მაშინ ბრძოლა უყვეს ჟამურელთა, და იყვნეს ბეგარის მკრეფელნი ცხრა-ზმელნი და მოვიდეს იგიცა, და ვითარცა ესმა დვალთა მისლვა ცხრაზმელთა, ზარი დაეცათ და გაჲქცეს, და შეჲხვეწნეს ციხეთა ქნოღისთა. მაშინ სთხოვდეს ჟამურელნი; ხოლო მათ არღარა მისცნეს, ᲓᲐ წარმოვიდეს ᲓᲐ შთაჲთრივეს ყოველი იგი მკვდარი დვალი, ᲓᲐ მოვიდეს წინაშე ერისთავისა და შეასმინეს ქნოღოელნი. მაშინ განრისხნა ქვენიფნეველი და განილაშქრა ქნოღოს და დაარღვივნა ციხენი მათნი და მოსწვა ქუეყანა მათი. ამისა შემდგომად დვალთა წაასხეს ხვასტანგი ჟამურით. ესმა ერისთავს და წარ-

---

[37]) რომელშიაც ჩართულია ეს ისტორიული წერილი. [38]) პაპა.

[39]) სიტყვა „ცხრა წელ“ მეღვინეთ-ხუცესოვს „წიაღონად“ აღმოუკითხავს. კირშელი, მისი მეუღლე გვანცა ᲓᲐ სამნივე აქ მოხსენებულნი მისნი ძენი დასახელებულნი არიან ეკლ. მუზ. ეტრატის სახარებაში, № 25.

ვიდა; მივიდა ზოხოს[40]) და ნახევარი ლაშკარი მათ დაასხა მალულად, და ნახევარითა დადგა (მოადგა?) სამსა მას სოფელსა და ციხესა ზემოსა. მაშინ შექმნა კმა და წარმოვიდეს ყოველნი მამანი ქუჱმოთა მათ მახლობელთა სოფელთანი და შემოვიდეს ზემო მალულთა ლაშკართა და გამოუხდეს ზურგით და მიეტევნეს ზემონი, და შეამწყვდიენეს შუა და ერთიცა მათგანი არა განერა, და დაარღვიენა ციხენი მათნი, და მოსწვა ქუჱყანა მათი, და აღივსნეს ყოველნი ლაშკარნი ალაფითა, და წარმოვიდა დიდად გამარჯვებული, რომელ ერთიცა ლაშკართა მისთაგანი არა მოაწყლა. ხოლო გიორგი, ძმა ერისთავისა უმცროსი, ლაშქრობდის იქით არაგვსა და სტყვენვიდის, რამეთუ იყო კაცი გონიერი, და შემმართებელი. ხოლო საშუალი იგი ძმა, იოანე, მარადის იყვის წინაშე მეფისა, რამეთუ იყო მხნე, გოლიათი, ბრძოლათა შინა უძლეველი, განმძრახი ქებული, უშიში ვითარცა უკორცო, რომლისთჳსცა პატივს-სცემდეს მეფენი და საკუთრება და თანა მზრახუჱლობა მისი ვითარცა დიდი შესაძინებელი შეერაცხა, რამეთუ მრავალგზის გამოეცადა იგი ჟამსა ბრძოლისასა, ფრიად განთქმულ, და სახელოვან, და უმჯობეს ყოველთა მბრძოლთა]. ამათ ჟამთა მოვიდეს [თურქნი] წინაძღომითა, ბაედარის ძის ხოსიასითა, და მოკლეს მეფე გიორგი, და ყოველნი მთავარნი და დიდებულნი ქართუჱლნი და მუნვე მოვიდა[41]) ერისრავი ქვენიფნეველი ქ~კს ჲა][42]). [ხოლო ივანე სიმხნითა და სიქუჱლითა თჳსითა განერა მათგან სასტიკად ბრძოლვილი, მოვიდა და დაჯდა ერისთავად, და ახოვანებასა და სიმხნესა მისსა ზედა შესძინა სამართალი, რამეთუ იყო იგი მამა ობოლთა, და ფრიად საზარელ მტერთა, და მრისხანე ბოროტის მოქმედთა ზედა, მოშიში ღვთისა, მოყუარე მღუდელთა, პატივისმცემელ მონაზონთა, განმადიდებელ ეკლესიათა, შემამკობელ ხატთა, და სათნო ღვთი-

---

[40]) მელქინეთხუც. კარ.: „სოსხოს".

[41]) უნდა: „მოიკლა".

[42]) დაწყებული სიტყვებიდამ: „ამათ ჟამთა" აქამდი მინგრელიის კარიანტში იკითხვის ესრე: „ამისა შემდგომად გარდაკდეს წელნი რაოდენნიმე, ვითარცა წესი არს ჩვეულებისა ეშმაკისა, აღძრა ეშმაკმან, მოძულემან კეთილისამან თურქნი ქრისტიანეთა ზედა. შეიკრიბა ერი ურიცხვი და მოვიდა ქართლს წინამძღომითა ბაედარის ძის ხოსიასითა. ეწყვნეს ქართველნი და თურქნი; მოჰკლეს მეფე გიორგი და მისთანა ქვენიფნეველი იოანე და ყოველნი მთავარნი და დიდებულნი ქართლისანი და ლაშქარნი სრულიად დაკოცნეს, საქართველო მოარბიეს და წარტყვევნეს, თვესა აგვისტოსა: ტ: ქვს: ჲა და მისწილ (დაჯდა) ძე მისი დავით და განაგებდა ყოველსა სამეფოსა ქართლისასა. აღესრულა დავით და დაჯდა მისწილ ძე მისი გიორგი". ამით თავდება მინგრელიის და ფალავანდოვის კარიანტები. შესანიშნავია, რომ ეს გარემოება, რომელიც ჩვენს ისტორიულ წყაროებს არ ეთანხმება, მოხსენებულია ჩვენგან შეკრებილს ქრონიკებშიაც. ამის განმარტება ის. „ქრონიკებში" 1373 წლის ქვეშე.

სა, საყვარელ კაცთა, საქებელ მთავართა და უნაკლულო საღმრთოჲთა ქუჱლის-საქმითა, და ურცხვენელ საკაცოჲთა მოქმედებითა. და ნებითა ღვთისათა იყო სახლი მისი საწყური, აღმომდინარე კეთილთა, დაულევნელ ვითარცა ზღუაჲ.

მაშინ მოჲყუანა მეუღლე პატიოსანი ქოვსოჲთ[43]), ღვთის-მოყუარე, და სრული ყოვლითურთ. ამან შემატა ღვთის-მსახურებასა და კეთილის-ყოფასა დაღონებულთასა. მაშინ ევედრებოდა ღმერთსა ყოვლით ერითურთ მოცემად შვილისა და შეჲსმინა ღმერთმან ვედრებისა მათისა, და მიეცა მათ ყრმა წული, და განიხარეს სიხარულითა დიდითა ყოვლისა ერისათა და მრავლითა ღამისთევითა, ჟამის წირვითა, გლახაკთა და მღვდელთა მიცემითა შევედრეს ღმერთსა. და რაჟამს ძესა განეყენა სწავლად წმინდათა წერილთა, მისცეს იგი, და წარიყუანა მამის დამან მისმან[44]), სრულმან ყოვლითა მეცნიერებითა ԁ ზრდიდა მას შემსგავსებულად სიბრძნისა თჳსისა. მუცლად იღო კვალად და შუა ქალი და მიიცვალა მანიაკი იგი კეთილთა მანდილოსანთა[45]). ხოლო შემდგომად რავდენთამე წელიწადთა მოჲყუანა იოანე ცოლად ასული ღვთივ-გვირგვინოსანისა დავით მეფეთ მეფისა, გიორგის ძისა, რომელსა ეწოდა გილბარ[46]), რომლისა ქებასა თუ შეკრბენ ყოველნი ბრძენნი სოფლისანი, ვერ მისწვდებიან და არცა ენისაგან მიიხდომის. და არა ესვა მას ძე, არამედ ორნი ასულნი უნათლესნი მნათობთა ცისათა *).

ამა ჟამსა იყო შფოთი და პოეს ჟამი დვალთა, და წაასხეს ზღუდით ზროხა. ესმა ერისთავსა და განილაშკრა მთასა ზედა, და მივიდა ერემას, წუხლეთსა და წუბენსა, და დაარღვივნა ციხენი მათნი და დასწვა და აღაოხრა ქუჱყანა მათი, და წამოვიდა გამარჯვებული. მაშინ მთეულნი არაგვისანი დაესხნეს გარემოს კევსა; ხოლო გარემოს-კეველნი შეჰკრბეს, შეჲბნენ და სვემან პატრონისა მათისამან მისცა ძლევა გარემოს-კეველთა, და გააქცივნეს და დევნა უყვეს, და კაცი არცა ერთი მოკლეს, არამედ გაძრცვიდეს და შიშველ განუტევიან და მოიყუანეს თავად ორმოცი კაცი წინაშე ერისთავისა; ხოლო მან დამოსნა და განუტევნა ყოველნი. გარნა ბოროტად მეტყუჱლსა ვისმე, ანდრიას, მოკუჱთა ჴელი მარჯვენე და ფერჴი მარცხენე.

---

[43]) ეს სიტყვა არ არის მელქ-ხუც. კარ. აქ არშიაზე სხვა ხელით ყოფილა წარწერა: „საცა ქარჩოხი ჰქვიან“ (Add. p. 379, n. 2).

[44]) მამიდა მისი იყო „კისი“, დედაბერი (ალბათ ლარგვისის მონასტრისა). ეს სჩანს ეკლეს. მუზ. ეტრატის სახარების (№25) წარწერათაგან.

[45]) პირველი ცოლი იოანესი, დედა კირშელისა, ყოფილა „მნათობი“ (იხ. ეკ. მუზ. ხელნაწ. № 25).

[46]) სხვა ჩვენგან შეკრებილ წყაროებში იგი იწოდება გოლაშარად (იხ. სამების „სულთა მატიანე“, ეკ. მუზ. ხელნაწ. № 25).

*) აქ არშიაზე მერმინდელის ხელით წერებულა: აქ ერთი ფურცელი აკლიაო, მაგრამ ისტორია მაინც არ წყდებაო (Abd. p. 380, n. 2).

ამა ჟამსა იქმნა წვიმა მძაფრი და ადიდნა ქსანი და მომართა მონასტერსა ამას [47]) და წარიხვნა ზღუდენი, და სამრეკლონი, და გამოთხარა ძირი ეკლესიისა. მაშინ ერისთავმა იოანე მასუჱ კვირასა შინა იწყო შენებად ზემოჲსა ამის ეკლესიისა, რომელი სამ-წელ აღაშენა [48]), და მოაქმნა ბჯე და სამრეკლო, და იწყო ზღუდესა ხატვად ეკლესიისა.

ამას ჟამსა ქუჱმო დვალთა წარასხეს ზროხაჲ აწერის კევით. ესმა ერისთავსა იოანესა, და განილაშქრა. ხოლო ყრმა იგი კირშელი წუთლა ჩჩვილ იყო, არამედ წინამძღუარ ექმნა ლაშქართა თვისთა, და გარადავლეს მთა თვესა ოკდომბერსა სავსე თოვლითა, და ჩავიდეს თლისის კევსა, და მოაოხრეს თლე, ბიბილურთა და წერდვე, და აღივსნეს ლაშქარნი ყოვლითა ალაფითა და ნატყუჱნავითა და წარმოვიდნენ გამარჯვებულნი.

მაშინ მოშლილ იყო დიდი იგი საყდარი იკორთისა მთავარანგელოზისა მიხაჲლისა და იწყო შენებად, და კვალად ყანჩაეთს მეორედ აღმაშენებელ იქმნეს ტაძრისა დედისა ღვთისა [49]). ხოლო საქმე ერისთავისა იოანესი ვითარ გაუწყოა, მეფენი შემოხვეწით სახლსა შინა მისსა მათგან ითხოვდიან მეფობასა და მისცის რომლისაცა ენებოს [50]), და მოკვდა კეთილითა სიბერითა და დაეფლა მის მიერ აღშენებულსა მონასტერსა [51]).

და შემდგომად დაჯდა ძე მისი კირშელ. იყო კაცი მშვენიერი და სრული ყოვლითა კეთილითა, ბრძენი, გონიერი, მშვიდი, წყნარი, უშურველი, სამართლის მოქმედი, მოწყალე, საწადელ, საყვარელ მოყუარეთა და ერდგულთა, საზარელ და საშინელ ურჩთა და წინააღმდგომთა. ხოლო იყო ჭაბუკი ჰასაკითა და უუბრძნეს მოხუცებულთა სათნოებითა, ბრძოლათა შინა უძლეველი და გამომრჩევი ქებული. რამეთუ კარსა მისსა იყო გალობა და ლოცვა დაუცადებელი, და პირველსავე წელსა ერისთაობისასა აღაშენა ქვიტკირითა ეკლესია წმიდისა ნიკოლოოზისა.

მაშინ შეკრიბა ყოველი ლაშქარი მისი, და რქუა თავადთა და ლაშქართა ყოველთა: „ვინაჲთგან მამამან ჩემმან დვალთა ესე ოდენი მოაწია, რომელთამე წვითა, კლვითა და აფორიაქებითა და ქცევითა ციხეთათა, ტყვეობითა, შიშითა და პატიჟებითა და კუალად სხუათა სიყუარულითა და მოსვენებითა, მიცემითა და შემოსითა ფერად-ფერადის სამოსელთა, და ყოველი დაჲვიწყიან და სამარადისოდ ჟამისა პოვნასა მოელოდიან; აწ ჩუჱნ მოვიცადოთ მათთვს: ანუ

---

[47]) ესე იგი ლარგვისს.

[48]) წყლის პირას აქამდი სჩანს სამრეკლები ძველის ლარგვისის ეკლესიისა.

[49]) იგულისხმება აწ თითქმის დაქცეული ჩინებული კაბენის ტაძარი, აწერილი ბროსსესგან (Rap. IV, 72).

[50]) ერთმანეთის მოცილენი მეფენი: დავით, გიორგი და ვახტანგ და იმერთა მეფენიც მართლა ეძებდენ ქსნის ერისთავთაგან შეწევნასა (ქ-ცხ. I, 433—447).

[51]) ახლად აღშენებულს ლარგვისის ზემოეკლესიაში (იხ. შენიშ. № 48).

ავაოხროთ ქუჱყანა მათი და ანუ შევჰქმნეთ მსახურ და მოზეგრედ ჩუჱნდა, ნუ თუ მათ პოვონ ჟამი ჩუჱნზედა, ოდეს ჩუჱნ უცალო ვიყვნეთ სხვისა შფოთისაგან, მათ შური იგონ და დატყვენონ ნაპირი მისი კერძო სოფელი ჩუჱნი“. მაშინ მიემოწმნეს ყოველნი ლაშქარნი. წარემართნეს და შედგეს მთასა ბეხშუჲსასა [52]) და ესმა ქვემო-დვალთა: კოშკელ-იოსებურთა, თლემისელ-მლისველელთა [53]), ზღუბირელ-როკელთა; შეძრწუნდეს და მოუსხეს მძევლები, ძღვენი და ბეგარი, და ფიცით აღუთქუჱს ერთგულად მსახურება. მაშინ შეჲწყალა ქუჱყანა მათი და არა ბოროტი უყო მათ. მობრუნდა და შედგა მთასა სოსხოსსა [54]), და ესმა მოსლვა მღვალთა [55]), და მოვიდეს ბრუტას შვილნი, და ქელეურ-კაბურნი [56]), და ყოველნი სოსხოველ-წუბენის ხეველნი, ხოჯაელ-წაველნი [57]) მძევლითა, ბეგარითა და ძღვნისა სიმრავლითა, და მოჲმტკიცნა ფიცითა და აღუთქუჱს ერთგულებით მონება.

მაშინ ჩავლეს თრუსოს და მოეგებნეს თრუსოელნი მრავლითა ძღვნითა და ერდგულებისა ჩუენებითა, და ევედრნეს შველად მტერთა მათთა ზედა მნას. ხოლო ერისთავმან უბრძანა მნაველთა მოსვლად წინაშე მათსა; არამედ მათ არა ინებეს, თქუჱს: „არა მეშინის შენგან და ვერცარას შემძლებელ ხართ ვნებად ჩუჱნდა“. მაშინ განრისხნა ერისთავი ვირშელ და შეუზახა ლაშქარი თვსი და სცეს საყვირსა და მიეტევნეს ვითარცა მჴეცნი, და მოადგეს შუა სამხრის ციხეთა მნისათა, და იყო ბრძოლა სასტიკი, რამეთუ კაცნი იყვნეს მარჯვედ მბრძოლნი, მხნენი და გოლიათნი და აბჯარ სრულნი; და იყო სიმრავლე ისრისა ვითარცა წვიმა ხშირი, და სიმრავლე ქვისა, ვითარცა სეტყვა და საგორავი აურაცხელი. მაშინ მოკლნეს სიმრავლითა ისრისათა თავნი გოლიათნი ქუჱყანისა მათისანი: სუნლუ, ფარეჯან, ამასაჯან, ბალათარ და სხვანი მრავალნი. და მას ყოველსა შინა ზახილსა და კმობასა შინა იცნობებოდა კმა ვარშელისა, ვითარცა კმა ლომისა. მაშინ შესტეხეს კარები და შეჲპყრეს ყოველნი მბრძოლნი და მოჲყვანეს წინაშე ერისთავისა. და დაწვნეს და დაარღვივნეს ციხენი და სოფელნი მათნი. ესმა მოკევეთა და მოვიდეს ბრძოლად და ვითარცა იხილეს სიმრავლე ლაშქრისა, შიშითა დაჲმალნეს. უკმოდგა ერისთავი კობს და მოიღეს მოკევეთა სიმრავლე ძღვნისა, და შემდგომად გათენებისა წარმოვიდა. ესმა კადელთა, ცხაოტელთა, და შეჲქმნა კმა საყვირისა და შფოთი და ენება ბრძოლის ყოფა, და შეკრბეს, და ვითარცა იხილეს სიმრავლე

[52]) მეღვინეთხუც. კარ.: „ბესუბე“ (უმდა: ბეხუშე“ ქ-ცხზაში (I, 453): „ციხე ბეხუშისა„.

[53]) მეღვინეთხუც. კარ.: „მღთის-კელ“.

[54]) ეს ოთხი სიტყვა არ იპოვება მეღვინეთ-ხუც. კარიანტში.

[55]) მეღვინეთხუც. კარ.: „მაღრან-დვალ“ (მაღლა-დვალნი?)

[56]) მეღვნეთხუც. კარ: „კაბოშურ“.

[57]) მეღვინეთ-ხუც. კარ.: „წიაკელნი“.

ლაშქრისა, სიმრავლითა ძლვენისათა მოეგებნეს, რამეთუ შეეშინა ფრიად. ხოლო ვირშელმან დაიდვა ნადიმი ვაკესა კადისასა, დ ძღვენი ყოველი მიითვალა, აღდგა, ლომისას გამოვიდა და გაუშვა ლაშქარი ყოველი. წმიდასა გიორგის შესწირა არა მცირედნი, ტყვენი ყოველნი მოწამეს აპა(ტი)ვნა და განათავისუფლნა და გამარჯვებული გამოვიდა.

ნაშინ გიორგი [58]) მეფემ განილაშქრა ალინჯას ყოვლითა სპითა ქართველითა, იმერელითა, მესხითა და შირვანელითა, მივიდა ალინჯას და დაკოცა ლაშქარი და გამოჲყვანა ძე სულტანისა, შეყენებული ციხესა ალიჯანისსა, 1396 ქრისტეს აქეთ [59]), (აღკოცნა მკედარნი) [60]) თემურ ყაენისა და მოვიდა გამარჯვებული. მაშინ ერისთავმან ვირშელმან მოჲყვანა მეუღლე პატიოსანი ნათესავთაგან დიდ-ტომთა და სამეუფოთა, რომელსა ერქუა თამარ, სიტურფესიკეთე-ყოვლებელობა უნახავთაგან სანატრელ იყო, და ნანახთაგან სატრფიალო-სანატრელ იქმნებოდა. მაშინ მოვიდა თემურ სამარყნელი, ყოვლითა სპითა ჩაღანელ, ქობანელ, სიყალბელ, ნაროელ, ინდოსტანელ და ყოვლითა სპარსეთისა და აღმოსავლეთის ლაშქრითა დიდითა, რისხვითა და გულის-წყრომითა. ხოლო გიორგი მეფე წარვიდა ლიხით იმერით. მაშინ ერისთავი ვირშელ უკუდგა ციხესა ბეხშვისასა დედაწულითა და ჯოგითა, და თანა ჰყუა კათალიკოზი ელიოზ ყოვლით საყდრის შვილითურთ და ხიზნითა დიდითა და ჯოგითა და ცხვრითა [61]). მოვიდა თემურ, და წარმოუძლვა წინა ბურდისშვილი ვირშელი, და შემუსრნა ყოველნი ციხენი და დააქცივნა ყოველნი საყდარნი, მინ-

---

[58]) აქ არშიაზე წერებულა: „გიორგი, მე 75 მეფე. იმეფა 12 წ.—1386 წ.

[59]) ეს ქ͠კნი არ იპოვება მელვინერ-ხუც ვარ.: ქ-ცხბაში ციხე „ალინჯა“ იწოდება „ერინჯანგად“ (გ. 467). მაგრამ ლარგკისის პარიკლიტონში ეს ციხე იწოდება „ალინჯად (იხ. „ქრონიკები“ 1401 წ. ქვეშე).—ქვენიფნეველის ვირშელისაგან ხელმოწერილი სიგელი ჩვენ ვიპოვნეთ მცხეთის საბუთებში №169, რომელიც დაწერილია ქ͠კს: პკ (1398 წ.) ივლისის :კ:, რაიცა უმეტესად ამტკიცებს „მეგლის“ თქმულებათა.

[60]) ეს ორი სიტყვა ჩვენს ხელნაწერში გამოშვებულია და ჩვენ დავურთეთ მელვინეთხუც. ვარიანტით (Add. p. 382). აქ მოხსენებული სულტანი, ალინჯის (ანუ ერინჯაგის) ციხეში თემურისგან შემწყვდეული და გიორგი მეფისგან გამოხსნილი, უნდა იყოს ქ-ცხბის „თირ—სულთანი“ ყარაბაღისა. ამ სულთანზე იხ. ქ-ცხბა. I, 465; 467. მცირე განსხვავება „მეგლის“ და ქ-ცხბის ცნობათა ადვილად შესათანხმებელია მით, რომ თემურისგან შეიწროებული სულთანი, თვითონ სწვევია გიორგს (გვ. 465); მეფეს ალბათ შემწეობა მიუცია მისთვის თემურის წინააღმდეგ, მაგრამ ვერ მოჰრევია მტერს და ქართველების ერენჯაგის ციხეში თავი შეუფარებია, საიდამაც გარშემოცულთა მტერთაგან იხსნა იგი მეფემ (გვ. 467).

[61]) დაწყებული სიტყვიდამ: „მაშინ ვირშელ“ აქამდი სიტყვა-სიტყვით შეტანილია ბაგრატ-დიდის ცხოვრებაში (ქ-ცხბა I, გვ 453, სტრიქ. 25—27).

დორნი, მთანი და ტყენი, კლდენი, და კევნი, და ვითარცა ზღვამან დაფარა ყოველი ესე ქუეყანა, და მიიწია ლაშქარი მათი ქუთათისს, ლეკეთსა და დარიალს და მოსწვეს და მოაოხრეს ყოველი საქართველო და დაყარეს მძოვრი მკვდრისა ვითარცა მჭელი თივისა; მაშინ ვირშელმან უკუაყენა ხიზანი და დედა-წულნი ქნოლოს, და თვთ დადგა ბეხშვეს გარეშე ციხისა; და მოვიდა მარბეველი ლაშქარი და მიაგება წინა მშვილდოსანნი და იწყეს სროლად, და გამოაცხსეს [62]). და მოაძრთვეს (მტერთა) ძალი, და კვალად შემოვიდეს უუმრავლესნი, და მოვიდეს ციხესა და ჩამოეგებნეს აზნაურშვილები ჲ იწყეს სროლად ისართა ჲ დაუხოცეს ცხენები, ჲ დაკოდეს მრავალი ისრითა, ჲ კვალად გამოიხსნეს ომითა. ჲ კვალად გამოვიდეს ჲ ჰკრეს ქოსსა ჲ შეკრბეს სიმრავლითა დიდითა ჲ წარმოემართნეს კევთა, ტყეთა, კლდეთა, მთათა, ჲ მომართნეს ციხესა ბეხვშისასა. მაშინ დგა ერისთავი ზემოთ ციხესა; მოვიდა ლაშქარი ვითარ დაატევდა სივიწროე კევისა, დაქვეითდეს და ჩამოეგებნეს წინა ვირშელი და მოახლენი მისნი და იწყეს სროლად. მერმე ამოაწვადეს კრმლები და ვერ დაეტეოდა ლაშქარი მრავალი, და მიბრუნდნენ წინანი მებრძოლნი, რამეთუ მრავალი მოკვდა მათთაგანი, და წამოვიდა ყოველი სპა: მაშინ ერისთავი გამარჯვებული მივიდა ქნოლოს ხილვად დედა-წულთა. ხოლო კაცმან ქნოლოელმან, რომელსა ერქვა კარება, აუწყა ყოველთა დვალთა, ვითარმედ მტერი თქუენი ყოვლითა (სახლითა) სახლსა შინა ჩემსა არს, აწ მოვედით და მოკალთ ესე, რამეთუ კელთა შინა ჩუენთა არს. მაშინ შეკრბეს ყოველნი დვალნი სიხარულითა და წარმოვიდეს. ხოლო უფალმან არა მისცა მონა თჳსი სიკუდილად კელთა, არამედ აუწყა კაცმან კეთილმან განზრახვა მათი. და წარმოვიდა ვირშელ ყოვლითურთ; ხოლო ხარება დიდად იხარკა არა წასვლა მათი, არამედ ერისთავმან შემოსა სამოსლითა თჳსითა და დადგომაა არა უსმინა, წარმოვიდეს. მაშინ მოეწივა კარება და ზოგი რაამე სალარო წაუღო. ხოლო ვირშელი წარმოვიდა და მას ღამესა მოვიდა ყოველი ლაშქარი დვალთა. ხოლო ხარება, დიდად მწუხარე, აბრალებდა (დვალთა) გამოშვებასა მათსა.—მაშინ თემურ, ვითარცა მოაოკრა ყოველი და დაატყვევნა, წარვიდა შამეს. ხოლო ტყვე და ალაფი ყოველი გაგზავნა სამარყანს [63]). და დარჩეს ერისთავსა ზემოსა თავადი-ციხე ქვენიფნევს და სახლები და ციხე ქოლოთისა, ციხენი ისროლისანი, ციხე ბეხშუასა, ციხენი უკანუბნისა, სახლი ნაკაფოვანისა, და სახლი წინაუბნისა [64]), და სხვა ყოველი აღაოხრეს. მაშინ დააქციეს ეკლესია ესე აღშენებული ერისთვისა იოანესაგან [65]).—ხოლო ვირშელმან შეკრიბა ლაშქარი, რომელი დარჩომოდა, მივიდა

---

[62]) ე. ი. გააქციეს ანუ გამოასხეს.

[63]) სწერდენ, რომ სამარყანის ციხეში აქამდი ინახებაო მაშინ წაღებული ქართული ხელნაწერები.

[64]) ეს სიტყვა კერ აღმოუკითხავს მედვინეთხუცესოვს (Add., p. 383).

[65]) ომი გიორგისა და თიმურისა შორის ლარგვისის ჰარაკლიტონში მოხსენებული

ქნოლოს. ხოლო ხარება და მიდგომნი ამისნი შეაწყვედივნა ციხესა შინა და დაკოცნა ყოველნივე და დააქცივნა ციხენი მათნი და დაწვა ქუეყანა მათი და აღავსნა ლაშკარნი ალაფითა და განუტევა შვილი ხარებასი, სამისა წლისა ყრმა და მისცა დედასა მისსა და ერთი ძმა ხარებასი; დიდი შური აგო (მათ) ზედა. მოუხდეს დვალნი ბრძოლად, არამედ ვერ შეუძლეს. ხოლო ვირშელმან უბრძანა: „უკეთუ გნებავს ხილვა ჩემი, მე მოვალ თქუენად ქუეყანად და თქუენ რაჲცა გნებავსთ იგი მიყავით, და უკეთუ უფალმან ჰყოს სამართალი, ესრეთვე შური ვიგო თქუენზედაცა.“ და წარმოვიდა შინა უვნებელად.

ამას ჟამსა მიეცა მათ ყრმა-წული და განიხარეს სიხარულითა დიდითა, რამეთუ შემდგომად ეს-ოდენთა ბოროტთა ესრეთ წყალობით მოხედვა ჰყო ღმერთმან; და ნათელსცა მას წმიდამან მღუდელ-მთავარმან [66]) და უწოდეს ქუჶნიფნკკელი [67]).

ამა ჟამსა ინება წმიდამან გიორგი ქაშოეთისამან მოსვლა მკვიდრობად სახლსა ვირშელისასა [68]), რომელ სასწაულნი, რომელთა იქმოდა, აურაცხელ არიან, ვითარცა ვარსკვლავნი ცისანი, და ქვიშა ზღვისა. ამას ზედა ფრიად განიხარა ერისთავმან და შეამკო ჯუარი, და კუბო მისი და მოჰკედა ვერცხლითა და ოქროთი, და იწყო შენებად ეკლესიისა სახელსა ზედა მოწამისა საზღვარსა ვარნისსა, ადგილსა შუენიერსა ყოვლით კერძო.

მაშინ მოვიდა მეფე გიორგი ლიხთ-იმერეთით, და ესმა დვალთაგან ღალატი ერისთვისა, განრისხნა და განილაშქრა მათზედა; და შემოვიდა გზასა აჩაბეთისასა და იწყო ტყუევნა და აოხრება მათი. ხოლო ვირშელ განილაშქრა ზემოსა მხარესა, და ჩავიდა სოხსოს, და აღიღო მას დღესა რვა ციხე და სო-

---

1491 წ. (ის ჩემი „ქრონიკები“ 1401 წლის ქვეშე).—აქ დახატული ყოფილა კაცი (ერისთავი ვირშელი), რომელსაც უპყრია ხელში გეგმა ტაძრისა და ქვეშ ასომთავრული წარწერა: ბრწყინვალენო მხედარნო, გიორგი და თეოდორე, აღუსრულეთ ერისთავსა ვირშელს ყოველნი კეთილნი განზრახვანი; შეეწე და მფარველ ექმენით მას, ძეთა მისთა, თანა-მეცხედრესა მისსა დ - - - -“ (Add., p. 383).

[66]) ეს მღვდელმთავარი არის კ˜ზი ელიოზ, რომელიც ზემო მოხსენებულია (იხ. შენიშ. № 61). რადგან წინა-მოადგილე ელიოზისა, კ˜ზი გიორგი, უკანასკნელად სჩანს გუჯრებში (№ 56) 1399 წელს, ივლისის 9-სა, ამის-გამო ზემო-აღნუსხული ამბები (შენიშვნიდამ № 61 აქამდი) უნდა მომხდარ იყოს 1399—1407 წლებ შუა. ეს კ˜ზი ელიოზ გობირახის ძე, ძმა ამილახორის გიორგასი, გუჯრებში სჩანს 1399. 1411, 1413, 1415 და 1419 წლებში (უკანასკნელად); და რადგან 1420 წელს კ˜ზად იჯდა მიქელ, ამისგამო ელიოზის კათალიკოზობა ყოფილა 1399—1419 წლებში.

[67]) ეს სახელი გამოშვებულია მეღვინეთხუც. ვარიანტში.

[68]) ე. ი. ეს ხატი მოუსვენებიათ დასასიზმნავად ლარგვისში, სადაც შიშიანობის დროს ყოველთვის აგზავნიდენ დასაცველად საეკლესიო ძვირფასეულობას.

ფელნი და ყოველი მოსწვა და მოაოკრა; თჳნიერ კაცთა მათ, რომელთა აუწყეს ღალატი დვათაგან: მათი ყოველი უვნებელად დაიცვა. მეორესა დღესა მივიდეს ყორს და დაწვეს ციხე და სოფელი ხუთი და ხიზანი მათი შეეყენა ღელესა მთისასა, ადგილსა მაღალსა, ნაპრალსა კლდეთასა, შეუალსა ყოვლითურთ. შეუკდა ლაშქარი სიტყვითა დაუჯერებელსა მას სიმაგრესა და აღიღეს ყოველი ალაფი მათი.

მაშინ მთეულნი არაგვით, ზედა-ზნით დარიელამდისინ ყოველნი ერთად შეკრებით იყვნეს და უძღოდა მათ ერისთავი მათი სურამელი. ესე ყოველნი ბრძოლილ იყვნეს კლდესა ხოჯისასა ორ-დღე და დაკლებოდა ხუთი კაცი საჩინო, და მოიკლა გამზრდელი ერისთვისა მათისა და ვერა ევნო მის სოფლისა დვალთათჳს. მაშინ მიეგზავნა მოციქული, ვითარმედ დიდი კეთილი იქმნა მოსლვა ჩუჱნი თქუჱნთჳს, რამეთუ უკეთუმცა აქა არა ყოფილვიყვენით, მოვიდოდა კირშელი და ყოველი ლაშქარი მისი, და ცუდ იქმნებოდა სიმაგრე თქუჱნი, ვითარცა იგი ცუდ ქმნილ არს უმჯობესი სხუათა სიმაგრე წინაშე მათსა; დააქცევდეს ციხეთა თქუჱნთა, დასწვევდეს სოფელსა თქუჱნსა, წარგიღებდეს ყოველსა მონაგებსა თქუჱნსა, დაგკოცდეს მამათა ყოველთა, და ცოლთა და შვილთა თქუჱნთა ტყუჱდ წარიყუანებდეს, არამედ მოსლვითა ჩუჱნითა ესე გარე აგხდათ; აწ დავივიწყოთ სისხლი კაცთა, რომელნი მოჰკლენით, ძ მომეცით რაჲმე პირუტყვი, რათა იხილონ ლაშქართა მათთა, რამეთუ მრცხვენის მათგან. დაუქცევია ციხეები და აქუს ყოველი (აქა ერთი ტრიქონი აღარა სჩანს, წაბღალღული არის) - - ტკინება მათთჳს (კვალად წაბღალღულია აქა) ხოლო ჩუჱნ არღარა გვაქუს, გარნა კაცნი ესე რომელნი მოკლენით და დაკოდილ ფრიად"[69]). მაშინ დვალთა მოსცეს კაცნი მას ომსა შინა შეპყრობილნი და ზროხანი ოთხასნი; აჲყარნეს ორნივე ერისთავნი, და ჩაჲარეს მაღრან-დვალეთი. მივიდა კირშელი და დადგა როკას, რამეთუ ვერ ეძლო სლვად ლაშქარსა სიმძიმისაგან ალაფისა, და ქუჱმოთა მთიულთა მიმართეს კარად მეფისა.

ხოლო ადგილსა მას ლაშქართა ვირშელისათა შეჲპყრეს კაცი :ივ: და მათ ასწავლეს დაფლული მრავალი განძი, რომელი ლაშქართა მეფისათა ვერა ეპოვნა და მეორესა დღესა მივიდა ვირშელ წინაშე მეფისა. ხოლო მეფემან განიხარა და მიუგზავნა ალაფისაგან :ივ: [70]) საკიდი ჰურჰელი ვერცხლისა და ოქროჲსა; :ჱ: საკიდი ლარი; :ს: ზროხა; ექვსი [71]) ცხენი; :ფა: ცხვარი, ლუდის ქუაბი... დიდ-დიდი.[72]). ხოლო მეფემან მრავალი მადლი წარმოაქო, და უბოძა ორი (აქ წაბღალღულია) პირუტყვისა, (ოქრო) და ვერცხლი ურიცხვი". - - - [73]).

---

[69]) ზემო მწვრილ ასოებით დაბეჭდილი შენიშნვები ეკუთნის ეტრატიდამ პირის გადმომღებს.

[70]) მეღვინეთხუც. კარ. :ვ: (ექვსი).

[71]) ექვსასი? — მეღვინეთხუც. კარ.: ოც-და-ათი (:ლ:).

[72]) მეღვინეთ-ხუც. კარიანტით 36 ქვაბი.

[73]) აქ თავდება „ძეგლი", რომელიც დაწერილი ყოფილა ეტრატის ათს თაბახზე და ბოლოც ჰკლებია (იხ. Addit. p. 384, n. 2).

ეს ისტორია, წოდებული ძეგლად, მიჩვენა მე მუხრან ბატონის ასულმა, ჩემმა დედიდაშვილმა და სძალმა, თორნიკე ერისთვის მეუღლემ, რომელიც იყო დაწერილი ეტრატზედ, და მრავალგან სიძველისაგან ძლივსღა ჩანდა, რომლისათჳსაცა მივიღე მცირე შრომა და გარდმოვწერე კარალეთს ჩყკჱ წელსა, ფებერვლის კე-სა დღესა თა`დი შალვა ერისთვის რევაზის ძე ქსნის ერისთავი. ამა გარდმოწერილიდამ უმეტ-ნაკლოდ გარდმოიწერა, ჩყლ-სა წელსა, მაისის იდ-სა დღესა, სოფელს ქუჱშსა: (შალვას დედა, ანასტასია, იყო და ქეთევანისა მეფის ერეკლეს ქალისა, ივანე მუხრან-ბატონის ცოლისა; ხოლო ამათი ქალი (მარიამ?) იყო ცოლი თორნიკესი.

---

შესავსებლად „ძეგლის“ ცნობათა ქსნის ერისთავთა შესახებ და აღსადგენლად მათის გვაროვნობითის შტოისა (გენიალოგიისა) საჭიროდ ვცნობთ რამდენიმე ცნობები დავურთოთ აქა, სხვა-და-სხვა დაუბეჭდავ წყაროთაგან ჩვენგან ამოკრეფილი:

1) ეკლესიის მუზეუმში დაცული ტყავის დასურათებული XIV საუკუნის სახარება, მეტად დაზიანებული, ნიკოლოზ კატრაწის ძის ხელით დაწერილი, რომელსაც აქვს შემდეგნი წარწერანი: XV საუკ. ხელით, ხუცურად:

ა) „სულსა ქუჱნიფნელისა ერისთავთ-ერისთავისა შალვაჲსსა შ~ნ ღ~ნ (შეუნდვენ ღმერთმან).—სულსა ძისა მათისა :ე: ერისთავისა (ერისთავთ-ერისთავისა) ლარგუჳლისასა შ~ნ ღ~ნ.—სულსა ძისა მისისა :ე: ერისთავისა ვირშელისასა შ~ნ ღ~ნ.—სულსა ძეთა მისთა ამირახორისა და ერისთვისა ქუჱნიფნევლისა შ~ნ ღ~ნ.—სულსა მათისა ძმისა ამირეჯიბისა და :ე: ერისთავისასა ი~ესსა (იოანესსა) შ~ნ ღ~ნ.—სულსა მათისა მეუღლისასა მნათობისსა შ~ნ ღ~ნ.—სულსა ძისა მათისა ერისთავთ-ერისთავისა ვირშელისასა შ~ნ ღ~ნ.—სულსა მათისა ბიძისსა გი~სსა (გიორგისასა) შ~ნ ღ~ნ.—სულსა მისისა დისა დედაბერისა კისისსა შ~ნ ღ~ნ.—სულსა მათისა დედ[ისსა] გუანცაჲსასა შ~ნ ღ~ნ.— - - - - ს დედაჲსსა შ~ნ ღ~ნ.—სულსა ყოველთა ქუჱნიფნეველთა მიცვალებულთა ძუჱლთა და ახალთა, დედათა და ძმათა შ~ნ ღ~ნ“.—ესენი სულ ერთის ხელით არის წარწერილი და ერთის მელნით, ამას ზედვე მოსდევს იმავე ხელის მომსგავსო წარწერა:

„სულსა :.ე:. ერისთავისა ამირეჯიბისა ქუჱნიფნეველისა ი~ესსა (იოანესსა) შ~ნ ღ~ნ.—სულსა მათისა მეუღლისა მეფეთ-მეფისა დავითის ასულისა გ~ლშარისსა (გულშარისსა) შ~ნ ღ~ნ ა~ნ“.

ამ გვარად, ზემოხსენებული წარწერა სრულიად ეთანხმება და ამტკიცებს „ძეგლის“ ცნობებს და შესამჩნევად ავსებს მას.

ბ) სხვა წარწერა (გვ. 3): „წ~ა ესე სახარება... ფუჰქდებოდა და... განვაახლე მე წინამძღვარმა (ლარგვისისამ?) გერმანემ“;—გვ. 20: „ღ~ო მეოხ ექმენ ელმელიქს: და დ~დოფალსა (და დედოფსა?) და მათთა ძეთა გ~ის (გიორგის) და დათუნას“.

გ) მათეს თავის ბოლოს: „ჰოი, ოთხნო მახარებელნო, შ~ე სული ნ~კლ-

ზისი". მხედრულად იქვე: „შემწე ექმენ... არონ მღვდელს, რომელმან მოიტანა ეს სახარება ზურგით შორიდამ ქ˜კს :უპბ" (1794 წ.).

დ) წ˜ა ლუკას სახარების ბოლოს: „სახარება ლუკასი არის წმიდისა თეოდორესი (ე. ი. ლარგვისის ეკლესიისა)... ზაქარია მღვდელი ლარგვისისა კითხულობდა ამ წ˜ა სახარებასა".—კიდევ მხედრულად მჴედრის XVI საუკ. ხელით: „...ცოდვილი ზაქარია..."—იქვე სიგელი მხედრულად, საიდამაც სჩანს, რომ შანშე ერისთავს, პატრონს ყულარაღასს იესეს და რევაზს და ძესა მისსა (შანშესს) იჳანეს შეუწირავთ ლარგვისისათჳს მამული, რომელიც ქურთელებს(?) წაერთმიათ.

2) იმავე ეკლესიის მუზეუმში დაცულია ლარგვისის ტყავის ზატიკი XV საუკ. ფრიად დაზიანებული (№ 24), რომელსაც აქვს შემდეგნი წარწერანი:

ა) ტექსტის ხელით გვ. 1: „უფალო ი˜უ ქ˜ე წარმართე კეთილად საქმე კელთა ჩ˜ნთა. ადიდენ ღ˜ნ ორსავე ცხოვრებასა შინა ერისთავი შ˜ლვა» (შალვა). ცხადია, ამის დროს ყოფილა დაწერილი ეს ხელნაწერი. შალვა ხშირად იხსენიება იმავე წიგნის სხვა წარწერებში (გვ. 36, 37; 75; 173; 265).

ბ) ხუცურად, სხვა ხელით (გვ. 73): „მე ერისთავთა-ერისთავის იესეს ძემან ერისთავმან პატრონმან ქაენიფნეკელმან ესე წ˜ნი ზატიკნი დატყუჳვებულ იყო მას ჟამსა, ოდეს ჩემნი ოთხნი ზიძანი კანდოს კევსურთა დაეკოცნეს ქ˜კსა :სკიგ: (ე. ი. 1545 წელს) და გამოეკუა ტაძრისთჳს წ˜ა თევდორესსა და ამ ხნის დაკარგული მე ვიპოვე ქ˜კს :სჟე: (1607 წ.) და ისევ ტაძარსა თქ˜ნსა შემოვსწირე სადღეგრძელოდ ჩ˜ნთჳს და თანამეცხედრისა ჩ˜ნისა მზისთანადარისთჳს და ძეთა ჩ˜ნთათჳს და წარსამართებელად პატრონობისა ჩ˜ნისა და საკსრად სულისა ჩ˜ნისა..."

გ) მხედრულად (გვ. 117): „:ჳდ: (1716 წ.) ამა ქ˜ნსა ეკალაძეს ეცილებოდა წ˜ა თეოდორეს (ლარგვისისას) ლუარსაბ რატიშვილი. მეფის იესეს ბრძანებით დარჩა წ˜ას თეოდორეს... ეს გარიგდა კოჟორს».

დ) იქვე სხვა ხელით (XVIII საუკ.): „წ˜ო თეოდორე შ˜ე მონა შენი ერისთვის შვილი რევაზ".

ე) გვ. 118: „ქ˜ე შ˜ე ერისთვისშვილი იასე".—„ქ˜ე შ˜ე დავით, ძე იესესი, ძის ძე დავით ერისთავისა".

ვ) გვ. 239 მხედრულადვე: „...მეოხ მექმენ ერისთავთ ერისთავს შანშეს და ძმისწულსა... ერისთვისშვილს შანშეს".

ზ) გვ. 291 მე-XVIII საუკ. ხელით მხედრულად: «წ˜ო თ˜ე, მოგიძღვანე წ˜ა წიგნი ესე ...ამილახვარის ასულმან და ერისთავის სძალმან მარიამ, ვიპოვე ზატიკი ესე ჟამთა ვითარებისაგან დაკარგული და შენი შენდავე შემოგწირე პირმშოსა ძისა ჩემისა შანშესა და შემდგომთა ძეთა და ასულთა ჩემთა აღსაზრდელად [და დედ]ისა ჩემისა საოხად მას ჟამსა, ოდეს სამკვდრებელთაგან ხვებულ ვიქმენით (და) კარალეთს ვიმყოფებოდით ქ˜კს უჲႳ". (1780 წ.)

3) იმავე მუზეუმის გრიგოლ ღვთის-მეტყველის ქადაგებათა დიდს ხელნაწერს (№ 20) აქვს შემდეგი წარწერა:

ა) გვ. 14 მხედრულად: „...გრიგოლ ღვთისმეტყველო; მეოხ ექმენ ორსავე შ҃ა ცხოვრებასა მონასა შენსა ყულარაღასს იესეს და მეუღლესა მისსა ტყვესა, რომელ დატყვევდა ქ҃კს ჩღკიზ“ (1739 წ.).

ბ) გვ. 4 მხედრულად: „წიგნი ესე... დროსა აოხრებისა ტფილისის ქალაქისა უსჯულოთა თათართაგან დატყვევებული მოვიყიდეთ საკუთარითა ჩ҃ნითა საფასითა ბოდბელ მიტროპოლიტმა იოანემ, რომელსა აწ შევსწირავ განმანათლებელისა... ნინას ეკლესიასა... ჩყლვ, ივლისსა 17 დღესა“ (ბოდბიდამ ყველა ხელნაწერები და იმათში ესეც გადმოიტანეს თფილისის სემინარიაში და აქიდამ რაც დაკარგვასა და დედინაცვლობას გადურჩა, ის გადაეცა საეკლესიო მუზეუმს. 1874 წელს ყველა ქართული ხელნაწერები წიგნთსაცავიდამ განაძეს და სემინარიის სარდაფში ჩაყარეს, საიდამაც ნეშტი გადარჩენილ იქმნა 1883 წ.).

გ) გვ. 169; „შ҃ე ყულარაღასი იესე, გრიგოლ ნოსელო“.

დ) გვ. 232 იმავ ხელით (№№ ა ႻႢ გ): «ქ҃კს ათას შვიდას ოც-და-იე (ე. ი. 1735 წ.) მოვიდა თამაზხან ქართლსა შ҃ა და ფრიადნი შრომანი და ტყვეობანი გვეწივნეს ჟამსა მას და დევნულობანი ყოველთა საქართველოს და კახეთს.—ამასვე წელსა მიიცვალა წ҃ა და სანატრელი კათალიკოზი ბესარიონ ႻႢ ამასვე წელსა გამოვიდა წ҃ის შიოს ნაწილი სამი, ორი მკლავი და ერთი თავი, რომელ არასადა თქმულ არს სამთა ნაწილის გამოსლვა და თჳთ მე მიხილავს თვალითა ჩემითა... მე ვემთხვიე, თჳთ ჩემმა ძმამ, იკორთის არქიმანდრიტმან გარსევანა ქრისტეფორემ ერისთვის-შვილმან».

ე) გვ. 278, იმავ ხელით: „ღ҃ო შ҃ე ყულარაღასი იესე,ქსნის ერისთვის დავითის ძე და ძმა შანშე ერისთვისა... ციხესა მთაბორისას, სოფელსა აწერისკევს, დიდსა შეჭირვებას იყო ყოველი საქართველო ოსმალთაგან და ლეკთაგან და შემდგომად კვალად სპარსთაგან ქ҃ეს აქეთ ჩღკთ». (1729 წ.)

ვ) გვ. 365 ტექსტის ხელით, ხუცურად: „...აღვაწერინე წ҃ა და სულთა განმაბრძნობელი წიგნი ესე ქსნის ერისთვის დავითის ძემან ყულარაღასმან იესე... ოდეს ქ҃ეს მოძულემან და უფროსღა ღვთის მოძულემან მძლავრმან და არა-რომლისა სჯულისა მპყრობელმან, ა҃დ სიტყვით და საქმით ბარბაროზმან და სარკინოზმან თამაზხან ქვეყნით ხვარასნით აღმოშობილმან დაიპყრა ერანი და საქართველო და მრავალი ბოროტი ქმნა... მპყრობელობასა მისსავე სრულ იქმნა წიგნი ესე თვესა ივლისსა :კ: ქკს: უკზ“ (1739).

4) ჩვენგან ორ დიდ წიგნად შეკრებილს გუჯრებში და სხვა მასალებში მოხსენებულნი არიან შემდეგნი პირნი ქსნის ერისთავთა სახლისაგან. ჩვენ ქრონოლოგიურად დავაწყობთ და შესამოკლებლად წყაროს ესრე ვუჩვენებთ: „გ. წ. I, 160“: ე. ი. „ჩემი გუჯრის წიგნი № I, გვერდი 160“; ანუ უბ. წ. III, 205“ (ე. ი. ჩემი უბის წიგნი, № III, გვ. 205“)და სხვა ამ გვარადვე. უმეტესი ნაწილი ამ წყაროთა ქრონოლოგიურ რიგზე დაიბეჭდება „ქრონიკებში“ დამკვიდრებული ქრონოლოგიით ადვილად მოსძებნის საჭირო წყაროს შესაბამის წლის ქვეშ.

1398 წ. ივლისის 6: ქვენიფნეველი ვირშელი (გ. წ. II, 102).

1401 იგივე ვირშელი „დიდთა ომთაგან (ლანგთემურზე) გამარჯვებული“ (უბ. წ. I, 196).

1446 ე҃ვი შალვა ვახტანგ მეფის დროს (უბ. წ. III, 61).

1459 ერისთვის შალვას ბრძანებით კრება ცხრა-ძმის კევს (გ. წ. I, 153).

1459 წ. ახლო ხანებში: «ესე წიგნი მოგეცით ჩვენ სამთავნელ ებისკ҃ზმან გრიგოლ თქვენ ბატონს მმ҃ქნ და თქვენთა შვილთ გურზის და რამაპანს მას ჟამსა ოდეს გარისხდა ღმერთი და ბატონი კირშელი მიიცვალა; მისთვს საალაპოდ შვილის საპალნის ჩასლვი შემოსწირეთ ხატს ღვთაებისას“ ხელმოწერილია შალვასგან და გურზისგან (გ. წ. I, 154). მამქან (მმ҃ქნ) უნდა იყოს მეორე ცოლი ქვენიფნეველისა. პირველი მისი მეუღლე იყო გულქან, დედოფლის და, რომელიც 1446 წ. მკვდარი იყო (უბ. წ, III, 62) და თვით ქვენიფნეველიც მკვდარი ყოფილა, რადგან ქვენიფნეველის შვილი შალვა (გულქანისაგან) სჩანს ერისთავად 1446 წ. (უბ. III, 6 და 92).

1460 წ. ქ: ჩვენ... მეფემან გიორგი... ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ თქვენ წინამძღვარს (ლარგვისისას) გიორგის, ძმასა თქვენსა ქვენიფნეველს ე҃ვს შალვას და ლარგველს, ავგაროზს და რატს, შვილთა თქვენთა: დემეტრეს, არსენის, აბრაამს, საიმს და შირშას...(უბ. წ. I, 198).

1465 წ. ერისთავი შალვა, ძე მისი რამაზ და რამაზის ძე ქვენიფნეველი ს. ოძისში (გ. წ. II, 265).

1497 ე҃ვი ქვენიფნეველი და ძენი მისნი: ლარგველი და შანშე (გუჯ. წ. I, 131). ქვენიფნეველი ცოცხალი ყოფილა მე-XVI საუკ. დამწყებს, ბაგრატ მუხრან-ბატონის დროს (გ. წ. II, 65, 195).

1555 ერისთავი ლარგველი, ძე მისი შალვა, მკვდარი (უბ. წ. III, 64).

1608 წლის ახლო ხანს: „ქვენიფნეველისა და ერისთვის იესეს ალაპი დეკემბერს :ე: „(უბ. წ. III, 60, I, 37, გ. წ. II, 222).

1615 წ. ახლო ხანს „ბატონი როდამ და შვილი მისი ერისთავი იესე და ზაალ“ (უბ. წ. I, 196).

1622 შანშე ერისთავი (გ. წ. II, 176).

1662 ე҃ვი იესე და ძმა მისი ზაალი, დედა იესესი როდამ (უბ. წ. III, 63).

1686 წ.—„ტოდ; ამა ქ҃კს იქმნა დ҃თ ერისთავის ქორწილი შობას დღესა, მეფის გ҃ის ასულს მარიამთანა“ (იხ. „ქრონიკები“ წ. II, 1686 წ. ქვეშე).

1688 წ.—ამ წელს მარიამობისთვეს გიორგი მეფე შეუხდა ერისთავს; დავით ერისთავმა გაიმარჯვა, გიორგი გადააგდეს და ერეკლე მეფედ დასვეს“ („ქრონიკები“ II, 1688 წლის ქვეშე).

1696 წლის ახლო ხანებში „ქსნის ერისთვის შვილი მთავარდიაკონი ბერი ქრისტეფორე“ (გუჯ. წ. II. 357).

5) იკორთის ხელნაწერებში ჩვენ ვიპოვეთ ერისთავთა შესახებ შემდეგნი წარწერანი, რომელთაც ჩვენ ქრონოლოგიურად დავაწყობთ:

ა) ტყავის XV საუკ. ზატიკზე (infolio) ტექსტის ხელით: „დაიწერნეს წმი-

დანი ესე ზატიკნი მეფობასა კასტანგისსა და ბრძანებითა ერისთავისა შალვაჲსითა ქ~კსა :რკიდ:“ (1446 წ.).

ბ) იქვე ტექსტისავე ხელით: „სახელითა ღვთისათა... მიქაელ და გაბრიელისითა... მე ყოველთა კაცთა უნარჩევესმან ცოდვილმან, ერისთავმან ძემან ქვენიფვნეველისამან შალვა... შევსწირეთ (იკორთას) სოფელი მანვაზეთი და საცხენეთი და ერთი გლეხი ფლავს ერთითა ვენაკითა, სასახლითა და სამის დღის საკნავითა და დავაწერინე წ~ნი ესე ზატიკნი... და ერთი დავით (დავითნი), ორი თუჩ ფ~ზრვლი და მარტი... ამას გარეთ სამი ლიტრა ცვლი ფლავს, ვანთით მოიღებდენ ჩემსა ალაპსა შინა... (წყევა-კრულვა, ვინც შეშალოსო)... სულსა ე~ესა ქუწნიფვნეველისასა შ~ს ღ~ნ, სულსა მათისა მეუღლისა, დედოფლის დისა გულქანისასა შ~ს ღ~ნ“.

გ) იქვე მხედრულად: „ქ სახელითა... ჩუენ ერისთავმან ლარგველმან და ჩემთა შვილთა შემოგწირე... კურთხეულის ჩემის შვილისათვინ შალვასათვინ ხუთი ლიტრა ზეთი გორას ვართიკას დავადევით... ქ~კსა :სმა:“ (1553 წ.). ხვეულად მოწერილია „ერასტი“.

დ) მხედრული იმავე დროისა (XVI საუკ.): „ქ. სახელითა ღ~თისათა... იკორთას შემოვწირეთ... ერისთავმან ერასტი და ჩემთა ძმათა იესე, ოთამ და ზაალ... რვა ლიტრა ზეთი სულკურთხეულისა ბატონის მარიხისთვის ყოველთა წელიწადთა... ერთი კანდელი ენთებოდეს (იკორთას)“... მარეხი უნდა იყოს პირველი ცოლი ლარგველისა (მეორე იყო რენტი).

ე) მხედრულად XVI საუკ.: „ქ: სახელითა:. ღთისათა... იკორთას შემოგწირეთ... ჩვენ:. ერისთავმან:. ელიზბარ:. და ჩემთა:. ბიძა შვილთა:. (გლეხს) ვართიკას... გორასა (გარულსა?) ესახლე და აიყარე:. მოხველ ახალგორსა:. დასახლდი და მამული მთხოვე, მოგეც ერთი საკომო (sic) მისითა ვენაკითა – – ხუთი ლიტრა ზეთი გარულსა მამულსა ზედა გედვა კურთხეულისა ჩემისა ბიძაშვილისა შალვასთვინ და ხუთი მე დაგადევი და გათარხნე აქაცა, ჩემს დედ-მამის სულისთვის მიიტანდე, ხუთს (ლიტრას) შალვასთვინ“...(წყევაკრულვა). ხვეულად მოწერილია „ელიზბარ“.

ვ) იქვე ორს მხედრულს წარწერებში სჩანს: ხუარამზე 1600 და 1603 წელს.

ზ) ხუცურად წარწერილი: „ნებითა ღ~თისათა... ჩვენ პატრონისშვილმან პატრონმან ხუარამზე და რძალმან ჩვენმან პატრონმან ელენე და ძის-ძეთა ჩვენთა პატრონმან ერასტი და ლარგუწლმან... შემოგწირეთ(იკორთას) . . . . . . ბეთლემაშვილი იოანე მისითა მამულითა, რასაც დღეს მამულის მქონებელი იყოს სასახლესა გარეთ. ამას გარეთ შემოგწირეთ მამის თ~ლაური მამული მისის სასახლითა და ცხრა დღის მიწითა და ოთასეული მიწა ჯარიაშენს, აჩათს, საგოროს გზას ზედათ თორმეტის დღის მიწა ჩვენთვს და ძისძეთა ჩვენთა სადღეგრძელოდ... (წყევა)... ქ~კს :სჟბ: (1604) ენკენისთვის :ბ:“—ხვეულად: „ხუარამზე“ და „ელენე“.

ტ) მხედრულად: „ქ: .... ჩუენა ერისთავმა პატრონმა ერასტი და პატრონმა

ლარგკელმა... შემოგწირეთ... იკორთას... ოლაძე ჩიტუნა და აბოძე ნადირა ჩუენდა წარსამართებლად და სადღეგრძელოდ (და) ჩუენისა მამისა და დედისა საცხონებლად... ქკს :სჟვ: (1608 წ.) მარტის :იბ:". ხვეულად: „ელენე".

თ) ხუცურად: „ქ· ჩ~ნ ერისთავს იესეს და ძმასა ჩვენსა შანშეს შემოგვიწირავს არცევს მამული ჩათური წ~თა მთავარანგელოზთათჳს (ე. ი. იკორთას)... და რაც ბეგარა სხვას არცეველს კაცს მთელს მამულზე აც, იმას ვინც ვინ წინამძღვარი იკორთას მთავარანგელოზთ წინ ბრძანდებოდეს, იმას მიერთმოდეს ექუსი კოდი პური და ექუსი კოდი ქერი და ერთის წლის საკლავი (წყევა)... ქკს :ტგ:" (1615 წ.).—ხვეულად: „იასე"; და იქვე ხვეულადვე: „...არის წ~თა მთავარანგელოზთა წიგნები ჯუმლად ოც-და-თერთმეტი".

იქვე არის ხუცურად საყურადღებო ნუსხა იმისი, თუ რამდენი ბეგარა ჭმართებიათ იკორთის ყმათა: „ქ: არის იკორთას მთავარანგელოზთ ყმათა ბეგარა. (მაგალითად რამდენსამე ამოვწერთ):

| | პური კოდითა: | ქერი კოდითა: | ცხვარი დოშლითა: | სთვალი: | ტკბილი კოკითა: |
|---|---|---|---|---|---|
| ათაბაგიშვილსა | 12 | " | $^1/_2$ | $^1/_4$ | " |
| ცისკარიშვილსა | 8 | 4 ათიანითა | $^1/_2$ | $^1/_4$ | " |
| ფრიდონაშვილსა | 8 | " | $^1/_2$ | $^1/_6$ | " |
| სადინურსა | 8 | " | $^1/_2$ | " | " |
| უტუსავსა | 4 | 4 | $^1/_2$ | " | " |
| ჩათიშვილსა | 4 | 4 | $^1/_2$ | $^1/_3$ | 12 |
| იანვარას | 4 | 4 | $^1/_2$ | $^1/_4$ | " |
| ჩათიშვილს | 8 | 4 | $^1/_2$ | " | 4 |
| ქართალელს | 4 | 4 | $^1/_2$ | " | 22 |
| X—ს | 4 | 4 | $^1/_4$ | " | 20 |
| ზემოტბელთა | 8 | " | " | " | 18 |
| დათუას | " | " | " | " | 8 |
| ახალკაცს | " | " | " | " | 18 |
| ქვემოტბელთა | " | " | $^1/_2$ | " | " |
| საურმას | 10 | 4 | $^1/_2$ | $^1/_4$ | " |
| მახარას | 4 | 4 | $^1/_2$ | " | 16 |
| ეცდაშვილსა | 8 | 7 | " | " | " |
| დარჩიაშვილის მამულს | 4 | 4 | " | " | " და სხვ. |

ზოგს ჭმართებია კოდი «ათიანითა» (ლიტრითა), ზოგს-კი „თორმეტიანითა". „$^1/_4$ სთველი", ესე-იგი მეოთხედი ნაწილი საეკლესიო ვენახის გამოსავლისა, გლეხთაგან გაცემულისა. ზოგს გლეხს, ვისაც პატარა ვენახი სჭერია, სთველის მაგიერ გადაჭრილი ჰქონიათ „ტკბილი კოკითა", ოთხიდამ 22 კოკამდი. ბეგრის რაოდენო-

ბა იმაზე იყო დამოკიდებული, თუ ვის რამდენი და რა ღირსების მამული სჭირია.

ი) ხუცურად, მეტად მქრალად: "ქ: - - ერისთავსა იესეს და ძმასა ჩვენსა პატრონსა შანშეს და შალვას (გაურჩევლად) შემ[ოგვიწირავს?] არცვის - - - - ველმიუვალად ჩვენგან... ქ̃კს :ტგ: (1615 წ.).

ია) მხედრულად: „...შემოგწირე მე იესემა ერისთავმა შენა (იკორთას)... ჩვენთვს და თანამეცხედრისა როდამისა და შვილთა ჩვენთა სადღეგრძელოდ ერთი კვამლი კაცი იმერელა ამირინდო...". ხვეულად: „იასე"... „ბეგარა პური ოცი - - -".

იბ) ხუცურად: „სახელითა... ჩვენ... შემოგწირეთ სოფელი შუაცხვირი მე ერისთავმან იესე და ძმამან ჩემმან ზაალ და დედამან ჩემმან პატრონმან როდამ, რათამცა შევამკეთ ტაძარი თქვენი და განვადიდეთ.. დაიწერა... ქ̃კსა :ტნ:" (1662).

იგ) მხედრულად:" ქ: ესე:. სანაჟურე: ქვევრი: ჩვენ ერისთავმან ბატონმან დავით ტბეთიდამ გადმოვიტანე და აქ მთავარანგელოზს წინ ჩავდგი და როდესაც ეს აივსებოდეს, ერთს კოკას ღვინოს წინამძღვარს მიართმევდენ. და დეკანოზს ჩვენად სამწყალობნოდ ჟამს აწირვინებდენ"... ეს დავით ანუ „დათუნა ერისთავი" მოკვდა 1718 წ.

იდ) ხუცურად: «ღ̃ო შ̃ე ც̃ი არქიმანდრიტი (იკორთისა) პართენ ოს-ყოფილი ქ̃ეს აქეთ ჩრდა" (1761 წ.).

6) წარწერანი კაბენის ტაძრის XII საუკ. სასარებაზე, ხუცურად:

ა) „...ესე... შესაწირავი შემოგწირე ჩუენ ძემან ქუენიფხვლისამან ერისთავმან პატრონმან როდამ და ძეთა ჩუენთა ლარგუჱლმან და ქუენიფხვლელმან... ჩუენთა პაპათაგან სასოებით აღშენებულსა კაბენს გესმანიისა (გეთსამანიისა) ღვთისმშობელსა ჯირღინაულის მამული კუამლი ერთი თეოდორა მთითა, ბარითა, წყლითა... ასე რომე ჩ̃ნგან არა სათხოვარი და არა გამოსაღები არა ეთხოვებოდეს რა ლაშქარ-ნადირობის მეტი... მე გედევანას დამიწერია"... † ☐.

ბ) მხედრულად: „... მე მიქელის შვილმა ბასილმა და პაპამა და ნიკოლაოზ და გიორგი ვიყიდეთ ასლასძისაგან ვენაკი ალალითა ჩუენითა საქონლითა... გავიკეთეთ საბაობასა დღესა ალაპი ოთხთავე ძმათა ჩუენთა სოლისათაი"... (ეს მიქელ, როგორც ჩანს, იყო ერისთვის ლარგველის ძე).

გ) მხედრულადვე: „... დაგიწერეთ დაწერილი ესე მე მიქელის შვილმა პაპამა. და ჩემმა მეუღლემა როსოდან და ჩემმა შვილმა აფთარმა და დაგიდევით გელოშვილთა ვენაკი..: ჩ̃ნისა სულისა სამლოცველოდ მოვაკსენეთ მონასტერსა (კაბენს) და კრებულსა და შემიკეთეს (sic) ალაპი დღესა ნიკოლოზობასა».

7) წარწერანი წ̃ის სამების „სულთა მატიანისა" ქსნის ერისთავებზე:

ა) ხუცურად № 28: „სულსა ერისთავთა-ერისთავისა ქვენიფხვეელისა ლარგველ ყოფილისა ლაზარესა შ̃ნ ღ̃ნ.—სულსა მისის მეუღლისა რეხტი ყოფილისა ეკატირინესა შ̃ნ ღ̃ნ.—სულსა მისთა შვილთა ერისთავისა ერასტისა შ̃ნ ღ̃ნ.—სულსა ერისთავთ-ერისთავისა იესესსა შ̃ნ ღ̃ნ. სულსა მისის ძმის ზაა-

ლისსა შ~ნ ღ~ნ. სულსა ამათის ძმის მოძღვართ-მოძღურისა ბესარიონისა შ~ნ ღ~ნ.—სულსა მათის ძმის ითამისსა შ~ნ ღ~ნ. (აქ მოხსენებულ პირნი დახოცილ-იქმნენ ხევსურთაგან 1545 წ. გარდა იესე ერისთავისა).—სულსა ქვენიფნეველის მიქელისსა შ~ნ ღ~ნ. სულსა მისის მეუღლისა თინათინისსა შ~ნ ღ~ნ. სულსა მათთა შვილთა გიორგის და პაპასასა შ~ნ ღ~ნ". ეს წარწერები ერთის ხელით და მელნით არის. მიქელის ძენი იწოდებოდენ „მიქელიშვილებად".

ბ) № 33, მხედრულად: „ქ:. სულსა:. ქვენიფნეველისა:. ფარემუზისასა შ~ნ ღ~ნ:. ქ: სულსა ქვენიფნეველის შიოშისსა შ~ნ ღ~ნ და მისისა მეუღლისა საინერახათუნისა შ~ნ ღ~ნ. ქ. სულსა ქუენიფნეველისა მანუჩარისა და ახალციხელისასა შ~ნ ღ~ნ".

გ) მხედრულად, № 32: „მოიხსენე უფალო... მონა ღ~თისა მიქელიშვილი გიორგი (და) მეუღლე (მისი) სიყუარულისა ქალი ანუკა.

დ) მხედრულად, № 34: „ქ: სულსა:. ქუენიფნევლისა:. ათანასესსა:. და მისსა მეუღლესასა ნესტანდარეჯანისასა შ~ნ ღ~ნ...

ე) ხუცური მელი, ტექსტის ხელით, № 35: „სულსა ერისთავთ-ერისთავისა ქვენიფნეველისა შალვაჲსასა შ~ნ ღ~ნ". სხვა ხელით იქვე: „მათსა დედასა თმაგი-შით (თმაგიშერს?) შ~ნ ღ~ნ". იხ. ესვე წარწერა იქვე № 110.

---

ზემო-აღნიშნულ წყაროთა მიხედვით ჩვენ შევადგინეთ შემდეგი გვაროვნობითი შტო ქსნის ერისთავთა, რომელიც დიდად ავსებს და ასწორებს აკადემიკოსის ბროსსესგან შედგენილს გენეალოგიას (Hist. de la G. II, Addit. IX p. 630—631).

a) უძველესის დროის ქსნის ერისთავნი

№ მეფე ოვსთა

№ უხუცესი

1) **როსტომ** იუსტინიანე II-ს დროს (565 — 578 წ.) ბიბილა. წითლოსან.

2) **ლარგველი** I, მეფის დავითის (დავითიან-ბაგრატოვანის გვარამის?) დროს.

3) **დიმიტრი** (ამ დიმიტრის შემდეგ ვირშელამდი გადაიცვალნენ 24 ერსთავნი).

b) ერისთავნი მე-XIII—XIX საუკუნისანი:

28) **ვირშელი** I, ადარნასე მეფის (ვახტანგ II-ს?) დროს.

29) **შალვა** I, ცოლი მისი ოვსთა მეფის ქალი ბირდი, მეფის დავითის, ვახტანგის და გიორგი-ბრწყინვალის დროს.

29) **შალვა I.**

- 30) **ლარგველი II.**
  - 31) **ვირშელი II** უხუ-ცესი, ცოლი მი-სი გვანცა (იხ. № 1, ა).*) და მეორე თამარ.
    - 33) **ქვენიფნეველი I**, უხუცესი. რომელიც მოკლულ იქმნა 1373 წ.
    - 34) **იოანე II**, ამირეჯიბი და ერისთავი 1373 წლიდამ; პირველი ცო-ლი მისი მნათობი (№ 1, ა) და მეორე გულ-შარ, ასული გიორგის ძის დავით მეფისა (№ 1, ა).
      - 35) **ვირშელი III**, („მნათობის-გან“). ცოლი თამარ, მეორე თმაგიშერ და მესამე მაქან? ვირშელი სჩანს 1398; 1396 და 1401 წ. № 4).
        - 37) **ქვენიფნეველი II**, ცოლი მისი გულ-ქან, დედოფლის და (№ 5, ა). მეორე ცო-ლი მისი თმაგიშერი? („სულთა მატიანე“).
          - 38) **შალვა II**, სჩანს 1446 (№№ 4' 5); 1459 (№ 4), 1460 (ყურულდის გუჯარი), 1465 (№ 4).
            - 39) **რამაზ I** (№ 4). არ სჩანს, რამაზს ერგო თუ არა ერისთაობა.
          - ლარგველ
          - გიორგი ბერი
            - დემეტრე 1460 წ.
            - არსენი
            - აბრაამ
            - სიაოშ ცოლი საინერა-ხათუნ
            - შირშა (№ 4).
          - ავგაროზ
          - რატ 1460 (№ 4) (ამისგან რატი-შვილებია).
        - გურზი 1459 წ. (№ 4)-
        - რამაზანი 1459 წ. (№ 4).
      - ორი ქალი გულშარი-საგან.
      - ერთი ქალი „მნათო-ბისგან“.
    - გიორგი
    - ქალი, დედოფალი (№ 1, ა) მე-იმერეთისა დედოფლობისა.
  - №
  - №
- 32) **კიკა**, ცხრა წელ ერისთავი, ვირშელის შემდეგ.
- და კიდევ სხვა 12 შვილი.

*) არაბულ ციფრებით ჩვენ აღვნიშნავთ ზემო ჩამოთვლილ წყაროებს (თავებს), იმავე ციფირების ქვეშ; ხოლო ქართულ ციფირებით—იმ მუხლებს თავებისას, სადაც შესაფერი ცნობა მოიპოვება.

39) **რამაზ** I (№ 4)

40) **ქვენიფნეველი** III, (№ 4) სჩანს 1498 წ. (№ 4).

ამავე დროის ერისთვის შვილნი, ქვენიფნეველნი მანუჩარ და ასალცისელი, აგრეთვე ათანასე და ცოლი მისი ნესტანდარეჯან, იხ. „სულთა მატიანეში“.

41) **ლარგველ** III, ბერობაში ლაზარე. ცოლი მისი პირველი მარეხ(?) და მეორე რენტი, მონაზვნობაში ეკატერინე (სამების „სულთა მატიანე“ და № 5, დ) ლარგველი ცოცხალი იყო 1553 წ. (№5,ა).

ქვენიფნეველი

მანშე (№ 4)

42) **ელიზბარ** (№ 9) სვიმონ მეფის დროს (ქ.-ცხოვ. II, 28; 29).

მიქელ, ცოლი თინათინ („სულთა მატიანე“).

გიორგი (№ 6; ბ) ცოლი ანუკა („სულ. მატ.“)

ვაჩე, ცოლი როსტევან (ს. მ.)

ავთარ (უბ. წ. I. 46).

ბასილ (№ 6: ბ)

ნიკოლოზ (უბის წ. I, 46)

შალვა 1554 წლის უწინ მომკვდარა: № 5, გ.

43) **ერასტი** I 1553 (№ 5: გ, დ). ერისთავად მოხსენებულია „სულთა მატიანეში“. და უბის წ. I, გ. 43—44.

44) **იესე** I, პირველი ცოლი როდამ (№ 6, ა) მეორე ცოლი მისი ხუარამზე: (№ 5; ჲ, ზ).

იოთამ † 1545 წ. ზაალ † 1545 წ. მოხსენებულნი არიან „სულთა მატიანეში *“).

ბესარიონ მოძღვარი („სულთა მატიანე“)

* შენიშ. ოთხნი ძმანი ქვენიფნეველისანი, ხანდოს 1545 წ. მოკლულნი, უნდა იყვნენ: შალვა(?), იოთამ, ზაალ და მიქელ (№ 2, ბ).

45) **ქვენიფნეველი** IV, ცოცხალი იყო 1607 წ. ხოლო 1608 წ. მკვდარი იყო (№№ 2, ბ, 5, ჲ); ცოლი მისი მზისთანადარ (ibid).

ლარგველ (№2, ბ)

46) **ერასტი** II ერისთავი 1608 წლიდამ ცოლი ელენე? (№ 5; ჲ).

ლარგველ (№ 5: ზ, ჲ).

ლარგველ? (ქ.-ცხ. II, 522: 1648 წ. ახლოს ხანებში).

46) **ერასტი** II ერისთავი 1608 წლიდამ.

47) **იასე** II 1615 წ. (№ 5: თ; ი; ია) ცოლი მისი როდამ (№ 5: ი და იბ) ამ იესემ ძმები გასწყვიტა 1632 წ. (ქ.-ცხ. II, 43).

48) **შანშე** I 1622 (№ 4)

დავით

49) **წ-ა ელიზბარ** ეწამა 1662 წ. ახლო ხანებში.

თამარ (ქ.-ცხ. № II, 54).

შალვა (№ 5: ი)

წ-ა შალვა? ცოლი ქეთევან (ეკ. მუზ. № 170, გ. 492).

50) **იესე** III, როდამის შვილი 1656; ზაალ 1660 და 1668 წ. (ქ.-ცხ. II, 51; 55; 541).

51) **დათუნა** I (დავით) 1674 წ. (ქ.-ცხ. II, 55; 58) 1696 წლამდი (ქ.-ცხ. II,). მერე 1700—1718 წ. (დავითის შემდეგ).

52) **დავით** II 1696—1700 წ. (ქ.-ცხ. II, 67; 58—67).

შ ე ნ ი შ ნ. 1669—1698 სჩანს ქსნისერისთავის შვილი ევდემოს პირველად ურბნელი, მერე მანგლელი და უკანასკნელ მთავარ-ეპისკოპოზი ქართლისა (უბ. წ. I, 54; გუჯრის წ. II, 187). სხვა საბუთებში ევდემოს მოხსენებულია რატიშვილად.

53) **შანშე** II 1718—1741; ცოლი ელენე. 1741 წ. თვალები დასთხარეს შანშეს და იესეს და ერისთაობა დროებით გადასცეს გივი ამილახორს, მერე ჟიმშერ ჩოლაყაშვილს. შანშე †1754 (ქ.-ცხ. II, 451).

იესე უფლისწული († 1745), ცოლი მარიამ, ამილახვარის ქალი. პირველი ცოლი მისი ქეთევან დატყვევდა 1739 წ. (№ 3; ა. ქ.-ცხ. II, 92).

ქრისტეფორე, იგორთის არქიმანდრიტი 1735 წ.

რევაზ

54) **დავით** III 1753—1756 წ. (ქ-ცხ. II, 451; 471)

შანშე, სოფიო, ზაალ ორბელიანის ცოლი, †1802 წ.

№ ქალი, ბაბახანის ცოლი.

შალვა 1762

ელიზბარ

ვარლაამ, პირველი ექსარხოსი (1811—1817 წ.).

მარმანოზ

მიქელ

## 53) შანშე II.

- ივანე (№ 1: დ)
  - როსტომ 1788
    - დავით 1808 წ., ცოლი თინათინ.
      - იასე, ცოლი მისი მუხრან-ბატონის ივანეს ქალი.
        - შანშე
        - თორნიკე 1853 წ. ცოლი მარიამ.
        - გიორგი
      - სოლომონ † 1822 წ. უშვილო.
  - შანშე 1788 ცოლი ელენე † 1815 წ.
- 55) გიორგი, რომელმაც უმუხანათა მეფე ერეკლეს. ცოლი გაიანე, გიორგი XIII ქალი.
  - ელიზბარ მელექსე, ცოლი მარიამ, მეფის სოლომონის ქალი.
    - ივანე
      - ნიკო.
    - ქეთევან.
    - დიმიტრი.
  - რევაზ 1813 ცოლი ანასტასია, მეფის ერეკლეს ქალი.
    - მალხაზ 1813 წ. 1828 წ.
      - რევაზ (ცოცხალია).
    - ესე († 1811 წ.)
    - ბიძინა 1813 წ
      - ნიკოლოზ (ცოცხალია)
    - გიორგი „ატამანი" († 1891 წ.)
      - ზაქარია (ცოცხალია).
  - ლუარსაბ
    - ლევან
    - რევაზ
    - დავით.
  - თუთა

## II. 1020 წ.—სიგელი მელქიზედეკ კათალიკოზისა.

სინოდ. კანტორის გუჯრებში ჩვენ ვიპოვეთ ორი პირი მელქისედეკ კათალიკოზის სიგელისა 1020 წ. პირველი (№ 378) მე XII საუკუნის ხელით არის დაწერილი ქაღალდზე ხუცურად, მაგრამ თავი აკლია; სწორედ იმავე სიტყვით იწყება, როგორც დ. ჩუბინაშვილის მიერ გამოცემული იმავე სიგლის პირი (იხ. ქრისტომატია მისი, გვ. 203—208). შედარებიდამ ცხადდება, რომ უკანასკნელი თვით ის სიგელია, რომელიც ხელში ჰქონია თეიმურაზ ბატონიშვილს და აქა-იქ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად და ცოტაოდენ შეცვლით და სიტყვა-დართვით შეუტანია „ქართლის ცხოვრებაში; გვ. 212, სტრიქ. 19—30 (სიტყვიდამ: „და ქვრივთა“) და შემდეგის 213 გვერდის სტრიქონები: 1—8 და გვ. 218, სტრიქ. 9—18; გვ. 220, სტრიქ. 18—19 და გვ. 222, სტრიქ. 1 (სიტყვამდი: „სამწყსოსავე თჳსსა“) და 25 სტრიქონიდამ ბოლომდის; გვ. 222, სტრიქ. 1—22. ეს თვით ის სიგელია, რომელიც დ. ჩუბინოვს ჩაურთავს თვისს ქრისტომატიაში რამდენადმე შეცვლილად.

მეორე პირი იმავე სიგლისა (№ 279) დაწერილია ქაღალდზედვე ჩინებულის მხედრულ ასოებით მე XVII საუკუნის ხელით. ეს უკანასკნელი პირი იმით არის შესანიშნავი და ძვირფასი, რომ მას თავი და ბოლო არ აკლია. ორსავე პირს ქრონიკონი უზის :სმ: (1020 წ.) და აქიდამ ცხადია, რომ დ. ჩუბინაშვილი, ბაქრაძე და ბროსსე შემცდარნი ყოფილან, როდესაც მათ ეს სიგელი მიაწერეს 1040 წ. (იხ. ჩემი „ქრონიკები“ გვ. 181—188). ამავე სიგლიდამ სჩანს, რომ მცხეთის ეკლესია 1020 წელს განუახლებიათ და არა ახლად აღუშენებიათ.

ქ: სახელითა ყოვლად სახიერისა ღვთისა მამისა და ძისა და სულისა წმიდისათა, მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღვთის-მშობელისათა, ძლიერებითა ცხოველს მყოფელისა და პატიოსნისა ჯუარისათა, შეწევნითა ყოველთა წმიდათა ზეცისა და ქუეყანისათა, ესე დაწერილი მოვაკსენე და შევსწირე ყოველთავე ჩრდილოეთისა კედართა შორის უაღრესსა და უაღმატებულეს-უდიდებულესსა, წმიდასა და კათოლიკე სამოციქულოსა საყდარსა მცხეთისასა, სალოცველსა და სახლსა ღვთისა დიდებისასა და მას შინა ღვთივ აღმართებულსა სუეტსა ცხოველსა, კვართსა სამეუფოსა და მირონსა ღმერთ-მყოფელსა და წმიდა-მყოფელსა ჩუენ ქრისტეს მიერ კურთხეულმან ქართლისა კათალიკოზ-პატრიაქმან მელქისედეკ, მას ჟამსა ოდეს უღირსი ესე ღირს ვიქმენ საჴეთ პყრობად წმიდისა ამის ტაძრისა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიისასა და შევამკე სალხინებელად სულისა ჩემისა და წარსამართებელად ქრისტიანეთა და შევამკევ ყოვლითავე სამკაულობითა გარეთითა ბჭითა და გარეშემო სტოითა მოქმნითა და ზედაბურვითა და შევამკევ ყოვლითა სამკაულობითა ოქროთა და ვეცხლითა, თუალითა და მარგალიტითა და საღვთოჲთა წიგნებითა დაწერითა და *).

---

*) ამას იქითი დაბეჭდილია „ქრონიკებში“ გვ. 182—188 და ჩუბინოვის ქრისტომატიაში, გვ. 203—208. აქიდამვე იწყება პირი ამავე სიგლისა № 378.

შევსჭედე სუეტი ცხოველი ოქროითა და ვეცხლითა, და შევსჭედე წმინდა საკურთხეველი ოქროითა და ვეცხლითა, თვალითა და მარგალიტითა, და მოვსჭედენ კანკელნი და კარნი საკურთხეველისანი ოქროითა და ვეცხლითა და შევსჭედე ძელნი ცხოვრებისანი ოქროისანი თულითა და მარგალიტითა და შევსჭედე წმინდა ესე სამარტვილოი ოქროითა და ვეცხლითა, თვალითა და მარგალიტითა და იმას შიგან დაუსვენენ ყოველთა წმინდათა ნაწილნი და ძელი ცხოვრებისა და დაუსვენენ ხატი ოქროისა, რომელი მიბოძა კონსტანტინე ბერძენთა მეფემან და სამარტვილოსავე შიგან დაუსვენე ხატი ესე წმიდისა ღვთის-მშობლისა, შემკობილი ოქროითა, თვლითა და მარგალიტითა, რომელი მიბოძა ბასილი ბერძენთა მეფემან და ხატი ესე დიდი მაცხოვრისა საროთითა და გარეშემო თვლითა შემკობილი და სხვა ხატი მაცხოვრისა ვეცხლისა ოქროითა ცურვებელი და ხატი ნათლის-მცემლისა ერთი და თეოდორესი ერთი და საროთითა შექმნილნი ოქროითა და ვეცხლითა შეჭედილნი და სხვა ხატები საროთითა და ოქრო ფორტლითა დაწერილნი, ჩემნივე დასვენებელნი რიცხვით :ნე: და ბარძიმ-ფეშხუმი ოქროისა თვალითა და მარგალიტითა და მინასა ხატებითა შემკობილი და კოვზი ოქროისა და ხუირნი ოქროისანი თულითა და მარგალიტითა შეკაზმულნი და სამწერობელნი ოქროისანი და მარგალიტითა შემკობილნი, საცეცხურნი და სასაკმევლენი ოქროსანი ერთი და სხუანი საცეცხურნი დიდნი ვეცხლისანი და სასაკმეველენი დიდნი, ორნივე ოქროითა ცურვებულნი, და სადაგნი საცეცხურნი და სასაკმევლონი ვეცხლისანი დიდნი ერთი და სათანაონი საცეცხურნი და სასაკმევლენი ვეცხლისანი ერთი და ჯვარი ვეცხლისა სათანაო ერთი და ვეცხლისა ტაშტი წყვილი ბ, და ბერძული ტაშტი ბრაგი ვეცხლისა ოქროთი ცურვებული ერთი და წიგნნი სამღთონი, რომელთა სახელები ესე არს: სახარების თარგმანი დიდი ერთი მათესი, მარკოზისა, ლუკასი და იოანეს თავისა, სახარების თარგმანი წიგნი ერთი და სახარებანი ოთხთავნი სამი; სათანაო ოთხთავი სახარება :ა: გარე თვლითა და მარგალიტითა შემკობილი, და მოწამეთა წიგნნი დიდნი; ზამთარ და ზაფხოლ ეგრევე ვეცხლითა შეკაზმულნი ღილკილოთა ვეცხლისათა ორნი და მღვდელ-მოძღვართ წიგნნი დიდი საწელიწადო ვეცხლითა შეკაზმული ერთი; მარგალიტი წიგნი წინამძღვარი :ა: დეველოღონი წიგნი ა; იოვანეს გამოცხადება წიგნი ერთი დედის ძმასა ჩემსა ანტონის ებოძა ჩემდა; ანდრია სალოსის ცხორება წიგნი :ა: დავითის თარგმანი წიგნი :ა: სათანაო მრავალ-თავი ერთი; იადგარი ახალი :ა: და კურთხევანი საწელიწადო, რომელსა შინა სწერია ეკლესიის კურთხევა, ხუცეს-დიაკონთა კურთხევა, გარე ოქროს ხატითა მოჭედილნი და ცურითა მოჭედილნი :ა: კურთხევანი სხვანი საწელიწადონი სრულნი ყოვლითა ფერითა გარე ვეცხლისა ცურითა მოჭედილნი; სჯულის კანონი ახალი :ა: მარხვანი, რომელ სამეფოს იტყვიან :ა: და სხვა წიგნები თავი რვა და ორად გაყოფილი იადგარი მეხური, რომელსა შიგან სწერია განგება საწელიწადო :ა: მატიანენი საშინაონი და საალაპე-

ნი ვეცხლით მოჰედილნი ერთი და მატიანენი სათანაონი ვეცხლით მოცუარილნი :ა: ჟამის წირვანი სათანაონი :ა: ესე წიგნები, რომელ მე დამიწერია ჯუმლად არს თავი :კე: საწიგნენი ოქროითა და ვეცხლით ცურვებულნი ერთი, საკელაპტრენი დიდნი სპილენძისანი ერთი და შემდეგნი საკელაპტრენი ვეცხლით ცურვებულნი :ბ: საკელაპტრენი რკინისანი დიდნი :ა: და შესამოსელი სამღვდელ-მოძღვარო უქსინო უღლითა ონაფორითა ხატოვანითა ოქროვანითა და ყოვლითავე სრული. სამკლავენი :ა: მაზარა ნავანდარი :ა: მწვანე ერთი და კვერცხის გული მაკანი ბერძული ოქროქთი ერთი და ბერძენთა მეფისა რომანოზისა ნაბოძვარი შესამოსელი ოქრო-ქსოვილი ა, და მაზარა ოქრო-ქსოვილი ერთი, სანაწილე ოქსინო გ; ზე-ასაპყრობელი ხატუვანი ოქროთა :ა: სადაგნი სანაწილენი ბ, და რომელ ეზონი ჩემნი დაკიდებულნი არიან ბერძენთა მეფემან ბასილი მიბოძნა, დავჰკიდე ოქსინონი სამნი და სუნდუსნი სამი, კუერცხის გული სუნდოსი :ა: საკარამანგნი დიდნი გარეშე ოლვილნი, ვეცხლისა გრგოლითა შეკაზმულნი რვა: და ბაგრატკურაპალატისა ნაბაძვარი დიდი საკრამანი :ა:— და მონასტერნი და სოფელნი, რომელ მე მომიგიან ამის წმინდის დედაქალაქისათვის: ბერძენთა მეფემან ბასილი მიბოძა და შემოსწირა კათოლიკე ეკლესიასა მონასტერი დიდი კესტორი, რომელსა სოფელი აქვს ას და ხუთი; — ტაოს ვიყიდე სოფელი ზადკარეკი ხოთიჲა აგარათა და ძაღლისკევს ვიყიდე სოფელი ორთა სამითა აგარათა; ესე ორნივე სოფელნი მათითა აგარათა ძმათა ჩემთა განძითა კჲუიდჳნ და დაუდევ ამას წმინდასა დედა-ქალაქსა შიგან ალაპი დღე ხარება; და კლარჯეთს მოვიგე სოფელი ერთი სხლუვანი და შავშეთს მოვიგე სოფელი დიდი სხლობანი, აგარა მისი ნაღუარევი; და ჯავახეთს მოვიგე სოფელი ტონთიო, და კოლას მოვიგე და ავაშენე სოფელი დიდი ოროტანი აგარათა; და ფანავრას ავაშენე სოფელი ერთი მახაროვნი; და საკოეთს შევიპყრენ და აღვაშენენ სოფელნი ორი —ნაქალაქევი და ბერდაძორი; და ქართლს მონატერი პალავრა ოთხითა სოფლითა და ცუქითი შესავალითა მისითა; ყინცუისი შესავალითა მისითა და შინდებისა ნახევარი; კურბითს :რა: აზნაორი, კარგი სოფელი ერთი; ჩოჩეთს უბანი ა; მიწა და ვენახი სამეფო; ზეგანთა სოფელი ა, შიდარი სოფელი ერთი და კახეთს ახატანს უბანი ა და ნოსორნა სოფელი ა, და ერეთს მონასტერი დიდითა ძალითა და ლაგოდეკი და ერეთსვე კატეხისა ეკლესია, შესავალითა მისითა და კაკს ვაჰარნი ათორმეტი და ზიარი სოფელი დიდი :ა; ესე ყოველი სოფელი, რომელი მომიგია და რომელნი სოფელნი ძუელად ჰქნოდეს . ამას წმინდასა დედა-ქალასაქსა, შესავალნი იყუნენ და მე მოვაკსენე გამზდელსა ჩემსა ბაგრატ კურატპალატსა და შეუვალად გამიკადნეს და მიბოძეს სიმტკიცე შეუვალობისა და რომელი ქალაქისა შესავალი იყო ამის წმიდისა დედაქალაქისაგან: ცხუარი, ცხენი, ღვინო, ზედანი და რაცა იყო ყოველი ალი ამირმან ამოგვიგდო და ავკადე ამას წ͠ა კათოლიკე ეკლესიასა და ყოველნი სოფელნი, რომელნი წმინდისა ამის კათოლიკე ეკლესიისანი არიან ავაშენენ და დავაგენ ყო-

ველგან სახლნი და ავაგენ ეკლესიანი რიცხვით ყოველნივე (sic)*). — აწ წმინდანო, მღდელ-მოძღვართა მთავარნო, რომელნი შემდგომად ჩემსა ღირს იქმნეთ წინამძღურად წმინდასა ამას დედა ქალაქსა და იხილნეთ ნაქმარნი ესე ჩემნი წმიდასა ლოცვასა თქვენსა მომიკსენეთ საწყალობელი ესე სული ჩემი, რათა თქვენცა ღმერთმან სასყიდელი მოგანიჭოს ამინ. ქორონიკონი იყო :სმ: — და ამათ ყოველთა ნაქმართა ჩემთა შემდგომად სამხრით სადიაკვნოსა წმიდათა მოწამეთა სამარტვილოსა შიგან შევქმენ საფლავი ჩემი და დავდგი საკურთხეველი და ამა საკურთხეველსა ზედა დავაყენე ჟამის მწირველად ცოდვილისა სულისა ჩემისათვს გაზრდილი ჩემი იოვანე საფლავსა ჩემსა ზედა და უჩინე ამა საკურთხეველსა ჩემსა და და ჟამის მწირველსა მივსცენ თეძს გლეხნი სამნი ფოძითა სრულითა და ვენახი ა, მიწა ა, წისქუილნი ა და ქალა და ოტათლოანს გლეხი ა, ციხე-დიდს გლეხი ა, ორნივე ფოძითა სრულითა და ვენახი ა; მცხეთას სენაკი ა, ბოსელი ერთი, ყანა ა, და ვენახი მცირე ა. ესე ყოველი თავის-უფლობით შეუვალად ჰქონდის ყოვლისა შესავალისა სასეფოსაგან, დიდისა და მცირისაგან და არა ვისა აქუს ამასზედ კელი, თუინიერ ხუცისა, რომელი საკურთხეველსა ამას ჩემსა ზედა ჟამსა სწირევდეს. ესე სიცოცხლესა ჩემსა გავაგე და ვითა ზემოთ დამიწერია, იოვანე საკურთხეველსა ჩემსა საფლავთა ჩემთა ზედა ჟამის მწირველად დავადგინე და მიუთუალე ესე, გასარმელი (Sic) ვირე ცოცხალ იყოს, დგეს საკურთხეველსა ჩემსა ზედა, ჟამსა წირვიდეს და მილოცვიდეს და შემდგომად მისსა შვილთა და შვილის-შვილთა მისთა დაუტეოს და იგი დგეს და ჟამსა სწირვიდეს და გვილოცვიდეს და შეუცვალებელად ჰქონდეს ესე გასარომელი საკურთხეველსა ჩემსა საფლავთა ჩემთა ზედა ჟამის მწირველსა ხუცესსა უკუნისამდე ჟამთა, ვიდრემდის წმიდა ესე დედა-ქალაქი ეგოს. და ამა სამარტვილოსა შიგან საკურთხეველი ჩემი შევმოსე საკრამანგითა, მოვჭედე ვეცხლითა, და დავდგი ბარძიმ-ფეშხომი ვეცხლისა და კოვზი ვეცხლისა, სანაწილე და ასაპყრობელი და საცეცხური და სასაკმევლონი ვეცხლისანი, შესამოსელი, საკრამანგი ა, ზეწარი, ა; და დავჰკიდე ეზო საკრამანგ შეოლვილი ერთი და ამას წმინდასა დედა ქალაქსა შიგან დავდევ ალაპი თვესა იანვარსა კდ. დღესასწაულსა ყოველსა წმინდათასა ღამის თევითა და ჟამის წირვითა აღესრულებოდის. აწ წმინდანო მღვდელთ მოძღვართა-მთავარნო, რომელი შემდგომად ჩვენსა და შემდგომითი შემდგომად ღირს იქმნეთ წინამძღვრად წმინდასა ამას კათოლიკე ეკკლესიასა და ნახნენთ ნაქმარნი ესე, ჩემნი განგებულნი ესე და განწესებულნი, რომელ ცოდვილისა ამის სულისა ჩემისათვის (დამიძს) და მიჩენია შეუცვალებელად და უქცეველად დაამტკიცეთ, რათა შემდგომად თქვენსა სულისა თქვენისა გაგებული და განწესებული თქვენი დაემტკიცოს. და რომელმან ქართლისა კათალაკოზმან, გინა რამანცა გუარმან კაცმან შემდგომად ჩემისა და შემდგომითი შემდგომად, ვიდრემ-

---

*) აქ ძველს გუჯარში № 378 დამატებულია :რე: (ე. ი. 105).

დის წმინდა ესე დედა-ქალაქი ეგოს, ნაქმარნი და განწესებული ესე სულისა სემისა-თვის შეუცვალოს, რომელი ზემოდგან ქვემოდმდე დაგვიწერია, რასაცა ჟამსა, რასაცა მიზეზისა მოღებითა აქციოს და ამა საკურთხეველსა და საფლავთა ჩემთა (ზედა ხუცესი) და ესე განსარომელი მოაკლოს, ანუ აღაპი ჩემი და ძმათა ჩემთა შეცვალოს, რისხამცა მამა, ძე და სული წმინდა და წმინდა კათოლიკე ეკკლესია, სვეტი ცხოველი, ხატი ღვთაებისა, ყ҃დ წმინდა ღვთის მშობელი, ძელი ცხოვრებისა და წმინდა ესე მარტუილნი და კლებულმცა არს წესისაგან საეკლესიოთა და ნაწილიმცა მისი იუდას თანა არს, რომელმან განყიდა უფალი ჩვენი იესო ქრისტე და დამცაისაჯების უარის მყოფელთა თანა ღვთისათა. ესე ვითა ზემო დამიწერია ქვემოთ კელითა ჩემითა დამიმტკიცებია. ვინ აქციოს კრულია დაუსაბამოსა ღვთისა პირითა, წმინდისა ღვთისა მშობლისა მადლითა, წმინდისა კათოლიკე ეკლესიის მადლითა, წმინდათა მოციქულთა მადლითა და ყოველთა წმინდათა მადლითა, კრულმცა არს ცათა შინა და ქუეყანასა ზედა სულით და კორცით ორსავე ცხორებასა ამისი გამტეხელი და ვინ დაამტკიცოს ჯუარი და კურთხევა აქუს.—თქვენ წმინდანო მღდელ-მოძღვარნო, რომელთა ესე დაწერილი და განგებული სულისა ჩემისა-თვის ჰნახოთ, თქვენც სიტკიცე დასწერეთ.—ღვთივ დიდებულნო, (ძლიერო) ბაგრატ აფხაზთა მეფეო, და ნებითა ღვთისათა ყოვლისა აღმოსავლეთისა კურა-პალატო და ძლიერო მეფეო კვირიკე (კ҃ე), არწმუნოს ღმერთმან მეფობასა თქვენსა, ესე დაწერილი და განგებული სულისა ჩემისათვის კელითა თქვენითა დამიმტკიცეთ.

ესე ვითა ზემოთ მელქისედეკ ქართლისა კათალიკოზს დაუწერია და საქმე სულისა მისისათვის გაუგია, მე ბაგრატსა ნებითა ღვთისათა აფხაზთა მეფესა და კურატპალატსა, კელითა ჩემითა დამიმტკიცებია, მტკიცე არს და უქცეველ ნებითა ღვთისათა.—ესე ვითარ,—დიდებულ ჰყუენ ღმერთმან სული მათი მელქისედეკ ქართლისა კათალიკოზისა,—სულისა მათისათჳს გაუგია და დაუწერია და შემდგომად, ადიდენ ღმერთმან, ბაგრატ კურატპალატსა კელითა მისითა ჩაურთავს და დაუმტკიცებია, მეცა კვირიკე მეფესა და დისწულსა კვირიკე მეფისასა კელითა ჩემითა ჩამირთავს და დამიმტკიცებია, მტკიცე არს და უქცეველი ესე; და ვინ უქციოს ესე ზემო ხსენებულნი წმინდანი ყოველნი რისხვენ.—კუალად *) ესე ვითა სულ-დიდებულსა და სულ-კურთხეულსა გამზრდელსა ჩემსა და ვჰკადრო მამასა მელქისედეკ კათალიკოზსა დაუწერია და გაუგია თავისა სულისა-თჳს, ადიდენ ღმერთმან ძლიერთა მეფეთა დაუმტკიცებია, მეცა უღირსსა, გლახაკსა რეცა სახელიც კათალიკოზსა დამიმტკიცებია, ქართლისა პატრიარქსა**) მტკიცე ჰყავნ ბრძანება მათი ქრისტიანეთაგანმან კაცმან.—ესე ვითა სულ-

*) გუჯარში № 378 ამ სიტყვის მაგიერ სწერია: „კ҃ლნ", ე. ი. კირიელეისონ.

**) გუჯარში № 378 სწერია: „...რეცა სახელით :გ: (.Ⴗ:) დამიმტკიცებია :ႨႱ: ეს ფრასა უნდა იკითხოდეს ესრე: „რეცა სახელით კათალიკოზსა დამიმ-

დიდებულსა მამასა ჩემსა მელქისედეკს ქართლისა კათალიკოზსა *) (:ქ:კ:) დაუწერია და იოანე მღდელი დაუწერია და მათისა სულისა მღვდლად ჟამის მწირველად დაუწესებია და მისი გასარომელი უჩენია თჳსითა კელითა სიმტკიცე დაუწერია, ადიდენ ღმერთმან, ძლიერთა მეფეთა დაუმტკიცებია, და მეცა გლახაკსა ქრისტეს მიერ კათალიკოზსა ოქროპირს ჩემითა კელითა დამიწერია, ჵ მათი ბრძანებული დამიმტკიცებია და მტკიცე არს უკუნისამდე, იოანეს-თჳს და ნებიერი არს იოანე ყოვლისა ამის ბძანებულისა, ვისთჳსცა იოანეს უნდეს მიცემად და დატევებად. და ვინცა ვინ რამანცა გუარმან კაცმან რასაცა ჟამსა ამისგან რაცა დააკლოს და შესცვალოს, კრულმცა არს წმინდათა მოციქულთაგან, ჯუარითა, წმინდისა კათოლიკე ეკკლესიისა მადლითა და ჩვენითა ჯუარითა მკვდარსა და ცოცხალსა ზედა, ცათაშინა და ქუეყანასა ზედა, და თუ უქციოს და ამისაგან შესცვალოს, არსმცა კრული, წყეული ღვთისაგან და ჩუენგან.

---

ქუთაისის ეკლესიაში, რომელიც მიშენებულია დარღვეულ ბაგრატ III-ის ტაძარზე, ჩვენ ვიპოვნეთ შემდეგი ფრიად შესანიშნავი ხელნაწერი წიგნები:

I დიდი ხელნაწერი, ხუცური-ნუსხა მე-XII საუკუნისა, სქელ ქაღალდზე in-folio, უთავ-ბოლო; თითოეულს გვერდზე დატეულია 40 სტრიქონი. ხელნაწერი მეტად დაზიანებულია ნოტიოსაგან.

ეს ხელნაწერი შეიცავს „დაბადებას“ ანუ ძველ-აღთქმის წიგნებს განმარტებითურთ. ტექსტი „დაბადებისა“ დაწერილია მსხვილ ასოებით შუაში; ხოლო გარეშემო ფართო არშიებზე დაწერილია შუა გულში მოყოლებულ ტექსტის განმარტება ანუ სხოლიები, ხშირად კითხვა-მიგებით. განსამარტავ სიტყვებს და ფრასებს ტექსტისას უწერია წითურად ციფრები ქართულ ასოებით (მაგ. Ⴝ, Ⴗ...Ⴎ და სხ.) ხოლო ტექსტის და ან წითურების პირ-და-პირ არშიაზე გამოყვანილია იგივე ასოები და ზედ-მობმულია განმარტება ანუ „სხოლიონი“ ამ ასოებით აღნიშნულ სიტყვა-ფრასებისა. ყოველ სხოლიონს ზედ აწერია სახელი იმ წმიდათა მამათა, რომელთა ნაწერებისაგან ამოღებულია სხოლიო. ამ წარწერათაგან სჩანს, რომ სხოლიები ეკუთნის წმინდა მამებს: სჳმახოსს, თეოდორიტეს, მინიკეს(?), სევირ-მინოვეს, ევსების, ოქროპირს, აკაკის, სევერიოსს, ნოსელს (გრიგოლს), აპოიტინს, კჳრილეს („კჳრილესი „ღვაფჳრათაგან“), სხჳრინეოსს, ორიგენს, ირინეოსს, აკჳლას, სევერიანე გაბაონელს, სევიროსს, დიდჳმოსს (ДИДИМЪ) და სხ.

რადგან ამ წმიდა-მამების (II—V საუკ.) ნაწერები ნაკლებად არის ცნობილი სამეცნიერო მწერლობაში, ამის-გამო ზემოხსენებულს სხოლიებს მნიშვნელობა უნ-

---

ტვიცებია (ო)ქროპირს“. ხოლო ჩუბინოვი ასოებს :ႴႮ: კითხულობს „ქორონიკონსა (ს)პ“ (1060 წ.).

*) აქ გუჯარი № 378 უმატებს: „იოვანეს“.

და მიეცეს მეცნიერებაში. როგორც სჩანს, სხოლიები შედგენილია თჳთ ქართველ მწერლისაგან, რომელსაც ყოველ განსამარტავ სიტყვა-ფრასისთჳს გამოუწერია აზრი ზემოხსენებულ მამათა ნაწერებისაგან. შესანიშნავია, რომ თითოეულს განსამარტავ სიტყვას ან ფრასას მარტო ერთი სხოლიო აქვს, ერთის რომლისამე ზემო აღრაცხილ მამათა ნაწერებისაგან ამოღებული.

ჩვენ ქართველთათჳს და ქართულ მწერლობისთჳს სხოლიებზე უფრო ძვირფასია თჳთ ტექსტი დაბადებისა, რადგან, როგორც ცნობილია, ჩვენი ძველი დაბადება, მე-XI საუკუნეში გიორგი მთაწმიდელისაგან ხელახლად გადათარგმნილი და გასწორებული, არსად მოიპოვება, და თჳთ ვახტანგ-მეფემ ვერ იპოვა, რაისაგამო რამდენიმე წიგნი ძველის აღთქმისა სლავიანურ ენიდამ გადმოაქართულეს (ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, გადმოამახინჯეს) არჩილ მეფემ და იოსებ ხამებელის კომმისიამ (ამაზე იხ. „იოსებ სამებელი“, ჩემი გამოკვლევა, ჟურნ. „ივერია“ 1884 წ. № II—III და ალ. ცაგარლის «Свѣдѣнія» T. I, გვ.). ათონში დაცული მე-X საუკუნის დაბადება პირვანდელ დროის დაბადების პირია და არა გიორგი-მთაწმიდელისგან თარგმნილი და შესწორებული.

სამწუხაროდ, ჩვენგან ნაპოვნს დაბადებას თავ-ბოლო აკლია. მაგრამ ამ ნაკლს შესამჩნევად ავსებს მეორე ცალი ხელნაწერ დაბადებისა მე-XIII საუკუნის ხელით დაწერილი, იმ გვარისავე სხოლიებით, რომელიც ჩვენ ვიპოვეთ იმავე ეკლესიაში, თუმცა ეს უკანასკნელი დაბადებაც მეტად დაზიანებულია. ერთი-მეორის შესწორებით ჩვენი დაბადება, გიორგი-მთაწმიდელის თარგმნილი, შეიძლება აღიმსოს. გარდა ამისა ჩვენ ვიპოვნეთ მესამე ცალი დაბადებისა, მხედრულად ნაწერი მე-XVI საუკუნის ხელით, თელავის საკრებულო ტაძარში. ამ უკანასკნელს შესანიშნავ ხელნაწერსაც თავი და ბოლო აკლია (თავში აკლია ოთხი რვეული ანუ 32 ფურცელი), მაგრამ რაც დარჩენილა, კარგად შენახულია (დარჩენილია მეხუთე რვეულიდამ 69 რვეულამდი, ე. ი. 520 ფურცელი ანუ 1040 გვერდი).

აქიდამ სჩანს, რომ წინააღმდეგ ვახტანგ-მეფის მოწმობისა, საქართველოში კიდევ მოიპოვება გიორგი-მთაწმიდელის დაბადება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი მწერლობა და სასულიერო მთავრობა მიაქცევს ყურადღებას ზემო-ნაჩვენებ ხელნაწერებს და დაბადების ახალ გამოცემის დროს ისარგებლებს და იხელმძღვანელებს იმ ვარიანტებით. მიუცილებელი საჭიროებაა, რომ თუ სხვა ვარიანტებს ვერ აღმოვაჩენთ, ესენი მაინც არ დავკარგოთ, რადგან თუ დაბადება დაგვეკარგა, მეორე გიორგი-მთაწმიდელს, ამ დაქვეითების დროს, უეჭველია, ვერ მოვესწრებით.

ზემოხსენებულს ხელ-ნაწერს სჭირია სრული აღწერა. ჩვენ მხოლოდ მოკლედ აღვნუსხავთ მის შინაარსს.

ხელნაწერი იწყება 1) ლევიტელთა მეორე წიგნიდამ და შეიცავს სრულად მესამე წიგნს: 2) „წიგნი მესამე ლევიტელთა ვთრისათჳს, თავი :იდ:“. თავებად არ ყოფილა დაყოფილი, მაგრამ მე-XVII საუკუნის ხელით შემდეგ მიუწერიათ თავები;—3) „რიცხუნი ძეთა ისრაჱლისათანი აღწერილი მოსესი“ და ზედვე სხვა ხელით: „თავი ჳ“.

ეს წიგნი ესრე იწყება: „და იტყოდა უფალი მოსეს მიმართ უდაბნოსა სი-

ნაჲსასა, კარავსა შინა წამებისასა, ერთსა მეორისა თთჳსასა, წელსა მეორესა გამოსლვისასა"...

იქვე იპოვება არშიაზე წარწერა ტექსტის ხელით, სხვა მელნით: „მეორესა თთჳსა მეათესა (ე. ი. 10-ს აპრილს) კათალიკოზ ყვეს ბერი ევსტრატი". რადგან ქართლის კათალიკოზებში ევსტრატი არა სჩანს, ამის გამო ის უნდა იყოს იმერეთის კათალიკოზი, რომელიც ისტორიამ არ იცის. მე-XII საუკუნეში ცნობილი ევსტრატი ბერი მთაწმიდელი იხ. ჩემს «ქრონიკებში», წ. I, გვ. 213; 232. შეიძლება ეს ევსტრატი კ˜ზად დაესვათ იმერეთში გიორგი-მეფის დროს († 1112).

მეთორმეტე რვეულის მესამე ფურცლის მეორე მხარეს არშიაზე აქვს შემდეგი წარწერა ტექსტის ხელით წითურად: „სხვაჲ": „ესე საოლიონნი (სხოლიონნი?) ყოველნი იმერისა პირისა კიმენსა შეეტყუჱბიან: და რომელთაგან მუნ არა დაეტეოდეს სიგრძითა - - ერთისა მის დიდისა სხოლიონისაჲთა. რომლისა მუნ დაწერაჲ საჭირო იყო. რომლისაცა დაწყებაჲ არს ესე: შესწავებულ უკუჱ იყავნ, ვითარმედ ვიეთმე ესე ჰგონეს მისთჳს":

აქ მოხსენებული კ ი მ ე ნ ი იყო მე-V—VI საუკუნის ქართული მთარგმნელი წიგნთა (ამ კიმენზე იხ. ჩემი „ქრონიკები", წიგ. I, გვ. 223).

3) „მეორე სასჯულოჲ აღწერილი მოსესი წ˜წყლისა და შჯულის მდებელისა".

ეს წიგნი მოსესი იწყება ესრე: „ესე სიტყუანი არიან რომელთა ეტყოდა მოსე ყოველსა ისრაჱლსა".

მეთოთხმეტე რვეულის მეხუთე ფურცელს არშიაზე აწერია: „კაპპადოკთა იტყჳს დამკვდრებულად იროირითგან ვიდრე ლაზადმდე, რომელთა განასხნეს ოდესმე ეველნი":.

მეთოთხმეტე რვეულის მერვე ფურცელზე აწერია არშიაზე წითურად: „ესე სხოლიონი იმერისა პირსა შეეტყუჱბის: გარნა დედასა ესრე წინა-უკმოდადებით ეწერა".

მეჩვიდმეტე რვეულის მეორე ფურცლის არშიაზე აწერია „Ⴉიმენი:." და იქვე მოყვანილია არშიაზე კიმენის ვარიანტი ძველის აღთქმის („რიცხუთა") თარგმანისა, ხოლო ამის პირდაპირ შიგ ტექსტში წ˜ა გიორგი-მთაწმიდელის თარგმანი, ესრე:

| არშიაზე წითურად კიმენის ძველი თარგმანი: | ტექსტში აწერია (გიორგი-მთაწმიდელისა): |
| --- | --- |
| „და ვინ არს კაცი, რ˜ლსა მიეთხოოს ცოლი და არა შეერთოს. ვიდოდენ და მიიქციენ სახიდ თჳსსა. ნუ სადა მოკუდეს ბრძოლასა შ˜ა, და კაცმან სხუამან შეირთოს იგი". | „ვინ არს კაცი, რ˜ნ აღაშენა სახლი ახალი. და არა ჰყო სატფური მისი, ვიდოდენ და მიიქციენ სახიდ თჳსსა, ნუ უკუჱ მოკუდეს ბრძოლასა შ˜ა. და სხუამან კაცმან ყოს სატფური მისი.... (და სხ.). |

ამ ნაირად ჩვენი წარწერა გვაძლევს ახალს და ძვირფასს ცნობებს: 1) გიმენი, რომელსაც უთარგმნია ქართულად უმკლესის წმიდანების ცხოვრება (იხ. ჩემი „ქრონიკები“ წ. I გვ. 223) დაბადების წიგნის მთარგმნელიც ყოფილა, და აქ, ამ წარწერაში, ერთი ნიმუშიც გვაქვს მისის ნათარგმნისა; 2) როგორც შედარებიდამ სჩანს, გიმენს უთარგმნია ებრაულ ტექსტით, ხოლო წ~ა გიორგი მთაწმიდელს — სამეოც-და-ათთა მთარგმნელთა ტექსტით. ამ უკანასკნელის აზრის სრული გამორკვევა ცალკე შრომას ითხოვს.

4) „იისოჳ ნავესი“. ეს წიგნი იწყება ესრე: „ჵა იყო შ~დ აღსრულებისა“...

5) „მსაჯულნი“. ეს წიგნი „მსაჯულთა“ იწყება ესრე: „და - - აღსრულებისა იისუჲსა“...

6) „როჳთი“. ამის შემდეგ ბევრი აკლია, ფურცლები არეულია და გულდადებით შრომა უნდა მათს დაწყობას და ცნობაში მოყვანას.

6) «ეზეკიილ“.—სხვა წინასწარმეტყველების წიგნების ფურცლებიც არეულია და მეტად დაზიანებული.

შესანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი წიგნები არა თუ თავებად, არამედ მუხლებადაც დაუყვიათ მე-XVII—XVIII საუკუნოებში და არაბული ციფრები დაუსვამთ. აქა-იქ იპოვება იმისი კვალიც, რომ მერმინდელს დროებში (XVIII საუკ.) ძველი ტექსტი შეუსწორებიათ ახალ დაბადების ტექსტთან. ყველა ამას სჭირია გულდადებითი შესწავლა და გამორკვევა.

---

ხელნაწერი ქუთაისის ტაძარში, სობოროში, ძველს ქაღალდზე მე-XII საუკ. ხელით infolio, შეიცავს ბასილ დიდის ასკეტიკონს, გადაწერილს, რამდენადაც ვიცნობთ, თვით ეფრემ მცირის კელით, ბოლოს წარწერა ტექსტის ხელით: „დიდება და მადლი ღ~ა. აქა სრულ იქმნა ასკიტიკაჲ დიდისა ბასილისი“:.:.

და ზედვე: „საცნაურ იყავნ, ვითარმედ უმეტეს ათორმეტისა წლისა ჟამთა მოველოდენით პატიოსნისა მღდელისა პროკოპის მიერ თარგმნილსა ასკიტიკასა ამას წ~ისა ბასილისსა: და გინათუ ჟამთა სიჰავითა, ანუ კაცთაცა სიგრილითა არავინ მოგვტანა, არცა ზემოჲთ, არცა სამეფოჲთ: ამისთჳს ვითარცა სასოწარკვეთილი მისგან. ბრძანებითა წ~ისა მამისა ანტონი ტბელისაჲთა პირველ ესოდენთა წელთა დაწყებულსა. ვიიძულე ბერძულისაგან თარგმნად. რამეთუ მაშინ მეწყო ოდენ. და რაჲ მესმა დავიცადე. დღითი-დღე წყურიელად მოლოდებითა მისითა. ხოლო აწ შიშითა ჟამთა და გზათაგან ვერ მოწევნისაჲთა ვთარგმნე ამით გულის სიტყვთა. რათა უკეთუ ოდესმე მოიწიოს მისი თარგმნილი: მისი იპყრათ ვითარცა უხუცესისაჲ. და ესე ვითარცა უმრწემესისაჲ:. და რომელი რაჲმე მუნ ჰმატდეს გინა აქა ორთაგანვე უმჯობესი შეიძინეთ. და სხუჱბრობაჲ ნუვე გიკჳრს: რამეთუ თჳთ ბერძულნიცა წიგნნი ვითა-

რიცა ვინ დედაჲ ჰპოვოს ეგრე გარდაიწერებიან. და თუთ (თჳთ?) ორთა წიგნის საცავთა სჳმეონ წმიდისათა ასკიტიკონნი. სხჳთა და სხჳთა ჰმატდეს ურთიერთას: ამისთჳს თუალისაჲცა მოვიღეთ: და თჳთ მათვე ბერძენთა უბრძნესთა და უსულიერესთა კითხვითა ძალისაებრ სისრულე და სიმართლე ვიხარკე: - : - : - : -

არშიებზე აქა-იქ სხოლიები უწერია. ამ სხოლიებში ყურადღების ღირსია შემდეგი: ტექსტის პირდაპირ, სადაც სწერია: „და განვიდეს მიგებებად სიძისა და სძლისა“ არშიაზე გამოყვანილია შემდეგი: „შეისწავე რამეთუ ძუელთა სახარებათა ბერძულთაცა ყოფილა სიძისა და სძლისა: ხოლო აწ არცაღა მათთა არს და არცა ჩუენსა ახალსა (სახარებასა): რამეთუ უსრულესისა მიმართ წარემატა ეკლესიაჲ ღვთისაჲ (ღ͠ჲ)“.

აქედამ ცხადია, რომ მე-XI საუკუნის მწერალი ეფრემი ახალ სახარებად უწოდს წ͠ა ექთიმის და გიორგის თარგმნილს, ხოლო ძველს სახარებად—უწინდელს მე-IV—V საუკუნეში თარგმნილთა. *)

მას მოსდევს წმიდანების ცხოვრება, რომელიც დაბოლოვებულია წარწერით:

„ქ. ამას წიგნსა ეწოდების ფილოთეონ ისტორიაჲ. რომელ არს ღ͠თის მოყ͠რებით თხრობაჲ:. რამეთუ ვითარ იგი კლემაქსსა და დიოლოღონსა იგივე ბერძული სახელი უწოდიან ქართულადცა. ეგრეთვე ამისთჳს უსაკუთრეს არს წოდება ფილოთეონ ისტორიაჲ:—რომელი ესე თჳთ აღმწერელისა ამისისა თეოდორიტესგან სახელდებულ არს ამისდა:. ხოლო საჭირო არს თქმად თჳთ

*) აქ საჭიროდ ვრაცხ შევნიშნო ისიც, რომ, ჩვენის აზრით, ყველა ჩვენი მკვლევარნი დიდათ შემცდარნი არიან, როდესაც იგინი ამტკიცებენ, „ქართლის-ცხოვრების“ მიხედვით (გვ. 110), კითომ სახარება პირველად თარგმნილი იყოს (ქართულად) 434 წელს დედოფლის საგდუხტისთჳს. საქმე იმაშია, რომ ქ-ცხოვრების (გვ. 110) აზრი ჩვენ მკვლევართ სწორედ ვერ გაუგიათ. ქ-ცხ-ით საგდუხტი იყო რანის ერისთვის ბარზაბოდის ქალი და მაშასადამე სპარსი. როდესაც იგი მირდატის მეუღლედ გახდა, მან ქართული არ იცოდა და ცეცხლ-მსახური იყო. მაგრამ „ამან საგდუხტ დედოფალმან გამოიკითხა სჯული ქრისტესი, რამეთუ ქმარმან მისმან მოჰგვარნა კაცნი სჯულის მეცნიერნი (სპარსულის ენის მცოდნენი), და უთარგმნეს სახარებაჲ უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და აჩვენეს, ვითარმედ ჭეშმარიტი ღმერთი ქრისტე არს... მაშინ საგდუხტ გულის-ხმა ჰყო და ცნა სჯული ჭეშმარიტი და დაუტევა ცეცხლის მსახურება, ნათელ-იღო და იქმნა მორწმუნე და ამან აღაშენა სიონი სამშვილდისა“ (ქ-ცხ. I, 110).—ცხადია, რომ საგდუხტისთჳს, როგორც სპარსისთჳს, ქართულით სპარსულად უთარგმნიათ სახარება, რადგან მან ქართული არ იცოდა. აქ სხვა-აზრის დადება შეუძლებელია. აზრადაც მოსასვლელი არ არის, რომ ქართველთ მირიანიდამ საგდუხტამდინ მთელის საუკუნის განმავლობაში სახარება არ ჰქონოდეთ ქართულ ენაზედ და მხოლოდ მეხუთე საუკუნეში ერთის ქალისთჳს, საგდუხტისთჳს, პირველად ეთარგმნოთ ქარ-

მისდა თეოდორიტესთვსცა რათა უწყოდით:. :.—

თეოდორიტე არს ნათესავით ანტიოქელი. სადა იგი იშვა და აღიზარდა. და განისწავლა: რომლისა საზომსა გონიერებისა და სწავლულებისასა ცხად ჰყოფენ აღწერილნი მისნი: რომელთა მიერ თავთა გამომეტყუელთა და აღმწერელთა თანა შერაცხილ არს ბერძენთა შორის:. რამეთუ ვინაჲთგან გამორჩეულ იქმნა ებისკოპოსად ქალაქისა კვროჲსა. რომელი ახლავს დიდსა ქალაქსა ანტიოქიისასა: მიერითგან ვითარ თვთ მისწერს ლეონ ჰრომთა პაპისა. არარაჲ კორციელი განსაგებელი ულუწიეს: თვნიერ წინამბრძოლობაჲ ეკლესიათაჲ: რამეთუ იტყვს ვითარმედ სამასი ეკლესიაჲ შევსძინე მწვალებელთა და მეკერპეთაგანი მართლ-მადიდებელთა ეკლესიასა:. ამასთანა ყოველთა ძუელთა და ახალთა წიგნთა თარგმანებანი აღუწერიან დაბადებითგან ვიდრე სამოციქულოდმდე: და სხუანი პირად-პირადნი საეკლესიონი ჟამთა მოთხრობანი: და ბუნებათა მეტყუელებანი: რამეთუ სიჭაბუკითგან იწყო და დიდად სიბერედ მიიწია:- :-

არამედ შურითა ეშმაკისაჲთა დაკნინდა წარმატებულებაჲ მისი: რაჟამს თანაშემწეობისათვს თვსისა მამა[მთავრისა] ანტიოქელ პატრიაქისა [წინააღ]მდგომნი თავნი დაწერნა [კვრი]ლეს მიმართ ალექსანდრიელისა:. რამეთუ დრტვნვიდეს მისთვს. რომელ თვნიერ თანა დახუდომისა მათისა ქმნა მან კრებაჲ ეფესოჲსაჲ და განკუეთაჲ ნისტორისი: ვინაჲცა წინააღდგომაჲ კვრილესი. შემწეობად ნისტორისსა შეურაცხეს მას: და განავდეს ეკლესიით: ვიდრემდის ბრძანებითა ლეონ ჰრომთა პაპისაჲთა კ̃დ შეიწყნარა იგი კრებამან ხალკიდონისამან. და სიყდარსა თვსსა დასუეს და რიცხუსა მათსა თანა აღმავსებელ ყვეს: და მიერითგან ყოველნი ხალკიდონისა კრებისა შემწყნარებელნი თეოდორიტესცა შეიწყნარებენ: და მხოლოდ თავთა მათ მის მიერ დაწერილთა წინააღსადგომელად კვრილესსა შეაჩუენებენ და განაგდებენ: ხოლო სხუანი წერილნი მისნი დიდად წარჩინებულად და საზეპიროდ ჰქონან: და თვთ თეოდორიტე ვითარცა არსცა წინამბრძოლად მართლმადიდებელთა კრებულისა აქუს. ძლიერებისათვს სიტყუათა მისთაჲსა და ბრწყინვალებისათვს ცხორებისა მისისა:. ;.

ამის მიერ აღწერილისა ამის ფილოთეონ ისტორიაჲსა მოსურნე იყო წ̃ჲ და ღ̃თშემოსილი ბერი ჩ̃ნი ანტონი. და მისითა ბრძანებითა და ლოცვითა

---

თულად, მაგრამ ამ კითხვას ჩვენ შემდეგ დავუბრუნდებით. აქ მხოლოდ მოვიხსენიებთ, რომ წ.-კითხვის წიგნთ-საცავში ინახება ორი ძველი სამოციქულო დაწერილი ერთი VII—VIII საუკ., ხოლო მეორე IX—X საუკ. ხელით), რომელთა წინასიტყვაობას წარწერათაგან საგულისხმებელია, რომ სრული სამოციქულო სათაურითურთ უთარგმნიათ ქართულად „მეოთხესა (წელსა მეფობისა) არკადისსა და მეხუთესა (წელსა) ჰონორიისსა" ე. ი. 399 წელს. მოხსენებულს სამოციქულოს ფრიადი მნიშვნელობა აქვს ქართულ მწერლობისთვს და უმეტეს მეცნიერებისთვს.

ითარგმნა ესე თჳთ მისდად: რათა მსგავსი მსგავსთა თანა იშუჱბდეს. რომელთამე ჰყდებოდის( sic). ხოლო რომელთამე შეესწორებოდის. და ¦არსმცა ვითარ იგი არს. მათებრვე სრულ ღუაწლითა. და მათითავე შემკულ გჳრგჳნითა:. :. ხოლო აქუს წიგნსა ამას ფრიადი სიღრმე სიტყუათაჲ: უმრავლესი ბერძულად. და არა მცირედი ქართულადცა: რომლისა შეცვალებაჲ და გამარტივებაჲ არა ძნელ იყო. გარნა შემინდვეთ უღირსსა მონასა თქუენსა ეფრემსა მცირესა. რამეთუ ესრეთ უმჯობეს ვჰგონე რათა ხატი და მოქცევი სიტყუათაჲ იგივე აქუნდეს ბერძულისაჲ: რამეთუ ესეცა არავე უკმარ არს მათთჳს რომელნი ჟამ ზრდილ არიან სძითა სიტყუათა მარტივობისაჲთა და მიწევნულ ჰასაკსა მტკიცისა საზრდელისასა:. ხოლო მოქცევობაჲ სიტყუათა ამის წიგნისათაჲ ესე ვითარი რაჲმე არს: რამეთუ რაჟამს სიბრძნის მოყუარე ანუ ღ҃ის მგალობელთა მწყობრი თქუას. მონაზონთა სახელად: რამეთუ ჭეშმარიტად ფილოსოფოსობად ესე იგი არს სიბრძნის მოყუარებად ჭეშმარიტსა მონაზონებასა სახელედების. ხოლო ღ҃თის მგალობლობაჲ წ҃ისა დიონოსის სიტყუათაჲ არს:. და კ҃დ რაჟამს მონასტერსა იტყოდის. ოდესმე არვედ უკმობს. ოდესმე სიბრძნის საწურთელად ოდესმე სტადიონად:. ესე და ესე ვითარი ქცეულებაჲ გინა თხზულებაჲ სიტყჳსაჲ. არაუკმარ არს სწავლის მოყუარეთა და კეთილად გამომეძიებელთათჳს. რათა წინაგანმზადნეს ულრმესთარე წიგნთათჳს:. :.

ზანდუკი წიგნისა ამის: Ⴀ: იაკობისთჳს:. Ⴁ ივლიანესთჳს:. Ⴂ: მარკიანესთჳს:. Ⴃ: ევსევისთჳს: —Ⴄ: პოპლიოჲსთჳს: Ⴅ: სჳმეონისთჳს ძუელისა; Ⴆ: პალადისთჳს. რ҃ლისა არს პალადე წ҃ჲ: —Ⴡ: აფრაატესთჳს: Ⴇ: პეტრესთჳს: Ⴈ: თეოდოსისთჳს. რ҃ლსა არასუსისა თეოდოს წ҃ჲ უშენებია:. ႨႠ: რომანისთჳს:. ႨႡ: ზინონისთჳს: ႨႢ: მაკედონიოჲსთჳს: —ႨႣ: მაისუმაჲსთჳს:. ႨႤ: აკეფსიმაჲსთჳს: —ႨႥ: მარონოჲსთჳს:. ႨႦ: აბრაჰამისთჳს:. ႨႡ: ევსევისთჳს: ႨႧ: სალამანისთჳს:. Ⴉ: მარისთჳს:- ႩႠ: იაკობისთჳს:. ႩႡ: თალასოჲსთჳს:. და ლიმნასიოჲსთჳს: ႩႢ: ივანესთჳს: ႩႣ: ზევინაჲსთჳს და პოლჳხრონიოჲსთჳს:. ႩႤ: ასკლიპიოჲსთჳს:. ႩႥ: სჳმეონისთჳს ჰალაბელისა:. ႩႦ: ვარადატისთჳს ႩჁ: მალელესთჳს: ႩႧ: მარანაჲსთჳს და კჳრაჲსთჳს: Ⴊ: დომნინაჲსთჳს.

„სიტყუაჲ სალ҃თოჲსა სიყუარულისათჳს“ და იქვე წარწერა:

„შეისწავე- რამეთუ შჳდნი თხრობანი თჳთ კერძონი სხუათაგან სმენილნი დაუწერიან ძუჱლად ყოფილთანი: ხოლო რვითგან ოცდაერთამდე მათნი. რომელნი მისთა ჟამთა შ҃ა აღსრულებულ არიან და თუალითაცა უხილვან:. ხოლო ოცდაერთითგან სხუანი ყოველნი ჯერეთ მაშინ ცოცხალ ყოფილ არიან ოდეს ესე მათთჳს დაუწერიან:. :.“

იქვე წითურად:

„ქ. ნეტარისა: თეოდორიტე; ეპისკოპოსისაჲ: კჳროს ქალაქისაჲ: ღ҃თის: მოყუარებითი: თხრობაჲ: გინათუ: მოღუაწეთა: მოქალაქობაჲ:...

ბოლოს:

„თეოდორიტე ეპისკოპ~სისა კჳროს ქალაქისა ცხორება მოღუაწეთა მოქალაქობისაჲ. დიდება... მამასა და ძესა და სულსა წ~სა, რომელმან... სრულ ყო ესეცა წიგნი მამათაჲ: ლოცვითა ბერთა ჩუენთაჲთა:. გევედრები ყ~თა მკითხველთა და მსმენელთა და გადამწერელთა: რათა ლოცვასა ჰყოფდეთ ღ~თშემოსილისა მამისა ანტონი ტბელისათჳს, მოძღუართა, მშობელთა, ძმათა და შვილთა მათთათჳს, რ~ნ ოხითა თჳსითა ღ~თისა მიმართ უბრძანა პირუტყვ სახეობასა ჩემ მცირისა და უნ~დოჲსა ეფრემ უნარჩევესისა მოწაფეთა მისთასა, რათა სახელად სიწმინდისა მისისა გამოვსთარგმნო ბერძულისაგან ახლად ქართველთა ენასა ცხოვრება ესე წ~თა ამათ მამათაჲ, რომელნი განბრწყინდეს ანტიოქიას და გარემო სანახებთა და საბრძანებელთა შორის მისთა. უკეთუ რაჲ აქ შინა კეთილად ქმნილი გეპოოს იგი ღთისა სამადლობელ და მათდა სალოცველ ყავთ: ხოლო მე ცთომილებაჲ ოდენ მომიტევეთ. რამეთუ იგი ოდენ არს ჩემი უდებებისა დაუღირსებისა ნაყოფი, ხოლო კეთილი ყ~ი ღ~სა არს და თარგმნობაჲ ესე ჩემი საბაჲს და ანტონის მადლითა და ლოცვითა ქმნილ არს:. რ~ლთა საუკუნომცა არს საკსენებელი და კურთხევაჲ მათი“. (შეადარე ჩემი „ქრონიკები“ I, გვ. 220).

სხვა ხელით (XV საუკ.) წითურად: „ღ~ო შ~ე ც~ი ხარიტონ...“

მე-XVI საუკ. ხელით: „ღ~ო შ~ე ფ~დ ც~ი ი~ე პატარიძე...“

მერე მისდევს წ~ა ანტონის ცხოვრება ფ~დ კრცელი, ბოლო აკლია.

---

## ნიკორწმიდის სიგელი XI საუკუნისა.

დიდებულის ტაძრის ნიკორწმიდის (რაჭაში) გუჯრებში ჩვენ ვიპოვეთ ტყავის გრძელი სიგელი (გრაგნილი) ხუცურ ნუსხად საწერი, რომელსაც თავი აკლია და ბოლოც მოწყვეტილი და დაზიანებული აქვს. პალეოგრაფიული მისი ნიშნები გვაჩვენებს, რომ სიგელი დაწერილია მე-XI საუკუნის ხელით; ამას ეთანხმება თვით შინაარსი სიგლისა, რომელშიაც მოხსენებულნი არიან იმავე საუკუნის ისტორიულნი პირნი: იოანე, ერისთავთ-ერისთავის ლიპარიტის ძე, რომელიც სჩანს 1058 წ. და მეფის გიორგი II-ის დროს (იხ. ჩემი „ქრონიკები“, წ. I, გვ. 204 და ცალკე გამოკვლევა: „Къ матеріаламъ по исторіи Грузіи“, დაბეჭდილი ჟურნალში: „Въ Имп. Общ. Ист. и Древ. Россійскихъ, т. 174, 1895 წ.); კახაბერი, რომლის დროს აღშენდა ნიკორწმიდა ბაგრატ IV-ის მეფობაში (Brosset. Rap. XII, 55—60), კარაზკაჩე, ქველაჲს ძე და სხვ. ვისგან არის მიცემული ეს სიგელი, რომელშიაც აღწერილია სია უცნობ პირისაგან შეძენილ ნიკორწმიდის მამულისა და ნივთეულობისა, არა სჩანს. მაგრამ ცხადად დასანახია, რომ შემძენელი თვით ნიკორწმიდელია (ე. ი. ნიკორწმიდის წინამძღვარი), რომელიც ამბობს: „მე დამხვდა იადგარი ნახევარ დაწერილი :ა: (ე. ი. სიგელი) და გავასრულე ყოვლითავე სისრულითა: შევმოსე და მოვ-

ცვარე და შევბეჭდე და მისისა დაწერისა და შეკაზმისათჳს მივეც დრაჰკანი დუკატი :იე:" და სხ. ფრასა: „მე დამსვა" გვაგულისხმებინებს, რომ სიგლის მიმცემელი ნიკორწმიდის ცნობი წინამძღვარია, რომლის უწინ სხვა წინამძღვარი მჯდარა ნიკორწმიდას. ამას აზრი უმეტესად მტკიცდება სიგლის ფრასათა: „რომელნი მე თჳთ მიყიდიან რიცხჳთ ოც და-ათი ესე, რომელ აქა შიგან დამიწერია ...ყოველი ერთგულებით მიმსახურებია წმიდისა ნიკოლაოზისათჳს და პატრონისათჳს.....". რადგან ამასთან სიგლიდამ სჩანს, რომ შემწირველი მდიდარი და წარჩინებულ გვარის კაცია, ამისგამო ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ ამ სიგლის მიმცემელი არის კირილე, ძე ერისთავთ-ერისთავის რატისა. ამ კირილეს შეწირულობათაგან აქამდი დარჩენილა ნიკორწმიდაში ძვირფასი ჯვარი გრაფინია უვაროვისაგან ფოტოგრაფიულად გადმოღებულის წარჩინებულის წარწერით, რომელიც მისს გამოცემაში ფრიადის გადასხვავებით წაკითხულია („იხ. Матеріалы по археологіи", Кавказа стр. 138). აგრეთვე მძიმე შეცდომებით წაუკითხავთ ეს წარწერა ჯომიაშვილის (Сборник. № 97) და კანდაკოვ—ბაქრაძეს. ამისგამო ჩვენ აქ ჩაურთავთ ჩვენგან სწორედ აღმოკითხულ ტექსტს წარწერისას, რომელიც სრულიად წააგავს მცხეთის დასავლეთის კარიბჭის 1020 წლის ასომთავრულ ასოებს: „ქ. მე: კახაბერყოფილმან: კირილე: ძემან სულ კურთხეულისა: ერისთავთ ერისთავისა: რატისამან მოვჭედე: ხატი: ესე ჯუარცუმისაი: ნუგეშინის: მცემელად: და: სალხინებელად: სულისა: ჩემისა: ცოდვილისად: და: სადღეგრძელოებელად: ძისა: ჩემისა: ერისთავთ ერისთავისა: რაჭის ერისთავისა: რატისად:"—ამ კირილეს გიორგი II-ის მეფობაში აღუშენებია სამხრის ეკკლესია ნიკორწმინდისა, როგორც ამაზე მოგვითხრობს წარწერა იმავე ეკვტერისა, შეცდომით აღმოკითხული არქეოლოგთაგან. ამ კირილეს შვილის-შვილი, ივ̃ის რატის ქალი, დედოფალთ დედოფალი კაფემია, სჩანს იმავე ტაძრის წარწერებში (გვ. 131). გრ. უვაროვის აზრი, კითომ ნიკორწმიდა აღშენებულ იყოს ბაგრატ II-საგან 1434 წ. იმდენად უსაფუძვლოა, რომ ამაზე ლაპარაკიც მეტი იქნება. გრაფინია შეცდომაში შეუყვანია დ. ფურცელაძის მიერ შეცდომებით გამოცემულ და ქრონოლოგიურის მხრით გადამახინჯებულ გუჯრებს (Ц. гуджеры, стр. 129).

ჩვენის აზრით ამ სიგელს მრავალ-ფეროვანი მნიშვნელობა აქვს ჩვენის ძველის ენისა, შინაურ ძველ წეს-წყობილებათა და წოდებათა დამოკიდებულების შესაგნებლად და გამოსაკვლევლად, და ამისგამო შეუცვლელად და შეუმოკლებლად ვბეჭდავთ.

----შემოსწ[ირა]-. | --კობასტი [1]) | --ინვე შუშანამან-- | --ისაი ვეცხლისაჲ :ა:-- | --საჲ :ა: ი̃ელიპარიტის [ძემან [2]) შემოსწირა] | სტავრაი (Sic) ლომოანნ ბერძ-- | —და უკიდავს: კახაბერსა [3])-- | --ს ცოლ-

[1]) კობასტი არის ლეჩაქი ანუ ჩიქილა: საქმე მოციქ. IX, 39 საბას ლექსიკონი).—

[2]) ცნობილი ლიპარიტ IV და ძე მისი იოანე, 1058 წ. (ქრონიკები I, 204).

[3]) კახაბერი ერისთავთ-ერისთავი, პაპა ამ სიგლის მიმცემელის ნიკორწმიდელის კირილესი (Rap. XII, 56—60). კირილეს ბეროზის სახელი არის კახაბერ.

მან ზაზი შე[მოსწირა] | [ბა]ღდადური აფი [4]) :ა: და შევკე[რე][ე]ნ კუარ-თი :ა: და სასთაული :ბ: [5]) | ნუშ (ანუშ?) შემოსწირა კუბასტი ბერძუ[ლი] :ა: და კუართად შევკერეთ: და გლეხი | - - და ალაპი გარდაეკდების სულისა | [წ]̃სა მოფენასა: წორბელმან შემოსწირა | ზნაკუას გლეხი :ბ: და მიწანი და მისთჳს ალაპი გარდაიკდების ჯ̃ისა გამოჩინებასა. კარაჸ კაჩე შემოსწირა მისა მისისათჳს ფუთს [6]) გლეხი :ბ: და ალაპი გარდაეკდების დღესა ახალ კჳრიაკე-სა: წირქუალელისა ძემან შემოსწირა გლეხი :ზ: და მას თანა შემოატანეს ჯო-რი :ა: მოლოჲ (Sic) [7]) :ა: კრმალი :ა: და ამისთჳს გარდაეკდების ალაპი დღე ფერისცვალებაჲ და საფლავთა მისთა ზ̃ა დაგვდგენია ჟამის მწირველი :ა: და რომელ მე მიყიდიან გლეხნი და მიწანი და მათთჳს გამიცემია ეკლესიისაგან განძად და პირუტყუად. მეტეხარას (Sic) დებორიანის ძისაგან ვიყიდე გლეხი :ა: და მისთჳს მივეც მულოი ახალი ერთი (sic) და შედეგი მულოჲ :ა: [8]) ხა-ბასტაი (ტაბასტა) [9]) სომხური :ბ: ჯაჭვ :ა: [10]) და კარი კარგი :ა: სასთული ხირაითა [11]) კარგი :ა: და ქაფი [12]) ჯაჭვსაჲ :ა: და მოწამე არიან კაცნი: მის-ვე დებორიანის ძისაგან ვიყიდე: პარტახტი :ა: [13]) და მივეც ცხენი :ა: და ჩაბალახი [14]) გუდამაყრული :ა: და მოწამე არიან კაცნი: და მუნვე მეტეხარას. კასალის ძისაგან ვიყიდე: ვენაკი :ა: და მივეც კარი :ა: და საკნისი :ბ: და მო-წამე არიან კაცნი. ჯინჭარაძს მისა გლეხისაგან ვიყიდე: ნაოთხალი ვენაკისაჲ: ჩ̃ნ თანა ედვა და გავისაკუთრე და მივეც ზროხაჲ :ა: და ორმოცისა დრამისა კმელადი [15]) და მოწამე არიან კაცნი. (sic) მუნვე მეტეხარას ჯინჯიოძისაგან ვიყიდე: ვენაკი ჩ̃ნსა გლეხსა თანა ედვა და მივეც ფური :ა: და კმელადი სა-მოც-და-თხუთმეტისა დრამისაჲ და მოწამე არიან კაცნი: და მუნვე მეტეხარას

---

[4]) „აფი“ (ქაფი ?) ლექსიკონებში არ არის განმარტული.—

[5]) სასთაული=ბამბის ბალიში (საბა).

[6]) ფუთს=ფოთს (?).

[7]) მოლო არის მცირე ორხუა, ხალიჩა (საბა).

[8]) მულოჲ უნდა იყოს იგივე მოლო (შენიშ. № 7).

[9]) ხაბასტა სწერია, მაგრამ უნდა იყოს ტაბასტა. ტაბასტა ანუ ტაბასტა-კი არის მკირფასი წითელ ფარჩეული, რომელსაც ფესთ დაუფენდენ მეფეთა. ტაბას-ტა=სისხლის დინება (საბა).

[10]) „ჯაჭვი, რომელ არს აბჯარი, ჯავშანი (საბა).

[11]) „სირაული“=თხელი ფიჩვი (საბა), ე. ი. მატულის ფარდაგი.

[12]) ქაფი=ჯავშანთ შემოსაჭირებელი სამკარ-ლღიაები (საბა).

[13]) პარტახტი=უნამუშაკარო ადგილი (საბა).

[14]) ე. ი, ჯაჭვის თავ-საბურავი საომრად (საბა)

[15]) ე. ი. ნივთეულობა. დრამა არის ექვსი დანგი ანუ 12 ქართლის წონა (სა-ბა). „ორიანი ხუთი დანგი (ვერცხლი) ერთი აბაზი (წარწერა 1670 წ. გადაწერი-ლის ალბუდას კანონის ხელნაწერისა).

დავდგი სასაწნეხლოჲ ქვითკირი :ა: (sic) და შიგან ყურძნისა საწნეხი ქვით-
კირ [16]) :ა: და შეშისა საწნეხელი :ა:

ზნაკუას შევქმენ სასაწნეხლოჲ ქვითკირი :ა: დ შიგან ყურძნისა საწნეხი :ბ: და შეშისა საწნეხელი :ა: [17]) [ქვით]კირი ბოსელი :ა: და ზედა ხერხული ბელელი :ა: ქვითკირი ფარეხი :ა: და ზ~ა ქორეთი [18]) სახლი :ა: და დავფალ მარანსა შ~ა ქური :გ: და მუნვე ზნაკუას :ე~ე: მ~ნ. მ~ქლ [19]): წორბელისგან და კასტანგისგან იყიდა მიწაჲ ტყიანი და მათ უბოძა ფასად ჯაჭვ :ბ: და იგი მიწაჲ წ~ა ნიკოლაოზს შემოსწირა: და მუნვე ზნაკუას ვიყიდე აგარასთანა აბულათაჲს ძისაგან ვენაკი :ა: და ყანაჲ :ა: და მისთჳს მივეც ცხენი კარგი :ა: და მოწამე არიან კაცნი: და მუნვე ზნაკუას კასტანგის გლეხისაგან ვიყიდე: ყანაჲ :ა: და მივეც ხუარბალი: გრივი [20]) :გ: და მოწამე არიან კაცნი: მუნვე ზნაკუას კეპოჲს ძისაგან ვიყიდე ყანაჲ :ა: და მივეც კარი ერთი. რკინაჲ ლიტრაჲ რვაჲ და ქალამანი :ბ: და მოწამე არიან კაცნი და მუნვე ზნაკუას: კასტანგის გლეხსა მივეც სახლი :ა: და მისგან ავიღეთ ყანაჲ :ა: და მოწამე არიან კაცნი. გლეხსა ჩუენსა ცხენი მოჰპარეს მუნვე ზნაკუას და საზღაულად ავიღეთ მიწაჲ ნაკუეთი :ბ: და მოწამე არიან კაცნი: აქშემოისძისაგან ვიყიდეთ მუნვე ზნაკუას ჯუარისას ჩამომართებით ყანაჲ :ა: და მისთჳს მივეც ფასი სრული.

ნიკოლაოს წმიდას (sic) შევქმენ სახლი ქვითკირი :ა: და ზედა სახლი მუხისაჲ კარგი :ა: მარანი ქვითკირი :ა: და დავჰფალ შიგან ქური ნავარძული :ივ: შევქმენ სახლი მუხისაჲ :ა: და ზედა სახლი ქორედიანი და სენიანი (sic) :ა: სხ~ჲ სახლი შევქმენ ცილოფისა (sic) და მუხისაჲ :ა: სხ~ჲ სახლი შევქმენ მუხისაჲ სამზარაულოჲ :ა: სხ~ჲ სახლი შევქმენ სახუცოჲ: მუხისაჲ :ა: და ნაძვისაჲ :ა: ბეთაბრელსა შეუქმენ სახლი სრული ვითა კამს ყოვლითავე ფერითა :ა: პიშკარი (sic) შევქმენ :ა: ქვითკირი შევქმენ ბოსელი :ა: და ზედა სახლი მუხისაჲ კარგი: :ა: სამეკრეოჲ სახლი შევქმენ :გ:

საკადს რომელ ვიყიდენ მიწანი: ქველაჲსძისაგან ვიყიდე ზახლეულს მიწაჲ :ა: და მისთჳს მივეც კარი :ა: საკნის :ა: და მოწამე არიან კაცნი: შუბაკთაგან ვიყიდე კაჩაეთს ყანაჲ :ა: და კევკმელს :ა: მისთჳს მივეც კარი :ა: და საკნისი :ა: და მოწამე არიან კაცნი: კევკმელს მაღლა ყანისა ნახევარი შემოსწირა და ნახევარი ფასითა ვიყიდე: მოწამე არიან კაცნი; შხროს ზ~ა ნავარქაისაგან (sic) ვიყიდე ყანაჲ და მისთჳს მივეც ხუარბალი გრივი :ა: საყნისი (sic) :ა: [21]) და მოწამე

---

[19]) ეს სიტყვა სტრიქონ-ზემო აწერია.

[17]) აქ განგებ ამოშლილია ორის სიტყვის ადგილი.

[16]) ქორეთი ანუ ქორედი სახლი, ე. ი. „ერდოთა ზედა სახლი“ (ზემო სართული სახლისა; мезонинъ).

[19]) ე. ი. „ერისთავთ-ერისთავმან მიქელ“, ეს პირი უცნობია ისტორიაში.

[20]) გრივი 55 ლიტრაა (12 ფუთამდი).

[21]) სახნისი?

არიან კაცნი: ქველაჲს ძისა შვილთაგან (sic) ავილეთ საზღავად მიწაჲ შხროს ზ̃ა რუსისძესა თანა და მოწამე არიან კაცნი: ცისკარაის ძისაგან ვიყიდე შხროს ამომართებით ყანაჲ და ტყე და მისთჳს მივეცი ფასად დრაჰკანი :ა: [32]) საკ-ნისი :გ: მღილა (sic) დაკოდნა ეკლესიის კაცნი და მის დასაზღავად ავილეთ ვე-ლი ჰრულსა რაჲცა იყო მისი კერძი: მოწამე არიან კაცნი. კჳდილაანისა სუ-ლისათჳს შემოსწირეს შხროს ყანაჲ: მოწამე არიან კაცნი. ზნაკჳსა თავსა კჳ-დილიანმან შემოსწირა მიწაჲ სანახევროჲ მოწამე არიან კაცნი. ნეჩრელთაგან ვიყიდე კაჩაეთს ყანისა ნახევარი და მისთჳს მივეცით ფური :ა: ხაჰოჲ კაბიწი :ბ: [23]) ფეტჳ კაბიწი :ე: მოწამე არიან კაცნი: კლარჯეთ (sic) შემოსწირეს შო-მეთს (შოშიეთს?) ჩ̃ნ თანა საზიაროჲ ყანაჲ და მოწამე არიან კაცნი: ქუ-მელოანს ვიყიდე სგოჯაჲსძისაგან ყანაჲ :ა: და მივეც რკინაჲ და მატყლი: დრა-მისა :ლ: საჲ. მოწამე არიან კაცნი: ჰერნეულისა თავსა ვიყიდე თაკბტრუელისა-გან ყანაჲ და მივეც ფასად ოცისა დრამისაჲ: და მოწამე არიან კაცნი [24]).

ხოტევს ვიყიდე გაბოშისაგან მიწაჲ და მივეც კარი :ა: და ზ̃ა აგარა და-ვდგი. სახლი სენაითა (sic) და ქუეშე ორითა ბოსლითა დავდგი ბელელი სა-დაგი :ა: [25]) და ზ̃ა შველი (sic) ხერხული :ა: ჩაჟრავისაგან ვიყიდე მიწაჲ და მივეც ოთხმოცისა დრამისაჲ მოწამე არიან კაცნი: ეფრემ შემოსწირა ყანაჲ :ბ: ხოტევლისა სულისათჳს. იგი და ნასყიდი ერთგან შევკრიბე და გლეხი დავასახ-ლე აგარასა შინა და ბეგარსა გარდაიკდიდის: ვიყიდე აგარასავე თანა ყანაჲ ოტაბოჲს ძისაგან და მივეც კარი :ა: და ქუაბი :ა: საქუაბე :ა: და კარის ტყა-ვი :ა: და მოწამე არიან კაცნი: კოროფხისშვილისაგან ვიყიდე ყანაჲ აგარასა-თანა და მივეც კარი :ა: და მოწამე არიან კაცნი: ლატკაისაგან ვიყიდე მიწაჲ ხლოანი და მივეც კარი :ბ: ხუარბალი გრივი :გ: და. მოწამე არიან კაცნი: და ვიყიდე სამთა ჯუართა იმერით ყანაჲ ეფრემის ძისაგან და მივეც ლაფაჩაი (sic) სტავრაისაჲ [26]) და მელის ტყავი შიგან ამოკერებული. მოწამე არიან კაცნი: ვიყიდე მასვე მიწასა თანა ლისმსაჲსგან ყანაჲ და მივეც ზროხაჲ :ბ: და მოწამე არინ კაცნი: ვიყიდე მასვე მიწასა თანა იალმაგისაგან ყანაჲ და მივეც მას: დრაჰ-კანი კოსტანტინატი (sic) :ბ: [27]) მოწამე არიან კაც[ნი]: ძირგეულს ვიყიდე სკ-

[22]) დრაკანი უდრისო $1^1/_2$ მანეთს (Brosset: Introd, p, LCXXXIII).

[23]) „კაბაწი არს სამი კოდი, გინა სამი გრივი; ვიეთნიმე ათს კოდს ერთს კაბიწად იტყვიან“ (საბა). გუჯრიდამ სჩანს, რომ ერთი კაბიწი პური უდრის 400 გამომცხვარს პურს; თითო გორულ ჩარექიანს (გორული ლიტრა=400 მეტული) გამოდის რომ კაბიწი ყოფილა $22^1/_2$ ფუთი (იხ. ჩემი გუჯ. წ. II, 21 და 133;123).

[24]) აქ მერმინდლის XVII საუკ. ხელით ჩამატებულია: „აქა ხოტევი“.

[25]) „სადაგი არს ძნელსა და ადვილსა საშვალო“ (საბა), ე. ი. შუათანა.

[26]) ცხადია, რომ „ლაფაჩა“ არის ქურქი.

[27]) „კოსტანტინატი“ ანუ იმპერატორის კოსტანტინე მონომახის ფული (1042—1054 წ.)

ფესა ყანასა თჱსა ჭარტლისძისაგან ყანაჲ და მივეც ორი მოცეთი (sic) ზროხაჲ მოწამე არიან კაცნი: მუნვე ძირგეულს მოვიგე ყანაჲ გრიგისა ერთისა სათესაგი: ბ მოწამე არიან კაცნი: მუნვე ძირგეულს მოვიგე ყანაჲ ექუსისა კაბიწისა სათესაგი და მოწამე არიან კაცნი: კაჩაეთს სქელაეთგან ავიღე ყანაჲ ცხენისა საზღავად და მივეც ხჳკაჲსძესა ველიშეულს: ფარსმანისძეთაგან ვიყიდე ორი ნაკუეთი ყანაჲ და მივეც ჯაჭვი :ა: და დრაჰკანი კოსტანტინატი :ბ: და მოწამე არიან კაცნი."

Ⴉივშს გუნაფაჲძისაგან ვიყიდე ვენაკი და მივეც კარი :ა: ცხოვარი :ა: და საკნისი :ა: მოწამე არიან კაცნი და გლეხთა მივეც: მუნვე კივშს ზოსქლელისაგან ვიყიდე ვენაკი და მივეც კარი :ა: საკნისი :გ: და ქალამანი შოლტი :ა: მოწამე არიან კაცნი და მივეც გლეხსა საბეგროდ: ვიცვალე კივშს ვენაკითა ჩემითა მოგებულითა. ადგილი და ფასად ზედა დაურთენ ულელნი კარნი და რვაჲ აჟურაჲ [28]) და მას ზედა დავდგი სასაწნეხლე კვითკირი :ა: და შიგან ყურძნისა საწნეხი ქვითკირი :ბ: და შეშისა საწნეხელი :ა: და შქმერს ვიყიდე შქკლოჲსგან გლეხი :ა: და სასეფონი ყანანი და ფასად მივეც ჯორი :ა: ცხენი :ა: დრაჰკანი კოსტანტინატი :გ: კარი :ბ: ფური :ა: და მოწამე არიან კაცნი: ვიყიდე ცხილათს გლეხი აბულახტარისაგან :ა: და მივეც ცხენი ხუადი ორი: სტავრაი კაბაი :ა: დრაჰკანი კოსტანტინატი :გ: და ავშარაი (sic) რკინისაჲ :ა: მუნვე ცხილათს მოვიგე მიწა და მივეც მათვე საკაბალოდ და მოწამე არიან კაცნი: წონელამან მოჰკიდა ჩიხას სახლი მისი წ~ა ნიკოლაოსს და ყ~თა წელიწადთა მოსცემს მარილსა ლიტრასა :ლ: სა ფ[?]ეთამან [29]) შემოსწირა [?]ჯითს [30]) ვენაკი :ა: მოწამე არიან კაცნი: [?]ბას [31]) ვიყიდე აჩეჩლისაგან გლეხი :ა: ბობოთს და მივეც ცხენი :ა: კარი :ა: დრაჰკანი კოსტანტინატი :გ: ცვლი: ლიტრა :იდ: და ბოსლაი :ა: და კელის საწერლად მივეც ცვლი ლიტრაჲ :თ: და მოწამე არიან კაცნი: შევქმენ საწირეს ქვითკირი ბოსელი :ა: და ზ~ა სახლი სამამასახლისოჲ :ა: და მარანი მუხისა :ა: და დავჰფალ შიგან ჭური :ი: და დავდგი ზ~და ბეღელი ხერხული :ბ: სხ~ჲ სახლი ცილოფისაჲ :ა: და ზ~ა საჯუარე :ა: სხ~ჲ სახლი სამზარაულოჲ :ა: და შევქმენ ჰიშკარი ბოსელქორედიანი :ა: და შევქმენ სხ~ჲ ბოსელი ქვითკირი :ა: საწირესვე ღ~თის-მშობლისა გლეხისაგან ვიყიდე ვენაკი და მივეც ფური :ა: აჟურაჲ :მ: მუნვე საწირეს ვიყიდე ყანაჲ და მივეც ფური :ა: ჯაჭვ :ა: ჩაბალახი [32]) ვეცხლი დრამაჲ :კ: და მოწამე არიან კაცნი: მუნვე საწირეს ნადარბაზევსა ძულსა (sic) უკანაჲთ მოვიგე მიწაჲ და მივეც გლეხსა საბეგროდ: და მოწამე არიან კაცნი: და შევქმენ მეხურას ქვითკირი ბოსელი :ა: და ზ~ა სახლი :ა: და ხირხული

---

[28]) აჟურა წვრილი ფულია.

[29]) აქ შუა ერთი ასო აკლია.

[30])—[31]) ამ სიტყვებს თავში ორ-ასოსოდენა ადგი მოგლეჯილი აქვს.

[32]) აქ გადაკერებულია სხვა ფურცელი ტყავისა.

ბეღელი :ა: [33]) დავდგი ჰიშკარი ზემო-ქუემო :ბ: ოკრიბას ჯუარისას ვიყიდე ნასრაჲსა ასულისაგან გლეხი რომელი მიეცა მისდა წირქუალელის ძესა მამა-მთილსა მისსა კე[ლ]წერით უკ̃ე და მისთჳს მივეც ფასად ცხენი :ა: დრაჰკანი დაუკატი :ზ: [34]) და ფური :ბ: და მოწამე არიან კაცნი: და ქ̃ე-მან შ̃ქდ შე-მოსწირა წიგნი სჳნაქსარი :ა: და მე დამხუდა იადგარი ნახევარ წერილი :ა: და გავასრულე ყ̃ითავე სისრულითა შევმოსე და მოვცუარე და შევბეჭდე და მისისა დაწერისა და შეკაზმვისათჳს მივეც დრაჰკანი დუკატი :იე: და ვიყი[დე] წიგნი პარაკლიტონი :ა: და მივეც ფასად ცხენისა ნახევარი [35]): ქართველნი ხუცესნი [36]) მოვიყვანენით და და(ვ)აკარგენით მათ ზ̃ა გაგჳცემია დრაჰკანი კოს-ტანტინატი :ნბ: საალვსებოდ: ლეითის ძ[რო?]ხაჲ საჩხეორს სასკესა დაესხა და დაკოდნა და მისთუნ საზღავად ავი[ღე] საკიდს სახლი ჯავთა გაეთი და ზ̃ა [კა]-ბალაჲ დავსდევით: რ̃ლ ჩემობსა გლ[ეხნი] შემოწირულ არიან და რ̃ნი მე თჳთ მიყ[იდიან] რიცხჳთ ოც და ათი ესე რომელ აქა შ̃ა და[მი]წერია ყ̃ლი დაუკლებელად წ̃ა ნიკოლაოს აქუს და სხ̃ჲ რ̃ლი გავითა (sic) მგონები - - შემძლებელ ყოფილვარ ყ̃ლი ერთგულით მიმსახურებია წ̃დისა ნიკოლაოსის-თჳს და პატრონისთჳს მიმსახურებია ღ̃თი მხედვარ და წ̃ა ნიკოლაოს:— [37]).

და შ̃დ ჰ̃ლ დაწერილისა ამის კ̃დ ვიყიდენ ცხილათს გ[ლე]ხნი :ბ: ნი[მრ] - - - ძისაგან და მივეც ფასად დრაჰკანი დუკატი :ლვ: მუნვე ცხ[ილ]ათს ვიყიდე გლე-ხი წა - - ლისაგან :ა: და ფასად მ[ივეც] - - - [38])

გუჯრის მეორე პირზე ლამაზის მე-XVI საუკუნის ხელით ხუცურად მეტად მქრალად წარწერილია (დიდ ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები გადასულია):

ღვთივ გჳრგჳნოსანმან მეფემან ბა[გრატ გა]ნაახლა და კ̃დ აღაშენა ეკ-ლესია [წმიდ]ისა მღვდელთ-მოძღურისა ნ̃კოლოზისა მისდა [სადღე]გრძელოდ და გასამარჯვებელად [და] საუკუნოდ საცხოვრებელად რამეთუ მრავალნი ძალ-ნი და სასწაულნი იხი[ლნა] - - გნ(?) ძილსა შინა და ცხადად - - კმელთა და წყალთა ძლე[ვით] - - - შეწევნა და წარმატება იგულსმოდგინა თჳთ მპყრო-ბელმან [მეფემა]ნ ჴ უძლეველმან კელმწიფე[მან] [შექმნა] მონასტერი ესე ეკლე-სიად და დამ[ადგინ]ა მე განმგედ და ეფისკოპოსად უ[ღი]რსი და ცოდვილი მღვდელ-მთავარი მანუელ და განუჩინეს რაჭის შე[სავალი] და სასჯულო და საკურთხი ადგილნი - - თჳსის სამართლიანის მზღვრი[თა] - - საყანე და სანადი-რო და ათის თავზე"... (ამას იქით კრცლად ჩამოთვლილია უფლებანი და მამულე-ბი, როგორც გელათის დაარსების გუჯარში 1519 წ. იხ. ეს წიგნი 1519 წლის ქვეშ.—მანუელ ბაგრატ III-ს დროს იხ. 1534 წლის ქვეშე).

---

[33]) ეს ორი სიტყვა სტრიქონთ ზემოთ დაწერილი.

[34]) დუკატი ანუ ფული იმპერატორის კოსტანტინე დუკისა (1059—1064 წ.).

[35]) აქ გადაკერებულია ახალი ტყავის ფურცელი.

[36]) ე. ი. ქართლიდან.

[37]) ამის ქვევით დაწერილია სხვა მელნით, მაგრამ იმავე ხელით.

[38]) ამას იქით ექტრატი მოხეულია.

**1078** წ. გელათის გუჯრებში ჩვენ ვიპოვნეთ ნაწყვეტი ტყავის გუჯრისა, რომელსაც თავი და ბოლო მოგლეჯილი აქვს. გუჯარი დაწერილია მე-XII საუკუნის ხელით მეტად ლამაზად მიქელ კატარაწის მიერ და დამტკიცებულია მეფის გიორგისგან მეექვსე წელს მისის მეფობისას, ე. ი. 1078 წ. ამავე მიქელ კატარაწის და მეფე გიორგი II-ს მიერ მღვიმეს 1082 წელს მიცემული გუჯარი ჩვენ უკვე დავბეჭდეთ ცალკე წიგნში: „შიო-მღვიმის ძველი საბუთები“ (გვ. 12—14), სადაც განვმარტეთ ჩვენი აზრი, რომ აქ მოხსენებული მეფე გიორგი II-ა და არა გიორგი III ანუ გიორგი ლაშა. ამ სიგლით მეფეს უბოძებია გელათის მონასტრის მეფის სამწირველოსთვის სოფელი დერჩი. სიგელი გვიმტკიცებს, რომ გიორგი II-ის დროს აფხაზეთის კათალიკოზობა გაუქმებული არ ყოფილა.

- - - - - ბელიყო - - - | - - - ვინცა თ˜ა ჯერ იყო - - - წინამძღუარისაგან და ბანჯას ნასყიდი არს - - - - მწირველისა ჩუენისაგან, იგიცა ამის სამწირველოისა ჩუენისა-და დაგუიმტკიცებია; ჰქონდეს სოფელი დერჩი სამწირველესა ჩუენსა რაიცა მონასტერს - - - და არს მისითა მზღვრითა და მიმდგომითა, მთითა, ბარითა, ტყითა, ველითა, წყლითა, წისქუილითა, სალუინითა, სათიბითა და ყოვლითა სამართლიანითა მიმდგომითა მისითა, თავისუფლად და შეუვალად, ვითა სხუანი მონასტრისა [სო]ფელნი შეუალნი არიან და არავინ გვიბძანება მშლელი და მქცეველი ბძანებულისა ამის ჩუენისა, არცა მეუნებლე, მავნებელი და დამაკლებელი მისი. — აწ ვინცა ჰნახოთ ბრძანებაი და სიგელი ესე ჩუენი ერისთავთ-ერისთავთა, ოთხმისდურთა, ნაცვალთა, ტყის-მცველთ-უხუცესთა და ყოველთა მათ ქუეშეთა, კელის-უფალთა და საქმის მოქმედთა ჩუენთა, დაამტკიცეთ და ნუვინ უშლით ბძანებასა ამას ჩუენსა, ნურცა რას ვინ დააკლებთ თუინიერ შეწევნისა და თანადგომისა და თქუენ წმინდანო მეუფენო: ა: და: ქ: კ˜ზნო (ე. ი. აფხაზეთისა და ქართლისა კათალიკოზნო) და წმინდანო მღვდელთ-მოძღუარნო უჯუარობითა დაამტკიცეთ.—დაიწერა ბძანება და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩემისასა მე :ვ: სა კელითა მწიგნობრისა ჩუენისა მიქელ კატარაწის ძისაითა.—(სხვა ხელით): ქ. ჩემ გიორგი მეფისაგან მტკიცე არს და უქცეველი ნებითა ღვთისათა.

---

**1125** წ. ელისაბედ ზაალის ასულის თუმანოვის ხელ-ნაწერებში ჩვენ ვიპოვეთ ქართველთ წმიდათა მამათა ცხოვრება (მარტირიკა), მე-XVIII საუკ. გადაწერილი (იოილ მესხიევის მიერ), რომელშიც გადამწერს შეუტანია წ˜ის მეფის დავით აღმაშენებლის ანდერძი, სიკვდილის წინ დაწერილი. ეს ანდერძი მ. საბინინის მრავალ-მნიშვნელოვან შრომაში „საქართველოს სამოთხეში“ არის დაბეჭდილი პირველად; მაგრამ, სამწუხაროდ, ბ. საბინინი არ გვიჩვენებს წყაროს, საიდამაც ეს ძვირფასი საბუთი ამოუკითხავს. მით უმეტეს გვენუგეშა, როდესაც ეს „ანდერძი“ ჩვენ ვიპოვეთ ზემონაჩვენებ ხელნაწერში. შედარებიდამ აღმოჩნდა, რომ ჩვენი ვარიანტი „ანდერძისა“ საყურადღებოდ განერჩევა ბ. საბინინისას და ამის გამო აქ შეუცვლელად შემოგვაქვს.

## ანდერძი წმიდისა მეფისა დავით აღმაშენებელისა,

პანკრატიონ დავითიანისა, რომელი წარმოუთხრა მოძღუარსა თჳსსა არსენის ჟამსა გარდაცვალებისა თჳსისასა ყოველთათჳს დიდებულთა თჳსთა.

გიბრძანებს და მოგაჴსენებს მეფეთა მეფე დავით, დღეთა შინა სიკუდილისა და სოფლით განსლვისა მისისათა ჩემ მიერ უნდოჲსა და ულირსისა მლოცუჱლისა მათისა ბერისა პირითა, —

თქუჱნ ყოველთა დიდებულთა და წარჩინებულთა სამეფოჲსა მისისათა: კათალიკოზთა, ეპისკოპოსთა, ერისთავთა და ყოველთა შეწყალებულთა.

უკუდავი და დიდებისა მოყუარე და მეფობისა ტრფიალი მედვა ბუნებაჲ და არამიოდეს მოვიკსენებდი დღესა ამას სამარადისოდ საფლავად მისლვსა ჩემისასა და ვერ უძლე დატევებად საწუთოსა, ვიდრე არა დამიტევა მე საწუთომან და დამძიმებული ცოდვათა სიმრავლითა მწუხარედ განმიყუანა წინაშე მსაჯულისა; რამეთუ მრავალნი წყალობანი ჰყუნა ჩემზედა სოფელსა ამას შინა.

რამეთუ მომცა პირუჱლად შვლი ესე ჩემი დიმიტრი სიბრძნითა სიწმიდითა, ახოვნებითა და სიმკნითა უმჯობესი ჩემსა; —

და ნამდვლ ესე ვითარი ჯერ იყო მეფე მოცემული ღუთისა მიერ მკჳდრთათჳს სოფლისათა მართლ-მორწმუნეთა.

მე წარვედ წინაშე მსაჯულისა, მისისაებრ განმგებელი მეფობისა:

რამეთუ მხიარულ ჳყოფდის ყრმაჲ ესე დაფარულთა გულისა ჩემისათა და მენებაცა მოცლა საწუთოსაგან მეფე-ყოფითა მაგისითა, რომელი ესე ღმერთმან და მე და ორის წლითგან მოძღუარმან ჩემმან უწყით.

გარნა მძლო საწუთომან და წალმართ ქადებულნი ძამნი მიმტყუნავე და მომაგო ჩემნი და მამისა ჩემისა ჳირნი, რომელთა მიმიქცევიან ამისგან პირნი და თუალნიცა.

გარნა განბჳო მართლად მსაჯულობამან ღუთისამან და ესერა მიმიწოდა მე და უწოდა მაგას მეფობაჲ მამული; და ახლად მოგებული ღუაწლითა ჩემითა და თქუჱნითა ნიკოფსითგან დარუბანდისა საზღურადმდე და ოვსეთიდგან სოერად და არეგაწადმდე:

და მივანდუჱნ შვლნი და ღედოფალნიცა, შუამდგომელობითა ღუთისათა, რათა ძმა მისი გაზარდოს და თუ ინებოს ღმერთმან და ვარგ იყოს ცუატა, შემდგომად მისსა მეფე ჰყოს მამულსა ზედა და დათა მისთა პატივ სცეს, ვითარ შვლთა ჩემთა საყუარელთა:

ამას ყოველსა თანა წარუძღუანე წმიდა ძელი ცხოვრებისა და მივეც დროშა ჩემი სვიანი, აბჯარნი ჩემნი სამეფონი და საჳურჳლენი ჩემნი ზემონი და ქუჱმონი:

ხოლო დრაჰკანი კოსტანტი ცუატა[ს] და ჩემთა ალალი (ჩემნი ლალნი?) და თუალ მარგარიტნი, ხახულისა ღუთისმშობლისადა შემიწირავს, ხოლო დუკატი და პო-

ტანიტი (ბოტინატი) ატენისა საჳურჳლისა, იგიცა ჩემისა სისხლითა მოგებული, თუ ელეოდეს მეფე დიმიტრი, ყოველი მისცეს მოძღუარსა ჩემსა, თუ არა ნახევრისათჳს წინაშე ღუთისა ვესაჯები, რათა რომელნი მონასტერნი მამულისა ჩემისანი განმიმწარებიან, მოძღუარმან ჩემმან უკუნ ცემითა მათითა ალოცნეს ჩემთჳს.

ხოლო დარჩა მონასტერი სამარხავი ჩემი და საძვალე შვლთა ჩემთა უსრულად და წარმყუა მისთჳსცა ტკივილი სამარადისო.

აწ შვლმან ჩემმან მეფემან დიმიტრი სრულ ჰყოს ყოვლითურთ საუკუნოდ (სალოცავად) ჩემთჳს და მისთჳს და მომავალთა ჩემთათჳს; რომელი მიმიცემია, მისგან ნურას მოაკლებს და ადგილნი, რომელნი მიშოვებიან უმკვდრონი და უმამულონი, მათგანნიცა ვითარცა ბერმან არსენი და კათალიკოზმან გამოარჩიონ, მეფემან დიმიტრი მიცემითა წერათა და სიგელთა განასრულონ ყოვლითურთ უნაკლულოდ.

ზემო დაბეჭდილ „ანდერძში“ საგულისხმოა მეტად ბუნდათ გამოთქმული ფრასა: „გარნა მძლო საწუთრომან და წალმართ ქადებულნი (ე. ი. იმედი დიდის ხნის გამარჯვებითის ცხოვრებისა) მიმტყუნავე და მომაგო ჩემნი და მამისა ჩემისა ჭირნი, რომელთა მიმიქცევიან ამისგან პირნი და თუალნიცა“. უკანასკნელის ფრასის აზრი ჩვენ ასრე გვესმის: ღმერთმან გადამახდევინა იმ ჭირის სამაგიერო, რომელიც მე და მამა ჩემმა (თუ: მე მამა ჩემს?) მივაყენეთო ვისმე (მაგ. ორბელებს სამეფოისას) და რომლისაგან ზიზღით ვარიდებ პირსა და თვალთაცაო. რომ მეფეს რაღაც სიემაწვილის („სიყრმისა და ცთომილებისა“) ცოდვა მიუძღოდა, ამას თვითონვე გვაუწყებს მისს „ანდერძში“ შიომღვიმისადმი მიცემულში (იხ. ჩემი: „Завѣщаніе груз. ц. Давида Возобновителя 1123 г. Тифлисъ 1895 г. გვ. 12 და 24—25) და ქ.-ცხბაც ნათლად გვიჩვენებს ამას და მეფის „სინანულის გალობებშიც“ (რომლის მკელი ტყავზე ნაწერი პირი გელათშია დაცული) გამომსჭვირვალებს (ის. „სამოთხე“, გვ. 513—517).

იმავე მარტირიკაში იმავ ხელით შეტანილია:

ა) „თამარ-მეფის საფლავსა ზედა ესრეთ წერილ არს: „როს ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნივე პურად დამესხნეს | რუსნი (თურქნი?) სპარსნი და არაბნი სამზღვარსა იქით გამესხნეს | თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა შიგან ჩამესხნეს | ✝ აწ ამისსა მოქმედსა კელნი გულზედა დამესხნეს“.

ბ) იამბიკო ესე არს თქმული რუსთველის მიერ, რომელი წერილ არს ხატსა სახულისა ღვთისმშობლისასა:

ქალწულებრივითა სისხლთა შენთაგან, სძალო, | თბედ საიდუმლოდ ზენაჲსა განგებისად ძისა ღ̃თისა | ძედ მეშვ იქმენ არსთა მაცხოვნად | მე თამარ მჩენი ტომთაგან დავითისებრთაჲთ | მამკევ, შემამკევ, მადიდე, აღმამაღლე. | აწ მეცა კელვყავ შემკობად ხატსა თქუენსა | დედისა ძითურთ და მეცა ძითურთ მფარევდ.

გ) „სანცხე-საათაბაგოს მღვდელ-მთავარნი“ და იქვე დ) „კათალიკოზთა სა-

მწყსო სამცხე-საათაბაგოს“. ამ საკითხავებს თავში აწერია: «ესე ვიხილე ჩვენთა ძველთა მეფეთა მოთხრობათა შორის და გადმოვწერე, ვითარ სახედ ესე აღწერილ იყო“. ეს საკითხავები დ. ბაქრაძეს უპოვნია და დაუბეჭდავს (Гурія и Аджарія გვ. 69). უკანასკნელის საკითხავის თვით ასლი (XVI საუკ.) ვიპოვეთ კანტორის გუჯრებში № $\frac{6}{358}$ და თავისს ადგას დავბეჭდავთ. ხოლო პირველი საკითხავი რამდენადმე განირჩევა დ. ბაქრაძის ვარიანტისაგან და ამის-გამო აქ მოგვაქვს.

## ႱႠႫႺႾႤ-ႱႠႠႧႠႡႠႢႭႱ ႫႶႥႣႤႪႧ-ႫႧႠႥႠႰႬႨ.

Ⴜ. **ႽႠႼႷႥႤႰႤႪႨ** გვრგვნ-ბისონიანი არს: Ⴜმისი სამწყსო ყვიბისი [1]) და სადგერი არს, სულ აწყვერი, დიასამიძის სახლი, ახალციხე და ახალციხის წყლის გაღმართი გურიის წასადგომამდი.

შენიშ. 1. აქ დ. ბაქრაძის ვარიანტი უმატებს: „კორტანეთის შუა რომ წყარო ჴსდის, ამას ზეით აკაობა და სადგერი“ (ყვიბი იხ. ვახუშტის გეოგრ. გვ. 82).

Ⴗ. **ႩႳႫႳႰႣႭႤႪႨႱ** სამწყსო ხერთვისს ზევით სულ ჯავახეთი ხვეთამდინ (ხვეთი იხ. ვახუშტის გეოგრ. გვ. 100).

Ⴗ. **ႨႸႾႬႤႪႨႱ** სამწყსო გურჯიბოლაზს აქეთ სულა Ⴇორთომი, ტაოს ქვემოთი, არტანუჯის თავი, საკრულავი ჰქვიან იმას აქეთი; გაღმით ორჯოხის მთის აქეთი, სულა საკავკასი(ძ)ო, ისპირი ტრაპიზონის მთას გადმოღმა.

Ⴊ. **ႠႬႹႤႪႨႱ** სამწყსო სამწყალს აქეთი ხანცხას [2]) და ოპიზას შუა დახატულა, ამის ქვემოთი ნიგლის-ხევი გაღმა და გამოღმართი გონიის სამძღურამდინ.

შენიშ. 2. ხ ა ნ ც ხ ა, უეჭველია, არის ძველი ხ ა ნ ც თ ა (ხანცთს მონასტერი), რომელიც შატბერდის მონასტრის ნაწილი ანუ განყოფილება იყო. ცხადია, რომ შატბერდის მონასტერიც იქვე (ართვინის მაზრაში) უნდა იყოს და არა სასომხეთოში, ეფრატის ღელეში.

Ⴗ. **ႫႲႡႤႥႠႰႨႱ** სამწყსო დახატულას ზედათი ანკერთს აქეთი, სულა შავშეთი მიჰიხიანთ ბატონის კათალიკოზის ყოფილა, იმ ქვეყნის ეპისკოპოსის იასაულიც ის ყოფილა; აჭარა დანდალოს ზევითი მას ჰქონებია და დანდალოს ქვემოთი აჭარა ქუთათლის სამწყსო ყოფილა.

Ⴗ. **ႼႳႰႼႷႠႡႤႪႨႱ** სამწყსო ხურსიძის სახლი, სულა ბოცოთ-ხევი ხერთვისის ქვეითი მისია.

Ⴆ. **ႼႷႠႰႭႱႧႳႥႪႨႱ** სამწყსო ზევთი და იმას ზეით პალაკაციო კოლის სამზღურამდინ, მტკუარს აქეთი: აქა(თ) არტანი.

Ⴉ. **ႤႰႳႸႬႤႪႨႱ** სამწყსო ტალაშოს ზეითი, სულა არტანა კოლის სამზღურამდინ.

Ⴔ. **ႥႠႪႠႸႩႤႰႲႤႪႨႱ** სამწყსო ყაზევანს ზეითი, ვალაშკეთის აქათ ხინუ-

სი და დევაბონის აქეთი (ხინჭყი ბაიბურთის ახლო; დევაბოინი ის. ვახუშტი გვ. 76 და 120).

Ⴈ. **ანელის** სამწყსო სულა ზარიშტიანი და შირვოინი და ბალასბერეთი.

ႨႠ. **კარელის** სამწყსო სულა კარი და კოლისა და ოლთისის სამზღურის გარდმოლმა გგეჩვიანი (გაგჩეკანი?) და კალზევანი.

ႨႡ. **ბანელის** სამწყსო სულ ბანი, ტაოსკარი, ფანასკერტი, პარიზის-კეობა (ქარჱზის?), სულა ოლთისი და ნამურაკანი.

(იგ?) **დადაშნელის** სამწყსო სულა კოლა და ხორტევანი ყარასალზედ მიდგმამდინ.

ამა ეპისკოპოსთა მწყემსი და უპირატესი საქართველოს კათალიკოსი ამის კელათ ყოფილან.

---

## 1103 წ. ძეგლის-წერა რუის-ურბნისის კრებისა.

ეს ძვირფასი საბუთი ჩვენის ისტორიისა ჩვენ ვიპოვნეთ საეკლესიო მუზეუმის ნუსხა ხუცურად სქელს ქაღალდზე დაწერილს დიდს წიგნში № 76, infolio, გვ. 618. პოლეოგრაფიული ხასიათი წერისა უეჭველ ჰყოფს, რომ ხელნაწერი ეკუთნის XII ანუ XIII საუკუნეს. ამასვე გვიმტკიცებს ამ ხელნაწერიდამ გადმოღებული პირი რუისის ხელნაწერისა, რომელსაც არშიებზე აქვს მხედრული წარწერები მე-XIII—XIV საუკუნეთა ხასიათისა.

მოხსენებული ხელნაწერი შეიცავს სრულს საეკლესიო კანონებს, მსოფლიოთა და ადგილობრივთა კრებათაგან დადგენილებს, რომელიც რუსულს მწერლობაში წოდებულია „Кормчая книга“-დ. ცნობილს არქიმანდრიტს ტარასის (მესხიშვილს) შეუდარებია ეს წიგნი ზემოხსენებულს „კორმჩისთან“ და მე-617 გვერდზე წარუწერია შემდეგი: „ქ. წელსა 1831. რაც ყოველთა კრებათაგან კანონები ღასხმულია ყოველივე თითოეულად შეემოწმა თავის წინასიტყვაებით რუსულს კორმჩის წიგნს, მხოლოდ ესენი, რაც აქ სწერია, თვინიერ ქართველთ (რუისუბნის) კრებისა, ვინადგან ესე საკუთრად საქართველოსია და არა მსოფლიო. მ. მ. ტარასი. იოხეთ წ͞ნო მამანო“.

წიგნი დაზიანებულა და მე-XVI საუკუნის ხელით განახლებულია; თავში ახლად გადაუწერიათ გვ. 1—6 და ბოლოში იმავე ხელით გვ. 496—617. შიგ-და-შიგ, სადაც ტექსტი დაზიანებულა სიძველით, ახალი ქაღალდი დაუწებებიათ და ზედ განახლებული ტექსტი დაუწერიათ.—სხვა მერმინდელ წარწერათაგან სჩანს, რომ ეს წიგნი სვეტიცხოვლის ყოფილა, კაჩნაძეთა როინს და მისს შვილს ბოქაულთ უხუცესს იორამს სტამბოლში ოსმალთაგან დაუხსნიათ მას ჟამსა, „როდეს მეფე ბატონი სვიმონ ურუმთაგან დატყუევდა და ჩუენ ხუანთქართანა ელჩად წავედით და ეს წიგნი დატყუევებული ვიპოვეთ და დავიხსენით და ვიყიდეთ ოთხმოც ფლურად. მოვიტანეთ და შევსწირეთ სვეტსა ცხოველსა“. სვიმონ მეფე დატ-

შეკვდა 1599 წ. (იხ. მხედრული წარწ. გვ. 618). სხვა მინაჯღაბნებისაგან (გვ. 570; 617) სჩანს პეტრე მცხეთის კანდელაკი 1719 წ. და ანჩისხატის კანდელაკი დავით, რომელსაც ეს წიგნი სპარსთაგან დაუხსნია მაშინ, როდესაც შაჰ-თამაზს თფილისი აუღია (1735 წ.). მე-492 გვ. არშიაზე იპოვება წარწერა იოსებ თფილელისა (ჩვენის საბუთებით თბილელი იოსებ სააკაძე „დიდ-მოურავიანის აქსიონი" დაჯდა 1660 წელს შემდგომ ელისე საგინაშვილის სიკვდილისა და ცოცხალი იყო 1681 წ.).

სადაც ტექსტი მოხსენებულის ხელნაწერისა (გვ. 474—495) დაზიანებულია, ის ჩვენ აღვადგინეთ გელათის ვარიანტით და დიდს ფრჩხილებში ჩავსვით. მართლ-წერა და სასვენი ნიშნები დედნისა დავტოვეთ, რადგან სასვენ ნიშნების ხმარებაში დედანი და რუისის ხელნაწერიც წარმოგვიდგენენ დიდად საყურადღებო ვარიანტებს: ამაში დაცულია XI საუკუნის მწერალთა იოანე ფარავნელის და ეფრემ მცირის მიერ შემოღებული სასვენი ნიშნები ანუ «წერტილითა გაკუეთა საკითხავთაჲ" (იხ. ჩემი „ქრონიკები" I, 218), მაგრამ წერტილების გარდა ხშირად უხმარნიათ აგრეთვე მ ძ ი მ ე (,) და წერტილ-მძიმე (;), რომლის ხმარება არა-იშვიათად იპოვება მე-XIII საუკუნის ხელნაწერებში (მაგ. ბანისის გრაგნილ სიგელში, რომელიც ქვემო დაიბეჭდება) *). შესანიშნავია აგრეთვე, რომ ამ ხელნაწერში დარჩენილა ხმარება ი ს რ უ ლ ი ს ნიშნებისა და სხვა-და-სხვა მეტად იშვიათად ხმარებული ნიშნები ხმის საქცევად, სიტყვათა შესაკავშირებლად, განკვირვებისა და კითხვის კილოს მისაცემად და სხ. სამწუხაროდ ეს უკანასკნელი ნიშნები ჩვენ ვერ დავიცვით, რადგან მათი გამოსახულება სტამბაში არ მოიპოვება.

როდესაც ჩვენი ვარიანტები ბ. საბინინის გამოცემას შევუდარეთ („სამოთხე" გვ. 518—530), აღმოჩნდა აქა-იქ სიტყვათა მეტ-ნაკლებობა, რაიცა უსათუოდ უნდა მომხდარ იყო, რადგან ბ. საბინინს (ამ დიაღ თვალ-საჩინო მოტრფიალეს ჩვენის საეკლესიო მწერლობისას, მეჴორეთაგან ტანჯულ-წამებულს) სხვა ვარიანტი არ ჰქონია. დიდად საყურადღებოა და სანუგეშო ის, რომ ბ. საბინინს მაინც ტექსტი არ დაუმახინჯებია და გულდადებით გამოუცია. ერთის ვარიანტით და უდედნოდ უკეთესად გამოცემა თითქმის შეუძლებელი იყო პეტერბურგის სტამბაში. ხოლო რაც შეეხება „სამოთხეში" ჩართულს ქართველ წმიდანების სურათებს, ეს ისრეთის ცოდნა-ხელოვნების, აღმატებულის სიყვარულისა და დაუღალავის მუშაკობის ნაყოფია, რომ მარტო ეს (სხვაც რომ არა იყოს-რა) საკმაოა ბ. საბინინის სახელად და ჭეშმარიტთა ქართველთა სიქადულად. მთელმა გუნდმა იმ კითომ-და პატრიოტთა მეჴორეთა, რომელთაც ცილისწამების იარაღით ბოლო მოუღეს მისს მოღვაწეობას, ვერ შეგვიქმნა აჩრდილიცა ესრეთის შრომისა.

---

*) მისის ყოვლად უსამღვდელოესობის ეპისკოპოზის ალექსანდრეს სურვილით ბანისის სიგელს ჩვენ ჩავურთავთ წიგნში: „შიომღვიმის მონასტრის ძველი საბუთები".

**ძეგლის წერაჲ წმიდისა და ღთივ შეკრებულისა კრებისაჲ. რომელი შემოკრბა ბრძანებითა კეთილად მსახურისა და ღთივ დაცვულისა მეფისა ჩუენისა. დავით (დ҃თ) აფხაზთა და ქართველთა (sic) რანთა და კახთა მეფისასა. პირთათჳს რომელნი ქუემო მოასენებულ არიან:** [1])

ყოვლისავე ხილულისა და უხილავისა სოფლისა. და ყოველთავე საცნაურთა და გრძნობადთა ბუნებათა. არა არსისაგან არსებად მომყვანებელმან ღმერთმან. უხილავთა მათ და ზესთა სოფლისათ ძალთა ბუნებაჲ, უკუდავებითა და და უხრწნელებითა შეამკო: ხოლო ქუჱნაჲსა ამის სოფლისაგანნი ყოველნი, ქმნისა და ხრწნილებისა შორის განაწესნა:. ამისსა შემდგომად მოიგონა ახალი რაჲმე და უცხოჲ დაბადებული. რომელსა თჳთ მის თავადისაცა დამბადებელისა. და სიტყჳერისა დ҃ პირუტყვსა დ҃ ყოვლისავე აგებულისა ბუნებისა, ზიარებაჲ თავსა შორის თჳსსა მოაქუნდეს. დ҃ მის მიერ ვითარცა საზოგადოჲსა საკრველისა მიერ, შეერთებულად ღთისა შემოკრბებოდინ ყოველნი დაბადებულნი: დ҃ თანად ხუთნივე სახენი ყოველთა არსთა განყოფილებისანი დაიკსნებოდინ: რომელი ვითარცა მეორე რაჲმე სოფელი მცირე დიდსა შინა. ანუ დიდი მცირესა შინა. დაადგინა ქუჱყანასა ზედა. ღთივ შუჱნიერი იგი და დიდებული სამოთხე დაასხა აღმოსავალსა ედემისსა:. გარნა ვინაჲთგან მან, ნივთად თჳთ მფლობელისა მიცემული მისდა სჯული წინა უკუმოდ საღთოჲსა ნებისა იკუმია. და შურითა ეშმაკისათა და განმცდელობითა დედაკაცისაჲთა ცთომილი. ძელისა მისგან ცხორებისა და სამოთხისა და ღთისა, სიბოროტისათჳს ექსორია იქმნა და სიკუდილითა და ხრწნილებითა დასჯილი. ბევრეულთა ვნებათა და ძჳრთა მიერ უფლებულ იქმნა:. რამეთუ პირველად სისხლთა მიერ ძმისათა მეწამულ მყოფელმა კელთამან კაინ, კუალად მეორისა ღთისა მიერისა წყევისა თანამდებ ყო ქუჱყანაჲ:. მერმე სიბოროტემან გმირთამან, შენანებაჲ არწმუნა დამბადებელსა, უცხოჲსა მის ცხოველისა კაცისა ესოდენ, საკვირველებით დაბადებისაჲ: დ҃ წყლითა რღუნისაჲთა აღკოცაჲ ყოვლისა აღმდგომისაჲ პირისაგან მიწისა:. ამისსა შემდგომად სილაღითმან კელყოფამან გოდლის მაშენებელთამან, შერევნითა ენათაჲთა დ҃ მიმოდაყოფითა ნათესავთაჲთ. მეოთხედ დასაჯა ნათესავი კაცთაჲ:. ხოლო გამოჩინებამან კერპთა სიბორგილისამან. დ҃ ნაცვალად დამბადებელისა მსახურებამან დაბადებულისამან, სრულიად განაშორა და უცხო ყო კაცი შემოქმედისა ღთისაგან:. მერმე ღალადებამან სოდომელთა სიბილწით სლვისამან წუნწუნბასა თანა აღრეულითა ცეცხლითა, მოწუვად აჲძულა სოფლები ხუთ ქალაქისაჲ:. კუალად გულფიცხელობასა ფარაოჲსსა, და უსახურებასა მეგჳპტელთასა: უცხოთა მძლავრებათათჳს. უცხოჲ მიეგო მისაგებელი. და გუამთა მათთა. უცხოდ დამ-

[1]) ეს სათაური წითურად არის დაწერილი. რუის-ურბნისს შუა კრება იყო 1103 წ. (ქ-ცხბა, I, გვ. 242: Brosset: Hist. de' la Gé. 355—365. ჩემი „ქრონიკები“ გვ. 238).

მარ̃ხველი საფლავები:. ამისსა შემდგომად დიდი მოსე. შჯული. მღდელობაჲ. მსხუჱრპლნი. [სალ]ხინებელნი თითო სახენი: მსაჯულნი. მეფობა. წინასწარმეტყუჱლებაჲ. ყოფადთა წინასწარი ცნობაჲ. სახის შეცვალებითნი ღ̃თის გამოცხადებანი:. მერმეცა კუალად კერპთმსახურებაჲ. თჳთ მის მოსეს მიერ ეგჳპტით გამოყვანებულისა და სჯულ დებულისა, და ესოდენთა პატივთა ღირს ქმნულისა, ჵ პირმშოდ ძედ აღსარებულისა ერისაჲ:. ამისსა შემდგომად კუალად მძლავრებაჲ. კუალად ტყუჱობაჲ. მრავალგზის მრავალთა ნათესავთა. ჵ უკუანაჲსკნელ ბაბილოვნელთა მიერი: რომელთა მეფისა ღთის წინა აღმდგომსა მოგონებასა. საქმით ამხილეს სამთა მათ ჭაბუკთა ისრაიტელთა: რაჟამს საკკრველითა რკინისათა განმლეველმან საკუმილმან, შეუხებელად დაიცვნა მათნი ადვილად განსალევნელნი თმანი და შესამოსელნი:. მერმეცა კუალად ქალაქი და ტაძარი. კუალად სჯული და მღდელობაჲ. და რაოდენნი რაჲ იყვნეს სჯულისანი. და საკვრველისა მის სჯულიერისა მსახურებისანი:. გარნა ვერცა ერთი რაჲ პირველ თქუმულთა ამათგანი შემძლებელ იქმნა კურნებად ბუნებისა: გინა თუ მტანჯველობითთა და საშინელებათა. ანუ ქველის მოქმედებითთა სიტკბოებათაგანი:. რომელთა თანა სჯულნიცა უქმ იყვნეს, ბუნებითსა ვიტყჳ და დაწერილსა. და უძლიერესი, საკმარ იყო წამალი, სალმობათათჳს უბოროტესთა:.

ამისთჳს თჳთ გუამოვანი იგი სიბრძნე და ძალი. და თანა არსი ღთისა მამისა სიტყუაჲ. რომელი დასაბამად იყო. და ღთისა თანა იყო, და მარადის იყო: მოვიდა ხატისა თჳსისა. ჵ უხრწნელთა მათგან ჵ ყოვლად უბიწოთა სისხლთა. ჭეშმარიტებით ჵ საკუთრად ღთის-მშობელისა მარადის ქალწულისათა. კორცნი შეიმოსნა კორცთათჳს. ჵ სულსა გონიერსა ჵ სიტყჳჱრსა შეეზავა სულისთჳს ჩემისა (ჩუჱნისაჲ?), მსგავსითა მსგავსსა განწმედად. რამეთუ მიუღებელი უკურნებელცა არს. ჵ თჳსისა ქმნულისა წილ. თჳთ მიითუალა ბრძოლაჲ:. ჵ ესრეთ ყოველივე კორცთა მიერი განგებულებაჲ. ჯუარისა თანა ვნებათა. საფლავსა და ღთივ შუჱნიერსა აღდგომასა სრულ ყო რაჲ ქუჱყანასა ზედა დიდებით აღმავალმან ზეცად. წარავლინნა ათორმეტნი მოწაფენი თჳსნი, რომელთაცა მოციქულად უწოდა: რათა ღთის მეცნიერებისა ნათლითა, ყოვლით კერძო სოფლისაჲთ განკადონ ბნელი ულთოებისაჲ: და სახელისა მიმართ წმიდისა სამებისა ნათლის ცემითა ასწაონ, თაყუანისცემაჲ თანაარსისა ერთღთაებისაჲ. და დამარხვითა საცხორებელთა მცნებათაჲთა. კუალად აგნენ კაცნი პირველსავე ნეტარებითსა დიდებასა:.

ესენი ვითარცა შარავანდედნი მზისა მის სიმართლისანი. განეფინნეს რაჲ კიდეთა ქუჱყანისათა. ყოველი ნივთი კერპბორგნეულისა ულმთოებისაჲ, მახჳლითა სულისაჲთა მოჭრეს. და ცეცხლითა სარწმუნოებისაჲთა მოწუჱს: ჵ ერქუნითა ჯუარისაჲთა მოიორნატნეს გულნი შემწყნარებელთა კაცთანი: და დასთესეს მათ შორის თესლი, კეთილად მსახურისა სარწმუნოებისაჲ: ჵ მხოლოჲსა და ჭეშმარიტისა ღთისა მსახურებითი თაყუანისცემაჲ: მრავალთა და სიცრუვით მოპოვნებულთა ღმერთთა წილ, ღთივ შუჱნიერებით ასწავეს: და სა-

კერპოთა მათ წილ ტაძართა და ბომონთა, სიმრავლენი ეკლესიათა და საკუ-რთხეველთანი აღუმართნეს ღმერთსა ყოვლით კერძო ქუჱყანისაჲთ: და სიძუ-ლილი სოფლისაჲ, და მტერობაჲ კორცთაჲ რწმუნებით ასწავეს. მათ, რომელ-თა იგი ღთად შეერაცხა სოფელი. და კორციელთა გემოთა მძლავრებისა და მონად მიეცნეს თავნი: და განცოფებული იგი სიბრძნე ელლენებრისა სიჩქუ-რისა ვიეთისაჲმე. სიმარტივითა ღთივ სწავლულისა მათდა სიბრძნისაჲთა, რომ-ლისათჳს იგი პავლეს ჰბასრობდეს ათინელნი. ყოვლად სიბრძნით მხილებულ ყვეს. და არცა ერთისა სიტყჳსა ღირსად გამოაჩინნეს. მათნი იგი ზღაპართ მწერლობითნი კელოვნებანი: და დიდისა კლიმინტოსის მიერ დასხნეს კანონ-ნი საეკლესიონი რიცხჳთ ოთხმეოცდა ხუთნი:. :.

რომელთაგანი ერთი, პირველ წოდებული ანდრია. ძმაჲ თავისა მოცი-ქულთაჲსა პეტრესი ვიდრე ჩუჱნდამდეცა მოიწია. და ქადაგა საცხორებელი ქადაგებაჲ სახარებისაჲ ყოველსა ქუჱყანასა საქართველოჲსასა: და ურიცხუნი სიმრავლენი ერთანი განაშორნა საცთურისაგან მრჩობლ ეშმაკეულებისა: და ერთისა ღთისა, და ქრისტეს მისისა, თანაარსით მათით სულითურთ. რწმუნე-ბით თაყუანისცემაჲ ასწავა: დაღათუ უმრავლესმან ერმან ქართლისამან. სიმ-რავლესა შინა ჟამისასა დაივიწყა ქადაგებაჲ იგი მოციქულისაჲ. და საცთურისა-ვე მიმართ კერპთაჲსა მიაქცია:. ამათისა ქადაგებისა ნაყოფად აღმოეცენნეს. ყო-ვლით კერძო ყოვლისა სოფლისაჲთ. სიმრავლენი ღუაწლისა დამდებელისა ქრისტეს სიკუდილსა მიმსგავსებულთა მოწამეთანი: ვინაჲთგან სამასნი მცირედ-თა სხუათა თანა, ვიდრე მეფედ ქადაგებადმდე დიდისა კოსტანტინესსა, შორის გარდაკდეს წელიწადნი: რომელი იგი პირველად ქრისტეანე იქმნა მეფეთა შო-რის. და თჳთ მოციქულ და ქადაგ საცხორებელისა ქადაგებისა. და ნათელსა თავისუფლებისასა მიმფენელ, ქრისტეანეთა ღთივ შუჱნიერისა მოქალაქობისა:.

ამისთავე უკუჱ ჟამთა სრულიად მომხედნა ჩუჱნცა აღმოსავალმან მად-ლით. და დედაკაცისა ვისმე მიერ ტყუჱ ქმნულისა. რომელსა იგი ნუნნად კაპპადუკიელად. აქა სადმე პოვნილნიცა ქადაგებენ წიგნნი საეკლესიოთა მო-თხრობათანი: [2]) სარწმუნოებისა მიმართ თჳსისა მიიზიდა ყოველი სავსებაჲ, ყოვლისა ქართველთა ნათესავისაჲ საკვირველთ მოქმედებითა, ნიშებ შემო-სილთა სასწაულთაჲთა: რაჟამს იგი ქართველთა მეფემან მირიან. მეფეთა შო-რის დიდისა კოსტანტინესსა მივლინებითა და მისგან გამოთხოჲთა მეფობისა თჳ-სისა. ქალაქად მცხეთად შთამოიყვანა ევსტათი დიდი საყდრის მპყრობელი ანტიოქელთა ეკლესიისაჲ: და წმიდათა მიერ კელთა მისთა ნათელ იღო მან ჵ ყოველმან ერმან ქართლისამან. და თჳთ პატრიაქთა შორის სახელ განთქუ-

---

[2]) ფრასა „აქა სადმე პოვნილნიცა ქადაგებენ წიგნნი“ ცხად ჰყოფს, რომ ანდრიას ქადაგებაზე და ნინოს ღვაწლზე ცნობები ამოკრებილია ქართულ წყაროთაგან, როგორც სჩანს, ეფრემ-მცირის წერილიდამ, რომელიც აქ გულისხმებულია (იხ. ჩემი „ქრონიკები,“ I, გვ. 33—38).

მულმან ევსტათი. კელითა თვსითა შთადვა საფუძველი. მაშინ სადმე მცხეთას აღშენებულისა ეკლესიისაჲ: რომელიცა ფრიადისა თანა გულს მოდგინებისა განასრულეს რაჲ მათ, განწმედაჲ იგი: და კელთ დასხმულ ყო მას შინა მათ თვს, ეპისკოპოსი კათოლიკოსი:.

ამან საუკუნოდ კსენებულმან მეფემან კოსტანტინე შეკრიბა პირველი დ̃ მსოფლიოჲ წმიდაჲ კრებაჲ. ნიკეას [სამას ათრვამეტთა წმიდათა მამათაჲ. რომელთა დასხნეს კანონნი რიცხვით] ოცნი:. რომლისა პირველად ქმნილ იყვნეს სხუანიცა ადგილობითნი კრებანი: პირველი ანკვრიას, რომელსა დაესხნეს კანონნი ოცდა ოთხნი:. მეორე ნეოკესარიას, დამსხმელი კანონთა ათოთხმეტთაჲ. ხოლო შემდგომად დიდისა მის და მსოფლიოჲსა კრებისა, სხუანიცა იქმნნეს ადგილობითნი კრებანი. ვითარ იგი ღანგრისაჲ. რომლისა კანონნი არიან ოც:. და კუალად ანტიოქიისაჲ დამსხმელი კანონთა ოცდა ხუთთა: ამათთანა ლაუდიკიისაჲ ფრიგვისაჲ: და კანონნი მისნი ოცდა ერთნი:.

ამათსა შემდგომად მეორე წმიდაჲ და მსოფლიოჲ კრებაჲ კოსტანტინოპოლისა ასერგასისთა წმიდათა მამათაჲ. რომელთა კანონნი არიან რიცხვთ შვდ:. მერმე მესამე ეფესოჲსა წმიდაჲ დ̃ მსოფლიოჲ კრებაჲ. მცირისა თევდოსის მეფისა მიერ შეკრებული. რომელმან დასხნა კანონნი რვანი:.

მეოთხე ხალკიდონს. ექუსას ოცდა ათთა წმიდათა მამათა მსოფლიოჲ კრებაჲ [კეთილად მსახურისა მარკიანე მეფისა მიერ შემოკრებული. და განმაწესებელი კანონთა რიცხვთ] ოცდა რვათაჲ:. მერმე ადგილობითი კრებაჲ კართაგენისაჲ. და კანონნი მისნი ას ოცდა ათრვამეტნი: ხოლო მეხუთემან წმიდამან მსოფლიომან კოსტანტინოპოლის შეკრებულმან [წმიდამან] კრებამან, მცირედ იზრუნა საეკლესიოთა კანონთა განწესებისათვს:.

არამედ მეექუსემან წმიდამან და მსოფლიომან კრებამან, იუსტინიანესზე კეთილად მსახურისა მეფისა. გუმბადსა შინა სამეუფოჲსა პალატისასა შეკრებულმან, აღავსო დაკლებული მისი. რამეთუ დასხნა კანონნი რიცხვთ ას და ორნი:. კუალად ნიკიისა მეორემან წმიდამან კრებამან დასხნა კანონნი ათრვამეტნი:. ამისსა შემდგომად არიან სხუანიცა ორნი, მასვე სამეუფოსა ქალაქსა ეკლესიასა შინა წმიდათა და ყოვლად ქებულთა მოციქულთასა, შეკრებულნი კრებანი. რომელთა განუჩენიან კანონნი რიცხვთ ათ შვდ-მეტნი:.

ხოლო წმიდასა და მეშვდესა. წმიდათა ხატთათვს შეკრებულსა მსოფლიოსა კრებასა განუწესებიან კანონნი, რიცხვთ სამნი ოდენ:. ამათ წმინდათა კრებათა მიერ განჩინებულთა კანონთა თანა არიან სხუანიცა თითოეულთა მამათა მიერ განჩინებულნი, და თანა აღრიცხულნი კანონნი:.

დვონვსიოს ალექსანდრიელთა მთავარ ეპისკოპოსისა კანონნი ოთხნი:.

პეტრე ალექსანდრიელთა მღდელთ-მთავრისა და მოწამისა კანონნი, ათხუთმეტნი: გრიგოლი ეპისკოპოსისა ნეოკესარიელისა საკვრველთმოქმედისა ეპისტოლე კანონი ანი:. (ე. ი. ერთი).

დიდისა ბასილის კანონნი ოთხმეოცდა ხუთნი: მისივე ეპისტოლე კანონი ანი დიოდორეს მიმართ:.

მისივე ეპისტოლე კანონი ანი გრიგოლის მიმართ ხუცისა:.

მისივე ეპისტოლე კანონი ანი ხორ ეპისკოპოსთა მიმართ:.

მისივე ეპისტოლე კანონი ანი მის ქუეშეთა ეპისკოპოსთა მიმართ:.

მისივე ამფილოქეს მიმართ სულისა წმიდისათჳს მიწერილთა მათ თავთაგან: გრიგოლი ნოსელისა კანონნი რვანი:. ტიმოთე ალექსანდრიელისა კანონნი ათხუთ მეტნი: ფილოთეოს ალექსანდრიელისაჲ, ღთის გამოცხადებისათჳს თქუმულისაგან:.

მისივე სხუანი კანონნი ათნი:.

მისივე ეპისტოლე ავგიონის მიმართ ეპისკოპოსისა:.

მისივე ეპისტოლე აგათონის მიმართ ეპისკოპოსისა.

მისივე ეპისტოლე მინაჲს მიმართ ეპისკოპოსისა:.

კვრილე ალექსანდრელთა მთავარ ეპისკოპოსისა კანონნი შჳდნი:.

გენნადი წმიდისა პატრიარქისა კოსტანტინეპოლელისა. და მისთანა წმიდისა კრებისა. ეპისტოლე მიტროპოლიტთ. მიმართ გარემოთა სამთავროთაჲსა:. ესე არიან შეკრებანი წმიდათა და საეკლესიოთა კანონთანი. დაბეჭდულნი და დამარხულნი. თჳნიერ ყოვლისა შემატებისა და მოკლებისა. და ამათი მეცნიერებაჲ და შედგომაჲ და მტკიცედ პყრობაჲ უჴმს. ყოველთა წინამძღუართა ქრისტეანობითისა მადიდებლობისათა: მღდელთ მთავართა დ მღვდელთა დ დიაკონთა: და ჩუჱნ შორის მოძღურად სახელდებულთა მათცა მონაზონთა:. და ერთბამად ყოველსა სავსებასა მართლ-მადიდებელთა ეკლესიისასა:. ხოლო ჩუჱნ ესე ამისთჳს მოვიჴსენენით. რათა პირველიდგან პირი სიტყვსა ჩუჱნისაჲ განვჰმარტოთ..

ვინაჲთგან დაჰბადა ღმერთმან დასაბამსა ხატებად და მსგავსებათ თჳსსა კაცი, ვითარცა პირველ ვიტყოდეთ: რათა მის მიერ ვითა საზოგადოჲსა საკრველისა მიერ ხილულთა და უხილავთაჲსა თავსა თჳსსა შეაერთნეს ყოველნი საცნაურნი და გრძნობადნი დაბადებულნი. სათნოებით რაჲ საკუთარ ექმნას იგი შემოქმედსა თჳსსა:. ხოლო იგი ეგე ვითარისა მის მადლთა სიმდიდრისაგან განშიშულდა ცთომისა მიერ. და განდგომილთა და რისხვეულთა მონათა მონება მოატყუა თავსა. არამედ არა სახიერმანცა დამბადებელმან მისმან: რამეთუ ვითარმცა თავს-იდვა უგულებელს ყოფაჲ. ესოდენისა კელთა მისთა საქმისაჲ, რომელ არს კაცი:. არამედ უხრწნელსა შინა საშოსა ყოვლად წმიდისა ღთისმშობელისა და მარადის ქალწულისასა. არღარა პირველისაებრ იჴსა მადლით. არამედ გუამოვნებით შეაერთა იგი თავსა თჳსსა. და ზესთა ბუნებისა განაღთო მის მიერ მიღებული იგი და მისთანა ერთ გუამქმნილი კაცი:. და რომელი იგი იყო პირმშოჲ ყოვლისა აგებულისაჲ, თავს იდვა პირმშო მრავალთა ძმათა შორის ყოფაჲ: რათა სახელისა მისისა მიმართ წოდებულნი და მადლითა ძმად მისსა აღსაარებულნი, რომელი იგი ყრმათაცა ეზიარა კორცითა და სისხლითა და გუამად ერთისა მის ყოველთა თ[ავის]ა გამოჩინებულნი, მუნ აღმიყვან-

ნეს კუალად განკორციელებითა თჳსითა, სადა იგი თჳთ არს თავი სასოებისა ჩუჱნისაჲ: და თანა მოქალაქე მყვნეს წმიდათა, და სახლეულ ღთისა. და სამკჳდრებელად მისსა გამომაჩინნეს სულითა: რაჟამს თავისა მიმართ შემოკრებს თითოეულებაი ასოთა განყოფილებისაჲ და თბისა მიმართ გარდაივნითოს ვითარებაჲ ყოვლისა აღსუარულისაჲ:.

ვინაჲცა ამისთჳს მოგუცნეს პირველად ბუნებითი და მერმე დაწერილი სჯული: ამისთჳს იქმნა განკაცებაჲ ღ҃თისაჲ: ამისთჳს ქალწულისაგან. შობაჲ. ბაგაჲ. წარგრაგნაჲ. ანგელოზნი მადიდებელნი. ვარსკულავისა სრბაჲ. მოგუთა ძღუნის მომრთუმელობაჲ. წინა დაცუჱთაჲ. ნათლისღებაჲ: ზეცით წამებაჲ. განცდაჲ. ქოლვაჲ ჩუჱნთჳს. ზ҃ ვნებანი უვნებელისანი: განცემაჲ. შემსჭვალვაჲ. დაფლვაჲ. აღდგომაჲ. აღსლვაჲ ზეცად:. ამისთჳს ქადაგებანი მოციქულთანი: სისხლნი მოწამეთანი. სწავლანი მოძღუართანი: ოფლნი ღირსთა მამათანი: გულს მოდგინებანი კეთილად მსახურთა და მორწმუნეთა მეფეთანი: წადიერებანი ღთისმოყუარეთა მთავართანი: კადნიერებანი ღთის-სახისა მღდელთ-მთავრობისა რწმუნებულთანი, წინამბრძოლისა თჳსისა თანა სიმჴნით თანა მბრძოლებანი მღდელთა და სამღდელოთანი:. ცოდვისა მიმართ სიმჴნით წინა განწყობანი, ნივთთაგან განშიშულებულისა მონაზონთა დასისანი. და მათთანა ერთკმობანი ქრისტეს მოყუარისა ერისანი:.

ამისთჳს იქმნნეს ქრისტეს მოყუარეთა და ღთივ დაცვულთა მეფეთა მიერ ჟამად ჟამადნი კრებანი. ღთის მოყუარეთა ეპისკოპოსთა და ღთისა სათნო ყოფილთა მამათანი: რათა საქმეთა მიერ განსრულებულითა სარწმუნოებითა. შეაერთნეს ღმერთსა ქრისტეანენი: რომელთასა კეთილად ებაძვა შურსა ჩუჱნიცა ესე გჳრგჳნოსანი: მრჩობლ მარჯუჱნე და შეყუარებული. გჳრგჳნი [თავისაჲ] და სასურველი ძე დავით: [რომელი ესე ერთბამად მჴნეცა არს, და ბრძენ: მართალ, და წმიდა, იგივე მყუდროცა, და მშჳდ. სახიერ, და ტკბილ:] მოწყალე და ძჳრუკსენებელ და მისგავსებულ სახიერებასა ღთისასა. რომელი აღმოუბრწყინვებს მზესა კეთილთა და ბოროტთა. და ზრდის ყოველთა წჳმითა სწორებით:. ესე ვინაჲთგან გარეშეთა ბრძოლათა შინა, წინა დაუდგრომელობით უბრძოლველ და გარეშისა სახისა ქმნულებითა: სხუათა კაცთაგან შესწორებად შეუძლებელ იყო: რამეთუ კეთილ დიდ არს ვითარცა გმირი. შუჱნიერ არს ვითარცა სიძე. ბრწყინვალე არს ვითარცა ცისკარი. ნაყოფიერ არს კეთილთა მიერ ვითარცა ალმოსავალი. ყუავილოვან წარმატებათა მიერ ვითარცა სამოთხე ღთისა: არა თავს იდვა რათა არა უმეტეს მოღუაწე იქმნეს განბრწყინვებად შინაგანთაცა სიკეთეთა სულისათა: ვინაჲთგან იგინი წარმდინარ, ხოლო ესენი დაუსრულებელობასა თანა ღთისასა, თანა დაუსრულებელ არიან:.

ამისთჳს შემოკრბა კრებაჲ ღთის მოყუარეთა ეპისკოპოსთა. პატიოსანთა მღდელთა და ღირსთა დიაკონთაჲ: ქრისტეს მოყუარეთა მონაზონთა, დაყუდებულთა და მეუდაბნოეთაჲ: სანახებთა ქართლისათა. მახლობელად ორთა საეპისკოპოსოთა რუისა და ურბნისისა [3]). გარნა არა თუ უბიწოებასა ქართველ-

---

[3]) სჩანს, რომ შემოკრებულთა სიმრავლისა გამო კრება გაუმართავთ მინდორზე, რუის-ურბნისს შუა.

თა სარწმუნოებისასა ბიწი რაჲმე შეჰხებოდა, ნუ იყოფინ ესე. არა გეცრუვ-ნეთ შენ სიწმიდით მშობელო ჩუჱნო კათოლიკე ეკლესიაო. არცა განგცეთ შენ სიქადულო ჩუჱნო მართლმადიდებლობაო. რომლისა არცა განმცემელ ქმნილ ვართ. ვინაჲთგან შემეცნებასა შენსა ღირს ქმნილ ვართ; მოწამე არს ჭეშმარიტებაჲ: არამედ სხუათა საეკლესიოთა და სამღდელოთა, და საქრისტე-ანოთა ძიებათათჳს: რომელთა თავ და წინამძღუარ და პირ წმიდისა მის კრე-ბისა იყო. ღუთისა მიმართისა საკუთრებისა თანა, სიმშჳდითცა სულისაჲთა მი-მსგავსებული მოსესი. და მსგავსად დიდისა სამოელისსა წინა მლოცველი ერი-საჲ, ჵ მცხებელი მადლით სრულ ყოფადთაჲ; იოვანე ყოვლად ღირსი მთავარ ეპის-კოპოსი. კათოლიკოსი. და ყოვლისა საქართველოჲსა დიდი მამათ მთავარი [4]). და მისთანა სიმრავლე პირველ კსენებულთა მათ სავსებისაჲ:.

Ⴆ. *) ჵ პირველად ეპისკოპოსნი [ვინმე ვერ]ღირსებით შემოსრულნი პა-ტივსა მღდელთმთავრობისასა. და უღირსნი ქრისტეს პირველისა მის მწყემსთ მთავრისანი განვკუჱთენით და უცხო ვყვენით მღდელობისაგან: ვინაჲდგან არა წმიდისა შეხებაჲ სიწმიდეთაჲ არა უცთომელობა არს: და მახლობელი ღთისაჲ, მახლობელ ცეცხლისა არს. და უკმს, რათა ყოვლითურთ ოქრო იყოს: ხოლო არა კრულ ვყვენით და არცა შევაჩუჱნენით, ნუ იყოფინ. არამედ ლიტონთა ერის კაცთა თანა ზიარებად ფლობილ ვყვენით [5]). უკეთუ ოდენ ამიერითგან მმარ-ხველ იყვნენ სიწმიდისა:. და ნაცვლად მათდა სხუანი დავადგინენით რომლისა ჰასაკისაგანცა და საქმეთაგან აქუნდა წამებაჲ და კეთილად განეწუართნეს კორცნი დამორჩილებად სულისა:.

Ⴇ. ამასთანა სულ მოკლებაჲცა კელთ დასხმადთაჲ. ვითარცა უწესოჲ და უკანონოჲ დავჰკსენით. და განვაწესეთ რათა ამიერითგან არღარა ვინ იკადროს ქმნად. თჳნიერ ვითარ იგი განაწესებს კანონი: რათა ეპისკოპოსი ოცდა ათხუთმეტისა წლისაჲ. მღდელი ოცდა ათისა წლისაჲ: დიაკონი ოცდა ხუთი-სა წლისა და წიგნის მკითხველი რვისა წლისაჲ კელთ დასხმულ იქმნებოდინ:. ამასთანა სხუაიცა უწესოი წესი კელთ დასხმათაჲ დაკსნად განვაჩინეთ: ვითარ-მცა მასვე და ერთსა დღესა კელნი დაესხნეს ვისმე. წიგნის მკითხველად. კერ-ძო დიაკონად, დიაკონად და მღდელად. ანუ თუ ეპისკოპოზადცა: რომელი ესე უკეთუ იქმნასღა სადა ამიერითგან, კელთ დამსხმელი და კელთ დასხმუ-ლი ერთბამად განიკუჱთნენ მღდელობისაგან: რამეთუ პირველად წიგნის მკით-ხველად, და კერძო დიაკონად ოდენ ჯერ არს კელთ დასხმაჲ. და ორისავე ამის ერთსა დღესა შესაძლებელ არს ქმნაჲ: და მერმე დიაკონად. და ვითარცა და-

---

[4]) ეს იოანე კათალიკოზი ცოცხლად მოხსენებულია 1123 წელს დაწერილს და-ვით აღმაშენებლის „ანდერძში“ (იხ. ჩვენი რუსულ-ქართული გამოცემა, გვ. 11).

*) კანონების თავს მუხლები (Ⴆ, Ⴇ, ႨႧ და სხვ.) ჩვენ დავსხით.

[5]) ეს ამოწმებს ქ-ც-ხზის თქმულებასაც (I, გვ. 242). ამ კრებაში განუკვეთი-ათ მოდისტოს, ძმა ძაგანისი (იხ. იგივე „ანდერძი“ დავით აღმაშენებლისა).

ყვნეს დღენი დიაკონობასა შინა. და ჰმსახურონ მღდელთა არა მცირედთა დღეთა, მერმეღა მოიყვანონ მღდელობად:. ხოლო უკეთუ ეპისკოპოსობად მომავალ იყოს. შემდგომად შჳდთა დღეთა [ჟამის წირვისა]. მერმეღა მოიყვანონ მღდელ წირვისა მოიყვანონ (sic) კელთ დასხმად ეპისკოპოსობასა:· და ამას ვიტყჳთ მათთჳს, რომელთა საჭიროჲ რაჲმე მიზეზი ასწრაფობდეს, ხოლო რომელთა არცა ერთი რაჲ აქუნდეს სათანადოჲ მიზეზი მასწრაფობელად; მათ წელიწადი და წელიწადნი დაყვნენ თჳთოეულსა ხარისხსა შინა. და უფროსღა დიაკონობისასა. ვინაჲდგან თჳნიერ დიაკონთა სიმრავლისა, ვერაჲ მიიღებს შუჱნიერებასა საეკლესიოთა წესთაგანი:. ამისთჳს ვამცნებთ ყოველთა ეპისკოპოსთა. რათა უფროჲსღა დიაკონთა განმრავლებისათჳს მოღუაწე იყვნენ ეკლესიათა შინა მათთა:. ხოლო მონაზონთა რომელნი მღდელობად [მოვიდოდენ] და ეპისკოპოსობად მომავალ იყვნენ. პირველად სრულიად მონაზუნად დიდითა სქემითა უბრძანებთ განსრულებასა. და ეგრეთღა მღდელობად მოსლვასა:.

ႨႢ. ხოლო წესი კელთ დასხმადთა სრულებისაჲ ეგრეთ აღესრულებოდეედ. ვითარცა ახალთა შინა კურთხევათა ნეტარებით მოკსენებულისა მამისა გიორგი მთაწმიდელისათა დაწერილ არს:. ეგრეთვე კურთხევაჲ ეკლესიისაჲ. და დამყარებაჲ საკურთხეველისაჲ. და წმიდა ყოფაჲ ღმერთ მყოფელისა მიჰრონისაჲ, ეგრეთ სრულ იქმნებოდეედ ვითარცა მუნ შინა მოკსენებულ არს:.

Ⴃ. ხოლო ქრთამისათჳს ჩ̃ საფასისა რომელსა მიიღებენ კელთ დამსხმელნი კელთ დასხმადთაგან. ზემოჲთგანისა წმიდათა მოციქულთა ჩ̃ მამათა მოცემისაებრ, განჩინებად ვიკადრებთ ჩუჱნცა. რათა მოჲსპოს ეგრე ვითარი იგი ეკლესიისაგან. და აღიკოცოს მღდელობისაგან მაკურთხეველისა თჳსისა, თანა: რომლისა ქმნაჲ ამიერითგან ნუღარამცა ვის უკადრებიეს. რათა არა იგიცა შევსძინოთ. ვითარმედ შეიჩუჱნოს ვითარცა სჳმონ მოგჳ პეტრე მოციქულისაგან. და ნუმცა მიიღებენ რაჲთურთით ნუ რა რას ნუ ოდეს ნუცა პირველ კელთ დასხმისა; ნუცა თჳთ მას კელთ დასხმასა შინა. ნუცა შემდგომად კელთ დასხმისა: ნუცა ქრთამსა. ნუცა ძღუჱნსა: ნუცა ევლოგიასა: ნუცა კათალიკოსი ეპისკოპოსთაგან. გინა ხუცეს დიაკონთა და ხორ ეპისკოპოსთა ნუცა ეპისკოპოსნი დიაკონთაგან და მღდელთა და ხორეპისკოპოსთა, ნუცა [რათ სხუათა სამღდელოჲსა დასისაგანთა ანუ რომელთავე საეკლესიოთა მნეთაგან].

Ⴄ. მერმეცა სამღდელოთა ჭურჭელთა. და ღთისადა შეწირულთა სიწმიდეთათჳს. რომელ არიან ბარძიმ, ფეშხუჱმ, სამწეროებელნი. და ყოველივე ეკლესიათადა შეწირული. და ერთგზის ღთისადა მიცემული: ოქროჲ. ვეცხლი. თუალი. მარგალიტი: ჭიქაჲ. სტავრაჲ. საქსოვი. სინი. რვალი. რკინაჲ. ძელი. კეცი. ქვაჲ:. ამას განვაწესებთ შედგომითა წმიდათა კანონთაჲთა. რათა არა ვის კელეწიფოს კმარებად მისსა არა რად: არცა ტყუჱთა საკსრად: დაღათუ ცუდადცა და უქმრად მდებარე იყვნენ. და ფერკითა დასათრგონველად ისხნენ ეკლესიასა შინა, და საჭურჭლესა მისსა:. ხოლო უკეთუ ვინმე იკადროს ამათგანისა რაჲსაცა. (სამის ასოს ალაგი ამოშლილია) გარეგნით მის ეკლესიისა. და

თვნიერ მისსა ვითარ იგი განწესებულ იყოს. და ვითარ სახედცა სამსახურად ეკლესიასა, ანუ საკურთხეველისა შექმნილ იყოს, სხუად რადცა კმარებად; მოელოდედ აქა უკუჱ ბაბილოვნელთა მეფისა ბალტასარის და ანანიაჲს და საპფირაჲს სასჯელსა. ხოლო მუნ ცეცხლსა საუკუნესა. განმზადებულსა ეშმაკთათვს და ანგელოსთა მისთათვს:.

Ⴅ. ამასთანა ესეცა მოვიკსენეთ. ვითარმედ თვნიერ ეკლესიისა და საკურთხეველისა. არცა ნათლისცემაჲ შესაძლებელ არს არცა გვრგვნთა კურთხევაჲ: არცა მონაზუნისა ეპისტოლითა გინა სქემითა კურთხევაჲ: და არცა მონოზონსა ხუცესსა გვრგვნთა კურთხევად კელეწიფების: არცა ერისგანსა მღდელსა მონაზონისა კურთხევად:. ხოლო შემდგომად გვრგვნთა კურთხევისა. პირველთა და მეორეთა ცოლქმართა. წმიდათა საჲდუმლოთა ზიარებაჲ უკმს. მას დღესა რომელსა იკურთხნენ უეჭუელად. არა თუ გარდარეულითა რაჲთამე ბილწებითა შებღალულ იყვნენ: დაღათუ უზიარებლობითაცა განკანონებულ იყვნენ. და მერმე აღსრულებაჲ კანონისა უზიარებლობისა მათისასა: ხოლო მეორეთა გვრგვნთა მაკურთხეველი ხუცესი სამხრობად ნუ მივალს მათ თანა: ნუცამცა მეორეთა ცოლ ქმართა პირველნი გვრგვნნი ეკურთხევიან:. ხოლო სხუჱბრ ჲ არა ესრეთ მოქმედი ამათი; ხუცესი უკუჱ განკუჱთისა, ხოლო ერისკაცი უზიარებლობისა თანამდებ იყოს:.

Ⴆ. კუალად ამასცა განვასაზღვრებთ. რათა ამიერიდგან არღარა ეკურთხეოდინ გვრგვნი ჩჩვლთა ქალ ყმათა: არამედ უკეთუ საჭიროდ რაჲმე იყოს მშობელთა მათ დიად დაუწინდნენ იგი ურთიერთას. და რაჟამს ჰასაკად მოვიდენ ორნივე მაშინ იქორწინნენ:. და ქალი ათორმეტისა წლისასა უმცროჲსი, ნუმცა შეყოფილ არს ქორწინებით მეუღლისადა:. ხოლო ამის განჩინებისა დამკსნელი, თანამდებ იყავნ ზემოკსენებულისა მის განჩინებისა:.

Ⴡ. კათალიკოსისა, და ეპისკოპოსთაგან. ხორ-ეპისკოპოსი სჯულისა და საღთოთა წიგნთა მეცნიერი გამოირჩეოდედ. მღდელი ანუ დიაკონი და შიშითა ღთისაჲთა ემცნებოდედ მას. [უბიწოდ] დაცვაჲ ყოველთავე საქრისტეანოთა წესთაჲ: რათა არა რაჲ მათგანი განსცეს ქრთამისათვს. არცა რაჲ განყიდოს ვეცხლად ვითარცა იუდა უფალი; რათა არა შიშთვილიცა მისი დაიმკვდროს:. V

Ⴇ. შემდგომად ამათსა ამისიცა სათანადოდ ვჰგონეთ მოკსენებაჲ. ვინაჲდგან მოძღურად წოდებულთა მათ მონაზონთაჲ. ფრიადი და აღურიცხუველი არს სიმრავლე. და ერთსა მონასტერსა შინა, ხუთნი და ათნი. მრავალგზის ოცნიცა და ოცდა ათნი იპოებიან დიდი თუ იყოს მონასტერი, და მრავლისა შფოთისა და განხეთქილებისა მიზეზსა შემოიღებს სიმრავლე მათი: ამისთვს განვაჩინებთ რათა ამიერითგან დასცხრეს ესე ვითარი ესე უწესოებაჲ:. ჲ პირველად ამას განვასაზღვრებთ. რათა უმღდელოსა არა კელეწიფებოდის განმკითხველობად სულთა. არა თუ ეპისკოპოსი იყოს; ანუ მღდელი, ანუ დიაკონი. რამეთუ პირველად შეკრვისა და განკსნისა კელმწიფებასა უკმს ქონებად. და

ეგრეთღა განკითხვისა სულთაჲსა კელყოფად: ამასთან რათა დიდთა მონასტერთა შინა ორ ორი. ხოლო მცირათა შინა თითოჲ ხოლო კმა იყოს მოძღუარი:. და უკუჱთუ ვინმე ამას განჩინებასა გარდაჰკდეს, უჱჭუელად ესმეს მას: ვითარმედ ხოლო კდომისაგანთა მათ და ურჩთა ჭეშმარიტებისათა. და მორჩილთა სიცრუჲსათა. რისხვაჲ და გულის წყრომაჲ. ჭირი და იწროებაჲ და შემდგომი:.

Ⴈ. წესი იგი რომელსა კრებულთა დასხმად უწესენ. ნუღარამცა კადრებულ არს ქმნად ამიერითგან:. ნუცა მონასტერთა შინა შექმნაჲ სავაჭროთა ერის' კრებათაჲ: ნუცამცა რაჲ სხუაჲ სამოქალაქოჲ და სოფლიოჲ წესი ქმნილ არს მონასტერთა შინა ოდესცა. რათა არა სალოცველთა მათ ადგილთა ქუაბ ავაზაკთა შექმნითა, სულთაცა თქუჱნთა საფარდულები საღთოჲსა სიტყუსა მიერ დაიქცეს. ვითარცა მეკერმეთა მიერ ტაბლები:. და წმიდათა მამათა და კრებათა მიერ, განკანონებისა თანამდებ იქმნნეთ:.

ႨႠ. ხოლო ერთსა საკურთხეველსა, და მასვე და ერთსა წინადაგებასა ზედა წმიდისა შესაწირავისასა. მრავალთა სულთათჳს. მრავალთა მღდელთა მიერ ქმნაჲ წმიდისა ჟამის წირვისაჲ უწესო არს და განგდებულ. რომელი ესე ნუღარამცა სადა ქმნილ არს:. უფროჲსღა თავად საკურთხეველსა ზედა დიდისა ეკლესიისასა. საეპისკოპოსოჲსა გინა მონასტრისასა. ერთისა არა ვისთჳს წეს არს ჟამის წირვად არა ოდეს. არცა ცოცხლისა არცა მიცვალებულისათჳს. თჳნიერ ალაპთა და სულისა საკსენებლად განჩინებულთა დღეთაჲსა. არამედ მის ეკლესიისა მაშენებელთა და შემომწირველთა. და ერთბამად ყოველთა ქრისტეანეთა ცოცხალთა და მიცვალებულთათჳს ჯერ არს ჟამის წირვაჲ: ხოლო ერთისა კაცისათჳს, ანუ ერთისა სულისათჳს ეგუტერთა სადმე შინა, ანუ შტოთა ეკლესიისათა ჯერ არს თითოეულისა ხუცისაგან ჟამის წირვაჲ:.

ႨႡ. რომელნიცა ღთის მავნებლობითისა მის წვალებისაგან ხაჩეცართაჲსა რომელ არიან სომეხნი. მართალსა და უზაკუველსა სარწმუნოებასა მოუკდებოდინ. და წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შეერთებოდინ. და ბიწსა მას წვალებასა ერთ-ბუნებიანთა. და ერთისა ნებისა. და ერთისა მოქმედებისა. ღთაებისაგან და კაცებისა შეზავებულისა: და არცა საღთოჲსა არცა კაცობრივისა, არამედ შერეულისა რაჲსმე და უცხოჲსა, ქრისტეს ჭეშმარიტისა ღთისა ჩუჱნისა ზედა სიჩქურით მეტყუჱლთასა შეაჩუჱნებდენ. ესრეთ განვაწესებთ მათთჳს. რათა სრულიად ნათელ სცემდენ ვითარცა წარმართა. ვინაჲთგან სხუათაცა დიდთა ეკლესიათა ვჰპოებთ მოქმედად ამისსა. ვითარ იგი არს საპატრიაქოჲ საყდარი ანტიოქიისაჲ. და ყოველნი მიმდგომნი მისნი ეკლესიანი ყოვლისა აღმოსავლისანი:.

ႨႢ. კუალად ვანვაწესებთ. რათა არცა მართლმადიდებელი მამაკაცი მწვალებელსა გინა წარმართსა დედაკაცსა; ანუ დედაკაცი მამაკაცსა შეეუღლნენ:. ვინაჲთგან ყოველი მართლ მადიდებელი ტაძარი არს ღთისაჲ. დამკვდრებულისა მის მიერ სულისა მისისა ჩუჱნ შორის: ხოლო ყოველი ბოროტად მადიდებელი. ანუ ყოვლად არა მადიდებელი, ტაძარი არს ეშმაკისაჲ: ხოლო ვი-

თარმედ არცა ერთი ზიარებაჲ არს ტაძრისა ღთისაჲ კერპთა თანა, ვითარ იგი ბნელისაჲ ნათლისა თანა, მოწამე არს საღთოჲ მოციქული: ხოლო რომელ-მან ამიერითგან იკადროსღა ქმნაჲ ამათი, განიკანონოს იგი პირველ თქუმუ-ლითა მით კანონითა:.

ႨႦ. ვინაჲთგან ესეცა უწესოებაჲ მრავალთა მიერ აღსრულებულად გუესმა. უფროჲსღა დიდთა ვიეთმე და წარჩინებულთა. და არა ლიტონად კაცთა-გან ქმნილად. რომელ არს კიდესკიდე და არა ერთგან კურთხევაჲ გვრგვნ-თაჲ, ქორწინებით ერთ კორც ქმნადთა მეუღლეთაჲ: ვითარ იგი ჰყოფენ უს-ჯულოებით. დედაკაცისასა უკუე, სხჳსა ვისმე უცხოჲსა მამა კაცისა თანა კურ-თხევასა: ხოლო მამა კაცისასა მამაკაცისავე სხჳსა თანა. რომლისასა რაჲმცა იყო სხუაჲ უუწესოესი: და უსაცინელესი: ანუ არა ყოვლითურთ მსგავს არსა. მარკიონის მწვალებელთა მიერ მკუდრისა წილ ნათლისცემასა ცოცხლისასა: რამე-თუ ესე ერთგან კურთხეულნი მამა კაცი დ̃ დედაკაცი. ნუ უკუე შეირაცხნენ ნა-ხევარ მემრუშედ ცოლ ქმრად. ვინაჲთგან სხჳსაჲ იკსენების სახელი, და სხუაჲ წარმოდგომილ არს მუნ: ხოლო ორთა მათ ერთაგან კურთხეულთა მამაკაც-თათჳს რაჲ ვინ მოიგონოს სახელი. გარნა თუ ვინმე ვრცელითა სიცილითა განბასროს. ესე ვითარი ესე, სჯულისა და კეთილისა წესიერებისა ჩუენისა. და კაცობრივისა ქცევისა და ჩუეულებისა გარეგანი უსჯულოებაჲ:. რომლისათჳს ამას განვასაზღვრებთ. რომელნიცა მოაქამდე ესრეთ კურთხეულნი ყოფილ არიან და გარდასრულ არიან, იგინი შენდობილ არიან უმეცრებისათჳს: ხოლო უკუე-თუ აწ სადმე იპოვნენ ვინმე ეგე ვითარნი, იგინი სჯულიერად ცოლ ქმრად ნუმცა შერაცხილ არიან:. ამიერითგან კუალა, ნუღარამცა ვისგან კადრე-ბულ არს ქმნაჲ ამისი: და უკუეთუ იქმნას სადა, ოთხნი იგი კურთხეულნი. და ორნი მაკურთხეველნი მათნი ხუცესნი. ექუსნივე განიკანონნენ:.

ႨჁ. მერმეცა ღთის მოძაგებულისა მის და ღუთის განმამწარებელისა, ცოდვათა უბილწესისა საძაგელებისა სოდომელთაჲსა: რომლისაჲ არა უწყით თუ ვითარ შეეთჳსა იგი უბადრუკსა ამას ნათესავსა. და სრულიად განაშორნა და უცხო ყვნა ღთისაგან, ვიეთთანაცა პოვა თავისა მისადრეკელი:. ამას გან-ვასაზღვრებთ სიტყვთა ღთისაჲთა. და სამოციქულოჲთა კელითა. და მამობრი-ვითა განჩინებითა. დაღა თუ მრავალგზის ქმნილ არიან მრავალთა ნათესავთა მიერ მრავალნი და რიცხჳსა მძლენი ცოდვანი: ვითარ იგი მტერობანი: შურ-ნი: სიძულილნი: კაცის კლვანი: მრუშებანი: ცრუ ფიცებანი დ̃ უკუანაჲსკნელი და თავი ყოველთა ბოროტთაჲ კერპთ მსახურებაჲ: და თაყუანისცემისა შეც-ვალებაჲ დამბადებელისაგან დაბადებულთა მიმართ: გარნა არცა ერთისა მათ-განისათჳს აღძრულ არს აღუძრველი იგი. ვითარცა თჳთ იტყოდა აბრაჰამის მიმართ: ვითარმედ ღაღადებაჲ სოდომისა დ̃ გომორისაჲ მოიწია ჩემდა. და გარ-დამოვკედ ხილვად, უკეთუ ღაღადებისაებრ მათისა არიან საქმენი მათნი:, რომლისა შემდგომად იხილეთ თუ რაჲ იქმნების. და თუ ვითარ ნივთნი ესე სამსახუროდ კაცთათჳს. დაბადებულნი ღთისაგან, წინა უკუმო ბუნებისა თჳსი-

სა შესცვალებენ ბუნებითსა ძალსა თჳსსა. და უცხოჲსა ცოდვისა ალსაკოცელად, უცხოსა მოიპოვებენ მოქმედებასა:. რამეთუ მარადის ალმართ მოძრავი და სუბუქი ბუნებაჲ ეთერისა ცეცხლისაჲ, ვითარცა ზრქელი რაჲმე და მძიმე, დალმართ ჰყოფს დამოდინებასა: და სახედ მძაფრისა წჳმისა, საშინელებით მჩქეფროჲს ალრეული წუნწუნბასა . თანა. მრისხანედ განსალევნელად უკეთურთა მათ საბილწეთა მრავლითა კაცთა:. ხოლო წულილი და თხელი უფერული ბუნებაჲ ჰაერისაჲ. მიზეზი ცხოველთა ალმოფშჳნვისა და სიცოცხლისაჲ, სიზრქედ ალმურისა კშირისა. და ფერად კელიჲ საძიებელისა ბნელისად და შემაშთობელად, კუამლად სასწაულად რისხვისად შესცვალებს თავსა თჳსსა მათ ზედა:. ამათთანა ქუჱყანაჲ მყარი და მტკიცე. და მტჳრთველი [სიმძიმესა მას ზედა . მდებარეთა გუამთასა], ვერლარა იტჳრთავს სიმედგრესა ბილწებათა მათთასა . არამედ პირველად შესძრავს საფუძველთა თჳსთა და სილრმით იატაკთა თჳსთაჲთ ალმომდულარე. ჰაერად ალმოიხუამს სილრმეთა, საფუძველისა მათისა სიმტკიცეთასა: და მიწად გარდმოიხუამს სიმალლეთა გოდოლ ტაძრებისა მათისა სიმაგრეთასა:. მერმე განალებს ვიდრე მუნ ჟამადმდე განულებელსა პირსა და თანად ქალაქებითურთ და სახლებით შთანთქამს არლარა კაცებსა, არამედ დამწურებსა რასმე ძუალებსა. და ოდესმე ყოფილთა კაცთა, საწყალობელსა ნეშტებსა:. ხოლო წყალი, იგიცა უცხოდ იხილვების შეცვალებულად მათთჳს: ჵ არლარა საშუჱბელად და საკმარად. არამედ სხუათა ნივთთაგან დაშთომილისა ნეშტისა მათისა ალსაკოცელად. პირსა ზედა მათეულისა ქუჱყანი[სა უფროჲსლა საფლავ მათდა] ქმნილისა ჯოჯოხეთისა, [იხილვების] მოდინებულად. ეგოდენ შეცვალებული სხუათა წყალთაგან ბუნებითა. რავოდენ იგინი სხუათა კაცთა ჰმატდეს ბილწებისა გარდარეულებითა:. ამან უსჯულოებამან. ასურასტანელთა იგი უმრავლესთა ნაწილთა ქუჱყანისათა დამპყრობელი მეფობაჲ, ტყუედ წარუქცია სპარსთა და მიდთა. და სრულიად ალმოჰფხურა ქუჱყანით საკსენებელი. არა ხოლო მეფე და მძლავრი, არამედ კაც ყოფისაცა მათისაჲ:. ამან ცოდვამან. დიდი იგი და ყოვლით კერძო ყოვლისა ქუჱყანისაჲთ კმა განსმენილი ნათესავი სომეხთაჲ, მეფობითურთ და მთავრობით მათით, არა ოდენ დაამდაბლა და დაამკუა, არამედ სრულიად ალიღო კაცთაგან სახელი მათი. რომელთაჲ ვერვინ პოოს დღეს. ერთიცა მეფე ანუ მთავარი. მქონებელი დაუმონებელისა თავისუფლებისაჲ. დალათუ ყოველიცა ვინ პირი მიწისაჲ მოჲხილოს:. ამან ბილწებამან სპარსთა იგი მალალი და მარადის ჰრომთა მეფობისა კდომა ფლობაჲ. მკეცის ბუნებათა ვიეთმე კაცთა ავაზაკურითა ზედა მოსლვითა, მიწადმდე დამდაბლებულ ყო. და ვიდრე მოაქამდე მძლავრებისა მათისა მორჩილ ყო. ესე არა უწყით თუ ვინაჲ უკეთურებით შემოეხრწნა მოქალაქობასა ქრისტეს მოსახელისაცა ერისასა: რამეთუ რაჲ ზიარებაჲ იყო ბელიარისი ქრისტესთანა და კელსა უცხოთესლთასა მიცემითა დასასრულ მახჳლისა მათისა ქმნითა, ნეშტნი ოდენლა დამიტევნა ისრაჱლისანი. რომელნი უკეთუ ვეგნეთლა

მასვე უკეთურებასა ზედა, ოი ჩემდა, დავიდუმო ძნელ სიტყუაჲ, [რომელი] ყოველთადა ცხად არს დალაცა თუ ჩუჱნ ვჰრიდოთ:. ამისთჳს ვამცნებთ ყოველსა დიდსა და მცირესა: მდიდარსა და გლახაკსა: მეფესა და მთავარსა: აზნაურსა და მდაბიორსა: მღდელთა და უმღდელოთა: მოწესეთა და ერისკაცთა: ბერთა და ჭაბუკთა, და შუა კაცთა: ყოველსა პატივსა და ყოველსა წესსა. და ყოველსა ჰასაკსა განყენებად ამის ვნებისა. უფროჲს[ღა] საძაგელისა ბილწებისა:. და ესრეთ დაუმტკიცებთ სახელითა უფლისა ჩუჱნისა იჱსო ქრისტესითა:- ყოველმან სულმან ქრისტეანემან მართლმადიდებელმან. ამათ სიტყუათა მსმენელმან. რომელმან შემდგომად ამის ძეგლისა წარკითხვისა, არა იჯმნას ბილწისა მის სოდომურისა ცოდვისაგან და არა ხოლო საქმით ქმნისა მისისა, არამედ [რ]ეცა ლაღობით ფერებისა. და სიტყჳთ თქუმისა. რათაცა სამისოთა, და მისთა დამსახველთა სიტყუათა და საქმეთაგან, უჱჭუჱლად მოიწიოს მის ზედა. ამას უკუჱ საწუთოსა, საშინელი რაჲმე და ცოცხლივ ჯოჯოხეთად შთამკდელი რისხვაჲ მსგავსად წუნწუნბასა თანა აღრეულისაჲ მის სოდომელთა ცეცხლისაჲ:. ხოლო მუნ იგი მიმთუალველ ექმნეს. მას რომელი ვალს წინაშე პირსა უფლისასა. და შესწუვავს გარემოჲს მისსა მტერთა მისთა. ვინაჲთგან სიყუარული კორცთაჲ მტერობაჲ არს ღთისაჲ. და რომელმან განხრწნას ტაძარი ღთისაჲ, განხრწნეს იგიცა ღმერთმან: და ამასთანა და ჩუჱნგან უღირთა მონათა. საღთოჲსა მონებისა ღირს ქმნულთაჲსა, ჵოი, ჩუჱნდა, არღარა კურთხევაჲ, არამედ კდემაჲ და მხილებაჲ დაიმკჳდროს საუკუნოჲ.

ხოლო ვინაჲთგან მიზეზად ურთიერთას პატივით თაყუანისცემისა, ჩუჱნ შორის მყოფი ხატებაჲ ღვთისაჲ აღსაარებულ და ქადაგებულ არს. დიდთა მოძღუართა და მამათა ჩუჱნთაგან, ცხად არს ვითარმედ თაყუანისმცემელი ხატისა ღთისაჲ, თაყუანისცემს მის მიერ. მაგინებელიცა სადმე ხატისა ღთისაჲ, ღმერთსა აგინებს უჱჭუჱლად. ვითარცა წმიდათა შორის დიდი ბასილი ესრეთ დასწერს ამას:. ამისთჳს განვასაზღვრებთ. რათა ესეცა ღთის შემაწუხებელი, და ღთისა შეურაცხის მყოფელი ცოდვაჲ სრულიად მოისპოს ყოვლისაგან ენისა და ნათესავისა ჩუჱნისა: და რომელმან ამიერითგან შეაგინოსღა სული გონებაჲ და პირი თჳსი უსახრითა გინებითა ზემოწერილისა ამის თანამდებ იყოს [იგიცა განკა]ნონებისა:.

## მეფესა დავით მონაზონი არსენი. [6])

ამათდა მომართ რასა იტყჳ, რომელსა ჰსიბრძნის ჰმოყუარებ შენ უფროჲ-

---

[6]) ეს სათაური წითელ ასომთავრულით არის დაწერილი. აქ მოხსენებული არსენი ის ბერია, რომელსაც დავით აღმაშენებელმა მიანდო შიო-მღვიმეში ეკლესიის აღშენება და არა მოძღვარი მეფისა (იხ. ჩემი გამოცემა 1123 წლის „ანდერძისა“),

სად ბრწყინვალეო თუალო ყოვლისა სოფლისა მეფეთა ერთგუამობისაო:. რომელი ეგე ჰაეროვან ხარ, ვითარცა სამყაროჲ ხილულისა სოფლისა შორის:. საჩინო, ვითარცა მზე, ვარსკულავთა შორის:. ბრწყინვალე, ვითარცა ეთერი ნივთთა შორის:. ნათლის ფერ, ვითარცა ელვაჲ ღრუბელთა შორის:. ცისკროვან, ვითარცა აღმოსავალი კერძოთა შორის:. ტკბილ, ვითარცა არე ჟამთა შორის:. ღთის სახე, ვითარცა სიყუარული სათნოებათა შორის:. გულის სათქუმელ, ვითარცა ოქროჲ მიწათა შორის:. ელვარე, ვითარცა ჲაკინთი ქვათა შორის:. მაღალ ვითარცა ფინიკი ნერგთა შორის:. შუენიერ, ვითარცა ვარდი ყუავილთა შორის:. აღმატებულ, ვითარცა სამოთხე ქუეყანისა შორის:. ძლიერ, ვითარცა ლომი მჴეცთა შორის:. მტკიცე, ვითარცა ანდამატი განუკუეთელთა შორის:. სახელ განთქმულ, ვითარცა ნებროთ გმირთა შორის:. ახოვან, ვითარცა ისო წინა მბრძოლთა შორის:. მოშურნე, ვითარცა ფინეზ მღდელთა შორის:- მჴნე, ვითარცა სამფსონ მსაჯულთა შორის:. უბრძოლელ, ვითარცა აქილლევ ელლენთა შორის:. ბრძენ, ვითარცა სოლომონ მეფეთა შორის:. მშჳდ, ვითარცა დავით ცხებულთა შორის:. შურის მეძიებელ, ვითარცა იოსია შარავანდედთა შორის:,

უზარო, ვითარცა მაკედონელი მფლობელთა შორის:.

განმადიდებელ ფლობისა, ვითარცა ავღჳსტოს კეისართა შორის:.

კაცთ მოყუარე, ვითარცა ჩემი იესო ღმერთთა შორის:. ბუნებით ღმერთი, მადლით ღმერთ ქმნულთა შორის:. მკურვალე, ვითარცა პეტრე მოწაფეთა შორის:. საყუარელ, ვითარცა იოვანე მეგობართა შორის:.

მკრცხლ, ვითარცა პავლე მოციქულთა შორის:. სახის დასაბამ უცთომელისა ქრისტეანობისა, ვითარცა დიდი კოსტანტინე თჳთ მპყრობელთა შორის:.

სიმტკიცე კეთილად მსახურებისა, ვითარცა თევდოსი სკიპტრის მპყრობელთა შორის:.

სათნო უჩანანა, ესენი მყუდროებასა' შენსა; განსუენებულ არსა ამათ ზედა სიბოროტისა სულთაჲ მდევნელი დავითიანი სული შენი:. რომელნი ესე აწ ძლუნად მოგართუნა შენ მწყობრმან შენთა ამათ ნაზირეველთაჲ (sic) სიმრავლისამან.[7]) რათა შენ მიართუნე ესენი ღმერთსა, და მოწყალე ჰყო ამათ მიერ წყალობის მოყუარე უფალი:. რომელ მოსწრაფებით შემოკრებაჲ უბრძანე შენ,[8]) და დიდისა ამის და ღთისა სათნოჲსა წარმათებისა თანა შუამდგომელად ღთისა მიმართ მოიგენ, ვითარცა საკუთარნი მონანი: რათა რომელიმე ღთისა სახისა მღდელთ [მთავ]რობისა მიერ, მახლობელ ექმნებოდის შენთჳს ღმერთსა: [რომელიმე მღდელ შ]უენიერითა [მსახურებითა, რომელ-

---

[7]) აქიდამ სჩანს, რომ ეს შესხმა, დაწერილი არსენის მიერ, კრების სახელით მიუძღვნეს მეფეს. არსენიზე იხ. კიდე „ქრონიკები" I, 238.

[8]) საყურადღებოა, რომ კრება შეუკრებია დავით მეფეს და არა მისს მამას გიორგის. ცხადია ისიც, რომ თუმცა 1103 წ. გიორგი ცოცხალი იყო, უპირველესობა მეფობისა დავითს ჰქონია.

ნიმე შეყ]უარ[ებითა] დამბადებელისა:. სხუასა [კ˜მე]მნი მოაქუნდენ. სხუასა განდნობაჲ ცრემლითა: სხუასა ღამე ყოველობითნი მღჳძარებანი:. სხუასა კმელ სარეცლობაჲ:. სხუასა რაჲთურთით არა რას ქონებაჲ კეისრისასა ყოველსავე ღთისასა: მხოლოდ კორცითა ოდენ და მათცა მარხვითა განლეულთაჲ:. სხუასა სიტყუაჲ, დაღათუ მდაბალი და უნდოჲ. გარნა არავე უჱრმოჲ არცა უმუსიკელოჲ მომზიდველ ყოფად სმენისა: ამის-თანა შემსგავსებულიცა ძალისაჲ:. ყოველთა ვედრებაჲ. ყოველთა ლიტანიობაჲ. ყოველთა ერთკმობაჲ. ვითარმედ დავით კეთილად მსახურისა. და ღთივ დაცვულისა მეფისა ჩუჱნისა მრავალმცა არიან წელიწადნი:. [9] :—:—:.—::—::

კეთილად მსახურისა და ღთივ დაცვულისა მეფისა ჩუჱნისა გიორგი (გ˜ი) მეფეთა მეფისა. და ყოვლისა აღმოსავალისა და დასავალისა კესაროსისა, მრავალმცა არიან წე(ლნი):. [10]

კეთილად მსახურისა და ღთის მოყუარისა დედოფლისა ჩუჱნისა მართა [ავღუსტინაი]სნი, მრავალმცა არიან წ[ელნი და ჟამნი]. [11]

დავით ღთის მსახურისა [ჹ ღთივ დაცვულისა] მეფისა [ჩუჱნისა] აფხაზთა და ქართველთაჲ რანთა ჹ კახთა თჳთმპყრობელისა, მრავალმცა არიან წელნი [12]:.

წმიდისა დედოფლისა და ღთივ სულიერისა დედისა ჩუჱნისაჲ, მარიამ მონაზონისა, საუკუნომცა არს კსენებაჲ:. [13]

იოვანე წმიდისა მთავარ ეპისკოპოსისა ჩუჱნისა, კათოლიკოსისა. და ყოვლისა საქართველოჲსა, ყოვლად ღირსისა მამათმთავრისა მრავალმცა არიან წელნი:.

---

[9]) აქ უნდა თავდებოდეს შესხმა, რადგან ამას ქვეით ხელ-ახლა იწყება „მრავალ-ჟამიერობა“ ამ რიგობაზე: მეფის გიორგისი, მართა ავგუსტინასი და ისევ მეფის დავითისი და სხ.

[10]) ცხადია, გიორგი მეფე, წინააღმდეგ ყველა მეისტორიეთა, ცოცხალი ყოფილა 1103 წ., და მართლაც ჩვენის ქრონიკებით ის მოკვდა 1112 წელს (და არა 1089 წ.).—დიდს ფრჩხილებში ჩასმული გელათის ვარიანტით აღდგენილი ტექსტია.

[11]) ეს მართა ბაგრატ IV-ის ქალი და იმპერატორის მიქელ დუკის ცოლი (შეირთო 1071 წ.), ბერძენთაგან „მარიამად“ წოდებული, ქმრის სიკვდილის შემდეგ (1078 წ.) დაბრუნებულა საქართველოს, ხოლო 1081 წელს სელჯუკთაგან საქართველოს აოხრებისა გამო ისევ საბერძნეთს წასულა; და რა ქართველობა ისევ გაძლიერებულა, ისევ სამშობლოში დაბრუნებულა და 1103 კრებასა დასწრებია (ამაზე იხ. ჩემი „ქრონიკები“ I, გვ. 211, 229; 234; 209).

[12]) აქ მეორედ იხსენიება დავით მეფე, უფროს-უმცროსობის რიგით.

[13]) ეს მარიამი, მოლოზნად შესული, ბაგრატ II-ის ცოლია; 1103 წელს მკვდარი ყოფილა.

წმიდისა ბერისა, და სულიკრისა მამისა ჩუენისა. ევსტრატი მონაზონისა მრავალმცა. [14])

ღირსისა მეუფისა ჩუენისა. და თუალად წმიდისა ამის კრებისა ცნობილისა. გიორგი მონაზონისა და მწიგნობართა უხუცესისა, მრავალმცა:. [15])

ყოვლად ღირსთა კრებისა ამის ყოველთა მამათა მღდელმთავართა მღდელთა, და მონაზონთა, მრავალმცაა:.

სჯულიერისა მოღუაწისა არსენი მონაზონისა კალიპოსელისა, მრავალმცაა:. [16])

ყოველნიმცა მართლმადიდებელნი კურთხეულ არიან:. ყოველნი მწვალებელნი შეჩუენებულ არიან:. [17])

---

კეთილად მსახურთა და მართლმადიდებელთა: პირველ აღსრულებულთა სანატრელთა მეფეთა ჩუენთა, საუკუნომცა არს კსენებაჲ, და კურთხევაჲ მათი: *).

სანატრელთა და წმიდათა კათოლიკოსთა და ნეტართა მღდელთ მთავართა და მღდელთა, საუკუნომცა:.

საუკუნოჲსა ნეტარებისა ღირსთა და დიდთა მნათობთა ჩუენთა ეფთჳმი და გიორგი მთაწმიდელთაჲ, [18]) საუკუნუმცა:.

ღირსთა მამათა ჩუენთა დავით ტბელისა. და სტეფანე სანანოჲსძისაჲ ს[აუკუნომცა]. [19])

დაუსრულებელისა ნეტარებისა მკვდრთა, ბერთა ჩუენთა, საბაჲ სულაჲს

---

[14]) შეიძლება ეს ის ევსტრატი იყოს, რომელიც კათალიკოზად დაუსვამთ (იოანეს შემდეგ?): იხ. ჟამთ, გვ. 38 და „ქრონიკები" I, გვ. 213, 232.

[15]) ეს გიორგი შეიძლება იყოს გიორგი ხთონელი, გიორგი-მთაწმიდელის ბიოგრაფი, თუმცა „მწიგნობართ-უხუცესობა" მისი არ სჩანს. ძნელი დასაჯერებელია, რომ „გიორგი დიდი" სვიმონ-წმიდელი, გიორგი-მთაწმიდელის მოძღვარი, ცოცხალი ყოფილიყოს 1103 წელს.

[16]) არსენი კალიპოსელი (მწერალი) სხვა არის და არსენი მონაზონი სხვაა („ქრონიკები" გვ. 237—8; 219; 221; 226; 310).

[17]) აქ დედანშიც სტრიქონი გაყოფილია, რადგან ამას ქვეით მხოლოდ ძველნი გარდაცვალებულნი მოღვაწენი მოუხსენებიათ.

*) აქ არშიაზე ღურჯ მელნით ძველ ასომთავრულით წარწერა: „ილარიონ შ˜ე".

[18]) წ˜ა ექთიმი † 1028 წ., ხოლო წ˜ა გიორგი — † 1065 წ.

[19]) მე X საუკუნის ცნობილნი მწერალნი სტეფანე იყო ჭყონდიდელი, სანანოჲსძე (სანანო ყველელის ერისთვის ძე?: ამაზე იხ. „ქრონიკები" გვ. 126 85; 114; 221—222) დავით ტბელი (თუ ტბელიძე?), ძველი მწერალი („ქრონიკები" გვ. 168; 85; 113—114; 124—8).

ძისა, და ანტონი ტბელისა, და ეფრემ მცირაჲსაჲ, და არსენი მონაზონისა იყალთელისაჲ საუკუნო:. [20])

ღირსებით მოკსენებულთა მამათა, ეფთჳმი გრძელისაჲ,[21]) იოვანე რეხუჱს ძისაჲ შვილითურთ, მიქელ ჰუაისაჲ (გელათის ვარიანტით „მიქელ ჰულაისაჲ“) და გიორგი ბერისაჲ. საუკუნომცა. [22])

კუალადცა, [ვახსენო] ყოველნიმცა მწვალებელნი შეჩუჱნებულ არიან:.

ყოველნიმცა მართლმადიდებელნი კურთხეულ არიან:.

ყოველთა მართლმადიდებელთა წელნიმცა მრავალ არიან:.

ყოველთა მართლმადიდებელთა, საუკუნომცა არს კსენებაჲ:.

ყოველნი მწვალებელნი საუკუნოდმცა შეჩუჱნებულ არიან:.

ყოველთა მწვალებელთა, საუკუნომცა არს წყევაჲ და დაუსრულებელი შეჩუჱნებაჲ.

იქვე ქვემო არშიაზე წარწერ. XVII საუკ. ხელით: „დიდება ღ̃ა რ̃ნ სრულ ყო:—„.

---

**1189** წ.—გელათის მონასტრის საბუთებში ჩვენ ვიპოვეთ ხვეული ანუ გრაგნილი ჩინებულს ტყავზე მხედრულად დაწერილი, თამარ მეფისგან ხელმოწერილი. ეს სიგელი, ფრიად დაზიანებულია (რომელიც უნახავს დიმიტრი ფურცელაძესაც: იხ. მისი Церк. гуджары стр. 60). დროს უქონლობისა გამო ჩვენ ვერ მოვასწარით გულდადებით აღმოგვეკითხა და სრულად აღგვედგინა დაზიანებული სიგელი. აქ ვბეჭდავთ მას ისე, როგორც შევიძელით პირველის თვალის გადავლებით მისი აღმოკითხვა. სიგელი, როგორც სჩანს, დაწერილია მეხუთეს წელს თამარის მეფობისას, ე. ი. 1189 წ.—თამარის ხელის ჩართვის შემდეგ იპოვება წარწერა მისის ქმრის დავითისა. რადგან სიგლის თავში დავით მოხსენებული არ არის, ამისგამო ცხადია, რომ სიგელი დაწერილია მაშინ, როდესაც თამარს ქმარი არ ჰყოლია. ერთს წარწერაში დავითი ამტკიცებს რა სიგელს, თავის-თავს უწოდს ერისთავად (ეს წარწერა ეკუთნის იმ დროს, როდესაც ის ქმარი არ ყოფილა). ხოლო მეორე წარწერაში დავითი ამბობს, რომ „სკიპტრა-შარავანდთა მეფობისათა მფლობელ ვიქმენო“ და ამისთჳს „სამადლობელად“ რაღაცა შეუწირავს. ცხადია ეს უკანასკნელი წარწერა მერმინდელია, როდესაც დავითს ეღირსა მეფობა თამრის შერთვით, რაიცა ჩვენის „ქრონიკებით“ ყოფილა იმავე 1189 წელს.

---

[20]) ეს მწერალნი (1060—1095 წლებში) ანტიოქელ—სვიმონწმიდელნი: იხ. „ქრონიკები“ გვ. 203; 214 215; 219; 237—8; 220; 223—5; 221; 227.

[21]) ცნობილი იერუსალიმელი X საუკ. (და არა ათონელი): ამაზე იხ. „ქრონიკები“. გვ. 125—7.

[22]) უცნობნი მწერალნი V—X საუკ. სტეფანე ჭულეველი XI საუკ. იხ. „ქრონიკები“, 221.

„სახელითა ღთისათა მე თამარ ბაგრატუნიან[მან] ნებითა ღთისათა აბხაზთა და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფემან და დედოფალმან შარვანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა დ̃ დასავლეთისა თვთ-მპყრობელმან [და მქონებელმან ვიგულე რათამცა] წარსამართებელად მეფობისა ჩემისად და ყ˜დ - - მომავალისა ჩემისა (რნღისა?) - - - - [ჩემსა - - - დ]გომისა ჟამსა სალხინებელად სულ[ისა ჩე]მგან- - - - (მერქვლი?) სასაქმე ჩენილ იყო; ღვთივ გვრგვნ[ოსანთა] მეფეთა პაპათა ჩემთაგან სრულ ქმნილსა, ყოვლითურთ შემკობილსა საყოფელსა ღთისასა, სამკვდრებელსა დიდსა მონასტერსა გელათს შინა, რომელი აღეშენა სალოცველად სულისა მათისად და წარსამართებელად შ˜დ (შემდგომად) მათსა მომავალთა ტახტსა მათსა ზედა მსხდომთა მეფეთა, და არა იყო დაკლებული და გაუგებელი მის მონასტრისა საქმე, ამისგან კიდე, რომელ აღშენებასავე მის მონასტრისასა ზედა თორმეტი მწირი იყო დაწესებული სპონდიოსა გარეთ და არა იყო საზრდელი მათდა თვნიერ რომელ, თუ ვინ გარეთმან გარდაიკადოს ალაპი, მაშინ შეუშუნინ ტრაპეზსა და სხუებრ არღა ჰქუნდა ტრაპეზისგან და ყოვლითურთ ულონონი ეგრეთ უცხოდსა საზრდელსა მიმლოდენ (მიიღებდნენ); იპირვოდეს. — ესე ეწყინა მეფობასა ჩუენსა, რათგან განწესებულად ჩნდეს, სხუასა კელთშემხედ-ვარდობაი, ამისთუის შევსწირე და მოვაკსენე დიდსა ლავრსა და მუნ შინა დაუსრულებელად განჩენილსა ტრაპეზსა არგუითს ჰორვილაი კავაის ძისა ტოლყოლი (ტოჴ-ყოლი?); ჰქუნდეს ტრაპეზსა მიუკ˜ნ (მიუკუნისამდე) და დასხდებუდიან ყოვლადვე დაუცადებელად იგი მწირნი თორმეტნივე ტრაპეზსა, ვითა მას მონასტერსა შინა მყოფნი ძმანი დასხდებიან, ეგრეთვე იგი თორმეტი მწირი დასხდებუდეს და ჰქუნდეს ტრაპეზით პური და ულოცვიდენ მეფობასა ჩემსა სოფელსა ამას შინა წარმართებისათუის და სიგრძოისათუის დღეთასა და მერმესა მას საუკუნესა შესანდობელად ჩემდა; ჰქუნდეს არგუითს ჰორვილაი კავაისძე ტოლყოლი წ˜სა ღთისმშობელსა ხახულისასა და მუნ შინა განჩენილსა ტრაპეზსა მთითა, ბარითა, ტყითა, ველითა, წყლითა, წისქუილითა და ყოვლითა სამართლიანითა ზღვრითა და მიმდგომითა მისითა, საკმრითა და უკმრითა მკჳდრად, თავისუფლად და შეუვალად ყოვლისა შესავლისა და გამოსავლისაგან, ვითა თუით სხუანი საქუნელნი მის მონასტრისანი აზადნი (sic) და შეუვალნი არიან; და არავინ გუიბძანებია მშლელი და მქცეველი ბ˜ბულისა (ბრძანებულისა) ამის ჩუენისა, არცა მეუნებლე, მავნებელი და დამაკლებელი მისი; და თუ ვინმე იკადროს ამას ჩემსა გაგებულსა შეცვალებად, გინა თუ კელმწიფემან ანუ რამანცა გუარმან კაცმან, რი აც მიზეზისა შემოღებითა, გამცაურისხდების მამაი, ძე და სული წ˜დაი, შემცაედების ძრწოლა კაენისი, შიშთვილი იუდასი, დანთქმა დათან-აბირონისი და კრულმცა არს სიტყუითა ღ˜თა მკუდარი და ცოცხალი გაუკსნელად და ნუმცარა წარემართების მას, საუმჯობესოდ ქმნილი. აწ ვინცა ჰნახოთ ბ˜ბაი (ბრძანებაი) და სიგელი ესე ჩემი შემდგომითი შემდგომად მომავალთა მეფეთა, ე˜ვთა, ე˜ევთა, აზნაურთა, ოთხმესდურთა, ნაცვალთა,

აჯამეთის აზრმდათა (?) ტყის მცველთა, უც̃ხთა (უცხოთა), გოგნისა ციხის - - [ც]იხისთავთა, კელისუფალთა, მზირთა ‍ ყ̃თა საქმი[ს მოქმედთა] ჩ̃ნთა, დიდთა (და) მცირეთა დაუმტკიცეთ ‍ ნუ ვინ [უშალავთ] ბ̃ზასა ამას ჩუენსა, ნუცა-რა-ვინ დააკლებთ ნუ დიდსა [ნუცა მცირესა] თვნიერ შეწევნისა და [თანადგომისა] და თქვენ წო - - - ნ: (წმიდანო) კზნ (კათალიკოზნო) და წ̃ნო მღდელთ-მოძღუ[არნო] [უჯუა]რობითა [დაუმტკიცეთ. დაიწ]ერა ბ̃ბაი და სიგელი [ესე] ჩემი ინ[დიკტიონსა მეფ]ობისა ჩემისასა მე[ხუ]თესა [კელითა] საწოლისა და საჭურ[ჭლისა მწიგნობრისა არ]სენ სამძივარისა[ითა] - - - - - -

აქ მიკერებულია მეორე ტყავის ფურცელი, იმავე ხელით ნაწერი:

- - - სავლისაგ(ან) და სამ . - - და სატრა[პეზოსაგან] კიდე და არა რაი საქმე უც მათთანა და არცა ვისი კელი შევიდო[დეს] არაის გუარის კა-ცისაი არა [ჩუენი], არა ჩუენთა სამეფ[ოთა კელისუფალთა] - - -

მერე ლამაზ ხელით ხვეულად, თავისუფლად მოწერილია თვთ თამარის ხელით; მელანი მკრალია და ტყავი მეტად დაზიანებული:

ქ. ესე [ვითა და]მიწერ[ია] - - - ნ სასოებით და გულსმოდგინებით — ჩემისა საქმისა - - - განაჩენი ჩემითა კელითა ცოდ[ვილითა დამიმტკ]იცებია. ვინც და [ანუ რა]მანცა [გუარმან კაცმან შალოს] ბრძანება [ესე ჩემი] - - - მტკიცე არს - - - (აქ გადაკერებულია სიგელი) შეცვალენ შენ ყოვლად წ̃დაო ღთის მშო-ბელო - - - და ჩემ[თა] ცოდვათა და ბრალთა [მზღვეველ არს] - - - იგი დღესა განკითხ[ვი]სასა და სიტყუა იგი მ[ას] ზედამცა აღ[ესრულების]: სის[ხლი] - - მ[ა]გისი ჩუენზედა და შვილთა ჩ[უენ]თა ზედა - - - - -

აქ კიდე გადაკერებულია სხვა ტყავის ფურცელი, დაგლეჯილი, სხვა ხელით დაწერილი:

[ქ: სახელ]ითა ღ̃თისა და [მეოხებითა ყ̃დ წმიდისა ხახულისა ღთისმშო-ბელისათა, მას ჟამსა, ოდეს] [ს]კიპტრა შარავანდთა მეფობისათა [მ]ფლობ ვიქ-მენ, ამისთჳს ვითნე კ - - - - ძლუნვილი სამადლოთა და ტაძარსა შენ წ[მი-დასა] დიდებ - - სა განსაკ(უ)რ[ნებელა]დ ქრ - - - შენისასა, განვაჩინენ გლა-ხაკნი - - - და მუწაფეთა შენთანი: - - - ჩემთჳს ოხათა მირთუმელობდენ შენდა მოწყალებისა მნებისა და ნამდჳლ - - - ნათელ მყუისა ძისა მი - - - ითა შენდა გუქ - - - სა გარნა გუნებადცა - - - - - ჩემგან განგებისასა შერისხვი-თა მოეკადენ - - - - ნესტორ და ორიგესი.

ქ. ამას თამარის ბრძანებასა მე ნებითა ღ̃თა ე̃ვი (ერისთავი) დავით ვამუწმებ და ვამტკიცებ. მტკიცე ყოს ღ̃ნ

სხვა ხელით, მხედრულად:

ქ: ესე ვითა ღთივ გჳრგჳნოსანსა მეფეთა მეფესა და დედუფალთა დე-დუფალსა თამარს დიდისა მონასტრისა მათისა შენ გელათს მეფობისა მათისა წარსამართებელად და სულიერად ცხონებისათჳს ჭორვილაი შეუწირავს მუნ შინა მყოფთა მწირთა საზრდელად და სიგელი ესე დაუწერია და საუფლოითა კელითა მათითა დაუმტკიცებია, — მტკიცე ყავ ღმერთმან ბრძანება მათი, — მეცა

გლახაკი ქრისტეს მიერ კათალიკოსი თეოდორე მოწამე და დამამტკიცებელი ვარ. ვინ და რამანცა გუარმან კაცმან რასაც ჟამსა, რაისაცა მიზეზის მოღებითა კელ ყოს შლად და ქცევად ამას ბრძანებასა და გაგებულსა, კრულმცა არს პირველად დაუსაბამოისა ღ̃თისა პირითა, ათ-ორმეტთა მოციქულთა ჯუარითა, შვიდთა კრებათა მადლითა, ხუთთა პატრიარქთა ჯუარითა კათოლიკე ეკლესიისა (მადლითა), შენ ღვთივ აღმართებულის სუეტისა ცხოველის მადლითა, ყოველთა პატრიარქთა ჯუარითა, მღდელთ-მოძღუართათა და ჩემ გლახაკისაცა ჯუარითა. ვინ მტკიცედ [ყოს], აკურთხენ ღ̃ნ და წმიდამან დედაქალაქმან.

მერე სხვა-ხელით, მხედრულად:

ქ. ესე ვითა სიკეთესა და სისრულესა ყოვლისა (შესავედრებელისა?) და მეფობისა და შუენიერებისა და სიმტკიცესა ქრისტიანობისასა, ყოვლისა დედოფლობისასა - - - - - - ჩუენ ჩუენთუის კორცშესხმულისა ქრისტეს ღვთისა ბრძანებათასა - - - - რომელი ერთსა მცირეთაგანსა, იგი მე მიყავთო, ამისთუის ათორმეტთა. - - - - - - - ამათ სიგელ - - -

(ამას იქით სიგელი მოგლეჯილია).

---

## წერილი წ̃ის გიორგი-მთაწმიდელის ბიოგრაფის გიორგი მონაზონისა.

რუის-ურბნისის კრების „თვალად აღიარებული" გიორგი მონაზონი, ჩვენის აზრით, არის გიორგი ბერი, აღმწერელი წ̃ის გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებისა (იხ. ეკ. მუზ. ხელნაწ. გვ. 218—266 და „სამოთხე" გვ. 488), რომელიც 1083 წელს საქართველოში ყოფილა (ჩემი „ქრონიკები" I, გვ. 231—232). მისგან აღწერილი ბიოგრაფია ისეთის დაწვრილებით და საქმიანობით არის მოთხრობილი, რომ ბადალი არა ჰყავს არა თუ ჩვენს მწერლობაში, არამედ თვით იმ-დროინდელ უცხო ქვეყნის საეკლესიო მწერლობაშიც, და ჭეშმარიტი საუნჯეა ჩვენის ძველის XI საუკ. ისტორიისა. მით უმეტეს გვენანება, როდესაც ჩვენ ვიპოვეთ გელათურს ტყავის ხელნაწერში XIII საუკუნისაში (აგრეთვე წერა-კითხვის მე-XII საუკ. ტყავის ხელნაწერში № 353 და საეკ. მუზეუმის ხელნაწერში № 170, გვ. 312—316) ქვემო დაბეჭდილი, ჩვენს მწერლობაში ჯერ არ-ცნობილი, წერილი ბიოგრაფის გიორგისა, რომელიც მიუწერია მას გიორგი-დიდის შეყენებულისათვის, გიორგი-მთაწმიდელის მოძღვრისა. ამ გიორგი-დაყუდებულზე ბიოგრაფი სწერს, რომ იგი სცხოვრებდაო ანტიოქიის არე-მარეს, შავის მთის და სვიმონ წმიდის მონასტრის ახლო „მთასა საკვირველსა, ნაპრალსა შინა კლდისასა... ვითარცა გვრიტი უხიწო და ტრედი უმანკო, კაცი ზეცისა და ანგელოზი ქუეყანისა... გიორგის ვიტყჳ დაყუდებულსა, დიდსა მას მნათობსა ნათესავისა ჩუენისასა, კაცსა ყოველთა მიერ გულის სათქმელსა, რომელმან (ე. ი. ამ გიორგი შეყენებულმან) ესე ჩუენ უნდოთა მიერ ამისი აღწერა

გვაძულა. ამას დაემოწაფა ნეტარი ესე ჩუენი" (გ. ი. წ~ა გიორგი-მთაწმიდელი 1032 წლის ახლო ხანს. იხ. ეკ. მუზ. № 170, გვ. 222). მოხსენებული წერილი ერთი საუკეთესო ნიმუშთაგანია ძველის ჩვენის საეკლესიო რიტორობისა და მეისტორიეთათვისცა გამოსაყენებელი.

ამ წერილში მოხსენებული იოანე ჭყონდიდელი, ძმა პეტრიკისა, არის ის იოანე და ძმანი მისნი ეგნატე და პეტრე ჯალტი, რომელნიც ჩვენს „ქრონიკებში" (გვ. 232; 225) მოხსენებულნი არიან 1085 წ. იგივე იოანე წოდებულა ერობაში პატრიკად (წოდებაა და არა სახელი), ხოლო ბერობაში „იოანე პეტრიკად პატრიკ-ყოფილად" (იხ. ეკ. მუზ. № 170, გვ. 236). მისი ძმაც პეტრე მოხსენებულია „პეტრე პატრიკ ყოფილად". (ibid. 251).

---

## ეპისტოლე მიწერილი გიორგის მიერ დიდისა მის შეყენებულისა, რომელი მკჳდრ იყო მთასა საკჳრველსა, მონასტერსა წ~ისა სჳმეონისასა, რომლისა-და ეთხოვა, რათა აღუწეროს ცხორება და მიცვალებაჲ წ~ისა მამისა ჩუჱნისა გიორგი-მთაწმიდელისა.

ზედა წერილი ესრეთ იტყჳს:

ღვთივ-სანატრელსა, სათნოებათა შინა განთქმულსა მოძღვარსა მოძღვართასა და სულიერსა წინამძღვარსა ჩუჱნსა გიორგის შეყენებულსა უფლისა მიერ გიხაროდენ! მთით წმიდით მთასა საკჳრველსა ქრისტეს მიერ ღ~თისაჲ ჩუჱნისაჲ გახარებ.

ზეშთა ბუნებისა მაღალთა მათ მიერ მოღუაწებათა ეტლი სულისა შენისა ზეცად მიმართ აღამაღლე ნივთთა და ნივთიერთა სიზრქეთა და ქუეყანად მიმართ დამზიდველთა გონებაჲ შენი სრულიად განაშორე, ვინათგან საქმე დასაბამ ჰყავ ხედვისა და შიში ღვთივ შუჱნიერი მიზეზ უშიშოებისაჲ, რაჟამს დაყუდებისა მიერ და დუმილისა მხოლო მხოლოსა მას შეესაკუთრე თავისა თჳსისა თანა მკჳდრობითა თავსა მას ყოველთა საწადელთასა მიემთხჳე, ჵ~ი კაცო საკჳრველო და ზეშთა კაცებისა საგონებელო, რომლისათჳსცა სიმდაბლითა მით ღმერთმყოფელითა ეგე-ვითარი მაღალი და დიდი საქმე ძიება ჰყავ ჩუჱნგან, რომელსა თჳთ შენ უმეტეს მეცნიერ იყავ ჩუჱნგან გლახაკთა ამათ და უღირსთა, რომელნი ესე უწყით კნარცუსა მას ვნებაჲთა მიერ აღმოვედით მღჳმისაგან გლახაკობისა და თიკისაგან უყისაჲ, კლდესა ზედა. სათნოებათასა ფერჴნი ჩუჱნნი დავამტკიცენით და გზათა მათ ზეცად მიმყვანებელთა დაუბრკოლებელად სლვად წარვემართენით, ვითარცა იტყჳს დიდი დავით; და მერმეცა აღივსენ პირი ჩუჱნი გალობითა, რათა ქებაჲ ღ~თისა ჩუჱნისა იხილონ მრავალთაჲ.

ხოლო არს ქება ღ~თისა და შესხმა წმიდათა მისთა მოთხრობაჲ ცხორებისა და მოღუაწეობისა მათისა წერით და უწერელად, რათა ცნას ესე თესლ-

მან სხუამან და შვილნი, რომელ იშვებოდიან, აღდგენ, და მიუთხრობდენ მამანი მათნი შვილთა თჳსთა.

არამედ რათა არა უღელი ტკბილი მორჩილებისა განვაგდოთ ქედსა მას ზედა სულისა ჩუჱნისასა მდებარე, ნუ უკუჱ პარეხთა მათ და ულალთა ურჩებისათა შთავცვივეთ, ვინა იგი აღმოსლვა შეუძლებელ არს,—ამისთჳს წმიდისა ბრძანებისა თქუჱნისა საქმით აღსრულებად ვისწრაფოთ შეწევნითა წმიდათა ლოცვათა თქუჱნთათა.

გარნა ვითარცა ვთქუ, ჵი წმიდაო, არა თუ შენ უმეცარ ხარ ცხორებასა განთქმულისა ამის კაცისასა სიჭაბუკითგან მისით ვიდრე სიბერედმდე, არამედ ეგრეთ მეცნიერ ხარ, ვითარცა დიდი ანტონი ცხორებასა ნეტარისა მაკარისსა, რომელი იგი მოწაფე საყუარელი იყო მისი და ვითარცა ნების მყოფელი შვილი მისი, სათნოებათა მისთა მკვდრად გამოჩნდა და შემსგავსებული ქებაჲ მისმიერ მოიღო და რომლისათჳსცა არა უჯერო არს და შემსგავსებული თქუჱნისა ამის შვილისა საყუარელისა თანასწორებით და სახისმეტყუჱლებით თანა ხატ ქმნად ზემოკსენებულისა მის სახისა.

ხოლო ვინათგან კუალადცა მეორედ მოიწია წმიდა ეპისტოლე თქუჱნი სიგლახაკისა მიმართ ჩუჱნისა, ვითარცა მრავალ-ჟამ ყოფილისა მის მიერ განათლებულისა და ღ~თის-მსგავსითა სიყუარულითა მის მიერ შეყუარებულისაჲ და უმეტესად-ღა ვსთქუათ თუ ჟამსა მას სოფლით განსლვისა და ღ~თისა მიმართ მისლვისა მისისა, რომელსა იგი სუროდა და წადიერ იყო მისთანა დახუჱდრებულისა და კუალად ღ~თის მოყუარისაცა მის მიერ მთავარეპისკოპოზისა, იოვანეს ვიტყჳ ჭყოინდელსა, ძმასა ნეტარისა პატრიკისასა, მოჲრავიდა სამეუფოდ ქალაქად მოციქულად მოვლინებული ბაგრატ აფხაზთა მეფისა მიერ სევასტოსისა, ამის პირისათჳს დიდად იძულებულ იქმნა უღირსებაჲ ჩუჱნი, ვითარცა შვილისაგან მამის მოყუარისა და უფროჲსღა ვთქუათ ქრისტეს მოყუარისა, რათა ყოველი სახე აღსრულებისა და სოფლით განსლვისა წმიდისა ამის მამისა ჩუჱნისა უნაკლულოდ მიუთხრათ; და მერმე კუალად სხუათაცა ვიეთმე ღ~თივ სულიერთა მამათა და ძმათაგან დღითი-დღე ვიიძულები და სიტყუაჲ მიმეკდების არათუ მიცვალებისათჳს, არამედ სრულიად ცხორებისაცა და მოქალაქობისა მისისა აღწერისათჳს.

ხოლო უმეტეს ამათ ყოველთასა მორჩილებამან ბრძანებისა თქუჱნისამან, ვითარცა რკინამან ცეცხლი ქჳსა მიერ აღანთის, ეგრეთვე კსენებამან ღ~თივ განთლისა (განათლებულისა?) ამის კაცისასა და მერმე რათა არა-დავიწყებულ იქმნეს მომავალთაგან შემდგომითი-შემდგომთა ნათესავთა, ვითარცა მრავალთა წმიდათა ნათესავისა შორის ჩუჱნისა გამოჩინებულთა ცხორებანი აღუწერეველობითა დავიწყებისა სიღრმესა მიეცნეს; არა თუ მათდა რაჲმე საკმარ არს ესე, რამეთუ იგინი წინაშე ღ~თისა მდგომარე არიან, არამედ ჩუჱნ, მოკსენებითა შრომათა და ღუაწლთა მათთათა დღითი-დღე ფრთოვან ვიქმნებოდეთ, ბაძვად სათნოებათა მათთა წარვემატებოდით. ამისთჳს კელითა ბრძა-

ნებისა თქუჱნისათა თავი ჩემი მორჩილებად მივეც; არამედ ყოვლითურთ განცვფრებულვარ და არა უწყი, თუ რაჲ ვყოთ კადნიერებისა ბრალსა შთავარდები და უკეთუ არა ურჩებისა სასჯელისაგან მეშინის, რამეთუ იტყჳს: „რომელთა უწყოდიან სიტყჳთ, გინა სმენით საღ̃თოჲთა წერილთაგან, გინა თუ მხილველ ქმნილ იყვნეს და აქუნდეს მეცნიერებაჲ სულისა სარგებელთა და ღ̃თისა სათნოთა ცხორებათა და მოღუაწებათა, რომელნი წმიდათა მამათა აღასრულნეს, პირველად ესრეთ ჯერ არს, რათა მსგავსად ძალისა ბაძვად მათდა მოსწრაფე იყვნენ და სათნოებათა მათთა ეშურებოდენ და განჰმართონ ენა-ბრგვინლობაჲ იგი სულისა და ვითარცა ღ̃თისა მიახლებად ყოვლითურთ წმიდა იქმნნენ, და პირი იგი უხილავი თავთა თჳსთა მოატყუან სარგებელი რომელთა ესე ყონ, არამედ მსმენელნიცა იგი ბაძვად სათნოებათა მათთა აღლესნენ. ხოლო რომელთა უწყოდიან ესე-ვითარი სარგებელი სულისა და არა ინებონ მითხრობად, არამედ მისცენ სიღრმესა დავიწყებისასა, გინა მცნებისა მიერ, გინა ჟამთა დროებისა, გინა თუ შურითა ვიეჳთამე უკსენებელ ყონ ესე-ვითარი ესე სულისა სარგებელი თხრობაჲ, ითქუას მათდა მიმართ, ვითარცა იტყჳს დიდი ბასილი, ვითარმედ სიბრძნე დაფარული და საუნჯე უჩინო ვინ ირგოს მისგან და კუალად ტალანტისა დამფლველთა და წყაროსა დამყოფელთა და საუნჯისა უჩინო მყოფელთათანა დაისაჯოს“.

ესე არიან მიზეზნი ჩემისა მეტყუჱლებისანი, რომელთა მიერ ვიიძულები და ვითარცა დეზითა პირუტყუთ მსგავსი ესე ბუნებაჲ ჩემი შინაგან იწერტების და აღმძრავს სიტყუად, რამეთუ არა თუ ღირსებისებრ არა თქუმა საბრალობელ, ვითარცა იტყჳს გრიგოლი ღ̃თის მეტყუჱლი, ვითარმედ ყოველივე ძალისაებრ ქმნილი მითუალულ არს ღ̃თისამიერ. ხოლო მე ვიწყო სიტყუად უნდოჲსა ძალისა ჩემისაებრ და რაოდენი უძლო, მარტივად და სულ მცირედ აღვსწერო, არათუ სხუათაგან სმენილი, არამედ უმეტეს ყოვლისა წმიდისა და უტყუჱლისა პირისა მისისაგან მოთხრობილი სიყრმისა და სიჭაბუკისა მისისა, რომელსა იგი ვითარცა ერთგულსა შვილსა არა დამიფარვიდა სარგებელისათჳს სულისა ჩემისა. ხოლო შემდგომი სარწმუნოთა და წმიდათა (კაცთაგან) უწყებული, რათა ესრეთ ერთობით შევკრიბოთ საწადელი ესე და სასურველი თხრობაჲ და ვითარცა ჯაჭჳ ოქროჲსა ერთობით შეთხზული წარმოვსცეთ წინაშე სიწმიდისა თქუჱნისა საკჳრველსა მაგას და სასურველსა მთასა, რომელსა შინა თავს იხსნა მრავალნი შრომანი და ღუაწლნი კაცმან მან ღ̃თის შეყუარებულმან თარგმანებისათჳს წმიდათა წიგნთასა. ხოლო რომელი იპოოს ნაკლულევანება მიზეზითა ჩუჱნ მიერ აღ(უ)წერელობისათა, განემართოს თქუჱნ მიერ მადლითა სულისა წმიდისათა, რომელ მკჳდრ არს თქუჱნთანა, სადიდებელად მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე ამინ“.

ამას ზედვე მოსდევს წ̃ის გიორგი-მთაწმიდელის ცხოვრება, როგორც საბინინის „სამოთხეში“ გამოცემულია. საეკ. მუზ. იპოვება ეტრატის ხელნაწერი სვა-

ნაქსარი გიორგი-მთაწმიდელისა ერთი მე-XII საუკ. № 97 და მეორე XIII საუკუნისა, № 222, წარწერით: „დასრულდა განგება თთუეთა წელიწადისათა.., ლოცვა ყავთ გლახაკისა გიორგისთჳს... რამეთუ ფრიადი ღუაწლი და ჭირი მინახავს ამისსა თარგმნასა სალხინებელად ცოდვათა ჩემთა და მოსაჴსენებელად სულიერისა მოძღურისა ჩუენისა გიორგისი (სჳმონ-წმიდელისა შეყენებულისა), რამეთუ შემდგომად ღ~თისა იგი არს მიზეზი ყოვლისა კეთილისა და მათითა ბრძანებითა... მითარგმნია ესე... წიგნი“. იმავე წიგნში არის დოროთეოსის საკითხავი 70 მოწაფეთათჳს, რომელიც წ~ა გიორგი-მთაწმიდელს უთარგმნია ლათინურ ენიდამ ბერძულს ენაზე და ქართულზედაც (გვ. 314. „ქრონიკები“ I, 120).

---

## 1202 წ.—სიგელი თამარ-მეფისა.

ეს ძვირფასი სიგელი სინოდ. კანტორისა № 1 დაწერილია ტყავზე (სიგრძე 2½ არშინი და სიგანე 6 ვერშოკი) ლამაზ მხედრულ ასოებით მეთვრამეტე წელს თამარის მეფობისას, ე. ი. (1184+18) 1202 წ. და თჳთ თამარისგან ხელმოწერილია (ფოტოგრაფიული პირი თამარ-მეფის წარწერისა იხ. ბოლოს). თუმცა თამარ, ამტკიცებს რა ამ სიგელს, თავისს სახელს არ აწერს, მაგრამ შემდეგი წარწერა მოიხსენიებს, რომ ეს სიგელი დამტკიცებულია „თჳთ საუფლოჲთა კელითა მისითა“ (თამარ-მეფისითა) და მაშასადამე პირველი წარწერა ყოველს ეჭვს გარეშე თჳთ თამარის ხელია. მეორე წარწერა-კი ეკუთნის მისს ქმარს დავით-სოსლანს, რომელიც მეფედ იხსენიებს თავისს-თავს. სიგელი მოიხსენიებს ლაშა-გიორგისაც. ბოლოს დამატებულია თამარ-მეფის ჯვარი-მტვირთველის, ვაზირის და მწიგნობართ უხუცესისა ანტონ ჭყონდიდელის განჩინება შიო-მღვიმეში მისგან გამოყვანილის წყლის შესახებ. ეს განჩინება თჳთ ანტონის ხელით უნდა იყოს დაწერილი. როგორც ჩვენს „ქრონიკებში“ (წ. I, გვ. LI ) დავასაბუთეთ, ეს ანტონი არის მემატიანე, თამარ-მეფის დროების აღმწერი.

ამ გუჯრის დამწერი იაკობ შემდეგ (1250 წლის ახლო ხანებში) ყოფილა „დიდის გელათის მონასტრის დეკანოზი“, როგორც სჩანს მისგანვე დაწერილ გუჯრიდამ (იხ. ჩემი „ქრონიკები“, წიგნი II, 1250 წლის ქვეშე).

ეს სიგელი ის გუჯარია, რომლის არსებობა ჩვენ გავიგეთ („ქრონიკები“ წ. I, გვ. 278—279) და რომელიც ჩვენ შემდეგ მოვსძებნეთ შიო-მღვიმის გუჯრებში, № 1.

- - [სახელ]ითა ღთისათა - - [თამა]რისგან ბაგრატიონისა ნებ[ითა ღვთისათა] | [აფხაზთა] და ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, დედო[ფალთ დედოფლისა] | და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მ[პყრობელისა] |.—მოვიდა ჩუენ წინაშე ვაზირი ჩუენი ანტონ ჭყონდიდელი მთავარეპისკოპოსი მწიგნობართ [უხუცესი] და| პროტო-ჰპერტიმოსი და გუეჰაჯა და მოგუაჴსენა რ~შცა - - - - | და რ~ლი მღუიმეს მონასტერსა სამლოცველო-

სა ჩუენსა წყალი მ[ოიყვანეს] | სხალტბისელთ და წყლისა მის სათავესა ზედა გლეხი ჯდა სასეფო [ქოსოს ძენი] | მის წყლისა მკაზმელად, იგი გლეხი სამკვდროდ შესაწირავად მღუიმისად სული[სა] | მისისათჳის მას მიუბოძეთ: — დაგუაჯერა ღ~ნ და ვისმინეთ ჰაჯაი და მოჴსენებ[აჲ] | მისი, ვაზირისა ჩ~ნისა ანტონ ჭყონდიდელ მკ~ზისა: :მ~წ: უხუცესისა და პროტოოპერტიმოსისა და რომელ სხალტბას მის წყლისა მისგან მოღებულისა სათავესა ზედა გლეხი ზის მჱწად ერთი და კუამლად ორი ქოსოსძენი საუკუნოდ მის წყლისა მკაზმავად მღუიმისა მონასტრისა შესაწირავად მისდა მიგუითავისუფლებია. ჰქონდის იგი წყალი და გლეხნი ქოსოსძენი მიწად ერთი და კუამლად ორი, სჳმონ და გიორგი და ია ბერი და შვილნი და შვილისშვილნი მათნი სასოსა და მფარველსა ჩუენსა წ~ა მამასა შიოს და სამლოცველოსა ჩუენსა მონასტერსა მღუიმესა; არას ჟამსა შეეცვალოს და არცა რაი მას წყალსა და გლეხსა ზედა კელისუფალთა ჩუენთა კელი შეუვიდოდის; ყოვლითურთ შეუვალი და თავისუფალი არს, რაიცა ანტონ ჭ~ლმან განუჩინოს სამსახური მის წყლისაი, მას ჰმსახურებდეს და არავინ გუიბრძანებია მშლელი ღ მაკლებელი ბ~ზულისა ამის ჩუენისა არც მეუნებლი და დამაკლებელი მათი. აწ ვინც ჰნახოთ ბ~ძაი და სიგელი ესე ჩუენი ზეზადნისა (sic) ციხისთავთა, მპარავთ მეძიებელთა, მოხარაჯეთა, მესაბანჯრეთა და ყოველთა საქმის მოქმედთა ჩუენთა დიდთა და მცირეთა, დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშალავთ ბრძანებასა ამას ჩუენსა, ნუც რას ვინ დააკლებთ, ნუ დ[იდსა] ღ ნუ მცირესა თვინიერ შეწევნისა და თანადგომისა. — დაიწერა ბ~ძაი და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩემისასა :მეა: — თურამეტესა: — კელითა მწიგნობრისა ჩუენისა იაკობ აწრელისძისაითა: —

წარჩინებულ ხვეულად: „მტკიცე ყოს ღმერთმან შეუცვალებელად". (ეს თჳთ თამარ-მეფის ხელით).

არშიაზე ჩინებულად, იმავე ხელით: „ქ: მე მეფესა დავითსაცა დამიმტკიცებია, მტკეცეა ნებითა ღთისათა": —

ზედვე ხუცურად:

სახელითა ღთისათაჲთა... ესე დაწერილი დავწერეთ ჩუენ ს~დ კრებულმან და ლავრამან მღჳმისამან. ქ~ეს სწორმან ანტონი ჭყონდიდელმან დიდითა ღუაწლითა და გულსმოდგინებითა და საფასოითა აღამართვინა, მოიყვანა წყაროი ესე ნუგეშინის საცემელად ამის უდაბნოისათჳს, რომლისა საუკუნომცა არს ჴსენებაჲ და სუფევაჲ ყ~თა წ~თა თანა. — ესე გლეხნი ქოსაისძენი ფუძედ ერთი, კუამლად :გ: ვითა ამას სიგელსა შინა გაჩენით სწერია, მათგან მოგებული არს და წყაროჲსთჳს მიყენებული. ესე მიწანი, რ~ნი თჳთ საუფლოჲთა კელითა მისითა სწერიან და ვენაჴი ჰქონდეს მათ გლეხთა. — ჩუენ დავხედენით ამას, რომელ ესენი ოდენ არა ეყოფოდეს მკაზმავად წყაროსა. მათითავე კითხვითა და ბრძანებითა ერთი მეორშაფათე გლეხი სახელით პატარ და მეორე გლეხი გარეთმოსული ქაჩაშურაჲსძე ესენიცა წყაროსავე მიუყენენით მკაზმავად. უკეთუ ნივთიერი რაიმე საკაზმავი იყოს, სხალტბურითა და სხუაგნურითა ძალითა ზედა

მოვიდოდით და მოჭირვებით ჩუენ კრებულობით ვჰკაზმიდეთ და ამათ მეწყაროეთა ს˜დ ყ˜თა ერთი ევლოგიაჲ ჰქონდის რაიცა გაიყოფოდის: შინად ჱ გარედ ამისი შეცვლაჲ ჩ˜ნ კრებულისაგან არაოდეს იკადროს და ვინღაცა ესე ჩ˜ნი გაგებული შეცვალოს და წარმღებად და უდებებით იურვოდის წყაროჲსა საქმესა, კრულმცა არს თჳთ საუფლოჲთა მით სიტყჳთა"...

იქვე მხედრულად, ლამაზი ხელი:

ქ. სახელითა ღთისაჲთა, ადიდენ და დაამყარენ ღ˜თნ მეფენი ჩ˜ნნი დ˜თ და თამარ და ძე მათი გ˜ი: ლაშა, რომელთა წელნი უჰამრავ (sic) და სუფევაი დაუსრულებელ. მე მიწამან და მლოცველმან მეფობისა მათისამან ანტონ ჭ˜ნ (ჭყონდიდელმან) ვიხილე სახლი ღთისა წ˜აი უდაბნოჲ მღუიმისა და მას შ˜ა მყოფნი წ˜ნი მამანი ჭირსა და იწროებასა შ˜ა ურწყულობისასა და შემწეობითა წ˜სა მამისა შიოჲსითა ვძებნე და ვპოე წყალი ადგილსა სხალტბისასა და კელვყავ მოქმედებად და შეწევნითა მისითა მოვიყვანე წყაროჲ კარსა წ˜სა ეკლესიისასა ჟამთა წელიწადისა სამისათა დიდითა შრომითა ჱ გულსმოდგინებითა, ჱ მოსლვისა თავსა თანა ვჰძებნე სხუაი წყალი, რ˜ლი მკჳდრთა მის ადგილისათა არა მოაკლდა, ეგზომ მოვიდა და უმეტესიცა წყალი და ვევედრები მასვე წ˜ა და ღ˜თ შემოსილსა მამასა შიოს და მჳნ შინა დამკჳდრებულთა წ˜თა მამათა მადლსა, რათა დაამკჳდროს იგი წყალი მას ადგილსა სადიდებელად ღთისა... და მას წყაროჲსა სათავესა იყო კუამლი ორი სასეფოჲ სახელით აფხაზთანი და ვჰკადრე და მოვაკსენე ღვთისა სწორსა მეფეთა მეფესა თამარს, რაითამცა იგი გლეხნი მის წყაროჲსა მკაზმავად უბოძნეს (sic) და მოაკსენნეს მონასტერსა. შემიწყალეს ჱ მიბოძნეს და მსახურიცა მსახურეს ჯეროვანი და ამა სიგლითა მკჳდრად და თავისუფლად მეფობისა თამარისა სალოცავად აფხაზეთნი (sic) იგი გ˜ი და ია ბერი ფოძედ ერთი და კომლად ორი და მე გაუჩინე სამსახური მის წყაროჲსი, რ˜ლ ორსავე სასლისაგან თჳთოჲ შვილი მათი ქუქანკად გაისწავლებოდეს და ჰკაზმვიდენ მას წყაროსა. სხუაი მსახური არცა რაი ეკლესიისა ედვას თჳნიერ წყაროჲს კაზმვისაგან კიდე და თუ დიდი და ნივთნი რაიმე საქმე გამოჩნდეს, რ˜ი მათგან არ იქნებოდეს, მონასტერი დაუდებდეს, ანუ თჳით მემღუიმე ჱ კრებული ჩამოვიდოდეს ჱ ყოვლითურთ უნაკლულოდ ჰკაზმვიდენ.— და ამათ გლეხთა ორთავე სწორად მივსცენით მიწანი მონასტრისაგან სხალტბას სასკლდებით ბოტკოს და დიდვალს დღისა ათისა და წყაროჲსა თავსა ორისა დღისა და ვენაკი, რომელი საკრებულო იდვა სხალტბას. აწ ეს ვითა ქმნილა და გაგებულა მტკიცე ყოს ღ˜ნ ჱ თჳით მან წმიდამან შიო და ვინცა და რამანცა გუარმან კაცმან დიდმან ანუ მცირემან აზნაურმან, გინა ერისაგანმან, კელისუფალმან ანუ კელისუფლომან, მონაზონმან ანუ მოსაკარგვემან, გარეთმან და თუნდა შინამყოფმან, წინამძღუარმან, მოძღუარმან და ანუ კრებულმან დააკლოს შეცვალოს და წარმღებებით აღარ ჰკაზმოს და არ იურვოს რომლისაცა მიზეზისა მოღებითა ნისტორმცა არს ყ˜ო წ˜ა ღ˜თის მშობლისათუის არიოზ ძისა მისისათუის, ჰეროდე ნათლისმცემელისათუის, დომენტიანე იოანე

მახარებელისათუის, ნერონ წმიდათა მოციქულთათუის, დეოკლიტიანე და მაქ-სიმინე წ~დათა მოწამეთათუის და სადაც უსისხლოი მსხუერპლი შეიწირვის და ან შეწიროლა და ბარძიმსა შინა წყალი ერთვის და რთოლა (sie), მისმცა ყუელასა მადლითა კრულიია ცათა შ~ა და ქუეყანასა ზ~ა“...

მეორე გვერდზე ხუცურ-ნარევი მხედრულად, მქრალ მელნით:

„ქ: ამას ბ~ზასა (ბრძანებასა) და სიგელსა ღვთისა სწორისა მეფეთ-მეფი-სა თამარისასა და ანტონი და გ~ის და წ~თა მამათა მლვმელთა, რომელ წყა-როსათვს გაჩენით მახნი (?) გააჩენიან და მეწყაროეთათუის ვენაკი... მეცა ქ~ს მიერ ვ~სა (უფლისა) მ~სი (მთავარ-ეპისკოპოსი) მოწამე და დამამტკიცებელი ვარ ბრძანებისა მათისაი... (წყევა).

სათაური XVII საუკ. ხელით: „ქ: ეს: სიგელი: წმიდის: შიოსა: არს: სხალ-ტბური:.“.

არშიაზე ტექსტის ხელით: „და მალი, ოდესცა უნდეს, მემღუიმე გაიღებ-დეს ეკლესიისა ძალითა და საფასითა:“ —

---

## წ~ის ევთიმე-მთაწმიდელის წერილი.

ეს ფრიად საყურადღებო წერილი მოქცეულია ტყავის უთავბოლო ხუცურს ხელ-ნაწერში, XIII საუკუნის ხელით გადაწერილში (in. 4, გვ. 338), რომელიც იმერე-თიდამ ჩამოგვიტანა ბ. ი. ჭირაქაძემ. ხელნაწერი შეიცავს: 1) მეექვსე მსოფლიო კრების კანონებს, წ~ის ეკთიმე-მთაწმიდელისგან თარგმნილს (იხ. წარწერა გვ. 127); 2) წ~ა მამების კანონებსა (ბასილი კესარიელისა, მეთოდე კოსტანტინეპოლელისა, იოანე მმარ-ხველისა, ბასილისა, „კანონნი დღითი-დღე ცთომათათჳს“ ეფრემის განმარტები-თურთ); 3) შეჩუენებანი იაკობიტთა და მათ თანა ზიართა სომეხთა (შეჩვენება ევ-ტიქისი, დიოსკორესი, „სევეროს უთავოისი“, იაკობ „წანწალოსისი“, სერგის ასი-რისი და სერგის სომეხისი, „დამწყებელისა ხაჩეცართა წვა-ლებისა“), სიმონ პ~ლ მწვალებელისა, მუნტანისი, მანენტოს-მარკიონ-მანდაკუნისა, არიოზ-ევნომიოზ-მაკედონიოზ-დიოსკორე-თევდოსისი; ტიმოთე-ივლიანე-პეტრე მკაწრ-ვალისი, პეტრე მონღონი და ფილოქსენისი, კვიროს-მაკარი-პიროსისი (შეჩვენებათა შორის საყურადღებოა: „ვინცა-ვინ არა დასწერდეს ჯუარსა ორითა თითითა, ვითარ იგი ქრისტემან, შეკაჩუენებ“); — 4) შეჩუენება სარკინოზთა სჯულისა; 5) შეჩუენება ჭურიათა წვალებისა და წესისა; 6) „ექუსთა დღეთათჳს წ~დისა ვასილისი“ (sic); კანონნი ოქროპირისა, ვარსანოფისა, ბასილისი; 8) კანონნი ანტიოქიის კრებისანი (სხვათაშორის: „გუესმა ქუეყანასა სომხითისა ჲ ქართლისასა რომელნიმე სუმ-ბოლ-სარქისს მსახურებენ და რომელიმე მათთუერთა მათ სასლის ანგელოზად უწოდენ და მსახურებენ სახელ ვერპთა“); 9) „მცნება და განგება მსოფლიოთა ხუცესთაჲ ბერძული, რომელი გარდმოსცა ქართულად დიდმან ეფთჳმი (სხვათა-შორის: ეკრძალე სომეხსა, და ქართველსა ნუ ასვინდიკნოზებ, ნუცა აძმახებ. 10) გან-წესებული დიდის ათანასისი; 11) „ოქროპირისა ანდრატთაგან“; 12) წ~ის ევთი-

მი-მთაწმიდელის წერილი (გვ. 293—323); 13) კანონნი მოციქულთა პეტრესი და პავლესი; 14) ლაოდიკიის კრების კანონნი.

ეჳთიმის წერილში მოხსენებული გიორგი ქართველი შეყენებული არ უნდა იყოს „დიდი გიორგი შეყენებული“ სვიმონ-წმიდელი, რომლის თხოვით აღიწერა გიორგი-მთაწმიდელის ცხოვრება, არამედ ჭყონდიდს დაყუდებული გიორგი.

## წიგნი, რომელი მოწერა დიდმან ეფთჳმე [წ~ასა და] დიდსა გერსა გ~ის (გიორგის) შიუე - - (შეყენებულსა?) [ქა]რთველსა ამათ პირთათჳს.

ღმერთშემოსილო მამაო გიორგი, (გ~ი) მომიბოძენ ღ~ნ წ~ჲ ლოცვაჲ თქუჱნი ამათ პირთათჳს, რომელ გეკითხნეს ჩუჱნისა ულირსებისაგან; განმარ[ტე]ბაჲ მისი ღ~ნ გამოგიცხადოს და თქუჱნისა (სა)კითხავისათჳს მეცა მოუწყოს ჯეჯეროვანი პასუხი.

წიგნნი რომელთა ეკლესიაჲ არა შეიწყნარებს არიან ყოველნი, რომელნი მწვალებელთა მიერ დაიწერნეს.

ორიგინეს მწვალებელსა მრავალი წიგნი დაეწერა და არა შეიწყნარებს ეკლესია.

„ევსები პამფელი“ წიგნი არის და მრავალთა საქმეთა წარმოიტყჳს და თხრობათა თჳთო-სახეთა ფილოსოფობისთა დაწერილი; განა წვალებანი ჩაურთვან. ამისთჳს არა შეიწყნარებს ეკლესიაჲ. იგი ქართულად უთარგმნია და უწინარეს მრავლისა ჟამისა, სიცოცხლესავე მამისა ჩემისა (წ~ა იოანე მთაწმიდელი † 998 წ.) მოეწერა მუნით სტეფანე ებისკოპოსსა და ეკითხა, თუ შესაწყნარებელ არს. კარგიცა მრავალი სწერია, გარნა ღუარძლიცა მრავალი ჩაურთავს და მით უკმარ არს.

„ანტიოქისა მოქცევაჲ“ არა შესაწყნარებელ არს და სხუაჲ რაჲმე არს. სწერია, თუ მაისსა ხარებად, იგიცა უცხოჲ არს.

წიგნი, რომელსა «აბუკოროვა» ჰქჳან წვალებაჲ ცხადი ვჰგონებ თუ რაჲ სწერია; გარნა უცხოთა რათმე საქმეთა მეტყუჱლ არს და ეკლესიაჲ საზერძნეთისა არა შეიწყნარებს.

და სხუაჲ რაჲმე არს „ადამის ცხორებაჲ“ და არცა მას შეიწყნარებს.

და სხუაჲ არს წიგნი „სიყრმე უფლისა“ და არცა მას შეიწყნარებს.

და „მოციქულთა ცხორებანი“ ზოგნი განრყუნილნი არიან მწვალებელთაგან; წმიდისა მათე მახარებელისაჲ სხუაჲ რაჲმე არს. და წმიდისა ანდრიაჲსი იგმაგი (?)

წმიდისა გიორგისი არს წამებაჲ ჭეშმარიტი, რომელი ეკლესიათა შინა იკითხვების, და კუალად სხუაჲ რაჲმე არს უცხოჲ და უცხონი რაჲმე საქმენი სწერიან და არა შესაწყნარებელ არს.

და წმიდისა კჳრიკეს (კ~ეს) წამებასა სწერია, ვითარმედ სხუაჲ ვიეთმე და-

წერეს წამებაჲ უცხოჲ ქრისტეანეთა წესისაგან, და სხუანი ესე ვითარნი რაჲმე ნატყუარნი, ზოგისა სახელები არა ვიცი.

აწ ესე ვითარიმე, რომელი სხუათა მწვალებელთა დაუწერია, იგი თჳთ სცნან რა არიან.

ესე კულა მოციქულთა და მოწამეთაჲ მას წყეულსა ივლიანეს განზრახვით განურყვნიან, რათამცა ყოველი ნაცილად შეჰრაცხეს და აღარამცა სარწმუნო უჩნდეს წამებანი წმიდათანი, გინა მოციქულთანი. გარნა უფალმან მისი საკსენებელი აღკოცა და წმიდათა სახელნი ბრწყინვენ, ვითარცა მზე.

ხოლო საუფლოთა დღესასწაულთა არცა მუკლთა მოდრეკაჲ ჯერ არს ბ~ არცა მარხვაჲ; არამედ უკეთუ ვინმე ეზიარებოდის, ეზიაროს და სამკრად პირი იკსნას და ჰმადლობდეს უფალსა; და უკეთუ არა ეზიარებოდის ეგრეთვე სამკრისაჲ ილოცოს, ფსალმუნი წართქუას და პირი იკსნას.

საბერძნეთისა დიდებულნი (დ~ბულნი) ქრისტეს შობასა და განცხადებასა მსგეფსამდე მუკლთა არა მოიდრეკენ და აღვსებითგან ვიდრე მარტჳლიამდე მუკლთა არავინ მოიდრეკს და არცა არს.

და სხუათა საუფლოთა დღესასწაულთა თჳთ მათ დღეთა და ხვალისა დღე, თუ არა ვინ მოიდრიკნეს მუკლნი, კეთილარს.

საზრდელისათჳს ახუსებითგან (sic) ახალ-კჳრიაკემდე არა ჯერ არს მარხვაჲ, არამედ სამხრად პირისა კსნაჲ. მიერითგან სენაკსა შინა მჯდომი უკეთუ იმარხვიდეს არა რას დაკლებაჲ თჳნიერ შაბათ-კჳრიაკეთა და ამაღლებისა და შუაზატიკისა და სხუათა საუფლოთა დღესასწაულთა. ეგრეთვე წმიდისა ღ~თისმშობელისასა.

და იოვანეს (ი~ჳს) შობად (შ~ბდ) კსნილ არს თევზი და ღჳნოჲ თავისკუჱთად და წმიდათა მოციქულთა პეტრესსა და პავლესა და იოვანე მახარებელისასა და სხუათა მათ დიდებულთა წმიდათასა, რომელთა დღესასწაულნი აწ იდიდებიან: წმიდისა გიორგისასა, თეოდორესსა, ნიკოლოზისსა, ფილიპე მოციქულისსა, თომაჲსსა, დიმიტრისსა და სხუათა წმიდათასა, რომელთა შინა ღამისთევაჲ იქმნების, ესე დღესასწაულნი კსნილ არიან. და რომელნი დაემთხჳნენ მარხვათა შინა, ანუ ოთხშაბათ-პარასკევსა, კსნილ არს თევზი და ღჳნოჲ მოწესეთათჳს.

არაჯურთა (ორაჯართა?) არა ჯერ არს მარხვაჲ, ჩუჱნ განვეკსნით და წუჱლასა ვიკმარებთ მწვალებელთათჳს.

ეგრეთვე ყველიერისა ოთხშაბათ-პარასკევთა წესი არს საბერძნეთს, რომელი ყოვლად წუჱლასა არა ჰამდის, მაშინ მიიღებს მათ მწვალებელთათჳს, რომელთა ყველიერი მარხვათა შეჰრთეს.

ძილსა შინა თუ ვისმე ოცნებით დაბრკოლებაჲ შეემთხჳოს, მის დღისა ჟამსა (ჟ~ა) არა ეზიაროს, არცა საკურთხეველად შევიდეს, არცა სახარებასა შეემთხჳოს, არცა ხატთა: თუ კულა რაჲმე იყოს საჭიროჲ, ანუ უცხოთა ვი-

ეთმე თანა იყოს, ანუ სირცხვლ უჩნდეს სახარებასა არა შემთხუევაჲ, შიშით შეემთხვოს: ესოდენ ბრალი არ არს.

მოძღუართა რომელთა მოწაფენი ესხნენ, უკეთუ წვალებასა, ანუ კაცის-კლვასა, ანუ სიძვასა, ანუ გრძნებასა და სხუასა რასმე ბილწებასა აწუჱვდეს მოძღუარი, არა აქუს კელმწიფება და მოწაფე იგი თვთ ურჩ ექმნას, არა არს ბრალი მისთა. ამაჲ კულა საქმეთაგან კიდე სხუაჲ, რაჲცა ამცნოს მოწაფესა, რომელი ეკითხოს, კელმწიფებაჲ აქუს მოძღუარსა, და მოწაფესა თანა აც მორჩილებაჲ.

ხოლო წარსლვაჲ მოძღურისაგან თვნიერ წამებისა მისისა არა კელეწიფების. უკეთუ კულა მოძღუარი იგი ადგილსა ეგე-ვითარსა ჯდეს, სადა ვნებანი იყვნენ და მოძღუარი უვნებელ იყოს და არაჲ ევნებოდეს, ხოლო მოწაფე დაცემასა შთავარდებოდეს, ჰრქუას მოძღუარსა მას და მან არა იზრუნოს ცხორებაჲ სულისა მისისაჲ და ამის პირისათვს განეშოროს,—მოწაფე იგი უბრალო არს.

სხუაჲ კულა არა-რაჲ არს მიზეზი ურჩებისაჲ და განშორებისა მისისაჲ მოძღურისაგან. თუ ურჩებითა და თავკედობითა განეშოროს და არ შეჰრაცხოს მცნებაჲ მოძღურისაჲ, სული თვსი წარიწყმიდოს.

ეგრეთვე კრულებაჲ უკეთუ წინამძღურისაგან დაედვას, ანუ მღდელთ-მთავრისაგან საქმესა ზედა სამართალსა, ვერ-ვინ აჰკდის მას, თვნიერ მისსა, რომელმან დასდვა კრულებაჲ იგი. უკეთუ კულა უჯეროსა ვინმე საქმესა აწუჱვდეს და სულისა მავნებელსა და მრწემი იგი ვერ დაჰმორჩილდა, მისთვს კრულებაჲ დასდვას, სულსა თვსსა ავნებს და კრულებაჲ იგი ცუდ არს.

და უკეთუ უცხოსა ვისმე კაცსა დასდვა, რომელ არა მოწაფე მისი იყოს, ესეცა უწესოჲ არს და ფრიად საბრალობელ. ამის პირისათვს სახენი მრავალნი არიან; წერილი რაჲ მოგაკსენო.

სქემისა კურთხევისა შემდგომად თუ სხუაჲ ბრალი არა შეემთხვოს, ეზიარებოდის; თუ კულა შეემთხუჱოდის, კუალად კანონნი იპყრან, ვითარცა შეჰგვანდეს.

სქემის კურთხევაჲ მარხვითა შაბათ-კვრიაკეთა კეთილად იქმნების. აქა (ე. ი. საბერძნეთის) უფროჲს ჯერ მარხვათა არს სქემის კურთხევაჲ შაბათსა, ანუ კვრიაკესა. თუ კულა სნეული ვინმე იყოს და რასაცა დღესა იკურთხოს სქემითა, ავგი არა არს.

თეოფილე მწვალებელი არა იყო; ოქროპირისა მტრობითა დიდნი ცთომანი ქმნნა ამას ქუჱყანასა. არცა ვინ შეაჩუჱნებს მწვალებელთა თანა და არცა ვინ მოსაკსენებელთა შინა აკსენებს.

ხოლო კვრილე დიდი მნათობი არს ეკლესიისაჲ და კსენებულ არს ყოველთა შინა კრებათა და იგი ხუაიშნებაჲ წმიდისა ღ~თისმშობელისაჲ ჭეშმარიტად არს კვრილესთვს, და მიერითგან დიდნი შესხმანი დაწერნა ოქროპირისანი წმიდამან კვრილე.

თევზისა ჭამაჲ ერისკაცთათვს კათოლიკეთა არცა სჯულისა გარდასლვაჲ

რაჲ არს და არცა ბრალი. უფროჲსად ეგრე გარდაკუეთაჲ და წუელასათანა შერაცხვაჲ ზომი არს.

ხოლო მონაზონთა და მოწესეთა სხუათა დღეთა კათოლიკეთა არა იმარონ, ხარებასა თუ ოდენ ჰქონდის კმარებაჲ ჯერ არს თევზისაჲ, და არა-კმარებაჲ ბრალი არს.

ერისკაცთა -- ხარებად - - - იკმარონ არცა ერთი ბრალი არს - - - *) უფრო ბრალი არს და სავნებელ, სათხრობელად თევზი თუ იმარხონ კეთილ, თუ არა ესე გარდაკუეთით სომხური არს წუელისაებრ ჺ არა კეთილ არს, და სჯულის-კანონსაცა სწერია ამის პირისათჳს,—მისი ჯერ არს და მეტი არა კამს.

ცოცხალთათჳს ჟამისწირვაჲ ფრიად კეთილ არს და წმიდათა მოციქულთაგან და წმიდათა მამათა დადებული. რამეთუ რომელთა ძალ-უც და სიცოცხლესავე არა იწირვენ, ცუდად დაიჰირვებენ ესე ვითარსა კეთილსა დიდსა, რამეთუ ყოველი ქველის-საქმე და ლოცვაჲ სიცოცხლესა ქმნილი ბევრ-წილად უმჯობეს არს.

და ესეცა გუესმა, ვითარმედ ყურძენსა გამოსწურვენ ქართველნი და მით ტკბილითა წირვენ ჟამსაო (sic). ამისთჳს ფრიად განუკვრდა ესე ყოველთა მკვდრთა ამის (ე. ი. საბერძნეთის) ქუეყანისათა, რომელსა ფრიადი ვნებაჲ და უწესოებაჲ შეუთქს და ყოვლადვე უცხო არს წესისაგან ქრისტეანეთასა.

აღვსებითგან ახალკვრიაკემდე დაწესებულნი არა ითქუმიან; ხოლო მიერითგან ყოველთა კვრიაკეთა და დღესასწაულთა ითქუმიან; ზატიკთა და საუფლოთა დღესასწაულთა ალილუიაჲსა ადგილსა „ღ̃მერთი უფალი" ითქუმის.

ახალ-კვრიაკითგან თუ ვინმე ოთხშაბათ-პარასკევნი იმარხვნეს, კეთილ არს.
ხოლო თუ დიდი დღესასწაული დახუდეს, კსნილ არს უეჭუელად.

ვინაჲთგან მარტჳლისა მსგეფსი გარდაკდეს, რომელ არს სულისა წმიდისა მოფენაჲ, მაშინ[ვე] ორშაბათსა დადგებიან მარხვანი მოციქულთანი; წუელაჲ და ღჳნოჲ ყოვლად არა-ჯერ არს კმარებად, რომელთა კანონნი ოდენ ძალ-ედვას; ხოლო თევზი და ზეთი იკმარონ, ვითარცა ვის ძალ-ედვას.

იოანეს შობაჲ კსნილ არს თევზი და ღჳნ[ოჲ].

პეტრესსა და პავლესსა რომელთა სრულიად არა აღკრიბოს წუელაჲ იჭმების (?) და ვინაჲთგან გარდაკდეს დღესასწაული მოცი[ქულთაჲ] ოდეს დღესასწაული არავისი იყოს ჟამთა ლოცვაჲ და მარხვაჲ საეროდცა კეთილ არს და შუენის. ხოლო თუ დღესასწაული დახუდეს, კსნილ არს.

ქრისტეს შობისა მარხვანი ნოემბერსა :იე: დადგებიან, და ესრეთვე უწუელოდ და უღჳნოდ ჯერარს მარხვაჲ თჳნიერ დღესასწაულთასა ჺ ჟამთა ლოცვაჲ.

დიდსა ხუთშაბათსა დავითი არა ითქუმის, არამედ დაწესებულნი და გალობანი და დღისა ჟამნი ილოცნენ უკანონოდ და იკითხვიდენ ოთხთავსა ვნების კვრიაკეთა ყოველთა ჟამთა ზედა.

---

*) სადაც წერტილები ზის იქ განგებ აფხეკილია თითო სიტყვის ადგილი.

დიდსა შაბათსა მე :იბ: ჟამსა დღისასა იწყონ ჟამისწირვად და ოდესცა აღასრულონ წესი ჟამის-წირვისაჲ, მაშინ პირი იჴსნან. ხოლო მიიღონ სამსამი ლღლჳს ჩირი და სამი კარასჳული ღჳნოჲ.

უწყებულ იყავნ, დიდთა მარხვათა ჯერ არს ვითაცა ვის ძალედვას მარხვაჲ და ლოცვაჲ წამებითა სულიერისა წინამძღურისაჲთა; ხოლო თევდოროობისა და აღვსებისა კჳრიაკესა კელთსაქმარი არაჯერარს, არამედ წიგნის კითხვაჲ და მარხვაჲ და ლოცვაჲ შეკრძალულად.

ქრისტეს შობასა მწუხრი და განცხადება და დიდსა შაბათსა სეროობისაჲ საეკლესიოდ არა ილოცვების, არამედ თჳთოეულმან თჳსგან ილოცონ მოკლედ.—განცხადებასა მარხვანი საეროდ არა ჰქუანან, არამედ შემდგომად განცხადებისა ზატიკი არს მსგეფსამდე.

უწყებულ იყავნ, ვითარმედ ეკლესიასსა შემდგომად მამასახლისსა დეკანოზისაჲთა აც ძმათა მორჩილებაჲ, და იგი ეტყოდის თჳთოეულსა, უკეთუ არაწესიერად დგენ, ანუ უწესოდ ილოცვიდენ, ანუ ზრახვიდენ ეკლესიასა შინა. ამხილებდინ და კანონსა მისცემდინ, წიგნის კითხვასა ეკლესიასა შინა მდუმრიად მოჰვლისდინ და მძინარეთა განაღჳძებდინ.—და კუალად იყავნ ერთი სხუაჲცა სულიერთაგანი, რომელსა საქმედ ესე ეპყრას: შემდგომად ჟამისა რეკისა აწუწვიდეს ძმათა ეკლესიასა ლოცვად და ნუმცა ვის შეუნდობს ჟამსა ლოცვისასა უბნობად, ანუ ძილად. და კუალად შემდგომად სეროობისა მოჰვლიდეს სენაკებსა ძმათასა და ნუმცა-ვის შეუნდობს ცუდსა უბნობად, რამეთუ შემდგომად სეროობისა არა-ვის კელეწიფების უბნობად მამასახლისაგან კიდე და ეგრეთვე არცა ვის ტაბლასა ზედა კელეწიფების უბნობად, არამედ წიგნის კითხვასა ისმენდეს; და თუ წიგნი არა იყოს, [ეგრ]ეთვე ლ[მობიერ]ად ჭამდეს და ჰმადლობდეს. და რაჟამს ტრაპეზით აღდგენ, ნუმცა ვის კელეწიფების გარეშე სენაკისა დადგომად და ცუდად მეტყუელებად. ხოლო უკეთუ ძმასა შენსა არა უსმენდენ და წინა აღუდგებოდიან, ამხილოს შიშითა ღ͠თისაჲთა და თუ კუალადცა ურჩ ექმნენ, წინამძღუარსა მოაკსენოს.

უკეთუ ერისკაცი ვინმე მონაზონობად მოვიდეს, ვიდრე წელიწლამდე, გინა :ვ: თუჱმდე არაჯერარს კურთხევაჲ, არამედ პირველად ორიოდე მსგეფსი გარეგან ეკლესიისა დაყოს და მერმე იუბნოს იგი წინამძღუარმან. და უკეთუ პოოს იგი სათნოდ, განძარცოს საერისკაცოჲ სამოსელი და შეჰმოსოს ჩოკაჲ და მოჰკუეცოს თმაჲ. ხოლო უკეთუ იპოოს მორჩილ, აკურთხონ მონაზონად და შეჰმოსონ სამკარე და შეჰრიცხონ ძმათა თანა.

ესეცა უწყებულ-იყავნ, რამეთუ როშლისა (რ͠სა) დღისასა *) [ბედსა და

---

*) აზრთა მიმდინარეობიდამ სჩანს, რომ, აქიდამ დაწყებული ტექსტი არ ეწყობა შინაარსს ეკთიმის წერილისას და ამისგამო ჩვენ გვგონია, რომ 307 გვერდი წიგნისა (ეს გვერდი იწყება სიტყვით: „ბედსა და სუფსა") და შემდეგი, რომლისამე კრების დადგენილობაა და არა ეკთჳმის წერილის გაგრძელება, და ამისგამო დანარჩენს არ ვბეჭდავთ.

სუფსა და შობისა დღესა და ეზეკითართა (ეზ~რთა) რათმე სიტყუათა სატთურად ერი-სა წარჭრევდენ და რომელნი იგი ღრუბელთა მდევნელად იწოდებიან და მსახრვალთა (sic) და შემლოცავთა და სატთურ-მოქმედთა და გრძნეულთა, მისანთა, მექრთილეთა და ესე ვითარისა რაჲსაცა მოქმედთა, კანონნი კაცის კლვისაჲ აღასრულონ. ხოლო უკეთუ ეზრნე ეზე-ვითარსაცა მას უწესოებასა ზედა და არა შეიცვალნენ და ეკლტოდენ სულთა მომსრველთა მათ და ელენებრთა ჩუჳულებათა ყოვლითურთ განყრასა მათსა ეკლესიით განვასაზღვრებთ, ვითარცა საღთონი კანონნი მოსცემენ, რამეთუ რაჲ ზიარება არს სანთლისა ბნელისა მიმართ....

ხოლო მწამლველობათა და კარსკულავთ მსწავლელობითობათა და ესე-ვითარ-თათჳს მეათვრამეტისა ნაწილისა მეცხრისა წიგნისა კოდიკოჲსა პირველი განწესე-ბაჲ მოიღებს ესრეთ: ვითარმედ უფროჲს არს წამლითა მკლველობაჲ მახჳლისასა; და კუალად მეორე განწესებაჲ ქუწუნისა მზომელობისა მცნებელობაჲ საკმარ არს, ხოლო ვარსკულავთა მწუალებლობითისა განგდებულ ქ დასასჯელ არსო. ხოლო მე-სამე განწესებაჲ ვითარმედ ნუმცა ვინ მღდელი, გინა ესე-ვითარისა კუთნვისა მსა-ხურებელი, გინა ერისკაცი ქრისტეანე შემავალობს მექაზრისა ვისმე მიმართ ვითა-რისა მიზეზისათჳს]....*)

## ახალციხური ტყავის სახარება XII საუკ.

ახალციხიდამ მღვ. ვასილ კარბელაშვილმა ჩამომიტანა ტყავზე დაწერილი პატა-რა-ტანის სახარება (სიგრძით $4^1/_2$ ვერშოკი, სიგანით $2^1/_2$ ვერშოკი); უბრალო ყდაში ჩასმული. სახარება დაწერილია 394 ფურცელზე მეტად ლამაზის ხუცურ-ნუსხურ ასოებით ორ-სვეტად, იმავე ხელით, რომლითაც დაწერილია 1116 წელს ერთი ნაწილი ათონურის აღაპებისა, ბერის ბენედიკტე ბარკალაიას მიერ ათონიდამ მოტანილისა. წარწერათაგან სჩანს, რომ გადამწერი არის ვინმე საბა, ხოლო „მომ-გებელი“ სახარებისა — ვინმე გიორგი, აბხაზეთის კათალიკოზის სვიმეონის გაზრდი-ლი. ეს ისტორიულნი პირნი უცნობნი არიან, მაგრამ რადგან პალეოგრაფიულ ნიშნებით სახარება ყოველს ეჭვს გარეშე დაწერილია XI საუკუნის დამლევს ანუ XII საუკუნის დამწყის, ამისგამო მტკიცე საბუთი გვეძლევა იმისი, რომ კათალიკოზი სვიმეონ და სხვა ამ წელნაწერში მოხსენებულნი პირნი ამ დროს ცხოვრებულან (და-ახლოვებით 1080—1116 წ.). სახარების სარჩევის სათაურებში ერთ ალაგას წარ-

*) მეხუთე მსოფლიო კრების კანონები ხელმოწერილია ქართველ ეპისკოპოსთაგან: 1) „თეოდორე ღირსმან ეპის~ზმან ფასოჲსამან, სოფელსა შინა მეგრელთასა განვსაზღურენ და წარვწერენ“ (ტექსტის პირდაპირ არშიაზე განმარტება: „ფოთსა იტყჳს“ № 76. გვ. 312). 2) გეორგი ეპ~ზმან კამახისა (კალმახისა?) დიდისა სომეხთა სოფლებისაგან... 3) ფოტი... ეპს~ზმან ქალაქისა სევასტოპოლელთაჲსაგან... 4) „იოვანე ღირსმან ების~ზმან ქალაქისა პეტრონისამან, ქუწყანისაგან მეგრელ-თაჲსა განვსაზღვრე და წარვწერე“ (პეტრონი არის აწინდელი ციხის ძირი).

წერილია „ქ҃ე ადიდენ ს҃მნ გ҃ზი" და, აქიდამ საგულისხმოა, რომ სახარება ეკუთ-ნოდა რომელსამე ეკლესიას აფხაზეთის კათალიკოზის ეპარქიისას.

სასვენ ნიშნებისაგან ხმარებულია იოანე ფარავნელის შემოღებისაებრ („ქრო-ნიკები" I, გვ. 218) უმეტესად თითო წერტილი, ხშირად ორ-ორი და იშვიათად სამ-სამი და ექვს-ექვსი. სამ-სამი წერტილები ხშირად იხმარება მხოლოდ წითურებ-ში და სათაურებში. მძიმეების და წერტილ-მძიმეების ხმარების კვალი არ მოიპოვება, რაიცა ჩვენს მწერლობაში დამკვიდრდა მხოლოდ მე-XII და XIII საუკუნოებში. ასო-ების „უ" და „ჳ"-ს ხმარება ძველებურია: „იხილ-უ", „მეუფ-ჳ", „„ჩუეულ" (და არა „ჩუუულ„: ასო უ-ს ხმარება „უ"-ნის შემდეგ დამკვიდრდა მწერლობაში მე-XII სა-უკუნიდამ).

ხელნაწერი შეიცავს: 1) წ҃ა მათეს სასარებას: „თავნი მათეს თავისა (ე. ი. შინაარსი სასარებისა); 2) მათეს სახარებას (მეორე თავიდამ); 3) მარკოზის სა-ხარებას (პირველს თავს სათაური აქვს: „პირველი თავი მარკოზის სახარებისაჲ" და მებრ სხვა თავებსაც) და ბოლოს წითური წარწერა ტექსტის ხელით, ორ სვე-ტადვე:

„:.ლოცვა ყავთ ღ҃ნ:. | :.გარწმუნოს გლა:. |·ხაკისა საბაჲსთჳს:. | :.რო-მელმან დიდითა ხარკე:. | :.ბითა და ფრიადითა გ҃ლმოდგინებითა:. | ··ყავ წ҃ისა:. | :.ამის სახარებისა:. | :.დანუსხვად ძალ:. | ისაებრ ჩ҃ისა:— :—

5) თავები (სულ 96) ლუკას. სახარებისა (ე. ი. შინაარსის ჩამოთვლა), 6) სა-ხარება ლუკასი და ბოლოს წარწერა იმავ ხელით, შავ მელნით:

„ქე მეუფეო ღ҃ბისაო. | შ҃ე სულით და კორცით | დაცემული და უძ[ლ]-ლური: საბა: ამის | სახარებისა მჩხრე | კალი: ა҃ნ იყ҃ვნ:—

ვინცა აღმოიკითხოთ | ნაჩხრეკი ჩ҃ი ნუ თ҃ა | წარჰკდებით ლ҃ცვისა | ყო-ფად ჩ҃მთჳს სიყუა | რულისათ҃ს: ქ҃ტსა:—".

7) თავები (სულ 36) იოვანეს სასარებისა და 8) სახარება იოანესი; ბოლოს წარწერა ტექსტის ხელით:

**„ესე საცნაურ იყავნ ყოველთა** (ეს სიტყვები წითურად) რამეთუ ესე წ҃ჲ ოთხ-თავი: არა თუ ახლად გჳთარგმნია. არამედ ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთთამე სულიერთა: ბერძულთა სახარებათა შეგჳწამებია: ფრიადითა გამო-წულილვითა. და ვინცა ვინ სწერდეთ: ვითა აქა ჰპოოთ ეგრე დაწერეთ. თუ ამისგან ჯერ გიჩნდეს დაწერაჲ ღ҃თისათჳს სიტ҃ყთა ნუ სცვალებთ.

ა҃ღ ვ҃ა აქა სწერია. ეგრე დაწერეთ. და თუ არა რაჲმე გაშუნდეს (sic) ჩ҃ნნი ყ҃ლნი სახარებანი. პლ҃თგან წ҃დად თარგმნილნია (sic) და კ҃თლად: ხან-მეტნიცა (sic) და საბაწმიდურნიც[ა]: მუნით დაწერეთ: და ღ҃თისათჳს ერთმა-ნერთსა ნუ გ҃ნჰრევთ: და გლახაკისა გ҃ისთჳს ლოცვა ყავთ::. (შეადარე ჩემს „ქრონიკ." I, გვ. 207—9)

9) ამის შემდეგ განგრძელის ნუსხა-ხუცურით, მაგრამ იმავე ხელით დაწერილია: „გან-ყოფაჲ: სახარებისაჲ: დღესას: | წაულთა წელიწადისაჲ: სჳნ҃ქსრისა (სჳნაქსრისა): | წესითა: რჩევითი: ქ҃ე: შ҃ე: გ҃ი: ა҃ნ".

და ამ სტატიის ბოლოს წარწერა იმავე-ხელით, ერთ-სვეტად:

„დიდება შენდა სამებაო წ̃ო. ღ̃თო ჩ̃ნო. ერთარსებაო: წყაროო სახიერებისაო: უფსკრულო მოწყალებისაო: რ̃ლისა დიდებითა სავსე არიან ცანი და ქ̃ყნაჲ: და წყალობა შენი მიიწუთების ვ̃ე კნინთადმდეცა და უნდოთა: რ̃ნ ღირს მყავ მე სულითა საწყალობელი და უდები გ̃ი: სახელით ოდენ ხუცესმონაზონი: მოგებად მსოფ[ლიოჲსა მოძ]ღურისა: და ყ̃თა ჰასაკთა შ̃ნა მყო[ფელ]თა: სულთა განმანათლებელისა ამის სახარებისა: ა ხ ლ ი ს ა და ყ̃ითურთ უნაკ[ლულო]ჲსა საძიებელითა. ვ̃ა არს ბერძულად განწესებული სადიდებელად ღ̃თაებისა შენისა და სარგებელად ყ̃თა ქ̃ეანეთა მართლმორწმუნეთა მონათა შენთა. რამეთუ შენი არს სუფევაჲ უ̃კი უ̃კე ამინ:.

გევედრები წ̃ნო ღ̃თისანო: ვისსაცა მოიწიოს წ̃დჲ ესე წიგნი. სწერდეთ ანუ იკითხვიდეთ კსენებულ გუყვენით წ̃თა შ̃ა ლოცვათა თ̃ქნთა პ̃დ გამზრდელნი ჩემნი სჳმეონ აფხ̃ზთისა კათალიკოსი და მოძ̃ღრი ჩემი დიმიტრი და შ̃დ სულიერნი მოძღ̃რნი და მშობელნი მამანი და ძმანი და თჳთ მე საწყალობელი [გ̃ი]. თ̃ქნ მომავალთა ჩ̃ნ წარსრულ[თა] ესე: რამეთუ ვიყვენით: ოდესმე ჩ̃ნცა ვ̃ა თ̃ქნ: და თქ̃ნცა იქმნეთ ვ̃ა ჩ̃ნ (და) ო̃ნ სი̃ყრლისა ჲ წყალობისა სასყიდელი მოგანიჭოს: ჲ ერთობით [ვპოოთ] წყალობაჲ საუკუნოდ ამინ".

რომ მთელი ეს მუხლი, გაკრულ-ხელით დაწერილი, საბა-მწერლის ხელითვე არის დაწერილი და არა სხვა-მერმინდელ-მწერლისა, ამისი მტკიცე საბუთი არის: 1) პაგინაცია, ანუ რვეულების საანგარიშო ასოები, თავიდამ ბ ო ლ ო მ დ ე ტექსტის ხელით არის დაწერილი და 2) გარდა ამისა 29 რვეულის მეხუთე ფურცლის მეორე პირი (პირველი სვეტი), სადაც აღწერილია „სჳნაქსარი", ტექსტისავე ხელით არის დაწერილი თითო ასოებით და არა გაკრულად და გადაბმით. ამ გაკრულ ნაწერებშივე სათაურში წითურად წარწერილია: „ქ̃ე ადიდე სჳმონ კათალიკოზი". ცხადია, რომ ყველა აქ მოხსენებულნი პირნი: გ̃ზი სვიმონ, მწერალი საბა, მომგებელი გიორგი და დემეტრე მოძღვარი ერთსა-და-იმავე დროს ცხოვრებულან, დაახლოვებით 1070 — 1100 წლებში. საბა პროკოპი-წმიდელი რუისის სასარებისა 1060—1080 წლებში იხ. ჩემი „ქრონიკები" I, 209; საბა სულას (ზოლოკარის) მე სვიმონ-წმიდელი იხ. იქვე გვ. 214, 225, 227; 180.

ზემოხსენებულს ხელნაწერს აქვს ერთი ტექსტის ხელის წარწერაცა, რომელიც არ უნდა იყოს უმნიშვნელო ჩვენის მწერლობისთჳს: «კჳრიაკესა ყველიერისასა სახარება მათეს თავი :მდ: «თქუა უფალმან: უკ̃თუ მიუტევნეთ კაცთა შეცოდებანი» ვიდრე «თუმცა იყოს გული». პირველსა შჳდეულსა მარხვათასა ესე სახარებანი იკითხებიან არ დაპატიჟებით (ე. ი. არ-ძალდატანებით), არამედ უკ̃თუ ვისმე შაჰვით (sic) სწადოდი. რამეთუ ესე საცნაურ იყავნ, რამეთუ ბერძულისაგან დაგჳწერიან და წ̃თა მამათა განწესებულ არიან"...

# ქრონიკები

## და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა.

---

**1211** წ.—ქ̃კს: ულა: [თ]ამარ დედო[ფა]ლი მარ[იამობის თვეს?] [მი]იცვალა და მეორესა: წელსა: მეფედ: დაჯდა: გიორგი: ძე: მათი.

ეს მხედრულად, მე-XV საუკუნის ხელით, წარწერილია ეკლ. მუზ. ხელნაწერ ტყავის ძილისპირზე № 85, რომელიც ჩვენ აღვწერეთ („ქრონიკები“ II, გვ. 97—107) არშიები წაჭრილია, ხოლო უკანასკნელი სტრიქონი დაწერილია ხელნაწერის ქვემო არშიაზე. თამარის სიკვდილზე 1213 წ. ჩვენი საბუთები იხ. „ქრონიკები“ I, გვ. 295—302.—პროფესორი ა. ცაგარელი თვის Свѣдѣнія... II, ჯვარის მონასტრის კატალოგში № 28 მოიხსენიებს მე-XIII საუკ. ხელნაწერ-სვინაქსარს, რომელსაც შემდეგი წარწერა ჰქონია 27 იანვრის ქვეშ: „ქ. ამასვე დღესა გარდაიცვალა აქაჲ ესე მეფობაჲ ცხოვრებად და სუფევად საუკუნოდ ნეტარებით მოსჳსენებულმან (მოკსენებულმან?) თამარ დედოფალმან... მოიხსენე უფალო სული თამარ-დედოფლისა“. ამ დაზიანებულად გადმოღებულს წარწერაში მოხსენებული თამარ-დედოფალი არ უნდა იყოს თამარ-მეფე, რადგან უკანასკნელი ყველა წარწერებში იხსენიება მეფედ და არა დედოფლად.—დავით მეფის ნარინის ცოლი იყო თამარ (იხ. ქვემო).

**1222** წ.—ქკსა: უმბ: დასაბამითგან :ხუკვ: აქა გ̃ი (გიორგი) ძე თამარისი მ̃კდა (მოკვდა) და დაჲ მისი რუსუდან მეფედ დაჯდა (აფხაზთა ქრონიკა).

ქ-ცხბით (I, გვ. 348) ლაშა მოკვდა 18 იანვარს, ოთხშაბათს. რადგან ოთხშაბათი 18 იანვარს მოდიოდა 1223 წელს, ამის გამო გიორგი-ლაშას სიკვდილი უნდა აღინიშნოს 18 იანვარს 1223 წ. ერთის წლის შეცდომა ცხრილოვან ქრონიკებში, როგორც გვითქვამს, იშვიათი არ არის. ჩვენის ქრონიკის ცნობა მაინც უფრო უახლოვდება სხვა ისტორიულ საბუთებს, ბროსესგან შემოკრებილს (Addit p. 302—205 და Hist. de la G, I, 493, n. 3).

**1212–1227** წ.—ამ წლების ახლო ხანებშია დაწერილი კაჴხანის (ანუ კანის) ძეგლი, მხარგრძელის (იოანეს) ძ̃ მისის შვილის სარგის II-ის მიერ ხელმოწერილი (სარგის არის იგივე ავაგ მხარგრძელი), რომელშიც მოხსენებულია ისტორიაში უცნობი კათალიკოზი გიორგი. სრული განმარტება და ტექსტი ამ გუჯრისა იხ. ჩემს გამო-

ცემაში: „ისტორიული საბუთები შიო-მღვიმის მონასტრისა". აქ მოვიყვანთ მხოლოდ შემდეგს ნაწყვეტს ამ ძეგლისას (სასვენი ნიშნენი დედნისა დაცვით).

„...ჩუჱნისა სახლისა აზნაურნი. ჵ თუნდა მსახურნი შემოილაზუნდებოდენ და ჩუჱნგან და ჩუჱნისა სახლისა კაცისაგან, მონასტერს შეშუჱბასა. და დამკვდრებასა ღირს იქმნებოდენ: ესე მონასტრისა პატრონთაგან გაიჩინებოდეს: თუ ნამსახური იყოს და საპატიოჲ აზნაურისშვილი. მწირველთავე თანა დაიწესებოდეს. პურითა, და ოქროჲთა: და ჯდომითა: ყუჱლაჲთა: კუალადცა ესევე ვთქუათ თუ დიდად საპატიოჲ. და ნამსახური არ იყოს, ნუ იკადრებს მწირველთა თანა დაწესებასა: და უქუჱგანესი ამათი მსახური რომელიცა მონასტერს შეშუჱბასა და დამკვდრებასა ღირს იქმნებოდეს. მწირთა თანა დაეწესებოდეს; ტანისამოსითა ოქროჲთა პურითა. და ყოვლითა საწესოჲთა საქმითა:—

სრულითა სასოებითა. მეუფისა და მაცხოვრისა და მკსნელისა ჩუჱნისა ქრისტეს მოწყალებათაჲთა. და მინდობითა წმიდისა მთავარმოწამისა მისისა შეწევნათაჲთა. მიწამან და მონამან მკარგრძელმან, დიდითა გულმოდგინებითა, განგებაჲ ესე აღვწერე მონასტრისა ჩემისათჳს: რომელი ესე აწჲ საქმით სრულ ქმნილ არს. ყოვლითურთ ჩემ მიერ, და უმეტესისა შეძენისათჳს დამიც დასოებაჲ, ყოველთა დღეთა ცხორებისა ჩემისათა. და ყოვლითურთ უმიზეზო ქმნილა მონასტერი ესე ჩემი. მოღუაწებით და საღუთოდ (ს~ღთოდ), შემტკბობელთათჳს, მონაზონებისათა. და რომელნიცა სოფლისა ნივთთა-და არ შემქვალულ არიან. მონასტერს მყოფნი. ეგე ვითართა მათ უდაბნოჲს მოყუარეთა. და ყოყლად სოფლით განშორებულთა მათ მიერ უმანკოჲთა განგებითა, განიხილვოდინ ჩემ მიერ ყოვლად სასოებით და გულს მოდგინებით აღწერილი ესე ანდერძი საღმრთოჲსა განგებისა ამის უდაბნოჲსათჳს. და მას შინა სულთაჲსა მოღუაწებისა აღმასრულებელთათჳს. რომელ სამეფოსა ჩუჱნსა უდაბნო ქმნით და ყოვლითურთ საღთოდ განწესებით. ზომიერად და ჯეროვნად რაოდენნი მწირველნი და მწირნი მონასტერსა ამას ჩუჱნსა განგჳწესებიან სურვილითა ღუწისაჲთა საღმრთოდ განკუთნვილთა მადლთა მათთაგან. რომელ ჩუჱნსა სამეფოსა აზნაურსა, თჳსისა მონასტრისათჳს არავის დაედვას, ესრეთ სასოებაჲ; უდაბნოდ განწესებისაჲ. და სურვილით და წადიერებით. ზედამდგომელობაჲ ყოვლითა, განგებითა, ვითარ მე:.

ჲწ უკუჱ ვევედრები, სიწმიდესა და მადლსა თქუჱნსა, წმიდანო და ღმერთშემოსილნო, მამანო. რომელნიცა წადიერ ხართ, მონასტერსა ამას ჩემსა დამკვდრებად. რათა მტკიცედ ეგოს. ანდერძი და განგებაჲ ესე ჩემი თქუჱნ მიერ. და შემდგომითი შემდგომად, დამკვდრებულთა უდაბნოსა შინა ჩემსა. და არა არცხვნოთ სასოებასა ჩემსა. და არღარა შემოიხუნეთ ნივთნი სოფლისანი. სამკვდრებელსა ამას შინა ჩემსა. და ყოვლითურთ უდაბნო ქმნით იპყრათ მტკიცედ ძეგლი ესე, შეუხებელად, ბიწთა ყოველთა: და თქუჱნდა მომართ მსახურება ჩემი სრულ იქმნებოდეს. სასოებისა და სიყუარულისა თქუჱნისათჳს. და რომელმანცა სასოებასა და განგებასა ამას ჩემსა ეცრუვნეთ, და რომელნი

ძეგლსა ამას შინა განწესებულნი, საკმარნი ტრაპეზისანი უხუჱბით მოუკლე-ბელნი ყოველთა დღეთანი. და კუალად სატანისამოსლად მიცემულნი. და სასტუმროდ მოცემული პური და ღვნოჲ: თჳნიერ ამისსა, რაჲცა ვინ მოიან-გაჰროს საკმართაგანი და დაიუნჯოს გარეშე ამათ ჩუჱნგან განჩენილთა და აღწერით დამტკიცებულთაჲსა. და (აქ გადაკერებულია და წარწერილი: „მე მკარ-გრძელსა დამინიშნავს“) გეეზის წყევაჲცა არ მოიგონოს. და განცხადნეს ამას შინა ამა საშინელთა წყევათა ქუჱშე იყავნ, ქუჱმო წერილთა. ჵ სასჯელიმცა მიეკადების, რისხვსა ღ~თისაჲ, დაუსრულებელი:. და ვინცა ესე განგებაჲ, და განწესებაჲ უდაბნოჲსა ჩუჱნისაჲ. დიდითა სასოებითა, ჵ წადილიოა დაწერილი ჩუჱნგან. ვინცა და რამანცა გუარმან ქრისტეანემან კაცმან. გინა უდაბნოსა შინა ჩემსა მყოფმან. რაჲსაცა მიზეზისა მოღებითა შეცვალოს. შეცვალებულმ-ცა არს სჯულისაგან ქრისტეანეთაჲსა. და განურისხდებისმცა ჰეშმარიტი ღმერ-თი. მამაჲ რომელი იქმნა მიზეზ ძისა შობითა. და წ~ისა სულისა გამოვლინე-ბითა. განურისხდებისმცა ღმერთი (ღ~ი), ძე სიტყუაჲ ღთისაჲ (ღ~ჲ). რომლისა მიერ ყოველნი წარმოიარსნეს, ზეცისა და ქუჱყანისანი. ხილულნი და უხი-ლავნი...

კრულმცა არს, განუკსნელმცა არს, მადლითა ზენათა. განწესებათა, მღვდელთმთავრობითთა, ოცდაოთხთა მღდელთა, და შვდთა დიაკონთა, რო-მელნი გონიერთა (sic) საყდართა ღთისათა, დაუცხრომელად შესწირვენ, ზეს-თა აღმატებულსა დიდებასა, და მე სულკურთხეულისა სარგისის შვილსა, და შვილთა ჩემთა, ჵ მომავალთა, ცოდვანთ და ბრალნი მიეკადებიან სასჯელისა დღესა:.....

ამას ქვემოთ სხვა ხელით გაკრულის ხუცურ-ნუსხით ჵ სხვა მელნით წარწერილია:

ქ: ~ო: (უფალო) ი~ჳ ქ~ე (ქრისტე): ღ~ო: ჩ~ნო: რომლისა მიერ: სრულ იქმნების ყოველი: ჩუჱნდა: მონიჭებოლი: მადლი: მინდობითა შენითა: დაუწერ სიმტკიცესა წ~დისა ამის: მონასტრისასა: ჩუჱნ ქტ~ს მიერ: ქკ~ზი: გ~ი (კათალი-კოზი გიორგი): რომელი ძეგლად ყოველთა მონასტერთაცა: კმასაყოფელ არს: სადიდებელად ღ~თისა: და სალოცველად ~ე ე~სა (ერისთავთერისთავისა) მკარ-გრძელისათჳს: ნომცა დაიკსნებიან: წესნი ზემოწერილნი ესე: და ნომცა შემო-ვალს: უდებებაჲ: განმრყუნელი: კეთილთაჲ ყ~თა: (ყოველთა) აგარაკ: (სო)ფელ-თა: მაწყენარნი უსამართლოდ: წყევასამცა შინა არიან:—და ყოველნი მკნედ მოღუაწნი: და აღმასრულებელნი: ამის: ძეგლისანი: აკურთხნეს ღ~თმან და წმიდამან დედაქალაქმან:—„ (აქ თავდება სიგელი).

ამ სიგლის არშიაზე, რომელიც, სამწუხაროდ, წაჭრილია და დაზიანებული, მიწერილია მხედრულად, მე-XIII საუკუნის ხელით, შემდეგი:

„უდეს (ოდეს) პ[ატ]‘| რონისა. . . . . ჩემ]ის მეუ]ლისაგან გარ[ი]სხდა - - | - - | ბლად - - | ეზითაი;. - - | [ან]დერძი და გ[აგებული] | მათი: კელ[დ]ებუ-ლი იკ - - | ვისგანცა - - | ბირებ[ითა] | ეშმაკისა[თა] | : გუეწია - - | და ვი-გო[ნე]თ: ესე: [და ვი]უგულ- - | სყუღ~ნ(?): - - | წლიდამ - - | ებაჲ მათი- -

დ. . . . . რომელი ჩუენგან ეგებუდა: იგივე ბრძანებაჲ ჰაგრევე მტკიცედ გავჰ[მ]ართეთ:—[მე] სარგის: ძემან ს[უ]კურთხე]ულის: მამისა ჩემისა: მკარგრძელისამან: და დედამან ჩემმან: ხათუთმან: და ძმათა ჩემთაი: რაისაცა კაცისაგან მათის ბრძანებულის და გაგებულისა შლაი და შეც[ვა]ლებაი: იკადროს ამისი კანონი: და შეჩუენებაი: ბულოსა (ბოლოსა) მათისაგანვე ბრძანებული და ჩუენგანცა უკად[რელ]ად და [უწყა]ლობელნი ვიყვნეთ შვილნი და მომავალნი ჩ[უენ]ნი; —"

სრული განმარტება ამ სიგლისა ის. ჩემს წიგნში: „ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტისა“.

---

## 1218–1227 წ. ნაწყვეტი არსენი კათალიკოზის სიგლისა, № 66.

სინოდ. კანტორის გუჯრებში ინახება წარჩინებულის მხედრულის ხელით ტყავზე ნაწერი სიგელი № 66 (სიგრძით 2¾ არშინი, სიგანით—½ არშინი). უმეტესი ნაწილი (ანუ თვით ტექსტი) სიგლისა, რომელიც ხუცურად ყოფილა დაწერილი, დაკარგულია; დარჩენილა ტექსტისაგან მხოლოდ ერთი ნაწილი წყევა-კრულვისა, ხუცურად დაწერილნი დ ხელმოწერანი. რაც დარჩენილა ისიც მეტად დაზიანებულია. ეტრატი აქა-იქ დაგლეჯილია ანუ მოცრცნილი სიძველით. მაგრამ რაც დარჩენილა, ისიც არ არის უმნიშვნელო ჩვენის ისტორიისა და მწერლობისათჳს.

სიგელი ხელმოწერილია თვით კათალიკოზის არსენისგან, რომელიც, როგორც ჩვენ უკვე დავასაბუთეთ, 1227 წლის ცოტა უწინ კათალიკოზობიდამ გადამდგარა, შიომღვიმეში შესულა უბრალო ბერად (იხ. ზემო გვ. 91—2 და „ისტორიული საბუთები შიომღვიმისა“ გვ. 28—30); მის მაგიერ კ~ზად დაუყენებიათ გიორგი. რადგან თეოდორე კათალიკოზის შემდეგ (რომელიც სცხოვრობდა თამარ-მეფის დროს, 1190—1200 წლებში: იხ. „ქრონიკები“ I, გვ. 80 და II, გვ. 75) არსენამდი (ჩვენგან ჰოვნილის კ~ზთა სიით: იხ. „ქრონიკები“ I, გვ. 80). კათალიკოზად მჯდარან ბასილი (ეს ბასილი მოხსენებულია ეკ. მუზ. ხელნაწერშიც, № 94), იოანე და ეპიფანე; ამისგამო არსენის კათალიკოზობას ერგება დაახლოვებით 1218—1227 წლები და ამ დროებშია დაწერილი მოხსენებული სიგელიც.—სასვენ ნიშნებად ხმარებულია წერტილები, თითო და ორ-ორი; თხლათ უზის და არა ყოველს სიტყის შემდეგ.

სიგელი შეიცავს:

1) ხუცურად ნაწერს წყევა-კრულვის ნაწყვეტს, რომელსაც ჩვენ არ ვბეჭდავთ. ეს ნაწყვეტი ბოლოს მხედრულად წარწერილია: „მტკიცე არს - - - დამიმტკიცებია“ (ეს უნდა იყოს გიორგი-ლაშას ხელი და ანუ მეფე—რუსუდანისა.

2) თვით არსენ კ~ზისგან დაწერილს მხედრულად:

„- - -[ესე ვითა] ზემოთ დაგუიწერია მე გლახაკსა არსენს ქ~კზსა წამე[ბი-

თა] - - - თლი ებისკზთათა წ˝სა უდაბნოჲსა მღვმისათვს [1]) - - - - - - და უბრძანებია ჩ˝ნ ყთა შ˝დ მათსა - - - ღუწაი და ზრუნვაი მამათა მემღუიმეთა მათთა - - - [დაწერ]ილი ჵ და წყევაი - - . . . - მე გლახაკი არსენი ქ˝კზი მათ[ი] - - - აღმასრულებელი ვარ - - - - ყოვლითა ზემოით დაგუიწერია არა - - - ვითა დიდისა ჵ მეფეთა შორის სანატრელისა დავითის [2]) ენე - - - - - კმაარს წდ˝ისა ამის უდაბნოისათუის და მათნი ღვივ გვრგვნოსანი მეფენი და მოურავად ვითა იგი მასვე შ˝ა სწერია გაჩენითავე ნი - - [მწიგნობა]რთუხუცესი კაზირი მონაზონი ჯდეს და მამაჲ მემღუიმე სულიერთა საქმეთა მათთა [განაგებდეს] - - - არ უც საქმე მღუიმესა თანა არცა ქ˝კზთა თუინიერ ლოცვისა და კურთხევისაგან [არცა] ებისკოპოსთა, არცა ვის სხუასა ებისკოპოზსა არცა მთავარსა ვისმე და არს - - - მწერ ლოცვაჲ წ˝თა მეფეთაი ზედააც და ჟამისწირობანი ვითა ძუელითგან - - - უკუეთუ ჩუენ მათნი მოღუაწენი ვიყუნეთ, სახელსა ჩუენსა მოიკსენებდენ პირველად - - - [მოიკ]სენებდენ [3]).

და ვინც ეს დაწერილი: და გაგებული: წ˝ასა უდაბნოსა მღუიმისასა შეუცვალოს - -[უწ]ინდელი წდისა მამათმთავრისა იოვანესი ქ˝ზისი [4]) ანუ ოქრო-

---

1) აქიდამ სჩანს, რომ სიგელი წარმოგვიდგენს განაჩენს, ყველა ეპისკოპოსთა კრებისაგან დადგენილს, როგორც ბოლო წარწერაში მ˝გსი სახაცა ჰმოწმობს: „კეთა კრებასა... განუჩენია ბჭობითა".

2) ე. ი. დავით აღმაშენებლის: აქ იგულისხმება მისი „ანდერძი".

3) აზრი ამ ფრასებისა ცხადია: კრება ამბობს, რომ წ˝ის დავით აღმაშენებლის განჩინებით (მისის „ანდერძით") რაც დადგენილია, ის უნდა აღსრულდესო, ესე იგი: 1) შიომღვიმე თავისუფალია ყველა კათალიკოზების და მღვდელმთავრების უფლებათაგანო; 2) მღვიმე იმყოფება პირდაპირ მეფის გამგეობაში, რომელიც ჰზრუნავს მხოლოდ გარეგნულს მისს ცხოვრებაზე: ადგილ-მამულების და სარჩო-ცხოვრების მართვაზე და ამ საქმის გამგედ მღვიმეს უნიშნავს თვისს მწიგნობართ-უხუცესს და კაზირს (როგორც დავით აღმაშენებელმა დანიშნა ამ თანამდებობაზე სვიმეონ ბედიელ-ალავერდელი, მწიგნობართ უხუცესი მეფისა). ხოლო სასულიეროსა ჵ შინაურს ცხოვრებას მონასტრისას განაგებს მთავარ-მღვდელი, რომელსაც ირჩევენ თვით ბერები წილის ყრით (იხ. „ანდერძი" დავით აღმაშენებლისა, ჩემგან რუსულ-ქართულად გამოცემული, გვ. 28—30);—3) ნიშნად შიოს ლავრის ესრეთის დამოუკიდებლობისა ლავრაში არ იხსენიებენ წირვის დროს არც კათალიკოზებს და არც ეპისკოპოსებს: მოიხსენებენ მხოლოდ იმ მღვდელთ-მთავართა სახელებს, რომელთაც რამე შემოუწირავთ მღვიმესთვის და მხოლოდ როგორც შემომწირველთა და არა ვითარცა უფლების მქონეთა.

აქიდამ ცხადია, რომ მოხსენებულის გუჯრის ტექსტში, რომელშიც აღწერილი ყოფილა სამღვდელო კრების დადგენილობა, აღწერილი ყოფილა ესვე უფლებანი შიომღვისა („სტავროპიგიობა" ანუ სრული დამოუკიდებლობა შიოს ლავრისა).

4) ეს იოანე არის მოხსენებული ზემო გვ. 35—36 (და არა „ოქროპირი",

პირი ქკ̃ზისა [5]): ანუ გაბრიელ [6]: - - - [დ რაო]დენნი სხუანი შემდგომითი შემდგომად სხენან: კელით წერილნი სანატრელთა - - წ̃ისა მამათმთავრისა მელქიზედეკისი [7]):. ვინ შეცვალოს ამას ყოველსა შენ - - - მათ სანატრელითა კელითა დამტკიცებული: გინა დიდისა დავითის ანდერძ[ი დ][8]) - - სიგლები მათი - - - შეცვალებულ ყოს ჰრისხავს ღ̃თი... კრულია ქ̃ეს ღ̃ისამიერ . . . . (წყევა) ამენ. მე არსენ [ქკ̃ზმან] ჩემითა კელითა დავწერე ყოველი ესე სიმტკიცე და სახენი მტკიცე მყოფელნი - - - [აკურთხ]ნეს ღ̃ნ და წ̃დამან დედაქალაქმან:—

სხვა-კელით, მხედრულად:

[ესე] ვითა წდასა კრებასა და წმიდასა მამათამთავარსა ჩუენსა არსენის ქ̃ს მ̃რ :ქ: კზ̃სა: განუჩენია ბჭობითა დ დიდთა მამათმთავართა დ მოძღუართა ჩუენთა კელით წერილნი - - დაუმტკიცებიან მეცა გლახაკი :ქ: მკზი (ქართლისა მთავარ ეპისკოპოსი) საბა კელის წერით დავამტკიცებ...“ [9]) (წყევა).

სათაური მე-XVI საუკ. ხელით: „- - ბერი: სიგელი: საალაპო: წმიდის: შიოსა:.“

---

რადგან ასოები :ႵႮ: უნდა იკითხებოდეს ესრე: „ქართლისა პატრიარქი“ და არა „(ო)ქროპირი“, როგორც ჩვენ ვიფიქრეთ: იხ. იქვე შენიშნვა ***.—იხ. აგრეთვე ჩვენი „ქრონიკები“ I, გვ. 80, შენიშ. № 163. იოანე იყო კალიპოსში აღზრდილი, მერე საფარელი; მისი ხსენება აღუწერია ეფრემ უმერდოელს („ივერია“ 1892, № 260 და 251). კ̃ზად სჩანს 1042 წ. „ქრონიკები“ I, გვ. 189). ისიც უნდა ითქვას, რომ იოანე და ოქროპირ ერთი-და-იგივე სახელია.

[5]) ეს ოქროპირი უცნობია: ჩვენს „ქრონიკებში“ პირველად ცნობილი (გვ. 80, № 160), იგი დამდგარა შემდეგ კ̃ზის „არსენ-დიდისა“, ე. ი. დაახლოვებით 980—1000 წლებში.

[6]) ეს გუჯარი, თვით ასლი, კზ̃ის გაბრიელისგან და მეფე გიორგი II-ისგან 1073 წელს მიცემული, ჩვენ ვიპოვეთ და დავბეჭდეთ («ისტ. საბუთები შიომღვიმისა» გვ. 9—12).

[7]) მელქისედეკ ცოცხალი იყო 1020 და 1030 წ. (იხ. „ქრონიკები“ II, გვ. 34 და წიგნი I, გვ. 80, შენიშ. № 162; და გვ. 169..

[8]) ე. ი. „ანდერძი“ 1123 წ. დავით აღმაშენებლისა. როგორც ამ ანდერძიდამ სჩანს (გვ. 29—30 ჩვენის რუსულ-ქართულის გამოცემისა), შიომღვიმე წინედაც თავისუფალი ყოფილა კათალიკოზთა და საზოგადოდ სამღვდელო-უწყების უფლებათაგან, და ზემოხსენებულ კათალიკოზების (ოქროპირის, მელქისედეკის, იოანეს დ გაბრიელის) განჩინება ალბათ ამ თავისუფლობის ოქმი იქნებოდა.

[9]) ეს მ̃კზი საბა უცნობია ისტორიაში; იგი თანამედროვეა არსენისა. საბა კარის ეპისკოპოსი დ სჳნგელოსი, მწერალი, თანამედროვე არსენ კათალიკოზისა, იხ. ქვემო 1233 წლის ქვეშე.

**1227–1230** წ.—ამ წლებში უნდა იყოს დაწერილი თავ-მოხეული და ადგილ-ადგილ დასვული ტყავის გუჯარი, ანუ „ძველი სიგელი ცხირეთ ცხავერისა, გველდესისა და გავაზ-კოტმანი", რომელიც ეკუთნის სინოდ. კონტ. № 37 (სიგრძე აქვს $2^1/_2$ არშინი, სიგანე—7 ვერშოკი). სიგელი დაწერილია მხედრულად, მეტად გადაბმულად და ამის გამო ძნელი ამოსაკითხია. თუმცა სიგელს ბევრი აკლია და აზრი დაბნელებულია, მაგრამ რაც დარჩენილა ისიც საყურადღებოა, მით უმეტეს, რომ ამ სიგელში მოხსენებული არიან ისტორიული პირნი XIII საუკუნისანი: ცნობილი ქართლის ერისთავი სურამელი გრიგოლ, (ქ-ცხ. I, გვ. 364—390), მისი ძმა ივანე (ქ-ცხ. I, გვ.) და შვილი გრიგოლისი ბეგა (ქ-ცხ. 370; 383; 427). გრიგოლ, სულა ერისთვის ძე, ცხოვრობდა ლაშას, რუსუდანის და დავით IV მეფობაში. სიგელში მოხსენებულნი არიან აგრეთვე ჩვენს ისტორიაში უცნობნი პირნი: მთავარეპისკოპოსი გიორგი, დიმიტრი მემღვიმე, კათალიკოზი არსენი, რომელიც, ჩვენგან მოძებნილის და გამოქვეყნებულის ცნობებით ყოფილა „ყოვლად განთქმული, საღვთოთა წიგნთა თარგმანი... და მნათობი" (იხ. ჩემი „ქრონიკები" I, 79; 81, შენიშ. № 175). როგორც ზემო (გვ. 91—2) განვმარტეთ, იგი კათალიკოზობდა დაახლოვებით 1218—1227 წლებში. ხოლო რადგან ქვემო მოყვანილი სიგელი დაწერილია მაშინ, როდესაც იგი, კათალიკოსობის დამტევებელი, უბრალო ბერად შესულა შიოს ლავრაში, ამის გამო ეს სიგელი უნდა იყოს დაწერილი დაახლოვებით 1227—1240 წლებში.

სიგლის ძველი სათაური ეს ყოფილა: „სიგელი ცხირეთ-ცხავერისა, გველდესისა და გავაზ-კოტმანი". შინაარსიდამაც სჩანს, რომ აქ მოხსენებულია ის მამულები, რომელნიც მღვიმემ სყიდვით შეიძინა 890—908 წლებში (იხ. ამაზე გუჯარი ჩემს წიგნში: „ისტორიული საბუთები შიომღვიმისა". გვ. 1—4 და „ქრონიკები" I, გვ. 87—89).

„--- ეს და თანად | ყ---ჩემსა არსენი ქ˜ს მ˜რ ქკ˜ზი | :მწ:ახცესისა (ე. ი. მწიგნობართ უხუცესისა) [მღუიმესა] --- | მწირობად შემოსროლი ჩემსაცა კურციელსა დ˜ სულ[იერსა მამასა] | და ძისა ჩემისა ბეგაისა წ˜თა ემბაზითა: მშობელისათანა --გა | ·------- | ამა საქმესა რაოდენსა აწ გულმუდგინებით ვწერ წამა --- | ნი სუფელი (სოფელი) ფა(ვ)ნელთაგან გუეყიდნეს ძუელ--- | და ჩ˜ნგანცა მოგართუ უბადოთა კელისაფალთაგან ქმნი -- | ბისთჳს ნახევრისა სამართლისასა ჩუენნი კელისუ --- | გან საკმარსაც მოჰკრეფდეს სამუშაოცა ოწე [რაა?]-- | და შეწუხებულნი იყვნეს წ˜ნი მამანი; მე დაწერილი--- | --- და მისყიდულები მათ თავისოფლად დაეწერა მე შემი -- | რა შემაწუხა სჳნიდისმან ჩემმან, რაიმცა ერგო ჩემდა წუთ ერთ | -- და ურგებსა დაღაცა თუმცა ყოვლისა სოფლისაი ყუფილიყო -- და თუ უსამართლოჲ საჩუენოი გავაზელთა სუფლი[სა] -- [ყოვ]ელივე დავთმე საციხუი სამართალი და საკმარი ჩემისა სულ--- | -- ად ნუცა კელისოფალი შევა, ნუცა ციხის თავი-- ნუცა მესაკმარე -- | -- რთლე და ნუ რაი მაწყინარი, ნუცა მენუკვარი, ნუცა მოხარჯე, ნუცა მესაბანჯრე, ვინაითგან თჳთ წ˜თა მეფეთაგან და ჩუენისა

სახლისაგანცა წ~ისა შიოს ცხვარნი და მეცხვარენი ყოველსა ადგილსა თავისოფალნი არიან და შეუვალნი საბანჯრობისაგან და მისი სიგელიც აქვნდა დაწერილი ჩუენისა სახლისაგან [1]) წმიდასა უდაბნოსა მღვმისასა. თუ ჩუენი კაცი და მღვმისა ჩამუიკიდნენ, ჩუენისა კაცისაგან სამართალი მამასახლისმან ჩუენმან აიღოს ~ მღუიმისა კაცისა თჳთ მემღუიმის კელისუფალმან აიღოს. თუ საქმე რამ დავარდეს სასაურო მღუიმისა და ჩუენთა კაცთა შუა, მამასახლისმან და მღუიმის კელისუფალმან მართლითა სამართალითა დაუურვონ.

თუ სისხლი შეჰკდეს მღუიმის კაცსა ჩუენისა კაცისაჲ, მემღუიმის კელისაფალმან [2]): სისხლის პატრონსა სისხლი: გარდასცეს: მუნასტრისა წესითა: ვითა ჩუენისაც: მონასტრის წესია ~ სხვებრ ჩუენი: მამასახლისისა პატრონთანა ნურას დაეკარების: ნუცა შეუდგების: ნუცა: რას წაუღებს: თაილდა დაცეს: და შუა: ჩამუდგეს: და რაც: მემღუიმემან ბრძანოს იგი: იურვოს: თუ ნაპარევი შეჰკდეს: მღუიმის კაცსა: მღუიმის კელისუფალმან თავნი კელთ მისცეს: და შუიდეალი წ~დის შიუსდა შემიწირავს: ს~მნ (სამნო?): ჩემი კერძია საერისთავოჲ: გარეთ ვინც მაწყინარი გამოჩნდეს: მღუიმის გლეხთაი: მამასახლისი ჩ~ნი: ესე იურვოდეს ვითა ქვათაკევისა გლეხთა: სხუაი: ყოველი ამიკდია ჩ~ნი ბეგარაი: და გაგუიშვია. ნუც ჩუენს დაპირებასა რას: ჟამსა: და ნუც ლხინსა ნუ რათ შეუვალს: ნუ მამასახლისი: ნუ კელისუფალი ნუ ციხისთავი: ნუ გზირი: ნუ მსახური: და ნუ რაი: გუარი კაცი: ნუ იკადრებს: — ესე ყოველი ჩემითა: ნებითა დამიწერია: სრულითა ცნობითა: სიმრთელესა შინა ტანისა ჩემისასა: მე გგ~ლ: ქ~ს ე~ვსა კელითა ჩემითა: ძესა სულკურთხეულისა: სულა ქართლის ე~ვთა ე~ვისასა: დიდად ვალიანსა ჩემსა სახლსა ზედა: მარჯუნით დგუმასა ძმისა ჩემისა ივ~ნესსა: (ივანესსა) და წინა დაგუმასა: ძისა ჩემისა ზეგასსა: ამისთჳს: სულისა ჩემისა: შესავედრებელთა: მთავარ მამამან: დიმიტრი მემღუიმემან [3]) და ყ~თა კრებულთა მეუდაბნოეთა: მუგუმადლეს: და ნიშანი დამიდვეს: საუკუნო ალაპი: დღესა ლაზარობასა: თუით ამას ჩემს ალაპსა არ ეყოფოდა: ს~მე მას სოფელსა გავაზელთასა: ჩემმან კელისუფალმან: ეწყინებოდეს:(?) განა სიყუარულისა ჩემისათჳს:. ყვეს: ესე: და გარდაგან: (sic) ამა ჩემსა საუკუნესა ალაპსა ნუ ვინ შემიცვლის: დღესა ლაზარაბასა: თუ ღ~თს უნდეს სხვითაცა სამსახურითა: წმინდის უდაბნოსთა: გარდავიკდი თუ ღ~ნ ჟამ მომცეს და თუ არა ძესა ჩემსა

---

[1]) აქიდამ საგულისხმებელია, რომ გრიგოლ სურამელი ეკუთნის იმ ფავნელთა გვარეულობას, რომელთაგან მღვიმემ პირველად 890—908 წლებში შეიძინა ეს მამულები („ქრონიკ." I, 87—8). ამ სიგელში დადგენილია მხოლოდ იმის განჩინება, თუ რა ადგილ-მამულობითი დამოკიდებულება უნდა არსებობდეს მონასტრის და გრიგოლ სურამელის გვარეულობათა შორის. ახალი მამულიც შეუწირავს გრიგოლს (სოფელი ს~მე?) და ალაპი გაუჩენია თავისთვის.

[2]) აქიდამ დაწყებული ქვემო ჩვენ დავიცავთ ხმარება ძველის სასვენ ნიშნებისა.

[3]) ეს დიმიტრი მოხსენებულია გუჯრებში №

ბეგას დავანდოჲ: თუ ღ~ნ დღენი მისცნეს ვითა გუინდა მან მსახუროს წმიდასა უდაბნოსა მღუიმისასა თავითა თუისითა რაჲთა წმიდამან მამამან მღუიმეს სცეს წარმართებაი კეთილი საწუთროსა ამას შინა და ვითა: მე არა სადა დამიტევა შეუწევნელი ეგრეთვე იგი არა დატეოს: და მას საუკუნესა ორთავე მეოხად წარმოგუიდგეს: წინაშე საყდარსა ქრისტეს ღთისასა: ოდეს ყოველთა განშჯიდეს მსაჯული იგი თუალ უხავი: აწ ესე ჩემგან დაწერილი მიითუალე პირველად შენ ღმერთო ყოველთა კეთილთა მიზეზო და მესამე: შენ: წ~ო ღ~თშემოსილო მამაო შიო და შენ მზრუნველო ორთავე ცხორებათა ჩემთაო არსჱნ მიუთვალე ეს ღ~თს თავსმდებობითა ყ~დ წ~ის ღთისმშობლისათა და წ~სა მთავარმოწამისა [გიორგისი]თა ქმნილი და დაწერილი და შეწირული: და შენ ჩემო ძმაო ივანე და ძეო ჩემო ბეგაო თქუენ მიგითუალავ ამას ანდერძსა მე გბ~ღ ქ~ს ე~ვი: მიმავალი მეოთხედ წარმართთა თათართა შიგან ქრისტეს სჯულისა და ერისა და ეკლესიათა დაცვისათუის [4]). თუ ღ~ნ ჩემს შედეგად გყვნეს და თქუენ ერთითაცა ბეწუისა ოდენითა შეჰშალოთ ესე ჩემგან ღთისა მითუალული: ღ~ნ ყოველი საქმე თქუენი შეშალოს და ნურაი კეთილი ნუ დაგიმტკიცოს და ჩემსა შედეგად მომავალნო ჩემგან შვილნო და შვილისშვილნო ვინც ეს ჩემგან ქმნილი საცილობელად შეჰქნათ ანუ საქმითა ანუ სიტყუითა ღ~ნ მოგკადენ პატიჟი შეუნდობელი, ვინაითგან ვიყავ ოდესმე მეცა ამისი მუქმედი თქ~უნცა ამასვე გზასა წარმოვლით ოცილობელად სირცხოლეულნიმც მოხვალთ წინაშე ქრისტეს ღ~თისა და ღ~თ შემოსილისა მამისა შიუსსა და მერმე ჩემთანა ა~მათ ისმუნსა(?):—და რამაცა გუარმან კაცმან აქციოს ესე ჩემგან ნაქმარი ანუ ჩემისა სახლისა შვილმან ანუ სძალმა. ანუ სიძემან სისხლთამცა ქრისტეს ღთისათა მზღველად წარგუადგინენ დღესა ამას განჰჯისასა წმ~დნო ანგელოზო და კურცთაგან განსლვასა მისსა შინა სატანასმცა ახლავს შემწყნარებელად სული-

---

[4]) ეს ფრასა ვგონებ იმას ჰნიშნავს, რომ გრიგოლს ეს ანდერძი მიუცია მეოთხედ თათრებზე (ე. ი. მონგოლებზე) გალაშქრების უწინ. აქ უნდა იგულისხმებოდეს პირველი ორი შემოსევა მონგოლთა საქართველოში, უცხოელ მწერალთა მოწმობით 1219—1220 და მეორე 1221 წელს, „როდესაც საქართველოს განაგებდაო დედაკაცი“ (Hist. de la G. I, 493, n. 3). რუსუდანიც სწერს რომის პაპს, ჰონორი II-ს 1222 ანუ 1223 წელს, რომ თათრები ორჯერ დაგვესხნენო (Addit. 302—305). მესამე ლაშქრობა უნდა იყოს გარნისის ომი 1223 წ., ხოლო მეოთხე—პირველი გალაშქრება ქართველებისა მონგოლებზე 1217—1219 წლებში, აღწერილი ჩენგიზ-ხანის ისტორიაში Parum de la Qroch-ის მიერ (ქართულად თარგმნილი ხელნაწერი გვ. 437).—შეიძლება აქ იგულისხმებოდეს ორი შემოსევა მონგოლთა 1220 და 1223 წ. და ორიც—ჯალალედდინისა 1225 და 1130 წ. (H. d. G. 497; n. I; 500, n. I. 505—6; Addit. 309—317).—ძნელი საგულისხმებელია აქ ალმუთის ბრძოლა შვიდ-წლოვანი, რადგან ამ დროს (1245—1252 წ.), არსენი ცოცხალი არ იქნებოდა (ქ-ცხ. 371).

სა მისისა საწყალობელისად და ოკეთე ბილწსა ორიგნეს ებრ ღ̃ნ ყ(ო)ველთა კერპთმსახორთა ღ̃თისა მგმობელთაცა [5]) - - - -

## ნაწყვეტი სინოდ. კანტ, გუჯრისა № 67.

- - - სჯულისა. ოდეს მე. ლხინებელო: ამისა შემცვალებელთა ნუცა: მაშინ მისცემ: შენდობასა: ღმერთო მართლ მსაჯულო: — მით რომე: სამართალი შენი მიქმნია: და სხუისა არ ვისდა რაი დამიკლია: და თუ კელისუფალმან ვინმე ოპატრონოდ ამისი ცილობა იკადროს: და იგი კელისოფალი არ გაპატიჟუს (გაპატიჟოს) ჩემისა: სახლის პატრონმან: ესე: ყოველნი: წყევანი: მას დაუმკუიდრენ ღმერთო: რომლისა თავს მდებუბითა: ამას ვწერ: კელითა ჩემითა აქა სრულმყოფელი: — [6])

სხვა მომსხვილო ხელით, მხედრულად:

ქ: ამას: ჩემისა: ძმისა: და ღ̃თის:(?) გ̃გლ (გრიგოლ) ქართლისა: ერისვისა: დაწერილსა: ვითარად: მათისა: სულისა: სალოცველად: ღ̃თისდა: და წმიდისა: შეო: სდაჱ (შიოსდა) შეუწირავს: ყუველი: ჩ̃ნი: კერძი: და ბეგარაი: გავაზელთა: სუფლისაი: მე ივ̃ნე: მეაბჯრეთა: უხოცესსა: [7]) განაღამცა. დამიმტკიცებია: ღ̃თმან: (ღმერთმან) მტკიცე ყუს (ყოს): და არგენ: სულსა: მათსა: —

სხვა მსხვილ ხელით მხედრულად, წარჩინებულის ხელით, სწეულად:

ქ: ესე: ვითა: პატრონსა: და ღ̃თისა:(?) მამასა ჩემსა: უბ̃ბია (უბრძანებია) და დაუწერია: და შეუწირავს ყუველი ჩუენი: მუსავალი: გავაზელთაი: მეცა: მათსა: მიწასა: და ძესა ბეგასა: ქ̃სა (ე)̃ვსა (ქართლისა ერისთავსა) განაღამცა დამიმტკიც(ებია) და მტკიცე ყოს ღ̃თმან*: — [8])

სხვა მომწვრილო ხელით, მხედრულად:

ქ: კ̃სნ: (კირიელეისონ) ესე ვითა: ე̃ევსა (ერისთავთერისთავსა). გრიგოლ ქ̃ს ე̃ვსა(ქართლის ერისთავსა): დაუც სასოებაი ს̃კნოისაცა (საუკუნოისაცა)ცხ(ო)რებისაი:

---

[5]) აქ თავდება ეს სიგელი, რომელსაც ბოლო აკლია. — მაგრამ სინოდ. კანტორის გუჯრებში ჩვენ ვიპოვეთ ტყავის სიგელი, რომელსაც თავი არა აქვს (№ 67), რომელიც, შინაარსის მიხედვით, უნდა იყოს გაგრძელება ამ გუჯრისა და ამისგამო უკანასკნელს აქვე ვბეჭდავთ. საჩნს, რომ რაღაც კიდევ აკლია ამ უკანასკნელს გუჯარსაც, რადგან პირველი სტრიქონები გუჯრისა № 67 არ ეწყობა უკანასკნელს სტრიქონებს სიგელისას № 37.

[6]) ეს არის გრიგოლ სურამელის ნაწერი, როგორც შემდეგის წარწერებსაგანც სჩანს. გრიგოლის მამა სულა და სულას მამა რატი (იხ. „ქრონიკ." I, 266).

[7]) ეს ივანე, ძმა გრიგოლისა, მეაბჯრეთ უხუც. ქ-ცხში არ სჩანს.

[8]) ბეგა ფრიად ცნობილი ისტორიული პირია (ქ-ცხ. I, გვ. 370; 383; 420). ამისი შვილი რატი და ქალი ხუაშაქ (ქ-ცხ. I, 427), რომელიც მითხოვდა გიორგი დადიანს (თუ ბედან) (Rap. VII, 42—43):

წ῀ისა მამათა მამისა შიოისი. და წ῀თავე ღ῀თისათა მიმსგავსებულისა ქკ῀ზ: და მწიგნ῀ბრთხცესყოფილისა (მწიგნობართ-უხუცეს ყოფილისა) და აწ მწირობითა წმიდასა უდაბნოსა მღუიმისსა შინა: მყ῀ფისა (მყოფისა) არსენის და წ῀თა მამათა მღუიმისათა და დაუწერია თუით მის წ῀დისა უდაბნოისგან მოსყიდულისა გავაზელთა სოფლისათუის მათგან აზადებაი და უწყინლობაი: და თურაი ახალი უწესოი დაჭირებაი მოჰმატებოდა მის ყოვლისავე აკდა [და] ყოვლისა შესავლობისაგან: შეუვალ და თავისუფალ ექმნა: და ძმასაცა მათსა მეაბჯრეთ უხუცესსა; იკანეს: თუით მათითა კელითა: დაუმტკიცებია: არგენ: ღ῀მან: ცხოვნებითა: სულიერითა და კორციელითა ორკერძოითავე: და ჩ῀ნ ქ῀ს მ῀რ ქკზი არსენიც. მოწამე და დამამტკიცებელი ვექმნებით: წ῀დისა განგებულებისა მათისასა;. ვინ და რამანც გუარმან კაცმან: რასაცა ჟამსა: რაისაც მიზეზისა შემოღებითა: შეუცვალოს მას წ῀დასა უდაბნოსა მღუიმისსა ამას შინა: აღნაწერისათანი: რაიც რაისაცა წესის მქონებელმან კაცმან: დიდმან გინა თუ: მცირემან: კრულმცა არს და შეჩუენებულ სიტყუითა: სიტყუისა ღ῀ისა: იესო ქტესითა: და წ῀დთა მისთა ათორმეტთა მოციქულთა: ჯუარითა (ჯუარითა): წ῀დათა შუიდთა კრებათა მადლითა: ხუთთა პატრიარქთა ჯ῀რითა (ჯუარითა): წმიდისა და სამოციქულოისა კათოლიკე: ეკლესიისა მადლითა: და რაოდენნი: მას შინა წ῀დნი ქკ῀ზ῀ნი (ქათალიკოზნი) სხდომილ არიან: და დასხდებიან: მათ ყ῀თა: ჯ῀რითა: და მადლითაცმცა კრულია: და რაოდენი მას შინა და რაოდენ გზისცა: წ῀დაი მიჰრონი სრულ ქმნილა და იქმნების მის ყ῀ლისა მადლითაცამცა წყეულ და შეჩუენებულ არს: ცოცხალი და მკუდარი გაუკსნელად: აქა და უმეტეს ს῀კნოსა საუკუნეთასა: ხოლო მტკიცე მყოფელნი ყ῀ლნი: აკურთხნეს ღ῀მან: და წ῀დმან დედაქალაქმან:.

სხვა ხელით, მხედრულად:

ქ. ესე: ვითა: სულკურთხეულსა: გგ῀ლს: ქ. ე῀ვსა (ქართლის ერისთავსა) დაუწერია: და: მღუიმისთს: მათი: ნასყიდი: სოფელი: გაკაზელნი: უსამართლოისა ზედა: დადებოლისა ბევრისაგან: გაუთავისოუფლებიან: კოტმნისა: თანა და წ῀დასა მეუფესა და მოძღორსა ჩუენსა არსენი: ქ῀სა (ქართლისა): კ῀ზსა: კანონითა მათითა დაუმტკიცებია: მეცა: ქ῀ეს: მიერ: ქართისა (ქ῀სა) მ῀კსი: (მთავარებისკოპოზი) გ῀ი (გიორგი), დავამტკიცებ: კანონითა: წ῀ისა: ეკლესიისათა: ვინცა: (მოშლისო... წყეკა)... კრულ არს: გაუკსნელად: ზე ცათა: შინა: და ქუე: ქუეყანასა: ზედა: პეტრე: (პ῀ე) მოციქალთა. თავისა ჯუარითა: და ჰრისხავმცა: ხატი... ქ῀ეს ღ῀სა: რ῀ლი: მდგომარე: არს: ტაძარსა: შინა: დიდებისა: ღ῀ისასასა: სამთავროს. და ჩ῀ენ: გლახაკისამცა: ჯუარითა კროლია: ცოცხალი და მკუდარი: გაუკსნელად. დამამტკიცებელნი: ღ῀ნ აკორთხნეს.

, ხუცურად (გაკრულ ხელით):

ქ. ესე ვითა: ქართლისა: ერისთავსა გ῀გლს დაუწერია თავისა კელითა: და მღვმისათვის: მათი ნასყიდი სოფელი გაკზელნი: უსამართლოჲსა ზ῀ა დადებულისა ბევრისაგან გაუთავისუფლებიან კოტმნისაკე თანა: და წმდასა მეუფესა ქართ-

ლისა ქათალიკოზსა კანონითა მათითა დაუმტკიცებია: მეცა: იოანე (ი~ნე) ალავრდე-ლი მტკიცე ვყოფ: შემცვალებელნი ამის დაწერილისანი: იყავნ კრულ...

მხედრულად:

ქ. ესე ვითა: ე~ევსა: ქართლის ერისთავსა გრიგოლს თავისა კელითა დაუ-წერია (როგორც ზემო)... და ქ~კზსა არსენის და ქ~ს მს~კზსა გ~ის უჯუარობი-თა და კანონითა დაუმტკიცებია, მეცა უნდუი არსენი მანგლელი ჩემითა კე-ლითა ვამტკიცებ (წყევა ეგრეთვე)... და ჩ~ნ უნდოისა ჯუარითა...

ქ. ესე ვითა: ერისთავთ: ერისთავს: ქართლის ერისთავსა: გგ~ლს ჵ ძმა-სა მისსა: ივანეს თავის კელითა დაუწერია: ჵ წ~დის შიოის-და ნასყიდი: ჷდაბ-ნოისა მისისაგან: ძუელსავე წესსა ზ~ა გაჷთავისოფლებია... მოწამენი ვართ: ჩუენ სამნივე ჷდაბნონი: გარესჯისანი: და დავამტკიცებთ: თვისის კელითა... (მსგავსადვე ზემო მოწერილებისა).

სუცურად, ზედვე აწერია (სასკენი ნიშნები დაცულია დედნისა):

ქ. მე გლახაკმან არსენი მწიროზასა შ~ა ჩემსა მღვმეს. ვეჰაჯე ნათელსა სუ-ლისა ჩემისასა გრიგოლ ქ~ს ერისთავსა: რათამცა უბადოთა კაცთაგან შესავა-ლად გასრული ს~ფლი გაკაზელნი ძუძლითავე წესითა გაუთავისუფლნა წ~ასა მამასა შიოს და უდაბნოსა მღვმისსა. ვითა ძუძლი დაწერილი აქუს ფავნელთა-გან მონასყიდოზისაჲ მღვმესა: ერთსა ჯერსა ლაშქარს წამავალსა [9]) მოუაკსენე თხუთმეტი ლიტრაჲ აბრეშუმი კარგი: ოქროსინოჲ ჯუბაჩაჲ ახალი მოვაკსენე: სამოცდათხუთმეტი დუკატი: ერთი პალანკურდნითა შეკაზმული დიდად კარგი ჯორი ოთხას თეთრად მოფასებული ჩემთჳს: ცხენი ერთი სამას ორმოცდა ათ თეთრად ნასყიდი: უნაგირი ოქროჲთა ჵ ზარხოჲთა მოჰედილი ექუსას თეთრად დაფასებული: ალვრნი თათრულნი მარგალიტის ძირისანი: რომელსა ჰქვან სა-დაფი:. ოცი დუკატი მისთა ყმათა მოურავსა-და მიმიცემია: მართ გაკაზელთა საქმისათჳს: რ~ლ სამართლისა ნახევარსა აიღებდეს: და ამას: მამისა მისისა სუ-ლიაჲს დღეთა შიგან დადებულსა: აწ გრ~გლ ქვათაკევს წ~ე ხატსა ყ~დ წ~დის ღ~თის მშობელისასა მჯდომარემან მისითა თავსმდებობითა და წ~ისა მთავარ-მოწამისა გ~ისითა ესე ზემოჲთ დაწერილი დამიწერეს მან და ძმამან მისმან ივანე და შვილმან მისმან ბეგამან: ჵ ამისვე საქმისათ~ს ლაზაროზაჲ დღე მღვმეს ალა-პად გაუჩინეს [10]):. აწ შენ ღ~თო ესე მათი ალთქუმა წ~ე შენსა დამიც: და შენ ყ~დ წ~ო ღთისმშობელო თავსმდებო ამის მათისა ალთქუმისაო: თქ~ნ იცით და მ~თ: თუ მტკიცედ იპყრან ესე ალთქუმაჲ მათ პირველ (პ~ლ) და მერმე მათთა შემდგომად მომავალთა და მათთა ყმათა და კელისუფალთა: ყ~ლნი საქმენი მათნი შენ: კეთილად დაიცვენ და თუ შეცვალოს ვინმე: შენ ხარ ჩემი მოურნე და დედაო ღთისაო შენზედა დამიგდია ანდერძად.

---

[9]) და [10]) აქიდამაც უმეტესად მტკიცდება, რომ ეს გუჯარი (№ 67) არის გა-გრძელება ზემო დაბეჭდილის სიგლისა № 37 (შეადარე შენიშნ. № 4).

## 1233 წ.—იოანე შავთელის კუნკლოსი.— კათალიკოსის არსენის და კარის ეპისკოპოსის საბას მიერ თხზული საგალობლები.—წერილი ბულმასისძის კათალიკოზის არსენისა.—გალობანი სინანულისანი წ͂ისა მეფის დავით აღმაშენებლისანი.—ისტორიული წერილი აბუსერისძის ტბელისა: ა) წ͂ის გიორგის ტაძრის აღშენება ოპიზის ლავრის ახლოს „ბაჩილას მიერ";—ბ) აოხრება საქართველოსი ხუარაზმელთაგან;—გ) ხიხათა ტაძრის აღშენება;—დ) გვაროვნობითი შტო ერისთავთ-ერისთავთა აბუსერისძეთა.

ტყავის ხელნაწერი ნუსხა-ხუცური ეკლ. მუზ. № 85 (სიგრძით $3^1/_2$ ვერშოკი და სიგანით 3 ვერშოკი, სისქე ხელნაწერისა უდრის მისს სიგანეს, დაწერილი 47 ეტრატის რვეულზე, გინა 47×8=376 ფურცელზე, ანუ 752 გვ.) და 13 რვეული ქაღალდზე, დაწერილი სვიმონ კარგარეთელის ხელით XVI საუკ. როგორც ქვემო მოხსენებულ წარწერათაგან სჩანს, ხელნაწერი დაწერილია 1233 წ. აბუსერის ძის ტბელისაგან, რომლის გვაროვნობის შტოს ამ საკითხავის ბოლოს ვბეჭდავთ; თვით ეს ხელნაწერი პირველად დაუწერიათ „ბაჩილას" მიერ აღშენებულის წ͂ის გიორგის საყდრისთვის (ოპიზას ლავრის ახლო).—ხელნაწერი შეიცავს: 1) მიღისპირებს ღვთისმშობლისას 2) ვნების კვირის საგალობელნი, რომელიც თავდება ცხრილით 377—468 ქორონიკონამდის. სხვათა შორის ამ ცხრილის თავს სწერია: „ერთბამად დასაბამითგან ქრისტესადმდე ხუთ-ათას-ხუთასი (წელი). ქრისტესითგან ვიდრე კოსტანტინეს მეფობამდე ტიჲ:... დასაბამითგან ვიდრე დღეინდელად დღედმდე გარდაკდეს წელნი :ხღოიკ: (6785—5604=1181)... ოდეს ესე დაიწერა ქ͂კ͂ნი მეათცამეტედ მოქცეულ იყო: ტ ოთხმოც-და-მეათორმეტე", ე. ი. ქ͂ნი 392 ანუ 1172 წელი. შესანიშნავია, რომ ესვე რიცხვი ბევრს ცხრილებს უზის თავსა, და ეს გარემოება იმისი მომასწავებელია, რომ სწორედ ამ 1172 წელს ყოფილა პირველად დაწერილი იოანე შავთელის ცხრილი, შემდეგს დროებში დიდათ გავრცელებული ქართულ მწერლობაში, და მაშასადამე შავთელის მწერლობა ეკუთნის არა მხოლოდ თამარის მეფობასა, არამედ გიორგისაცა;—3) საგალობელნი ოსითა და იამბიკონი აღდგომისა რვა-ხმათა ზედა;—4) სტიქარონნი საწელიწადონი საუფლოთა დღესასწაულთანი (სეკდემბრიდამ). აქა არშიაზე ტექსტის ხელით, აქა-იქ სწერია: ანდრია, ლეონ, სერგი, გერმანოს, ეფრემ, ე ფ რ ე მ მ თ ა რ გ მ ნ ე ლ ი;—5) თვესა სეკდემბერსა რვასა საგალობელნი ღვთისმშობლისანი და წარწერა ტექსტის ხელით, ასო-მთავრულად: „ქ͂ე შ͂ე ბასილი";—6) გალობანი თორმეტთა საუფლო დღესასწაულთანი;—7) «გალობანი სინანულისანი, თქმულნი დავით მეფისანი აღმაშენებელისანი».

ეს ძვირფასი ნაშთი ჩუენის თვით-მყოფის მწერლობისა, ცნობილი „საქართველოს მახარებელში" და საბინინის „საქ. სამოთხეში", პირველად გვხვდება ესრეთ ძველს ხელნაწერში და ამისთვის შეუმოკლებლად ვბეჭდავთ ისე, როგორც 1233 წლის მიღისპირში იპოვება. თუმც ეს საგალობლები ჩვენ გელათის ხელნაწერებშიც აღმოვაჩი-

ნთ (ის. „ქრონიკები“ გვ.), მაგრამ პირი არ გარდმოგვილია. აი თვთ ტექსტი დავით აღმაშენებლის გალობათა: (სუცურად დაბეჭდილი დედანში წიოურად დაწერილია).

«[illegible]: რომლისაცა წინაშე ქედ-დადრეკილ-არს ყოველი, მუჳლი ყოველი მოდრკების და ენა ყოველი შენსა კმობს აღსარებასა; მეცა, სიტყუაო, აღმსარებელსა მომხედენ.

ხატსა თჳსსა მამსგავსე და საკრველად გრძნობადისა და გონიერისა მყოფობისად დამაწესე, ბ̃ნე ̃რ (შენებრ) არსთა სიტყუჳბისა ჩემ-შორისცა შეკრე ბითა: ხოლო მე უმადლო ვექმენ.

ბუნებითნი რაჲ ძალნი არაჲ სჯულთაებრ ვიკუმიენ, მსგავსებისაგან დავაკლდი და დავჰბადე ბოროტი, ხოლო ხილულთა მიერსა გემოვნებასა ვრცელად განუხუჳნ გრძნობანი.

ქალწულო, ბრალეულთა თავსმდებო, რომელმან სიტყუაჲ განაზრქვე კორცთა დაკრვითა მიწისაჲთა, სიზრქე უსასოებისაჲ განმძარცუჳ, რათა მონანული შეგივრდე შენ. [illegible]

ბუნებითსა რაჲ პორფირსა თვთ მფლობელობასა-თანა, მეფობისაცა შარავანდედნი მარწმუნენ, ხოლო მე ვნებათა ბილწთა მონებად მივჰყიდე თავი, რამეთუ რომლისაგანცა ვინ ძლეულ არს, მისდაცა დამონებულ-არიან. — კაენის მკვლელობრი ცნობაჲ, სეითის ძეთა ღირწებაჲ, გმირთა სილოდით მავალობაჲ, ხუთ-ქალაქელთა შეგინებისა მწვრე უფროჲსად ვამრავალწილე, ვითარცა რაჲ (და)ღმართ-მსრბოლმან მდინარემან უკეთურებისამან.

მეგჳპტური გულ-მძიმობაჲ, ქანანელთ ჩუჩულებანი (ჩუჳულებანი?) მსხუჳრპლვაჲ ნაშობთაჲ მზენაჲ ჹ სახრვაჲ, კოწოლი თმათაჲ ჹ სხუანი, რომელთა შენ ჰბრძანე არა-მსგავსებაჲ, უწარმდებესად მოვიგე თვთ მათ პირმშოთა სახეთასაცა.

ამისთჳს იყო ქალწული და კორც ქმნაჲ სიტყჳსაჲ, რათა ღედობრივთა უხათა-მიერ (sic) ცხონდენ ცოდვილნი, რომელთა პირველი საშუალი და დასასრული მე ვარ, ვითარცა უფსკრული შესაკრებელი ბილწებისა ღუართაჲ. — [illegible]

ისრაჳლისა მეფეთა ვჰბაძევდ, გარნა უსჯულოთა; და რავდენ მეძლო, ვსცთებოდი მაღალთა ზედა კუმ̃ვისა (კუმევისა) და წარმართთა აღრევისა-მიერ და ძალთა ცისათა თაყუანის-ცემისა.

ზენაჲსა მოძრეობისა ასურისტანელი ზმნობაჲ და ცთომილთა ვარსკულავთა და უცთომელთა კრებაჲ, განყრაჲ სუჳ და ბედი და შობის დღე, ვითარცა სალმრთოოთა უსმენელმან ვიჩქურენ.

ელლინთა მიერი ვერ-ცნობა სიბრძნითა ღუთისათაჲ, ღ̃თი, და შემოქმედისაგან შექმნულთა მიმართ ცვალებაჲ თაყუანის-ცემისა სრულ-ვყავ, რაჟამს თითოეულისა ვნებისა კერპსა ვმსახურე.

ამისთჳს ღმერთ-მამაკაცებრ მოქმედ იქმნა ზესთა ღმერთთაჲ, რათა კაცებრ უწყოდნის ვნებანი ჩუჳნნი და ღუთაებრ (ღ̃ბრ) იკსნიდეს ბრალთაგან, რო-

მელთა ღ῀თის-მშობლად ქადაგონ წმიდა ქალწული დედაჲ.— [illegible]: —

სჯულნი დავთრგუნენ წიგნისაჲ და ახალი ბუნებითი, და კუალად სხუაჲ სჯულისა შენისა მოწამე, სჯული ბუნებისა კორცთაჲსა, და კორცთა სჯულსა დავემონე.

თჳთოეულსა მკეცთაგან შეზავებულსა მკეცსა ვემსგავსე მრავალ-გუარსა და მრავალ-ხატსა და სხუა-ჟამ სხუჱბრ ხილულსა და მკსენარსა ბუნებისაებრ თითოეულისა.

არაჲ შევძრწუნდი მანგლისაგან მფრინვალისა, რომელი შურსა სიკუდილისასა მიჰკდის, რომელნი ჩემებრ მიმდემად ცრუდ ფიცვიდენ განსაკრთომელსა სახელსა შენსა (სასხელსაბსა?).

ამისთჳს სისხლთა ქალწულებრივთა კორცნი ღ῀თისანი და ახალი შეზავებაჲ, ღმერთი და კაცი, რათა იოხდეს დედაჲ ჩემებრ განწირვით უსასოქმნილთა. [illegible]: —

სოლომონისაჲსა წურბლისა მსგავსად ვერ მაძღარი, სხუათა სოფლის კიდეთა ვეძიებდ დასაპყრობელად და ღ῀თისა საზღვართა ვაბრალებდ, ვითარცა მცირეთა და უნდოთა ჩემისამდე უდებებისა და გულის-თქუმისა.

ბოროტად გადავკედ საზღვართა და შევრთე სახლი სახლსა და აგარაკი აგარაკსა და უუძლურესთა მივხუჱჰე ნაწილი მათი და ვილუწიდ უმეზობლობასა, ვითარმცა მარტოჲ ვმკვდრობდ ქუჱყანასა ზედა.

მბრძოლ-ვექმენ ყოველთა წესთა სჯულისათა და ქორწილთა-მიერ ხენეშთა ვმძლავრე საწოლსა ჩემსა, და სახეთა მიერ ბოროტთა მიცემითა ვაცოდვე ერი ჩემი, ვითარცა იგი მეფეთა მისთა ისრაჱლი *).

ამისთჳს ქალწული დედაჲ და შობაჲ ახალი სიტყჳსაჲ, რათა ახალი ხატყოფაჲ მეორედ მისცეს ცოდვით განმრყუნელთა (გ῀ნმრყუნლნ῀ლთა) მისთა, დედობრივთა რაჲ ოხათა ბრძმედითა დაადნოს ყოველი ნივთი შეცოდებისაჲ. [illegible]:

ვეცხლი ვითარცა მიწაჲ და ოქროჲ ვითარ თიკაჲ უბნისაჲ ვიუნჯენ ჳ თაყუანისვეც ანგაჰრებისა მამონას, ვითარ იგი ძუჱლთა მათ ბაალს და ასტარტეს და ქამოსს საძაგელსა.

სიტყუაჲ ღ῀თისაჲ და ბჭეთა ზედა მამხილებელი მოვიძულენ; ხოლო

---

*) ისტორიამ არ იცის, რომ მეფეს თავისი ცოლი გაეგდო და „მძლავრობით“ შეეგინებინოს „საწოლი“, თუმცა მეფეს მიუძღვის რომელიმე მძიმე ცოდვა „სიყრმისა და უმეცრებისა“ (ის. ზემო, გვ.). აქ უნდა იგულისხმებოდეს ისტორიაში არ-ცნობილი მეფის ცოდვა „სიყრმისა და უმეცრებისა, რომელსაც თჳთ მეფე მოიხსენიებს და მისი მემატიანეცა (ქ-ცხ. I, 256 და ჩემი Завѣщаніе ц. Давида В., стр. 24—25).— სუცურად ჩათული სიტყვები დასდებულებია.

მელიქნეთა ძმაცული სივერაგე ვითნე და შემასმენელთანი დავიტკბენ ზრახვანი და ცრუნი განვსცენ მსჯავრნი.

ცრემლნი ქურივთანი და ობოლთა ბრგვნეილი ტირილი არაჲ შევიწყალე, არა განუხუცნ ნაწლევნი მოქენეთა, უფროჲსღა შენ, ქრისტე, რომელი იზრდები მცირედითა ზრდითა მათითა.

ამისთჳს შობაჲ ღთისაჲ ადამეანისაგან დედაკაცისა, რათა მიწით-შობილსა კაცთა ცთომასა, ვითარცა ღ̃თისა დედაჲ, დაჰკსნიდეს ქალწული და იოხდეს ცოდვილთა Ⴙⴉ̃ⴑ: Ⴘⴂⴈⴈⴊⴐⴈⴈⴊⴂⴐⴂ:—

ესენი ვცოდენ: სახარებისა სჯულთა და მცნებათა შენთა შინა მცემელთა რაჲ ყურიმლისა მიპყრობასა და გლახაკთა-თჳს განშიშულებასა და რაჲთურთით არა-ფიცსა შენ სჯულის მდებელი ჩემი ჰბრძანებდი და გულის-თქუმით მიმხდელობასა აღსრულებულად მრუშებად დასდებდი.

დალაცათუ ესრეთ განვხრწნენ ყოველნი გრძნობანი და ყოვლად ხრწნილება ვიქმენ, გარნა არაჲვე აღვიხუცნ კელნი, არცა დავდევ სასოებაჲ ჩემი ღ̃თისა მიმართ უცხოჲსა, არცა უცხო თესლი რაჲმე სარწმუნოებაჲ საწურთელ-ვყავ სულისა გარეშე მისსა, რომელი მასწავეს ღ̃თის-მეტყუცლთა შენთა.

და აწ მომდრეკელი მუკლთა გულისათა ვკმობ, ვითარცა სხუაჲ მანასე: მილხინე, ჵოი მეუფეო, მილხინე და ნუ წარმწყმედ ცოდვასა შინა და ნუ მოიკსენებ ძვრთა ჩემთა და ნუ დამსჯი მე ქუცსკნელთა თანა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი მონანულთა, ამაღლებული ზესკნელს ცათა ძალთაგან.

საკუთრად ღ̃თის-მშობლად გქადაგებთ, უხრწნელო ქალწულო ⴃ გვრწამს, ვითარმედ პატივი ხატისა შენისა შენდამო წიაღ-მოვალს ღ̃თის მეტყუცლთაებრ და ცოდვილთა მოქცევასა ანიშებ მის-მიერ, ვითარცა ცხად-ჰყოფს თეატროჲ იგი მრჩობლთა სოფელთაჲ (ს̃ფლთაჲ), სიკეთე შენი, ღირსო მარიამ. Ⴢ̃Ⴇⴗ: Ⴛⴊⴈⴊⴈⴆⴇⴂⴐⴂ:—

ჟამი რაჲ წულილთა [და ხმელთა] *) ამოფშჳნვათაჲ წარმოდგეს, ზარი მეფობისაჲ წარკდეს და დიდებაჲ დაშრტეს, შენობანი უქმ იქმნენ, ყუავილოვნებაჲ დაჰჭნეს, სხუამან მიიღოს სკიპტრაჲ, სხუასა შეუდგენ სპანი, მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო.

განრაჲღოს წიგნი დღესაშინა სასჯელისასა და მე ქედ-დადრეკილი წარმოგიდგე განკითხვად, მსაჯული მართლ-სჯიდეს, მსახურთა რისხვაჲ ქროდის, მართალნი ნეტარებდენ, ცოდვილთა ჰგუცმდეს ცეცხლი,— მაშინ შემიწყალე, იცსო ჩემო.

ვინაჲთგან აღსარებით გრძნობად და შეკრებად იწყო ძუალი ძუალსათანა და ნაწევარი ნაწევარსა და განკმელთა მოჰბერა სული კუალად-გებისაჲ, მრწამს, ვითარმედ აღვსებაჲ აღასრულოს ჩემ შორის ყოველივე სინანულით აღდგომისაჲ.

---

*) აქ ერთის სიტყვის ადგილი ამოფხეკილია: „და ხმელთა“?

მარტიო სრულო სამ-მზეო, ერთ-ცისკროვნებაო, განმინათლე მხედველობითი სულისაჲ; რათა გიხილო ნათელი ნათლითა უფლისაჲთა, სულითა ღუთისაჲთა ძე გამოგიბრწყინვო მაშინ დაუსრულებელთა საუკუნეთა.

არაჲ უხილავს მზესა ქალწული დედაჲ თვნიერ შენსა, არცა ჩემოდნად ბრალეულსა ნათელი მისი, გარნა მე შენითა ოხითა, დედოფალო, ვესავ ხილვად ნათელსა ძისა შენისასა და ნათელსა ზეშთა საუკუნეთასა" *).—

8) ასკული იამბიკონი გრიგოლი ღ̃თისმეტყველისანი.—9) იამბიკონი წმიდათა და მოწამეთანი სეკდემბრისა, ოკდომბრის, ნოემბრის და დეკემბრისა. ეს იამბიკო, როგორც სჩანს, შეთხზულია თჳთ არსენ კათალიკოზის მიერ, ანუ საბა სუნგულოზის, კარის ეპისკოპოსისაგან; საგალობლებს ნიშნებიც უსხედს ხმის საქცევი წითურად და ზოგან შავ-მელნითაც.—10) იამბიკონი და ოხითნი მარხვათა და ზატიკთანი.—11) გალობანი წ̃ისა იოვანე ნათლისმცემლისანი დ̃ წ̃ისა იოვანე ოქროპირისანი, ერთბამად შემოკრებილნი ერთ-მოსეხსნაო[ბისა]თჳს... 12) დღის სამიებელთათჳს: ეს იოვანე შავთელის დაწერილია და განგრძელებაა მისის კინკლოსისა (იხ. ქვემო № 13).—13) იამბიკონი თებერვლისა, მარტისა, აპრილისა და მაისისა და იქვე ქვემო არშიაზე წითური წარწერა ტექსტის ხელით: „ესე იამბიკონნი ხუთთა თუჱთა მეტნი არ იყვნეს ენასა ზედა [ქა]რთულსა და ოთხთა-თუჱთანი არსენი ბულმაისის ძემან [გამოთქუა] ქართლისა კათალიკოზმან ჩემითა (ე. ი. კარდანის ანუ ტბელ აბუსერისძის) შეხუეწითა". ეს საგალობლები ენის მხრით და შინაარსითაც დიდად საყურადღებო ნაშთია ჩვენის ძველის მწერლობისა;—14) მენელსაცხებელთა კჳრიაკის საგალობლნი და ხუთშაბათსა შუაზატიკისა ხუწდრნი და სხ. აქ არშიაზე ტექსტის ხელით წარწერილია: „განგებითა ახალ-თქმულითა იამბიკოთათა"... აქიდამ სჩანს, რომ ეს საგალობლებიც „ახალ-თქმულნი" ანუ ახლად შეთხზულნი არიან ქართველთ მამათაგან; —16), საგალობლები დიდის შაფათისა, აღდგომის კჳრიაკისა დ̃ შემდეგ აღდგომისა ყველა კვირიაკების საგალობლები ყოველთა წმიდათა კჳრიაკემდი; —16) ხატისა უხილავისა ამავე გალობითა თქუმული არსენი ბულმაისის ძისაგან, ქართლისა კათალიკოზისა" (აქიდამ ვგონებ, საგულისხმებელია, რომ ზემო აღნიშნული საგალობლებიც მისგანვე არის გამოთქმული). ამ საგალობლებში არსენი სხვათა შორის მოიხსენიებს: „იხარებდ დღეს, იხარებდ ქართველთა სამეუფოო, ერო მორწმუნეთაო, რამეთუ არაჲ სადა უმრწემეს გყო შენ ქრისტემან, არამედ მოგცა ხატი თჳსი დიდებული, რომელი თჳთ მან დაჰბეჭდა პირითა თჳსითა..., რომელი ანტონის კელთაგან მსახურებული სიმდიდრეთ წარუპარველად გიპყრიეს საუნჯედ უხილავად" (იგულისხმება „მარტყოფის ხატი, კეცზე გამოსახული და მოსვენებული საქართველოში ანტონ ასურელ-მამისაგან: ამაზე იხ. წ̃ის ანტონის ცხოვრება, „სამოთხე" საბინინისა გვ. 300 და ეკლ. მუზ. ხელნაწ. №

*) ეს სინანულის საგალობლები წ̃ისა დავით აღმაშენებლისა მეფისა თეიმურაზ II-ს საკუთარის ხელით გადაწერილი (ავტოგრაფი) დაცულია წერა-კითხ. წიგნთსაცავში.

170, გვ.). ...„ავგაროსს ტილოსა სადა დაუბეჭდა უცვალებელად იგივე ხატი, რომელმან კეცი დაცვფრა და კეცმან კუალად მსგავსი დაჰბეჭდა, რომელი ღირსისა ანტონისა მიერ მოღ(უა)წებითა ზენაჲთა ქართლად მოგუჱნიჭა ჩუჱნ“... „ევლავიოს ნეტარი (ე. ი. კათალიკოზი ქართლისა) ხატსა რა საუფლოსა დამმარხველ იქმნა, საშინელისა მისგან სხუაჲ გარდამობეჭდულ იქმნა კეცსა ზედა, რომელი იგი ღირსისა ანტონისაგან წამის-ყოფითა ღ~თისაჲთა მოგუჱნიჭა საძლეველად მტერთა... ერნო ქართლისანო გიხაროდენ და აღიპყრენით ჴელნი..., რამეთუ ესე არს სამეუფოჲსა ამის სიმტკიცე, ძალი და დიდება და კმობდით: მოანიჭე მეფესა ჩუჱნსა ძლევაჲ... ხატო საშინელო, მრავალ არიან ნიშნი და მოწყალებანი შენნი ჩუჱნზედა, რომელთა არა-დააცადებ დღითი-დღე ყოფად;—

17) თ~ა აგვსტოსა :ივ: თაყუანისცემაჲ ცხოველს-მყოფელისა ჵ საუფლოჲსა ხატისა ჴელით უქმნელისაჲ, ოდეს მიყვანებულ იქმნა ედესაჲთ კოსტანტინეპოვლედ, ხოლო მეორედ ვინაითგან მოემადლა ნათესავსაცა ჩუჱნსა... ანტონი მარტმყოფელისა მიერ და დღესა ფერისცვალებისასა ვემთხუჱვით კეცსა ზედა გარდამოტუფრულსა ტილოჲსა მიერ; ამისთჳს ესე ო~ო ღაღად ვყავ ითქუა არსენის მიერ კათალიკოზისა, ესე რომელი ამას ზემოჲთ წერილარს... და მეორენი თჳთ ძილისპირნი გალობანი, რომელნი ამის სიტყჳსა შემდგომად წერილ არიან... ხოლო მესამის გუჱრდისანი ითქუნეს საბაჲს მიერ სჳნგელოზისა, კაცისა ღ~თშემოსილისა, კარისა ებისკოპოსისა“... (არსენის რომ სხვა საგალობლებიც უწერია, ამაზე იხ. „ქრონიკები“ I, გვ. 79—81).

18) ძილის-პირნი... ჴელითუქმნელის ხატისანი, ესეცა არსენისგანვე თქმულნი კათალიკოსისა (17 გვერდი).

19) „ამას ზემოჲთნი მეოთხისა გუჱრდნი გალობანი ვარდანისგან შეხუჱწითა თქუმულნი ამით მეორითა გალობითა განაშუჱნნა, ... ამისთჳს ძმამა ჩუჱნმან აბუსერი არსენის მიმართ გალობათა თუქუმისა იძულებაჲ მოიგონა სა~ღთოჲსა პირისათჳს, რომლისა მოგონებასა ამით ებისტოლითა აბუსერის მომართითა ესევე არსენი აქებს, რომელი მოწერა გელათით ამათვე გალობათა-თანა“. (ეს წითურად),

ამას ზედვე მოსდევს შემდეგი, ჩვენის ძველის მწერლობის მკვლევართათჳს ძვირფასი, წერილი არსენ კათალიკოზისა:

„ჵონაჲ მონათა ღ~თისათაჲ მდაბალი არსენი. ამარტოლი:—*).

დიდ-არს გონიერებაჲ ნაშობითურთ თჳსით სიბრძნით რომელი მარადის ღ~თისთა განიხილავს მისთჳსთა მოქმედი: ვითარცა დასაბამად შიშსა მისსა მაწუჱველი: რომელი ესე განმწმედელთა გონებისა და სულისათა ზენაჲთ მო-

---

*) როგორც ქვემო-სიტყვები აცხადებს, ეს წერილი მიუწერია არსენი კათალიკოზს (1218—1233 წლებში) აბუსერისთვის, ამ ხელნაწერის გადამწერის აბუსერისძის ტბელის და კარდანის ძმისა.

ეცემის. სადაჲთ იგი მაუკუდავებელნი. წყარონი დიან ვეჰნახთა მისგან წდეულთა და მე უკეთუმცა წუჳთიცა ერთი მიმეღო მისგანი არამცა ესრეთ აღმელაგმა ენაჲ ქებად შენთჳს რომელმან განინათლე საცნაურითა ხედვითა გონებაჲ მარადის ზე მჰუირობი ესე ვითართა ქების მეტყუჳლებათათჳს მბრძნობი და მონები ჭი ღ̃თის მოყუარეო მთავარო. დიდ გუარიანო და სახელმაღალო აბუსერი:.—

Ⴉუალად დიდ არს ძალი სიყუარულისა. რომელი მორჩილ ჰყოფს გონებასა, შეკადრებად შეუკადრებელთაცა. ვითარ ესე იქმნა აწ ჩემზედაცა. მეცნიერისა. ვითარმედ ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყუჳლი. გამომაჩინებელი აღმწერელისაჲ საუკუნოდ. რომლისამე საქებელ ყოფად. ხოლო სხჳსა განქიქებად უმეცრებ(ი)სა, ვითარ ვხედავ აწ ჩემსა:—გარნა ვიძლიე და ესე ოდენ,' ამათ წესთაგან; ვიდრემდის დამავიწყდაცა წინასწარმეტყუჳლისა თქუმულთაჲ ღ̃თისა მიერ: ჰრიდეთ სიტყუათა შჯულისა ჩემისათა. რომელთა-და ეგე არა მიბრძანებიეს მეტყუჳლებაჲ:—და აწლა ოქროჲსა იგი პირი კმობს იოვანე: რომელთა არა სულისა მიერ წმიდისა მიეღოს. და რიტორობდენ; მსგავს არიან ბრმისა კედელთა მფეშუჳბელისა:—გარნა თქუჳნ რაჲ ჰყავთ და ვითარ და რად ღირღლოვანსა შინა ურწყულსა კევსა უდაბნოჲს(ა)სა ჰგონეთ მდინარე და მდიდროობასა ნილოჲსა ნანდუა (sic) (ნანდულ?) ოქრო ნეკტართასა და არა აღივსენით ჯურლმულნიცა რად თავისა დამტეობელთა თქუმულისაებრ ფერკთანი მოიხადენით. ანუ ვინ სადა მჯდომარემან აღსავსესა ტრაპეზსა ურქუა გიხაროდენი (გს̃ნი): ხოლო გლახაკისა უბეთაგან სასოებდა განძღომასა ანუ სამეფონი საწდევნი. ტაკუკნი და ფიალნი აღსავსენი და ვინმე უტევნაა უდესცა: და გული უთქუმიდა მახრუტსა პერეღრინთასა *) შთაწრედად. შემნდობელ თქუნ[ა] (თ̃ქნ) და მაღალი რომელთა აიძულენით თავნი დატ[ევება]დ ვითარ ვინ თქუას წყალთა პონტოჲსათა. და მისწრაფებად ფრეათა უქმთა არაბიაჲსათა გარნა მოგმადლენ გულსმოდგინებამან სარწმუნოებაჲ და სარწმუნოებამან საქმე: რათა ამათ შინა სრულნი იშუჳბდეთ სასოებათა ნაყოფითა ჭეშმარიტება უფროჲს არს: თხზულთა სიტყ(უა)თა წ̃ე (წინაშე) ბჰისა კეთილისა. და სიმართლე წინაშე მეფისა დიდისა ესე იყავნ ხუავ თქუჳნდა ბ̃ თქუჳნთა ნამუშაკევთა ნაყოფ შეწირულ მომცემელისა :რამეთუ არა რაჲ არს კეთილთაგანი. რომელიმცა არა მისი იყო მეცა ორღანოსა მითხოეთ არა გაოზანებაჲ უკადრებელთათჳს და საღთოთა მკადრესა ხოლო ნაცვალი თჳთ მან მოგცეს მისდა მხედველთა უფროჲსლა მის·მიერ ხედულთა აქათა შინა კეთილ ყოფად ხოლო უსრულესთა ღირს მყვენ მიახლებად. და განცდად სასოებასა წმიდათასა ამინ:—

---

*) ამ წერილში ნახმარია სიტყვები: ღ ი რ ღ ლ ო ვ ა ნ ი, ე. ი. „ღელღე-ღულღე" (საბას ლექსიკონი); მ ა ხ რ უ ტ ი (საბას ლექსიკონით მახრუსი); ე. ი. ოქროს სასუმისი ანუ ჭიქა:—პ ე რ ე ღ რი ნ ი (საბას ლექსიკონით პერიერგია (ე. ი. ნამეტნავი მეძიებელი;—ფ რ ე ა, ე. ი. წყარო (საბა).

შემატებაჲ გინა მოკლებაჲ ნუ იყოს ნუცა სიტყჳსაჲ და ნუცა რაჲსაჲ: უნდოთა მაგათ სიტყუათა ზედა საქცევთა ზედა თჳთ უფალ ხარ ვითა რაჲ სადა გინდეს დაწერად. და მწერალი მართლი და კარგი მკითხველი. ნუ დამწყევს. ეგე პირველი ნუსხაჲ არს: და სწრაფით ნაწერი:—

20) ამას ზედვე მოსდევს წითური: „გალობანი ქრისტეს განგებულებისა დ῀ განკაცებისანი, თქუმულნი ნეტარისა მამისა საბა სუნგელოსისა, კარისა ებისკოპოსისანი შეხუჱწითა ძმისა ჩემისა (ჩ῀ისა) ვარდანისითა, რომლისა თავნი წითელთა ასო-მთავართანი მსიტყუველობენ:—". მართლაც წითური კიდურ წერილობა შემდეგთა საგალობელთა იტყვის: „ქრისტეს ღმრთის (sic) ხატო, მეოხ ექმენ ვარდანს".

21) თ῀ა აპრილსა :კგ: გინა ნოემბერსა სამსა, გინა ათსა: საგალობელნი წ῀ის გიორგი-მთავარ-მოწამისანი". და ზედვე მისდევს საგალობელნი წ῀ისა დიმიტრისნი (26 ოკდომბერს) და თეოდორე სტრატილატისა (17 თებერვალს).

22) „იამბიკონი, თქუმულნი წ῀ისა და ნეტარისა მამისა ჩუჱნისა ი῀ე (იოვანე) შავთელისაგან. ამისთჳს დავსწერე, რომელ ზემოჲსა საუწყებელსა შინა მეკსენა; ამას კჳნკლოსსა თანა ქორონიკონსაცა დაუწერენ დიდსა წინამდებარეთა წელთასა უკეთუ [თავა]დ ვინმე დასწერდეს, ვინაჲთგან ერთი-მეორისა მოწამე არს, ამას ზემოსა ქორონიკონსა მივანდევ და თანა აღარ დაუწერე. და ესე რიცხუნი შავთელისა იამბიკონთა ქუჱმოჲთ მოსაკიდებელიყო(?) და [პ῀ლ] ხოლეცა იკითხევდით და მერმე ამას. მწე[რალმან] მუნ სხუაჲ რაჲმე მომიკიდა და ესე აღარ დაიწერებოდა".

ამას ზედ მისდევს ცხრილი „ხუთასეულის" ქრონიკონისა (532 წლისა) ისტორიულ წარწერებით არშიებზე (ამ წარწერებს ქრონოლოგიურს რიგზე დაწყობილს ჩვენ შევიტანთ „ქრონიკებში").

ცხრილს ზედვე მისდევს ვრცელი (19 თაბახზე) განმარტება ცხრილისა, დიდად საყურადღებო და გამოსაყენებელი ჩვენის წელთ-ანგარიშების შესასწავლებად. ეს ნაწილი ბროსსეს გამოუცია; მაგრამ ტექსტი ამ განმარტებისა სწორედ ვერ გადმოუბეჭდია, ამისგამო ამისი ცალკე-წიგნად გამოცემა ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია და განზრახული გვაქვს.

ამ განმარტებაში სხვათა-შორის სწერია: „თორმეტჯერ უწინარეს ამისა ქცეულა (ქორონიკონი) და აწ ამას მეცამეტესა შინა ვართ, და ამისი ოთხას ორმეოც-და-ათცამეტი წელიწადი გარდაკდა წელს. ხოლო დასაბამითგან ყოველნივე გარდაკდეს ექუს-ათას-რვაას-ოც-და-ჩჳდმეტნი წელნი . . . და წელს ბერძენნი ექუს-ათას-შჳდას-ორმოც-და-ერთთა წელთა თუალვენ სოფლის დასაბამითგან და ჩუჱნ ქართველნი ოთხმეოც-და-ათექუსმეტითა წელიწდითა წინაუძღჳთ სათუალავსა ბერძენთასა".

ამ წარწერისაგან ცხადია, რომ თვით ეს ხელნაწერი „ძლისპირი" გადაწერილია შავთელისგან 1172 წელს დაწერილის ცხრილიდამ (იხ. №№: 1 და 12) ქ῀კს 453 მეცამეტის მოქცევისას, ე. ი, (780+453)=1233 წელს, დასაბამითგან ქარ-

თულ ანგარიშით 6837 (ე. ი. 6837—5604)=1233 წ., ხოლო ბერძულით 6741, ე. ი. (6741—5508)=1233.

23) გალობანი მწვალებელთა ყოველთა თჳთოეულისა წვალებისა შეჩუჱნებისანი (როგორც სჩანს, ქართველ მამათაგან თქმულნი).

24) «ჯერ-არს კსენებაჲ შუჱნიერისა და დიდისა ახოვნისაჲ». ეს ის ისტორიული წერილია, რომელსაც ქვემო ვბეჭდავთ შეუმოკლებლად.

25) ძილისპირნი გალობათანი რვათავე კმათა ზედა იმ წმიდანებისა, რომელთა დღეობას უქმობს ეკლესია.—ამ საკითხავის ბოლოს შემდეგს დროებში ჩაკერებულს ქაღალდზე აწერია მხედრულად: „ღ῀ო შ῀ე ც῀ი თამაზა კარგარეთელი. ღ῀თო აცოცხლე და ადღეგრძელე მალაქია კ῀ზი აბაშიძე († 1542).

26) ჩაკერებულს ქაღალდზე წარჩინებულის ნუსხა ხუცურით აღწერილია: ა) „დასდებელნი აღდგომისანი თჳთნი კმა :ა:". ბოლოს ტექსტის ხელით: ქ῀ე შ῀ე ამისი მწერალი გ῀ი" (გიორგი).

ბ) დასდებელნი აღდგომისანი კმა :გ:—„დასდებელნი აღდგომისანი კმა :ბ: ძ :გ:".

გ) „ტიტლოსი :ზ: დაყენებულთა და უჯეროთა და განგდებულთა ქორწინებათაჲ-მზახლობათათჳს".

დ) განგება მუკლ-დრეკისა წ῀ისა ბასილი-კესარიელ მკ῀ზისა. ბოლოს წარწერა ხუცური სხვა-ხელით: „ღ῀ო შ῀ე სჳმონ კარგარეთელი... ადიდე ორთავე სუფევათა შინა... შენ მიერ დიდ-ქმნილი წ῀ა მეუფე ჩუჱნი ამბა იშხნელი აბერკი, რ῀ნ დიდად ილუაწა მოგებად და ხარკებად წ῀ისა ამის... წიგნისა".—ცნობილი კალიგრაფები კარგარეთელნი სვიმონ, გიორგი და ზებედე სცხოვრობდენ მე-XVI საუკ., ქუთათლის სვიმონის დროს (დაჯდა 1529 წ. და ცოცხალი იყო 1556 წ.) და კ῀ზის ევთიმის დროს (1578—1605 წ.). კარგარეთელნი მესხეთიდამ ჩამოსულან: სვიმონის მამა სოფრონ და სოფრონის მამა—კარსიმე (ჩემი ეპის წ. III, 103—4, ეკლ. მუზ. № 187).

27) ტყავზე ტექსტის ხელით: გალობანი წ῀ისა ღ῀თის მშობლისანი სარწმუნოდბისათჳს მართლისა.

## ჯერ-არს კსენებაჲ შუჱნიერისა და დიდისა ახოვნისაჲ:—

(ისტორიული წერილი აბუსერისძის ტბელისა)

რამეთუ ესე არიან სასწაულნი წ῀ისა მთავარმოწამისა გიორგისნი და ანდერძი მისისა სასოებით შევედრებულისა და ამათ სიტყუათა შესაკადრებლად ღირსებისაებრ მთქუმელისაჲ:.

ვინაჲთგან თანაარსმან სიტყუამან სიბრძნემან და ძალმან და თანადაუსაბამომან დაუსაბამოჲსა მამისამან არავე აკმაა (sic) შობაჲ ქალწულისაგან უბიწოჲსა და გუჱმსგავსა თჳნიერ ცოდვისა განგებულებითა და ჯერჩინებათა სუ-

ლისა წმიდისაჲთა რომელი გამოვალს დაუსაბამოჲ თანაარსებით დაუსაბამოჲსა
მამისაგან, და გამოიცადებოდა ეშმაკისაგან სიტყუაჲ ღ̃თისაჲ კაც ქმნილი ნეფ-
სით და ივნო ჩუჱნთვს სიკუდილითა ჯუარისაჲთა რომლითა განიკურნა ცთო-
მილებაჲ ხისა მიერი: და მოგუჱნიჭა უკუდავებაჲ ცხოველსმყოფელითა აღდგო-
მითა მისითა რომლითა დაითრგუნა ეშმაკი დასითურთ მისით ამანვე წ̃ნი თვს-
ნი სათნოყოფილნი ღ̃თაებისა მისისანი:—ცხრანივე დასნი წ̃თა ანგელოზთანი
და მეათენი კაცთანი პირველსა სჯულსა შინა მამად მთავართა და წინასწარ-
მეტყუჱლთანი და ახალსა შინა მოციქულთა და მღდელთმოძღუართანი მო-
წამეთა და წმიდათა[ნი] მამათა და დედათანი განაჩინნა მეოხებად ჩუჱნთვს თა-
ნა წ̃სავე ქალწულსა საკთარად (საკუთრად) მშობელსა მისსა და ყოველთა
ნაშობთა უმეტესსა თავადსა იოვანეს ქადაგსა სიტყვსა ღ̃თისასა წინამორბედ-
სა და ნათლისმცემელსა:—

და ამათსაცა სახელსა ზედა აღეშენნეს ეკლესიანი ერთეკლესიად წოდე-
ბულნი. ვითარცა აღუთქუა პეტრეს ვითარმედ შენზედა აღვაშენო ეკლესიაჲ
ჩემიო. და შემდგომითი შემდგომად წმიდათა მისთა:—

და დიდსა მას ახოვანსა და მთავარსა მოწამეთასა გიორგის რომელმან
აკსენოს წმიდაჲ სამებაჲ შენ მიერ ჩემდა მომართითა მეოხებითა და სახელსა
შენსა ზედა აღშენებითა ეკლესიისაჲთა და აღმართებითა ჯუარისა გინა ხატი-
საჲთა და გინა სხვთა შეს(ა)წირავითა მსგავსად სარწმუნოებისა მათისა მდიდარ-
თა და გლახაკთა კაცად-კაცადმან ძალისაებრ ქურივის მწულილებით. რომელ-
მანმე კელთაგან პყრობით რომელმანმე ცრემლით და მკურვალედ თაყუანის-
ცემით. მას აღესრულოს ყოველივე თხოვაჲ ორისავე კერძოჲსაჲო. და თავისა-
ცა თვსისათვს გინა სხუათათვს რომლისათვს არს მიზეზი სიტყვსა ამის ჩემი-
საჲ:—

რომელმან სუჱტი იგი ქურივისაჲ მიითუალა ტაძარსა შინა თვსსა ესერა
ჟამთაცა: ამათ ჩუჱნთა შინა ერთსა ერისაკაცთაგანსაცა ვისმე ალაშენებინა ეკ-
ლესიაჲ მისი გამოცხადებითა თვსითა დიდებულითა და სა[კვ]რველითა ამან
წმიდამან მოწამემან გიორგი: ქვისაგან და კირისა: და თვნიერ მისსა ვინცა
კელყვის შეწევნად ქვისა გინა სხვსა რაჲსმე ნივთისა არა აქუნდის ყოვლადვე
შეძლებაჲ ძრვისაჲ და შერისხვით აჩუჱნის ოდესმე ძილსა შინა და ოდესმე
დღისით და ცხადად და უკეთუ მხოლოდ ოდენ: ბასილი მუშაკობდის: თვნიერ
ვისისაცა თანაშეწევნისა რაოდენ გინა მძიმე: ქვაჲ იტვრთის: ქვასა ზედა და-
სასუმელად რომელი ფრიად მრავალთა კაცთა მიერცა მძიმე არს ტვრთვად და
თუალით სახილველად საკვრველ და სხუათაგან კელყოფით შეწევნასა შინა
ვერცა ერთისა კაცისა მიერ სატვრთავისა შემძლებელ იყვნიან შეძრვად რაო-
დენცა მრავლად შეკრბიან და თვთ დიდი იგი ახოანი თუალითა იხილის მის-
თანავე მუშაკობად: ამან ნეტარმან ბასილი ჵ აღწევად ქვისა მძიმისა ჵ ოდესმე
თვნიერ მუშაკობისაცა სწავებით განაძლიერებდის და მისცემდის სასოებასა სა-
კვრველისა ამის აღშენებისასა და არცა ღორღისა და კირისა შთასხმად მიუ-

უტევებდის და არცავის მოღებად და ზელად ქჳშისა კირსჳე თანა თჳნიერ მისსა: —

და იყო ესრეთ რამეთუ ესე ბასილი იყო ქვით ხუროჲ რომელსა ეწოდების გალატოზი და წარვიდა ქუÇყანასა სრმხითისასა მახლობელად თფილისისსა და გამოეცხადა დიდი იგი ახოვანი და ჰრქუა ნუ გაქუნს მოცალებაჲ მოსარეწლისათჳს სიგლახაკისა შენისა და აღმიშენე ტაძარი კელთა მიერ ოდენ შენთა და ნუმცა ვინ კადნიერ იქმნების მუშაკობად და შეწევნად შენთანა და უკეთუ: ესე ესრეთ არა აჴუÇნო გულსმოდგინებაჲ, აღგაოკრო და მოგკლა ყოვლით სახლეულით შენითურთ. ხოლო ამან ნეტარმან ბასილი ჰრქუა რომელსა მახლობელნი მისნი ბოლოკბასილობით უწოდდეს *): „ჵი წ~ო გიორგი! რაჲმე ვყო საწყალობელმან და ყოვლად უბადრუკმან? პირველად, ვითარ შესაძლებელ არს ჩემთა ოდენ კელთა მიერ აღშენებაჲ ტაძრისა შენისაჲ, რომელი სოფლის დასაბამითგან არაჲოდე' ვისგან ქმნილარს? და მე ესრეთ გლახაკსა ნუგეშინის საცემელად ჩემდა მაქუნდა უცხოებასა მუშაკობაჲ, რათა მოვირეწო დასარჩენელი სახლეულთა ჩემთაჲ; და მომიტევე, ჵი წმიდაო მოწამეო, რათა აღვასრულო კელით მუშაკობაჲ ამის უცხოთა ეკლესიისაჲ და ვცოცხლებდე კელთა მიერ ჩემთა საფარველითავე შენითა". ხოლო წმიდამან კუალადცა მრავალგზის აჴუÇნა ჲ იგივე ჰრქუა მხილებითა, შერისხვისა და ამოწყუÇდისა ქადილისაჲთა: „ისმინე ჩემი, ბოლოკ-ბასილი და წარვედ უდაბნოსა კლარჯეთისასა, რომელსა ჰქვან ოპიზაჲ და მუნ არს ვინმე ბერი მონაზონთაგანი, რომელსა ეწოდების სტეფანე და არს იგი კაცი უბიწოჲ და წმიდაჲ, რომელი სნეულებითა დიდითა შეპყრობილ არს და აუთქუ (sic) ჩემ-მიერი კურნებაჲ და მას უთქს ერთი კერძო კარაული, რომელ არს ჯორი და უც რკინაჲცა და იგიცა მოითხოე ჯორითურთ და შექმნენ მის რკინისა ჭურჭელნი ქვის სათლელნი კელითავე შენითა თჳნიერ კაცთა შეწევნისა და ულლეულნი კართა შენთანი რომელ არიან, თჳნიერ მათსა ნუმცა მოიკმარებ საზიდავსა სამუშაკოსა ქვისასა, გინა სხჳსა რაჲსმე ნივთისასა და ამით კარაულითა კრებდი ქჳშასა, და თჳნიერ ამათსა სხუაჲ ნუმცა ვინ არს კადნიერ შეწევნად შენდა და თანა-შეწევნად კაცითგან და პირუტყუადმდე". — და მოიწია ბასილი სახიდ თჳსსა განკჳრვებული და შეპყრობილი შიშითა დიდითა ძმათა შორის თჳსთა და ყოველთა სახლეულთა მისთა. ხოლო მათ ამის ყოვლისავე მათდა მიმართ მომთხრობელი ამის საკჳრველებისაჲ ჰგონეს ცნობითა ვნებული განცჳფრებისა მიერ ურწმუნო ქმნილთა; და მიიწია რაჲ ბასილი მონასტერსა მას ოპიზისასა, სენაკსა ნეტარისა სტეფანესსა და მიუთხრა მას ყოველივე ესრეთ, ვითარცა ჰრქუა წ~ნ მოწამემან; და მოსცა რაჲ კარაული თჳსი და რკინაჲ შესაქმნელი ქვის სათლელთა ჭურჭელთაჲ, მეყუსეულად განიკურნა სიტყჳსაებრ წ~ისა ახოვანისა. და მორაიწია ბასილი სახიდ თჳსსა, იწყო მუშაკობად საკჳრველისა ამის ტაძ-

*) ამას ქვეით სასვენ ნიშნებს დედნისას არ გსსამთ.

რისა კერძო კარაულსავე თანა უღლეულითა მით კართა თჳსთაჲთა, რომელ-თა სახელითცა უწოდდის: ერთსა ქურდაობით და მეორესა პირქუშობით.— და ესრეთ უწყებულ იყო წ~ისა მიერ: ქვასა რომელსაცა მიწით აღმოიღებდე, ანუ კლდისაგან აღმოჰკაფდე, მას ადგილსა მფრინველი დაჯდების; უკეთუ განგე-მარჯუჯბოდეს; და თჳნიერ მის მფრინველისა გამოჩინებისა და მუნ ზედა და-ჯდომისა, ცუდ იქმნას ყოველი ჴირი შენი, რაოდენ გინა დიდითა იძულები-თა იმუშაკო; და სახეცა მის მფრინველისა ეუწყა და ვითარებაჲ წ~ისა მიერ და მისი ხილვაჲცა მისცემდის სასოებასა ამის საკჳრველისა მუშაკობისასა.— ხოლო კაზმასა შინა ქვისასა ადგილსა და ჟ~ანსა, რომელსა ეწოდების ჯალე, გამოუჩნდა საოცარი სახითა საზარელისა გუჯლისაჲთა, რომელსა ესხნეს თუალ-ნი დიდისა დარაკისა ოდენნი, და ფრიად შეძრწუნებულსა ნეტარსა ბასილის გამოუჩნდა წ~ჲ იგი ახოვანი მთავარი მოწამეთაჲ და ულაღადა (უღ~ღდა) კმა-ყოფით ნუგეშინისცემაჲ და ჰრქუა: „ნუ შეძრწუნებულხარ, ჵი ბასილი! საო-ცარი ესე ხიხათა ზურგით მომავალ არს, მუნითცა ჩემ მიერვე ოტებული მთა-სა, რომელსა ჰრქჳან ჰრასინაული და მგზავრი არს ექსორიობით"*); და იტყო-და: ვხედევდიო წარსულსა აღმოსავალით კერძო და გარდაეფარა თუალთაგან ჩემთა, რაჟამს გარდავლო მთაჲ იგი ჭარალისაჲ.

ხოლო სუმასა შინა წყლისასა დააყუდა პირი თჳსი წყაროსა ზედა; მე-ყუსეულად მოვიდა წ~ჲ მოწამე და აღმოზიდნა მ[იყო]ფითა კელთაჲთა ჲ ჰრქუა: „არა ჯერ არს, [რათა]მცა სუი (სჳ) ეგე თჳნიერ ჯუარის გამოსახვისა, რამეთუ არიან მანდა ეშმაკნი, ჩემ მიერ შთათხეულნი, და ესრეთვე სხუათა აუწყე, რა-თა თჳნიერ ამისსა არავინ სუას ამის წყაროჲსაგან.—ვითარცა გაუწყო თქუჱნ სასწაული ერთისა ქვისათჳს, ესრეთვე ყოველთა სამუშაკოთათჳს ქვათა, გინა სხუათა ნივთთათჳს თჳთოეულად ესრეთ გულისკმაყვით, რათა გრძელად მეტ-ყუჱლებითა არღა საწყინო იქმნას, ჵი ღ~თის მოყუარენო, ამის საკჳრველისა აღშენებისა სასოებით მსმენელნო!**)

მთასა მას, რომელსა ზედა არს ჯუარი სახელსა ზედა წ~ისა ზაქარიაჲსასა და ამას მთასა სახელიცა იგივე ზაქარ-წმიდაჲ ეწოდების, მუნ შეჰკაზმა ქვაჲ დიდი და მძიმე ფრიად და დადვა მარტომან მარკილსა ზედა მათვე უღლეულ-თა თჳსთასა შეწევნითა წ~ისაჲთა ჩუჱულებისაებრ ჲ რაჲ კელის მიყოფით წინა-წარმოძღომილმან ვერ შეძლებისათჳს მწუხარე ყ~ თავი თჳსი, მეყუსეულად

*) ხიხას მთა მოდის გურიის მთიდამ აჭარას და შავშეთს შუა (არსიანის მი-რი) და შეუერთდება ჰრასინის და ჭარალის მთებს. ხიხათა ერისთავი ივანე იხ. ქ-ცხ. I, გვ. 225. როგორც სჩანს, აბუსერისძენი იყვნენ ხიხათა და აჭარის ერის-თავნი. ეკ. მუზ. ხელნაწ. № 162 XI—XII საუკ. სჩანს მწერალი სტეფანე „უქლური".

**) ზემო ხმარებული „ამის ტაძრისა" და აქ ნახმარები ფრასა გვაფიქრებინე-ბენ, რომ ეს საკითხავი და მთელი წიგნიც დაწერილი ყოფილა ბასილას მიერ აღ-შენებულის წ~ა-გიორგის ტაძრისთვის.

მოეკსნნეს მარკილნი უღლეულსა მას კართასა და უღელი ქედსავე ზედა და-
შთა მათსა და არცა ბასილის ეკუჱთა უვნებელობასავე-თანა კართასა და მსწრაფლ შთამოვლო საზარელი იგი და მყაფარი ჩამოღმართი და არცა სიმრავლესა ქვათასა ეკუჱთა და არცა წინაკერძო დახუდომილსა ხევნარსა მის ქუჱშე მყიფისა მაღნარისასა, რომლისა დასასრულსა სივაკესა შინა წარვლო კარი ეკლესიისაჲ, რომელ არს სახელსა ზედა წ~ისა წინამორბედისა და ნათლისმცემელისასა და მას ქუჱშეთცა განვლო წყალი და ყოვლადვე უვნებელმან ქვითურთ შევლო შეღმართიცა დიდი. ხოლო ნეტარი ბასილი მოვიდა მას ადგილსა უღლეულითურთ და წარვიდა უმეტეს ოთხისა უტევნისა და მიაწია ქვაჲ იგი უღლეულითა მით სამუშაკოსა მას ტაძრისასა საკვრველსა და დადვა ბალაჰვარად კარსა დასავალისასა, რომელ არს მცირედღა უნაკლულევანეს ათერთმეტისა მტკავლისა *). და ამით ესე ვითარითა საკვრველებითა არს ყოვելივე ესე ნამუშაკევი ამის საკჳრველისა ტაძრისაჲ დიდად შუჱნიერი და წმიდად გებული ქვებითა ფრიად დიდითა და მრავალთა მიერ სატკრთავადცა ძნიად შესაძლებელითა.—და ამისსა დასუმასა შინა შვილი მისი იოვანე (ი~ე) შეიწია, რომელი იყო უსწავლელი და ერისკაცი, ვითარცა მამაჲ მისი ბოლოკ-ბასილი, და ამან სახლი აღაშენა საყოფელად სახლეულთა თჳსთა გამოცხადებითავე წმიდისაჲთა, დაღაცათუ კაცთა შეწევნად შეუნდო წმიდამან, ჩ რაჟამს მამისა მისისამიერ იძულებული მივიდა შუჱლად, მეყუსეულად ეცა ქვაჲ ბასილის და იქმნა ვითარცა მკუდარი მყუარ ჟამ და შემდგომად გამოცხადებითავე წმიდისაჲთა არღარა იკადრა შეწევად კაცთად და ესრეთ მარტომან მით უღლეულითა და კარაულითა სტეფანე-ნეტარისაჲთა აღაშენა ტაძარი ესე საკვრველი.

ხოლო იყო მათ ჟამთა შინა სიყმილი დიდი და სიძჳრე პურისაჲ და მოუძლურებულსა ენა-ბრგუნვილად ჰრქჳს, რაჲცა ენების წმიდასა მოწამესა, რეცა ჩუქვების სახედ, ვითარცა ყრმამან ჩჩჳლმან და ესრეთ კმა უყვის, ვითარმედ „ბაჩილო", რამეთუ ბასილიცა ნეტარი მცირედ ენა ბრგუნვილი იყო; და ხილი მოართჳს წმიდამან ოდესმე ყურძენი და ოდესმე ნაყოფი მთისაჲ, რომელსა ეწოდების ჟოლი, და ამით ესე-ვითარითა საკვრველებითა ნუგეშინის სცის სიყმილსა ამის სანატრელისასა, და ესრეთ მარტომან სრულქმნა მით კარაულითა და უღლეულითა ტაძარი ესე საკვრველი.

და ერთი ტაძარი სხუაჲ აღაშენა სახელსავე ზედა წ~ისა მთავარმოწამისა გიორგისასა გამოცხადებითავე მისითა და შენდობითა კაცთა თანაშეწევისაჲთა, ვითარცა არს ჩუჱულებაჲ და წესი სოფლის დასაბამითგანი; და მოკლებასა შინა კორცისასა ირემიცა წარმოუდგინა წმიდამან ბოლოკ-ბასილის და მასთანავე მუშაკთა და მუნ ქმნილთა საკვრველებათა მის ტაძრისა აღშენებისათა თანა წარვჰკე, რომელი არს მთასა ორღართასა (ორთასა?).

*) აქიდამ ცხადია, რომ ბაჩილას მიერ აღშენებული წ~ა-გიორგის ტაძარი მდებარებს ოპიზის მონასტრის პირდაპირ, ღელეს გაღმა, ოთხის უტევანის სიშორეზე (უტევანი ანუ სტადიონი არის 143 ნაბიჯი: საბა).

ხოლო კაცი ვინმე მკედართაგანი წარვიდა სპარსეთს და ყმაჲ მისი პყრობილ(ი)ყო და გამოეცხადა მას წმიდაჲ და დიდებული მოწამე გიორგი და ჰრქუა: „უკეთუ აღმიშენო სასანთლე ქვისაჲ ქარის მოსაფარებელი კელთა მიერ შენთა უეჭუჱლად გამოგიკსნაო"; და მან აღუთქუა ბრძანებული, და რაჟამს მოიწია, ყო ეგრეთ; და არიან სასანთლენი ესე აწცა წინაშე მის ტაძრისა საკვრველისა, და ესე-ვითარითავე საკვრველებითა მრავალნი გამოიკსნნა ამან წმიდამან კელისაგან წარმართთაჲსა, რომლისა აღწერასა თანა წარვჰკედ სიმრავლისათვს საკვრველებათაჲსა, ღთის მოყუარენო.

და უკეთუ ენების რაჲმე ბასილის მომთხოველსა მახლობელთა მიმართ გინა სხუათა მიერ არა-მომცემელთა, მეყუსეულად შერისხვით ამხილის და იძულებით წინაშე მისსა მოაწიიან და არა-ვის მიუტევის ესე-ვითარი წმიდამან. და იოანეს შვილსა მისსა ვალისა მისისა წილ ერთი ძელი წარუღო უნებლიეთ ვინმე კაცმან სიცოცხლესავე შინა მამისა მისისა ბასილისსა. ხოლო წმიდაჲ ესე მივიდა უღეს (sic) ჩუჱნებით მწუხრსა სახლსა შინა მის კაცისასა, რაჟამს ღამე იქმნა დღე იგი, რომელი განთენდებოდა კვრიაკედ და ჰრქუა მას წმიდამან: „მოიყიდე სხუაჲ უმძიმესი ძელი და აღიტვრთე ზურგითა შენითა, რათა მოაწიო წინაშე ტაძრისა ჩემისა, და ამისი არა-მყოფელი მოგწყვდო უეჭუელად(sic) ყოვლითურთ, რაჲცა არს შენი და მოაწია უდით (sic) ზურგითა თვსითა მრავალთაგან ძნიად სატვრთავი ძელი წინაშე ამის ტაძრისა შეწევნითავე წმიდისაჲთა. ხოლო ესე მფრინველი შემდგომად აღშენებისა მრავალთა წელთა მახლობელად მის ეკლესიისა იხილვებოდის სახლეულთა მისთა[გან].

მოგითხრა თქუჱნ საკვრველი ესე და ესრეთვე შეუძლებელი მარტოჲსა მიერ, რამეთუ წ̃ნ მოწამემან თვთ აუწყა ადგილსა ზედა მწყურნებსა და მიწასა ზედა ლბილსა კელყოფაჲ ამის საკვირველისა აღშენებისაჲ. ხოლო ბასილი მწუხარებითა შეპყრობილმან დ̃ ზარ-განკდილმან თხარა ეგეოდენი სიღრმე ქუჱშე მიწასა, ვითარცა ჩანს ზედაით ტაძარი ესე დ̃ მათ სიღრმეთაჲთგან იწყო შენებად, და ესრეთ განასრულა ტაძარი ესე საკვრველი წმიდისა და დიდებულისა მოწამისა გიორგისი მარტოებით. და ვიდრე ჯუარი ესე წმიდისაჲ გარეთ ესუჱნა, მასზედა მფრინველმან ვერ იკადრის გარდაფრენად. ამისსავე მუშაკობასა შინა ქვაჲ განეპო. ხოლო წმიდამან მოწამემან ჰრქუა: „შთადეგ ბასილი და განზომე ეგე, რაოდენი არსო". და შთადგა მას შინა და შემოაპირა წმიდამან იმიერ და ამიერ მიჟ განაპებითა ქვათაჲთა [ხოლო] ბასილი კმაყო: „ვაჲმე, რად მომკალ საწყალობელი და საბრალოჲ, წმიდაო მოწამეო!". ხოლო წმიდამან, რეცა სიცილის სახედ და ლაღობისა, განზიდნა მას განაპებსა ქვათასა და ჰრქუა: «აღმოკედ დ̃ ნუ ხარ მოწყინარე მსახურებისა ჩემისა და სრულ ქმენ ტაძარი ჩემიო". ხოლო ბასილი სადაცა წარიყვანის ჯორი იგი და სთხოის საკმარი რაჲმე სამუშაკოჲ, მათ აჰკიდიან და მარტოებით მიართვს კერძო კარაულმან ნეტარსა ბასილის და არა-ვინ იკადრის წინა-წარზიდვად, ვითარცა არს წესი ჩუჱულებისაჲ ცხენთა და კარაულთათვს; და ვიდრე მუშაკობდა, ამით საკვრველე-

ბითა მწე ექმნებოდა წ~ჲ ესე ახოვანი დიდი მოწამე გიორგი, ვითარცა მომითხრობდეს რომელსამე ნეტარი იოსებ, მე ივანესი, რომელსა ამას შინა აღწერისათჳს იოვანედ უწოდ და რომელსამე მახლობელნი მისნი. *)

და ესე ჯუარი წ~ისა მოწამისა სახელსა ზედა არს ალავერდისა მთავარმოწამისასა, რომელმან ჩემგან თუალით ხილული და ამის სასწაულისა მომთხრობელი ყრმაჲ ვინმე გამოიყვანა, ვითარცა ძუჱლ-ოდესმე ბორღალეთით, ალიტაცა განძაჲთ და დასუა ალავერდს, კარსა წ~ისა მოწამისასა. ხოლო იხილეს რაჲ ეკლესიად მოსრულთა ლოცვისათჳს ჟამსა ცისკრისასა შებორკილებული რკინითა განძას დაძინებული და მუნ მდებარე, შიშისა და საკვრველებისაგან ვითარცა მკუდარი, ჵ აღრაჲადგინეს ძლით და მრავალ-გზის-კმობით გონებასა ზედა მოგებულსა, დასცჳვდეს რკინანი და ადიდებდეს ღმერთსა ყოველნივე შიშითა და სიხარულითა შეპყრობილნი და დიდსა მოწამესა მისსა გიორგის: და ესე ყრმა იმყოფებოდა ეკლესიასა შინა წმიდისასა ვიდრე მსგეფსადმდე. და მოვიდა წ~ჲ ახოვანი და მისცა კელთა ცხენი თჳსი ჴარმაგი და ჰრქუა: არებდი ეკლესიასა ამას შინა ჩემსა, ვიდრემდის კუალად წარვიყვანდეო.— „და ესე ცხენი თჳთ მომდევდის, რეცა-თუ ჩუჱნების სახედ სადევეთა (sic) კელთმქონებლობისაჲთა და შეხებითა კელისაჲთა ვერ ვაგრძნიო“,—იტყოდა ყრმაჲ იგი, ვითარცა შეჰგავს ნივთიერსა და თუალით სახილავსა, და კელთა შინა ჩემთა იყვნეს სადევენი იგი (sic) ცხენითურთ, და ვითარცა ეკლესიასა შინა ვიქცეოდე, ჰონე (sic) იგიცა ჩემთანავე ვიდოდის, რომელსა თუალითა, ვითარცა კორციელსა, ვხედევდი, და კელით განსახილველად იყო, ვითარცა ჰორო ლი მზისაჲ, რომელსა მე ოდენ ვხედევდი და სხუაჲ ვერა-ვინ. და რაჟამს მთხოვა წ~ნ გიორგი უწუჱრულისა ჭაბუკისა სახითა მყოფმან, ვითარცა ვიხილე განძაჲთ ალტაცებისა ჟამსა და იტყოდა ესრეთ: „ოდეს მოვიდა, ძილად მწოლარე ვიყავ და წარმომადგა ზედა ჭაბუკი შუჱნიერი, ნათლით შემოსილი სრულებით და მრქუა: „ამას მათრაკსა მოპყრობილსა კელი მოყავ და მევედრე და წარგიყვანო უეჭუელადო“; და მე ამისსა ურწმუნო ქმნილსა მრქუა მე კუალადცა მრავალ-გზის იგივე: და რაჟამს მივყავ კელი, ვაგრძენ ჰამოდ აღყვანებაჲ და მოვსწყდი მიწასა, წარმიტაცა გონებამან, რეცა თუ ძილის სახედ. და ოდეს კმა მიყვეს კარსა წ~ისა მოწამისასა კახეთს ეკლესიასა ალავერდისასა, მაშინღა ძლით მოვეგე გონებასა, და მითვე სახითა მყოფმან, შემომვედრა ცხენი და მერმე წარიყვანა ჰუნეს (sic) თჳსი წმიდამან. მაშინ მე წარმოვედ ტაძრით წმიდით ახოვანისაჲთ. ხოლო ყრმაჲ ესე სომეხთა შორის ზრდილობისათჳს იყო ენითა ქართულისაჲთა მცირედ რაჲმე ნაკლულევანი“.

---

*) რადგან ამ ხელნაწერის გადამწერს, აბუსერიძის ტბელის დროს, 1233 წელს ბაჩილას შვილის-შვილი იოსებ ცოცხალი ყოფილა (იხ. ქვემო გვ. 119) ამით ჩვენ საბუთი გვეძლევა დავასკვნათ, რომ წ~ა გიორგის ეკკლესია ბაჩილასგან აღშენებულ უნდა იყოს თამარ-მეფის დროს.

და ვინაჲთგან ვიიძულე შეკადრებად შეპყრობილი სურვილისა მიერ, ესეცა მოთხრობილი კელ-ვყო: დაბასა ერთსა, რომელსა ეწოდების ცხმორისი,*) მუნ-მყოფნი ვინმე კაცნი წარვიდეს ნაპირსა წარმართთასა მოსარეწელად რაჲსამე ლონედ სიგლახაკისა თჳსისა და მუნ-მყოფთა გარდაეკიდნეს აგარიანნი და ტყუჱ იქმნნეს. ხოლო შინაგანსა სპარსეთსა შინა წარსხმულთა, გულისკმა-ყვეს დღესასწაული წ҃ისა გიორგისი, დიდისა მოწამისაჲ: ერთმან გულს-მოდგინებით იმარხა და მეორე მცირედ ურწმუნო იქმნა, დალაცათუ ევედრებოდა მისთანავე იგი(ცა); მეყსეულად (sic) მოვიდა წმიდაჲ მოწამე, აღიტაცნა ორნივე; დ̃ რომელმან უმეტესი აჩუჱნა სარწმუნოებაჲ, მეყსა შინა დასუა კარსა ეკლესიისასა ცხმორისსა, სადა არს ტაძარი სახელსა ზედა მისსა; და იხილეს რაჲ მუნ შემოკრებულთა დღესასწაულობად, ადიდებდეს ყოველნივე დიდსა მოწამესა გიორგის; და აწცა ჰკიდვან (sic) ბორკილნი-იგი წინაშე მისსა, და ეწოდა კაცსა ამას კუანილი. ხოლო მეორე ურწმუნო ქმნისათჳს დალაცათუ არავე უგულებელს-ყო წმიდამან, გარნა არღარა მეყსეულად მოაწია აჭარას ქუჱყანასა მისსა, სადა აღზრდილიყო და დასუა საზღვარსა ქრისტეანეთასა და წარმართთასა და ძლით-ღა სლვით მოიწია წინაშე წ҃ისა მოწამისა, სადა იმყოფებოდა, დაბასა ცხმორისისასა, დ҃ მას კაცსა ეწოდებოდა პონილი (sic), რომელი იყო ესე სასწაული უწინარეს ამის საკვრველისა აღშენებისა.

ხოლო ჩუჱნ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ. სასურველად წ҃ისა მოწამისა ოდეს მოგებისათჳს ცოდვათა ჩუჱნთაჲსა სამცხე და ყოველი ადგილი საქართველოჲსა ივლტოდა ხიზნობად შიშისათჳს ხუარაზმელთაჲსა, გამოქცევასა და მოწყუჱდასა ზედა ლაშქართასა და მრავალთა მთავართა და კაცის-შვილთასა წარწტყუჱნვასა და მოოკრებ(ა)სა დედა-ქალაქისასა ტფილისისასა და უმეტესთა ადგილთა ლიხთა იმერისა საქართველოჲსათა, ესე ჯუარი ქვისაჲ, რომელი ესუჱნა სახვასა (სახელსა?) ზედა წ҃ისა მოწამისასა, რომელი ბასილის და ძისა მისისა იოანესთჳს არა-დამორჩილებულ-იყო ტაძარსა შინა საკვრველებით აღშენებულსა დასუჱნებასა, ხოლო ჩუჱნებით ხილვითა ნეტარისა იოსებისითა და ხარებითა სამცხესა ზედა მშჳდობისაჲთა, რომელი საქმითცა აღესრულა, მასლა ჟამსა შეესუჱნა წმიდა ნამუშაკევსა თჳსსა დს შუარტყალს (ბუარტყალს?) შინა მყოფი თჳნიერ ნეტარისა იოსებისსა და მისთა სახლეულთაჲსა არვინ დაშთა ულტოლველი კერძოთა აჭარისათაცა და ესრეთ უწყებულ-იყო ნეტარისა ბასილისთჳს, ვითარმედ „მე უწყი ჟამი ჩემისა ეკლიად დასუჱნებისაჲო“ **) დ҃ ესე

---

*) ცხმორისი იქვე აჭარაში, ჭოროხის ხეობაში: იხ. Матеріалы по археологіи Кавказа, изд. Моск. И. арх. Общества, соч. Павлинова стр. 36; 64.

**) ხუარაზმელთა ანუ ჯალ-ედინთან ბრძოლა ქართველთა გარნისს და თფილისის დაპყრობა მოხდა 1225 წ. და მეორედ თფილისის აოხრება 1229 წ.—ეს წერილი გვაძლევს ახალს ცნობებს: ხუარაზმელთ იმერეთიც მოუოხრებიათ, ხოლო შავშეთ-აჭარა უვნებლად დარჩენილა (Brosset. Hist. de la G. I, p. 499, n. 1; 510, n. 1 ; Addit. p 336).

წმიდათა მოციქულთაებრ სისულელით გამორჩეულთა ნეშტი ამის სასწაულისაჲ ნეტარისა იოვანეს შვილისა იოსებისთჳსცა დაუტევა, რამეთუ მღდელობასა მისსა [და?] მონოზონებასა ეპატივა კელთა მისთა მიერ დასუჱნებაჲ, რამეთუ ესე ჯუარი წ̃ისა მოწამისა, მრავალთა-მიერ ძნიად სატკრთავი, ადვილად აღასუჱნა და დაამყარა ტაძარსა თჳსსა მარტოებით მოქმედმან შეწევნითავე წმიდისაჲთა და ესე ვითარითავე საკჳრველებითა დაესუჱნა ნამუშაკევსა თჳსსა წმი. და, რამეთუ ამად ჟამადმდე გარეთ ესუჱნა კარსა ტაძრისა მისისასა. ხოლო ამას ნეტარსა იოსებს, ვითარცა პაპსა მისსა ბასილის და მამასა მისსა იოვანეს, ჩუჱნებით ეზრახებოდის წმიდაჲ ესე, ვითარცა ნივთიერი და ხილულთა კორცთა შინა მყოფი, და ოდესმე კმა ესმოდის მოწამისაჲ და ოდესმე თუალითა იხილის სხჳთა-და-სხჳთა ხატითა და ყოვლადვე არა უკჳრდის, ვითარცა კორციელისა მეგობრისა ნეტარი იოსებ, დაღაცა-თუ არა ცხად-ჰყოფდა, გარნა მამაჲ დაფარულთაჲ მოაგებდა მას ცხადად სიტყჳსაებრ საღმრთოჲსა პირისა დავიდუმნე სასწაულნი წ̃ისა მთავარ-მოწამისა გიორგისნი, ვინაჲთგან ვერცა ყოველი სოფელი აღჰრაცხავს აღწერილსა წიგნებსა თჳთოეულისა ეკლესიისასა, რაოდენცა არს სახელსა ზედა წ̃ისა გიორგისასა, ვერცა თუ ნეტარისა ამის იოსების ეკლესიისსა, სიტყჳსაებრ წ̃ისა სახარებისა და ესე ნეტარიცა გარდაიცვალა ცხორებასა საუკუნესა და დაეკრძალა საფლავსავე პაპისა და მამისა თჳსისასა შტოსა შინა მისვე საკჳრველისა ტაძრისასა, დაღაცათუ არა შემძლებელ-ვართ ჯეროვნად დიდების მეტყუჱლებასა ჩუჱნთჳს ვნებულისასა, გარნა დიდება მადიდებელსა წმიდათა მისთასა, რომლისა თანა მამასა შუჱნის დიდებაჲ ცხოველს-მყოფელით წმიდით სულითურთ მიუკუნისადმდე, ა̃ნ.

ლჳწყით (უწყით), რამეთუ არა ვარ შესარაცხავი ღ̃თივ მონიჭებულისა კეთილისა *), გარნა ამათ წმიდათა ღთისათა მეოხებამან მეცა მომანიჭოს სრულქმნაჲ ჩემგან სამუშაკოდ კადრებულისა ხიხათა ეკლესიისაჲ, რომლისა მუშაკობასა შინა მრავალნი სასწაულნი აღესრულნეს, მრავალთა კაცთა ფათერაკთაგან კსნისანი, ქვისა დასაცემელად განმზადებულისა მრავალთა არღარა მოსაწყუჱდელად გარე-უკუნ-ქცევანი და წამოქცეულთა კლდეთაგან მშჳდობით კსნანი მრავალთანი და ამას ზარის განსაკდელად მაღალსა და ტიალსა ადგილსა შთასაჭრელად განმზადებულთა კაცთა და ფერკ-ჩაცთუმილთა (sic) აღმოყვანებით კსნანი და მრავალთა მუშაკობით-მოქმედთა და თანა-შემწეთა მათთა ხანგრძლად სასნეულოდ განმზადებულთა მეყსეულნი კურნებანი და კაცის-მჭამელთა მგელთა ოტებანი სრულიად საზღვართა შინა სრულისა საქართველოჲსათა წინაშე მისსა ლიტანიობითა **) და დედისა ღ̃თისა ხატისა მისთავე გა-

*) აქ არშიაზე ტექსტის ხელით აწერია: „ამათს ზემოჲთსა სასწაულთა კ[ინა] აღწერდით, წ̃ის გიორგისთა კისცა გენებოს".

**) აქ არშიაზე გამოტანილია ტექსტის ხელით: „ამას ხატსა - - | განრყუნ- - | რბი მარჯუ - - | გულით - - - | განკურ - რ | შ̃ა რ̃ი - - - | ღარა - - - | ნით. და - - თქუჱნ ესე - - | დეთ ღ̃თი - - | ენო ე - - - | ." (არშია წაჭრილია).

რეთ განყვანებითა, რომელსა სასოებდა დედაჲ ჩემი *) გამოუთქუმელითა სარწმუნოებითა და სამარადისოჲთა წინაშე მდგომარეობითა და დაუდუმებელითა კითხვითა წ҃ისა სახარებისაჲთა, ფსალმუნებითა და ლოცვითა, რომელი მე დამიტევა ანდერძობით მფარველად ორისავე ცხორებისა ჩემისა. ესე და სხუანი მრავალნი დავიდუმნე და ძალსა სიტყჳსასა მოკლედ მოვიდე მე არა ღირსი და შეურაცხი შესაძრწუნებელთა ამათ სიტყუათაჲ და სიყუარულისათჳს იძულებული და არა-საკადრებელად ვერ-მომთმინე აბუსერისძე ტბელი, ძე ე҃ე҃ისა (ერისთავთ-ერისთავისა) ივანესი და დედოფლისა ხათუთაჲსაჲ, რომელსა შემდგომად ქმრისა მისისა, თურქთა ჴელითა აღსრულებისა**) მონოზონებისა მისისათჳს მაღლისა ეკატერინე ეწოდა, ძმაჲ ე҃ეთა (ერისთავთ-ერისთავთა) აბუსერისი და ვარდანისი, რომელთა ბრძანებითა ჴელჰყავ შენებაჲ ეკლესიისაჲ სალოცველად გარდასრულთა ჩუჱნთა და ცოცხალთა და მშობელთა ჩუჱნთა და საჴსენებელად პაპისა ჩუჱნისა აბუსერისსა და ძმისა მისისა სანანოჲსთჳს, რომელმან ნებსით თჳსით თავი თჳსი უცოლო და უშვილო ყო; ჩუჱნისა წყალობისათჳს ამათ წაიხუნეს ხიხანი, მტერთა ზედა გაცემულნი, ბრძანებითა ღ҃თისა სწორთა პატრონთაჲთა, და მიპარვით შესულასა შინა წ҃ა იგი ახოანი გიორგი ღამით ვარსკვლავის (sic) სახედ გამოუჩნდის და ჴმა უყვის ვითარცა ჴორციელმან და ასწავის გზაჲ შესასულელი. ესრეთ დაიცუნა ამას საზარელსა კლდესა ჩაჭრისაგან და გჳბოძნა ხიხანი ჴელთავე და აჩუჱნა ჩუჱნზედა წყალობაჲ გამოუთქუმელი მობაძავი მცნებათა მისთაჲ, რომლისათჳს დაითმინა ღუაწლი წამებისაჲ და მას აქაჲთ მრავალთა უცალოებათა და დამართებათაგან ვერცა მათ მოიცალეს და ვერცა ბიძამან და მამამან ჩუჱნმან და ვერცა ძმათა ჩემთა და ვერცა მე ღირსებისაებრ ამათ სიტყუათა კადნიერმან და მაიძულა ეკლესიისაჲ მცირაობითა ერისა ვერ-დატევნამან და ჯარვისა (sic) მიზეზითა გულს-მოდგინებისა მათისა ნაკლულევანებამან, ბ ძუჱლი სახლოვანი დაშლილიყო და ამისთჳს ჴელ-ჰყავ შეკადრებად აღშენებისა, რომლისა სრულ-ქმნაჲ მანვე ახოვანმან მოგუანიჭოს***). მამულისა ჩუჱნისა კაცთა წესისაებრ დიდი ჭირი

*) ხათუნა-ყოფილი ეკატერინე, დედა ტბელისა (ის. ქვემო შტო).

**) ივანე უნდა მოკლულიყო ბასიანის ომში 1201 წ. („ქრონიკა" გვ. 290).

***) ხიხას ციხის მტრებზე გაცემა და მისი დაბრუნება ტბელის პაპის აბუსერისაგან და სანანოსგან ისტორიამ არ იცის. თუ მივიღეთ, რომ 1233 წელს ტბელი იქნებოდა 50-ის წლისა, მაშინ პაპა მისი აბუსერი, დაახლოვებით, 60—70 წლის წინეთ მაინც უნდა ცხოვრებულიყვნენ და მაშასადამე ხიხას ციხის შეპარვით აღება იქნებოდა გიორგი III-ის მეფობაში 1156—1184 წ., როდესაც განუწყვეტელი ბრძოლა იყო თურქთა და ქართველთა შორის. აქ უნდა იგულისხმებოდეს ილდიგუზ სულტნისაგან აკლება სამხრეთის საქართველოჲსა 1172—1173 წ. (Addit. p. 255—6).—„აბუსერი, ერისთავი არტანუჯისა და ხ ი ხ ა თ ა" მოხსენებულია ქ-ცხ. I, 225, 1050 წლის ახლო ხანებში და იქვე გ რ ი გ ო ლ, ძე აბუსერისა (გვ. 226).

ნახეს; გარნა ბაკოელთა მეტის-მეტად დიდი მოიჰირვეს, რომელთა ვაზირობითა და შემოხუჱწითა კელ-ვყავ ეკლესიისა მრავლითა სახლოვნებითა აღშენებაჲ მუნ შინა მისრულთა სალოცავად ჰიდროებისა მათისა ნუგეშინის-საცემელად და პატრონთა მშობელთა ჩუჱნთა და მამიდათა ფოტინეს და საგდუხტისა სულსა და ჩუჱნ სამთავე ძმათასა და პატრონთა ჩუჱნთა დათასა საგდუხტისსა და ცაცაჲსასა მოიკსენებდით და დიოფალ-დედოფალისა (დი~ფლ დ~ფლისა) დისავე ჩუჱნისა ვანენისსა, რომელმან ეკლესიაჲ აღაშენა წ~ისა იოვანე მახარებელისაჲ და ღ~თის მეტყუჱლისაჲ სამკვდრებელი ჩუჱნი და აღავსო საწყაული კეთილი დიოფალთ დეოფლისა (დფლ დფლისა) ნისიმესი, პაპისა-ჩუჱნისა-პაპის-დისაჲ და წამკითხველნი ამისნი გუაკსენებდით ამათ ყოველთავე ცოცხალთა და მიცვალებულთა წესისაებრ.

ესე ძილის-პირნი და სტიქარონნი მე დავსხენ ამით ყოვლითა შემატებულითა და ვირე ცოცხალვარ, ოდესცა მინდან, მე მოვიკმარებ და დასაგულებელად განაღამცა - - - - - - *) ჩემთა შვილთა დედამან ბაგულ პაშტაჲ წაავგო საშენსა შინა წ~ისა მთავარ-მოწამისა გიორგისსა და მას ⷍ მისთა შვილთაცა აკსენებდით: რუსუდანს, ზაქარიას, ივანეს, ონოფრეს და ალსართანს, და თუღა რაჲ მიეცეს სხუასა ანდერძსა შინა აღვსწერ, თუ წადილი იყოს ღ~თისაჲ და წ~ისა მთავარ-მოწამისაჲ; ⷍ ჩუჱნ სამთავე-თანა ძმისწულსა ჩემსა [გ]რიგოლსაცა მოიკსენებდით; და ორნი ჩვლნი ქალ-ყმანი ჩემნი მარჩბივნი მიიწოდნა ზენამან სუფევამან და მათცა მოიკსენებდით. პატრონმან ძმამა ჩემმან აბუსერი მრავალნი კარგნი ხატნი დაასუჱნნა დიდრუანნი: ერთი წ~ისა გრიგოლი პართეველისაჲ და მეორე წ~ისა დიმიტრისი, მესამე წ~ისა გიორგისი, მეოთხე წ~ისა ი~ე ოქროპირისაჲ, რომელსა ზედა წ~ჲ მოწაფე მისი პროკლე (?) ხატავს სახითა მთავარ-დიაკონობისაჲთა მსახურებად მაღლისა მღდელთ-მთავრობითისა ჯუარის აღპყრობისა მისისა, მეხუთე ხატი სალთოჲსა პირისაჲ და მეექუსე ყ~დ წ~ისა ღ~თის მშობელისაჲ ჩვლედი: — და მეუღლესა ამისსა დ~ფლ დ~ფლსა დედასა გრიგოლისსა თამარს მოიკსენებდით, რომლისა სული დიდებულმცა არს წინაშე წ~ისა სამებისა და მეორესაცა მეუღლესა ე~ეისა (ერისთავთ-ერისთავისა) აბუსერისსა დ~ფლ-დ~ფლსა ვახახსა ესრეთვე მოიკსენებდით, რომელი ესეცა მიიწოდა ზენამან სუფევამან და ესე უწინარეს ჯერიყო. სულსა პატრონისა ხუაშაჲსსა ე~ეით (ერისთავთ-ერისთავით) მისით ქმრით გრიგოლითურთ, რომელნი იყვნეს მშობელნი აბუსერისნი, პაპისა ჩუჱნისანი და სანანო ახოანისანი, პატრონთა და[თა მათ]თა ცუარისა და აგუტისანი, რომელთაჲ ს[ულნი ეგრ]ეთვე მოკსენებითა დიდებულ-ყოს ღ~ნ [პა]ტ[რონით] ერისთავთ-ერისთავით ბიძაჲთ ჩუჱნით

*) აქიდამ დაწყებული 24 სტრიქონი ტექსტისა განგებ ამოფხეკილია და ამოფხეკილს ადგილს XVI საუკუნის ხელით ნაჯღაბნია მხედრულად „ხელთა“ და ერთს „ხელთას“ აწერია მხედრულად: „ღ~ო შეიწყალე ცოდვილი მალაქია“ (აბაშიძე, მერე გ~ზი იმერეთისა 1519—1542..)

გრიგოლითურთ ჲ ბებერსა ჩუენსა პატრონსა ბალიანდის მოიკსენებდით; ძმისა ჩემისა ვარდანის მეუღლესა დიოფალ-დიოფალსა (sic) ნაზის მოიკსენებდით წლ[ითი] წლად მიუცილებელად სასოებით შემოკრებულნო ერნო, და ძმისწულსა ჩემსა ნათელს, ასულსა აბუსერისსა მოიკსენებდით, და ვარდანის ასულთა, ძმისწულთავე ჩემთა, ხათუნსა და ვანენის და ვითაცალა სოფლისა დასასრული მოგჳწოდებდეს, გინა-თუ ცოცხალ ვიყუნეთ რომელიმე, სადამდინცალა წაკითხვითა ამისითა ყოველთა დღესასწაულთა წ̃ისა გიორგისთა დაგულოცევდით ჲა ესრეთ იტყოდით შემდგომად წარკითხვისა მღდელი: „ამათ ყოველთა ზემოკსენებულთა მეოხებითა წ̃ისა მთავარმოწამისაჲთა და ყოველთა წმიდათაჲთა მიუტევენ, მეუფეო იესო ქრისტე, ღმერთო ჩუენო, თანა-არსო მამისაო და ყოვლად წმიდისა სულისაჲ“.

უკეთუ ვინმე მღდელი არ-კარგი მკითხველი დახუდებოდეთ, ამას ასომთავრად ჲონადმდე კარგსა მკითხველსა წააკითხვებდით და დონსა ქუემოჲთ ამინადმდე რომელ წერილ-არს მღდელმან ბრძანე, ერისაგან ამინის მთქუმელობითა, ორსავე დღესასწაულსა (ე. ი. 23 აპრილს და ნოემბერს) ცისკრად“.

## გვაროვნობითი შტო აბუსერისძეთა (950—1233 წ.).

ზემო დაბეჭდილის აბუსერისძის ტბელის ისტორიულ წერილით ჩვენ აღვადგინეთ შემდეგი გვაროვნობითი შტო არტანუჯის ერისთავთა აბუსერისძეთა (რაც ფრჩხილებში ჩასმულია, ის „ქართლის-ცხოვრების“ ცნობათაგან ამოღებულია და ზოგან მხოლოდ მიგნებით დასმული):

შენიშ. სადაც ჯვარი უზის(†) ანუ ფრჩხილები, ის პირნი 1233 წელს მიცვალებულნი ყოფილან, ხოლო დანარჩენნი—ცოცხალნი.—მე-XIII საუკუნიდამ აბუსერიძენი „ქ-ცხბაში“ არ სჩანან, მაგრამ ჩემს „ქრონიკებში“ მოხსენებულნი არიან: აბუსერისძე ივანე ამირსპასალარი 1352 წლის ქვეშე და გრიგოლ 1355 წლის ქვეშე.

№ (აბუსერი? 950 წლის ახლო ხანებს: იხ. ჩემი „ქრონიკ.“ I, გვ. 126).
|
№ (გრიგოლ აბუსერისძე 990 წლის ახლო ხანებში: იხ. ჩემი „ქრონიკები“ I, 126).
|
№ (ივანე აბუსერი არტანუჯის ერისთავი? 1027 წ.: ქ-ცხ. I, გვ. 220).
|
№ (აბუსერ, „ხიხათა ერისთავი და არტანუჯისა 1050 წ.: ქ-ცხ. I, 225).
|
№ (გრიგოლ; ქ ცხ- I, 226, 1051 წ.).

- ნისიმე, დეოფალთ-დეოფალი †
- № (აბუსერ? 1089—1125 წ.).

№ (აბუსერ? 1089—1125 წ.).

- ე˝ვი გრიგოლ †; (1125—1156 წ.?) მისი ცოლი ხუაშაქ.
  - ე˝ვი აბუსერი †; ცოლი მისი ბალიანდი (1156—1184 წ.) ამ აბუსერიმ და სანანომ მტრებს წაართვეს ხიხა (ციხე).
    - ე˝ვი გრიგოლ † (იხ. (კიდევ ქ·ცხოვ. 322, 1203 წ.?)
    - ე˝ვი ივანე †; თურქთაგან მოკლული (ბასიანის ომში?); ცოლი მისი ხათუნა (მოლოზნობაში ეკატერინე).
      - ტბელი, მწერალი „მილისპირისა" და ისტორიულ წერილისა 1233 წ. ცოლი მისი ბაგულ, მეორედ აღმაშენებელი ხიხას წ˝ა გ˝ის ეკლესიისა.
        - რუსუდან.
        - ზაქარია.
        - ივანე.
        - ონოფრე.
        - ალსართან.
        - ორი ქალი, მკვდარნი.
      - ე˝ვი აბუსერი, ცოლი მისი დიოფალი თამარ †: მეორე მისი ცოლი — დიოფალი კახას †
        - გრიგოლ (თამარისგან).
        - ნათელ.
      - ე˝ვი ვარდან, ცოლი მისი ნაზი.
        - ხათუნ (ქალი)
        - კანჯნი (ქალი).
      - კანჯნი დიოფალ-დიოფალი, ითანე მასარებლის ეკლესიის მაშენებელი.
      - საგდუხტ
      - ცაცა.
    - ფოტინე †
    - საგდუხტი †
  - სანანო (ახოვანი) †, უცოლო.
- აგუტინ †
- ცუარი †

**1236 Ⴜ.—„ႵႭႰႭႬႨႩႭႬႱႠ :ႳႬႥ: ႣႠႱႠႡႠႫႨႧႢႠႬ :ႾႷႫ: ႠႵႠ Ⴃ῀Ⴇ (დავით) ႫႤႴႤႣ ႣႠႿႣႠ, ႻႤ ႰႳႱႳႣႠႬႨႱႨ (აფხაზთა ქრონიკა).**

დავით, ძე რუსუდანისა, მეფედ ეკურთხა „წლისა კითარ ექვსისა“ (ქ-ცხ. I, 356, Hist. G. I, 508); მაშასადამე ის დაბადებულა 1230 წ., დაქორწინება რუსუდანისა „ორტულაშვილთან“ ანუ იკონიის სულტნის ყილიჯი-არსლან III-ის შვილთან მოგიდ-ედდინთან მოსდა „ორის (ანუ სამის) წლის შემდეგ“ ლაშას სიკვდილისა (ქ-ცხ. I, 351; Hist. G. I, 500—1), ე. ი. 1225 ანუ 1226 წელს; თამარ უნდა დაბადებულიყოს რუსუდანისგან 1226 ანუ 1227 წელს, და მაშასადამე 1228 წელს თამარ ერთის ან ორის წლისა მიუთხოვებიათ გაიათ-ედდინ ქაისოსრო II-ს თვის (იგივე ყაისდან), იკონიის სულტნისა, რომელიც იყო ბიძაშვილის-შვილი იმ როკედდინისა, რომელიც დაამარცხა თამარ-მეფემ ბასიანის ომში 1203 წ. (Hist. G. I, 500, n. 3). ამ ნაირად, ზემოხსენებული ცნობა „აფხაზთა ქრონიკისა“ გვაძლევს მტკიცე ქრონოლოგიურს ცნობებს, რომელნიც დიდად განირჩევიან ვახუშტის ქრონოლოგიისაგან და თვალსაჩინოდ უახლოვდებიან ბროსსესას.—ამ ნაირადვე მისდევს სხვა ქრონოლოგიაც რუსუდანის მეფობისა: გარნისის ომი 1225 წ.; ქ-ცხბით, სამის წლით შემდეგ ლაშას სიკვდილისა (ქ-ცხ. I, 349; Hist. G. 500, n. I), რაიცა სრულიად ეთანხმება სტეფანოს ორბელიანის ცნობას (Et. Orbelian: „Hist. de la Siounie Brosset p. 226;) თფილისის აღება ჯალ-ედდინისაგან 9 მაისს 1226 წ. და მეორედ აღება თფილისისა 1229 წ. Hist. G. I, 505; 508); ივანე ათაბაგის მხარგრძელის და ჩინგისხანის სიკვდილი 1227 წ. (Et. Orbelian, p. 225, Hist. G. I, 521, n. 9); ავაგის სიკვდილი მე-23 წელს შემდეგ ივანეს მიცვალებისა, ე. ი. 1260 წ. (Et. Orbel. p. 225; 232; Addit. 362);—ჯალ-ედდინისაგან საქართველოს აოხრება 1224—1231 წ. („შვიდს წელს“. იხ. ქ-ცხ. I, 355; 349Ft. Orb. p. 227; Hist. G. 507; h. 2; 509; n. 4); მონგოლების მეორედ მობრუნება განძაში 1230 წ. Hist. G. I, 511); ხოლო ქართლში 1238 წ. (Hist. G. I, 513, n. 1);—ჯალ-ედდინის მოკლვა მონგოლთაგან სეკდ. 1231 (Et. Orb. H. G. p. 511); შვიდ-წლოვანი ბრძოლა ალმუთელებთან—1245—1252 წ. (ქ-ცხ. I, 382, 371—5).

**1245 Ⴜ.—„ႵႭႰႭႬႨႩႭႬႱႠ :ႳႢႤ: ႣႠႱႠႡႠႫႨႧႢႠႬ :ႾႷႫႧ: ႠႵႠ ႰႳႱႳႣႠႬ Ⴋ῀ႩႣႠ (მოკვდა) ႣႠ ႫႠႱႥႤ ႼႤႪႱႠ Ⴃ῀Ⴇ (დავით) ႢႠႫႭႥႨႣႠ“ (აფხაზთა ქრონიკა).**

ორივე ცნობა ამ ქრონიკისა ახალია და მართალი. ვახუშტის ცნობით და ქ-ცხბით (I, 371) რუსუდან მოკვდა 1231 წ. მაგრამ ეს ქორონიკონი რომ მერე შეტანილი (XVIII საუკ.), ეს ცხადია იქიდამ, რომ იგი არ იპოვება მარიამ დედოფლის ხელნაწერ ქართლის ცხოვრებაში (წერა-კითხ. ხელნაწ. № 30) და მხოლოდ XVIII საუკუნეში დაწერილს ყველა ქ-ცხბაში იპოვება: 1231 წელს გარდაიცვალა ჯალ-ედდინ, მაშინ მპყრობელი ქართლისა და არა რუსუდან. რუსუდანის წერილი

პაპის გრიგოლისადმი 1240 წლის თარიღით ცხადი საბუთია იმისა, რომ ამ დროს ის ცოცხალი იყო. ბროსსეს აზრით რუსუდან მოკვდა 1248—1249 წლებში (Hist. G. 528, n. 5; Addit. 305; Et. Orbel. „Hist. de la Siounie p. 235—6); ხოლო ჩამჩიანისით —1247 წ., რაიცა უფრო უახლოვდება ჩვენის ქრონიკის ჭეშმარიტს ცნობას.

რადგან უასიდან ან გაასათ-ედდინ დამარცხდა 1243 წ., რომელსაც შეუდგა რუსუდანის დამორჩილება და მისის შვილის მონგოლებთან გაგზავნა, აქიდამ საგულის ხმოა ნარინის მონგოლეთში გაგზავნა 1243 წლის დასასრულს (Hist. G. I, 522, n. 3), ხოლო მისი მეფედ აღიარება მონგოლთაგან 1244 წ. (ibid. 528, n. 2).— ლაშას მის ულუ-დავითის გამოსვლა ჩვენის ქრონიკით მოხდა 2245 წ., რუსუდანის გადაცვალებისას; თუმცა-კი მისი განთავისუფლება შემდეგ არ ყოფილა რუსუდანის სიკვდილისა (ქ-ცგ. I, 377). რადგან ლაშას ძემ დავითმა ხუთი წელი დაყო ორმოში, ამისგამო პირველად მისი ორმოში ჩაგდება იქნებოდა 1240 წ. (ქ-ცხ. I, 369; 370); ხოლო ზღვაში ჩაგდება მისი ორის წლის წინეთ 1238—9 წელს (ქ-ცხ. I, 267—8; 377); მისი პირველად გაგზავნა უასიდანთან ყოფილა დავით-ნარინის გამეფების წელს, ე. ი. ჩვენის ქრონიკით 1236 წ. (ქ-ცხ. I, 356; 366);— გათხოვება რუსუდანის ქალისა—1237—8 წ. რადგან 1246 წელს ლაშას ძე დავით დაესწრო გაიაქის ტახტზე ასვლის დღესასწაულს, ამისგამო მისი მონგოლეთში გამგზავრება ყოფილა იმავე 1245 წ., როდესაც იგი განთავისუფლდა (შეად. ბროსსეს ანგარიშები: Hist. G. I, 537, n. 1—2). რადგან დავით-ნარინმა ხატაეთს (მონგოლეთში) ხუთი წელი დაჰყო (ქ-ცხ, I, 378), ამისგამო ორისავე დავითის საქართველოში დაბრუნება მოდის 1247—8 წელს (Hist. G. I, 542—3, ქ-ცხ. I, 380—1).

## 1236—1248 წ.— სინოდ. კანტორის სიგელი № 39.

ეს სიგელი (სიგრძით ერთი არშინი, ხოლო სიგანით $5^1/_2$ ვერშოკი) დაწერილია ტყავზე, მხედრულად, მე-XIII საუკ. ხელით, ხელოვნურად, მელანი გადასულია და ტექსტი სიგლისა ძლივსღა იკითხება, ხოლო რამდენიმე ნაწილი სრულიად ვერ გამოიცნობება. გარდა ამისა სიგელს თავი აკლია.—ამ სიგელში მოხსენებულია დემეტრე მემლეიმე, რომელიც სურამელის გრიგოლის და კ̃ზის ნიკოლოზის დროს სჩანან ამას ქვემო დაბეჭდილს სინ. კანტ. გუჯარში № 34, ხოლო ეს პირნი სცხოვრობდენ 1236—1248 წლის ახლო-ხანებში. გარდა ამისა ამ გუჯარში მოხსენებულია „ხუარაზმელთაგან (ე. ი. ჯალ-ედდინისაგან) მორბევა“ ქართლისა, რაიცა იყო 1225—1230 წლებში (Hist. G. I, 500; Et, Orbelian „Hist. de la Siounie, p. 226, ბროსსეს გამოცემით).

1) - - . . . . ესე დაწერილი მე დემეტრე -.- - მამამან ჩემმან ნიკოლოზ და ძმათა ჩემთა იოანე და გ̃ი დაგიწერეთ - - - ძმასა შენსა დ̃ნს (დანიელს?) და ყ̃თა მომავალთა თქუენთა, მას ჟამსა ოდეს ჩ̃ნისა გამზრდელისა ი̃ნე მთა-

კარებისკოპოსისა სამწირველო პ[ური]თა ჰქონებოდა დაწერით ჲ მათი აღარ ვინ იყო და უკაცურობ[ითა] და ჟამთა შეშლითა სახლი და საქონებელი ყუელაი დაშავებულ იყო, აწ თქუენდა მოგუიცემია მკუიდრად მამულად სახლი და პური უკვდავი და (ა)გარას ორი ვენაკი მიწიანი, სხალტბას ვენაკი და მიწანი და წყლის პირს ვაზნი კითხ[ვითა და] ნება-დართვითა სრულად მღუიმისა კრებულთაითა ესე ყუელა [გამზრდე]ლისა ჩ҄ნისა მისგან აშენებულისა ნათლისმცემლისა ეკლესია ჲ უშენი ჲ ხუარაზმელთა მოხვკასა შიგა ყუელაი მოიშალა და მას ჟამსა ესე გამოვარჩიეთ, რომელ მღუიმეს გქონდის ჩნსა [სამწი]რველოსა [სახლსა] ჲ [შაბათ] კუირეთა ჲ დღესასწაულთა ჩნსა ეკლესიასა შიგან ლირ - - იოვანე მთავარებისკოპოსისა და ჩუენთჳს კურტის (ბურცვის?) ჯ҄რის(?) - - თე - - ლგითი გაკაცრიელდეს ამავე საქმითა შენ გქონდეს ვენაკი და მიწანი რ҄ლიცა სხალტბას [არია]ნ ყუელანი აგარას გოგთური, გოთანო[ური], ბულახური გუთანი ერთი - - - სამი გუთანი მესხურისა მიწისაგან, გათანი ორი ამას რანიცა მიწისა მეტნი აგარას, თუ ჩემისა გუარისა კაცი არ იყოს მღუიმეს, იგიცა ამავე სახლსა მისაყენებელნი არიან ბოლოდ და რაიცა რუეთს ნასყიდნი არიან იგიცა გამზრდელისა ჩემისა და ჩემგან მოგებული ყუელაი საბოლოოდ ამა ეკლესიისათჳს მოგუცა (მოგუანიჭავს?). აწ გიბედნიეროს ღ҄ნ ერთგულობასა შინა ჩუენსა - - მებაობასა და - - ბერსა: საბასა და მამასა შენსა და მ - - - არა არა შეგეცვალოს ჩემ დემეტრე წირკნელისაგან, არცა ძმათა, ძმისწულთა და მოდგმათა ჩუენთაგან - - ამისი მოწამე არს ს҄დ კრებული. აწ ვინცა რაისაცა მიზეზითა შეუცვალოს, ჰრისხავსმცა ღ҄თი დაუსაბამოი. . . (წყევა:. .) და მის მთავარ(ებისკოპოსის) იოვანეს ჯუარითა:. და მადლითა და ვინ დაამტკიცოს (ღ҄ნ აკურთხოს)".

მერე ხელმოწერილია სხვა-და-სხვა პირთაგან, მაგრამ სრულიად გადასულა.

სათაური სიგლისა: „აგარული და სხალტბისა ნასყიდობისა და შეწირულობის სიგელი" (ეს მერმინდელის ხელით).

## 1236—1257 წ.—სიგელი სინოდ. კანტ. № 34.

ეს სიგელი (სიგრძით $1^1/_2$ არშინი, საგანით $5^1/_2$ვერშოკი) დაწერილია ტყავზედ მე-XIII საუკ. ხელით, მხედრულად. სიგელს თავი აკლია და რაც დარჩენილია, ისიც დაგლეჯილია და დაზიანებული. ამ სიგელში მოხსენებულნი არიან ისტორიულნი პირნი: 1) ე҄კი გრიგოლ მსახურთ-უხუცესი სურამელი (ქ-ცხ., I, 364—5; 377—8; 390—2), რომელიც უკანასკნელად მოხსენებულია ქ-ცხბაში 1257 წლის ახლო-ხანებში (გვ. 390—2), 2) კათალიკოზი ნიკოლოზ, რომელიც 1246 წლის ახლო ხანებში მონგოლეთში წავიდა და ყარაყურუმიდამ მოიტანა „იერლაყი" (ოქმი) საქართველოს ეკლესიის და სამღვდელოების სახელმწიფო ხარჯთაგან თავისუფლობისა (ქ-ცხ. I, 380; Hist. G. I, 541—2); 1280 წლის ახლო-ხანებში ნიკოლოზ-

მა კათალიკოზობა გარდასცა აბრაამს (ქ-ცხ. 418; 415; Hist. G. I, 599). მისი წინა-მოადგილე, როგორც სჩანს, ყოფილა გიორგი (იხ. ზემო, გვ. 93—8).

[ცხოვე]ლს მყოფელისა:. | - - მეტყუელისათა და | - - მღრდელთმო- - | - - - მამა ჩ̃ნთა იოანე (ი̃ნე) ბო - - | - - [მო]გაკსენეთ ჩუენ სრულიად მღუი- - | - - მნათემან თადეოზ და ყ- - - [სუ]რამელსა გ̃გლ მსახურთ უხუცეს - - აღვუშენენით წისქუილნი მტკუარსა ზედა სალოცველად დღეგრ - - თქუენისა თავისა ჲ იყიდეთ ჩუენგანვე ციხედიდს გლეხი ქავთარერი ნ - - - - მეწისქუილედ და ავიღეთ თქვენგან ფასი სრული . . . [თქ]ვენგან აღშენებულთა წისქუილთათვს საკაზმავად შემოსწირე წ̃სა შიოს და მის მიერ აღშენებულსა უდაბნოსა მღვმისასა სალოცველად და საკმარად სულისა თქუენისათვს, რომელი ყ̃თა დღეთა და ყ̃თა ლოცვათა გილოცვიდეთ და მოგიკსენებდეთ და ვითა წ̃ისა ევაგრესობითგან გუქონებია უცილობელად და უწყინელად, ეგრეთვე თქუენთა ჩამომავალთაგან გუქონდეს და არავის საქმე უც თქუენისა სახლისა ჩამომავალთა თუინიერ თქუენსა სულისაგან კიდე, რომელ სამსახურთა ამისთა სული თქუენი იკსენებოდეს წ̃ა ამას უდაბნოსა მღუიმისასა და ნუცა ვინ თქუენისა სახლისა ჩამომავალნი და მომავალნი შიგა დგომითა ნუკვევითა და სათხოველითა და სხუითა რაიმე აწყენენ და არცა რაჲ ვის საქმე უც და ვითა ციხედიდს სხუაი საქონებელი მღუიმისა არს შეუვალი, ჰაგრევე ესე ქავთარული თქუენგან ნასყიდი გლეხი შეუვალი იყოს თქუენისა სახლისაგან და მცხეთისა სახლისა ბეგარი თუით არცა რაი წინასა (წნისა—წინის?) ზედა სდებია და ვინაითგან თქუენითა ოქროითა თქუენისა სულისათუის გიყიდია, არცა რა ამას წალმა საქმე უც მცხეთის სახლსა შესავლობად არაის თანად არა და არცა რაი სათათროი გამოჰვიდოდეს: მალი: ყაფჩერი: სალაშქროი: და საიამე არასთანა გამოიღებდენ და წისქუილთა რაცა საკაზმავი უნდოდეს ესევე ჰკაზმიდეს და თუ რას წისქუილთა შიგა შეგუცდებოდეს, ჩუენ მღუიმელთაგან ეკითხვოდეს და ჩუენ გარდავაკდევდეთ და სამართალი თუ რაი იყოს ჩუენგანვე აიღებოდეს და წელიწადსა შიგა სამსა დღესა სამებაუსა(?) იქმოდეს და ხრილისა ნახევარი ჩუენი იყოს და ნახევარი ამა ჩუენის მეწისქუილისა იყოს და ვინ გინდა მოფქავი იყოს და ფქვიდეს, მისდი ნუ ვისი ნუ აიღების, თქუენისა სულისა სალოცავად ფქვიდეს ჲ მეწისქვილე ეგ ზომისა საპატიოსა აიღებდეს რ̃უმე (sic) ერთსა ეყოფოდეს ჲ ენკენიას და წელიწადის თავს მემღუიმეს ძღუენსა მოართუმიდეს სამსა სქელსა პურსა და ერთსა კორჩხალასა ღუინოსა და სხუებრ არაი გამოჰვა, რაიც არ დაგუიწერია ამისგან მეტი; და გლეხსა არ სუხრაუბაი, არ გენდგაუბაი, არ მოწიგნოროობაი, არ საბანჯრე, არ საკმარი და არაისთანაი არა. ვინც ესე თქუენგნით გაგებული შეცვალოს, შემცაიცვლების სჯულისაგან ქრისტეანეთასა და ჰრისხავს - - - სული წმიდაი და კრულმცა არს ღ̃თისა პირითა. . . (წუქვა გრძელი).

სხვა ხელი მეტად ლამაზი, მხედრული:

„...ესე ვითა... დაუწერია... დიდის მსახურთ უხუცესის გრიგოლ სურამელის

სალოცავად... დაუწერია... ჩუენცა გლახაკი ქ῀ეს მიერ ქართლისა (sic) კ῀ზი ნკ῀ლოზ (ნიკოლოზ) მოწამე და დამამტკიცებელი ვარ... (წყევა-კრულვა).

სხვა-ხელით, მხედრულად: «... მე დემეტრე მოძღუარი მოწამე და თანადამკდომი ვარ»... (წყევა).

სხვა ხელით, მეტად ლამაზით: „ესე ვითა სურამელსა გგ῀ლს მსახურთ უხუცესსა მათისა სულისათჳს მლვმელთა წისქუილნი აუშენნა და მლვმელთაგანვე გლეხი იყიდა მეწისქჳლედ და მათვე მლვმელთა შესწირა სახელდებით ქავთარელი, მე ქ῀ეს მიერ ქ῀სა (ქართლისა) მ῀კსი (მთავარეპისკოპოსი) გ῀ი მოწამე და დამამტკიცებელი ვარ"... (წყევა).

## 1246—1250 წ.—სიგელი მეფე-დავით-ნარინის დროისა.

გელათის გუჯრებში ჩვენ ვიპოვეთ სიგელი №№ 49 და 8978 დაწერილი წარჩინებულს ტყავზე (ეტრატზე) გელათის დეკანოზის იაკობის ხელით, რომელიც სრულიად ჰგავს ზემო დაბეჭდილს თამარ მეფის მწიგნობრის იაკობ აწრელისძის ნაწერს (იხ. ზემო გვ. 80), რისგამოც ჩვენ ერთპირად მიგვაჩნია ორსავე აღნიშნულს სიგლებში მოხსენებულნი მწერალნი, თუმცა უნდა ვიფიქროთ, რომ 1246 წელს იაკობ მოხუცებული იქნებოდა. ამ სიგელში მოხსენებულია რამდენიმე გელათის მამულები და ხატები. ეს ერთად-ერთი სიგელია თ ვ ი თ-ხ ე ლ ი დავით-ნარინის დროისა, ჩვენს დრომდე მოღწეული და მით უმეტეს საყურადღებო. ქვემო ჩვენ ჩავურთავთ სამსა იმავე მეფის სიგელებს, რომელთა პირი (და არა თჳთ-ხელი) ჩვენ ვიპოვეთ იმავე მონასტრის გუჯრებში.

ქ: სახელითა ღ῀თისათა და ნებითა ყ῀დ წმიდისა ღ[თისმშობელისა]თა | ცხოველსმყოფელისა და პატიოსნისა ჯუარისათა, წ῀დათა ზეცისა ძალთათა | და ყ῀თა წ῀თა ღ῀თისათაჲთა ღ῀თისა სწორთა პატრონთა რუსუდანის ძისა დავით | მეფეთმეფისა წყალობითა მათად სადიდებელად და სულისა ჩემისა სალოცველად მე | დიდის მონასტრისა დეკანოზმან იაკობ (ეს მწიგნობარი თამარ-მეფისა იხ. ზემო გვ. 61) გავაჩინე ესე: პირველად ხატი მაცხოვრისა: მოჭედი ბერძული, კარედი ხატი ხახულისა ღთისმშობელისაჲ თუალიან მარგალიტე[ბია]ნი მინითა, მისითა კუბოითა, ესე თჳთ ხახულისა ღთისმშობელსა წ῀ე სასუენებელად მომიჴსენებიან. მამული ჩემი მკჳდრი პატრონთაგან ბოძებული მაღლაკს აბანოისა სახლი პირველცა სადეკანოზოდ შემექნა, თხუთმეტითა ლიტრითა ზეთითა ხახულისა ღთისმშობლისათუის შემეწირა და აწცა ვითა მომიჴსენებია, განაღამც ჰაგრევე მას ჰმსახურებდეს: მისსა სახლს აქაით ქიჯგუს ძე :῀ა: ვაშაბერისძე :ა: ფარსმანყანევს ხაკოსძე :ი: (ა?) მათითა მიწა-წყლითა, ტყითა, ველითა, სანადიროითა, საკმარითა და უკმრითა ყოვლითა; სამნი პარტახნი რომელთაგან გამოსავალნია: გუჯაბაური, დერუცული (დერჩუტული?), ქორაული, ჯისალაური, ზარათს ღ῀თისა სწორთაგან ჩოქითა ბოძებული ნასყიდი

ხოელისძისეული მამული, სასახლე, ზედა ჩემი გაზდილი დავასახლე და მითურთ გლეხნი კუამლად შუიდნი: არსენისძისა სახლი :ა: გოგლისძისა :ა: ტირღილუსძისა :ა: ღილუსძისა :ა: ჯუაროსა :ა: ჯაჰლოისძისა :ა: ეკლესიითა, ტყითა, ველითა, წისქუილითა, სანადიროითა, საკმრითა და უკმრითა ყუელაითა. არგუეთს ზენს-კანდეს (ზენასკანდას?) ნასყიდსა მამულსა ზედა მემშუილდე დავასახლე კუამლად :ა: ტყირბულს: ბოგუერაისძე ხუცესი აღბუღოისაგან მისსა (აქ გადაკრებულია მეორე ტყავის ფურცელი), პირველად კარგად ყოფასა შიგა მოცემული. მონაზონთაგან არ ვითამე კამს, მაგრა მიზეზი იყო ჩემსა და მას შუა შეუყრელობისაი და შესაყრელად მომცა კელმოკსნით სამნი გლეხნი ნასყიდნი რაჰას, ქორთას, ღავთუსძე, მიქაისძე და დათუისძე; ორნი მეხურს: ევთქისძე და ბერნისძე. ამათ ყუელათა გლეხთაგან სხუასა ბეგარასა აქაით ოცდა ოთხი ლიტრა ცუილი (ცჳლი) გამოვალს. ზარათელთა გლეხთა გამოჰვალს მონასტრულითა დიდითა კოკითა თურამეტი კოკაი ღუინი და :ა: გრივი ქურამი (?). მაღლაკელთა და ფარსმანყანეველთა გლეხთაგან გამოვალს სამი ურემი ღუინი უპარტახტოდ და ტყისაგან მოდი რაიცა მოვალს: იფქლი, ფეტვი და ღომი და ამათ ჯუმლათა(?) ოთხ-ოთხი თეთრი საყაჰობოი ზედა აც. — ამას ჩემგან სასოებით ქმნილსა და ხახულისა ღთისმშობლისათუის მოკსენებულსა და შეწირულსა ღ~თისა სწორისა მეფეთ-მეფისა დავითის სადიდებელად და ჩემ მიწისა მათისა დეკანოზისა იაკობის სალოცავად და საალაპედ გაჩენილსა ვინც ამასად შლად კელყოს გინდა დიდებისა მქონებელმან, ანუ დიდებულმან და აზნაურმან, ჰრისხავსმცა მამაი, ძე და სული წ~ა, ესე ყ~დ წ~ა ღთისმშობელი ხახულისა, . . . . - - - (ბოლო აკლია. მეორე მხარე ეტრატისა ცარიელია და მხოლოდ მე-XVI საუკუნის ხელით ხუცური წარწერა აქვს: „სიგელი: ქ~ე: მეფეთ-მეფისა ღ~თ-აღმაშენებელისა:?).

---

**1230—1250** წ. ამ წლებს ეკუთნის ქვემო დაბეჭდილი წარწერება ხობის და მარტვილის ხატებისა, რომელშიც მოხსენებულნი არიან ისტორიულნი პირნი XIII საუკუნისანი:

ა) ხობის ღვთისმშობლის ხატის ზურგზე ასომთავრული წარწერა:

1) „მშობელო სიტყვსა ღ~თისაო, ყ~დ წ~ო ღ~თისმშობელო, ადიდე შენ-მიერითა დიდებითა ღ~თივ გჳრგჳნოსანი ძილიერ (sic) და უძლეველი მეფეთა-მეფე დავით, ძე რუსუდანისი. ჵ ყ~დ წ~ო ღ~თისმშობელო დედოფალო, შემწე და მეოხ და მფარველ ეყავ გულს-მოდგინედ მამკობსა წ~ისა და პატიოსნისა ხატისა შენისა ე(რისთავთ)ერისთავსა მანდატურთ უხუცესსა ბედიანსა დადიანსა და დიოფალ-დიოფალსა (sic) ხვაშაქსა, რომლისა შემოწირვითა მოიჰედა ზურგი ესე“ (ხვაშაქი, ასული ბეგა სურამელისა და ცოლი ბედიანისი, იხ. ქვემო).

იმავე ხატის პირზე ძველის X საუკ. ასომთავრულით წარწერილია მოხსენება სულისა ლეონ მეფისა, რომელიც როგორც უკვე განვმარტეთ, იყო აბხაზთა მეფე („ქრონიკები“, წ. I, გვ. 90—1).

იქვე მაცხოვრის დიდს ხატზე ასომთავრული წარწერა:

2) „ყოველთა ღმერთო, ქტისტე, ღ͠თისა სიტყუაო, კაცთა ცხოვნება და მოწყალებათა კაც ქმნილო, შენისა ხატისა სურვილით მამკობელი კახაბერისძეთა ასული თეონილა, ზვიადის დედა, მარჯვენით შენსა დგომად ღირს მყავ სასუფეველსა შენსა. ა͠ნ".

და ზედვე, ოდნავ გარჩეულის ხელით:

3) და აწ მოწყალებითა შენითა მყოფთა, პატრონთა დადიანისა სახლისათა ნათელს (ნათელას) შეუნდვენ და იხსენ ყოველთა განსაცდელთაგან, და მასვე პირველ (პ͠ლ) შემამკობელსა ხატისა ამის შენისასა ნაწილსა თანა მარჯვენით შენსა მდგომელ (დგომად?) დააწესე იგი და ძე მათი :ვ͠ნ: (ვარდან) დადიანი (და) მანდატურთ უხუცესი ბედანი დადიანი და ცოლი მათი ბეგაისა ქართლისა ერისთვის ასული ხვაშაქი და ძენი მათნი: ერაშაჰრი, გ͠ი (გიორგი) და ივანე მსგავსად მოწყალებისა შენისა დაიცვენ ყოველთა სავნებელთა სულიერთა და კორციელთაგან და ყოველნი ჟამნი ცხოვრებისა მათისანი წარვამართენ (წარუმართენ?) სათნოდ ღმრთაებისა შენისა ცხოვრებულთა. ქ͠ე, ძეო მღრთისაო, და - - - მრთებისა (წარმართებისა?) მისისა (ქვემოთი, მოშორებით) და განმაახლებელსაცა შენისასა ბერსა ათანასიას შეუნდვენ.—

ამას ხატსა ზედა იყო ორას ოცი ვეცხლი; აწ რვაასი ვეცხლი; ოთხმოცდა-ათი ოქროი დრამისა წონაი". (ეს წარწერები იხ. Rap. VII, 40—8).

4) მეორე ღვთისმშობლის ხატზე, ასომთავრულად:

„სამ-მნათობიერსა ერთ-არსისა და სამთაგან ერთ-არსისა, შენ-შორის შეწერილ-ქმნით კორც-შესხმით კაც-ქმნილისა სძალო, ქალწულ-დედაო ქმნადთამიერ ჩემთა აქაცა დასჯილი და ბრალთაგან დანთქმული, საუკუნოდ უღირსი შენდობისა ხვაშაქი უნდოთა ამათ წვლილთა წილ ვითხოვ, რათა არა შორ მყო შეწევნისაგან შენისა სასჯელსა ძისა შენისა მიერსა".

5) ხოფის სამხრეთის კედელზე შიგნიდამ დასავლეთ-სამხრეთის კუთხეში დახატულია კაცი გრძელის და ჭრელ ტანისამოსით წვერ-ულვაშიანი და ბეწვისად შემკულის ქუდით: ამის გვერდზე გამოსახულია ქალი და მათ შუა ყმაწვილი 8—10 წლისა. ამ ნახატებს აწერია ასომთავრულად: „ერისთავთ-ერისთავი შერგილ დადიანი. დედოფალთ-დედოფალი ნათ[ელა]. ძე ამათი ცოტნე". (ამ პირთაგან ქ-ცხბაში ცნობილია მხოლოდ ცოტნე, დიდად შესანიშნავი გმირი XIII საუკ. 1245—1250 წლებში: ქ-ცხ. გვ. 364—5; 371—2).

ესვე შერგილ და მეუღლე მისი დედოფალი ნათელ მოხსენებულნი არიან პატარა მაცხოვრის ხატის წარწერაში, რომელშიც ჩასმულია თამარ-მეფის გულ-საკიდი ჯვარი (იხ. „ქრონიკები" I, გვ. 268—9). ზემო მოხსენებული კედლის მხატრობა და წარწერაც ვერ შეუნიშნავს აკადემიკოსს ბროსსეს და ვერც უკანასკნელი წარწერა აღმოუკითხავს სრულად, ხოლო თამარ-მეფის გულზე-საკიდი ჯვარიც მისის წარწერებით ერთ აღუწერელი დარჩენია, Rap.,40—48). ეს გარემოება გვქონდა ჩვენ სახეში, როდესაც ამას შევეხენით („ქრონიკები" I, 268—9), და არა „ბროსსეს შრომის დამცირება", როგორც უსამართლოდ გვაბრალა ჩვენ ბ-ნ ს. ლოლობერიძემ (იხ.

მისი თარგმანი ბროსსეს ისტორიისა). ბროსსეს სახელად (ჩვენ-კი სირცხვილად) ისიც ეყოფა, რომ მან, ფრანცუზმან (ჲ არა ქართველმა) ამ საუკუნეში პირველმა ხელი მოჰკიდა და აუარებელის შრომით ნათელი მოჰფინა ჩვენს სახელოვანს ისტორიას, რომელიც ყველაზედ უმეტესად მივიწყებულია და გმობილი (როგორც ყოველივე ქართული) ჩვენის წინანდელის გადაგვარებულის უგულ უსულო-უიდეალო ვითომ-და ინტელიგენციისაგან, რომელთაც ყოველივე უცხოეთური შეუძენ-შეუთვისებიათ, გარდა თვისის ერის და ეროვნობის სიყვარულისა. ყოველს კეთილს და სატრფიალოს უსათუოდ თან-მისდევს ნაკლულევანებაც, როგორც ბროსსეს ნაშრომსაცა; და ჩვენგან (თუ სხვისგან) ნაჩვენები თითო-ოროლა ნაკლი მისს სახელს ვერ დაამდაბლებს და ვერც სამშობლო ისტორიას არას აკნებს. ბროსსეს რომ ვერ ამოუკითხავს ხატზე სახელი ნათელასი, შერგილის ცოლისა, არც კედლის წარწერაში სახელები შერგილ-ცოტნე-ნათელასი, ეს ვერ დაამდაბლებს მისს შრომას, რადგან მგზავრს ადვილად დარჩება ბევრი რამ შეუნიშნავი, და უთუოდ ჩვენც ბევრი რამ შეუნიშნავი დაგვრჩებოდა.

6) ამავე ტაძრის წინა-სვეტებზე დახატულნი არიან ორნი მღვდელ-მთავარნი წარწერით; „კ̃ზი ილარიონ“; „კ̃ზი ნიკოლოზ“.

7) მარტვილის ძვირფასს ღვთის-მშობლის ხატზე, რომელიც გაუფუჭებია საბინ-ღუსს მხატვარს, აქვს ზურგზე შემდეგი ასომთავრული წარწერა, ფრიად დაზიანებული გადამკეთებელისაგან:

„- - - - მამასა ღ̃თისა სულით წმიდით - - - არსებით არს ქმნილსა- - - მცირეთა ნივთთა მომძღუანე აღსამკობად უდუ: ლელა: ჲ შევრდომით მო[ივს]ენე მათთვს, რომელი საწუთროსა ლხინ ჰყუენ ჩემთვს შვილითურთ ზვადი და გიორგი იოხენ დედოფალო.

აქ მოხსენებულნი უდუ, ლელა, ზვიადი და გიორგი უნდა იყვნენ ძველი დადიანები XI საუკ.

8) იქვე: „† ჵ უბიწოო ღ̃თის მშობელო ქალწულო ოდიკტრისაო, ბრწყინვალეო სახეო, მოქენე ესე შენდამი წყალობისა ახლად მამკობელი კნინთა მიერ უღირსი მანდატურთ-უხუცესი ბ[ე]დანი დადიანი და მეუღლე (მისი) ვითხოვ მე უღირსი ხვაშაქი, ქართლის ერისთავისა (ბეგასი) ასული ძითურთ გიორგით და ივანეთ, გვიოხენ ყ̃დ უხრწნელო, რაჟამს დაჯდეს ძე შენი განკითხვად დღესა მას საშინელსა...

9) ათონის აღაპებში, 1074 წლის ხელნაწერში, № 153, ჩაწერილია იმავე ხელით, რომლითაც ჩაწერილია თამარ-მეფის სახსენებელი (იხ, „ქრონიკები“ I, 270) „თ̃ა ივლისსა :ბ: დადება სამოსლისაჲ ყ̃დ წ̃ისა ვრაქერნას. ამას დღესა განუწესეთ აღაპი ვარდანს (დადიანს?), კოსტანტინეს ძესა და მეუღლესა მისსა მარიამს ჲ შვილსა მისსა გიორგის: მოსცეს ეკლესიასა პ̃პჲ (პერპერაჲ) :ოა: ჲ სამი ზოლოო ორხაოჲ... (გარდაისდიძენ) ვითარცა შემომწირველთათვს, რომელთაჲ შემოუწირავს :Ⴓ: დრაჰკანი“.—თამარ-მეფის დროს მართლა სჩანს ვარდან დადიანი (ქ-ცხ. I, 269; 276- 281); დადიანების უმთავრესი სატი იყო კლაქერნი-

სა (ბედიისა) ღვთისმშობელი, რომლის დღესასწაულის დღე განგებ აღაპად განუწესებიათ ვარდანისთჳს, ალბათ, როგორც დადიანისთვის.

10) ცაგარლის „Каталогъ груз. книгъ Синайскаго монастыря“ № 53-ში ჩაწერილი შემდეგი აღაპი: „მოხსენებისათჳს და განსვენებისათჳს დადიანისა ბერგლისა შ͠ს ღ͠ნ. მისსა მეუღლესა ნათელს შ͠ს ღ͠ნ“.—ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ ეს წარწერა შეცდომილად აღმოკითხულია: „ბერგლის“ მაგიერ ეწერებოდა იქ შერგილ, რომლის ცოლს, როგორც უკვე დავამტკიცეთ, მართლა ნათელა ერქვა.—შერგილ დადიანი მოხსენებულია მარტვილის ხვთისმშობლის ხატის წინ გაკეთებულს მარმარილოს ჩარდახის წარწერაში.

ამ ნაირად, ზემო მოხსენებული წარწერები ახალს ცნობებს გვაძლევენ დადიანთა შესახებ: უდუ (და ცოლი მისი) ლელა უნდა ეკუთნოდენ ბაგრატ III დროს; თეონილა კახაბერიძის ასული (წარწერა № 2 კახაბერი X—XI საუკ. იხ. ზემო გვ. 44, შენიშ.) უნდა იყოს პირველი ცოლი უდუსი და დედა ზვიადისი (ლელასგან უნდა იყოს ნაშობი გიორგი); ზვიადი სჩანს გიორგი I-ის მეფობაში (ჩემი «ქრონიკები» I, გვ. 156): ივანე დადიანი—ბაგრატ IV-ის მეფობაში (ქ-ცხ. I, 225); კოსტანტინე—დიმიტრი I-ის და გიორგი II-ის დროს (წარწ. № 9); მანშე - გიორგი III-ის დროს; ვარდან და ცოლი მისი მარიამი და ძე მისი გიორგი (კოსტანტინეს ძე: № 9)—თამარ-მეფის დროს; შერგილ და ცოლი ნათელ—ლაშას დროს (წარწ. №№: 3; 5; 10); ამათი შვილი ცოტნე—რუსუდანის დროს და ცოტნეს შემდეგ უნდა ყოფილიყვნენ ბედიან-დადიანი ჯუანშერის ძე (ქ-ცხ. I, 392; Hist. de la G. I; p. 560); ბედიანის ცოლი ხუაშაქი, სურამელ ერისთვის ბეგას ასული (წარწ. №№ 3; 7; 4)—დავით-ნარინის დროს;—ამათნი ძენი: ერაშაჴრ (№ 3), გიორგი და ივანე (№№ 3; 7). ეს ის გიორგი უნდა იყოს, რომელიც დადიანად დასვა გიორგი-ბრწყინვალემ, †1323 წ.

ეს ცნობები დიდად სცვლის და ავსებს ბროსსეს გენიალოგიას (Hist. de la G. I, 560; 546; 385; 646 Кар. VII, 44): შემდეგის დროის დადიანები ცნობილნი არიან.

## 1259 წ. რკონის სიგელი.

სინოდ. კანტორის საბუთებში დაცულია მხედრულად ნაწერი ტყავის გრაგნილი № 46 (ხვა №№: 2,4), სიგრძით 9 არშინი და სიგანით $5^{1}/_{2}$ ვერშოკი. სიგელს თავი მოგლეჯილი აქვს და გვერდებიც აქა-იქ მოცრცნილი. რამდენიმე ნაწილი სიგლისა ჩვენ აღვადგინეთ აზრთა მიმდინარეობით და დიდს ფრჩხილებში ჩავსვით, ხოლო სხვა აღვადგინეთ იმავე საბუთებში დაცულის მე-XVII საუკუნის ხელით დაწერილ მისის პირითა № 485, რომელიც (პირი გუჯრისა და არა თჳთ ასლი) ბროსსესაც უნახავს და მისი ფრანგული თარგმანი შეუტანია თჳსს Hist. de la G. II, II, გვ. 452—9. სიგელში მოხსენებულნი არიან უმეტესი ნაწილი იმ-დროის ისტორიულ პირთა, რომელნიც დასახელებულნი არიან ქ.-ცხოვრებაში, და მათის საკუთარის ხელის წარწერით დამტკიცებულია სიგელი.

სიგელი მიუცია მეჭურჭლეთ უხუცესს კახა თორელს ანუ ახალ-ქალაქის ერისთავს (მოხსენებულს ქ.-ცხოვრებაში I, გვ. 390—2, 1257 წლის ახლო-ხანებში და გვ. 408) რკონის მონასტრისათვის, რომელიც ეხლა დარღვეულია და მისი ნაშთი კასას სურათითურთ ჯვარ-კარდე იშოვება ახალ-ციხის ახლოს (იხ. ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 198 და რუკა № 2, სადაც რკონი შეცდომით დასახელებულია „რეონი“-დ).

სიგელი დაწერილია შემდეგ კახას დაბრუნებისა ბაღდადის ლაშქრობითგან, ე. ი. შემდეგ 1258 წლისა, როდესაც ქართველ-მონგოლთა ლაშქარმა ბაღდადი «გასტეხეს» და დაიპყრეს (ქ ცხ. I, 385 Hist. Gé. II, II, გვ. 549, ი. 5). ამის გამო სიგელი უნდა დაწერილიყოს 1259 წლის ახლო-ხანებში.

შინაარსი სიგლისა მრავალ-მნიშნოვანია და ამის გამო შეუმოკლებლად ვბეჭდავთ.

[მადლითა და წყა]ლობითა დადებულ[ისა და ყ~დ ქებულისა ღ~თის | მშობელისა]თა და უმე[ტეს] ლ - - - | - - - ა დიდება (და) მეოხებ[ითა ყოველთა წმიდათაჲთა] | - - - რომელთა აჩუენეს ს - - - | დიდთა და განეკუთნნეს- - - | (ყ)ლ~თა - - თაჲთა რომელნი სა - - | და სათნო - - ღთისა ჩუენისად - - | (ც)ათა და - - - ესე დაწერილი [დაგიწერეთ და მოგაჴსენეთ] | თქუენ [რკონ]ისა ღთის]მშობელსა: სას[ოსა და მფარველსა ჩუენსა მე] | კახამან და (თანამეცხედრემან ჩემმან [1]) ხათუთამან: შვილი არ გუეს[ვა და ვიყიდეთ (სოფელი) ხოვლე თქუენ]|თჳს მემამულეთა ალბულაჲსგან [2]): და მისთ[ა შვილთაგან გას|ყიდულნი ვითა] თუით დაწერილნი მათნი თქუენს წინაშე დაგ[უისხმან] | [ორტაღთა] [3]) ზედა გასყიდულობისანი და მათგან ჩუენ ვიყიდეთ: მ[ათ ჟამთა დია] ქუეყანანი დაისყიდნეს ხარკობისაგან ოქროჲ ძუირ[ად] | [იყვის და] სოფელი: იეფად [4]): პატრონმა მამამან ჩემმა ეზაჲმი მამული დამ[იგდო რომე თუმცა] სხუა რომელი მამულისა სოფელი შემომეწირა: ესეც: კელ[მეწიფებოდა] მაგრა თუ შვილი მომეცემის მას არ ვემართლები: და [თუ შვილი არ მომეცე]მის: ჩემთა: ძმათა არ უზმიდი: და ჩემგან: ნასყიდი: უკეთე [დაგრჩებოდა.— მას ჟამსა ოდეს] ბაღდადი გატეხეს თათართა [5]): პატრონ[მან აფხაზთა მეფემან ულაოს] [6]): წი-

---

[1]) მცირე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები ჩვენგან დამატებულია.

[2]) შეიძლება ეს ალბულა იყოს დავით-ნარინის სიგელში მოხსენებული ალბუღოი (იხ. ზემო, გვ. 129).

[3]) იარტაღი ბროსსეს განმარტვით არის „მოვაჭრეთა საზოგადოება“ (Hist G. II, II, p. 452. n. 4). საბას ლექსიკონით კი „ჴროარტაგი არს მეფეთა მინაწერი ბრძანება, შეუცვლელი“ (ის. სიტყვა „წერილი“).

[4]) ქ.-ცხბაც (გვ. 386) ამას ეთანხმება, რომ 1254 წ. მონგოლებმა დიდი ხარკი დაადვეს საქართველოს. ის. აგრეთვე სტეფანოსის Hist. Siounie.

[5]) ეს მოხდა 1258 წ.; ქართველნი პირველნი შევიდნენ ბაღდადს და ფრიად გამდიდრდენ (ც. ცხ. I, 385—6) „ბაღდადის ნაშოვნის ფულით“ მრავალი ეკლესიე-

ნაშე გამგზავნა: მოციქულად: მაშინ ბალ[დადური ა]|ლაფი ყუელაჲ: იეფად
იყო და მე არა მქონდა: სასყიდელი: წავიდი ორტალთაგან ლარი ჲ თეთრი ავი-
ლი: ვიარებოდი: და ვიყიდდი თუალსა | მარგალიტსა: და ზარქაშსა [7]): ორტალ-
თა: მათი: კეთავე მივსცი და მე შიგა | ეზომი დამრჩა: შენითა წყალობითა:
რომე ხოვლისა ფასი მითა: მოვიგე: და | ვიყიდე ხოვლე ხოჯა სალამის ცო-
ლისა და შვილისგან: ნახევარი: და ნახევარი | ჰასან: სუმბატისძისა სომეხისა-
გან: და იოსებ ბულბაფაისძისა: ჰურიისაგან: მა|თ სამოცდა ხუთი ათას თეთ-
რად ეყიდა: ალბულასგან: და მისთა შვილთაგან | ვითა: დაწერილთა: შიგა:
სწერია: და აწ მე მივეც: ფასი: სრული: და ჰასრე მიმ|ჰირდა იმისსა: სყიდა-
სა: შიგა: რომე ზოგი: მათ მომსყიდელთა: წამიღ|იან: იეფად: რაიც ხუთი ათას
თეთრად: ღირდის ორ ათასად: ძლივ დავაჰირვინი: და ზოგი: სხუაგან: დიდე-
ბულთა ზედა: გავყიდი: რაიც ათი ა|თას თეთრად: ღირღის: ხუთი ათასად:
ძლივ: გავყიდი: და ეგრე: გარდა|ვეც: ყუელაი: და არა ვისი: წამიგია: ამას
შიგა: რომე ასი ცხუარი: და ექუ|სასი: თეთრი: პატრონმა: მამამა ჩემმა: მი-
ბოძა: და მისთუის: მწირველი | გამიჩენია: მისითა: წყალობითა: დია მქონდა:
მაგრა: ამის მეტი: არა წამიგია და ჩემთუის: სიკეთისათუის: ხუთასი: თეთრი:
ბიძამ: ჩემმა: მაბოძა: და | ერთნი: ჯუბაჩანი [8]): საჰმადავლა: სხუაი: არაი ვისი
მომიკმარებია ხოვ|ლის ფასს: შიგა: არც მამეულისა არც დედულისა: არც
[სხუა] | რა გუარისაი: ამა ზემოწერილთა: მადლმან: ჲ მან ღღემა: რომლისა | -
თუის: შემოგუიწირავს და არამად შემოგუიწირავს: თუ შვილი | არ გვვისო:
თუ მოგვეცეს ეგრეც: თქუენდა: მოგუიკსენებია: ჩემის სულისათჳს: მიყიდია:
და არავის: საქმე უც: | ხოვლეს: გუერდით: [არცა] შვილსა: და არც:
ძმასა: და თუ შვილი: | მომეცეს: და ერთიც: სოფელი: არლა ქონდეს:
და გამოძებულიც სით მოვიდოდეს: დასაჰირავად: ანუ მო|საკმარებლად: ში-
გაც ვერ გაიაროს: და თუ ტყუედაც ვინ ჯდეს: ჩემის გუარის | კაცი: მითა:
ნუ იკსნების: და თუ ღმერთი (ღ̃თი) შეგურისხოდეს და აფხაზთა მეფეთა არაი: |
შეცოდებაი: შემოუვიდეს: თუ მონასტერს: და საფლავთაც: დათხრას: ემარ|
თლებოდეს: ხოვლეს: ნურაი მაშინ კელი მიჰყოს: ღმერთმან (ღ̃თმან): მას აფ-
ხაზ[თა მეფე] ჰკითხოს: ამას ყოფასა: და მას საუკუნეს: და თუ მე რაი: შე-
მეცოდოს: თუ ცოცხალი | ვიყო: ცოცხალს გარდამაკდევინონ: და თუ აღარ
ცოცხალ ვიყო: ჩემნი ძუალნი: ძაღლთა: მიუყარნენ: და სხუითა მამულითა
გარდამაკდევინონ: ხოვლესთან | ნურცა რაი: ეგრე: საქმე უც: ჲ რა გინდა ვალი:

---

ბი აუშენნებიათ და განუახლებიათ ქართველთა (იხ. ქვემო გუჯ. აბულეთის მეთა №).

[6]) ულაო ანუ ულო იყო მეფე მონგოლთა 1250—1264, ასიის მმართველი (ქ.-ცხ. 379—391).

[7]) ზარქაში — ოქრო-ვერცხლეული, „სირმასა და მესირმესა ჰქვია“ (საბა)

[8]) ჯუბაჩა იხ. ზემო გვ. 44—49.

ანუ დაჭირება: დაემართოს: ჩემ|სა გუარის: კაცსა: ვითა: გიშელთა: და ფანასკერ-ტელთა: მამულსა თანა [9]): არაი საქმე უც: ეგრე|ვე ხოვლესთანა არაი საქმე ედვას: ჲ თუ ბერთა: არა სწადდეს: ვერცა ვინ ერთი ღამე გაათენოს: შიგა ჲ ნ უც ვინ: იკუე-ბის შიგა რაიზომ გინდა ვინ: მორჭმული ჲ მ|ძლავრი: იყოს: ანუ ბედითი: ჲ დავარ-დნით: მოგუიკსენებია: სოფელი ხო|ვლე ზურითა, ხოდაბუნითა: ტყითა: ვე-ლითა: წყლითა: წისქუილითა: და ყოვლითა სამართლიანითა: ზღვრითა: საკმ-რითა: | და უკმრითა: და სოფელი სამსახურითა და ბეგრითა: ვითა მე გამიჩე-ნია: ორი მიწაი: მეტეხთა: ღ̃თის მშობლისა: იყო შეწირული | ბეყეურეთი: და გორგაითი: მათ კიდე გაეყიდა: და მე ეგრეც: მეტეხთა: ღთისმშობელს: მოვაკსენე: | ჩემის სულისათჳს: მორბედის ძის მიწაი: ვარძიის: ღ̃თისმშობლი-სა: იყო: შეწირული: და მასვე: მოვაკსენე: ხოხალა|ისძე: და აბესასძე: კავ-თას შეწირულნი: იყუნეს: და მასვე შევსწირენ: ესენი ბეგარს: რაითაც: შეწი-რულნი: არიან: მუნ მიიღებდენ: ჲ სამართალი: ჲ მამითადი განაღამცა: თქუე-ნივე იყო: შეწირული: ნებიერი: და სიგლოსანი: ერთობ ყუელაი: მიყიდია: ვითა: მათთა: დაწერილთა: შიგა: სწერია: და გავაჩინე: ესრე რომე: სამას სა-მოცდა ხუთი: დღე არს წელიწადსა: შიგა: და ამისგან: ოცდა ხუთი: დღე გა-მოვილე: მარხვათა: შიგა რომე ჟამი არ იწირვის: მისთჳს: და სამას ორმოცი თეთრი მოვიდოდეს: წელიწადსა: შიგა: ყოველთა: დღეთა: ჩემსა ეკუტერსა: შიგა: ჩემს: ბარძიმს და სიწმიდის: სამსახურსა: ზედა: თჳთოი: მოლაზონი: რიგ-მოღებით: ჟამსა წირვიდეს: ვისიგინდა: მწირველი იყოს: და თეთრი მიეცემო-დეს: თეთრი: მეეკუტრის: ჩემისა: კელსა: ეკუტერსა შიგა ჲ ვისდა ეგრე მიე-ცემოდეს: და თუ მონასტერსაც რადმე არავინ ღირს იყოს: წირვი-სა: მას დღესა: თუ გარეთცა შემოიყვანენ: მწირველსა: ნუ დაგუაკლებენ: წირვასა: და ვინც: დაგუაკლოს: ღმერთმან გამოაკლოს: სასუფეველსა მისსა: და ამას: ორს დღეს: ჩემთჳს წირვიდენ: და ერთსა: ჩემისა ცოლის: ხათუთას-თჳს: მერმე ვისი გინდა: ალაპი იყოს: ყოველთავე დღეთა: რაიც ტრაპეზს: დე-ბოდეს: მოწილე: თჳთოი: დიდროანი: სეფისკუერი სამინდეს [10]) და თჳთოი: დიდროანი: მოხეული: ჭიქაი: [11]) ჩაივლებოდეს. ჩემი მწირველი და ხათუთაისი ჩაურიგებდენ სეფისკუერსა და ჭიქათა და ჩუენთჳს შენდობასა ათქუმევდენ. აღდგომაი დღე არავისი იყო გაკვეთილი, ჩემთჳს იყოს. კარგი ალაპი გარდა-იკდებოდეს ოთხითა ფერითა საჭამადითა და მაძღრად პურითა: და ღუინითა და რაც კარზედა გლახაი იყოს, ყუელაი დაძღებოდეს, მწირნი და უძლურნი,

---

[9]) ფანასკერტელის მამული ჭოროხის ხეობაა, ხოლო გიშელისა — ნუსის მიდამო.

[10]) „ფქვილი ზანდურისა (თათუხი) წუღილად გატრილი“ (საბა).

[11]) „მოხეული ჭიქა, ანუ პირ-დიდი ჭიქა და არა „მოხისური“, როგორც ბროსსეს ჰგონებია (H. G. II, II, 455, 4). ამას ქვეით სასკენ ნიშნებს ღედნისას არ ვსხამთ.

ვინცა ვერ მოვიდოდიან, ყუელასა შინად გაეგზავნებოდეს. პატრონისა მწირველსა თხუთმეტი გრივი ხუარბალი ხოდაბუნთაგან მიეცემოდეს, ნახევარი წმიდაი და ნახევარი საეროი და ვენაკნი ვითა გამიჩენიან, ესტატური და კოხური (კახური?) და ღვთისმშობლის ეკკლესიათა უკანით სასახლე. ჩემსა მწირველსა ხუთხუთი გრივი ხუარბალი მიეცემოდეს ხოდაბუნთაგანვე სეფითა კაბიწითა, ნახევარი წმინდაი და ნახევარი საეროი და ვენაკი გუერაისძისა განაყოფისა ლომისეული.—ხათუთას მწირველსა ჰქონდეს ვენაკნი შეუვალნი ხოვლეს: კულუხი ძუელი თორმეტი კოკაი იყო ოცდაოთხ ლიტრი(ანი)თა კოკითა თჳთო(სა) მიწასაზედა: აწ ექუს-ექუსი გამიშვია და მის ექუს-ექუსისათვის სამას და ორმოცსა თეთრსა გამოიღებდენ ეკუტერს მისაღებელსა.—თვითოი მიწაი რვა-რვასა თეთრსა გამოიღებდეს კვერეულსა შიგა (?).—ყოველნი დღენი სამუშაონი იყვნეს: შაბათი გამიშვია დ̃ ორშაბათით პარასკევამდის მუშაობდენ.

მერმე თუ ვინ იმისი მომშლელი გამოვიდეს ანუ შვილი, ანუ ძმა, ანუ მოყუასი, ანუ ყუთულარსლან ვითარ ყო და ვითა ქირშიშ ელარიონს უყო; თუ აბხაზთ მეფეთა წარიკითხონ ესე ჩემი დაწერილი და მათ არა მიასაბიონ, მათ ჰკითხნეს ღ̃ნ ჩემნი ბრალნი აქა და მას საუკუნესა; [12]) და თუ ვეზირთა და დარბაზის კარსა მოურავთა ჰნახონ და მათ არ მიასაბიონ, მათ ჰკითხოს ღ̃ნ; და ვინ ჩემის გუარისაი სხუაი იყოს, თუ მან არ მიასაბიონ, მასცა უგმია ღმერთი: თუ კათალიკოსმა ჰნახოს და მან არა დაკრულოს, მას ჰკითხნეს ღ̃ნ ჩემნი ბრალნი; და ანუ მონასტერმან, —ერთიცალა მოლოზონი იყოს,— თუ მათ არ გამოიყარნენ კარნი და წირვისა და ლოცვისაგან არ დაეყენნენ, დამშლელი ამისი არ დაკრულონ, და სამარხავისაგან არ გაიყენონ, მათ ჰკითხოს ღ̃ნ: [13]) და ესე ჩემგან გაჩენილი ვენაკი ანუ ყანა, ანუ სამსახური, ანუ კულუხი და ანუ რაი სხუაი ბეგარი რაიც წინამძღუარმა ანუ ვინ სხუამა მოურავმა შეცვალოს ქრთამისათჳს, ვითა სამასართა უყვეს, იგიმც კრულია ღ̃თისა პირითა, და თუ კრებულმან შეიცნოს, აუზოხორდენ და გააბედითონ.

და მუნებური საქმე წინამძღუარმან, მოძღუარმა, დეკანოზმა და ერთობ კრებულმა და დაყუდებულთაცა, ქუაბთა შიგა მსხდომთა, ერთად იურვოს ყოველმა; ვითა გარესჯისა საქონებელნი არიან, ეგრე იურვებ(ო)დეს ხოვლური საქმე, წინამძღუარი მეტად ნუ ჰპატრონობს. მერმე ასრე იქნებოდეს, რომე რაც მოსავალი იყოს ზუართაი, ხოდაბუნთაი და კულუხისაი ყუელაისი ანგარიში ერთობ კრებულსა მოეკსენებოდეს, თუ (და?)

---

[12]) მიასაბიონ (საბა), ე. ი. არ მიჰპატრონონ, მონგოლების დროს დიდ-კაცები რომ იტაცებდენ საეკკლესიო მამულებს, ეს სჩანს ქვემო დაბეჭდილს კრების ოქმიდამ და ქ.-ცხოვრებიდამაც (I გვ. 415) ყუთულარსლან სამასარსი და ქირქიშ უნდა იყვნენ კახოს თანამედროვენი, მიმტაცებელნი საეკკლესიო მამულთა.

[13]) ე. ი. წირვა-ლოცვა დააყენონ, მონასტერი დაკეტონ, მკვდარი არ დამარხონ და სხ.

წინამძღუარი ოდენ სცნობს [14]). და იმისგან საზომი ღუინო და ფქული, ანუ სეფისკუერისა და პიქათა, კოკაი და კაბიწი [15]) ყუელაჲ გამოწყული იყოს და ეგრე წაიგებოდეს; და მოსავალი ხოვლესაი, პური და ღუინოჲ, კიდეგნად ერთსა სახლსა შიგა დაიგულებოდეს. მერმე ოდესცა ზუარნი და ხოდაბუნნი კეთდენ და კარგა მოვიდეს, რაიც მას წელიწადსა მოჰრჩეს მეორის წელიწადისათუის წააგებდენ; ნიადაგ არ სწორ გამოვა, ოდესცა დასეტყოს ჵ არაი მოვიდეს, მისთჳს დაიგულებდენ და ესე ნუ ოდეს იმიზეზების, თუ წელს არაი მოსრულაო და ნუ მოაკლდების ესე ჩემი გაჩენილი;—და რაიც ამასცა მორჩებოდეს, გლახაკთათვის წაიგებოდეს და სტუმართათჳს მოიკმარებოდეს;—და რაიცა სამართლად გამგებელისაგან იშოებოდეს, იგი წინამძღუარისა კელითა ჩემსა ალაპსა შიგა ალუსებასა და დღესასწაულთა სათევზედ მოიკმარებოდეს. რომელმანცა ბერმა, მესთულემა ანუ მეღალემა, თავისა ქრთამისათუის რაი დააკლოს, მონასტრისაგან გაიძოს და მიზეზითა შეუცოდებელი გლეხი ნუ დაიტყუენვის. თუ მიწაი დაუკაცრდებოდეს, რაისაგანცა ქრთამითა ნუ ვის გარდაერთვის სამსახური და კულუხი ნუ წაკდების: სხუაი გლეხი დაისვმოდეს ზედა [16]).—თუ შვილი მოგუეცეს, საურავად მისი კელი შევიდოდეს არ მისად მოსაკმარებლად რაისამე, (არამედ) ჩუენის სულისათუის; ჵ თუ შვილი არ მოგუეცეს, რომელსაცა ჩემსა ძმასა შევავედრო, იგი იურვოდეს; და თუ ვერცა ამას ვესწრა, რომელიც ჩემის გუარის კაცი მონასტრისათუის უკეთესი იყოს, მისგან იურვებოდეს. და რკონისა ღ̃თისმშობელო, მე კარგად მყოფსა და ყმაწვილსავე ამად მომიკსენებია: რა ვიცი (ჩემსა) უკანას ვინლა მოგაკსენებს ჩემსა ნაგუარცსა (ნაღუაწსა?); და ნუ თუ ერთსაცა წელიწადსა ცოცხალ ვიყო სამე, ჩემითა თუალითა ვნახო რაიცა გამიჩენია მისი ქნაი. და სააქაოის დიდებისათუის არად მოგუიკსენებია: არცაერთისა დღისა ცოდვათა ჩემთა შენდობას ეფასების; მაგრა სამუნოდ მოგუიკსენებია და თქუენ იცით და თქუენის ძის მოწყალებითა, რაიღა გინდა გვიყავით, და ვითარცა ავაზაკი ერთითა სიტყუითა, მეც მემიკსენეთ სასუფეველსა თქუენსა და გუიოხეთ წინაშე ძესა თქუენსა.

და რაი გინდა გუარი კაცი გამოჩნდეს ამის დამშლელად და მცვალებელად, ქართველი ანუ სპარსი, ანუ სომეხი —რკონისა ღ̃თისმშობელო, შენ შერისხდი და გამოაჩინე სასწაული შენი მას ზედა. ვინც წინამძღუარი იყოთ, მუშაობასა ზედა მოიჭირვებდით და გლეხთათუის კარგნი იყუენით. არა თუ თქუენ რაიმე გაკლდა პატრონთა გარდასრულთა ჩუენთა და შემოეწირა და მაძღრად იყუენით, მაგრა ახლოი იყო (ხოკლე) და ამად უფრო ვიყიდეთ, ჵ გამოგაჩნდამცა სად კარგია. მოაკმარეთ სამცხორებელსა: ღორსა, ქათამსა, ფუ-

14) ე. ი. წინამძღვარს დიდი უფლება ნუ აქვსო, არამედ კრებულსაო.

15) კაბიწი იხ. ზემო, გვ. 17.

16) ე. ი. თუ გლეხები აიყარნენ, სხვები დასხითო იმავე ბეგრით.

რებსა და გუთანსა, ყოველსა კარგადა აშენებდით და ბარაქიანად იყუენით.— მე რა ვარ? მაგრა რომელთაგან აშენებულ არს, რომე მათი მონასტერი კარგა და საპატიოდ იყოთ (ჴყოთ?); და ამ გაჩენილისაგან რაც დააკლდებოდეს ანუ ჰიქა დამცირდებოდეს და ანუ სეფისკუერი გასაწყლდებოდეს, ერთობ კრებული შეიყრებოდით ⴃ ეგრე გაჰმართავდით და თავად გაჰკდიდით.—ვინ დააკლდებოდეს ჩემი მწირველი და ანუ ხათუთასი, რომელიც გარდაიცვალებოდეს, თუ ვინ მათის გუარისა კარგი იყოს, იგი მოიყვანებოდეს და თუ არა, თქუენ კრებული კარგსა მწირველსა დამისუმიდით ⴃ ერთსაცა წამსა უმწირველო ნუ არის ჩუენი სამწირველოი. ⴃ თუ ჩუენსა მწირველსა არ შეეძლოს და ჰავად იყოს, რომელი იყოს მემზგეფსე ⴃ მეტრაპეზე ჩაურიგებდეთ ჰიქათა ⴃ სეფისკუერსა;— და ვირე ცოცხალ ვიყო მე დავდვა თავი და მოვიჰირვო ხარჯისა ცოტასა გამოღებისათუის ამა ჟამთა შიგა; და თუ მე აღარ ცოცხალ-ვიყო, ვინც ჩემის გუარისა იყოს, მან იურვოს; და თუ ღმერთმან შეიბრალოს ქრისტიანობაი და აღარ იყოს ხარჯობაი აწინდელისა დებისაი, აღარავინ დასდვას და არცა-რას ვინ სთხოვდეს საკრეფელსა ამის მეტსა, რაც არ გამიჩენია [17]), და თუ რაი ვის სხუასა სიგელი და ანუ დაწერილი ჰქონდეს, ყუელაი ცუდია: აფხაზთ მეფეთავე ვაჰრამისთუის ბოძებულობითა გაუტეხია, ვითა დაწერილითა შეეტყუების, მათგან გასყიდულობისათა.

და სხუა რაიღა გკადრო, რკონისა ღ̃თისმშობელო, უმეცარმან და ენად ჰავმან და ცოდვათაგან შეშინებულმან და დაღონებულმან, მეტადრე შენ იცი და შენისა ძისა მოწყალებითა! ზენაჰარი, ზენაჰარი! (sic) ნუ წამწყმედთ და მომეც ჟამი სინანულისაი თქუენსავე წინაშე. და არ ვისგან შეგეცვალოს დაწერილი ესე, არ ჩემგან და არცა შემდგომითი შემდგომად მომავალთა ჩემთაგან: ⴃ ვინცა ⴃ რამანცა გუარმან კაცმან ანუ გუარისა ჩემისამან, ანუ სხუამან ვინ, დიდმან ანუ მცირემან რაისაცა ჟამისა მოღებითა შეცვალოს ანუ მძლავრობით, ანუ მოხუეჭით, ანუ ქრთამისათუის, გინა დამცრობისათუის ვინ ესე ჩემგან გაგებული შეცვალოს და აქციოს, შემცა იცვლების სჯულისაგან ქრისტეანეთასა, რისხავსმცა მამაი, ძე და სული წმიდაი, კრულმცა არს სიტყუითა ღ̃თისაჲთაი მკუდარი ⴃ ცოცხალი გაუკსნელად ორთავე შინა ცხორებათა და ნაწილიმცა მისი ნისტორის და ორიგენისთან დასჯილ არს, დამცაინთქმის დათან და აბირონისებრ, შემცაედების ძრწოლა კაენისი, კეთრი გეზისი, შიშთვილი იუდასი, სოდომელთა და გომორელთა ცეცხლითა და წუნწუბითამცა დაიწვის, მასზედამცა განეხუნიან საქანელნი ღ̃თის რისხვისანი: აქაბს: ელიას: ურჩსა სვიმონ მოგუსა: კუენოპ (კინოპ?) გრძნეულსა ⴃ მაკედონოს სულისა წმიდისა მგმობრსაცა თანა არს საკსენებელი მისი, მანინას შეჩუენებულსა ⴃ ათორმეტთა მისთა მოწაფეთა: მანენტოს, პავლე სამოსატელისა და არიოზ სამ-გზის დაწყეულსამცა თანა დაისჯების; მუნტანის (მონტანს?), სატურნის, აკ-

[17]) ქართველნი მეტად შეწუხებულნი იყვნენ მონგოლთ ხარჯობისაგან (ქ.ცხ. I, 387)

ვილას, ლოსკარს, პოკრატის, აკროლას (?) და თეოდორე მომფესოეტელსა (თე-ოდორე მანსური?) და პოლიხრონოს ცოფსამცა თანა არს ნაწილი მისი *), ას-და-მერვე ფსალმუნი მასზედა დაესრულების, კრულმცა არს ათორმეტთა მო-

---

*) ძველს ჩვენს სიგლებში ხშირად იხსენიება სახელები ამ მწვალებელთა და მათ შორის შეჩვენებულია ორიგენიცა, წარჩინებული და ცნობილი საქრისტიანო მწერალი და ამისგამო საჭიროდ ვცანით რამდენიმე ცნობა ჩავურთოთ აქა ზემო აღწერილის მე-XIII საუკ. ხელნაწერიდამ (იხ. გვ. 111 № 23), იმ საკითხავიდამ, რომელსაც აქვს სათაურად: „გალობანი მწვალებელთა ყოველთა თჳთოეულისა წვალებისა შეჩუენებისანი“ და რომელიც, ვგონებ, ქართველ მამათაგან არის შედგენილი, მათის ცოდნა-შეხედულობის გამომეტყველი:

„... კლავდის კეისრისზე (41—54 წ.) იყო ს ჳ მ ო ნ ბოროტი, თავსა თჳსსა ქრისტედ მეტყუელი; სხუათაცა წვალებათა მმაცუვიდა და მიმდგომით მისით მანენდროს, კირინდრისს. (კეისრის) ანდრიანესზე (117—138 წ.) მეოფნი: უალენტინიანონ, კერდონ, მარკიონ, მუნტანი, სატორნი, ლოსკარ, პუკრატი, აკვლა“...

„სევეროზის ზე (193—211 წ.): კლიმი სტრომატელი, სჳმახოს, ორიგენი მეტყუელი ძისაგან მამისა ვერ ხილვასა, ვერცა ძისასა სულისაგან და ვერცა ანგელოზთა დაარსებისაგან მამისა ძე არა არსო, ხოლო დაბადებულ და მადლით სახელდებულ. გაცოპრივე სული კორცთაჲ პირველ ყოფად თქუა და ყოველთა მიმწთო-მად; მამაჲ ოდენ განაჩინა და ძე სიტყუერთა ზედა, ხოლო სული წმიდა მორწმუნეთა ოდენ განუწესა და არა ერთად სამებისგანად იტყჳს ქრისტესა და სოფლის არ დამბადებელ არსო სამება. აღდგომისგანთა გუამთა ჩუენთა პირველ ქრისტესა წარწყმედად მოსლვა(სა) (ა)მტკიცებს; შემდგომად აღდგომისა სიტყუერთ ძალედვას თუთ ეშმაკთამდეცა საუკუნეთა დაბადებაჲ, რამეთუ ეთეროანი და მომრგულებულნი აღდგებიან გუამნიო. ხოლო ესრეთ იტყჳს აღდგომასა ქრისტესსა და ვითარმედ სწორ მისა ვიქნებით აღდგომასა“.

„ონორის ზე (395—423 წ.): საბელიოზ... და კ̃დ ღალინო მეფისზე (251—253; 260—268 წ.) იყვნეს: არტემონ და სჳნეპოს დრკუნი; შემდგომად წყეული მანინ (Манесъ) ქრისტედ და სულად თავსა თჳსსა მთქუმელი... სპარსეთით საბერძნეთად გარდამოიხრწნა, სახიერსა ვასმე ასალსა ღ̃თისგანად მეტყუელი და ოცნებით ქრისტეს გამოჩენასა მზღაპრობი. მოძულურად აქუნდა ბოროტსა მას კოდდანტოს ტერევნითად სახელდებული სკჳთიანესგან სწავლულისა ემპოდოკლოჲსაგან... გუამითი გუამად სულთა ცვალებად მთქუმელისა, განმგდებელი ყოვლისავე აგებულისა და ძუელისა აღთქუმისა და შესაქმეს კაცთასა არ-სახიერისა ღ̃თისაგან ქმნილად მეტყუელი, ვინაჲთგან ხრწნილებასა და ცვალებასა შინა არსო და უჴეროთა შეყოფათა მომპოვნებელი“.

„სამოსატელი, მანენტოჲს ზიარი, უფალსა ლიტონ კაც და წინასწარმეტყუელთ თანად ჰგონებდა ბილწი, ვინაჲ ესე არიან პირველ აღმოცენებულნი და ერთბუნებისა და ორთა ბოროტად მეტყუელნი პირველი იგი უარისყოფითა გაცებისაჲთა, ხოლო

ციქულთა ჯუარითა, შუიდთა კრებათა ჯუარითა და ხუთთა პატრიარქთა [18]) ჯუარითა და მადლითა ღ̃ იგიმცა სიტყუაი მისგან იძიების, რომელი ჰურიათა თქუეს, ვითარმედ სისჳელი მაგისი ჩუენზედა და შვილთა ჩუენთა ზედა! ღ̃ ამა ყოველთა ზემოწერილთა წ̃თა მადლითა და ჯუარითამცა კრულია საკსენებელი მისი! და უკეთუ ვინმე ესე ჩემგან გაგებული და შენსა სამკჳდრებელსა შემოწირული შეცვალოს და დაშლად კელი ყოს და შენსა სამკჳდრებელსა გამოაკუას ანუ მემამულემან ვინ, ანუ მოსაკარგვემან [19]), რამან გინდა გუარმან კაცმან შენ, ყ̃ლ წ̃დო ღ̃თისმშობელო რკონისაო, რისხვით აღიძარ მასზედა შენ და ძე შენი და ძისა შენისა ლახურისა შემცემელთა პატიჟი მისგან იძიე. და ვინ დაამტკიცოს, ღ̃ნ აკურთხოს. და ვინც ესე ჩემგან გაჩენილი რაი მოშალოს წინამძღუარმან, ანუ მოძღუარმან, მეტრაპეზემან ანუ კრებულმან, კრულმცა არს სიტყუითა ღ̃თისათა და ამათცა ყოველთა მწვალებელთა თანა დაისჯების. (ტექსტისავე ხელით არის დაწერილი ქვემო დაბეჭდილი წარწერა № 20).

ამას ქვემო მოსდევს ხელმოწერანი, ყველა მხედრულად:

1) ქ; რკონისა ღ̃თისმშობელო! ესე ვითა ზემო მწერისა (მწიგნობრისა) კელითა მომიკსენებია, მე კახოცა ჩემითა კელითაცა ამასვე მოგაკსენებ და შემოგვედრებ ჩემსა სულსა შენსა წ̃სა მრავალმოწყალებასა და კსენებასა და გავედრებ სულ(სა)ვე ჩემ(სა) და ევედრე ძესა ჩემსა ჩემ ცოდვილისათუის და შე-

---

მეორე ღ̃თაებისათა... და სხუანი მიმდგომნი მისნი: ტატიანე და არტემონ, კარდისნი, ფოტინა და ევკიონ. არიანოზთა, უსულოდ მეტყუელთა ჴორცთა უფლისათა, აპოლინარი გამო(უ)ჩნდა წინააღმდგომად, ვითარმედ ცხოველობითითა სულითა სიტყუიერნი მიიხუნა, ხოლო გონება ჩუენი არა მიიღო"...

„კუალად თეოდორე მომფსუესტელი, რომელი ქრისტესა ლიტონად კაცად ჩუენებად უწოდდა... იტყოდა..., ვითარმედ გარდამატებულისათჳს სათნოებისა მიეცა სა ღ̃თოჲ პატივი ერთბუნებასა... ნესტორი, მე კლიკელისა და მისწული სამოსატელისა... ორ-ძედ და ორ ქრისტედ განყო (ძე ღ̃თისა)... ევტუქი და დიოსკორე... ორთაბუნებათა პირველ შეერთებასა აზმნობდეს და კუალად (შ̃დ?) შეერთებისა ერთბუნებად წერდეს... და... ზეცით მოსრულად ჴორცთა უფლისათა... სევერიოზ (და) იულიანე... ერთსა ბუნებასა იტყოდა"...

„... ბოროტი არიოზ ბილწი კოსტანტინე (მეფის) ზე დიდისა (306—337 წ.) და მისთანა ევნომიაკტი, ევსევი, ევდუქსი, პოლიმონ, ნავატი და მუნტანი. არიოზის მიმდგომნი ერთისა ბუნებისა და არსების ღ̃თაებისა განმყოფელნი... მაკედონიოს სულსა წმიდასა აგებულსა ბუნებად იტყოდა... მაღნი ვინმე ზეცით და ეთერისა ჴორცთა თავისა თჳსისა თანა გარდამოტევებასა და ამით ჴორცთშესხმასა იტყოდა. სისრის იებიმიანე ალიკარნელი, გაიანე ალექსანდრიელი ჩუენგან მისუმულთა ჴორცთა ქრისტესთა შეერთებისგანვე უხრწნელად აზმნობდეს... პეტრე ბარსანოფი საოცრად (призрачно) განქმნასა ქრისტესსა ყეფდეს და ორბუნებად უარყოფდეს ქრისტესა"...

იწირე ხოვლე ჩემგან ნასყიდი და ყოვლისა ადამიანისაგან მოუდევარი და ერთისა დღისა ჩემთა ცოდვათა არ ეყოფის. ვინცადა ესე ჩემგან გაჩენილი შესცვალოს... (წყევა) ვინ დაამტკიცოს ღ~ნ იგი დაამტკიცოს საუკუნოდ და სამანდ.

2) ქ: ესე ვითა პატრონსა კახასა დაუწერია და მოუკსენებია ხოვლე რკონისა ღ~თისმშობელსა, მე სა(თუ)თაი ჩემითა კელითაცა ამასვე მოგაკსენებ გვედრებ სულსა ჩუენსა შენ. შემინდვენ ამ~ნ. [20])

3) ქ: მე დავით მეფესა დამიმტკიცებია [21]).

4) მე: ძესა მისსა: გიორგისცა: (გი~სცა) დამიმტკიცებია [22]):

5) ჩუენ მელქისედეკსა დაგუიმტკიცებია (მჴრალად).

6) ქ: მეჭურჭლეთ: ოხუცესისა კახოისა: დაწერილსა: მე ავაგ სარგისცა მოწამე ჲ დამმტკიცებელი ვარ [23]).

7) ამა მეჭურჭლეთ ოხუცეს(ის) კახოსაგან დაწერილსა მე გრიგოლ მსახურთ ოხუცეს(ი) სურამელ(ი) მამტკიცებელი და მოწამე ვარ [24]).

---

[18]) მათ შორის რომის პაპიც იგულისხმება.

[19]) მოსაკარგავე უნდა იყოს მეფის მოხელე (იხ. შიო მღვიმის გუჯ. გვ. 12).

[20]) ქვემო წარწერათაგან სჩანს, რომ სათუთა ყოფილა ქალი გრიგოლ სურამელისა და და ბეგასი, ხოლო კასო — მათი სიძე.

[21]) უეჭველად, ეს არის დავით V, ლაშას ძე.

[22]) ეს გიორგი მოკვდა 1268 წლის ახლო ხანებში (Hist. G. I, 553;575).

[23]) ავაგ-სარგის მხარგრძელის და მეფის ძის გიორგის ხელისმოწერა ამ სიგელზე მტკიცე საბუთს იძლევა ბროსსეს ქრონოლოგიის წინააღმდეგ. ყველა მეისტორიენი (სენ-მარტენ, სტეფანოს და თვით ბროსსე) გვიჩვენებენ ავაგის სიკვდილს 1250 წ. (Hist. G. I, 554, n. 2); ხოლო რკონის სიგელი დაწერილია ბაღდადის „გატეხის“ შემდეგ, რაიცა მოხდა 1258 წელს 16—30 იანვარს (Hist. G. I, 548, n. 3). და აქიდამ ცხადია, რომ 1258 წ. და 1259 წელს, როდესაც უნდა იყოს დაწერილი ეს სიგელი, ავაგი ცოცხალი ყოფილა. — ავაგი მოკვდა შემდეგ მეფის ეგვიპტეზე გალაშქრებისა, ე. ი. შემდეგ 3 სეკდემბრისა 1260 წ. Hist. G. I, 552—3, n. 3), ე. ი. 1260 ანუ 1261 წელს და ამავე წელს უნდა შეერთო მეფეს ავაგის ქვრივი გვანცა, რომელიც მოეწონა მეფეს, როდესაც იგი მივიდა ავაგის სახლში „ტირილად“ (ქ-ცხ. I, 388), მაშასადამე ხანგამოუშვებლად ავაგის სიკვდილის შემდეგ.

რადგან მეფის ძეს გიორგისაც ეს სიგელი დაუმტკიცებია 1259 წელს, იგი ამ დროს იქნებოდა არა უმცირეს 8—10 წლისა; მაშასადამე იგი უნდა დაბადებულიყო 1249—1250 წლებში და არა 1259 ანუ 1260 წელს, როგორც ჰფიქრობდა ბროსსე (Hist. G. I, 352, n. 2), რაიცა არ ეთანხმება კახუშტის უფრო ჭეშმარიტს ცნობას. გიორგი მოკვდა 18 წლისა და მაშასადამე 1268—9 წელს.

[24]) ცნობილი ისტორიული პირი, კახოს სიმამრი (ქ-ცხ. 390—2), ფავნელთა

10) ამის: მეჰურჰლეთ: უხუცესისა: კახაისაგან: დაწერილისა: მისისა: ნასყიდისა სოფლისათვის რომელი შეუწირავს: მისის მონასტრისადა ჩუენ სამისავე უდაბნოისა გარესჯისა :მ: წ: (მოწესენი?) და ყოველნივე ერთსულობით დაუმტკიცებთ. შემცვალებელნი ამისნი იყავნ წყეულ, კრულ და შეჩუენებულ ⴃ დამამტკიცებელნი ღ̃ნ აკურთხნეს. მე ანტონ ჩემითა კელითა დამიწერია. შემცვალებელნი ამისნი შეჩუენებულ იყვნენ და წყეულ. დამამტკიცებელნი ღ̃ნ აკურთხნეს.

8) ესე ვითა ღ̃თისა (ღ̃თითა?) სიძესა ჩემსა და დასა ჩემსა ხათუთასა დაუწერია და ხუვლე სასუებით რკონისა ღ̃თისმშობლისადა შეუწირავს, მეცა ბეგასა ქ̃ს ე̃ვს (ქართლის ერისთავს) დამიმტკიცებია და მუწამეცა ვარ [25]).

9) ქ: ესე ვითა ღ̃თის (ღვთითა?) სიძესა ჩემსა კახოსა და ძმისწულსა ხათუთასა და სიძობისაგანცა უფროესთა და ხოვლე რკონისა ღ̃თისმშობლისა(და) შეუწირავს, მე ივანეცა დამამტკიცებელი და მოწამე ვარ.

11) ესე ვითარ ჩემსა ძმასა პატრონსა კახოსა და ხათუთასა დაუწერია და ხოვლე მათგან ნასყიდი რკონის ღ̃თისმშობლისადა მოუკსენებია ⴃ შეუწირავს მათისა სულისათუის, მე ასიბა მოწამე და დამამტკიცებელი ვარ.

12) ქ: კირიელეისონ! ღ̃თისა ⴃ მისთა სჯულთა მიერ ღვთიუ-გონიერად შეყუარებულის, ღვთივ შუენიერად ზეგარდამოითა სიბრძნითა განბრწყინვებ(ბუღის) კახოის, ყოველთა კელმწიფეთაგან შეწყალებულის და... (მე)უღლის მათის ხათუთაის გაგებულსა..ꞏ—რ̃ლი საუკუნოდ სრულ იყავნ, იყავნ, იყავნ უ̃კე გებადმდე ჟამთა,—ჩუენცა გლახაკი ქრისტეს მიერ შემდგომად ხუთთა პატრიარქთა და უპირველეს მათსა ზეგარდამოსულთა უბიწოთა ღედისა მისის კელითა შეთელილის კუართის საუფლოის მიერ და სუეტის ცხოველის მეექუსისა პატრიაქის და ქ̃ეს მიერ უოკლისა საქართველოის კ̃ზი ნიკოლოზ [26]) ვამტკიცებ და წარვსწერ. შემცვალებელნი ამისნი იყავნ კრულ, წყეულ ⴃ შეჩუენებულ მადლითა კ̃კე (კათოლიკე) ეკკლესიისა და მუნ შინა ღვთივ აღმართებულისა სვეტის ცხოველის და . . . . მის ანტიოქიის და ღმერთ მყოფელის მიჰრონისა ⴃ კვართისა საუფლოისა მადლითა ⴃ ყ̃თა პატრიარქთა, ქთ̃კზთა ⴃ ეპისკ̃ზთა მართლმადიდებელთა მადლითა და სარწმუნოებითა და ჩ̃ნ გლახაკისა ჯ̃რითა (ჯვარითა) ამინ....

13) ქ. ესე ვითა ე̃ევსა კახოის და ცოლსა მათსა დიოფალ-დიოფალსა ხათუთასა სამლოცველოდ სულისა მათისათუის სოფელი ხოვლე უყიდია და რკონისა ღ̃თისმშობლისადა მოუკსენებია და შეუწირავს მე უნდოი

---

გვარისა და არა ორბელიანნი, როგორც ჰფიქრობდა ბროსსე (იხ. ზემო გვ. ქ-ცხ. I, 390—2; (Hist. G. II, 2, p. 458, n. 2, livr. I, 341; 348).

[25]) ბეგა, ძე გრიგოლ სურამელისა და ივანე, ძმა მისი (იხ. ზემო გვ. ).

[26]) ცნობილი ისტორიული პირია (ქ-ცხ. I, 380—1; 416; 418).

არსენი მანგლელ მ~სი მოწამე ვარ [27])... შეიწირე რკონის ღ~თისმშობელო და შემცვალებელნი ამისნი. . . . . წყეულ და შეჩუენებულმცა არიან სიტყუითა ღვთისათა... და ქრისტეს სამჳუალისა მადლითა და დამამტკიცებელნი... აკურთხნეს...

14) ხუცურ წარწერით ამტკიცებს დაუდებული იოსებ.

15) ესე ვითა ე~ეს კახოს მიუცია სამკუიდრებელისათუის რკონისა ხოვლე... შეწირეს ნასყიდი მათი და სამლოცველო, მე ქ~ეს მიერ ქ~სა მ~კსი გ~ი (ქართლისა მთავარეპისკოპოსი გიორგი). დავამტკიცებ შემც(ვალე)ბელნი ამისნი შეცვალენ ღ~ო სჯასა შენსა [28])...

16) ესრე ვითა... მეცა მდაბალი გრიგოლი ტფილელი დავამტკიცებ. შემცვალებელი... (წყევა).

17) ქ. ნებითა და შეწევნითა... შემოგწირე მე... პატრონმან ჯავახისშვილმან იესე შენ... რკონის ღთისმშობელსა... თქვენ დეკანოზისშვილნი პეტრე და მისნი ძმები მარკოზ, და იოანე, ხახუტა და მისნი შვილნი და დაგდევით ყოველთა წელიწადთა თკითო ლიტრა სანთელი და ოროლი ლიტრა ზეთი და ესე ამსახუროთ და არაოდეს არა მოიშალოს. მერმე ვინცა... (წყევა). ა~ნ. ხვაულად: იესე [29]).

18) „ესე... შესაწირავი შევწირეთ ჩ~ნ ჯავახიშვილმან პატრონმა როინ [30]) თქუენ რკონის ღთისმშობელსა... ჩუენთვის სამლოცველოდ... სრულიად ჩუენი კირიმი რგონის, რისაცა ყმის მქონებელნი ვყოფილვიყუნეთ ჱ რაც ჩუენთა გუართაგან თქუენთა სასამსახურეთ სდებოდეს, ამ რიგად გემსახურონ და ვერა რამან ჩუენმან ნათესავმან ვერ შეგიშალოს. ვინც ესე შეგიშალოს... (წყევა) ამისგამთავებელი აკურთხნეს ღ~ნ საუკუნესა ცხოვრებასა შინა (სელ-ჩართულად: „როინ“).

19) ნებითა ღთისათა... ესე წიგნი გკადრეთ... რკონისა ღთისმშობელსა ჩვენ ჯავახისშვილმან პატრონმან ქაიხოსრო და შვილმა ჩ~ნმა ბატონმა ბახუტამა [31]) ასე რომე სვიმონ მღვდელს რაც ავგაროზული მამული ჰქონდა, ის მამული მასზე-

---

[27]) მანგელ მთავარ-ეპისკოპოსი არსენი კ~ზის არსენის დროს იხ. ზემო გვ. 102, გუჯ. № 67.

[28]) ქართლის (სამთავროს) მთავარეპისკოპოზი გიორგი იხ. ზემო გვ. 101; 128.

[29]) იესე ჯავახიშვილი სჩანს 1505 წ. ახლო ხანებში (იხ. ჩემ. გუჯ. წიგ. II, 131).

[30]) როინ სჩანს 1550 წ. ახლო ხანს (ჩემი გუჯ. წიგ. II, გვ. 88; 208).

[31]) ჩემს გუჯრებში 1669 წლის ქვეშ სჩანს; იესე, როინ და ქაიხოსრო; ხოლო 1686 წლის ქვეშე ბახუტა ჯავახიშვილნი (გუჯ. წიგ. II, 79, 88, 128) და ამისგამო შეიძლება ზემო წარწერებში (№№ 17—19) მოხსენებულნი ჯავახიშვილნი ყველანი მე-XVII საუკუნისანი იყვნენ.

და მსახლობელის კაცით ჩუენ მამაპაპათაგან შემოწირული იყო ასრე ჲ ამა წესითა, რომე ყოველს წელიწადს მოუკლებელად თითოს ლიტრას სანთელს და ოროლს ლიტრას ზეთს რკონისა ღთისმშობელს წინ მოიღებდეს და ენთებოდეს, აგრეთვე ჩუენცა შემოგვიწირავს მღდელი დავით მისის ავგაროზულის მამულითა და ვითარ (გვინჯ)ებია რომე ჩვენი ბეგარა გამოსაღები არასფერისთანა არა ეთხოებოდეს რა. შეიწირე რკონის ღ͠თისმშობელო და მეოხ გვექმენ ორსავე ცხოვრებასა. დაიწერა მეფეთ მეფობასა შანავაზისასა ქ͠კსა ტნზ (1669 წ).

20) რომელიც სამკუიდრო არის ჩუენ ამისთუის არ მოგაკსენებთ თქუენთა უცილობელი... გაგოსი, ბოსელა, ხიარკე (კჯრიკე?), ჭავჭავისი, მერია, გირშალი (გარკალი?) ამის მიწისა ვინცა კლედენ (სნკიდეთ?) თქვენ ყმანი, ლალა თქუენი და სანადიროსა ზეთი და სანთელი მაგ[ათ მოართვმიდეთ] ესე დასაბამითგან თქუენი სამკუიდროა... ნუ ვინ იკადრებს ცილებად [82]).

21) ჩ͠ნ ქ͠ეს მიერ კურთხეულმან ყოვლისა საქართველოსა დიდმა მამათმთავარმან კ͠ზ-პატრიარქმან მეფეთა შარავანდედმან პატრონმა დომენტიმ [83]) ესე წყალობის წიგნი გიბოძე თქვენ ერთობით კრკონელთ ასე და ამა პირსა ზ͠ა, რომ ყოველს წელიწადს ფერისცვალებას დღეს უნდა რომ რაც ჩვენ იმ დღეს გვყოფნოდა იმთონი კალმახი უნდა მოგეტანათ, ამისთვის დრამა ამოეკვეთათ და ამ დრამას გარდაცა სამის წყლის სიგელებიცა გვქონდა, რომ სვეტისცხოველისა არის ხევძნელა, სამაჭეხვლო და სარჩელა. ესენი ჩვენგან ყორუღი იყო. ამისგულისათვის მოხვედით წ͠ე ჩ͠ნსა და გვეაჯენით, რომ ბევრი თევზის გამოღება არ შეგვიძლია და ჩ͠ნ ახლა ეს წყალობა გიყავით, რომ ყოველს წელიწადს ფერისცვალობას ასოცს კაი კალმახს მოგვართმევდეთ, მისდროს მოგვართმევდეთ. ამ საქმეზედ სხვა და უსამართლო არა გიყონ რა და არცა რა გამოგართვან დრამა. ეს ასე გაგითავდეს და არც მოგეშალოს. ქ͠კს უიბ (1724).

22) ჩუენ მეფეთა მეფესა ალექსანდრეს და ჩემთა შვილთა ვახტანგს და დემეტრეს და ჩ͠მთა ძმათა ბაგრატ და გიორგის [84]) ესე წიგნი ამა პირსა ზედან მოგვიკსენებია თქუენ ყ͠დ... კრკონის ღვთისშობლისათვის ვნახეთ თქუენის ხოვლის სიგელი და პირველი სხუათაგანცა შემოწირული იყო... ახლა ჩ͠ნცა შემოგვეიწირავს სამლოცველოდ სულის ჩ͠ნისა... რათა ილუწიდენ მას შ͠ა დამკუიდრებულნი ძმანი ჲ კრებულნი მოლაზონნი, მღრდელნი, დიაკონნი, დედაბერნი და ერისკაცნი ჩ͠ნგან ჲ ჩუენისა სიტყუისა მო[მ]სმინოთა კაცთაგან არა ეთხოებოდეს და არა ეწერებოდეს არასთანა სათხოვარი და გამოსაღები დიდის

---

[82]) ეს თჳთ გახოსი ანუ ხათუთასი ხელი უნდა იყოს.

[83]) კათალიკოზობდა 1705—1725 წლებში.

[84]) ორნი ძმანი მეფის ალექსანდრესნი, ბაგრატ და გ͠ი, ცნობილნი არ არიან, მაგრამ ჩვენს ქრონიკებში 1414 წლის ქვეშე ცნობილნი არიან (კატ. გუჯ. № 44 და ერთი მათგანი ბროსსეს Rap. IV, 13). იხ. გიდევ Гурія и Адж. გვ. 213.

სათათროს ულუფისაგან მეტი... ყ~ლთა წელიწადთა ღ~თისმშობლობას ღღესა გარდებული ალაპი ჩემთუის გარდიკდებადეს ყოვლითურთ... დაუკლებელი; და ესე ზემო დაწერილი სიგელიცა ამა სიგლით დამიმტკიცებია.

23) ჩ~ნ აფხაზეთისა და ქართლისა მეფეთა მეფემან გიორგი[35]) ესე წიგნი ამისად მედგრად და ნიშნად მოგუიკსენებია თქუენ რკონის ღ~თისმშობელსა... ვნახეთ თქუენი ხოვლისა სიგელი... ქამთავითარებისაგან ატენის ციხის სათხოკარი რაიმე შესულიყო... ახლა ჩუენა ახლადა დაგიმტკიცეთ და გავაჩინეთ თქუენის მონასტრისაგან ხარების ღღესა ალაპი... არა მოიშალოს... ანუ დიდებულთა(გან), ანუ აზნაურთა, ანუ ატენის მოურავთა და ანუ ატენის ციხუანთა და ანუ რკონისა პატრონთა... სათათროსა სათხოვარისა მეტი არა გეთხოვებოდეს".

ზედკე ხუცურად: „მე მეფეთა-მეფეს კოსტანტინეს დამიმტკიცებია" [36]).

## 1260 წ. სინოდ. კანტორის სიგელი № 65.

ეს სიგელი დაწერილია ტყავზე (სიგრძით $2^1/_2$ არშინი, სიგანით 5 ვერშოკი) ლამაზის ხელით, მხედრულად. სიგელს თავი აკლია, ზოგიერთი ბოლო-წარწერები გადასულია და ძნელი საკითხი. თუმცა სიგელს ქორონიკონი არ უზის, მაგრამ მიმცემელი სიგლისა, ძაგან აბულეთის ძე, ჰმოწმობს, რომ მისგან შეწირული სოფელი ანგრონინი (ვახუშტის ანგრეკანი, ფინეზაურის კოხაში, ხრამ-მაშავრის ღელეში: იხ. მისი გეოგრაფია გვ. 467, № 313) უყიდნია მას „ბაღდადს კრმლით მისგან ნაშოვნის ოქროთი"; ხოლო ბაღდადი ქართველ-მონგოლთა აიღეს იანვარს 1258 წ. გარდა ამისა სიგლის ტექსტში მოხსენებულია იგივე მთავარ-ეპისკოპოსი გიორგი, რომელსაც ხელი უწერია 1259 წლის რკონის და არსენ კ~ზას გუჯრებზე (იხ. ზემო გვ. 143; 101; 128). ამ საფუძვლებით უეჭველ ხდება, რომ სიგელი № 65 დაწერილია 1260 წლის ახლო ხანებში.—აქ მოხსენებულნი აბულეთის ძენი გიორგი და ივანე და მათნი შვილნი ძაგანი და ივანე ისტორიაში ცნობილნი არ არიან. უკანასკნელნი (ივანე და ძაგანი) უნდა იყვნენ ის „ორნი ძმანი აბულეთისნი", რომელნიც მოკლულ იქმნენ 1282 წლის ახლო ხანებში (ქ-ცხოვრ. I, გვ. 418).

- - - წ~დისასა | - - - შეწე(ვნითა) და თავს[მდებობითა] | [ყ~დ წ~ისა ქალწულისა მ[არიამისათა] - - [და წ~თა მთავარანგე]ლოზთა მიქაელ და [გაბრიელი]|სითა | - - შუამდგომელო[ბითა] - - წინასწარმეტყუელთა, მო[ციქუ]|ლთა, მღდელთ მოძღუართა, მოწამეთა, მამათა, ქალწულ(თა) და ყ~ლთა წ~დათაჲთა, რომელნი საუკუნიდგან სათნო ეყუნეს უ(ფა)ლსა ღ~სა ჩ~ნსა (ღმრთსა ჩუენსა); თავსმდებობითა სანატრელთა მამათა ჩუენთა ში(ო), ი~ნე

[35]) უნდა იყოს გიორგი VIII, ალექსანდრეს ძე: † 1469 წ.

[36]) ძე გიორგისა, მეფე ქართლისა 1469—1505 წ.

(იოვანე) და ევაგრესითა დაგიწერე და მოგაკსენე დაწერილი ესე თქუენ ყოველთა მამათა თუალსა და მნათობსა წ~დასა მამასა შიოს და მღჳმეს შინა დამკჳდრებულთა წ~დათა მამათა მე აბულეთის ძემან ძაგანმან, ძემან ე~ევისა (ერისთავთ-ერისთავისა): ივანესმან: ბრძანებითა და გამოზრახვითა სულიერისა მამისა და მოძღურისა ჩემისა ქ~მკზისა (ქართლისა მთავარეპისკოპოზისა) გ~ისითა (გიორგისითა) *). მას ჟამსა ოდეს მიველ მღჳმეს და შევემთხჳე საფლავსა წ~დისა მამისა შიოისსა და ვიხილენ წ~დანი მამანი მუნ შინა დამკჳდრებულნი და მომაგონა ღ~მან რაითამცა ძალისა მსგავსი საწყალობელისა სულისა ჩემისა სალოცავი გავიჩინე წ~დასა ამას უდაბნოსა შინა: ბრძანებითა სულიერისა მამისა და მოძღურისა ჩემისა გ~ი ქ~ს მ~კზისაითა მოვაკსენე და შევსწირე წ~დასა მამასა შიოს და მუნ შინა დამკჳდრებულთა ძმათა და მამათა სოფელი ანგროინი ჩემგან ნასყიდი რომელი ჩემსა ბიძაის ძესა გ~ის შვილსა (გიორგის შვილსა) ივანეს გაეყიდა ~ მე ზევე უკ-მოვიყიდე ბაღდადს ნაშოებითა ოქროითა **), იცოდეს ღმ~ნ, მუნ ჩემითა კრმლითა ნაშოებისაგან კიდე არაი ვისი ყოფილა ამის ადგილისა ;სყდას (სყიდასა) შიგა, არ მამულისაჲ და არ სოფელთაგან ანაღები ***). შევსწირე მოუდევრად ყოვლისა კაცისაგან მთითა, ბარითა, ტყითა და მზღვრითა (sic) ~ მიმდგომითა მისითა, საკმრითა და უკმრითა, რაიცა მას სოფელსა ძუელიდგან ჰქონებია. არვის რაი საქმე უც, არც პატრონსა ღ~ისა (ღვთისა) სწორსა ****) ამას ადგილსათანა, არ ჩემთა შვილთა და მომავალთა, არცა ჩემისა გუარისა კაცსა, არცა რაი სათათროი გამოსაღებელი ზედა უც ჩემისა სახლისაი ანგროვნელთა, და არცა რაი სხუაი გამოსავალი და ბეგარი. თუ რას ვინ აწყენდეს საურავისაგან კიდე, რაითა ლოცვასა

---

*) გიორგი-მ~კზის მოუწერია რკონის სიგელი 1259 წ. არსენ კ~ზის დროსაც სჩანს (სხვა?) გიორგი (ის. ზემო 143; 128). უკანასკნელი სხვაა, მას ალბათ კ~ზობა მიუღია 1227 წლის ასლო ხანებში (ის. ზემო გვ. 93).

**) ე, ი. ბაღდადის ქართველ-მონგოლთაგან აღების წელს 1258 His. G. I).

***) მხოლოდ საკუთარის შრომით შეძენილის გაყიდვა-გამოწირვა შეიძლებოდა.

****) ე. ი. მეფეს დავით-ლაშასძეს. რადგან აქ სმარებულია ფრასა: „ღთისა სწორსა“ და არა „ღ~თისა სწორთა“, ამისგამო საგულისხმოა, რომ ამ დროს საქართველო ორ-სამეფოდ ყოფილა გაყოფილი, რაიცა ბროსსეს აზრით ყოფილა 1258 წ. (Hist. G. I, 546, n. 4); ხოლო ვახუშტისით—1246 წ.—რადგან ვახუშტის ქრონოლოგია უმეტეს შემთხვევაში ათწლოვანობით უკან რჩება ჭეშმარიტ ცნობასთან, ამისგამო ჩვენ გვგონია სამეფოდ გაყოფა საქართველოსი 1256 წ.—მღ. ნ. ანთაძეს 1844 წელს გელათის ქრონიკიდამ გადმოუწერია სხვათაშორის: „ჩსმვ წელს (ქვს უჲვ?) განიყო (საქართველო) ორ სამეფოდ დავით ლაშას ძისაგან და ნარდავითის რუსუდანის ძისაგან“. ეტყობა, ანთაძეს სწორედ ვერ გადმოუწერია: ვახუშტის და ანთაძის წყაროშიც ერთნაირად უნდა წერებულიყო: „ქჳს: უჲივ“ (1256).

იგინიცა მიიღებდენ წ~დათა მამათასა და არცა რაი თეძამისა პატრონთა *) კე-ლი შეუვიდოდეს მათზედა და სასეფოი თეძამისა პატრონთაი არაი ზედა სდე-ბია არც კელისუფალთა შესულაი და არცა რაი სხუაი: და თქუენ გამიჩინეთ სამწირველოი და მწირველი სახლითა მღუიმეს პურითა, ვენაკითა, ფიჩხულითა, დ~ მიუყენენით მიწანი ერთი გუთანი ვენაკის ბოლოსა თრიალეთი:—ორი გუთანი ნავენაკები თევდორული თხოთის აგარას და ორი გუთანი სარბიელთა და ანგროინს ერთი გლეხი და გამიჩინეთ ალაპი დღე თევდორობაი, რაითა მღდელნი წირვითა და მწირნი მუკლთ-მოდრეკით ლოცვითა გარდაიკდიდენ ღამისთევითა და პანაშუიდითა და კარღებული ტრაპეზი გარდაიკდებოდეს მოძღურისა და მემღუიმისაგან მოსაკსენებლად საწყალობელისა სულისა ჩემისა და წირვასა და ყოველსა ტრაპეზსა ზედა იკსენებოდეს სული ჩემი ყოველთაგან შენდობისა ბრძანებითა.—აწ ვინცა ესე ჩემგან ნასყიდი სოფელი ანგროინი თქუენ წ~დასა მამასა შიოს და მღუიმეს შინა დამკუიდრებულთა მამათა შეგიცვალოს და გამოგაკუას ანუ პატრონმან მძლავრობით და ანუ ჩემისა გუარისა კაცმან ანუ გადიდებითა და ანუ გამრავლებითა, ანუ ტყუეობისა დამართებითა და რაისაც მიზეზისათუის, ჰრისხავსმცა ღ~თი დაუსაბამოი, მამაი, ძე დ~ წ~დაი სული დ~ იგიმცა ყ~ლდ წ~მდაი ღ~ისმშობელი დ~ წ~დაი მამაი შიო რისხვად აღიძრვიან მისთუის წინაშე ღთისა (ღ~ისა) აქა დ~ მერმესა საუკუნესა.— დ~ მღუიმისა მამათა წმიდათა დ~ მოურავთა დ~ ჩემთუის გაჩენილმან მწირველმან თუ ესე ჩემთუის გაჩენილი ალაპი და სალოცავი დააკლონ და შეცვალონ რაისა გინდა მიზეზისათუის, ჩემთამცა დ~ ჩემისა გუარისა გარდაცვალებულთა და მომავალთა ცოდვათა პასუხსა იგი მისცემა ღ~თსა დ~ მემცა უბრალოი ვარ წ~ე საყდართა ღ~თისათა მეორედ მოსლვასა მისსა დიდებით. და ანგროვნისა საქმე და სამართალი რაიც შეჰკდეს მღუიმეს მოძღურისა და მოურავთაგან დაიურვებოდეს; მემღუიმისაგან შიგ შედგომით დ~ კელმიყოფით ნურაი ეწყინების: რ~მე (რომე) მონასტრისათუის ზე არ ამოსწყდეს დ~ ჩემისა სულისა სალოცავი ზე არ გარდაჰკდეს. სიმტკიცისათუის სეფისა მწიგნობრისა ი~ნეს მაჩხოიტისძის კელითა მომიკსენებია".

სხვა-ხელით, მხედრულად, მეტად გაბმულად და ძნელად გასარჩევი:

ქ: ესე ვითა ზემოთ მწიგნობრისა კელითა დამიწერია თავისა კელითა ვამტკიცებ მე ძ(ა)განი აბოლეთისძეი მნ წმიდამა შევა (შიო) რ~სათს (რომლისათუის) შემიწირავს ანგროვანი **) არაი რთავს ჩემის მამოლისა ჩემსა ნა-

---

*) თემამი იყო საერისთვო გრიგოლ სურამელისა.

**) ა ნ გ რ ო ვ ნ ე ლ ნ ი მოხსენებულნი არიან ჩვენს „ქრონიკებში" 1344 წ. ქვეშე; ხოლო როგორც სჩანს სინოდ. კანტ. გუჯრიდამ № 104 (იხ. ქვემო 1405 წლის ქვეშე), ანგროვანი და ძაგნაკორნათა შორს არ ყოფილა თემმის ხევიდამ.—ამ უკანასკნელის გუჯრიდამ ცხადდება ისიც, რომ 1405 წელს აბულეთის ძესი ალბათ რდნილან და ამისგამო მეფე გიორგის „აბულეთის ძედ დაუსხამს ამირასორი

სისხლისა ბაღდადით მოგებულსა მეტი, არცა რაი ღ̃სა (ღვთისა) სწორსა საქმე ოც და არცა ჩემთა შვილთა ძ̃ მომავალთა, არც ვის სხუასა. სუფლისა მოსავლისა საქმე ასრე გავაჩინეთ, რომე ყოლაი სწორად გაეყოფოდეს და მემღუიმესა არაი საქმე ოც მას თანა (თავად?). აწ ჩემი მოძღუარი იურვოდეს; მერმე ვინც მოურავი იყოს იგი მსახურებდეს მამათა წმიდათა. და ვინც შეცვალოს კრული (არს) ცათა შინა და ქუეყანასა (ზედა) და მის გამოცა იდვას პასუხი აღრაცხელთა ჩემთა ცოდვათა დღესა მას განკითხვისასა ამინ.

წვრილად მეორე გვერდზე სხვა-ხელით აწერია:

ქ. ესე ვითა პატრონსა პაპასა ჩემსა შეუწირავს და გაუჩენია და პატრონსა მამასა ჩემსა მათითა კელითა დაუმტკიცებია, მე მიწაი მათი შვილი ყარიბითა ჩემითა კელითაც დამიმტკიცებია და გამთავებელი ვარ.

ხვეულად: „ქ. ამა პატრონისა ბძანებულისა დამამტკიცებელი ვარ მეხათუთაი" არშიაზე აწერია: 1) ქ. (ესე ვითა) პატრონის - - - ჩემისა ბრძანებისა მე მათი ძმა ივანეცა დამამტკიცებელი ვარ.

2) ესე: ვითა: პატრონს: მამას: ჩემს: უბრძანებია: მე: მათი: შვილი. პატრონიც (პ̃ტნ) დამამტკიცებელი ვარ.

---

**1260 წ.** ამ წლის ახლო ხანებს კვეთნის დაგლეჯილი და სრულიად დაზიანებული მხედრულად კარგის ხელით დაწერილი ტყავის გუჯარი, რომელიც ხელმოწერილია ცნობილის სურამელ ერისთვის გრიგოლისგან; იგი მოკვდა 1260 წლის ახლო ხანებში (იხ. ზემო გვ. 141); იქვე ისანს გვარი აბულეთისძე (იხ. ზემო, გვ. 146).

- - - [სახე]ლითა ღთისათა. . . . დაგიწერეთ დაწერილი ესე ჩუენ ჩავქევასძეთა- - - [ძმ]ისწულმა დემნამა თქუენ ვერხულასძეთა გრიგოლასა - - (შ)ვილთა ძ̃ თქუენთა მომავალთა; მოგყიდე ნავენაკები ზედა - - შენისა კალოჲსა პირსა ნასყიდსავე ზედა მოგეყიდებოდა(?) უღალა - - უნდილაის ძისა ეჯიბობასა შიგა ძ̃ მამლაისა (მამულის) ხანდა(ც) - - - შიგა რაიც ღალა ჰმართებოდა ამას ადგილსა მომლამ(?) - - იღო და პატრონი ბეგდ მუხრანს დგა და მუნ გაუგზავნა ოქრ(ო) - - - (ა)ვიღეთ სრული ფასი რ̃ლითა ჩუენ შევსჯერდით - - მოწამენი არიან ბექაი ამირაი; ალავერდელ(ი) - - უჩურასძე ანაი:- ბოჭორასძე ვეფხაი:- არ შეგეცვალოს. . . (წყდება).

(აქ მოხსენებული „ბეგდ" უნდა იყოს ცნობილი ერისთავი, გრიგოლ სურამელის შვილი; ხოლო გვარი უნდილაძეთა დიდებული იყო და ისანს XV საუკ. მცხეთის გუჯრებში: № ტპ:)

იქვე ზედ, იმავ ხელით:

---

სიმშია", „პირველ აბაზაძე მარილელი და აწ... აბულეთისძე ამირასპარი სიმშია" (ჩემი გუჯ. წიგ. II, გვ. 106).

ქ. სახელითა... მე იოვანე მოგეც დაწერილი ესე შენ ლ- - - შვილთა... პიჭაის ძის მიწისა - - მენება იყო(?) მისი ლალაი გაგიშუი:. ვენაკი იყოს და - - მოსარჩლე არავინ არა (გვიბრძანებია)...

იქვე ზედ იმავ ხელით:

ქ. სახელითა... მე აბულაით - - ი(ხ)ულსძესა ნასყიდთა ვენაკთა ყანათა ლალა - - აგილოს არამან პატრონმან შენმან არა - - (წყევა).

იქვე იმავ ხელით:

ქ. სახელითა... დაგიწერეთ ესე ჩუენ - - თქუენ ვერხულაისძეთა და მოგყიდეთ ადგილი სავენაკე ულალოდ ვითა ჩუენსა - - - ულალო იყო და ავიღეთ სრული ფასი... მოწამენი არიან დი - - ალავერდელისძე მახარებელი.

ბოლოს წარჩინებულის ხელით წარწერილია მხედრულად: „მე გ̃გლ ს[ურამელსა] დამიმტკიც[ებია და]წერილ[ი ესე] - - [არას ჟამ]შიგან არ შეგე[ცვალოს]"[4] - - -

---

## 1250—1260 წ. შიომღვიმის სიგელი № 38.

სინოდის კანტ. დაცულია ტყავზე ხუცურად ლამაზის ხელით დაწერილი გუჯარი № 38 სიგრძით $1^3/_4$ არშინი, სიგანით ხუთი გოჯი); თავი სიგლისა დაგლეჯილია. ტექსტი სიგლისა დაწერილია ხუცურად XIII საუკ. ხელით, ხოლო დანარჩენი მისი ნაწილი დაწერილია მხედრულად მერმინდელის ხელით.

თუმცა სიგელს ქრონიკონი არ უზის, მაგრამ იგი დაწერილია 1250—1260 წლებში. ამისი მტკიცე საბუთები შემდეგია: 1) ამ სიგელში მოკსენებულია ზოსიმე ბერი (თავაური) და მისი „გამზრდელი იოანე", რომელიც, როგორც შემდეგის მერმინდელის იმავე სიგლის წარწერათაგან სჩანს, ყოფილა თფილელ-მთავარებისკოპოსი იოანე: როგორც სჩანს ზემო დაბეჭდილის სინოდ. კანტ. გუჯრისაგან № 39 (გვ. 125), ეს იოანე არის „გამზრდელი" დემეტრე მღვიმელისა და ცოცხალი ყოფილა 1248 წლის ახლო ხანებში;—2) მერმინდელს წარწერაში სიგლისა № 38 მოხსენებულნი არიან ბასილი თავაური მოძღუარი, მემღვიმე ზოსიმე, ბერ-მონაზონი გიორგი. ხოლო ქვემო დაბეჭდილის შიომღვიმის სახარებისაგან სჩანს, რომ ბასილი და ზოსიმე თავაურნი და ბერი გიორგი ცოცხალნი ყოფილან 1270 წელს. აქიდამ ცხადია, რომ თვით ხუცური ტექსტი სიგლისა 1270 წელზე ადრეა დაწერილი. 3) რადგან ტექსტში მოხსენებულია აგრეთვე მანგლელი დანიელ, ხოლო 1259—1260 წელს მანგლელად მოხსენებულია არსენი, აქიდამ საგულისხმებელია, რომ დანიელ 1260 წელზე ადრე ცხოვრებულა;—4) გარდა ამისა სიგელში დასახელებული მემღვიმე დემეტრე, რომელიც ცხოვრობდა მთავარებისკოპოზის გიორგის დროს; უკანასკნელი ცოცხალი ყოფილა 1236—1257 წელს; ამ გიორგის დაუმტკიცებია 1259—1260 წლებში რკონის გუჯარი (იხ. ზემო გვ. 143 და ჩემი „ქრონიკები II, გვ. 125).

შინაარსი სიგლისა, — ვინც-კი ღრმად ჩაუკვირდება, — ძვირფასს მასალას იმლევა არა თუ მონასტრების ნივთიერის ყოფა-ცხოვრებისას, არამედ საზოგადოდ წოდებათა იურიდიულის და ეკონომიურის დამოკიდებულობისას, და იმ-დროინდელ ქართველთა ყოფა-ცხოვრებას გვიხასიათებს. (სასვენ ნიშნები დაცულია დედნისა).

- - [სახელი]თა მამისა, ძისა და სული[სა წმიდისათა] - - -

(აქ განგებ გამოკუშვით 11 სტრიქონი).

[ესე წერილი და სიგე]ლი დაგიწერეთ ჩ̃ნ მღვმელთა ერთობით სრულად კრებულ[თა წ̃ისა] მამისა შიოჲს შვილთა და მოწაფეთა:. შენ ზოსიმეს:. კ̃ე (კჳრიკე) კახთა მეფისა [1]) სამწირველოჲ გქონდათ ამას საკურთხეველსა მ̃თსა (მათსა) ზ̃ა შ̃ნ ზოსიმეს და შენსა გამზრდელსა ი̃ეს (იოანეს). დიდნი ჭირნი გენახნეს. ს̃კრთხელისა (საკურთხევლისა) სახლი დაშლილ იყო. აღარ იყო დ̃ შენ ზოსიმეს გამზრდელსა ი̃ეს ერთნი ნაშვილებნი სახლნი და ერთნი მამულნი ეკლესიასა ქუე (sic) დაუსხენით და მისად სანაცვლოდ თომაურნი სახლნი მოგცენით: და სასაკუმევლოჲცა ავიღეთ თ̃ქნგ̃ნ. და თქ̃ნ დიდი ჭირი ჰნახეთ: და სახლი მოაშენეთ. უკმარი საკმრად შეჰქმენით. და ესე საკურთხ̃ვლსა აქა შესძინეთ. და კულა საკურთხ̃ვლისა ვენაკსა ზ̃ა აგარას თორმეტისა დრაჰკნისა ვენაკი იყიდეთ [2]) კვრიკაჲსძისგან და აგიცა ზედა მოჰკიდეთ. რუეთს საკურთხელისა საგლეხოსა ვენაკსა ზ̃ა კაცნი ვინმე სხდომილ იყვნეს არ მემამულენი. მიწაჲ ვენაკად აეშენა, და იგინი კაცნი კიდე წავიდეს. ნაშენებისა მათისა ნაცვლად ი̃ეს გამზრდელსა გარისელაჲს ძესა თექუსმეტი დრაჰკანი მიეცა მათ კაცთათვს. და მის გარისელაჲს ძისა სულისა სალოცავად თორმეტი კოკაჲ გაუყოფლისა ტკბილისაგან აიღების მ[ისა]დ სალოცავად ყ̃თა წელიწადთა დ̃ ამისა სანაცვლოდ შენ ზოსიმეს გამრზდელმან ი̃ე: გარისელაჲს ძისა სულისა სალოცავად: თევდორობისა პარასკევსა. თესლი და კუანჩხითა ღვნოჲ [3]) ამას ძმათა გაუყოფდა ეკლესიას: დ̃ კულა მასვე ვენაკსა საგლეხოსა ზ̃და: ი̃ეს შენსა გამზრდელსა ნაკალოები მჭედლურა ეყიდა და ზედავე მოეკიდა. და კულა ი̃ეს მთხრობელი აუდგა ივან-ბერი წუერ-გრძელისძე. და მიწაჲ დაკარგული ურხრა და მან მისითა მოჭირვებითა და საურავითა ზედავე შესძინა. თჳთ ამის დაწერილი ძეს. ესე საკურთხევლისა-და აქა შეუძენია. და კულა საკ̃რთხელისა მიწაჲ შალტამი. კოდათა გაუტეხელი უკმარი საკმრად შეჰქმენით: დიდნი ჭირნი ჰნახენით. შენ და შენმა გამზრდელმან ი̃ე ესე ყ̃ი საკურთხელისა-

---

[1]) უნდა იგულისხმებოდეს კვირიკე დიდი († 1102 წ.), „კაცი მეფობისავე თანა მვფე ქმნული ვნებათა ზედა და ჭეშმარიტი ქრისტიანეს (ქ-ცხ. I, 241; შეად. ბროსსეს თარგმანი: Hist. G. I, 353).

[2]) 12 დრაკნად თუ ვენახი უყიდნია, ხოლო რვა დრაკნად „ორი გუთანი მიწა“ (იხ. ქვემო, შენიშ. № 5), აქიდამ ცხადია, რომ მაშინდელი დრაჰკანი უდრიდა არა $1^1/_2$ მანეთს, არამედ 20—40 მანეთს ჩვენის დროისას (იხ. ზემო გვ. 47).

[3]) „კვანჩხი ღვინის სასმისი მცირე“ (საბა).

და შეგვიძენია შენ და შენსა გამზრდელსა ი῀ეს. და ვინაჲთგან ესე ყ῀ლი შენ და შენსა გამზრდელსა ი῀ეს მოგეპირვა. შენ ზოსიმეს დედულსა ზითვად მოცემულსა ზ῀ა სტ῀ფანეთ მამულისაგან. რ῀ლსა მსახური არაჲ ზ῀ა აც. მისსა ნაცვალსა სტეფანესძე გარდაიკდის. საეკლესიოსა და სამეფოსა სამსახურსა კულუხსა ღალასა და ყოველსავე გამოსაღებელსა. ჰაგრე მოცემული არს ესე მიწაჲ ზითვად. ამას მიწასა დედისა შენისა ზითევსა ზ῀ა შენ ზოსიმე და შენმან გამზრდელმან სახლკარი ააშენეთ და მოკიდებით ვენაკი კარგი: დიდნი ჰირნი ჰნახენით. და მეტისმეტად შენ ზოსიმე. და კულა შენისა გამზრდლისა ი῀ეს მ῀მასა მუბერს (მამას მუზერს). კვრიკაული მიწაჲ აელო საშენებლად ხელგიორგის ძისა ვენაკსა გუერდით. დღისა ერთისაჲ. და რაჲ აეშენა ორად გაეყო. ნახევარი იოანეს მამასა დაემპირა მუბერს ნახევარი მიწის პატრონსა მერმე იგი მათი კერძი აოკრდა და თ῀ქნ მისვე მამულისაგან იცვალეთ მიწითა: ოთხი ზომაჲ წყალმყინვართა ზ῀ა მიეცით. როსტომაჲსძისაგ῀ნ ეყიდა დღისა და ნახევრისაჲ მიწაჲ შენსა გამზრდელსა ი῀ეს. და კულა მასვე ზ῀ა მოკიდებით მატლაშნის ძისაგან დღისა ერთისაჲ ჵ მასვე ზ῀ა მოკიდებით ზვადის ძისაგან დღისა ერთისაჲ. ჵ ზედავე მოკიდებით დღისა ერთისაჲ სტეფანეს ძისაგან. ესე სამისა დღისაჲ შენ ზოსიმეს გეყიდა. წყაროთა ზ῀ა. ამასვე გუედით (sic) ზედავე მოკიდებით სამისა დღისაჲ მიწაჲ იყო ეკლესიისაჲ და მისითა სამართლითა სასაკუმევლოჲთა თქუენვე მოგეცით. და კულა ეკლესიათა გუერდით ორისა დღისა მიწაჲ შენ ზოსიმეს გეყიდა სტეფანეს ძეთაგანვე. და კულა შ῀ნ ზოსიმეს როეთელისა მჭედლისძისაგან გეყიდა ორისა დღისა მიწაჲ. აქ სტრიქონს ზემოთ აწერია ხუცურადკე მქრალ მელნით და სხვა ხელით: „ამის მჭედლისძისაგან რომელთაცა ეყიდა შესამოსლისა ფასად ორი გუთანი კარაისძეთა] ქანდაურსა ქუეშეთ რუსა: ესე შენ ზოსიმეს და შენისა გამზრდელისა. ნასყიდი და ნაპირვები. და დედული ზითვად მოცემული ყოველივე ესე თქ῀ნი ამის გ῀კ: გახთა მეფისა სამწირველოსა ზ῀ა მოჰკიდე[თ] თქ῀ნისა სულისა და მშობელთა და გამზრდელთა სულისა სალოცავად. არავის საქმე უც ამას ადგილსა ზედა. არცა სამეფოჲ სამსახური ზედა აც. არცა მდგური (sic) არცა გამოსაღებელი თვნიერ ეკლესიისა მამითნადი (sic) [1]) (აქ ორის სიტყვის ალაგი ამოფხეკილია).

ყოვლითურთ უბეგროჲ არს მით რ῀ლ ნასყიდი არს. ესე შენ ზოსიმეს შენთჳს და შენთა მშობელთა. და გამზრდელთათჳს სალოცავად სალ-კარითა ვენაკითა წისქულითა. საკმრითა ჵ უკმრითა შემოგიწირავს ეკლესიისა-და საალაპედ:. აწ ამას დაწერილსა ჩ῀ნსა მოწამენი ვართ: ამას უდაბნოსა შ῀ნა მყოფნი ძმანი. და მოწაფენი და შვილნი წ῀ისა მამისა შიოჲსნი: პ῀დ წ῀ჲ მ῀მჲ მელქმე თ῀ე. და მძღ῀რი ი῀ე: ბასილი მნათე. ბასილი თავაური: ბასილი ტიმო-

---

[1]) მამითნადი უნდა იყოს „მამითადი, ე. ი. ნადი ყანათათვის". აქ ორის სიტყვის ადგილი ამოფხეკილია. ნასყიდ-ნამზითვს არავითარი გამოსაღები არ ადევს.

თეს ძმაჲ: მიქელ ისაკის მწირველი. ზაქარია: ბრუკუაული ნ~კზ; არსენი: და არსენი: თ~ე, (sic) და ნ~კზ. და ლუკა, (sic) გ~ი, (sic) და მისი შვილი მანგლელი: დანიელ, (sic) და სჳმონ: ნ~კზ საგდუხტისი: იშტიმახი გ~ი: ბერი გინდაბერი: მიქელ აფხაზი: ბერი თ~ე (sic), ბერი კვრიკაჲსძე: ყოველნივე ერთობით. მღდელნი და მამანი მკვდრნი ამის უდაბნოჲსანი:.

ხ~ა აწ ვინცა ვინ ესე დაწერილი ჳ გაგებული ჩ~ნი შეცვალოს: დ~ აქციოს რაჲსაცა მიზეზითა: შინამან ანუ გარემან დიდმან ანუ მცირემან: რამანცა გუარმან კაცმან ჰრისხავსმცა... მამანი ჩ~ნნი ი~ე, შიო და ევეგრე (sic) და ყ~ნი წ~ნი ღთისანი: დ~ წყევისამცა იგი კანონი: მას ზედა აღესრულების. დ~ უდაბნოჲსამცა მღჳმისა, (sic) ლოცვაჲ წყევად და კრულობად მოექცევის. და დამცაისაჯების ყ~თა თ~ა მგმობართა წ~დისა ს~მებისათა... დ~ კრულმცა არს პ~ლ ღ~თისა დაუსაბამოჲსა პირითა და წ~თა ათორმეტთა, (sic) მოციქ~ლთა მადლითა: დ~ ჯ~რითა და ქქოსთა (sic) კრებათა მადლითა: და ხუთთა პატრიაქთა ჯ~რითა:. ქართლისა კათალიკოზთა ჯ~რითა: და ქართლისა მთავარებისკოპოსთა ჯ~რითა: და ყოველთა მღდეთ-მოძღუართა ჯ~ითა: აქა და ს~კნესა ა~ნ:—

და ვინ დაამტკიცოს, (sic) ღ~ნ აკ~რთხენ: და ყ~თა წ~დათა მისთა:—

გუჯრის მეორე პირზე მხედრულად, მე-XIII საუკ. ხელით და მქრალის მელნითა აწერია შემდეგი (თითქმის ყოველ სიტყვის შემდეგ ორ-ორი წერტილია):

ქ. სახელითა: ღთისათა.... წმიდათა და ღმერთშემოსილთა მამათა ჩ~ნთა: ი~ნე: შიო და ევეგრესითა: ესე: დაწერილი დაგიწერეთ: ჩუენ: კარაჲსძეთა: კჱირიკე: და ბასილმან: შენ გიარგის მუშირის ძესა, მას ჟამსა ოდეს ძმაჲ შენი ზოსიმე მიიცვალა, აქროსა ვჴედით ჩუენთა მშობელთაგან დანადებსა ზოსიმეს თანა დ~ ამის საქმისათუის შენ გიორგის გერჩოდით; ვიძიეთ დ~ ვცან მართალი, რომელ ძმასავე ჩუენსა იო~ნე (იოანე) თფილელსა წაეგო თჳნიერ ამისგან გარეშე, რომელი ზოსიმეს კელსა მინდობით შესამოსელი იყო და იგი დაიკარგა და წაკდა და ესე შესამოსელი რვა დრაჰკნად ვაჴრულად დააფასეს (დააფასესას?). შენ ოქროდ არ ძალგიჩნდა და მოგუეც ორი გუთანი[5]) მიწაი მჴედლი[თური]. აწ დღესითგან წაღმართ არა ვინ იყოს ჩუენის გუარისა არცა ჩუენ კჳირიკე და ბასილი და არცა ჩუენნი შვილნი და მომავალნი ამისა პროისანი (ამის პირისანი?) დ~ ვინცა რამანც გუარმან ჩუენმან დღესით გთხოვოს დ~ ანო გერჩოდის, კრულმცა არს დაუსაბამოისა ღ~თისა პირითა მკუდარი დ~ ცოცხალი. ესე დაწერილი მე ბასილსა თუით კელითა ჩემითა დამწერი არს (sic). მოწამენი არიან ამას დაწერილსა: ბასილი მოძღუარი: თაავაური: მჴმღუიმე: ზოსიმე: გიორგი: ქ(უ)ონდიდლისა: მწირველი: [6]) ნიკოლაოზ: ბუსლისძე (ბუწისძე?) მნათე: ელია: არსენი. კალმახელთა მწირველი: თევდოსი: ბასილი გიორგი:

---

[5]) გუთანი მიწა უნდა იყოს ერთი დღიური.

[6]) დიმიტრი მოძღვარი კ~ზის ნიკოლოზის დროს 1240—1280 იხ. ზემო, გვ. 128 გიორგი ჭყ. † 1118 წ. („ქრონიკ." I, 241—2).

გაზრდილი: მათე. ელიას ძე: და ყოველნი კრებულნი“. ზედვე სხვა ხელით, მხედრულად: „ესე ვითა ბასილსა ძმასა ჩემსა დაგიწერია, მეცა მოწამე ვარ კ̃ე“ (კჳრიკე?).

სხვა ხელით, XIII საუკ. მხედრულით: „ქ: სახელითა: ღ̃თისათა:. და თავს-დებობითა:. სუეტისა:. ცხოველისაჲთა: ესე დაწერილი: დაგიწერეთ: ჩენ (ჩუენ): ბურჯულთა:. კავთულამა: და თევდორამა:. და ჩენთა (ჩუენთა): შვილთა: ბასილამა:. და მშუიდამა:. დაგუეჭირუა ჰავისა: ჟამისაგან: და ხარაჯობისაგან: ჭ ავიღეთ: თქ̃ენ (თქუენ): მოძღურისაგან: დემეტრესაგა: ტუხუაისძისაგა: სამოცი: თეთრი: დეკენბერსა: ათსა: და გამიჩინეთ: უცი (ოცი): კოკაი:. ტკბილი:. [7]) წელიწადსა:. შიგა: მზაი. რომე უსიტყუელადა: კელთა:. მოგაკსენებდეთ: ვირემდისცალა: ამა: თეთრსა: შენსა: კელთა: მოგაკსენებდეთ: ამისნი მოწამენი არიან: კარაისძე: ებაი: და წამალაისძე ი̃აი:“,

მე-XVII საუკ. ხელით, მხედრულად: „ქ. მღვიმეს: რომ კრებულნი: ბერები: რომ: წასულან: და ბჳიტიბს: [8]) საყდარი: აუშენებიათ: ის კრებულნი: ამაშიგან: სწერიან: იქ რომ: სახელები: სწერია: საყდარზედა: ისინი: არიან: ეს: კრებულნნი:“.

**1265** წ. ამ წლის ახლო ხანებში დაწერილია შემდეგი ტყავის (მხედრულ ასოებით) გუჯარი, რომელიც ხელმოწერილია ცნობილის ისტორიულის პირის ბეგა სურამელისაგან:

„[სახელითა] მამისა, ძისა და სულისა - - - წმიდისა ღვთისმშობელისა... ცხოველსმყოფელისა ჯუარისათა: - - - ღთისა, მკსნელისა ჩუენისა ღ̃თისა იესოს- - დაგიწერე დაწერილი და - - [მ]ე ბეგამან სურამელმან თქუენ ტოტებ[ასა] და გ̃ის შვილთა და მომავალთა თქუენთა დაგსახენ (sic) ესე ნუ(სხა) - - ჩემსა ნასყიდსა ზედა და მოგეც რაიცა - - - დამნეს და მიმეც და ესე ნაესძესა(?) მი - - რს ყუელაი კრს (sic) ზედა ვენაკი და - - უალი საწისქუილე წალკოტისა და გამ - - ის მეტი რაიცა სადა არს სარწყავი და ურწყავი, ლალაი და რაიცა სადა არს ყუელა - - - ინაესძისა მიწისაი მკუდრად (sic) სამამულოდ - - - ლელად და მოუდევრად ყოველ - - - გან ათხუთმეტსა კოკასა ტკბი - - ელთა ზედა მარანს მიიღებდით - - ლიტრითა კოკითა და ხილისა ნახევარს მომცემდით. სხუად არავის საქმე - - ენს გუერდით საესეგუროდ

---

[7]) თუ ახლანდელის ფასიანობით კოკა ტკბილი სამ მანეთობაზე ვიანგარიშეთ, მაშინ გამოვა, რომ თითო თეთრზე სარგებელი უანგარიშნიათ ერთი მანეთი. ბროსსეს გამოკვლევით ერთი თეთრი უდრიდა ერთს შაურს (Rap. IV, 84).—ცხადია, რომ ეს წარწერა ეკუთნის იმ დროს, როდესაც მონგოლთა ხარკობამ მეტად შეაწუხა ქართველობა და ფული გააძვირა (იხ. ზემო გვ. 138).

[8]) ბჟიტიბი უნდა იყოს ბჟითა თრიალეთისა (იხ. ჩემი „Завѣщаніе Ц. Давида Воз.“, გვ. 12; 22 და „ისტორიული საბუთები შიომღვიმისა“ გვ. 17

(sic) არის - - - არად არა და სამოურებლის - - ზედა და სახლესობასა (?) ერთგულად იყუენით და არ შეგეცვალოს დაწერილი ესე თქუენ ტოტიბაისა შვილთა და მომავალთა - - ჩუენსა ერთგულებასა შიგა გქონდეს მკუდრად (sic) მამულად"... (წყდება მოკლე). ხელნაწერს: „ქ: მე ბეგასა [ჩემ]ითა კელითა დამიმტკიცებია«...

ქართლის ერისთავი სურამელი ბეგა (გრიგოლ ქართლის ერისთვის ძე) სჩანს ქ-ცხზაში 1240 წლიდამ 1290 წლამდი (იხ. I, გვ. 370; 383; 427. მამა მისი გრიგოლ უნდა მომკვდარიყო 1262 წლის ახლო ხანებში (ქ-ცხ. I, 390—392. იხ. ზემო გვ. 141—142).

**1266—1270 წ.**—ამ წლებს (ანუ, ვგონებ, ცოტათი უფრო ადრინდელს) უნდა ეკუთნოდეს ადაპი № 140 ათონის 1074 წლის ხელნაწერისა, XII—XIII საუკ. ხელით მიწერილი:

„თუესა დეკემბერსა :ვ: . . . განუწესეთ საკსენებელი ნიკოლას პეტრიწონელს მამასა: მოგუცა ეკლესიისა საბურავად :ნ: პერპერატი და კუალად გამოგზავნა სხუაჲ :კ: და მოვიდა მონასტერსა და მოგუცა პურისათჳს დუკატი :მ: და :ბ: ჯორნი ლაგამ-უნაგირითა და კ͠დ მოსცა ეკლესიასავე სხუაჲ დუკატი :იბ: და ხრიაკეფალი ახალი :ნ: ამისთჳს დავაწესეთ (ადაპი) მე მამამან იოვანე და ყოველთა ძმათა..." (იგივე ნიკოლა პეტრიწონელი იხ. იქვე ადაპი № 7).

პეტრიწონელნი მამანი იწოდებოდენ პერტკპაწონელადაც, როგორც სჩანს იმავე ადაპის წიგნიდამ № 78, რომელიც მე-XIII საუკ. ხელით არის ჩაწერილი: „თ͠ა ივნისსა :ით: ადაპი განვაწესეთ თეოფანესთჳს პეტრეპაწანელისა მამასახლისა, ბრძანებითა (ივერიის მონასტრის) მამისა ევგენისითა: მოგუცა ორი ლიტრა სტამენონი და კ͠დ ასი დრაჰკანი სხუაჲ"...

იქვე იმავე საუკუნის ხელით, ადაპი № 128: „ადაპი არს იოანე ფოფხაჲსძისა, რამეთუ მოსცა ეკლესიასა წყლისა მოსაყვანებლად დრაჰკანი პერპერატი :რკ:... და კ͠დ მოსცა ასი ტრიკ͠ფლი (?) და ცხენი :ბ:". იქვე № 141 იმავე საუკუნის ხელით: „თ͠ა ივლისსა :ია: ... ადაპი განუწესეთ ევფროსინეს პროტოსევასტსა, მეუღლესა მიხაელ პროტოსევასტოსისა, მოურნისა ჩუჱნისა... შეიქმოდიან ორთა სეფისკუჱრთა დიდთა. მიეცემოდის ერთი ბერძენთა ნათლისმცემელისასა და ერთი დიდსა ეკლესიასა... მოსცა ეკლესიასა» (აქ ცარიელი ადგილია დატოვებული).

იქვე, იმავე დროის ხელით, №№ 146 და 147: „...ადაპი გაოწესეთ (sic) ძმასა ჩუჱნსა ოქროპირსა ხარაზსა: მოსცა ეკლესიასა სტამენონი ექუსასი და პერპერაჲ :ჷ: (№ 147) ამისვე ოქროპირისა ნაშენებნი ზეთისხილნი განუწესენით სასნეულოსა წ͠ისა ირინეს ხატსა, რ͠ა შ͠დ მისსა ვინც სნეულ იყოს, იგი ეურვოდის"- - -

პეტრიწონელებად იწოდებოდნენ პეტრიწონის მონასტრის ბერები. ეს მონასტერი. პროფ. ა. ცაგარლის აზრით, არის ახლანდელი ბაჩკოვის მონასტერი, 30 ვერს-

ზე ფილიპოპოლიდამ, ქალაქ „პეტრიჩ"-ის მახლობლად (Свѣд. III, გვ. XII). ისტორიკი ანნა კომნენი სწერს, რომ ეს მონასტერი აშენებულიაო ორის ძმის „ბაკურიანებისაგან" (ibid). პროფესსორის ცაგარლის აზრით ეს ბაკურიანი უნდა იყოს „ჯან-ბაკურიან-ორბელიანი". მაგრამ ბიზანტიელთა „ბაკურიანი" უეჭველად არის ოდნავ შეცვლილი ცნობილი გვარი ბაკურიანთა, რომელნიც მოხსენებულნი არიან 1080 წლის ახლო ხანებს ქ-ცხოვრებაში (გვ. 222; 236) და ხიდისთავის ძეგლისწერაში: „ყოველთა ქართველთა ნათესავისა მასპინძელი გრიგოლ სევასტოსი ბაკურიანისძე და ყოვლისა დასავლეთისა დიდი დემესტიკოსი" (იხ. დ. ბაქრაძის „Гурія и Аджарія", გვ. 213; ვახუშტის ისტორია, გამოცემა ბაქრაძისა, გვ. 170, 177; Византійскіе историки: Анна Комнена, გვ. 90; 99; 125; 201).—ეს გრიგოლ მოხსენებულია აგრეთვე გიორგი-მთაწმიდელის ცხოვრებაში (ეკ. მუზ. ხელნაწ. № 170, გვ. 203, 205) და ათონის აღაპებში №№ 37; 111 და 130; № 37. „თვესა იანვარსა :კე: აღაპი არს გრიგოლ და აბაზ ბაკურიანისძეთა... მოსცა ეკლესიასა გრიგოლ ორასი დრაჰკანი და ორასი აბაზ",.. № 111: თ͠ა სეკდ, :კ: აღაპი არს აბაზის ბაკურიანისძისა... მოსცა სიცოცხლესა მისსა მონასტერსა დრაჰკანი სტამენონი ექუს თავი :ფ: და კ͠დ შ͠დ მიცვალებისა მისისა მოსცა მონასტერსა ცხენად და ჯორად საკედარი :ზ: და სტავრაჲ შესამოსელი. განვაწესეთ აღაპი ამას დღესა მიცვალებისა მისისასა მის მხოლოჲსა აბაზისი ხოლო. და კ͠დ იანვარსა :კე: თავისა ჩემისა გრიგოლისთანა ზოგად... მღდელმან ერისა ზიარებისა შ͠დ სმსმენელად ყოველთა სული აბაზისი მოიჴსენოს და ყოველთა ძმათა კმა-მაღლად ულოცონ". გრიგოლ † 1086 წ., ხოლო აბაზ უწინ მომკვდარა, 20 სეკდემბერს.

პროფესსორი ცაგარელი გვარწმუნებს, რომ პეტრიკი და პეტრიწონელი ერთი-და-იგივე სახელიაო და აქიდამ ის დასკვნაც გამოჰყავს, რომ „Загадочное досихъ-поръ прозваніе извѣстнаго грузинскаго ученаго и философа XI в. Іоанна Петрици (პეტრიწი, сокр. отъ Петрицонель) нынѣ получаетъ совершенно ясный смыслъ и значеніе,—онъ былъ, по всей вѣроятности, однимъ изъ братій этого Петриціонійскаго монастыря" Свѣдѣн. III, გვ. XII). რომ პატივცემული პროფესსორი შემცდარია, ამას ცხად-ჰყოფს ჩვენგან ზემო ნაჩვენები ფაქტები („ქრონიკები" II, გვ. 76). პატრიკი ხარისხია ანუ წოდება (Патрицій), როგორც „ვესტიც" (Вестъ) და არა პეტრიწონელობის მომასწავებელი; ხოლო მე-XI საუკუნის ცნობილი მწერალი იოანე წერილებში წოდებულია: „წ͠ა ბერი იოვანე პატრიკი, პეტრიკ-ყოფილი" (ეკ. მუზ. ხელნაწ. № 170, გვ. 236 „სამოთხე" საბინინისა, ხვ. 459), როგორც „ანტონ ლიპარიტ-ყოფილი", ე. ი. ერობაში ლიპარიტი ბერობაში ანტონად წოდებული; „არსენი ფარსმან ყოფილი", ე. ი. ერობაში ფარსმანი ბერობაში არსენად გადარქმეული (იხ. ეკ. მუზ. № 170, გვ. 230: 240). სიტყვა «პეტრიწონ-ელი», გრამატიკულ კანონით წარმოდგება ლექსითგან „პეტრიწონი" (აქიდამ «პეტრიწონ-ელი»); სიტყვისაგან „პეტრიწი" იმავე ნაკვეთით („ელი") წარმოებული სიტყვა იქნება „პეტრიწ-ელი" და არა პეტრიწონელი. პეტრიწონი მო-

ნასტრის სახელი, ხოლო პეტრიწონელი—იმავე მონასტრის ბერი ანუ მისი წინამძღვარი, გინა მამასახლისი (იხ. კიდე «ბერი პეტრე პატრიკ-ყოფილი“ № 170, გვ. 251).

თუმცა პატივცემულს პროფესსორს ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ დავით პეტრიწონელი მოხსენებულია ჩვენს «ქრონიკებში“ 934 წლის ქვეშ (წიგნი I, გვ. 310; 311; 334—89) და შეიძლება ეს დავითი იყოს „ბიძის ძე“ ქეთიმე გრძელისა, რომელიც მონაწილეობდა არტანუჯის კრებაში („ქრონიკები“ I, 127—).

ზემო გამოგვრჩა და აქ საჭიროდ ვრაცხ ჩავურთო ერთი საყურადღებო წარწერა წერა-კითხ. ხელნაწ. № 1275 iufolio, 810 გვ. სუცურად ნაწერი, ცნობილის კალიგრაფის სვიმონ კარგარეთელის (XVI საუკ.: იხ. ზემო, გვ. 111) ხელის მომსგავსო წერით. ხელნაწერი შეიცავს ფრიად საყურადღებო კარაბადინს თამარ-მეფისას. პირველს გვერდზე ხელნაწერს აქვს შემდეგი წარწერა:

„ქ. ესე წიგნი საქიმოჲ:. ოდეს რუქანდან [1]). სულტანი კარნუქალაქისა კართა ზედა გააქციეს [2]). მუნით ალაფად მოიღეს: ქ̃ე: მ̃რ: (ქრისტეს მიერ) პტ̃რნი [3]) :ქ: [4]) მისმან (ე. ი. თამარ-მეფისი) მწიგნობართ-უხუცესმან. პროტოჲ. უპერტიმოსმან [5]) და ვაზირთა ყოველთა უპირველესმან. კაცმან გონება მოზავმან. და საღმრთოჲთა მსჯავრთა მართლ-მსაჯულმან და კელისა მპყრობელმან ულონოთა და ქურივთამან. ქართულად მათარგმნინა. მე მიწასა მათსა ხოჯაყოფილსა:.“

---

## 1270 Ⴜ.—ႤႲႰႠႲႨႱ ႱႠႾႠႰႤႡႠ ႸႨႭႫႶႥႨႫႨႱႠ.

შიომღვიმეში დაცულია ხელოვნურად ტყავზედ დაწერილი და წარჩინებულის მხატვრობით შემკული სახარება ზანდუკითურთ in. 4, 265 ფურცელი, ანუ 530 გვ., ამათგან თავში 11 ფურცელი და ბოლოს 8 ფურცელი ქაღალდზეა დაწერილი მერმინდელის ხელით.

ხელნაწერსა აქვს შემდეგნი საყურადღებო წარწერანი:

ტექსტის ხელით: 1) მე-287 ფურც.: „ქრისტე... ნუ დასჯი... ცოდვილსა გიორგის, ამის წ̃ისა სახარებისა მწერალსა. ა̃ნ;—2) მე-256 ფურცელ-

---

[1]) ე. ი. ნურქადინ ქართველთა, ანუ როკ-ედდინ.—[2]) როკ-ედინ დამარცხდა ბასიანს, არზრუმის ახლო 1201 წ. („ქრონიკები“ I, 290—1).

[3]) ეს სიტყვა უეჭველად გადამასინჯებულია: დედანში იქნებოდა „ანტონი“ (ჭყონდიდელი) და არა „პატრონი“.

[4]) ასო „ჭ“ ჰნიშნავს ჭ[ყონდიდელს]. ანტონ ჭყონდიდელი, თამარ-მეფის ჯვარ-მტვირთველი და მემატიანე იხ. ზემო გვ. 79—82 და ქ-ცხ. 299—300; «ქრონიკ.» I.

[5]) ამავე წოდებით ანტონი მოხსენებულია თამარ-მეფის გუჯარში (იხ. ზემო გვ. 79).

ზე: „მადლი და დიდება ღმერთსა... განსრულდა წ҃ა ესე და ყოვლითურთ საწადელი... ოთხთავი... მოვიგე და დავწერე კელითა ჩემითა მე გიორგი საწყალობელმან... პირველად სალოცველად სულისა ჩემისათჳს და... მშობელთა ჩემთა და ძმისა ჩემისასა... დაიწერა დიდსა უდაბნოსა მღჳმისასა, საყოფელსა წ҃ისა ღმერთშემოსილისა მამისა შიოისასა; ხოლო ქორონიკონისა წელნი იყუნეს: უ :ჲ: (ე. ი. 490+78=1270 წელს). წელნი, რომელ გარდასულ არიან დასაბამითგან ვიდრე ჯუარცუმადმდე უფლისა ჩუჱნისა იჱსო ქ҃ესსა ესრედ იცნობების: ჵ: ფ: ლდ: (ე. ი. 5534 წ.); ხოლო შემდგომად ჯუარცუმისა ვიდრე მოაქამომდე: ჩ: ს: ო (ე. ი. 1270 წ.), ერთრიცხვად ყოველნი წელნი დასაბამითგან ვიდრე აქამომდე: ხ: ყ: დ: —“ (ე. ი. 6804 წელი; ანუ 6804—5534=1270 წ.);—3) იქვე, მე-257 ფურცელზე: „სახელითა ღთისათა... და ი҃ე, შიო და ევაგრესითა... შევსწირენ... მამასა შიოს ოთხთავი სახარებაჲ, სრული ყოვლითა განგებითა, კამარითა და ხატითა, ზანდუკითა და ბეჭდითა... და ერთი მარხვანი ეტრატსავე ზედა; ერთნი ზატიკნი ეტრატსავე ზედა მე გიორგი... მონაზონმან ხუცესმან... და შემიწყალეს წინამძღუარმან ზოსიმე და ბასილმან თაკაურმან, მოძღურად წოდებულმან და სრულიად კრებულმან მღჳმისამან (ბ) ალაპი გამიჩინეს საუკუნოდ... წინადღესა ხარებისასა... (მერე წყეკა, ვინც არ შეასრულოსო ანუ სახარება მღვიმიდამ გაიტანოსო)... ამენ“ (sic).— აქ დასახელებულნი პირნი მოხსენებულნი არიან ზემო დაბეჭდილს გუჯარში № 38. (გვ. 152—153).

აქ მოხსენებულ ეტრატის ხელნაწერთაგან, რომელნიც გიორგი მონაზონს შეუწირავს შიომღვიმისთვის, აქამდი დარჩენილა მღვიმის წიგნთსაცავში ეტრატის ზატიკი, უთავბოლო, infolio.

ხელნაწერი შეიცავს სასვინაქსროდ მოკლედ აღწერილს წ҃ა შიოს ცხოვრებას (ფურც. 2), რომელიც დიდად საყურადღებოა და ამისგამო ქვემო ვბეჭდავთ:—2) წ҃ა ნინოს შემოკლებულს ცხოვრებას (ფურც. 3);—3) კათალიკოზის არსენის მიერ (1218—1227 წ.) შედგენილს წ҃ა ნინოს საგალობლებს კიდურ-წერილობით: „ქებით უგალობ სასოსა ჩემსა ნინოს. არსენი“ (ფურც. 4—12);—4) „ტჳპიკონი საეკლესიო წესისაჲ... საბაჲს ლავრისაჲ, რომელი ესე ესრეთ იქმნების სხუათაცა ყოველთა მონასტერთა შინა პალესტინისათა“;—5) განგება ღამისთევისა (ყუელა საუფლო დღესასწაულთა);—6) მოთხრობა შემოკლებული საეკლესიოჲსა განწესებისა მონასტერთა იერუსალიმისათა;—7) სვინაქსარი 12 თვეთა;—8) „დაქცევა სიბოროტისა“ ანუ მწვალებელთა განქიქება, რომელიც წაიკითხვის მართლმადიდებლობის დღესასწაულს, პირველს კვირიაკეს დიდის მარხვისას; (საგალობლები აღნიშნულია წითურად სხვა-და-სხვა ნოტის ანუ ხმის-საქცევ ნიშნებით, რომლის მსგავსი სხვა ხელნაწერებში არ შემხვედრია);—ამ საკითხავში მოხსენებულნი არიან ბერძენთ და ქართველთ მეფენი, დედოფალნი, პატრიარქნი და ქართლის კათალიკოზნი, რომელთა სია ჩვენ უკვე დავბეჭდეთ (იხ. ჩემი „ქრონიკები“ I, გვ. 79—81: 145—147). კათალიკოზთა სიაში უკანასკნელად მოხსენებულია გიორგი (არსენის შემ-

დეგ), ხოლო ქართველთ მეფეებში—რუსუდანი; აქიდამ ცხად-ჰხდება, რომ მოხსენებული ხელნაწერი დაწერილია 1245 წლის უწინ და 1224 წლის შემდეგ;—9) ცხრილი ხუთასეულისა 1172 წლიდამ 1224 წლამდი. ბოლოს ტექსტის ხელით წარწერა: „... მე გიორგი, სახელით ოდენ მონაზონ-ხუცესი... ღირს ვიქმენ აღწერად წიგნისა ამის და შემდგომად აღსრულებისა აღმზრდელისა ჩემისა დავსდევ ეკლესიასა მღჳმისასა საკსენებელად სულისა მისისა და ჩემისასა“...

ესრეთივე წარწერა აქვს შიომღვიმის ეტრატის უთავ-ბოლო ტიბიკონს (infolio), რომელიც შეიცავს: 1) წ̃ა ნინოს დღეობის განგებას, 2) „ტჳფიკონს“ საბას ლავრისას; 3) სვინაქსარსა (სეკდემბრიდამ) და 4) ცხრილს ხუთასეულისას.

---

## 1267—1288 წ.—სამი სიგელი მეფისა დავით-ნარინისა.

გელათის მონასტრის საბუთებში ჩვენ ვიპოვნეთ სამი პირი ხუცურად (მე-VXII საუკ. ხელით) დაწერილის მეფის დავით-ნარინის სიგლებისა №№ 139; 678): 1) „დავთარი საბასელასი“, დაწერილი 42 წელს დავითის მეფობისას, ე. ი. 1236+42=1278 წ. (დავით ნარინი „აბხაზთა ქრონიკით“ გამეფდა 1236 წ.: იხ. ზემო, გვ. 124 ); 2) დავთარი კვახჭირისა უთარიღო. ეს სიგელი მიცემულია ისტორიაში უცნობის „თამარ ემენლასმის ასულისგან“ მაშინ, როდესაც ის ცოლად მოუყვანია მეფე-დავითს.—ბროსსეს გამოკვლევით დავითის ცოლი, უკანონო ქალი მიხაილ პალეოლოგის ცოლისა, დავითს მისთხოვდა 1267 წელს Hist. G. I, 579, n. 3; ვახუშტი-ბაქრაძისა, გვ. 250). ამისგამო თუ ბროსსეს ქრონოლოგია სწორია, ეს გუჯარი უნდა იყოს დაწერილი ანუ 1267 წელს და ანუ შემდეგს 1268 წ.,—და 3) „დავთარი ფიქეფონისა“ უთარიღოვე, მიცემული იმავე თამარ-დედოფლისაგან, „ემენლაჲსმის ასულისა“.

დავით-ნარინისგან არცერთი გუჯარი არ არის ჩვენ დრომდი მოღწეული, გარდა ჩვენგან ნაპოვნის თვით-ასლისა, (რომელიც ზემო დავბეჭდეთ, გვ. 128—9) და მით უმეტეს ზემოხსენებული საბუთები ძვირფასი უნდა იყოს ჩვენის ისტორიის მკვლევართათჳს. ჩამოთვლილ სიგლებში დასახელებულია მრავალი იმ დროინდელი უცნობი ისტორიული პირები და მათ შორის აქამომდე უცნობი დედოფალი თამარ. ამ საბუთებიდამ (№ 2, 3) სჩანს, რომ თამარ არის იმპერატორის ემმანუილის ქალი (კირ-ემანუილ, მეფე ტრაპიზონისა 1238—1263 წ.) და არა მიხაილ პალეოლოგისა (შეად. ქ-ცხ. გვ. 405). ტრაპიზონელის მიხაილ ფანარეტის ქრონიკა გვაცნობებს, რომ 1282, აპრილს, მეფე იკერიისა, დავით, გარშემოერტყაო ლაშქრით ტრაპიზონს, მაგრამ ვერ აიღოო, და შემდეგ, 1284 წ., „კირ-თეოდორა კომნენისა, უფროსი ქალი კირ-მანუელისა, დიდის კომნიანოსისა“, გაიქცაო „რუსანტანთან“ (ე. ი. რუსუდანის ძის დავით მეფესთან). ეს ცნობა მოჰყავს ლებოსაც. ბროსსეს შემოუკრებია ეს ცნობები, მაგრამ არ იცის, რომელს მათგანს არგუნოს ჭეშმარიტება (Hist. G. I, 379—380, n. 3). ჩვენი სიგლები-კი სრულიად ეთანხმება

მისაილ ფანარეტის ცნობას და ამით საბოლოოდ წყდება ეს ისტორიული კითხვა. თეოდორას თამარის სახელი მიუღია დედოფლობაში (მაშინ მეფეებს ის ჩვეულება ჰქონდათ, რომ სხვა ტომთაგან მოთხოვებულს დედოფლებს სახელს უცვლიდნენ: იხ. ჩემი „ქრონიკები" I, გვ. 211—212). ცხადია, ისიც, რომ ვახუშტის ეს ამბავი აურევია ულო-დავითის ცოლის ამბავთან (ქ-ცს. I, 405; 413; 433; Hist. G. I, 591; ვახუშტ. 150).

## ჳ. დავთარი საბანელასი.

სახელითა ღთისათა, (ჩუენ) დავით ბაგრატოანმან, ძემან სულკურთხეულისა მეფეთ-მეფის რუსუდანისამან, ნებითა ღთისათა აფხაზეთისა, ქართველთა, კახთა და სომეხთა მეფემან, შარვანშა და შანშა და ყ̃ისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა მპყრობელმან, სასოსა და მფარველსა ხახულისა ღთისმშობელსა მოწყალებითა მინდობილმან, გულს-ვიდგინე მცირედი ესე სამსახურებელი მათი სალოცველად დ̃ სახსრად სულისა ჩუჱნისა საუკუნოდ, წარსამართებელად მეფობისა ჩ̃ნისა და ძეთა ჩ̃ნთა დღეგრძელობისათჳს: ვიყიდე სოფელი საბანელა [1]) სულის მწირველთა კანონოხის განმზრდელთაგან ნასყიდი. აწ მე უნაკლულითა და სრულითა ფასითა ყოველივე რაც მათ ჰქონებოდა მის სოფლისთანა კანონოხესგან ვიყიდე... მივეც ფასი და მუქაფა სრული, რომლითა შესჯერდა, სათნო ვიჩინე მოკსენებად დიდს მონასტერს ხახულის ღთისმშობელს, რომელმან აურაცხელნი წყალობანი ყვნა ჩემზედა, რათა ყოველთა მარიამობათა დღეთა კანდელაკის კელითა მიიღებდენ ბეგარსა ორმოცდა-ათ ლიტრა ცვილს, რომელ ყოველთა დღეთა და ღამეთა წელიწდისათა დაუვსებელად და მიუცილებელად საუკუნოდ შეუცვალებელად, ვიდრე ქუჱყანა ყოფად იყოს, თხუთმეტი სანთელი ეკლესიასა შინა ენთებოდეს, ვითარ მოძღუარს ჩუჱნს ილარიონს გაუჩენია ხახულისა ღთისმშობელსა და სხუათა ხატთაცა წინაშე ნთებად ადგილთა დ̃ მივათუალენ კანდელაკს, რათა მისითა კელითა მიიღებოდეს ცვლი ბეგარა; და თუ რა სასაურო საქმე დაუვარდებოდეს მის სოფლის კაცთა დ̃ იქმნებოდეს ანუ თჳთ შინა მათ ზედა და ანუ გარეგანთაგან, მასაც კანდელაკი იურვოდეს, ვითა დიდის მონასტრის საქო[ნელთ]ა მართებს მით წესითა. სხუად არა ვისი კელი შევიდოდეს მათ ზედა და შვლთა და მომავალთა მათთა ზედა, არცა ვისგან რა ეწყინებოდეს, არცა მოძღუართ-მოძღუართა და წინამძღუართაგან და ძმათაგან, არც ჩუჱნთა კელისუფალთაგან და კარის გასულთა მოსამსახურეთაგან, არცა მექერეთაგან რა ეწყინებოდეს. თუ რა გარეთ სასაური საქმე იყოს, მასაც კანდელაკი იურვოდეს; თუ სოფელშიგან თუ რაჲ სასისხლო საქმე იყოს, მასაც კანდელაკი იურვოდეს... ორმოცდა ათს ლიტრას ცვლს სამებელისშვლი, საღირისშვილნი და მომავალნი მისნი მიიღებდენ...

---

[1]) ქუთაისის გუბერნიაში და მაზრაში.

ქრისტეს შობას დღეს, ამითა ასითა ლიტრითა ცვლითა — ორმოცდა ათითა საბანელაურითა და ორმოცდა ათითა სამებელასშვილისეულითა. ესე გაჩენილნი სანთელნი დაუვსებელად ენთებოდენ. და თუ რაჲ ცვლი მომატებულ იქმნებოდეს, სადამე-ყოვლო სანთელი ხახულის ღ͠ის-მშობელს წინაშე დაინთებოდეს, ვითარ სიგელშიგან სწერია. სამებელასშვილის საქმესაც კანდელაკი იურვოდეს მონასტრისა წესითა, რომე ბეგარა ცვლი გაგჩენია ხახულისა ღ͠ისმშობლისთვს ორმოცდა ათი ლიტრა, მას აქაჲთ სათათროსა ꟓ სასვანოსაგან კიდე არა წაეღებოდეს და არც ქუთათისის მეგერგილეთა (sic) და ამირათაგან რა ეწყინებოდეს და არც ვის სხვსგან და კანდელაკისაგან კიდე არც ვისი კელი შევიდოდეს სამებელის შვლს და მის მამულზედა რაც არის... (ყველამ ესე დაუმტკიცოთო... ტყის მცველთა და სხვათა... ნუ ვინ დააკლებთო). თქუენ წ͠ნო მღდელთ-მოძღუარნო აფხაზეთის და ქართლისა ქათალიკოზნო [1]) უტყუარობით დაამტკიცეთ. დაიწერა სიგელი და ბრძანება ესე ჩ͠ნი ინდიკტიონსა მეფობისა ჩ͠ნისასა ორმოცდა მეორესა (sic) კელითა საწოლისა ꟓ საჴურჭლის [მწიგნობრისა] ნიკოლოზისა[თა] - - - (დედანსაც ჰკლებია).

## Ⴗ) დავთარი კეახჯირისა.

დაწერილი ესე დავსდევ დიდსა და წ͠სა მონასტერსა დიდისა დავითის აღშენებულსა [2]) ღვთივ გვრგვნოსანთა მეფეთ-მეფეთა სამკვდრებელსა გელათს წ͠ა ღთისმშობელსა ხახულისსა წ͠ე მას ჟამსა, ოდეს ინება ღ͠ნ ꟓ ღირს მყო ძლიერისა და უძლეველისა მეფეთ-მეფისა, რუსუდანისა ძემან ღ͠თ მეფეთ-მეფემან ემენელას ძისა (sic) ასული თამარ მათსა სახლსა შიგან მათად ცოლად და დედოფლად მომიყუანეს ꟓ ვითა საკორციელოდ მათ წინაშე ყოფამან სახელოვან მყო, ეგრეთვე მათსა მონასტერსა შიგან ს͠კნო სულისა ჩემისა საკსენებელი ꟓ

---

[1]) აქედამ სჩანს, რომ ამ დროს აფხაზეთს კათალიკოზობა ყოფილა (ის. ჩემი „Абхазскіе Каталикозы" 1893 г. стр. 12—17).

[2]) ესეც ცხადი საბუთია იმისი, რომ გელათი დავით აღმაშენებელის აღშენებულია და არა გიორგი აფხაზთ მეფისა, როგორც გ. წერეთელმა აღიარა არა-საკმაო საბუთებით: იხ. „Древности Вост." т. I, вып. II. დავით აღმაშენებელის სიკვდილიდამ დავით-ნარინამდი გავიდა ცოტათი მეტი ერთის საუკუნისა ꟓ რასაკვირველია მისს დროს კარგად ეცოდინებოდათ, თუ ვისგან აღშენებულია გელათი. ჩვენ მრავალი ფაქტები აღვნიშნეთ ჩვენის აზრის დამასაბუთებელი: „ქრონიკები" I, გვ. 144; 202; 246—8; „Завѣщаніе св. ц. Давида Воз." გვ. 23—24; „ქრონიკები" II, გვ. 72—3, სადაც, 1189 წელს, თამარ-მეფე მოიხსენიებს, რომ გელათი „პაპათა ჩემთაგან სრულ-ქმნილი არსო"; ხოლო პაპა თამარისა იყო დიმიტრი და დავით აღმაშენებელი, და მართლაც გელათი დაიწყო დავითმა და განასრულა დიმიტრიმ („ქრონიკ." I, 246—8).

სამწირველოსა გაჩენა გულსვიდგინე კითხვთა და ბრძანებითა ღ̃თისა სწორისა მეფეთ-მეფისა დავითისითა და მათთა ვაზირთა კითხვთა და მოწმებითა ვიყიდე სოფელი კვახჳირი მათისა ამირაჯიბის ქობულისძისა ბეღესგან (sic) სხვსა ყოვლისა მისაცემელისაგან კიდე თორმეტი-ათას თეთრად პატრონთაგან მისთჳს ესეთითა სიგლითა ბოძებული, რომელსა ესე სწერია, თუ რაი ვის კვახჳირს სიგელი და დაწერილი ჰქონდეს ამით სიგლითა იგი ყოველი გაგვტეხა და მტკიცე ესე ოდენი და თვთ იგი სიგელი და ბეღესგან ჩემთჳს მოცემული დაწერილი დავსდევ დიდსა მონასტერსა შინა კითხვთა, მოჴსენებით ჵ მოწმებითა დიდისა მოძღუართ-მოძღურისა დავითის მწირველისა ანტონისითა, [4]) დიდისა მონასტრისა წინამძღურისა, პატრონთა მწირველისა იოანესითა, პატრონთა გამზრდელისა თამარის მწირველისათა, [5]) ილარიონ ფაჴნელისათა [6]), პ̃ე დეკანოზისა ჵ ყოველთა დიდისა დავითის ძმათათა [7]) და ვაჩინე მწირველად ჩემად ღირსი და პატიოსანი კანდელაკი იოანე და გამიჩინეს ალაპად დღე მეორე მარხვათა კჳრიაკე სანთლიანი და ყოვლითურთ უნაკლულო, და გაუჩინეთ სახლნი პაპოსეულნი (sic) და ტრაპეზ-საჯდომნი, ვითა წესია და მიუთვალე სოფელი კვახჳირი და მესხეთს ერთი გლეხი პატრონთაგან ბოძებული [8]) კვედუროსძე და საღვნედ ფარსმანაყანევს ციბალასძე მწირველსა ჩემსა იოანე კანდელაკსა; ვიდრემდისცა ცოცხალ იყოს, ამას ალაპსა ჩემსა უნაკლულოდ გარდაიკდიდეს მღდელთა, დიაკონთა და ყოვლისა სავსებისა ეკლესიისასა ლოცვებითა, წირვითა, სანთლითა, ვითა წესია დიდისა მონასტრისა ალაპთა და შერმე ტრაპეზს მოძღუართ-მოძღუარსა, წინამძღუარსა, დეკანოზსა და ყოველთა ძმათა კეთილად ნუგეშინისცემითა და განსუჳნებითა.—და შემდგომად მისა, თუ გაზრდილი იყოს მისი ღირსი, მოძღუართ-მოძღურისა წინამძღურისა, დეკანოზისა და ყოველთა ძმათა კითხვთა, ბრძანებითა და გამორჩევითა იგი აჩინონ; და თუ მისი გაზრდილი ესეთი არვინ იყოს, ვინც სხუა ესეთი იყოს, რომე მონასტერს ემსახურებოდეს, ყოველთავე ძმათა გამორჩევითა და ბრძანებითა იგი იჩინებოდეს. ესე ჩემგან სასოებით და დიდითა გულსმოდგინებითა მოგონებული და ქმნილი წ̃სა დიდსა მონასტერსა გელათს შეწირული და ჩემგან ჩემითა ოქროთა ნასყიდი, რისაგან და ჟამისა შემოღებითა შემიცვალოს დღე ალაპად გაჩე-

---

[4]) ეს დავით-აღმაშენებლის მწირველია, როგორც გელათის მაშენებლისა.

[5]) ისტორიამ არ იცის, ვინ არის ეს თამარ, „პატრონთა გამზრდელი“; „პატრონთა მწირველი“ იოანე უნდა იყოს დავით მეფის და დედოფლის თამარის მწირველი.

[6]) ფაჴნელთა გვარი ქართლს ერისთაობდენ: იხ. ჩემი „ისტორიული საბუთები შიომღვიმისა“ გვ. 1; 1—2; „ქრონიკები“; II, გვ. 98;—100—2; 127—8; 141—2.

[7]) „დიდის დავითის ძმებად იწოდებიან დავით აღმაშენებლის მიერ სარჩო-საზრდელით დაწესებულნი მონაზონნი (იხ. ამაზე ზემოთ თამარ-მეფის სიგელი, გვ. 73).

[8]) ქ-ცხბაც (გვ. 407—410) ჰმოწმობს, რომ მესხეთი ერთ-ხნობით იმერეთს ეკრა.

ნილი და სამწირველო კვახჭირი [9]) და მესხეთს გლეხი ერთი კვედუროსძე და სალვნე(დ) კუპრასძე შენ, ყ̃დ წ̃ო ღ̃ის მშობელო ხახულისაო, ძისა შენისა მგმობართა და მელახურესა თანა დასაჯე და თვთ შენ ყ̃დ წ̃ისა მგმობართა ნისტორის და ორიგენისთანა, და ყ̃თამცა ბრალთა და ცოდვათა ჩემთათვს იგი მისცემს სიტყუასა ღმერთსა დღესა მას დიდსა განკითხვასა. ოსეთისა ზარადხოანისა [10]) მწიგნობარსა დაბნედილისა (sic) კელითა დამიწერია: —

## ს) დავთარი ჯიქეფონისა.

„სახელითა . . . მე თამარ დედოფალმან, სულ-კურთხეულისა და სანატრელისა მეფისა რუსუდანისა ძისა, ყოველთა მეფეთა მეფისა დავითის ცოლმან და ემენელასძისა ასულმან, ვიყიდე სოფელი ჯიქეფონი ცოტნე გარაყანისძისაგან, მისგანაც ნასყიდი და ნასისხლი ამა ქუეყანისა [11]) დიდებულთა და აზნაურთა და მისთა მესისხლეთა და მოსამართლეთა ყოვლისა დაკდომითა უსარჩლელი და მოუდევარი ყოვლისა ადამიანისაგან და შევწირე და მოვაკსენე ყ̃დ წ̃სა ღ̃თის მშობელსა ხახულისასა, დიდსა მონასტერსა (გელათს) საუკუნოდ სალოცველად და საალაპოდ სულისა ჩემისად, ვიდრემდისცა წ̃ა ესე მონასტერი ეგოს. და გავაჩინე ალაპი სანთლიანი და დღე სეკდემბერსა ოცსა ღთისმშობლისა შობაი და ყ̃თა დღეთა ტრაპეზსაზედა სახელდებით მოეიკსენებოდეთ. — ესე ჩემ თამარისაგან დედოფლისაგან ნასყიდი... ღვთის სწორისა რუსუდანის ძისა მეფეთ-მეფისა ბრძანებითა და დაკდომითა... ნასყიდი სოფელი ჯიქეფონი თორმეტი გლეხი მისითა მიწა-წყლითა და მიმდგომითა, მთითა, ბარითა... ზღურითა... (მერე წყევა-კრულვა სწერია, ვინც შესცვალოს).

---

## 1280 წ. ნაწყვეტი სამღვდელო კრების ძეგლისა.

სინოდის კანტორის მე-XIII საუკუნის ხელით სუცურად გადაწერილს ნუსხაში № ტნზ (№ 507) ჩვენ ვიპოვნეთ აქამომდე არ-ცნობილი მეტად საყურადღებო ნაწყვეტი სამღვდელო კრების დადგენილობისა, რომლის თავი და ბოლო დაკარგული ყოფილა მე-XVII საუკუნეშიც, როდესაც გადაწერილია ეს ნუსხა.

კრება შემდგარა, როგორც საგულისხმებელია, თფილისში ყველა ქართველ ეპისკოპოსთაგან, რომელნიც მეფეს სწერენ: სანამდი ჩვენს თხოვნას არ აღგვისრულებ, მანამდი არ მოვშლით კრებასა, რაც უნდა ძალა დაგვატანოო, ეკლესიებს დაკ-

---

[9]) კვახჭირი ხუთს ვერსზეა ქუთაისიდამ.

[10]) „ზარადი არს ზუჩის (ე. ი. რკინის ქუდის) ჯაჭვი“ (საბა). ზარადხოანი უნდა იყოს ხარისხოვნების მაჩვენებელი.

[11]) „ამ ქვეყანად“ უწოდს იმერეთის სამეფოს.

კეტთო, მირონს არ მივსცემთო და სხ. ხოლო თსოვნა კრებისა იმაში მდგომარეობს, რომ მეფისაგან საჩუქრად გაცემული და ერისკაცთაგანაც მალადობით მიტაცებული საეკლესიო მამულები ეკლესიასვე დაუბრუნდესო და სხ.

სამწუხაროდ, ამ ძეგლის ნაწყვეტს თარიღი არა აქვს და საძიებელი რჩება ის; თუ რომელი მეფე და რა გარემოებაა აქ გულისხმებული, ანუ როდის, რომელს საუკუნეს და წელს ყოფილა ეს კრება.

შინაარსიდამა სჩანს, რომ კრება ყოფილა შემდეგ თფილისის ქალაქის სპარსთაგან დაბრუნებისა, ე. ი. შემდეგ 1122 წლისა (ის. ჩემი: „Завѣщаніе г. ц. Давида Воз.“, გვ. 20—21 და ქ-ცხ. I, გვ. 259); მეფე, რომელსაც სწერენ, ყოფილა „სამეოც-და-მეათუთხმეტე შვილი თქუენთა (ე. ი. ბაგრატუნიანთ) გუართანი“. თუ დავით წინასწარმეტყველიდამ ვიანგარიშეთ, 76 მეფე იყო ბაგრატ IV (ქ-ცხ. გვ. 236), ხოლო თამარ მეფე იყო მე-81 (ქ-ცხ. I, 306). მაგრამ ბაგრატ IV-ის დროს თფილისი სპარსთა ეპყრათ და თჳთ ბაგრატ არა თუ არ სდევნიდა ეკლესიას, არამედ აშენებდა და ამკობდა მათ, როგორც ამას ამოწმებენ აურაცხელნი ნაშთნი.

ჩვენის აზრით, აქ მოხსენებული მეფე უნდა იყოს დიმიტრი-თავდადებული. აი ამისი საბუთები: 1) ძეგლში მოხსენებულია: «ნუცა ვინ ყალნობის მიზეზს შემოიღებსო“, ე. ი. ბეგრობის მიზეზით თავს ნუ იმართლებსო, ხოლო ძნელი ბეგრობა და ხარაჯობა იყო მონგოლების დროს (ქ-ცხ. I, 386 და ზემო გვ. 133); —2) აგრეთვე ძეგლი ამბობს: «ვიცი, რომ მრავალნი ვადრებენ ჟამისა ძნელ-ბედობასა და საჭიროობასა», რაიცა იმავე ხარჯობის დროს გვიჩვენებს; 3) მაგრამ უკელაზე მტკიცე საბუთი იმისი, რომ ზემოხსენებული კრება იყო დიმიტრი მეფის დროს, არის მოწმობა თჳთ ქ-ცხ-ისა (I, 414—415), სადაც ცხადად აღნიშნულია „ძეგლში“ მოხსენებული ცნობები: „მთავართა იწყეს კლის შეხებად საყდართა და მონასტერთა, მიტაცებად სოფელთა და აგარაკთა... დაღა-თუ ამათ უწესოებათა დიდად ამხილებდა ნიკოლოზ კათალიკოზი და ნიკოლოზ მაწყუერელი, ჟუანშერისძე, არა-ვინ ყურად-იღებდა სიტყუათა მათთა“... მეფის ზნეობითად განსრწნილობასთან ეს გარემოებაც იქნებოდა მიზეზი იმისა, რომ „ნიკოლოზ კათალიკოზი... ამხილებდა (მეფესა) მრავლად ⁊ რა ვერ დაარწმუნა, დაუტევა კათალიკოზობაჲ... ⁊ წარვიდა მამულად თჳსად“ (ქ-ცხ. 418. შეადარე ესეთივე აზრი ულუ-დავითზე ქ-ცხ. 402).

რადგან მერმინდელ დროინდელის მეფეებში არცერთი არ ყოფილა ქრისტიანობის და ეკლესიის ორგული, ამისგამო თითქმის დაჭეშმარიტებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ძეგლში“ მოხსენებული კრება ყოფილა დიმიტრის მეფობაში, და სწორედ ამ კრებას იგულისხმებს ზემოხსენებული ცნობები ქ-ცხ-ისა (გვ. 414—415). ნიკოლოზის გადადგომა იყო 1280—1282 წლებში.

ისიც შესანიშნავია ⁊ დიდად გამოსაყენებელი, რომ ამ დროის ძეგლი მოიხსენიებს „ქართლის-ცხოვრებას“, და ესეც ხომ ახალი საბუთია იმისა, რომ 1280 წელს ჩვენი მატიანე თამარ-მეფისამდე შედგენილიც ყოფილა და საკითხავად გავრცელებული.

- - - - - - - - გზით (გავედრებით) და ვრეკთ კარსა მოწყალებისა თქუენისასა, მოიწყინეთ პრტინვა ჩუენი და სიგლახაკე და უქონებელი - - - ქუ-

რივად და ობლად დასხმულნი ეკლესიანი ღ̃თისანი, შეიწყალენით განშიშუ-ლებანი, სიმართლით შემოსენით, იასენით დაწუნებული, უსაჯეთ სამართალი მართალი, რათა მართალთა თანა ეწესნეთ და იასენით უპატიოებისაგან მწა-რისა, ვითარცა იტყვს წინასწარ-მეტყუჱლის პირითა: «უფალი (ო̃ი) საბაო, ღ̃ი წ̃ა ი̃ჱლისა, რომელმან გამოიყუანოს პატიოსანი უპატიოებისაგან, ვი-თარცა პირი ჩემი (ჩ̃ი) იყოს», რ̃თა (რომელთა) პ̃ლი (პირველი) არს თავი სჯულისა და ეკლესიათა მცხეთაჲ (sic). და უკეთუ თავსა ჯერეთცა ნედლსა ესრეთ ეყოს კელფერკ თით-თით (bis) მწუჱრვ̃ლბ̃მან (მწვერვალებამან) რამცალა ინაყოფეს. კ̃დ იტყვს: „აღუთქუ და აღუსრულე ო̃ა (უფალსა) ყ̃ი (ყოველი) აღნეთქუჱმი (sic) შენიო“; და „უმჯობეს არს არა-აღთქმა, ვიდრე აღთქმა და არა აღსრულება“. სრულ ყ̃ვ (ყავ), წ̃ო (წმიდაო) და ქ̃კ (sic) [1]) მოსილო მეფეო, ბრძანებული ესე თქუჱნი; სიტყუასი საქმით სრულ ყუჱნით, მოაღე-ბინეთ სიგლები და ნიშნები ყუალ̃ჲ (ყუელაჲ) ყუალ̃ჲს (ყუელაჲს) ვის ვის-თჳსცა გიბოძებია [2]). არა თუ ჩ̃ნთ̃ს (ჩუჱნთჳს) რაჲსამე და ჩუჱნისა შეძენი-სათჳს ვიწყინებით, მაგრა სამღთოოდ წერილსა საღმრთოდვე კამს ქონებაჲ და მიყენებაჲ და თჳთ საყდართა ქონებ̃ჲჲ (sic) დიდათ უფრო თქ̃ნნი (თქუჱნნი) ქონებ̃ჲა (sic) [3]). აწ თუ ერთხელ საჴურჴლესა თქუჱნსა შემოღებული და ერთგზის თქ̃ნთ̃ს (თქუჱნთჳს) გამოძღუანებული თ̃ლთა (თუალთა) და მარგა-ლიტთა ⴃ̃ ჴურჴელთა ოქროსა (ⴃ) ვეცხლისათა თ̃ა (თანა) რამე მცირე ანუ გი-ნა დიდი საჴურჴლესა შინა თქუჱნსა მდებარე გამოიღოს ვინმე, ანუ თქუჱნვე გამოგწიროს, ანუ წარაგოს, რ̃ჲდმე (რაჲდმე) ნიჭნიმცა მიანიჭენით, ანუ პა-ტივნი და ქებანი აღუარენით? არამცა უფროს რისხუჱულ და პატიჯებულ ყუჱნით? ღ̃ჲ თ̃ს (ღმთისთჳს) შეწირულთა ადგილთა გაცემის ვაზირი მა-წუჱველი, მაქმნეველი ⴃ̃ მნებებელი გაცემისათჳს, ვითამცა არა ღ̃ჲგან (ღმთის-გან) რისხუჱულ იქმნეს? ვინცა იკადრებს და გინა აქნევს? ვითა კეთილის მა-მოქმედებელსა კეთილი ნიჭი მიენიჭების ღ̃ჲ მ̃რ (ღმთისა მიერ), ეგრეთვე ბო-როტის მიზეზი ბოროტსა მოისთლ̃ბს (მოისთულებს) ღ̃ჲ მ̃რ.

ვიცი, რომ მრავალნი კადრებენ ჟ̃ისა (ჟამისა) ძნელბედობ̃ჲსა და საჭი-როობასა, მარა ამის უძნელბედესნიცა ყოფილ̃ჲნ მაშინ ჟამნი, ოდეს დიდი კათოლიკე ეკლესია შენებულა [4]), ჰასრე რ̃ჲმე (რომე?) კაფრამირ [5]) დაჯდომილ̃ჲ,

---

[1]) რას ჰნიშნავს ქარაგმიანი „ქ̃კ“ ჩვენ ვერ მივხვდით.

[2]) ცხადია, თვით მეფეს გაუცია საჩუქრად ერისკაცებზე საეკლესიო მამულები; სამღვდელოებას უთხოვნია მეფისთვის მათი დაბრუნება, მეფეს სიტყვა მიუცია, მაგ-რამ საქმით არ აღუსრულებია დაპირებული და ამისგამო შემდგარა კრება.

[3]) ე. ი. ეკლესიის საკუთრება უფრო მტკიცედ უნდა იქმნესო დაცული, ვიდ-რე სამეფო განძიო.

[4]) მცხეთის ეკლესია 1020 წელს აღშენდა („ქრონიკ.“ II, გვ. 34).

[5]) „კაფრამირ“ გადამახინჯებულია სიტყვისაგან ქაფარ ამირ. ქაფარ, თფილო-

თფილის ქალ~ქი სპარსთა ჰქონებია და თჳთ არამცა მიზეზი არვინ კადრა საყ-დართაჲ ქ~ყნისა (ქუეყანისა) ქონებისა და დარღუევის მნებებელმ~ნ [6]). ყ~ი (ყო-ველი) დრკუდ მავალი მიზეზებ~ად მზაო (მზა არს), მაგრა ნუ მისცემთ გზას მეტყუელთა ესე ვითარისა (ვ~რისა) მეტყუელებისასა.—

სამოცდა მეათხუთმეტენი მჳლნი კართ თქუენთა გუართანი [7]) და რ~ლ~ი (რო-მელი) მეფე თქუენ ოდენთა პირთა, ღუაწლთა და განსაცდელთაგან არა კსნი-ლა (კსნილ~ა), ვითა ღ~ა (ღმრთისა) თქუენსა მკსნელსა თქუენ უკსნიხართ; და არცა რომელსა მეფესა თქუენგან უფრო ღ~ის (ღუთის) გზის დაპირვა ჰმარ-თებია. ამ სამოცდა ათხუთმეტთა თქუენთა გარდასრულთა მეფობ~ასა შიგა უფროსი და უმრავლესი ჟ~ი (ჟამი) ამისგან უძნელესი და უბოროტესი ყო-ფილ~ა, ვითა ქართლისა ცხრ~ბა გამოაჩენს [8]). რომელსა დიდებულსა ანუ აზ-ნაურსა, ანუ დარბაზის ერსა, ანუ გლეხსა აქუს სიგელი თქუენთა გუართა-გან ბოძებული და თუ ვის აქ~ს (აქუს), არავინ დაჰმალ~ავს, რ~ად არა-ვინ გა-მოაჩენს, რომე საყდართა სოფელი ვის ზედა გაცემულ იყოს ღ~ ეწეროს თჳნიერ ამისსა რომე თქუენ გაგიცემიან და გიბოძებიან სიგლითა. ესეც იუწყოს წ~ნ (წმიდამან) მეფობ~ამან თქუენმან აწ შეკრებულისა ამის კრებისაგან წე-სი სახლისა და პალატისა თქუენისა ესე ყოფილ~ა: ვინცა ვინ დაკრულვილ~ა რათაცა მიზეზითა და საქმითა, თქუენ მიერცა შერისხულ~ა, მამული დასპირ-ვია და ლაშქართა შიგან არ შეშუებულ~ა. აწ თუ ვის დავჰკრძალ~ავთ, გამო-იჩენებს თქ~ნს (თქუენსა) დარბ~აზსა და თქუენთა ვაზირთ მოჰმართებს; ბრძა-ნებასა და კაცს (კ~ცს) უბოძებთ, ჯ~ი (ჯუარი) დასწერეთ, გაწყრომისა და ჰა-ვად გაკდის ნაცვლად.—ესე უწესო წესი ნუღარაოდეს იქნების, ნუც დაგუე-მართების. ვისაც დავკრულვდეთ, თქუენც შეჰრისხევდით და კრძალითა თან უდევით სჯულთა და წესთა სამღვდელოთა სღ~ათა (საღმრთოჲთა) წერილთა მოძღურებისა-ებრ. თუ თქუენს მეფობ~აშიგა არ შეჰკაზმავთ საყდართა და მონასტერთა და არა უბოძებთ კელთა მათთა საქონებელთა, ვინცაღა დაუურვა, ანუ ვინცაღა ჰკადრა თქუენთა სიგლებ-ნიშნებთა გატეხაი (sic)? ცოდვა ეგრე

---

სის ემირი, იყო ძე ემირის ალისი, რომელმან მცხეთას მამულები წაართვა, ხოლო ჯაფარისგან კათალიკოზმა მელქისედეკ დაიბრუნა, როგორც ამას მოგვითხრობს მისი სიგელი, 1020 წელს დაწერილი (ის. ზემო გვ. 31—35; „ქრონიკები" I, 203—8; ქ-ცხ. I, 222). ისიც ცხადია, რომ 1020 წელს ალი მკვდარი ყოფილა და ჯაფარ ემირად მჯდარა.—შენიშვნები №№ 7—8 ნაჩვენები ნიშნით ულუ-დავითისა.

[6]) კრებას სახეში აქვს კ~ზის მელქისედეკის სიგელი (ის. ზემო გვ. 31—35).

[7]) წინასწარმეტყველ დავითიდგან ბაგრატ IV იყო 75 მეფე, ხოლო თამარ-მეფე 81 (ქ-ცხ. I, 306). დავით აღმაშენებელი—78 (ქ-ცხ. 240, ხოლო მარიამ დედოფლის ვარიანტით—72 (ის. გვ. 271). ეკლეს. მუზ. № 131-ით—71 (გ. 233).

[8]) აქიდამ სჩანს, რომ მე-XIII საუკუნეში „ქართლის ცხოვრება" აღწერილი ყოფილა (ალბათ თამარ-მეფემდი) და ამავე სახელით ცნობილი.

(ქგე?) ბრალი (ბრ˜ლი) და ცოდვაი (sic) არა არს, ვითა ცოდვის სახელ და იგავად დიდებ˜ჲ მომავალთა და ყოფადთა ჟ˜თა (ჟამთა) და კაცთათჳს მისათხრობ˜ა მოსაჴსენებელად. არღარავისგან გუაქუს პატივი: არც სჯულსა ꝺ არც ებისკ˜ზთა (ებისკოპოსთა), არც მონაზონთა, არც ხუცესთა, არც მ˜ღდელთა, არცა მირონსა, არც ქორებისკოპოსთა;—ყუალჲ ყუელ˜ჲს უპატიოდ, შეურაცხად, გინებით და ბჲსრობით ვჰყავთ. რად დაჴსნით წესსა საქებელსა? რად უპატიო ჰყოფთ პატიოსნებასა და საკრძალ˜ჲობ˜ჲსა ამის სახისა საქმისასა? რომელი მეფე იქნების უპატიო მყოფელი, შეურაცხად მაჴსენებელი ებისკოპოსთა და მონაზონთა?

თქუენ სიყრმითგან ღთ˜ჲ (ღმრთისა) სწავლულნი ხართ და სღ˜ინი (საღმრთონი) წერილნი ზეპირით უწყნით. რომელთა (რ˜თა) საქმეთა მოქმედი მეფე იქნების, ანუ რომელთა იყუედრების, რ˜ჲნიც (რაჲნიცა) პატივნი თქუენთა გუართაგან ზედ სხმიან ებისკოპოსთა და მონაზონთა, მასვე თქუენგან ვიღირსებოდეთ, და თუ თქუენ უპატიოდ გყავთ, ვინმცა არა შეურაცხ გვყუნაა? ვინმცა არა გუაგინნაა? ვინმცა არა უპატიოდ ꝺ ავად დაგვკადნაა? თვით (sic) პირად - - ამას გუეუბნებიან მქონებელნი და მნებებელნი საყდართა და მონასტერთა საქონებელთა ქონებისანი: «პატრონი არ გუადებინებს და არც წაგვღებს, რ˜ლს (რომელს) სიგელით უბოძებია და თქ˜ნ (თქუენ) არ დაგიდებთ (sic) და არც გუემართლებით დადებინებ˜ჲს (დადებინებასა?) ქრთამს მოგცემთო"- ამ საქმეს თქუენვე სწამლეთ და დასდევით ემპლ˜ჲსტრო საკურნებელი. ნუცა ვინ ყალნობის მიზეზს შემოიღებს: რაც საყდართა საქონებელთა ყალანი ჰმართებს, მისნიმც მზღუელნი ვართ ꝺ არას უკუვადგებით და თქ˜ნს თქ˜ნნი თქნ˜თაგან განაღამც გმსახურებდით ძალისაებრ და შეძლებისა ჩ˜ნისა. ესე ამის კრების აწ შეკრებულის ძალი ყოველთა შორის საცნაურ იყავნ. წ˜სა და თჳთმპყრობელსა მეფეთ მეფობჲსა წინაშე, რომელ თუ ღმერთი გურისხავს და მიუდრეკელი და წ˜ა გონებ˜ჲ თქუენი ცოდვათა ჩუენთა სიმრავლისაგან მიდრეკების ꝺ ესე რაც გჳკადრებია და მოგჳჴსენებია არ დაგვეურვების ჩუენითა წესთა, რაჲცა დაგვპირებია, მისნი მქნელნი ვართ: არცა მირონსა განვჰჴსნით, საქართუელოს ეკლესიათა დავჰბეჭდავთ, ხუცესთა დავაყენებთ, წირვასა და ნათლვასა და სამკუდროთა ზიარებისაგან, — თვნიერ ამისსა ქნისა სხვსა ღონისა ყოვლისაგან უღონო ვართ. და ნუ თუ ამისითა ქნითა სხუაჲ სჯულთა და სხვას ცდგ˜თაგან (ცოდვათაგან) მეფობ˜ჲსა თქუენსა საწყინო რაჲმე შემოუვიდეს და სჯულიცა ჩუენი დაკნინდეს. ეზომის კადნიერებისა და წყენა-კადრებისათჳს ვითა საშინელისა ღთისა საშანელებათ˜ჲგ˜ნ ვძრწით და ვიშიშვთ, გარნა სღ˜ჲნი (საღმრთონი) სჯულნი მეფეთაცა ზედა მთავრობ˜ჲდ ბრძანებლ˜ჲნ და სადა ღმერთი დაგუჭირდების, მუნ ყ˜ავე (ყოველსავე) შეურაცხ ვჰყოფთ, და „მათნებელი კაცთა, ქრისტესცა მონა არვიყოო", წ˜ა მოციქული პავლე ბრძანებს.

აწ აქა შეყრილნი და გაუყრელნი და მომლოდენი ამისისა დაურვებისანი ყოველნივე აქა ვართ და ვილოცავთ წმიდასაჲ" - - - - - (მეტი არ არის).

**1280 წ.**—ამ წლის ახლო ხანებს უნდა ეკუთნოდეს შემდეგი წარწერა ლურჯი მონასტრის სამრეკლოჲსა, რომლის პოლეოგრაფიულად ზ. იოკიმოვისგან გადმოღებული პირი ჩვენ გვაქვს: „ქ. ადიდენ ღ҃ნ ძლიერი და უძლეველი მეფეთ-მეფე დიმიტრი. მე მიწა მეფობისა მათისა ულირსი მღდელი და ჯუარის მტჳრთველი აბრაამ ღირს ვიქმენ აღშენებად [სამრეკლო ესე] სადიდებელად მეფობისა მათისა და სალოცველად სულისა ჩემისა ჺ ძმისა ჩემისა ა - - - შეივედრენ ღ҃ნ და ყ҃დ წ҃ნ მშობელმან მისმან. ამინ ქკს: [უქთ]. ეს ქორონიკონი საეჭვოა და ძლივსღა სჩანს. რადგან აბრაამ, მოძღვარი მეფისა და „ჯვარ-მტვირთველი მეფისა" (იხ. ქ-ცხ. I, 418) კათალიკოზად დაჯდა 1282 წლის ახლო ხანს (ქ-ცხ. I, 418), ამის გამო სამრეკლოს აღშენება უნდა ეკუთნოდეს 1282 წელზე ცოტაოდენ უწინდელ დროს.

## 1289 წ.—სიგელი წ҃ის მეფის დიმიტრი თავ-დადებულისა.

სიონის გუჯრებში ჩვენ კიპოკნეთ ტყავზე ცუდის ხელით მხედრულად დაწერილი სიგელი (№ 16), მიცემული დიმიტრი მეფისგან წამების დროს, ე. ი. 1289 წ. (დიმიტრი აწამა 12 მარტს, შაბათს; და მართლაც 12 მარტს შაბათი მოდიოდა 1289 წ.: იხ. ქ-ცხ. I, 424, Hist. G. I, p. 606—607). ისტორიაში უცნობი პირი იოანე ანჩელ მთავარეპისკოპოსი „და ათორმეტთა უდაბნოთა არქიმანდრიტი" (ამ ხარისხითვე ანჩელნი მოხსენებულ არიან „ქრონიკები" I, გვ. 293) გვიმოწმობს, რომ სიგელში მოხსენებული სოფლები შეწირული ყოფილა დავით-მეფისგან (ლაშას ძისგან) და ხელახლა შეწირულა დიმიტრის მიერ.

„. . . ჩუენ მეფეთა მეფემან დიმიტრი წამებულმან წარსამართებელად სულისა ჩუენისა როდეს საქართველოს კსნისათუის ვიწამე მოძღურისა ჩემისა ბრძანებითა და გავაჩინე სიონისა ღრთისა (sic) მშობელს ვერაზედან ქა[--ნი] (ქარვასლანი?) აღვაშენინე და შევწირე ვერის კევსა ვანანი ხოფელი, ლილოსა ახა[კო]ვი? მისითა შესავალითა. სამსა ალაპსა მიეჲემდენ (მიზემდენ?) და გარდაიხდიდენ: შობასა, მიქუმასა და სულისა წ҃სა მოფენასა; და ვინცა დამაკლოს წამებისათუის ღმერთსა მისცეს პასუხი განკითხვისა დროსა ჩემისასა".

ზედვე მეტად ლამაზის მხედრულით:

„ქ: ესე ვითა ძლიერსა და უძლეველსა მეფეთა მეფეს დავითს სამწირველოჲსა ბოძებითა შეუწყალებია იოსების ძე გიორგი და მეფეთა მეფესა და მოწამესა დიმიტრი მეფესა,—დიდებულ ყავნ ღ҃ნ სული მათი,—მწირველად გაუჩენია, მე მათი მიწა მლოცველი, ქ҃ეს მიერ ანჩელ მთავარებისკოპოსი და ათორმეტთა უდაბნოთა არქიმანდრიტი უნდოი ი҃ნე (იოანე) კანონითა მტკიცე ვყოფ, შემცვალებელნი ამისნი იყავნ კრულ, წყეულ და შეჩუენებულ... ამინ". ბოლოს ხვეულად, ლამაზის ხელით. მხედრულით: „მეფეთა მეფე დიმიტრი ვამტკიცებ". სათაური სიგლისა, მე-XVI საუკ. ხელით წარწერილი: „ლილოსა და ვანათის კელმწიფისგან სიგელი".

**1292 წ.**—ბროსსესგან გადმოღებულს კობერის ტაძრის წარწერას (Rap. IV, 136—7) ჩვენ ასე ვკითხულობთ: „ქორონიკონსა: ხყევ: ქ. მოწყალებითა ჲ მეოხებითა ყოვლად წმიდისა შენისა ღ̃თისმშობელისაჲთა მე შაჰანშა-მანდატურთ უხუცესისა ძემან, ბერმან გიორგი, შეწევნითა ამუკის ყოვლად წმიდისაჲთა- - -ე ქუეშეთ კარის ბჴითურთ დალეწილნი ზედა" - - -

**1295 წ.** იქვე მეორე წარწერა: „ქრონიკონსა: [ხ]ყეთ: ქ. მოწყალებითა და კაცთ-მოყვარებითა შენ ღ̃თისა და მაცხოვრისა ჩუენისა იჳსო ღ̃თისა ქრისტესითა და შეწევნითა ყ̃დ წ̃ისა მშობელისა შენისათა, მე ულირსი შაჰანშა-მანდატურთ-უხუცესისა ძე მკარგრძელი და თანამეცხედრე ჩემი ათაბეგისა და ამირსპასალარისა სადუნისა ასული ვანენე ღირს-ვიქმენით აღშენებად სამრეკლო-სამარხისა ამის ჩუენისა იწროებასა შინა დიდსა ჟამთასა სადიდებელად სახელისა შენისა წმიდისა და სახსრად და სალოცველად სულისა ჩუენისა. შეიწირე, მაცხოვარო ჲ ღმერთო, ვითარ გ[უაქუს] სასოებაჲ ჲ ორკერძო(თა)ვე სატანჯველთაგან განგუარინენ, ჲ ნუ ქუათა უნდებსა მოხედავთ, არამედ სასოებითსა გულსმოდგინეობასა".

ამ წარწერებში მოხსენებულნი არიან მხარგრძელნი: შაჰანშა და მისნი ძენი მხარგძელი (სახელად არის ხმარებული და არა გვარად) და გიორგი ბერი. შაჰანშა, ქ-ცხბით შანშე I, ზაქარია II ამირსპასალარის შვილი, სჩანს რუსუდანის და ულუ-დავითის მეფობაში (ქ-ცხ. I, 349; 371—2; 398; 403) და მისნი ძენი ზაქარია III († 1261 წ.) და ივანე II მანდატორი (ქ-ცხ. I, 398; 403; 409; 319); ივანეს ძე შანშე II, ანუ შაჰანშა ცოცხალი იყო 1295 წელსაც (ქ-ცხ. 428; 432 და სხ.). შანშეს ძის მხარგრძელის ცოლი, ვანენი, სადუნ ათაბაგის ქალი, ქ-ცხბაში არ სჩანს, მაგრამ თვით სადუნ ათაბაგი მანკანბერდელი ცნობილია (ქ-ცხ. I, 389; 409—11); სადუნი მოკვდა 1282 წლის ახლო ხანს (ქ-ცხ. I, 418 და Hist. G. I, 597). ბროსსეს გამოკვლევა და მხარგრძელების გვაროვნობითი შტო იხ. Addit. 362. კობერი და ამუკი მაშინ ქართველთ სოფელი იყო, აწ გასომხებულნი.

ფრასა: „სამრეკლო-სამარხი ჩუენი" ჰნიშნავს, რომ სამრეკლო სამარხიც ყოფილა მხარგრძელთა; სამრეკლოს ქვეშ ბევრგან სჩანს საფლავები; ხოლო ფრასა: „იწროებათა შ̃ა დიდსა ჟამთასა", იგულისხმებს მონგოლთა ხარაჯობას (ქ-ცხ. I, 386 და ზემო გვ. 133; 164; 166).

---

**1296 წ.**—ამ წლის ახლო ხნებს ეკუთნის გარეცხილს ეტრატზე (პალემსესტზე) დაწერილი გუჯარი, რომელშიც მოხსენებულია ფრიად ცნობილი ისტორიული პირი ბეგა სურამელი, ძე გრიგოლისი (იხ. ქ-ცხ. 370, 383, 420).

„სახელითა ღ̃თისათა, მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა, | მეოხებითა ყ̃დ წმიდის ღმრთის მშობელისა | და მარადის ქალწულისა მარიამისათა, ძლიერებითა | ცხოველსმყოფელისა და პატიოსნისა ჯუარისა, ძელისა | ცხოვრები-

საითა, მეოხებითა წმიდისა და წინასწარ|მეტყუელისა, წინამორბედისა, ყ̃ლთა ნაშობთა | უმეტესისა ნათლისა-მცემელისა იოვანესითა, | შუამდგომელობითა და თავსდებობითა წმიდისა გ̃ი (გიორგი) კავთისათა,—ესე დაწერილი დაგიწერე მე მს(ას)|ურთა უხუცესმან ბეგამან, ძემან გრიგოლა სუ|ლკურთხეულისამან, შენა ჯომარდის ძესა ქუაფაქუასა და ძ[მა]|სა შენსა ჯიბისა, შვილთა და ყოველთავე მომავალთა | თქუენთა: მომინდა თქუენი მკუიდრი მამული, პატარაი ადგ|ილი, ჩემდა დასაჯდომად და მისა ადგილისათანაი პატარა | ვენაკი და მოგაცა (მოგეც) მისდა სანაცვლოდ შენისა განაყო|ფისა ოქუროისა მამული ნასყიდი და უსყიდელი | და მისი სა(ნ)დომი (საჯდომი?) სხლითა (სახლითა?) გაქუნდეს მკვდ|რად და სამამულოდ და მოუდევრად, ესე ო|ქუროისა კერძი მამული შენა ჯომარდის ძესა | და რაცა რა ოქუროისა ძმისწულისა სქ - - გდავს | - - - ოქროისა კერძსა მამულსა თანა, თუ მისი ძისწული შინა მოვიდეს, რაიცა ძმისა მისისა კერ|ძი მამული ჰმართებოდეს, განაღამცა კელთა ჰქუნდა მასა ვაჟასა და თუ არ მოვიდესა, | მისი კერძი შენთისვე (sic) მიმიცემია. ოქუროისა ქალანი (ქალნი) დარაჩეს (დარჩეს?) ორნი გათხოვილნი და ერთი უთხოვარი: იგი კიდე გა(ა)თხოვე და ვითა გმა|რთებდეს, მონახავდი და ისტუმრებდი, წელიწადი უწირე ოქროისა ცოლსა და შვილსა ალა|ჰი. გაქუნდეს მკუიდრად და სამამულოდ და არა შეგეც|ვალოს ჩემგან და არცა ჩემთა შვილთა|გან და ვერა და ხტობო (და „კერა“ და „სატობა“?) ვერავინ გითხრას მისა ოქუროსა მამულისა“. ბოლოს ხელმოწერილია სხვა-ხელით და ხვეულად: „მე ბეგასა ჩემითა კელითაცა დამიმტკიცებია. ჰქუნდეს ჩუენსა ერდგულებას შიგა“.—

**1293—1300** წ.—ამ წლებში უნდა იყოს ჩაწერილი სინას მთის ქართველთ მონასტრის აღაპებში შემდეგი მოსახსენებელი, რომელიც ჩართულია ბ. ცაგარლის Свѣдѣнія II, 77—9 № 54: „...(მეფეთ-მეფისა) დავითისთჳს (დავით-ნარინ † 1293) და ძისა მათისა კოსტენტინესთჳს († 1327 წ.) და ძმისა მისისა მიქაელისთჳს ვსთქუათ ყოველთა... დავითისთჳს (ულუ-დავით † 1269 წ.) და დიმიტრისთჳს († 1289) და ძეთა მათთა დავითისთჳს († 1310 წ.) და ვახტანგისთჳს ვსთქუათ ყოველთა... სულსა მეფეთ-მეფისა დავითის († 1293 წ.) და მათსა მეუღლესა თამარს შ̃ს ღ̃ნ.—სულსა (მეფის) დავითის შვილსა გიორგის († 1268 წ.) შ̃ს ღ̃ნ.—სულსა ქართლისა კ̃ზისა ნიკოლაოზ, აბრაამ, ევთიმიოზისა... (გამოშვებულია თჳთ ა. ცაგარლისაგან) და ამა მატიანისა კელითა მწერალსა ჩიდანიძესა ელია-ყოფილსა ელისეს... მოხსენებისათჳს და განსუჱნებისა მანდატურთუხუცესისა ბექასსა († 1307 წ.?) და მეუღლისა მისისა ვახახისათჳს“...

ყველა აქ მოხსენებულნი პირნი მე-XIII საუკ. სცხოვრობდნენ. ამათში საყურადღებოა: 1) მიქელ, დავით-ნარინის ძე, სხვა ხელნაწერ წყაროებში არსად სჩანს (ქ-ცხ. I, 427—448); 2) დავით-ნარინის მეუღლე თამარ, ემანუელის ასული, ცხადად სჩანს ჩვენგან შეკრებილს გუჯრებში (იხ. ზემო გვ. 159—162, 3) კათალიკოზი

ეკთიმიოზ (ეკფემიოზ), რომელიც, როგორც საგულისხმებელია ქ-ცხოვრებიდამაც
(გვ 418; 431; 449), დამჯდარა შემდეგ აბრაამისა 1298—1310 წლებში.
ბექა მანდატართ უხუცესი, აღმზრდელი მეფის გიორგი ბრწყინვალისა, დასა-
ტულია საფარის დიდებულ ტაძარში (Rap. I, 120—121) და მოხსენებულია ან-
ჩისხატის წარწერაში: „სულსა პატრონისა მანდატურთ უხუცესისა ბექასასა გა-
ნუსვენე ღ~ო... სულსა მეუღლისა მისისა მარინეს... ძენი მათნი: სარგის, ყუ-
არყუარე და შალვა ადიდენ ღ~ნ" (Rap. V, 28).—წმიდა მარინეს ეკლესიის
წარწერაც მოიხსენებს: „უფალო... ადიდე ორთავე შინა ცხოვრებათა პატრონი
ჩვენი მანდატურთ უხუცესი ბექა და ძენი მისნი, რომელმან უღირსნი მიწო-
დებისა მათისანი ღირს გვყვნა და გვიბოძნა ნასაფლავნი ლახვრისძესა ლახვრს
და ძმათა საუკუნოდ. ა~ნ" (Rap. I, 126).—სინოდ. კანტორის აღაპთა ნუსხა-
ში № ტმკ (№ 507) მოხსენებულია აღაპი: „მანდატურთ უხუცესის ბექასი და
მისის მეუღლის მარინასი. იოანე რკინის კარელი. მათი აღაპი ანჩას საათაბა-
გოსა".—სჩანს, რომ კახახი ყოფილა პირველი ცოლი ბექასი, ხოლო მარინე—მე-
ორე.—საფარის მხატრობა აწ გაცუდებულია ზერის ჰაისისგან.

**1299 წ.**—ამ წლის ახლო ხანებს ეკუთნის ტყავის დაზიანებული გუჯარი,
რომელიც მიცემულია ქვათახევისადმი ისტორიაში ცნობილის ბეგა სურამელის შვი-
ლის მიქელის ცოლისაგან.
ქ. სახელითა: არსებად: ცნობილისა - - - მამისა: ძისა: და სულისა: წ~ა-
სათა: . . . . (გრძლად) . . . და მეოხებითა წ~ისა და ღუაწლ-მრავლის მკნისა
ახოვნისა მკედრისა გიორგი კავთისაითა, ესე დაწერილი დაგიწერე და მოგაკსენე
თქუენ [ძლიერს კავთისკევის ღვთის]-მშობელსა მე სურამელის ბეგაის შვილის მი-
ქელის ცოლმან ქაქანამან სოფელი ნოსტე მიღობლი (?) სიძეთაგან შემოწირული
და ვითა მათგან კელმოკსნით შემოწირულ - - - უსაქმოი და საქმე უდებელი
სერმელთა (?) და - - - - უდები დასდებოდა და უსაქმოი სასაქმოდ შეაგ- - - მალ-
თა კელოსანთაგან და დავრედენ(?) ესე რომე აღარა სა[სულიეროდ] და არცა სა-
კორციელოდ არა სძეობდა (სდებოდა?) სურამელთა - - - თის: არცა მრთელთა
და არცა მიცვალებულთა(თჳს) და შევახვეწე(?) და მოვაკსენე ჩემს ქმარს მი-
ქელს და გამო[ვიღე] ჩემ - - ნაქმარ: სთასი (საფასი?) და მოვაკსენე იგი და გა-
მოვიღე ნოსტე სრული სრულად უსაქმოდ და შეუვალად სურმელთა (სურა-
მელთა) და მათთა ჩამომავალთაგან, ვითა არაი ვის რაი საქმე სდებია ქვათაკე-
ვის ღთისმშობლისაგან კიდე და მისთა კელოსანთაგან გამოვიღე ბარათის ყუე-
ლაისაგან არაი ბარათი შევიდოდეს სურამელთა სახლისაგან და არცა მათთა
კელოსანთაგან, არცა თეთრის ბარათი, არცა მათისა სახლის ულუფისა ბარა-
თი, არცა გენდგაი (sic), არცა ურმის ზიდვაი, არაისთანაი არა თჳნიერ ამის-
გან კიდე, რაი კეობაი გამოვიდოდეს და შეიყრებოდეს საკნავს და სამკალს გა-
მოჰყვებოდეთ და ესე პატრონმან მიქელცა იპირიანა (sic) და ისმინა აჯაი ჩემი
და ამას ზედა შემიწყალეს ქვათაკეველთა და გამიკუეთეს ტაძრად მიყვანებას

დღეს ალაპი სამწიროით სხლით (სახლით) და რაიზომიცა მღრდელი არის, ჟამსა სწირვიდენ და ალაპი სამწიროით სხლით (სასლით) და რაიზომიცა მღრდელი არის ჟამსა სწირვიდენ და ალაპი გარდაიკდებოდეს სრული და უკლები სურამელთა ცოცხალთა და მიცვალებულთა სალოცავად და ჩემ ცოდვილისა სულისა სალოცავად... (მოკლე წყევა შემცვალებელთა ზედა).

სკეულად (ფრიად ხელოვნურად): „ქა - - - დამამტკიცებელ ვარ- . - . . -“. ქმ~ში სურამელმცა დამამტკიცებელ ვარ ამ- . - . - . --

ბეგა (გრიგოლის ძე) სურამელი (იგივე „სადინ-ბეგ“ მონგოლთა ენით) და ძე მისი რატი იხ. ქ-ცხ. I, გვ. 420—420; 428; 370; 383, მიქელ და ქაქან ისტორიაში ცნობილნი არ არიან. მთელი გუჯარი მხედრულად დაწერილია.

---

**1290 – 1300წ.** ამ წლებში უნდა იყოს გადაწერილი ყანჩაეთის ეტრატის სახარება (ქსნის ხეობაში). სახარება დაწერილია ხუცურ-ნუსხად, ლამაზის ხელით in. 4, 528 გვ.—ხელნაწერი შეიცავს: 1) ახსნა ოთხეულისა, სამეულისა, ორეულისა და ერთეულისა; ამ თავში სხვათა შორის მოხსენებულია ხუცურად, მაგრამ სხვა ხელით: „ისარებდინ ტაძარო ღ~თის-მშობლისაო გეთსამანიაო“. გეთსამანიის ტაძარი არის აწ თითქმის დარღვეული დიდის ხელოვნებით ნაგები კაბენის ეკლესია ქსნის ხეობაში, რატიშვილთა სასაფლაო. ეკვდერში ასვენია წ~ა გვამი ბასილისა. ეს ბასილი ყოფილა რატიშვილი. გიორგი რატიშვილმა და ადგილობრივმა მღვდლებმა მიჩვენეს ეს ეკვდერი და შიგ შემიყვანეს სანთლებით. ერთს სასაფლაოში ესვენა ჭილოფში შეხვეული გვამი: როდესაც ჭილოფი ავხადეთ, აღმოჩნდა, რომ სადაც ჭილოფი ეფარა ის ნაწილები გვამისა ს რ უ ლ ი ა დ  შ ე უ შ ლ ე ლ ი იყო, თითქმის ფერიც არ ჰქონდა შეცვლილი ხორცს, ხოლო რომელიც ჭილოფით დაფარებული არ იყო, ის ნაწილები სხეულისა (თავი და ერთი მხარე ხელისა) განხრწნილა, მაგრამ თავის ქალას შესანიშნავი სითეთრე ჰქონდა. იქვე ახლო კუთხეში იდვა ბერის ქუდი (КЛОБУКЪ) გარედამ შავ-მაუდ გადაკრული და შიგნით აბრეშუმის თეთრ-სარჩულიანი. შიგნიდამ საკვირველის ხელოვნებით იყო ნაკერი სარჩული, რომელზედაც მაფებით დიდის გულდადებით გამოყვანილია სხვა-და-სხვა გეომეტრიული სახეები, ფრიად მწკრივად. როგორც ამიხსნეს დამსწრეთა, ეკვდერი წინეთ დაკეტილი ყოფილა და როდესაც პირველად აუხსნიათ, უნახავთ სრულიად შეუშლელი გვამი ჭილოფში გახვეულის ბერისა და მისს გულზე უნახავთ დადებული ერთი ფურცელი ეტრატისა, რომელზედაც დაწერილი ყოფილა „შენდობის წიგნი“. გიორგი რატიშვილმა, რომელიც დასწრებია პირველად ახდას ეკვდრისას, მიამბო, რომ შენდობის წიგნი იწყებოდაო ამ ფრასით: „შ ვ ი ლ ო  ბ ა ს ი ლ!“, ხოლო ბოლოს ხელ-მოწერილი იყოო „წ ი ლ კ ნ ე ლ ი ს  ი ო ს ე ბ ი ს“ მიერო (სამწუხაროდ, ჩვენგან შეკრებილს საბუთებში იოსებ წილკნელი არ იპოვება: შეიძლება ვიფიქროთ, რომ შენდობას აძლევდენ პირველის წილკნელის იოსებ ასურელ მამის სახელით). თუმცა ეკვდერი ისევ დახურავთ, მაგრამ ხალხი ხშირად დადიოდა თურმე წმინდანის სანახავად და ეკვ-

დერს ღიას აგდებდენ, და უნდა ვიქროთ, რომ გასრწნილი ნაწილი გვამისა ტურამელათაგან იქნება დაზიანებული. მწყემსები თურმე ბურთაობდენ ზემოხსენებულ ბერულ ქუდით. ესრეთია ჩვენი დრო გონებრივ-ზნეობით განადგურებისა, გადაგვარებისა და გაველურებისა! — ცხინვალს ახლო მთაში არის ქალების მონასტერი წ~ა საბასი, კლდეში გამოკვეთილი; ზემო სართულში გამოკვეთილია პატარა ეკლესია, სადაც დაცულია უუთში ჩადებული სრულიად შეუშლელი ნაწილი — ფეხი წმიდანისა. მონასტერი და ეკლესია ღიად დაგდებულია, უპატრონოდ. მე ჩემის თვალით ვნახე 1883 წელს, ზაფხულს, რომ წმიდანის ფეხიდამ დანით ამოუჭრიათ ნაწილები და წაუღიათ, ზოგს-კი ხელით უგლეჯია. ესეც ნიშანი ჩვენის სულიერად გახრწნისა და დაცემისა! ღრმაა და მრავალ-ფეროვანი მიზეზი ჩვენის ზნეობითად გაქარწყლებისა, მაგრამ ის კი ყველასათვის ცხადია, რომ ჩვენმა ზნეობითმა გვამმანც თ ა ვ ი დ ა მ იწყო ლპობა და განხრწნა...

2) სახარება მათესი (76 თავი), მარკოზის (გ. 7 თავი) და იქვე გამოსახულება მახარებლისა მარკოზისი (სატი), ლუკასი მახარებლის ლუკას ხატითურთ, იოანესი მისის ხატითურთ.

3) ზანდუკა ანუ სამიებელი საწელიწადო (ეს სხვა ხელით არის დაწერილი).

4) სულ ბოლოს სახარებას აქვს შემდეგი მხედრული წარწერა მე-XIII საუკუნის ლამაზის ხელით:

„ქ: ათხთავი: ესე წ~დაი განმანათლებელი: ადამისტომთა მე ბასილი: :ა~: მს~მან: შევმოსე და მოვჭედეც: ლოცვა ყავთ ჩემ~თს ღ~ისათუინ: —". ქარაგმიანი ნიშნები „:ა~: მ~სმან" ჩვენის აზრით, აღნიშნავს: „ა[ფხაზეთის] მთავარეპისკოპოსმან". რომ ქარაგმიანი „:~ა:" ესრე იკითხვის, ამისი მაგალითი იხილე ზემო, გვ. 50.

ბისილი აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი ისტორიამ არ იცის, მაგრამ პალეოგრაფიული ხასიათი წერისა და თვით ტექსტისაცა უეჭველად ეკუთნის მე-XIII საუკუნეს და არა შემდეგს დროებს.

სახარებაში შეტანილია მრავალი წარწერა მერმინდელის დროისა, რომელთაგან ზოგნი ჩვენ უკვე ზემო აღვნიშნეთ (გვ. 25).

---

## 1300 წ. მოქვის ტყავის მხატვრობიანი სახარება.

მარტვილის ტაძარში დაცულია შუატანის ტყავის სახარება, მრავალის სურათებით შემკული დ უმაღლესის ხელოვნებით დახატული. დიდად ცნობილი არქეოლოგი კონდაკოვი გააცვიფრა ამ სურათების უმწვერვალესმან ხელოვნებამ, რომლის მსგავსი, მისისავე მოწმობით, სხვა არ იპოვება საქართველოში და იშვიათია მთელს დედამიწაზე. აღმატებულის ხელოვნებით არის გამოყვანილი აგრეთვე ასომთავრული ასოები. სიჩქარისაგამო ამ ხელნაწერიდამ მე მარტო უმთავრესი წარწერები გადმოვიწერე. ყველა წარწერათაგან სჩანს, რომ სახარება დაწერილი ყოფილა მოქვის ტაძ-

რისთჳს (მოქვის დიდებული ტაძარი აფხაზეთშია და ახლამდე დაცული: იხ. „ქრონიკები“ I, გვ. 91—92; ქ-ცხ. გვ. 202—4) და როგორც სჩანს, აფხაზეთში ქრისტიანობის დამცირების შემდეგ (XVII—XVIII საუკ.) ეს სახარება მარტვილში მოუტანიათ (მოქვის სატები-კი ასკენია ხოფს და ზუგდიდს).

წარწერანი ტექსტის ხელით: 1) „ქ˜ე ძეო და სიტ˜ყაო ღ˜ისაო, მილხინე ფ˜დ ცოდვილსა ეფრემს“;—2) ლურჯ მელნით: „მოქვისა ღ˜ის მშობელოჲ, შ˜ე ს˜ლი თქ˜ნ წინ-მდებისა მოქველ მთავარებისკოპოზისაჲ აბრაჰამისაჲ. ა˜ნ“; — 3) „ყ˜დ წ˜ო დედოფალო ღ˜თის მშობელო, დაიცევ და შ˜ე ორთავე ცხორებათა შიგან მოქვისაჲ მეტრაპეზე გ˜ი დეკანოზაჲ. ა˜ნ“. — 4) „დიდება ღ˜ა, სრულ-მყოფელსა ყოვლისა კეთილისასა! დაიწერა წ˜ა ესე ოთხ-თავი დასაბამითგან წელთა :ხშდ: (ე. ი. 6904—5604=1300 წ.), ქკსა :ფკ: (ე. ი. 520+780=1300 წ.), ზედნადებსა მთოვარისასა :ვ: მცხრალსა :ზ: ინდიკტიონსა :იგ:, ხუთეულსა :ლ: ექუსეულსა :ლვ: მზის მოქცევსა :დ: მთვარისა მოქცევისა :ვ: კელითა ფ˜დ ჩემ ცოდვილისა ეფრემისითა“; — 5) ბოლოს ტექსტასავე ხელით, მაგრამ მწვრილად: „საცნაურ იყავნ ყოველთა, რამეთუ ესე წ˜ა ოთხ-თავი არა თუ ახლად გვითარგმნია, არამედ ფრიადითა იძულებითა ძმათა ვიეთთამე სულიერთა ბერძულთა სახარებათა შეგვწამებია ფრიადითა გამოწულილვითა, და ვინცა-ვინ სწერდეთ, ვითა აქა პოოთ ეგრე დაწერეთ; და თუ ამისგან ჯერ-გიჩნდეს დაწერაჲ, ღ˜თისათჳს სიტყუათა ნუ სცვალებთ, არამედ ვითარცა აქა სწერია, ეგრე დასწერეთ. და თუ არა-რაჲმე გაშუნდეს, ჩუЏნნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილნია და კეთილად,—ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა,—მუნით დაწერეთ ⴃ ღ˜თისათჳს ერთმან-ერთსა ნუ გარევთ, და გლახაკისა გიორგისთჳს ლოცვა ყავთ“ (შეადარე ზემო გვ. 89 და „ქრონიკები“ წ. I, გვ. 207—8).

აზრი ამ წარწერისა ცხადია: წ˜ა გიორგი მთაწმინდელი ამ წარწერაში გვაცნობებს რომ: ა) მას მხოლოდ ახლად შეუსწორებია (და არა ახლად უთარგმნია) ძველად თარგმნილ სასარების ტექსტი და ბერძულის ტექსტით გაუსწორებია (უფრო ცხადად გამოთქმული ესვე აზრი იხ. „ქრონიკა“ I, 208), ბ) უძველესნი სახარებანი იწოდებოდენ ს ა ნ მ ე ტ ა დ (გინა ხანმეტურად) ⴃ ს ა ბ ა წ მ ი დ უ რ ა დ. — ხ ა ნ მ ე ტ ი უნდა იყოს სახელი უძველესის IV—V საუკუნის ქართულ სახარების თარგმანისა: თვით სიტყვა „ხან-მეტი“ აღნიშნავს ფრიად ძველს, თუ ეს ლექსი გეოგრაფიული სახელი არ არის; ხოლო „საბაწმიდურად“ უნდა იწოდებოდეს ქართველთ მონასტერში საბა-წმიდაში (იერუსალიმს ახლო) VI—VII საუკ. თარგმნილი ანუ გასწორებული ტექსტი იმავე სახარებისა; გიორგი მთაწმიდელის სახარება მესამედ შესწორებული და გასწორებული ტექსტია ძველის სახარებისა. გ) მთარგმნელი სთხოვს გადამწერთ: ძველი ვარიანტები ჩვენის სახარებისა („ხანმეტი“ და „საბაწმიდური“) სწორედ თარგმნილია და იქიდამ გადასწერეთო. ხოლო თუ ჩემგან გასწორებული სახარება უფრო მოგეწონოს, სწორედ გადასწერეთო და ძველ ვარიანტების მიხედვით სიტყვებს ნუ შესცვლითო. ჩვენ შევუსწორეთ ძველის რუსის და

ურბნისის (VII საუკ.) სახარების ტექსტი გიორგი-მთაწმიდელისას და მართლაც აღმოჩნდა, რომ მთაწმიდური სახარება სიტყვა-სიტყვით მისდევს ძველს ტექსტს, მხოლოდ აქა-იქ სიტყვებს სცვლის ანუ კარგ გასაგონად ასწორებს, უცხო-ენიდამ შემოღებულ სიტყვებს აქართულებს და სხ.

ზ. ა. ცაგარელს და დ. ბაქრაძეს განსხვავებულად ესმისთ აზრი ამ საყურადღებო წარწერისა. ზ. ცაგარელს ჩვენი აზრი ოდნავ შეცვლით მიუღია, თუმცა კი გამოუცხადებლივ („ქრონიკები" I, 207), ხოლო დ. ბაქრაძისა უარ-უყვია (იხ. СВѢДѢНІЯ, III, გ. XXVII—XXIX).

6) ხელნაწერის ბოლოს დახატულია ღვთისმშობელი ჩჩვილედი და მის წინ დაჩოქილი ეპისკოპოსი მვედრებელი, წარწერით: „დანიელ (დნ҃ლ) მოქველ მთავარ-ეპისკოპოსი". ცხადია, რომ დანიელ თანამედროვეა ხელნაწერისა (1300 წ.), ხოლო აბრაამ უნდა იყოს მისი წინა-მოადგილე.—7) მერმინდელ XVI საუკ. ხელით მინაწერებში ვკითხულობთ: „სულსა მოქველ მთავარ-ებისკოპოზისა ჩხეტიძესა ფილიპეს შ҃ს ღ҃ნ" (იხ. 1438 წ. ახლო ხანს მოქკელი რომანოზ; XVI საუკ. გრიგოლ მაგძნის ძე; ეკთიმე საყვარელიძე, 1605 წლიდამ აფხაზეთის კზ҃ი; ანდრია საყვარელიძე, ცნობილი ხობის მონასტრის წარწერათაგან; XVII საუკ.—იაკობ).

**1307** წ. სოფელს სამსარში, ბორჩალოს მაზრაში, აღმოუჩენიათ ქვაბი, რომელშიაც მრავალი ოთახებია კლდეში დიდის ხელოვნებით ამოკვეთილი და სამალავი ადგილებიც. ამ ქვაბს ჰქონია შემდეგი ასო-მთავრული წარწერა, რომლის პალეოგრაფიულად გადმოღებული პირი ჩვენ ასრე წავიკითხეთ:

„ქ. გათავდა: ქვეშელისა: ლ҃პტის: (ლიპარიტის) ცოლისა და:. თმოგველთა:. ქალისა რუსუდანისაგან:. შ҃ნ:. ღ҃ნ:. ქ҃კნი:. იყო ფკზ:—ჰორევანის ძესა ი҃ნეს:. (იოანეს) შ҃ნ:. ღ҃ნ." (ჭორვანიძე უნდა იყოს ხუროთმოძღვარი).

ქ҃კნი: ფკზ: უდრის 1307 წელს, როდესაც ცოცხალი ყოფილა ლიპარიტ ქვეშელი, ე. ი. ქვეშის ციხის (ბორჩალოს მაზრაში) პატრონი. რადგან ქვეშის ციხე ორბელიანთ გვარისაა, ამის გამო ეჭვი არ არის, რომ ლიპარიტი ამ გვარს ეკუთნის. ბროსსეს გამოკვლევით ლიპარიტ VI ორბელიანი მოკვდა 1263 ანუ 1273 წელს (Addit. p. 350—351). ჩვენის აზრით ეს ლიპარიტი უნდა იყოს არა ელდიგუზის ძე, არამედ სუმბატისა, რომელიც მოხსენებულია ქ-ცხ. I, 383; სუმბატის უცნობი ძე (ქ-ცხ. I, 383) იქნებოდა ლიპარიტ (VII), რომლის შვილი, ფრიად ცნობილი სუმბატ (1240—1270 წ. ახლო ხანებში), დასახელებულია იქვე ქ-ცხ. I, 383. ჩვენს წარწერაში მოხსენებული ლიპარიტ (VIII) უნდა იყოს ამ უკანასკნელის სუმბატის უცნობი შვილი. ბროსსეს ცნობა, სომხურ წყაროებზე დაფუძნებული, არ ეთანხმება ჩვენს წყაროებს, ალბათ, იმის გამო, რომ სომხურს წყაროებს სახეში ჰყავთ სომხეთის შტო ორბელიანებისა და არა ქართველნი ორბელიანნი (ჩემი „ქრონიკები" I, გვ. 302).

ჩვენს წარწერაში დასახელებული რუსუდანი „თმოგველთა ქალი" უნდა იყოს ასული ცნობილის მწერლის სარგის თმოგველისა, რომელიც ცოცხალი იყო 1265

წლის ახლო ხანებში (ქ-ცხ. I, 399; 375; 477).—ის. ჩემი განმარტება ამ საგნისა კავკასიის სამოსწავლო ოლქის კრებულში 1892 წ.

**1308 წ.**—ქკს: ფკდ: დავით მეფის ძე გიორგი მეფედ ჰყვეს, რომელსა ეწოდა მცირე გიორგი (ვახუშტის ქრონიკა).

ქ-ცხბა (I, 446) ამაზე ამბობს: „აღესრულა მესამესა წელსა (ბექას სიკვდილიდამ, 1307 წლის ახლო ხანებს) მეფე დავით... და დაუტევეს ნაცვლად მისა ძეა მისი მცირე გიორგი, ორ-წელ მეფე-ქმნილი“. შესანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი ფრასა ვახუშტის და ბროსსეს ისე აუხსნიათ, ვითომ გიორგი გამეფებულიყოს ორის წლისა; მაგრამ სწორი აზრი ფრასისა „ორწელ მეფე-ქმნილი“ ის არის, რომ გიორგი ორს წელს მეფობდაო და არა ორის წლისა გამეფდაო. რადგან მამა მისი, მეფე დავით VI, ამ დროს ავადმყოფი იყო და მოკვდა 1310 წელს, ამის-გამო ორის წლის მეფობა გიორგისი იგულისხმებს 1308—1310 წლებს, მამის სიკვდილამდი (ქ-ცხ. I, 446).

**1310 წ.**—ქკს: ფლ: მოკუდა დავით მეფე, დიმიტრი თავდადებულის ძე (ვახუშტ. ქრ.).

ქ-ცხბა (გვ. 446) არ გვიჩვენებს დროს დავითის სიკვდილისას.

**1312 წ.**—ცაიშის საყდარში (სამეგრელოში) დაცულია ძვირფასი განძი ძველის ჩვენის ხელ-საქმითის ხელოვნებისა, ოქროს ძაფებით ნაკერი სამღვდელ-მთავრო ოლარი (იმ დროს მღვდელ-მთავრები ოლარით შეიმოსებოდენ), რომელზედაც ამოკერილია შემდეგი წარწერა იმავე ძაფით და ესრეთის ხელოვნებით, რომ წარწერა შეინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სანთლის სინათლე ანუ მზის სხივი მოხვდება ამოკერილს ასოებს. ეს გარემოება ყოფილა მიზეზი იმისა, რომ ეს წარწერა ვერ შეუნიშნავთ ბროსსეს და დ. ბაქრაძეს, თუმცა მათ ის ოლარი გაუსინჯავთ. ზემოხსენებული ოლარი უძველესი ნაშთია ჩვენის ხელ-საქმითის ხელოვნებისა, რომლის წარწერაში ნაჩვენებია თვით წელიწადი შეკერვისა. აი თვით ეს ასომთავრული წარწერა:

მარჯვენა მხარეს: „ანჩის ხატს და საყდარსა მისსა მოვაკსენე და შევსწირე წ~ა ესე ოლარი და დ[აუდევ] ანჩელსა ებისკოპოზსა მე თამარ კერკემლის ძისა ასულმან სალოცავად სულისა ჩემისათჳს და, რაოდენნიცა ებისკოპოზნი იკმარებდეთ, ლოცვასა მომიკსენებდეთ“.

მარცხენა მხარეს იმავე ხელით: „ღმერთო (ღ~ო) აკმარე: ესე: ოლარი: ანჩელს: ი~ეს: (იოვანეს) და შემდგომთა მისთა მღვდელთ-მთავართა სათნოდ შენდა მწყემსობასა შ~ა: (შინა) ქრ~ნკნსა: ႴႪႡ (ე. ი. 532+780=1312 წ.).

გვარი მესხელ აზნაურთა კერკემლის მეთა, რომელთაგან ჩამომავლობენ აწინდელნი თავადნი ხერხეულიძენი, ქ-ცხბაში (გვ. 437) პირველად სჩანან მე-XIII საუკ. დასასრულს 1300 წლის ახლო ხანებს, როდესაც მათ ისახელეს თავი. მე-XVII

საუკ. სერხეულიძენი მოხსენებულნი არიან სამცხის აზნაურადვე (ის. ჩემი გუჯ. წიგ. II, გვ. 219, კანტ. ნუსხა № ტლთ). ანჩის დიდებული ტაძარი ჭოროხის პირზე აჭარაში, ბათუმს ახლო,ესლა სრულიად დაქცეულია (ამაზე ის. ვახუშტი ბაქრაძისა გვ. 276).

**1310—1318 წ.**—სინოდ. კანტ. ნუსხაში № :სბ: (№ 507) შეტანილია მე-XVII საუკ. ხელით ხუცურად გუჯარი მიქელ კზ˜ისაგან მიცემული, რომელშიაც მოხსენებულია გადაცვალებული კზ˜ი ნიკოლოზ. რადგან ეს გუჯარი დაწერილია, როგორც შინაარსიდამ ცხადდება, შემდეგ ხვარაზმელთაგან (1225—1231 წ.) და მონგოლთაგან (1236—1242 წ. და აგრეთვე 1255—1260 წ.) საქართველოს აოხრებისა, ამის გამო უეჭველ ჩნდება, რომ გუჯარი ეკუთვნის მერმინდელს დროებას, მაგრამ არა მეტად დაშორებულს (1250—1318 წ.), რადგან ხვარაზმელ-თათართაგან გაოხრებული მამული ამ გუჯარის მიცემის დროსაც გაუშენებელი ყოფილა. ამ დროებში (1250—1318) ცნობილნი არიან ყველა კათალიკოზნი: ნ ი კ ო ლ ო ზ (გადადგა 1282 წლის ახლო ხანს), აბრაამ, მისი მემკვიდრე (1282—1292 წ. ქ-ცხ. 418), ევფემიოს (ქ-ცხ 418 და ზემო, გვ. 169—170 და ა. ცაგარლის СВѢДѢНІЯ II, 177—9). ჩვენის აზრით მიქელ უნდა იყოს ევფიმიოსის შემდეგი კათალიკოზი და იგი, ალბათ, კათალიკოზობდა აბრაამის ანუ ევფემიოზის შემდეგ და მაშასადამე დაახლოვებით 1310—1318 წ., რომელს დროსაც უნდა ეკუთნოდეს ჩვენი გუჯარი.

„დაგიწერეთ.. ჩვენ ქ˜ეს მიერ კზ˜მან მიქელ შენ გუარამას ძესა ვაჩე მსახურთ უხუცესსა..., მას ჟამსა ოდეს პირველ ხუარაზმელთაგან და მერმე თათართაგან მოოკრდა ესე სამეფო და ზოგნი ქუჱყანანი და სოფელნი დიდად მოოკრდეს, და შენ და შენნი ძმანი დიდსა უგემოობასა შინა იყვენით,—ამისთჳს რათა (რომელ?) რანიღა მამულნი გქონდეს, იგინიცა ამოწყუჱტილ იყუნეს და მით-ოდენ ვერ დარჩებოდით... ამის მიზეზითა გუჱაჯენით და ვითამცა შეგუჱწყალენით შენ ვაჩე გუარამასძე... რანიცა საყდრისა სამსახურო სოფელნი გქონდეს, მოოკრებულ იყვნეს და ვერა დარჩებოდი. ვისმინეთ აჯა თქუჱნი და მოგეცით სამამულოდ შენ ვაჩე გუარამასძესა, ჩუჱნსა მსახურთუხუცესსა... კათოლიკე ეკლესიისა სამსახუროდ სოფელი ორმაშენი ყოველი... თჳნიერ მუნ შინა მხდომთა ხუცესთა სიგლოსანთაგან კიდე, რომელნი სანატრელს ნკლ˜ზ˙ ქკზ˜ს... შემოუსხმან... მეფეთა და კათალიკოზთათჳს მწირველნი... დაიწერა კელითა დისწულისა ჩუჱნისა საჭურჭლის მწიგნობრისა ი˜ესითა“ (იოანესითა).

**1318 წ.** ქკს :ვ: დაჯდა დიმიტრი-თავდადებულის ძე გიორგი მეფედ და იწყო მთიებმან ალმობრწყინვებად და დაიპყრა ქართლი, სომხითი, ჱერ-კახნი და მესხნი (ვახუშტ. ქრ.).

დაბის წარწერა-კი გვიჩვენებს გიორგის გამეფებას 1314 წ. (იხ. 1333 წლის ქვეშე).

**1318—1346 წ.** — წერის ხასიათით ამ დროს ეკუთვნის დიდებულის, აქამდე შენახულის, ჩუქურთმიან ფიტარეთის ტაძრის (სრამის სეობაში) ასომთავრული წარწერა, რომლის პალეოგრაფიული პირი, დიდად დაზიანებული, გადმომცა ბ. იოაკიმოვმა:

„ქ. სახელითა მამისათა... მე ქავთარ ქოტფას ძე ამირეჯიბი თჳთ-მპყრობელისა ძლიერისა მეფეთ-მეფის გიორგის (ზე) [ღირს ვიქმენ] აღშენებად ამის მონასტრისა და საყდრისა დიდისა ღ̃თისა - - - - - - და კრმლითა მოგებულისა - - - ვიყიდენ - - - ტანძია და თავ - - - წ - - ნ - - ჩ - - თავი კრმალი თუნგებთა (თურქებთა?) მათვე ღ̃თივ სანატრელთა დიდთა მეფეთა - - - და შევსწირენ ამას ყ̃დ წმიდასა ღ̃თის-მშობელსა ფიტარეთისასა სამლოცველოდ მეფობისა მათისა - - - ნ - - საკსრად ჩემისა სულისა, მშობელთა და ძმათა... არავის საქართველოსა (კაცსა) სიტყუა [აქუს] - - - [აწ ვინცა და] რამანცა (გურამან კაციან) გამოაკუნეს - - კრულ იყოს“...

აქ მოხსენებული მეფე უნდა იყოს „გიორგი ბრწყინვალე“. წარწერიდამ საგულისხმებელია, რომ მეფის ამირეჯიბს, ქავთარს, „ხრმლით მოგებულის“ ფულით აუშენებია ფიტარეთი, უყიდნია ტანძია და სხვა მამულები, რომელნიც ფიტარეთისთვის შეუწირავს.

იობ ფიტარელი სჩანს მე-XVIII საუკუნეში (ჩემი გუჯ. II წ. 205). — ძვირფასი საგალობლები ნოტის ნიშნებით „ჭრელი ნუსხა“, მე-XVIII საუკ. ფიტარეთს გადაწერილი, აქვს მღ. კ. კარბელაშვილს.

**1323 წ.** — ქკს :ია: მოკუდა გიორგი დადიანი; დაჯდა ძე მისი მამის დადიანად (ვახუშტ. ქრ.).

ეს მამია მოხსენებულია ქ-ცხბაში I, 449; იხ. ზემო, გვ. 132.

პალეოგრაფიულ ნიშნებით ამ გიორგი დადიანს უნდა ეკუთვნოდეს დიდი ვერცხლის საწინამძღვრო ჯვარი, მარტვილის სობოროში დაცული წარწერით: „ქ̃ე ადიდე დადიანი გ̃ი (გიორგი) ორთავე შინა ცხოვრებათა. — ქ̃ე შ̃ე ონოფრე, ელიოზ“ (ჩემი უბ. წიგ. III, 170).

**1324 წ.** — ამ წლების ახლო ხანებს უნდა ეკუთვნოდეს „ნარს სოფელს, ნუზალა საყდარზე დაწერილი ლექსნი“, რომელნიც ამავე სათაურით ჩვენ ვიპოვნეთ ცნობილის არქიმ. ტარასი-მესხიშვილის ნაწერებში და თ. დ. მაყაშვილის ვახუშტის ისტორიის ხელნაწერში (გვ. 249). ამ ლექსიდამ სჩანს, რომ ოსთა მთავრებს, ოს-ბაყათარ და დავით სოსლანს ძმებითურთ, კავკასიონი დაუჭერიათ, „ოთხს სამეფოს გამკლავებიან“ (მართლაც გიორგი ბრწყინვალეს უწინ საქართველო განყოფილი იყო ოთხად: იმერეთი, მესხეთი, ქართლი და კახეთიც არ იყო მკვიდრად შემოერთებული); „ქართველ-ბატონისთვის“ დაუ მოუტაცნიათ, უველა კავკასიონის გზები დაუჭერიათ და გაუმაგრებიათ. ესრეთი გაძლიერება ოსებისა მართლა უოფილა, ქ-ცხოვრებით, გიორგი ბრწყინვალის წინა-დროებს: ფარეჯან ოსთა მეფის

ძმ აღაოსრა ქართლი და გორი დაიპყრეს 1301 წლის ასლოსანებს და „მიერთიგან შეიქმნა მტერობა შორის ქართველთა და ოსთა; კიდრემდის მეფეთა შორის ბრწყინვალემან... გიორგიმ განასხნა და აღუსურნა“ (ქ-ცს. I, 227—8); აგრეთვე რატი სურამელი ებრძვის ქართლში ოვსთა სათსისს და უზურბეგს და სხვათა, რომელნი თავს დაესხნენ მას: ქ-ცს. 428—9; ფარეჯან ოსთა მეფე 1295 წ. იხ. გვ. 430; ოვსთა მთავარი ბაყათარ (ჩვენის წარწერის „ოს-ბაღათარ“) 1301 წ. ახლო ხანებს, მეფის დავითის მოწინააღმდეგე იხ. I, 433. იგივე ბაყათარ 1304 წლის ახლო ხანებს ძლიერ გაძლიერებულ იყო, და აოხრებდა ქართლს, თრიალეთსა, ბრძოლაში გააქცია თვით დავით მეფე; და „უმძვინვარესად აოხრებდა ბაყათარ ქართლსა და მეფე დავით ვერ წინააღუდგებოდა... მაშინ ბაყათარ წარუღო გამრეკელსა კასას ძესა (კასა თორელის ძე? იხ. ზემო გვ. 133—141 ჯავახიშვ-ლი გამრეკელი I, 444) ციხე რამისა (უნდა: „ციხე ძამისა“ ქ-ცს. I, 441—442). 1305 წ. მოხსენებულნი არიან „ოსნი გორს მსხდომნი“ (გვ. 443 და 444). ხოლო თვით გიორგი ბრწყინვალის დროს „მძლავრობდენ ოვსნი ქართლს და დაეპყრათ ადგილ-ადგილთა დაბნები და ციხენი, არამედ მეფემან განასხნა ძლიერებითა თჳსითა... მერმე შევიდა და შემუსრა კავკასსა შინა მეოთვნი, ურჩნი მოსრნა და დაიმორჩილნა... და დაამშვიდა ქართლი ოვსთაგან, კინადგან გზანი უოკელნი თჳთ დაიპყრნა“.

ამ გარემოებათა სრულიად ეთანხმება ქვემო მოყვანილი წარწერა, რომელიც უსათუოდ „ქართველ-ბატონად“ გიორგი მეფეს უნდა იგულისხმებდეს. ოსთაგან მეფის დის მოტაცება ისტორიამ არ იცის; ხოლო ღალატით ოსთა მთავრების ხელში ჩაგდება და ამოხოცვა სრულიად ეთანხმება გიორგის ხასიათს, რომელმან, როგორც მატიანე მოკლედ მოგვითხრობს, „მოიყვანნა ყოველნი ამის ქვეყანისა ერისთავნი და წარჩინებულნი, როცა დარბაზობად ციხსა ზედა წერეთისასა და მოსწყვიდნა მუნ ურჩნი თჳსნი... და დაიპყრნა ამით უქეტეს ყოველნი“. თუ საქართველოს ერისთავებს ესრე უღალატა მეფემ, ადვილი დასაჯერებელია, ოსებს უკეთ არ მოექცეოდა. აი თჳთ ეს წარწერა ლექსად:

„ჩვენ ვიყავით ცხრანი ძმანი, ჩარჯონიძე ჰახილანი:
ოს-ბაღათარ, დავით-სოსლან, ოთხ-სამეფოდ მებრძოლანი,
ფიდაროს, ჯადაროს, საყურ და გიორგი, მტერთა რისხვით შემხედვარნი;
ჩვენნი ძმანი სამნი ბერნი, — ისაკ, რომანოზ და ბასილ, — იქმნენ ქრისტეს კარგნი ყმანი.
ჩვენ გვეჭირავს მიმავალთა-მომავალთა, ოთხის კუთხის ვიწრო გზანი,
კასარზედ სიმაგრე მაქვს და საბაჟო, აქ (ე. ი. სოფ. ნარს) მიჭირავს კიდის კარი,
საიქიოს მოიმედე, სააქაოს კარგა მდგარი.
ოქროსა და ვერცხლის მიწა ამდონი მაქვს, ვითა წყალი.
კავკასიონი დავიპყარ, ოთხს სამეფოს გაუმკლავდი;
ქართველს ბატონს დაჲ მოვსტაცე, არ დავაგდე ჩემი გვარი;
მამწვდა ფიცით, მიღალატა, მან დაიდვა ჩემი ბრალი:

ბაღათარ წყალსა მიეცა, აღიკოცა ოსთა ჯარი
ვინცა ეს ლექსი იხილოთ, მცირედ ბრძანეთ შენდობანი“.

რადგან გიორგი ბრწყინვალეს მატიანე მეტად მოკლეა და საზოგადო ფრაზე-ბით შედგენილი და ქ-ცხ-ში შემდეგ შეტანილი, ამისთჳს უცხოდ არ უნდა მიგვაჩ-ნდეს, რომ ამ მატიანეში აღწერილი არ არის მეფის დის მოტაცება ოსთაგან და დაწვრილებითნი გარემოებანი ოვსთა მთავრების ამოწყვეტისა.

**1327 წ.** — ქკს :იე: მოკუდა ძე ნარინ დავითისა მეფე კოსტანტინე და გამეფ-და ძმა მისი მიხაილ იმერეთს (ვახუშტ. ქრ.; შეად. ქ-ცხ. 448—9).

ბედიის ტაძრის წარწერა: „ქ. ადიდენ (ღ̃ნ) მეფეთა მეფე კოსტანტინე, ძე დავითისი ა̃ნ“.

სინას მთის აღაპებში მოხსენებულნი არიან სხვათა შორის მეფეთა მეფე და-ვით, ძე მისი კოსტანტინე და ძმა ამისი მიქელ (Свѣд. II, 77—9) და აგრეთვე მეფენი: „დავითისთჳს († 1269) და დიმიტრისთჳს († 1289 წ.) და ძეთა მათ-თა დავითისთჳს († 1310) და ვახტანგისთჳს (გამეფდა 1301 წ.).

---

**1310—1330 წ.** პალეოგრაფიულის ნიშნებით ამ წლებში უნდა იყოს დაწერი-ლი ეტრატის სახარება, კუთვნილი სოფ. დემურ-ბალახის (ბორჩალოში) მღვდლი-სა, in 4, 252 ფურც. ანუ 504 გვ. ბოლო აკლია.; მელანი ზოგან გადასულია, ზოგან მოცხოკლებული, და ერთს ალაგას აწერია არშიაზე ხუცურად: „ახლის და-წერა მირჩევნია ცხოველებასა“.

ხელნაწერში მოქცეულია: ა) სრული ოთხთავი; ბ) სახარების საძიებელი საწე-ლიწადო (ყოველდღიური, შაბათ-კვირიაკეთა, და „სათვეოჲსა წმიდათანი“, გ) ცალ-კე ამორჩეულნი საკითხავნი სახარებათა: სატფურებისა, წმიდათანი, შესვენებულთა, მამათა, მღდელთმოძღუართა, სქემისა (კურთხევასა ზედა), ზეთის კურთხევასა, მღვ-გისათჳს მბრძოლთა, მრვისა, — და იქვე წარწერა ტექსტის ხელით:

„საკმარ არს ცნობად:. ვ̃დ მწულილად ითქუმიან ასსარნი: რომელ არიან ფოლნი (ფულნი): ხოლო სამეოც ასსარის იყო მაშინ დრაჰკანი: და ას: დრაჰ-კნად ვერცხლი: და განისყიდა უფალი ოც-და-ათ ვეცხლად: რომელი შეკრ-ბებიან სამათას დრაჰკნად ქმნილ[ნი] ოქროჲსა დრაჰკნად“- - -

წ̃ა იოვანეს სახარების დასასრულს ცნობილი ანდერძი წ̃ის გიორგი მთაწმი-დელისა: „ესე საცნაურ იყავნ“... და სხ., როგორც ზემო გვ. 89. — წარწერა სახარების თავში ტექსტის ხელით: „წ̃ო ღ̃ო ქ̃ე, შ̃ე მარკუზ სულით ჴ კორ-ცით ა̃ნ“.

მერმინდელ დროჲს XVII—XIII საუკ. ხელით მიწერილ მოსახსენებლებში ჩა-წერილია სახელები (ჩვენ მარტო იშვიათად გასაგონს სახელებს ამოვწერთ): «სულსა ი̃ე მუსლოგურისსა... შ̃ნ ღ̃ნ, ვართმანუგს..., აინის..., ფარზანდს..., ქორ-ქის..., ხანფას..., ჯასულთაგას..., ოსკჰადს..., გულბაჰარს..., ი̃ე თოიძეს»... და სხ.

**1329** წ. ქკს :იზ: მოკუდა მეფე იმერთა მიხაილ და დაუტევა ძე მცირე ბაგრატ (ვახუშტ. ქრ.).

ქ-ცხ. (გვ. 448) და სინაჲს აღაპებში (Свѣд. II, 77) მიხაილ წოდებულია მიქელად.

**1330** წ. ქ~კს :ით: ბრწყინვალემ გიორგიმ იმერეთი დაიპყრა, ქუთაისი აიღო, ბაგრატ გამოიყვანა (ვახუშტ. ქრ.).

ეს ქ~კნი ნაჩვენებია ქ-ცხბაშიაც (I, გვ. 449).

**1333** წ.—სოფელს დაბის მახლობლად (ბორჯომის ხეობაში) აღშენებულია თლილის ქვით ჩინებული ტაძარი, რომელსაც ზედ გადმოხურული აქვს ჩარდახი კლდისა (შუამთიდამ გადმოყოფილი) და ამ კლდეშიაც იპოვება ქვაბი. ტაძრის შესავალს აქვს შემდეგი ასო-მთავრული წარწერა, რომლის პალეოგრაფიულად გადმოღებული პირი ჩვენ გვაქვს.

„ინდიკტიონსა მეფეთ-მეფისა გ~გსსა (გიორგისა), ძისა დიმიტრისა, მეცხრამეტესა. სიტყვსა ღ~თისა კორცთ-შესხმისა მიზეზო! აღვაშენე ტაძარი ესე ჟამსა მეფეთ-მეფისა გიორგისსა მე მათმან მოლარეთ უხუცესმან - - -" და ცოტა ქვემოთ: „ქ~კსა: ႩႠ" (ე. ი. 21+1312=1333 წ.). ეს წარწერა იხ. Кар. IV, 101—2 და ვახუშტი-ბაქრ. გვ. 280).

ამ წარწერიდამ საგულისხმებელია, რომ 1333 წელი ყოფილა მე-19 წელი გიორგის მეფობისა და მაშასადამე, იგი გამეფებულა 1314 წელს და არა 1318-ს, როგორც ვახუშტი მოწმობს (იხ. ზემო 1318 წლის ქვეშე). ჩვენ გვგონია, რომ გიორგი მეორედ გამეფებულა 1318 წელს, ხოლო 1310—1318 წლებ შუა მას ოთხი წლიწადი უმეფნია. ეს საგულისხმებელია თვით ქ-ცხბისაგან (გვ. 446—7), თუმცა ეს ადგილი ჩვენის მატიანისა მეტად არეულია და კიდევ საჭიროა სხვა საბუთებიც ამ კითხვის რიგიანად ასახსნელად. დ. ბაქრაძის აზრი, ვითომ ეს წარწერა ეკუთნოდეს გიორგი მესამეს (1156—1184 წ.), შესაწყნარებელი არ არის, რადგან წარწერას ქორონიკონი უზის.

**1334** წ.—ქკს :კბ: მოკუდა ათაბაგი სარგის; დასვა გიორგი მეფემან ათაბაგად ძე მისი ყვარყვარე (ვახუშტ. ქრონიკ.; ეს ქრონიკა იპოვება ქ-ცხბაშიაც: I, გვ. 449).

**1344** წ.—შიომღვიმის საბუთებში იპოვება ტყავზე ნაწერი გუჯარი № 63 (სიგრძით $1^1/_2$ არშინამდე და სიგანით $^2/_5$ არშინისა), მხედრულად მდარე ხელით დაწერილი. სიტყვები გაყოფილია ორ-ორ წერტილით.

სახელითა... და მეოხებითა... წ~თა... მამათა ჩ~ნთა იოვანე შიო და ევაგრესითა... ესე ...დაწერილი მოგეცით ჩუენ დიდმა ლავრამან მღუიმისამან მ თ ავ ა რ-მ ა მ ა მ ე მ ღ უ ი მ ე მ ა ნ ი ო ვ ა ნ ე, დეკანოზმა დ~თ, გგ~ლ, იო~ბ, ი~ე, იოსებ დაყუდებულმა და გარბერმა ბარლამან და ყოველმანვე სისავსემან ლავ-

რისამან, ძლიერმან და უძლეველმან (sic) შენ მც[--?]ბავტისძეს ჯაუნორსა და და შვილთა... გუეჰაჯა სამისა დღისა მიწასა, რომემცა მოგუეცი... ვისმინეთ ჰაჯაი შენი და მოგეცით სამის დღისა მიწაი შოლაღრიური უსარჩელი მოუ-დევარი და უპატრონი, ვარდანის ძეთა საღალოდ რომე ჰქონდის; მათი ღალაი აღარ გუინდოდა და შენ მჰედელსა ჯაუნარსა მოგეცით და ბეგარი გაგიჩინეთ წელიწადსა შიგა ოთხი ლიტრაი ცვლი, რომე შიოობასა დღესა მღუიმეს, მოი-ღებდე. ამისგან მეტი არა ზე გაც ამა სამისა შოლეღარაურისა ყანისათუის, გი-ბედნიეროს ღ̃ნ... (წყვკა) ამისი მოწამენი არიან ანგროვნელნი ჯილბოისძე მგელაი; თეძმის კელოსანი კობალაისძე შალვა. ჩარმაგოის ძე ჩამნაი, კოხო-ტიელი იოანე. კევისპირული ნასარაი, მემღუიმის ყმანი: მზარეოლი იაი, გო-რისისძე დიაკონი ბექენი, გოროვნელი აბაშაი, წეროვნელი ციცხელაისძე იაი. ქ̃კსა :ლბ: აპრილსა :ე: მიწაი მიქელ პალატის წინამძღურის შვილი დამწერელი და მოწამე ვარ".

ხელრთვანი: „მე საწოლის მწიგნობარი და მთავარ მამა მემღუიმე იუანე გა-მათავებელი ვარ ამა დაწერილისა.

ქ. მე ქ̃ი (ქართლისა) მთავარებისკ̃პზი მელქისედეკ მოწამე ვარ.

ქ. მე მცხეთისა მოძღური შაბერსსძე (შაბურიძე) აბრამ მოწამე ვარ.

ქ. მე დეკანოზი მღუიმისაი დ̃თ მოწამე ვარ.

ხუცურად: „ქ. მე პალატისა მოძღარი (sic) გერ̃ნზ მოწამე ვარ".

„ქ. მე იობ მოწამე ვარ".

**1345** წ.—ქ̃კს :ლგ: მოკუდა მამია და დაჯდა ძე მისი გიორგი (დადიან-თა ქრ.).

**1345** წ.—ქ̃კს :ლგ: მოკუდა დადიანი მამია; დასვა მეფემან გიორგიმ ძე მისი გიორგი დადიანად (ვახუშტ. ქრ.).

ეს ქრონოლოგია ქ-ცხვაშიაც იპოება (გვ. I, 450).

**1346** წ.—ქკს :ლდ: გარდაიცვალა ბრწყინვალე მეფე გიორგი და დაჯდა მეფედ ძე მისი დავით.—ხოლო რუსუდანის გამეფებიდამ ამ გიორგის გარდა-ცვალებამდე—81" (ვახუშტ. ქრ.).

პირველი ნახევარი ამ ქრონიკისა სრულიად ეთანხმება სხვა ისტორიულ გარე-მოებათა და თვით ქ-ცხაშიაც არის ნაჩვენები; ეს ცნობა ვახუშტის მიერ ამოღებული უნდა იყოს მისგან ნაჩვენებ წყაროებისგან (ქ-ცხ. II, 237) მაგრამ მეორე ნახევარი ამ ქრონიკისა არ ეთანხმება ისტორიულს სიმართლეს და თვით ვახუშტისაგან უნდა იყოს ჩამატებული, რადგან მისს ქრონოლოგიურს ანგარიშებს ეთანხმება; მართლაც: 1211 (რუსუდანის გამეფება)+135=1346 წ.;—1237 (ვახუშტით რუსუდანის სიკვდილის წელი)+81=1318 წ., ე. ი. გიორგის გამეფებას. ჩვენ უკვე დავასა-ბუთეთ, რომ რუსუდან გამეფდა 1223 წ. და მოკვდა 1245 წ. და მაშასადამე რუ-

სულთნის გამეფებიდამ გიორგის სიკვდილამდე გასულა 123 წ., ხოლო მისის სიკვდილიდამ (თუ მივიღეთ 1318 წ.) გიორგის გამეფებამდი—73 წ.

**1344—1346 წ.**—ამ წლებში უნდა იყოს დაწერილი ცნობილი „სამართალი გიორგი მეფისა“ ანუ ძეგლი (66 მუხლად), მოხსენებული ქ-ცხაში და შედგენილი მხოლოდ მთიულ თემთათვის და არა ქართველ ერისათვის, როგორც ზოგნი ჰფიქრობენ. ეს მრავალ-გვარად შესანიშნავი „ძეგლი“ ღირსია მეცნიერულად გამოცემისა. რადგან ახლა ჩვენ ხელთ არა გვაქვს ეს „ძეგლი“, ჩვენ საჭიროდ ვრაცხთ აქ ჩავურთოთ დ. ბაქრაძისაგან ფრანგულით თარგმნილი მისი „შესავალი“, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ფრანგულთან შესწორებით ჩვენ აქა-იქ შევავსებთ ანუ შევცვლით დ. ბაქრაძის ნათარგმნს (ვახუშტი, გვ. 280).

## „ძეგლი მეფეთ-მეფისა გიორგისა“.

„ჩვენ მეფეთ-მეფემან გიორგი, ძემან სულკურთხეულისა მეფეთ-მეფისა დიმიტრისმან, დავდევით ძეგლი ესე სახილველად ყოველთა მას ჟამსა, ოდეს წარვემართენით მთიულთა ერთა საცნობელად. ღვთიურითა მადლითა, რომელი მოვლენილ არს სამეუფოსა სახლსა ზედა ჩემსა, ყოველთაგან უცილობელობელად აღიარებულ არს ძლიერება, უფლება და სკიპტრა-შარავანდედობა ჩვენი. (ამისთჳს) დამტევებელთა დედაქალაქისა და დარბაზისა ჩვენისათა, ჩვენ წარვედით ჩვენსა ჟინვანის სასახლესა და მიერ ხადას და ცხაოტს, სადაცა შემოვკრიბეთ ხევის-ბერნი და თემნი; განვიხილეთ და განვაგეთ საქმენი მათნი. შემდგომად ამისა ჩვენ წარვემართენით ვიდრე დარიელადმდე, სადაცა ვცანით საქმენი,—ვითარ სისხლის საქმენი და მრავალ-გვარნი ბოროტ-მოქმედებანი, ჩვენთა წინაპართა გვირგვინოსანთა მეფეთაგან დადებულის ძველის სამართლის წინაალმდეგნი,—განუსჯელად დაშთენილნი... გამოვიძიეთ და განვსაჯეთ რა ყოველნივე საქმენი მთიულეთისანი, ჩვენ მივეცით დიდება ღმერთსა და ვილოცეთ წინაშე ლომისის მთავარ-მოწამისა (გიორგისა); და შემდეგ განვლეთ ცხრაზმის ხეობა, სადაცა დავაწესეთ რიგი და წარვედით მუხრანს, საზამთროსა სასახლესა ჩვენსა, და მუნით შემოვედით ქალაქსა ტფილისს. აქა შემოვიკრიბენით ერისთავნი სხვა-და-სხვათა თემთანი, მხედართ მთავარნი, ხევისბერნი და ჰეროვანნი, დავსხედით და თან დავისხენით მეუფე მოძღვარი და ქართლის კათალიკოზი ევთიმე, ვაზირნი, ებისკოპოზნი, და მოურავნი. ვცანით მრავალ-გვარნი ჩვენთა ქვეშევრდომთა (მთიულთა) ბოროტ-მოქმედებანი, ცილისწამებანი, ციხე-სიმაგრეთა შლილობანი, მკვლელობანი, ქმრიანთა დედაკაცთა წარტაცებანი. ცოლ-ქმრობითისა კავშირისა დახსნანი და მრავალ-ფერნი ცოდვანი; ერთის სიტყვით ქვეშევრდომთა ჩვენთა (მთიულთა) არა აქვნდათ არავითარი პატივისცემა სამართლიანობისა (ე. ი. კანონისა) ურთიერთ შორის. ამათ ბოროტებათა აღმოსაკვეთად ჩვენ დავწერეთ სამართალი იმიერთა და

ამიერთა ხეობათათვს: ჯავისა, ხადოსა და ცხაოტისათვს, ყოველთა ხევთა ზანდუკისა და ქვედა-კიბენისათვს და ზედა-მენესოსათვს“ და სხ.

**1352 წ.**—ქკსა :მ: აქა მო[ვი]და: აბუსერიძისა: ივანეს: სახლსა: შიგა [და] ამირსპასალარისა და: პატრონი სითი[ხათუნ] მისი[თა] - - - სლი - - -“ (მხედრული წარწერა ქკ. მუზ. № 85 ცხრილზე).

აქ მოხსენებულნი პირნი ისტორიაში უცნობნი არიან, აბუსერიძისთვის იხ. ზემო გვ. სითიხათუნ კასტანგ-მეფის ცოლი იხ. ქ-ხც. გვ. 474.

**1352 წ.?**—ლისაურის ღვთისმშობლის ხატზე დ. ბაქრაძეს აღმოუკითხავს შემდეგი ასომთავრული წარწერა (Арх. пут. по Гуріи и Адчарѣ, გვ. 109; შეად. გვ. 142—3):

„ქ. მ. ყ͠დ. წ͠ო. მეოხ და. მფარველ. ექმ[ენ] პ͠ტრონსა. კხბრს (კახაბერს) და. მისსა. მუასა. (მეცხედრესა?). ვიოქს. (ანნას?) ჩწნ. (?) და. მსს. (მისსა?) მშენებ(ე)ლს - - ვსდ - - მსმნრქე“. აქ მოხსენებული კახაბერი შემოქმედის წარწერაში წოდებულია „ერისთავთ ერისთავად და სვანთა ერისთავად გურიელ(ად).“

თუმცა განსვენებული დ. ბაქრაძე დაბეჯითებით სწერს, ვითომ ამ წარწერის პირველი ასოები (ქ. მ) იყოს ქორონიკონის მაჩვენებელი, მაგრამ ჩვენ მაინც გვგონია, რომ აქ უბრალო შეცდომაა: ასო :Ⴕ: (ქ) არ აღნიშნავს ქორონიკონს, არამედ ჩვეულებით სათაურში დაისმის და ჰნიშნავს Ⴕ(რისტიანე); ხოლო შემდეგი ასო უნდა იყოს არა Ⴋ, არამედ Ⴝ და ამგვარად ზემო მოყვანილი წარწერა ასრე უნდა წაიკითხოს: «ქ. ჭ ყ͠დ წ͠ო»... და სხ. ესრეთივე მსხვილი შეცდომა მოუდის, ჩვენის აზრით, პატივცემულს არქეოლოგს იმავე თხზულებაში (გვ. 108), სადაც წარწერა: „ქ ჭი“ წაუკითხავს ესრე: „ქორონიკონი 110“—(1422 წ.) შეცდომის მიზეზი უნდა იყოს დაახლოვებითი მსგავსება ასომთავრულ ასოებისა «მ» და «ჭ».

ამავე დროებს უნდა ეკუთნოდეს ლისაურის მაცხოვრის ხატის წარწერა (დ. ბაქრაძის: Гурія и Аджарія“, გვ. 110—111): „.... მოსავი შენ[ი]... - - - ძე დიდისა [სახლ]თუხუცესისა ბექისა ათაბაგი და სამცხისა ს[პა]სალარი შალვა“. ეს შალვა ათაბაგად სხვა წყაროებში არა სჩანს.

**1354 წ.**—ქკს: მბ: ჩვენ მეფემან დავით და დედოფალმან სინდუხტარ გიწყალობეთ... ამა ქ͠კზე ლეონცა ჰსწერია მეფედ, რომელსა ვჰგონებ ერთ-ყოფად“ (ვახუშტ. ქრ.).

ცხადია, რომ ეს ქ͠გნი ვახუშტის ამოუწერია ბარათიანთ ანუ თუმანიანთ გუჯრებიდან, რადგან ეს წყარო ამ ქ͠გნების სათაურში აქვს მოხსენებული. ვახუშტის შენიშნვიდამ (გამოცემა ბაქრაძისა, გვ. 280) სჩანს, რომ ლეონის გუჯარი სხვა ყოფილა და დავითისა სულ სხვა. ამის-გამო დავით-ლეონის ერთ-ყოფობა შესაწყნარებელი არ არის. სინდუხტარ უნდა იყოს ზემო აღნიშნული (1352 წ. ქვეშე)

სითიხათუნ (ქ-ცხ. I, 451), ალბათ რომლისამე ათაბაგის ნათესავი, რადგან დაახლოვებული ყოფილა აბუსერთა სახლობასთან.

**1355 წ.**—ქას: მგ: ჩვენ მეფემან დავით ყოვლისა საქართველოსამან გიწყალობეთ (კასუშტ. ქრ., ალბათ იმავე წყაროთაგან ამოღებული: ის. 1354 წლ. ქვეშე).

---

## 1355 წ—სიგელი მეფისა დავით VII-ისა.

მცხეთის გუჯრებში ჩვენ ვიპოვეთ კარგს სქელს ქაღალდზე მხედრულად დაწერილი სიგელი № 334 და ამავე სიგელის მე-XVII საუკ. მხედრულად გადაწერილი პირი (ნუსხა :პე: № 507). სიგელი მიცემულია დავით მეფისგან 1355 წ., თავი აკლია ასლსაც და ნუსხასაც. რამდენიმე სიტყვები ჩვენ აღვადგინეთ ნუსხასთან შემოწმებით და აღდგენილი ტექსტი დიდს ფრჩხილებში ჩავსვით.

შინაარსი სიგელისა გვაცნობებს, რომ პაპის მამას დავით (VII) მეფისას დავითს (ულუ-დავით მართლა პაპის მამა იყო დავით VII-ისა) მცხეთის მამული გაუბოძებია საჩუქრად ორბოძლელისათვის იმ პირობით, რომ ეკლესიას ნება ჰქონოდეს დაეხსნა ის მამული 12,000 თეთრად, მაგრამ ორბოძლელს არ დაუხსნევინებია და მიუთვისებია საეკლესიო მამული. ხოლო 1355 წელს დავით VII-ს თავისის ფულით დაუხსნია და ეკლესიისთვის შეუწირავს.

ესეთი უწყსო ქცევა ულუ-დავითისა მკვიდრს საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ზემო დაბეჭდილი (გვ. 162—7), ნაწყვეტი სამღვდელო კრებისა, რომელშიაც აღწერილია უსამართლოდ საეკლესიო მამულების გაცემა რომლისამე მეფისაგან, უნდა ყოფილიყოს ულუ-დავითის დროს და მის საწინააღმდეგოდ და არა მეფის დიმიტრის დროს, როგორც ზემო ქ-ცხის მისედვით გამოვთქვით (გვ. 162—3). ჩვენ ზემოთაც ვუჩვენეთ, რომ ულუ-დავითიც შეიძლება ვიგულისხმოთ მე-75 მეფედ (ის. გვ. 163, შენიშვნა №№ 7—8), ხოლო აქ უნდა ისიც დავუმატოთ, რომ მოხსენებულს ძეგლში ხმარებულია შემდეგი ფრაზა, რომელიც მხოლოდ ულუ-დავითზე შეიძლება ითქვას:

„რომელი მეფე თქუენოდენთა ჭირთა, ღუაწლთა და განსაცდელთაგან ჴსნილა, ვითა ღმერთსა თქუენსა მჴსნელსა თქუენ უჴსნიხართ“, და მართლაც, თითქმის საარაკო თქმულება ულუ-დავითის უბედურებათა და ხსნათა საბუთს მისცემდა კრებას ესრეთი ფრაზის ეხმარნა, რომელიც სხვა იმ დროინდელ მეფეებზე (და არც დიმიტრიზე) არ ითქმის. ეს გარემოება იმ საარაკო და ძნელად დასაჯერებელ ამბებსაც აჭეშმარიტებს (ქ-ცხ. I, 366—376).—თუ დავით აღმაშენებელი მე-71 მეფე იყო დავით წინასწარმეტყველიდამ (როგორც სჩანს ეგ. მუზ. ქ-ცხის ვარიანტიდამ, № 131, გვ. 233), მაშინ ულუ-დავით მართლა გამოდის მე-75 მეფედ, თანახმად კრების მოწმობისა, რადგან კრება სთვლის მარტო მამრობითის სქესის მეფეთა: 72—

დიმიტრი, 73—გიორგი III, 74—გიორგი IV, 75—ულუ-დავით (მეფე დავითი IV, დიმიტრის ძე, როგორც მამის უნებურად გამეფებული, არ იგულისხმება).

---[წესნი ყ შესავალნი ყ̃თა საყდართა დაქცევად] მიდრკეს ყ დიდისა დედაქალაქისა მცხეთისა შესავალნი მოვიკლენით და სხუათა სხუითა განვაჩინეთ და კუედურული ასე განვაჩინეთ: რაიცა ღ̃თივ გვრგვნოსანთა სანატრელთა მეფეთა ჩუენთა ჩამომავალთა კუედურეთს მცხეთისათუის მო[უკს]ენებია, იგი ორბოძლელთაგან მიჰმძლავრებოდა და მიზეზისა ამისთუის დასჭირვოდა, რ̃ლ (რომელ) ორბოძლელსა თეთრი ქორი მიუგურია დიდის დავით მეფისათუის და მათ კუედურეთს მცხეთისა გლეხნი ორბოძლელისათუის უბოძებია, ასრე რომე ოდეს: ქ̃კზმან: და მცხეთელთა თორმეტი ათასი თეთრი ორბოძლელსა მისცენ, მათ გლეხთა თანა ორბოძლელს არაჲ საქმე ედვას. ესე ჟამთა შლილობისაგან არცა მეფეთა მოევლო (მოეკლო), არცა ქ̃კზსა და მცხეთელთა დაეკსნა; და ორბოძლელს რაჲც ამათ გლეხთა (ა)ქაით მცხეთისაჲ ხუედურეთის კევს და იმერკევს არის გლეხები, ზუარი, ქუაბნი, ფარდახტნი (ჰარტასტნი) და რაიც არის ყუელა მიმძლავრებით დაეჭირა. ჩუენ მოვიკითხეთ და ორბოძლელის ნიშანიც ვნახენით და მართლად [შევიგენით, რომ მიმძლავრებით და უსამართლოდ ეჭირა] და მიუბოძეთ ორბოძლელსა მცხეთის გლეხთა საკსარი პაპის მამისა ჩუენისა დავით მეფისაგან გაჩენით ნ̃ბბი (ნაბრძანები) თეთრი თორმეტი ათასი და შევსწირეთ ახლად და დაუმტკიცეთ... დედა ქალაქსა მცხეთასა..., რაიც კუედურეთს და იმერკევს მცხეთისაჲ არის და ყოფილა ალაგები, ზუარი, ხოდაბუნი ფარდახტნი, ქუაბნი, მთაჲ, ჭალაჲ, სათიბი, წისქუილი, სანადიროი, ზღუარი და მიმდგომი მათი სამართლიანი, საკმარი და უკმარი... დაიწერა ბრძანებაი და გაკსნითი ესე ჩუენი ქ̃კსა: მგ: კელითა საწოლისა მწიგნობრისა ჩუენისა გ̃გი (გიორგი) ეგანისძისაითა.

**1354 წ.** ბროსსეს შემოჳქვს ხერთვისის კოშკის ასომთავრული წარწერა, ფრიად დაზიანებული და ძნელად ამოსაკითხი (Rap. I, 150—4): „სახელითა ღ̃თისათა და შეწევნითა წმიდისა მშობელისა მისისათა ვიწყე მეფ(ეო?) მ(ეფ)ის მოლარეთ ხუცესმან ქ̃ა(?) ძემან, ქამქამის შვილის ნათესავმან, კოშკი და გალავანი ესე ე̃ე (?) ქ̃კს :მბ: და ე̃ლთე (?) მ̃დ (?) ღ̃თ“...

**1355 წ.**—ქ̃კს :მგ: აქა: გარ[დაიცვალა?] | პატრონი ა[მირ?][სპასალარი ივანე? ა]]ბულს[ერისძე?] | სი]]თ--- | ნბერს (ნოემბერს?) - - |

ეს წარწერილია მხედრულად ეკლ. მუზ. ეტრატის № 85 კინკლოსის არშიაზე, რომელიც წაჭრილია. გარდა ამისა მელანიც გადასულია და სწორედ ვერ ამოიკითხება. შეიძლება „აბუსერისძის“ მაგიერ იკითხებოდეს „აბულეთისძე“, თუმცა ეს წარწერა იმავე ხელით არის დაწერილი, როგორც ზემო ივანე ამირსპასალარაბუსერისძეზე და სითიხათუნზე 1351 წლის ქვეშ.

**1357 წ.**—ქ͠კს :მე: მზე დაბნელდა (ვახუშტ. ქრ.).

ეს ცნობა იპოვება ქ-ცხბაში (I, 451): „წელსა... ჩტნზ, ქართულსა :მე: დაბნელდა მზე“. მეცნიერული გამოკვლევა ამავე წლის გვიჩვენებს ორს მზის დაბნელებას, 17 და 29 ივლისს (Hist. G. I, 649).

**1358 წ.**—ქ͠კს :მე: მეფის მიქელის ძემ ყვარყვარე ათაბაგის ქალი შეირთო (ვახუშტ. ქრ.).

ამას ქ-ცხბაც გვაცნობებს (გვ. 451). ქვემო მოყვანილ წყაროთაგან სჩანს, რომ ყვარყვარეს ქალს ერქვა ნათელა.

**1358—1360 წ.** ამ წლებში არის შეკრული ძვირფასი ომოფორი, ცაიშის ტაძარში (სამეგრელოში) დაცული, რომელსაც აქვს შემდეგი ასომთავრული ხელოვნური წარწერა:

მარჯვენა მხარეს: „ქ. საშინელო ხატო ანჩისა! შეიწირე მცირე ესე ომოფორი დედოფალთ-დედოფლისა ნათელისი, ძისა დიდისა სულკურთხე (დანარჩენი მარცხენა მხარეს) ულისა ამირსპასალარისა და სამცხის სპასალარისა ყუარყუარესი აქა და საუკუნესა. ა͠ნ. ანჩელისა თეოფანესთჳს შეკრული“ (sic). ომოფორზე ძაფებით ამოკერილია წმიდანების ხატები, რომელთა შორის მოხსენებულია წ͠ა იოანე ალექსანდრიელი (ფრიად იშვიათი).

დედოფალთ-დედოფალი ნათელა ისტორიაში აქამდი უცნობი პირია. მაგრამ ქ-ცხბა (გვ. 451) გადმოგვცემს, რომ „დავით მეფის ნებითა შეირთო ბაგრატ ერისთავმან მიქელ მეფის ძმან (დავით-ნარინის შვილის-შვილმა) ასული ყვარყვარე ათაბაგისა“. ყვარყვარე ათაბაგობდა 1334—1361 წ. და მოკვდა 1361 წ. ეჭვი არ არის იმაში, რომ ნათელა არის აქამდი უცნობი მეუღლე ბაგრატ იმერთა ერისთავისა, რომელნიც მეფეებად იწოდებოდნენ.

შესანიშნავია, რომ რამდენიმე წყაროებში აქ მოხსენებული ბაგრატ მეფე (ერისთავი), წინააღმდეგ ქ-ცხბისა (გვ. 451; 448—9), წოდებულია ძედ მეფეთ-მეფის კოსტანტინესა და არა მიქელისად. 1) იკორთის მონასტრის დიდს დაშლილს სქელს ქაღალდზე (infolio) სუცურად წარჩინებულის XIV საუკუნის ხელით დაწერილს თთვენს, რომლის სათაური ასოები ოქროს მელნით არის დაწერილი, შემდეგი წარწერა აქვს (ოკდომბრის თთვენის ბოლოს): «სრულ იქმნა წმიდანი ესე... თთუ-ენნი სეკდენბერი და ოკდომბერი მისითა სადღესასწაულო-საწინასწარმეტყველოთა და სამოციქულო-სახარებათა ბრძანებითა და საფასითა მეფეთ-მეფისა კ͠ეს (კოსტანტინეს) ძისა ბაგრატისითა... კელი მწერლისა მიწასა შინა ლპების და ნაწერნი ჰგიან... ამა წიგნისა მწერალსა წირკნელსა ბასილს შ͠ს ღ͠ნ ა͠ნ». (შეიძლება ეს იყოს ბაგრატ II, მაგრამ ბროსსეს გენეალოგიურს სიაში უკანასკნელი წოდებულია დიმიტრის ძედ, როგორც ქ-ცხ. II, გვ. 185, თუმცა მართალია, ქ-ცხბის პირველს წიგნში სჩანს ბაგრატ კოსტანტინეს ძე, გვ. 474—475);— 2) ბროსსესგან არა-სწორედ აღმოკითხულს ჯვარის წარწერაშიაც ბაგრატ (ანუ ჰან-

გრატ) წოდებულია კოსტანტინეს ძედ (Rap. XI, 92—3): „ჯუარო წმიდაო პატიოსანო! მეოხებ-თა შენითა მაცხოვნე მე მიწა შენი მეფეთ-მეფის ძე პანკრატი, ძე კოსტანტინე(სი)...ა͠ნ“.

რადგან ამ წარწერებს ქ͠კნი არ უჩის, ამის გამო ეს ცნობა კიდევ საეჭვოა და სამიებელი.

**1358 ანუ 1359 წ.**—გამეფება გიორგი მეფისა (იხ. 1377 წლის ქვეშე).

**1360 წ.** ქკს: მჲ: აქა დაბნელდა (ესედრ. წარწ. ეგ. მუზ. ხელნაწ. № 85).

**1360 წ.** ქკს: მჲ: გარდაიცვალა მეფე დავით და დაჯდა ძე მისი ბაგრატ მეფედ. ჰმოწმობს გუჯარი ბარათიანთა, რომ ეს დიდი ბაგრატ არს (ძე) ამ დავით მეფისა (ვახუშტ. ქრ.)

ეს ქ͠კნი იპოვება ქ-ცხბაშიაც: I, გვ. 451; მაგრამ მაუაშკილთ გუჯარი გვიჩვენებს გიორგის გამეფებას 1358—1359 წ. (იხ. 1377 წ. ქვეშე).

**1361 წ.**—მთ. მზე დაბნელდა;—და სვანთა ქუთაისი დასწვეს.—დიდმან ბაგრატ მეფემან მოსწყვიტნა [და დაიპყრნა და თურქთ სამცხე მოარბიეს; დიდმან ბაგრატ მეფემან მოსწყვიტნა].—კვალად მოკუდა ათაბაგი ყვარყვარე, ბაგრატ მეფემან დასვა ძე მისი ბექა (ვახუშტ. ქრ.).

რაც ფრჩხილებში ჩასმულია ის ცნობები მაუაშკილის ვარიანტში არ იპოვება.

---

## 1362 წ. სიგელი ალექსანდრე მეფისა.

სინოდ. კანტორის მე XVII საუკუნეში ხუცურად გადაწერილს ნუსხ-ში :რკ: (№ 527) შეტანილია შემდეგი სიგელი, მიცემული მცხეთისადმი და კ͠ზის ბასილისადმი მეფის ალექსანდრეს მიერ ქ͠კს :მი:, ე. ი. 1362.—ჩვენის მატიანით ამ დროს მეფობდა ბაგრატ V და ალექსანდრე მეფედ არ სჩანს; ხოლო კ͠ზი ბასილი მართლა სცხოვრობდა დავით VII დროს და მისსავე სიცოცხლეში მოკვდა და მისი ალაგი დაიჭირა კ͠ზ დოროთეოსმან (ქ-ცხ. I, 451). ისიც უნდა გვქონდეს სახეში, რომ ცნობები კზ͠ებზე მერე ჩართული ქ-ცხ͠ბაში, საეკკლესიო გუჯრებიდამ (იხ. ზემო გვ. ). შეიძლება ალექსანდრე იყოს იმერთა მეფე, ბაგრატის ძე, რომელიც ბაგრატ V-მ დასვა იმერეთში ერისთავად და მეფედ იწოდებოდა (იხ. სიგელი მისი 1392 წლის ქვეშე). გუჯრის შინაარსიდამ-კი საგულისხმებელია, რომ ალექსანდრე არის მეფე ქართლისა. შეიძლება ნუსხაში შეცდომით იყოს აღნიშნული ქ͠კნი, მაგრამ ალექსანდრე I-ის დროს (1413—1442 წ.) ყველა კ͠ზები ცნობილნი არიან და მათში არ იპოვება ბასილი, რომელიც კათალიკოზობდა დავით VIII-ის დროს 1505—1526 წ. გარდა ამისა გუჯრიდამ სჩანს, რომ იმერეთი და-

მოკიდებულია ქართლიდამ და მცხეთის კზ~ს იმერეთში ყმები ჰყოლია. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ გუჯარი ეკუთნის XIV საუკ., ხოლო თუ მისი შინაარსი არ ეთანხმება ჩვენის მატიანის ცნობებს, ეს იმის გამო უნდა წარმოდგებოდეს, რომ მე-XIII საუკ. ისტორია და უმეტეს 1346—1390 წლებისა ჩვენს მატიანეში ორიოდ სიტყვით არის აღნიშნული. ამითვე უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ვახუშტისაც უნახავს გუჯარი ღეონ მეფისა 1354 წლის თარიღით, თუმცა მემატიანე ამ მეფეს სრულიად არ ახსენებს. ყოველს შემთხვევაში ჩვენ შემოგვაქვს ეს გუჯარი, მომავალთ მკვლევართათვის საძიებლად, მით უმეტეს, რომ შინაარსი გუჯრისა დიდად საყურადღებოა.

„ქ. ჩუჱნ კელმწიფემან მეფემ ალექსანდრემ ესე წიგნი მოგართვი თქუჱნ ცათა მობაძავსა დიდსა საყდარსა მცხეთას ...და... კზ~ს ბასილის..., ასე და ამა პირსა ზედა, რომე რაც თქუჱნი ყმა იყოს ქართლსა, კახეთსა, საათაბაგოსა, სომხეთს, თუ საბარათიანოს თრიალეთზედ, თუ იმერეთს ლაშქარს-ნადირობას თქუჱნი ყმა თქუჱნ გიახლოს, და თუ თქუჱნ არ ბრძანდებოდეთ, თქუჱნი სარდალი და დარბაისელნი იყვნენ, მათ იახლნენ. სხუჲს სარდლებსა და ამირსპასალარს კელი ნუ აქვს თქუჱნს ყმასთან, ნუცა ვინ გაგვყრის თქუჱნს აზნაურშვილს და გლეხს და ყუჱლა ჩუჱნს დროშაზედ უნდა იქნებოდენ. ქ~კს: მი:“.

**1363** წ.—ქ~კს :ნა: ათაბეგი ამირსპასალარი ყვარყვარე სწირავს მცხეთას სოფელს კორდოვში მახარაძეს.

(ეს ცნობა რუსულს გუჯართ-ნუსხაში იპოვება და თვით გუჯარი ვერ აღმოვაჩინე სინ. კანც. სიგლებში. ვახუშტის ქრონიკით ყვარყვარე † 1361 წელს).

**1366** წ. ქ~კს :ნდ: დიდი სიკუდილი იყო და მოკუდა დედოფალი ელენა, ცოლი ბაგრატ მეფისა (ვახუშტ. ქრ.).

ეს ცნობა არ იპოვება ქ-ცხოვრებაში (351—460). ბაგრატის ცოლი ანნა (ქ-ცხ.).

**1366** წ. ქ~კს :ნდ: ქ. ამა :ზე - ‿ - | ზედან [მზე?] | დაბნ[ელდა] - - | დღ[ის?] ოთ - - | თზ - - - | ქთსა — —“ | (ეს მხედრულად წარწერილია ეკ. მუზ. ხელნაწ. კინკლოსის № 85 არშიაზე; თითქმის სრულიად გადასულია).

**1368** წ.?—გუჯარი მეფის ალექსანდრესი, რომელშიც მოხსენებულნი არიან: მისი ცოლი თამარ და ძე დავით, დემეტრე ერისთავი და კ~ზი ნიკოლოზ და უზის მეტად საეჭვო თარიღი: ქ~კნი :ნვ: (რნვ? ანუ სნვ?). ეს გუჯარი ის. ქვემო 1560 წლის ქვეშ.

**1372** წ.—ქ~კს :ჲ: მზე დაბნელდ—ადა მოკუდა მიხაილ მეფის ძე ბაგრატ და დაუტევა ალექსანდრე, ძე თჳსი (ვახუშტ. ქრ.)

**1373 წ.**—ქ~კსა: ჲა: თურქნი მოვიდეს; მეფე გიორგი მოკლეს; ლაშქარნი სად დახოცნეს, საქართველო მოარბიეს და წარტყვენეს. თვესა აგვისტოსა :ვ: (6-სა).(იხ. პ. კარბელოვის „კრება ლექსთა“, რომელშიც ჩართულია ქორონიკონები).

ქ~კსა :ჲა: „ამათ ჟამთა მოვიდეს თურქნი წინამძღოლითა ბაედარის ძის სოსიასათა (თუ ხოსიასითა?) და მოჰკლეს მეფე გიორგი და ყოველნი მთავარნი და დიდებულნი ქართველნი და მუნვე მოვიდა (მოიკლა) ერისთავი ქსნისფხნეველი ქ~კს :ჲა: („ძეგლი ერისთავთა“: იხ. ზემო გვ.     ).

. ეს ცნობა, რომელიც ორს ზემოხსენებულს წყაროებში იპოვება და მეგრელ. ქ-ცხ. ვარიანტშიც ჩართულია, მეტად უცხოა: არც ვახუშტის და არც ქ-ცხ~ბხში არ არის მოხსენებული ეს გიორგი მეფე, მოკლული 1373 წ. ეს გარემოება ახალი საბუთია იმისი, რომ ჩვენი მატიანე გიორგი ბრწყინვალეს დროიდამ ლანგთემურის შემოსევამდი (1346—1,384) და შემდეგაც (1407—1469 წ.) მეტად ღარიბია და თითო-ოროლა ცნობებისაგან შემდეგს დროებში შედგენილი, როგორც ამას ვუჩვენებთ წინასიტყვაობაში.

**1375.** ქ~კს :ჲგ: გამოსჩნდა თემურლანგ და დაიპყრა აღმოსავლეთი (ვახუშტის ქრ.).

**1375 წ.**—ქ~კსა :ჲგ: გამოჩნდა თემურლანგ და დაიპყრა აღმოსავლეთი. ამ წლიდამ დაწყებული 1401 წლამდი ჩვენ გვაქვს უცნობისა პირისაგან დაწერილი ქორონიკონები, რომელნიც სრულიად ეთანხმებიან ვახუშტისას, იმ ქორონიკონებს აწერია: „ძველს წერილებში — — — (წაშლილია) ესრეთ“. ამ ქრონიკას აღვნიშნავთ: („ჩვენი ისტორიული კრებული ანუ შემოკლებით: ჩ. ისტ. ირ.“)

---

## 1376 წ. ეტრატის მხედრულად ნაწერი გუჯარი შიომღვიმისა №

....ამათ ყ~ლთა წ~თა შეწევნითა და თანადგომითა ესე დაწერილი დაგიწერეთ ჩ~ნ მღუიმელთ ერთობით სრულად კრებულთა შენ სუნდულს, მონასა ღვთისასა: ამას უდაბნოსა შ~ა შემოხვედ მოლოცვად; მოილოცე უდაბნო და წ~სა მამისა შიუსი სამარტვილო. მოგაგონა ღ~ნ სულისა შენისათუის უმჯობესი, რათამცა ამას უდაბნოსა შ~ა სალოცველი და მშობელთა შენთა საკსენებელი იყო ვიდრემდის უდაბნო ესე ეგოს და წესი და დალოცვა აღესრულედის შიგა მყოფისა კრებულისაგან, შენი და შენთა მშობელთა სალოცავი უკვდავი იყოს ამას უდაბნოსა შ~ა, და გვენუკევდი ალაპსა ტრაპეზსა ზ~ა მესამესა კუირიაკესა მარხვათასა... გაგიმართეთ ალაპი ტრაპეზსა ზედა... არ შეგეცვალოს... და ამისად საფასოდ ავიღეთ ფასი სრული, ას და ათ დრაჰკანი დუკატი ოთხ ასეული და ორმოცდაათის დრაჰკნისა საფასოი, ორი ტაბაკი ვეცხ-

ღისა, ფეშხუმი, ესე ჯუმლად იქნების სამასისა ბოტინატის.—დაიწერა კელითა გიორგი ჭყონდიდელის მწირველისათა ქორონიკონსა: ჳდ.

(სუნდულ და სუნდულიძენი იხ. ქვემო გუჯ. 1398 წ. ქვეშე).

---

## 1377 წ.—ბუჯარი მაყაშვილთა.

თ. დ. მაყაშვილმა გადმომცა ეტრატას გუჯრიდამ სიტყვა-სიტყვით გადმოწერილი სიგელი გიორგი მეფისა, მიცემული 1377 წ., მე-19 წელს გიორგის მეფობისას კზ̃ის ნიკოლოზის დროს. არც ეს კათალიკოზი და არც გიორგი მეფე ამ დროს ცნობილნი არ არიან. რაიცა ახალს საბუთს გვამლევს იმისას, რომ ამ დროების მატიანე ქ-ცხზა მეტად მოკლეა და ნაკლულევანი ცნობებით. ჩვენის აზრით ეს გიორგი-მეფე უნდა იყოს ბაგრატ-დიდის შვილი და თუმცა ის გამეფდა 1395 წელს, მამის სიკვდილის შემდეგ, მაგრამ ალბათ ის მეფის სახელით ერთად მამასთან განაგებდა რომელსამე ნაწილს საქართველოსას (წინეთ კახეთს 1377 წ. და შემდეგ იმერეთს 1384—1395 წ.). შესანიშნავია ის, რომ გიორგი მეფედვე წოდებულია მამისავე სიცოცხლეში 1393 წელს (იხ. 1393 წ. ქვეშე და ჩემი „საბუთები შიომღვიმის ლავრისა“ გვ. 45).

სახელითა ღ̃ისათა გიორგისაგან დავითიან ბაგრატოვანისა, ნებითა ღ̃ისათა აფხაზთა ქართუჱლთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა შარვანშე და შანშე და სრულსა საქართველოსა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, კელმწიფედ ფლობით მპყრობელსა წინაშე მოვიდა ჩვენი დიდად ნამსახური და ერთგული მაყაშვილი გუგუნი, თავადი მეაბჯრეთ უხუცესი ბოსტოღანა, გვეაჯა და მოგვახსენა, რათამცა შეგვეწყალა და ბოჴორმის პირთა ბიძისა მისისა ნაქონები ბოტკოი სამკვიდროდ სამამულოდ სიგლითა მიგვებოძა. დაგვაჯერა ღ̃თნ და ვისმინეთ აჯაი და მოხსენებაი მისი, და ბოჴორმის პირთა ბიძისა მისისა ნაქონები რაგვარცა სამართლადცა დაჰმართებდა ბოტკოი სამკვიდროდ სამამულოდ სიგლითა ამით მიუბოძეთ მისითა შესავლითა, მთითა, ბარითა, ველითა, ვენახითა, ჴალითა, წისქვილითა, მზღვრითა, მისის სამართლიანითა ყველათა; გვიბოძებია და გქონდეს შენ, მეაბჯრეთ უხუცესს ბოსტაღანას მაყაშვილის გუგუნასა, შვილთა და მომავალთა შენთა ყოველთავე ბიძისა შენისა ნაქონები ბოტკოი მისითა მიმდგომითა სამართლიანითა ყველაითა რაგვარაცა თქვენს მეტს არავის დაჰმართებოდა, აგრე სამკვიდროდ და სამამულოდ გვიბოძებია ბოჴორმის პირთა ბიძისა შენისა ნაქონები ბოტკოი. რაგვარცა ბიძასა შენსა ჰქონებია, აგრევე უკლებლათ შენთჳს გვიბოძებია მკვდრად და შეუვალად, უცილებლათ ყოვლის ადამიანისაგან, გაგვიაზადებია და გაგვითავისუფლებია ყოვლისა საჩვენოსა საქმისა შესავლისა და გამოსავლისაგან. ხვარბლის მკრებელთა, მეკულუხეთა, მეჯინიბეთა, მერემეთა, მესაბანჯრეთა, ბაზიართა, მპარავთ მეძებართა და ყოვლისა საჩვენოსა საქმისაგან. და არავინ გვი-

ბრძანებია მშლელი, მეუნებლე, მავნე, მავნებელი და დამაკლებელი ბრძანებულისა ამის ჩვენისაი, და ნუცარას ვინ დააკლებთ ნუ დიდსა და ნუ მცირესა აწ ვინცა ჰნახოთ ბძანებაი და სიგელი ესე შემდგომად ჩვენსა მეფეთა, დედოფალთა, დიდებულთა, კარისა ჩვენისა ვეზირთა, დიდთა და მცირეთა, ყველამან ასე დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშლით ბრძანებასა და სიგელსა ამას თვნიერ შეწევნისა და თან-დგომისაგან კიდე, და ვინც არ დაამტკიცოს... (წყევა).

თქვენ ქ̃ეს მიერ კათალიკოსნო და წმიდანო მღუდელთ-მოძღვარნო უჯუაროპითა დაუმტკიცეთ და დამამტკიცებელნი ღ̃თნ აკურთხნეს. — დაიწერა ბრძანებაი და სიგელი ისე ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისასა: ით: ქო̃კნსა ჲე. კელითა ჩვენისა კარისა მწიგნობრისა მახარობლისათა.

მე დიდისა მონასტრისა მოძღვარი კათალიკოზი ნიკოლოზ დამამტკიცებელი ვარ მეფეთ ბძანებისა ამის.

**1387 წ.** — ქ̃კს :ოე: ლანგთემურ სამარყანელმან თფილისი აღიღო და წარტყვენა; მეფე ბაგრატ და დედოფალი ანნა გამოიყვანნა ციხიდამ და ტყვე ჰყვნა და ალექსანდრე იმერეთს გამეფდა. (ჩემი „ისტორიული კრებული"). ამ ცნობას სიტყვა-სიტყვით იმეორებს ვახუშტის ქრონიკა, რომელიც ბოლოს უმატებს: „ძე ბაგრატისი".

**1388 წ.** — ქკს: ოვ: აქა მზე დაბნელდა (წ̃ა ნიკოლოზის ეკლესიის ქრ.) ამ ქ̃კს ახსნა ის. „ჩემი ქრონიკები", წ. I, გვ. 82.

**1389 წ.** — ქკსა: ოზ: მოკვდა ალექსანდრე მეფე და ძმა მისი გიორგი გამეფდა იმერთა ზედა (ჩემი ისტ. კრებული.).

ამ ცნობას ვახუშტის ქრონიკაც სიტყვა-სიტყვით იმეორებს.

**1390 წ.** — ქკსა: ოჱ: აფხაზთა ქათალიკოსად დასვეს არსენ (ჩ. ისტ. კრებ. და ვახუშტ. ქრ.).

ამ ცნობასაც ვახუშტის ქრონიკაც სიტყვა-სიტყვით იმეორებს.

**1391 წ.** — ქკს: ოთ; მოკუდა ათაბაგი ბექა და დაჯდა ნებითა გიორგისითა ათაბაგად ძე მისი იოანე (ვახუშტის ქრ.).

**1391 წ.** — ამ წელს არის დაწერილი ქვემო დაბეჭდილი მაღალაშვილების მხედრულად ნაწერი სიგელი, რომელიც 1884 წელს ხელში ჩამივარდა და სამწუხაროდ შემოკლებით გადმოვიწერე. ახლა ის სიგელი ხელთ არა გვაქვს და ამისგამო იძულებული ვარ მისი მოკლე ნუსხაღა შემოვიტანო აქ.

„ქ. ჩუენ მეფეთ-მეფემან პატრონმა ალექსანდრე... ესე წყალობის წიგნი გიწყალობეთ... თქუენ მაღალაძეს ამილბარს დიმიტრს და გიორგის... (გაბო-

ძეთ) უმკჳდრო სახლ-კარი და მამული ივანისძე გაბრიელისა... მამა ჩემს მამა თქუენი მცხეთას სასწავლოდ აღეზარდა... და... (კვალად გიბოძეთ) ქვათაკევს ეკუდერი, კარის ბჱე, სენაკი და ბაღი და ბოსტანი და კუამლი ხუთი გლეხი ეჩილაურში... ზუარი, ხოდაბუნი... (სხვაც ბევრი სწერია)... და კუალად... მამათ-მთავრობა დიღმის წყლის ზემოთ... (გრძლად ჩამოთვლილია) სკრამდი... გიბედნიეროს ღმერთმან სვეტის ცხოვლის და ჩუენსა სამსახურსა შინა... დაიწერა... ქკსა :ოთ: კელითა წირქვალელის მეშრიბის რატისითა"... ზედვე ხვეულად: „მეფე ალექსანდრე ვამტკიცებ". მერე გაურჩევლად, სხვეულადვე კათალიკოზის ხელი აწერია.

**1391 წ.**—ამ წელს დაწერილია მეორე სიგელი იმავე მაღალაშვილებისა, რომლის პირი, მღ. ღიაძეს მიერ გადმოღებული, ხელთა გვაქვს. შესანიშნავია, რომ აქ მეფე ალექსანდრე წოდებულია გიორგის ძედ და ჩამოთვლილია მისი შვილები გიორგი და დიმიტრი. თუ ეს მეფე არის ალექსანდრე I, რომელიც გამეფდა 1413 წელს, მაშინ მეტად უცხოდ გვჩანს ამ სიგლის ცნობა, რადგან ნამდვილ საბუთიდამ ვიცით (იხ. ქვემო 1413 წ.) რომ იგი გამეფდა 24-ის წლისა და მაშასადამე 1391 წელს იგი იქნებოდა არა უმეტეს 2—3 წლისა. იმერთა მეფეს ალექსანდრესაც ჰყვანდა შვილი დიმიტრი (სხვები არ სჩანან საბუთებში), მაგრამ შინაარსი სიგლისა ცხადჰყოფს, რომ აქ გულისხმებულია ქართლისა მეფე და არა იმერეთისა. ყოველს შემთხვევაში თვით სიგელი ჩვენ ჭეშმარიტად მიგვაჩნია და არა ყალბად, ხოლო დაწვრილებითი გამოძიება ამ საბუთით აღძრულის კითხვებისა მომავალთა მკვლევართა მივანდოთ.

ქ. ჩუენ ღ~თივ გჳრგჳნოსანისა მეფეთ მეფისა გიორგისა ძემან პატრონმან მეფემა ალექსანდრე და ძეთა ჩუენთა გიორგი და დიმიტრი ესე წიგნი და ნიშანი გიბოძეთ და მოგეცით თქუენ ჩუენის საყდრის შვილთა ქადაგს მახარებელსა და თქუენთა შვილთა მარკოზსა და ზაქარია და დავითსა: სულ-კურთხეულს მამა-ჩვენს, მეფეთა მეფეს გიორგის, მცირე ყმა ცხეთას აღეზარდე; სოფლის ვითარებისაგან პატიოსანი ივანიძის ძეთა საქადაგო სახლი და საკელო უმკვიდრო ქმნილ იყო და მამას ჩუენს და ჩუენთა გუართა და კათალიკოზთა მას ზედა ახლადა ივანის ძეთ (ივანიძის ძედ?) და ქადაგად განეჩინე და შეეყვანეთ და რაცა კავთისკევს და მცხეთისა საყდარს საქადაგო მამული, შესავალი და საკელო იყო, თქუენთვის მოებოძა. აწ ჩუენცა შეგიწყალეთ და დაგიმტკიცეთ მით წესითა, როგორცა კათოლიკე მცხეთისა საყდრისა და ჩუენთა გუართა სანატრელთა მეფეთაგან განჩენილი და გარიგებული არის საღთოთა წესითა და მისითა სამართლიანითა მამულითა და საკელოთა. გქონდეს და არავინ დაგეცილოს, არა მცხეთის შვილი, არა თქუენის გუარის კაცი, რა გვარცა არავინ ღირსა და არა სხუა ადამის ნათესავი. გიბედნიეროს ღმერთმან თქუენ ახალსა ივანის ძესა *) ქადაგსა მახარებელსა, თქვენთა შვილ-

*) „ახალი ივანის ძე", ე. ი. ახლად დადგენილი ამოკარდნილის ივანიძის მა-

თა მარკოზსა, ზაქარიას და დავითს კავთისკეობა ივანის ძეთა ნაქონები, კელი და მამული და მთა (მითა) წესითა, ვითა ძუელითგან საყდრისა კათოლიკოზთა და მეფეთაგან განჩენილი და პატივცემული არის. ესე ასრე გაგითავდეს მცხეთისა საყდრისა და ჩუენსა საუკუნოსა ერთგულსა სამსახურსა შინა. დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქ~კს: ოთ: კელითა კარისა მწიგნობარისა ჩუენისა იოანესითა". ხვეულად: „ალექსანდრე", „გიორგი" და „დიმიტრი".

**1392 წ.**—ბ. დ. გორგაძემ დამავალა და იმერეთით ჩამომიტანა ტყავის სიგელი (2 არშინი სიგრძით და 1/4 არშინი სიგანით) მდარე ხელით, მსხვილ ასოებით მხედრულად დაწერილი მე-XV საუკუნის ხელით, რომელსაც ტექსტის ხელითვე აქვს წარწერა, რომ ეს სიგელი გადაწერილია ძველის დედნიდამ (მე-XV საუკუნეს).—სიგელი მიცემულია ალექსანდრე მეფის მიერ 1392 წელს, როდესაც ქ-ცხბით იმერ-ამერეთში მეფობდენ ბაგრატ-დიდი და ძე მისი გიორგი. ამავე დროს იმერეთში სცხოვრობდა ბაგრატ-დიდის მიერ „ერისთავად" დადგენილი, ძველთა იმერთა მეფეთ შთამომავლობა, ალექსანდრე I, რომელიც იწოდებოდა მეფედვე და რომელმანცა უმეტესი ნაწილი იმერეთისა ჩამოართვა ბაგრატს. ამ ალექსანდრეს მართლა ყვანდა შვილი ვახტანგ, ამ სიგელში მოხსენებული. ამის-გამო ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ ეს სიგელი ეკუთვნის იმერთა მეფეს ალექსანდრე I, რომელიც ვახუშტის ქრონიკით გამეფდა 1387 წ. და მოკვდა 1389 წ., ხოლო ამ სიგლის ცნობით იგი ცოცხალი ყოფილა 1392 წელსაც. იურიდიულის მხრითაც შინაარსი სიგლისა საყურადღებოა (ყოველი სიტყვა გაყოფილია სამ-სამის წერტილით):

ქ. სახელითა:. ღმრთისათა:. ჩუენ მეფეთა:. მეფემან:. ალექსანდრემან და ძეთა ჩუენთა ვახტანგ დავითიან ბაგრატოვანმან, ნებითა ღვთისათა აბხაზთა, ქართველთა, შანთა (?) და შარავანშთა, რამთა (sic), კახთა, ჰსომეხთა (sic) მეფეთა (sic) ყოვლისა აღმოსავლეთისად ვიდრე დასავლეთამდის ლიხთ იმერისა, ჩრდილოთისა (sic) საქართველოს ორთავე კელმწიფედ (sic) მპყრობელმან,—მოვიდნეს ჩუენსა წ~ე ჩუენი ერდგულნი და სასოანი ჩუენნი (ამას ქვევით სხვა მელნით და მერმინდელის ხელით გასწორებულია: „და ერთგულნი გორგაძე შვილი) დავით და მისნი შვილნი და გვეაჯნეს. ვისმინეთ აჯა და მოკსენება მათი და მიუბოძეთ სიგელი ესე. და ძველადცა ჰქონდა სიგელი და აწ ახლად დაუმტკიცეთ და გაუჩინეთ სისხლი სრული, სამჯერ ასი ათასი კირმანეული თეთრი სანახშიროსა და სადაღოსა აქათ; სანახშირად და საზ (ხაზაო?) სამი ათასი თეთრი დაგეურვებოდეს.—თუ ვინმე შენი გვარისა კაცი მოკლას, სამჯერ ასი ათასი კირმენეული თეთრი დაგეურვებოდეს სანახშიროდა ῶ საზაო, სამი ათასი თეთრი, სადაღოდა ოცი ათასი, საგერშოდა თორმეტი ასაი (sic)

---

გიერ, როგორც, მაგალითებრ ამგვარსავე შემთხვევაში ხიმშიაშვილი ამოკარდნილის აბულეთის მის ადგილ-მამულის მიმღებელი იწოდება „ახალ აბულეთის ძედ" (იხ. ქვემო 1405 წლის ქვეშე).

საკოჰლოდა სრულისა სისხლისა მექსედი (მეჭკსედი?) დაგეურბოდეს (sic). მიუბოძეთ და უბოძეთ სიგელი ესე, და განუჩინეთ ,რომე არა გაკლდებოდეს (სხვა ხელით: „გ ო რ გ ა ძ ე ს ა  დ ა ვ ი თ ს ა“. წინეთ უნდა ყოფილიყოს: „ი ნ ო ს ა რ ი ძ ე ს ა“) ---ჵ შვილთა მისთა ჵ სახლისა შვილთა ჵ მომავალთა ყოველთავე სისხლი სრული სამჯერ ასი-ათასი კირმენეული თეთრი დაგეურვებოდეს საზაოსა და სანახშიროსა აქათ. სანახშიროდა და საზაო სამი ათასი დაგეურვებოდეს; სადაღოდა ოცი ათასი, საგერშოდა თორმეტი ასი, საკოჰლოდა—სრულისა სისხლისა მეექუსედი დაგეურვებოდეს.—აწ ვინცა ნახოთ ბრძანება და სიგელი ესე ჩუენთა შემდომთა (sic) მეფეთა და დიდებულთა, დიდთა და მცირეთა დაუჯერობითა (უჯუარობითა?) დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშლით (სხვა ხელით: „გ ო რ გ ა ძ ე ს  დ ა ვ ი თ ს“) და მაისსა (sic) და შვილთა და მომავალთა ყოველთავე და ნუ ვინ უშლით.—თუ ვინმე ცოლი წაგიღოს და ანუ მოუტყ(უოს?), ნახევარი სისხლი ამისგან გარდაგიხადოს. თუ ვინმე სახლი დაუწვას და ანუ დაურბიოს, ხუთი ათასი თეთრი დაუურვოს. თუ ვინმე მუქარა სთხოვოს შემოტყუვილითა და არა ემართლებოდეს, მანცა ნახევარი სისხლი დაუურვოს. თუ ვინმე ჯოგი წაუსხას და ანუ ხვასტაგი, სასაძოვრე გაუტეხოს, რაც ამას შიგან ეწეროს მეოთხედი სისხლი დაუროს (დაუურვოს). თუ ვინმე გრნეულობა შეჰყივლოს, ნახევარი სისხლი დაუროს (sic). თუ ვინმე სასაფლაო გატეხოს და ანუ წისქვილი გაუცარცოს, ათასი თეთრი დაუროს და მეკობრე კელთა მისცეს დასაშავებლად. თუ ვინმე მწყემსი გიცეს და ანუ უომარი კაცი გაგიძარცოს, ათასი თეთრი დაგეურვებოდე (sic).

აწ წმიდანო მეფენო ქრისტეს მოსავნო, დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშლით ნუცა ებ̃სკზნი, ნუცა ქათალიკაზნი და ნუცა მღდელთა-მოძღვარნი და ნუც ციხისა თავნი და ნუც აზნაურნი და ნუცა დიდებულნი, ნუც უქვედენდესნი (უქვედაესნი), ნუცა უზედაესნი, და დედოფალთა აზნაურითა (sic), აზნაურთა, ოთხმიზურთა (sic)—და ყოველთა ჩუენისა კარისაგან გამოსრულნი და ვისცა... (სხვა ხელით „გორგაძეს“) დავითს და მაისასასა (sic) გუარი კაცი შეაკუდეს, ანუ ხუცესი იყოს და ანუ მჭედელი, ამდენი სისხლი გარდაიხადოს. დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ინვნდიკონსა (sic) მეფობისა შიგან (sic) ქრონსა (sic) ოთხმოცსა. თვესა ივნისსა ცამეტსა, კელითა მწიბრისათა (sic) ჩუენისა გრიგოლისათა. ამინ უფალო".

ბოლოს ხვეულად: „მეფე სრულიად.--- (შემდეგი ერთი სიტყვა წაშლილია, ძლივს-ღა ეტყობა: „ალექსანდრე“).

გრაგნილის მეორე-მხარეზე იმავე ხელით:

ქ. ესე:. სიგელისა:. ძველისა:. დედოსსგან (sic) გარმოვწერეთ და გამოვიღეთ. რამგვარაც ძველ(ში?) ერთი იყო, აგრეთვე აწ ახლად დავამტკიცეთ ვითა უწინც შეფიცულვართ ძმობაზედან, აწეც იგივე პირი გიორგისა... (სხვა ხელით: „დავითისა“) ძმებისა და განაყოფებისა მახარებლისა დამამხთვალისა და მიქელისა და მათისა გუარისა კაცისა მუხიერისა და ბადრი (sic):. და ავაგი და

მათა ყველათა შვილნი და მომავალნი მტერის მტერნი (sic) ვიყვნეთ და მოყვარე მოყრელთა (sic).

---

## 1392 წ.—სია მცხეთის საეკლესიო მამულებისა.

სინოდ. კანტორის გუჯრებში იპოვება გრძელი სიგელი № 349 (და № 59), რომელსაც თავი აკლია. ეს სიგელი XV საუკუნის პირია ძველის გუჯრისა, 1392 წელს დაწერილისა ალექსანდრე მეფის სახელით. ამავე გუჯრის მე-XVII საუკ. პირი ჩართულია ნუსხაში № 506 (:სიბ:). პირველი სიგელი (ასლი) დაწერილი ყოფილა მეფის კარის მწიგნობრის იოსებისგან, რომელიც მართლა სჩანს 1399 წელს (იხ, 1399 წ. ქვეშე), ხოლო მისგან გადაწერილი პირი ეკუთნის სვიმონ მეფის დროს, როდესაც დაუმტკიცებიათ ეს პირი. ხოლო მეორე ნუსხა (№ სიბ) გადაწერილია ფილიპე ქავთახეველისგან, რომელსაც მრავალი გუჯრები უწერია სვიმონ მეფისვე დროს (იხ. ქვემო 1579 წ. ქვეშე და №№ 180;181;212) და, როგორც წარწერათაგან სჩანს, უკანასკნელი ნუსხა სხვა-ნუსხიდანვე არის გადმოწერილი და არა ასლიდამ.

რადგან 1392 წ. ქართლში არ მეფობდა ალექსანდრე, ამის გამო უნდა ვიფიქროთ, რომ ეს უნდა იყოს იმერთა მეფე ალექსანდრე, რომელიც მეორედ გამეფებულა 1392 წელს, როდესაც მოჰკლეს გიორგი მეფე, ძმა მისი, თუმცა შინაარსი გუჯრისა თითქმის მხოლოდ ქართლ-კახ-მესხეთს ეხება და არა იმერეთს.—მესამე საყურადღებო ნუსხა XVII საუკ. მცხეთის ქონებათა და უფლებათა № 330 შეტანილ იქმნება ჩვენს „ქრონიკებში“ ქვემო. ქვემო მოყვანილი გუჯარი ოდნავ შეცვლით შეტანილია თფილისის არქეოლოგიურ კომისიის აქტებში (ტ. I, გვ. 1—2 და ტ. VI, გ. 769) და ბროსსეს შრომაში (Introduct. p. XXVI—XXX).

- - - - - -, ტფილისის ქალაქს ეკლესია, სასახლე, ვაჭარნი, მამულნი, ბაზარნი, ქულბაქნი და ბაჟნი თჳსითა შესავლითა; ავლაბარს მონასტერი მეტეხის ყოვლად წმიდისა მისის მამულითა, ავლაბრითა და ავლაბრის ჭალითა; მტკურის პირს სოფელი და კონი და ახალ-უბანი; ქალაქს ვაჭრებითა კრწანისი; სოფელი შინდისი; სოფელი წავკისი მათითა სამზღურითა და მეორე წავკისი მახრალაჯითა, ხეკორძითა და მეტეხს რაც მეტოქია; დიღომს რაც მცხეთისაა გლეხნი, მამულნი და ზვარნი; ლიხს ხუთი კომლი კაცი; სოფელი წინუბანი და სათოვლე მთა; სოფელი ქუაბნი; სოფელი უპიტი; სოფელი თელოვანი; სოფელი ძაღლაანი და ფაფანი; სოფელი ნაქულბაქევი; სოფელი მუხათ-გვერდი; სოფელი კარსანი; სოფელი ქართლი; მონასტერი არმაზისა ციხითა, შესავლითა და ბაჟითა; სოფელი მარტაცი; სოფელი ციხე-დიდი; სოფელი ძეგვი; სოფელი სასხორი; მონასტერი ლავრა და ქულივიძენი; წინარეკს მონასტერი ყოვლად წმიდისა საქადაგო მათითა მამულითა; სოფელი ორბეთი, მონასტერი მალემწისა; სოფელი გუდალეთი და სოფელი ეზატი;

დიდგორზე სოფელი მოხისი; სოფელი ნიაბი; სოფელი გოში; სოფელი ჩოჩეთი და სოფელი მეტეხი; ქკიროს კომლი კაცი შვიდი; სოფელი გრაკალი და ატენს რაც მცხეთისაა—ეკკლესია, ციხე, გლეხნი, მამული და აგარაკნი; ხვედურეთს სოფელი ცოლოთი; ხვედურეთს შვიდი საკომლო; იმერ-კევს სოფელი სარკის წმიდის გიორგისა მათითა მამულითა და მარჯანიძენი; სამწევრისს ზევით სოფელი სანებელი; ნუას სამხარაძენი; თრიალეთს სოფელი ბარეთი და ცოტაბარეთი; ქედის-უბანი; მილისს სოფელი წითელი-საყდარი; ზურის-უბანი; ახალ-შენი; კლონა; ბეშქენა-შენი; ზემო ანტრავს ოცი კომლი კაცი და ეკკლესია; სოფელი მაჩუთა; ეძანი; ახალ-ქალაქი; ნადვალევი; ორომა-შენი; სომხითს ფარვანას-თავი; ფარვანი; სოფელი ფოკა; ტაშირს სოფელი საბა-წმიდა; კეთილ-დაბა; მარმა-შენის თავს სოფელი წყარო-მრავალი და წინ-უბანს-სოფელი ფუძე-მარგი; სოფელი ველთა; სოფელი მთავარ-ანგელოზისა; ლორეს სოფელი ამუქი ეკლესიითა და მამულითა; სოფელი დისარლი; ახტალას კუამლი სომეხი ათი მათითა მამულითა; კუალად ახტალის კევზე სოფელი ვარდის-უბანი; ორბეთის ძირს სოფელი ყორანთა თჳსითა მამულითა; ვერკეთილი (ველკეთილი?); სიონს გაღმა წმიდის გიორგის მონასტერი შესავლითა და თავმგურგუალა; ხატის-სოფელი; დარბაზი; ზვარეთს სოფელი გოგია; სოფელი ალასტანი; სოფელი ზემო-გომი და გაღმა დიეში (დესი?); სოფელი ბნელა; ახალ-ქალაქის თავს სოფელი ოკამი; მტკუარზედ სოფელი ტოლოში; სოფელი ღორ-მაკე; თუხარს საყდარი მოციქულთა და საფლავი აშოტ კურატ-პალატისა; სოფელი ქუაყრილი; სოფელი სხალთა; სოფელი გიორგი-წმიდა; და არტანს ზემო-ჰინჰარი და ქვემო-ჰინჰარი; მთა კოროშეთისა და სოფელი ჯუარა; არტანუჯს სოფელი ახალ-დაბა; სოფელი დოლის-ყანა; სოფელი ნიგოზეთი; სოფელი სავანეთი; ტაოს სოფელი კევა, ახალ-უბანი და აგარა; არტანს კომლი კაცი :მ: მათის სახლ-კარითა და მამულითა; კოლას სოფელი და საყდარი ნათლის-მცემლისა თჳსითა მამულითა; არტანუჯის ციხე და მისი შესავალი; მუნვე სოფელი ციხის-ძირი; ახალ-დაბა; ბოცოს-ჯუარი და აგარა; არაგვის კევს სოფელი გერგეტი; მონასტერი წმიდის სამებისა და უდაბნო მისის ეკლესიებითა; წ~ა ნინოს მოცემულითა ჯუარითა ცხოველ ვაზითა და თმანი—თვისითა სოფლებითა; არაგუზე ციხე გერგეტაული;*) სოფელი ხანდაკი; ჟინოანს კომლი კაცი შვიდი დ̃ ოთხი გაღმა; ორ-კევს კომლი კაცი ათი; სოფელი აში; სოფელი ბაგა; სოფელი ნავაზი; სოფელი მისაქციელი; სოფელი კუნელი; სოფელი ბელტის-ციხე; სოფელი საფურცლე; სოფელი თეკენა; სოფელი ციხე; ბდა-

*) ამავე გუჯრის პირში. № :სიბ: (სხვა №№ 59 და 348) ეს ადგილი იკითხება ესრე: „არაგვის თავს კევს სოფელი გერგეტი, მონასტერი წ~სა სამებისა და უდაბნო მისის ეკლესიებითა, ქალწულის მოცემული ნინო ქართველთა მნათის ჯუარი ცხოველი ვაზისა და თმანი, სოფელნი, აგარაკნი და ქუაბნი და დარანნი და სიმაგრენი; არაგუზე ციხე გერგეტაული“.

ეი; სოფელი გრემის-კევი; სოფელი ყურის-უბანი; სოფელი გოგილანი; სოფელი ჩიქუნური; სოფელი მუხანი; სოფელი წყალ-შატროვანი; სოფელი გოროვანი; სოფელი წეროვანი; სოფელი საგუდე; სოფელი ახალ-ციხე; სოფელი კოდმანი, უდაბნო სარკინე, მღვმე და საყდარი, სოფელი სავანეთი; სოფელი ბოტკო; სოფელი ტურათა; სოფელი აგარა; სოფელი ალაიანი; სოფელი ალაიანი; სოფელი კვარხეთი და სოფელი კასპი; რეხის კევს თორმეტი საკომლო; სოფელი კელური და წოლდს სამი კომლი კაცი; სოფელი ნიგოზა; სოფელი უფლის-ციხე; მონასტერი და ციხე შესავლითა; გორს რაც მცხეთის მამულნი და ვაჭარნი არიან; კუალად სოფელი ზერტი თვსითა მამულითა, ნასოფლარი, სათიბი; სოფელი ქვეში; სოფელი ფლავი; სოფელი დისევი; სოფელი ჩხიკეთი; სოფელი სათიხარი და ვანათს ცხრა კომლი კაცი; სოფელი ქუაბნი; სოფელი ქორდი და პატარა მეღვრეკისი; ერედს გილაძენი; ვირშას მონასტერი მთავარ-ანგელოზისა თვსითა შესავლითა; ქრცხინვალს ელიოზიძე ურია მამულითა; გორის-პირს სოფელი არაშენდა და ახალ-დაბას სამი კომლი კაცი; მთავარ-ანგელოზთ-უბანს რუისს მრუღა-შვილი; ულუმბა მამულითა; მონასტერი კაცხი შესავლითა და სოფელი რაკვინა; ულუმბას ძირს სოფელი მოხისი მამულითა; კასპთან აშურიანი სამზღურითა; სოფელი საკირე; ეგრეთვე არაგუს გაღმა მონასტერი ჯუარისა მამულითა; სოფელი ფოსი; სოფელი ჯაჭვ; სოფელი ავჭალა; სოფელი კუტალა და ოროტა; იორზე მონასტერი სიონი და მონასტერნი ქუაბნი მათითა მამულითა; საფსიტეს ციხე-დიდი მისითა მამულითა; სოფელი ანთუკი; სოფელი კეხთა; სოფელი ტაძრები; სოფელი ფადაშენი; სოფელი ყანობი თვსითა მამულითა და სამზღურითა დანიშნულნი; თუალნი; გიორგი-წმიდა; ბერთ-უბანი და პატარძეულნი მათითა მამულითა; სოფელი ახალ-შენი; სოფელი ჯიმითი თვსითა მამულითა; სოფელი ნაპირი; სოფელი შანშიანი; (შანბიანი?) სოფელი კალაური; სოფელი ვანთა; სოფელი აკურა; სოფელი ხოდა-შენი; დავითის საფლავი და დოდოს-რქა მონასტერი და უდაბნო თვსითა შესავლითა; პირ აქათ საგარეჯონი მათითა მამულითა; შალვაურს რვა კომლი კაცი; ფიჩხოანს ხუთი კომლი; შილდას მონასტერი ვარცნისა ღვთის-მშობელი; სოფელი ვეძის-კევი თვსითა სამზღურითა; სოფელი ფაშაანი და გავაზს რაც მცხეთის მამულნი არიან, ზუარი და შვდი კომლი კაცი; ქუეყანა ბარაუნთა შვდი სამამასახლისო, სოფელნი და მონასტერი მთავარ-ანგელოზთა თვსითა შესავლითა; ლაგოდეხი; ღანულხს (იანუხს) კომლი კაცი ოთხმოცი; ბაზარს ოცდა შვიდი კომლი კაცი ვაჭარი სომეხნი და ურიანი; ენისელში სოფელი კუნელანი და წინ-უბანი და სოფელი განდოტი; ერწოს სოფელი ჩეკური; სოფელი ნოდოკრა და მონასტერი; სოფელი ვერნაულა; სოფელი თვალეჯი; სოფელი გოროვნა; სოფელი ნოჯა; ნოჯიკეთი და პიტლოანი და სოფელი წირდალი; ძაგნაკორას ცამეტი კომლი კაცი ღაფირას-შვილის და შერგილას-შვილის მამული; მონასტერი ანეშისა და სოფელი ანეში; სოფელი ჰოპარტი; სოფელი ქვემო-ბიწმენი; სოფელი ზემო-ბიწმენი; სოფელი არჯაკა-

ლი; სოფელი ივტისი და სოფელი აძვი; საგურამოს ოთხი კომლი კაცი მელა-ლაური; ერწოს მონასტერი ბოჭორმა, ციხე და წოზენა,—და რაც ქართლს, კახეთს ანუ სომხეთს და სხუათა ადგილთა ყმანი და მამულნი არიან შეწირულნი და ყოფილან აწ ჩუენ გუჯრითა ამით განვაახლეთო და ვათარხნეთ ყოვლისა სამეფოსა ხარჯისაგან.... დაიწერა ქკს :პ: (მეორე ვარიანტში :პე) დეკემბერსა ერთსა ჴელითა კარისა ჩუენისა წინამძღუარისა იოსებისითა“. მეორე ვარიანტში: «ჴელითა ქვათაჴევის წინამძღურისა ბარათაშვილის ფილიპესითა» და აქვე დამატებული: „კიდევე: არც მაწყუერელმა და არც ალავერდელმა თქუენს უწინარეს საწირავი დადებული ვერ აიღონ“. ნამდვილი გუჯარი ხელ მოწერილი ყოფილა ასრე: „მეფე ალექსანდრე ვამტკიცებ ნებითა ღ̃თისათა. ან ა̃ნ“ და ბეჭედი წარწერით: „მონა ღ̃თისა ალექსანდრე“. ნუსხა გუჯრისა № 349 დამტკიცებია სვიმონ მეფეს († 1599) წ., როსტომს († 1656) და გიორგის. ამ გუჯრის თავი იხ. 1397 წ. ქვეშე.

**1392 წ**—ქკს :პ: მოკლეს მეფე გიორგი მეგრელთა და იმერეთი გიორგიმ დაიპყრა, ბაგრატის ძემ. (ჩემი ისტორ. კრებული).

— ქკს: პ: მეფე გიორგი მოკლეს მეგრელთა. (ჩხეიძის ქრონიკა).

— ქკს: პ: მეფე გიორგი მოკლეს მეგრელთა (კრება ლექსთა).

რადგან ამავე 1392 წელს სჩანს გუჯარი ალექსანდრე მეფისა (იხ. ზემო გ. 193 და ქვემო 1392 წლის ქვეშე), ამის გამო უნდა ვიფიქროთ, რომ გიორგის მოკლვის უმალვე იმავე 1392 წ. გამეფებულა ძმა მისი ალექსანდრე; და ვახუშტის ისტორია იმერეთისა აქ არეული უნდა იყოს.

**1392 წ.**—მცხეთის გუჯრის მე-XVII საუკ. ხუცური ნუსხა, № :ჲ: (507): „... ჩუენ... ამირთ ამირამან სუნღულის ძემან ლომმან და ჩემმა ძმისწულმან ლაჩინამან... ჴელ-ვყავ და შემოვავლე საყდარსა (მცხეთას) სპონდიო და შევსწირე გორს ჩემი ნასყიდი აყუბაშვილისაგან აყუბაური ზუარი... გამიჩინეთ ალაპი... დაიწერა ქ̃კს: პ: ივლისის :ვ: ჴელითა ბასილისშვილის იოსებისითა“...

ეს პირები მოხსენებულია ქვემო 1398 და 1419 წ. ქვეშე. ვგონებ ამ სიგლის ასლი უნდა იყოს ის გუჯარი, რომელსაც ქვემო ვბეჭდავთ 1398 წლის ქვეშე; № 169 და გვ. 202—3.

**1392 წ.**—ამ წლის ახლო ხანებს, ანუ უფრო დაჭეშმარიტებით 1345—1384 წ. უნდა ეკუთნოდეს ჯუმათის მთავარ-ანგელოზის ხატზე წარწერა, გადმოღებული დ. ბაქრაძის მიერ (Гурія и Аджарія, გვ. 263): „... მთავარ-ანგელოზო გაბრიელ, მეოხ და მფარველ ექმენ ამა სოფელსა და მერმესა მას საუკუნესა პატრონსა და ერისთავთ-ერისთავსა დადიანს გიორგის და მეუღლესა მათსა რუსუდანს, ძეთა მათთა: მანდატურთ-უხუცესსა ვამეყს და გურიელსა კახაბერს, რომლისა ბრძანებითა მოიჭედა ესე... ხატი“...

ამ საბუთით და სხვა მოსაზრებითაც დ. ბაქრაძე სამართლიანად ამტკიცებს რომ გურიელნი იყვნენ დადიანთა შთამომავალნი (ibid. გვ. 268—9). ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ აქ მოხსენებული გახაბერ არის ის გახაბერ გურიელი, რომელიც მოხსენებულია ლიხაურის წარწერაში.

ზემო გამოვკრიბა და აქ საჭიროდ ვრაცხთ ჩაურთოთ შემდეგი ცნობები:

**1384 წ.**—ქ~კს :ობ: მოკუდა გიორგი დადიანი და მეფემან ბაგრატ დასვა ძმა მისი ვამეყ დადიანად (ვახუშტ. ქრ.).

**1384 წ.**—ქკს :ობ: მოკვდა გიორგი დადიანი და მეფემან ბაგრატ დასვა ძე მისი ვამეყ დადიანად (ჩემი ისტ. კრებული).

**1384 წ.**—ქკს :ობ: მოკვდა გიორგი დადიანი და დაჯდა დადიანად ძე მისი ვამეყ" (დადიანთ ქრონიკა). რომ ვამეყ, თანახმად ამ ქრონიკისა, ძე არის და არა ძმა გიორგისა (როგორც გვაცნობებს ვახუშტის ქრონიკა), ამას ამოწმებს ზემოხსენებული (გვ. 199—200) ჯუმათის წარწერა.

**1385 წ.**—ქკს :ოგ: ლანგ-თემურ. ტფილიზის. ქალაქი. წარტყვენა. ციხე. აიღო. მეფე. ბაგრატ. და ანნა. დედოფალი. დაატყვევა:." (კრება ლექსთა).

ეს ქ~ნი თითქმის სიტყვა-სიტყვით იპოვება Chronique Géorgién-ში, სადაც დამატებულია მხოლოდ სიტყვა „გამოასხა".

**1384—1396 წ.**—ამ წლებს ეკუთნის ხობის ტაძრის მარმარილოს ფიქალზე ამომთაკრული წარწერა, ძნელ-წასაკითხი. ბროსსეს ხობელ ბერის შეწევნით (რომელიც ახლაც მოღვაწეობს ხობის მონასტერში) აღმოუკითხავს შეცდომებით.

„ქ. სახელითა ღ~თისათა მთავარ-ერისთავმან და მანდატურთ-უხუცესმან დადიანმან ვამეყ მამისა მათისა [პატ]რონისა თავარ-ერისთავთ-ერისთავისა დადიანისა გიორგის შედეგად მიუკდა ჯიქეთს ურწმუნოებისა და ორგულობისათვს, რათამცა მოემტ~ნა (მოემტუენა?); და სრული[ად]ცა [შ]ეურაცხ და უმარ იქმნა მათი (sic) სიმაგრენი გაგარი და ულაღნი, ყოველნივე ძალითა მოირჯუნა. მრავალთა ჯიქეთის პატრონთაგან მიუვალი (ადგილები?) მოარბივნა. რაოდენი მოეწყო (ე. ი. ვინც მიემხრო ვამეყს), მათნი მძევალნი წამოასხნა და სხუანი აოტნა და მაშინ მოიღო სვეტნი და ფიქალნი ესენი მარმარილოსანი და მამა-დედათა ლარნაკი, და მისი და მარიხ გაერათ (?). საუკუნომცა არს კსენება მათი!"

ვამეყ, ძე გიორგისა, მოხსენებულია ზემო (გვ. 199—200). მისი ცოლი იყო მარეხ, ხოლო დედა—რუსუდან (Свѣдѣнія II, გვ. 177—9). როგორც საგულისხმებელია, ამ მარმარილოს ფიქალთა ქვეშ უნდა იყვნენ დამარხულნი ვამეყ და მეუღლე მისი. ბედიის წარწერაში მოხსენებულია „დედოფალთ-დედოფალი მარეხ" (რომელიც

უნდა იყოს გიორგი II-ის დედა და ცოლი მამისი); ძე მათი ერისთავთ-ერისთავი და მანდატურთ უხუცესი დადიანი გიორგი“ (გიორგი II, 1345—1384 წ.).

**1393** წ.—ქკს: პა: დიდმა ბაგრატ მეფე თემურის სპანი მოსწყვიტა და ტფილისი აიღო. (ჩემი ისტ. კრებ.)

**1393** წ.—ამ წელში არის დაწერილი გიორგი მეფის მიერ მიცემული სინოდ. კანტ. გუჯარი № 38 (და მისი ნუსხა № :რკ:) კარგს ქაღალდზე, რომელშიც გამომსჭვირვალებს (თუ სინათლეში გაჭხედავთ) მშვილდ-ისარი. სიგელი დაწერილია მხედრულად, მდარე ხელით, ქკს :პა: მე-24 წელს გიორგის მეფობისას და უცნობის გ̃ზის გიორგის დროს. ამ წელს გიორგი მართლა განაგებდა სამეფოს მეფის სახელობით, რადგან ბაგრატ-დიდი ტყვედ იყო თამერლანთან.—შესანიშნავია, რომ ეს სიგელი აღნიშნავს გიორგის გამეფებას (1393—24) 1369 წელს: შეიძლება ამ წელს იგი გაამეფებინა მამას იმერეთს ანუ გასეთში. ყოველს შემთხვევაში ეს კითხვა საძიებელია, მით უმეტეს, რომ სხვა ამ გვარი საბუთებიც მრავალს კითხვას ჰბადებენ ამ გარემოების შესახებ (იხ. ზემო გვ. 187 და 190—191). აი ტექსტი ამ ფრიად შესანიშნავის სიგლისა:

„ქ. სახელითა ღ̃თისათა... საშინელო მეტეხთა, ხახულისა და ვარძიისა ღ̃თისმშობელო... ჩუენ... განმაერთებელმან ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისამან, ორისავე სამეფოსა მტკიცედ და შეურყეველად მპყრობელმან... მეფეთ-მეფემან გ̃ი (გიორგი). რაოდენი ქება დ̃ მადლობა შევსწირო შენდა მომართ... ჩემდა მომართ ესრეთ წყალობა-აურაცხელისა, ვ̃ა (ვითარმედ?) აჰა-ესერა ბრწყინვენ ოთხნივე კიდარონი მეფობისა ჩუენისანი შეწევნითა და წინამძღუარებითა ძელისა ცხორებისათა; აგარის ნათესავნი და მტერნი და წინააღმდგომნი ჩ̃ნნი სამარადისოდ ლტოლვილ და უკუნქცეულ არიან, ა̃დ მეცა ვიგემე და ვცან მოწყალება ძისა შენისა... და ვითა სამართლად გუმართებდა, ეგრეთ ჯერ გვჩნდა და გულსმოდგინეთ კელვყავით... და ვცანით, რომელ სულკურთხეულთა პაპათა და მამათა ჩუენთა ძუელთაგან სურვილით და წადიერებით შეწირული ქუეყანა მეტეხნი საქმეთა რაჲთამე შემოსრულობისაგან და ჟამთა შლილობა-ქცევისაგან ხან რაოდენმე შესცვლოდა და აღარა ჰქონდა... და აწ ახლად ამა სიგლითა დაგიმტკიცეთ... ქუეყანა მეტეხნი მისითა მიმდგომითა, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქუილითა, ველითა, ვენაკითა, ჴალითა, სათიბითა, შესავლითა და გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა... და ახლად შემოგწირეთ... და გავაჩინეთ აღაპი ივნისსა ათორმეტსა ონოფრობჲსა დღესა... და აწ... ქ̃კზო გიორგი (sic) უნაკლულოსა აღაპსა გარდაიკდიდით... დაიწერა სიგელი ესე ჩ̃ნი ინდიკტიონსა მეფობისა ჩ̃ნისასა :კდ: ქკს :პა: ივლისსა :ე: კელითა კარისა მწიგნობრისა ჩ̃ნისა დემეტრე კეტასძისათაჲ“. ხვეულად: „ჩნ მეფესა გგ̃ისა ჩ̃ნითა ნებაყოფლობითა ჲ გულს̃მოდგინებითა რაც შემოგვწირავს, დაგვმტკიცებია“.

კ̄ზი გ̄იც ამტკიცებს (წყვკა)... „აწ̄ თქუენ წ̄ნო და პატიოსანნო მღდელთ-მოძღუარნო საქართველოსა, სამცხისა ჵ შავშეთ-კლარჯეთისანო, დაკრულეთ, (და მეუდაბნოენო) შეაჩუენეთ კაცი იგი... რ̄ნ იკადროს დაკლება და გამოხუა ამისი"...

**1393** წ- — კახანის ტყავის გუჯარი:

„სახელითა ღ̄თისათა... და შუამდგომლობითა წ̄ა გიორგი ვანის ქუაბთა მთავარმოწამისათა... მე მურვან ღარიბასძე... მოვაკსენე ეკუტერსა სამკვდრე-ბელსა კორცთა ჩემთასა ვანის ქუაბთა, სანაწილესა და საფლავსა ჩემთა მიცვა-ლებულთასაჲ... ჩემითა ალალითა ნასყიდი ერთი მამული ორხოფიას როტა-შაული მისითა მთითა... ერთი ვენაკი ტოლოშს, ახალშენი მაღნარას, იგიცა ნასყიდი... ქკს: პა: მეფობასა გიორგისსა" (სრულად ეს სიგელი იხ.: ჩემი „სა-ბუთები შიო მღვიმის მონასტრისა" გვ. 44—45).

**1394** წ. — „ქკს: პბ: ლანგ-თემურ. სამარყანელმა. ქართლი და სომხითი. წარტყვენა. და დაწვნა. ყოველნი. ეკლესიანი. და ციხენი:. (კრება ლექსთა).

— „ქკს: პბ: თემურ სამარსაყანელმან სომხითი და ქართლი წარტყუენა და დაარბივნა ყოველნი ციხენი" (ჟამნი № 2).

— „ქკს: პბ: დიდი ბაგრატ მეფე და თემურ შეიბნენ, თემურს გაემარჯვა და ტფილისი აიღო, ქართლი წარსტყვევნა და შემუსრნა ყოველნი ეკლესია-ნი, ციხენი და შენებულებანი" (ჩემი ისტ. კრებული).

**1395** წ. — ქკს: პგ: დიდი ბაგრატ მეფე გარდახდა. ძე მისი გიორგი გა-მეფდა. (ჩემი ისტ. კრებული და კასუშტ. ქრ.).

**1396** წ. — ქკს: პდ: დიდი ბაგრატ მეფე მოკვდა (ჩხეიძის ქრონ.).

ქკს: პდ: (1396) „გიორგი მეფემან განილაშქრა ალინჯას ყოვლითა სპითა ქართველითა, იმერელითა, მესხითა და შირვანელითა, მივიდა ალინჯას და და-კოცა ლაშქარი ჵ გამოჲყვანა ძე სულტანისა, შეყენებული ციხესა ალიჯანი-სასა: ქ̄ეს აქეთ: ჩტყვ, თემურყაენისა და მოვიდა გამარჯვებული. მაშინ ერის-თავმან ვირშელმან მოჲყვანა მეუღლე პატიოსანი ნათესავთაგან დიდ ტომთა და სამეუფოთა, რომელსა ერქუა თამარ... მაშინ მოვიდა თემურ სამარყნელი ყოვ-ლითა სპითა ჩაღანელ-ქობანელ—სიყალბელ (რუანშედ?)—ნაროელ—ინდოსტა-ნელითა, ყოვლითა სპარსეთისა და აღმოსავლეთის ლაშქრითა" („ძეგლი ერის-თავთა" იხ. ზემო გვ. 15).

**1396** წ. — ქკს: პდ: თემურ და გიორგი შეიბნენ; თემურს გაემარჯვა; — მოკვდა დადიანი ვამიყ და დაჯდა ძე მისი მამია. — ამავე წელს გიორგი მეფის ძმა კონსტანტინე იმერეთს გამეფდა (ჩ. ისტ. კრებული და კასუშტ. ქრონიკა)

**1396** წ. — „ქკს: პდ: მოკუდა ვამიყ, დაჯდა ძე მისი მამია" (დადიანთ ქრონიკ.).

„ქკს პდ: (1396 წ.) ამა - - - - - გი - - დ - - მ - - ლისა". (ეკ. მუზ. სელ-ნაწ. № 85.)

**1397** წ. — სინოდ. კანტორაში იპოვება რამდენიმე ნუსხა მცხეთის მამულებისა, სხვა-და-სხვა დროს გადაწერილი. უფრო ძველია ამათში №№ 21 (აგრეთვე №№ 59, 348) და 601. უკანასკნელი უფრო სრულია.

„ქ... ჩუენ... მეფეთ მეფემან ალექსანდრე... და დედოფალთა დედოფალმან ნესტან-დარეჯან და ძემან ჩემმან გიორგი ესე... წიგნი... მოგჳსენებია და შემოგჳწირავს თქუენ სვეტი-ცხოველს... მონასტერი და საყდარი მეტეხთა ღ҃თის მშობლისა თავისის მამულითა... (და სხვა, როგორც ზემო დაბეჭდილია გვ. 198 — 9; აქა-იქ განსხვავებით და დამატებით, მაგ.: ორბეთის ძირი, ახალქალაქი, ეძანი, ანტრაფი, ბეშქენაშენი, ზრეთის კევი... ალასტანი... არტანუჯს ციხე... ციხის ძირი, ახალდაბა, ბოცოს ჯუარი და აგარა, არაგვის თავს კევს სოფელი გერგეტო, მონასტერი წ҃ა სამებისა და უდაბნო მისის ეკლესიებითა, ქალწულისა მოცემული ნინო ქართველთა მნათისა ჯუარი ვაზისა ꝺ თმანი. სოფელნი და აგარაკნი და ქუაბნი ꝺ დარანნი ꝺ სიმაგრენი, არაგუზე ციხე გერგეტაული... და სხ.)... თარხნად და თავისუფლად... დაიწერა ინდიკტიონსა მეფობისა᾽ ჩუენისასა: იე: ქ҃ კს: პე: კელითა კლიმი კაკლაჩას ძისათა"...

ალექსანდრე 1-ის მწერალი მართლა იყო კლიმი კაკლაჩაძე, როგორც მრავალი სიგლებიდამ სჩანს და მისი დედა იყო ნათია. მაგრამ 1397 წელს ალექსანდრე გამეფებული არ იყო და ამის გამო საძიებელად რჩება, თუ ვინ იყო ეს უცნობი ალექსანდრე მეფე, რომლის სახელით ჩვენ დავბეჭდეთ რამდენიმე გუჯარი (იხ. ზემო გვ. 191 — 2) და ქვემოც შეგვხვდება 1397 წლის ქვეშე. თუ ვიგულისხმეთ კახეთის მეფე ალექსანდრე I, მაშინ გამოდის, რომ მე-15 წელი მისის მეფობისა მოდიოდა 1507 წ.. ქკს: რყე და არა ქკს: პე:

**1398** წ. — ამავე გუჯრის პირი, სხვა ვარიანტი, იპოვება სინ. კანტ. სიგლებში №: სბ:, რომელიც დაბოლოვდება ესრე: „აწ ჩუენ გუჯრითა ამით განვაახლეთ (და) გათარხნეთ... ქკს: პვ; თ҃ა დეკემბერსა: ა:"...

**1398** წ. — მცხეთის გუჯარი № 169, სქელ ქაღალდზე დაწერილი მხედრულად:

„... მე ამირთ ამირამან სუნღულისძემან ლომმან და ჩემმა ძმისწულმა ლაჩიამა... (შემოგსწირე მცხეთას) გორს ჩუენი მკუიდრი ნასყიდი აქუბაშვილისაგან ზუარი მისითა სამართლიანითა მზღურითა... საწნეხელითა... და შემოვავლე საყდარსა თქუენსა სპონდიო და ჰქონდეს (მცხეთას) ესე ჩემ მიერ შეწირული... და აჰა კ҃ზო გ҃გი (გიორგი)... ქრისტეშობის დღეს... უნაკლულო-

სა ალაპსა გარდაიკდიდით (და შემდგომად სხვა კათალიკოზზე ნუ გარდამიხდიდენო)... დაიწერა... ქკს :პვ: ივლისსა :ვ: კელითა სეფის მწიგნობრისა ბასილაშვილის იოსებისითა“ (ესვე სიგელი იხ. მცხეთის ნუსხაში № 507 :ჲ:).

მერე წარჩინებული ხკეული, თითქმის სრულიად გადასული და ძნელ ამოსაც-ნობი, რომლითაც სუნგულიძეები ამტკიცებენ გუჯარს.

შემდეგ მისდევს მხედრული წარწერები:

1) „მე ქვენიფნეველი ერისთავი ვირშელ - - ამისი მოწამე ვარ“ (ვირშელ მართლა ცხოვრობდა ამ დროს: იხ. ზემო, გვ. 15; 19 და 27).

2) „მე ერისთავი შაბურისძე მიქაი მოწამე ვარ“.

3) „- - - აქიმეს ძე ქავთარ მოწამე - -“. 4) „მე ირაკლი“... 5)... „მე ნასიძე გიორგი“... 6) „მე დოლლისძე ანინიკი“ (მოწამე ვარ).

ჩვენმა ისტორიამ არ იცის, ვინ არის მიქაი შაბურიძე ერისთავი, მაგრამ ჩვენ-გან ჰოვნილს ტყავზე 1439 წელს დაწერილს გერგეტის სამების «სულთა მატიანე-ში» მოხსენებულნი არიან შაბურიძე ერისთავები, რომელნიც ყოფილან არაგვის სა-ერისთვოს გამგენი. ამ მატიანეში სხვათა შორის სწერია:

1) „სული შანშესი და ძმისა მათისა ვახტანგისი კურთხეულ იყავნ უკუ-ნისამდე.

2) „სული ყოველთა ერისთავთა შაბურისძეთა კხ̃ლ იყავ უ̃კე“.

3) „სული ერისთავთ-ერისთავისა ჰუჰაჲსა კ̃ხლ იყავნ უკ̃ე“.

4) „სული ერისთავთა-ერისთავისა ვარამისი კ̃ხლ იყან უკ̃ე.—სული მათი-სა მეუღლისა დაბდაჲსა კ̃ხლ იყავნ უკე“.

5) „სული ერისთავთა-ერისთავისა ვახტანგისი კ̃ხლ იყავნ უ̃კე“.

6) „სული ერისთავთ-ერისთავისა მიქაჲსი კ̃ხლ იყავნ უ̃კე.—სული დისა მათისა ელენესი კ̃ხლ იყავნ უკ̃ე«.

ეს სულ ყველა ერთის ხელით და მელნით არის დაწერილი. ამას ზედვე მოსდევს ხუცურადვე დაწერილი, ვგონებ ცოტა უფრო ადრინდელი ნაწერი: «სული ერისთავთ ერისთავისა ნუგზარისი კხ̃ლი იყავნ უ̃კე.—სული მათისა მეუღლისა დედის-იმედისი კხ̃ლ იყავნ უ̃კე.— სული ძეთა მათთა ლომისი და შაბურისი (შეიძლება ამ შაბურიდამ იწოდებოდნენ ზემო-ჩამოთვლილნი ერისთავნი შაბურისძეებად) კხ̃ლ იყავნ უ̃კე». იქვე, მე-22 გვ. განმეორებულია უკანასკნელი წარწერა მთლად და მომატებულია სხვა ხელით: «სული ერისთავთ ერისთავისა [ვა]მიყისი.... (მასისა) შვილისა [ო]მარისი შე̃ნ ღ̃ნ. ა̃ნ». (იხ. 1465 წ. ქვეშე).

ამ ნაირად ჩვენი „სულთა მატიანე“ არათუ განგვიმარტავს, ვინ არის ეე̃ვი მიქაი შაბურიძე, არამედ მთელს შტოსაც გვაძლევს XIV—XV საუკუ-ნის ისტორიაში უცნობთ ერისთავთა შაბურის ძეთა.

მცხეთის ნუსხაში № :ტმვ: აღნიშნულია ალაპი: „იანვარს :ა: დიმიტრო-ბას ერთს, ი̃ეს თავისკვეთას, ერთი ყ̃ლ წი̃ს სარტყლის დადებას, ერთი კო-რციელ კვრას ოკერკიდას რომ ზაგაა იმით უნდა იქნას სუნდულიძის ლომის ალაპი“.

**1399 წ.** მცხეთის გუჯარი № 56 (:ივ:), ქაღალდზე მხედრულად დაწერილი: „ქ... ჩუენ მეფეთ-მეფემან გ~გი (გიორგი) მოგაჴსენეთ .. (მცხეთის საყდარს) თქუენი მკჳდრი მამული ციხტლა (?) - - - [ყო]ველი თქუენი ნაქონები და მუხრანის პირთა დიდსა გორასა ქუემოთ ისიცა (რასაცა?) შჳა(შუა?) ბარი ჩაი-ტანს... ძუელთაგან (ეს სოფლები) მცხეთის მამული ყოფილიყო და აწ ჩუენცა დაგიმტკიცეთ (მცხეთას და მას შინა მჯდომს კ~ზს ელიოზს)... კ~ზო ელიოზ... გვილოცვიდეთ... ესე აჴსნითი ქარტი ნიშნად მოგჳჴსენებია. ქკს :პზ: ივლის-სა :თ:... დაიწერა ჴელითა მწიგნობრისა ჩუენისა იოსებისითა“. მერე ხვეულად: „მეფე გიორგი“.

რადგან კ~ზი გიორგი მოხსენებულია 1393 წ. და უკანასკნელად 1398 წ. (იხ. გვ. 198—9), ხოლო ელიოზ პირველად 1399 წელს (და შემდეგ 1419 წლამ-დე), ამისგამო ქ-ცხბის (გვ. 462) ცნობა, ვითომ ელიოზის შემდეგ გაკათალიკო-ზებულიყოს გიორგი, ტყუილია. ეს წარმოდგა იმისგამო, რომ, როგორც ზემო-თაც გვითქვამს, ცნობები კათალიკოსებზე მერმინდელს დროებში არის შეტანილი ქ-ცხბაში.

**1400 წ.**—ჩემს ისტორიულს კრებულში იპოვება ლარგვისის ტყავის პარაკ-ლიტონიდამ უცნობ პირისაგან გადმოწერილი წარწერა სათაურით: „ლარგვისის პა-რაკლიტონზე სწერია მხედრულის ასოებით“. ეს პარაკლიტონი ბროსსესაც უნახავს, და მისგან წაკითხულს შევუსწორებთ ამ წაკითხულს და რაც ბროსსეს წაკითხულში მეტ-ნაკლებობა აღმოჩნდება, იმას ჩვენ ფრჩხილებში ვსხამთ (Rap. IX, 77): „მე-ფობასა შ~ა მეფეთ მეფისა გიორგი ბაგრატის ძისასა და ერისთაობასა შინა ერისთავისა ქვენიფნეველისა ვირშელისა, ოდეს იგი დიდთა ომთაგინ გამარ-ჯვებული ალინჯით მოვიდა (მოვიდეს) მოქცევასა: იდ: ქ~კს: პჟ: მაისს :ზ: მო-ვიდა თემურ ბე (თემურ-ბეგ) სულტანი სამარყანელი და მოიტანნა ყაინნი (ყაენნი) სინჩისა (სინიჩარასა), ჩინეთისაჲ, ქომაგეთისა, (ქომანეთისაჲ), ხუარაზმისაჲ, (ქა-მა ნისაჲ), ნაროეტისა, (ნაჭროეთისაჲ) საყალბისაჲ (სიყალბისაჲ), ჩაღანისაჲ, სი-ნდეთისაჲ, ალაბისაჲ (ალაბისაჲ), ხატაეთისაჲ (ხატაკეთისაჲ), ერაყისაჲ, თურ-ქეთისაჲ (თურქისტანისაჲ), და სიმრავლისა მათისაჲ არა იყო რიცხვი და მოვ-ლეს ყოველი ქუეყანაჲ და წარტყუენეს და დააქცივნეს (დააქცინეს) საყდარნი, მონასტერნი და ეკლესიანი და ალიხუნეს ყოველნი ცხენი და მოსრეს (მოას-ხეს), ტყუე ქმნეს (ყვეს) და მოაოჴრეს ყოველი ქუეყანაჲ დასავლეთამდის. მას ჟამსა შინა დამიცვა ღმერთმან ჴელთაგან მათთა და შემდგომ მცირედისა ჟამისაჲ დავრჩი ობოლი ხუთთა ძმათაგან და ვსტიროდი თავსა ჩემსა მე, გრი-გოლ შინდაძე (შინდაძესა) ავგაროზიშვილი. დაწვისაგან მოოჴრებული აღვაშე-ნე ხუთი სახლი. მისსა (ამისსა) შემდგომად იხილა ღმერთმან სიმრავლე ცოდ-ვათა ჩემთა და მიმიხუნა ექუსნი შვილნი, სამნი ვაჟნი და სამნი ქალნი დედით მათითურთ. მაშინ ულირსმან შევიმოსე სახე მონაზონებისაჲ და საფლავსა ზედა ჩემსა აღვაშენე კარიბჭე და დავხატე ჴელითა ჩემითა, დავკიდე კანდელი ვეც-

ხლისაჲ და ორი საცეცხლური, შესამოსელი და სიწმინდისა სამსახური ლარი-საჲ, შიგნით ეკლესიაჲ მოვხატე და შევამკევ ყოველი მოშლილი ხატები და განვაახლე და შევმატე ხატი მოჭედილი, სავსე ნაწილითა, და დავსხენ წიგნ-ნი: პარაკლიტონი, სამოციქულოჲ, გულაჲ, ავგაროზი, და ავაგე მარანი და ჩავდგი ორი (ოცი) ქვევრი; ავაგე ზედა სამყოფი სახლი; ბეღელი, საწოლი, დე-რეფანი (დეიფანი), სამრეკლოჲ და ბოსელი და დავბურე ყოველი სიპითა.— წმიდანო მამანო, მეფეთა და პატრონთა სამსახურისაგან ეს-ოდენ შევიძელ და შენდობით მომიკსენეთ: სულსა შინდაძისა ავგაროზისასა შეუნდევენ ღმერთმან. სულსა შვილისა მათისა ბერისა გრიგოლისასა შ˜ნ ღ˜ნ [მოძღვარსა თეოდო-რეს შ˜ნ ღ˜ნ]" (ალინჯის ბრძოლაზე ქართველ და თამერლანისა იხ. №№ H. G. p. 670).

**1400** წ. — „ამა :პჱ: ქ˜კს: იყო ინდიკტიონი მერვე, მზის მოქცევა მეო-ცე, მთვარისა—მეთერთმეტე" (ჩემი ისტ. კრებული).

**1401** წ. მცხეთის XVII საუკ. ხუცურს ნუსხაში № :სპზ: (იხ. კიდევ № :სპტ:) ჩაწერილია: „- - - - მოკითხულ ვქენით და არას ჟამ შიგა სდებოდა ბზე და ქერი მცხეთის სახლსა (ე. ი. საკკლესიო მამულებს) და არცა ჩუენ გთხოვეთ. რა რიგაცა მამის ჩუენის საფლავთა არა ეკადრებოდა ახლა საქმის დადება, აწ არა-ოდეს ეთხუებოდეს არა ჩუენგან და არა შემდგომად ჩუენსა სხუათა მეფეთა-გან... დაიწერა... ქკს :პთ: ნოემბრის :კჱ: კელითა მწიგნობრისა (ჩუენისა) მახარობელისათა".

ცხადია, რომ ეს სიგელი მიცემულია გიორგი მეფის მიერ, და საგულისხმე-ბელია, რომ მცხეთა ყოფილა მამა-მისის (ე. ი. ბაგრატ-დიდის) საფლავი.

**1401—1413** წ.—პალეოგრაფიულის ნიშნებით და შინაარსის მიხედვით ამ დროებში უნდა იყოს დაწერილი მცხეთის გუჯარა, ქაღალდზე მხედრულად ნაწერი, № 476 (იხ. ნუსხა № :სნჲ:), რომელიც მეტად დაზიანებულია:

„- - - პატრონმან კზ˜მან... ამილახუარმან გვიჩივლა (მცხეთას და კ˜ზს) - - - ვითა პატრონისა ამირინდო ამილახურისა ჟამსა შიგან პატრონმან მეფემან ბაგრატ შუა დამხუდომად ღულაბერიძე და ინასარიძე გუიბოძნა... ჩუენ ჯუა-რი პატიოსანი ჩამოუსუენეთ... და დავიფიცეთო და პატრონმა ამილახუარმან და გუარამ... არა დაფიცულაო და სიგელიცა მოიტანეს... ასე გავაჩინეთ... შე-ჰფიცონ პატრონსა ამილახუარსა და პატრონსა გუარამს... და მცხეთიანთა, ასე რომე ზევდგინისძეთა წიწამური იყიდეს მეფეთაგან - - - . . მკ˜ზი (მთავარ-ებისკოპოსი) ალავერდელი". - - - (ცხადია, რომ ამირინდო ცხოვრებულა ბაგ-რატ-დიდის დროს).

მცხეთის ალაპთა ნუსხაში №: ტმჳ: მოხსენებულია: „ამილახორის ამირინდო-სი ალაპი იანვარს :კზ: ფლავთან რომ ქუეშია, ის შეუწირავს".

სამების ტყავის „სულთა მატიანეში“ მე-XV საუკ. ხელით ჩაწერილნი არიან: 1) სულსა ამილახორისა ამარინდოსი შ~ს ღ~ნ. სულსა მათისა ძისა ზევდგინისა შ~ს ღ~ნ.—სულსა მათისა ძმისა აღნიაჲსსა შ~ნ ღ~ნ“· მათსა (ამირინდოს?) მეუღლესა დესპინა ხათუნს შ~ს ღ~ნ“ 2) „სულსა ამილახორისშვილისა სიაოშს შ~ნ ღ~ნ (ეს სიაოში უნდა იყოს ის, რომელმაც განაახლა სამთავისი: იხ. წარწერა Rap· IV, 123); 3) „სულსა ამილახორისა თაყასსა შ~ნ ღ~ნ. სულსა მათისა ძმისა დემეტრესსა შ~ს ღ~ნ“.

რომ ამალახორთა გვარი უნდა ჩამომდინარეობდეს სუნღულიძეთაგან ამაზე იხ. 1419 წლის ქვეშე.

**1401 – 1404** წ.—ამავე დროებს უნდა ეკუთნოდეს მცხეთის გუჯარი (ნუსხა მე-XVII საუკ. :ტბ:). გუჯარს აძლევს ქ~ვზი ელიოზ, რომელიც ჰმართვიდა ეკლესიას 1399—1419 წ., მაგრამ რადგან გიორგი მეფის აღაპი შემდეგ ტექსტის დაწერისა არის მიწერილი, როგორც ბოლო წარწერილობა გვამცნებს, ამისგამო ეს სიგელი უნდა იყოს დაწერილი გიორგი მეფის სიცოცხლეში. „- - - - . . . ჩუჱნ ქ~ეს ღ~ისა მიერ ქართლისა კ~ზმან გობირახისძემან ელიოზ ჩემის ძმის ამირახორის გრიგოლისათვს... (შემიწირავს მცხეთისათჳს) გორავანს ქათათაური მამული ნასყიდი შიმშილობისაგან ჩემის ძმისაგან;—აგრევე ნასყიდი ვენაკი ახატანს შიმშილობისაგან პირველად პინტიშვილისაგან გასყიდული იყო ოჯრამელას (უჯარმელას?) ძესა ზედა, მერმე ოჯრამელას ძემან დათუა შალვაშვილს მიჰყიდა; მერმე ჩემმა ძმამა ამირახორმა იყიდა შალვასშვილისაგან... აწ შემოგწირეთ თქუჱნ... (მცხეთას), და შემდგომად ჩემსა სხუანო კ~ზნო ესე მკვდრი ნასყიდი მამული და ვენაკი გაუჩინე ჩემსა ძმასა და ჩემთა ძმისწულთა... კარგალებული აღაპი ბზობასა, ლაზარობასა... მე არსენს დამიწერია“... სიგელს ამტკიცებენ: „ჩ~ნ ქ~ეს მიერ ქკ~ზი ელიოზ ჩ~ნითა ნდომითა მოგვკსენებია“.

„ქ. ამა პატრონისა ბრძანებისა ჯ~ის (ჯუარის) მტკრთველი თ~ე მოწამე ვარ“, ამავე ფრასებით ამოწმებენ: „... მეცა მეღვნეთ-ხუცესი მიქაჲ მოწამე ვარ“ (ეს უნდა იყოს შაბურიძე მიქაჲ. იხ. ზემო გვ. 203). „... მეცა მოურავი ქერობინ... მეცა მიწაჲ საგამგეის მოურავი“... ბოლოს: “ჩუჱნისა ტანისათვს ბზობა-ლაზარობაჲ გავაჩინეთ. უკანის (ე. ი. შემდეგ ამ სიგლის დაწერისა) მეფის გიორგისთვს გავაჩინეთ და ჩუჱნისა ტანისათვს გარდაიკდებოდეს“...

**1401** წ.—კ~სა :პთ: მეფე კონსტანტინე მოკლეს ჩალაღანს (ჩემი ისტ. კრებული).

**1402** წ.—ქ~ნს :ჟ: მეფე კონსტანტინე ჩალიანში მოკლეს (კრება ლექსთა).
— ქკს :ჟ: მეფე კონსტანტინე ჩალაღანს მოკლეს (ჩსეიძის ქრონ.).
— ქკს :ჟ: მეფე კონსტანტინე ჩალაღანს მოკლეს (Chron· Gèorg·).
ამ-ნაირად ოთხი ქრონიკები კონსტანტინეს სიკვდილს დასდებენ 1401 დ~ 1402 წ.

**1401 – 1407 წ.**—ამავე წლებში უნდა იყოს დაწერილი ქვემო დაბეჭდილი ორი მცხეთის სიგელი (მხედრულად, ქაღალდზე) №№ 121 და :სმ: , რომელშიც მოხსენებულნი არიან კ˜ზი ელიოზ (1399—1419 წ.) და თავადიძენი: ასათა და ხელი.

№ 121: „- - - - - - . . [მცხეთას] და ქკ˜ზს ელიოზს ესე უცრუველი და უზაკველი... წერილი დაგიწერე... მე თაველისძემან ასათა და ჩემმა მეუღლე-მან სოსანამან და ჩუენთა შვილთა მოლარეთუხუცესმან ხელმან (sic) და მეს-ტუმრემან გოგანიამან, მოგაკსენე გრანსა გლეხნი ჩალჩერაშვილი ძ̃ე კოუნნო-რი მისითა მამულითა... და თქუენ გამიჩინეთ ალაპი: მიქმასა დღესა ასათისა გარდაიკდებოდეს, მეორესა დღეს სოსანასთუის... კარგალებული ალაპი უნაკ-ლოულო“... მერე მოწერილია ცუდის ხელით: „ასათსა და სოსანასა მოგუიკსენე-ბია ჩუენითა ნებითა“. და კარგის ხელით: „ქ. მე მოლარეთუხუცესსა ხხსა (ხელსა?) ჩემითა ნდომითა შემომიწირავს“.

№ :სმ: ნუსხა (№ 507); თავი აკლია:

- - - . . . წ˜ა მეუფესა ქ˜კზსა ელიოზს... ესე. . წერილი... მოგაკსენე მე თავხელისძემან ასათ და ჩემმან მეუღლემან სოსანამან და ჩ˜ნთა შვლთა მო-ლარეთუხუცესმან ხელმან (sic) და მესტუმრემან გოგნიამან, მოგაკსენე გრანს გლეხნი ჩალჩეს შვლი და კუნნორა მისითა მამულით... თქ˜ნ გამიჩინეთ ალა-პი... მე ცოცოსხაძეს არსენს დამიწერია“ (მერე ხელისმოწერა).

---

## 1401 – 1415 წ.—ამირეჯიბთა გვაროვნობითი სიგელი.

მცხეთის XVII საუკ. ხუცურად გადაწერილს ნუსხაში №: ტჲ: (507) შეტა-ნილია დიდად საყურადღებო და ჩვენის ისტორიისთჳს დიად გამოსაყენებელი სი-გელი ქუცნა ამირეჯიბისა, რომელშიც მოკლედ აღწერილია ამირეჯიბთა გვაროვნო-ბის სხვა-და-სხვა დროინდელი მოღვაწეობა საზოგადოდ სამეფოსთჳს და კერძოდ ულუმბას ტაძრისთჳს. ქუცნა ამირეჯიბს აღუშენებია „დემურისაგან“ (ე. ი. ლანგ-თემურისაგან) დარღვეული ულუმბა და იგი თანამედროვეა თემურისა. გარდა ამისა ქ-ცხბა (გვ. 472) გვაცნობებს, რომ ქუცნას ქალი ნათია იყო ცოლი გიორგი მე-ფისა და დედა ალექსანდრე-დიდისა (I-ისა). ცხადია, რომ ის ცხოვრებულა გიორ-გი-მეფის დროს, როდესაც იგი მოხუცებაში იქნებოდა. ამასთან ეს სიგელი ჰმო-წმობს, რომ ნათიას ბევრ ხანს შვილი არ ჰყოლია და ულუმბის ხატის სასწაულ-მოქმედებით მას მისცემია შვილი ალექსანდრე. ხოლო რადგან ალექსანდრე 1389 წელს დაიბადა, როგორც ოქმებიდგან მტკიცდება (იხ. ქვემო 1413 და 1440 წ.), ამისგამო ძნელი მისახვედრი არ არის, რომ სიგელი უნდა იყოს დაწერილი 1389 წლის შემდეგ, მაგრამ არა მეტად დაშორებულ დროს. ისიც ნამდვილად სჩანს, რომ ქუცნა მკვდარი ყოფილა 1431 წ. (იხ. 1431 წ. ქვეშე). ქუცნა ცოლითურთ (რუსა, ბებია ალექსანდრე მეფისა) დახატულია აწ დარღვეულს ულუმბიის ტაძარში (Rap.)·

რადგან სიგელში მოხსენებულია სხვა-და-სხვა დროის შეწირულობანი და ამ·

ბაჳნი, ამისგამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ სიგლის შემდგენელს ხელში ჰქონია სხვა დაწერილი ცნობები, რომელნაც ერთად მოუქცევია. მართლაც სიგლის ბოლოში ხმარებულია ფრასა: „მოძღუარი, რომელსაც დღეს ამ სჳნაქარსა შინა ეწეროს, ალაპსა გარდაიკდიდეს“... სჩანს, რომ ეს ცნობები (უფრო კრებად) ულუმბიის სჳინაქსრის ალაპებში ყოფილა სხვა-და-სხვა დროს შეტანილი; და ჩვენ ვფიქრობთ, რომ თვით ნამდვილი ასლი ამ სიგლისა იმ სჳინაქსარშივე იქნებოდა პირველად ჩაწერილი, საიდამაც ის შემდეგ გადმოუწერიათ.

ახალ ცნობებში, რომელნიც მოხსენებულნი არიან ამ სიგელში, საყურადღებოა ძ ჟუცხო რუსუდან-მეფის დროის (1223—1245 წ.) სულთანზე გამარჯვება, ალექსანდრე (იმერთა) მეფისგან ალის დახუთვა და ამირეჯიბთა სასტიკად დასჯა, და თჳთ სიგლის მიმცემლის ქუცნასი სამჯერ გაგზავნა ელჩად კოსტანტინეპოლეს. თუ ეს ამბები ქ-ცხაში არ არიან აღნიშნულნი, ეს მხოლოდ იმის მომასწავებელია, რომ მე XIII—XV საუკუნეთა ისტორია, განსაკუთრებით იმერეთისა, მეტად მოკლედ არის შეტანილი ქ-ცხაში, ანუ ხშირად, ცალის სიტყვითაც არ არის აღნიშნული, როგორც ამას ასაბუთებს ჩვენგან ზემო მოყვანილი ცნობებიც.

აქ საჭიროდ ვსჯდავთ აღვნიშნოთ, რომ ბროსსეს, რომელსაც მოხსენებული აქვს ეს გუჯარი (Rap. VI, 45—46; H. de G. p. 678), ჰგონებია, რომ გიორგის (VII) ცოლი არის ნესტან-დარეჯან და არა ნათია, ანუ უკანასკნელი სახელი ვითომ საალერსო სახელი იყოს იმავე ნესტან-დარეჯანისა. დასარღვევად ბროსსეს აზრისა (გარდა სიგელ-გუჯართა, რომელნიც ქვემო იბეჭდება: იხ. 1431 წ. ქვეშე) საკმაო არის მოვიყვანოთ აქ სამების ტყავის „სულთა-მატიანეში“ მე-XV საუკუნის ხელით ჩაწერილი ალაპი (გვ. 16): „სულსა მის ყოვლისა აღმოსავლეთისა ვიდრე დასავლეთამდის კელმწიფედ ფლობით მპყრობელსა მეფეთა შორის წარჩინებულსა ალექსანდრეს შ~ს ღ~ნ. სულსა დედისა მათისა ნ ა თ ი ა - ყ ო ფ ი ლ ი ს ა ნინოს შ~ს ღ~ნ. სულსა დედოფალთ-დედოფალსა თამარს (ალექსანდრე I-ის მეუღლეს) შ~ს ღ~ნ. ძენი მათნი მშვიდობით დაიცვას ღ~ნ“.

I) „--- თქუჱნ ყ~დ წ~სა ულუმბისა ღვთისმშობელსა მე, თქ~ნთა ცვა-ფარვათა სასოებით მვედრებელმან, ღ~თისა და მეფეთაგან დიდად შეწყალებულმან ამირეჯიბმან ქუცნამან, კელვყავ შენებად უდაბნოსა ამის თქუჱნისა მას ჟამსა, ოდეს ულმრთოსა დემურს სრულიად აღეოკრა და უმკვდრო ექმნა საქართუჱლო და წარეტყუჱნნეს ყოველნი მონასტერნი და უმეტესად ყოველთასა უდაბნო ესე თქუჱნი, რომელ საძირკუჱლიცა არა დაშთომილ იყო. ამისთჳსცა მინდობილმან შეწევნათა. შენთამან, დალაცა თუ ულირს ვიყავ საქმედ, ვიგულს-მოდგინე შემართებად ახლად საძირკულის-საფუძულის შთაგდებასა და შეკრებად განბნეულისა და უკმარ ქმნილისა, ვინადგან მასმიოდა ძისა თქ~ნისა და მეფისა და ღ~თისა ბრძანებათაგან, ვითარმედ გლახაკმან ამან უფროს ამათ ყოველთასა დადვა ფასის საცავსა ამას ზედა (რომელმან ღარიბობისაგან წჳლილი დასდვა შესაწირავსა)... ამისთჳსცა გევედრები, რათა მეოხებითა შენითა (ულუმბის ღვთისმშობლისათა) წარემართოს საქმე ესე ჩემ-მიერ კელყო-

ფით [1]) და საუკუნოსა მას მექმნას შემწე დღესა ჰირისა ჩემისასა და სოფელ-სა ამას წარუმართოს პირმშოსა ამას ძესა ჩემსა რ῀ამინს და ძმათა მისთა, და კუალად გევედრები, კურთხეულო ყ῀დ წ῀ო, რათა კურთხევა და წყალობა შენი იყოს ნათესავით ნათესავადმდე ჩუენზედა ამინ.

II) და განვაჩინეთ აღაპნი ცხრა დღე თვთ ჩემთვს, ექვსი დღე ძისა ჩემი-სა რამინისთვს, ოთხი დღე მეუღლისა ჩემისა რუსასთვს [2]), ორი დღე რძლი-სა ჩ῀ნისა ანნასთვს, ორი დღე მამისა ჩემისა ცუარისათვს, ერთი დღე ბიძისა ჩემისა რამინისათვს, ორი დღე პაპის ჩემის ქურციკისათვს, სამი დღე მეფის ალექსანდრესათვს [4]) ორი დღე მეფის კოსტანტინესთვს [5]), ერთი დღე დედო-ფლის ნათიასთვს [6]), ორი დღე გიორგი-მეფისა [7]), ერთი დღე რუსუდან-მე-ფისა [8]), ერთი დღე ქურციკის მეუღლისა. ესე მტკიცე ჩ῀ნ ნებითა და შეწევ-ნითა შენითა აწ ვინცა და რამანცა ადამის ნათესავმან ეს ჩ῀ნი შეწირული და გარიგებული.. მოგვშალოს მათდამცა ნუქბ῀ად (sic) განიკითხვს ცოდვათა ჩ῀ნთათვს..... არა შეგვწირავს არა ნაწყალობელი მეფეთაგან, არა ნაძალადევი ამხანაგთაგან და მეზობელთაგან, არა ნაპარევი ქუეყნისაგან. რაჲცა შევსწირე ნასისხლი და ნაჯილდოვები, ნამზითვ, ნასყიდი და საუპატიოდ აღებული.

III) როდეს ფალავანდიშვილის საქმეზედა მეფეთ მეფემა ალექსანდრემა შეხუთა ალი, ორნი ძმანი პაპის ჩემისა დაიჭირეს და ტყავები დაჰკადეს და ბზით დატენეს ალინჯას. აიღეს (ალი) მისად სანუქფოდ (sic). კიდევ შეგვ-წყალნა ჩუენ და ჩუენგან აშენებული ალი ისრევე გვბოძა [9]). შევსწირეთ

---

[1]) აქიდამ სჩანს, რომ სიგლის დაწერის დროს ულუმბის განასლება არ ყო-ფილა გათავებული. №№-ბი: I, II, და სხ. ჩვენ დავსვით.

[2]) ეს რუსა, განმახლებელი მცხეთისა, ბებია ალექსანდრე მეფისა, იხ. ქ-ცხ. I, გვ. 473 და ქჳემო 1413 წ.

[3]) ანნა უნდა იყოს ცოლი რამინისი.

[4]) ეს ალექსანდრე უნდა იყოს იმერთა მეფე (1372—1392 წ.), რომელმან და-უბრუნა ამირეჯიბთა წართმეული ალი (იხ. № III) და არა ალექსანდრე I, რომლის დროს ქუცნა ცოცხალი არ იქნებოდა. მისი ქალი, ბებია ალექსანდრე I-ისა, მკვდა-რი იყო 1413 წ. (იხ. 1413 წლის ქვეშე).

[5]) კოსტანტინე † 1401—2 (იხ. ზემო გვ. 206), იმერთა მეფე.

[6]) ნათია, დედა მეფის ალექსანდრე I-ისა, მოლოზნობაში ნინო.

[7]) გიორგი VII (1395—1407) ანუ ბრწყინვალე (1318—1346).

[8]) რუსუდან-მეფე იხსენიება როგორც განმაძლიერებელი ამირაჯიბთ გვარი-სა (№ VI).

[9]) ეს ახალი ცნობა შუქსა ჰფენს იმერთა მეფეთ ბრძოლას ქართველ მეფეებ-თან, თუმცა ეს ამბები დაჩრდილულია ანუ სრულიად დავიწყებული ქ-ცხაში. აქ არ შეიძლება ვიგულისხმოთ ალექსანდრე I მეფე, რადგან იგი შვილისშვილი იყო ქუ-ცნასი და მისს ნათესავებს ასე სასტიკად ვერ მოექცეოდა; და არცა საფიქრებელია

მათ წამებულთათჳს გამოღმა ალი ბაჟის მესამედი, წაკუაძის სარგოს გარეთ რაც შეწირულს სიგლებში ეწეროს იმ გუარად; დავდევით ულუმბისა ღვთის-მშობლის ბეგარი ოთხმოცი ლიტრა ზეთი, ორორი ზურგიელი, მიწისგან მე-ხუთედი მოდი, მთელმან მამულმან ოც-და-ოთხი კოკა საულუმბოს კოკი-თა, სხუა არა ეთხოებოდეს რა. ჩიჯანს მისი სამოურაო არ დააკლდებოდეს; ულაყი აქათ თბილისამდი (sic) და იქით ქუთაისამდი (sic) [10]). აწე ვინცა... მაშალოს, მათ წამებულთათჳსმცა იგი განიკითხჳს.

IV) შევსწირეთ წალვლი ნასყიდი და ნამზითჳ მხეიძისაგან. შევსწირეთ [11]), ოდეს წარგჳჩინა თჳთ და ამისად რუსუდან მეფემან († 1245 წ.) ლაშქარსა სპარსისასა და გაგუემარჯუა; მინდორს შევიბენით და ამოვსწყჳდეთ, მოვარ-თჳთ დროშა ჲ თაჯი თჳთვან (sic) მაღლის სულთნისა ჲ გჳყო წყალობა ჲ გჳბოძა ჯილდოდ რაც ვიაჯეთ [12]). ლომინაძისგან გამოტანებული მზითევი ბებიის ჩემისათჳს წირქუალი და ზოდი მონასტრისა, ჩ̃ნისა მოსაკსენებელად და შესაწირავად მსხუერპლისა ჩ̃ნისა ყ̃დ წ̃ისათჳნ (sic). - ნაოკარი სოფლები ღოდორა, ლიჩი და გოლისი, უწლევი, ბობოკინი, ბროლოსანი და აძჳსი, და რაც გა-მოსაღები და ბეგარი გაგუეჩინოს, მოძღუართ მოძღუარს მიუბარებდეს. თორ-

---

რომ ქუცნა, სიმამრი გიორგისი და პაპა ალექსანდრე-მეფისა (დედით), უკანასკნელის მეფობის დროს ცოცხალი ყოფილიყოს, ან სამჯერ ელჩად გამგზავრება შესძლებოდეს შორეულს კონსტანტინეპოლში და მით უმეტეს მისი ბიძები, რომელთა სიკვდილს (ალექსანდრე მეფის ხელით) ქუცნა უწოდებს „წამებად“, ე. ი. სიმართლისთჳს სიკვდილად: ეტყობა, ფალავანდ-ამირეჯიბნი ეწინააღმდეგებოდენ იმერთა მეფეს ალექსანდრეს, როდესაც მან ისარგებლა ქართველთა მეფეთ ბაგრატის და გიორგის თემურლანგის ომის გამო მოუცლელობით და, როგორც სჩანს, დაიპყრა ქართლი.

[10]) ცხადია, ამ სიგლის დაწერის დროს ქუთაის-თფილისი, იმერ ამერი, შეერთებული ყოფილა.

[11]) აქ სიტყვას „შევსწირეთ“ ქუცნა ჰხმარობს მთელის გვარეულობის პირით, ე. ი. ჩვენმა გვარმა შესწირესო წინა-დროებში, რუსუდანის მეფობაში.

[12]) ალბათ, აქ იგულისხმება რომელიმე ბრძოლა ჯალალედინთან, არ აღნიშნული ქ-ცხბაში. ძნელი დასაჯერებელია, რომ ჯალალედინი 1225—1230 წ. დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ თფილისით და არ გადასულიყო იმერეთში, თუ რომ სადმე იმერეთის გადასასვლელ ალაგებში რუსუდანის ჯარს არ შეეყენებინა იგი; ეს აზრი მით უმეტეს მისაღებია, რომ ქვემო (შენიშ. № 13) ხმარებულია ფრასა: „დროშაც (ამ ომში ნაშოვი) შევსწირეთ მეხოიშნესა ჩუენსა (ე. ი. რუსუდან—მეფეს) და თაჯი—მრავალ-ძალსა“. მრავალძლის წ̃ა გიორგის მონასტერი იმერეთშია და თუ ამერთა მცხოვრებნს თვისის მონასტრისთჳს არ შეუწირავთ, არამედ იმერეთის მონასტრისთჳს, ეს ალბათ იმის გამო მოხდებოდა, რომ იმ დროს ამერეთი მტრებს ეჭირათ, რაიცა სრულიად ეთანხმება 1225—1230 წლების საქართველოს პოლიტიკურს მდგომარეობას.

მეტს საუფლოს დღეს ჟამს გვწირევდეს საულუმბოს მღუდლითა და კარგაღებულს აღაპს გარდაიკდიდეს. და დროშაცა შევსწირეთ მეხოიშნესა ჩუჱნსა, და თაჯი მრავალძალსა [13]). ჵ მომავალნო და წარჩინებულნო ამა მოკლისა სოფლისანო! ნუ ვინ გაგვცუდებთ ჰირნახულსა ამას ჩუჱნსა, ნუ ვინ მოგვშლით აღაპსა და შეწირულსა ამას ჩუჱნსა. რამეთუ აღვესრულენით მეფეთა ჩუჱნთათვს და დავსთხიეთ სისხლი ჩუჱნი. გადიდებასთვს (მამულისა და სამეფოსა) მოეკუჱთნეს თავნი კელმწიფეთა წინა სამოც-და-ერთსა აგარიანთა კელითა [14]). რამანცაჲ ადამის ნათესავმან ეს ჩუჱნგან შეწირული და აღაპი მოგვშალოს.. შერისხდი, პატიოსანო ულუმბისა ღ̃თისმშობელო...

V) მე ნათესავთა უნარჩევესმან ამირეჯიბმან ქუცნამან ვიგულისკმე და ვიგულსმოდგინე, როდეს პაპას ჩემსა ლაშქართა თავსა დიდად შეწყალებულსა ბატონს ქუცნას დემურისგან მიწის სწორად გასწორებული ულუმბის ღ̃თისმშობლის მონასტერი აღუშენა და თჳსი აღაპი და წირვა განუჩინა [15]).

VI) მოიწია ჟამსა ცხოვრებისა ჩემისასა კელმწიფე სპარსეთისა და იუზნა და წარმგზავნა ელჩად კოსტანტიპოლის. ვიყიდე ქუჱმო ბრეძა კლიმიჩაძისაგან და შევსწირე პატიოსანსა ულუმბისა ღ̃თისმშობელსა და განუჩინე აღაპი ჩემი და ჩემის შვლის რამინისთვნ სალუალაშენი ჩიტალაძისაგან კუჰაძისათვს მისყიდული, ახალდაბისათვს მომცა, ვითაცა ახალდაბა კუჰაძისგან ჩემი ნასყიდი იყო. მისად სანაცვლოდ ახალდაბა თუმანიშვილსავე მისცა, ძუჱლთაგან მათი ყოფილიყო.

VII მესამედ რომე მოველ კოსტანტიპოლით, კახეთით დედოფალი ნათია

---

[13]) „მრავალ-ძალი“ მონასტერი რაჭაშია (იხ. უვაროვისა: „Матеріалы по арх. Кавказа, т IV“).

[14]). აქაც ქუცნა იგულისხმებს მთელს თვისს გვაროვნობითს ისტორიას.

[15]) აქამდი ქუცნა მოგვითხრობს ძველს ისტორიას და ამის ქვემო მხოლოდ თჳთ მისგან ქმნულს და ნახულს.—არ ვიცი, რად უწოდს აქ ქუცნა თჳსს პაპად ქუცნადვე (და არა ქურციკად), რომელიც თამერლანის დროს ცხოვრობდა და ულუმბო განაახლა. თუ აქ გადამწერისაგან „ქურციკი“ არ არის გადამასინჯებული „ქუცნად“, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამას ქვემოთ (№№ VI—VII) აღწერილი ცნობები შემდეგ არის მიწერილი ულუმბის მაშენებლის ქუცნას უცნობის შვილის-შვილისაგან, (რამინისშვილისა?), რომელსაც პაპის სახელი ჰქონია. ამ კითხვის ახსნა დიდად საჭიროა, რადგან ამისგან უნდა გამოირკვეს ის, თუ როდის, რა გარემოებით და რომლის „სპარსთა მეფისაგან“ უნდა გაგზავნილ იყოს ქუცნა ელჩად (სამჯერ) კონსტანტინეპოლში. ქვემო დაბეჭდილ გუჯრებში 1451 წელს სჩანან ამირეჯიბნი რამინ და საჯამ, მაგრამ გობელისძენი და არა ქუცნასძენი. შეიძლება გობელიძე იყოს პირვანდელი გვარი ამირაჯიბთა, თუმცა ქვემო, 1407 წლის ქვეშ, სჩანს ამირეჯიბი კასაბერი ჩიჯავაძე, მეფის გიორგი VII ქალის, ულუმპიასი, ქმარი და მათი შვილი საზვერელი.

ვით უბედო ქმნილ იყო და შეეწყალა პატიოსანსა ულუმბისა ღ̃თისმშობელსა და მიეცა ძე [16]), მოუტანა საქონელი ურიცხჳ. ჩემდა მოსულამდე ბიძას ჩემს ალუქბარს (ალურბარს?) მიეყიდნა ღოღეთი და შეეწირა ულუმბისა ღ̃თისმშობლისათჳს. ვიწყინე და არ ვიკადრე განსყიდვა მამულისა, მივეც საქონელი ურიცხჳ და დავიხსენ სოფელი ღოღეთი და არცალა გამოვსწირე. განუახლე გუჯარი. ახლავე განუჩინე ალაპი ერთი დედოფლისა ნათიასათჳს. აიღებდენ მეხუთედსა მოდსა და ერთსა გუთანსა ჩუჱნსა შეინახვდენ. რომელიცა გამოვიდოდეს მიუტანდენ ულუმბას; და მოძღუართ მოძღუარი, რომელსაცა დღეს ამ სჳნაქსარსა შინა ეწეროს, ალაპს გარდაიკდიდეს ღოღურის მოდისაგან, ზოგს მონაზონს მისცემდით და მოგზაურს აჭმევდით.

VIII არის ულუმბისა ღ̃თისმშობლისა მამული შეწირული: გამოღმა ალი სრულიად ბაჟის მესამედი, ორი კუამლი შიგ ალში ნასყიდი ურიები, ალისთავს სრულობით უწლევი, სრულობით ბობოკინი, ბროლოსანი, იძჳსი, სამი კუამლი ნაბახტევს, ორი კუამლი დუმატხოს. აძურის წისქჳლისათჳს ფლეველთ (sic) თჳთო კოდი პური, თჳთო კოკა ღჳნო საალაპოდ, ორი კუამლი სტკოცას მხეიძისგან მზითევს გარდაისად, წაღული სრულიად, ღოღეთი სრულიად, საღუალაშენი სრულიად, ქუჱმობრეძა სრულიად, ფრცული ღალა ათისთავი გოგობასშვილმან და კოკაძსშვილმან, ბეგარა რა-რიგათაც ნუსხაში ეწეროს, სამი კუამლი ზემობრეძას, ორი აბანოს, ორი ატუაცს; ერთის დღის საალაპო პური და ღჳნო ქალეთური, ერთი ალაპი მაღრაძემ უნდა გარდაიკადოს, ერთი კუამლი კაცი თავისთჳს შემოწირული, ღოდორა, ლიჩი, გოლისი, ხეფინისკევი, — რაც ნუსხაში ეწეროს მუშაობა და ალაპი. გუჯარა და ჯრუჭულას შუა რაც საალაპო გაგუჱჩინოს, ასანიძე მამია და ჯანიბეგ უნდა მოვიდეს. კ̃ზის ჯუარი მცხეთის ჯუარს და წარვიდეს ულუმბისა ღ̃თისმშობლის მამათ-მთავარი. აიღოს სარჯულო და სახუცო და დრამა. ორი წილი მოძღუართმოძღუარსა,

---

[16]) ალექსანდრე I დაიბადა 1389 წ. მაშასადამე მესამედ კონსტანტინოპოლში ელჩად წასვლა ქუცნასი იქნებოდა რამდენისამე წლით ადრე, უსათუოდ მაშინ, როდესაც ულუმბა ჯერ დარღვეული არ ყოფილა თამერლანისაგან, როგორც ეს საგულისხმებელია ამავე გუჯრის შემდეგის სიტყვებისაგან; ხოლო პირველი და მეორე ელჩობა ქუცნასი უნდა ყოფილიყო არა უადრეს 1380—1384 წლებისა, ე. ი. თამერლანის საქართველოში შემოსვლამდი. აქიდამ სჩანს, რომ სპარსთა მეფე, რომელსაც ქუცნა გაუგზავნია ელჩად, არ იქნებოდა თამერლანი, არამედ, ჩვენის ფიქრით, ის „თირ-სულთანი“, რომელიც თამერლანისაგან დევნული, შემოეხიზნა გიორგი მეფეს, როგორც მოხსენებულია „ერისთავთა მეგლში“ (ის. ზემო, გვ, 15) და ქ-ცხბაში (გვ. 465, 467). ცხადია, რომ თირ-სულთანი, გაჭირვებაში მყოფი, ქუცნას ელჩად გზავნიდა საქართველოდამ (ქართველთა მეფის სასახლიდამ), სადაც იგი სცხოვრობდა, საბერძნეთის ხელმწიფესთან და შეწევნას სთხოვდა თამერლანის საწინააღმდეგოდ.

მესამედი კ̃ზსა მოაბაროს, მიცუალებამდი სხ̃ა (სხუაჲ) (sic) სკლი (სახელი?) არა აქუს. და რომელმანცა მცხეთას დასაფლავება მოინდომოს, ნიშანი კ̃ზისა არის; და თუ ულუმბას დაესაფლაოს, ერთი ცხენი და ერთი წასახურავი კ̃ზისა არის და საწირავი და ნიშანი მოძღუართ-მოძღურისა არის".

**1401—1407 წ.**—ამავე წლებში უნდა იყოს დაწერილი მცხეთის საყურადღებო სიგელი, ქაღალდზე მხედრულად ნაწერი, № 101 (ნუსხა № :პვ:), რადგან სიგელში გიორგი მეფე და კ̃ზი ელიოზ (1399—1419) ცოცხალნი სჩანან. ამ სიგელში მოხსენებული ულუმპია, ბაგრატ-დიდის ქალი, არ არის ცნობილი ბროსსეს გენეალოგიაში.

„....ესე დაწერილი... კადრე (sic)... სუეტსა :ღ̃თივ აღმართებულსა... (მცხეთას) მე ულირსმან მიწამან და მოსავმან თქუენმან დიდისა მეფეთ-მეფისა ბაგრატის ასულმან და ყოველთა მეფეთა უწარჩინებულესისა მეფეთა-მეფისა გიორგის დამან ულუმპია და ჩემმა შვილმა საზუერელმან... შემოგწირეთ ჩიჯავაძის ამირეჯიბისა სულისა საალაპოდ ხუედურეთს ბუკისძისეული მამული მისითა სამართლიანითა სამზღვრითა... და (თუ) თქვენ... :ქ: ქ̃კზმან (sic) ელიოზ კაცი დაასახლოთ ამას ბუკისძისეულსა მამულსა ზედა, არავინ იყოს შემცილე, მეუნებლე, მავნებელი და ყოვლისა საჩუენოსა საქმისა და საქუეყნოსა სათხოვარისაგან გამოსრული და განთავისუფლებული იყოს და არავინ რაჲ საქმე დაგიგდოს... ამირეჯიბისა კახაბერისათჳს (საწირავად) შეიმოსებოდეთ... და ვინ კაცი დაასახლოთ, მუშაობისაგან მეტი (საჩვენო გამოსაღები) არა ეთხოვებოდეს".

ბოლოს ხკეულად: „ქ. მე დედაბერსა ულუმპიას და ჩემს შვილს საზუერელს ჩემითა ნდომითა... (შემიწირავს) და საქმითა გამთავებელი ვარ ნებითა ღ̃თისათა".

კახაბერ ამირეჯიბი და საზვერელი, (როგორც ულუმპიაცა) ჩვენს მატიანეში ცნობილი არ არიან. მათგან შეწირული ადგილი, როგორც სჩანს, დაცარიელებული ყოფილა (თამარლანის შემოსევის გამო) და შემწირველნი პირობას უდებენ, რომ თუ ის ადგილი დასახლდეს, ყოველი შემოსავალი მიწისა (ღალა-კულუხი და სხ.) მონასტრის იყოსო, მხოლოდ ჩვეულებრივი „მუშაობა" ამ შეწირულ ალაგზე დასახლებულ გლეხების ბატონის სასარგებლოდ (თითო-დღე ხვნა, თესვა, მკა და ლეწვა) ჩვენდა სასარგებლოდ დარჩესო.—როგორც შინაარსიდამ საგულისხმებელია, ეს სიგელი დაწერილია გიორგი VII-ის სიცოცხლეშივე († 1407 წ.).

**1405 წ.**—ამ წელს, აპრილს 13-ს, არის დაწერილი (ქაღალდზე, მხედრულად, მდარე ხელით) მცხეთის გუჯარი № 106 (ნუსხა, № სპტ). გუჯარს თავი მოგლეჯილი აქვს (მარჯვენა მხარე), მაგრამ აზრი მაინც სჩანს: ამილასვარი ხიმშია, „პირველ აბაზას მე მარაღელი" (ე. ი. წინეთ აბაზასძეთა მამულებზე მეუფროსედ დადგენილი) ახლა, ამ 1405 წლის წინეთ, „აბულეთის ძედ დაუსვამთ",

ქ. ი. ალბათ ამოკარგნილ აბულეთის ძეთა მამული ჩაუბარებიათ „საჭმელად“ (როგორც ურდოლაშვილიც ღაფირისძედ დაუსვამთ: ის. ქვემო 1417 წლის ქვეშ) და სამადლობელად ღვთისა ამ მოწყალებისათვს მცხეთას სწირავს ძაგნაკორნათას (ის. ზემო, გვ. 147). აი შემოკლებული ტექსტი სიგლისა:

- - - - მე ფარვ[ათა თქუენთა (ქ. ი. მცხეთისთა) მინდობილმან და ყოვლითა ბო]როტითა ალსავსემან და ყოველთა | [კაცთა უნარჩეველესმან, პირველ მარე]ლელმან აბაზაძემან თათარსა(?) | - - - - |ენთა ჩემად ულირსად მეფეთაგან დიდად [განდიდებულმან] - - - | სა აბულეთისძედ დასუმულმან ამირახორმან ხიმშიამან და ჩემმან ცოლმან ესნიამან და ჩემმან შვილმან ...ამირინდო არა დავივიწყე ჩემზედა მრავალი და აურაცხელი წყალობა თქუენი... და რადმცა უკულაგმა გონება ჩემი სამსახურებლად ....(გ)კადრე (სვეტსა ცხოველსა) და მოგაკსენე და შემოგწირე ძაგნაკორნათა ჩემი მკუიდრი გლეხი შერგილასშვილი მისითა მამულითა სრულიად და უკლებად.... არა ეთხოებოდეს რა მეფეთაგან ძაგნაკორელთა ზედა შემოწერილისაგან, არა ჩემგან.... და არ ჩემთა ჩამომავალთაგან... (არა კულუხი, არა მესთულე, არა მერუე, არა პური, არა ჭმევა, არა გოდორი და სხ.).... ...მე... პირველ აბაზასძემან მარალელმან და აწ თქუენმიერითავე შეწევნითა მეფეთაგან დიდად და საბატიოდ შეწყალებულმან აბულეთის ძემან ამირახორმან ხიმშიამან და.... (არ გეთხოვებოდეს: არა დიდი სათათრო ულუფა, არ კულუხი, მესთვლე, მეკულუხე...) აჰა.. თქუენ... ქ"კ-ზო ელიოზ!.... (აღაპს გადამისდიდეთ სეროზას, დიდს-ხუთშაბათს) დაიწერა... ქ"კს :ეგ: აპრილსა იგ (ეს :იგ: დაწებებულია) დღესა, ყ"დ ბრწყინვალესა სეროზასა.. დიდსა ხუთშაბათსა.. კელითა... დემეტრე მარკოზისშვილისათა.

ზემო დაბეჭდილ სიგლით ჩვენ აღვადგინეთ შემდეგი გვაროვნობითი შტო ამირეჯიბთა,

№ (ჩიჯავაძე?) 61 კაცნი ამის გვარისანი, თავ-მოკვეთილნი აგარიანთაგან ბრძოლასა შინა.

№

№ მოკლულნი ალექსანდრე მეფის მიერ (1372—1389 წ.)

ႵႳႰႺႨႩ (იგივე ქუცნა?) 1318—1360 წ. ცოლი მისი ლომინაძის ქალი.

ႺႥႠႰႨ 1346 წლის ასლო-ხანებში

ალუქბარ

რამინ

ცვარი 1346 წლის ახლო ხანებში.

ქუცნა II, (1350—1398 წ.) მაშენებელი ულუმბისა, თიმუ-რისგან დაქცეულისა. ცოლი მისი რუსა, ბებია მეფის ალექ-სანდრე I.

რამინ, პირმშო; ცოლი მისი ანნა? (რძალი ქუცნასი).

ნათია, ცოლი გიორგი მეფისა († 1407) და დედა ალექსანდრე I (ალექსანდრე იშვა 1389 წ.).

1407 წლის ახლო ხანებში მოხსენებულია **ამირეჯიბი კახაბერი** ჩიჯავაძე მკვდრებში: და ცოცხალნი: ცოლი მისი მეფის გიორგის ქალი დედაბერი უ ლ უ მ ბ ი ა და ძე მისი ს ა ზ უ ე რ ე ლ ი (იმერეთის ამირეჯიბნი?).

1451 წ. გ ო ბ ე ლ ი ს ძ ე ა მ ი რ ე ჯ ი ბ ი რ ა მ ი ნ და ძმა მისი საჭამ (ცოლით ქავთარაძის ასულით).

1652 გიორგი; 1667—კაცია; 1665 როსებ, ზაალ და მამუკა. 1684—ქაიხოს-რო (ამისნი ძენი: გაბელ, ოტია და გაბელის ძე ქაიხოსრო—ცოცხალნი 1741 წ.)

1700 წ. მეფე ნაზარ ალიხან აძლევს მეჯინიბეთ უხუცესობას რევაზს (ძენი მისნი: ზაალი, გაბელ და სარიდონ). 1715—ქაიხოსრო: 1732—ძმები სარიდან და რევაზ მეფეს (კოსტანგს?) ახლდენ ისპაანს.

1734 ასპან. 1742—რევაზ და ასპანასშვილი სარიდან (ისპანს შემოკვდომიათ გაბელის ძაა უზბაში დავით); 1742—ოტია; 1747—კასუმტი და სვიმონ მდივანი. 1756—ოტია და გაბელი და ძმისწული ამისი ქაიხოსრო და ძმა ზაზა; 1765 ოტია და ქაიხოსრო.—1762 წ. ოტია; 1768 წ.—ქაიხოსრო, ზაზა და დავით). 1773—ქაიხოსრო და ძმა მისი დათუა. 1775—სვიმონ (მოკვდა 1783 წ. უშვილოდ), ას-პანი; „ხუთასის თავი მორიგისა“ ზაზა (ჯამაგირით 16 თუმანი). 1779—ზაზა და ძმა მისი დ~თ. 1780—ქაიხოსრო და ზაზა. 1783 ქაიხოსრო (დავითისძე), ზაზა (და ძენი მისნი: ზაალ, სარიდან, სოლომონ, ქაიხოსრო და დიმიტრი); ზაზას ძმა დავითი, ამისი განაყოფი გაბელი და სხ. 1787—ელიზბარ: 1791—დავით და მისი ძმისწული მზეჭაბუკ.

1822 წელს—ახალიხ და ძენი: დ~თ, გ~ი და დიმიტრი.

---

**1407—1412 წ.** ამ წლებში უნდა იყოს დაწერილი მეტად დაზიანებული ნაგ-ლეჯი ძველის ტყავის გუჯრისა, რომელიც ჩვენ ვიპოვეთ თ. ი. ციციშვილის ქაღა-ლდებში. გუჯარი მხედრულად არის მდარე ხელით დაწერილი, დამპალა, გვერდები და თავ-ბოლო მოგლეჯილი, შუაგულიც აქა-იქ სიდამპლით ამოჭმულია. მიუხედავად ამისა გუჯრიდამ სჩანს, რომ ის მიუცია მ ე ფ ე - კ ო ს ტ ა ნ ტ ი ნ ე ს (რომელიც

ქ-ცხოვრებაში სრულიად არ არის მოხსენებული მეფედ) დავით მორჩილაძისთჳს, რომელსაც დიდი სამსახური გაუწევია მაშინ, როდესაც კონსტანტინეს უსიამოვნება მოსვლია მეფე-გიორგი VII-ესთან და უკანასკნელი ერთად თავის ერთგულ ყმებითურთ, მამულისაგან განდევნილნი, სამცხეში გაქცეულან. ამ დროს მორჩილაძეს დიდი სამსახური გაუწევია კონსტანტინე-მეფისათვის „კმელზედა და ზღუაშიგანცა“: ალბათ ელჩად უგზავნიათ თათრებთან შემწეობისათჳს გიორგი-მეფის საწინააღმდეგოდ (უნდა ვიფიქროთ, რომ ამათ გამოიყვანეს ის თათრები, რომელთან ომი მოხდა 1407 წ.). მაგრამ გიორგი-მეფეს ისევ შეურიგებია თვისი ძმა კონსტანტინე, მამულები დაუბრუნებია და კონსტანტინე სამცხიდამ ისევ ქართლში ჩამოსულა და მორჩილაძისთჳს სამსახურისათჳს რაღაც მამული უბოძებია.—ეს ამბები ცალის სიტყვითაც არ არის მოხსენებული ქ-ცხ-ში, რაიცა ახალს საბუთს გვაძლევს, რომ ამ დროის დიდ-დიდი ამბები ჩვენს მატიანეში აღნუსხული არ არის. აი თჳთ სიგელი:

- - - ლენ: და თავ:.(?) გუარგუნა - - და მან ძლიერმან და უძლეველმან სოლომონიან დავითიანმან ბაგრატუნი[ანმან?] აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა, [სომე]ხთა, შანშე და შარვანშე და ყოვლ[ისა აღ]მოსავალისა და დასავალისა მტკიცედ ფლობითა მპყრობელმან [მეფე]თა-მეფემან პატრონ[მან] კოსტ[ანტინე]- - - [ედმან?] ჩუენ პატრონი გულ- - - - მტკიცე, უქცეველი, - - - ელი, დრო დაუდებელი, მიზეზ [შემოუღებელი], უთუო და უთუმცო სიგელ[ი დაგიწერე] და გიწყალობე შენ ჩუენს ერ[თგულსა] და თავდადებით [ნამსახურსა] მორჩილისძეს დავი[თს], შვილთა და მომავალთა შენთა ყოველთავე. [მას] ჟამსა, ოდეს მეფემან გ̃ი (გიორგი) მამული[საგან გან]გაყენა (განგვაყენნა?) და სამცხეს წავე (წავედ?) და თქუენთანა- - - მრავალნი სამსახურნი [შინანი] და გარენი და- - [ჩუ]ენზედა კმელზედაცა და ზღუაშიგანცა. რა- - - ინება ღ̃თნ (ღმერთმან) და მეფემან ჩუენი მამული კვ[ალად] ჩუენვე გუიბოძა და აქავე მოვედით. რ[ადგან] მრავალ[ფერად] ნამსახური იყავი და [ჩუენც]ა აგრე გუინდოდა, რომე კარგთა (ვარგთა?) მამ[ულთა] ვერჩ- - - სახე მამული გაძლიეთ და- - - თა ამისთუის, რომე შენი მკჳიდრი მა[მამული] - - რიბს (?) იყო“. - - (დანარჩენი მოსჳულია).

**1407 წ.**—ქკს :ჟე: დიდი ომი იყო; მეფე გიორგი მოკლეს თურქთა; სრულიად ლაშქარნი მოსწყვიდნეს და ძმა მისი კონსტანტინე მეფედ დაჯდა (ვახუშტ. ქრონიკ., მაყაშვილის ვარიანტით.)

ეს დიდ-დიდი ამბები სრულიად არ არის მოხსენებული ქ-ცხ-ში (გვ. 472), ხოლო ვახუშტის შემოაქვს, რასაკვირველია, ამ ქ̃კნის მიხედვით (გვ. 296). ხოლო კონსტანტინეს მეფობა სრულიად არა არის ნაჩვენები და მის მაგიერ მეფედ დასახელებულია უცნობი დავით. ყოველივე ეს მჭერმეტყველი საბუთია იმისი, თუ რამდენად ღარიბია ქ-ცხ-ის თხზულება შემდეგ თამერლანის სიკვდილისა (19 იანვარ. 1405 წ.). ამასვე ცხად-ჰყოფს არეული ცნობები ქ-ცხ-ისა იმერთა მეფეებზე (იქვე, გვ.

472) და კათალიკოსებზე, რომელნიც ირღვევა მტკიცე საბუთებით. ცხადია, რომ ეს ცნობები ქ-ცხებში მერე შეტანილი, როგორც ამას წინასიტყვაობაში საჩინო ვყოფთ.

**1408** წ.—მცხეთის გუჯარი (№ 339 და ნუსხა, № :რჟ:) ქაღალდზე მხედრულად ნაწერი, უთავ-ბოლო:

„- - - შემოგწირე (მცხეთას)... ჩემგან ნასყიდი... მუხრანს ნასყიდი სოფელი ანღაიანი... და გავაჩინეთ ჩუენ ქ~კზმან ელიოზ ნიკოლოზობის დღეს კარგალებული ალაპი... (სვეტიცხოველს) ღირს მყავ მე მცირეთა ამათ დღეთა მსახურებად ყ~დ პატიოსანსა ტაძარსა თქუენსა და ამას შინა დამკუიდრებულსა წ~ისა და თანაშესაბამსა წ~თა მღდელთმოძღუართა ბასილი და გრიგოლისათა, მღვდელთ-მთავართ მთავრისა ქართლისა კათალიკოზისა (sic) ელიოზისა... დაიწერა... მცირე ესე პიტაკი ქ~კს :ჟვ: კელითა... სეფის მწიგნობრისა დემეტრე მარკოზისშვილისათა“.

ამ გუჯრის მიმცემელი არა სჩანს, მაგრამ მცხეთის გუჯართა ნუსხაში № :კბ· ვკითხულობთ მისს სახელს:

**1408** წ.—„... მე ცნოდის ძემან მწიგნობარმან დ~თ (დავით)... მოგაკსენე... (მცხეთას) ჩემგან ნასყიდი... მუხრანს სოფელი ანღაიანი... და გაგიჩინეთ ჩუენ ქ~კზმან ელიოზ ნიკოლოსობას დღეს კარგალებული ალაპი... და მეც დავემკვდრე დედაქ-ქალაქსა მცხეთას ვიდრე აღსრულებადმდე დღეთა ჩემთა... დაიწერა... მცირე ესე პიტაკი ქკს :ჟვ: მაისს :კვ: ... კელითა სეფის მწიგნობრის დემეტრე მარკოზისშვილისათა“.

**1408–1420** წ.—ამ წლებში უნდა იყოს მიცემული უთავბოლო სიგელი, მცხეთის ნუსხაში (№ :სპკ:) ჩაწერილი. რომელშიც მოხსენებულნი არიან ხიმშიასშვილნი (ხიმშია ამილახორი 1405 წ. იხ. ზემო გვ. 213–14), (ამილახორი) ზედგინიძე ვახტანგ და ტოსაძე (სჩანს 1420 წ. ქვემ). ნუსხისგან ამოვწერთ რამდენსამე სტრიქონს:

- - - [მოლარეთ?]უხუცესი რევაზ, როსტევან, ზაალ და ადამ ბატონის კ~ზის ყმათა და ხიმშიასშვილთ ყმათა საქმის გასაჩენელად. სარჩელი ორთავესი გავიგონეთ... აგრეთვე ზევდგინიძე ვახტანგ სვრმანელს ჩებაშვილებს ესარჩლებოდეს... აგრეთვე შიმშილობის წელს რამაზის კაცი ტოხაძეს მისლოდა და იმას რამაზს არ ემართლებოს, ისრევე მოსცეს...

ამავე დროებს უნდა ეკუთნოდეს სიგელი მცხეთისა № 424 (ნუსხა :ოკ:), რომელშიც მოხსენებული კ~ზი ელიოზ (1399—1419 წ.) და ათაბაგი ივანე (1391—1444):

„ქ. მე ივანე (ათაბაგმან) მოგაკსენეთ თქუენ ქ~კზს ელიოზს სამხარისძე მისითა მამულითა სამართლიანითა, გქონდეს... მომიკსენებია“.

ესვე კ~ზი ელიოზ მოხსენებულია მცხეთის ნუსხაში :სყთ:

„... მე... გლახაკმან ლაკუზასძემან ქავთარ ჩემისა სულისა საალაპედ... მო-გაკსენე (მცხეთას და კათალიკოზს ელიოზს) კორნთა ნარღვევთა ჩუენი მკვდრი მამული ვენაკი პაწაძასძეული... (აღნიშნულია საზღვრები).

შემწირველს გაუჩენია ერთი ალაპი წელიწადში. სიგლის ბოლოს დახატულია წითელ ფერადით მწოლარე ირემი.

ამავე ელიოზ კ~ზის დროს არის დაწერილი მცხეთის მხედრული სიგელი № 612, დაზიანებული და მელან-გადასული:

„. . . ჩუენ... ქკ~ზპან ელიოზ ესე წყალობის წიგნი და სიგელი გიბო-ძეთ თქუენ ცხეოსნისძეთა (მცხეთისძეთა?) იოვანეს და ანანიასა და ოქროპირ-სა, ასრე და ამა პირსა ზედა: გიბოძეთ უნივე, ძეულად ნაქონები გარდასხუა-ებული მამული დიდის მეფეთ-მეფის ბაგრატისა და მეფეთ-მეფის გიორგისა და მან (აწ?) ახლად ყოვლადვე მოგაკსენე ჩემთა ძმათა საალაპედ (ის. ზემო გვ. 219) თქუენ მცხეთის შვილთა იოვანეს, პროკოპის და ანანიას. გქონდეს და გიბედნიეროს ღ~ნ... ა~ნ. ბუხრისძეცა მომიცემია ნასყიდობითა, წყლითა, წისქუილითა... არა-ოდეს მოგეშალოს... (არავისგან)... და არა სხუათა ქკზ~თა-გან“...

ბოლოს ხვეულად გამოყვანილია მაკურთხეველი ხელი ქკზ~ისა ჯვარ-მპყრობელი და იქვე წარწერა:

„ესე სიგელი თამარ-დედოფლის ჟამისა იყო და ახლად განვაახლეთ“.

**1409** წ.—ქკს: ჟზ: აქა და - - -|ებს სა - - -|ბსრძ (სუცური წარწერა ქვ. მუზ. ხელნაწ. № 85).

არშია წაჭრილია და ძნელი გამოსაცნობია აზრი წარწერისა. შეიძლება წერე-ბულიყოს: „აქა (1409 წ.) - - - აბუსერისძენი“ (ანუ „აქა დაარბიეს საბერძნეთი?)

**1407—1413** წლების ისტორიული საბუთი ჰქონია მღ. პ. კარბელაშვილს, რომელშიც მოხსენებული ყოფილა ჯანიბეგ (ამილახორი), გურჯიბეგ (გორი?) და მოთხრობილა ამბავი ტახტის მიტაცებისა კონსტანტინეს მიერ და ალექსანდრეს წასვლა სამცხეში ივანე ათაბაგთაგან ერთად თაყა ზედგინიძესთან და თაყას ბიძის ავთანდილთან; სამცხეში მათ დაუყვიათ „სუთი წელიწადი ღარიბობასა შინა“. იმავე საბუთში მოხსენებულნი ყოფილან ბიძაშვილი თაყასი მამისა ზედგინიძე და მამისას შვილი ზაალი. ამ საბუთის ძალით მღ. პ. კარბელაშვილს დაუწერია ისტორიული გამოკვლევა ძველ ამილახვრებზე („ივერია“ 1893 წ. № 77). სამწუხაროდ თვით ეს საყურადღებო საბუთი ჩვენ ვერ ვიპოვეთ გაზეთს „ივერიაში“ და თუ ავტორისგან მივიღეთ პირი საბუთისა, ამ წიგნის დამატებაში ჩავურთავთ, ბოლოს.

აქ უნდა შევნიშნოთ მხოლოდ, რომ ჯანიბეგ მართლა მოხსენებულია ჩვენს სა-ბუთებში 1401 წლის ახლო-ხანებში, მაგრამ მისი გვარი არ სჩანს (ის. ზემო გვ. 212), ძველ ამილახვრებში სჩანან ხიმშია და მე მისი ამირინდო (ის. ზემო, გვ. 214); მოლარეთ-უხუცესი თაყა ზედგინიძე და (მეორე) ცოლი მისი მამქან ის.

1433, 1425; 1451 წ. ქვეშე და 1457; მამია (მამისა) ზედგინიძე და ცოლი გულქან იხ. 1475 წ. ქვეშე და სხვანი, ზემო მოხსენებულნი (გვ. 205—206).

**1411 წ.** მცხეთის გუჯრებში იპოვება მხედრულად ქაღალდზე ნაწერი სიგელი № 160 და ნუსხა: რლთ:, რომელსაც თავი აკლია:

„— — — . . . თქუენ ქკს მიერ... ქკზსა ელიოზსა ესე წიგნი დაგიწერე და მოგაკსენე მე დავითა ბერისძემა ციხელამა... თქუენთუის თეთრი მოეკსენა ოთარს, ვარაზსა (ოთარს ვარაზას?), რომემცა ვენაკი გეყიდა და მცხეთას მათისა სულისათუის აღაპი დაედვა ნიკოლოზობის დღესა... აწ მე... მოგყიდე ჩემგან ნასყიდი... ჩემითა ალალითა ქონებითა“... მოწამენი: ახალდაბელისძე ლომი... მღდელმონაზონი კავთელი ანანია (კაჩამისძე?)... დაიწერა თვესა ოკდომბერსა :კე: ქკს: პით: (ნუსხაში ქკს: ნით:). მე მღვდელმონაზონს მაღალაშვილს ზაბილონს დამიწერია და მოწამე ვარ.

**1413 წ.**—ქკს: რა: [თა]მარ დაიბადა (ეკ. მუზ. ხელნაწ. № 85: არ ვიცით ვინ არის ეს თამარი).

**1413 წ.**—„ქკსა: რა: მეფედ დავჯედ [რამეთუ იყო მაშინ ყოველი ესე საქართ]ველო თემურისგან და ქართლი უნუგეშინისცემოდ განსრული დაგვხუდა, ესრეთ რომელ უსჯულო [იგი შემოვიდა] საქართველოს ქკს: ჰჲ: და ვიდრე ჩუჱნად მეფობისა დაპირვადმდე ესრეთ გ - - -სლ. ტფილისით ციხითა მეფე ბაგრატ და ანნა დედოფალი გამოასხნეს დ̃ დაატყუჱვეს დ̃ მრავალი სული მოესრა, და თავად დედა-ქალაქი მცხეთა დ̃ საქართველოსა რაოდენნი საყდარნი და ეკლესიანი და ციხენი იყუნეს ყოველნი დაექციბვნეს, საფუძველითურთ დაექცინეს და სრულიად საქართველო ტყუჱ ექმნეს, და ჩუჱნის მეფობის დაპირვადმდე მუდამი ტყუჱნვა და რბევა იყო საქართველოსა; და მოოჴრდა და იავარ იქმნა, და ყოვლადვე ძალი და ნუგეშინისცემა არსით ჰქონდა. და შენმიერითა შეწევნითა დ̃ წინამძღუარებითა ჯუარისა პატიოსნისათა ვიწყე ბრძოლად უსჯულოთა და განვასხენ მზღუართაგან ჩუჱნთა და ქრისტეანენი ფრიადსა მშვიდობასა და მყუდროებასა მიეცნეს“...

ეს ცნობა შეტანილია მცხეთის გუჯარში (ნუსხა: რლზ:), რომელიც სრულად დაბეჭდილია 1440 წლის ქვეშე. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ამ გუჯარში მოხსენებული ცნობები, ზოგან სიტყვა-სიტყვით, შეტანილია ეგრედ წოდებულს Chrou. Géorgien, გვ. 1—2, ხოლო ამ უკანასკნელიდამ თითქმის შეუცვლელად და სიტყვა-სიტყვით შეტანილია ქ-ცხბაშა, გვ. 473. ჩვენ ქვემო დავამტკიცებთ, რომ მთელი მოთხრობა ქ-ცხბისა ალექსანდრე დიდის მეფობაზე შედგენილია ორის გუჯრის ცნობებიდამ. ეს გუჯრები იხ. ქვემო 1420, 1413 და 1440 წ. ქვეშე.

**1413 წ.**—ამ წელს არის დაწერილი მცხეთის სიგელი № 105 (ნუსხა :ქდ:), მხედრული, ქაღალდზე.

„. . . ჩუენ... ორისავე ტახტისა... მპყრობელმან... მეფეთ-მეფემან ალექსანდრე... და ძეთა ჩემთა ვახტანგ და დიმიტრი - - - აჰა ესერა ბრწყინვენ ოთხნივე კედარნი მეფობისა ჩუენისანისა . . . შეწევნითა თქუენითა... (მტერნი ჩუენნი) სამარადისოდ ლტოლვილ და უკუქცეულ არიან... შევსწირეთ (მცხეთას სამადლობელად) - - - საალაპოდ პატრონისა სულკურთხეულისა ბებიისა ჩემისა ჩემზედა მრავალფრად ვალდადებულისა და ჰირნახულისა რუსასა სულისათჳს საალაპედ ატენს თბილელის ძენი. . . (ნუსხაში „თბილელისძენი“) ლომი, გ῀ი, გაბრიელ, ტბელია და ი῀ე... მამულითა მათითა სრულიად... ყოველთა წელიწადთა... ამიერ მიცვალებულთა მამათა და პაპათა ჩუენთა მლოცველ მადიდებელნი და მოურნენი სულისა მათისანი ქ῀კზი ელიოზ... კარგალებულსა ალაპსა გარდაიკდიდეს დღესა ამბროსობასა და ყ῀დ სანატრელისა და სულკურთხეულისა ბებიისა ჩუენისა რუსასათჳს (sic), რომელმან გულსმოდგინედ და სურვილით კელყო სამსახურებელად და აღშენებად კათოლიკე საყდრისა დედა-ქალაქისა მცხეთისა, რ῀ლ დააქციეს ტომთა აგარისათა ჟამსა მას, რომელ წარმოემართა ქუეყანით სამარყანით ბილწი იგი და მოძაგებული, სახელით თემურ, და მრავალნი საყდარნი და მონასტერნი დააქცევინა და თჳთ მათნიცა ბილწნი და შეურაცხნი სალოცავნი და მიზგითანი დააქცევინა. ამა ჟამსა შედეგად გამოჰკაზმა საყდარი და იწყო შენებად სუეტთა საყდრისათა... ვინადგან სოფელი ესე ცრუ, მტყუანი, უნამუსო და უდგომო არის, მან მისი ბევარი არ დაიკლო და ამის მიერ ველარა სრულ იქმნა საწადელი მისი... დაიწერა... ქკსა :რა: სეკდემბერსა :კ: ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისა ჰირკელსა... კელითა დემეტრე მარკოზის შვილისათა“. მერე ძნელად გამოსაცნობი ხვეული ხელმოწერა მეფის ალექსანდრესი.

**1413 წ.** — მცხეთის გუჯარი ქაღალდზე, მხედრულად ნაწერი, № 337 (და ნუსხა: პთ: № 507); თავი აკლია და ზოგან მელანი გადასულია:

- - - [ერთ]გულმა და დიდად ნამსახურმა წამებულისა შვილთა ბუ[ირ]თელად ძ - - ულსა - - პოდა მისი მკუიდრი ლეთეთსა თავაბერისძენი შემოგწირნა და მოგაკსენა. აწა ჩუენცა ნდომა დავრთეთ და მოგაკსენ(ეთ), როგორცა მათსა ერთგულსა და დიდად ნამსახურსა წამებულისა შვილისა ბუირთელსა პატრონისა, ცამდის მაღლისა მეფეთ-მეფის კოსტანტინესთუის საალაპოდ მოუკსენებია. აგრე ვერვინ შეუცვალოს, რაგინდა-ვინ თელეთის (ლეთეთის?) მქონებელნი იყუნენ. ყოვლისა სათხოვარისა და გამოსაღებისა გაგუითარხნებია და გაგუითავისუფლებია... ამისგან მეტად რაცა ქკზ῀ი ელიოზ პატრონისა მეფეთ-მეფის სულის საალაპოდა არა იკმარებდეს, სხუისა კელი ̄არა-ვისი შევიდოდეს... (მოხსენებულია მოურაობა გორისა და ატენასაც)... დაიწერა... ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა ერთსა, ქ῀კს: რა: მარტსა: ია: არც სანებელზე და არც ტანძიელზე კელი არავის დავადებინოთ და ვერავინ გეცილოსთ“. ბოლოს ხვეულად: „მეფე ალექსანდრე დამამტკიცებელი ვარ“.

ბერთველნი ქ-ცხბაში ცნობილნი არიან (I, გვ.      ). ამ გუჯრიდამ საგულისხმებელია, რომ ამ სიგლის მიმცემელის მამა ბერთელი კოსტანტინე-მეფეს ჰსლებია და „წამებულა“, ე. ი. სჯულისთვის მომკვდარა აგარიანთა ხელით, ალბათ ერთად კოსტანტინე-მეფესთან, რომელიც იწამა ოსმალ-თურქთაგან, როგორც მოგვითხრობენ სომეხთა მეისტორიენი.—ბირთველზე იხ. 1414 წ. ქვეშე.

**1414** წ.—მცხეთის გუჯარი № 44; ქაღალდზე ნაწერი:

„- - ....ჩუენ მეფეთა-მეფემან ალექსანდრე და ძეთა ჩუენთა ვახტანგ და დიმიტრი და ძმათა ჩუენთა ბაგრატ და გიორგი... შემოგწირეთ თქუენ... (მცხეთას) ატენის კევს სიონსა უკანით ზუარი გაგნიაური მისითა წყლითა.... ყოველთა წ῀თა... სეკდემბერსა რვასა... ჩუენთვს კარგალებულსა ალაპსა გარდაიკდიდეთ და ერთი ალაპი მეორესა კვირიაკესა წ῀თა ორმეოცთასა ხაზინადრის გიორგისთუის გარდაიკდებოდეს და პირველვე მისთუის გაჩენილი იყო თქუენგან და ერთი ალაპი ღ῀თისმშობლობისა მეორესა დღესა ბირთველისთუის გარდაიკდებოდეს... დაიწერა ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეორესა, ქ῀კს: რბ: კელითა დემეტრე მარკოზისშვილისათა“. ბოლოს სკეულად ამტკიცებს მეფე ალექსანდრე.

**1414—1419** წ.—ამ წლებში უნდა იყოს დაწერილი მცხეთის სიგელი, ნუსხა :ნთ:, რომელშიც მოხსენებულია კ῀ზი ელიოზ 1399—1419 წ. და მესტუმრე გუგუნა (ბარათაშვილი?).

„...ქ῀კზს ელიოზს მოგაკსენეთ ჩუენ იშხანაურმა ამირან და ამირბარმა... შემოგწირეთ გორს ულუმბელაური ვენაკი: მეფისგან მესტუმრის გუგუნასთვს იყო ნაბოძვარი და მისგან მე მქონდა“... (გაუჩენია თავისთვის ალაპი ამ მამულის შემოსავლიდამ). ბოლოს: „მე გასპარასა გოგინასა ჩემითა ნებითა დამინებებია“.

**1414** წ.—ქ῀კს: რბ: მეფე ალექსანდრე და ივანე ათაბაგი კოსტას შეიბნეს (ჩსვიმის ქრ. იხ. 1415 წ. ქვეშე).

— ქ῀კს: რბ: მეფე ალექსანდრე და ივანე ათაბაკი კოხტას შეიბნეს; თურქთა ახალციხე ამოწყვიდეს (ჟამნი № 2).

— ქ῀კს: რბ: მოკლეს აბხაზთა მამია და დაჯდა ძე მისი ლიპარიტ (დად. ქრ.).

— ქ῀კს: რბ: მეფე კოსტანტინე მოკლეს თურქთა და დაჯდა მეფედ ალექსანდრე, ძე გიორგი მეფისა;— კვალად მოკლეს აბხაზთა მამია და დასვა ალექსანდრე მეფემან ძე მისი ლიპარიტ (კასუშტ. ქრ.).

**1413** წ. ეტრატზე მხედრულად დაწერილი სიგელი წითლისმეთა:

„ქ. სახელითა... ოხითა და ვედრებითა წ῀ა გ῀ი კავთისა მთავარ-მოწამი-

სათა ესე დაწერილი დაგიწერე მე დ ე კ ა ნ ო ზ მ ა  ა ნ დ რ ი ა  და მომავალთა სახლისა ჩემისათა შენ წითლისძესა დემტიასა... მე ანდრია ვიყიდე ვენაკობი ერთი მონესელისძისაგან, დამექირა, სხუა ღონე არა მქონდა და მე შენ მოგყიდე წითლისძესა დემეტიას შენისავე ვენაკის გაპირისპირებით ბარას იქით ერთი ვენაკობი ნიშნად, ერთი საწისქუილეცა ყოფილიყო შიგა და ერთი საბზელ-კალო. ყუელაი შენ მომყიდე (მოგყიდე?) და ავიღე ფასი სრული... დაიწერა სიგელი ესე ქრონიკონსა :რა: მაისსა ათორმეტსა. მე იოვანეს დამიწერია და მოწამეც ვარ". (უბეჭდო).

**1415—30 წ.**—პალეოგრაფიული ნიშნებით ამ წელს უნდა იყოს დაწერილი ტყავის ქვათახევის სიგელი, მღ. პ. კარბელაშვილისაგან ნაპოვნი მუხრანს.

„..... მე ცოდვილმან -- საწყალობელმან მოურავმან თადეოზ ეს --- კადრეთ და მოგახსენეთ თქუენ ყ̃დ წ̃ა ქუათა [კევისა ღ̃თის]მშობელსა და თქუნ წ̃ე დამკუდრებულთა ერთან -- სალმრთოსა კრებულთა ძმათა. მას ჟამსა -- თქუენ (გ)კადრეთ და მოგაკსენეთ, ვითა პირველადცა თაბლელას იოვანეს ვენაკი და სახლკარი და მიწანი ეყიდნეს თავისა სულისა საალაპოდ, ასრე რომე ორი დღე ალაპი გარდაიკდებოდეს მათთუის ყოველთა წელიწადთა უკლებლად. მერმე ამას შემოგეხუ[ეწე]: სადამდის ცოცხალი ვიყო ის ვენაკიცა მე მამეცით -- ლელის ალაპიცა მაქნევინეთ. მერმე მიბოძეთ ამა პირსა ზედა [სადამდის] ცოცხალ ვიყო მქონდეს; მერმე რომე თადეოზ --- მას უკან ისრევე როგორცა პირველ --- გქონდა, აგრევე ჩემს უკანის თქუენ გქონდეს ჩემითა პირნახულითა, ასრე რომ დიდნი პირნი მენახნეს და თქუენცა დახედენით.......

**1415 წ.**—ქკს :რგ: მეფე ალექსანდრე და ათაბეგი იოანე კოხტის-თავს შეიბნენ; მეფეს გაემარჯვა; ათაბეგი შეიპყრა; შეწყალებული გაუშვა (ვახუშტ. ქრ. ორი ქრონიკა ამ შემთხვევას დასდებენ 1414 წ. იხ. ზემო).

**1415—1419 წ.**— ამ წლებში არის დაწერილი სიგელი, შეტანილი მცხეთის ნუსხაში, მე-XVII საუკუნის ხელით და კ̃ზის ნიკოლოზის ბრძანებით ხუცურად დაწერილში, № :რზ: სიგელი მიცემული ისტორიული პირის თაყა ფანასკერტელისგან კ̃ზს ელიოზისადმი (1399—1419 წ.), რომელიც კათალიკოზობდა 1419 წლამდე და მაშასადამე ეს საბუთი, მეფის ალექსანდრეს მეფობაში მიცემული, დაწერილი უნდა იყოს 1413—1419 წ. და არა უგვიანეს 1419 წლისა. უკანასკნელი გარემოება დიდად საყურადღებოა, რადგან ამ სიგელში მოხსენებული თაყა ფანასკერტელის და სითიხათუნ არის წოდებული დედოფლად და მაშასადამე გათხოვილად, ხოლო ქ-ცხზით (გვ. 474) ეს სითიხათუნ, და თაყასი, მითხოვდა ალექსანდრე მეფის პირმშო ძეს ვახტანგს 1442 წელს, ცხადია, რომ ქ-ცხზაში ეს ცნობა შემდეგს დროებშია შეტანილი სხვა წყაროთაგან, როგორც მთელი მე-

ფობაცა ალექსანდრე-დიდისა, უხერხულად შეკონკილი ორიოდ მცხეთის გუჯრებიდამ ამოღებულ ცნობათაგან. ამის-გამო გასაკვირად არ უნდა მივიჩნიოთ ის, რომ ქ-ცხაში ეს ცნობა უადგ-ადაგოდ არის ჩაკერებული. აი შემოკლებული პირი ამ სიგლისა:

„...შენ... (მცხეთას) და ქ̃კზსა ელიოზს... მოგახსენეთ საალაპედ პატრონისა ჩუჱნისა დიდისა დედოფლისა სითიხათუნისათჳს ატენს ლუსმალაური მამული, ასე რომე ფერიცვალება-დღე პატრონისა ჩუჱნისა დისა, დედოფლისა სითიხათუნისათჳს გარდაიხდებოდეს კარგაღებული ალაპი და ფერისცვალების მეორე დღე—ჩემთჳს... შემოგწირეთ მეფეთ-მეფის ალექსანდრეს ბრძანებითა და ნება-დართვითა ატენს ლუსმალაური მამული... მე ფანასკერტელმა თაყამან პატრონისა ჩუჱნისა დისა სათიხათუნის საალაპედ, ასე რომე მატანელთა არა-საქმე დააგდონ მას გუერც არა ყალანსა, არა კულუხსა თანა...

ალაპთა ნუსხაში № :ტმკ: ჩაწერილია: „ატენს ლუსუას მამული საალაპოდ თაყასი“.

**1415 წ.**—მცხეთის მე-XVII საუკუნის ნუსხა № :რმ:

- - - თქუჱნ კათოლიკესა საყდარსა... (მცხეთას) და... ქ̃კზს ელიოზს ...მე კაჩიმისძემან გუგუნამან... გკადრეთ... ჩემის სულის სამლოცველოდ ჩემი მკვდრი (მამული) სათიკეს და კურძეულისა ბოლოსა... დაიწერა.. ქ̃კს :რგ: კელითა მწიგნობრისა.. მახარობლისათა“. ბოლოს „მე გუგუნას ჩემითა ნებითა დამიმტკიცებია“...

**1416** ანუ **1417 წ.** —ქ̃კს :რდ: (ანუ :რე:). აქა ახალციხე ამო[ვარდა].

ეს ცნობა მხედრულად წარწერილია ეკლ. მუზ, XIII საუკ. კინკლოსის ქვემო არშიაზე, რომელიც წაჭრილია, მაგრამ იმ ასოების თავები მაინც სჩანს, რომელნიც ჩვენ ფრჩხილებში ჩაგვისვამს. თუმცა წარწერა ქვემო არშიაზე იპოვება, მაგრამ წერტილებით ჩამოყვანილი ნიშანი გვიჩვენებს ქ̃კს :რე: ხოლო „ჩხეიძის ქრონიკა“ გვიჩვენებს ქ̃კს :რდ:

**1416 წ.**—ქ̃კს :რდ: თურქთა ახალციხე ამოაგდეს (ჩხეიძის ქრ.).

ეს საყურადღებო ცნობა, ორის ქრონიკისგან აღნიშნული, სრულიად არ იპოვება ქ-ცხაში, რომელიც, როგორც გვითქვამს, მეტად ღარიბია ამ ეპოქის შესახების ცნობებით.

**1417 წ.**—მცხეთის სუცური ნუსხა მე-XVII საუკ. № :სპთ: სიგელს თავი აკლია:

[...ჩუჱნ მეფეთა მეფემან ალექსანდრე ....და] ძეთა ჩუჱნთა ვახტანგ, დემეტრე, გ̃ი, დ̃თ ესე სიგელი... გიბოძეთ თქუჱნ ჩუჱნსა კარისა მწიგნობარსა მუშრიბს ურდოველაშვილს სუმბატს: პირველადაც მამისა თქუჱნისათჳს სი-

გელითავე გვებოძა ძაგნაკორნათა ლაფირასძეული მამული.... აწ შეგიწყალეთ. და დაგსვით ლაფირასძედ, და... მათის გუარისა აღარავინ იპოვებოდა... გქონ· დეს მკვდრად სამამულოდ... არავინ დაგეცილოს... დაიწერა... ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეექუსესა (sic), ქ~კს :რე: სეკდემბერსა :კთ: კელითა კარისა ჩუენისა მწიგნობრისა ბეთლემის ძისა სოკრატისითა.

ამ გკაროჯნობაზე ცნობანი იხ. 1429; 1438; 1446 და 1460 წ. ქვეშ.

**1419 წ.** — მცხეთის ხუცურად მე-XVII საუკ. ხელშ. დაწერილს ნუსხაში (№ :კა:) შეტანილია სიგელი, რომელსაც აძლევს მეფე ალექსანდრე I და ცოლი მისი თამარ „და ძეთა ჩუენთა: სახე-მონაზონობით შემმრდომმან და მსასოებელმან თქუენმან და, — ინებოს ზენამან განგებამან აურაცხელისა წყალობისა თქუენისამან, — განმზადებულმან აღსლვად ხარისხსა წთ~ა მღ~დელთ მოძღუართასა, დღეს მონაზონმან დავით და ძმათა მისთა ვახტანგ, დიმიტრი და გიორგი. რაოდენი ქება და მადლობა (უნდა ღმერთს ვუძღვნათ, რადგან მტრები სამარადისოდ ღტოლვილ და უკუნ ქცეულ არიანო. შემდეგ ამბობს, რომ მამა-პაპათაგან ქვეყანა ტურათა და აგარა კლესიას შეწირული ყოფილაო, ყამთა კითარებისაგან მოგშლოდათო და ახლა ისევ დავიბრუნეთ და დავიმტკიცეთო)... და აჰა თქუენ, წ~ნო ქკზ~ნო ელიოზ და აწ მის-მიერ შეყუარებულო, ვითარცა პავლე ტიმოთეს მიერ, მკურნალო და ნუგეშინის-მცემელო სულისა ჩემისაო, კზ~ო მთავარ-ეფისკოპოზო მიქაელ, ნუცა დავიწყებულ ვიქმნებით თქუენ-მიერ მსხვერპლ-შემწირველობითა“...

შემდეგ ამბობს თამერლანის შემოსევაზე იმ ნაირად, როგორც ქვემო 1420 წლის ქვეშე და მოიხსენებს: „და დედა-ქალაქი მცხეთა დააქცია. აწ მე... ოცდა-ოთხისა წლისამან კელ-ვყავ შენებად (მცხეთის საყდრისა)... ოდეს ვიწყე შენებად ამა საყდრისა, ამა ჟამსა შინა დადგინებულ იქმნაო პატრიარქად მიქაელ“...

ბოლოს: „თქუენ წ~ნო ქართლისა და აბხაზეთისა (sic) კზ~ნო უკუაროობითა დაუმტკიცეთ... დაიწერა ქკს :რზ: სეკდემბერსა :კბ: ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეხუთესა, კელითა... დემეტრე მარკოზიშვილისათა“.

ამ სიგელში მოხსენებული შემონაზონებული ძე მეფისა დავით კათალიკოზად დაჯდა შემდეგ მიქაელისა 1428 წლის ახლო ხანებს. ამ სიგლიდამ სჩანს, რომ ელიოზ ამ 1419 წელს გადამდგარა და ქკზ~ად დამჯდარა მიქელ. მეფე ალექსანდრე 1419 წელს, ამ სიგლით, აღნიშნულია 24 წლისად, თუმცა ნამდვილს სიგელში, 1420 წელს მიცემულში (იხ. ქვემო 1420 წ. ქვეშე), მეფე ყოფილა 22 წლისა.

**1419.** სინოდ. კანტ. სიგელი ნუსხა№ :ჲა:

„ჩუენ სოლოღასძემან (სუნდულასძემან) ლაჩინამან... შემოვწირე (მცხეთის საყდარს) გორს .. ნასყიდი ვენაკი გულიაური და კალოს-მარანშიგან ორმოცის ფარჩის პურის (sic)... ქკ~ზო ელიოზ!... ალაპსა გარდაიკდიდეთ... ქკს: რზ:

კელითა დედოფალთ-დედოფლისა თამარის კარის მწიგნობრის ტიმოთესითა. ჩუჱნ ავთანდილ და ზევდგინ ამისნი გამთავებელნი ვართ:. მე ლაჩინას ჩემის ნებით შემიწირავს“.

სუნდულიძენი ლომი და მისი ძმისწული ლაჩინი იხ. ზემო 1398 და 1392 წ. ქვეშე. ხოლო ამ გუჯრიდამ საგულისხმებელია, რომ სუნდულისძენი არიან ზევდგინიძე-ამილახორნი, რადგან ცნობილია, რომ გუჯრის დამამტკიცებელნი ავთანდილ და ზევდგინ არიან ამილახორის გვარისანი. ხოლო ლაჩინ, რომელსაც უკანასკნელად მოუწერია ხელი, არის სახლის კაცი ავთანდილისა და ზედგინისა. აქ სხვა აზრის შემოტანა, ვგონებ, ძნელია მით უმეტეს, რომ საბუთებიდამ სჩანს, რომ გორის მოურაობა და მამულები ეკუთნის ამილახვრებს და იმავე დროს სუნდულიძეებს.—აღაპთა სიაში (ნუსხა № :ტპ:) მოხსენებულია სუნდულიძეთა აღაპი: ლომისი—დეკემბერს :კვ:, ხოლო ლაჩინასი—იანვარს :გ:

ზემო დასახელებულნი ავთანდილ და ზევდგინ მოხსენებულნი არიან ქვემო 1426 წ. ქვეშე გორის მოურავად და ჩურჩერახად (იხ. ზემო, გვ. 205—6). ხოლო ზევდგინისძე თაყა—1433 წ. ქვეშე; ზევდგინ (თაყას ძე?)—1453 წ., ძმებითურთ: ამირინდო და ავთანდილ;—1459—თაყა; 1475 და 1504—მამია და ცოლი მისი გულქან (ეს გულქან იხ. ჯვარის ჯვარის წარწერაში Rap. IV, 17);—1518 წელს—ბარძიმ და ძე მისი ფარემუზ;—1523 წელს—თაყა და ცოლი მისი ულუმპია და ძენი მათნი: თომა, ბარზი (ბარძიმ), ავთანდილ, ფარემუზ, იოთამ და ბეყან.

**1419** წ.—ამ წლის ახლო ხანებს არის დაწერილი მცხეთის სიგელი № 91 და ნუსხა № :ჟკ:, მხედრულად ნაწერი, თავი აკლია: „- - - ...[ჩუენ] ერის[თავთ ერისთავმან] - - - რის ძემან ნუგზარ... შევსწირე (მცხეთას) ბოტოტას ჩემგან ჩემითა საქონლითა ნასყიდი... ვენაკი (ატენს)... მომიკსენებია... ქკზ̃ის ელიოზისთჳს მისსა ჟამსა და სუფევასა შიგან“... (იანვარს 6 კარგადლებულს აღაპს გარდამიკდიდეთო). სიგელი დაუწერია ცნობილს დემეტრე მარკოზიშვილს. ბოლოს ცუდის ხელით: „მე ერისთავსა ნუგზარსა დამიმტკიცებია“. ეს ნუგზარი სხვა ისტორიულ წყაროებში არ სჩანს (ეგრეთ კ̃ზი 1399—1419 წ.).

**1420** წ.—ამ დროის ახლო ხანებში უნდა იყოს დაწერილი სიგელი მცხეთისა (ნუსხა № :სყ:), რომელსაც თავი აკლია, მაგრამ მასში მოხსენებულია ლიპარიტ, რომელიც უნდა იყოს ტოხაძე, კასპის მცხოვრები და ბიწმენის პატრონი (იხ. ზემო 1420 წ.):

„ - - - ძმამან ლიპარიტ უხუჱდრად ცოლი შეირთო... თქუჱნ (ქკზ̃მან მიქელ?) გაგჳწყერით და უჯუაროდ გაგუკადენით და ჩუჱნ ჩუჱნითა ნებითა ვარდოვანს ექვსის დღის მიწა და ორის დღის მიწა ბიწმენს შერაკაშვილის ნაქონი მოგაკსენეთ და თქუჱნ შენდობა გვბრძანეთ“...

**1420** წ.—ქაღალდზე მხედრულად დაწერილი სიგელი მცხეთისა № 3 (და ხუ-

ტური ნუსხა მისი № :სჟა:), სიგელს თავში რამდენიმე სტრიქონი აკლია. სიგელში აღწერილია თემურლანისგან საქართველოს მოოხრების ამბავი, მცხეთის ტაძრის აღშენება და ტოხაძეთა მამულების დაბრუნება. ყურადღების ღირსია ისიც, რომ მეფე ალექსანდრე ასახელებს თავის ძმებს ბაგრატს და გიორგის, რომელნიც ისტორიაში ცნობილნი არიან, მაგრამ სხვა ჩვენგან ხოკნილს გუჯრებშიც დასახელებულნი (იხ. ზემო 1414 წ. ქვეშე, გვ. 221). მცხეთის ტაძრის შენება მეფეს დაუწყია, როდესაც იგი იყო 22 წლისა. აქედამ საგულისხმებელია, რომ ის გამეფებულა 22 წლისა, თუმცა მას შეეძლო ტაძრის განახლება დაეწყო გამეფებამდის. მისმა ბებიამ რუსამ დაიწყო განახლება (იხ. 1440 წ. ქვეშე).

„– – – .......მეტეხისა და ხახულისა და ვარძიისა ღ̃თის მშობელო!... ჩუ·ენ... მეფეთა-მეფემან ალექსანდრე... ჲ̃ თანამეცხედრემან ჩუენმან... დედოფალმან თამარ ჲ̃ ძეთა ჩუენთა... მონაზონმან ღ̃თ, ვახტანგ, დიმიტრი ჲ̃ გ̃გი და ძმათა ჩუენთა ბაგრატ და გ̃გი ....ვცანით რომელ პირის მოწდე (ღვინის მოწდე?) ტოხასძე ძუელთაგან მკვდრი მცხეთის შვილი იყო... (მაგრამ ჟამთა კითარებისაგან) შეცვლოდა... და... ახლად შემოგწირეთ... მამულითა... ქკზ̃ო მიქაელ (მიდოცეო) ...ესე საქმე მის ჟამისა შედეგად ვიწყე, ოდეს მძლავრი იგი და დიდისა ულუსისა პატრონი... თემურ წარმოემართა აღმოსავალით კერძო ქუეყანით სამარყანით და მრავალნი თემნი და ქუეყანანი ოკერ-ყვნა.... ეკლესიანი დააქცივნა და... მცხეთა დააქცია ჩუენისა პატრონობისა და მეფობისა უწინარეს, სხუათა მეფეთა ჟამთა შიგან; და მე მეფეთა-მეფემან ალექსანდრე ო ც-დ ა-ო რ ი ს ა წ ლ ი ს ა მ ა ნ სურვილით და წადიერად კელ-ვყავ შენებად საყდრისა მცხეთისა... ღთ̃ო... მტკიცე ყავ საწადელი ესე ჩემი;— და ამავე ჟამსა დაიდგინა პატრიარქად... ქკზ̃ი მიქაელ, რომელმან მრავალი. ილუაწა და ვიდრე დასრულებადმდე საყდრისა ამის ილუწის შენობისათუის და სრულქმნისა და ამასვე ქკზ̃სა მიქაელს შევვედრეთ ჩუენ მიერი სურვილი— საწადელი ძე ჩუენი მონაზონი დავით... (მის) მიერვე კელდასხმულ იქმნას... დაიწერა... ინდიკტ. მეფობას ჩუენისასა მეშვიდესა: ქ̃კსა: რზ: სეკდემბერსა :ი: კელითა... დემეტრე მარკოზისშვილისათა". მერე ხვეულად დამტკიცებულია მეფის ალექსანდრეს მიერ.

შეადარეთ ეს სიგელი ზემო დაბეჭდილს 1419 წლის ქვეშე (გვ. 217).

**1420 – 1428** წლებშუა არის დაწერილი სინოდ. კანტ. სიგელი, მხედრულად ქაღალდზე დაწერილი, № 250, რადგან ამაში მოხსენებული მიქელ კათალიკოზობდა 1420—1428 წლებში. ამ საყურადღებო სიგლის შინაარსიდამ საგულისხმებელია, რომ XIV საუკუნის დასასრულს და XV-ს დამწყებს სამცხე-საათაბაგოში შესუსტებულა ერთად პოლიტიკურ დამოკიდებულებასთან ეკლესიური კავშირიც მცხეთასთან და საათაბაგოს ეპისკოპოსნი ანტიოქიის საპატრიარქოს მიმხრობიან, ალბათ ათაბაგთა პოლიტიკურ მიდრეკილების გავლენის ქვეშ; მაგრამ რაკი მეფე-ალექსანდრე I-მა დაიმორჩილა საათაბაგო (1415 წლის ახლო ხანებს), ეკლესიური ერ-

თობაც მცხეთასთან განსხლებულა. ეს სიგელი დ. ბაქრაძეს შემოკლებულად და შეცდომებით ჩაურთავს თვისს ვახუშტის ისტორიაში (გვ. 286; გ) და ჰხადის მე-XIV საუკ. საბუთად.

„ქ... ესე წიგნი გკადრე ჴ მოგაჴსენე შენ წ͠ასა ჴ ქ͠ეს მიერ კურთხეულსა მღრდელთ-მთავართა მთავარსა ქართლისა კათალიკოზსა მიქაელს; (გ)კადრეთ და მოგაჴსენეთ, მოგაჴსენეთ (bis) მას ჟამსა, ოდეს მცხეთას მოვე (sic) და მაკურთხეთ. აწ ესე წიგნი მე მაწყრელ (მაწყვერელ) მთავარებისკოპოსმან გერასიმე (გ)კადრე და მოგაჴსენე და ვინც შემდგომად ჩემსა სხუანი მაწყუერელნი იყვნენ და საყდარ-შვილნი, როგორც ამას წინათ მეფეთა მლოცავნი და თქვენნი მომჴსენებელნი და ერთგულნი ყოფილან, ამავე წესითა მეფეთა მლოცავნი ვიყვნეთ და თქვენნი მომჴსენებელნი ვიყვნეთ: არც პატრიარქი მოვიჴსენოთ ანტიოქიისა, არც მისგან გამოგზავნილი კაცი შევიწყნაროთ, არც ვარძიის დიაკონი ვაკურთხოთ *). და ვინც ამა თემსა ანუ სხუაგან შეაჩუენოთ, როგორაცა თქვენგან ნაკურთხევსა გუმართებს, აგრე შევაჩუენოთ; და ვისცა შენ სწყალობდეთ, ჩვენც მისნი მლოცველი ვიყუნეთ. ესე პირი ჩვენგან ასრე გაგითავდეს—მამამან, ძემან და სულმან წმიდამან და მაწყუერლისა ღ͠თისმშობელმან! და თუ ესე ასრე არ გაგითაოთ ჩვენ და შემდგომად ჩვენსა სხუათა აწყურისა ებისკოპოსთა და საყდრისშვილთა, შენისა კურთხევისა წილ წყევასა ქუეშე ვიყუნეთ, კათოლიკე ეკლესიისაგან განვეყენოთ, ვითარცა ურჩი და ძუირის მოქმედი. და ვინცა ანუ ჩემმა სამწყსომან შეიწყნაროს, ანუ სხუამან კაცმან, იგიმც კაცი კრულია პირითა ღ͠თისათა ცათა შინა და ქვეყანასა ზედა; და არცა-ოდეს რაიფერი კბული (კუებული) დაგაკლო. საფარის სამწყსო, თვნიერ შენისა ბრძანებისაგან კიდე, არა ვაკურთხო“. სხვა ხელით: „მე მაწყურელი გერასიმე ამა დაწერილისა გამთავებელი ვარ, ამა წმიდათა მადლმან“.

**1423** (459 წ.)—ქკს: რია: აქა დაწყება ბერძენთა ქრონიკისა (წ͠ა ნიკოლოზის ქრონიკა).

აქ იგულისხმება მე XI მოქცევა (და არა მე-XIV), ე. ი. 111+248=359 წ. (იხ. ამაზე ჩემი „ქრონიკები“, წ. I, 891 და 892 წიგნი ქვეშე).

**1424** წ.—ქკს: რიბ: აქა ჯანშან ყაენი ახალციხეს მოუხდა (ჩხეიძის ქრ.— სხვა ქრონიკა ამ ამბავს დასდებს 1425 წ. იხ. ქვემო).

ეს ცნობა არ იპოვება ჩვენს მატიანეში და ესეც ახალი საბუთია იმისი, რომ ალექსანდრე I სახელოვანი მეფობა ქ-ცხბაში დაჩრდილულია და შემდეგს დროებაში შეკონკილი თითო-ოროლა ცნობათაგან.

---

*) კარძიის მონასტერი ეკუთნოდა მცხეთას და ამისგამო მხოლოდ მცხეთელ კ͠ზებისგან უნდა კურთხეულ იყვნენ იქაურნი მღვდელ-ბერ-დიაკონნი.

**1424** წ. მცხეთის სიგელი ქაღალდზე მხედრულად დაწერილი № 57 (ნუსხა: სნზ: იხ. აგრეთვე ნუსხა № :სკგ:):

..ხახულისა და ვარძიისა ღ̃თის მშობელო!... ჩუენ განმაერთებელმან ლიხთ-იმერისა ღ̃ ლიხთ-ამერისამან ორთავე სამეფოთა ტახტისა... მპყრობელმან... მეფეთ-მეფემან ალექსანდრე და თანამეცხედრემან ჩუენმან... თამარ და ძეთა ჩუენთა... და ნებებითა თქუენითა წყალობა-აურაცხელითა ღ̃თისა საყდრისა დედაქალაქისა მ ც ხ ე თ ი ს ა პ ა ტ რ ი ა რ ქ ა დ გ ა ნ მ ზ ა დ ე ბ უ ლ მ ა ნ მ ო ნ ა ზ ო ნ მ ა ნ დ ა ვ ი თ, ვახტანგ, დიმიტრი და გ̃გი... აჰაესერა დღეს ბრწყინვენ ოთხნივე კედარნი სამეფოჲსა ჩუენისანი ღ̃ შეწევნითა ღ̃ წინამძღუ-ანელობითა ძელისა ცხორებისათა აგარის ნათესავნი მტერნი... სამარადისოდ ლტოლვილ და უკუნ̃ქცეულ არიან... შევსწირეთ (სამადლობელად) გარესჯისა ორივე უდაბნო და ს̃დ გარეჯისა სახლი... უნაკლულოდ... (თავისის მამულებითა და შესავალ-გამოსავლითა) მცხეთას და თქუენ წ̃ასა... ქკზ̃სა მ ი ქ ა ე ლ ს და თქუენ-მიერ აღზრდილსა და კზ̃ად... განმზადებულსა და ჩუენ-მიერ სასუ-რველ საწადელსა ძესა ჩუენსა მონაზონსა დავითს... ამა გარეჯისა სახლისა სამუფქოდ დაგუიდევით და მოგუეცით თქუენ... კზ̃მან მიქაელ ატენს მონასტერი სიონი (მისის მამულებითა და გლეხებითა და ხერკის-ხევს გლეხნი)... დაი-წერა... ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეათორმეტესა ქკ̃სა ა ს დ ა თ ო-რ მ ე ტ ს ა, იანვარსა :ვ:... კელითა... სეფის მწიგნობრისა დემეტრე მარკო-ზისშვილისათა... (ამ წყალობისთჳს მეფეს ადაპი გაუჩენია თავისთჳს). ხვეულად: „ალექსანდრე“ და შემდეგ ხელის-მოწერა: „მე დედოფალსა თამარს დამიმტკიცებია“.

**1424** წ.—მეფე ალექსანდრე და ძენი მისნი—ვახტანგ და დიმიტრი აძლევენ სიგელს (ნუსხა მცხეთისა, № :ყზ: და № 507): „შემოგწირე მცხეთას და... ქკზ̃ს ელიოზს (sic)... ატენისხევს სიონსა უკანით ზუარი“...

რადგან 1419 წლიდამ ქკზ̃ად იყვა მიქელ, ამისგამო უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ანუ არეულია ქორონიკონი და ანუ ელიოზ, კათალიკოზობიდამ გადამდგარი 1419 წელს, ცოცხალი ყოფილა 1424 წელსაც.

**1425** წ.—ქ̃კს: რიგ: კოსტანტიპოლი დაიპყრეს თათართა. ამავე ქ̃კს ანშა ყაენი მოვიდა სამცხეს (ჟამნი № 2).

კოსტანტინეპოლის აღება იყო 1453 წ. და არ ვიცი, რა უნდა იგულისხმებოდეს აქა (იხ. 1444 წ. ქვეშე). ხოლო ანშა-ყაენისგან სამცხის მორბევა იხ. 1424 წლის ქვეშე)

**1425** გუჯარი № 20 (ნუსხა №: სდ:), ქაღალდზე მხედრულად ნაწერი, რომელიც მიცემულია დავით-მეფისგან (?) და დაწერილი ცნობილის კლიმი კაკლაჩაძეს ხელით, მე-21 წელს მეფობისასა (დავითისასა ?), კზ̃ის თეოდორეს დროს (თეო-

დორე იჯდა 1430—1439 წ.); გუჯარს ამტკიცებს მეფე ალექსანდრე (ბეჭედი) და მეფე დავით. ამ მიზეზების გამო გუჯარი საეჭვოდ მიგვაჩნია: კაკლაჩამე და გზ̃ი თეოდორე ცოცხალნი არ იყვნენ დავითის მეფობაში და არც 21 წელი ალექსანდრეს მეფობისა უდრის 1425 წ. (სოლო 21 წელი დავითის მეფობისა მოდიოდა 1526 წ.); არც დავით მეფეს ყავნდა შვილები კასტანგ და დიმიტრი (ესენი იყვნენ ძენი ალექსანდრე I-ისა). ცხადია, რომ გუჯარი ანუ ყალბია და ანუ ალექსანდრე-მეფის დროინდელი გუჯარი ხელ-ახლა დაუმტკიცებიათ დავითის მეფობაში და ამის გამო წინანდელი (1425 წ.) და მერმინდელი (1525 წ.) წლები და ამბები არეულა.

მეფე დ̃თ და ძენი კასტანგ და დიმიტრი სწერენ: „. . . წინამძღურობითა ძელისა ცხოვრებისათა მტერნი... ჩუენნი სამარადისოდ ლტოლვილ... არიან... მოძღუარსა კ̃ზს თეოდორეს მოგაკსენეთ ლორეს სოფელი ამუჰი (წინეთ შეწირული და აგრეთვე სოფელი დირსი, ძველად შეწირული, წყარო-მრავალი, მარმაშენს ახლო, ასფარავანი და ფოკა ფარავანის ტბასთან)... თარხნად, არა ეთხოებოდეს: არ სამეჯინიბო, არ სახორსარილო... დაიწერა... ქ̃კსა :რიგ: (sic) ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა (ალექსანდრესსა?) :კა: კელითა... კლიმი კაკლაჩაისძისათა“. მერე სხვუდად: „მეფეთა მეფე დავით ვამტკიცებ ნებითა ღთისათა ა̃ნ“. და იქვე აზის ბეჭედი წარწერით: „მეფე ალექსანდრე“.

**1426 წ.**— ჩვენ ხელთა გვაქვს მთავრობისგან დამოწმებული პირი ძველის სიგლისა, ღერბიანს ქაღალდზე გადაწერილი ამ საუკუნის დამწყებს. სიგელი მიცემულია ალექსანდრე I-ისგან მე-13 წელს მისის მეფობისას, ე. ი. 1426 წელს ზედგინიძე·ამილახორთადმი, რომელთაგან ისტორიაში ცნობილია მარტო თაყა (ის. 1433 წ.). სხვათა შორის მეფის ძე დავით აქ მოხსენებულია ქათალიკოზად, თუმცა სხვა სიგლებში იგი პირველად შეგვხდება კათალიკოზობით 1428 წ.

ქ. ჩუენ მეფეთა მეფისა ალექსანდრესგან, დავითიან ბაგრატონიანისა, და თანა მეცხედრისა ჩუენისა დედოფლისა თამარისგან, და ძეთა ჩუენთა ქათალიკოზისა და[ვით]ისგან, ვახტანგ, დიმიტრი, და გ̃გისგან, ნებითა ღ̃თისათა, აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შანავ-შარვანშე, და ყოვლისა საქართველოსა და ჩრდილოეთისა და ლიხთ იმერისა და ლიხთ ამერისა, აღმოსავლეთ-დასავლეთამდის თუით-ფლობით მტკიცედ მპყრობელისა.— მოვიდეს წინაშე ჩუენსა ჩუენნი დიდად ერთგულნი და თავდადებით ნამსახურნი ზერდგინისძენი, გორის მოურავი და ეზოს ჩუხჩარეხი ავთანდილ, ზერდგინ და თაყა, გუეაჯნეს, რათამცა სიგლითა ამით შეგუეწყალნეს, და ვისმინეთ აჯა მათი და მიუბოძეთ ქარუმისძე ქავთარ და მისი შვილი და მომავალნი სახლისა მათისანი, მათითა მამულითა, საჯდომითა, სახლითა, ყანითა, ვენახითა, წყლითა და ბარითა, საკმრითა, და უკმრითა, მისითა სამართლიანითა, ერთობ ყუელაითა სამკუიდროდ სამამულოდ და უცილებლად ყოვლისა დაბადებულისაგან მოგვიცემია ქარუმისძე ქავთარ და მისნი შვილნი, თქუენ ზერდგინისძეთათვის ავთანდილისთვის, ზერდგინისთვის და თაყასთვის, ვერავინ და-

გეცილოს ქარუმისძესა ქავთარს მისთა შვილთა და მომავალთა და რასცა დღეს მქონებელი არის ვერას ჟამისა შემოსრულობისათვის ვერასა ჟამსა შიგან ვერა, და თუ ვის რა ამა ჩუენგან ბოძებულისა წიგნი და ნიშანი აქუს, ყუელა ამა სიგლითა გაგვიცუდებია, და მტკიცე ესეოდენ არის, კელმოხსნით და ყოვლისა დაბადებულისაგან უსარჩლელად მოგუიხსენებიან, თქუენ ზერდგინისძეთა ავთანდილისთვის ზერდგინისთვის და თაყასთვის, ქარუმისძე ქავთარ და მისნი შვილნი, მათითა მამულითა და საქონებლითა ყუალათა (ყუელათა), და არავინ გვიბრძანებია მშლელ და მაქცეველი მტკიცედ ბოძებულისა ამის ჩუენისა, არცა მეუნებლე, მავნე და დამაკლებელი.—აწ ვინცა ნახოთ ბრძანება და სიგელი ესე ჩუენი შემდგომად ჩუენსა მომავალთა და დედოფალთა, ერისთავთ-ერისთავთა და კარისა ჩუენისა ვაზირთა, მოსაქმეთა, მეჯინიბეთა, მერემაეთა, მეულუფეთა, პურისა და საკლავისა მკრებელთა, ტყისა მპა[რა]ვთა (?) (მცველთა?), მეულაყეთა, მემეძებრეთა, მესაბანჯრეთა და ყოველთავე კარით ჩუენით წარვლენილთა მსახურთა, დიდთა და მცირეთა დაუმტკიცეთ ღ ნუვინ უშალავთ მტკიცედ ბოძებულსა ამას ჩუენსა და ნურცარასვინ დააკლებთ ნუ დიდსა და ნუ მცირესა თვინიერ შეწევნისა და თანა-დგომისაგან კიდე. — დაიწერა ბ̃ბა (ბრძანება) და სიგელი ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისასა ი̃გ, კელითა კარის მწიგნობრისა ჩუენისა კლიმი კაკლაჩასძისათა, რაცა მისის ძმისა ჩხუტელასაგან მამული [ჰქონებია], მითა მამულითა მოგვიცემია მკვიდრად და სამამულოდ". აქ ხელჩართული ყოფილა მეფის ალექსანდრესგან და შემდეგ ხელმოწერილია:

„მე ვახტანგს დამიმტკიცებია", „მე დემეტრეს დამიმტკიცებია".

**1428 წ.**—„ქ̃კს :რივ: - - - აოტა" (ეს წარწერა ეკ. მუზ. ხელნაწერისა № 85, თითქმის სრულიად გადასულია. აქ უნდა ყოფილიყოს აღნუსხული რომელიმე გამარჯვება ალექსანდრე მეფისა მტრებზე).

**1427** ანუ **1428 წ.**— მცხეთის ნუსხაში № :ლტ: ჩაწერილია გუჯარი:

„... ჩუენ... მეფისა ალექსანდრესგან და... დედოფალთა დედოფლის თამარისგან (და ძეთა მათთა: ვახტანგ-დემეტრე-გიორგისგან)... კ̃ზი თეოდორე გუჲაჯა... და დავანებე მცირე ესე მამული... გორგელაძისძე მისითა მამულითა, ეკლესიითა, სასაფლაოთაჲ... ამას აქათ აბულახტრის მამული სრულიად ეკლესიითა, სასაფლაოთაჲ (იხ. 1433 წ. ქვეშე)... წირს გორგელისძე დათუა... მკუიდრად სამამულოდ... ქ̃კს :რიე: (1427 წ.) ინდიკტიონსა მეფობისა ჩუჲნისასა :იე:" (ე. ი. 1428 წელს).

რადგან 1428 წ. სჩანს ქ̃კზი დ̃თ, ამისგამო ჩვენ გვგონია, რომ ეს გუჯარი მიცემული უნდა იყოს 1428 და არა 1427 წელს (იხ. 1428 წ. ქვეშე).

**1428 წ.**— თფილისის ოლქის სასამართლოში, გამაჯნვის კომისსიის გან-

ყოფილების, სახელდობრ საქმეში: „Дѣло о размежеванiи дачи Сагареджо, ჩართულია გუჯარი, თჯთ-ასლი, № 5 (მისი პირი იხ. მცხეთის ნუსხაში № :სკდ: და 507).

. . . . ღმერთო... რომელმან უმჯობესი წინასწარ განიგულვე ჩუენთჳს და მოგვეც ჯუარი შენი უძლეველი საძლეველი და ყოვლად ძლიერი... ეჰა სუეტო ღთივ დიდებულო... (ქ. ი. მცხეთა), რომელი აღყუანებულ იქმენ ზეცად ანგელოზთაგან და კუალად გამოგვიჩნდი მხდომარეთა ბნელსა შინა და დაემყარე შორის ცასა და ქუეყანასა, დაიწყე დენად მირონსა მას ღმერთ მყოფელსა, რომლისა მიერ განქარდეს და დაეცნეს და შეიმუსრნეს და დაჰბნივნეს და განილინეს კელნი საძაგელნი და ბილწნი კერპნი არმაზ-ზადენი და მოოკრდა ყოველი შენებულები, დაიქცეს და იავარ იქმნეს ყ̃ლნი ბომონნი, ბაგინნი, საზორველნი და სამსახურებელნი მათნი და აღეშენნეს მათ წილ სახლნი ღვთისანი, ტაძარნი დიდებისანი და საყდარნი სამეუფონი, რომელსა შინა მკვიდრ არს კუართი საუფლო, ზეგარდამო ქსოვილი, შეღებული სისხლითა მით საუფლოთა... მე მინდობილმან და მოქენემან შეწევნათა და ცვა-ფარვათა შენთამან, თქუენ-ძლით მპყრობელმან მეფობისამან... ნებითა ღ̃თისათა აბხაზთა, ქართველთა, რანთა ꟈ სომეხთა, შარვანე და შანშე და ყოვლისა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთისა სამანთა ꟈ კედართა თჳთ-ფლობით კელმწიფედ მპყრობელ-მქონებელმან, მეფეთ-მეფემან პატრონმან ალექსანდრე და თანამეცხედრემან ჩ̃ნმან დედოფალთა დედოფალმან და პატრონმან თამარ და ძეთა ჩუენთა კახტანგ, დიმიტრი და გ̃გი და ზაალ კელვყავ და გულსმოდგინედ ვიწყე ძიებად, რათამცა მცირედითა რათამე და უნივთოთ-ნაღუაწითა გუემსახურა ჩუენისა საპატრიარქოსა საყდრისა დედა-ქალაქის მცხეთისათჳს ꟈ მას შინა ღვთივ აღმართებულისა... სუეტის ცხოველისა(თჳს)... ვიგულსმოდგინეთ და შევსწირეთ და მოვაკსენეთ საგარეჯო მთასაქათი ꟈ მთას იქითი სოფლები: ორკოშინი, ბერთუბანი, თუალნი, გიორგი-წმინდა, ტაზრები, არივლი, ვერენა, კეხთა, თოლეჯი, ხუდაშენი, ვანთა, ვაკურა მისითა უდაბნოთა, კალაური, ნაპირა, ჯიმითი, ხუდაშენი და ვეძისკევი სრულად და უვნებლად მათითა მზღურითა, მთითა, ბარითა, საკმრითა, უკმრითა, საძებრითა და უძებრითა. ჩუენთა პაპათა ꟈ ნათესავთაგან გამართულნი უდაბნონი გარესჯისანი ჟამთა ვითარებითა აგარიანთ კელისაგან მოშლილ იყო და ჩ̃ნ ვითარ გუმართებდა ეგრეთ ჯერ ვიჩინეთ და სანაცვლო მამული დავიპირეთ ꟈ თქუენ საგარეჯო მოგაკსენეთ და დაგიმტკიცეთ წინათვე წინასწარმეტყველთაგან მოსწავებულსა ქრისტეანეთა განმანათლებელსა ახალსა იერუსალიმსა კათოლიკე საყდარსა ... და თქუენ... ქართლისა კათალიკოზო დავით! ნუცა დავიწყებულ ვიქმნებით თქუენმიერ მსხვერპლშემწირველობათა შ̃ა თქუენთა... (წყევა)... დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა :გ: (უნდა იყოს :იგ:) კელითა სეფიისა მწიგნობრისა დემეტრე მარკოზიშვილისითა ქ̃კს :რივ: იანვარს ;კა:“

ქორონიკონს 1428-ს არ უდრის მესამე წელი ალექსანდრეს მეფობისა, თუმ-

ცა ასლში და ნუსხებში ერთგვარად სწერია. კ~ზი დავით, მეფისძე, პირველად აქ სჩანს ამ ხარისხით. აქ შესანიშნავია ისიც, რომ ამავე 1428 წ. ანუ 1427 წ. პირველადვე სჩანს კ~ზი თეოდორე. ნუ თუ ეს იმისი მომასწავებელია, რომ დავით გადამდგარა ანუ მომკვდარა (1428 წელს?).—თეოდორეს შემდეგ (1439 წ.) სჩანს კ~ზად შიო 1443 წლამდი და მერე ისევ დავით (სხვა).

**1428 წ.**—ამ წლის ახლო ხანებს არის დაწერილი მცხეთის სიგელი, ქაღალდზე კარგის მხედრულით დაწერილი № 127 (ნუსხა № რპზ), რომელშიც მოხსენებულია ქაჩიბასძე ბარათა (ამისგან წარმოსდგნენ ბარათაშვილნი, იხ. 1459 წ.), ქ~კზი დავით და ძე ბარათასი დავით.—რომ აქ მოხსენებული ქ~ზი დავით არის მეფის ძე და არა მეორე დავითი, რომელიც სჩანს შემდეგ 1451—1479 წლებში, ეს ცხადია იქიდამ, რომ სხვა მცხეთის გუჯარში (№ 167) ამ ბარათა ქაჩიბაძის შვილი დავით (ქ~კზის დავითისავე დროს და მაშასადამე 1451—1479 წ.) მოიხსენიებს რა ამ სიგელს (№ 127) და თვისს დედ-მამასაც მკვდრად, ამ გუჯარს უწოდს „ძუელ სიგელად“ (იხ. 1459 წ. ქვეშე). ამ ნაირად ცხადია, რომ ბარათა სცხოვრობდა 1428 წ. ახლო ხანებში; ხოლო მისი შვილი დავით—1459 წ. მით უმეტეს უცხოა და შეუწუნარებელი ჟურნალს „მოამბეში“ დაბეჭდილი გუჯარი („საქართველოს სიძველენი“, გვ. 67), რომელშიც ბარათა მისის ცოლით თინათინით და ძით დავითით მოხსენებულნი არიან ქ~კს :რმთ: (1461), „დიდის მეფის ალექსანდრეს დროს“. არც კ~ზი დ~თ I და არც მეფე ალექსანდრე I ცოცხალნი არ იყვნენ 1461 წ. და ცხადია, რომ ზემო-ნაჩვენები ქ~კნი ტყუილია. ასლში იქნებოდა ქ~კნი :რით: და არა :რმთ: ამ გვარი ქრონოლოგიის არევა «საქართველოს სიძველეთა» გამომცემელთაგან იხ. კიდევ 1460 და 1478 წლებს ქვეშე.

„ქ.... ესე.. წიგნი... მოგაკსენე თქუენ.. (მცხეთას) და.. ქ~კზს დავითს მე ქაჩიბასძემან სალაროს მოლარემან ბარათამან და მეუღლემან ჩუენმან პატრონმან თინათინ და ძეთა ჩუენთა: დავით, გერმანოზ და ლაპამან... მოგაკსენეთ (მცხეთას) ჩუენი მკუიდრი მამული, მოუდევარი და უსარჩლელი:.. სომხითს სოფელი ყორანთა... დიის ველი ძუელითგან განსაზღრული იყო და მოლიო შემოვლის (sic) რატევნის ჴალითა, რასაც წისქუილნი და ზემო დიდნი მუხანი გამოიტანებენ მას ქუემოთ და წისქუილიცა თქუენ დაგრჩეს. ველკეთილისავე რაც რუსა ზეითი და ურწყავი არის, სამანი ჩავსუით... თქუენ (კ~ზმან) გაგუიკეთეთ (გაგვიკეთეთ?) ორი დღე ალაპი... მე სალაროს მოლარესა ბარათასა და მეუღლესა ჩუენსა პატრონსა თინათინს“...

ბოლოს ცუდის ხელით: „ქ. მე უღირსი და ცოდვილი ბარათა ამისი გამთავებელი ვარ“.—„ქ. მე უღირსი და ცოდვილი თინათინ ამისი გამთავებელი ვარ“.—„ქ. მე უღირსი და ცოდვილი დავით ამისი გამთავებელი ვარ“.

**1428—1430 წ.** შემოგვაქვს აქა თოფურიძეთა სიგელი, დაბეჭდილი „ივერიაში“ 1891 წ. № 213 ბ. თაყაიშვილის-მიერ განმარტებით. სიგელი დაწერილია ტყავ-

ზე, მხედრულად (სიგრძე $2^{1}/_{8}$ არშინი და განი—$5^{1}/_{2}$ გოჯი), თავი სიგლისა გა-დასულია.

სიგელი მიცემულია მეფის ალექსანდრეს მიერ და მასში მოხსენებულნი არიან ათაბაგი ივანე (1391—1444) და კზ˝ი დავით, რომელიც ჩვენს საბუთებში სჩანს 1426—1430 წლებში, და ამით საგულისხმებელია, რომ სიგელი უნდა იყოს მი-ცემული მეფე-ალექსანდრე I-ისგან 1426—1430. მაგრამ ამ სიგელს ბევრი ნიშნე-ბი აქვს იმისი, რომ იგი ანუ ყალბია და ანუ იმერთა მეფეს ალექსანდრე II-ს უნდა ეკუთნოდეს: 1) ქორონიკონი უწერია 968, რაიცა სრულიად არ იხმარებოდა ქარ-თულს მწერლობაში; 2) მასში მოხსენებულია მაწყვერელი სვიმონ, რომელიც ცხო-ვრობდა ყვარყვარეს-ძის მზე-ჭაბუკის დროს და მაშასადამე მე-XV საუკუნის დასა-სრულს, როდესაც მართლა კათალიკოზობდა დავით III (1447; 1472; 1451; 1488 წლებში), 3) მანუელ 1534 წელს დადგენილ იქმნა ნიკორწმინდელად და შეიძლება იგი წინედ იყო ქუთათელი; 4) აქ მოხსენებულნი ეპისკოპოსნი და ციციშვილ-ბარა-თიანნი არც ერთს ჩვენგან ცნობილს საბუთებში არ სჩანან.

ყოველს შემთხვევაში სიგელს იურიდიული მნიშვნელობა მაინც არ ეკარგება და ამის გამო ვბეჭდავთ ისე, როგორც დაიბეჭდა „ივერიაში", თუმცა დარწმუნებულნი ვართ, რომ მართლ-წერა დედნისა არ არის დაცული „ივერიის" გამოცემაში (ხმა-რება ასოთა: ჵ, ჳ, ჷ (ვ-ინის მაგიერ) და სხ..

„...ძისა და... სოლომონიან დავითიან ბაგრატოვან მეფისა ალექსანდ-რეს... შარვანშა... მრავალთა.., ლიხთ-ამერთა და ლიხთ-იმერთა... ორთავენ: ოქროს ტახტზედ მჯდომარისა: და ღმრთივ გვირგვინოსანისა:. და ყოვლისა ხმელეთისა მპყრობელობითა მქონებელისა მეფისა ალექსანდრეს. წინაშე: მო-ვიდეს ჩუენთა: დროულთა: კართა: ზედა. ერთგულნი და: დიდად. ერთგუ-ლად: ნამსახურნი: თოფურიძენი: კაცი: ბერი: შერგელი: გიორგი:. იოვანეს (sic) მას:. ქამმსა: ოდეს: ერთი. ჯორის ცალისა: ალნე ზანდუკი:. ოქრო: და: ვეცხლი: ცხენის. წყალმა წამართვა: და კაცი ბერი მოპირჩინა და ჩუენ: არა:. ვიცოდით და კაციბერმა მომართვი იმა: ერთგულობისათვის: გვიაჯნეს:. და (დავად)გინეთ: გამოიღეს სიგელი: და. ძველთაც წმიდა: აზნაურის: შვილნი: ყოფილყნენ (sic); ვქენით: მოკითხული: და ტახტისა აზნაურისა შვილნი: გა-მოვიდენ:. ვისმინეთ:. აჯა: თქვენი: მოვიკითხეთ: ძველი: და ახალი:. თქვენისა გვარისა. ვითარაობა: და: ერთობ: წმიდა: აზნაურის:. კაცნი: გამოვიდნენ. სა-მონასტრო: საურითა: და: მისი შემავალითა გლეხებითა:. სამოსასახლითა:. სა-ჯვარითა გარეთ: და შინითა: ბევრის: ყმითა: სათიბითა. ტყითა: ველითა:. სა-თევზითა: ყოვლის:. ფერითა: წმიდა აზნაური: კაცი: გამოვიდა:. მართლით:. განაბჭობი:. სისხლი. გაუჩინეთ: თოფურიძეთა:. დიდისა:. და: მცირესა:. სამას: სამოც-და: ხუთი:. ათასი ძველ:. კირმანეული: დაგეურვებოდეს: სისხლი:. არა: ვინ:. კადრებულა თუ:. ვისმენ: ეშმაკისა:. მანქანებითა თოფურიძისა: გუარი-სა:. კაცი: მოკლას:. ექსასი (sic): ასი:. ათასი: ძველი: კირმანეული: დაგიუ-

როს სანახშირო და ცხრა: ასი: ათასი:. (თეთრი)[1]):. და მას:. გარეთ: ათი მე-
ხადილე: (მესადილე?) გლეხი:. თეთრი:. ჯორი:. ვეცხლის:. იარაღითა მეჯინი-
ბითა:. თეთრი:. ქორი:. თეთრი:. მეძებარი:. მისითა ბაზიარითა:. დაგეუროს.
ვინცა: სახლად: დაგესხას: დაგწვას: ალაფი: წაიღოს: ნახევარი:. სისხლი: და-
გეუროს:. ვინც: ცოლი:. გაგიუპატიოს: ნახევარი:. სისხლი დაგეუროს:. ვინ-
ცა:. გვარისა:. ქალი: დაგიგდოს:. ანუ:. სახლის: შვილი: მოგიკლას:. ნახევარი:.
სისხლი: დაგეუროს:. ვინცა: გრძნეულობა: გითხრას: მართალი: გამოხვიდე:. ნახ-
ევარი:. სისხლი: დაგეუროს:. ვინცა ექსთა (sic): ასოთაგან: ერთი: დაგიშაოს:. ექ-
სი: ათასი: კირმანეული: დაგეუროს:. ოცი:. ათასი:. თეთრი:. უზღოს: ვინცა:
კბილი:. ამოგიგდოს: ნახევარი:. სისხლი:. დაგეუროს:. ვინცა:. მესადილესა
გიცეს:. ანუ: მწყემსსა:. ნახევარი:. სისხლი:. დაგეუროს:. ვინცა: ბაზიარსა:
ანუ: მეთევზურსა: გიცეს:. ვითარცა:. შეგვანდეს: აგრე:. სამასი:. ათასი: კირ-
მანეული:. დაიუროს: სხვა: ნაძარცვი:. ნაკოდი: გზასა ნაძარცვი:. ამა:. სი-
გელსა:. და:. იადგარსა:. დახედოს:. მის: მისითა:. წესითა:. დაგეუროს. ვინ-
ცა:. ყანასა:. დაგესხას:. და გიომოს:. თუ: დაიკოდოს:. ნახევარი: სისხლი:.
დაგიუროს:. თუ მოკდეს:. სრული:. სისხლი:. დაგეუროს:. ამისნი:. მოწამე-
ნი:. არიან:. თავად ღმერთი:. და კაცთაგან:. ასპალარი (sic):. ივანე:. ათაბა-
გი:. ერისთავთა:. ერისთავი:. მანდატურთა:. უხუცესი:. დადიანი:. სვანთა:.
ერისთავი:. გურიელი:. ფარიჯანიანი: ელაშერ ელაშერი:. ჰილაძე:. ამირეჯი-
ბი:. ავჯაშერ:. ციციშვილი დავით:. სხვანი:. ჩუენი:. კარისა:. ვაზირნი:. ში-
ოშ:. ფალავანდის:. შვილი:. ფარნაოზ:. ფალავანდის:. შვილი:. ბაგრატ:. ბა-
რათა:. შვილი:. თაიმურაზ:. ლაშის:. შვილი:. მამის:. მამა კუჰეიძე ყელ:
გრძელი: ჩხეტიძე:. გიორგი: ერის: თავი:. კახაბერი: ლომინაძე:. როსტომ:.
ჩივჯავაძე:. ხაფილანდრო ლოლაბე:. ლომინი:. მიქელაძე:. ფანუელ ლაფიცხუ-
ძე. საყან:. მაჰუტაძე:. დემეტრე: ბერიძე:. ლომინი: მახაძე:. ჯოღერდი:. ჩლა-
ჩაძე:. მოსაით:. ჯარადაი:. ქორთოძე:. შამადავლა ლიპარტიანი:. ელ:: ბადურ
გოშოძე:. ულაშარ:. ამუნასკირი:. არღუნაი:. შარვაშიძე:. ალთუმიშარ:. ამჩა-
ბაძე:. თუმელდი:. ყუდუსაძე: აწე:. სხვანო:. კარისა ჩუენისა:. ვაზირნო:. და
ხელისა: მქონებელნო: მესტვირეთა:. მენალარეთა:. უხუცესნო:. მოლარეთა:.
და: ბაზიართა: უხუცესნო:. თქვენცა დაუმტკიცეთ: ბრძანება: და:. სიგელი:.
ესე:. აწე:. ქრისთეს (sic):. მიერ:. კურთხევით:. კურთხეულნო: ქართლისა:
ქათალიკოზნო: ლა: ებისკოპოზნო:. თქვენითა: ჯვარითა: თქვენითა: ომფორი-
თა: თქვენცა: ასრე: დაუმტკიცეთ: ლიხტიმერისა (sic):. ქათალიკოზნო: და:
ებისკოპოზნო:. თქვენცა:, ასრე:. დაუმტკიცეთ: ბრძანება: და: სიგელი: სვი-
მონ მაწყვარელო: მანუელ ქუთათელო:. დავით :ცხეთე-
ლო: ელია. ჰყოინდელო (sic): ბართლომე:. ცაიშელ(ო):. რომანოზ:. მოქ-
ველო. გრიგოლე:. ბედიელო:. საბა: ხობელო: ევდემოს: ცხეთელო: თევდო-

---

[1]) ეს სიტყვა დედანს აკლია.

რე:. ღრანდელო:. თქვენითა: ჯვარითა. თქვენცა ასრე დაუმტკიცეთ:. ბრძანე-ბა:. და:. სიგელი: ესე: დაიწერა: ბრძანება: და: სიგელი:. ესე:. ჟამსა: ალექ-სანდრე:. მეფობისასა:. ქორანიკონსა:. ცხრა:. ას:. სამოცდა:. რვასა:. თვესა: მაისსა:. აჩვიდმეტსა (sic):. ხელითა:. მდივნისა:. იოვაკიმისათა:. ამინ".

**1429 წ.**—ქ͠კს :რიზ: აქა სარკინოზობა შეიქნა (წ͠ა ნიკოლოზის ქრ.).

**1429 წ.**—ამ წელშია მიცემული ქაღალდზედ მხედრულად დაწერილი ორი სი-გელი მცხეთისა №№: 352 (ნუსხა :რნ:) და 356 (ნუსხა :ის:). თავი აკლია, მაგ-რამ უკანასკნელი სიგელი დაწერილია ინდიკტიონს :ივ: და მაშასადამე მიცემულია მეფის ალექსანდრეს მიერ (1413—16=1429 წ.); ხოლო პირველი დამტკიცებუ-ლია მისის ძის ვახტანგის მიერ.

- - - [ესე] წიგნი დაგიწერე ჵ გიბოძე შენ ურდოელსა, შენსა შვილსა სუმ-ბატს... ღვთივ გჳრგჳნოსანმან მამამან ჩუენმან ამისი იმედის წიგნი მოგცა თქუ-ენ ურდოელსა, რომელ რასაც მქონებელი დღეს ხარ, იგი თქუენს უკანით თქუენსა შვილსა და თქუენისა სახლისა მომავალთა დარჩეს... ჩუენც დაგიმ-ტკიცეთ... რასაცა დღეს ქალაქს მქონებელი ხარ... (სახლი, მამული და გლეხები) და ძაგნაკორანათა ლაფირისძისეული და ბაღდადური... და ანუ თუ ნასყიდი, და სალაროს მუშრიბობა შემდგომად თქუენ ურდოელსა უკანით თქუენსა შვილსა სუმბატს და შვილისშვილსა ვირშელს ჰქონდეს... ქ͠კს :რიზ: კელითა კლიმი კაკლაჩასძისათა". (შეადარე ზემო, გვ. 223—4).

ბოლოს ცუდის ხელით წარწერა: „მე ვახტანგსა დამიმტკიცებია".

**№ 352**: „- - - კ͠ზსა თეოდორეს ამა წესითა რომე არცა რა გრემის საქმე ედვას მას გუერდის და ვერცა რა მისთა - - - - საქმე დაიგდონ რატის და მისსა მამულსა . . . ტაირისშვილი რატი.. მომიკსენებია... მამულით... (და სხ.) ..დაიწერა ბრძანება და სიგელი ესე ქ͠კს :რიზ: ინდიკტ. მეფობისა ჩუენისასა :ივ: ...კელითა კლიმი კაკლაჩასძისათა. მალისაგან მეტი არაოდეს რა ეთხოე-ბოდეს".

**1429 წ.**—...ჩუჱნ მეფეთა მეფემან ალექსანდრე და თ͠ა-მეცხედრემან ჩ͠ნმან დედოფალმან თამარ და ძეთა ჩ͠ნთა ვახტანგ, დიმიტრი, გ͠ი და ზაალ... მოგაკსენეთ... სვეტიცხოველს... და მას ზ͠ა მჯდომარესა... კ͠ზს თეოდორეს... შემოგწირეთ ტაირიშვილი რატი მისითა მამულითა, სახლითა, მონასტრითა, სა-საფლაოთა, ყანითა, ვენაკითა, წყლითა, წისქვილითა, ჰალითა და სათიბითა ტყითა, სანადიროთა, მთითა, მზიურითა, საკმარითა და უკმარითა... არცა გრე-მისკევისა საქმე ედვას მასა გვერდისა და ვერცა რა მისთა განაყოფთა საქმე დაიდონ... თუ... რატის სიცოცხლესა შიგან შემოასახლოთ (კათალიკოზმან) ვინმე მათისა გუარისა კაცი დი ანუ... მისსა სიკუდილსა უკანით შეიყუანოთ ვინმე თქუჱნითავე ბუნებითა და დაასახლოთ მისსა მამულსა ზედა, სხუა ვერა-

ვინ რაჲ საქმე დაიგდოს... დაიწერა... ქ҃კსა :რიზ: ინდიკტ. მეფ. ჩ҃ნისასა :ვ: (უნდა: „იკ“) კელითა... კლიმი კაკლაჩასძისათა. მალისაგან მეტი არაოდეს ეთხოებოდეს რა. (ეს სიგელი არის ნუსხა № :იზ: ზემოჲსა № 352).

**1429** წ.—მოხსენებულია მეფე ალექსანდრე და დედოფალი თამარ (გუჯარი). სჩანს, რომ იაბორს ეკლესია ყოფილა და ერწოს მონასტერი ბოჭორმისა, წ҃ის არჩილის (?) სათვლავი (ჩემი უბის წიგ. II, 199).

**1430** წ.—ქ҃კს :რიჱ: შარუხ გამოჩნდა და სარკინოზობა იყო და ლორე ალიღეს (ვახუშტ ქრ.; შეადარე ზემო 1429 წ.).

**1430** წ.—მეფე-ალექსანდრეს შეუწირავს მცხეთის ტაძრისთჳს ოქროს ჯვარი, მარგალიტ-ნაწილებიანი წარწერით (უბის წ. II, 110).

**1430** წ.—ამ წლის ახლო ხანებში უნდა იყოს დაწერილი (მხედრულად) სიგელი მცხეთისა ქაღალდზე, № 103 (ნუსხა :ლე:): „ჩუენ... ზევდგინიძემან მოლარეთ-უხუცესმან თაყაჲ... მოვაკსენეთ (მცხეთას)... და ქ҃კზს დავით (1428—1430 წ.) ქუეში ეკლესიითა... გლეხებითა“... (აღაპი ლაზარობას: თაყა იხ. 1433 წ. ქვეშე და ზემო, გვ. 229).

**1431** წ.—ქ҃კს :რით: მეფე-ალექსანდრემ ლორე აღილო (კრება ლექსთა).

**1431** წ.—ქ҃კს :რით: მეფე(მან) ალექსანდრე ლორე აიღო (მიღასპირი იგორთისა, № 6).

**1431** წ. — ქ҃კს :რით: აქა მეფემან ალექსანდრე ლორე აღილო (ჩხეიძის ქრ.).
— ქ҃კს :რით: მეფემან ალექსანდრემ ლორე აიღო (Chron. G., გვ. 2; იხ. 1432 წ.).
ეს ამბავი მოხსენებულია გუჯარშიც (იხ. 1435 წლის ქვეშე).

**1431** წ.—ქ҃კს :რით: მეფე ალექსანდრე ამბერდს მოვიდა (ვახუშტ. ქრ).
შესანიშნავია ის, რომ ლორეს აღებას ვახუშტის ქრონიკა 1432 წ. დასდებს, თუმცა ქ-ცხბა (და სხვა ზემო დასახელებული ქრონიკებიც) ამ ამბავს გვიჩვენებენ 1431 წ. (გვ. 474).

**1431** წ.—სინოდ. კანტ. იპოვება მცხეთის გუჯრები: № 23 (და მისი ნუსხები №№ :იბ: და :ლგ:) და მეორე მე-XVII საუკ. ნიკოლოზ კზ҃ის ბრძანებით გადმოღებული პირი № :ლბ: უკანასკნელს სიგელს თავი აკლია. ორსავე სიგელში მოხსენებულია ქკზ҃ი თეოდორე და მაშასადამე ქკზ҃ი დავით 1431 წელს მკვდარი

ყოფილა. მეფე-ალექსანდრეს უკანასკნელის (მისის ძის დავითის) სულის მოსახსე-ბლად ალაპი გაუჩენია 1435 წ. (იხ. 1435 წ. ქვეშე).

- - - - „აურაცხელთა წყალობათა თქუენთა მოქენეობისამან და ვირჩივე მოვრდომად მაგას ღ̃თისა და მეუფისა ჩუენისასა და დამკვდრებად სამკვდრებელსა თანა სულკურთხეულთა პაპათა და მომავალთა ჩუენთათა და თქუენ მიერითა შეწევნითა და ძალმწეობითა კელვყავ უსჯულოთა აგარის ნათესავთაგან, ძრწოლით ძნიად სათქუთა თქუმადცა დაქცეულისა საყდრისა, სრულიად უნუგეშინისცემოდ განსრულთა, აწ ახლად განვრცომად და აღშენებად; და განსრულდა ნებითა თქუენითა ყოვლადვე უნაკლულოდ თავი ცათა მობაძავი საყდარი და შიგან ღთივ აღმართებული სუეტი ცხოველი და კუალად თქუენდა მოლტოლვილთა და შემავედრებელთა ჩუენთა მომავალთა და ჩუენი საფლავი და ვითარი ჯერ იყო ეგე ვითარითა თავი-საყდარი პატივითა და წესითა შევამკევ და ანგელოზთა სწორნი წმიდანი მონაზონნი და მღვდელნი და მრავალნი საკმარნი, მგალობელნი შევკრიბენ. და რომელ ძუელითგან შემკობილ იყო და წესნი და ალაპნი გაჩენილ იყუნეს და შესავალნი, წესნი და ქუეყანანი ჰქონდეს, მას ზედა შეუმატეთ და უფროსად განვავრცეთ და ჩუენთა საფლავთა ზედა მიმდემად მდგომნი მწირველნი და წლითი-წლად დაუვსებელნი კანდელნი განვაჩინენით..... და მოვაკსენეთ მარცელისძე მარცველი.. მათითა მამულითა... ციხითა, მონასტრითა, სასაფლაოითა... (გვაბოძებია მცხეთისა და) კზ̃ის თეოდორესთვს.... თარხნად... ქკ̃ს :რით: ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისა ათცხრამეტსა... კელითა... კლიმი კაკლაჩასძისათა.

**1431** წ. სიგელი № 23 (ნუსხანი №№ :იბ: და :ლგ:).—მეფე ალექსანდრე, დედოფალი თამარ და ძენი მათნი: ვახტანგ, დიმიტრი, გ̃ი და ზაალ აძლევენ მცხეთას და ქკზ̃ს თეოდორეს ....."ესე წიგნი მოგაკსენე ...(მცხეთის კზ̃ს თეოდორეს) ვინადგან... ვხედავ რომელ წუთ განქარვებადსა ამას სოფელსა დაუტეობთ და ყოველივე ცხოვრება ჩუენი სიზმარ და აჩრდილებ უჩინო იქმნების, ამადა ჩუენცა ვსცანთ და ვისაცნაურეთ, რომელ კეთილი და უცვალებელი ცხოვრება ისე არს, რათა მე ცოდვილმან ვიდრე არა-სრულიად წარწყმედად და ამიერ განსვლად ჩვენადმდე საწყალობელისა სულისა ჩუენისა სალხინებელად ქუჱლის საქმესა რასმე მქმნე და მბაძებელ ვიქმნე, ჺ ამად აღმძრა სურვილმან აურაცხელთა წყალობათა თქნ̃თა მოქენეობისამან და ვირჩიე...— (მერე ამავე სიტყვებით, როგორც წინა-რე გუჯარში 1431 წ. სწერს)... და კელვყავით უსჯულოთა აგარის ნათესავთაგან ჩუენგან ძრწოლით ძნიად სათქუთა თქუმადცა დაქცეულისა საყდრისა, სრულიად უნუგეშინისცემოდ განსრულსა, აწ ახლად განშენებად და განვრცომად; და აღვაშენე და განსრულდა ნებითა თქუენითა ყოვლადვე უნაკლულოდ თავი ცათა მობაძავი საყდარი [და მას შიგან ღვთივ აღმართებული სუეტი ცხოველი]... და შევამკევ.., მონაზონნი და მრავალნი საკმარნი (და) მგალობელნი შევკრიბენ... და მოვაკსენე...

ძუელითგან მეფეთაგან შემკობილი და აღშენებული და გადიდებული მთავარძიისა (ნუსხაში № :ლგ: „კირშისა") მონასტერი და მისნი შესავალნი ბადასშვილნი და ქორდი და მას აქათ ანუ მთას ანუ ბარს რაცა მამულები ანუ გლეხები და ანუ პარტახტი.. ჰქონებიან... მოგვკსენებია (მცხეთისა) და კზ̃ის თ̃სთჳს ...(ძველი მამულები მოუპოვებია მცხეთას და ახლებიც შეუძენია) დაიწერა ქკ̃ს :რით: ინდიკ. მეფ. ჩუენისასა :ით: კელითა კლიმი კაკლაჩასძისათა" (აღაპები გაუჩენია თავისთჳს მცხეთაში).

ბოლოს: „თქუენ, კზ̃ო თეოდორე, ამას შემოგვპირდი, რომე ოკდომბერს :კა: ამირეჯიბის მიცვალებისა დღესა ყ̃თა წ̃თა (დღესასწაულსა) ...ამირეჯიბისთჳს... სუეტსა (ცხოველსა) წინაშე კარგაღებული აღაპი გარდაიკდებოდეს... დედაბერთა და გლახაკთათჳს კარი ღია იყოს".

აქ მოხსენებული ამირეჯიბი უნდა იყოს უსათუოდ ქუცნა, პაპა ალექსანდრესი (დედით): იხ. ზემო გვ. 208—213.—ნუსხაში № :ტპ: ქუცნას აღაპი დადებულია 7 იანვარს.

**1432 წ.**—ქკს :რკ: ალექსანდრე მეფემან ლორე აღიღო.—ბარათიანთ გუჯარში სწერს, რომელი ბეთანიას არს: მეფემან ალექსანდრემან, ძემან მეფის გიორგისამან, განჰყარნა სამნი ძმანი: აბაში, გუგუნა და დავით (ვახუშტ. ქრ.).

ეს ბეთანიის გუჯარი, პოვნილი ე. თაყაიშვილის მიერ, არ არის გუჯარი, არამედ ერთის ბარათაშვილის გვართაგანისაგან მე-XVIII საუკუნეს შედგენილი ისტორიული წერილი ამ გვარის შესახებ, გადმოცემით და არა საბუთებით აღწერილი. მასში მოხსენებული ამბები, როგორც დავინახავთ (იხ. დამატება), ირღვევა ნამდვილის საბუთებით, რომელნიც ხელთა გვაქვს. ჩვენ უკვე ზემო (გვ. 232) დავბეჭდეთ ქაჩიბაძის ბარათასი გუჯარი, რომლისაგან სჩანს, რომ „ბეთანიის გუჯარში" აბაშის და გუგუნას ძმად წოდებული დავით არ ყოფილა. მათი ძმა (არამედ გერმანოზისა და ლაპასი) და არცა იოანე ყოფილა დავითის მამა, არამედ ბარათა ქაჩიბაისძე. აგრეთვე გუგუნას შვილებად წოდებულნი (გუგუნა, ქუმსი, გერმანოზ და სხ.), ნამდვილის საბუთებით ყოფილან ზემონაჩვენების დავითის შვილის ქავთარის ძენი (იხ. 1523 წ. ქვემო).

**1431—1435 წ.**—ამ წლებში არის დაწერილი მცხეთის „საერთგულო წიგნი" (ქაღალდზე, მხედრულად) № 249, რომელშიც მოხსენებულია კ̃ზი თეოდორე (სჩანს 1431—1435 წ.):

„ქ... ესე წიგნი გკადრეთ... თქუენ.. მღრდელთა მთავართ-მთავარსა, ქართლისა კათალიკოზსა თეოდორეს, მე მაწყუერელ მთავარ ებისკოპოსმან სერაპიონ მას ჟამსა, ოდეს მაწყუერელობა მიბოძეთ და მაკურთხეთ და მე ესე საერთგულო წიგნი მოგაკსენეთ: აწ დღესითგან წაღმა ვიყუნეთ თქუენნი ერთგულნი და ერთგულად მლოცველ-მოსამსახურენი, მტერთა ზედა მტერნი და მოყუარეთა ზედა მოყუარენი. პატრონსა აქათ (ე. ი. ათაბაგსა გარეთ) ვისცა

გაუწყრეთ და შეაჩუენოთ, ჩუენცა შევაჩუენოთ"... ხელმოწერა სხვა ხელით: „ქ. ჩუენ ქ̃ეს მიერ მაწ[ყუერელი სერაპიონ ამისი გამთავებელნი ვართ].

**1431–1435 წ.**—ამ გვარივე „საერთგულო წიგნი" მცხეთისა (მხედრული, ქაღალდზე № 365) იმავე კათალიკოზის თეოდორესადმი მიცემული:

„ქ... ესე წიგნი გკადრეთ თქუენ ქ̃ეს მიერ მღვდელთ-მთავართ მთავარსა ქ̃კზსა თეუდორეს (sic) მე მანგლელ-თფილელ მთავარებისკოპოსმან ი̃ე (იოვანე) მას ჟამსა, ოდეს გამიწყერი და ომოფორი წამიღე და მერმე კიდევე მიბოძე და მე ესე საერთგულო წიგნი მოგაჴსენეთ და დღეისითგან წალმა თქუენნი ერთგულნი ვიყუნეთ ...ვისცა გაუწყრეთ, ჩუენცა შევაჩუენოთ და უჯუარო ვყუნეთ".

**1432 წ.**—ამ წელს უნდა იყოს დაწერილი ტყავის სიგელი თფილისის სიონისა, (მხედრული, № 108) მიცემული ზემო დასახელებულის მანგლელ-თფილელის იოანეს მიერ და აღნიშნული ქ̃კნით :რკლ: (?). აქ მოხსენებული მეფე კოსტანტინე, რომელსაც ურდოში ორჯერ გაჭყოლია ნექისძე, უნდა იყოს ალექსანდრე I-ის ბიძა († 1413 წ.).

„...ჩ̃ნ ქ̃ეს მიერ მანგლელ-თფილელმან იოვანე თქუენ ნექისძეთა საყდრისშვილთა... მოგეცით ქაშოეთანა (sic) მკჳდრი საყდრის მიწა სავენაკე... ამად რომე ორჯელ პატრონსა სულ-კურთხეულსა მეფესა კოსტანტინეს (†1413) ურდოს ხლებოდი და თფილელობა შეცვლილ იყო და მომეპირვა პატრონსა წ̃ე და სულ-კურთხეულსა მეფესა კოსტანტინეს ახლად გაეჩინა. გიბედნიეროს ღ̃ნ.... დაიწერა ქ̃კსა :რკლ: (sic?) თვესა მარტსა ოცსა ჴელითა აბაზაძის ძისა ჯუარის მტვირთველისა ბართლომესითა.

ხუცურ-ასომთავრულად: „...თბილელი ი̃ე ვამტკიცებ".

**1433 წ.**—სიგელი მცხეთისა № 336 (ნუსხა № ჳ იხ. აგრეთვე № 332) ქაღალდზე მხედრულად დაწერილი, რომელსაც თავი აკლია.

- -:- [ჩუენ მეფეთა-მეფისა ალექსანდრესგან და თანა]მცხედრ[ისა ჩუენისა]... თამარისგან [და ძეთა ჩუენთა: ვახტანგ, დი]მიტრი, გ̃გი და ზაალისგან... ნებითა ღ̃თისათა აბხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შანშა და შარვანშა... და ყოვლისა აღმოსავლეთით ვ̃ე დასავლეთადმდე მტკიცედ მპყრობელისა... მოვიდა ჩუენ წინაშე პატრონი... კზ̃ი.. თეოდორე და გუეაჯა, რათამცა მკჳდრი და უცილებელი მცხეთისა არმაზის ციხე მისითა მიდგომითა და შესავლითა მათთჳს მოგუეჴსენებინა.... და ჩუენ ვითარ არა გუმართებდა მათისა მკჳდრისა მამულისა დაპირვა, ეგრეთ არ დაუპირვეთ ...ციხე არმაზისა მისითა ეკლესიითა, გლეხებითა, ყანითა, ვენაკითა ...ყოვლადვე უნაკლულოდ; და მისი ძუელთაგან გაჩენილი ბაჟი ორი თანგა საპალნესა ზედა გქონდეს თქუენ... კზ̃სა თეოდორეს... ასე რომე ქარვანი შე-

ღმა მივიდოდეს და თუ ჩამოღმა მოვიდოდეს და სითცა მოვიდოდეს ტუირთსა ზედან ორსა თანგასა აიღებდით... (შინაარსი გუჯრისა სამჯერ განმეორებულია მაშინდელ მდივანთა და მწიგნობართა ჩვეულებისამებრ). ...დაიწერა.. ქ~სა :რკა: ინტიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა :კა: (sic) კელითა... კლიმი კაკლაჩასძისათა. (ხვეულად ამტკიცებს მეფე ალექსანდრე).

**1433 წ.**—გუჯარი მცხეთისა ქაღალდზე მხედრულად კარგის ხელით ნაწერი, № 170 (იხ. კიდე № 103 და ნუსხა № :ლზ:). შეადარე კიდე გუჯარი 1434 წლის ქვეშ.

. . . მე... (მოლარეთ-უხუცესმან) ზევდგინისძემა თაყამა... შევწირე... (მცხეთას) და კ~ზს თეოდორეს მეფეთაგან წყალობად მკვდრად ბოძებული ქუეში ნასოფლარი, პირველ აბულახტარისძეთა მამული ყოფილი მკვდრი... და შენნი ყოფილად და მას უკანით ჟამთა ვითარებისაგან უსჯულოთა აგარის ნათესავთა კელით განრყუნილი და ოკერ ქმნილი... მეფეთა სამკვდროდ მე ძიბოძეს და თქუენ... მოგაკსენე... სრულიად უსჯულოთაგან ამოწყვედილი და აოკრებული არს: არა თუ სულიერი კაცი იპოებოდეს, ყოვლადვე შენებულება არ იპოების... ამად ალაპი ვერა გავაჩინე რა და თუ ენებოს ღმერთსა და აღშენდეს... კ~ზო თეოდორე, ვითარი გუხუდებოდეს აგეთი ალაპი გაგვჩინე... დაიწერა ქ~კსა :რკა: კელითა... კლიმი კაკლაჩასძისათა". და ზედვე: „ეშმაკის საცთურებითა ცოლისა სიძულვილი შემოვიდა ჩემსა ბუნებასა და დავაგდე და სხუა ცოლი შევირთე და კარბს ორნი გლეხნი მოგაკსენენ და კანონი თქუენ და მცხეთამან მიიგდეთ და მას უკანით ასი კარბულნი, ორნი გლეხნი დამისხენით და აბულაჳხტარისძეთა მამული ქუეში მთხოვეთ და... მომიკსენებია"... ბოლოს წარწერა: „ქ. მე ყოველთა კაცთა უცოდვილესსა მოლარეთა უხუცესსა თაყას შემომიწირავს და მომიკსენებია ჩუენისა სულისათჳს".

**1433 წ.**—ამ წლის ახლო ხანებში (1431—1435) უნდა იყოს დაწერილი მცხეთის მე-XVII საუკ. ნუსხაში (№ :სმთ:) ჩართული სიგელი, რომელსაც თავი აკლია, მაგრამ სჩანს მეფის ალექსანდრეს მიერ არის მიცემული სათაურით: „მცხეთის პირდაპირ ჯ~ის სიგელი".

„- - - - და თქუჱნისა მპყრობელისა და ჩ~ნისა სულისა მეოხისა, ჩუჱნისა მოძღურის კზ~ისა თ ე ო დ ო რ ე ს თ ჳ ს ასე და ამა პირსა ზედა, რომე ჩემისა ეკუტრისა მწირველსა მიხუდებოდეს ჯ~უარიდალმა ყოველთა წელიწადთა ასი კოკა ღჳნო და თორმეტი კაბიწი იფქლი და ოთხი კაბიწი ქერი და ოცი ლიტრა ბამბა კელმოკსნით მოუდევრად მომიკსენებია და შემომიწირავს (მცხეთისა და კზ~ის თეს~თჳს).... ჯ~ი (ჯუარი) მისითა შესავლითა და ოროტითა (sic) და კუტალას გლეხითა... და სხუა არა ეთხოებოდეს რა... თჳნიერ მალისა კიდე... ამას აქათ... (ე. ი. ამის შემდეგ) მოგეც ფოსუი მისითა შესავლითა"...

**1433 წ.**—შიომღვიმის სიგელი № 8, ტყავზე მხედრულად ნაწერი, რომელშიც დასახელებულია თაყა ზედგინიძე, მოხსენებული ზემო 1433 წ. და აგრეთვე ორასის წლის წინეთ საქართველოს აოხრება (1433—200=1233 წ.), რაიცა მართლა უდრის ხვარაზმელთა და მონგოლთაგან საქართველოს აოხრების დროს. ამისგამო ჩვენ არ უნდა ვცდებოდეთ, რომ ამ სიგლის წაწერას დავდებთ 1433 წლის ახლო სანებს.

. . . „ურიცხუთა სასწაულთა თქუენთა ესრეთ გადამატა, რომელ თ˜ქნგან შეყუარებულისა და მოწაფებულისა ევაგრეს ძუალნი დღეინდელად დღედმდე ლუსკუმათა მისთაგან საღმრთოთა ძალთა-მიერ მოძრავ იქმნებიან... აწ... მე ზევდგინიძე თაყა... მოლტოლვილ ვიქმენ... მონასტერსა თქუენსა... ჵ რ˜ლ პირველ ჩუენნი მამანი დასაფლავებულ იქმნეს, მათთანა დასაფლავებად... ვერ მკადრე ვიქმენ და ცალკე ახალი ეკუდერი ავაგე... და შემოგწირე... მკვდრი სოფელი ჩნ˜გან აშენებული კოდის წყარო, ორასსა წელიწადსა კაცი არ სახლებულიყო და ჩუენნი მერიქიფე-მეჯინიბენი და შინაურნი კაცნი დავასახლეთ და ჩ˜ნითა საფასითა ავაშენეთ... აბეთი... ავაშენეთ... და... დავასახლეთ... და შევიტანეთ ხატისუბანი, სხუილოს ბიშიაშვილი (და სხ.)... ჩ˜ნითა საფასითა მაწები ვიყიდეთ ჵ მას ზედან დავასახლეთ... ალაპი... (ჵ) ორი კანდელი დაუვსებელად... და ოთხი ალაპი... ჩემთჳს და მეუღლისა ჩუენისა მამქაანისთჳს.

**1434 წ.**—სინოდ. კანტ. სიგელი № 332 (და ნუსხა № Ч), ქაღალდზე მხედრულად დაწერილი, გუჯარს თავი აკლია და აქა-იქ შუაშიც დაზიანებულია. სიგელი საყურადღებოა განსაკუთრებით იმ მხრით, რომ ვინც ჩაუკვირდება, ძვირფასს ცნობებს იძლევა შესახებ ყმათა დამოკიდებულებისა მებატონეთაგან (ეკლესიისაგან) და არჩევს ყმათადმი „მემამულეობით" მიცემულს მიწა-წყალს „სარჩომად" მიცემულისგან; იმასაც გვაგულისხმებინებს, რომ «ყმობა» დამოკიდებული იყო მხოლოდ მიწის მფლობელობისაგან, როგორც ამას სხვაცა მრავალი საბუთები ამოწმებს:

„- - - - - - - - თა მეფისა ვახტანგის, დიმ[იტრის, გ˜ის და ზაალისგან] [ნ]ებით ღ˜თისათა - - - [ქართ]ველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შარვანშა, შანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა თუით [პყრობით] მტკიცედ მპყრობელისა. მოვიდა წინაშე ჩუენსა (ე. ი. ალექსანდრე მეფისა) დიდისა... (მცხეთის ტაძრისა)... კ˜ზი თეოდორე და გუეაჯა, რათა მცხეთის საყდრისა მკჳდრი ციხე არმაზი და მონასტერი მათთჳსვე მოგუეჴსენა; და ვქენით მოკითხული და დასაბამითგან არმაზის ციხე მცხეთისა (ყოფილიყო); და ჟამთა ვითარებისაგან მოშლოდა და ჯაუნარს ჰქონდა და ჩუენ წაუღეთ ჯაუნარს და მცხეთასვე მოვაჴსენეთ არმაზი ციხე და მონასტერი სასახლოჲთა, გლეხებითა, ყანითა, ვენაჴითა... თქუენ, კ˜ზო თეოდორე, დღეს ჯაუნარის შვილი ყმად დაიჭირეთ და მისთუის სარჩომად ეს არმაზის ციხე და მონასტერი უბოძეთ. აწ თუ ჯანუაშვილი თქუენ გეახლოს... ესე ციხე და მონასტერი მათ ჰქონდეს სარჩომად და მას აქათ მემამულობით არა საქმე უც და ვერ ოდეს ისარჩლონ.... დაიწე-

რა ქ̃კს :რკბ: ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა :კა: კელითა... კლიმი კაკლაჩასძისათა (ხვეულად ამტკიცებს ალექსანდრე).

შეადარე ზემო 1433 წ. ქვეშე, გვ. 240. არ ვიცი რად იხსენიებს გუჯარი თავში „[მეფე]თა მეფის ვახტანგის“, როდესაც იგი მეფე არ იყო 1434 წელს; და თვით ინდიკტიონი 21 იყო მე-21 წელი ალექსანდრეს მეფობისა 1434 წელს (იხ. 1413 წ.). ალბათ სიგლის თავში იქნებოდა: „...ალექსანდრესგან მეფეთა მეფისა... და ძეთაგან მეფისა: ვახტანგის, დიმიტრის, გიორგის და ზაალისგან“.

**1434 წ.**—სიგელი მცხეთისა № 341 (ნუსხა № :სყე:), ქაღალდზე მხედრულად ნაწერი; თავი აკლია:

--- [ქართლი]სა კ̃ზსა თეოდორეს. ხერკისკევს ზედა ძნელასშვილი ასათ მისილა მამულით, სასახლითა, ყანითა, ვენაკითა, წყლითა, წისქუილითა... შემოგუიწირავს თქუენ დიდისა (მცხეთის და) კ̃ზის თეოდორესთუის... ჩუენ ყოველთა ცოდვილთა უცოდვილესსა (მეფესა) ალექსანდრეს... შეიწირე მცირე ესე შესაწირავი... დაიწერა ქ̃კს :რკბ: ინდიკტიონსა მეფობისა ჩ̃ნისასა :კა: კელითა მესტუირისა და კარისა მწიგნობრისა კლიმე კაკლაჩასძისათა“ (ხვეულად ამტკიცებს ალექსანდრე).

**1435 წ.**—სიგელი № 333 (ნუსხა № :სგ:) მცხეთისა, კარგს ქაღალდზე ხუცურად დაწერილი, მაგრამ დაზიანებული. სიგელში მოთხრობილია ამბავი ლორის ციხის აღებისა მეფისაგან, რაიცა იყო 1431 წელს (იხ. ზემო, გვ. 236). სიტყვები, ჩვეულებრივ, გაყოფილია ორ-ორ წერტილით:

„--- [სახელითა] ღთისათა [ლორეს ციხე] -- [მი]ტაცებული აგარეანთაგან ჩუენ --- და მისი შესავალნი ერთობილნი ჩუენ ვიშოენით და დავიჭირენით და როგორცა ვის ქართველთა დარბაზის ერთა ზემოთა და ანუ ქუემოთა --- ჰქონებოდა, ანუ ნიშანი ვისმეა დარჩომოდა და ანუ [ჩამო]მავლობით პაპათა და მამათაგან არა თუ მაკსოვრობი მათი მომავალთაგან სმენით სმენოდა და იაჯეს მათი მა- -ჯე- -ძეთ --- და ვიეთთამე არა ჰქონებოდა, არცა ჰქონდა. როგორაც ვინ გუეღირსებოდა, ეგრეთ განუყავით და უბოძეთ და ჩუენისა სულისა მოძღუარმან და მეოხმან კ̃ზმან თეოდორე ამუჭი სოფელი და მისნი შესავალნი, იაჯნეს--- რომე ამა ლორისა ციხისა შოვნასა შიგან და მისთა -- [შეს]ავალთა შოვნასა შიგან დიდადა და უსაზომოდ მოიჭირვეს პირველად ვედრებითა ღთისათა და კუალად ლაშქართა მიმცნებითა ესრეთ, ვითარმედ „ამა უსჯულოთა ა[გარის] ნათესავთა ანდრონიკესშვილი ალასტანელი გ̃გი (გიორგი) მოუკლავს და მრავალნი ქრისტიანენი წამებითა აღუსრულებიან და დაუტყუევებიან და ტახტი მეფეთა განურყვნია ჵ საპატ(ი)ონი (sic) და ცამდის მაღალნი საყდარნი შეურაცხ უქმნიან, სახლსალოცველი ქუაბ ავაზაკთა უქმნია და უნეთა მათთათჳს საყოფად განუჩენია. აწ ბრძოლეთ ძლიერად და დაღათუ ვინმე ომსა შიგან აღსარულით (sic) მიიღოთ, ქრისტესთუის წამებულთა გუ-

ერდის მი(ი)თუალვით, და დაღათუ ვინმე დაკლდითა ანუ დაშავებითა და რათაცა ტკივილით იტანჯებით, ყოველსავე ქრისტე მისად ნებისმყოფელად მიუალავს (მიუთვალავს)". და შეწევნითა ღ~თისათა და ლოცვითა მათითა იქმნა და ვიშოვეთ არა თუ ამუქი სოფელი, და მისნი შესავალნი ეთხოვნეს, არ დაწყალობება და მისიცა მოკსენება გუმართებად (გუმართებდა). აწ მოგუიკსენებია და მოგუიცემია... (მცხეთის) და კ~ზს თეოდორეს ამუქი სოფელი ეკლესიითა, სასახლითა, გლეხებითა, ყანითა.... არა ეთხოებოდეს რა, არა ულუფა, არ გუთნის თავი, არ ყანისა სამუშაო, არ ვენაკისა სამუშაო, არ სამეჯინიბო, არ სახურსარლო... დაიწერა... ქ~კსა :რკგ: ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა :კა: კელითა... კლიმი კაკლაჩასძისათა.

ხკეულად ამტკიცებს მეფე ალექსანდრე.

**1435** წ.—სიგელი მცხეთისა, ქაღალდზე მხედრულად ნაწერი № 34 (ნუსხა № :რნგ:). თავი აკლია. სიგელიდამ სჩანს, რომ კ~ზი დავით, ძე მეფისა ალექსანდრესი, მომკვდარა და მამას აღაპები გაუჩენია მისის სულის მოსახსენებლად. რადგან კ~ზი თეოდორე, დავითის მოადგილე, სჩანს 1431 წლიდამ, ამისგამო უნდა ვიფიქროთ, რომ დავით მომკვდარა 1430—1435 წლებ შუა.

--- თქუენ (მცხეთას) და... ჩუენ მეფეთა მეფემან ალექსანდრე... შემოგწირე ქალაქს მექუაბე ჯანდაილა და ქურციკა და კუალადვე ჩ~ნისა შვილისა საფლავთა შევსწირენ ლუკია და ბურჩიხთა მათითა მამულითა... კუალად მომიკსენებია ქალაქსავე ტაღმით თუესა შიგან ლიტრა-ნახევარი ზეთი. ესე წლითი წლად... ენთებოდეს... კ~ზისა დავითისთჳს (sic).—დაიწერა ინდიკ. მეფობისა ჩ~ნისასა :კგ: (კბ?) ქ~კს :რკგ: კელითა... კლიმი კაკლაჩასძისათა.

**1435** წ.—ქ~კს :რკგ: შარუხ მოვიდა; მეფემან ალექსანდრე ძე თჳსი [დიმიტრი] წარუვლინა ძღუნითა; შეწყალებული გამოუშვა (ვახუშტის ქრონიკა მაჟაშვილის ვარიანტით, რომელშიც გამოკლებულია სიტყვა „დიმიტრი").

**1437** წ.—ქ~კს :რკე: ალექსანდრე მეფე ყარაბაღს მოვიდა (ვახუშ. ქრ).

**1437** წ.—მცხეთის ხუცური ნუსხა მე-XVII საუკ. № :ტ:

„ქ. სახელითა ღთისათა მეფეთ-მეფის ალექსანდრესაგან (ჩამოთვლილია მთელი ოჯახობა მისი)... მოვიდეს წინაშე ჩუჱნსა დიდათ ერთგულნი . . . დღე-დალამე მეცდე-მომჴირნენი ურდული და მათი შვილი სუმბატ... და რაცა შენ ურდულსა სიყრმით მოაქამომდის მოგიგია... და წყალობად გაქუს... ძაგნაკორანთა ღაფირასძისეული და ბაღდადური და ქალაქსა რასაც მქონებელი ხარ (ყველა ეს მას და მისსავე ოჯახობას დაუმტკიცა)... ქ~კს :რკე: ინდიკტ მეფობისა ჩუჱნისასა ოც-და-ექუსსა"... (იხ. ამაზე ზემო გვ. 223—4; 235 და ქვემო 1438, 1439; 1440 და 1460 წ. ქვეშე).

**1438 წ.** —სინოდ. კანტ. სიგელი № 64 და ნუსხა № 507—სკვ:

ქ. სახელითა ღთისათა ჩუენ პატრონმან მეფემან ალექსანდრე ესე უკუნისამდე ჟამთა გასაჯავებელი წიგნი და ნიშანი გკადრეთ და მოგაკსენეთ თქუენ... დედა-ქალაქსა მცხეთისა საყდარსა და... ქართლისა პატრიარქსა კ̃ხსა შიოს მას ჟამსა, ოდეს ჟამთა ვითარებისა და შლილობისაგან მცხეთისა და გარესჯისა უდაბნოსა მამულთა მათნი მემზღურენი შემოეცილნეს და რაცა არაგუსა აქათ მცხეთისა მამულნი იყუნეს, მეჟმეობით რომელთამე მიიტაცნეს, ვქენით მოკითხული და რა გუარცა გუმართებდა, ძველნი გუჯარნი და სიგელნი მოვახუმევინეთ და ვითა არავის მართებდა, აგრე ჩამოვხსენით და არავის-რა საქმე დავადებინეთ არა დიდთა და არა მცირეთა, რაგუარცა არავინ ღირს ყოფილა: ჭავჭავაძესა ფაროდის ზეკნელისძისა პროკოპისთჳს ნატყუარი სიგელი დაეწერინა ვანთისა, ვარცისა ჭ დუმას-უბნისა და რაგუარცა ტყუილი იყო, აგრე გავაცუდეთ და ფიცითა გარდაწყდა და უდაბნოსავე დარჩა. ამას გარედ რაცა გარესჯისა უდაბნოსა მამულნი არიან და გუჯრები ძეს მთას იქითისა და მთას აქითისა, რაგუარათაცა ამას წინად ჩუენთა გუართაგან კელშეუვალნი ყოფილან, მით წესითა დაგიმტკიცეთ და მოგაკსენეთ... ამას გარეთ ერწოს ორი სოფელი ნოდოკრა და გორანა მათითა მზღურითა ერთობით ყუელანი, რაგუარცა ძუელთა გუჯართა შიგა სწერია, ბიწმენი მისითა მზღურითა, ხატის-წობენა, ძაგნაკორნათა, რაცა მცხეთისა არის, ჯუარი, ჯაჭჳ, ფოსუი, კუტალას ორნი, კუამლნი კაცნი. ამას გარეთ ნიწობლისძისეულისა მამულისა და ოქროპირის შვილისა მამული გარდაუწყვეტელი დარჩა და სააჯოს კარი არა დაგეჭიროს; და ვისაცა მცხეთისა და გარესჯისა მამულთანა საქმე ედვას, იგი სამართლითა გარდაწყდეს“... ხელ-ჩართული „ლეონ“ (?!) და შემდეგ: „ქკს :რკვ:“.

რადგან 1439 წელს კ̃ზად სჩანს დავით II, ამისგამო ეს ქ̃კნი, შემდეგ მიწერილი, საეჭვოდ მიგვაჩნია (ის. 1439 წ. ქვეშე). გ̃ჳი შიო ჩვენს საბუთებში პირველად სჩანს 1440 წ.—რად მოუწერია ალექსანდრე-მეფეს „ლეონად“ ჩვენ არ ვიცით: ანუ ალექსანდრე-მეფის გუჯარი მერე კახთა მეფე-ლეონს მოუწერია (1513—1574) და ანუ ალექსანდრე არის კახთა მეფე უცნობა, ლეონ I-ად წოდებული, ბერად შემდგარი, რომელაც, პ. იოსელიანის მოწმობით, დამარხულია დავითგარესჯაში. კახთა მეფე გიორგი, მეფე-მონაზონის ალექსანდრეს ძე, გამეფებული 1433 წელს ის. გუჯარში 1446 წლის ქვეშე. ამ უკანასკნელს აზრსა ასაბუთებს ისიც, რომ ამ გუჯარში ალექსანდრე არ იწოდება „მეფეთა მეფედ“ და არც მისი ოჯახობა არის ჩამოთვლილი (ამ კითხვას შევეხებით ჩვენ 1446 წლის ქვეშე).

**1438 წ.** —სიგელი № 438, მცხეთისა № :სე: ქაღალდზე მხედრულად:

„ქ. . . . მეფეთ მეფისა... ალექსანდრესგან... და თანა-მეცხედრისა ჩუენისა თამარისგან და ძეთა ჩუენთა ვახტანგ, დ̃ტე და გიორგისგან... (აქ სრული წოდებულობა მეფისა) მოვიდეს წ̃ე ჩუენსა ჩუენნი დიდათ ერთგულნი... ურდოელი და მათი შვილი სუმბატ... რასაცა სად მქონებელი ხართ კაცთა და მამულსა..., როგორც დღეს მოუშლელად... გქონებია, ეგრეთვე თქუენსა შვილ·

სა სუმბატს... ჰქონდეს (იგულისხმება სახასო მამული)... მერმე სულისა საქმე მოიკლე (მოიკსენე?) და ჩოკანი ჩაიცუენ და თქუენი შვილი შემოგუვედრე... სამკვდროდ ჰქონდეს შვილსა თქუენსა სუმბატს და მისთა შვილთა (მამულები მაგნაკორას, ბაღდადური და ქალაქს მასგან აშენებული სასახლე, ქულბაქნი და კენაკი; იხ: 1437 წ. ქვეშე)... დაიწერა... ქ͠კსა :რკვ: ინდიკტიონსა მეფ. ჩუენისასა :კვ: ჴელითა... კლიმი კავლაჩასძისათა“ (სკვულად ამტკიცებს მეფე-ალექსანდრე. იხ. კიდე: 1439; 1440; 1460 წ. ქვეშე).

**1439** წ.—კარგს ქაღალდზე მხედრულად დაწერილი სიგელი მცხეთისა № 36 (ნუსხა № :რა:). თავი სიგლისა, მეფის წოდებულობა და მისი გვაროვნობა აღწერილია წარჩინებულის ხვეულებით.

...ჩუენ.., მეფემან ალექსანდრე ღ თანამეცხედრემა... (თამარ ძენი: ვახტანგ, დ͠ე, გ͠ი) ესე სანიშნოდ მოუსენებული მტკიცე სიგელი მოგაკსენეთ თქუენ ცათა მობაძავსა კათოლიკე-საყდარსა მცხეთას, და თქუენსა საჴეთ მპყრობელსა მღრდელთა მთავართა მთავარსა ქ͠კზსა დავითს (sic) ღ ყ͠თა მცხეთის შვილთა... მოგაკსენეთ ატენის წინაუბანს ლომიშვილნი მისითა მამულითა... შეუვალად და თარხნად თვნიერ მალისა და ლაშქრობისაგან მეტი არა ეთხოებოდეს ჩუენგან... ქ͠კზო დავით! ჩუენთჳს წირვასა და... ეკლესიის სამსახურსა ნუ დააკლებთ... იმა სახლისა ობოლთა უსამართლოდ ნურა დაემართების.. დაიწერა ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა :კვ: ქ͠კსა :რკზ: ჴელითა ქადაგისძისა ავგაროზისათა (ნუსხაში „კიგრისათა“).

**1439** (უნდა: 909 წ.)—ქ͠კს :რკზ: აქა კოსტანტინე მეფე გარდაიცვალა (წ͠ა ნიკოლოზის ქრონ.—ჩვენ უკვე დავასაბუთეთ, რომ აქ იგულისხმება აბხაზთა მეფე კოსტანტინე: იხ. ჩემი „ქრონიკა“ ტ. I, 908 წ. ქვეშე და გვ.).

**1439** წ.—სამების ტაძრის „სულთა მატიანეში“, ტყავზე ხუცურად ლამაზის ხელით ნაწერში, ჩართულია შემდეგი ფიცი და განჩინება მთიულთა, მიცემული მეფის ალექსანდრესადმი 1439 წ. 20 თებერვალს, მძევლების შესახებ. განჩინებიდამ ცხადდება, თუ რა მტკიცედ სჭერია მეფეს მთიულეთი, რომელნიც სხვის ბერების მმართველობის ქვეშ ყოფილან. თითქმის ყველა ამ სიგელში მოხსენებული გეოგრაფიული სახელები სოფლებისა აქამდი შენახულა დარიალის ხეობაში, თუმცა ზოგი მათგანი ახლა ოსებს უჭირავთ.

სამწუხაროდ წარწერა აქა-იქ სრულიად გადასულია, სასვენი ნიშნებიც აქა-იქვა ატყვია მლიკს, სხვა გადასულა; ჩვენ მაინც ვბეჭდავთ იმ სასვენ ნიშნებით, რომელნიც დარჩენილან.

„დ͠ბჲ წ͠ასა სამებჲსა ერთარსებჲსა და ერთღვთაებასა შევიყარენით კევი კევობით კობით და გუდლეთამდი მზევლები მოგეცით თქ͠ნ გერგეტელთა საყდრი[შვილებს] გუდლ[ეთით ანი[ა] და ხარსილაჲ ცდოჲთ გიშელი და ბარზან-

დელი: სტეფანწმინდით ხეთაგა - - - - ბი (აქ გადასულია ოჩის სიტყვის ადგილი) დ˜ჳლჲ ადისძე: ნავროზი არჯიმა გიშელი გოგთითაჲ პაპრ- -შვილი ღ˜ ლარდარის ძე და არსლანისშვილი". ქობით (ე. ი. ქუბით) შამბათაჲსძე ივანე სოლემანის ძე აჩაი:. ფანშტით: ელგუჯაჲსძე დ-ს-ბაუ- - - თით (აქ $1^1/_2$ სტრიქონი გადასულია) შვილი გოგია - - - - (აქ ნახევარი სტრიქონი გადასულია) თუთია ნადირაული აფგაჲ გოცნით (გაურჩევლად) ეკალაურ- - [ბა]რბნით გონგლიშვილი ხუზაგონიაშვილი გონგლია სიძით: სასნა- - და ბაადინიშვილი და ცოფაშირი (გაურჩევლად) ტბარშატით ჯაუნარიშვილი და ხაჲსილაჲ (გაურჩევლად) ქედყრით ბათნია (გაურჩევლად) გოთის ციხით (გორისციხით?) ბალიმანისშვილი ივანე და ხარიგაუთისა ერაჲ და წამალისშვილი პაპნაჲ ფხელშ[ვილი] - - სუბელი - - იჯისშვილი დარჩია ლაღნიაშვილი და ბ- - - და მნაველთაჲცა მათ მოიკიდეს კურთა[რიშვილი] ჩიტურა და ბაჩხისძე და აბიაური და სემუაოსძე ყანობით ყალარდოჲშვილი და დარაჲსძე თრუსოველთაჲცა კურთელყანობელთა მოიკიდეს მნით ბადაჲსძე: და ადოჲთ ცისკარაშვილი: —სალმრთოჲთა: საერო და ბალაჲსშვილი და ანდრია კურაჲს ძალთაჲთ: ღუდუშაური: შალვა: ახალციხით დათყური: შალვა: და ქარქაშგ ართხმოჲთ: შალიკაჲსშვილი და ქიშვარ: ყანანაზით აბარუმშ:. და ლაშქარაული: მთრეხით: ვარსილისძე: და სერაჲსშვილი:— ჳმისნი მოწამენი არიან სტეფანწმინდით ანდირაშვილი და და ივილი ფანშტით შაბარ: კევით ყარაბულაშვილი დარჩია. ტბარშეტით (ტბარშატით?) ბეკოჲშვილი: იოვანე: კურთისით ცოციკასძე და სნოჲთ: ბარსაგისშვილი:

ესე მზევლები ამათ საყდრის შვილობისათჳს მივეცით რომე მეფესა შეეწყალნეს და ებრძანა ჩ˜ნთან და რომელნიცა (გასწორებულია „კინცა") მძევალი გაუტყთეს რისხავსმცა წ˜აჲ სამებაჲ ერთარსებაჲ კრულმცა არის სული მისი და ნესტორის და ორიგინეს თანამცა დაისაჯების სული მისა:

Ⴐინცა მაგრად და მართლად: დაუდგეს სული მისი ღირსთა და მართალთა თ˜ამცა იხ˜რბს ა˜ნ.

Ⴃაიწერა ქრონიკონსა ას ოცდა შჳდსა ფებერვალსა ოცსა".

საჭიროდ ვრაცხთ ჩავურთოთ აქა იმავე სულთა მატიანიდამ (გვ. 11—12) ძველთა მეფეთა მოსახსენებელი:

## „მატიანე მოსაჴსენებელი სულთაჲ".

„ვინაჲთგან ინება ღ˜ნ"... (აქ ვრცლად ღვთის-მეტყველური მსჯელობა).

რომელმან პირველ ყოველთა მეფეთა იცნა ჭეშმარიტი ღმერთი ქ˜ე მეუფე და დადვა საფუძველი ქრისტიანობის˜ჲ და განანათლა ქ˜ყნაჲ საქართველოჲსა ქადაგებითა წ˜ისა ნინო მოციქულისაჲთა... სული დიდისა ღ[ვთივ]გჳრგჳნოსნისა მეფეთ-მეფისა მირიანისი კურთხეულ იყავნ უკუნისამდე!—სული დედოფალთ-დედოფლისა ნანაჲსა კ˜ხლ იყ˜ვნ უკ˜ე.—სული ყოველთა მეფეთა უწარჩინებულესისა დიდისა ვახტანგ გორგასლის˜ჲ კ˜ხლ იყ˜ვნ უკ˜ე.—სული

ძისა მათისა დაჩი მეფის̃ა კ̃ხლ იყ̃ვნ უკ̃ე.—სული ბაგრატ, დავით და ადარნასესი კ̃ხლ იყ̃ვნ უკ̃ე.—სული დიდისა დავით აღმაშენებელისა კ̃ხლ იყ̃ვნ უკ̃ე“.

მერე განსხვავებულ ხელით, ხუცურადვე: „სული ბაგრატისი († 1395 წ.) კ̃ხლ იყ̃ვნ უკ̃ე.—და მეუღლისა მათისა კ̃ხლ იყ̃ვნ უკ̃ე.—და ძეთა მათთა გ̃გისი და კოსტანტინესი კ̃ხლ იყ̃ვნ უკ̃ე“ (უკანასკნელი ფრასა ახალი საბუთია იმისა, რომ ბაგრატს არ ჰყვანდა შვილი დავით, რომლის მეფობა შეტანილია ქ-ცხბაში (გვ. 472—3), ცხადია, შეცდომით, როგორც, საზოგადოდ, შეცდომებით და მერმინდელს დროში არის შედგენილი „ყველა მეფობა გიორგი VII-ითგან ბოლომდის (გვ. 376).

ზედვე იმავე ხელით მოსახსენებელი: „ქ. სულსა შოთასსა და გლდამისასა შ̃ ღ̃ნ“...

**1440** წ.—მცხეთის ნუსხაში № :რლზ:, მე-XVII საუკ. ხუცურად გადაწერილში, შეტანილია შემდეგი ფრიად საყურადღებო სიგელი, რომელსაც თავი ჰკლებია, მაგრამ შინაარსი გუჯრისა ამით არ ბნელდება. ქ-ცხბის და Chron. Géorgien-ის შემდგენელთ ამ გუჯრიდამ ამოუღიათ თვისი ცნობები, ზოგან სიტყვა-სიტყვით, ზოგან შემოკლებით ანუ სიტყვა-დართვით, როგორც ყველას შეუძლია ამაში ადვილად დარწმუნდეს შედარებიდამ (ქ-ცს. 473—4 და Chronique Géorgiéne, გვ. 1—2).

აქ საყურადღებოდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ის, რომ მეფე იტყვის: 22-ის (ხოლო ნუსხით—24) წლისა გავმეფდით (1413 და 1420 წ. ქვეშე) და მაშასადამე იგი დაბადებულა 1389 ანუ 1391 წელს. მაგრამ, როგორც საბუთებიდამ სჩანს, მას 1413 წელს უკვე ჰყოლია ორი შვილი (კასტანგ და დემეტრე). გარდა ამისა იმავე საბუთებიდამ სჩანს, რომ მისი შვილი დავით კათალიკოზი ყოფილა 1426 და 1428 წ. (ის. ამ წლ. ქვეშე), რაიცა დიდად ეწინააღმდეგება პირველს ცნობას: რადგან რუის-ურბნისის კრების და მსოფლიო კრებათა დადგენილობით ეპისკოპოსად არ აკურთხებდენ უადრეს 30 წლისა, ამისგამო დავითი 1426 წელს უნდა ყოფილიყო არა უმცირეს 30 წლისა, ე. ი. დავით უნდა დაბადებულიყო 1396, როდესაც მამა მისი იქნებოდა 5—7 წლისა! რაიცა ყოვლად შეუწყნარებელია. ამისგამო ფრასა: „ვიწყე შენება მცხეთისა 22 წლისამან“ იმას უნდა აღნიშნავდეს, რომ მას გამეფებამდი დაუწყია მცხეთის შენება, ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, გაუგრძელებია მისის ბებიისგან (რუსასგან) დაწყებული საქმე.

„სათათრო საურის ამოკუეთისა“.

- - - [დასაბამითგან :ჯიზ:] ჴ ქ̃კსა :რა: მეფედ დავჯედ [იყო მაშინ ყოველი საქართ]ველო უსჯულოსა თემურისგან (აოკრებულ) ჴ ქართლი უნუგეშინისცემოდ განსრული დაგვხუდა, ესრეთ რომელ უსჯულო [იგი შემოვიდა] საქართველოს ქ̃კსა :პჲ: და ვიდრე ჩ̃ნად მეფობისა დაპირვადმდე ესრეთ გ- - -სლ (გარდასულიყო?). ტფილისით ციხითა მეფე ბაგრატ და ანნა დ̃ფი (დედოფალი) გამო-

ასხნეს, დაატყუჱვეს და მრავალი სული მოესრა, და თავად დედაქალაქი მცხე-
თა და რაოდენნი საქართველოსა საყდარნი და ეკლესიანი და ციხენი იყუ-
ნეს, ყოველნი დაექციბვნეს (sic), საფუძველითურთ დაექცინეს და ს˜დ საქარ-
თველო ტყუჱ ექმნეს და ჩუჱნის მეფობისა დაჭირვადმდე მუდამი ტყუჱნვა და
რბევა იყო საქართველოსა; და მოოკრდა და იავარ იქმნა და ყოვლადვე ძალი
და ნუგეშინისცემა არსით ჰქონდა; ჵ შენ-მიერითა შეწევნითა ჵ წინამძღუარე-
ბითა ჯუარისა პატიოსნისათა ვიწყე ბრძოლად უსჯულოთა და განვასხენ
მძლუართაგან ჩუჱნთა და ქრისტიანენი ფრიადსა მშვდობასა და მყუდროებასა
მიეცნეს. და ვითარ ჩუჱნგან სათანადო იყო, ეგრეთ ვინებე და ვიგულს-
მოდგინე ყოველთავე საქართუჱლოსა ციხეთა და საყდართა აღშენებად. მას
ჟ˜ა (ჟამსა) შემოსავალი ჩუჱნისა სახლისა არსით რა იყო და ამად საქართვე-
ლოს კუამლსა ზედა ორმოცი თეთრი მალად განვაჩინე და ას-ოც-და-რვად
ქ˜კნადმდე (ე. ი. 1440 წ.) რაოდენნი საქართველოსა ციხენი, საყდარნი და
მონასტერნი არიან, ყოველნავე ს˜დ ახლად აღვაშენენ და შევამკუჱნ, და აწ
ჩუჱნსავე ჟამსა შიგან ამოგჳკვეთიი. ესრეთ დღეისითგან წაღმა რამანცა ჩ˜ნთა
მომავალთაგანმან მეფეთა და ანუ დედოფალთა და ანუ სხუისა გუარის კაცმან
ადამის ნათესავმან საქართველოს მალი ითხოოს, მოკრიფოს და წაიღოს, აწყენ
ღმერთო, ულხინებელი რისხუა შენი და ჩუჱნთა ცოდვათა და ბრალთათჳს
იგი განკითხულ ქმენ მას მეორედ მოსლვასა წინაშე თქუჱნსა!... და კუალად
გევედრები და გვედრებ თქუჱნ ძეთა ჩუჱნთა ვახტანგს, გიორგის და დიმიტ-
რის და შემდგომთა მეფეთა და დედოფალთა, რომელ ჩ˜ნი აღთქმული სრულ
ყოთ და დღესითგან წაღმა მალის ღება არავინ ინებოთ.—და კუალადვე ამას
გევედრებით, რომელ საყდარნი ვითარ ახლად აღგჳშენებიან და რაოდენნი
ქ˜ყანანი და შესავალნი შეგჳწირვან და მოგჳხსენებიან, იგინი უნაკლულოდ
ჰქონდენ და რაოდენი ზეთი და ცვილი გაგჳჩენია და ჩ˜ნისასა (sic) სულისა-
თჳს მწირველი ანუ სამამულოთა და ანუ სხუითა სახარჯოთა გაგჳჩენია და
ჩუჱნად მწირველად დაგჳყენებია, მათ მათი გაჩენილი ნუვისგან მოაკლდების
და ჩუჱნ ნურას ჟამისა გამოცვლილებისა და შემოსრულობისათჳს ნუ მოგუჱ-
შლების და ყოველთავე სრულ ქმენით, რათა ღმერთმან თქუჱნი ვედრება და
გაგებულიცა სრულ ყოს. დაიწერა სიგელი ესე ქ˜კსა :რკჱ: ინდიკტიონსა მე·
ფობისა ჩ˜ნისასა :კჱ: კელითა ფრიად საწყალობელისა და ყოველთა ადამის
ნაშვთა უცოდვილესისა მესტუმრისა და კარისა მწიგნობრისა ჩ˜ნისა კლიმი
კაკლაჩასძისათა.—ვინცა შემდგომად ჩუჱნსა მეფენი ჵ პატრონნი იყუნეს, მათ-
თჳს მალი არავინ აიღოს; ჵ თუ ულუსი მოვიდეს ჵ თათართაგან ძალი დაე-
მართოს, რაიცა ციხეთა და საყდართა დაუქცეველობისა და თემთა და ქ˜ყნა-
თა ამოუწყუჱდლობისა და ჟ˜თა და ქ˜ყნთა დაუტყუჱველობისათჳს—მათთჳს,—
სხუად მოსაკმარებლად მალი არავინ აიღოს - - - (აქ აკლია.) ბოლოს: „მე (მე-
ფეს) გიორგის დამიმტკიცებია“.—ქ. კ˜ლსნ (კირიელეისონ!) ამა მეფეთა ბრძა-
ნებასა ჩუჱნ ქ˜ეს ღთისა მიერ ქ˜კზი შიო კანონითა ვამტკიცებთ. ამისნი

შემცვალებელნი იყვნენ კრულ, წყეულ და შეჩუენებულ, და დამამტკიცებელნი ღ̃ნ აკურთხნეს და წ̃ნ დედაქალაქმან მცხეთამან“.

ქ. ამა მეფეთა ბრძანებასა ჩ̃ნ ქ̃ეს ღ̃თისა მიერ ამბა ალავერდელი აბრაჰამ კანონითა ვამტკიცებ... (წყევა-კრულვა).

ქ. მე მანგლელი ი̃ე (იოვანე) კანონითა ვამტკიცებ. ამისნი გამთავებელნი ღ̃ნ აკურთხნეს“.

**1440** წ.—ქ̃კს კღ: მოკუდა შარუხ; დაჯდა ჯაანშა ყაენად (ვახუშტ. ქრ.).

**1441** წ.—ანდერძი მეფის ალექსანდრე I :მცხეთის სიგელი № 14 და № 189 (ნუსხა № :თ:), ქაღალდზე მხედრულად ნაწერი. მეფე სწერს:

„ვიგულისმოდგინე მოლტოლვად თქუენდა და... მცხეთას... ცალკე ახალი ეკუტერი ავაშენე (ჩრდილოეთ კარში) და საუკუნოდ საყოფელად განვიმზადე და შემოვწირე ქუეყანა სხორი.... ვირშის სახლი მცხეთასა შევსწირე, მისაქციელი... (და სხ.) და ჩუენთა საფლავთა ზედან ოთხნი მეეკუდრენი მწირველნი გავაჩინენ: ელიოზის ძე დიმიტრი, ჯვარის მტკრთველი მახარებელი, ზაქარია და ელიოზ (ბეგარი ეკვდრის შეწირულთაგან აიღებოდეს სარჩოდ მეეკვდრეთა)... ოთხი კანდელი წლითი-წლად დაუვსებელი... ყოველს წელიწადს :იბ: ლიტრა სანთელი მიეცემოდესო ეკვდერს ასანთებლად. (შემოსავალი შეწირულ მამულთაგან მიეცემოდესო მეეკვდრეთა, რომელნიც ყოველს საუფლო დღესასწაულს ჵ შაბათ-კვირიაკეს დიდის მარხვისას უნდა მიწირვიდენო)... დაიწერა ქ̃კს :რკთ: ინდიკტ. მეფ. ჩუენისასა :კთ: კელითა კლიმი კაკლაჩასძისითა:“... გრძელი წყევა-კრულვა, ვინც შემცვალოსო; მეფე სთხოვს კზ̃ს შიოს და შემდეგთა კზ̃თა და ეპისკოპოზთა, თქვენც ასე დაამტკიცეთო და ეს ანდერძი არ შემცვალოთო. სხვათა შორის მოხსენებულია: „ყოველნი მართლ აღმსარებელნი ვიწდევთ (სვეტი-ცხოვლიდამ?) მირონსა წარმოუცალიერებელსა და ჩუენ ცოდვილთა მკურნალ და ემპლასტრო გუექმნა და მის მიერ ყოველნი ნათელ-ღებულნი ვსასოებთ განათლებასა სულისასა“.

**1441** წ.—მცხეთის სიგელი № 28 (ნუსხა № :ი:), ქაღალდზე მხედრულად ნაწერი:

„ქ... ჩუენ.... შენითა (სვეტი-ცხოვლის) ძალ-მწეობითა ორისავე ტახტისა მპყრობელმან მეფეთა მეფემან ალექსანდრე... (შემოგწირე მცხეთას) ესრეთი აშენებული კუნელი, რომე კაცი არა ესახლა და თათართა ქუეყანიდალმან კაცები მოვასხი და კარი, ფური და პური ჩუენ მივეცით, ესრეთ ყოვლისა ადამის ნათესავისა კაცისაგან მოუდევარი კუნელი მოგვკსენებია... (და) მისი გამოსავალი ბეგარი... სრულიად... კზ̃ი შიო - - - იგინი - - - და წლითი წლად სამსა ალაპსა გარდაიკდიდენ (ჩემთვს) კარ-გაღებულსა... დღე-და-ღამე ორსა დაუვსებელსა კანდელსა ანთებდენ (მცხეთას)... ერთი ზუარი აშენდა და მისი

ნახევარი თქუენთჳს მომიჳსენებიან და შემომიწირავს და ნახევარი ჩუენისა ეკუ-
დრისა და საფლავთათუის შემიწირავს... დაიწერა ქ̃კ̃ს :რკთ: ინდიკ. მეფობი-
სა ჩუენისასა :კთ: კელითა... კლიმი კაკლაჩასძისათა.... შეუვალად მოგჳჳსენე-
ბია... ვითა სხუანიცა მცხეთის მამულნი შეუვალნი არიან"...

ბოლოს ხვეულად ამტკიცებს მეფე ალექსანდრე.

**1441 წ.** — მცხეთის სიგელი, ტყავზე მხედრულად ნაწერი, № 189 და სხვა № 28 ნუსხა № :სჲვ: და :რკა: „ქ. ჩუენ მეფეთ-მეფემან ალექსანდრე და თანა-[მეცხედრემან] ჩუენმან დედოფალთ-დედოფალმან თამარ... (და ძეთა) ჩუენთა ვახტანგ, დიმიტრი და გ̃გი ესე წიგნი გიბოძეთ [თქუენ] მაკუჩას ძეთა ივანეს, ფრიდონს და თათარასა... მოსაქციელი ეკუდერსა შევსწირეთ და მწირველნი მეეკუდრენი გავიჩინენით (sic) და თქუენ მაკუჩას ძეთა აქათი მოსაქცელს რაცა გლეხთა და ანუ ზურისაგან გამოვა, მათთჳს საალაპედ და კანდლისა სანთებლად გაუჩინე და თქუენ თქუენითა მამულითა ასე და ამა წესითა შეგწირენ, რომე მცხეთის შვილად დაგსხენ და როგორც სხუანი მცხეთის შვილნი არიან ამა წესითა მცხეთის შვილად იყვენით, ქ̃კ̃ზისა მსახურებით და ამას წინათცა თარხანნი და ყოვლისა სათხოვრისა და გამოსაღებისაგან შეუვალნი ყოფილხართ და აწცა თარხანნი და შეუვალნი იყვენით თვნიერ ამისსა, რომე ყოველსა წელიწადსა ერთსა ცალსა პურსა და ერთსა ცალსა ღჳინოსა და ოთხსა ზურგიელსა მცხეთას მიიღებდით და მით ოთხთა ჩუენთა მეეკუდრეთა აწირვებდით და მეეკუდრეთა და გლახაკთა პურსა აჭმევდით. მას აქათ ვერცა მეეკუდრეთა და ვერამან დაბადებულმან კაცმან თქუენს გუერდის საქმე ვერავინ დაიგდოს. მოსაქციელისა მოურავი შენა ივანე ხარ და ვითა მოურავისა წესი არის, ეგრეთ ეკუდერსა და მეეკუდრეთა ამსახურენ... ქ̃კ̃ს :რკთ: ინდიკტიონსა მეფობისა ჩ̃ნისასა :კთ: კელითა.... კლიმი კაკლაჩას ძისათა.... სისხლი და საუპატიო მცხეთის შვილობისა წესითა გაგიჩნდეს... თარხანნი იყვენით.

ხვეულად ამტკიცებს მეფე ალექსანდრე. და ქვემო მხედრულადვე: ქ. ამა მეფისა ბრძანებით ჩუნ - - - - - ქ̃კ̃ზი შიო კანონით ვამტკიცებ".

„ქ. ამა მეფეთა და ქ̃ზთა განჩენილსა მე მათი ჯუარის მტკრთველი მახარებელი მოწამე ვარ".

„ქ. ამა მეფეთა და ქ̃ზთ განჩენილის ჩუენ გ ო ბ ი რ ა ხ [ი ს] ძ ე ნ ი - - -

**1441 წ.** — თფილისის სინოდ. კანტ. სიგელი № 107, მხედრულად ნაწერი, თავი აკლია. ფრჩხილებში ჩასმულები ჩვენგან დამატებულია.

„[ქ. ჩუენ მინდობილმა ცვა]-ფარვათა თქუენთა, თქუენითა შეწევნითა და ძალმწეობითა დავითიან-ბაგრატონიან, აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა შ[არავანშა და შაჰანშა და ყოვლისა აღმოსავლეთისა თჳთ-მპყრობელმან ღვთივ] გჳრგჳნოსანმან მეფეთა-მეფემან ალექსანდრე ვიგულვე და ვიგულსმოდგინე და მენება, რათამცა თქუენნი სოფელნი ყოვლისა სათხოვრისაგან

გამეთავისუფლნეს. მოვიდა და გუეჰაჯა თქუენისა საყდრისა მპყრობელი, ჩუენი მოძღუარი თბილელ-მანგლელი იოვანე და პირველ ძუელთაგან გაშუებულობისა და თარხნობის სიგელნი მოგუართვნა და აწ ჩუენ ახლად განვაახლეთ და დავამტკიცეთ, რომელ რანიცა თქუენნი საყდრისა შესავალნი სოფელნი, გლეხნი და მამულნი არიან, გაგვითარხნებიან და გაგვითავისუფლებიან ყოვლისა სათხოვრისა და გამოსაღებისაგან; სრულიად არ ეთხოებოდეს არ ულუფა, არ გუთნის-თავი, არ სამეჯინიბო და არ სახოლსარლო, არ სამუშაო, არ ზროხა·საკლავი, არ გოჰი-ქათამი და არ საყველიერო და არა სათხოვარი, არ დიდი და არ მცირე არასთანა არა; და ჩუენი მოსამსახურე ვერასა სათხოვრისა და გამოსაღებლისათჳს, რანიცა თქუენნი შემოსავალნი მამულნი არიან, ვერასა სათხოვრისა და გამოსაღებლისათუის ვერ მივიდნენ; სადაც რა სათბილელო არის, არასთანა სათხოვარი არ ეთხოებოდეს, ესრეთ რომელ ჩუენისა სულისა საოხმან, ჩუენმან მოძღუარმან თბილელ-მანგლელმან იოვანე ორი დღე ალაპი გაგვიჩინა, ერთი დღე მთავარანგელოზობა, და ერთი დღე საბაობა, ამას ყოველთა წელიწადთა წარსამართებელად მეფობისა ჩუენისათუის და შესანდობელად სულისა ჩუენისათუის წლითი-წლად ალაპსა გარდაიკდიდეს თქუენისა საყდრისა მპყრობელი თბილელ-მანგლელი იოვანე და შემდგომად მისსა ვინცა თქუენისა საყდრისა მპყრობელ იქმნას და თბილელი იყოს, იგი ნუ დამაკლებს; და ვინცა დამაკლოს, თქუენ გაკითხულ ქმენ ჩუენთა ცოდვათა და ბრალთათუის წინაშე ძისა თქუენისა და ღ̃თისა ჩუენისა. და კუალად ვინცა ესე თქუენნი შემოსავალნი, სოფელნი, გლეხნი ჲ მამულნი, პირველ გათარხნებულნი და აწ ჩუენგან დამტკიცებითა გათარხნებულნი, მოშალოს და რაცა და რასთანაცა ანუ დიდი და ანუ მცირე სთხოოს... მისი ყოველი გაგებული სასულიერო და საკორციელო კეთილი მოუშალე და ჩემთა ცოდვათა და ბრალთათუის მეპასუხე და გარდამკდელი იგი ქმენ დღესა მას ზარის საკდელსა განკითხვისასა. დაიწერა სიგელი ესე ქორონიკონსა :რკთ: ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა :კთ: კელითა მესტუმრისა და კარის მწიგნობრისა ჩუენისა კლიმი კაკლაჩასძისათა (ეს სიგელი თფილისის სიონისაა).

**1442** წ. —ანდერძი მეფის ალექსანდრე I, მიცემული ქვათახევისადმი, ქაღალდზე მხედრულად ნაწერი, № 46:

„...(ფრიად გრძელის წინასიტყვაობის შემდეგ) უკეთუ ვინმე კელჰყოს და იკადროს ჩუენ მიერ მრავლითა ჭირითა და რუდუნებითა აღშენებულისა ამის დიდებულისა საყდართასა (ტაძრისა?) გამოკუებად ანუ სოფელთა, ანუ აგარაკთა, ვენაკთა, ოქროსა, ანუ ვეცხლისა, ანუ რვალისა, გინა რკინასა, ანუ სა̃ღთოთა სამსახურებელთა, ესე იგი არს: ანუ წმიდათა [ხა]ტთა, გინა სა̃ღთოთა წიგნთა, ანუ სამღდელოთა სამოსელთა ერ[თჯერ] შეწირულთა წ̃ისა ამის მონასტრისა გინა მეფეთა, გინა დედოფალთა, ჩუენთა ნათესავთა, გინა სხუათა ნათესავთა... დიდთა, გინა მცირეთაგან... კრულმცა არს (ფრიად გრძე-

ლი წყევა-კრულვა შემშლელთა ზედა და კურთხევა ეკლესიის ერთგულთა)... დაიწერა ქ~კს :ჩჱ:"...

ბოლოს ხვეულად ამტკიცებენ: „მეფე ალექსანდრე", „დედოფალი თამარ", „ვახტამ" (ვახტანგ), „დიმიტრი", „დავით", (დავით იმ დროს მკვდარი იყო: იხ. 1435 წ. და აქ ხელს უნდა აწერდეს სხვა დავით, კახთა მეფე?), „გიორგი", „რამაზ".

შემდეგ: „ქ. კანონითა ვამტკიცებ მალაქია კ~ზი" (ხვეულად გამოსახულია მაკურთხეველი ხელი) „ქ. მე კ~ზი ქართლისა კ~კზ (ნიკოლოზ?) კანონითა ვამტკიცებ". „ქ. მ~კზი ქართლისა ანტონი კანონითა ვამტკიცებ"

ქ. „მ~კზი დომენტი"... (ხვეულად, ფრიად ხელოვნურად გამოყვანილია მაკურთხეველი ხელი ჯვარ-მპყრობელი).

როგორც ქვემო დავამტკიცებთ, ეს მღვდელმთავარნი ყველანი ცხოვრობდნენ XVI საუკუნეში: მალაქია იხ. 1552 წლის ქვეშე; და ამისგამო ცხად ჰხდება, რომ მათი წარწერილობა არის შემდეგის დროისა: 1550—1580 წლებ შუა.

**1442 წ.**—ქ~კს :რლ: გარდაიცვალა მეფე ალექსანდრე; დაჯდა მე მისი კასტანგ მეფედ (ვახუშტ. ქრ.).—რუისის საყდრის შესავალ-კარზე ასომთავრული წარწერა: „ჵ ზე ადიდენ ღ~ნ მეფეთ-მეფობა დიდისა ალექსანდრესი, რომლისამიერ კუალად აღეშენა საყდარი ესე. ადიდენ ღ~ნ და სული (მისი?) მი(ი)თვალე" (ბროსესგან ოდნავ განსხვავებულად აღმოკითხული ესვე წარწერა იხ. Rap. VI, 42).—იმავე საყდრის სამხრეთის კედელზე ძველის ტაძრის ქვა არის ჩატანებული წარწერით: „გალატოზთა ზედა მდეგისა შალვას შ~ნ ღ~ნ" (შეადარე Rap. IV, 7).

სამთავისის დიდს საწინამძღვრო ჯვარზე ასომთავრული წარწერა: „ჩ~ნ ამისგამო სკიპტრის მპყრობელმან მეფეთ-მეფემან პატრონმა ალექსანდრე მოვაჭედინე წინამძღუარი ესე ცხოვრებისა ჩემისა პატიოსანი ჯუარი სამთავისა წარსამართებელად მეფობისა ჩემისა, ძეთა ჩემთა სადღეგრძელოდ ჾ ცოდვათა ჩემთა შესანდობელად" (ჩემი უბის წიგ. III, 39).

**1442 წ.**—ამ წელს უნდა იყოს მიცემული ეს. ზაალის ასულის თუმანოვის ქალაქდებში ჩვენგან პოვნილი გუჯარი, რომელშიც ქკს :რო: (1482 წ.) მოხსენებულია კზ~ი შიო. მაგრამ რადგან შიო სჩანს 1440—1446 წ., ხოლო შემდეგს დროებში-კი არც ერთს სიგელში არ არის აღნიშნული, და გობელიძე ამირან, რომელიც უსათუოდ უნდა იყოს „გობელისძე რამინ" ამირეჯიბი, ჩვენს გუჯრებში სჩანს 1451 წ. (იხ. ჩვენი „ქრონიკები" II, 1451 წლის ქვეშე), ამის-გამო ჩვენ გვგონია, რომ ამ გუჯრის ქ~კნი უნდა იყოს :რლ: (ძველი გამოსახულობა ასოთა „ო" და „ლ" ერთმანეთს მოჰგავს).

„ესე... ანდერძის წიგნი მოგეც მე ედილაშვილმა მისრი შენ ჰარმაულს ჰარმაულსა მღრდელს ი~ეს... კითხვითა და ბრძანებითა ქართლის კზ~ისა შიოსითა ჾ ყოველთა მცხეთის შვილთა... მას ჟამსა, ოდეს საქმე უნათესაოდ შეიქნა,

ჩუენი სახლი და მამული ერთი ღ გაუყოფელი იყო; ერთისა ქალის მეტი ჩუენი ნათესავი აღარა დარჩა და იგი შენ მოგეცით და ჩუენად შვილად და მემამულედ შემოგიყვანეთ და დაგიწერეთ ჩუენი მკვდრი და მოუდევარი მამული მცხეთას, რაც ჩუენსა სახლსა ჰქონებია, მისითა საკელოთი ღ სამცხეთიშვილოთი კარსანს, ჯუარს, ფოსუს, ოროტას, კუტალას ღ ძაგუნაკორთა, რაცა საყდრისაგან ჩუენ გუქონებია, ხატისწოზენა... რაგუარაც მეფეთა და კზ~თაგან სამკვდროდ გვქონებია... ამისნი მოწამენი... არიან: მცხეთისა ამილახორი გობელიძე ამირან, ჯ~ის მტვირთველი გიორგი, მოლარეთ-უხუცესი ვირშელი და სულთა-მამა კვირილეს შვილი დიმიტრი, ელიოზისძე მამაგული, ცოცხასძე მესტუმრე კახა (?), მთავარასძე ამირინდო... დაიწერა ქკს :როː (:რლ:?), კელითა მალალაძის მცხეთის ქადაგის მახარებელისათა და მოწამეცა არს“.

**1442 წ.** — სიონის სიგელში № 107 მოხსენებულია თფილელ-მანგლელი გრიგოლ.

**1442 წ.** — სინოდ.-კანტ. გუჯარი მცხეთისა № 338, ქაღალდზე მხედრულად ნაწერი. გუჯარს თავი და ბოლო აკლია, მაგრამ ჩვენ ვიპოვეთ მისი ძველი ნუსხა, მე-XVII საუკუნისა, ხუცური, № 14, სადაც მთელი გუჯარი არის, ამ უკანასკნელით აღვადგინეთ ძველი სიგელი და ნუსხით აღდგენილი ტექსტი დიდს ფრჩხილებში ჩავსვით. ამ გუჯრით შეწირულ ბაჟზე იხ. ზემო გვ. 239; 241.

[ჩუენ მეფეთა-მეფისა ალექსანდრესგან და თანა-მეცხედრისა ჩუენისა... თამარისგან და ძეთა ჩუენთა მეფის ვახტანგის, დიმიტრის, გიორგის და ზაალისგან, ნებითა ღთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთაჲ მეფისა, შარვანშა და შანშა ღ ყ~ისა აღმოსავლეთისა თვით-ფლობით მტკიცედ მქონებელისა.—მოვიდა წ~ე ჩუენსა... კზ~ი შიო და გუეაჯა სახასოდ მამულისა დაჰირვად. ეგრეთ არ უშურვეთ მათი მკვდ]რი და ყოვლისა ადამის ნათესავისა კაცისაგან უცილობელი ციხე არმაზისა მისითა ეკლესიითა, გლეხებითა, ყანითა... და მისი ძუელითგან გაჩენილი ბაჟი ორი თანგა დიდსა საპალნესა ზედან ...გქონდეს (მცხეთას და ქკზს შიოს)... ციხე-ეკლესია მისითა გლეხებითა... და მისი ძუელად გაჩენილი ორი თანგა საპალნესა ზედა... ტვრთსა ზედა ორს თანგას აიღებდით ...დაიწერა.. ქ~კსა :რლː [ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა :ნდː (უნდა: რლ) კელითა... კლიმი კაკლაჩასძისათა.]

**1442 წ.** — ამ წლის ახლო ხანებში უნდა იყოს დაწერილი ქვათახევის მონასტრისადმი მიცემული „ანდერძი მეფის ალექსანდრესი“ № 47:

„ქ.....(შემდეგ ფრიად გრძელის ღვთის-მეტყველურ წინასიტყვაობისა) წ~ნო მამანო ამას გევედრები, რომელ რაოდენნიცა აღაპნი განგვწესებია, რათა უკლებლად აღესრულებოდეს და წ~დათა ლოცვათა შინა თქუენთა მარადის კსენებულ ვიქნებოდეთ ესრე სახედ, ვითარმედ „ღვთის მსახურისა და ღვთივ

გჳრგჳნოსნისა მეფისა პატრონისა ალექსანდრესი საუკუნოდ იყავნ კსენება და კურთხევა მათი და მრავალმცა არიან წელნი ცხოვრებისა მისისანი ამინ † .... ღ҄ნ დაიცვას სიმტკიცე მეფობისა მათისა ა҄ნ †". ხოლო გევედრები ყოველთა, რომელთა მიიღოთ შემდგომად ჩემსა სკიპტრა მეფობისა, გინა პატივი დედოფლობისა ჩუენთა ნათესავთა, გინა სხუათა ნათესავთა, ანუ პატრონობა, გინა მთავრობა და მპყრობელობა, რათა მცირე ესე ნაღუაწი და შემოწირული ჩუენი არავინ კელყოთ შლად და ქცევად... ქუათაკევის ღთის-მშობლის მონასტრისა შეწირულსა სოფელთა და აგარაკთა ზე-ქუე შლად... † და თქუენცა, წ҄ნო მეუფენო, ყოვლისა საქართველოჲსა კათალიკოზნო, ღ҄ ღვთივ დაცულნო მიტროპოლიტნო, და ეპისკოპოსნო, კეთილად მსახურნო წინამძღუარნო და ყოველნო სათნონო კრებულნო, თანა-მდგომ და ზღუდე ექმნენით ჩუენ მიერ შეწირულსა ამას, რამეთუ თქუენდა ჯერ არს, რ҄ა ყოველთა საყდართათჳს იღუწიდეთ და ყოველთა მონასტერთა და ეკლესიათა თანა-მზრუნველ ექმნნეთ, არავის უტეოთ საღმრთოდ შეწირულთა კუალად სოფლიოდ და საერისკაცოდ შეცვალებად... ამხილებდეთ... და ნუ თუალღებით მდიდართა სიმდიდრისათჳს, ნუცა მთავართა შიშისათჳს... †.—ხოლო კარისა ჩუენისა ვაზირთა და აზნაურთა კარით ჩუენით წარვლენილთა მოკელეთა, მწიგნობართა და მოსაქმეთა ...სიგელი ესე დაამტკიცეთ...

**1443 წ.**—ამ წელს უნდა იყოს დაწერილი მცხეთის სიგელი № 144 (ნუსხა №№ :ტჲკ: და :პკ:), ქაღალდზე, მხედრული:

„ქ.. ესე მტკიცე... სიგელი... იმოგაკსენე თქუენ... მცხეთის საყდარსა... ღ҄ ქ҄კზსა პატრიარქსა შიოს მე ათაბაგ ამირსპასალარისა ივანეს შვილმან ყუარყუარე. შემოგწირე და მოგაკსენე ქორდვას გლეხი (ნუსხაში „გლეხები") სამხარაძე მისითა მამულითა, რისაც დღეს მქონებელი არს... არაოდეს მოგეშალოს... დაიწერა.. ქ҄კს :კლა: (?) დეკემბერსა დამდეგსა, კელითა ოსნასძისა იოვანესითა. ვინცა მოგიშალოს ღ҄ნ ჰკითხოს".

მერე მეტად ცუდის ხელით, მხედრულად: „მტკიცე არს სიგელი ესე" (ეს უუარყუარეს ხელი უნდა იყოს). ეს სიგელი უნდა იყოს ზემო აღნიშნული 1363 წ. (გვ. 188).

ამ სიგლის ქ҄კნი :კლა: გაურჩეველად არის დაწერილი, მაგრამ ასო „კ", გადაბმული სხვა ასოებთან, უნდა იყოს „რ" და მაშასადამე უნდა იკითხებოდეს: „:რლა:" ე. ი. 1443 წ., როდესაც მართლა სჩანს კ҄ზი შიო და ცოცხალი იყო ივანე ათაბაგი, ხოლო უუარყუარე არ იყო ჯერ გაათაბაგებული, რაიცა სრულიად ეთანხმება ჩვენს ქრონიკას (იხ. 1444 წ. ქვეშე). შესანიშნავად და უცხოდ მიგვაჩნია აქ ის, რომ ქ-ცხებით ივანე იყო ძმა და არა მამა უვარყვარესი. ჩვენი სიგელი ასწორებს ქცხებას და ამტკიცებს, რომ უვარყვარე არის ძმა აღბუღასი.

**1443 წ.**—თფილისის სიონის სიგელი, მხედრულად ნაწერი ქაღალდზე № 100 (ნუსხა მცხეთისა № :ოკ:):

„ქ... ესე წიგნი... გკადრე.. (მცხეთას) და... ქ~კზს შიოს... ჩუენ დიასამიძემან ვარამ და ჩემთა შვილთა ავთინდილ და დიასამ... მას ჟამსა, ოდეს ეშმაკისა ცთუნებითა... ასეთი რამე სარჯულო საქმე წამეკიდა, რომე თქუენ გამიწყერით... და საპატიჟოდ ყუიბის (უკიბისს) ერთი გლეხი მოგაკსენე მისითა მამულითა... ქ~კსა :რლა: ნოემბერსა :ლ: კელითა მცხეთის ქადაგის დიმიტრი გაგლაშვილისათა“ (ნუსხაშ : „გაგელისშვილისათა“).

უკიბისი ჭოროხის ხეობაშია (იხ. ზემო, გვ. 53); და ესეც ამოწმებს, რომ დიასამიძენი ტაო-კლარჯეთიდამ ყოფილან, სადაც მცხეთის კ~ზის უფლება ამ დროს მტკიცე ყოფილა.

**1443 წ.**—მცხეთის ნუსხაში № :სმჲ: შეტანილია სიგელი, რომელსაც გადაწერის დროსაც, მე-XVII საუკუნეში, თავი ჰკლებია., დიდს ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები ჩვენ დავურთეთ აზრთა მიმდინარეობით (შდრ—1439—1446 წ.): „----[ესე წიგნი მოგაკსენეთ თქუჱნ ქ~კზსა შიოს ჩუჱნ დოდორქისა წინამძღუარმან და ერთობ] კრებულთა მას ჟამსა, ოდეს თქუჱნ-წინაშე მოვედით და თოლეჯისა შემოწირვას შემოგეხუჱწენით; დიდი ხანი და ჟამი გამოსულიყო, რომე აღარა ჰქონებოდა და თქუჱნ გულს-მოდგინედ შემოსწირეთ ქუ-ჱყანა თოლეჯი; და ჩუჱნ დოდორქისა მოძღუარი, წინამძღუარი (და კრებულნი) კარგადღებულსა ალაპსა გარდაგიკდიდეთ... და თქუჱნ კ~ზისა შიოსთჳს ლოცვასა ვყოფდეთ... მე გარესჯის მოძღუარი დავით ამისი გამთავებელი ვარ“...

სჩანს, რომ მამული თოლეჯი დოდოს მონასტრისა ყოფილა, მაგრამ მცხეთას დიდს ხანს სჭერია და დაუკუთნებია; ხოლო კ~ზს შიოს ამ სიგლით ისევ დოდოსთჳს დაუბრუნებია.

**1444**.: ქ~კს :რლბ: კოსტანტიპოლი დაიპყრეს თურქთა (ეგ. მუზ. ხელნაწ. № 85)

— აქა კოსტანტიპოლი დაიპყრეს ურუმთა და სულ საბერძნეთი (ჟამნი № 3).

— აქა კოსტანტიპოლი დაიპყრეს თათართა (ძილისპირი იკორთისა № 6).

— აქა კოსტანტიპოლი დაიპყრეს ურუმთა და ს~დ საბერძნეთი (უანჩავეთის გულანი)

— აქა კოსტანტიპოლი დაიპყრეს ოთმანიანთა და ს~დ საბერძნეთი (წ~ა ნიკოლოზის ქრ.).

— აქა კოსტანტიპოლი დაიპყრეს თათართა. ამავე ქ~კს ჯანშა ყაენი ახალციხეს მოუკდა, და ივანე ათაბაგი მიიცვალა (ჟამნი № 2).

— ჯანშა ყაენი ახალციხეს მოადგა; მეფემან ვახტანგ ბრძო, უკუნიქცა ყაენი,—და მოკვდა იოანე ათაბაგი; დასვა მეფემან ძე მისი ალბუღა ათაბაგად. —კვალად მოკვდა ფანასკერტელის ქალი დედოფალი სითიხათუნ, ვახტანგ-მეფის ცოლი (ვახუშტ. ქრ.).

— დაიპყრეს თათართა კოსტანტიპოლი (დადიანთ ქრონიკა).

— ჯანშაჰ ყაენი ახალციხეს მოუხდა. ამავე ქ~კს ივანე ათაბაგი მიიცვალა (Chron. Géorgiene.).

1445 წ,—ქ~კს :რიგ: (sic) კოსტანტიპოლი. დაიჭირეს. თათართა. ამავე. ქ~კს: ანშა ყაენი. მოვიდა. ახალციხეს:—(კრება ლექსთა).

უეჭველია, აქ ქ~კნი უნდა იყოს არა :რიგ: არამედ :რკგ:, ამისთვის რომ „ლექსთა კრების" ცნობები მტკიცედ მისდევს ქრონოლოგიურს რიგსა და ამისგამო ძნელი დასაჯერებელია, რომ ქ~კნის :რით:-ის შემდეგ დაესხათ :რიგ: (ესეთივე ცნობა იხ. ზემო 1425 წ. ქვეშე).

ამ ნაირად უველა ქრონიკები თანხმად გვიჩვენებენ კოსტანტინეპოლის აღებას 1444 წელს (გარდა უკანასკნელის ქრონიკისა, რომელიც დასდებს 1445 წ.). ნამდვილ ცნობებით-კი კოსტანტინეპოლი დაიჭირა მაჰმედII-მ 29 მაისს 1453 წ. ზემო ჩამოთვლილ ქრონიკებს უსათუოდ რამე საფუძველი უნდა ჰქონოდეთ კოსტანტინეპოლის აღებისა 1444 წელს. ჩვენის აზრით ეს საფუძველი ის უნდა იყოს, რომ 1444 წელს ოსმალებმა ბოსფორის სრუტე დაიჭირეს და ალბათ ეს ამბავი საქართველოში თვით კოსტანტინეპოლის აღებად მიუღიათ.

## 1444—1451 წ.—ახალი და უძველესი ვარიანტი ალბუღას კანონებისა.

ჩვენ ხელთა გვაქვს ა. ფეიქრიშვილისგან ჩამოტანილი სუცური ხელნაწერი (გალესილს ქაღალდზე, in. 4 გვ. 74, უყდო, ბოლო არა აქვს. წარწერათაგან სჩანს, რომ იგი გადაწერილია „ველითა ფ~დ ცოდვილისა იესესითა ქ~ქს ტნჩ" (ე. ი. 1670 წ.) ძველის დედნისაგან, რომელსაც სიძველით აქა-იქ სიტყვები ჰკლებია, რისგამო გადამწერს იძულებით ამისთანა სიტყვების სხვა ვარიანტებიდამ ჩასაწერად ცარიელი ადგილი დაუგდია სტრიქონებშუა.

ხელნაწერი შეიცავს საკითხავთა: „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე:." ანუ ალბუღას კანონებს (გვ. 1—39); 2) „ესე სამართალი არს, რომელი მოიგოთ (?) უბრძანა ღ~ნ წიგნსა შინა გამოსლვათასა და ესე სამართლები არს. რომელი წინაჲ დაუდვაჲ: მათ:." (ე. ი. ებრაულთა კანონნი). 3) „რიცხვთა შინა უბრძანებს ღ~თი მოსეს კაცისა მკვლელისათ:"(ჯს) (გვ. 59—72).

ამ საკითხავებში ჩვენ მეტადრე განძად მიგვაჩნია ალბუღას კანონები, რადგან ჩვენ არსად შეგვხვედრია ამ კანონების ძველი ვარიანტი, გარდა იმ ვარიანტებისა, რომელნიც ჩართულია ვახტანგ-მეფის კანონთა კრების ხელნაწერებში (მე-XVIII—XIX საუკ.); ხოლო ჩვენი ხელნაწერი დაწერილია დიდათ ადრე ვახტანგ-მეფისა და როგორც სჩანს ძველის დედნიდამ. გარდა ამისა ჩვენს ვარიანტში ალბუღას კანონები გამოთქმულია უფრო მოკლედ და აქა-იქ საყურადღებო განსხვავებით, ვინემ ვახტანგისაში, რაჲცა დიდად საყურადღებოა ჩვენის იურიდიულ წეს-წყობილებათა მკვლევართათვის. უკანასკნელ, ჩვენი ვარიანტი შესანიშნავია იმითაც, რომ მას

აქვს სათაური ანუ წინასიტყვაობა, რომელიც აკლია ვახტანგისაში და რომელშიც დასახელებულნი არიან ისტორიაში უცნობნი პირნი: ბიძის ძენი ალბუღასნი: ბაშია და საფარის მოძღვარი პაფნოტე.

მოგვყავს აქ ეს წინასიტყვაობა ჩვენის ვარიანტით:

„სახელითა ღ~თისაჲთა. დაუსაბამოსა მამისა ძისა და წ~ისა სულისათა. მეოხებითა ყ~დ წ~ისა ღ~თისმშობლისათა. და ყოველთა წმიდათა ზეცისა და ქ~ყანისათა. მე ათაბაგ ამილსპასალარმან. (sic) ალბუღა მოვაკსენეთ პატიოსანსა . . . (აქ ორიოდ სიტყვისთვის ცარიელი ადგილია დატოვებული) მაწყუერელსა. ჭ ბიძაძეთა ჩემთა ბაშიასა (შაბიასა?) და მისსა ძმასა საფარის მოძღუარსა პაფნონეტეს. ხუთსავე თემსა სამცხისასა. ტაოველთა შავშთა და კლარჯთა და მათ შინა მყოფთა ეპისკოპოსთა და მეუდაბნოეთა მოწესეთა მოწმობითა მინდობილნი ღ~თისანი. და ყ~დ წ~ისა ღთისმშობლისანი:.

დავ(ი)დევით წინაშე პატიოსნის (დედანში იქნებოდა: „პატრონის") პაპის ჩემისა ბექას განაჩენი იგი აღსრულობითა და უკლებად დავსწერეთ და რაჲცა ჟამთა სიავითა. სხუანი უწესონი საქმენი შემოსრულ იყუნეს. მათი სამართალი ზედა დაურთეთ. ასე რომე რაჲცა. სისხლისა. გერშისა დასხმისა. ლალატისა. და რაჲსა გინდა. თეთრისა საურავისა საქმე იყოს. პატონის (sic) პაპის ჩემისაგან განაჩენი ყაზანური თეთრი იყო: ამა ჟამსა შინა ყაზანაურობა არღარა იყო: დიდისა მეფისა გიორგის ჟამისა (ჟ~ა) თეთრი გავაჩინეთ. ორიანი. ხუთი დანგი წმინდა ვეცხლი. (ამ სიტყვების პირ-და-პირ არშიაზე ტექსტის ხელით აწერია: „ორიანი სუთი დანგი ერთი აბაზია") და როგორცა თეთრი იყოს ანგარიშად იმა წესითა აიღებოდეს. ამად არ ჩამოვამცირეევით რომე ავი საქმე ნუ ვისგან გაადვილდების. აწყურისა და საფარისა ვითა ძველი გაყოფილი იყო. არცა დღეს პატონი (sic) მოეშალა. ჩუჱნ განაღამცა ეგრეთვე დავამტკიცეთ": —(შეადარე ეს წინასიტყვაობა ჩუბინოვისგან გამოცემულისას: მისს ქრისტომატიაში, გვ. 208).

და ზედვე წითურად: „უწინ სისხლის საქმე გავაჩინოთ":.

**1445 წ.**—გამეფება ალექსანდრე-მეფის ძის გიორგისა: ეს სჩანს მცხეთის გუჯრიდამ № 12, რომელიც დაწერილია „ქ~კს :რლვ: (1448 წ. ის. კიდე 1453 წ.) ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მ ე ს ა მ ე ს ა, კელითა... კლიმი კაკლაჩასძისათა". სხვა გუჯრიდამ (ის. 1460 წ.) გიორგის გამეფება სჩანს 1446 წ.

**1445 წ.**—სიგელი მცხეთისა, ქაღალდზე მხედრულად ნაწერი, № 292:

„ჩუენ მეფეთა-მეფის ალექსანდრეს ძემან, მეფემან დიმიტრი, ეს ნასყიდობის სიგელი გიბოძე თქუენ დარბეგიშვილს ზაქარიას... მოგყიდეთ ქალაქს მეფის ზუარი.. კლდეს ქვეით... ქ~კს :რლგ: ..აგვისტოსა :კვ:" მერე ხვეულად: „...მეფესა დიმიტრის დამიმტკიცებია".

**1445 წ.**—ქ~კს :რლგ: მიიცვალა მეფე-ვახტანგ და დაჯდა ძმა მისი გიორგი მეფედ (ვახუშტ. ქრ.).

რომ ეს ცნობა გახუშტის ქრონიკისა სიმართლეს მოკლებულია, ეს ცხადია ჩვენის ქრონიკიდამ (იხ. 1447 წელს ქვეშე), და იკორთის ტაძრის ხატის წარწერისაგან, სადაც ვახტანგ ცოცხალი სჩანს 1446 წელს. აი ეს წარწერა ტექსტის ხელით, რომელიც დაუწერია იკორთის წინამძღვარს იოაკიმ თითასმანელისძეს: „დაიწერა წმიდანი ესე ხატიკნი მეფობასა ვახტანგისასა ❁ ბრძანებითა (ქსნის) ერისთავისა შალვაჲსათა ქ~კსა :ႰႪႣ:“ (ჩემი უბის წიგ. III, გვ. 61 და 63). მოგვყავს აქა სხვა წარწერაცა იმავე ხატისა, ტექსტის ხელით დაწერილი და მაშასადამე 1446 წელსავე:

„სახელითა ღ~თისათა... მიქაელ და გაბრიელისითა: Ⴜლმძრა მე სიყუარულმან სამსახურებელმან ტაძრისა თქუ~ნისამან, წ~ნო მთავარ-ანგელოზნო მიქაელ და გაბრიელ, მე ყოველთა კაცთაგან უნარჩევესმან, ცოდვილმან ე რ ი ს თ ა ვ მ ა ნ, ძ ე მ ა ნ ქ ვ ე ნ ნ ი ფ ნ ე ვ ე ლ ი ს ა მ ა ნ, შ ა ლ ვ ა, რათამცა შევამკევით ტაძარი თქ~ნი იკორთაჲ შესავედრებლად სულთა ❁ კორცთა ჩნთ~ჲ ❁ მოვაკსენეთ და შევსწირეთ სოფელი მანვაზეთი და საცხენეთი და ერთი გლეხი ფლავს ერთითა ვენაკითა, სასახლითა და სამის დღის საკნავითა და დავაწერინ(ენ) წ~ნი ესე ხატიკნი ყოვლითურთ სრულნი ❁ უნაკლულონი ❁ ერთი დავითი, ორი თუ~: ფ~ზრვალი ❁ მარტი: რათა გვკსნას საუკუნეთა სატანჯველთაგან და ღირს გვყვნეს.... ამას გარეთ სამი ლატრა ცვლი ფლავს ვანთჲთ (ვანთაჲთ?) მოიღებოდეს ჩ~ა ძღაპსა შ~ა:. აწ ვინცა კელჰყოს შლად.... ანუ მეფეთა, ანუ დედოფალთა, ანუ ჩ~ნთა გუართა, ანუ სხუათა პატრონთა,—ჩ~ნთამცა ბრალთა და ჩ~ნთა ცოდვათა მზღველია წ~ე ღ~ისა... სულსა Ⴄ~Ⴄრისთავისა (ერისთავთ-ერისთავისა) ქ უ ჱ ნ ი ფ ნ ე ვ ე ლ ი ს ს ა (მამაა შალვასი) შ~ს ღ~ნ.—სულსა მათისა მეუღლისა დ ე დ ო ფ ლ ი ს დ ი ს ა გ უ ლ ქ ა ნ ი ს ს ა შ~ნ ღ~ნ:“—(იხ. ზემო გვ. 27).

იმავე ხელით: „დიდად მოიჭირვა თითასმანელისძემან წინამძღუარმან იოაკიმ ამისსა წერასა და დედისა შოებასა შიგან. თუმცა იგი არა, ამასსა დედასა ვერვინ იშოებდა:. სულსა წინამძღუარისა იოაკიმისსა შ~ს ღ~ნ ა~ნ. სულსა მათთა მშობელთა შ~ნ ღ~ნ ა~ნ“.

**1446 წ.**—ქ~კს :რლდ: ალბუღა და ყუარყუარე შეიბნეს და ამასვე ქ~კსა მეფე ვახტანგ მიიცვალა (ჩხეიძის ქრ.).

**1447 წ.**—ქ~კს :რლე: აქა ალბუღა და ყუარყუარე შეიბნეს. ამავე ქ~კსა მეფე ვახტანგ მიიცვალა (იკორთის ძილისპირი № 6).

— ქ~კს :რლე: აქა ალბუღა და ყუარყუარე შეიბნეს (ჟამნი № 2).

— ქ~კს :რლე: აქა ალბუღა და ყუარყუარე შეიბნენ. ყუარყუარეს გაემარჯვა (ვახუშტ. ქრ.).

— ქ~კს :რლე: ალბუღა და ყუარყუარე შეიბნეს:. ამავე ქ~კსა მეფე ვახტანგ მიიცვალა. იყო მეუღ[ლე] მეფის ვახტანგისა ფანასკერტელის ქალი, და(ჲ) თაყას ფანასკერტელისა, დედოფალი სილხათუნ (Chron. G6.),

ამ უკანასკნელის ქრონიკიდამ ეს ცნობა შეტანილია ქ-ცხსაში (გვ. 475).—ამნაირად უმეტესი ნაწილი ქრონიკებისა დასდებენ ვახტანგის სიკვდილს 1447 წ. და მხოლოდ ერთი—1446 წ. ყურულის გუჯრიდამ სჩანს გიორგის გამეფება 1446 წ. (იხ. 1460 წ. ქვეშე), მაგრამ რადგან იგორთის ზადიკში ვახტანგ ცოცხლად სჩანს 1446 წ., ამისგამო ვახტანგი უნდა მომკვდარიყოს 1446 წლის დამლევს ანუ 1447 წლის დამწყებს, და არ ვიცი ვახუშტი რა საბუთებით გვიჩვენებს 1445 წელს. ჩვენს აზრს უფრო ამტკიცებს ქვემო დაბეჭდილი მეფე-გიორგის გუჯარი, მიცემული 25 დეკ. 1447 წელს, ინდიკტიონსა პირველსა მისის მეფობისას. ცხადია, რომ ვასთა მპყრობელი გიორგი ვახტანგის სიკვდილის შემდეგ გამეფებულა ქართლში 1447 წელს, რომელსაც იგი უწოდს პირველ წლად თვისის მეფობისად.

**1447 წ.**—ქ~კს :რლე: აქა სუსას შვილი მანგალ დაიბადა - - ვი - - და" (ეკ. მუზ. ტყავის წიგ. № 85, მხედრული წარწერა).

**1447 წ.**—დეკემბერს 25-ს.—გარეცხილს ტყავზე მხედრულად ლამაზის ხელით ნაწერი სიგელი მცხეთისა № 60 (ნუსხა :№: სიგ.): სიგელი მიცემულია გიორგი-მეფისაგან პირველს წელს მისის მეფობისას, ქ~კს :რლე: (1447), რომელიც უნდა იყოს წელი მისის გამეფებისა, რაიცა სრულიად ეთანხმება ჩვენს ქრონიკებს. საყურადღებოა ისიც, რომ ამ სიგელში მეფე გიორგი უწოდს მეფე-გიორგი-მე-VII-ეს „პაპის ძმად" თჳსად (ვითომ მეფე-ალექსანდრე იყო მე დავითისი? ანუ ალექსანდრე იყოს მე გიორგი—VIII-სა, დავით-მეფის ძისა, გიორგი-VII-ის ძმისა?), რაიცა არ ეთანხმება ზემო დაბეჭდილს ცნობებს.—ამავე სიგლიდამ სჩანს, რომ ვახტანგ IV-ის შემდეგ ქართლში გამეფებულა არა დიმიტრი, არამედ გიორგი IX.

„....... მინდობილმან ცვა-ფარვათა თქუენთამან და განმაერთებელმან ლიხთ იმერისა და ლიხთ ამერისამან, ორისავე სამეფოსა... მპყრობელმან... მეფეთ-მეფემა გ~ი (გიორგი)... შეწევნითა და წინამძღუარობითა ძელისა ცხორებისათა აგარის ნათესავენი და მტერნი და წინააღმდგომნი ჩუენნი სამარადისოდ ლტოლვილ და უკუნქცეულ არიან დღეინდელად დღედმდე, არამედ აჰა ესე-რა მოწევნულ იყო საშინელება და რისხვა საშინელებით აღძრული, მსგავსი ცოდვათა ჩუენთა და ჟამსა პაპის ძმისა ჩუენისა მეფეთ-მეფისა გ~გისსა (გიორგისასა) და მეფობასა და პატრონობასა შინა მისსა მოსრულიყო უსჯულოებით აღძრული და ყოვლისა ქუეყანისა მაოჴრებელისა და ყოვლისა სჯულისა მტერი აგარის მონათესავე... უსჯულო თემურ მრავლითა და აურაცხელითა ულუსითა და ამოეწყვდა საქართველო და მრავალნი სულნი პირითა მახვილისათა მოესრნეს.. და... დედა-ქალაქი საყდარი მცხეთა დაექცია და უსაშინელეს და უმეორეს მოწევნულ იყო დღე იგი დღესა მას, რომელ კრეტსაბმელი ტაძრისა განიპო (ე. ი. დიდს პარასკევს?)..... კუალად მშვიდობა ყო (ღმრ̇თმან) საქართველოსა ზედა და შემდგომად ამისა ღირს ყო

ღმერთმან მამა ჩუენი პატივსა მეფობისასა მოღებად და ეგულვა და ეგულს-მოდგინა კუალად აღშენებად... დედა-ქალაქისა მცხეთისა საყდრისა და... ყოვ-ლითურთ სრულ ექმნა და რომელნიცა საყდრისა მამულნი ჟამთა შლილობი-საგან შეცვალებოდეს... ყოველნივე შესწირნეს...

ხოლო შემდგომად მათსა ვინადგან ინება მოწყალებამან ღ˜თისამან და ო რ ი ს ა ვ ე ტ ა ხ ტ ი ს ა კელმწიფედ მპყრობელ ვიქმენით..., სამართლად გუ-მართებდა პატრონისა მამისა ჩუენისაგან განჩენილისა დამტკიცება. ეგრეთ ჯერ ვიჩინეთ და გამოწვლილვით ვიძიეთ.. და ახლად გუჯარითა ამით ჩუენცა დავამ-ტკიცეთ და ვათავისუფლეთ (აქ ვრცლად და დაწვრილებით აღრიცხულია და ჩა-მოთვლილი მცხეთის მამულები, რომელთა სიას, სივრცისათვის, არ ვბეჭდავთ: იხ. ეს სია ზემო გვ. 195—8). აჰა თქუენ წ˜ო მღვდელთ-მთავართ-მთავარო ქ˜კზო დ ა ვ ი თ!... (თქუენცა ესრე დაუმტკიცეთო) ...დაიწერა გუჯარი (sic) ესე ჩუე-ნი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა :ა: ქ˜კს :რლე: დეკემბერსა :კე: კელი-თა ელიოზის ძისა ელიოზისათა

მერე ხვეულად: „მე მეფეთ-მეფე გ˜ი ვამტკიცებ ნებითა ღმრთისათა“

**1448 წ.**—ამ წელს მოხსენებულია დედოფალი გულშარ (ქვათახევის სიგელი № 6). გულშარ, დედა (?) კოსტანტინესი იხ. 1452 წ. ქვემო, გვ. 265.

**1448 წ.**—ტყავზე ხუცურად დაწერილი სიგელი მცხეთისა № 12 (ნუსხა :ჲ:): საყურადღებოა, რომ აქ 1448 წელი აღნიშნულია მესამე-წლად გიორგის მეფობისად.

....ჩუენ... ორისავე ტახტისა ლიხთ იმერისა და ლიხთ-ამერისა... მპყრო-ბელმან მეფეთ მეფემან გ˜გი.... მოგაკსენე (მცხეთას) ბაგა სრულად საჯდომი-თა, დარბაზითა, კარის ეკლესიითა, გლეხებითა, საგლეხოთა სამსახუროთა ....და კისაური ბაგულითა და ქართაულითა მამულითა... ერთსა ალაპსა... (ლაზარობას) გარდაიკდიდეთ..(და სხვა ექვსი ალაპიცა)... ...და სომეხთა უბანი წილკნისა (შე-გვწირავს)... დაიწერა ქკსა :რლვ: ინდიკტიონსა მეფობისა ჩ˜ნისა მესამესა, კე-ლითა... მესტუმრისა და კარისა ჩ˜ნისა მწიგნობრისა კლიმი კაკლაჩაძისათაჲ“.

ბოლოს ხვეულად: „მეფეს გ˜ის დამიმტკიცებია ნებითა ღთისათა“.

**1449 წ.**—„ქკ˜ს :რლზ: ჩვენ მეფემან გიორგიმ, ძმამან მეფისა ვახტანგი-სამან, გიწყალობეთ ინდიკტიონსა :ე:“ (ვახუშტ. ქრ. ქვემო მოყვანილს სიგელ-ში იმავე თარიღში აღნიშნულია მესამე წელი გიორგის მეფობისა). ცხადია, რომ ამ გუჯარის საფუძველით, რომელიც ჰქონია ვახუშტის, მას დაუდვია ვახტანგ-IV სიკვდილი 1445 წ.

**1449 წ.** დეკემბერს :კე:—ჩინებულს ტყავზე (ეტრატზე) მხედრულად ნაწერი სიგელი მცხეთისა № 37 (ნუსხა № :რვ:)

„ჩუენ....... (აქ სრული მეფური წოდებულობა) მეფეთ-მეფემან გიორგი, ძე-

მან დიდისა და მეფეთა შორის წარჩინებულისა... სულ-კურთხეულისა... მონაზონისა ალექსანდრესმან, კელვყავ და გულს-მოდგინედ ვიწყე ძიებად, რათა მცირედითა რაჲთამე... მემსახურა ჩუენისა საპატრიარქოსა საყდრისა დედაქალაქისა მცხეთისათჳს... და მოგაკსენენ ნიაბის ბოლოს გომნი სოფელი სრულიად და უკლებად... ძუელითგანცა მცხეთისანი ყოფილიყვნენ... შეჰშლიყო და აწ ჩუენ ახლად შემოგწირენით და მოგაკსენენით (მცხეთას)... ქკზ˜ო დავით! ნუმცა დავიწყებულ ვიქნები თქუენ-მიერ მსხვერპლ-შემწირველებათა შინა თქუენთა..... თარხნად, შეუვალად... მოგაკსენეთ.... შემოგიკვეთეთ მცხეთას კარგალებული ალაპი ერთი ლაზარობასა და მეორე სეკდემბერსა :კგ:.... და მესამე მაისსა შვიდსა. ესე სამი ალაპი ჩემთჳს ჲ ჩემისა ძმისა დიმიტრისთჳს შეჰკუეთეთ. აგრეთვე კარგალებული ალაპი მაისსა რვასა... და იანვარსა შვდსა... დაიწერა... ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა :გ: კელითა მალალაძის გაგლისშვილისა და მცხეთისა ქადაგისა დიმიტრისითა, ქკსა :რლზ: დეკემბ. :კე:

ერთი ალაპი სხუა შეგიკუეთეთ ჩემთჳს ნოემბერსა ათსა წ˜ის გ˜ის ურმის თუალსა შესლვას დღესა", ბოლოს სკეულად, გაურჩევლად: „მეფისგან გიორგისა დაიმტკიცა ნებითა ღთისათა".

**1451** წ. მარტს :ტ:—მცხეთის საგელი მხედრული № 54 (ნუსხა № :მთ:).

„....ესე... სიგელი სამკვდრო სამამულე... მოგაკსენეთ... მცხეთასა საყდარსა და... ქკ˜ზსა პატრიაქსა დავითს ჩუენ გობელისძეთა ამირეჯიბმან რამინ და თქუენისა (ე. ი. მცხეთის) საყდრისა ამილახორმან და ძმამან ჩემმან საჰამა: შემოვსწირეთ და მოგაკსენეთ კრცხილოანს ერთი გლეხი ლალასძე მისითა მამულითა... ერთი გლეხი ერგნეთს ჯოხას ძე ორითა ვენაკითა და ერთი ვენაკი სხუა-ვე შენი და ველი, მიწად სამისა დღისა, მას ჟამსა, ოდეს ჩემსა ძმასა საჰამს ქავთარასძისა ასული შეერთო და მეყვსობა რამე გამოჩნდა და საჰამს გაუწყერით და ესე ორნი გლეხნი კრცხილოანს ლალასძე ერთითა ვენახითა და მისითა მამულითა ს˜დ... და ერთი გლეხი ერგნეთს ჯოხასძე ორითა ვენაკითა და... შემოგწირე ჩუენი ნასისხლი და... მოუდევარი და უსარჩლავი... ტკბილისა ნახევარსა მოგაკსენებდენ და სხუა რაცა ბეგარი და გამოსაღები ჰმართებს, თქუენ პატინნი(?) მოიკლებდით; და იკმარებდით კელმოკსნითა, თარხნად და შეუვალად ვითა ჩუენსა მკვდრსა და ნასისხლსა ჰმართებს, ეგრე მკვდრად და სამამულოდ... არა მოგეშალოს... დაიწერა ქ˜კსა :რლთ: მარტსა :ს: კელითა ელიოზის ძისა ელიოზისათა † † † † †.

**1451** წ.—„ქ˜კს :რლთ: მურადბეგის 50 კატარღებმან აფხაზეთი, ცხომი და ზღვის პირნი მოაოხრნეს;—და მოკუდა ალბუღა ათაბაგი; დასვა გიორგი-მეფემ ბიძა მისი ყვარყვარე ათაბაგად" (ვახუშტ. ქრ.).

ჩვენ უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ყუარყუარე იყო ძმა და არა ბიძა აღბუღასი (იხ.      ).

**1451** წ. ივლისის 1.—მოგვყავს ჟურნალის „მოამბეში“ № 1 გადმოწერილი ა. კ. ქუთაისელაძის მიერ და დაბეჭდილი ექტრატის სიგელი, მსჯდრულად ნაწერი.

„ქ. სახელითა ღ῀თისათა გიორგი მეფეთა მეფისაგან, იესიან, დავითიან, სოლომონიან ბაგრატონიანისა, ნებითა ღ῀თისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შანშა და შარვანშა, და ყოვლისა აღმოსავლეთისა, ჩრდილოეთისა ვიდრე დასავლეთამდის ფლობით მტკიცედ თჳთ კელმწიფედ მფლობელ-მპყრობელთასა,—მოვიდეს წინაშე ჩუენსა ჩუენნი დიდად ერდგულნი და თავ-დადებით ნამსახურნი და ჩუენისა დ ტახტისა უზედაე ყოფისთჳს დიდად ჭირ-ნანახნი წულუკისძე ვირშელი და მისნი შვილნი ვალადემურ, სალუყაზან, ბევროზ, ბეყან დ სიაოშ; გუეაჯნეს დ მოგუაკსენეს, რათამცა მრავალთა ერთგულობა-ნამსახურთა მათთასა შეგუეწყალნეს, სიგლითა ამით დაგუემტკიცა და მათთჳს მათისავე მკჳდრისა და ნასისხლისა და გუარეულად მათგანვე ნაქონებისა მამულისა წყალობა გუეყო, დაგუაჯერა ღ῀ნ და ვისმინეთ აჯა და მოკსენება თქუენი და მოგიბოძეთ თქუენი მკჳდრი და ნასისხლი მამული, და ყოვლისა ადამის ტომისა მონათესავისა კაცისგან მოუდევარ-მოუსარჩელი სოფელი იწა მისითა მიდგომითა და გასათუალავითა, მზღურითა, მთითა, ბარითა... ერთობ სრულად და უკლებად გქონდეს, ვითა თქუენსა მკჳდრსა და ნასისხლსა მართებს: აგრე ვერა ადამის ტომი კაცი, ვერ თავადნი და დიდებულნი, და ვერ აზნაურნი და მათ უქუედაესნი ვერას ჟამისა გამოცუალებისათჳს ვერაოდეს ვინ მოგერჩოდეს, დ ვერც ვინ გეცილებოდეს; და თუ ვინ მოგერჩოდეს, პირნი და პასუხისა გამცემნი ჩუენ ვართ, და თუ ვინმე ამა ადგილისა და სოფლისა გაცემულობისა წიგნი და ნიშანი ვინმე მოიღოს, ამა მტკიცითა სიგლითა გაგუიცუდებია, და მტკიცე ესე ოდენ არის, ამად რომე მკჳდრი და ნასისხლი თქუენი და თქუენისა სახლისა ყოფილა და თქუენგან მეტსა სხუასა კაცსა არავის მართებს, პაპანი და მამა თქუენნი ჩუენსა დიდსა სამსახურსა და ერთგულობასა შიგან დაკოცილან, და ჩუენთა გუართათჳს მრავალი უმსახურებია, და თქუენ ობოლნი და წურილნი *) დარჩომილხართ მას დროსა და ჟამსა შიგან. მეჟმეობით თუ ვისმე ესე თქუენი მკჳდრი და ნასისხლი მამული სოფელი იწა გამოეურვოს და ეშოვნოს მეფეთაგან, მაშინცა დიდი ძალი დ უსამართლო გჭირვებია, არა თუ აწ თქუენსა მკჳდრსა დ ნასისხლსა ამა მამულსა სოფელსა იწასა მოგასარჩლოთ და ძალად და უსამართლოდ ნაქონებისათჳს ვისმე სხუასა კაცსა სიგელი აღოს, ტყუვილია, ცუდი და უსამართლობა არის, და ამა ჩუენმან მტკიცემან სიგელმან გატეხოს იგი; და არავინ გუიბრძანებია მშლელი და მაქცეველი ამის ბ῀ძულისა ჩუენისა, არცავინ მეუბნებლე, მავნებელ და მაკლებელი თუინიერ შეწევნისა დ თანა-დგომის მეტი. გქონდეს თქუენ ჩუენთა დიდად ერთგულთა და თავდადებით ნამსახურთა წულუკისძესა ვირშელსა და თქუენთა შვილთა ვალადემურს, სალუყაზანს,

---

*) როგორც საგულისხმებელია, ესენი დახოცილან თამერლანის შემოსევის დროს.

ბევროზს, ბეჟანს და სიაოშს, და თქუენთა მომავალთა ყოველთავე სოფელი იწა თქუენი მკუიდრი და ნასისხლი მისითა მზღვრითა... ყუელათა მისითა სამართლიანითა ბ῀ბა ნიშნად გუიბოძებია.—აწ ვინცა ნახოთ ბ῀ბა და სიგელი ესე შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთა და დედოფალთა, ერისთავთ-ერისთავთა, კარისა ჩუენისა ვაზირთა, მოურავთა, კელისუფალთა, დივანთა და მოსაქმეთა, მეკ(უ)ლუხეთა, პურისა და საკლავისა მკრეფელთა, ტყუისა და მპარავთ მეძებართა, ციხისთავთა ❀ ციხოანთა, მეჯინებეთა, მერემაეთა, ახორსალართა, ბაზიართა, მესაბანჯრეთა და ყოველთავე კარით ჩუენით წარვლენილთა, დაუმტკიცეთ, და ნუვინ უშალავთ მტკიცედ ბ῀ბულსა ამას ჩუენსა. და თქუენ, წმიდანო მეუფენო ქართლისა და აფხაზეთისა კათალიკოზნო, უჯუაროებით დაუმტკიცეთ ბრძანებული ესე ჩუენი.—დაიწერა ბ῀ბა ❀ სიგელი ესე ინდიკდიონსა მეფობისა ჩუენისასა :ე: ქ῀კნსა :რლთ: ივლისსა :ა: კელითა წირქუალელისძისა რატისათა.

ბრძანება ესე გიორგის დაგუიმტკიცებია (ხელწართულად).

**1452 წ.** — ტყავზე ცუდის ხელით მხედრულად ნაწერი სიგელი ქვათახევის მონასტრისა, № 8 (სხვა № 49), რომელშიც მოხსენებულია, რომ „ტფილისი თათართა ჰქონდათო“. ამ დროს ტფილისი მტრებს არ ეჭირათ და ამის-გამო აქ უნდა იგულისხმებოდეს 1400 წლის თამერლანისგან ტფილისის დაჭერა. თუთ თარიღი სიგლისა საეჭვოა, რადგან ქკ῀ს „:რმ:“ წაშლილი აქვს ასო „მ“ და ამის-გამო გამოდის, რომ ნამდვილი თარიღი სიგლისა უნდა იყოს „რ“ (1412 წ.), ძალიან დაახლოვებული თამერლანისგან საქართველოს მოოხრებისა.

ეტრატზე მხედრული:

„ . . . . . . . .მე ყ῀დ საწყალობელმან ვიგულსმოდგინე, რომე სულისა ჩემისათჳს აქა ქუათაკევს ალაპი გამეჩინა მას ჟამსა, როდს (sic) ქალაქი თათართა ქონდა. მორდავე (?) ესე კავთისკევი წარიტყუენეს ❀ ტურისშვილის ჯალაბი დატყუევდა. მერმე მოვიდა ამისი ზენარი და აჯა ითხოვა, რომე მადლი არის, ურჯულოთა კელითა ამოვწყთით, დავტყვევდით. მერმე მან ვენაკი მომყიდა, სამასი თანგა მივეც, ასე რომე მონასტერს შევეკითხენით, ვით̣ა თუ შემიწყალეთ და აქა ქუათაკევს ალაპს შემკვეთეთ (?); თანგას სამასს ტურაშვილს მივსცემ და ვენაკს ჩემის სულისთჳს ხატს და თქუენ მოგაკსენებთ. მე ტაურს(?)შვილმან ესე თქუა: თუ მონასტერს ეპრიანების და ვენაკსა მე მიბოძენ, ალაპს მე ვიქ და თუ არა ეპრიანების, ვენაკი მონასტრისა არის... აწი შემოვწირე მე ფრიად საწყალობელმან ყიფიანმან ნინიტამა იაგულმა ტურისშვილთაგან ნასყიდი ვენაკი... (საჩდკრები) დეკემბერს ოცს ალაპსა ნურას დროს დაგვაკლებენ მონასტერი თუ ტურასშვილი (თუ ტურაშვილმა არ შეასრულოსო, «ვენაკი მონასტერსა დაედვასო»)... დაიწერა კელითა მორჩილაძისა დავითისითა... ქკს :რმ: (აქ ასო „მ“ განგებ წაშლილსა ჰგავს) დეკემბერსა ოც-დ - -“.

**1452** წ. — „ქ͞კს :რმ: - - შვილი შთა (შოთა?) გალ - - დაი" (გადასული მხედრული წარწერა ეკ. მუზ. კინკლოსისა № 85).

**1452** წ. — ქკს :რმ: მეფის ალექსანდრეს ძე დიმიტრი ცხენმა მოკლა (ვახუშტ. ქრ.).

**1452** წ. — ჩვენ ხელთა გვაქვს იმერეთიდამ ჩამოტანილი ცუდად გადაწერილი პირი ძველის გუჯრისა:

ქ. ნებითა ღვთისათა ჩვენ ორისავე ტახტისა და სამეფოისა ლიხტ-იმერისა და ლიხტ-ამერისა თვთ მფლობით ხელმწიფედ მტკიცედ მპყრობელმა, ღვთივ გვრგვნოსანმან მეფეთ-მეფემან გიორგი, ესე შეწყალებისა სიგელი.. გიბოძეთ თქუენ ჩუენთა დიდად ერდგულთა და ნამსახურთა მაჰავარიანსა სიქდურიშვილს გოგიას დ͞ გოგნიასა დ͞ მომავალთა თქვენთა ყოველთავე მას ჟამსა, ოდეს თქვენსა მკვდრსა და ნასისხლსა მამულსა ზედან - - - რომემცა ახლად ჩუენცა დაგუემტკიცა. ვქენით მოკითხული დ͞ჱ ჩუენ გუართა მეფეთაგან მკვდრად და ნასისხლად გბოძებოდა და აწ ჩუენცა შეგიწყალეთ და დაგიმტკიცეთ თქუენი მკუიდრი და ნასისხლი სოფელი ხოვრეთი და წევა და ილე͞ი ისე მისითა სამართლიანითა ეკლესიითა, გლეხებითა, სასახლითა, ჴალითა, ვენახებითა, სახნავითა მიწებითა, წყლითა და წისქვილითა და სათიბითა, ტყითა და სანადიროთა, მთითა და ბრითა, საკმრითა და უკმრითა, საძებრითა და უძებრითა მზღვრითა, შესავლითა და გამოსავლითა და მისითა მიმდგომითა სამართლიანითა, ყოვლითურთ მტკიცედ დ͞ უნაკლულოდ გვიბოძებია და დაგვიმტკიცებია მკუიდრად სამამულოდ... თქუენთჳს დაგვმტკიცებია და როგორაცა თქუენს მკუიდრსა და ნახისხლსა გმართებს და ან ჩუენგან ნაბოძვარსა და დამტკიცებულს, აგრე... გაგითავდეს. სიგელი ესე ნიშნა͞ჲ გუიბოძებია ქრისტეს აქათ :რმ: ივნისს :იბ: კელითა მოემმისითა.

**1452** წ. — ამ წლის ახლო ხანებში უნდა იყოს დაწერილი სინ. კანტ. სიგელი, რომლითაც ალავერდელი გაბრიელ ამლევს ჩვეულებრივს „ერთგულობის წიგნს" კზ͞ს დავითს (სჩანს 1447—1459 წ.) და უმატებს: „და რა წესი ყოფილა ალავერდელისაგან საწელიწდისთა, იგი არაოდეს დაგაკლოთ" (კზ͞ი დ͞თ I 1427—58, II—1439 წ.; III—1447—1459 და IV, 1482).

**1452** წ. — ჩვენ ხელთა გვაქვს იმერეთიდამ მოტანილი პირი ძველის „აბაშიძეთა" გუჯრისა, ფრიად განუკვნილად გადაწერილი. როგორც შინაარსიდამ სჩანს, ეს გუჯარი ყალბია, რადგან: 1) 1452 წელს მეფედ არ იყდა ბაგრატი და მით უმეტეს მისალები არ არის, ვითომ 1452 წელი იყოს მეათე წელი ბაგრატ II-ის მეფობისა; 2) დემეტრეს ძე კოსტაიტინე მეფე არ ყოფილა; 3) თჳთ სათაურში არეულია ცნობები და ზოგან უაზრო; უკანასკნელ შინაარსი გუჯრისა ზღაპრულია:

დავით აღმაშენებლის გელათის გალავნიდამ გადმოვარდნა და მისი მორჩენა ირმის რძეში ბანებით და სხ.—ბროსსეც არჩევს ამ გუჯარს და ყალბათ მიაჩნია, თუმცა შემოაქვს თვისს შრომებში (introd. p. XCI), როგორც იურიდიული მასალა.

ვბეჭდავთ ამ სიგელს ისე, როგორც ნუსხაშია, ოდნავ შემოკლებით.

„... ჩუენ... მეფემან... დემეტრეს ძემან, პატრონმან აღმაშენებელმან კოსტანტინე და დედათა-დედამან ჩვენმან.. გულაშარ ესე მტკიცე უქცეველი უცვალებელი და დრო-დაუდებელი და მიზეზ-შეუტანელი და სულისა წ̃ისა(?) ჩვენ ღვთივ გვრგვნოსანმა... მეფემან ბაგრატ ნებითა ღვთისათა... მპყრობელმან; კვალად მისი სულ-კურთხეულისა მეფეთა მეფისა ბაგრატისა ·ჵ დედოფალთა დედოფლისამან ელენე (?).—მოსდეგი ჩვენსა კარსა ზედან თქვენ ჩვენი ერთგული და ერთგულად მოსამსახურე, ჩვენი მკვიდრი: ოდეს დარუბანდით გამოვიდა ავშანდაძის გვარი კაცი, დიდათ ნამსახური მეფისა, როდეს აღმაშენებელი გელათს აშენებდა და გალავიდალმა (გალავნიდაღმა) გარდავარდა, სამას-და-ხუთი აქიმი მოასხეს და ვერა უშველეს. მაშინღა სხვა ერთი აქიმი მოვიდა ყველას უკანის ბოლოსა, მან ასრე თქვა: „თუ ირმის რძეშიგან დავაწვენთო, (სხვა) არა ეშველებაო“. ქნეს მოკითხული; შელონდეს; წამოდგა კაცი; რქვა ავშანდაძესა: „უთქსო თორმეტი ფური ირემი მეწველიო, სხვა ქვეყანასა ზედან არ იშოებაო“. და მოიღო ავშანდაძემან; იპრიანა ღ̃ნ; დარჩა ალმაშენებელი. (ამისთვის) შეგიწყალენით ავშანდაძენი არჯევან სკანდას დალმა და გოგს დალმა, სადა წევისა წყალი შეერთვის ყვირილას ფისისანს და ჩხარის; მას დალმა სატყის-მცველო წყალობად მიგვიცემია ავშანდაძის ძესათვს. მას უკანა დაგვეაჯენით, რათამცა თქვენი ძველი სიგელი გაგიახლეთ, შეგიწყალეთ და გიბოძეთ ახალი სიგელი სახისხლო თქვენ და მომავალთა ყოველთავე ჩვენ მეფეთ-მეფემან ბაგრატ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან ელენე; შეგიწყალეთ და გიბოძეთ მტკიცე და უცვალებელი სასისხლო სიგელი. მოკითხული ვქენით და ძველიცა გაჩენილი იყო ლიონ მეფისაგან (965—973). აწ ჩვენცა გაგიახლეთ, დაგიმკვიდრეთ, რომე ვისცა შერისხდეს ღ̃თი და ეშმაკისა ბირებითა სცთეს და თქვენისა გვარისა კაცი მოკლას და შეაკვდეს, ესე ორასი ათასი ძველი თეთრი ბოტინატური თეთრი სანახშირე დაგეურვოს. სანახშიროდ და შესამყრელოდ ორმოცჯერ ათიათას სრულის სისხლი დაგეურვოს. ვინცა თქვენსა გვარსა კაცსა ცოლი წაუღოს ჵ გინდა მო[გიტყუოს], ამა სისხლისა ნახევარი დაგეუროს. თუ თავნი თავსა სასახლესა ზედან დაგესხას, იგივე დაგეურვოს სისხლისა. აგრეთვე თუ ვინმე შენითა სასაძოვარითა, გინდა ყანითა, გინდა ვენახითა, სადაცა თქვენი სამზღვარი მიწევდეს, რასა გინდა პირობისათვის თქვენისა სახლისა პირუტყვი, გინდა ცხენი, გინდა ხარი, გინდა რაფერი საცა პირუტყვი, სახლისა (სიხლისა?) მეოთხედი დაგეუროს.—აგრეთვე ვინცა შენსა შენისა გვარის კაცი შეკოდოს, რაგვარათაცა ძველთაგან წესია დღეს განაჩენია, მით წესითა დაგეურვოს. და გქონდეს მტკიცე ესე სიგელი თქვენ ავშანდაძეთა არჯევანს, თქვენ-

თა შვილთა და მომავალთა ყოველთავე მას ჟამსა, როდეს მოგვიდეგით ჩვენსა კართა ზედან და გვეაჯენით და გაგიჩინეთ სასისხლო სიგელი ორასი ათასი ცხუმური თეთრი, თორმეტი გლეხი, თორმეტი თეთრი ჯორი, თორმეტი თეთრი ქორი; თორმეტი მეძებარი, თორმეტი თეთრი მიმინო, ერთი ჩექმის ყელი, ატლასის ფერფლი. მოკითხული ვქენით და ძველთაცა ასრე იყო თქვენი სისხლი და გაჩენილი და აწ ჩვენცა დაგიმკვიდრეთ.

აგრეთვე დაგიმტკიცეთ: (უკეთუ) შერისხდეს ღ͠თი და შენისა გვარისა კაცი შეაკვდეს და მოკლას და სცთეს ეშმაკისა ბირებითა, ესე ორასი-ათასი ძველი ცხუმური თეთრი დაგეუროს უსაურაოდ და შესამყრელოდ.

აგრეთვე ვინცა თქვენს კაცს ცოლი წაუღოს და გინდა მო[უტყუოს], ამას სისხლისა ნახევარი დაეუროს. აგრეთვე ვინცა თქვენსა სასახლესა ზედა დაგესხან, იგივე ნახევარი სისხლი სანახევრი(?) დაგეუროს და თუ ვინმე სასაფლაო გაგიტეხოს, ესევე ნახევარი სისხლი დაგეუროს შენისა;—სასაძოვრითა(?), გინდა ყანითა, გინდა ვენახითა, გინდა სადაცა თქვენი საზღვარი მიაწევდეს, რა გინდა რა პირობისათვს წაიყვანოს გინდა ცხენი, გინდა ხარი, გინდა რა პირუტყვი—ესევე სისხლი დაგეუროს, მეოთხედი გაქუნდეს.

სიგელი ესე მტკიცე.... მოწამენი არიან დიდებულნი ერისთავნი, ვაზირნი კარისა ჩ͠ნისა, კ͠ზნი აფხაზეთისა და საქართველოსა, აზნაურნი, უზედაესნი და უქვედაესნი, მესტუმრენი და მოლარენი, იასაულთა უხუცესნი და მესაწოლენი, მეაბჯრენი, გამგებელნი, ყოველნივე მოხელენი კარისა ჩვენისანი, წარმავალნი და მომავალნი, ნუ ვინ უშლით ჩემსა ბრძანებასა. ნებითა ღ͠სათა დაიწერა სიგელი ესე ქ͠კს ას·ორმეოცსა (1452 წ.) და ინდიკტიონსა მეფობისა ჩ͠ნისასა მეათესა, ხელითა მთავარ-ეპისკოპოზის დავითისითა". ბოლოს წარწერა: „ალექსანდრე":—

**1452 წ.**, აგვისტოს 21-სა.—წერა-კით. ხელნაწ. № 39 მოყვანილია შემდეგი ისტორიული ცნობა, გამოწერილი ასტრახნის არქიეჲ. გაიოზის მიერ აბბატ მანიოტის ისტორიიდამ:

„ადულეთ, დამოკიდებული სულთანსა ზედა, ჰფლობდა კერძოთა ჩერქეზისათა არა-დიდს კეობას, რომელსაცა დაესხა ალჭურვილითა კელითა კატაბეის (?), ეგრეთსავე მცირეს მფლობელს, რომელსაცა წარგზავნა (წარუგზავნა?) ბაიაზეთ მეორემან ძალი თვსი 21 აგვისტოს 1452 წელს (ისტორია „ტურეცკაის აბბატის მანიოტის").

**1453 წ.**—სიგელი გიორგი მეფისა, რომლის პირი გერბიან ქაღალდზე მთავრობისგან შემოწმებული ჩვენ ხელთა გვაქვს:

ქ. ჩვენ ღ͠თივ გვრგვნოსნისა მეფეთა მეფისა გიორგი სოლომონიან-ბაგრატონიანმან, ნებითა ღ͠თისათა აფხაზთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შანშე და შარ-

ვანშე, და ყოვლისა აღმოსავლეთისა დასავლეთამდის თვით კელმწიფედ მტკიცედ მფლობელ-მპყრობელთასა, მოვიდნენ დიდად ერდგულნი, და თავ-დადებით ნამსახურნი, ჩვენისა მორჭმის[ა და ყო]ფისათვის დღე-და-ღამე მომჭირნენი. ჩვენი თავადი ყმა ზევდგინ იყო ეზოს ჩუხჩარეხი და გორისა მოურავი ზევდგინ და ამირინდო და ავთანდილ; გვეაჯნეს დ მოგვახსენეს, რათამცა ერდგულობისა სიგლითა ამით შეგვეწყალნეს და მათთჳს წყალობა გვეყო. ვისმინეთ აჯა და მოხსენება მათი: ქარომის ძენი პატრონისა მეფისა ალექსანდრესგანცა თქვენთჳს (?) მკვდრად საყმოდ ნაბოძავმან კაცმან თქვენი თავი შემოგვაბეზღა და ცოტასაოდენ კანსა (ჩამოგართვით?). კიდე მოკითხული ვქენით დ ყოველსა საქმესა ზედან მართალნი და უბრალონი და ჩვენა არაფერსა სამდურავსა არას გემართლებოდით და ქარ[უმიძე] მკვდრითა მამულითა თქვენვე გიბოძეთ, მათითა მთითა, ბარითა, ველითა, ვენახითა, ტყითა, სანადიროთა, ჴალითა, სათიბითა, მზღურითა სამართლიანითა ყუელათა ერთობ სრულად და უკლებად, არავინ იყოს სარჩლე (sic) თქვენი, არცა მეუნებლე, მავნებელ, დამაკლებელი თჳნიერ (თანა) დგომისაგან კიდე. (ესე) ბ~ბა ნიშნად გვიბოძებია, დაიწერა მტკიცე სიგელი ესე ინდიკტიონს მეფობისა ჩვენისასა Ⴈ~, ქ~სა :რმა: ნოემბერს ი~ბ, კელითა წირქუალელის ძისა მუშ[რიბის]ა რატსითა". [კელ-ჩართული]:

ნამდვილთა თანა თანასწორ არს ჩნ~ლენი ტრეტეისკის სუდისა პრაპორშჩიკი სოლომონ ფურცელაძე (შეადარე ზემო გვ. 229, 1426 წ. ქვეშე).

**1453 წ.**—მცხეთის სიგელი № 296 (ჩემი ნუსხა № 35) ქაღალდზე მხედრულად კარგის ხელით ნაწერი (სამსამი წერტილია სმარებული). შინაარსი სიგლისა დიდად საყურადღებოდ ჰხატავს მაშინდელს პოლიტიკურს განცალკევებას საათაბაგოსას: ყუარყუარე II, მოქიშპე მეფის გიორგისა (1451—1466), სცდილობს ეკლესიური განხეთქილობაც მოახდინოს და საათაბაგო ეპისკოპოზებს თვითონ ჰნიშნავს; ამასთან ის სცდილობს საათაბაგო ეკლესიები მცხეთას მოსწყვიტოს და ანტიოქიის საპატრიარქოს შეუერთოს. ეს უნდა ყოფილიყოს მიზეზი კათალიკოზის დავითის (ჰმართვიდა 1447—1459 წ.) „განწყრომისა“ ყვარყვარეზედ (ამ კითხვების ასახსნელ საბუთებს ჩვენ ქვემოთ დავბეჭდავთ).

«ქ... (გრძელის ღვთისმეტყველურის წინასიტყვაობის შემდეგ)... სუეტისა:. ცხოველისა:... და ყ~დ საშინელისა:. ანჩისა ხატისა თავსმდებობითა, აჰა ყოველთა ღვთისა წმიდათა ზეცისა და ქუეყანისათა თავსმდებობითა დ შუამდგომელობითა ესე წიგნი და პირი გკადრეთ თქუენ ქრისტეს ღ~თისა-მიერ ქ~სა (ქართლისა) კ~ზსა დავითს მე აბელისძემან ანჩელ ანქიმანდრიტმან (sic) ქერობინ მის ჟამისა შედეგად, ოდეს მაწყუერელი დ სამცხისა ებისკოპოსნი თქუენგან უჯუარო და შეუნდობელნი იყუნეს საფარისა თავზედა და თქუენ დიდითა ხუაიშნითა მაკურთხეთ. აწ დღეისითგან წალმა ჩემად დღედ სიკუდილადმდი ვიყო თქუენი და თქუენისა საყდრისა ერდგული და მეფეთა მლოცველი და ყოველთა წირვათა და ლოცვათა შინა თქუენ მოგიკსენებდეთ. ვინ თქუენგან უჯუა-

რო და შეუნდობელნი იყვნენ ჩუენგანცა უჯუარო და შეუნდობელი იყოს. თქუენგან შეუნდობელთა ებისკოპოსთა გუერდი (sic) ჟამი არა ვწიროთ სადამდის თქუენგან აკსნილობისა და შენდობისა ნიშანი არ მოგვდეს (sic) (არ მოგვივიდეს); ვის სწყალობდეთ, ჩუენცა მისნი მლოცველნი ვიქმნეთ და თუ ყუარყუარე(მ) მაწყურლცბა (sic), ანუ სხუა რამე კელი გუაძლიოს და დაგუპატიჯოს კურთხევისა მიზეზითა, სადამდის თქუენსა საყდარსა არა დაემორჩილნენ და რაზედაც უწყრებით თქუენისა საყდრისა წესითა იგი ესრეთვე არა დაგეურვოს, როგორაცა თქუენ და თქუენსა საყდარსა გმართებს მით წესითა სხუა კელი არა გამოვართუა და არცა რა ვინდომო თქუენ(ს)დ დაუმოწმებელად და შეუნდობელად. თქუენისა საყდრისა მტერისა მტერნი ვიყუნეთ და ერთგულთა მოყუარენი და მლოცველნი ვიყუნეთ; ვითა წესად (ს)ძეს, მეძღუნენი და მოსამსახურენი. ესე ასრე გაგითაოთ ღ~ნ მამამან, ძემან და სულმან წმიდან და იმა საშინელმა ხატმა ანჩისამან! და რისაც მიზეზისათჳს ესე აღთქუმა გიტყუვოთ და არა გაგითაოთ, თქუენისა კურთხევისა წილ წყევასა ქუეშე ვიყუნეთ ღ~თისა და მისთა წმიდათასა... ვინცა ანუ სამწყსომან, ანუ სხუამან ვინ კაცმან შემიწყნაროს, იგიცა კაცი კრულია..., სადამდი თქუენვე არ შემიწყალოთ.—ამას გარეთ მაწყუერელობა ანუ სხვა კელი რამე გუაძლიოს არა გამოვართუათ ყუარყუერეს თქუენდა დაუმოწმებლად და ბატონისა ჩემისა უზიანოთა საქმითა;—საყდრისა და თქუენი ერთგულნი ვიყუნეთ ამა ზემო წერილთა წმიდათა მადლმან, და ძალმან!“

ბოლოს მხედრულად მეტად მდარე ხელით: «ესე ასრე გავათაო მამამან და ძემან და სულმან წმიდამან!“

**1453–1459 წ.** ამ წლებში არის დაწერილი მცხეთის სიგელი (მხედრული, ქაღალდზე) № 311 (და ჩემი ნუსხა № 40).

.... ესე წიგნი... გკადრეთ თქუენ ღთისა მ~რ ქ~სა კ~ზსა დავითს მე ლასურისძემან ყუმურდოელმა იოანე მის ჟამისა შეგეგად, ოდეს მაწყუერელი და სამცხისა ებისკოპოსნი თქუენგან უჯუარო და შეუნდობელნი იყვნეს საყდრისა თავზედა და თქუენ დიდითა ხუაიშნითა მაკურთხეთ... (სრულიად ისე, როგორც ზემო გვ. 267—268 მხოლოდ აქ «ხატმან ანჩელისამან»-ის მაგიერ სწერია „ხატმან ყუმურდოსამან“). ბოლოს სხვა ხელით: „ჩუენ... კუმურდოელ მთავარებისკოპოსი იოვანე (ი~ე) ამა დაწერილისა გამათავებელი ვარ ამა ზემო წერილთა მადლმან“ (მეტი არა-რა).

დავით კათალიკოსი სჩანს ყვარყვარე II დროს, 1447—1459 წლებში. სჩანს, რომ ყუმურდოელი იოანე და ქერობინ არქიმანდრიტი ერთს დროს ცხოვრებულან.

**1453 წ.**—ამ წლის ახლო-ხანებში არის დაწერილი სინ. კანტ. სიგელი, ქაღალდზე მხედრულად ნაწერი, იმავე ხელით, რომლითაც არის დაწერილი ქვათახევის გუჯარი № 48, მიცემული მეფის გიორგის მიერ 1460 წ. (იხ. 1460 წლის

ქჳეშე). სიგელს თავი და ბოლო აკლია, მაგრამ რაც დარჩენილია, ისიც ძვირფასს ცნობას გვაძლევს სამცხე-საათაბაგოის საეკლესიო განხეთქილების შესახებ, რომელიც შეუდგა პოლიტიკურს განხეთქილებას ყვარყვარე II-ის დროისას (იხ. ზემო, გვ. 267—8). თითქმის ყველა სიტყვები გაყოფილია ორ-ორ წერტილით..

„- - - [ესე წიგნი გკადრეთ თქუენ ქკზ"სა დავითს] მეუფესა პატ[რონსა] [დაგიდევით] აღთქმა - - [ჩუენ საფარისა] და ვარძიისა ძმათა მას ჟამსა, ოდეს მცბიერი ბერძენი მოვიდა, ცრუ წინასწარმეტყუელი და მცირითა რათმე სიტყვთა მიგვზიდნა. აწ თქუენ გაგუიწყერით და კიდეც უმართლე (sic) იყვენით, ამად რომე დღეთა მისთა - - - [ვითარითა წესითა ყოფილ] ვართ, მითვე წესითა ვიყვნეთ: არც მიტროპოლიტი (ბერძნისა) შემოუშვათ, არც მისი წიგნი ვნახოთ, არცა მისი მცნება გავიგონოთ და არასთანა მისი არა ვირწმუნოთ; არც უმცხეთოდ ჩუენი მღრდელი და დიაკონი იკურთხეოდეს; არცა რამ ჯავახეთს და წალისყურს ვისაქმოთ სამწყსობისა პირზედა და ვიყუნეთ თქუენისა ბრძანებისა მორჩილნი, ასრე რა გუარა ესე - - - (დანარჩენი აკლია).

**1453—1459**—წ. „ერთგულობის წიგნი" (სინოდ. კანტ. სიგელი № 401) იმავე კზ"ისადმი მიცემული ალავერდელის გაბრიელის მიერ, რომლითაც ალავერდელი მორჩილების აღთქმას და პირს აძლევს კზ"ს დავითს და სხვათა შორის სწერს: „და რა წესი ყოფილა ალავერდელისაგან საწელიწდისთა, იგი არაოდეს დაგაკლოთ"....

**1453** წ. ქკ"ს :რმა: კონსტანტინეპოლი აღიღეს თათართა (ვახუშტ. ქრონ.).

**1453** წ. ტუაკის მსედრულად ღამაზის ხელით ნაწერი სიგელი მცხეთისა № 475 (ნუსხა № :სნ:)

„ქ... ეს სამამულე წიგნი... გიბოძეთ... ჩუენ ქკ"ზმან დავით... თქუენ... ჯუარის მახლობელთა მეკულუხეთა... ასე რომე (კულუხი) დაგიკუეთეთ და ამა წესსა მოგუცემდი: ტრტერაშვილმა ხურმუზმან იმავე პირველითა ცოტაითა კოკითა ტკბილი კოკა :მ: (აგრეთვე ოც-ოცი კოკა ტკბილ უნდა მოსცენ: თათარაშვილმა, საღირასშვილმა, ღულღულასშვილმა), ფეიქრისშვილმა კოკა ტკბილი :ლ: ძამიამა ...:კ: ციხელამა :იზ: ...ხოციკაშვილმა :ია:... (უნდა მოგვცემდნო) იმავე პირველითა (პატარა კოკაითა) საწყაოითა... არცა კოკა გამოგიცვალოთ და არცა გაგიდიდოთ... დაიწერა ქკ"ს :რმა: იანვარსა :ი: კელითა ელიოზის ძისა ელიოზისითა"... ბოლოს ცუდის ხელით: ამტკიცებს კათალიკოზი დავით. (სულ ჩამოთვლილია 32 გომლი გლეხი მეკულუხე, რომელნიც აძლევენ 11 კოკიდამ 40 კოკამდი).

**1454 წ.** — „ქკ̃ს :რმბ: ჩვენ მეფემან გიორგიმ ყოვლისა საქართველოჲსამან გიწყალობეთ ინდიკტიონსა :იე:“ (ვახუშტ. ქრონიკა).

ჩვენ უკვე ზემო აღვნიშნეთ გიორგის გამეფების წელი 1446 ანუ 1447 წელი და მაშასადამე 1454 წელი იქნებოდა 7 ანუ 8 მისის მეფობასა.

**1455 წ.** — ქკს :რმგ: მოკუდა იმერეთის ერისთავი დიმიტრი, ძე ალექსანდრე მეფისა; დაჯდა ძე მისი ბაგრატ (ვახუშტ. ქრონიკა).

ამ დიმიტრის მეფედ მოიხსენიებს ასომთავრული წარწერა ცაიშის საწინამძღვრო კერცხლის ჯვარისა. ეს ჯვარი გატეხილია და წარწერა აქა-იქ დაზიანებული:

„სისხლითა შენითა მოგებულსა ნუ უგულებელს მყოფ დღესა მას განკითხვისასა მე დიმიტრი მეფეთა მეფესა, ძე[ს]ა ალე[ქსანდ]რეს(ს)ა, რომელმან წარ[ვუ]ძღვანე ჯუარი ესე დანიელ ჩაისელსა (SIC)... ა̃ნ“. (ჩემი უბის წიგ. IV, გვ. 60).

**1453—1459** ამ წლებში უნდა იყოს დაწერილი მცხეთის ორი გუჯარი, რომელთა ნუსხა ხუცურად ნაწერი და უთავბოლო (№№ :ტმა: და :ტპა:) ჩვენ კიპრიანეთ წიგნში № 507. აქ მოხსენებული კზ̃ი დავით III სჩანს 1447—1459 წ.

„კალაურისა კახეთს“ - - - - [ლოცვითა და მადლითა წ̃ისა მამისა ჩ̃ნისა] დავით გარესჯელისათა და დოდო და ლუკიანესითა ესე ჟამთა გასათავებელი პირი გკადრეთ და მოგაკსენეთ თქუენ ქე̃ს ღ̃თისა მიერ ქართლისა კზ̃სა დავითს ჩუენ დიდმან და მცირემან ერთობილთა კალაურელთა მას ჟამსა, ოდეს ჩუენსა და გორგიაშვილსა შუა ცოტა რამე სამდურავი გამოვიდა. აწ ეს წიგნი მოგაკსენეთ: თუ ამის უკანის თუ რამე ჩუენგან ერთმანეთზედა ავ-კაცობა გამოვიდეს, თქუენი ღ̃ თქუენის საყდრის შემცოდენი ვიყუნეთ ღ̃ კუამლისთავსა ათას-ათასი თანგა მოგაკსენოთ შუა შემოუსლველად ყოვლისა კაცისაგან“...

კ̃ზი დავით IV სჩანს 1466—1479 წლებში და ამის დროს უფრო შექმულის კლეთი გუჯარი.

ამისი ასლი სინოდ. კანტ. გუჯ. № 344, თავი აკლია.

№ :ტპა: (თავი აკლია):

„ - - პატრონის კ ზ̃ ი ს დ ა ვ ი თ ი ს (VI-ის?) ერთგულნი ყმანი, არ ვავნოთ, არ ვაზიანოთ, არ დაუტყუოთ, არ უორგულოთ, არ წაუვიდეთ, არ უჩხუბოთ, არ ზეზე, არ ქუშ-ქუშ, არ შინა, არ გარე არასთანა მათი საზიანო არა ვისაქმოთ, არა ერთის იოტის ოდენი. რაც კზ̃ის დავითის საბატიობასა და მის უკეთ ყოფას უჯობდეს... იგი გვნდოდეს და მას ვიპირვოდეთ... ვისზედაცა წაგვზახნეს, უთნევრად წავეზახნეთ; თუ უნდილაძეს ზედან და თუ სხუათა ჩემთა მოკეთეთა ზედან წაგვზახნეთ, ასრე რომე მათი ორგული იყოს, უთნევრად წავეზახნეთ. ციხე და ამანათი, რომელი მე შემომევედროს, მაგრად შეუნახოთ და არავისზედა გაუცეთ; და როდესაც გვთხოვოს მათი მათვე უმიზეზოდ მოვაკსენოთ. ხუაშიადი, რომელიც გამოგუანდოს, პირმაგრად შეუნახოთ და არსად გავამჟღავნოთ... და არა რომელი ბერი და მონაზონი კზ̃ად და ჩემად ბატო-

ნად არ მოვინდომოთ... უნდილაძეს არ ვეშინაურებოდეთ, არ ვემოყურებოდე, არ ვეწვო, არ ვიწუიო და გულმართლად მისი მტერი ვიყო“.....

**1456** წ. — „ქ̃კს :რმდ: აქა უზუნ ასან ყეენი მოუკდა ქართლსა და ამოსწყვიტა და იავარ ჰყო ვიდრე ტაშის კარადმდე“ (კრება ლექსთა).

შეადარე ქვემო 1461 და 1462 წ. ქვეშე.

**1457** წ. — ქკ̃ს :რმე: აქა კოსტანტიპოლი ხვანთქარმა დაიჭირა (ძილისპირი იკორთისა № 6).

**1457** წ. — ქ̃კს :რმე: აქა თურქთა კოსტანტიპოლი დაიჭირეს (ჩხეიძის ქრონ.).

რადგან კონსტანტინეპოლის აღება მოხდა 1453 წ., ამისგამო ჩვენ გვგონია, რომ ორივე ზემო ნაჩვენები ქრონიკა იგულისხმებს პოლშელ მემატიანესგან აღწერილს ტრაპიზონის აღებას ოსმალთაგან 1457 წელს (იხ. ეს ცნობა კახუშტი-ბაქრაძისა, გვ. 304 და 306).

**1457** წ. — მეფე გიორგი ქკზ̃ს დავითს სიგელს უახლებს: „საბალახე არას ჟამსა არა ეთხოებოდესო“ მცხეთისა სახლსა და მამულსა. ქკ̃ს :რმე: მაისს :იგ: (იხ. ნუსხა მცხეთისა № :ჰგ.).

**1457—1460** ამ წლებში უნდა იყოს დაწერილი ქაღალდზე მხედრულად ნაწერი მცხეთის სიგელი № 167 (ნუსხა № :რპტ:), რომელსაც აძლევს ზემოხსენებულს კზ̃ს დავითს (1447—1459) სალაროს მოლარე დავით და „ძმამან ჩუჱნმან გერმანოზ და შვილთა ჩუენთა: ლაპა, ბარათა, სურამელმან და ქავთარ... მას ჟამსა, ოდეს სულკურთხეულისა მამისა ჩუენისა ბრათასგან და დედისა [ჩუენისა თინა]თინისგან მათი ნალუაწი სომხითს სოფელი ყუარანთა მათისა სულისა საკსრად და საალაპედ თქუენთუის შემოეწირა და ორი დღე კარ-გაღებული ალაპი გაეჩინა, ვითარცა ძუელი სიგელი გააჩენს მათგან დადებული (იხ. ეს სიგელი ზემო, გვ. 232); და ჩუენ სივაჟისა მიუმხდრობითა და ავთა მზაკვართა კაცთა ენითა და შემობეზღებითა ცოტასა რასმე ხანსა ჩუენვე უკუგიჭირეთ სოფელი ყუარანთა... (ახლა) ისევ მოგაკსენეთ და მოგანებეთ... უკულებად... დაიწერა... კელითა ფ̃დ ცოდვილის სახლის უხუცესის ნიკოლოზისითა“. (შეიძლება ეს კ̃ზი იყოს დავით IV 1466—1479 წ.).

ბოლოს: „ქ. მე სალაროს მოლარესა დავითს დამინიშნავს :†“. ასხედს კიდე ხუთი ჯვარი: გერმანოზისი, ლაპასი, ბარათასი, სურამელისი და ქავთარისა.

ამ სიგლიდამ ცხადია, რომ ბარათაშვილნი არიან გვარით ქაჩიბაძენი და ბარათაშვილობა დასჩემებიათ დიდის ბარათას (ქაჩიბაძის) შვილობით. იხ. კიდე 1529 წ. ქვეშე.

**1459 წ.**—მცხეთის სიგელი № 484 (ნუსხა № :ლდ:) ტყავზე მხედრულად კარგის ხელით ნაწერი.

......ესე... სიგელი მოგაკსენეთ თქუენ ვ ი რ შ ი ს ა წ~თა მთავარანგელოზთა მიქელ და გაბრიელს, ქ ა რ თ ლ ი ს ა პ ა ტ რ ი ა რ ქ ს დ ა ვ ი თ ს და თქუენთა მკჳდრთა მეგანძურთა სახლისა თქუენისა უხუცესთა ჯინჯიხისძეთა ბადასშვილთა გრიგოლს და შენთა შვილთა ბადასა და ბევროზს და შენთა ძმისწულთა შალვას და ივანეს... მე უჯარმელმან ფავანელმან (ფაჴნელმა?), ჩემმა შვილმან შალვამ მას ჟამსა, ოდეს გაგიცვალეთ ჰჯიკას ძესა (უჯიკასძისა) ოქროთა ნასყიდსა და მიქაურსა მამულსა ზედა მოგუაკსენეთ (მოგახსენეთ) ქუბეშური (ქუბეშური) მამული ჩარეხელას შვილითა გერასიმისძისეული მამული... სახლითა, კარითა... ჴურითა... .......მოგუიკსენებია ჩუენ უჯარმელსა ფავანელსა... თქუენ ვირშის თავს (sic) წა~თა მთავარანგელოზთათჳს ესე მამული და გლეხნი... არა მოგეშალოს... დაიწერა ქკ~სა :რმზ: სეკდემბერსა :კჳ: კელითა ვინიანას ძისა (ღვინიანის ძისა) კჳრილეს შვილისა დიმიტრისითა“.

ბოლოს ხვეულად: „მე ფავნელი ამისი გამთავეები ვარ“. „მე შალვა ამისი გამთავებელი ვარ“. (ფჩხილებში ჩასმული გარიანტია №-ის :ლდ:).

**1459 წ.**—ამ წლის ახლო-სანებშია დაწერილი მცხეთის სიგელი № 103 (ნუსხა № :ლე:), მიცემული კზ~ის დავითისადმი (1447—1459).

„...ჩუენ... ზევდგინისძემან მოლარეთუხუცესმან თაყაჲ... მოვაკსენე (მცხეთას)... და ქკზ~ს დავით ქუეში ეკლესიითა, გლეხებითა... ალაპი (გარდაიკდებოდეს ჩემთჳს) ლაზარობასა ყოველ წლიურ“.

## 1459 წ. სამთავნელთა სარგო და საკანონი.

სინოდ. კანტ. სიგელი № 427 ქაღალდზე ხუცურად ნაწერი შეიცავს გრძელს სიას სამთავნელთა სარგოსას და საკანონოსას. ეს სიგელი დაწერილი ყოფილა 1449 წელს და ამ დროის ასლისაგან შანავაზ მეფეს გადმოუწერინებია და დაუმტკიცებია ქკ~ს :ტჲა: (1673 წ.). როგორც ეტყობა, ამ ასლსაცა ჰკლებია მრავალი, როგორც საგულისხმებელია მისისავე სიტყვისაგან: „ძველის გუჯრისაგან ასე ოდენ შევიძელით გადმოწერა“ (ე. ი. დანარჩენი ანუ ჰკლებია და ანუ დაზიანებული ყოფილა).—ჩვენ გვგონია, რომ შანაოზისგან ჰოვნილს სიგელში სწორედ ის ნაწილი უნდა ჰკლებოდა, რომელიც ჩვენ შემოკლებით დავბეჭდეთ პირველს წიგნში („ქრონიკები“ I, გვ. 264—265), იმისთვის რომ უკანასკნელის შინაარსი სრულიად ეთანხმება ქვემო დაბეჭდილს სიგელსა. რადგან სიგელი გრძელია, ჩვენ შესამოკლებლად ცხრილში ვსხამთ გამოსაღებთა რაოდენობის ანგარიშსა.

ჲ. წყალობითა ღმრთისათა ჩუენ ცვალ-ფარვათა მისთა მინდობილმან მეფეთ-მეფემან კელმწიფემან პატრონმან შაჰნავაზ და თანამეცხედრემან ჩუენმან ზღვათა მეფის ასულმან დედოფალთა დედოფალმან მარიამ და ძეთა ჩუენთა

სასურველთა ბატონიშვილმა ბატონმა გიორგი, ბატონმა ლევან, ლუარსაბ და სოლომონ სამთავრის (?) ღთების (sic) საყდრის სამწყსოს დრამის და შესავლის ძუძლითგან განაჩენი წიგნი და გუჯარი ჰქონდა, ვნახეთ ძ დიად დაძუძლებულიყო და ჩუენად სადღეგრძელოდ და გასამარჯუძბლად როგორაც იმ ხატის სიგელში ეწერა, ისევ იმ რიგით დავაწესეთ, განუახლეთ და დაუმტკიცეთ სიგელი ესე, უნდა მიერთმეოდეს მის დროს გაურჯელად და ულაპარაკოდ სამთავრის ღვთაების საყდარს. პირველად—

| | პური (კაბიწი ?) | დრამა | სამარხო | ქალამანი | საბელი | თივა ზუნი | ღვნო | რაჲ ხუცესს |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ყანჩეთიდალმე | 4 | 10 | 3 (კაბიწი) | 2 | 2 | — | — | ტყავი, მკარი მი- და მიეცემს რონი |
| საძეგურს | 1 | 3 | — | 1 | — | — | — | |
| ამზარგეუთა მუჯაეთს | — | 2 | — | — | — | — | — | |
| იევფნელთა | პური და ღვინო სამყოფი | 2 | — | — | — | 3 | — | ტყავი, მკარი და ყვე- ლი |
| ცხავატს | 2 | 4 | — | — | — | — | — | |
| ლარგუს | ყამის წირ | ვასა ე | რთი დიაკ | ონი აკურ | თხოს და ძ | მათ სი | ყვარული: | . სეროზა· |
| დგიმს, ლოგობეთს, შველეთს, მორღანი, ლოგობეთს | 1 | — | — | 5 (კევითა) | 1 | სამი ზურგი | სამი კარჩხალი ხუთ | ლიტრითა |
| ერუფაელმა და საქორელმან, ნასოვს | 1 | 2 | — | 1 | — | — | — | ტყავი, რაჲ ხუცესს ტყავი, მკარი, ყველი და ამასიკე |
| დადანეთს | 1 | 2 | — | 1 | 1 | — | — | |
| ზოდეხს | 1 | 3 | 1 (კაბიწი) | — | — | — | — | |
| მათოხთას | 1 | 3 | — | 2 | 1 | — | — | |
| მახურეთს | 1 | 3 | 2 (კაბ.) | 2 | — | — | — | |
| დაბანკნეთს | 1 | 3 | — | 2 | — | — | — | |
| სოსმალეს | 1 | 2 | — | 1 | — | — | — | |
| სოსხვტოს | 1 | — | — | 1 | 1 | — | — | |
| დასწყაროს | l | 2 | — | 1 | — | — | — | |
| კლდეთს | l | 2 | — | 1 | — | — | — | |
| ბეღელეთს (ბელელეთს?) | 1 | 2 | — | 1 | — | — | — | |
| წინუბანს | 1 | 2 | — | 1 | — | — | — | |
| ყველ-დაბას | 1 | 2 | — | 1 | — | — | — | |
| კარბალს | 1 | 1 | — | 1 | — | — | — | |
| ქორქოხს (ქორქოლს?) | 2 | 5 | 2 (კაბ.) | 2 | 1 | — | — | |
| ახალდაბას | 1 | 2 | — | 1 | — | — | — | |
| ანრიაწმიდურს | 2 | 3 | — | 1 | — | — | — | |
| ქარჩუხს | 4 | 6 | — | 2 | — | — | — | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქამურს | 4 | 10 | — | 1 | 6 | — | ტყავი, მკარი და ყველი |
| კვერიეთს (კვერეთს) | 1 | 2 | 2 | 1 | — | — | |
| ძაბლეთს (რობოეთს) | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | — | ტყავი, მკა-რი და ბა-რასიკი. |
| კოზოთს | 1 | 3 | 2 | 1 | 2 | — | |
| გოგოეთს | 1 | 1 | 1 | 1 | — | — | |
| ყობელეთს | 1 | 1 | — | 1 | — | — | — |
| გავაზს | 1 | 1 | — | 1 | — | — | — |
| შთონეთს | 1 | 2 | 1 | 1 | — | — | — |
| კურთას და კუ-რთის კევს | 2 | 2 | | 2 | 1 | — | — |

| | პური | დრომა | სამარხო | ქილამანი | საბელი | რაჲ ხუცესს |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალორეთს | 2 | 3 | 1 | 2 | 1 | ტყავი, მკარი, ყველი და ბა-რასიკი. |
| წითროლეთს | 1 | 2 | — | 1 | 1 | |
| საბარკლეთს | 4 | 6 | 2 | 3 | 1 | |
| კვცხოვეთს | 1 | 2 | 1 | 1 | — | |
| დვალეთს | 1 | — | — | 1 | 1 | |
| არდის | 1 | 2 | 3 | 1 | — | |
| წალდევს | პური (?) | — | სამარხო (?) | — | — | |
| ისროლს | 1 | 2 | 3 | 2 | 1 | |
| ჯავახთას (ჯავახეთს?) | 1 | 3 | 2 | 1 | 1 | |

ეკლესიის სოფელთა მთაწმიდას მივიდეს:. შობტროვანს ჩამოდგეს, ქვითკირითს მოვიდეს; მღდელთა და მამასახლისთა ბეგარი; და ამას გარდა რომელნიცა სოფლები სწერია ქსანს ზედა, ამათ სოფელსა შინა ვინცა აზნაურმან ანუ გლეხმან კაცი მოკლას, მესამედი სისხლი ღვთაებას მოართვას მოკლულის მიცვალებულის მოსაკსენებლად. ესე ასე მსახურონ ყოველთა და მასპინძლობა არ დააკლონ და სასჯულო, ფიცით დააჯერონ, უსაქმონ და მოაკლებინონ. ძველის გუჯრისაგან ესე უდენ (sic) შევიძლეთ გარდამოწერა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოსელთა | 2 | 4 | — | 2 | 1 | არი |
| ღუდს | 2 | 4 | — | 2 | 2 | არი |
| თრუსუს | 6 | სოფლის-თავს სამ-სამი დრომა და თითო ზურგიე-ლი. | — | 6 | 4 და | ხუდენ სულ და (sic) გა-მოუსუენონ |
| მთაწმიდის ბოსელთა | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | არი |
| ქოლოთს | 1 | 3 | 1 | 2 | 2 | არი |
| ვანს | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | არი |
| ქვიტკირთა | 1 | 2 | 1 | 2 | 2 | არი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩრდილათთა | 1 | 1 | — | 1 | 2 | არა |
| ფითესია | 1 | 1 | — | — | 1 | |
| წოლდს | 2 | 6 | 2 | 2 | 2 | ტყავი, მჯარი და აბრასიკე |
| ლელოვანს | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | |
| არმაზს | 1 | 3 | 2 | 1 | 2 | |
| წინზახორს | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | |
| უკანწირს | 1 | 2 | 1 | — | 1 | |
| წირს | 1 | 3 | 1 | 1 | 1 | |
| ქვემოწირს | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | |
| ქირცხის | 1 | 2 | 1 | 1 | 1 | |
| კორსალს | 1 | 3 | 1 | 1 | 1 | |
| ტბეთს | 1 | 1 | — | 1 | 1 | |

გოლგოთას მოვიდეს სამთავნელი; მოეგებნენ წინა ძმანი, კრებულნი, წინამძღუარი, მონაზონნი, დედაბერნი ერთობით; ჩუეულობისაებრ დახუდენ საყვარლად, ჟამი აწირვონ, გამოუსუჱნონ, დალოცნეს და წარმოვიდეს:—

სახელითა ღთისათა შემოვიდა სამთავნელ ეფისკოპოზი გრიგოლი ქკ͞სა: რმზ: (1459 წ.) პატრონის ერისთვის შალვას ბრძანებითა; მრავალი უწესო საქმე ქმნილიყო. შევიყარენით ჩუჱნ ცხრაზმის კევსა სამისავე კევის კრებულნი და მამასახლისნი და ესე პირი მოვაკსენეთ სამთავნელსა ღ ჯუარსა და ამოფორსა: დღეს ამას უკანით რამანცა ხუცესმან, ანუ სვნდიკინოზმიანთა, ანუ მეყკსთა, ანუ უწესოდ მოტაცებულთა (მტაცებულთა) ანუ გვრგვნნი უკურთხნეს, ანუ ჯუარი დასწერნეს, ანუ სარჯულო დაუმალოს, რაცა ეპრიანებოდეს დააურვებინოს და შუა ვერცა პატრონი შემოვიდეს, ვერცა ქუჱყანა; რასაც ემართლებოდეს, თუ არ მისგან დანებებით იყოს, მისგან წიგნი არ მოუვიდეს, უბრალომცა არს რაცა უყოს; და ვინცა სჯულსა ამტკიცებდეს კურთხეულ იყოს.

ციხის ძირს პური კოდი ორი კომლზე დეკანოზს უნდა მიებარებოდეს.

კვარხითს პური :.ბ:. დრამა, კომლზე კოდი პური (ეგრეთივე გამოსაღები აწერია შემდეგთა სოფელთა):

ჩანგილარს, ბეგთათავს, ექთს, ოკამს, გარეყანთ-უბანს, (იქით ოქმას), ლამის-ყანას, ხვითსა და ნოსტეს, ბენის, იგოითს, ფუნგის, ეგრხის (?) პური :ა: კომლზე დრამა (არა სჩანს რამდენი დრამაა შეწერილი).

ჯეჯიკურს პური ორი. კომლზე კოდი პური;—ამ გვარად მიართმევდენ.

ვინცა ვინ ამის სამწყსოშია აზნაურშვილი იყონნ (sic), მართებული საწირავი მიართვას: ცხენი, იარაღი, წასახურავი და ნიშანი, და უკეთუ მსახური იყოს, ამ გვარად მართებულმა მსახურმა ცხენი და იარაღი და ბალამა (?) ერთი კარი მიართვას. რომელიც ხუცესი იყოს და იმისი სამწყსო ეპიროს და მოკუდეს, თუ შეეძლოს მართებულის მსახურის საწირავი მიართვას; უკეთუ არა —ერთი კარი.—უკეთუ კაცი მოკლას ვინმე, მკვლელმა ხუთი კარი მიართოს და მკუდრის პატრონმა ერთი. უკეთუ ვინმე ცოლი გაუშვას ხუთი ძროხა დაუვურვოს (დაურვოს).—უკეთუ ვინმე კუდიანობა ანუ მკითხაობა ქნას, ცხვირით

გახეიბრდეს, და თუ შეინანოს ორი ძროხა დაუურვოს. უკეთუ კუდიანობაზედ დადაღონ ვინმე, დამდაღავმა ოთხი ძროხა მიართოს და დადაღილმა ერთი. —უკეთუ ისიმოს (ისიმვოს?) ვინმე, ოთხი ძროხა მიართოს და ბუშიც საყდრისა არს. უკეთუ უზიარებელი მოკლას ხუცესმა, ერთი ძროხა დაუურვოს და თუ ხუცესმან ვერ შეიტყოს, მკუდრის პატრონმა ერთი ძროხა მიართოს. უკეთუ მღდელმან უნათლავი მოკლას ვინმე, ერთი ძროხა მიართონ. უკეთუ უხუცოდ და უანდერძოდ მკუდარი ვინმე დამარხოს, ორი ძროხა მიართოს. უკეთუ ვინმე სვნტიკინოზმიანთა (?) თანა დაეცეს ანუ მეყვსთა თანა—ჩაიქოლოს, დ̃ უკეთუ შეინანოს, ოთხი ძროხა მიართოს. უკეთუ უქრმო დედაკაცი მოიტაცოს ვინმე ცოლად, ორი ძროხა მიართოს. უკეთუ ქრმიანი დედაკაცი ვინმე მოიტაცოს — ოთხი ძროხა მიართვას. უკეთუ მღდელმა ამ გვარად მოქმედს კაცთა ჯუარი დასწნროს—განიკუჱთოს და უკეთუ შეინანოს—სამი ძროხა მიართვას. უკეთუ მღდელი (მ῀ღი) ანუ მთავარი ღირს იქმნას მეორედ ქორწინებისა — ორი ძროხა მღდელმან და ერთი მთავარმან მიართვას. უკეთუ მღდელმან ანუ სამღდლომან ისა·როს, ანუ მახვლი იკადოს — განიკუჱთოს და უკეთუ შეინანოს — სამი ძროხა მიართვას. უკეთუ შეაჩვენოს ვინმე და მღდელმან უხუცოს—განიკუჱთოს და თუ შეინანოს—სამი ძროხა მიართვას. უკეთუ მღდელმან სომეხს უხუცოს, ანუ სახლი გაუნათლოს—ორი ძროხა მიართოს. უკეთუ ქართველმა სომეხს ქალი მისცეს ცოლად და ანუ მოიყვანოს – მონათლოს, ანუ გააშვებინოს; საკანონო სამი ძროხა მიართვას. უკეთუ მღდელმან ორსულს ჯუარი დასწეროს — სამი ძროხა მიართვას, თუ იცოდეს; თუ არ იცოდეს—ერთი, და მექორწინემ სამი ძროხა მიართვას. უკეთუ ჯუარ დაუწერელად კაცმან ცოლი დააორსულოს — სამი ძროხა მიართვას. უკეთუ ვინმე მარხვა ჭამოს—ორი ძროხა მიართვას. უკეთუ ვინმე მარხვაში ხსნილურად ქორწილი ქნას—სამი ძროხა მიართვას. უკეთუ მღდელმან ავათმყოფს სხვს კელით საზიარებელი გაუგზავნოს—განიკუჱთოს დ̃ უკეთუ შეინანოს—სამი ძროხა მიართვას. უკეთუ მღდელმან უსაყდროდ და უემბაზოდ ყრმასა ნათელსცეს — განიკუჱთოს და უკეთუ შეინანოს სამი ძროხა მიართვას. უკეთუ მღდელმან უცოდინარობით მარხვა აჭამოს ვისმე— ოთხი ძროხა მიართვას. (ძველი პირი ამავე სიგ. ის. მცხეთის № 412—3; და :ტლზ:).

დედასაცა ესრეთ ეწერა. რომელსა პირითა მხიარულითა წინაშე უფლისა წარდგომა გენებოს, ამა წესსა და რიგსა ნუ მოშლით. ვინც მოშლით—პასუხი შენ მიეც მღთაებაო.

ესე ძუჱლითგან დამტკიცებული არის და (ეს) ჩუჱნი ბრძანება ასე უნდა გათავდეს.

სოფელსა ამას ვინცა აზნაურმან, ანუ გლეხმან კაცი მოკლას—მესამედი სისხლი ღთაებას უნდა მიართვას მიცვალებულის მოსაკსენებელად.

სამთავნელს სამწყსოში შესლვა ვერავინ დაუშალოს. ამის ნამეტნავი ვერც სამთავნელმან მიუმატოს; და რაც ამაში განაჩენი და საყდრის წესი გამოსაღები იყოს—ნურავინ დააკლებს. დაიწერა ბრძანება ესე ჩუჱნი ქ῀კსა :ტჲა: (1673 წ.)

ინდიკტიონსა მეფობისა ჩუჱნისასა :იე: კელითა კარისა წინამძღურისა დანიელისითა:.

სახელითა მამისა, ძისა და სულისა წ̃ისათა, მეოხებითა ხატისა ღთაებისათა, ესე წიგნი მოგეცით ჩუჱნ სამთავნელ ეპისკოპოსმან გრიგოლი (XV საუკ.) თქუენ ბატონს მ̃მქანს და თქუენთა შვლთა გურზის და რამაპანს მას ჟამსა შინა, ოდეს გარისხდა ღმერთი და ბატონი ვირშელი მიიცვალა, მისთჳს საალაპოდ შვდის საპალნის ჩასავალი შემოსწირეთ ხატს მღთეებას და ჩავდგით საყდრის ძირს ჩრდილოეთით, ასრე რომე ყოველთა წელთა აღივსებოდეს და რა პირველ მოეკდებოდეს, დეკანოზი ჟამსა სწირევდეს მისის სულისთჳს და აღაპი გარდიკდებოდეს. ვინც ეს ასე არ გაათაოს ანუ სამთავნელმან და ანუ სხუამან კაცმან, რისხავსმცა მამა, ძე და სული წ̃ა, კრულ, წყეულ და შეჩუჱნებულ იყოს ამიერ უ̃კე ქრისტეს მადლითა: ა̃ნ:“ ხელჩართულად: „შანავაზ“, „გიორგი“.

**1460** წ.—მცხეთის სიგელი № 124 (ნუსხა № :სყზ:), ეტრატზე, ჯარგის მხედრულით ნაწერი, ურდოკელაშვილისადმი მიცემული (შეადარე ზემო 1429 წ. და 1446 წ. ქვეშე, გვ. 235, 223—4) 30 იანვარს, მე-13 წელს გიორგის მეფობისას. რადგან ქვემო დაბეჭდილს ყურულის გუჯარში, 12 ივნისს იმავე წლისას მიცემულში, აღნიშნულია მე-14 წელი გიორგის მეფობისა, ამისგამო საგულისხმებელია (თუ კი სიგლის დამწერი თვითონ შემცდარი არ არის), რომ გიორგი გამეფებულა 1447 წელს, 30 იანვრის და 12 ივნისს შუა.

„ქ. ჩუენ ღვთივ გჳრგჳნოსანისა მეფეთა მეფისა გიორგისაგან და თ̃ა მეცხედრისა ჩ̃ნისა... ნესტანდარეჯანისაგან და ძისა ჩუენისა ალექსანდრესაგან, ნებითა ღთისათა აფხაზთა ქართველთა. . . მოვიდეს წ̃ე ჩ̃ნსა ჩ̃ნნი დიდათ ერთგულნი და ჩუენსა თ̃ა აღზრდილნი ზუიადისშვილნი მესტუმრე ვირშელი ბეენა:. გუეაჯნეს და მოგუაკსენეს, რათამცა ერთგულობა ნამსახურთა თქუნთასა სიგელითა ამით შეგუეწყალენით და ძაგნაკორნათა ურდოელაშვილისა სუმბატისაგან ლაფირისძეული მამული და გლეხები ორჯელ მისგან ნასყიდი იყო და მერმე მაზედა თქუენ ნაშვილებნი იყვენით და აგრევე ქალაქს რაცა რა ჰქონდა სუმბატამან მაზედაც გიშუილა და ესე ჩუენცა დაგუემტკიცა და თქუენთჳს და თქუენთა შვილთათჳს არა მოგუეშალა. დაგუაჯერა ღ̃ნ და ვისმინე აჯა თქუენი და მოგიბოძეთ და დაგიმკჳდრეთ ძაგნაკორანთა რაცა და რისთანაცა ურდოელიშვილსა სუმბატასა ჰქონდა და მისგან ნაშვილობისა ნიშანიცა გქონდა, ლაფირასძისეული სასახლე მინასშვილისაგან მოსყიდული ვენაკი :. :. ერთი სხუავე ვენაკი ბათანასეული:. :. ერთი სხუავე ვენიკი შვილიასაგან... (ჩამოთვლილია დაწვრილებით) და რაც ლაფირისძესა სახასოდ საკნავი მიწები ჰქონდა იგი უკლებად... გვიბოძებია... დაიწერა ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა :იგ: ქ̃კსა :რმჱ: იანვარსა :ლ: კელითა წირქუალელისა რატისათა:— :— :— ... ესე მამულნი მცხეთისათჳს არის შეწირული. თჳთო

გორაცა ალაპი არის, იგი ისრე ალაპი გაგუითავდებოდეს, არაოდეს მოგუეშლე-ბოდეს".

აქ ხვეულად ამტკიცებს მეფე და ზედკე, მოწმით:

„თქუენგან მოგუხუდა ამისად ქრთამად ქამხა სამი იაზდური; ხარა ერთი; ოქროს სალტე სამი: ოცდათორმეტი მიტყალი ფეროზიანი ოქროს ბეჭედი ერთი; ვენეტიკური ფლური ოცდაათი; ვერცხლის თასი ერთი. ამას გარეთ კ̃ზსა მიხუდა თანგა ხუთასი და კიდევე მოგუხუდა სომი ერთი, სკლატი ერ-თი, თასი ერთი, უნაგირი ერთი, ფლური ოთხი. (აქ ხვეულად ხელმოწერანი).

**1460** წ. 12 ივნისი.—1892 წელს ზ. დურმიშხან ყურულმან ჩამომიტანა ტყავზე მხედრულად ნაწერი სიგელი, რომლის თავს დახატული იყო ტახტზე მჯდომარე მეფე გიორგი, რომელიც აძლევს სიგელს იქვე დაჩოქილს ყურულს. ჩვენ მაშინ გადმოვიწერეთ ეს სიგელი, რომელიც ამას წინ სრულად გამოსცა „მოამბემ", ხოლო უწინ ბროსსემ (Introd. p. XCV შემოკლებულად) და „ივერიამ" 1886 წ. № 124 შეცდომებით. და პოლეოგრაფიული პირი—მე-V არქ. კრებამ, таблица 27.

„მოამბის" გამოცემაში ორიოდ სიტყვა გამოშვებულია, მაგრამ საზოგადოდ სწორია. მხოლოდ მძიმე ათწლოვანი შეცდომა შეპარულა ქრონიკონში: ბაგრატ-მეფისგან ამ სიგლის დამტკიცება აღნუსხულია ქ̃კნით :რო: (1482 წ.) და არა :რჲ:—მართალია, ჩვენის მატიანით ბაგრატ ამ დროს ცოცხალი არ იყო († 1478 წ.), მაგრამ ეს გარემოება მაინც უფლებას არ გვაძლევს სიგლის ქ̃კნი ვცვალოთ. გარდა ამისა სიგელში სწერია მე-14 ინდიკტიონი და არა მე-15, რასაცა ამოწმებს ზემო დაბეჭდილი სიგელიც (1460 წ. ქვეშე).

რადგან ეს სიგელი უკვე გამოცემულია, ჩვენ შემოკლებით ჩავურთავთ მას ამ „ქრონიკებში".

მეფე გიორგი და ცოლი მისი ნესტარ-დარეჯან და ძე მათი ალექსანდრე სწე-რენ:

...ესე: მტკიცე: და უცვალებელი: წყალობისა: სიგელი: ამისად: ნიშნად: გი-ბოძეთ: ერისთვისა შალვასა და ლარგუელისა: კითხვითა: (ლარგველი იყო ძმა შალვასი: იხ. ზემო გვ. 28—30, ხოლო ყურული—მათი ყმა) მათსა მკუიდრსა და თანა აღზრდილ-შეზრდილსა და პატივცემულსა [ყურუ]ლსა მღდელსა გიორგის და თქუენსა ძმასა ავგაროზს და რატის..... მას ჟამსა, ოდეს მოხუედით წინაშე ჩუ-ენსა და გუეაჯეთ, რათამცა ჩუენცა სიგლითა ამით პატივ გუეცა და შეგუ-ეწყალენით. ვისმინეთ აჯა და მოჴსენება თქუენი, ვქენით მოკითხული და ძუელთა მეფეთაგანცა შეწყალებული იყო ცხრაზმა და თქუენი გუარისა კაცი მისი მონაპირე ყოფილა და მონასტრისა და ციხისა შვილი და მქონებელი; აწ ჩუენცა შეგიწყალეთ და ძუელად გაჩენილი სისხლი გაგიახლეთ და გაგიჩი-ნეთ ას-სამოცი ათასი კილმანაური თეთრი ამა პირთა ზედა: თუ ვინმე (გ)კად-როს და თქუენისა გუარის კაცი მოკლას, დიდითა შემოხუეწითა ას-სამოცი ათასი კილმანაური დაგიურვოს;—თუ ვინმე კადროს ანუ ზედა დაესხას, ანუ

ცოლი[მოგიტყუოს] თქუენისა გუარისა კაცსა, ორმოც-და-ხუთი ათასი კილმა-
ნაური დაგიურვოს დიდითა შემოხუეწითა;—თუ ვინმე სასახლესა ზედა დაგეს-
ხას და ალაფი წაგიღოს, იგივე ორმოც-და-ხუთი ათასი დაგიურვოს, და ნაცუ-
არცი უკლებად შემოგექცეს;—თუ ვინმე მახუილი შემოგდვას და დაგჰრას, ოც-
და-ათი ათასი კილმანაური დაგიურვოს;—თუ ვინმე ისარი გესროლოს, ორმოცი
ათასი დაგიურვოს;—თუ ვინმე ჯოგი და ანუ ნახირი გაგიტეხოს, თორმეტი
ათასი დაგიუროს;—თუ ვინმე თუალი წამოუგდოს, სამოცი ათასი დაგიურვოს;
—თუ ვინმე ანუ კელითა და ანუ ფერკითა დააშაოს, ორმოც-და-ათი ათასი
კილმანაური დაგიუროს;—თუ ვინმე საკიჩარი რამე დააჩინოს, ოცი ათასი
დაგიურვოს;—თუ ვინმე ცეცხლი სასახლესა შემოგაყაროს, რაცა სული ჯა-
ლაბი სახლსა შინა იყოს, მისი სისხლი სამართლითა გაიბრჯოს;—და თუ ვინ-
მე სასახლესა გარეთა ცეცხლი შეუდვას და დაწუას, ანუ საბძელი, ანუ ძნა,
ანუ თივა, ანუ წისქუილი, ანუ ვენაკისა სახლი, ანუ ღობენი,—ოც-და-ათი ათასი
კილმანაური დაგიურვოს;—თუ ვინმე ჯოხი და ანუ სხვა კმელად საცემელი
რა გკრას, ათი-ათასი კილმანაური დაგიურვოს;თუ ვინმე ცოლსა უცეს, ოც-
და-ათი ათასი დაგიურვოს;—თუ ვინმე ციხე გაგიტეხოს, ორმოცი ათასი კილ-
მანაური დაგიურვოს;—თუ ვინმე მტერთა ზედა სასიკუდილოდ გაგცეს, ორ-
მოც-და-ათი ათასი დაგიურვოს;—თუ ვინ ანუ ჯოგი, ანუ საქონელი გაგიცეს
მტერთა ზედა, თხუთმეტი ათასი დაგიურვოს, და თუ სხუა ანუ უპატიობა,
ანუ მუქარისა თხოვნა და ანუ სხუა რამე საქმე, ანუ შეყივილი, ანუ სხუა, რა
გინდა ვინ დაგიშაოს, მისნი ბრჯენი და გამჩენელნი იყუნენ ანუ ეპისკოპოსნი,
ანუ დარბაზისა კარისა ვაზირნი და მოსამართლენი კაცნი, ანუ ქალაქისა ვა-
ჭარნი და ყოველთა ქუეყანათა მავალნი და მნახუელნი კაცნი, ანუ ღთის
მოშიშნი და სულისა კერძნი კაცნი, და ანუ ქუეყანისა მამასახლისნი და [ძუ-
ელ]ნი კაცნი, —თქუენი საქმე ესე ვითართა კაცთაგან გაიბრჯობოდეს ჩუენგან
წყალობით ბოძებულსა ამა სასისხლოსა და სისხლისა განაჩენსა სიგელსა ზედა,
და ნუმცა ვინ არის მშლელი და მქცეველი ჩუენგან ბოძებულისა ამის სასის-
ხლოსა სიგლისა, და არა შეგეცვალოს ჩუენგან ბოძებული ესე სასიხლო სი-
გელი არას ჟამთა გამოსულობისათჳს.... და თქუენ ქრისტეს მიერ კურთხეულ-
ნო ქართლისა კათალიკოზნო და ებისკოპოსნო, ქართლისა ერისთავნო და ერის-
თავთა ერისთავნო და ყოველნო თავადნო ქართლისანო და ქალაქისა ამირანო
და ამირათა ამირანო, დიონნო და მეტამღენო და ყოველნო კელისუფალნო
ქალაქისანო, და მთიულეთისა თავადნო და კევის-ბერნო და მამასახლისნო, და
კარისა ჩუენისა ვაზირნო, და ყოველნო ჩუენგან პატივ-ცემულნო და კელისა
მქონებელნო, ნუ ვინ უშლით ჩუენგან წყალობით ბოძებულსა სასისხლოსა
განაჩენსა სიგელსა თუინიერ შეწევნისა და თანა-დგომისა. დაიწერა ბრძანება
ესე ჩუენი და სიგელი ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეათოთხმეტესა, ქკ~ნსა
:რმჲ: კელითა კარის მწიგნობრისა ჩუენისა და ჯუარის მტუირთველისა ჯორა-
შვილისა გაბრიელისითა, ივნისსა ათორმეტსა.

და ზედვე ხვეულად: [„ქ. მე მეფეთა] მეფეს გიორგის კელითა ჩემითა დამიმტკიცებია“.

ქ. ჩუენ ქ˜ს ღთისა მიერ ქართლისა კ˜ზი მარკოზ კანონითა ვამტკიცებთ.

ქ: შემდგომად ამისა ჩუენ ღთივ გუირგუინოსანმან მეფეთ მეფემან ბაგრატ ნებითა ღ˜თისათა დავიპყარით მეფობა ორისავე ტახტისა, ლიხთ იმერისა და ლიხთ ამერისა, და ვნახეთ სიგელი ესე სასისხლო შეწყალებისა ბიძისა ჩუენისა გ˜გისგან წყალობით ბოძებული, და ჩუენცა შეგიწყალეთ და დაგიმტკიცეთ თქუენ წინამძღუარსა ჟურულსა გ˜გის და თქუენთა შვილთა და ძმათა, რა გუარაცა ამა სასისხლოსა სიგელსა და განაჩენსა ჰმართებს და ეფერების, მას წესითა თქუენი საქმე და სისხლი გაჩნდებოდეს, ნიშანი ესე გუიბოძებია და დაგუიმტკიცებია ას სამოცი ათასი კირმანაული თეთრი, და ვინცა კირმანაულისა თეთრისა ვითარობა არ იცოდეს, კირმანური თანგისა ზომა არის.—დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ჩუენი ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისა :ზ:, ქკ˜ნსა :რო: კელითა ყოლადვე ცოდვილისა ქართლისა მკ˜ზისა ი˜ესითა. (ხვეულად ამტკიცებს მეფე ბაგრატ).

ქ: ჩ˜ნ ესე ვითა ღ˜თივ გვრგვნოსანსა მეფეთა მეფესა ბაგრატს ბიძისა მათისა ნაბოძები სასისხლო სიგელი დაუმტკიცებია ჟურულისთვს, მე გლახაკი ქართლისა კ˜ზი დავით კანონითა ვამტკიცებთ (დავით იჯდა 1466—1479 წ.).

ქ: ჩუენ სამთავნელ მთავარ ებისკოპოზი მათე, ვითა მეფეთა და ქართლისა კათალიკოზთა დაუმტკიცებიათ, ეგრეთვე ჩუენცა კანონითა ვამტკიცებთ.

**1460** წ.—სიგელი ქვათახევისა № 48, რომლითაც მეფე გიორგი აკალებს მონასტრის ბერებს: აღავს გარდამიხდიდეთო ყოველს პეტრე-პავლობას. „დაიწერა სიგელი ესე ინდიკტიონსა მეფობისა [ჩუენისასა მეათოთხმე]ტესა (ქ˜კს) :რმჱ: კელითა კარისა ჩუენისა მდივნისა ფხ - - - “. ხვეულად ამტკიცებს მეფე გიორგი.

**1460** წ. რატიშვილთა სიგელი, ბროსსესგან გამოცემული (Rap. IV. 84):

მეფე გიორგი და დედოფალი ნესტან-დარეჯან აძლევენ სიგელს: „ესე წყალობის წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ წინამძღუარს გიორგის, ძმასა თქუენსა ქუენიფნეველს ერისთავს შალვას და ლარგველს და კუალად ძმასა თქუენსა ავგაროზს და რატს, შვილთა თქუენთა დემეტრეს, არსენის, აბრაამს, საიშს (სიაოშს ?) და შირშას, ასე რომე რომელმანცა კაცმან თქუენ სისხლითა შეგცოდონ, ას-სამოც-და-ათი ათასი კირმანეული გარდაგიხადოს. კირმანაული ორი შაური არის, რომ იქს ჩვენებურს თეთრსა სულ ერთად :წრ: თუმანსა. ქკ˜ს :რმჱ:“.

**1461** წ.—ქკ˜ს :რმთ: აქა უზურ ასარი მოვ[იდა] (კგ. მუზ № 85).

— ქკ˜ს :რმთ: აქა უზუნ ასანი მოვიდა სამცხეს (ჩხეიძის ქრ.)

— ქკ˜ს :რმთ: აქა უზუნ ასან მოვიდა სამცხეს (იკორთის მილსაპირი).

(შეადარე ზემო 1456 წ. ქვეშე; ქ-ცხ. I, 476 და ქვემო 1462 წ.).

**1462** წ.—ქკ῾ს :რნ: აქა უზუმ ასამ ყაენი მოვიდა სამცხეს. ყუარყუარე [მიე]შველა. ჩიხორს შეიბნენ მეფე და ათაბაკს გაე[მარჯვა] - - მა ქართველთ მეფე თავრიზ - - - (ჟამნი № 2).

**1462** წ.—ქკ῾ს :რნ: მეფე გიორგი და ბაგრატ შეიბნენ ჩიხორს; ბაგრატს გაემარჯვა; და განდგა ათაბაგიცა (ვახუშტ. ქრ. შეადარე 1463 წ. ქვემო).

**1462** წ.—ქკ῾ს :რნ: მეფეთ ყმობისაგან განთავისუფლდენ მთავარნი: დადიანი, ათაბაგი, გურიელი და შარვაშიძე. (ნ. ანთაძის ქრ., გელათური.)

**1462** წ. მოხსენებულია თფილელ-მანგლელი იოანე (თფილ. სიონის გუჯ. № 108).

**1463** წ.—ქკ῾ს :რნა: აქა მეფე და ყუარყუარე ჩიხორს შეიბნეს. ათაბაგს გაემარჯუა (ჩხეიძ. ქრ.).

— ქკ῾ს :რნა: მეფე და [და] ყუარყუარე ჩიხორს შეიბნეს. ათაბაგს გაემარჯუა (მილისპირი № 6).

— ქკ῾ს :რნა: თავრიჟ, გილაქი ⁊ თემურ მეფეს გიორგის ჰსძლეს; ქართლი, სომხითი და საგანძური მეფისა მოაოკრეს, და ყუარყუარე ათაბაგმან საათაბაგო დაიპყრა (ვახუშტ. ქრ.).

— ქკ῾ს :რნა: აქა ქართველთა მეფე(მ) თავრეზს გა(ი)ლაშქრა და თემურა აოკრა (წ῾ა ნიკოლოზის ქრონიკა;—შეადარე 1484 და 1486 წ.).

**1464** წ. (?)—ქკ῾ს :უნბ: (?) [ამას ქორონი|კონსა სახლ ით (sic) უხუცესს ჩხეტიძეს მეფე ბაგრატ გაუწყრა: და აბაშიძე და სრულა რაჭველნი მეფეს იახლენ და (ა)ქადამ. სახლით უხუცესი ჩხ(ეტ)იძე მისის კერძით მოყვრით შეიყარა და მეფისა (გიორგი VIII-ის) და იმათი იმედეუ ოი იყო. და ჩხარს მივიდა და იქიდამ ელაპარიკა და ბევრი მოსისხლე კაცი ყვანდა და შერიგებაჲ არ იქნა: და შეიბენ ჩხარს და - - - (სხვა წაშლილია).

წარწერა სრულიად ახალს ცნობებს გვაძლევს. იგი იპოვება წარჩინებულის სეტურის ხელით ეკ. მუზ. ტყავზე ნაწერ მილისპირის კანკლოსის არშიებზე № 85 (1233 წ. ხელნაწერი); ქვემო არშია წარწერითურთ წაუჭრიათ ყდაში ჩასვმის დროს.

თუმცა ეს ამბავი მიწერილია :უნბ: ქორონიკონის პირდაპირ (1764), მაგრამ წარწერა რომ ადრინდელს დროს ეკუთვნის, ამისი მტკიცე საბუთები მრავალია: 1) პალეოგრაფიულ სასიათით წარწერა ეკუთნის XV საუკ. 2) ხელნაწერის ყდა ფრიად ძველია და მაგარი, ის უნდა იყოს გაკეთებული მე-XVI საუკუნის დასასრულს ანუ XVII-ის დამწყებს, როდესაც ცნობილის XVI საუკ. კალიგრაფის სვიმონ კარ-გარეთელის მიერ იმხნელის ამბერკის ბრძანებით ქაღალდზე გადაწერილი საგალობ-

ლების შიგ ეტრატის წიგნში ჩაურთავს (სვიმონ კარგარეთელი რომ ამ დროებში ცხოვრობდა ამაზე იხ. ზემო გვ. 111 და 103); ხოლო უდა რომ 1764 წლის შემდეგ გაეკეთებინოთ, ამ მოკლე დროში ასრე არ გაფუჭდებოდა, რადგამ მეტად მკვიდრია და მაგარი (ახლა უდას ერთი ფიცარი და ძირის ტყავი მოგლეჯილი აქვს), მით უმეტეს, რომ მე XVIII და XIX საუკუნოებში ხელნაწერს ძალიან არ დაადგებოდა, რადგან დაბეჭდილ წიგნებს ხმარობდენ ეკლესიაში და არა ხელნაწერებს; ამასთან ეს ხელნაწერი ძალიან დაზიანებულია და მისი ეკლესიაში ხმარება ძნელი იქნებოდა; 3) თვით ეს ცნობა თუმცა გარჩეულის ხელით და კარგის მელნით არის მიწერილი, მაგრამ დიდხნობითის ხმარებისაგან ერთი ნაწილი გადასულა, რაც ჩვენ დიდს ფრჩხილებში ჩავსხით; ხოლო მე-XVIII საუკუნიდამ ჩვენს დრომდი ეს შეუძლებელი იქნებოდა; 4) მაგრამ ყველაზე მტკიცე საბუთი წინა-თქმულისა ის არის, რომ მეფე ბაგრატ 1764 წელს და საზოგადოდ XVIII საუკუნეში ისტორიამ არ იცის და არც ჩხეტიძენი ყოფილან XVIII საუკუნეში სახლთხუცესნი და გავლენიან გვარისანი; იგინი მართლაც დიდად მძლავრობდენ XV და XVI საუკუნეში; 5) უკანასკნელ ისიც დიდი საბუთია, რომ ამ ხელნაწერის ქრონიკებში არც ერთი ცნობა არ იპოვება მთელს მე-XVII (1658 წლიდამ) და XVIII საუკუნოების გძელს მანძილზე და რაღა ეს ერთი ცნობა მე-XVIII საუკუნისა ჩაეჩხირებოდა?

ეს საბუთებიც ჩვენ სრულიად საკმარისად მიგვაჩნია იმის დასამტკიცებლად, რომ ამოწერილი ცნობა ძველს დროს, XV საუკუნეს ეკუთნის, როდესაც ბაგრატ იმერთა მეფე და გიორგი ქართლისა გამწვავებულად ებრძოდენ ერთმანეთს; 1462 წელს მეფე გიორგი დამარცხდა და ბაგრატი შურს აგებს სახლთუხუცესს ჩხეტიძეს ალბათ იმის გამო, რომ იგი მომხრე ყოფილა ქართლის მეფეთა. როგორც სჩანს ბაგრატს ეს მტრის მომხრეც დაუმორჩილებია და, როგორც ვნახავთ, შემდეგ (1465—1466 წ.) თვით ქართლიც დაუპყრია.

შეცდომა წარმომდგარა იმის გამო, რომ ქორონიკონის :რნზ:-ის ამბავი თანამედროვეს შეცდომით :უნზ: თარიღზე მიუწერია მზა-მზარეულ ცხრილის არშიებზე.

**1464 წ.** სიგელი მცხეთისა № 236 (ნუსხანი №№ :სოზ: :სოჵ: და :რნ:): „ქ... ჩუენ ქ~ეს მიერ ქკზ~მან მარკოზ... ეს.. წიგნი მოგეცით უქუენ ბერინასშვილსა (მცხეთის) მეჯინიბეთ უხუცესსა მამისასა... შენმა სიმამრმა (მცხეთის ყმამ) გიშვილა უმკვდროებისა გამო მის მამულსა ზედა (ბერინაშვილს მცხეთის საეკლესიო მამული ჰქონია); ...რა გუარაცა მეფეთა და ქკზ~თაგან მისთჳს დამტკიცებული იყო, ეგრე თქუენ დაგიგდო და ჩუენცა დაგიმტკიცეთ ფოსუი და ოროტა... (სხვა მამულებიც და სოფლებიც ჩამოთვლილია)... დაიწერა.. ქკ~ს: :რნზ:“

ბოლოს ხელმოწერილია: „ჩ~ნ ღ~თისა მიერ ქკზ~ი მარკოზ კანუნითა ვამტკიცებთ“.

**1464 წ.**—სიგელი გელათისა ტყავზე კარგის მხედრულით დაწერილი №№

8983; 48 და 179. აქ მოხსენებული მეფე არის ქართლის მეფე გიორგი VIII, რომელსაც 1464 წელსაც იმერეთზე უფლება ჰქონია, თუმცა, ქ-ცხით, 1462 წელს ძლეულ იქმნა ბაგრატ იმერთა მეფისგან.

ქ. შენ . . . ყ֊დ წ֊ო გელათისა ღვთისმშობელო:. ჩუენ:. მსასოებელმან:. და მინდობილმან:. ცვა-ფარვათა თქუენთამან მეფეთა მეფემან გ ი ო რ გ ი ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ მცირე ესე სამსახური ‡ შემოსაწირავი ‡ შემოგწირე მღუიმისა ეკლესიისა და იქ მსახდომნი გლეხნი ფანჩულიძენი - - - მამულითა მათითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენაკითი, სათიბითა, ჰალითა, ეკლესიითა, სასაფლაოთა მათითა, ერთობით შესავლითა და გამოსავლითა და გამოსავლითა მოგვიკსენებია და შემოგვიწირავს. უწინაც თქუენი მკვდრი და [მეფეთაგან] შემოწირული იყო და იადგარში გან - - - შეწირულსა - - ესე გლეხნი რომე ესრეთ ზემო სწერიან ‡ აწ კიდევ მოგაკსენეთ ‡ შემოგწირეთ ამა (პირსა ზედა), რომე ჩუენისა სულისათჳს ყ֊ლთა წ֊ლიწადთა ფანჩულიძე ვინცა ვინ მღდელი იყოს ჟამსა გვიწირავდეს და ალაპსა გარდაიკდიდენ და მათი ბეგარი რაცა იყოს თქუენ წინამძღუარს მოგიდიოდეს და არ დაგაკლდებოდეს და ჩუენ ჩუენი წირვა,.. და ლოცვა არ მოგვეშალოს და ვინცა ვინ არის... მას ვერას სთხოვდეს.., და ვერავინ შეგეცილოს... დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ჩუენი ქ֊კს :რნბ: ინდიკტიონს მეფობისა ჩ֊ნისა ֊:ით: იანვარსა :ით:-ს". ბოლოს ხელუღად: „მეფეთ მეფეს გიორგის დამიმტკიცებია ნებითა ღმრთისათა".

**1464 წ.** მცხეთის სიგელი, ნუსხა №֊:სღ:, მიცემული ალექსანდრე კახთა მეფისაგან, გიორგის ძისა. თუმცა გიორგი ქ-ცხით მოკვდა 1492 წელს, მაგრამ ამ გუჯრიდამ სჩანს, რომ მისი შვილი ალექსანდრე მეფე ყოფილა მამის სიცოცხლეშივე 1464 წ. შესანიშნავია, რომ 1476 წლის ქაგეში აღნიშნულია მესამე წელი ალექსანდრეს მეფობისა (იხ. ქაგეო).—ქართლის მეფის გიორგი VIII-ის ძესაც ერქვა ალექსანდრე (იხ. 1460, 1468 და 1479 წ. ქაგეშე). რომ მამა-შვილნი ერთად მეფობდენ ამაზე, იხ. 1468 წლის ქაგეშე.

ჩუენ მეფეთ მეფის გ֊ის ძემან მეფემან ალექსანდრე და ძემან ჩუენმან პატრონმა გიორგი... მოვიდეს წინაშე ჩუენსა იათორისშვილნი შოთასძენი... გარესჯის წინამძღუარი და კარისა ჩუენისა მდივანი ვარსიძე და მისნი ძმანი სულა, დემეტრე და ნარიმან, შვლნი მათნი შოთა და ყურუმში... და ძუელითგან მათი მკვდრი სოფელი ვეძისკევი მათითა სასაფლაოთა, მონასტრითა, ბარცავისა (კარცისა?) ეკლესიითა... მზღურითა, საჩალისპირსა მათითავე ძუელითა სასახლითა... (მთხოვნესო სამსახურის სამუქფოდ ‡)-.. რაგუარაც თქუენთა გუართა გარესჯისა უდაბნოთათჳს თავი და მამული შეუწირავს, აგრეთვე იმავ მამულითა ჩუენ შეგვწირავხართ, ასე რომე უდაბნოსა მისი მისახდომი არა-რა დააკლდეს და მიხვდებოდეს... დაიწერა ქ֊კსა :რნბ: თვესა (თ֊ა) მაისსა :იზ: ჴელითა ლაჟუარდის ძისა დანიელისითა.

**1464 წ.**—ამ წლის ახლო ხანებში უნდა იყოს დაწერილი მცხეთის გუჯარი,

მხედრულად ლამაზის ხელით დაწერილი № 33 (ნუსხა № :ტზ:), რომელშიც მოხსენებულნი არიან მეფედ (კახეთის) გიორგი და ძე მისი ალექსანდრე (ერთად მეფობდნენ?).

„. . . მე... მეფეთა მეფემან: გ῾ი: (გიორგი) გ῾ი (bis) და საყუარელმან ძემან ჩემმან მეფემან ალექსანდრე შემოგწირეთ... კახეთს ახალშენთა ხერხაულისძეთა ჯავშანისი ჵ გოგაის სახლი და მამული და ესე ორნი კუამლნი ძმანი აზნაურნი ჯავშანა და მისი ძმა ალნია და გოგი შემოგვწირავს... მათითა... მამულითა... წყლითა...“ და ბოლოს იმავე ხელით: „და ბაგავანი ამათია და მისი ნიშანი სხუაც აქუს“.

**1465** წ.—ქ῾კს :რნგ: აქა მეფე (გიორგი) [დაი]ჰირა ტყუ[ჱდ] ყუარყუარემ“ (ეგ. მუზ. № 85; იხ. 1465 და 1466 წ. ქვეშე).

**1465** წ.—ქ῾კს :რნგ: აქა მეფე დაიჰირა ტყუჱდ ყუარყუარემ (ჩსეიძის ქრონიკა).

— ქ῾კს :რნგ: გიორგი მეფე დაიჰირა ყუარყუარემ ტყუედ (ჟამნი № 2 და ქ''ეე ცნობა Chron. G., გვ. 3).

— ქ῾კს :რნგ: ფარავანზე ყვარყვარე ათაბაგმან მეფე გიორგი დაიჰირა (ვახუშტ. ქრ.).

ამ გარემოებას ადნუსხავს ერთი გუჯარი, ჩართული წერა-კითხ. წიგნთ-საცავის ტუავის XIII საუკუნის სვინაქსარში (გიორგი-მთაწმიდელისგან თარგმნილში) № 1245: „. . . სახელითა ღთისათა... წ῾ისა გიორგისითა მას ჟამსა, ოდეს გიორგი მეფე კელითა დავიპყარით თრიალეთს და ტფილის ქალაქს ჩაუკედით, მაშინ ვიპოვნე... ზარი ესე პატრონმან შალვამან და პატრონმან ვადამან და შემოვსწირე საყდარსა ალისა მთავარმოწამისა გიორგისასა და თქუენ მონასტერმან გაგვიკვეთეთ საუკუნო სალოცავი სუინაქსრისა წაკითხვასა ზედა“... (ეს იგივე ათონური სვინაქსარია, რომლის უძველესი პირი XI საუკ. დაცულია ეკლეს. მუზ. № 97 და მოხსენებული ჩემს „ქრონიკებში“ წიგ. I, გვ. 120).

ამ სვინაქსრებში ჩართულია მოსახსენებელი პირთა: იანვარს: 6—საგდუხტისი; 7—კაპანტრიძის ასულის გაიანესი; აპრილს 10-ს და 31 აგვისტოს=„პატრონისა შალვასი“; აპრილს 11-ს—მიიცვალა შალვა, ბოცო ბასილისშვილი; ოკდომბერს 26-ს—ალაპი მემნასი; ნოემბერს 1-ს—ალაპი ბოცო ბასილიშვილისა; 13-ს—პატრონის ბასილისა და ივანე ბოცოსძისა; სარგისისა და მარიხისშვილისა შალვასთჳს; 18-ს—სათვარის მნათეს მანუილისა; 24-ს—პატრონის ხორაშანისა. დეკემბრის 24-ს—ბეშქენისა, ბოცოს ძისა. (ეს ხელნაწერი ბროსსესაც ხელში ჰქონია და ეს ამონაწერებიც ჩაურთავს თჳსს Rap. I, 179—180).

აქ საჭიროდ ვრაცხ ჩავურთოთ ცნობა იოთამზე, რომელიც ჩვენ ვიპოვნეთ წიგნაკში: „ეპისტოლენი საქართველოს მეფის ირაკლის ძის ვახტანგისა“; მხედრუ-

ლი ხელნაწერი წერა.-კითხ. წიგნთ-საცავისა № 1113 (ვახტანგ, ჩვენის ცნობებით, დაიბადა 22 ივნისს 1761 წ. და მოკვდა 23 ოკდ. 1814 წ.).

მეშვიდე წერილში: „მონათა და ყმათა მოკალეობისათვის" ვახტანგ სწერს: მონათა და ყმათა მოკალეობა არისო ერთგულობა, „ვითარცა ჰყო იოთამ ამილახუაროვმან: სცნა რომ რაოდენთამე ბოროტ-მოქმედთა განეზრახათ სიკუდილი მეფისა გიორგისი მეათისა (მერვისა), ჟამსა ლაშქრად მყოფობასა მისსა; მოვიდა და განუცხადა ყოველივე მეფესა. მოღალატეთა ესრეთ დაედვათ, რომელ შესულ იყუნენ იდუმალ კარავსა შინა მეფისასა და მუნ მოეკლათ იგი. ესრეთ არა ერწმუნა მეფე ერთგულ მონასა ამას, რომელ კნინღა შერაცხილ იქმნა ცილის მწამებელად. ამის-გამო ფრიად მწუხარე იქმნა ამილახუაროვი, რამეთუ უწყოდა ჭეშმარიტება საქმისა ამის. ხოლო ვინაჲთგან ვერა რა ღონისძიება ჰპოვა საქმესა ამას ზედა დარწმუნებისათჳს მეფისა, განიზრახა სიკუდილითა თჳსითა გამოხსნა პატრონისა: მას აიძულა ვედრებითა დიდითა მიფარვა ქეშიკთა შორის და თჳთ დაწვა ალაგსა მისსა. ღამესა მას შევიდნენ მოღალატენი კარავსა შინა და მოკლეს ხსენებული იგი ამილახუაროვი. ჰგონებდენ მოკლვასა მეფისასა; და ერთგულმა მონამან ჟამსა მოწყლვისა თჳსისასა არა წარმოთქუა არცა ერთი სიტყუა, რომელსაცა შეეძლო განცხადება საიდუმლოსი. მან ამილახუაროვმან მსახურა სამაგალითოდ ვითარცა მეფესა თვისსა, ეგრეთვე მამულსაცა, რომელიცა უკეთუ არა ექნა ესრეთ, შთავარდებოდა საქართუელოსა შინა დიდნი აღრეულებანი და უწესოებანი. საქმე ესე ასგზის და უმეტეს იქმნების წერილ, ეგოდენ ძვირფას არს ესე და ამისთჳს შემდგომთაგანცა მეფეთა ადიდნეს დიდად შვილისშვილნიცა მისნი ვიდრე დღეინდელადმდე"...

იქვე ლექსი ვახტანგისი იოთამზე:

„გიძნობ ქებასა, ტომთ დიდებასა, საქებელს არა დასაწუნოსა; | ვსტფი შენს საქმესა, მზეებრ მათენსა, არ ხვიმირს ქუეშე დასაბუროსა, | შენსა სახელსა, კეთილ-მსახელსა, ჩუენის გულისა სასალბუნოსა. | ერთგულ-მონაო, ძვირფას-წონაო, შეველ სიხარულს საუკუნოსა!" |

**1465 წ.**—აპრილის 23. მცხეთის სიგელი № 75 (ნუსხა № :სჟკ:) ჩინებულს ტყავზე ლამაზის ხელით მხედრულად ნაწერი. ამ სიგლით ერისთავი არაგვისა ვამიყ შაბურისძე (ის. ზემო გვ. 203) მცხეთას მამულებს სწირავს „საკანონოდ" იმ შემთხვევის გამო, რომ მეფე გიორგი VIII-ეს ვამიყის შვილისთჳს (გიორგისთჳს?) თავისი ქალი მიუთხოვებია. ხოლო ერისთავთაგან მეფის ქალის შერთვა „უჭეროდ" მიაჩნდათ და როგორც ჩვენგან ქვემო დაბეჭდილი სხვა სიგლებიც ნათლად გვიმტკიცებენ, კათალიკოზნი „საკანონოს" ახდევინებდენ ყოველ ამგვარს შემთხვევაში (როდესაც დიდკაცთა ქალებს ირთავდნენ მცირე გვარისანი).

„. . . ესე წიგნი... მოგაკსენეთ (მცხეთას) და ქ˜კზს მ ა რ კ ო ზ ს ჩუენ შაბურისძეთა ერისთავმან ვამიყ და სარო და ძეთა ჩ˜ნთა გ˜ი, ომარ, მიქამან, ვარამ და ნუგზარ... მის ჟამისა შედეგად, ოდეს ჩუენად ულირსად დიდად და

საპატიოდ შეგვწყალეს პატრონმან მეფეთა მეფემან გ͠გი (გიორგი) და მათი ასული ჩუენისა შვილისათჳს გვბოძეს და მოგუცეს, დიდი გამოსანახავი სასჯულო და საკანონო საქმე იყო... და შემოვსწირეთ კითხვითა, ბრძანებითა და ნება-დართვითა... მეფეთა მეფისა გიორგისითა ჩუენი მკვდრი... მამული ნოჯიკეეთა ნოჯისთავი ეკლესია მისითა მიმდგომითა, რასშვილისეული მამული მისითა მამულითა (sic), სახლკარითა, ველითა... საიქოსძე ჩაბასშვილი, მაკარისშვილი და თევდორასშვილი მათითა მიმდგომითა და ხუადაბუნებითა... ყუელა უკლებად ამა წესითა, რა გუარაც სხუანი მცხეთისა მამულნი თარხანნი და კელშეუვალნი არიან, მითვე წესითა არავისი კელი შევიდეს... დაიწერა... მოქცევასა მეათოთხმეტესა, ქ͠კს :რნგ: აპრილსა ოც-და-სამსა კელითა ოქროპირისშვილისა მახარებელისათა". ბოლოს მდარე ხელით, მხედრულად: „მე ერისთავი ამისი გამათავებელი ვარ" †

(იხ. ესვე პირნი ქვემო 1474 წლის ქვეშე).

პ. იოსელიანი ჰმოწმობს („Мцхетскій храмъ въ Грузіи 1866 г.), რომ არაგვის ერისთავთა ოჯახში დარჩენილიაო მოთხრობა, ვითომ გიორგი VIII ქალი ბერძენთა კეისრის კოსტანტინესგან 1452 წელს დანიშნული, ერთს ერისთავთაგანს მისთხოვდაო, როდესაც მისი საქმრო კეისარი, კოსტანტინე, მოიკლა სტამბოლის აღების დროს, 1453 წ. ეს მოთხრობა სიმართლესთან ახლოა.

გიორგი VIII-ის ქალის კოსტანტინე იმპერატორზე დაწინდვა, აღწერილი მისის კარისკაცის და ისტორიკოსის ფრანწი-პროტოვესტიარისაგან, მოყვანილია გიბონის ისტორიაში (Hist. de la decodence et de la chute de l'Empire Romain tom. XIII, pag. 43—48. Paris, 1828. ამისი თარგმანი იხ. თ. გიზოს ისტორიაში). მოვიყვანთ შემდეგს ნაწყვეტს:

„კოსტანტინეს ტახტზე ასვლის შემდეგ, დედა მისი დედოფალი და კარის კაცნი შეუდგნენო მისთჳს სასძლოს ამორჩევას. იმპერატორს აძლევდენ ვენეციის დოჟის ფრანც ფოსკარის ქალს (1423—1457). მაგრამ კარის კაცთა და ბიზანტიისა დიდებულთა უარყვეს ეს მოყვრობითი კავშირი არჩევანობითად მაგისტრატისა ძ მემკვიდრეობით იმპერატორს შორის. მაშინ იმპერატორის ყურადღება დარჩა ორს სამეფო ოჯახობაზედ—საქართველოსა და ტრაპიზონისაზე. აღირჩია უფლების-მქონე-ელჩად ფრანწი პროტოვესტიარი, რომელიც მრავალ სიმდიდრითა წარგზავნა საქართველოში. მას ახლდენ მრავალნი კეთილშობილნი, მცველნი, მეხრმლენი, ბერნი და მემუსიკენი (მესაკრავენი). ქალაქნი და სოფლები, სადაც კი გაივლიდენ იგინი, დიდის ყურადღებით ეგებებოდენ მათ, ხოლო მათი საკრავები ყურთა-სმენას უტკბობდა მათ, და მრავალი ცნობისმოყვარე ხალხი იყრებოდა. ამ ცნობის მოყვარეთა შორის იყო ასის წლის მოხუცი, 1398 წელს თიმურისგან ტყვედ წაყვანილი ინდოეთს; ინდოეთიდამ „სუნნელოვან" ქალაკებში გამოქცეულიყო და აქიდამ ისპანიის გემზე—პორტუგალიაში. სტუმართ მოყვარულ საქართველოში ფრანწმა აღირჩია მეფის სძლად ახალგაზდა ასული ქართველთა მეფისა. მეფე-გიორგიმ, კმაყოფილმა ბიზანტიასთან დამოყვრებით, არა თუ არ მიიღო, ამ ქვეყნის ჩვეულებისა-

ებრ, საჩუქრები ქალისათვის, არამედ, პირიქით, მისცა ქალს 56,000 ოქროს დუკატი და დაუნიშნა მას ყოველწლიურად 5,000 დუკატი სარჩოდ. მკითხველმა მოიგონოსო, სწერს გიბბონი, აღამენონის ნიჭნი (ილიადა I—IV, გვ. 144) და საზოგადოდ მთელის ძველ ქვეყნების ჩვეულება". მეფე არწმუნებდა ელჩს, შენი შრომა უსასყიდლოდ არ დარჩება და როგორც იმპერატორმა შვილი მოგინათლაო, ისე ყოფად-დედოფალი (გიორგი მეფის ქალი) ეცდება შენის ქალის გაბედნიერებასაო. ელჩის კონსტანტინეპოლში დაბრუნების შემდეგ იმპერატორმა სიგლითა (გრამატით) დაამტკიცა სადედოფლოდ აღრჩეული ქალი მეფისა, თავისის ხელით დაასვა სიგელს სამი წითელი ჯვარი და მეფე-გიორგის მხრით გაგზავნილი ელჩი დაარწმუნა, რომ გაზაფხულის პირზე ბიზანტიელთა გემები წამოიყვანენ საქართველოდამ სასძლოსაო. იმავე ფრანჩის მიანდო საიდუმლოდ, რათა მას, კიპროსის შესახებ მინდობილების აღსრულების შემდეგ, საქართველოდამ წამოეყვანა ყოფად-იმპერატრიცა. ფრანჩი ზამთარს ემზადებოდა საქართველოში წასასვლელად, მაგრამ აპრილს 1453 წლისას სტამბოლს მტერმა ალყა შემოარტყა და განზრახული ქორწინება დაირღვა კონსტანტინეპოლის ქალაქითურთ და თან ჩაიტანა გმირულად მებრძოლი იმპერატორი".

ჰ. იოსელიანს ხელში ჰქონია ბოდორნის წინამძღვრის არაგვთა ერისთვისშვილის (კზ˝ის ბესარიონის მიერ აღზრდილის) ნეოფიტესაგან ფრიადის ხელოვნებით გადაწერილი კურთხევანი, რომლის აღაპებში მოხსენებული ყოფილა: „მოიხსენე ბატონიშვილი მეფის ასული ნინო", რომელიც უნდა იყოს ზემო აღნიშნული სძალი იმპერატორისა და შემდეგ ცოლი გიორგი (კამიყის ძის) შაბურისძისა (Описание Душета" ჰ. იოსელიანისა, გვ. 36).

ეს არქიმანდრიტი ნეოფიტე, კაცი მეცნიერი და კალიგრაფი, განდევნილ იქმნა ბოდორნიდამ, დავით-გარესჯის უდაბნოში და გაკრეჭილ, რადგან მას აბრალებდენ მონაწილეობის მიღებას შეთქმაში მეფე-ერეკლეს საწინააღმდეგოდ 1465 წ. მსაჯულ-მბრალებელთა ნეოფიტემ უპასუხა: „მე რომ მცოდნოდა, მეფეო! თქვენ არ გეცოდინებოდათ საქმე ესეო" (ibid.).

**1465 წ.**—ალევის ტაძრის სიგლის პირში № 5 მოხსენებულია შეწირულობა ერისთავის შალვასი, მისის ძის რამაზასი და რამაზას ძის ქვენიფნეველისა, სოფ. ომისში, ქ˝კს :რნგ:

**1466 წ.**—ქკ˝ს :რნდ: აქა მეფე დაიჭირა ყუარყუარე(მ) ტყუედ (ძილის-პირი იკორთისა № 6).

**1466 წ.** მცხეთის სიგელი № 35 და ნუსხა № :რკვ: „...მე... მპყრობელმან ორისავე ტახტისა ლიხტ-იმერისა და ლიხტ-ამერისამან... მეფეთ მეფემან ბაგრატ... შევსწირე (მცხეთას).. და ქკზ˝ს დავითს... თქუენი ძუელითგან მკვდრნი დიდომს გლეხნი ესაბერი მზეოსძე და გეგელისშვილი მათითა მამული-

თა... (და სხ. ჩვეულებრივი) ჴელ-მოკსნით შემოგვწირავს სააღაპედ და სამლოცველოდ პატრონისა მამისა (?) ჩუჱნისა გიორგისა სულისათჳს... დაიწერა... ინდიკტიონსა მეფობისა ჩუჱნისასა :იბ: ქკ̃ს :რნდ: ჴელითა ფრიად ცოდვილისა მახარობლისათა... ერთი კანდელი... და ორი აღაპი... გარდაიჴდებოდეს... აღდგომისა ორშაბათ დღესა მამისა ჩუჱნისა გიორგისთჳს და... სამშაბათსა ჩემთჳს"...

ამ გუჯარში იმერთა მეფე ბაგრატ პირველად სჩანს ქართლის მეფედ; და მართლაც ქ-ცხბით (II, გვ. 185) იგი გამეფდა ქართლს 1466 წ. არ ვიცი, რად უწოდს ბაგრატ მეფე მამად თვისად გიორგის, როდესაც იგი ცნობილია დიმიტრის ძედ? იმერთა მეფე გიორგი ქ-ცხბით გამეფდა 1389 წ. ზემო ჩვენს გუჯრებში მოხსენებული იყო გიორგი მეფე 1393 წ. (გვ. 201) და შეიძლება იგი იყოს იმერთა მეფე და არა ქართლისა. ჩვენი გუჯარი ასაბუთებს, რომ ბაგრატი ამ გიორგის შვილია. ბაგრატ იმერეთში გამეფდა 1455 წ.

აქ მოხსენებული კზ̃ი არის დავით მეოთხე და 1466 წელი არის პირველი წელი მისის კათალიკოზობისა, 1479 წლამდე) აქედანვე სჩანს, რომ მისი წინამოადგილე მარკოზ კზ̃ად მჯდარა 1460—1466 წლებში.

**1466 წ.**—ქკ̃ს :რნდ: მოკჳდა ყვარყვარე ათაბაგი; დაჯდა ბაადურ ძე მისი და ბაგრატ იმერთა მეფემ ქართლი დაიპყრა.—კვალად განდგა დავით დაჳერ-კახნი დაიპყრა.—მერმე გიორგი მეფემ ქართლი დაიპყრა და ჳერ-კახნი, ბაგრატ იმერეთს წარვიდა და დავით—დიდოეთს (კახ. ქრ.)

**1466 წ.**—ქკ̃ს :რნდ: აქა პირიანობა. (საეკკლ: ეკ. მუზ. № 85).

**1467 წ.**—:რნე: იანვარსა :კ: „ჩვენ... მეფეთ-მეფემან ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ და დასავლეთის პატრონმან თვით-მპყრობელმან ბაგრატ, თანამეცხედრემან.... შვილმან ჩვენმან ალექსანდრე... გიბოძეთ თქვენ ჩვენს ერთგულად და მრავალად ნამსახურთ, ელიოზოშვილებს ჯუარის მტვირთველს დანიელს.... ჩუენგან ნასყიდი სოფელი სასხორი...., იგინი ამ გვარად არის ჩუენგან შესყიდულ: გზად წარმავალობისა დროსა ჩუენისასა თქუენ სჩიოდით ნაკლებობაზე წყლისა და რადგან თან იმ დროს ჩვენ საფასე არა მოგვეძევებოდა რა, წავიძრეთ ჩუენ თითისაგან ოქროს ბეჭდები და მივეცით იგი მათში. ესე არხი ამგვარად არის ნასყიდი, რომ წვერიანმა კაცმა მისგან წყლის დალევის შემდეგ წვერი შიგვე უნდა ჩაიბერტყოს... გვიბოძებია, რადგან თქუენ იყავით თავისთავ და შვილებით დაუზოგველად ნამსახურნი... იმა პირსაზედა, რომელ წმიდა ნიკოლოზობის დღეს ჩვენს საფლავზე აკურთხებინოთ და მცხეთაში მყოფთ მღვდელთ-მთავარს აწირვინოთ ჩვენთვის... დაიწერა ჴელითა მწიგნობრისა დავითისითა ქკ̃ს :რნე; თვესა იანვარს :კ: (გადმოწერილია ნუსხიდამ).

**1468 წ.**—:ქკ̃ს :რნვ: დაჯდა ყაენად უზუნ ასან (კახ. ქრონიკა).

**1468** წ.—მცხეთის ნუსხა № :სი: „...ჩუენ - - - მეფეთა მეფ[ისა გიორგისგან] და საყუარლისა ძისა ჩუენისა ალექსანდრესგან... (სრული სამეფო წოდებულობა).. ესე... სიგელი... მოგეცით (მცხეთას)... სათათრო მალი ამოგიკუეთეთ სრულიად ყველა სვეტი-ცხოვლის გლეხებს... არა ჩუენგან, არა ძისა ჩუენისა ალექსანდრესგან... არა გეთხოებოდეს რა... დაიწერა... ქკ̃ს :რნვ: მარტსა :კბ: კელითა წირქვალელ გლონისთავისძისა რატისითა“.

შესანიშნავია, რომ ყველა გუჯრებში გიორგის ძედ მოხსენებულია მარტო ალექსანდრე და კოსტანტინე არ სჩანს. ეს ჩვენს მატიანეში თითქმის დავიწყებული ალექსანდრე გამეფებულა 1476 წელს: იხ. „ივერია“ 1893 წ. № 72 და ზემო გვ. 277—8; შეადარე ქვემო 1479 წ. ქვეშე.

**1469** წ.—ქკ̃ს :რნზ: სრულიად განყოფა იქმნა სამ სამეფოდ (ანთაძის ქრონ.).

— ქკ̃ს :რნზ: გარდაიცვალა გიორგი მეფე და დაჯდა ძე მისი კოსტანტინე მეფედ და ზერ-კახთა ჩამოიყვანეს დავით და მეფედ ჰყვეს (კახ. ქრ.).

**1470** წ.—ქკ̃ს :რნთ: მოკუდა დადიანი ლიპარიტ, და დასჯდა ძე მისი შამადავლე (ვახუშტ. ქრ.).

**1470** წ.—ქკ̃ს: რნთ: მოკვდა ლიპარიტ და დაჯდა შამადავლე (დად. ქრ.)

**1470—1474** წლებს ახლო დროების მხედრული წარწერა რუისის ტაძრის სასარებაზე: „ქ. პატრონისა ათაბაგთ ამირ სპასალარისა ყვარყვარეს ძეთა პატრონსა ბაადურს ცოდვანი მისნი შ̃ს ღ̃ნ, და მათსა ძმასა პატრონსა ქაიხოსროს შ̃ს ღ̃ნ და მათსა მონასა და ამისა მხატვარსა ანანიასა შ̃ს ღ̃ნ“. ბაადურ † 1474 წ. მესამე შვილი ყვარყვარესი მზე-ჭაბუკ აქ არა სჩანს.—ამგვარივე წარწერა მეორე-რუისის სელნაწერ კტრატის სახარებაზე: „პატრონსა ბაადურს შ̃ს ღ̃ნ, და მათსა ძმასა პატრონსა ქაიხოსროს შ̃ნ ღ̃ნ, და მათსა მონასა და ამისსა მხატვარსა ანანიას შ̃ნ ღ̃ნ“, (ჩემი უბ. წ. II, 30). იქვე წარწერა: „ბატონიშვილი დომენი... დამიანე მრავალ ჟამიერ“; „ევსტათი ძე მეფისა“ (?).

**1471** წ. ქკ̃ს :რნთ: აქა დედოფალი გულქან გარდაიცვალა (ჩხეიძ. ქრ.).

— ქკ̃ს :რნთ: აქა დედოფალი გულქან გარდაიცვალა (იკორთის მილისპირი).

— ქკ̃ს :რნთ: დედოფალი გულქან გარდაიცვალა (კრება ლექსთა).

— ქკ̃ს :რნთ: დედოფალი გულქან გარდაიცვალა (Chron Cé.).

ბროსსეს აზრით გულქან ანუ გულშარ უნდა იყოს მეფის ალექსანდრე-დიდის ძის დიმიტრის ცოლი. დედოფალი გულშარ (სხვა?) იხ. 1488 წ. ქვეშე.

— ქკ̃ს :რნთ: მოკუდა დავით კახთა-მეფე; და დასჯდა მეფედ ძე მისი გიორგი და მეფემან ბაგრატ ქართლი დაიპყრა (კახ. ქრ.).

**1472 წ.** — ქკ̃ს :რჲ: აქა - - - | ლი - - - | ბგ - - - - | გარდ - - “. ამ დაზიანებულს წარწერაში საკკ. მუზ. № 85 ალბათ უწინ ეწერებოდა: „აქა [ქართ]ლი [დაიპყრა] ბაგ[რატ] მეფემ და კ̃ე (ე. ი. კოსტანტინე] გარდ[ააგდო].

— ქკ̃ს :რჲ: უზუნ ასან ყაენი შევიდა საბერძნეთს და მოაოხრა (კახ. ქრონ.).

**1472 წ.** თავმოგლეჯილი ხუცური სიგელი, სინ. კანტ. № 51:

„ - - -[ღ̃თის მშობლი]სა მარიამისითა ესე წიგნი [გკადრე შენ ქვათაკევისა] ღ̃თისმშობელსა და თქუენს - - - წინა დამკჳდრებულთა - - - დეკანოზსა და კანდელაკსა - - [მე] ქადაგისძემა ფრიდონამა და ჩემმა ძმამა ამილბარმან ამა პირსა ზედა, რომე დეკემბერსა ათსა კარგალებულსა ალაპსა გარდაიკდიდეს აბრაამისთჳს...ქკ̃ს: რჲ:“

**1472 წ.** მაღალაძეთა სიგელი, მღ. ი. ღამბაშიძისგან გადაწერილი:

ქ. თავდებობითა და შუამდგომელობითა...ჩუენ ქრისტეს ღ̃თისა მიერ ქართლისა კათალიკოზმან დავით ესე უკუნისამდე გასათავებელი და რასა-გინდავე ჟამთა ქცევა-გამოცვალებათა შინა მტკიცე და უცვალებელი წიგნი და სიგელი მოგიბოძეთ ნებითა ღვთივ გჳრგჳნოსნისა მეფეთ-მეფისა ბაგრატისათა და კითხვითა და ნება-დართვითა ყოველთა მცხეთიშვილთათა თქუენ, მცხეთისავე ყმათა, მაღალაშვილსა ოქროპირსა და თქუენთა შვილთა: მღდელსა მახარებელსა, ზომსიმესა, ალექსა[ნდრეს], გერმანოზს, დავითს, გრიგოლს და ეგნატის და ძმათა, შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე: შეგიწყალეთ და მოგეცით შეძულებით მცხეთისა მკვიდრი და მიუდევარი კავთის-კევს ივანიასძისეული მამული და სამცხეთიშვილო წილი, რაც ერთს ძმათაგანსა მიხუდებოდეს სამამამთავრო, მითვე წესითა როგორც ძველთაგან ივანიას ძეთა და ქადაგსა დიმიტრის ქონებია ჩოჩეთსა, რაც ივანიასძისაგან ნასყიდი მამული და მიწანი ზერტი და ქადაგს დიმიტრის მიმზღრობით ქონდეს მისითა სასახლითა, ეკლესითა, პურმარნითა, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენახითა, მინდვრითა, ტყითა, სანადიროთი, ქალითა, საბარითა, (?) საკმარითა, უკმარითა, საძებრითა და უძებრითა და მისითა მიმდგომითა სამართლიანითა ერთობ ყოველთა, და გორსა ფუშრუკაული დივნის ძე ბეთლემისა მიდგომითა სამართლიანითა სრულიად და უკლებად. აწ დღესითგან წაღმა გქონდეს და გიბედნიეროს ღთ̃ნ საყდრისა და ჩუენის ერთგულად და სამსახურსა შინა თქუენ მაღალაშვილს ოქროპირსა და თქუენთა შვილთა... და თუ ვისმე ამ მამულის ნიშანი ქონდეს, მტკიცითა ამით სიგლით გაგვიმტყუვნებია... ვინადგან სამკვდროდ ქადაგს დიმიტრის ქონდა; იგი სრულიად უმკვდრო იქმნა, ესრეთ რომელ არც არა მისი ნათესავი დარჩა, და ვერავინ მოგესარჩლოს ვერა ადამის ტომი კაცი, როგორც საყდრისაგან და ჩუენგან მტიკედ და სამკუიდროდ ბო-

ძებული არის, არა შეგეცვალოს, არა მოგეშალოს არა ჩუენგან და არა შემდგომთა ჩუენთა მომავალთა კ῀ზთაგან და არცა სხუათა მეპატრონეთაგან და თუ ვინმე ამისად შლად კელ ყოს, შერისხდი შენ, დაუსაბამოო მამაო და ძე და სულო წმიდაო! დამამტკიცებელნი ღთ῀ნ აკურთხნეს და წმიდამან დადა-ქალაქმან. დაიწერა წიგნი ესე და სიგელი ქკ῀ს: რჲ: კელითა ფ῀დ ცოდვილისა ქართლის მ῀კზსა ი῀ესითა": (იოვანესითა) ხელჩართულად: „კზი" - - -

**1474 წ.**—ქკ῀ს :რჲბ: აქა გიოგი მეფე გარდაიცვალა (წ῀ს ნიკოლოზ. ქრონ.).

გიორგი VIII ქ-ცხბით † 1469 წ., გიორგი კახთა—† 1492. აქ უნდა იგულისხმებოდეს გიორგი VIII და შეიძლება კახუშტის ქრონიკის ცნობა მართალი არ იყოს.

ქკ῀ს :რჲბ: მოკუდა შამადავლე დადიანი; და დასჯდა ბიძა მისი ვამიყ დადიანად (კახ. ქრ.)

ქკ῀ს :რჲბ: მოკუდა შამადავლე და დაჯდა ვამიყ დადიანად (დად. ქრ.).

**1474** წ. ივნისის 24-ს. ბოდორნის მონასტრის გუჯარი № 1, ტყავზე ჩინებულის ხელით ხუცურ-ნუსხად დაწერილი. გუჯრის თავს სელოვნურად დახატულია მაცხოვარი მაკურთხეველი და იქით-აქეთ ორი ანგელოზი. ქვემო ამათსა მარჯვნით დასატულია მდიდრულად შემოსილი კაცი ასო-მთავრულ წარწერით: „ე: (ერისთავი) ვამიყ" და მარცხნათ ქალი წარწერით: „პატრონი დულარდუხტ"—ორნივე დაჩოქილნი. ეს მხატრობა გადმოღებულია და გამოცემა გაგვაჩნს და იქიდან გადმოუხატავს „კვალს" 1894 წ. შინაარსი სიგლისა შემოკლებულად იხ. ბროსსეს V arch. Rap. VI, 6—22.

„ქ... ესე უცვალებელი... წიგნი... გკადრეთ... ხატსა მაცხოვრისასა..... და შენ, დედასა ნათლისა მის მიუაჩრდილებელისასა, თეთროსანსა ღუთისმშობელსა, მკსნელსა ქრისტეანეთასა. მოვედით ცთუნებისაგან გონებად და მოვიგონეთ და გულისკმა ვყავთ მე, ერისთავთ ერისთავმან, სახით ოდენ წოდებულმან, ვამიყ შაბურისძემან და ჩუჱნმან თანა-მეცხედრემან, სახელითა ოდენ დულარდუხტ-ყოფილმან მონაზონმან დომნე. და აღვირჩიეთ საუკუნოჲ ცხოვრება ამა სოფელსა, რომელთა წარმოგვევლინნეს ꝺ წარმოგვეცალიერნეს დღენი ჩუჱნნი მედგრობითა და ჟამნი ჩუჱნნი არა-წმინდებითა, დაღონებულ ვიქმნენით ცოდვათა ჩუჱნთა სიმრავლისაგან. აწ მოვედით მოწიწებით და მუკლ-დრეკით და შემოგეხვეწენით, სულითა და კორცითა ვირჩივეთ თქუჱნი მონდობა და შემოვედრება. ძუჱლად ჩუჱნთა პაპათაგან აღშენებული მცირე აკლდამაჲ ჩუჱნ ახლადვე განვაახლეთ და აღვაშენეთ. აწ ჩუჱნისა სულისა საკსრად გკადრეთ და მოგაკსენეთ და შემოგწირეთ ჩუჱნი მკვდრი მამული, სოფელი ხანდაკი მისითა მზღურითა, კევს-უკანით ვიდრე მეფისა სამზღუართამდის; მოგაკსენებდენ წელიწადსა შიგა კომლსა ზედა სამ-სამსა კაბიწსა პურსა ყალნად და რიგის

პურად: ერთი კაბიწი პური და ერთი საკლავი და ერთი კოკაჲ ღვნოჲ კომლსა ზედა, და კომლსა ზედა თვთო ჩარექი ცვლი; ვენაკნი, სადამდის გაიყოფო-დენ, მესამედი ტკბილი. მას გარეთ თვთოსა ალოვენობასა ოთხ-ოთხი დღე კნვაჲ და მისი მომუშავებაჲ, ესრე რომე ორორი დღე დეკანოზთა მოხუდებოდეს და ორ-ორი დღე საყდარსა;—და ამას გარეთ ზურისა მუშაობაჲ და საყდრისა, რაცა მისა საყდრისა მისახდომი პური და ღვნო იყოს, იგი საყდარსა შიგა მათგან მიიღებოდეს. აწ ამისი ასრე გაგვიჩენია: ვინც-ვინ ჩუჱნისა სულისა მწირველ-ნი და მლოცველნი იყვნეთ, კალოს კაბიწსა და კულუხსა თქუჱნთვს საზრ-დოდ მოიკლებდით და ოროლი დღისა ნაკნავსა თითოსა ალოვენობასა მასცა თქუჱნთვს მოიკლებდეთ; ასრე რომე თორმეტთა დღეთა საუფლოთა ჩუჱნ ოდენ სახელწოდებულისა ვამიყისთვს სწირვიდით და მარხვათა-დულარდუხტთ ყოფილისა მონაზონისა დომნესთვს სწირვიდით, და მას გარეთ სახასოსა ზუ-რისაგან და ნაკნავისაგან გარდაიკდებოდეს ალაპი სეკდემბერსა :ვ: და აგვის-ტოსა: ვ: ვამიყისთვს. და კიდევე აგვისტოსა :იე: ღვთისმშობლობასა.—და ხარჯუჱბასა(?) დულარდუხტ-ყოფილისა მონაზონისა დომნესთვს დეკემბერს :კვ: კრებასა ღვთისმშობლისასა შაბურისძეთათვს და მათის შვილისა მიქიას-თვს. ასრე რომე თვთოსა ალაპსა შიგა წაიგებოდეს თვთოჲ კაბიწი პური და კოკა გუჱრდი ღვნო და ოთხ-ოთხი ზურგიელი. აწ ვინცა-ვინ დეკანოზნი იყვნეთ, მოატანინებდით ხანდაკელთა საალაპედ ექუსსა კაბიწსა და გუჱრდსა პურსა და ცხრასა კოკასა ღვნოსა და ამისაგან დეკანოზი კაბიწ გუჱრდსა პურსა და კო-კა-გუჱრდსა ღვნოსა თევზად გაჰყიდდეს და ალაპშიგა წააგებდის, და მას გა-რეთ რაც პური და ღვნო დარჩებოდეს, დეკანოზნი თანა-წარყვებოდენ და ხანდაკელთა მათითა ულაყითა ქალაქს წაალებინებდენ და მისგან იყიდდენ ორმოც-და-ათსა ლიტრასა ზეთსა, და თექუსმეტსა ლიტრასა ცვლსა და მისსა საკმეველსა და ამას რაცა თეთრი დარჩებოდეს, მას დეკანოზნი საყდარსა შინა დასდებდენ, და ჟამის სიმცირისაგან თუ პურმან და ღვნომან აკლოს და სა-ყოფნი ზეთი და ცვლი ვეღარ იყიდონ ერთის წლისა საყოფნი, მაშინ თეთრ-სა შეიწევდენ და ზეთსა და ცვლსა იყიდდენ. და ნუ მოგუჱშლების დღე-და-ღამე ორი კანდელი და თორმეტთა საოფლოთა დღეთა კელაპტარი დღე-და-ღამე ენთებოდეს და ხუთი ალაპი კარგადებული გარდაიკდებოდეს და მას გარეთ დიდთა მარხუათა შინა წირვასა შინა კელაპტარი აენთებოდეს.—აწ პატრონნო მეფენო, და პატრონნო ერისთავნო, და კელმწიფენო, ეპისკოპოზნო; მონაზ-ნო, მღდელნო და დიაკონნო; შვილნო და მომავალნო, ზედანო და ქუჱდანო, რომელნი ესვით ხატსა მაცხოვრისასა და ანუ რომელნი მოელით განკითხვასა შინა მეოხედ და კელის აღმპყრობელად ზეცისა ერისთავთა მიქელს და გაბ-რიელთა და ანუ რომელნი ესვით დედასა ნათლისა მის მიუჩრდილებელისასა, ღთისმშობელსა მკსნელსა ქრისტეანეთასა,—ყოველთავე გევედრებით, ნუ ვინ მოუშლით მცირესა ამას შესაწირავსა, რომელი მოვიგონეთ და გულის-კმა ვყა-ვით სახელითა ოდენ წოდებულთა მე, ბაშურისძემან ვამიყ და ჩუჱნმან მეუღ-

ლემან, დულარდუხტ, ალვირჩიეთ ამა სოფელსა საუკუნო ცხორება, რომელთა წარმოგვეცალიერნეს დღენნი ჩუჱნნი მედგრობითა და ჟამნი ჩუჱნნი არა-წმინდებითა; დალონებულ ვიქმნენით ცოდვათა ჩუჱნთა სიმრავლისაგან. აწ მოვედით მოწიწებით და მუკლ-დაყრით და შემოგეხვეწენით... და შემოგწირეთ ჩუჱნი მკჳდრი მამული—სოფელი ხანდაკი, მისივე მზღურითა, კევსუკნით ვიდრე მეფისა მზღუართამდის: მისითა ყოვლითა გამოსავალითა, ველითა, ვენაკითა, სათიბითა... ვერავინ საქმე დაიგდოს, თჳნიერ ხატის მაცხოვრის მეტმან, ვერა მეფემან, ვერ დედოფალმან, ვერცა ერისთავთა, ვერც მოურავთა და კელისუფალთა. არა გეთხოებოდეს რა და თქუჱნსა კარსა არა მოგადგებოდეს, ჩუჱნო მკჳდრნო ყმანო, ხანდაკელნო, არა ლაშქრობაჲ, არა მალი, ულუფაჲ, არა მუდამი მუშაობა, არა საჯინიბო, არა საბაზიერო, არა საწელიწდისთაო, არა საადებოჲ, არა საყველიერო, არცა გორისა და არცა ქალაქისა და ჟინვანისა მუშაობა, არაფერი საქმე თქუჱნსა კარსა არა მოადგებოდეს, თჳნიერ ერთისა ხატისა სამსახურის მეტი.—ესე ასრე გაგითავდეს და ვერავინ შეგიცვალოს, ვერცა მეფეთა, ვერცა დედოფალთა, ვერცა ჩუჱნისა სახლისა და გუარისა კაცმან... ვერავინ შეგიცვალოს...(აქ წყევა-კრულვა შემშლელთა ზედა).

დაიწერა ქორონიკონსა :რჲბ: თ῀ა ივნისსა :კდ: კელითა ფრიად ცოდვილისა და გლახაკისა კარისა მწიგნობრისა კედელასშვილისა საბასითა".

ბოლოს მდარე ხელით, მხედრულად:

„მე ფრიად ცოდვილსა ერისთავსა ვამიყსა დამიმტკიცებია;—მე ცოდვილსა გიორგის დამიმტკიცებია;—მე ფრიად ცოდვილსა ომარს დამიმტკიცებია, და მოწამეცა ვარ ნებითა ღვთისათა".

ამ კაშიყ შაბურიძეზე და მისს გვაროვნობაზე იხ. ზემო გვ. 285-6 და 203, სადაც დაბეჭდილია „სულთა მატიანესაგან" უმკელესი შტო შაბურიძეთა გვაროვნობისა. იმავე „სულთა მატიანეში" მოხსენებულია სხვათა შორის: აღაპი № 106: „სული ღთ῀ვ გურ῀გნსნის მეფეთ მეფის კოსტანტინესი.. (1478—1505) კხ῀ლ იყვნეს: უ῀კე: ს῀ლი დედოფალთა დედოფლისა თამარისი კხ῀ლ იყ῀ნეს უკ῀ე" (მეუღლეა კოსტანტინესი). ეს თამარ ყოფილა ათაბაგის ქალი (ალბუღას დაჲ? თუ ყვარყვარე III-ის ქალი?) როგორც სჩანს იმავე მატიანესაგან (აღაპი № 55): ათაბაგთა ასულსა, დედოფალთა დედოფალსა თამარს, სლ῀ი კრ῀თხლ იყავნ ა῀ნ". № 56: „სული პატრონისა დედოფალთა დედოფალი ნესტან დარეჯანისი (ცოლი მეფის გიორგი VIII-ისა) კხ῀ლ იყავნ და ცოდვანი მისნი შ῀ნ ღ῀ნ". და იქვე აღაპი მეფის გიორგი VIII-ისა (№ 54). ხოლო აღაპში № 114 მოხსენებულია ჟურულის გიორგის სახელი, რომელსაც დაუწერია ჩვენგან დაბეჭდილი სიგელი 1439 წ. (იხ. ზემო გვ. 245; 278-280): „სულსა ჟურულისსა წინამძღვრისა გიორგისსა შ῀ნ ღ῀ნ: მეფეთა წინა მოსაქმე იყო და სიგელიცა მან დაგვიწერა".

## „მცნება სასჯულო“.

ტყავზე სუფთად ლამაზის ხელით დაწერილი ბიჭვინტის გრაგნილი სიგელი, (№ 9054 და ნუსხა № 66) მიცემული ანტიოქ-იერუსალიმის პატრიარქის მიქაელისაგან; ამ სიგლიდამ სჩანს, რომ მიქაელს აფხაზეთის კ҃ზად დაუყენებია ბედიელი იოაკიმ და დაუწერია რამდენიმე საეკლესიო კანონები ბაგრატის მეფობასა (1455—1478) და შამადავლეს დადიანობაში (1470—1474). აქიდამ ცხადია, რომ ეს სიგელი მიცემულია 1470—1474 წლებს შუა. ეს გარემოება შუქსა ჰფენს თვით მიხაილის პატრიარქობას, რადგანაც ჯერ ისტორიამ დაჭეშმარიტებით არ იცის მისის პატრიარქობის წელნი. ცნობილია მხოლოდ, რომ იგი გაპატრიარქდა 1452 წ., ხოლო 1484 წელს იჯდა პატრიარქად დოროთეოს II. მაგრამ ამ ორ პატრიარქთა შუა იყვნენ იოაკიმ III და გრიგორი. ჩვენი სიგელი ცხად ჰყოფს, რომ უკანასკნელნი ორნი პატრიარქნი მსხდარან 1474—1484 წ. (იხ. Полный Мѣсяцесловъ Востока, т. II, прилож., стр. 258).

ანტიოქელ პატრიარქის მოსლვა და ესრეთი სასჯულო სწავლა მისი ალბათ იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ იმერეთის მწვრილ-მწვრილ ნაწილებად გაყოფას ეკლესიური განხეთქილებაც შეუდგა და სარწმუნოება შეირყა.

სრულის ტექსტის გამოცემა ცალკე წიგნაკად განვიზრახეთ და აქ შემოკლებით დავბეჭდეთ. სათვალავნი მუხლთა ([illegible], [illegible], [illegible] და სხ.) ჩვენ დავსხით.

...მე ყოველთა ნარჩევი იერუსალიმისა და ანტიოქისა პატრიაქი მიხაილ მოვიწიე დიდსა ამას ქ҃ეს სამწყსოსა, მეზობელსა იერუსალიმისასა, საქართველოსა. ვითა სათანადო არს მეფეთა, დადიანთა, ათაბაკთა, ერისთავთა, ამილახორთა, დიდებულთა, აზნაურთა და ყ҃თა ქ҃ეს ღ҃თისა მოსავთა... მოიკითხეს ძუძლით ვიდრე ახლადღმდე ღვთივ-გვრგვნოსანმან ბაგრატ (1455—1478) და დიდმან ერისთავთ-ერისთავმან დადიან-გურიელმან შამადავლე (1470—1474 წ.) მისთა თავადთა თანა-დგომითა და დიდად ღ҃ისაგან საუნოდ გამორჩეულისა... ბედიელისა იოაკიმისა გამოძიება და მოკითხუა გუართა, დავთართა, და იადგართა და ვითარ იგი პირველად ქართლისა და აბხაზეთისა კათოლიკოსნი ინტიოქისა პატრიარხისაგან იკურთხეოდენ და ჟამთა სიძველისაგან და სოფლისა სივერაგეთაგან იყვნეს მრავალნი წესნი შემლილ და გარდაქცეულ, ვნახენ... და მეუფისა ცაიშელ-ბედიელ მთავარ-ეპისკოპოზისა იოაკიმისთა ნებითა და შემწევნითა ღ҃თისათა... ვაკურთხეთ კათოლიკოსი იოაკიმ, მარჯვენა იერუსალიმისა, აფხაზეთის კათალიკოზი და კურთხეულმცა არს: დავაყენეთ და დავსვით აფხაზეთს საყდართა ანდრია მოციქულისათა ყოველთა ქრისტიანეთა ლიხთ-ამერთა: ოდიშისა, გურიისა და აფხაზეთისა... და აფხაზეთი ქრისტიანობისაგან სრულიად მიდრეკილ იყვნეს, ქრისტეს მცნებათა განშორებულ იქმნეს... და ეპისკოპოზნი ლიხტ-ამერის ჰოროხს აქეთ, ოვსეთსა აქეთ, ზღუა პონტოს აქათ, სადა დიდისა ბიჭვინტისა საზღუარი მიაწევს, ეზისკოპოზნი ამა იერუსალიმის მარჯვენა-

საგან კათოლიკოზისაგან იკურთხეოდიან და მიიღებდით კურთხევასა და ქადაგებასა მისსა; ისმენდით, ჯერ იყუჳნით და ნუ ურჩ ექმნებით.

აწ მამანო, ძმანო და შვილნო, ქრისტეს საფლავისა მარჯვენა, ლიხტ ამერისა და აფხაზეთისა კათალიკოზი იაკიმ, ქრისტეანობის სჯულის მამაგრებელად და დამამტკიცებელად ვაკურთხეთ... მე დიდისა და ცათა მობაძავისა ანტიოქისა და იერუსალიმისა პატრიარხმან მიხაილ და ესე ქარტა თქუჳნთვს აღუსწერე.

Ⴀ. Ⴅინაიდგან იგულსმოდგინა ღმერთმან და ჯერ-იჩინა ჩუჳნისა კსნისათვს და სჯულისა ქრისტიანობისა დამკვდრებისათვს და დამტკიცებისათვს ჩუჳნ... საყდრისა ანტიოქისა და იერუსალიმისა პატრიარქმან მიხაილ ნებითა ღ~თა, ვითარცა უფალმან ჩუჳნმან იჳსო ქრისტემან ანდრიას მოციქულსა შემოსა თვსი სამეუფო ბასონი და აკურთხა, აწ შემდგომად მისსა ვაკურთხეთ კათალიკოზი იოაკიმ და სჯულსა და მესჯულეთა თავად და უხუცესად დაგვმტკიცებს და აღიწერა ქარტა ესე ჩემ-მიერ. აწ შვილნო, ძმანო და მამანო! გაუწყებთ და გამცნებთ: ვინ და რამცა კაცმა ქრისტეანემან, ანუ დიდმან, ანუ მცირემან პატრონსა უღალატოს ანუ უსამართლოდა უორგულოს, ქრისტე ღმერთი და სჯული უარ-უყოფიეს; ეგრეთვე უსამართლო და ორგული მეორემან ნუ შეიწყნაროს:

Ⴁ. Ⴅინცა და რომელმან სჯულისა და კათალიკოზისა ურჩად უხვედრი ცოლი შეირთოს, სვინა ანუ მეყვსი, ანუ სძალი, ანუ ბიძის ცოლი, ანუ ხუცის ცოლს სცოდოს, ანუ დიაკუნის ცოლისთანა, ანუ მთავარ-დიაკუნისა ცოლისთანა სცოდოს და შეგინებულსა საწოლს ზედა დააწვინოს, ამათ ყოველთა უსჯულოებათა მოქმედი კრულ, წყეულ და შეჩუჳნებულმცა არის სულითა და კორცითა ამინ:. (ეგრეთვე წყევა ყოველს ქვემორე აღწერილს მუხლებს შემდეგ).

Ⴂ. და თუ არ ღ~თისა უარისმყოფელნი ხართ, მეკობრესა ხუცესსა მო(ა)შთობდით.

Ⴃ. Ⴅინცა ანუ დედისნაცვალსა ანუ დედობილსა თანა სცოდოს.... წყეულ, კრულ და შეჩუჳნებულ უკ~ე.

Ⴄ. ვინცა ძმა მოკლას, ქრისტე ღმერთი უარუყოფიეს და ნაწილნი მათნი აღიკოცენ უ~კე. ანუ თვსი დაჲ, ანუ სხუა მოკლას... (წყევა).

Ⴅ. და რომელმანცა იკადროს მოციქულთა მარხუათა ოთხშაბათ-პარასკევთა რომელიცა ხსნილი არ იყოს და შერიოს ანუ მიცუალებისა მარხუა, მარტვილთა კიდე ვინ ჰკუიანმან შერიოს წველითა ანუ კორცითა ხსნილთაგან კიდე, კრულმცა არს... და რომელმან წელიწადთა შინა რომელნიცა უქმნი წ~თა კრებათა განუწესებიეს და არა ისმინოს და თვსითა ნებითა უქმობდეს, წყეულმცა არს წ~თა კრებათაგან.

Ⴆ. ვინცა შეუნდობლად დაბექდილი კათალიკოზისაგან და ხორეპისკოპოზისაგან ეკლესია განხსნას შეუნდობელად კრულ, წყეულ... მათი ხუცესი

და ერი მათი. რომელმანცა წ̃თა კრებათაგან განაჩენი და განაწესი სჯული მაგრად არ დაიპყრას და შეცოდება დაუწყოს, ღ̃ნ წყევით მიაგოს.

Ⴌ. ვინცა სჯულისა შემცოდე პატრონმან არ მისცეს ეპისკოპოსსა და ხორეპისკოპოსთა, სასჯულოდ არ მიანებოს (და სასჯულოდ მოსაკითხავი სოფელი არ დაანებოს) და ძალი არ მისცეს, ამა სოფლისა ცოდვა მან გარდაიკადოს და შეუნდობელმცა არს.

Ⴉ. ვინცა ამა მცნებათა არ დასჯერდეთ და კზ̃სა და ქ̃ეს მცნებათა ურჩ ექმნათ, კრულ, წყეულ... იერუსალიმისა მადლითა, ანტიოქიის მადლითა ა̃ნ.

აწ შვილნო, ძმანო და მამანო ჩემნო! მორჩილ ექმენით მწყემსისა მის სახიერის ნაცვლად კათალიკოზსა იოაკიმს ღვთისა-მიერ მოვლენილსა, რათა მარად პირმეტყუელად სამწყსოდ გამოჩნდეთ და შეიკრიბნეთ ბაგასა ზეცისა არვსასა და არა იქმნეთ საჭმელ მგელთა მძვინვარეთა და არა შეგემთხვიოსთ განსაცდელი: ვითარცა იგი მაშინ ურჩ ექმენით ანდრია მოციქულსა, რომელმანცა მოუვლინა ღვთისაგან მრისხანე ანგელოზი და შესცვალნა ყოველთავე მათ ურჩთა სახელი (სახლი?), საცხოვარი კაცითგან მიპირუტყუთამდე ვიდრე მოიქცეოდეს...

Ⴍ. აწ კ̃დ ისმინეთ ეპისკოპოსთა წ̃თა კრებათა განწესებაჲ, ესრეთ უთნევარად დადექით, ნუ ვის ათნევ, სამწყსო შენი სწავლით და მაგრა დაიპყრეთ, რ̃ა მეორედ მოსლვასა თქ̃ნგან არა ითხოვოს სიტყვს-გება. ეგრეთვე მოძღუართა წესიერებით ქ̃ეს სიყუარულითა თქუენ სამწყსოდ მოწაფითურთ შეიყვარეთ სჯული ქ̃სი და თავი დასდევ ცხოვართა თვსთათვს...

Ⴐ. მღდელთა მართალთა ნების-მყოფელად ნუ ცრუ-წინასწარმეტყველ, არამედ დაიცევ თავი შენი სიძვისაგან, ტაცებისაგან, სიხარბისაგან, დიდის სიცილისაგან, მთვრალობისაგან, გარდარევისაგან, რომელ არა-ჯერ-არს მოწესეთაგან. მიეც ერსა უმეცარსა მარხუაჲ, რაჲცა წ̃თა კრებათა განაჩინეს მარხუად, მიეც მტკიცედ და გაუტეხელად უქმი უქმად, ვ̃ა სწერია გაჩენით საეკლესიოთა დავთართა შიგან.

ႰႡ. და რომელმანცა ეპისკოპოსმან, გინა ხორეპისკოპოსმან, ანუ მოძღუარმან, გინა ხუცესმან არა გულითა მართლითა დაიცვას მცნებაჲ ესე და ერსა არა უქადაგოს სარწმუნოებად და კ̃ზისა ბრძანებასა ზედა მომპყრნედ და ძალმიცემით არ იდგეს — კრულ, წყეულ...

ႰႢ. და უკეთუ ვინცა მეფეთა, თავადთა, აზნაურთა და აზნაურისშვილთა, მოკელეთა... და ყოველთა, რომელთა ესე მცნება ღ̃ის მიერ წ̃თა კრებათაგან განაჩენი... არა აღიაროს და სხუათაცა არა უქადაგოს — კრულ და წყეულ არს...

ႰႣ. რომელი ხუცესი ცუდად ზღაპრობდეს, ანუ ცუდად მეტყუელებდეს, ანუ წესსა აკლებდეს სამწყსოთა, სოფელთა და ქუეყანათა და მისისა სამრევლოსა ცოდვა კათალიკოზსა და ხორეპისკოპოზსა არ გამოუცხადოს,

ანუ ნატაცებსა ცოლ-ქმარსა გვრგვნი უკურთხოს, ანუ იპაროს, ანუ უხუედრთა ცოლ-ქმართა შენდობა მისცეს, ანუ მისთა სამრევლოთა მარხვის რევა შეუნდოს და რაჲცა მღდელობისა საქმე შეცოდებით დაიჭიროს, წირვისაგან ალიკოცოს და წირვა მისი შეუწირავი იყოს, სადამდის კათალიკოზის მოკსენებითა ლა გაგონებითა არ განიკანონოს.

**ႨႧ.** ეგრეთვე ვინცა და რამცა კაცმან მონასტერთა და საყდართა მამული მოიგოს, იურვოს, ნუ ვინ მოურავად და მოსაქმედ შემოვიდეს—კრულ, წყეულ...

**ႨႷ.** ვინცა უხუცდრი ცოლი შეირთოს, ანუ სვნასა ანუ მეყვსსა შეეხოს, ანუ ძმის ცოლსა, ანუ ბიძის ცოლი შეირთოს, ანუ რაგინდა უხუცდრი ცოლი შეირთოს კათალიკოზის აღუარებლად... კრულ, წყეულ...

**ႨႷ'.** ვინცა უქმთა წელიწადისათა და შაბათსა ცხრა-ჟამითგან ორშაბათსა განთენებამდე სცოდვიდეს და პარასკევსა მიწას რევდეს, წ~თა კრებათა განაჩენნი უქმნი დღენი კრძალვით და მაგრად არ შეინახნეს ...(წყევა)...

**ႨႬ.** კ~დ ვინცა შესცოდოს წ~თა მარხუათა... (წყევა).

**ႨႩ.** Ⴇა ვინ უხვედრი ცოლი შეირთოს შეუნდობელი და კათალიკოზის ბრძანებითა არ გაეყაროს და ურჩად დაუდგეს... გინა სასჯულოსა საქმესა ზ~ა ძალი არ მისცეს, გინა მონასტერთა დამცირებასა მოიჭირვებდეს თავისთვს, გინა სხუათათვს იურვოს.... რა გინად რაჲ გამოახოს, გინა გლეხი მოსახლე, გინა საჭურჭლე, გინა კაცი, გინა ჯოგი"..... (წყევა).

მარხვანი და ხსნილი დღეები ჩამოთვლილია და სხვათა შორის მოხსენებულია: „ალაჯორთ კვრიაკე (?) და ყველიერის კვრიაკე ხსნილ არს ყ~თა დღეთა"... „წ~ა გიორგისი თავადი დღესასწაული აპრილსა :კგ: ხსნილ არს მათთვს, ვინც ეკლესიათა მივიდნენ და ვინ არ მივიდენ, ვერ განხსნის:..

**ႨႰ.** და ვინ ორი ცოლი ერთად შეირთოს; გინა დედა-შვილი მამა-შვილმა შეირთოს, გინა ორნი დანი ორთა ძმათა შეირთონ, ანუ ვის ცოლი მოუკუდეს, ცოლის ასული შეირთოს ანუ ვინ ცოლის დედა, რომელ არს სიდედრი... გინა დობილი ანუ დედობილი შეირთოს... გინა ხუცესი ბილწი იყოს და შეაგინოს კორცნი თვსნი სხუასა დიაცსა თანა და ჟამის წირვად იკადროს... (ფრიად გრძელი და სასტიკი წყევა).

ბოლოს დიდი საკათალიკოსო ბეჭედი ასვია.

**1475 წ.**—შიომღვიმის სიგელი, ტყავზე ხუცურად ნაწერი № 14: „... მე ზევდგინისძემან მამიამან და მეუღლემან ჩემმან გულქან შევსწირე უდაბნოსა მღვიმისასა ახატანს ვენაკი... ფებერვალსა :ი: ქ~კს :რჲგ:". (ის. ჩემი: „ისტორიული საბუთები შიომღვიმის მონასტრისა" გვ. 74).

**1475 წ.**—ქკს :რჲგ: მოკუდა ბაადურ ათაბაგი, დაჯდა მანუჩარ, ძმა მისი (ვახ. ქრ.).

— ქ~კს :რჲგ: ათაბაკი ბაატურ გარდაიცვალა წლისა :კა: ოკდომბერსა :ი: (ჟამნი № 2: იხ. 1478 წ. ქვემო და ქ-ცხშიც ეგრეა: გვ. 477).

**1476 წ.**—გამეფება კახეთს ალექსანდრესი (იხ. 1479 წ. ქვემო).

— ქ~კს :რჲდ: აქა უზუნ ასან საქართველო ამოსწყვდა (მილისპირი იკორ.).

**1477 წ.**—ქ~კს :რჲე: ბაგრატ მეფეს დადიანი ვამიყ უკუდგა; უკუნიქცა ბაგრატ ქართლიდამ და შეიბნენ; ბაგრატს გაემარჯვა; ჲ კვალად მოვიდა ქართლს უძლიერესად (ვახტ. ქრ.).

— ქ~კს : რჲე: რ- - - მო- - (გადასული წარწერა ეკ. მუზ. კინკლოსისა № 85, რომლის გამოცნობა ჩვენ ვერ შევიძელით).

— გამეფება კოსტანტინესი 1477 წ. (იხ. 1492 წ. ქვემო), ანუ 1478 წელს: (იხ. 1488 წ. ქვემო).

**1478 წ.**—ქ~კს :რჲვ: კოსტანტინე დაჯდა მეფედ, და ათაბაგი ბაატურ (sic) გარდაიცვალა წლისა :კა: ოკდომბერსა :ი: დასაბამითგან ქ~კსა :ხშჟა: (6992—5508=1484 წ.?: „კრება ლექსთა“ და თითქმის იმავე სიტყვებით Chron. Gé. p. 3 და ქ-ცხ. I, 477). ზემო ქრონიკებში ბაადურის სიკვდილი აღნიშნულია 1475 წ. და რომელი წელი უფრო ჭეშმარიტია, ეს კიდევ საძიებელია.

— ამავე წელს უნდა იყოს დაწერილი შემდეგი აღაპი, შეტანილი ათონურს ტყავის 1074 წლის ხელნაწერში:

. . . პატრონსა ბაჴადურს ყ~ნი ცოდვანი მისნი შ~ს ღ~ნ (ეს სამჯერ განმეორებულია).—დიდსა და მაღალსა ქართველთა ათაბაგსა და სამცხისა სპასალარსა ჯაყელ-ციხისჯუარელსა პატრონსა ყუარყუარეს ცოდვანი მისნი შ~ს ღ~ნ (†1498 წ.) და მათსა მეუღლესა პატრონსა დედისიმედსა შ~ს ღ~ნ (†1491) და მათსა ძესა პირმშოს პატრონსა ქაიხოსროს შ~ს ღ~ნ (†1500); [პა]ტრონსა მზეჭაბუკს შ~ს ღ~ნ († 1516 წ.). და კ~დ მეოთხედ პატრონსა ბაადურს შ~ს ღ~ნ.

და პატრონსა იანქოს შ~ს ღ~ნ (†1505) და ეგრეთვე პატრონსა ორავყანდას, მანუჩარს და მარათლიხონს (მარ~თლიხონს) შ~ს ღ~ნ.

და ამათთა დათა პატრონსა დედოფალსა პატრონსა რაოდენს (როდამს?) და პატრონსა გულბუდასს *) შ~ს ღ~ნ. საცნაურ იყავნ ჩუენთა ამათ პატრონთა აქა აღწერილისა მიზეზი ესრეთ იქმნა: პატრონი ბაჴანდურ, რომელი პირველ სწერია და მერმე ძმათათანა რიგსა ზედა თუ რომელთა იყო უმრწმეს ანუ უდიდეს, ესე პატრონი ჩემი ჰაბადურ განეყო მშობელთა და ძმათაგან და უფროსლა ვთქუა სოფლისაგან და წარვიდა გზასა მას საუკუნესა ჭაბუკი, ყოვ-

*) შენიშ: ეკლ. მუზ. ხელნაწ. № 193 შეტანილია მოსსენება: „სულსა ამირსპასალარს ბატონსა ორავყანდას შ~ს ღ~ნ და თანამეცხედრესა მისსა სულკურთხეულსა ბატონსა გულბუდახს შ~ს ღ~ნ“.

ლითურთ სრული სადმრთოსა შინა, ხოლო ჰასაკითა ოცისა, გინა თუ :კა: წლისა და აღავსო სახლი მამული მწუხარებითა გამოუთქმელითა. მაშინ დიდებულთა მშობელთა და ძმათა ამისთა ღთისმსახურებისა ძლით თჳსსავე თემსა და ქუეყანასა შინა უცხოთა ქუეყანათა უხუად მიჰფინე (მიჴფინა) სახსენებელი და სალოცავი, ვითარ იგი იჱრუსალიმს და სინაჲსცა და ეგრეთვე ჩუჱნ მოგუცეს საქონელი და წარმოგუავლინნეს საბერძნეთსა ქუჱყანასა და წარმოვედით და ვითარცა ჯერ იყო განვჰყოფდით (განუყოფდით) ებისკოპოზთა, მონაზონთა, მღდელთა და გლახაკთა ზედა ტრაპიზონთასა კოსტანტინეპოლედმდე და ვიდრე ამა წმიდად მთადმდე; და მოვლეთ ყოველნი მთისა ამის მონასტერნი და წესისაებრ მოვაკსენეთ მოსაკსენებელი და სალოცავი და ეგრეთვე განვიცადეთ ჩუჱნი ესე მონასტერი, რამეთუ ყოველთაგან უმეტეს დაგლახაკებულიყო და ეკლესია ფრიად დაძუჱლებულიყო და სენაკები და ზღუდენი და პირღოსნი უმეტესნი დაქცეულ იყუნეს და ფრიად უნუგეშინისცემოდ გასრულიყო. და ამას ესე ვითარსა უპოვარებასა შინა მოვაკსენეთ ამა ჩუჱნსა მონასტერსა ოცი ათასი ოთმანურისა, რომელიმე ფლურად და რომელიმე თეთრად და ეგრეთვე ორნი ცხენნი; და გავაჩინეთ ერთი აღაპი პატრონისა ბაადურისთჳს დღესა მიცვალებისა მისისასა ოკდომბრსა ათსა; რათა რაოდენიცა მღდელი იყოს ბერძენი თუ ქართველი ჟამსა წირვიდენ და ტრაპეზად შევიდოდენ... (ისე, როგორც მზეჭაბუკზე სწერია, იხ. 1498 წ. ქვეშე), ხოლო ამის საქმისა მსახურნი, რომელნი სამცხით მოიწივნეს, ერთი ბერძენი იყო მღდელმონაზონი, სახელით სჳმონ *), რომელი დიდით ხნით ყმა მათდა ქმნილიყო და ერთი ქართველი მონაზონი, სახელით აკაკი, სიყრმითგან მათთანა აღზრდილი და მონა.

**1478 წ.**—ქ~ს :რჲვ: უზუნ ასან ყაენი მოვიდა; ქართლი და ერწო-თიანეთი მოსწყვიდა; (ქართლის მეფე) კოსტანტინე ბარათიანით მივიდა მისთანა; მისცა ტფილისი;—და ბაგრატ მეფე წარვიდა რაჰას; მუნ მოკუდა; და დაჯდა (მეფედ) ძე მისი ალექსანდრე. (კას. ქრ.—ბაგრატ უნდა მომკვდარიყოს 1483 წ. იხ. 1495 წლის ქვეშე).

— ქ~ს :რჲვ: აქა ათაბა[გი ია]ნქო - - პა[ტრ]ონად დ[აჯ]და (ეგ. მუზ. კინკლოსი № 85).

—ქ~ს :რჲვ: აქა ათაბაგი იანქო ბატონად დაჯდა (იკორთის ძილისპირი).

ეს ცნობა სრულიად ახალია და უცხო, მაგრამ ჭეშმარიტი, რადგან ორი მველი ხელნაწერები თანახმად ამოწმებს მას.

**1479 წ.**—დავით-გარესჯის სიგელი, კარგას მხედრულად ეტრატზე ნაწერი:

---

*) ეს სვიმონ ტრაპიზონელი, შემდეგ მაწყვერელი იხ. 1529 და 1502 წ. ქვეშე.—ამ ალაპიდამ სჩანს, რომ ყვარყვარე იყო ძმა ბაადურისა.

წარმმართებელო მეფობისა ჩუენისაო... მეტეხთა და ხახულისა ღთის-მშობელო! ჩუენ... ლიხთა იმერისა და ლიხთა ამერისა ორისავე ტახტისა მტკიცედ მპყრობელისა მეფეთა-მეფისა სულკურთხეულისა გიორგისა ძემან, მეფემან ალექსანდრე ბატრონმან (sic) დეულთა (sic) დედულმან დედამან ჩუენმან ნესტანდარეჯან და თანა-მეცხედრემან ჩუენმან დედუფალმან ანა, — რაოდენი ქება-მადლობა შევსწიროთ თქუენდა მომართ და ვითარი ქუელის-საქმე ვქმნეთ წინაშე ძისა თქუენისა! ჩუენდა-მომართ წყალობა (?) და წინამძღურობითა ძელისა ცხორებისათა აგარის ნათესავნი და მტერნი წინააღმდგომნი სამარადისოდ ლტოლვილ და უკუნქცეულ არიან (ჟიდრე) დღეინდელად დღედმდე. ხოლო ვინადგან არა დაუტეობს უფალი კუერთხსა ცოდვილთასა ნაწილსა ზედა მართალთასა, კულად (კუალად) მშუიდობა ყო ჩუენზედა და გუეგულვა და გუეგულსმოდგინა და რადმცა უკუილაგმა გონება ჩუენი სამსახურებელად სუეტისა ღთივ აღმართებულისა, კუართისა სამეუფოსა და მირონის ღ˜თ მყოფელისა! ვითა სამართლად გუმართებდა, ეგრეთ ჯერ ვიჩინეთ და ვიძიეთ გულსმოდგინებით, გუჯრითა ამით ჩუენცა დავამტკიცეთ, ვათარხნეთ და ვათავისუფლეთ ორნივე უდაბნონი გარეჯისანი დავითისაფლავისა (sic) მრავალთისა (sic) და დოდორქისანი, თქუენ წმიდასა საყდარსა დედაქალაქსა მცხეთასა... გარეჯისა სახლი მისითა შესავლითა, მამულებითა, სოფლებითა, შენითა და უშენითა, მთითა, ბარითა, რანიცა გარეჯისა უდაბნოთა სიგელნი და გუჯარნი ჰქუანან (sic) მათითა მზღურითა შეგუიწირავს და დაგუიმტკიცებია და გუითარხნებია ყოვლისა სათხოვარისაგან. ცოტასა ხანსა და ჟამთა ვითარებისაგან ჩუენისა დაჭირვებისათუის გაცემულად შეიქნა და ვითა არა ვარგი იყო და არცა რა ჩუენგან საქნელი იყო, ეგრე ვერავინ იკადროს ამისად შლად, ქცევად და გამოკუებად ვერა ჩუენ და ჩუენისა გუარისა კაცმან... ანუ დიდმან მემძლავრებან კაცმან, ანუ აზნაურმან და გლეხმან და ანუ მოსაქმემან ენითა ისაქმოს და მოციქულად შეიქნას, ანუ გულსა შემოუვიდეს ამისი მოშლა და მოსაქმეობა, — რისხავსმცა დაუსაბამო ღ˜თი.... დაიწერა გუჯარი ესე ჩუენი ქკ˜სა :რნიზ: (167—1479 წ.), ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა :გ: თუესა იენვარსა (sic) :კგ. კელითა იათორიძისა ვარსიძესითა, კარისა ჩუენისა მწიგნობრისათა", წარჩინებულის ხვეულით: „მეფესა ალექსანდრეს დამიმტკიცებია სახელითა ღ˜თისათა". მონა ღ˜თისა ალექსანდრე. ბეჭედზე გამოსახულია ჯვარი, გვირგვინი და ჭოროლი. ხოლო ამას ქვემო მე-XVIII საუკუნის ხელით წარწერილია:

„დოდოს უდაბნოს დავით გარეჯის ძღვენი უნდა მიერთმოდეს ქართველთ მეფეს და კახთ მეფეს :ქ: ექვსი ქვევრი თაფლი:. ქ. სამი ქვევრი კაპრის წნილი. ქ. სამი ცოცხი. ის ცოცხი ფარეშთ-უხუცესს უნდა ებაროს ნიადა. დიდილაზედ დორსა და სუზანზედ სამჯერ უნდა გადმოუსვამდეს. ორი მღდელმონაზონი უნდა გამოარჩიოს მამა, კარგნი მოწესენი და კარგნი მწიგნობარნი და კარგნი მოჟამნენი. ამათის კელით უნდა მიართონ ძღვენი. ყველიერის კვი-

რას და მარხვაში მონაზონები მეფის კარზედ უნდა იყვნენ. იმათ უნდა იწვესონ და მარხვის დღესასწაული იმათ აღასრულონ. აღდგომის დღეს ჟამი უნდა სწირონ და უთხოვლად წამოვიდენ, დიდს მამას იახლნენ. ახალს კვირიაკეს მართლ-მადიდებელ მეფეთ უნდა აღტვირთონ ჯორები და კარაულები მრავლის სანოვაგით და შესაწირავით და მოუძღვანონ დიდსა მამასა და წმიდათ კრებულთ:—

**1479** წ. იანვრის 24.—მცხეთის სიგელი, ხუცური ნუსხა № :ტკ:

„...ჩუ͠ჱნ... მეფეთ-მეფის გიორგის ძემან, მეფემან ალექსანდრე და პატრონმან დედოფალმან ნესტან-დარეჯან, დედამან ჩუენმან, და თანამეცხედრემან ჩუ͠ჱნმან დედოფალმან ანნა... მოგაკსენეთ (მცხეთას) ვეჟინისა პირთა სოფელი ახალშენი... კათალიკოზო დავით!.. ნუმცა დავიწყებულ ვიქმნებით ლოცვათა... შინა თქუ͠ჱნთა... დაიწერა ინდიკტიონსა მეფობისა ჩუ͠ჱნისასა სამსა (sic), ქკ͠ს :რჲზ: (sic). თ͠ა იანვარსა :კდ: კელითა კარისა ჩუ͠ჱნისა მწიგნობრისა იათორისძისა ვარსიმესითა... ჩუ͠ჱნი სიმაგრე პანკისის ციხე არ გაგჳცემია... ჩუ͠ჱნთჳს სათავისთავოდ და საავეჯანდეედ მოცემული მოგჳკსენებია“.

**1479** წ. ქკ͠ს :რჲზ: კოსტანტინე მეფემ ტფილისი, გორი და ქართლი დაიჭირა;—კ͠დ იმერეთი დაიჭირა (კახ. ქრ. შეადარე გუჯარი 1491 წ. ქვეშე).

**1481** წ.—ქკ͠ს :რჲთ: მეფე კოსტანტინე ჯავახეთს მიუხდა; და დადიანი თან ახლდა; მანუჩარ ათაბაგზედ გაემარჯვა (კახ. ქრ.).

— ამავე დროებს (1475—1487) უნდა ეკუთვნოდეს ეკ. მუზ. მე-X საუკ. ხელნაწერის (№ 144) არშიაზე წარწერა, მე-XV საუკუნის მდარე ხუცურ ხელით მინაწერი. წარწერაში მოხსენებულია მეფისგან ათაბაგის დამარცხება, რომელიც უნდა იყოს ანუ ზემო აღნუსხული 1481 წ. და ანუ ალექსანდრე I-ისგან ივანე ათაბაგის დამარცხება 1414 წ. (ზემო გვ. 221). ამ ომში მომკვდარა „პატრონი ამირინდო“, რომელიც უცნობია. ამირინდო ამილახვარი სცხოვრობდა ბაგრატ დიდის დროს და ცოცხალი იქნებოდა ალექსანდრეს მეფობაშიც (იხ. ზემო გვ. 205—6). მაგრამ შინაარსიდამ სჩანს, რომ ამირინდო არის სამცხელი, კაკასიძის ოჯახის დაახლოვებული, ტაო-არტანუჯელი.

„ქ. ცხოვრება: ჩ͠ნი: ესრეთ: იყო: ვიყვენით ჩ͠ნ კავკასისძისა სახლსა შინა პატრონნი ამირინდო: მისი მეუღლე ნესტარჯან: მოვიდა რისხვა ღვთისა დიდ საქართველოდამ (დიდ-საქართველოდ ქართლის სამეფოს უწოდს; „მცირე საქართველო“ იქნებოდა სამეფო იმერეთისა.) და წაიკიდნეს მეფე და ათაბაგი; შეიბნეს. მოიწია რისხვა სამცხედ და გაუმარჯდა მეფესა. მოიწია რისხვა ღვთისა ჩემზედა: მუნ აღესრულა ქმარი იგი ჩემი :კვ: წლისა და მე ვიყავ :ით: წლისა, არა მედგა ვაჟი, არამედ სამნი ასულნი: სიყვარულით მისით და ქრისტეს ღვთისა ჩემისათ დაუტევე სოფელი და მონაზონ ვიქმენ....“ (შენდობას ითხოვს).

**1482 წ.**—ქკ~ს :რო: მოკუდა ვამიყ და დაჯდა ძე შამადავლე დადიანისა ლიპარიტ დადიანად (დადიანთ ქრონიკა).

— ქ~კს :რო: მოკუდა ვამიყ დადიანი; დაჯდა ძე შამადავლესი ლიპარიტ (კახ. ქრ.).

**1483 წ.**—ქკ~ს :როა: აქა მეფე კოსტანტინე და ყუარყუარე არადეთს შეიბნეს; ყუარყუარეს გაემარჯუა (ჩხეიძის ქრ.).

— ქკ~ს :როა: აქა მეფე კ~ე და ყუარყუარე არადეთ შეიბნეს; ყუარყუარეს გაემარჯვა (იგორთის მილისპირი).

ქკ~ს :როა: თვესა აგვისტოსა :იგ: მეფე კოსტანტინე და ათაბაგი ყუარყუარე შეიბნეს არადეთს და ათაბაგს გაემარჯვა. (Chron. G. p. 3).

— ქკ~ს :როა: მეფე კოსტანტინე და ყვარყვარე შეიბნენ; ყვარყვარეს გაემარჯვა;—და მოკუდა გურიელი კახაბერ; დაჯდა გიორგი, ძე მისი. (კახ. ქრონიკა).

**1483—1490 წ.**—ამ წლის ახლო დროებში უნდა იყოს მიცემული სიგელი ანუ წერილი, რომლის ხუცური ნუსხა მე-XVII საუკუნისა იპოვება მცხეთის ნუსხებში № :ტოჶ: წერილს თავი აკლია, მაგრამ შინაარსიდამ სჩანს, რომ იგი მოწერილია მცხეთის კათალიკოზთან, რომელსაც მიმწერი აუკედრას, რომ ჩვენგან საკურთხეველად გაგზავნილს ეპისკოპოზებს „მ ე ფ ი ს ე რ თ გ უ ლ ო ბ ა ზ ე ა ფ ი ც ე ბ ე ნ ო“ და ეს „უწესოება“ ამას იქით ნუ იქნებაო, „ეს უჯეროა საქმე არსით (ე. ი. არც თქვენის მხრით და არც ჩვენგან) ნუ იქმნებისო“.—ამ სათუმელის ძალით ჩვენ გვგონია, რომ წერილი ეკუთვნის რომელსამე ათაბაგს, რომელნიც „მეფეს“ ემტერებოდენ და „მეფის ერთგულებაზე“ სამცხელ ეპისკოპოსთა დაფიცება „უჯეროდ“ და „უწესოდ“ მიაჩნდათ. კახთა მეფეებსაც შეეძლოთ იმისი თქმა, მაგრამ მაშინ იგინი ვერ იტყოდნენ: „მეფის ერთგულობაზე აფიცებთო“; ამის მაგიერ იმათ უნდა ეთქვათ: „ქ ა რ თ ლ ი ს მ ე ფ ი ს ერთგულობაზე აფიცებთო“, რადგან კახთა მეპატრონენიც მ ე ფ ე დ უწოდდენ თავისს თავს (შეადარე ზემო გვ. 267—9).

„- - - რაც მაგათის კალოლიკე საყდრისა წესი ყოფილიყოს ჩუჱნის სახლისაგან ყუელა მოგკხსენებია. აგრე მათგან მოველით რაც ჩუჱნს სახლსა მაგათგან სჭირვებოდეს, ეგენი ნუ დაგუაკლებენ. ამასაცა ვიკადრებთ, სჯულისა გარდამავალი საქმე და წ~თა კრებათაგან განგდებული ნუღარამცა იკადრების. ქრთამით კელთ დასხმა ანუ ეპისკ~პზისა და ანუ ხუცეს-დიაკონთა.—ნუცა ეგენილა იკადრებენ და ნუცა მაგათი კელთქუჱშეთი ეფისკოპოზი, ნუცა მანდითი, ნუცა აქათი; ყოველივე ღთივშუჱნიერად და სჯულისაებრ განაგონ. ესეცა გუჱსმა, თუ ვინცა ჩუჱნი ეფ~სკზი მაგათ წინა საკურთხეველად მოვა, მაგათი (ე. ი. კათალიკოზის) და მეფის (ე. ი. ქართლის მეფის) ერთგულობაზედ აფიცებენო, მაგათ უკეთ იციან: ნაფიცარი არც ეფ~სკპოზი შეიწყნარების და არც

ხუცესი; და ნურც ჩუენ გვიზმენ, უწესო რამე საქმე შემოიღონ. ჩუენ არა ამის მოკსენებას ღირს ვართ; მაგრამ ეს გვინდა, უჯერო საქმე არსითა იქმნას".

**1484** წ. ხუცურად ჩაწერილი აღაპი სამების „სულთა მატიანსა", გვ. 32 (მატიანე დაწერილია ტყავზე: იხ. 1439 წ.).

„ჳქა ძე გ˜ა (გიორგი) მეფეთ-მეფისაჲ ვახტანგ მეფედ იქმნა შეწევნითა წ˜ისა სამებისაჲთა. ქორონიკონი იყო :ႰႢႨႡ:—(რჲიბ) დღეგრძელობით და კურთხევით ამყოფე წ˜ო სამებაო ამინ და უ˜კე. ა˜ნ:—სოფელი შემოგწირა ქუაბი. ვინცა გამოსწიროს ანუ მეფემან, ანუ სხუამან მებატონემან, რისხავს-მცა წ˜ა სამებაჲ ერთარსებაჲ; კრულმცა არს სული მისი, ნესტორ და ორი-გენისთანამცა დაისჯების. დამამტკიცებელნი ღ˜ნ აკურთხნეს ა˜ნ".

ეს წარწერა მეტად უცხოს და ახალს ცნობებს იძლევა, ძნელ გასარკვევს და გამოსაცნობს. ქ-ცხბაში 1484 წელს ვახტანგი სრულიად არა სჩანს მეფედ და არც ის არის ცნობილი, ვითომ გიორგი-მეფეს ყოლოდეს შვილი ვახტანგი. ყველა სიგელ-გუჯრებში ცნობილია მისი შვილი ალექსანდრე და სხვანი არა. ვახტანგ IV, ალექსანდრეს ძე, მოკვდა 1447 წ. და მის შემდეგ ქართლ-კახეთში ამ სახელ-წოდების მეფე არ იჯდა 1658 წლამდი.

ჩვენის აზრით ჩვენს საბუთებში მოხსენებული ვახტანგ უნდა იყოს ის ვახ-ტანგ, რომელიც მოხსენებულია „შედეგში ქ-ცხბისა" (ქ-ცხ. II, 259) და რომე-ლიც უარ ჰყო ბროსსემ (Annal p. 260): აი რა სწერია ამ „შედეგში": „მიიცვა-ლა ძე მეფისა ალექსანდრესი მეფე გიორგი კახთა (1477 წ.) და დაჯდა მის-წილ ძე მისი ვახტანგ". სწორედ ეს ბროსსესაგან უარ-ყოფილი ვახტანგ გამეფე-ბულა ქართლშიც ანუ არაგვის ხეობაში მაინც 1484 წ., და თუ ეს ცნობა ჩვენს მატიანეში არ იპოვება, ეს ახალი და ცხადი საბუთია მატიანის ნაკლულევანებათა.— ვახტანგის მამა ყოფილა ალექსანდრე, რომელიც ქ-ცხბაში არ სჩანს და ჩვენ კი ზე-მო აღვნიშნეთ (გვ.).

**1484** წ.—დასაბამითგან :ხფნვ: (ე. ი. 6556—5604=952+532=1484 წ.) .ქკ˜ს :რობ: აქა თემურ გამოვიდა; დიმიშტი აოკრა."—ეს ცნობა ტექსტის ხელით მაგრამ მომწვრილოდ მიწერილია „აფსაზთა ქრონიკაში".

ამ დროს ქ-ცხბაში აღნუსხულია იაყუბ-ყაენის შემოსევა; იქნება თემურ იყოს იაყუბ ყაენი. თიმურ ანუ თამერლანი არ შეიძლება იგულისხმებოდეს, რადგან ქკ˜ნი :რობ: ასის წლით დაშორებულია თიმურსა. (შეადარე ზემო 1463 წ. ქვეშე).

**1484** წ.—ქკ˜ს :რობ: აქა მეფედ დაჯდა ალექსანდრე და ქუთათისი აღი-ლო (ჩხეიძის ქრ.).

— ქკ˜ს :რობ: ალექსანდრე, ძემან ბაგრატ მეფისამან, ქუთათისი აღილო და დასჯდა მეფედ (ვახ. ქრ.).

რადგან 1495 წელს ყოფილა მე-12 წელი ალექსანდრეს მეფობისა, ამის-გა-

მო ბაგრატის სიკვდილი და ალექსანდრეს გამეფება, წინააღმდეგ არსებულთა ცნობათა, უნდა ყოფილიყო 1483 ანუ 1484 წ., რაიცა ეთანხმება ჟურჟულის გუჯარს, სადაც ბაგრატ II ცოცხლად სჩანს 1482 წ. (იხ. ზემო გვ. 278—280 და 1495 წლის ქვეშე).

**1485** წ.—ქკ͠ს :როგ: აქა ყაენი მოვიდა, სამცხე ამოწყვდა, ახალციხე აიღეს და აწყვერისა ღ͠თისმშობელი დაატყუჳვეს (იგორთის მიღასჳირი № 6).

— ქკ͠ს :როგ: აქა ყაენი მო[ვ]იდა, სამცხე ამოსწყვიდეს; [ახ]ალციხე [ა]იღეს და აწყ[ვე]რისა ღ͠თისმშობელი დაა[ტყვე]ვეს (ეკ. მუზ. კინკლოსი № 85).

— ქკ͠ს :როგ: ყეენმან სამცხე ამოსწყვიტა (კრება ლექსთა).

— ქკ͠ს :როგ: აქა ყაენი მოვიდა, სამცხე ამოსწყვიდა, ახალციხე აღიღეს და აწყურის ღ͠თის მშობელი დაატყუჳ(ვე)ს (წ͠ა ნიკოლოზის ქრონიკა და გსრეთივე ცნობა ჩხეიძის ქრ.).

— :როგ: [აქ]ა ყაენი მოვიდა; სამცხე ამოწყვიდეს, [ა]ხალციხე [ა]იღეს და აწყურისა ღ͠თისმშობელი დაა[ტყვევე]ს] (ყამნი № 2 და Chron. Gé. p. 3.).

— ქკ͠ს :როგ: აქა ყაენი მოვიდა და სამცხე ამოსწყვიდა; ახალციხე და აწყვერი აიღეს და აწყვერისა ღ͠თისმშობელი დაატყვევეს (ვანჩაეთის გულანი).

**1486** წ.—დასაბამითგან :ხფნჳ: (6558 − 5604=954+532=1486 წ.) ქკ͠ს :როგ: (175+780+532=1487 წ.) აქა ქართველთა მეფე[მან გა]ილაშქრა [თა]ვრეჷს [და თე]მურ ა[ღ]ტ[ა] - - (აფხაზთა მეფეთ ქრონიკა).

ეს დაზიანებული წარწერა, როგორც ზემო მოყვანილიც (იხ. 1484 წლის ქვეშე) თემურს მოიხსენიებს, რომელიც უნდა იყოს იაკუბ ხანი, რადგან ჩვენ არ ვიცით თემურ შაჰი, გარდა თიმურისა ანუ თამერლანისა, რომელიც ასის წლის წინეთ სცხოვრობდა. ბოლო ფრასა ამბობს: „თემურ(მან ქართველთ მეფე) აოტაო", რომელიც შეიძლება გავიგოთ წინა-უკმოც: ე. ი. მეფისგან თემურის დამარცხებად (შეადარე ზემო 1463; 1484 წ. და ქვემო 1486 წ).

**1486** წ.—ქკ͠ს :როღ: იაყუფ ყაენი მოვიდა; ახალციხე და აწყვერი აღილო; ტყვე ჰყო და მოსწყვიდნა. აწყურიდამ გაუსია სპანი ქართლს და ღბანის (ღბანისის) კევში ბარათიანთ მოსწყვიდნეს. აწყურის ღ͠თისმშობელი მანუჩარ ათაბაგმან დაიხსნა ვეცხლით სეკდემბერსა :კე: (ვახ. ქრ.).

— ქ͠ს :როღ: იალუბ ყაენი მოვიდა; ახალციხე და აწყვერი აილო და აწყვერის ღ͠თისმშობელი დატყუ(ე)ვდა სეკდემბერს :კე: ბატონმან მანუჩარ დაიხსნა (Chron. G. p. 3).

**1487** წ. ქკ͠ს :როე: კოსტანტინე მეფემან იმერეთი დაიპყრა;—მოკუდა ათაბაგი მანუჩარ; დაჯდა ყვარყვარე, ძე ალბუღასი (ვახუშტის ქრონიკა.—ყვარყვარე იყო ძმა ბაადურისა: იხ. ზემო გვ. 298—9.

**1487 წ.**—ტყავის გუჯარი, მეხრანიდამ მოტანილი მღ. ჰ. კარბელაშვილისაგან, მხედრულად მდარე ხელით დაწერილი:

„- - - წყალობითა: ღ̃თისათა: შეწევნითა: - - - - | ჩუენ: იესიან: დავითიან-სოლომონიან: - - | ღ̃თივ: გვრგვნოსანმან: და ღვთისაგან შეწყალებულმან | პატივ: ცემულმან: მეფეთა: მეფემან: კოსტანტინე: და: თ[ანამ]ეცხედრემან: ჩუენ: მან: დედოფალთა: დედოფალმან: თამ:რ: და: ძეთა: ჩ[უენთა] | პირმშომან: დაკით: გ̃გი (გიორგი): და: ბაგრატ: ესე: წყალობის: მტკიცე: და შეუცვალებელი სამკვდრო და საბოლოო [წიგნი და სიგელი] დაგიწერეთ და გიბოძეთ თქუენ ჩუენსა დიდად ერთგულსა და თავდადებით მრავალ-ფერად ნამსახურსა, ჩუენსა თანა-შეზრდილ-გაზრდილსა და ჩუენისა მორჭუმისა და ამაოდ ყოფისათუის მრავალ-ფერად მეცადე-მოჭირნესა, ქავთარისძეს საღვნის მოლარესა ახალციხელსა და თქუენთა ძმათა თორელსა, ეშიმასა, შვილთა თქუენთა: ლიპარიტს, მირიანს, დავითს, სურხანს, ტარიელს; გაკმაროს ღ̃ნ ჩუენსა ერთგუ[ლობასა] შვილის შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენისათა ყოველთავე მას ჟამსა, ოდეს მირიანისძე დაბოლოვდა და უმკვდრო იქმნა და თქუენ დიდი სამსახური და ერთგულობა გამოაჩინეთ ჩუენზედა და ჩუენსა შვილსა უფლოს იასლენით. და მისად შედეგად ესე წყალობა გიყავით, დაგსუით მირიანისძის მამულზედან და დაგიმკუიდრეთ და გიბოძეთ შორის ციხე, ღომარეთის საყდარი წითელდემდი (?), ქუენას-ფლასი მისითა მზღურითა და ბოლოთარიეთი მისითა შესავლითა, მთითა, ბარითა *) სვიავრას (?) კოშკს უკანამდისი ნაციხვარი(თა?) ეკლესიითა, გლეხითა და სვანურითა (საყანურითა?) და ერთი ვენაკი სკრას ჰქონებითა მითა თეთრაული რომე ჰქუიან, ოლოზი მისითა საყდრითა და ექუსითა საგლეხოთა, კიოთას (კოთას თუ კოლას?) ერთი საგლეხო მისითა ეკლესიითა. ესე მამულნი ყუელა მირიანისძესა ჰქონდა და რაცა მას ჰქონია, იგი უკლებად თქუენთჳს გუიბოძებია მისითა ეკლესიითა, სასაფლაოთა, სასახლითა, ჴურ-მარნითა, ველითა, ვენაკითა, წყლითა, წისქუილითა, ჭალითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, მთითა, ბარითა, შესავალ-გამოსავლითა, საძებრითა და უძებრითა და მისითა სამართლიანითა, ერთობ ყუელათა, გქონდეს თქუენ... ქავთარისძეს საღვნის მოლარესა ახალციხელსა... (და სხვა: განმეორებულია)... პელგეწიფების გასყიდად, გაზითვებად, თანა-შეტანად, შეწირვად და რითაც ფერად გინდა. კიდეც გუითარხნებია, რომე არა სამუშაო და არა სათხოვარი არაფერი არა ეთხოვებოდეს. გქონდეს ჩუენს ერთგულად სამსახურსა შიგა... დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ინლკლონსა (ინდიკტიონსა) მეფობისა ჩუე-

*) აქ ჩამატებულია მეორე ვარიანტით (ტყავისავე გუჯრით): „ქაშუეთი მისითა საყდრითა, მისითა სამძღურითა, საყოსისა კლდესა მოტანებით ღალოათამდისინ; საყდარი გალისა, ღომარეთი, საყდარი და ნასოფლარი, სუთსაბი, ბორის (შორის?) ციხე და კარცხილკანა სუიაკარას კოშკს უკანამდისინ, ნაცისკარა ეკლესიითა და ერთითა გლეხითა და საყანურითა, ოლოზი...

ნისა მეათესა, ქ~კს :როე: (1487 წ.); კელითა მდივნისა ჩუენისა თუმანიშვილის ზაქარიასითა. (ხკეულად ამტკიცებს მეფე). ურდოს გაგზავნაზე იხ. 1488 წ. ქვემე.

**1488 წ.** — ტყავზე მხედრულად ნაწერი მცხეთის სიგელი № 130: მეფე „საკანონოდ“ მცხეთას შეწირულებას უძღვნის, რადგან „უსჯულო“ ბარათაშვილის ქალი შეურთავს. „უსჯულობა“ აქ მხოლოდ იმას უნდა ჰნიშნავდეს, რომ მეფეს მეფის ქალი უნდა შეერთო და არა თჳსის ქვეშევრდომისა.

„ქ. ჩუენ... განმაერთებელმან ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისამან (სრული მეფური წოდებულება) მეფეთ-მეფემან კოსტანტინე და პირმშომან ძემან ჩუენმან მეფემან (sic) პატრონმან დავით, გ~ი და ბაგრატ... აგარისა ნათესავნი, მტერნი და წინააღმდგომნი სამარადისოდ ლტოლვილ და უკუნქცეულ არიან... ახლად გუჯრითა ამით დავამტკიცეთ, ვათარხნეთ და ვათავისუფლეთ... საცა... მცხეთისა... მამულნი არიან, არა ეთხოებოდეს რა... არა სათათრო ულუფა, არა წურილი საწერი, მუდამი ულუფა ,არა მეჯინიბეთა, არა ბაზიერთა, არა ახორსალართა, არა მეძაღლეთა (არა ულაყი, სამზარეულო, შეშისა მზიდავნი)... ამას გარეთ ჩუენთაიცა ცოდვათა სიმრავლისა და სოფლისა ვითარებისაგან ცოდვისა საქმესა შეესწრა ჩუენი შვილი დავით და უხვედრი ბარათაშვილისა ასული შეირთო. თქუენ პატრონი კ~ზი ეკაგრი... რჯულისა წესითა გამოგუენახენით... (საკანონოდ) ოთხი ხატი მოვჭედეთ და ოთხი კანდელი დავკიდეთ (ე. ი. ოთხი კაცის შესწირეს ქალაქში); ასრე რომე თუ რამე საყდრისა ანუ ქ~კზისა სავაჭროსა აიღებდეს, მისი ბაჟი არა ეთხოებოდეს (ამ ყმებს)... მამული თელოვანი... მცხეთის მამულსა და სახლსა მალი არაოდეს ეთხოებოდეს და ცხურისა საბალახისა... დაიწერა ინდიკტიონსა მეფობისა ჩ~ნისასა მეათესა, ქ~კს :როვ: კელისა კარისა ჩ~ნისა მდივან-მწიგნობრისა ფახრიშვილისა ანდრონიკესითა“. ხკეულად ამტკიცებენ მეფე და სხვანი.

**1488 წ.** — სიგელი ქვათახევისა № 6, მხედრულად ნაწერი: ამ გუჯარში მოხსენებული „დედოფალი გულშარ“ ისტორიაში უცნობია. შეიძლება იგი იყოს ცოლი ალექსანდრე-მეფის ძის დიმიტრისა გულქან, რომლის სიკვდილი ზემო დაბეჭდილ ქრონიკებით აღნუსხულია 1471 წ. (Hist. de la G. I, 684; 626).

„.....მე, მსასოებელმან ძისა შენისამან (ქვათახევის ღ~თისმშობელზე იტყვის)... დედოფალმან გულშარ... ერთი დღე საუკუნო აღაპი გავიჩინე... ასე და ამა წესითა, რომე შიდარს ავგაროზისძესა ანდრიაშვილსა გრიგოლს და მისთა შვილთა ჩემი ნაღუაწი თოთხმეტი ათასი თეთრი მივეც და მათ მათითა ნებითა და წადილითა საუკუნო აღაპი გამიჩინეს ნოემბერს :კე:.... ვიდრემდის ქვათაკევსა ტაძარი ეგოს... დაიწერა.. ქ~ს :რავ: კელითა მცხეთის გადაგისა მახარებლისათა“. — ბოლოს ჯვრები ასხედს † † † ბოლო-წარწერაში გვამცნებს: ვისაც ის მამული (?) ჰქონდეს, მან გადიკადოსო აღაპი.

**1488 წ.**—ქ~ს :როვ: იაკუფ ყაენმან წარმოავლინა სპანი; მოვიდნენ. იწყეს შენება ალჯაყალისა და ქაოზიანისა (ვახტ. ქრ.).

**1489 წ.**—ქ~სა :როზ: აქა ახალციხეს თათარნი მოვიდეს,—და - - - ღსა ალექსანდრე ქუთათისი აღიღო - - - (ჟამნი № 2).

— ქ~ს :როზ: ალექსანდრე მეფემ იმერეთი დაიპირა, ქუთაისი აღიღო (ვახ. ქრ.).

— ქ~ს :როზ: ახალციხეს თათარნი მოვიდენ. ამასვე წელიწადსა ალექსანდრემ ქუთათისი აიღო, ძემან ბაგრატისამან (Chron. G. p. 3).

**1490 წ.**—ქ~სა :როჱ: აქა დედის-იმედი მიიცუალა:. ათაბაკი:. (წ. გ № 252 იხ. 1491 წ.).

**1490 წ.**—წარმოავლინა კვალად ყაენმან სპანი და მოადგნენ ტფილისს ბარათიანთ მოსწყვიტნეს (ვას. ქრ.).

**1491 წ.**—ქ~ს :როთ: მოკუდა სამცხეს დედის-იმედი წლისა :ნდ: დეკემბერს :იჱ: (ვახ. ქრ.).

— ქ~ს :როთ: ბატონი დედის-იმედი მიიცვალა წლისა :ნდ: დეკემბერს :იე: (Chr. G.).

**1491 წ.**—ჩვენ ხელშა გვაქვს იმერეთიდამ ჩამოტანილი ორი პირი ძველი „მთის წ~ა გიორგის" გუჯრისა, რომლის ასლი ვერ ვიპოვნეთ. ბროსსეს, ვგონებ, ამისი პირი ჰქონია (Hist. G. II, 644). ორავე პირი მეტად დამახინჯებულია. ჩვენ ოდნავ შემოკლებით ვბეჭდავთ.

პირველი შემწირველი, მეფე ბაგრატ-ელენე, უნდა იყოს ბაგრატ II († 1478 ანუ 1483 წ. იხ. ზემო გვ. 303—4). შემდეგ ეს დაუმტკიცებია ალექსანდრე II-ს (1483—1510). ხოლო ბოლოს ხელის მომწერი და შემწირველი მეფე კოსტანტინე-თამარ და ძენი მათნი: დ~თ, გიორგი და ბაგრატ არიან ცნობილნი—ქართლის მეფე კონსტანტინე (1478-1505) და მისი ოჯახობა. კოსტანტინემ 1487 წელს იმერეთ დაიპყრო და თუმცა იმერთა მეფე ალექსამდრემ დაიბრუნაო იმერეთი 1486 წ., მაგრამ ეს გუჯარი გვიმტკიცებს, რომ 1491 წელსაც კონსტანტინეს უფლება არ დაკარგვია იმერეთში. აქ გადამწერს ალბათ მეტად დაუმახინჯებია ეს ალაგი.

„თქუენ წ~ო გ~ი მთის მთავარ მოწამეო! რა გვარათაც დავით აღმაშენებელისა და ძისა მისისა დიმიტრისაგან შემოწირული ყოფილიყო და ისევე ჩ~ნ მეფეთ მეფემან... პირმშომან ბაგრატ და თანამეცხედრემან ჩ~ნმან დედოფალთ დედოფალმან ელენე და ძეთა ჩ~ნთა გ~ი და ალექსანდრე... ვიგულსმოდგინეთ და კელვყავით ახლად აღშენებად და შემკობად ტაძრისა შენისა და გარდავხურეთ ზევით ტყვიითა და სპილენძითა და მოვაჭედინეთ ხატი წ~სა გიორ-

გისანი და წ҃ისა - - - და სხუანი ძველნი ბონგნი ხატნი გაუახლენით და შეუკაზმენით, კარნი აუბით და მოუჭედენით და კლიტენი მოუწყვენი და დაუმაგრეთ და ახლათ დაუმტკიცეთ და შემოვწირეთ მამულნი და გლეხნი: სახადს აგარა მათითა სახლ-კარითა, სასაფლაოთა, ველითა... (ჩვეულებრივი ჩამოთვლა), ვითა ძველთაგან მთისა მთავარ-მოწამისა იყო... ახლად შემოგწირე და დაგიმკვიდრეთ და კავით (?) (მეორე ვარიანტით „ვაკელთ") სამარხისა და შესავლისა (?) შუა წყალსა გამოღმა და გაღმა და საეწალესა აქით, ასრე რომე, თუ არა მეფემან და მეპატრონემან, ვერავინ იკადროს ნადირობად ქალათა და ვერცა სათიბთა... და ვერცა წყლის და თევზთა ნადირობა. ასე მკვიდრათ და ბაუს (?) მსხდომნი (გლეხნი) სამნი: სულაძე, გუნცაძე და ფაქილტიძენი მათითა სამზღურითა... უსარჩლელად დაგვიმტკიცებია.... თხომრიკი ძველთაგან ყოფილიყო მისითა მიმდგომითა სამზღურითა სამართლიანითა; ძმური... (?) მისითა მიმდგომითა სამზღვრითა სამართლიანითა. კაციეთსა (?) მსხდომნი შუბლაძენი და ზაქარაძენი მათითა მიმდგომითა სამზღურითა სამართლიანითა და შემოგწირეთ კაცთას (კაციეთს?) ადგილი ს҃დ ზენათშუა ველთის მინდორსა აქეთ და რომ მუთკია (?) ჭალეთ აქათა: ამა საზღურებს შუა შემომიწირავს ყ҃ლს კაცისაგან უცილებლად, წყონარს მათათა-შვილები და ჭლივაძენი და პგარა (?) რომე სასახლ҃ედ იქმნება, მე ბართლომე მას აქათ მიმოდა (?) გლეხნი ჭაშლათისა ჭუნჭულაძენი, ქიშმეიძენი მათითა მიდგომითა სამართლიანითა ასე და ამა პირსა ზ҃ა, რომე ინასარიძეთა გვარმან ამას ზ҃ა არა საქმე არ ქონდეს. გიბ҃თს არაძენი ს҃დ მათითა წყლითა, წისქვილითა, მარნითა, ტყითა და ველითა მხვედრი და როგორათაც პირველთა ამა პირსა ზედან სურამი ვისი გინდა იყოს მე ბართლომეს მეტს კაცს კელი არა აქვს... (წყევა-კრულვა კინც შეშალოსო)... და თუ ვინმე ავაზაკმა კაცმან... მის მთავარ-მოწამის ხატი კელყოს გატეხად, მისი საკსარი არა იქნების: ძელსა აცვან. მას აქეთ ვინც შესცოდოს ან ჯოგი წაუსხას და ანუ მოიპაროს, მისი შემოექცეს და საუპატიო კაცი გაემარტონ - - - საუპატიოდ მისდა შეცოდებისა წ҃ისა შეცოდება იქმნება ორი ათასი თეთრი დაუურვოს. ვისაც წ҃ის გ҃ის მამულისშვილი შეაკუდეს, გინდა უზედაესსა და გინდა უქვედაესსა, ეს ჩ҃ნგან გაჩენილი აბჯრიან გაზრილანსა (?) ას სამოცი (ათასი?) თეთრი დაეურვოს; სანახშიროდ ორი ათასი თეთრი დაეურვოს ჭ ამასქვეშემან ასი ათასი თეთრი სისხლი დაკარგოს (დაურვოს?) და სანახშიროდ ათასი თეთრი გერში; და თუ ცოლისა წახდენა და წაღება და ქალისა დაგდება ვინცა ყოს, ამან სიგელმან ?) და მონასტერმან სამართლიანითა ასი ათასი თეთრი დაურიგოს... (წყევა გმელი მშლელთა ზედა).

ქ. „ჩვენ მეფეთმეფემან ალექსანდრე და თანამეცხედრემან ჩ҃ნმა დედოფალთ დედოფალმა თამარ და ძემან ბაგრატ, ვახტანგ... რაც ამას ზემო სიმაგრე აწერიან ჩ҃ნცა ამის გამთავებელნი ვართ...

ქ. „ნებითა ღ҃ისათა ჩ҃ნ მეფეთ მეფემან კოსტანტინე და თანა-მეცხედრემან ჩ҃ნმან... თ ა მ ა რ და ძეთა ჩ҃ნთა პირმშომან დავით, გიორგი და ბაგრატ

ესე... უცილებელი წიგნი მოგაკსენე თქუენ მთისა მთავარ-მოწამესა წ~ას გ~ის მას ჟამსა, ოდეს მოკითხულ ვქმენი და ძველთაგან... გამოდ - - - არა გვაპირვებდა იგი ახლად ჩ~ნცა... ამოგიგდეთ. ასე და ამა პირსა ზ~ა: გიორგობას დღესა ორითა ხუცითა, ორითა ცხვრითა, თქუენით პურ-ღვინითა აღაპს გარდამიკდიდეთ ნებითა ღთისათა ჩ~ნდა სადღეგრძელოდ... დაიწერა ნიშანი ესე ქორონიკონსა :როთ: თვესა აგვისტოსა :კ: კელითა კარისა ჩ~ნის მწიგნობრისა მუშრიბის და მესტუმ[რ ის] თავაქალაშვილის სადათერისათა.

**1492 წ.**—ქ~კს :რპ: მოკუდა კახთ მეფე გიორგი და დაჯდა ალექსანდრე, ძე მისი (კას. ქრ.).

ამ ალექსანდრესგან მოჭედილი ხატი იხ. თელავის საკრებულო ტაძარში წარწერით: „ქ. ი~ო ქ~ე, ძეო ღვთისაო, მცველ და მფარველ გვექმენ ორთავე შინა ცხოვრებასა ჩ~ნ მეფესა ალექსანდრეს და მეცხედრესა ჩუÜნსა დედოფალსა თინათინს, რომელმან მოვაჭედინე ხატი ესე მაცხოვრისა“... (ნ. ჟბ, წ. № 2, გვ. 3). მეფის ალექსანდრეს და დედოფლის თინათინისგან მოჭედილი ძველი, დიდის ხელოვნების ხატი იოანე ნათლისმცემლისა, ალექსანდრე მეფის დროსვე გომბორში ნაპოვნი, დაცულია საეკ. მუზეუმში.

**1492 წ.** ქვათახევის მონასტრის ტყავზე მხედრულად ნაწერი სიგელი № 4.

„...სახელითა.... ესე... საალაპო წიგნი... მოგაკსენეთ ჩუენ ქულივისძეთა მათე და ჩემმან განაყოფმან ბადრიმან... თქუენ პატრონსა შაჰყუბათს... (ბარათაშვილს?) მას ჟამსა, ოდეს პატრონმან მეფემან კოსტანტინე ცხუარი მოგუაბარა და მისი ჯურემი (ჯურუმი?) შემოგუაგდო და ჩუენ თქუენ შემოგეხუეწენით და ავიღეთ საალაპე თქუენგან... და შეგიკუეთეთ ქვათაკევს ვლაქერნისა ღმთისმშობელსა... კარგაღებულსა აღაპსა გარდავიკდიდეთ... ნოემბერსა ოც-და ათსა ანდრიობასა დღესა პატრონისა სულკურთხეულისა დედისა თქუენისა ოსნაოზისთჳს... დაიწერა... ქკ~ს: :რპ: კელითა ქადაგიშვილისა გერმანესითა“ (შაჰყუბათ უნდა იყოს ბაყუბათ ბარათაშვილი, ცნობილი).

**1492 წ.**—კარგს ტყავზე წარჩინებულის მხედრულით ნაწერი სიგელი მცხეთისა № 480 (ნუსხანი :რდ: და :სკ:):

სახელითა: ღთისათა: მეფეთა: მეფისა კოსტანტინესაგან: და თანამეცხედრის ჩუენისა... თამარისგან და ძეთა ჩუენთა დავით, გ~ი და ბაგრატისაგან, ნებითა და შეწევნითა ღ~თისათა აფხაზთა... (სრული სამეფო წოდებულება) მპყრობელ-მქონებელმან... ესე... სიგელი... მოგაკსენეთ... ქ~კზს აბრაჰამს მას ჟამსა, ოდეს გარწმუნა ღ~ნ... და შეწირვად კელყავით, პირველად წისქუილი აღაშენეთ... და საზეთედ ეკლესიასა და ხატსა შესწირეთ და მერმე ვენაკი იყიდეთ იქვე მეტეხთა და იგიცა მასვე მონასტერსა და ხატსა შესწირეთ... ჩუენ დავხედენით და ვცანით, რომელ ჩუენსა სამკვიდრებელსა კათოლიკე-საყდარსა პატივად შემატებოდა და ჩუენისა მეფობისა წარსამართებელი და სამლოცვე-

ლო იყო. ამისთჳს ჩუენცა ვიგულვეთ... და შემოვსწირეთ... მეტეხთა ღთის-მშობელსა-.. თქუენი (აბრაამის) ნაღუაწნი და ნასყიდი (ეს მამული აბრაამს უყიდნია სახასო-გლეხთაგან და ამისგამო მეფისგან დამტკიცება საჭირო იყო)... და რა გუარცა თქუენ შეგიწირავს... (ჩვენც ისე შევსწირეთო) არა შეგეცვალოს... (ჩვეულებრივის ფორმით) დაიწერა... ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეათხუთმეტესა, ქ~კს :რპ: კელითა ივანიასძისა მცხეთის ქადაგისა მახარებელისათა". ბოლოს ხვეულად ამტკიცებს მეფე.

**1493** წ.—მცხეთის სიგელი, ნუსხა № :რპე:

„... ესე წიგნი... მოგაკსენეთ თქუენ ქ~კზს აბრაჰამს ჩუენ ბარათაშვილ-თა ბაყუბათ (შაყუბათ?), იარაღი, მერაბ, ლომმა... მას ჟამსა, ოდეს ჩუენი ძმა სულხან (ცნობილია ისტორიაში ქ-ცხ. II, გვ. 262, 264) შეუნდობელი იყო და ამ სოფლით მიიცვალა, თქუენ შენდობა უბრძანეთ... და საუპატიოდ დაგიდევით ქალაქს იაგანაშვილი დავითა. დიღუამს ნასყიდითა ვენაკითა.. ქ~კს :რპა:".

**1492—1499** წ. მცხეთის გუჯარი, ნუსხა № :ტკვ: აქ მოხსენებული აბალაკ კ~ზი სცხოვრობდა 1492—9, როდესაც დაწერილი უნდა იყოს სიგელი.

„ღვთივ გვრგვნოსნისა (კახთა) პატრონისა ალექსანდრეს ჟამშიგა მოვედ მე პატრონი ქ~კზი და თავადნი და აზნაურშვილნი თ~ა მიახლნეს და ღვთივ გვრგვნოსნისა სანატრელისა ღ~თ აღმაშენებლის მეფეთ-მეფისაგან შემოწირულს მზღუარზედა დავიფიცეთ თვთ მე კ~ზმან აბალაკმან და ს~დ ჩემთა საყდრისა შვილთა ჯიმითის სამზღუარი თავი სალოცავნი, ჩუმლაყის თავსა ჩავიარეთ და მივდევით კუნელამდი, ჩავიარეთ და მივდევით ძამაურაზედა, ჩავიარეთ და მივდევით წურს კევზედა, ჩავიარეთ და მივდევით გაწყუეტილასა... წნორაზედა... ჭიაბრის ეკლესიასთან იორამდის, (სადაცა) ღ~თ აღმაშენებლსა ეკლესია სამზღურად ჩაუდგამს... (მოწამენი ალავერდელი კირილე, დიდი სპგინა, ციციშვილი მ ე რ ა ბ და ზ ა ა ლ, მაყაშვილი ინდო და ზაალ... ბოჭორმის დეკანოზი, გიგაშვლი ბეშქენ... და ტიმოთე).

**1494** წ. ქკ~ს :რპბ: ათაბაგმან ყვარყვარემ შურ აგო შაქს; და ცეცხლის ჯვარზედ ქართველთა სძლო. (კახ. ქრ.).

**1495** წ.—ქკ~ს :რპგ: ალექსანდრე მეფეს უშვა თამარ-დედოფალმან ძე ბაგრატ და შემდგომად დავით (კახ. ქრ.).

**1495** წ. გელათის სიგელი ეტრატზე მხედრულად ნაწერი, მიცემული მე-12 წელს ალექსანდრეს მეფობისას, №№ 52 და 9865.

. . . . (გრძელი სათაური ადამისითგან...)..... ჩუენ ორისავე ტახტისა და სამეფოსა ძლითა ფლობით-მპყრობელმან მეფეთა მეფემან ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე და თანა მეცხედრემან... თ ა მ ა რ, შევსწირეთ და მოვაკსენეთ... ჩუენსა სუ-

ლისა და კორცისა შესავედრებელსა დიდსა და ცათა მობაძავსა, მეორესა იერუსალიმსა, მონასტერს გელათს, ტაძარსა ყ̃დ წდისა ღ̃ის-მშობლისა ჟორჟოლაძის დავითის ნაქონები მამული გლეხები შვენიერის ძე ორნი კომლნი მათითა მამულითა და ს̃დ მათითა ბეგარითა, ვაჩაბერაძე ერთი კომ̃ლი მისითა ბეგარითა, გორგასძე მისითა ბეგარითა, ჩიტაძენი ორი კომლი მისითა ბეგარითა. მოვახსენეთ ესე გლეხნი გელათსა, ტაძარსა წ̃ის ღი̃ს მშობელისას და გავიჩინეთ ჩნ̃ისა სულისა(თჳს) ამაღლებასა დღესა აღაპი კარგადღებული ერთითა კარითა და ერთითა ცხვარითა, ერთობით კრებულნი მამანი ს̃დ ჟამსა გვიწირავდენ სულისათჳს ჩუენისა და რაცა ღომი, ღუინო, სანთელი და საკმეველი მოუნდებოდეს, მით აღაპს გვიზამდენ; წინამძღურის კელით გარდაიკდებოდეს. ამა ექუსისა კაცისა ბეგარა უკლებლად წინამძღუარსა მიბარდებოდეს და იმა ბეგარისაგან ამა ჩუენსა გაჩენილსა აღაპსა იქმოდენ; ძმანიცა ს̃დ შეიყრებოდენ და ექუსი მღდელი და მოძღუართ-მოძღუარი ჟამსა გვიწირვიდენ. აგრევე ამას გარეთ ერთი კომ̃ლი კაცი გოლაძე ხუცესი, აქავე ჰულს ჟორჟოლაძის დავითის ნაქონები კიდევ შემოგვიწირავს, რომე ყოველთა დიდ-მარხვათა ჩუენისა სულისათჳს ჟამსა გვიწირვიდეს გოლაძე, სადამდის მისი ნათესი ხუცესი იყოს... და (თუ) ხუცესი აღარ იყოს, ამა(თი) სახლის კაცი ოცსა თეთრსა, ერთსა ცხვარსა, მისსა პურსა, ღუინოსა, ორსა ნაოთხალსა ღომსა, ორსა დოსა, (დოქსა?) ორსა ღუინოსა,—ამას გელათს მიიღებდეს ღვთისმშობლობასა დღესა. ჩ̃ნისა სულისათჳს სამსახურო პურის ჭმევა და ძღუენი წინამძღურისათჳს მიგვიბარებია. ესე ასე შემოგვიწირავს... ამიერ უკ̃ე გაგვითავდეს და არასოდეს მოგვეშალოს... დაიწერა... ინდიკტიონსა მეფობისა ჩ̃ნისასა მეათორმეტესა, ქორონიკონსა ას-ოთხმოც-და-სამსა კელითა ფ̃დ ცოდვილისა ფალავანდიშვილისა ფალავანდისათა.

**1495 წ.**— ქკ̃ს :რჟგ: (უნდა :რპგ:) ბაგრატ დაიბადა, ძე ალექსანდრესი, ფებერვალსა :კგ:" (Chron Gé.—ქკ̃ნი :რჟგ: ცხადი შეცდომაა, რადგან ქრონოლოგიურს რიგს ქრონიკისას არ ეთანხმება და ბროსსეც ამას ჰმოწმობს: Hist Géor. I, 642).

**1497 წ.**—ტყავზე მხედრულად კარგის ხელით ნაწერი სიგელი მცხეთისა № 479 და ნუსხა № :რიკ:

„ქ.... ჩუენ ქ̃ეს-მიერ კურთხეულმან ქკ̃ზმან აბრამ აბალაკმან ძუელითგან თამარის ჟამისათ დაქცეული საწისქუილო მოვიძიე და მე ახლად რუ გამოვიღე და ორი წისქუილი აღვაშენე... და შემოგწირე (მცხეთას და მეტეხთა ღ̃თის-მშობელს... ორი კანდელი დღისით და ღამით დაუვსებელად ენთებოდეს (მეტეხთა ღ̃თის-მშობლის წინ ჩემის სულის საქსრადო).... დაიწერა.... ქკ̃ს :რპე: კელით ფ̃დ ცოდვილისა აბრამისითა"... ბოლოს: „აბრამ აბალაკი ქკზ̃ი ვამტკიცებ". (შეადარე ზემო 1492 წ. ქვეშე, გვ. 309).

**1498 წ.**—ქკ̃ს :რპვ: აქა ათაბაგი პატრონი ყუარყუარე მიიცვალა (იგორთის ძილისპირი).

— ქკ̃ს :რპვ: აქა [ათაბაგი პატრონი] ყვ[არყვარე] მიიცვ[ალა] (ეკლესიის მუზ. ხელნაწერი № 85).

— ქკ̃ს :რპვ: აქა დიდი ყუარყუარე მიიცვალა (წ̃ა ნიკოლოზის ქრონიკა).

— ქკ̃ს :რპვ: აქა დიდი ყვარყვარე მიიცვალა :.ათაბაკი:. (წერა-კითხ· ხელნაწერი № 252).

— ქკ̃ს :რპვ: აქა დიდი ყუარყუარე მიიცვალა (ყანჩაეთის გულანი).

ამნაირად ყველა საუკეთესო ქრონიკები ყვარყვარეს სიკვდილს დასდებენ 1498 წ. და ამისგამო შესაწყნარებელი არ არის Chronipue Géorgiène-ის ცნობა, (გვ. 3), ვითომ ყვარყვარე მომკვდარიყოს (წლის :ჟბ: ქკ̃ს :რჟე: ივნისისა:ა: (1507 წ.) დედანში იქნებოდა :ქკ̃ს: რპე—1497 წ. და გადამწერს ალბათ დაუმახინჯებია), არც ბროსესი, რომელიც დასდებს 1507 ანუ 1500 წ. (Rap. XI, 43 Hist Geor. I, 639) და არცა ვახუშტისა—1502 წ. ჩვენს ქრონიკებს უმეტესად და საბოლოოდ ამტკიცებს ათონური ალაპი, სადაც მოხსენებულია: „...პატრონი ყუარყუარე... სიბერითა კეთილითა... მიიცვალა ქკ̃ს :რპვ:“ (ის. 1498 წ.). ეს ალაპი სრულად იბეჭდება ქვემო 1500 წლის ქვეშე).

**1498 წ.**—მცხეთის ხუცური XIII საუკ. ნუსხა № :სჲე.

„...ესე მონასყიდობისა წიგნი... მოგეცით თქუენ ჰერმეულს იესეს და შენსა ძმასა ავთანდილს და თქუენთა შვილთა გ̃ის და გრიგოლს ჩუენ გაბრიელისშვილთა: საამ, ი̃ე, ომარმან, გაბრიელ, გ̃ი, ნოსან... ასე რომე მოგყიდეთ გუბას მიწა (არაგუზედ) ჩუენი სამკვდრო, მოუდევარი... (მოწამენი: ელიოზისძე მამაგული, ბეშაშვილი ქსტატე. გოგაშვილი გულია, სტელაშვილი ოთლისა...) დაიწერა... ქკ̃ს :რპვ: ჴელითა ომფორის (sic) მოლარის გიორგისითა“.. (ჰარმაულნი იყვნენ მცხეთის აზნაურნი და მათი სახელი გადავიდა ზედ-სიძეობით გედევანისშვილებზედ; უკანასკნელნი იყვნენ წინეთ ელიოზის ძენი, გედევანისშვილთა საგვარეულო-გადმოცემით—ელიოზ ებრაელის შთამომავალნი).

**1498 წ.** სინოდ. კანტ. სიგელი ტყავზე ხუცურად ნაწერი №№ 10; 328.

Ⴕ. სახელითა... ესე წიგნი მოგეცით ჩ̃ნ პატრონმა ერისთავმან ქუენიფნეველმა, შვილთა ჩუენთა ლარგუელმან და შანშე და ძმათა მათთა ყოველთავე ამა პირსა ზედა, რომე დავსდევით მოძღურისა (გერმანესთჳს?) და დედაბრის (მარინესთჳს?) ალაპი, და დაგაყენეთ შენ სამადინისძე (bis) ზედამდგომელად, ასრე რომე პური, ღჳნო და ჴური ყოველთა (sic) შენ მოგებარებოდეს; შეჰამადი სამარხო და მარილი შენი დაიხარჯოდე (sic) და ორი ალაპი გარდაიკდებოდეს :ა: შაბათი უდაბნოს კ̃თა (კჳრიაკეთა) მოციქულთა მარხვაშიგან. ამისი წყალობა ჩ̃ნ გიყავით: გაგიშვით ქადაგიშვილის რუს ქუევით კარშიგა

ვენაკის კულუხი, რაცა არის და ულაყი და ფეტკს ღალა და ლაქას (ქალაქს?) წას˝ლა (წასულა) და საქუეყნო ჯურუმი. ესე ასრე არა-ოდეს გეთხოვებოდეს.. (წყევა კინც მოგიშალოსო).. დაიწერა სიგელი ესე ქორონიკონსა :რ: :ო: :ივ:".

აქ მოხსენებულნი პირნი იხ. ზემო, გვ. 22; 28.

თვით ეს სიგელი და ამასში მოხსენებულნი პირნი დასახელებულნი არიან შიომღვიმის უთარიღო გუჯარში № 3, ტყავზე მხედრულად დაწერილში:

„...ესე სიგელი... მოგეცით... მღუიმესა... ჩუენ პატრონმან ბაგრატ (ეს არის პირველი მუხრან-ბატონი ბაგრატ, კონსტანტინე-მეფის ძე) მას ჟამსა, ოდეს მოძღურისა გერმანესთჳს და დედაბრისა მარინესთჳს ერისთავსა ქუენიფნეველსა ჩაგილაჩი(ს)გან გლეხი სამადინიძე მოეცა (1498 წელს), ჩუენ ასე ვათალხნეთ (sic): სათხოვ[არი საჩუენო არა ეთხოვებოდეს რა, არა] საჩუენო კულუხი, არა ულაყი, არა ღალა, არა საქუეყნო ჯურუმი... არა მოგეშალოს"... ბოლოს ხელრთვად: „ბაგრატ". (ეს ბაგრატ 1539 ბერად შედგა, ბარნაბად წოდებული).

**1499 წ.**—ქ˝კს :რპზ: თათრულსა :შე: განძლიერდა შაჰ ისმაილ (კახ. ქრ.).

**1500 წ.**—ქკ˝ს :რპჱ: აქა მიიცვალა ქრისტიანობისა ნათელი ქაიხოსრო :.ათაბაკი:. (წერა-კითხ. ხელნაწ № 252).

— ქკ˝ს :რპჱ: აქა ძე ყუარყუარესი ქაიხოსრო მიიცვალა (ყანჩაეთის გულანი).

—ქკ˝ს :რპჱ: აქა ძე პატრონისა ყუარყუარესი ქაიხოსრო მიიცვალა (წ˝ა ნიკოლოზის. ქრ.).

რადგან ცნობილია ქაიხოსროს სიკვდილი მაისის 6, ოთხშაბათს (იხ. 1502 წ. ქვეშე), ხოლო ოთხშაფათს ექვსი მაისი მარტო 1500 წელს მოდიოდა, ამისგამო ქაიხოსროს სიკვდილი საბოლოოდ უნდა დაიდვას 1500 წელს, რასაც უმეტესად მტკიცდება ქვემო დაბეჭდილის მზეჭაბუკ-ათაბაგის და გზ˝ის ევაგრესგან მოცემულის გუჯრიდამ (იხ. 1501 წ. ქვეშე). ევაგრი კათალიკოზობდა 1499—1502 წელს (იხ. 1503 წ. ქვეშე). და თუ ევაგრის დროს ათაბაგობდა მზე-ჭაბუკ, ეს ცხადი საბუთია იმისა, რომ ამ დროს (1500—1502 წ.) ქაიხოსრო ცოცხალი არ ყოფილა. გზ˝ი ევაგრი (სხვა?) იხ. ზემო 1488 წ. ქვეშე.

შემოგვაქვს ათონური აღაპი ქაიხოსროსი, შეტანილი ათონის 1074 წლის ხელნაწერში, ხუცურ-ნუსხად ლამაზის ხელით დაწერილი, რომელიც შეიცავს დიდად საყურადღებო-ცნობებს, ფრიად გამოსადეგს ჩვენის მეისტორიეთა და მკვლევართათჳს:

„პატრონსნ ქაიხოსროს ყ˝ნი ც˝ნი შ˝ს ღ˝ნ (ეს ფრასა განმეორებულია სამჯერ). ესე საცნაურ იყავნ, წნ˝ო მამანო და ძმანო, რომელ ესე, (ვითა) ქუემოთცა სწერია, დიდი და სახელ-განთქმული, საქართველოსა ათაბაგი სამცხისა სპარსალარი (sic) ჯაყელ-ციხის-ჯუარელ და დიდად წაჩინებული (sic) პატრონი ყრ˝

ყრე (ყუარყუარე) ნებიერად და ღ῀თის მსახურებით ცხორებდა და დღეკეთილობით აღასრულნა ყოველნი დღენი მისნი და სიბერითა კეთილითა უფლისა მიერ მიიცვალა ქ῀სა :რპვ: (1498). პატრონსა ყუარყ῀რეს (sic) ცოდვანი მისნი შ῀ნ ღ῀ნ.

და შემდგომად მისა პირმშო ძე მისი, ქაიხოსრო, ეპატრონა ყოველსა საქელმწიფოსა მამისა მისისასა, ღთისმსახური და ყოვლითურთ სრული სალმრთოჲთა და საკაცობითა ზნე უკლები, გლახაკთა, ობოლთა და დაღონებულთა კელის-აღმპყრობელი და ამა სოფლისა პატრონობასა ზედა არღარა რასა ხანისა დამყოფელი, სიტყვთა ღთისათა ამა საწუთოჲთ,—ჵ მე!—საუკუნოდ მიიზიდა და დიდი მწუხარება და გლოვჲ მოატყუა (sic) მამულსა სახლსა მისსა და უფროსლა ძმაისა მისსა, პატრონსა მზეჭაბუკს, რამეთუ ფრიადი სიყუარული აქუნდა ურთიერთას და დიდად იზრუნა სულისა მისისათჳს, რამეთუ უხვად მიჰფინა საკსენებელად სულისა მისისათჳს თჳსთა ქუეყანათაცა და უცხოთაცა. და შემდგომად ამისა მე სავაგლახო აღზრდილი კურთხეულისა და სულდიდებულისა პატრონისა ქაიხოსროსი, ამბროსი, წარმომავლინა პატრონმან ძმამან მათმან მზე-ჭაბუკ სრულიად საბერძნეთად იჱრუსალიმს და სინასცა მრავლითა საქონლითა, და უწყეთ გაცემა ტრაპიზონტით კოსტანტიპოლემდის და კოსტანტიპოლითგან ვიდრე ამა წ῀ა მთადმდე (ათონის ივერიის მონასტერზედ იტყვის) და მოვლეთ ყოველნი მთისა ამის მონასტერნი, საყუდებელნი და მესენაკენი და წესისაებრ მოვაკსენეთ მოსაკსენებელი და სალოცავი და სრულიად ელადისა და მაკედონიის თემსა მონასტერთა, მიტროპოლიტთა, ებისკოპოსთა, ხუცესთა, გლახაკთა და ტყვს უფალთა ყოველთავე ზედა დიადი გავეცით. ეგრეთვე ჩუენსა ამას (ივერიის) მონასტერსა მოვაკსენეთ ოც-და-ხუთიათას ხუთასის ოთმანურისა ზოგი ფლურად და ზოგი თეთრად; და მამამან და სრულიად კრებულმან მონასტრმ῀ან გააჩინეს და შეგვკუეთეს სულდიდებულისაჲ პატრონის ქაიხოსროსთჳს ყოველთა პარასკევთა მწუხრი კოლიო და შაბათს წირვა, რასდომიცა მღდელი იყოს და ტრაპეზს შესულა და მისთჳს ლოცვა. ესე სამარადისოდ ყოველთა შაბათთა და ერთი აღაპი დღესა მიცვალებისა მისისასა მაის (სა) ექუსსა (ექ῀სა) წირვითა, რაჲსდომიცა მღდელი იყოს, ბერძენი და თუ ქართველი, მწუხრი-პანაშვიდითა, ტრაპეზს შესულითა, „შეგვწყალენითა“, ზედამოკსენებითა და სამარადისოდ ლოცვითა, ვითარცა აღმაშენებელთა მოიკსენებდენ და ვინ ესე უდებ ყოს და ესე გაჩენილი მოშალოს და გულსმოდგინებით არა აღასრულოს ღმერთსა მან გასცეს პასუხი.

ეგრეთვე აღმზრდენი (აღზრდილნი?) პატრონისა ქაიხოსროსი ამბროსი დიდად შეეწია ამა მონასტერსა, პორტიატისა ღ῀თის-მშობლისა ხატი მოჭედა მძიმედ *), მისსავე ეკლესიასა ზედა პირღო (ბუჯ῀ღო?) აღაშენა და გაამაგრა

*) როგორც ამას ამოწმებს აქამომდე დაცული წარწერა პორტაიტის ივერიის მონასტრის ღვთის-მშობლის ხატისა (ეს წარწერა მომიტანა ათონის წ῀ა იოანე-

თოფითა და საუძლურე ალაშენა მისით აკაზმულობითა და ღომატო მეტოქი მისითა წყალობითა აშენდა და ამისთჳს გაუჩინეთ ჩ~ნ მონასტერმან, მამამან და ს~დ კრებულმან ძმათამან ყოველთა სამშაფათთა პორტაკესა ხატსავე წირვა მისის სულისათჳს, ტრაპესს შესლვა და მისის სულის მოჴსენება ყოველთა ძმათაგან, ვითარცა ალმაშენებელთათჳს წერილ არს. ვინ ესე დააკლოს, ღმერთსა მან გასცეს პასუხი... ა~ნ.

**1500—1502 წ.** ამ წლებში არის დაწერილი მცხეთის სიგელი № 464, კზ~ის ევაგრეს და ათაბაგ მზეჭაბუკის დროს მიცემული. რადგან 1503 დადგენილ იქმნა კზ~ად დოროთეოს (იხ. 1503 წ. ქვეშე), ამისგამო ევაგრეს კათალიკოსობას ერგება 1499—1502 წ, ხოლო მზეჭაბუკი ათაბაგობდა 1500—1516, ქაიხოსროს სიკვდილის შემდეგ, რაიცა ჩვენის ცნობებით იყო 6 მაისს 1500 წ., და არა 1502 წ, როგორც აქამდი ჰგონებდენ. კზ~ი ევაგრე იხ. 1488 წ. ქვეშე.

„... ესე პირი და წიგნი მოგაჴსენეთ თქუენ ქე~ს ღ~თისა მიერ ქართლისა კზ~სა ევაგრის მე კუმურდოელ მთავარ-ეპისკოპოსმან გერასიმე მას ჟამსა, ოდეს პატრონმა მზეჭაბუკ (1500—1516) შემიწყალა და კუმურდოსა საყდარი და კელი მიბოძა და თქუენსა წინა'შე საკურთხევლად გამოგუგზავნენა; და თქუენ შემიწყალეთ და მაკურთხეთ. აწ დღესითგან წაღმა ჩემად დღედ სიკუდილამდე ვიყო თქუენი და თქუენისა საყდრისა ერდგული და მეფეთა მლოცველი *) და ყოველთა წირვათა და ლოცვათა შინა თქუენ მოგიჴსენებდეთ. ვინც თქუენგან უჯუარო და შეუნდობელი იყოს, ჩუენგანცა უჯუარო და შეუნდობელნი იყვნენ; თქუენგან შეუნდობელთა ეფისკოპოზთა გუერდი (cis) ჟამი არა ვწიროთ; ვარძიისა და მისის შესავლისა (sic) დიაკონი არა ვაკურთხოთ და არცა მათსა სამწყსოსა დავეცილოთ... თუ ათაბეგმან ყუარყუარე და მათთა შვილთა **) მოწყალება, ანუ სხუა კელი გუაძლიოს... არა გამოვართვათ:" ბოლოს ხუცურად: „მე ყუმურდოელი გერასიმე ამა დაწერილისა გამთავებელი ვარ"...

---

ნთლისმცემლის საკანის ბერმა ბენედიკტე ბარკალაიამ): „დედოფალო, დედაო კაცთმოყვარისა ღ~თისაო, ყ~დ უბიწოო ქალწულო მარიამ! შეიწყალე სული პატრონისა (პატრონისა) ჩემისა, დიდისა ყუარყუარას შვილისა ქაიხოსრო(სი?); მე, მონა შენი და ყოვლითურთ უღონო ქმნილი, საბრალო არხიმანდრიტი, ამბროსი, გმადლობ, რომელმან ღირს მყავ მოჭედასა და შემკობასა წ~ისა ხატისა შენისა. შეიწირე მცირე ესე ჩემ ცოდვილისა-მიერ კადრება, დაიცევ ნეშტი ცხოვრებისა ჩემისა განსლვისასა; შემეწიე და უჩინო ყავ ყოველი ცოდვათა ჴელის წერილი და დამადგინე საყდართა ძისა შენისათა და ყ~დ წ~ისა სულისათა აწ და მარადის და უკ~ი უკ~ე ა~ნ".

*) ეს ფრაზა და ეს გარემოება უნდა იგულისხმოდეს ზემო დაბეჭდილს (გვ. 302—303) უყნობ ათაბაგის (მზეჭაბუკის?) წერილში.

**) ჩვენ ქვემო დავამტკიცებთ, რომ ყუარყუარე IV იყო შვილი ქაიხოსროსი და არა მზეჭაბუკისა, როგორც აქამდი ცნობილი იყო. ამით აიხსნება ის გარე-

**1500–1502** წ.—ხუცური ნუსხა № :სკთ: (XVII საუკუნისა) მცხეთის საბუთებისა, რომელშიც მოხსენებულია ქზ~ი ეფრემ (1498—1500). ეს ეფრემ პირველად სჩანს ალექსანდრეს მეფობაში 1492—1511 წ.

მეფე ალექსანდრე და ძენი მისნი: გიორგი და დიმიტრი სწერენ: „ესე წიგნი მოგაკსენეთ თქუჱნ ქკზ~ს ეფრემს მას ჟამსა, ოდეს გარესჯის სახლი ჩუჱნს შვილსა ჰქონდა (ე. ი. უფლისწულობით სარგებლობა კახეთის საგარეჯო მამულების შემოსავლით) და თქუჱნვე მოგაკსენეთ, ასრე რომ ესე ახალნი სწორად მოვიკლოთ და მცხეთას მისი არ დააკლდეს და უდაბნოსა მისი არ დააკლდეს (საგარეჯო მამულების შემოსავლის ნახევარი მცხეთისა იყო) და რაცა მცხეთის მამული არის საჩუჱნოშიგა (ე. ი. კახეთის სამეფოში), ისიც თქუჱნთჳს მოგჳკსენებია უკლებად. თუ ვინმე მცხეთის მამულსა (კახეთურსა) ძალი უყოს... თუ თქუჱნ არ შეგეძლოს გავლენაჲ, ჩუჱნ გაუვლენთ საჩუჱნოშიგა და საძალოთ არ ვის დავანებოთ". (შეიძლება ეფრემ იყო წინა-მოადგილე ევაგრესი 1498—1500 წ.)

**1500** წ.—ქ~კს: რპჱ: შაჰ ისმაილ ადრიბეჟანი დაიპყრა; შირვანს მოვიდა; ალექსანდრე კახთა მეფემან ძე თჳსი დიმიტრი მიაგება ძღვნითა; შეწყალებული გამოუშვა;—მოკუდა ყვარყვარე ათაბაგიცა; დაჯდა ძე მისი ქაიხოსრო (კახ. ქრ.).

ჩვენ უკვე დავამტკიცეთ, რომ ყვარყვარე † 1498 წ. ივნისის 1; ხოლო ქაიხოსრო † 1500 წ. მაისის 6.

ქაიხოსროს საკუთარის ხელით მხედრული წარწერა ჩვენ ვიპოვეთ თელავის ტყავის წიგნში (მათეს სახარების თარგმანში): „ქ. ღ~ო და საშინელო იოანე მახარებელო, შეიწყალე სული ქაიხოსრო ათაბაგისა: ვინცა შენდობა ბრძანოთ, თქუენცა შეგინდვნეს ღ~ნ" (ჩემი უბის წიგ. II, გვ. 4; იხ. კიდე 1512 წ. ქვეშე).

**1500–1516** წ. მცხეთის სიგელი № 415, მხედრულად ნაწერი. თავი სიგლისა არაბულად არის დაწერილი და შემდეგ მისდევს ქართული ტექსტი, ვგონებ ნათარგმნი არაბულისგან, როგორც ამას ასაბუთებს მდარე ქართული ენა და სიტყვა „იუჴრჭუმ" (погруженіе), სიტყვა-სიტყვით თარგმნილი ბერძნულ-არაბულისაგან „баптисмос".

---

მოუბაც, რომ ამ გუჯარში გერასიმე „პატრონად" მზეჭაბუკს უწოდებს და არა „ათაბაგად", თუმცა ის იყო მმართველი საათაბაგოსი: ცხადია, რომ გერასიმე მემკვიდრეობის წესით ათაბაგად ჰხადიდა ათაბაგის ქაიხოსროს შვილს ყვარყვარეს (თუმცა ის არ იჯდა ათაბაგად) და არა ქაიხოსროს ძმას მზეჭაბუკს, რომელიც ერთგული არ იყო მცხეთისა და მეფისა, როგორც ამას ცხადად ასაბუთებს ქვემო დაბეჭდილი მცხეთის სიგელი № 415: სჩანს, რომ ქართლში კანონიერ ათაბაგად მიაჩნდათ ყვარყვარე IV.

სიგელი გვიმტკიცებს, რომ მზეჭაბუკ ათაბაგს, პოლიტიკურ განცალკევების მოსურნეს, მოუნდომებია საათაბაგოს ეკლესიის მოწყვეტა მცხეთისაგან და ანტიოქიის პატრიარქის დოროთეოსისთჳს დაუმორჩილებია (მეცნიერულის გამოკვლევით და პალამას სიით დოროთეოს II იჯდა 1484—1523 წ. და არა 1460—1560 წ., როგორც ბროსსე ჰგონებდა: Hist Gé. II, 2 livr: p. 471—2. იხ. „Полный мѣсяцесловъ Востока“ სერგისა, გვ. 258 ), რაჲსათჳს დოროთეოსი დიდად აქებს მზეჭაბუკს, რომელსაც უწოდს: „ღვთის-მოშიშად“ „მართლ-მადიდებლად“ და „დიდად მეფედ ჩუენად და ყოვლისა აღმოსავლეთისა კელმწიფედ“, ხოლო ქართველ მეფეს და მისს ერს—„უსჯულოდ“; აქებს აგრეთვე მაწყვერელს (ჩვენის აზრით, სვიმონს, რომელიც იყო ტრაპიზონელი ბერძენი; ამაზე იხ. ქვემო), რა-საკვირველია იმისთჳს, რომ ისიც თანაუგრძნობდა, როგორც ბერძენი, მზეჭაბუკის პოლიტიკას (იხ. ესრეთივე პოლიტიკური მიდრეკილება ათაბაგთა ზემო გვ. 227;238—9 და 269).

ესრეთი მოქმედება მზეჭაბუკისა სრულიად არღვევს ვახუშტისგან შეთხზულს ცნობას, ვითომ იგი მეგობარი ყოფილიყოს მეფის კოსტანტინესი (ქ-ცხ. II, 158—9).—ეს სიგელი შეცდომებით და შემოკლებულად შეტანილია დ. ბაქრაძის მიერ ვახუშტის ისტორიაში: გვ. 287.

„ . . . . . წყალობითა ღ̃თისათა დოროთეოს პატრიარქი დიდისა ღ̃თისა ქალაქისა ანტიოქისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა მოგიმცნობ: წყალობა და მშვიდობა და შეწევნა უფლისა ჩუენისა იესო ქ̃ეს-მიერ თქუენზედა და ყოველსა საბრძანებელსა თქუენსა ,რ̃ლმან განამტკიცნა წ̃ნი მოციქულნი სიონს ქორსა მას ზ̃ა ......რომლისა ბრძანებითა ვიიძულენით თქუმად ამას დიდისა პატრონის მზექაბუკის მიერ: რამეთუ მაგან ოდენ მხოლომან იყურჰუმ (sic) ჰ̃დ (ჭეშმარიტად) ემბაზსა შინა ნათლისღებისასა: რამეთუ სადაცა მიიწიოს ღონე მაგისი ჲ დათრგუნოს ქუეყანაჲ მტერთა (ე. ი. ქართლი), თ̃ნრ ბრ̃ძლისა (თჳნიერ ბრძოლისა) მოსცეს ღმერთმან ადგილი იგი (ე. ი. ქართლი); ანუ რომელთა იხილონ წუჱრი ჰოროლისა მისისა, თვნიერ კუჱთებისა ლტოლვილ ქმენინ ყ̃ლნი წინააღმდეგნი პატიოსნისა და ღ̃თის-მიერ განმტკიცებულისა და განძლიერებულისა, დიდისა მეფისა ჩუენისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა კელმწიფისა პატრონისა მზექაბუკისაგან; სამარადისოდ ყოს ღმერთმან პატივი და დიდება, ძალი და სიმტკიცე მათი უკ̃ე. და აღამაღლოს პატივი მისი და ბედნიერ ყოს და დაანთქნეს მტერნი მისნი და მოსცეს ძლევა მათ ზედა, მას და ყოველსა მჴედრობასა და ერსა მისსა და ადიდოს სახელი მისი მზისა და მთვარისაებრ და სრულ ყოს ყოველი ნება და წადილი მისი და გარდამოავლინოს უფალმან ღმერთმან მას ზედა მადლი და კურთხევა მისი!

მერმე ებრძანა აწყურის ღთისმშობლისა საქმენი პირველნიცა და უკანის რაჲ გარდაკდა: და თუ რაბამნი სასწაულნი *) აღასრულნა და [ნიშ]ნი სურვი-

*) აქ იგულისხმებს იმ სასწაულთ-მოქმედებათა, რომელნიც აღწერილია „შე-

ლითა და სიყუარულითა მისითა და ვევედრები, რათა მეცა ღირს მყოს ხილ-ვად და თაყუანისცემად მისა, და ესეცა ვითარმედ აწცა წარუვლენიან კაცნი სოფლის გუერდის და ჩუენიცა ებისკოპზი ყოფილიყო მათ წინაშე, სახელით გრიგოლ ებს̃კზი ბოლოზნისა და მას თჳთ განეცადა ყოველი საქმე და თუა-ლითა ეხილა და გულის-კმაჲ ეყო უსჯულოება მეფეთა (მფ̃თა) და ერისა მა-თისა **) და პატრონისა მზექაბუკის ღ̃თის-მოშიშებაჲ და მართლ-მადიდებლო-ბაჲ და ღ̃თის მოყუარებაჲ, ყოველივე განგუაცადა და გულისკმა გვიყო და ეგრეთვე მწ̃ყრლისა (მაწყვერლისა) სიკეთე და ღ̃თის-მოშიშება და მართლ-მა-დიდებლობაჲ და მეცნიერება და სჯულთა ღ̃თისათა კეთილად დაპყრობაჲ და დაცვა მცნებათა ღთისათაჲ, ამისთჳს ვითარცა ჯერ იყო და სამართალ მად-ლითა ღ̃თისათა ვინებეთ და მას მივათუალეთ ყოველი საბრძანებელი პატრო-ნისა მზექაბუკისი, რათა ებისკოპოსნი მისგან იკურთხეოდენ ყოველნივე და მისსა წესსა და ბრძანებასა (ჳ)მორჩილებდენ და სჯულთა მისთა ერჩდენ და მისგან იმწყსებოდენ და მაკურთხეველნი მისნი კურთხეულ იყვნენ და მწყევა-რნი მისნი წყეულ და მისდა მიგვიცემიეს კელმწიფებაჲ შეკრვისა და განკს-ნისა“......

**1502** წ. ტუავის სიგელი, წაჭრილი № 407 და ნუსხა მცხეთისა №: რლტ: „ - - - ივანისძისეული მამული და სამცხეთიშვილო წილი (მოგეცით?) მითვე მესითა, რითაცა ძუელითგან ივანისძეთა და ქადაგს დიმიტრის ჰქონებია და ჰოჰეთს [ქკ̃ს: :რპი:] (ის. ზემო 1391 წ. ქვეშე.—ქკ̃ნი აღვადგინეთ ნუსხით).

**1502** (უნდა 1500 წ.)—ქკ̃ს :რჟ: (უნდა: რპტ) მოკუდა ქაიხოსრო ათაბა-გი წლისა :ნგ: მაისის :ვ: და დასჯდა ძე მისი მზექაბუკ (ვახ. ქრ.).—ამავე ცნო-ბას იმეორებს chron Gé. p. 3: „ქკ̃ს :რჟ: ბატონი ქაიხოსრო მიიცვალა წლისა :ნგ: მაისს :ვ:“. ცხადია, რომ ამ უკანასკნელს ქრონიკას შეცდომაში შეუ-ყვანია ვახტანგ-ვახუშტიცა. ჩვენ უკვე დავასაბუთეთ, რომ ქაიხოსრო † 1500 წ. მაისის 6-ს (53 წლისა) და ალბათ ამავე დროს დამჯდარა მზექაბუკიცა (1500-1516 წ.).

ქკ̃ს :რჟ (1502) „ქ... ჩუენ ორისავე ტახტისა ლიხთიმერისა და ლიხთ-ამერისა მპყრობელმან მეფეთა მეფემან ალექსანდრემან, და დედოფალთა-დედოფა-ლმან ელენე, პატრონმან დედოფალთა-დედოფალმან თამარ და პატრონმან ჩუენმან ბაგრატ და პატრონმან ვახტანგ და ა - - - ესე წიგნი და ნიშანი სი-გელი დაგიდევით და მო - · - - ზედან ახლად ამისი სი - - იხსენენ, რომე თქუენს კარის - - გამოსული არა - - ტიკი და ტომარა, არა რაგინდარა ჩასაყა-

დეგი ქ-ცხბისა“ (გვ. 162—3; 265) იაყუბ ყაენის შემოსევის დროს: ეს გუჯარი ამტკიცებს იმ ამბების სიმართლეს.

**) იგულისხმებიან ქართველთა მეფენი და ქართველთ ერი.

რი საქმე და გამოსაღები - - არა მოგაღდგეს რა ერთის - - ალაპი - - ქკ̃ს :რჟ: - - - (ეტრატის გუჯარი გელათის წ̃ა გიორგისა დაზიანებული; ის. ჩემი უბის წ. III, 11 7; Rap. XI, 48 არეულია (1495 წ.?).

**1503** წ. ქკ̃ს :რჟა: მეფე კოსტანტინე მიიცვალა (Chron. Gé. გვ. 3. ეს ცნობა ტყუილია: ის. 1505 წ. ქვეშე).

**1503** წ. მაისის 13 სიგელი მცხეთისა № 47 ნუსხა № :სიე:), რომლისაგან სჩანს, რომ ამ წელს (რამდენიმამე თთვით უწინ) დაუყენებიათ კზ̃ი დოროთეოს (სჩანს 1503—1516 წ.) და კასთა მეფენი ახლად დაყენებულს კზ̃ს ჩვეულებრივ სიგელს უახლებენ.

ქ. ჩუენ:. პატრონმა:. მეფეთ მეფემან ალექსანდრე და ძეთა ჩნ̃თა გ̃ი და დიმიტრი და პატრონმან დედამან ჩნ̃მან დედოფალთა დედოფალმან ნესტანდარეჯან და თ̃ა მეცხედრემან ჩნ̃მან დედოფალმან ანნა ესე გასათავებელი წიგნი მოგაკსენეთ... მცხეთისა საყდარსა.. და პატრიაქსა კზ̃სა დოროთეოსს მას ჟამსა, ოდეს მცხეთისა საქმე შემცირებულ იყო, იპრიანა ღ̃ნ, ნებითა და შეწევნითა ღ̃თისათა კზ̃ად დაგადგინეთ: რაცა სულკურთხეულთა... პაპათა და მამათა ჩნ̃თაგან განთავისუფლებულნი და შეწირულნი და მამულნი იყუნეს, აწ ჩუენცა ამავე წესითა მოგაკსენენ გარესჯისა უდაბნონი მთითა... ასე რომე რაცა გარესჯისა მამულისა გამოსავალი იყოს, მისი ნახევარი მცხეთას არა დააკლდებოდეს და ნახევარი გარეჯისა უდაბნოთა; და აწ ჩნ̃გან შემოწირული საალაპოდ საფელი ახალშენი და კახის უბანი... ერწოს სოფელი ნადოკრა და გორანა, კუერნაძეული, ძაგნაკორნათ, ხატისწობენა, წირდალი და კილმატი, ახატანს ტოხაძე მისითა მამულითა... (და სხვა მრავალი)... დაიწერა ქკ̃ს :რჟ: თვესა მაისსა :იგ:

**1504** წ. ქკ̃ს :რჟბ: აქა კ̃ე მეფე მიიცვალა (ჩსეიძის ქრონიკა :ის. 1505 წ.).

**1504** მარტის 18-ს. წარწერა ტექსტის ხელით გელათურს მცირე ტანის ფრიად თხელს ტყავზე ხელოვნურად დაწერილ სახარებაზე: „...სრულ იქმნა... მე :იდ: ქცეულსა :რპიბ: მარტსა :Ⴂ: კელითა ცოდვილისა აკაკისითა.... რომლისა ბრძანებითა აღვსწერე ...დიდისა ღ̃თის მოყუარისა მოწყალისა პატრონისა დედოფალთ დედოფლისა თამარისნი (ცოლი ქაისოსროსი, ზემოცა ჩვენგან აღნიშნული) მრავალ არიან წელნი... დიდისა და ქ̃ეს მოყუარისა პატრონისა ძმისა მათისა (ქაისოსროსი, თუ თამარისა, როგორც განუმარტავს ბროსსეს) მზეჟაბუკისა მორჭმითა და ამოდ ყოფნითა.... მშობელთა მისთა პატრონისა ყუარყუარესი († 1498) და პატრონისა დედის-იმედისი († 1491) საუკუნო იყავნ კსენება მათი, ეგრეთვე ქ̃ეს მოყუარეთა ძმათა მისთა: პატრონისა ქაი-

ხოსროსი (✝ 1500) და პატრონისა ბაადურისა (✝ 1474) საუკუნო იყავნ საკ-სენებელი და კურთხევა მათი!". (ბროსსეს ეს ცნობა რამდენადმე აურევია: Rap. XI, 42).

**1504 წ.**—მცხეთის ნუსხა № :რნა: „...ესე წიგნი... გკადრე... ქკზ˜სა დოროთეოსს მე ციხელმა მას ჟამსა, ოდეს დიაკონისა ძისა ბეთიასშვილთა კერძი მამული მოგვბოძეთ; ჩუჱნ ამისი პირი დაგიდევით, თუ მაჩაბელმა აღარ დაგანებოს ჩემი თავი, იმა მამულისაგან არასთანა არა გავიტანო რა, არცა ჩემი ქირნახული... ქკ˜ს :რჲბ:".

**1504 წ.** იგივე ნუსხა № :რიი: „ქ. ჩ˜ნ ქ˜ეს მიერ კურთხეულმან ქკზ˜ს დოროთეოს ასრე და ამა პირსა ზედა; რაც იმ მამულისთჳს შეკუჱთილი ალაპი იყოს და ეწეროს, თქუჱნ პატრონმან კზ˜მან არაოდეს დააკლოთ და ყოვლი-თურთ უნაკლულოსა ალაპსა გარდაიკდიდეთ და ის ზუარი, სასახლე და გლე-ხნი სახასოდ დაიჭიროთ... არ გასცეთ... დაიწერა... ქკ˜ს :რჲბ: - - - მე ამი-ლახორი [თაყა?] ამისი გამთავებელი ვარ". სათაური სიგლისა: „ქკზი˜ს საალა-პოსა".

**1504—1516** ამ წლებში უნდა იყოს დაწერილი მცხეთის მსხდრული სიგელი № 122 (ნუსხა № :სივ:) კზ˜ის დორეთეოსისდა მიცემული (სჩანს 1503—1516 წ.). ამ გვარს სიგლებს აძლევდენ ახლად დაყენებულს კათალიკოზებს და შეიძლება ეს სიგელი იყოს მიცემული 1503 წლის დამწყებს, როდესაც კზ˜ად დამჯდარა დოროთეოს.

ქ. ჩუენ ღვ˜თვ გჳრგჳნოსანმან მეფეთ-მეფემან კონსტანტინე და ძეთა ჩუენთა დ˜თ, გ˜ი და ბაგრატ, ესე აღთქმისა წიგნი გკადრე და მოგაკსენეთ თქუენ .. ქკ˜ზსა დორეთეოზს: რაცა ჩუენს საპატრონოშიგა მცხეთისა საყ-დრისა სოფელნი, აგარაკნი და მამულნი არიან ყველანი უკლებლად, უსარჩ-ლელად და კელშეუვალად მოგჳკსენებიან: კოდმანი, კარსანი, წეროვანი, გოროვანნი, მუხანი, ალაიანნი, ნიაბი, მეტეხნი, სასხორნი, ძეგჳ, ციხედიდი, არმაზი, მუხათ-გუერდი, თელოვანი, კავთისკევი საქადაგო ივანიას ძისა მამუ-ლი (მაღალაძეთ რომ ეჭირათ: იხ. 1391 წ.) ქალაქს და გორს რაც გლეხნი არიან, ორბეთის ძირს ყორანთა, ხვედურეთს რაც მცხეთის სოფელი ყოფილა, ციხე-ბდავი, ტაირიშვილი, გაბრიელიშვილი. სხუა დაკლებული რაც არის, მარ-თლითა სიმართლითა მოეიკლოთ და დაუკლებლად მოგაკსენოთ" (ხვეულად ხელმოწერა). ამის მეტი არ არის დედანში, მაგრამ ნუსხაში დამატებულია: უპიტი, არმაზის ციხე და ბაჟი, მრულაშვილი, ტანძიერნი, ქალაქს კარნი, სარკის მონასტერი და მაჯანიძე, ატენს წინუბნელი....

„ - - - - მოგჳკსენებიან თარხნად და შეუვალად"...

**1500—1516 წ.**—მცხეთის სიგელი № 482 მხედრულად ქაღალდზე დაწერილი, ფრიად საყურადღებო, მაგრამ უთარიღო. სიგელი მიცემულია ყვარყვარეს მის მხეჭაბუკის მიერ სვიმონ მაწყვერლის დროს. ჩვენის ქრონიკებით მხეჭაბუკი ჰმართავდა 1500—1516 წ. ეს სვიმონ მაწყვერელი, ტრაპიზონელი ბერძენი, მოხსენებულია ქ-ცხ. II, გვ. 263; აგრეთვე აქ მოხსენებული სასწაულები (ქ-ცხ. II, 162-3; 165). ამ სიგლით მტკიცდება ისიც, რომ ყვარყვარე IV შვილი კი არ იყო მხეჭაბუკისა, როგორც აქამდი ცნობილი იყო, არამედ ძმისწული, ქაიხოსროს ძე.

- - - - . . . ჩუენ წილმხუდარსა ამასა ერისა შენისა . . . ინებე პირმშოისა ხატისა შენისა... პირსა შენსა ზედა მიყრდნობით გამოსახულსა კელითა წ͞ისა ანდრია მოციქულისათა აქა მოსვენებად და წ͞სა ტაძარსა შენსა, აწყუერს დამკვდრება. მიერითგან ვიდრე აქამომდე ვინმე აღრაცხნეს... ქველის მოქმედებანი შენნი ჩუენდა მომართ!... რაოდენნი ნიშნი და სასწაულნი აღასრულენ სამხილებელად ულმრთოთა ბარბაროზთა ზედა, რამეთუ პირველ ძულულებითა დაგუემენ უსჯულონი იგი... და აქა ჟამთა ამათ შინა ჩუენთა რომელთა იკადრეს გმობა შენი და შეურაცხება ტაძრისა შენისა სრულიად მოსპენ და დაამკუენ დიდითგან ვიდრე მცირედმდე და განაბნიენ და იავარ ყვენ... და განაქარვენ ზრახვანი მათნი .. მე ძემან დიდისა პატრონისა ყუარყუარესმან († 1498) პატრონმან მხეჭაბუკ და ძმისწულმან ჩემმან პატრონმან ყუარყუარე... შემოვსწირეთ... საყდარსა თქუენსა... და... საჴეთ მპყრობებლსა მთ͞ერ. მ. (მთავარ მამასა?) სჳმონ მაწყუერელსა... დიდი და დიდებული მონასტერი ზარზმა სრულიად მისითა შესავლითა აგარაკ-სოფლიანითა და გლეხებითა... სრულიად აჭარულითა და გურიულითა მამულითა"... ბოლოს თათრული (არაბული) ხელმოწერა. (სვიმონ მაწყვერელი წინეთ იყო ტბელი ქ͞ცხ II, 263).

შესავსებლად ზემო-აღნიშნულთა ცნობა ათაბაგთა შესახებ აქვე შემოგვაქვს რამდენიმე წარწერა: I. „სულთა მატიანე" სამებისა, გვ. 4. ხუცურად: „სული ათაბაკთა ათაბაკისა ყუარყუარესი († 1498) კხ͞ლ იყავნ უკ͞ე ა͞ნ. და მისსა მეუღლესა დედის-იმედსა († 1491) შ͞ს ღ͞ნ .ა͞ნ". იქვე მომწვრილოდ: „სული ბატონისა ქეიხოსროსი (ქაიხოსრო † 1500, მაისის 6-ს) კ͞ხლ იყავნ... სულსა ღ͞ მისსა მეუღლისა ვ͞ნხს (ვანანხის?)... სხვა წარწერანი, ვგონებ ცოტაოდენ ადრინდელნი: „სულსა ვახუშტი-ყოფილისა ევსილიოსისა... და მათსა მეცხედრესა ქეთევან-ყოფილისა ქრისტინეს შ͞ნ ღ͞ნ და ძესა მათსა ამოანს"... და მათსა დასა პატრონსა ელენეს შ͞ნს ღ͞ნ. სპირიდონს შ͞ს ღ͞ნ და მისსა მეუღლესა თინათინს შ͞ს ღ͞ნ. მამასა მათსა მამისასა (ამილახვარი?) შ͞ს ღ͞ნ და დედასა მათსა დედის-იმედსა შ͞ს ღ͞ნ. მესტუმრესა აბესალამს შ͞ს ღ͞ნ. ერისთავსა ლუნიასა შ͞ს ღ͞ნ. ა͞ნ" (ძველი კრთის ხელით და უცნობნი პირნი). იმავე დროის ხელით აღაპი № 24: „სულსა ერისთავთა-ერისთავისა ჯერმისა (გაურჩეველად) შ͞ს ღ͞ნ. სულსა მათისა მეუღლისა სევდუზისა შ͞ს ღ͞ნ" (უცნობი ერისთავი არაგვისა). იქვე, № 21: „სულსა ერისთავთ ერისთავისა ნუგზარისსა... სულსა მათისა მეუღლისა გულდაბისსა შ͞ს ღ͞ნ (უცნობნი XIV საუკ.?); იქვე, № 35:

„სულსა :ე~: ერისთვისა ქვენიფნეველისა შელვაჲსს შ~ს ღ~ნ. მათსა დედასა თმაგიშითს შ~ს ღ~ნ (XV საუკ.).

იქვე № 52: „სულსა დადიანთაჲ მოლარეთ და მესტუმრეთ უხუცესსა და ბაგრატუნთა მტესა ქუცენა ივანეს შ~ს ღ~ნ... ბარძინცა ადღეგრძელე... და მშვიდობით აღზარდე და მისა მეუღლესა ბატონს თუხარცას შ~ს ღ~ნ"... იქვე № 62: „პატრონისა და სახელ-განთქმულისა დიდისა ბატრონისა (sic) ყუარყუარეს († 1498) მესტუმრესა და ამირათ-ამირასა ნოშრევან-ყოფილსა ნეოფიტეს შ~ს ღ~ნ; და მისა მეუღლესა გულქან-ყოფილსა გაიანეს შ~ს ღ~ნ. ა~ნ"...

II. ეკლეს. მუზ. ხელნაწერის № 97 წარწერანი: „პატრონისა ქაიხოსროს (†1500 წ.) მეუღლე-ყოფილსა როდამს (მესამე ცოლი?) შ~ს ღ~ნ. ძე მათი პატრონი ყუარყუარე ადღეგრძელე და ძმასა მათსა [ია]ნქოს (თუ ივანეს?) შ~ს ღ~ნ" (იხ. 1551 წ. ქვეშე). აქედამაც მტკიცდება, რომ ყვარყვარე IV ქაიხოსროს ძეა და არა მზეჭაბუკისა. იქვე: სულსა...დიდისა ათაბაგის,.. იაკობისსა შ~ს ღ~ნ" (იანქო?).

ყვარყვარეს (IV-ის) ცოლი ნესტანდარეჯან-ყოფილი ნინო (იხ. 1520 და 1550 წ. ქვეშე).

III. ეკლ. მუზ. ტყავის XII საუკ. № 193 ხელნაწერს აქვს შემდეგნი მოსახსენებელნი (შენდობითნი):

1) „სუმბატის ძეს შალვას შ~ს ღ~ნ: აქა (12 ოკდომბერს) მიიცვალა.—

2) სულსა ათა(ბაგ)-ამირსპასალარსა ბატონსა ორავეჟანდას (ძე ყვარყვარესი III-სა: იხ. 1500 წ. ქვეშე. ათონური აღაპი) შ~ს ღ~ნ და თანამეცხედრესა სულკურთხეულსა ბატონსა გულბუდახს შ~ს ღ~ნ (21 დეკ).

3) მხედრულად: „ამილახორს (სამცხისას) ქლიარე (ქოიარ?) ყოფილს ქერმანს (გერმანეს?)... შ~ს ღ~ნ (ქოიარ, დედა მისი თამარ და ძმანი მასნი იხ. 1541 წ. ქვეშე).

4) სულსა ფანასკერტელისა დედასლისა (?) ბედას (დედასა ელისაბედს?) და ძესა... ზაქარია-ყოფილს გერასიმეს... შ~ს ღ~ნ..

5) სულსა ახაიაძესა ოპიზართა მოძღუარსა შ~ს ღ~ნ... (თვით ხელნაწერი იქაურია).

6) ლომსიანიძესა - - - ძმასა ყუ - - ძმას მანასეს შ~ს ღ~ნ (ბედიის გულანის მწერალი? № 186).

7) სულსა სულკურთხეულისა მეფეთ-მეფის ასულსა თამარსა შ~ს ღ~ნ (ქაიხოსროს მეორე ცოლი? იხ. № 13 )... სულსა წყაროსთავის მოძღვრისა და მისსა (თამარის?) გაზრდილსა ინდოასა შ~ს ღ~ნ.

8) ფანასკერტელსა თაყასა შ~ს ღ~ნ (ქ.ცს. I, 474, 1442 წ.) ..თმოგველ-უჯარ-მელსა თეოდოლეს შ~ს ღ~ნ ...

9) სულსა... კავკასიძესა იოთამსა და მისა მეცხედრესა თინათინს და მათსა დასა რისიმეს შ~ს ღ~ნ....

10) სულსა დიდისა დ~ სახელგანთქმულისა დიასამიძისა გერმანისა შ~ს ღ~ნ მათსა მეცხედრესა ანასა... მათსა სიძესა ამილახორსა - - -

11) სულსა მეფეთ-მეფისა შვილსა ბ῀ტნსა იოსაფათს... მისსა მეცხედრესა დიდისა - - - (ამ იოსაფათის სახელი წერებულა ერთს ბუხარზე, ართვინს ახლო. მე მომივიდა ფოტოგრაფიული პირი ასომთავრულის წარწერისა, რომელიც ამ ჟამს ვერ ვიპოვნე ჩემს ქაღალდებში).

12) თუხარელს ბატონს თახოს (?) და მეცხედრესა მისსა როდამს(?) ფილადელფის...

13) მხედრულად თჳთ ქაიხოსროს ხელით: „სულსა ამასალარ (ამირსპასალარისა) პატრონისა ქაიხოსროს და მეცხედრესა ბატონს თამარს... შ῀ს ღ῀ნ.

14) სულსა რაჭის ერისთავის... ლომინა და მისსა მეცხედრესა მ - -

15) სულსა კავკასიძისა დავითს... მისსა მეცხედრესა ათაბაგისა ასულისა დედის იმედისა შ῀ს ღ῀ნ....

**1504 წ.**—იგივე ნუსხა № :სნიჲ: „... ჩუ῀ჱნ... ბაგრატიონმა (მეფემან) ალექსანდრე და ძეთა ჩუ῀ჱნთა გ῀ი და დიმიტრი და პატრონმან დედამან ჩუ῀ჱნმან, დ῀დფლმან ნესტანდარეჯან და თ῀ა-მეცხედრემან ჩუ῀ჱნმან დ῀ფლმან თინათინ... გიბოძეთ თქუ῀ჱნ მაღალაშვილს გედევანს ქადაგსა და შვილსა შენსა მამუკასა, ასრე რომე შენი სამკვდრო და საბოლოო მოუდევარი მამული იყო ვეძისკევი (ე. ი. მცხეთის მამული, საცხოვრებლად ანუ „სარჩენად“ მიცემული მცხეთის აზნაურის მაღალაძისადმი) და მონასტერი ვარცანისა, ქორათუბანი, გიორგი-წმიდა და იელის უბანი... თქუ῀ჱნ მოგიბოძეთ... საკელო ვეძისკევი... (აქ საზღვრები აღნიშნული), აგრეთვე ფაშაანი და ენისელები..., რაც სუ῀ჱტის-ცხოვლის ყოფილა და არს... დაიწერა ქ῀კს :რჟბ:“.

**1504 წ.**—გელათის სუცური ნუსხა XVII საუკ. №№ :ზ: და 139; 678.

„დავთარი ბანოჲასი“. „...ჩუ῀ჱნ... მეფეთ-მეფემან ალექსანდრე... შემოგწირეთ (გელათს) ბანოჲას ხუთი კუამლი კაცი ხუცესი ბერაძე... მათის ცოლ-შვილითა, სახლ-კარითა, ჭურ-მარნითა, მიწა-ადგილითა... ორ შამახურს და ერთს ჩარექს საკმელს დიდ მარხვაში ხახულის ღ῀თისმშობლის წინ მიიტანდეს და ათს მენახევრეს ღჳნოს გენათელს მიართმევდეს..., ყოველს დიდმარხვაში მეფის მწირველი იყოს“... (და ს.ხ.).

**1504—1511 წ.**—ამავე წლებში არის დაწერილი სიგელი მცხეთისა № :დ: სიგელს აძლევს მეფე ალექსანდრე, რომელიც უნდა იყოს იმერთა და არა კახთა მეფე, რადგან სიგელში მოხსენებულია ქართლის სოფლები, ხოლო კახთა მეფეთ მხოლოდ კახეთის სოფლების შეწირვა შეეძლოთ. იმერთა მეფე ალექსანდრემ ქართლი დაიპყრა და 1509 წელს გორი აიღო, და ამ ახლო დროებს უნდა მიეცეს მას ეს სიგელი: „ჩ῀ნ (იმერთა) მეფეთ-მეფიმან ალექსანდრე († 1510 წ.) ჟამთავითარებისაგან გადაცვლილი (შეცვლილი?) განვაახლეთ და შევწირეთ კელახლად (მცხეთას)... და ქ῀კზსა დოროთეოსს რაცა ჩ῀ნსა საპატრონოსა შიგან მცხეთისა სა-

ყდრისა სოფელნი, აგარაკნი და მამულნი არიან ყუჩლანი უკლებად, უსარჩლელად და კელშეუვალად მოგკსენებია: კოდმანი, კარსანი, წეროანი, გოროანი, მუხანი, ალაიანნი, ნიაბი, მეტეხი, სასხორი, ძეგვ, ციხედიდი, არმაზი, მუხათგუჩრდი, თელოანი... (გრძელი სია).

**1504 – 1516** წ.—ამ წლის ახლო დროებში უნდა იყოს დაწერილი მხედრული სიგელი მცხეთისა № 128 (ნუსხანი № № :ტნზ: და :ოკ:).—აქ მოსსენებულნი ჯავახიშვილნი იხ. ქ-ცს. II, 262—5.

მცხეთის საყდარს და „ქართლისა კ͠ზსა დორეთეოსს ესე სიგელი მოგაკსენეთ ჩუენ ჯავახისშვილთა ჯავახმან და ჩემთა ძმათა და შვილთა: გოშფარი, ივანე, გამრეკელმან, სარგის, ვირშელმან, ქვეშელმან და რომ მას ჟამსა, ოდეს ჟამთა-ვითარებისა და სოფლისა საცთურისაგან ცოდვისა საქმესა შევესწარი და თქუენ სჯულისა წესითა გამოგვუენახენით... საყდრისა სამსახური გუიბრძანეთ... დავასუენეთ ხატი მაცხოვრისა მოჭედილი, კანდელი ვეცხლისა ერთი; ოცი ლიტრა ზეთი ახალშნით ჩუენისა გლეხისა საყდარს მოებარებოდეს ყ͠თა წელიწადთა; ნახევარი ლიტრა სამთელი ქალაქს დარვეშასა და მისისა სახლისაგან... სუფრის ნოხი ერთი და ფლური ოცი. ამას გარეთ ნიაბელ-მეტეხელნი ოდესცა ჩუენსა მამულსა შემოვიდენ ანუ ხიზნად და ანუ შეშასა და სარსა მოჰკაფდენ, საბალახე და ღალა არა ეთხოვებოდეს“. ხელრთვა: „ჯავახ“.

**1504**—ამ წელს არის დაწერილი მცხეთის სიგელი № 123 (ნუსხა № :რი: „იხ. ზემო გვ. 297; 320“), რომელსაც აძლევს ამილახვრის შვილი მამია: „თქუენ ქ͠ეს მიერ კურთხეულ(სა) ქ͠კზს დოროთეოს(ს) ასრე და ამა პირსა ზედა, რაცა იმ (შეწირულს?) მამულისთვს შეკუეთილი ალაპი იყოს და ეწეროს, თქუენ პატრონმან კ͠ზმან არაოდეს დააკლოთ და ყოვლითურთ უნაკლულოსა ალაპსა გარდაიკდიდეთ და ის ზუარნი, სასახლე და გლეხნი სახასოდ დაიჭიროთ... არ გასცეთ .. დაიწერა... ქ͠კს :რჟბ:“... ბოლოს წარწერა სხვა ხელით: „მე ამილახორი მამია ამისი გამთავებელი ვარ“. მერმინდელ დროს დაწერილი სათაური სიგლისა: „ქ͠კზის საალაპოსა“ (ეს სიგელიც, სხვათა მრავალთაგან, უტყუარი საბუთია იმისა, რომ საალაპედ გაცემული მამულები პირობით იყო მიცემული, რათა შემოსავლით ალაპი გარდაეხადნათ და თუ პირობას არ აასრულებდნენ, მამულს პატრონი წაიღებდა. ასეთმა შეხედულობამ მოახდინა აჯანყება იმერეთში 1819—1820 წ., როდესაც მამულებს სახელმწიფოდ ანუ „საკანტოროდ“ გასდა მოუნდომეს).

**1505** წ.—ქ͠კს :რჟგ: აქა იან[ქო] მიიცვალა (ეკლ. მუზ. № 85).

— ქ͠კს :რჟგ: აქა იანქო მიიცვალა (იკორთის ძილისპირი).

იანქო (ძე ყვარყვარე III-ისა?) ათაბაგად დაჯდა 1478 წ. (იხ. 1478 წ. ქვეშე). ეს ცნობა ახალია. ქ-ცსბაში იანქო ათაბაგად არ სჩანს.

— ქ͠კს :რჟგ: ბაგრატ დაიბადა, (ძე) ალექსანდრესი ფებერვალსა

:კგ: (Chron. G. გვ. 3). ეს ცნობა ათის წლით სცდება; უნდა იყოს: ქ~კს :რჱგ: (1495 წ.) იხ. Hist. G. p. 642).

— ქ~კს :რჟგ დიდისა მონასტრისა გენათისა წინამძღუარი მანასე მიიცვალა (Chr. G.).

— ქ~კს :რჟგ: გარდაიცვალა მეფე კოსტანტინე და დასჯდა ძე მისი დავით მეფედ (ვახ. ქრ.).

**1505** წ.—მცხეთის მხედრული სიგელი № 126 (ნუსხა № :სჳბ:), თავი აკლია:
„. . . [ჩუენ მეფეთა მეფემან ალექსანდრე] და თანამეცხედრემან ჩ~ნმან პატ[რონმან დედ]ოფალმან ანნა და პირმშომან ძემან ჩუენმან გ~ი და დიმიტრი, ნებითა ღთისათა აფხაზთა...(სრული სამეფო წოდებულება) მპყრობელ-მქონებელისა ნათესავმან მეფემან ალექსადრე ესე... სიგელი გიბოძეთ თქუენ ქარმაულთა მღრდელსა იოანეს და თქუენსა ძმასა ავთანდილს და... შვილთა გ~ის და გრიგოლის... მას ჟამსა, ოდეს მცხეთის შვილად დაისხენით და გიბოძეთ ოროტა მისითა შესავლითა, მთითა... ძუელითგან განჩენილი ესე იყო. აწე ახლად ჩუენ წინამძღუარი, ციცია ტაველური (თავაური?), მამის-იმედი და ყარასშვილი ომარ... და ს~დ კრებულნი გაგიძლუანენ და ახლად გაგისამძლურეთ... ქ~კსა :რჟგ:“ ხელრთვა: „ალექსანორე ვამტკიცებ ნებითა ღ~თისათა“.

**1506** წ.—მცხეთის ნუსხა № :რჲბ: ქ~კზი დორთთეოსს აძლევენ სიგელს ბარათაშვილნი აბაში და დავით: „მას ჟამსა, ოდეს ციციშვილს ქალი მიეცით და თქუენ გამოგუჳნახენით (ნათესაობისა და უცხოობისაგამო)... საკანონოდ... შემოგწირეთ (მცხეთას)... ორი კუამლი ქალაქს მამული აველიზაშვილნი... ქ~კს :რჟდ:“.

ამ აბაშ და დავით ბარათაშვილებზე გამოთქმული ლექსი იპოვება დავით-რექტორის „ლექსთა კრებაში“ გვ. 1.

„ქ. ბარათაშვილს აბაშიშვილებს ორს ძმაზე თქმული შაირი“:

„ქ. წინას შებმაში მოვიდენ დავით, მერე აბაშია;
თითოს კელი სამკლავეში ამოეყოთ კაბაშია,
თითოს ოთხი·თავი მოაქვს; შეიქნება რვა ბაშია!
და ჩემიმც მტერი დაესწრება იმათ ომსა შებმაშია!“.

უეჭველად აქ უნდა იგულისხმებოდეს სახელოვანი ბრძოლა ბარათაშვილთა შაჰ იასუფ-ყაენთან (ქ-ცხ. II, გვ. 184—5). ამ ომებში სახელ-მოხვეჭილი ბარათაშვილი მერაბი მოხსენებულია აწ ცალიერის, მაგრამ სრულიად შეუმლელის ხრამის მონასტერის კედელზე, 3—4 კერსტზე სამშვილდეს ზემოთ, სამწუხაროდ ეს წარწერა, ჩემგან 1884 წ. გადმოღებული, ახლა ვერ ვიპოვე ჩემს ქაღალდებში. მერაბი იხ. 1493 წ. ქვეშე. დავით ყოფილა ძმისწული და არა ძმა აბაშისა: ამაზე იხ. 1529 წ. ქვეშე.

**1507** (უნდა **1498**) დიდი ბატონი ყვარყვარე მიიცვალა წლისა :ქბ: ივ-ნისსა :ა: Chron. G. p. 3: ეს ცნობა რომ ტყუილია, ამაზე იხ. 1498 წ. ქვეშე და ქ-ცხ. II, 265.

**1508** წ.—ეტრატზე მხედრულად ნაწერი სიგელი შიომღვიმისა № 2:

„ქ. მე... დამან მეფისა ბაგრატისამან (ბაგრატ II იმერთა) გაიანე, სახითა ოდენ მონაზონმან... ვიყიდე კასპს ვენაკი სამიაშვილის დეკანოზისეული... შე-მოვსწირე (შიოს ლავრას) და შემოვიტანე ჩემთვს საალაპოდ... (ადაპი გაუჩენია 29 ივნისს)... ქ~კს :რჟვ: ... დაიწერა კელითა ჰარმაულისა გ~ლისათა“. ამა-ზე იხ. ჩემი: „ისტორიული საბუთები შიომღვიმისა“ 1508 წლის ქვეშე).

**1508** წ.—ქ~კს :რჟვ: აქა ალექსანდრე მეფემან გორი დაიჰირა. ამავე ქ~კს მოვიდნენ თათარნი, ქ[უთ]ათისი და გელა[თი დ]ასწვეს თვესა ნოემბერსა კ[გ?] (იკორთის მილისპირი № 6: იხ. ეს ამბები 1509 და 1510 წ. ქვეშე).

— ქ~კს :რჟვ: აქა მეფემან-ალექსანდრე გორი დაიჰირა. ამასვე წელ-სა მოვიდნენ თათარნი; ქუთათისი და გელათი დასწვეს (ჩსკიძის ქრ.).

**1509** წ.—ქ~კს :რჟზ: ალექსანდრემ, ძემან ბაგრატისმან, აღილო გორი (კრე-ბა ლექსთა).

— ქ~კს :რჟზ: აიღო გორი ალექსანდრე, ძემან ბაგრატისმან თვესა აგვისტოსა. :ვ: (Chron. G. გვ. 4 ქ-ცხით: II, გვ. 266: „აგვისტოსა :კ:“). ამავე წელსა ქუთათის თათარნი მოვიდნენ და დაწვეს დიდი მონასტერი გენა-თისა შიგნით და გარეთ, ქუთათისი და საყდარი, სხვანი ეკლისიანი და ციხე ვერ აიღეს და აურაცხელნი ტყუ(ე)ნი წაასხეს. თვე იყო ნოემბერი :კგ: (ჩქო-ნდამკე).

— ქ~კს :რჟზ: ალექსანდრე მეფემან, ძემან ბაგრატისამან, გორი დაიჰი-რა და ჩიხთ მოარბიეს იმერეთი; უკუნ იქცა. ალექსანდრე იმერეთს და შემდგო-მად დავით მეფემან დაიპყრა გორი (კას. ქრ. შეადარე 1510 წ.). ჩისნი უნდა იყვნენ თათარნი (თურქნი) და არა ჯიქნი, როგორც ჰგონებდა ბროსსე (Hist. G. II, 384, n 6).

**1509** წ.—გელათის მხედრულად ტყავზე ნაწერი სიგელი №№ 127 და 8664:, მიცემული იმერთა მეფის ალექსანდრესგან 1509 წ. მე-15 წელს მისის მეფობისას; აქიდამაც საგულისხმებელია ალექსანდრეს გამეფება და ბაგრატ II-ის სიკვდილი 1484 წელს (იხ. ზემო გვ. 303-304).

. . . . დიდო დედაო ქუეყნისა ღ~თისმშობელო ხახულისაო!... (სრულის მეფურის წოდებულების შემდეგ) ჩუენ მეფეთა მეფემან ალექსანდრე და თანამეცხედრემან ჩუენმან პატრონმა დედოფალმან თამარ და ძეთა ჩუენთა... ბაგრატ ვიგ~ულეთ... შესაწირავი... მოვიდეს წინაშე ჩუენსა დიდისა მონასტრისა მოძ-

ღუართ-მოძღუარი..: ილარიონ, გვეაჯნეს და მოგვაჴსენეს და ხახულისა ღ~ის-მშობელსა შემოვსწირეთ ნაბარევი გაღმა-გამოღმა რავარახმელასა მარგველი-შვილები მათითა შესავალითა, სამძღურითა, ტყითა, ველითა.-. პატრონისა მა-მისა ჩუენისა გ:. ანა (ჩუენისაგანა?) აშენებული და შემოწირული და ჩუენისა სულისათჳს და პატრონისა მამისა ჩ~ნისა სულისათჳს მოგეცით ჩუენის სულის მოძღუარსა და მოძღუ-რთა მოძღუარსა ილარიონს და შ~დ შენსა სხუათაცა. ვისცა ნიშანი ჰქონდეს, ამა სიგლითა გაგვიცუდებია... არ მოგუეშალოს ალა-პი და ერთი მამისა კელაპტარი მამისა ჩუენისათჳს იკანოზისთჳსა და აწ ჩ~ნთჳს დღესა ლაზარობასა გარდაიკდებოდეს ალაპი და ერთი კელაპტრი დაენთებო-დეს (წუევა... სხვათა შორის: „შვიდთა პატრიარქთა მადლითა")... „დაიწერა სი-გელი ესე: ქ~ksa: ას ოთხმოც-და-ჩვიდმეტსა, ინდიკტიონსა მეფობისა ჩ~ნისასა ათხუთმეტსა, კელითა ფანჩულიძის იაკობისათა". (სკეუღად ხელმოწერანი).

**1510 წ.**—ქკ~ს :რჟႱ: ამა ქ~ks მოვიდა თათარი ნოემბერსა :კგ: და და-წუႱს საყდარი ქუთაჲისა და გელათი" (გელათური წ~ა გიორგის XVI საუკ. ხელნაწერი გულანი).

— ქ~ks :რჟႱ: ამა ქ~რნკნსა მოვიდეს თათარნი ნოემბერსა :კკ: და და-წვეს საყდარი ქუთათისი და გელათი" (ეკლ. მუზ. ხელნაწერი პარაკლიტონი № 49 ზებედე-ბერისაგან ივლემოზ კ~ზისთჳს გადაწერილი: ივლემოზ კ~ზი მოკვდა 1578 წ.).

— ქ~ks :რჟႱ: აქა მოვიდეს თათარნი ნოემბერსა :კგ: და დაწვეს ქუ-თათისი და გაელათი (sic). (ხელნაწერი წერა-კითხ. № 252).

რადგან ამ ამბავს სამი უძველესი ქრონიკები თანასმად დასდებენ 1510 წ., ამისგამო ზემო ნაჩვენები ქრონიკები (1508 და 1509 წლის ქვეშე) სანდონი არ არიან.

ამ დროს უნდა ეკუთნოდეს გელათის სასარების წარწერა: „შენ წ~ნო მოწამენო დავით და კოსტანტინე! ოდეს თათარნი მოვიდეს და შენი ტაძარი აღაოკრეს, ხხუა ჩუႱნი საყოფი გაუშვით შენის ტაძრის გასამაგრებლად და ჩუႱნის სულისა საოხად: მივყავით შენსა გალავანსა კელი საშენებლად გ~იმ და დავითა".... (Rap. XI, 46)

— ქკ~ს :რჟე: (უნდა :„რჟჲ": იხ. ქ.-ცხ. II, 266) მარტსა :იბ: მიიცვალა დედოფალი თამარი. აპრილსა :ა: ამავე წელთა (წელსა?) მეფეთ-მეფე ალექსან-დრე მიიცვალა.—ამასვე წელსა შეება ძე მისი ბაგრატ მეფესა ვახტანგს და მზეჭაბუკს მოხისს და გაიმარჯვა თუესა ივნისსა :გ: (ქ.-ცხბით II, გ. 188—1512).—ამავე წელსა მიიცვალა ბატონი დედოფალი ელენე, დედა ალექსან-დრესი ნოენბერსა :გ: (Chron. G. p. 4, იხ. 1512 წ. ქვეშე).

— ქ~ks :სჟႱ: გარდაიცვალა მეფე [ალექსანდრე და დაჯდა] მეფედ ბაგ-რატ (ჟამნი № 2).

— ქ~კს :სჟჱ: მოკვდა მეფე ალექსანდრე და დედოფალი თამარ და დასჯდა ძე მათი ბაგრატ (კას. ქრ.).

**1511 წ.**—ქ~კს :რჟთ: გიორგი კახთა მეფემ მოკლა მამა მისი ალექსანდრე და ძმას დიმიტრის თვალები დასთხარა (კრება ლექსთა).

— ქ~კს :რჟთ: ავ-გიორგიმ მამა თჳსი მეფე ალექსანდრე მოკლა და ძმას დიმიტრის თუალნი დასწვნა, და თჳთ გამეფდა. (კას. ქრ.)

**1511 წ.**—მხედრულად ტყავზე ნაწერი მცხეთის სიგელი № 472 (ნუსხა № :სჲდ:), მიცემული კახთა-მეფის ავ-გიორგისაგან 1511 წ., რომელშიც ავ-გიორგი რაღაც ცოდვებს აღიარებს—ცხადია, მამის მკვლელობას. ამნაირად ეს სიგელი საბოლოოდ ამტკიცებს, რომ ალექსანდრე მოკლულ ქმნილა 1511 წ. და არა 1512 ანუ 1513, როგორც ზოგნი წყარონი მოგვითხრობდეს (იხ. ქვემო 1512 წ.). გარდა ამისა ამ სიგელში მოხსენებულია უცნობი კზ~ი დიონოსი. რადგან 1503—1516 წლებში სჩანს დოროთეოს, ხოლო 1518 წ. 1517, 1527 ბასილი, ამისგამო უნდა ვიფიქროთ, რომ ანუ დიონოსე არის იგივე დოროთეოს და ანუ დოროთეოსნი ორნი ყოფილან: პირველი 1503—1510 წ., ხოლო მეორე შემდეგ 1510 წლისა 1516 წლამდი. აქ მოხსენებული მთავარ-ებისკოპოსი მალაქია შემდეგ კზ~ად დაჯდა (1532 წ. ახლო ხანებს).

„.....ჩუენ.... ორისავე ტახტისა... მპყრობელმან... მეფეთ-მეფემან გ~გი და ძემან ჩემმან საყუარელმან ლეონ (sic)... რამეთუ... აჰაესერა ბრწყინვენ ოთხნავე კერძონი მეფობისა ჩუენისანი... აგარის ნათესავნი მტერნი უკუქცეულ არიან... პაპათაგან გაჩენილსა (მცხეთისადმი შეწირულთა კახეთის მამულთა) დავამტკიცებ... ვათარხნეთ (მცხეთის მამულნი კახეთის)... ჩუენთა ცოდვათა სიმრავლითა და სოფლისა ვითარებისაგან ცოდვისა საქმესა შევესწარ. თქუენ პატრონი ქკზ~ი დიონოსი და მთავარ-ებისკოპოსი მალაქია და პატრონი აბბა ალავერდელი ი~ე (იოვანე) რჯულისა წესითა გამოგუენახენით... გავიგონეთ... და შემოვსწირეთ კუნენელნი ნახევარი სოფელი და ნახევარი უწინაც დიდისა ალექსანდრესაგან შეწირული იყო, და ერწოს სოფელი ჩეკურნი... მამისა ჩუენისა ალექსანდრესთუის (ავ-გიორგისგან მოკლულისა 1511 წ.) კარგალებულსა ალაპსა გარდაიკდიდენ... დაიწერა... ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა ერთსა, ქკ~ს :რჟთ: კელითა იერუბაქისძისა სახლის-უხუცესისა ბეენასითა“. ბოლოს ხელრთვით ამტკიცებს მეფე გიორგი.

ეს ბეენა უნდა იყოს ჩოლაყაშვილი, რომელიც მეფის გიორგის ბრძანებით (1512 წ.) იერუსალიმს წასულა (ალბათ შეწირულობით მეფისგან მამის მკვლელობის შესანდობლად) და იქ ვხედავთ: იხ. ა. ცაგარლის СВѢДѢНІЯ II: ჯვარის მონასტრის ზადიკზე № 71 წარწერა: ქ... ღ~ო აცხოვნე მეფეთა-მეფე გიორგი (ავ-გიორგი † 1513) და მაცხოვნე მე ცოდვილი იერუბახისძე ჩოლოყაშვილი ბეენა. აქა იერუსალიმს მოვიწიე ქკ~ს :ს:“ (1512 წ.).—იქვე წარწერა თთვენზე

№ 60: „ამისა წიგნისა შემკაზმავსა მღდელ-მონაზონს მანასეს შ̃ნ ღ̃ნ... ღ̃ო შ̃ე მეფეთ მეფე გიორგი და აცხოვნე ამის შემკაზმავი ბეენა და მოძღვარი ჩემი ნაომ". ბეენას შეუკაზმავს ხელნაწერი სახარების თარგმანი № 135: „ესე წიგნი ჯუარისა მეფეთ-მეფისა დავითის († 1526) ცოდვისა შესანდობელად მე მისმან მოძღუარმან ოპიზარმან ბერმან ილარიონ დავიკსენ სპარსთაგან" და სხვა წარწერა: „ესე წიგნი თარგმანი მეფისა სახლისა უხუცესმან ბეენამ ჩოლაყაშვილმან შევაკაზმინე ბატონისშვილის გიორგის სადღეგრძელოდ" (ძმა დავით მეფისა). იქვე წარწერა ხელნაწერისა № 138: „ჯუარო პატიოსანო! შ̃ე მეფეთა-მეფე გიორგი და ძე მათი ლეონ! ეს წიგნი მე ჩოლაყასშვილმა ბეენამან შევკაზმე მათითა ბრძანებითა". უკანასკნელი წარწერა ეკუთვნის 1512 წელს, როდესაც აკ-გიორგი ცოცხალი იყო. ხოლო ზემო წარწერაში (№ 135) მოხსენებულნი მეფეთა-მეფე დავით და ბატონიშვილი გიორგი უსათუოდ არიან დავით VIII (1505—1526) და გიორგი, ძმა მისი (მეფედ დაჯდა 1526) და არა აკ-გიორგი (როგორც ჰგონებს ა. ცაგარელი), რადგან ბეენას იერუსალიმში მეოფობაში, 1502 წლიდამ გიორგი გამეფებული იყო და ბატონისშვილობით არ მოიხსენიებოდა.

სამების „სულთა მატიანეში" ჩაწერილია მხედრულად შემდეგი აღაპი №: 117: „სულსა ფ̃დ ცოდვილისა ჩოლოყასშვილის ბეენასსა შ̃ს ღ̃ნ. ა̃ნ. სულსა დედისა მისისა გულზურბისსა შ̃ს ა̃ნ.—№119 მხედრულადვე: „მეორედ:. და:. კუალად:. ფრიად:. ცოდვილისა:. ბეენასა შ̃ს ღ̃ნ. ა̃ნ."

**1511—1513** (ანუ 1548—1585 წ.) ამავე კახთა მეფეს აკ-გიორგის უნდა ეკუთნოდეს შემდეგი გუჯარი, შეტანილი მცხეთის ნუსხაში № :რმზ:, სადაც გიორგი მეფე უბრძანებს, რომ „ჩვენს საბატონოშიდ" (ე. ი. კახეთში) მომავალ „ქართველს მგზავრს" (ე. ი. ქართლელთა) არავინ არა აწყინოთ რაო. რადგან ნახმარებია იმერულად ქცეული „საბატონოშ-იდ", ამიგამო შეიძლება ეს გუჯარი ეკუთნოდეს იმერთა მეფეს გიორგი II-ეს (1568—1585).

„მეფეთ-მეფე გიორგი ვიკადრებ: ვინ-გინდა-ვინ აქ ჩუ̂ნს საბატონოშიდ მომავალი მგზავრი იყოთ, იარეთ, ჩამოდით; თქუ̂ნი გამკითხველი კაცი არავინ არს და ვერცა ვინ რას გაწყენთ... გიბრძანებთ...(მოხელეთა და კარისკაცთა): ქართველთ მგზავრთ არა აწყინოთ რა, თუ არა ჩუ̂ნად სისხლად მოგკითხავთ, იცოდეთ!".

**1512 წ.**—ქვათახევის ტყავის სიგელი № 45.

„ქ· ესე წიგნი გკადრეთ და მოგაკსენეთ - - - მღუიმელსა დედაბერსა ბარბარეს ჩუენ კოტეტიშვილმა თევდორამა და სულიამა... მას ჟამსა, ოდეს დაგუეპირა და ავიღევით შენგან ათასი თანგა და ჩუენ შეგუიკუეთეთ აღაპი მისითა პანაშვიდითა... ქვათაკევის ღ̃თისმშობლის მონასტერსა... დაიწერა ჟამსა მეფეთ მეფობისა პატრონისა [დავითისა]სა. ქ̃კს :ს:. მე ქადაგისშვილს ეგნატეს

დამიწერია.., (მოწამენი: ქვათახევის მონასტრისშვილნი კანდელაკი ნიკოლოზ, ალაპიშვილი დეკანოზი გიორგი).

**1505—1526 წ.**—მცხეთის სიგელი მხედრული № 260. დ. ბაქრაძეს ეს ჯუჯარი შემოკლებულად და შეცდომებით ჩაურთავს ვახუშტის ისტორიაში (გვ. 287) და მე-XIV საუკუნისად მიაჩნია. აქ მოხსენებული კ~ზი იოანე სხვა საბუთებში არა სჩანს დავითის მეფობაში (1505—1526): ამის მეფობაში კათალიკოსობდნენ დოროთეოსს I (1503—1506), დიონოსე (1511 წ.), ბასილ (1517—1528); დოროთეოს II (1516), შეიძლება ამ კათალიკოზებთა შორის იოანეც იყო, დაახლოებით 1516=17 წ.. პალეოგრაფიულის ნიშნებით ეს სიგელი არ უნდა ეკუთნოდეს დავით V მეფობას (1292—1308 წ.). ჩვენ მაინც საეჭვოდ დაგვიდვია ჩვენი ქრონოლოგიური განმარტება ამ სიგლისა. თუმცა მზეჭაბუკის დროს სამცხის ეკლესია მოსწყდა მცხეთას, მაგრამ ყვარყვარე IV-მ ისევ შემოუერთა მცხეთასვე (იხ. ამაზე სიგელი 1518 წ. ქვემე).

„ქ. ... ესე დაწერილი მოვაკსენე... ქართლისა კ~ზსა იოვანეს მე მისმან მონამან და მოწა[ფე]მან თქუენმან გლახაკმან მაწყურელ მთავარ-ებისკოპოსმან ნიკოლაოზ მას ჟამსა, ოდეს,—ადიდენ და დაამყარენ ღმერთმან ძლიერი და ძლეველი (sic) ღ~თივ-გვრგვნოსნობა მეფეთა-მეფისა დავითისი,—შემიწყალეს და საყდარი აწყურისა მიბოძეს თქუენითა თანა-დგომითა და ჯერ-ჩინებითა ~ თქუენ ვითარცა კელითა თქუენითა გაზრდილი და შეწყალებოლი ეგრეთ სიტკბოებით და სიყუაროლით (sic) მაკურთხეთ და მე ამის კეთილის-ყოფისა და სიყუაროლისა თქუენისა სანაცვლოდ, ვითა წესი იყო, ესე დაწერილი და აღთქმა მოგაკსენე: სიცოცხლესა ჩემსა თუინიერ მცხეთისა სახლი და ქალაქი არა აღვიარო და თქუენ მაკურთხევლის ჩემის იოვანეს კ~ზისაგან კიდე სხუასა კათალიკოზსა არა დავემორჩილო, მოძღორად (sic) და მაკურთხეველად ჩემდა წ~ა დედა-ქალაქი მცხეთა და თქუენ იყვნეთ..: (შეჩვენება და „კრულვა", თუ შევშალოთ: „და მე ჯმნილმცა ვარ ამის უმფორისაგან და წირვისაგან" და ვინც შემიწუნაროს ისიც კრული იყოსო),.. ეს ჩემის კელით დამიწერია"...

**1512 წ.**—სიგელი მაღალაშვილთა, მღ. ი. ღიამისგან გადმოწერილი: „ქ... ჩუენ დედოფალმან ელენემ და საყვარელმან ძემან ჩვენმან ლეონ ესე მტკიცე და შეუცვალებელი წიგნი და სიგელი დაგიწერეთ და მოგეცით თქვენ ჩვენთა ერთგულთა ცხეთის საყდრის შვილთა ქადაგის შვილთა მარკოზსა და გიგოსა და თქვენთა შვილთა ზაქარიას და დავითსა და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე მას ჟამსა, ოდეს სულ-კურთხეულსა პატრონსა დიდსა მეფესა ალექსანდრეს სოფელი კუნელნი აღეშენნეს და ნახევარი მცხეთისა საყდრისათვის შემოეწირა და ნახევარი სახასოდვე დაეჭირა, მისმანვე შვილის-შვილმან პატრონმან მეფემან გიორგი მათის სახასოსაგან შვიდი კუამლი კაცი და ორი საგლეხო ნაოხარი მამული გოგიტაური და ნემსიაური ზურის ნახევარი, ხოდა-

ბუნებისა და სახასოს მიწისაგან ნახევარი გიბოძა (იხ. ზემო 1513 წ. ქვეშე). აწ ჩვენცა იმავე წესით დაგიმტკიცეთ. გქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ნახევარი მცხეთის საყდრისათვის შაეწირა და ნახევარი სასეფოთ და სახასოთ იყო; მის ჩვენის სახასოსაგან გიბოძეთ კუნელშიგა შვიდი კომლი კაცი და ორი ნაოხარი მამული გოგიტაური და ნემსიაური და გლეხნი: საყველაშვილი, ოვათელაშვილი, სირენადა და ხუდადა; ჰურის ნახევარი და ხოდაბუნების ნახევარი, წყლის სანადირო და ფაცრის ნახევარი მისით მიდგმითა ყოვლითურთ უნაკლულოდ, გლეხები მათითა მამულითა, ველითა, ვენახითა, სახნავითა. წყლითა და წისქვილითა, შესავლითა და გამოსავლითა დაგვიმტკიცებია. აწ გქონდეს... არა მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა ჩვენს შემდგომ მომავალთა მეფეთა და დედოფალთაგან... დაიწერა... ქ~კს :ს: (ხელითა) დივნისა ჩვენისა სორლატ მიშისათა (ხელ-ჩართული და ბეჭედი თათრული).

**1512** წ.—ქ~კს :ს: მოკუდა ლიპარიტ (დადიანი) და დაჯდა მამია (დადიანთ ქრონიკა.).

— ქ~კს :ს: მიიცვალა გურიელი გიორგი (Chron. Géor.).

— ქ~კს :ს: მოვიდა სარასკარი. მზე ჰაბუკ ათაბაგი მიეგება; იმერეთს ჩავიდნენ; თათართა ქუთათისი და გელათი დაწვეს; და ბაგრატს ვახტანგზედ (თვისს ძმაზე?) გაემარჯვა მოხისს; და კვალად მოკუდა გურიელი გიორგი და დასჯდა ძე მისი მამია; კვალად მოკუდა დადიანი ლიპარიტ და დაჯდა მამია (ვას. ქრ.) ეს ამბები სხვა ქრონიკებში აღნიშნულია 1510 წ. ქვეშე იხ. ზემო.

**1513** წ., 4-ს ივნისს (ქ~ს :სა:) მოხსენებულია მეფე (კახთა) გიორგი (დავით-გარესჯის სიგელი № 197)

**1513** წ.—ქ~კს :სა: აქა მოვიდნენ თათარნი, ქუთათისი და გელათი დაწვეს (შემოქმედის გულანი).—ეს იგივე ცნობაა, რომელიც სხვა უმთავრესს ქრონიკებში აღნიშნულია 1510 წ. ქვეშე. შემოქმედის ქრონიკა XVIII საუკუნეშია დაწერილი და ხშირად სცდება.

**1513** წ.—ქ~კს :სა: აქა ალექსანდრე მეფე მიიცვალა. ამავე ქ~კსა მისი შვილი ბაგრატ მეფედ დაჯდა. ამავე ქ~კს პატრონი მზეჰაბუკ (?) მეფე ბაგრატ მიიცვალა (?) და ვახტანგს მოხისს შეიბნეს. ბაგრატს გაემარჯვა (იგორთის მიდისპირი).

ცხადია, რომ ამ ქ~კებში გადამწერისაგან უკანასკნელი ცნობები არეულია: დედანში ეწერებოდა: „ამავე ქ~კს პატრონი მზეჰაბუკ მიიცვალა (იხ. 1516 წ. ქვეშე). მეფე ბაგრატ და ვახტანგ მოხისს შეიბნეს“ და სხ. კახთ მეფე ვახტანგ † 1510.

— ქ~კს :სა: აქა ქართ[ლის] მეფე დავით დ[ა კახთა] მეფე გიორგი [შეი]ბნეს მუხ[რა]ნს და გიორგი [მეფე] მოკ[ლეს] (ყამნი № 3. ფრჩხილებში ჩასმულები წაშლილია).

— ქ~კს :სა: აქა ქართლის მეფე დავით და კახი მეფე გიორგი შეიბნეს მუხრანს და გ~ი მეფე მოკლეს. ძალისს შეიბნეს" (ყანჩაეთის ტყავის გუჯანი).

— ქ~კს :სა: აქა -- ქართლის მეფეს დავითს გაემარჯვა და კელთ დარჩა მეფე გ~ი" (ყამნი № 2).

— ქ~კს :სა: ქართლის მეფე დავით და კახი-მეფე გიორგი მუხრანს ძალისს შეიბნეს. ქართლის მეფეს დავითს გაემარჯვა და ხელთ დარჩა მეფე გიორგი და დამარხეს სცხეთას. ამ კახმა მეფემა მოკლა მამა და ძმას თვალები დასთხარა (Chron. G. p. 4).

— ქ~კს :სა: ქართლის მეფე და კახი-მეფე [ავ]გიორგი მუხრანს ძალის(ს) შეიბნენ და ქართლის მეფეს დავითს გაემარჯვა და კელთ დარჩა მეფე გიორგი. ამავე წელს მოკლეს მეფე გიორგი („წიგნი ქორონიკონნი").

— ქ~კს :სა: ავ-გიორგი შეიპყრა ძალისს ბაგრატ მეფის-ძემ, ტყვე ჰყო და ტყვეობაში მოკუდა ამავ წელს და კახეთი დავით მეფემ დაიჭირა. სხვაში გწერა: ავ-გიორგი და დავით-მეფე შეიბნენ; დავითს გაემარჯვა: ავ-გიორგი დაიჭირა (კასტ. ქრ.). რომ ავ-გიორგის დაჭერა ანუ სიკვდილი ივნისის 4-ის შემდგ ყოფილა, ამას ამტკიცებს შემდეგი გუჯარი, № 197 (ნუსხიდამ გადმოწერილი):

**1513 წ.**—ივნისის :დ: „ქ... ჩუენ მეფეთ-მეფემან გიორგი... მოგაკსენეთ (წ~ას დავით-გარესჯას)... ჟამთა შლილობისაგან... გამოწირული თქვენი მკვდრი მამული ხოდაშენი, დუდაური და ბაწაწიანი და მახარასშვილნი თავიანთის მზღურითა... ხოდაშენსა და წინანდალს შუა კევი ჩავლის, მას შიგნით... ხარებობას თორმეტსა მღდელსა ჟამსა გვიწირვინებდეთ; სამსა მცხვარსა პურსა, სამს საპალნეს ღვნოს, ხუთს ზურგიელსა, მისსა სანთელსა. . . წ~ის დავითის უდაბნოსა მიიღებდით და ჩუენთვს ადაპსა იქმოდეთ... დაიწერა... ქ~კს :სა: ივნისის :დ:"... (დავით-გარეჯის სიგელი № 197).

**1513 წ.** ეტრატზედ მხედრულად დაწერილი სიგელი სამთავისისა № 68:

„....ჩუენ... ამილახორმა:. თაყამან:. და ჩემმა:. ძმამან:. აღნიამან:. შვილთა და მომავალთა გუარისა ჩუენისათა... შემოგწირეთ:. თქუენ:. დიდსა და ყ~დ პატიოსანსა:. საყდარსა სამთავისისასა და მას შინა ყ~დ ბრწყინვალესა ხატსა ღ~თეებისასა სოფელი ნადარბაზევი მისითა შესავლითა, მთითა, ბარითა, წყლითა, წისქვილითა, ველითა, ვენაკითა, საკნავითა და სათიბითა და კასპს ორი ვენაკი,—ერთი შარვანელაშვილისაგან მოსყიდული და ერთი ჩუენგან აშენებული; და კიდევე რეკს ვენაკი გარეყანული ნასყიდი მოუდევარი მას ჟამსა, ოდეს ჩუენნი ძმანი ზედგინ და შიოშ ამიერ-სოფლით მიიცვალნეს და ჩუენ მათთვს სასულიეროდ შემაგწირეთ თქუენ ხატსა ღ~თაებისასა... და დავადგინეთ მწირველად და მეეკუდრედ ბეშქენას ძე მოძღუარი (sic) მარკოზ და მისი შვილი დანიელ, შვილნი და მომავალნი მათნი ყოველნივე ასრე და ამა წესითა, რომე ორნი მწირველნი თორმეტთა საუფლოთა ‍ჱ დიდთა მარხვათა

მათთათჳს წირვიდენ: ერთი მღდელი შიოშისთჳს და ერთი ზევდგინისთჳს, და ორსა კანდელსა დაუვსებლად აანთებდეს და სოფელი და ვენაჴი კელშეუვლელად მათ ჰქონდეს და ოთხსა ალაპსა კარგადებულსა და ყოვლითურთ უნაკლულოსა იქმოდენ სეკდენბერსა ერთსა, და საბაობასა ზევდგინისთჳს გარდაიკდებოდეს ალაპი და თევდორობასა დიდსა ხუთშაბათსა შიოშისთჳს.... განგვითავისუფლებია (კენახ-სოფლები) ყოვლისა საჩუენოსა სათხოვარისა და გამოსაღებისაგან: საბალახის მეტი, ერთის დღის ხვნის მეტი და ერთის დღის მკის მეტი არასთანა არა ეკითხებოდეს: არა ზროხა, არა საკლკვი, არა პური, არა ღვინო, არა საჯინიბო, არა საახორსალო (sic), არა საბაზიარო, არა სამლაშე და არა სამთო; არაფერი საჩუენო სათხოვარი და გამოსაღები საყდრისა და მეეკვდრის მეტი.—და თქუენ ღ͠თივ გჳრგჳნოსანნო მეფენო და ყოველნივე კარისა მათისა ვაზირნო და მოსაქმენნო! ყოველივე, გევედრები, დაამტკიცეთ.... და თქუენ, წ͠ო მეუფეო ქართლისა კზ͠ო და ყ͠ნო მღდელთ-მოძღუარნო, ყოველთავე უჯუარობითა დაამტკიცეთ... დაიწერა... ქკ͠სა :სა: (და ზედვე ხუცურად) კელითა ყოველთა დაბადებულთა უნარჩევესისა ვლახაკისა გრიგოლ შეარმაულისათა“. მეორე მხარეზე სხვა ხელით აწერია: «ქ... ესე ხანთა გასათავებელ წიგნი გიბოძეთ ჩუენ ბატრ-ნმა ამილახორმა ბარზი და ჩუენთა შვილთა ბატონმა თაყამან თქუენ არსენს და შვილთა თქუენთა: გედეონს, მარკოზს, ბარნაბას და გიორგის, ელისეს და მომავალთა ყოველთა სახლისა თქუენისათა მას ჟამსა, ოდეს კარსა მოგვიდეგით, გვიაჯენით და სიგელი მოგვიტანეთ.... სიგელი წავიკითხეთ: ჟამთა ვითარებისაგან მამული დაგკარგვოდა; ნახევარი აღარა გქონდა და ჩუენთა მამაპაპათა ერთის ალაპის მეტი არ ექნევინა და ჩუენ მოგიმატეთ და ორი ალაპი დაგდევით; ერთი კანდელი; ექუს საუფლოს დღეს ერთი მღდელი ჟამსა წირვიდეს: სამს შიოშისთვის და სამს ზედგინისთვის.... შენს მამულზე არა დავდევით რა, რაც პირველს სიგელშიგა არ ეწეროს.... დაიწერა.. ქ͠კსა ტა (1613 წ.) მარტსა ცამეტსა“.

თაყა ზედგინიძე ამილახორი, თანამეცხედრე მისი ფანასკერტელის ასული ულუმპია, ძე ამათი მონაზონი თომა, ძმა თაყასი ალნია (იხ. კიდე ჩემი «სულთა მატიანე» სამებისა. ზემო გვ. 206 და ძველ ამილახვრებზე ცნობანი გვ. 213—4. გვ. 205—6; 217: 218; 225, 229, 240—1; 266—7; 297).

**1514** წ. მცხეთის სიგელი № 351 (ნუსხა № :ივ:), თავი აკლია. გუჯრის ზურგზე მეტად გაურჩევლად აწერია: „ზებტე ქ. ანდერძი“ (ზებედეს ანდერძი? ზებედე კზ͠ად იყდა 1610 წ., მაგრამ ეს სიგელი 1514 წლის თარიღისაა):

„ - - - და შემოგწირეთ ჩუენი მკვდრი ყმა ნასყიდი ფრიალიშვილი ასე ამა წესითა, რომე მამული წილკნისა აქვს და თვთო მისი სახლის-კაცი ქკ͠ზს გაუყრელად იახლოს და თუ კზ͠ს ეპრიანებოდეს, რომე ფრიალიშვილი წილკნით აჰყაროს და სხუაგან დაასახლოს, მისი გამომნახავი ვერავინ იყო(ს), ვერცა წილკნელი... კიდევე შემოგწირეთ ახალუბნით ათი კაბიწი პური.....

ყ˜ლსა წელიწადსა ათ-ათსა კაბიწსა უკლებლად ახალუბნით მოგცემდეთ და პური იგი სანთლისათჳს გაისყიდოდეს და საყდარს შეიტანებოდეს... დაიწერა... ქკ˜ს :სბ:

**1516 წ.**— სიგელი მცხეთისა № 8, მხედრულად:

„ . . . ჩუენ - - - მეფეთ-მეფემან... ღ˜თ და ძემან ჩ˜ნმან დიმიტრიმ (sic) ესე მტკიცე... სიგელი... შემოგწირეთ სოფელი დისევი... თქუენ სუეტსა-ცხოველსა და ქკ˜ზს დოროთეოს(ს)... თვესა აპრილსა :იგ: ქკ˜ს :სდ:“ (sic). ბოლოს ხვეულად: „დავით მეფეთა-მეფე ვამტკიცებ ნებითა ღთისათა“.

**1516 წ.**—ქ˜კს :სდ: აქა დიდი მზექაბუკ მიიცვალა:. ათაბაკი:. (წერა-კითხ. ხელნაწერი № 252).

— ქ˜კს :სდ: აქა პატრონი მზექაბუკ მიიცვალა (ყანჩაეთის გულანი).

— ქ˜კს :სდ: აქა პატრონი მზექაბუკ მიიცვალა (ეკ. მუზ. № 85).

— ქ˜კს :სდ: აქა დიდი მზექაბუკ მიიცვალა ივნისის :გ: (ყამნი № 2).

— ქ˜კს :სდ: აქა პატრონი მზექაბუკ მიიცვალა (წ˜ა ნიკოლოზის ქრ.).

— ქ˜კს :სდ: მიიცვალა ბატონი დიდი მზექაბუკ ათაბეგი ივნისსა :გ: (Chron. Géorgiène, p. 4.)

— ქ˜კს :სდ: ათაბაგი დიდი-მზექაბუკ მოკუდა და დასჯდა ძე მისი ყვარყვარე (კახ. ქრ.—რომ ყვარყვარე ძე არ იყო მზექაბუკისა, არამედ ძმისწული მისი ქაიხოსროს შვილი, ეს ჩვენ ზემო დავამტკიცეთ; ხოლო უმეტესად მტკიცდება თვით ყვარყვარე IV-სგან მიცემულის სიგლითა, მისგანვე ხელმოწერილით, რომელიც დაბეჭდილია ქვემო 1518 წ. ქვეშე).

**1517 წ.**—მცხეთის სიგელი № 582, მხედრული, რომელშიც პირველად მოხსენებულია კ˜ზი ბასილი (1517—1529 წ.):

„...ესე... სიგელი... მოგაკსენეთ თქუენ... (მცხეთას) და... კზ˜ს ბასილის ჩუენ ჭავჭავასძეთა როშნიას შვილთა: ზალ, დასტან, მანუჩარ და გიორგი... ოდეს ჩუენი ძმა შემოგუაკუდა... შემოგწირეთ მისთჳს... (საკანონოდ) ახალ-კალოს ჩუენნი მკჳდრნი ყმანი ლურსას ძენი... და ახმეტას ვენაკი... ,რისაც მამულისა (იქ მსხდომნი გლეხნი) მქონებელნი ყოფილან... დაიწერა... ქკ˜ს :სე:“. ბოლოს სხვა კალმით: „ახლად ჩუენ გიორგის შვილნი (ჭავჭავაძენი) გარსევან და ბეჟან შევეცილენით ლურსას ძეს სამნიას მამულსა... ესე სიგელი მოიტანეს (ლურსას ძეთა)... შევიკდიმეთ... და... კიდევე შევსწირეთ“.

**1518 წ.** ამილახვარი ბარძიმ და ძე მისი ფარემუზ სოფელსა ზე-დრდულეთს სწირავს საყვირეთის ღ˜თის-მშობლის ხატს (ბორჩალოში): იხ. საყვირეთის სიგელი № 1. იმავე ეკლესიის სიგელში № 2 მოხსენებულნი არიან 1538 წელს ბარძიმ, ფარემუზ და იოთამ ამილახვრები.

**1518 წ.** — მცხეთისავე სიგელი № 102 (ნუსხა :ტგბ:). თავი აკლია და ფრჩხილებში ჩასხმულები აღდგენილია ნუსხით № :ტგბ:

[სახელითა ღთისათა] ჩუენ დიდთა ათაბაგთა ნათესავმან, სახელ-განთქმულისა ყუარყუარეს ძისწულმან, პატრონისა ქეიხოსროს (sic) ძემან, პატრონმან ათაბაგ-ამი-სპასალარმან ყუარყუარე (IV-მ) ესე წიგნი გკადრე და მოგაკსენეთ... თ~ქნ ყ~თა ჩრდილოეთისა კედართა შ~ს უაღრეს და უაღმატებულეს უდიდებულესსა წ~ა კ~კე საყდარსა მცხეთასა და მას შინა სუეტსა ღ~თივ აღმართებულსა, კუართსა სამეუფოსა და მირონსა წ~სა და თქუენსა საჳეთ-მპყრობელსა ქ~ეს მიერ ყოვლისა საქართველოისა პატრიარქსა ქ.:კ~ზსა: ბასილის მას ჟამსა, ოდეს პატრონი მეფე და პატრონი ბიძა ჩემი შემდურდეს (იხ. ზემო გვ. 316—7) და მან სამცხის საებისკოპოსონი უკუიჳირნა; აწ იპრიანა ღ~ნ და ჩუენ კიდევე მივანებეთ კათოლიკე საყდარსა კზ~სა და მოგუიკსენებია ასრე და ამა წესითა, რომე რაგუარაცა ამას წინა ყოფილა, იმავე წესითა რაცა ჩუენსა საბატონოშიგან ებისკოპოსნი იყუნენ პატრონისა კზ~ისა მორჩილნი იყვნენ და კზ~ისა კელითა იკურთხეოდენ. ვარძიის მოძღუარი და ვარძიის შესავალი, მღდელნი და დიაკონნი ძუელადაც მცხეთას კურთხეულან და აწცა კზ~ისაგან იკურთხეოდენ და რაცა ჩუენსა საბატონოშიგან მცხეთის საყდრისათჳს შეწირული ყოფილა, ანუ პარხალის მონასტერი და ანუ სხუა მამული და გლეხნი, რაგუარცა ძუელად ყოფილა, ისიცა იმავე წესითა მოგუიკსენებია და შემოგჳწირავს ჩუენთჳს სადღეგრძელოდ და ცოდვათა ჩუენთა შესანდობელად:. დაიწერა:. ქ~კ~სა:. :რვ:" ხელრთვა: „ყუარყუარე".

**1518 წ.** — ქ~სა :სვ: წამოვიდა ყაენი ქართლისა ოკრებად. მეფემან დავით თჳსი შვილი გაუგზავნა (ქ. № 2).

— ქ~ს :სვ: ყაენი წამოვიდა ულუსითა საქართველოსა; საქრისტიანოთა ხატთა და ჯვართა ყველასა ატყუ(ე)ვებდეს. პატრონმან მეფემან დავით თავისი შვილი რამაზ თათარში გაგზავნა და ყაენს წინ მიაგება და დაიხსნა საქრისტიანო (chron Gé. p. 5.)

— ქ~ს :სვ: ყეენი წამოვიდა ლაშქრითა დიდითა ქართლს ასაოხრებლად და პატრონმან დავით მეფემან თავისი შვილი რამაზ გაუგზავნა ყეენს და დაიხსნა ქართლი („წიგნი ქორონიკონნი").

**1518** — სვ. ყეენი წამოვიდა ქართლს ოხრებად. დავით მეფემ ძე თჳსი მიაგება და დაიხსნა ქართლი და საქრისტიანო ტყვეობა-ოხრებისაგან; და ავგიორგის ძემ ლევან კახეთი დაიჭირა (ვახ. ქრონ.).

**1519 წ.** — ქ~სა :სზ: გელათს ეპისკოპოსი დამჯდარა (ქვ. მუზ. № 186). — შემოქმედის გულანში ეს ამბავი აღნიშნულია შეცდომით. 1525 წ. ქვეშე.

— ქ~ს :სზ: მიიცვალა დიდის მონასტრის გენათის მოძღვარი ილარიონ

პატრონნი თვესა მაისსა :ვ: და გორის ჯვარით აქა გენათს მოასვენეს და ამასვე ქორონიკონსა მიიცვალა მეფის ბაგრატის შვილი (თეიმურაზ?) მუცლის ტკივილითა.

— ქკ῀ს :სზ: გელათი საეპისკოპოზოდ ჰყვეს, საყვარელიძე მელქისედეკ დასვეს;—და დავით მეფე ლევანს მოადგა მაღრანის ციხეში მყოფს (ვახუშტის ქრონიკა).

**1519** წ. ამ წელს უნდა იყოს დაწერილი „ზესთა არსისა... და ცათა მობაძავისა დიდისა საყდრისა ჩუენისა ახლისა იერუსალიმისა გენათის სამწყსოჲსა და საეპისკოპოზოის განაჩენისა და სამზღურისა“, რომლის პირი ჩვენ ხელთა გვაქვს. თჳთ ასლი ჩვენ ვერ ვიპოვნეთ გელათის გუჯრებში და ამისგამო აქ ვბეჭდავთ მისს პირს. რადგან სიგელი მეტად გრძელია, ჩვენ აქა-იქ ვამოკლებთ და შესამოკლებლად ცხრილებშიაც ვსხამთ და ციფრებს ვხმარობთ სიტყვების მაგიერ. სიგელს მრავალგვარი მნიშვნელობა აქვს, უმეტესად შინაურულ წეს-წყობილებათა გამოსაგნობათ:

ქ . . . . . . . (ფრიად გრძელის ღვთის-მეტყველურ წინასიტყვაობის შემდეგ) ჩუენ, მეფეთა შორის ჩინებულმა მეფემან ბაგრატ, მპყრობელმან ყოვლისა ზემო-ქვემოისა საქართველოჲსა და აბხაზ-იმერეთისამან და თანამეცხედრემან ჩუენმან... ელენე და ძეთა ჩნ῀თა, ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ და გელათის არესა შორის აღმართებულსა საყდარსა შვიდწილ უძლეველისა მოწამეთა მხნის გიორგისა და საძლეველსა ჩ῀ნსა, და გამოვიკვლიეთ თჳსი დაკარგული მამული, აგარაკნი და შევწირეთ........ აწ მრავლითა გულსმოდგინებითა კელვყავით საყდრისა და მონასტრისა წ῀ისა გიორგის მეორედ აღშენებად და ოდესმე სადედოფლო ყოფილიყო და აწ ჩ῀ნ სამარხოდ და საძუალედ შევქმენით. აღვაშენეთ და შევამკევით ხატითა, წიგნითა და კანდელითა, კელეპტრითა, სანთლითა, საკმელითა და მამულითა და მივიღეთ პატივი მას ზ῀ა... და დავადგინეთ მოძღუარი და დავსდევით ენქერი (ე. ი. საეპისკოპოსო კათედრათ გავხადეთო?) და განვაჩინეთ მწირველად ჩუენთჳს და დავსდევით წირვა წელიწადთა შინა თორმეტთა საუფლოთა დღეთა და სხვათა დღესასწაულთა.

აგრეთვე ვქმენით მოკითხული წ῀ის გიორგის სად და რა არს ძველად შეწირული მამული, ჟამთა-ვითარებისაგან მოშლილ იყო და დაკარგულ იყო და რაცა ოდენ მოვესწრენით და შევიტყვეთ, ისიც შემოვკრიბეთ და რაც მოძღუარისათჳს დადებულის ძლუენისა სიგლებთაგან ეწეროს რაც მათგან განწესებული სამსახური იყოს, ნურც ამ საყდრის წინამძღუარსა მოეშლება.

არის გელათს ზღუდისა გარეთ საბას მოძღურისეული სენაკი მისითა ჴურ-მარნითა, ვენაკითა, სახარდნითა, საბოსტნითა და კ῀დ მის ქვეშეთ ერთი მისითა სახლითა, კარითა, ჴურითა, მარნითა, ვენაკითა მისითა სარჩომითა.

ოხომირას გლეხნი ვირსალაძენი ოთხნი, იბრიალაძენი კუამლნი ორნი და პარტახი ორი, მართებს:

| | თეთრი, | ღვინო კოკა; | პური კოდით: | ქათამი: | ძღუენი: |
|---|---|---|---|---|---|
| მასაუტას ბრიალაძესა | —10 | —10 | —1 | —1 | —2 |
| მამისთაველა ვირსალიძეს | —10; | —10; | ლომი 1; | —1 | —2 |
| ნასყიდას ვირსალაძეს | —10; | —10; | —1 | —1 | —2 |
| ზაქარ ვირსალაძეს | —10; | —10; | —1 | —1 | —2 |

ჯონია მემნაძე კუამლი ერთი; არის ნაბოსლევს კუამლი ერთი, მახარაკოზლს მართებს თეთრი ათი; ღვინო კოკა ათი; ლომი ნაოთხალი ერთი; ძღუენი ორი. ვურევს (?) ჭალაგანიძე კუამლი ხუთი, კაკაბაძე კუამლი ერთი, ჭალანგირის ძე პარტახი ერთი, კიდევ ჭალანგირიძე პარტახი ერთი; კიდევ ჭალაანგირიძე პარტახი ორი; კაკ[აბა]ძის პარტახი ერთი არის. მანდიკორს გაბადაძე კუამლი ერთი, კახიძე კუამლი ერთი; პოლევის ტყის ქათამაძე კუამლი ერთი, ოვრებლიძე კუამლი ერთ.ა.

| | თეთრი: | ღვინო კოკა: | ძღუენი: | ქათამი: | ლომი კოდით: | მუშაობა: |
|---|---|---|---|---|---|---|
| მართებს: ინანა ჭალანგირიძესა: | — 6, | — 1, | —1, | | 1/4 | სამსახური |
| გიორგი კოველაძესა: | — 6; | — 3; | —2; | | 1/4 | „ |
| მიქელა ჭალანგირიძეს: | — 6; | — 3; | —2; | „ | 1/4 | |
| კახიძეს: | 11 | — 5 | —2 | „ | 1/4 | |
| რიონს ნაცვალს მაბრიკაშვილს: | 20; | 20 | „ | | 1 კოდი | ცხენით სამსახური |
| გრიგოლა მაბრიკაშვილს: | 20; | 20; | „ | „ | 1 | „ |
| ტატუასა: | 3 | 3 | 2 | „ | „ | |
| (სორმონს) დემეტრაძის შვილსა გოჩიას: | 6 | 4 | 2 | „ | 1/4 | მუშაობა |
| შოშიას ქალმაძეს: | 13; | 7 | 2 | 4 | 2 | |
| გოჩიას ფურცხვიანიძესა: | 11 | 7 | 2 | 4 | 2 | |

| | თეთრი: | ღვინო კოკა: | ძღუენი: | კოდით ლომი: | ქათამი: | მუშაობა: |
|---|---|---|---|---|---|---|
| გოჩიას კებალეს | 17 | 7 | 2 | „ | 4 | მუშაობა |
| ნასყიდა ფუცხვანიძეს | 11 | 9 | 2 | 1 | 4 | |
| ნასყიდა ფურცხვიანიძესა (?) | 6 | 4 | 2 | 2 | 4 | |
| გ῾ი ფურცხვიანიძესა | 11 | „ | „ | „ | „ | |
| ოქროპირ სილოვაძესა | 10 | 7 | 2 | 3/4 | 4 | „ |
| ოქროპირ სილივაძეს(?) | 10 | 10 | „ | 1 | 4 | მუშაობა |

აგრეთვე ვენაკები შეგვიწირავს კელშეუვალად და განთავისუფლებით თვნიერ ნადირობისა და ჯევლაჲ ნუ დაგვაკლდებინ. ამ ჩვენგან შეწირულსა სოფელსა და გლეხთა სხუა კარიდამ გამოსავალი სათხოვარი არა ეთხოებოდეს: არა სამეფო, არა სადედოფლო, არა პური, არა ღვნო, არა საკორცე, არა ძრო-

ხა-საკლავი, არა საციხისთაო, არა საჯინიბო, არა საბაზიერო, არა ლაშქრობა, არა ულაყი, არა გოჭი-ქათამი, არა საყოლიარს (სასოარსალარო?) არაფერი არ ეთხოვებოდეს; და რა ვენაკები პირველად საყდრისა ყოფილიყო და თუმცა ჟამთა ვითარებისაგან გამოყავდა (გამოგხმოდა?) და ღოღობერიძეს დაეპირა და აზნაურშვილად შექმნილიყო და ამის უკანას ჟამად აშლილობისაგან მეეციძეს ეშოვნა და მერმე მეეციძესა მრავალი ჩვენი საქმე და უპატიობა შევარდა და ჩვენდა საუპატიოდ გამოვართვით და ჩვენ სულისათვს შევწირეთ. ამისთვს გამოხვებასა და მოშლასა არავინ გვემართლების. ვენაკები ძუელად ორი ფუძე ყოფილიყო და ცოტად ადგილი ჰქონოდა და სასვიმონეთის შარას იქით ვერ გადამოვიდოდეს. აწ აშენდა ისინიცა და განმრავლდეს; სხუა გუარნი კაცნიცა ბევრნი დავასახლეთ და საჰმელად არ ეყოფოდა და ჩუენ ჩუენი მივეცით. სასვიმონეთის შარას აქეთ საჰმელად მივეცით ჰიშურას საგოდოგნო შარა რომ წაყვება, მრავალწყარო ზეითი სვიმონეთის მზიურასას მიადგამს. ამას აქათ ჩუენი მიგვიცემია და შეგვიწირავს; ჰიშურას გაღმა სათევზე ღრუდო შეგვიწირავს, ჰალასთავი სოფელი, ჰალანგირიძე ფუძე ერთი და კუამლი ორი; ერდაველიძე ფუძე ერთი და კუამლი ორი, ერდაველიძე ფუძე ერთი, ბარბარე კუამლი ერთი; ბენიძე ფუძე ერთი და კუამლი ორი; ჰვიტაძე კუამლი ერთი; მიანიძე კუამლი ერთი.

მართებს კუამლზედა თითოს თორმეტი გოდორი ღომი, 12 კოკა ღვინო თორმეტიანი, 20 ლიტრა შემავალი ხორბალი. არის ნავენაკებს სასახლე და გამოსავალი მოსაკრებლობა; მართებს მამისთვალსა ზაქარიასა საჰუბეს ძესა 20 თეთრი, 21 კოკა ღვინო, 11 გოდორი ღომი.—კიდევ დავსდევით შეგიალნა ბატონმა მუშაობა, მისთვს თითო კოდი პური, თითო კოდი ქერი, ორი ქათამი, თითო ძღუენი და ქათამი. მართებს მამუკას ხოჰობერიძეს 20 თეთრი, 24 კოკა ღვინო, 11 წონა ღომი, 2 კოდი პური, 2 ქერი, 2 ქათამი, ძღუენი და მუშაობა.

| მართებს: | თეთრი: | ღვინო კოკით: | ღომი: წონი: | პური: | ქერი: | ქათამი: | ძღვნად: | მუშა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მამისბედას ხაჰობერასძეს | 20 | 24 | 11 | 2 | 2 | 1 | 1 | ა |
| ნინიას ხაჰობერაძეს | 20 | 24 | 11 | 2 | 2 | 2 | 1 | |
| მახატას ხაჰობერაძეს | 10 | 12 | 6 | 1 | — | 2 | 1 | ლ |
| დათიკასშვილს ხაჰაბერაძეს | 10 | 12 | 6 | 1 | 1 | 1 | 1 | |
| ცოტნიაშვილსა გოჩია ბაზაძეს | 13 | 11 | 8 | 1 | 1 | ქათამი | — | ჲ |
| ბაზაძეს გოჩიას | 1 | 12 | 6 | 1 | — | | — | |
| მახარობელა ბაზაძეს | 20 | 24 | 11 | 2 | 2 | | — | ა |
| ხუტიასა ბაზაძეს | 20 | 24 | 11 | 2 | 2 | სამ-სამი | — | ღ |
| გოჩიას ბაზაძესა | 10 | 12 | 6 | 1 | 1 | | — | |
| ხოსიას ბრეჰაძესა | 20 | 24 | 11 | 2 | 2 | | — | ჟ |
| გოჩას ლაბაძესა | 10 | 11 | 6 | 1 | 1 | ძღვნად | — | |
| როსტოვანას სალაძესა | 10 | 11 | 6 | 1 | 1 | | — | ლ |

ყველას ნავენახებს (ნაკენახებს?) ტვირთი მართებს; ოფჩელებს კუამლზე თითო

საკლავი, ორი კოდი ღომი, ჯუმლად ყველასა ათი მარჩილი თეთრი, ასი კოკა ღვნო, თერთმეტი ლიტრა მარილი.

კ˜დ გკადრეთ და მოგაკსენეთ და შეგწირეთ ჩუენგან ნასყიდი ნიჯარაძისეული ფარცხანაყანევს კუჭუხიძენი კუამლნი ოთხი და კუჭუხიძის პარტახი სამაჭრობო ორი. მართებს კუჭუხიძეს მიქელასა თეთრი ოცი, ღვინო კოკა ორმოცი; საკლავი ერთი, ქათამი ორი, ღვნო კოკა სამი. კაცი დაესახლებოდეს, ვინ გახმარებდეს და როგორც კაცი დაესახლოს, რაც იმ ალაგსა ბეგარა მართებოდეს, იმას გამოიღებდეს.

კ˜დცა გკადრეთ და მოგაკსენეთ და შემოგწირეთ ჩუენგან ნასყიდი იმავე ნიჯარაძისეული მაღლაკს გლეხნი ოთხი. მართებს ბეგარა ესე:

დემეტრას: 20 თეთრი, ღვინო 40 კოკა, ბატკი 1; ღომი ნათხალი, ორი სამაჭრო თეთრი. მართებს მებურნიშვილსა თედოს თეთრი 10, ღვინო 40, ბატკი 1, ღომი გუერდი. მართებს უმახაშვილსა აბესალაძეს თეთრი 20, ღვინო დიდის კოკითა 50; ღომი ნათხალი ორი და ურემი ერთი; სამაჭრო: საკლავი ერთი, ქათამი ორი, ღვინო კოკა სამი, ბატკი ერთი, სამაჭრო თეთრი ორი. მართებს ლექხენიძეს გიორგასა თეთრი 10, ღვინო 20, ბატკი ერთი, სამაჭრო საკლავი ერთი, ქათამი ორი, ღომი ნათხალი ორი, სამაჭრო თეთრი ორი.—იმავე ნიჯარაძისეული ჩუენგან ნასყიდი დოლაძეს მამუკას მართებს თეთრი 10, ღვინო კოკა ორმოცი, ღომი ნათხალი ოცი, სამაჭრო საკლავი ორი, ქათამი ოთხი, ღვინო 6, ბატკი 2.

ესე ცხრა კუამლი კაცი და ორი პარტახი ნიჯარაძესა ესტატეს ლაშხიშვილისათვს ნასისხლად მიეცა და ლაშხისშვილისაგან ჩუენ ვიყიდეთ ჩუენითა თეთრითა. ესე ნიჯარაძისეულნი ნასყიდნი გლეხნი ფარცხანაყანევს, ქუტირს და ნამაშევს ვიყიდეთ მათითა მამულითა ეკლესიისათა (ეკლესიითა?) სასაფლაოთა, წყლითა, წისქვილითა, ვენაკითა, ყანითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, ჭალითა, სათევზითა, მთითა, ბარითა, შესავალითა და გამოსავალითა, საძებრითა და უძებრითა, ზურითა და მისითა სამართლიანითა ყოვლითურთ უცვალებელად.

კ˜დცა გვარდეთ და მოგაკსენეთ და შემოგწირეთ ფარცხანაყანევს მარდალაშვილები ფუძეთ ერთი და კუამლი რვა... (თითოსა კვამლს ჰმართებია ორმოც-ორმოცი კოკა ღვინო და ორ-ორი თეთრი, სხვა არა-რა), პარტახი ერთი; ვინც აშენებდეს ოც კოკა ღვინოს გამოიღებდეს, და როგორც კაცი დაესახლოს, როგორც თითოს სხუასა ბეგარა ემართოს, ეგრევე ის გამოიღებდეს. ორი პარტახი; სხუა და ვინა ჰამდეს, ან მინდორის ან ტყისა ღალას გამოიღებდეს. თუ კაცი დაესახლოს, მართალი ბეგარა ქმნას. ეს გლეხნი მარდარაშვილები ჭილაძეს ზითვათ მიეცა მხეციძისათვის და მხეციძისაგან ჩუენ ვიყიდეთ ჩუენითა თეთრითა. ამას გარეთ იმავე მხეციძისაგან ვიყიდე მისი სამკვდრო მამული მესხეთს გლეხნი კუამლნი სამნი და პარტახნი ერთი. მართებს:

ღანდურიძესა ვარსიმესა თეთრი ოც-და-ათი; ღვინო კოკა სამოცი, ღომი ნათხალი ექვსი; — ღანდურიძესა ივანასა თეთრი ათი; ღვინო კოკა ოცი;

ღომი ნაოთხალი ორი. ეს ასრე ჩნ̃გან ნასყიდი არის: მხეციძის ჯანგარიშვილ-სა ჴისის ბიძის სასისხარი საქმე შეუძდა და იმაჴიგან დასჭირდა და რითაც გული შეუჯერდებოდა, სრული ფასი მიეცა.

და ვიყიდე ფარსმანაყანევს მარადაშვილები კვამლი რვა და პარტახი სამი და მესხეთას ღადურიძენი კუამლი სამი, პარტახი ნახევარი მათითა მამულითა, ეკლესიითა და სასაფლაოთი, წყლითა, წისქვილითა, ველითა ვენაკითა, ყანითა, სათიბითა, ტყითა, სანადიროთა, ჭალითა, თევზითა, მთითა, ბარითა, შესავალითა, გამოსავალითა, საძებრითა და უძებრითა.

ჯოლემს უყრემლიძე კუამლი ერთი; რიონს მამრივიშვილი ნაცვალი და მისი განაყოფნი კვამლნი სამნი და ზემოქვიტირს ფეტვშვლინიძე კუამლი ორი. ესე გლეხნი ღოღობერიძის ციხის თავის მკვდრი მამული იყო და უშვილოდ გარდაკდა და ჩუენ ნაშვილოამი მომეცა (უშვილოდ ამოკარდნილთა მამული სამეფოდ ანუ სახაზინოდ რჩებოდა) და ჩ̃ნ ჩნ̃ის სულისთჳს შევსწირეთ.

რაც ამა სიგლითა მამული და გლეხნი, სოფელნი და დაბანი შეგვიწირავს და მიგვიბარებია ჩუენ მოძღვრისათჳს და საუკუნონი წირვა და ლოცვა განგვიჩინა, ეს ნურაოდეს მოგვაკლდეს ჩ̃ნ მეფეთ-მეფესა ბაგრატსა და თანამეცხედრესა ჩ̃ნსა დედოფალთა-დედოფალს ელენეს.... აწ ესე ჩ̃ნგან ბრძანებული სიგელი და იადგარი მტკიცე და უქცეველი.... თქუენ წ̃ნო მეუფენო აბხაზეთისა და ქართლისა კათალიკოზნო, თქუენცა ასე დაუმტკიცეთ.... და ყ̃ლნო კარისა ჩნ̃ის ვეზირნო და გამგენო, ათაბაგ-სპასალარო, დადიან-გურიელო, სვანთ ერისთაო, მანდატურთ უხუცესო და ყ̃ლნო ერისთავნო, ქუთაისის ციხისთავნო და ლიხთ-ამერის და ლიხთ-იმერის ციხის-თაო და ყ̃ლნო კარისა ჩნ̃ისა წარჩინებულნო, მალისა, ხარჯისა და ძროხის საკლავისა მკრეფელნო და ყ̃ლნო კარისა ჩნ̃ისა მოსაქმენო და მოკელობისა მქონებელნო, არ ვისთჳს გვიბრძანებია ამა ჩ̃ნგან გარიგებულის სიგელისა შლად და ქცევად თჳნიერ შეწევნისა და თანამდგომისა".... (შემდეგ გრძლად წყევა შემშლელთა-ზედა).

უნდა შევნიშნოთ, რომ ამ გუჯრის სათაური არ ეწყობა მისს შინაარსს, რადგან ეს გელათის სიგელი არ არის, არამედ გელათურის წი̃ს გიორგისა. ჩვენ გვინახავს პირი გელათურის იადგრისა, რომელიც ახლა ხელთ არა გვაქვს და რომელშიც ვრცლად აღწერილია სამხლვრები გელათში დაარსებულის საეპისკოპოზოსი. ეტყობა, გადამწერს რაღაც აურევია. ჩუენგან დაბეჭდილს სიგელში სრული საბუთი არ იპოვება იმისი, რომ იგი უსათუოდ ბაგრატ III-ს ეკუთნოდეს და მასში მოხსენებული ბაგრატ მეფე არ იყოს ბაგრატ II იმერეთისა, როდესაც სიგელში დასახელებულნი ძველნი გვარნი მხეცისძენი მძლავრობდენ. (ჯანგამ მხეცისცე, სარგისისძე, იხ. 1519-1529 წ. ქვეშე).

**1519 წ.** ამ წელს, ანუ ცოტაოდენ ადრინდელს დროს, დაწერილია უთარიღოსიგელი გელათისა №: 50 (რეესტრი № 8968), წარჩინებულის მსედრულით ტყავზე ნაწერი, რომელშიც მოხსენებულია გელათის მოძღუართ-მოძღუარი ილარიონ,

ცნობილია, რომ ეს ილარიონ მოკვდა 1519 წ. მაისის 6-ს და მაშასადამე სიგელი ეკუთნის ბაგრატ III-ს, თუმცა მისი სახელი გუჯრის დაზიანებულობისა გამო შიგ მოხსენებული არ არის. ეს უმეტეს მტკიცდება იმათაც, რომ გელათის სიგელში შენახულა ძველი პირი ამ გუჯრისა, ხუცურად გადაწერილი XVIII საუკ. ხელით №№: 139 და 678, სათაურით: „დავთარი ბალახვანისა," სადაც თავი სიგლისა სრულად იკითხვის და გამოაჩენს, რომ სიგელი მიცემულია ბაგრატ მეფის-მიერ. სამწუხაროდ ჩვენ ამ უკანასკნელის სიგლის განხილვის დროს ვერ შევნიშნეთ ეს გარემოება და სათაური სიგლისა სრულად არ გადმოგვიწერია. უკანასკნელიდამ რამდენსამე ცნობას ჩავურთავთ ქვემო დიდს ფრჩხილებში ჩასხმით.—ამავე სიგლიდამ სჩანს, რომ ბაგრატ III-ს მოუჭედინებია ღვთისმშობლის ხატი, ცხადია ის, რომელზედაც აქამომდე ჰხატია დაჩოქილი და მვედრებელი მეფე ბაგრატ (იხ. წარწერა „ვედრების ღთისმშობლისა" Кондакова გელათის აღწერაში, გვ. 32—4).

„ქ.... [ჩუენ... მეფეთა-მეფემან ბაგრატ და თ͠ა-მეცხედრემან ჩუენმან... დედოფალთ-დედოფალმან... ელენე...] - - - - - - - სულისა ჩუენისად და - - - (მეორედ აღვაშენეთ?) მონასტერი გენათი (sic). დავადგინეთ საჴ[თმპყრო]ბელად და მიუბოძეთ მოძღუარ - - - ვკადრეთ და მოვაკსენეთ ზეშთა აღმატებულთა..... ტაძარსა გელათისასა და... ხახულისა და საკურთხევლისა ღთის-მშობელსა. თავად მოვჭედე ხატი წ͠ისა ღთის-მშობლისა და დავაბრძანეთ მონასტერსა გენათისასა. ვინებეთ სოფლისა აღშენება, რომელ არს ბალახუანი და მოვიღეთ პური საბრძანებელისა ჩუენიდალმა, კახეთით, სამცხით და ოდიშით და აღვაშენეთ დიდსა შიმშილობაშიგან, ამისთჳს უწოდეთ ნების-სოფელი და შევსწირეთ მონასტერსა გენათისასა... და მივაბარეთ სასოსა ჩუენსა მოძღუართ-მოძღუარსა ილარიონს ჩუენისა სულისა საალაპოდ. არის ბეგარი მათი გამოსაღები ორმოცი თეთრი. ამითი ტაძრად მიყუანებასა ჩუენისა სულისათჳს ალაპსა გარდაიკდიდეს მოძღუართ-მოძღუარი. მიაბარებდენ ოცსა კოკასა ღჳნოსა, სამსა გუერდსა ღომსა, ასსა პურსა, ოცსა თეთრსა მოძღუართ-მოძღუარსა მიართმევდენ; ათსა თეთრსა ვინცა მის გუედის (sic) ჟამსა წირევდეს, მათ მისცემდენ... წყალ-წითელათა ავაშენეთ სოფელი, ვიყიდეთ ამავე გენათისა ყმისაგან ნიშნიაძისაგან; ავაშენე და შევსწირეთ... დიდსა მონასტერსა გენათისასა...... სადამდის წყალ-წითელათა სოფელი მოძალიანდებოდეს და გლეხნი დამაგრდებოდენ, ექუსსა ლიტრასა ცვილსა გულითა გამოიღებდენ. ხუთსა ლიტრასა ცვილსა ბურჭულაძე გამოიღებდეს.... კელაპტრად შეიქმოდენ (იმ ცჳლს) და ჩემსა მოჭედილსა ხატსა წინა ენთებოდეს: დიდსა ორშაბათსა დაანთონ და ნების კვირის დიდსა ორშაბათამდის ეთებოდე (sic) ყ͠თა დღეთა... კ͠დ... მოგაკსენეთ.... გენათსა... ჩუენად საალაპოდ კულაშს მეზუთხენი კახაჯორაშვილი ოთხითა ზუთხითა, ასრე რომე ამა ოთხისა ზუთხისაგან თჳთოსა ზუთხსა ჩუენისა სულისა ალაპშიგან მოიკმარებდეს... (და) პატრონისა დედოფლისა თამარ (დედაა ბაგრატ III-ისა: ის ზემო 1509 წ. ჰქვეშე) სულისათუის და სადღეგრძელოდ ძისა ჩუენისა ბაგრატ, ვახტანგ და გიორგისთჳს... კ͠დ... მოგაკსე-

ნეთ... ჭალას ჭორტიკლისეული... მამისიბედის შვილმან ათიანამან ჭორტიკელი მოკლა და მისითა ნებითა დასაურვებელად დამიდვა. ბერმან ასათიანმან ღუღუნასშვილმან ჩუენი სახასოჳ ყმა სალდაყმაძე მოგუიკლა და მისად დასაურვებლად დამიდვა; ჩუენისა სულისათუის გელათსა შევსწირეთ... მართებს ცვილი ლიტრა ოცი მისითა საგულითა...... (სხვაც ამგვარი მრავალი შეწირულება) ქორქოლაძისსეულნი გლეხნი ჩუენად სააღაპოდ დავიდევით... კ῾დ... მოგაკსენე ხიბლასა მეზუთხე... ნიჟარაძე დემეტრე უშვილოდ გარდაკდა და ესე მეზუთხენი მისეული დაგურჩა და ჩუენ ჩუენისა სულისათჳს გაენათს შევსწირეთ მათითა ბეგრითა.... არა ეთხოებოდეს რა სემეფო სათხოვარი და ჯურუმი, არა ძროხა, არა საკლავი, არა ღომი და არა ღჳნო, არა საციხისო... არა საჯინიბო და არა სახოსარლო, არა სამზარეულო და არა საყველიერო, არა კვერცხი და არა ყველი, არა გოჭი და არა ქათამი, არა საბაზიერო საჭმელი და არა საქორე ქათამი, არა ულაყი, არა ლაშქარის გამოწვევა, ასე შეუვალათ გვაზადებია (sic) თჳნიერ მოძღუართ-მოძუარი მათ მათი საქონებელი ვითა ეპრიანებოდეს იმსახურონ.... - - - -

საჭიროდ ვრაცხ ჩავურთოთ აქ ზემოხსენებულის ნუსხიდამ № 139 ნიმუშად რამდენიმე ცნობა იმაზე, თუ თითოს კვამლს საეკლესიო გლეხს საეკლესიო მამულის სარგებლობისთჳს რა გამოსაღები ჰმართებია (იხ. ნუსხის მუხლი № :თ:). თითო კომლს აწერია (ღვინის საწყავი „დორა" უდრის წონით ორს ფუთს; ექვსი დორა 24 ბათმანია ანუ ერთი საპალნე):

| თეთრი: | ღვინო დორით: | ღომი კოდით: | სანთელი ლიტრით: | ძღვენი: | |
|---|---|---|---|---|---|
| „ | 2 | 1 | 1 | 1 | საყდრის სამ სახლეული. |
| 11 | 2 | 1 | 1 | „ | |
| 12 | 2½ | 1 | „ | „ | „ |
| 7 | 1½ | 1 | „ | 1 | „ |
| 11 | 1½ | 2 | „ | 2 | საყდრის სამსახური. |
| 1 | 1 | 2 | „ | 1 | |
| 7 | 1 | 1 | ½ | 2 | |

ღომი ზოგს სდებია „ქათმიანი" და სხვას „უქათმო"; ეგრეთვე ძღვენი „ქათმიანიც" არის და „უქათმოც".

**1519** წ. სქელს ეტრატზე ხუცურად წარჩინებულის ხელით დაწერილი გელათის სიგელი №: 46 და 8968: სავვარელიძე მელქისედეკ დასვეს გელათს 1519 წ.

„ქ.... (შემდეგ გრძელის ღვთის-მეტყველურის წინასიტყვაობისა) და ჩ῾ნ ქ῾ეს ღთისა მიერ კურთხეულმან დიდმან მამათ-მთავართ-მთავარმან, აღმოსავლისა და ყ῾ისა ჩრდილოს აფხაზეთის კ῾ზ-პატრიარქმან მალაქიონ ესე გუჯარი და სიგელი მოგაკსენეთ თქ῾ნ წ῾ა საყდარსა გელათსა და... ხახულისა ღთის-მშობელსა და... გენათელ ეპიკ῾ზს წ῾ა მეუფესა მელქისზედეკს მას ჟამსა, ოდეს დიდად აღმატებულმან ძლიერმან და უძლეველმან.... მეფეთ-მეფემან ბაგრატ მოგუაკსენა და დაგუაჯერა, რათამცა გენათი საყდრად და საებისკოპოსოდ

შეგუექმნა; ვისმინეთ მოკსენება მათი... ვაკურთხეთ და დავსვით გენათს კაცი უაღრესი ანგელოზთა... და გაუჩინეთ პატივი და საჯდომი ვ̃რ პატრიარქთა და მეფეთაგან განაჩენსა ძეგლსა შინა წერილ არს და გაუჩინეთ სამწყსონი და საკურთხი რიონსა და ქუთათის ქალაქსა ზედათ, ყვრილას გამოღმა და ვიდრე კაცხის ზღურამდის და ხრეითის აქეთ რაჭის მთამდის, ოკრიბა ს̃დ, ქუთათის ქალაქ შ̃აგან გაღმა და გამოღმა და ანუ დაბანი და სოფელნი იყვნენ მიმოდათესულნი გლეხნი, არცა წინათ კადრებულ იყო სხჳსა ეპისკოპოზისაგან მწყსა, ვითარცა ძუელი გუჯარი გააჩენს და არცა ეკადრების.... ....პ̃დცა სხუათა ებს̃კთაგან უმეტესი იყო და აწცა ისივე პირველი საწირავი განუჩინეთ: ასი თეთრი მიერომოდის (კინც?) სამარადისოდ აწირვინებდეს... (წყევა, ვინც შეჰშლის: ანუ ნატაჰეტი აბრაამატი, ანუ კარისბჭე მანდატური, ანუ კასტრიბი, ანუ მჰარაკთ-მემიებელი, ტყის-მცველთა უხუცესი, ანუ ტყის-მცველი)...

ბოლოს ხელულად ამტკიცებს კათალიკოზი და ხელ-მუწერის ბოლოს ხელულებით გამოყვანილია მაკურთხეველი ხელი კათალიკოზისა.

**1519 წ.** ახლოსანისა: გელათის სიგელი ტყავზე, მხედრული №№ 51 და 8971:

ქ. ნებითა ღთისათა ჩ̃ნ... მეფეთა-მეფემან ბაგრატ და ძმათა ჩ̃ნთა პატრონმა ვახტანგ, გ̃ი და დ̃თ, შეწევნითა ღ̃თისათა ესე სიგელი... უტყუარი გასათავებელი მამული და გლეხნი მოგაკსენეთ და შემოგწირეთ გელათს ყ̃დ წ̃ა ღთის-მშობელსა პატრონისა მამისა ჩ̃ნისა ალექსანდრესთჳს და პატრონისი დედოფლისა თამარისთჳს; შემოგწირეთ მათისა სულისა შესანდობლად... და მივაბარეთ პატრონს მოძღუართ-მოძღუარსა ილარიონს რუახმელი სრულიად მარგველაშვილები მისითა შესავლითა, გამოსავლითა... ასე რომე ყ̃თა დიდ-მარხვათა შიგან მოძღვართ-მოძღვარი სწირევდეს პატრონისა მეფისა ალექსანდრესთჳს და პატრონისა დედოფლისა თამარისთჳს... (წყევა. ბოლოს ხელულად ამტკიცებს მეფე).

**1519 წ.** ახლოსნის: გელათის სიგელი ქტრატზე №№: 61 და 8967; დაზიანებულია აქა-იქ, მხედრულად: (აქ მოხსენებული ილარიონ † 1519 წ.):

....„მე სახით ოდესამე აჩ - - მალარაკელათა... მოძღუართა-მოძღუარმან ილარიონ [შე]მოგწირეთ პატიოსნისა მეფეთა-მეფისა ალექსანდრესათჳს სულსა [მოსაკსენებელად] ქუთაისსა ცისა (ციხისა?) კარსა შავლი დიდ კარსა შიგნით უფლისა და მიქაელი ციხის-თავისეული ჰილაძისა ჰმრისაგანა (გაურჩევლად) მიყიდია; მიგჳცემია (ფასი), რა გუარად მათი გული შესჯერდებოდა და მესამე ძმა მათი ციხის-თავისაგან დაგვიხსნია და მივეცი... ათასი ყმალი . ტილო... ყ̃თა თევდორობათა თჳთოსა ლიტრასა საკმეველსა მოიღებდეს თეთრსა მისითა სახლ-კაცითა. იყოს კელ-შეუვალად, რა გუარაც ნასყიდსა ჰმართებდეს - - -

**1519 წ.** ახ.: გელათის სიგელი ქტრატზე სუცური №№ 67 და 9043.

...ესე დაწერილი წიგნი და ნიშანი... მოგაკსენეთ თქუენ გელათსა კახვილისა (sic) და საკურთხევლისა ღთის-მშობელსა და... მოძღუართ-მოძღუარს პატრონს ილარიონს და წინამძღუარსა აბაშიძესა მელქიზედეკს... მე ბანცაძე-

მან ნასყიდამან... მას ჟ˜ა, როდეს მთხლარაში დასთეელაძისაგან მამული ვიყიდე მისითა ბეგრითა... მისი ბეგარა ხატსა არა მოეშალოს, და თუ ოდესმე მოეშალოს ბეგარა, მამული ხატსავე დარჩეს. ნაკევრისა ბეგარა არის ხუთი თეთრი, ერთი ნაოთხალი ლომი და ორი ათიანი ღვინო ძღუენსა გარეთ.

**1519 წ.** ახ.: გელათის სიგელი ეტრატზე, მხედრული, დაზიანებული №№ 76 და 9019:

ქ. სახელით ღთისათა ჩ˜ნ... ორისავე ტახტისა და სამეფოსა... მპყრობელმან მეფეთ-მეფემან ბაგრატ და თ˜ა მეცხედრემან ჩ˜ნმან... ელენე და პირმშომან ძემან ჩ˜ნმან - - - საყვარელმან ვახტანგ.... ესე შეწირულობის წიგნი გიბოძეთ... თ˜ქნ ჩ˜ნსა ერთგულსა და თავდადებით ნამსახურსა ფანჩულიძესა იობს და შენსა შვილსა ბართლომეს... გიბოძეთ გელათს სენაკი, ტრაპეზისა გუერც, საბოსტნე ტრაპეზისა ქვეშე სათიბი და საველნაკე...

**1519 წ.** ახ.—გელათის სიგელი ეტრატზე, მხედრული (№№: 111 და 825); მელანი გადასულია და ასოები ძლივსღა სჩანს; უთარიღოა, მაგრამ სიგელი უნდა დაწერილ იყოს ალექსანდრე II-ის სიკვდილის შემდეგ დაუხსნებლივ († 1510):

„ქ. ჩუენ იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატონიანმან გჳრგჳნოსანმან აღმოსავლეთით დასავლეთადმდი მფლობელ-მპყრობელმან მეფეთ-მეფემან ბაგრატ, ძმათა ჩ˜ნთა პატრონმან ვახტანგ და დ˜თ, ნებითა ღ˜თისათა აფხაზთა და რანთა.. (სრული მეფური წოდებულობა)... ესე წიგნი და ნიშანი... დაგიდევით... თქუენ ნების სოფელთა თხილ - - - ერთობილთა ასრე და ამა პირსა ზედან, ....რომ თქუენსა კარსა საძალოდ და საავკაცოდ არა ვინ არა მოვიდეს ჩუენისა კარისა გამოსული... არა გეთხოვებოდეს არა... ყალანი, არა ულაყი... სულკურთხეულისა მამისა ჩუენისა ალექსანდრეს († 1510 წ.) საალაპოს მეტი... ვინც უსამართლოდ ძალად შინა ჩამოგიხდეს, [ანუ] ვინმე მოგიხდ[ე]ს, ანუ ჯოგი გაგი[გდოს] ანუ მართალსა გრძნეულობა გითხრას, ანუ ვინმე წინა დაგიდგეს, ანუ ვინმე ქ[ალი] დაგიგდოს, ანუ უომარი ყმარწვლი [ გი ]გინოს, ანუ სახლად ვინმე ჩამოგიხდეს, ანუ უსამართლოდ დარბაზს დაგასმინოს, ანუ ვინმე მოკლსა (?), ანუ ვინმე დღისად - - ოს, ანუ რა გინდა რა უპატიობა გიყოს, რაც გელათის იადგარშიგან სწერია - - დაიდევით და იმაზედან დაიურვებდით და არცა მებაჟობა გაქნევინოთ, არც მუსჯირობა, არცა მეულაყობა... პატრონისა მამისა ჩნ˜ისა სულისათჳს გელათისა საალაპოდ... შეგჳწირავს“....

ხელრთვა: „მეფე ბაგრატ“.—მერე გიორგი მეფეს დაუმტკიცებია (1564—1585). შემდეგ როსტომ მეფესაც დაუმტკიცებია (1590—1605 წ.).

**1519 წ.**—ქვათახევის ტყავზე კარგის მხედრულით ნაწერი სიგელი № 4.

„....მე... ღვთივ გჳრგჳნოსნისა და წარჩინებულისა მეფისა დავითის პალატის უხუცესმან და მწიგნობართა მთავარმან სოლაღაშვილისა შალვას ძემან ივანე... შემოვსწირე... მონასტერსა ქვათაკევისასა, ვლაქერნად სახელდებულსა და მას შინა ხატსა შენსა სასწაულთა მოქმედსა... კავთის-კევს ორი

გლეხი ერთი საჯიმა და მისნი შვილნი... და მეორე ბარდას ძე კვირიკა და მისნი შვილნი.... (გლეხი საჯიმა) თევდორობას მიიღებდეს ქვათაკევს მრავალსა პურსა, ღუინოსა და სამარხოსა და კარგანღებულსა... ალაპსა გარდაიკდიდეს ცოდვილისა სულისა ჩემისათჳს (რადგან ორისავე გლეხისთჳს სახლ-კარი და ვენახ-სახნავები მიუცია. ხოლო მეორე გლეხი, ბარდაძე, ალაპს გადიხდისო დიდსა ხუთშაბათს; ამას გარდა ერთი ვენახიც ქვათახევისთჳს შეუწირავს და ამაზე სწერს): „იგი ვენახი ვისცა ქვათაკევის წინამძღუარმან... მიაბარონ, იგი კაცი ყოველთა წელიწადთა ტფილის-ქალაქურითა:. ლიტრითა:. ოთხსა:. ლიტრასა:. ცვლსა:. და ერთსა ლიტრასა საკმელსა ქვათაკევს მოიღებდეს... დაიწერა... ქკ̃ს :სზ: კელითა ფ̃დ ცოდვილისა გიორგი ჰარმაულისათა". ბოლოს ცუდის ხელით: „ქ. მე ნეფესა (sic) დავით დამიმტკიცებია".

და ხუცურად: „კზ̃ი: მე ქართლისა ჳთალ̃კზი (sic) ბასილი კანონითა ვამტკიცებ". იქვე ხვეულად: „ლ̃ბ" (ლუარსაბ?) და ზედვე მეტად მდარე ხელით მხედრულად: „ესე მეფის ძემა ლუასბ (ლუარსაბ) დამიმტკიცე (sic).

კარგის ხელით, მხედრულად: „მე: მეფეთ:. მეფის:. ძემან:. ადრაზან (sic) დამიმტკიცებია".

მხედრულადვე მდარე ხელით: „მე მეფეთ-მეფის ძემან რამაზ დამიმტკიცე". (sic).

ბოლოს მხედრულად, სხვა ხელით: „...მე... სოლაღაშვილმან, ძემან შალვასმან, სახლისა უხუცესმან ივანე ესე ყაყიაური ვენაკი მევე დავიჭირე და ამისა სანაცვლოდ ოთხისა დღისა მიწა ქურციკაული ნაფუძარი დავდევ (და ამ უკანასკნელის მიწების დამჭერი გლეხი ლონგინოზი იმდენსავე ბეგარას მიართმევდესო ქვათახევს).

**1519—1529 წ.** ამ წლებში არის დაწერილი სინ. კანტ. მხედრული სიგელი მცხეთისა № 238, რომელშიც მოხსენებულია კზ̃ი ბასილი (1517—1529), რომელსაც ზოსიმე კუმურდოელად (ჩემს საბუთებში ხნანს 1551 წ.) უკურთხებია და უკანასკნელს პირობა დაუდვია „ათაბაგის (ყვარყვარე IV-ის?) უზიანოსა საქმითა თქვენნსა... ერთგულნი ვიყვნეთო". წინეთ პირობას ართმევდენ ქართლის მეფის ერთგულობისას, მაგრამ მზეჭაბუკ ათაბაგის გაწყრომის შემდეგ (იხ. ზემო გვ. 317—8) კათალიკოზნი ამგვარს პირობასაც დასჯერებიან. ეს ზოსიმე იერუსალიმის ჯვარის მონასტერში ხნანს (იხ. ცაგარლის Свѣдѣнія... II, № 116).

„ესე: წიგნი: გკადრეთ: და: მოგაკსენეთ: ყოვლისა საქართველოს პატრიარქსა ბასილის ჩუენ კუმურდოელ მთავარ-ეპისკოპოსმან ზოსიმე მას ჟამსა, ოდეს კუმურდოელად კელნი დამასხენით და თქუენ-მიერ კურთხევა მოვიღეთ ასრე და ამა წესითა: პატრონისა ათაბაგის უზიანოსა საქმითა თქუენნი და თქუენისა საყდრისა გაუყრელნი და ერთგულნი ვიყუნეთ და სჯულიერითა საქმითა რაც მცხეთისა საყდრისა წლითი-წლად სამსახური გუმართებდეს, როგორც სხუათა სამცხისა ეპისკოპოსთა, რაც ოდენ ძალ გუედვას, არც ჩუენ

დაგაკლოთ და ვისაც სულისა საქმეზედ გაუწყრეთ და შეუნდობლად ამყოფოთ, ჩუენგანცა შეუნდობელი იყოს და ვინცა აკურთხოთ, კურთხეულ იყოს მოწამეცა ვიყუნეთ. თქუენდა შეუკითხავად სხუა კელი არ დავიჭიროთ, არცა სად თქუენსა სამწყსოსა უთქუენოდ შევიელინოთ. ვინც ესე გიტყუოს, თქუენგან უჯუარო იყოს და წ~თა მოციქულთა და მამათა კანონსა ქუეშამცა მყოფ არს". ბოლოს ხვეულად: „ზოსიმე".

**1519 – 1529** ამავე დროებშია დაწერილი ამავე კანტორის მხედრული სიგელი № 243, რომლითა „პატრონი მანუჩარ" (?) და „ათაბაგი ივანე" (?) პირობის წერილს აძლევენ იმავე კზ~ს ბასილის (1518—1529), რომ თუ ათაბაგობას დაიჭირეთ, საათაბაგო ეკლესიებს და მცხეთის მამულებს დაგიმორჩილებთო. ჩვენ უკვე ზემოთაც დავასაბუთეთ, რომ, წინააღმდეგ არსებულთა ცნობათა, 1520 წელს ყვარყვარე IV მკვდარი ყოფილა (იხ. 1520 წ. ქვემე), და ჩანს ამას შესდგომია განხეთქილება ყვარყვარე IV-ის (ქაიხოსრო II-ის?) და მზეჭაბუკის ძეთა შორის იმაზე, თუ ვის უნდა დაეჭირა ათაბაგობა. მანუჩარ და ივანე ისტორიაში უცნობნი არიან: ისინი უნდა იყვნენ მზეჭაბუკის ძენი, ანუ ყვარყვარე IV-ის ძმანი. სომხურ წყაროებში ივანე ჩანს 1508 წ. (Hist Gé. I, 639: იხ. ჩემი: „შიომღვიმის ისტორიული საბუთები" გვ. 48, № 13). ჩვენს „ქრონიკებში" ჩანს მანუჩარ მეექვსე ძედ ყვარყვარე III-ად (იხ. ზემო ათონის აღაპი, გვ. 313—4).

ამნაირად ეს გუჯარი დიდად საყურადღებოა, მაგრამ სამწუხაროდ იგი დაზიანებულია: ივანეს სახელი სულ არ ჩანს და მხოლოდ იმით არის გამოსაცნობი, რომ გუჯარს მარტო ივანე ამტკიცებს ხვეულად: „ივანე"; ხოლო „მანუჩარის" სახელისაგან მოგლეჯილია ორი პირველი ასო:

„ქ. ...ესე წიგნი... მოგაკსენეთ ჩუენ პატრ[ონმან მა]ნუჩარ და პატრონმან ათაბაგმან [ივანე თქუენ] ცათა მობაძავსა კათოლიკე მცხეთისა საყდარსა და მას შინა დამკვდრებულსა ქართლისა ქკზ~სა ბასილის და კათოლიკე მცხეთისა საყდრის შვილთა მას ჟამსა, ოდეს სჯულისა საქმეზედა კარზედა მოგიდეგით და ჩუენ ამას დაგპირდით: იპრიანოს ღმერთმან და ჩუენი საბატონო მამული ჩუენვე დავიჭიროთ და ჩუენვე დაგურჩეს, როგორაცა ძუელითგან და პაპისა და მამისა ჩუენისა ჟამშიგან მცხეთის საყდრისა მამულნი ყოფილიყვნენ და ეფისკოპოსნი და მაწყუერელი თქუენგან საკურთხეველი ყოფილა და სხუანი სამცხისა ეფისკოპოსნი, ყოველნივე ისრე თქუენნი სამწყსონი იყუნენ და ისრე დაგიმორჩილნეთ და საღმრთო(ი)თა და სჯულიერითა საქმითა თქუენისა ბრძანებისა მორჩილნი ვყუნეთ (ვიყუნეთ?). ამისა გათავებისა თავსმდებად ღმერთი და სუეტი ღ~თივ-აღმართებული და ყ~დ წ~ა აწყურის ღ~თისმშობელი მოგვკსენებია და რაც საათაბაგოშიგა მცხეთისა საყდრისა მამულნი იყვნენ, არც ისი დაგიჭიროთ და მოგანებოთ". ზედვე ხვეულად: „ივანე" (მეტი არა-რა).

---

**1520** წ. ოკდომბრის 9-სა.—ქვათახევის ტყავზე კარგის მხედრულით დაწერილი სიგელი № 50, დასკული და დაზიანებული, რომელშიც მოხსენებულნი არიან ისტორიაში უცნობნი პირნი—ათაბაგის ყვარყვარე IV-ის ოჯახობა, ხოლო მეფე დავით წოდებულია სიძედ ამ ოჯახობისა. შეიძლება პირველი ცოლი დავით VIII-ისა იყო ასული ყვარყვარე IV-ისა. შესანიშნავია აგრეთვე სიგელში ყვარყვარეზე ხმარებული ფრასა „კურთხეულისა", რომელიც აღნიშნავს, რომ ამ დროს (1520 წ.) ყვარყვარე მკვდარი ყოფილა (ბროსსეს გამოანგარიშებით იგი მოკვდა 1535 წ. ახლო ხანებს), და ამ გარემოებას ამტკიცებს სხვა ქვემო მოყვანილი საბუთებიც. ის გარემოებაც, რომ ყვარყვარეს ცოლი მოლოზნად იხსენიება, ამტკიცებს ჩვენ აზრსა.

...ჩუენ დიდისა ამირსპასალარის კურთხეულის ათაბაგის ყუარყუარეს მე[ცხედრემან ნე]სტანდარეჯან-ყოფილმან ნინო და ძეთა ჩუენთა:. პ[ატრონმ]ან: თამთან: საზუერელმან: და სალუყაზან:. [შემოგწირეთ] მცირე ესე შესაწირავი [ვლაქერნის] ღვთის-მშობელსა მონასტერსა დიდსა [ქვათაკევს] ძმისა ჩუენისა სულკურთხეულისა კორხმანის შესანდობ[ელად - - - - ნას]ყიდი კახაბლის შვილის შალვას და .ივანეს(გან)... - - ...სამამულოდ - - - - ვენაკი....... ნასყიდ[ი] - - - [მიმიცე]მია ფასად თანგა ათას სამას ოცდა - - - [ჩუენის] სიძის ნეფეთ-ნეფის დავითის - - - - [ნე]ბა-დართულობითა.... • · მაისსა თუთხმეტსა ალაპი (გარდაიგდებოდეს)... - - დაიწერა - - - [ბრძანებითა] ნეფეთ-ნეფისა დავითისითა ქკ͠სა :სႧ: [ოკდომ]ბერსა ცხრასა - - - ნეფისა დავით - - - † † †

**1520** წ.—ტყავზე კარგის მხედრულით დაწერილი სიგელი ქვათახევისა № 2. სიგელი საყურადღებოა სხვათა შორის იმითაც, რომ მოიხსენიებს ერთის კაბიწის ფქვილისაგან ოთხასს ნამცხვარს პურს, თითოეულს გორულ ჩარექიანს. აქიდამ დაახლოვებით შეიძლება გამოვიანგარიშოთ კაბიწის რაოდენობა. თუ ჩარექი უდრის ლიტრის მეოთხედს, ჩანს $400 \times {}^1/_4 = 100$ ლიტრა ანუ $100 \times 9 = 900$ გირვანქა; ანუ $900:40 = 22^1/_2$ ფუთი. თუ კიანგარიშებთ, რომ ცხობაში პური მესამედს მატულობს, გამოდის, რომ კაბიწი დაახლოვებით უნდა იწონდეს:. $\left(\frac{22^1/_2}{3} = \frac{45}{6}; \frac{45}{2} - \frac{45}{6};\right.$ ანუ $\frac{135}{6} - \frac{45}{6} = \frac{90}{6}$ ანუ) 15 ფუთს. ჩვენ არ ვიცით, რითი განირჩეოდა «გორული ლიტრა» და «ქალაქური» (ის. 1519 წ. ქვეშე) და ანუ სხვა ლიტრანი: ეტყობა წონა ლიტრისა ადგილობის მიხედვით სხვა-და-სხვა ყოფილა.

„....მე: ძემან: დიდისა: ფანასკერტელისა: ციცის: შვილისა: პატრონისა ზაზასა ძემან ცოდვილმან მერაბ... შემოგწირე... მონასტერსა ქვათაკევისასა... (ვლაქერნს)... კავთისკევს ერთი კუამლი გლეხი ცხადიაშვილი გიორგა.... ამა წესითა, რომე სულკურთხეულისა მეფისა კოსტანტინეს ძისა მეფეთ-მეფისა პატრონისა დავითისა, მისთა ძმათა და ძეთა დამოწმებითა და ბრძანებითა ჩარგაზაშვილისაგან ვენაკი და სახლკარი ვიყიდე და აგრეთვე ათისა დღისა მიწა.... იგი ვენაკი და მიწანი ამა ცხადიაშვილსა მივსცენ და დავასახლენ ჩუენისა სუ-

ლისა საალაპედ ... ნოემბერსა :იზ:... მიიღებდეს ქვათაკევს ოთხასსა პურსა ერთსა კაბიწიანსა ნამცხუარსა, ასრე რომე თითო პური თითო გორული ჩარექი იყოს, თორმეტსა კოკასა ღუინოსა ოც-ლიტრიანითა და ორსა ზურგიელსა და მრავალსა სამარხოსა, ერთსა ლიტრასა ცვილსა და ნახევარსა ჩარექსა საკმელსა... არა დაგუაკლებდეს კარგაღებულსა აღაპსა (ამის მეტი არ ვისგან და არც მეფეთაგან არა ეთხოვებოდეს რაო): არა მალი და საური, არა ულაყი და საჯინიბო, არა გოჯი და ქათამი, არა სთულისა შესაწევარი ტკბილი, არა ტიკი და ტომარა, არა საელჩო, არა სახორსალარო (sic), არა სახნავი და სამკალ-სალეწავი, არა ზურისა მუშაობა, არა საბალახე, არა სხუა მუშაობა და ჯურუმი-.. თვნიერ მონასტრისაგან კიდე.—დაიწერა... ქ~კს :სჱ: კელითა .. ქვათაკევის წინამძღურის მახარებელისათა. (ხვეულად ხელმოწერანი):

ბოლოს ხუცურად: „ჩ~ნ ქ~ეს ღ~ისა-მიერ კურთხეული ქართლისა კზ~ი ბასილი ვამტკიცებ"...

**1520** წ.—ქკ~ს :სჱ: გამოვლეს ოსმალთ სამცხე, ქართლს ჩამოვიდნენ და დავით მეფემ მოსწყვიდნა,— და მაღაროს ლეონისაგან იძლია დავით მეფე.— კვალად შეიბნენ დავით მეფე და გურიელი მამია მოხისს და იძლივა დავით მეფე (კახ. ქრ.)

**1522** წ.—ქკ~ს :სი: მოვიდა დევალ, ჰსძლო დავით მეფესა და მოსწყვიდნა ქართლი და სამცხე (კახ. ქრ.).

დევალ არის მხედართ-მთავარი შაჰისმაილისა (Hist. G. II, 385).

**1522** წ. ქკ~ს :სი: მეფე ალექსანდრესაგან ჟამთა სიგრძისაგამო დარღვეული მეორედ აღუშენებია (მეფე ლეონს?) ალავერდის ეკლესიის სამხრის თავი მარცხნის მხრით და დაუდგენია საჰეთ მპყრობელად მთავარეპისკოპოსი ევთიმი (რეესტრი ალავერდის გუჯართა, № 2. თვით გუჯარი ჩვენ ვერ ვიპოვეთ და მოკლე ნუსხიდამ გადმოვწერეთ. ეს ქკ~ნი საეჭვოა: ეს ამბები უნდა იყოს 1502 წ. კახთა მეფის ალექსანდრეს დროისა და ალავერდელის ნიკოლოზისა, როგორც ქვემო სხვა საბუთებით მოწმდება).

**1523** წ. ქკ~ს :სია: ზეადიდენ ღ~ნ მეფე დავით, ერგო გუგუნას და გერმანოზს... კ~დ მოკუდა შაჰისმაილ და დაჯდა შასთამაზ ძე მისი ყაენად (კახ. ქრ.)

ეს ამბავი არ იპოვება სომხურს ნუსხაში ვახუშტის ქრონიკებისაში (Hist G. II, 386). ჩვენ ვიპოვეთ თვით ასლი იმ გუჯრისა, რომლისაგან გამოუკრებიათ ეს ცნობა და აქვე ვბეჭდავთ.

**1523** წ. ჩვენ ხელთა გვაქვს ზ. არველაძისაგან მოტანილი სიგელი, ქაღალდზე ლამაზის მსხვილის ხელით მხედრულად ნაწერი. როგორც შედარებიდამ ყველა დარწმუნდება, ეს თჳთ ის გუჯარია, რომლიდანაც ზემო აღნიშნულს ქრონიკას (ვახუშტისას) მოჰყავს მოკლე ცნობები ბარათაშვილთა გაყრაზე 1523 წ. გარდა ამისა, ვინც ღრმად ჩაუკვირდება, სიგელი მრავალ-მნიშნოვანს საბუთებს იძლევა ჩვენის ძველებურის შინაურულ წეს-წყობილებისას.—აქ მოხსენებულია აგრეთვე გვარი მხეცისძეთა, რომელთა ვინაობა ჯერ კერ გამოურკვევიათ არქეოლოგებს (იხ. დ. ბაქრაძის და კონდაკოვის Опись памятниковъ древ. гузин. გვ. 34 და სხ., ხოლო ამ საბუთებში და ზემო ჩვენგან დაბეჭდილს გვ. ბაგრატ III-ის გუჯარში მოხსენებულია.—თავი სიგლისა ოდნავ დაზიანებულია.

[ქ. ზე ადიდენ ღ̃ნ მე]ფეთა.·. მეფობა.·. პატრო[ნისა დ]ა|[ვითისი, რომლისა ბრძა]ნებით:. [დ]ავსხედით ჩუენ | [ბარ]ათ[აშვილთა| სახლისა:. და:. მამულისა გაყ|ოფად თუით პატრონი მეფეთა მეფე დავით და პატ|რონი ლუარსაბ, ამილახორი თაყა, ციციშვილი მერაბ, ბარათიანნი იარალ და ორბელი, თურმანისძე როსტევან, ტფილელი ანტონი, სოლოღაშვილი შალვა, წითელაშვილი გიორგი, ქავთარაძე შალვა და შატბერაშვილი ბურნაშ—გუგუნასა, ქუმსისა და გერმანოზისა, თაყასა, გოსტასაბისა, ფალავანხოსროსა საქმისა გასაჩენელად.

გაუჩინეთ და მივეცით გუგუნასა აზნაურის შვილებისაგან საუფროსოდ სააკაძე როსტევან და გიორგი მათითა მამულითა, ასრე რომე დედასა მათსა ელენეს ნასოფლარი მძოვრეთი აღეშენა იმას გარეთ; და მიხუდა არეშიშვილი ამზა მისითა მისითა (bis) მამულითა:.) სიგინაშვილისა ასრე გაუჩინეთ: მისი სწორი აზნაურიშვილი მამულითა არ ჰყვანდა, რომე შეგუედარა, და აწ ერთმან [სა]გინაშვილმან გუგუნასა და ქუმსის მსახუროს და ორთა საგინაშვილთა გერმანოზს და მისთა ძმათა მსახურონ; და თუ საგინაშვილნი გაიყარნენ, მესამედითა მამულითა გუგუნასა და ქუმსი (sic) დ̃ ორით წილითა მამულითა გერმანოზს და მისთა ძმათა:.) *)

აწ მიხუდა მიხუდა (bis) გერმანოზს და მისთა ძმათა აზნაურიშვილები:.) ერთ წილად შუხიბიშვილი, სუნდულიშვილი და სულთა-მამაშვილი:.) ერთ წილად: ბაამან და ზაალ:.) აბრამისძე და მახუილასძე ბაამანს და ზაალს დავადევით:.) ერთ წილად ორნი ბერძნიშვილნი:.) ერთ წილად ამზას გარეთ სრულად არეშიშვილნი:.) ერთ წილად არდაზიანდიშვილნი (sic):.) ერთ წილად ზურაბ დ̃ სპანდიერი:.) ერთ წილად სალმირევანის მამული სალმირევანიანად მამულა (sic) მისითა მამულითა:.) ერთწილად ბუღდულაშვილი კუირიკაშვილიანად:.) მამულა პატივაშვილი ბაზლითა და კობალითა:.) მიხუდა ენაგეთს ერთწილად დათონაშვილი:.) კიდევე დათონაშვილი:.) ერთწილად ასათაშვილი:.) ერთწილად ჯანიაშვილი:.) ერთწილად კიდევე ენაგეთს ფარილუსაშვილი, დაგუიდებია ზედა ველიჯანა:.) ერთწილად თომიაშვილი, დაგუიდებია პავლიაშვილი:.) ერთწილად ყარაგოზაშვილი:.) დაგუიდებია ქოშტამა. კი-

დევე ენაგეთს ყურშიაშვილი, დაგუიდებია თაგუისკუდაშვილი:.) კიდევე ენაგეთს მახტუმაშვილი, ერთ წილად მემშუილდიშვილი:.) კიდევე ენაგეთს არუწა, დაგუიდებია ზედა მჭედელი:.) კიდევე ენაგეთს ავატამაშვილი, დაგუიდებია მურა ბახშა და სადუნაშვილი და ისელაური მამული:.) ახალშენს ერთწილად ყელიაშვილი, დაგუიდებია ზედა თაქორშა და ველიჯანა და ხეჩუმა:.) ერთად ჩიჩინაკაშვილი (შუაში წაშლილია მარცვალი „ნა“), დაგუიდებია ზედა მანუკაშვილი:.) მუღრიაშვილი სოლომა:.) ერტის ერთწილად მახარებელი ამირინდო, ივანე და ფოცუია (ფოცჳა):.) კიდევე ერტის: „ოქრია“ იმედა, ნასყიდა და მახნია:.) ტბის (ტბის) ერთწილად აბრამაშვილი, ბეგიაშვილი:.) დაგუიდებია ბედიანაშვილი, მამისთუალაშვილი მირიჯანა:.) ერთად ტბის(ს) დილენჯაშვილი რევანდა მისითა მამულითა:.) დაგუიდებია ივანაური და ვაშაყმაშვილი და ზურაბა:.) ერთწილად თაფანს წატურაშვილი, დაგუიდებია ზედა ძამურა აბირმურაშვილი:.) კიდევე ფახრადინა ამილბარა და ნადირა:.) კიდევე თაფანს ერთწილად ქუაბულაშვილი, დაგუიდებია ზედა მიხითარაშვილი:.) კიდევე ალამაშვილი, ხოშნადარაშვილი:.) აკოფაშვილი:.) გოზალაშვილი-შვილი:.) ტალია:.) ლისთა ერთწილად:.) მირზაშვილი:.) ამიკიდაშვილი:.) ევანეზაი:.) ერთწილად ნავროზაშვილი:.) დაგუიდებია ზედა ორნი ხუცესნი:.) სიამონა:.) თევდორწმიდათა ერთწილად მიტიჩაშვილი, დაგუიდებია ზედა გრიგოლა და ბეგიჯანა:.) მანანა:.) ველიჯანა:.) ერთწილად ავეტიზაშვილი:.) დაგუიდებია ზედა ველინჯანა (sic):) და ბუნიათა:.) უსეფა:.) იალიშა:.) აჯაბნუშა:.) სააკა:.) მიხუდა მთას მამული და სოფლები გერმანოზს და მისთა ძმათა თაყასა, გოსტასაბს და ფალავანხოსროს:.) ერთწილად ერწო:.) ერთავად (sic) დვალთა. კიდევე მთას ერთწილად თაკუი (თჰკჳ):.) დაგუიდებია ზედა ხოზეთი:.) ერთწილად აზიკუნი, ცხურისი:.) იმედა, კახი, გიორგაშვილი:.) ცხნარი:.) დაგუიდებია ზედა ლიჰნი (ლიჰნი):.) გუარეთი, ამლევი:.) ზურებსა და ხუადაბუნებსა და მიწაზედა ირჩოდეს:.) მისი ასრე გავაჩინეთ: გაზომონ ვენაკები:.) და მიწები:.) და ათისაგან ერთი საუფროსოდ გუგუნასა და სხუა შეაწილონ და ერთი წილი გუგუნასა და ქუმსის. და ორი წილი გერმანოზს და მისთა ძმათა:.) აგრევე სახლის ჰურჰელი, თასები, ჰიქები, ჩინურები, ქუაბები, თეფშები, ბარქაშები, ორხაჳები, სახლისა ჰურჰელი, რაცა მამისა მათისა ეული (sic) იყოს ათისაგან საუფროსო გუგუნასა და სხუა რაცა მამისეული იყოს ყუალა (sic) ძმურად გაიყონ:—და ერთი თასი დედაბრისა ელენესი იყო და იმას არავინ რას ემართლების:.) *)

ბეთენიის (sic) სახლისაგან ერთი წილი გუგუნასა და ქუმსის და ორი წილი გერმანოზს და მისთა ძმათა:) ერთწილად მიხუდა გერმანოს და მისთა

---

*)სადაც ჩვენ სამს (იშვიათად ორს) წერტილს და ფრჩხილს ვსხამთ იქ დედანში ეგრეა, სხვაგან ყოველ სიტყვის შემდეგ მარტო სამ-სამი წერტილია (იშვიათად ორ-ორი) და უფრჩხილოდ.

ძმათა:.) სპანდისძე:.) გუდასძე; ზედა დაგუიდებია ყურდიდაშვილი:.) ქუბაშვილი:.) თანღრიყულაშვილი:. ჯანიბეგაური:.) კიდევე ერთწილად პეტრია:.) დაგუიდებია გამგებელი:.) ამბალაშვილი:.) როდინასძე:.) ხიზანაი:) ჯანაზიზაური მამული:.) ნიკოლოზაური:.) სასახლისა ასრე გაუჩინეთ: ორნივე ერთსა სასახლეშიგა ვერა დაეტეოდეს:.) და მისი ასრე გაუჩინეთ: ტბური სასახლე გუგუნასა და ქუმსის და ენაგეთისა სასახლე გერმანოს (sic) და მისთა ძმათა:.) ასრე რომე თუ სასახლისა საუფროსო ყოფილიყოს [საპატიონი კაცნი სხუანიცა გაყოფილან] **) მოკითხული ქნან და ნუ დაუპირვენ, და თუ არა ყოფილიყოს, გუგუნა ნუ სთხოვს:.) ჩუენ სასახლეები ვერა დავიარეთ და ვერა გავსინჯეთ:-) მოასხნენ მათისა სასახლისა მცნობელნი კაცნი და შეადარონ ერთმანერთსა და გაყონ და მისგან ერთი წილი გუგუნასა და ქუმსის:.) და ორი წილი გერმანოზს და მისთა ძმათა და რომელიცა მეტი იყოს, თუ გლეხითა და ანუ ვენაკითა და მიწითა, რათაცა იქნებოდეს ერთმანერთსა შეუთავონ:.) აგრეთვე სადაცა ტბის(ს) მისსა კერძსა მამულშიგა გერმანოზ და მისნი ძმანი დასახლდენ:) გუგუნა და ქუმსი ნუ გამოენახვიან:.) და აგრეთვე სადაცა ენაგეთს მისსა კერძსა მამულშიგა გუგუნა და ქუმსი დასახლდენ:.) გერმანოზ და მისნი ძმანი ნუ გამოენახვიან:.)

მამისა მათისა აბჯარზედა ირჩოდეს და გერმანოზ ასრე ისარჩლა: მამამან ჩემმან მისსა სიცოცხლესა შიგა მე მომცაო. ამისი ასრე გავაჩინეთ: თუ გერმანოზ მოწამე იშოვოს და შეაფიცოს, ასრე რომე მამასა მათსა აბჯარი და აბჯრისა იარაღი გერმანოზისთუის და ანუ უმცროსისა ძმისათუის მიეცეს, თუ შეჰაფიცოს (sic):.) სხუანი ძმანი ნუღარა სთხოვენ, და თუ ვერ შეაფიცოს, მამისა მათისა ეული (sic) არის და ისიცა ძმურად გაიყონ:)

ქუმსი ამბალაშვილსა ირჩოდა. თუ ამბალაშვილმან დაიფიცოს, რომე ქავთარს (ქავთარ რომ მამა ყოფილა აქ მოხსენებულთა ბარათაშვილთა ამაზე იხ. ქვემო გუჯარ. 1523 და 1525) ეაზატებინოს, კაცი ქუმსის (sic) და თუ ვერ დაიფიცოს, ქუმსი ჩამოეხსნას:.)

ყორღანაშვილნი ციხიას ირჩოდეს. აწ ყორღანაშვილმან დაიფიცოს, რომე ციხია მათსა პაპასა და მამასა ჰქონებოდეს და არცა ქავთარს წაერთმევინოს. თუ დაიფიცნეს — ციხია ყორღანაშვილსა:.)

და ეშუის წყაროსა ირჩოდეს:.) კაცები თაყასა და რაცა იმაშიგა სახასო მამული დარჩეს, სწორად ძმურად გაიყონ:.) და რაცა მათსა ყმებსა ნასყიდები მამულები ჰქონდეს, იმას ერთმანერთსა ნუ მოუშლიან:.)

აწ ამას უკანის რაცა მათსა მამულშიგა დამალული:.) ნასოფლარი (აქ სტრიქონს ზემო ჯვარი აზის):.) გლეხები და მიწები გამოჩნდეს, ისრევე სწორად ძმურად გაიყონ:.)

---

*) რადგან ელენე, დედა მათი ცოცხალი იყო: იხ. ქვემო 1523 წ. ქვეშე.

**) ფრჩხილებში ჩასხმულები სტრიქონს ზემო იმავე ხელით აწერია.

მათსა მოსხმულსა კაცებზედა ირჩოდეს:.) და აწ რომელმანცა დააფიცოს:) რომე მისი მოყვანილი იყოს:) კაცები მათ და მამული სწორადვე გაიყონ:.)

ჯოეშვილსა თურქისტანიშვილი სამკუიდროდ ირჩოდა, ასრე რომე პაპისა ჩუენისა და მამისა ჩუენისა ჟამშიგა ჩუენი ყმა იყო და მე არცა მამა ჩემი მახსოვს და არცა პაპა ჩემი და ყაბალას რომე ყოფილან, მაშინ მამა ჩემსა ჰხლებია:.) გ̃ი მეფისა (მეფე გიორგი † 1469 წ.) ჟამშიგა. აწ მისი ასრე გავაჩინეთ: წამოდგეს თურქისტანიშვილი ორითა მისითა მემკუიდრითა ყმითა და დაიფიცნეს, ასრე რომე მკეცისძესა ელენესთუის (დედაა გერმანოზისი) მიეცეს:) და ელენეს თურქისტანისშვილისათუის მიეცეს და თურქისტანისშვილსა სახლებოდეს, — მაშინ თურქისტანიშვილისა არის ჯოეშვილი. თუ ვერა დაიფიცოს:) ჯოეშვილისა მოყვანასა ორნივე ირჩოდეს:.) და ძმურად გაიყონ:.) და ნაძრცუი თუ არ შეაქციონ, ისიცა სწორად:.) გაიყონ:.)

დაიწერა გაჩენილი ესე ქკ̃ონოსა :სია: კელითა კათოლიკე მცხეთისა საყდრისა ქადაგისა მარკოზისითა (მაღალაშვილი).

იოვანას საქმე ასრე იქნა: დაიფიცოს ერთმან ენაგელმან კაცმა, რომ არა ამოღებულ იყოს და დათუნაშვილზედა დადებულიყოს:) გერმანოზს და მისთა ძმათა მიხუდეს და თუ ვერ დაიფიცონ, გაიყონ:.)

ბოლოს ხვეულად: „ქ. ტ̃ფლ †" (ტფილელი) „ლ̃ბ" (ლუარსაბ, მეფის ძე). სხვა არა-რა.—ქვემო დაბეჭდილ სიგელში მოხსენებულია ეს ამბავი და ეს პირნი: ელენე, როგორც საგულისხმებელია, სარგის მკეცისძის ქალი უნდა იყოს და ჯოეშვილი მისი ნამზითვი ყმა.—ამ გუჯარში, როგორც ყველა XIV—XVI საუკ. საბუთებში, ასო „ჳ"—მაგიერ იწერება „უი", სადაც ასო „ი" კუდზე მობმული აქვს ასოს „უ"-სა.

**1523 წ.** ტფილისის სიონის გუჯარი № 39:

„ქ.... ჩუენ სულკურთხეულისა ბარათაშვილისა ქავთარისა ცოლყოფილმან მონაზონმან ელენე-ყოფილმან-ელისაბედ და ჩუენთა საყუარელთა ძეთა: გუგუნამა, გერმანოზ, თაყამან, ქუმსი, გოსტასაბ და ფალავანხოსრო... (ეს სიგელი მოგვეცით) თქუენ ყ̃დ წ̃სა სიონის ღ̃თისმშობელსა და... ტფილელს ანტონის მას ჟამსა, ოდეს თქუენი მკვდრი მამული სოფელი ხეკორძი... ჩუენ დავიჰირეთ.... ძუელთაგან თქუენი შეწირული იყო და ჩუენცა ახლად კიდევე დაგიმტკიცეთ სოფელი ხეკორძი... (ალაჰს გარდაიკდიდენო) ოდეს ჩუენ გავიყარენით, მაშინ პატრონი მეფეთა-მეფე დავით და მისნი თავადნი და დარბაისიერი ამილახორი თაყა და ციციშვილი მერაბ და სხუანი... ამა საქმისა შიგა დამხდომნი არიან... დაიწერა... ქკ̃ს :სია: კელითა კათოლიკე მცხეთისა საყდრისა ქადაგისა მარკოზისითა" და ზედვე ხვეულად ამტკიცებენ: «ელენე» „ქ. ჩ̃ნ კზ̃ი (ბასილი?) ვამტკიცებთ". სჩანს, რომ ხეკორძი შეუწირავთ ანტონ ტფილელისთჳს გასამჯელოდ.

ბარათაშვილებზე უკვე საკმაო საბუთები დაიბეჭდა ზემო და ამასგამო შესაძლისად ვრაცსთ აღვადგინოთ გვაროვნობითი შტო უძველესთა ბარათაშვილთა, ბაბარათა ქაჩიბაძისგან წარმომდგართა; ხოლო მეორის მისის ძმის აბაშის შტო ვერ აღდგება სრულად, მაგრამ ჩვენ საეჭვოდ დავსახავთ. ჩვენს შტოს ვინც შეუდარებს ბ. თაყაშვილისაგან გამოცემულს ბეთანიის გუჯრის ბარათიანთა შტოსა, ის უსათუოდ დარწმუნდება, რომ უკანასკნელი თითქმის სრულიად მოკლებულია სიმართლეს. თვით საბუთები, რომელზედაც დამყარებულია ჩვენი შტო, იპოვება ჩვენს „ქრონიკონებში“ იმავე წლებს ქვეშ, რომელნიც მოგვისხამს თითოეულ პირთან.

ბეთანიის გუჯრის შტო: ჩვენგან შედგენილი შტო:




მეორე-შტოს ჩამომავლობა არა სჩანს, მაგრამ თუ მივიღეთ, რომ აბაშ იყო ძმა ბარათა-დიდისა, მაშინ დაახლოვებითად ეს შტო ესრე დაგვესახება:

აბაშ XIV საუკ. დამლევს.

- აბაშ აბაშის შვილი.
  - სულხან
    - გ˝ი
      - იოთამ: 1550 წ.
        - ორბელი (1523 წ. აქედან ორბელიის-შვილნი?).
    - აბაშაბ 1506 წ.
    - №
      - დავით 1506
  - მერაბ (ქ-ცხ. II, 262—4)
- ბუბუნა მესტუმრე † 1419 წ. უწინ.
  - |
  - შაუბათ იარალი 1523
  - ლომი 1493

**1523—1524** ამ დროებს ეკუთნის წარწერა გელათურის სოხასტერის ღვთის მშობლის ხატისა, მარჯვნით: „მოლარეთ უხუცესსა მეეცისძესა სარგისს შ˝ს ღ˝ნ ან“ და მარცხნით: „მეცეხედრსა მისსა მეფეთ-მეფისა ბაგრატისა დისწულსა, ამილახორისა ამირინდოს ასულსა, პატრონსა ელენე-ყოფილსა ეკატერინეს ცოდვანი მათნი შ˝ს ღ˝ნ“.

იქვე მეორე სოხასტრისავე ღვთისმშობლის ხატზე გამოსახულნი არიან ქანდაკით დაჩოქილ-მვედრებელნი მამაკაცი და მეორე-მხრით დედაკაცი, ასო-მთავრულ წარწერათ: „ქ. ჵ ყოველთა დაბადებულთა უზეშთაესო... ბუნებისა ჩნი˝სა ზეცად აღმყუანებელო... ქალწულო მარიამ! ჩუჱნ მოსავთა და მადიდებელთა სახელისა შენისათა... ფრიად ცოდვილსა მოლარეთ უხუცესსა მეეცის ძესა სარგისს.... რომლის ბრძანებითა მოიჭედა წ˝ა ესე ხატი და მემცხედრესა (მისსა), მეფეთა მეფისა ბაგრატისა დისწულსა, ამილახორისა ზედგინიძისა ამირინდოს ასულსა, პატრონსა ელენე-ყოფილსა ეკატირინესა, ცოდვანი მათნი შ˝ს ღ˝ნ და ძეთა მათთა ქაიხოსროს, ჯანგამს, მურაბს (მერაბს), ფირანს და გარსევანას შ˝ნ ღ˝ნ... (იხ. ბაქრაძე-კონდაკოვის: Опись пам. древ. груз., გვ. 34-5; 32 და შეცდომებით გ. წერეთლის Полн. собр. надписей Гелатск. мон. გვ. 35-6). გ. წერეთელს და ბაქრაძეს ვერ განუმარტავთ ეს წარწერა; უკანასკნელი აცხადებს, რომ ამ წარწერებში დასახელებულნი პირნი და თვით მხეცისძეთა გვარნი უცნობნი არიანო (გვ. 32; 34). მაგრამ ამათში სარგის მხეცისძე ცნობილია (ქ-ცხ. II, 271, Annal p. 474); იგი მოკვდა 1529 წ., ივლისის 11-ს (ibidem). ხოლო დანარჩე-

ნნი პირნი ცნობილნი არიან ჩვენს ქრონიკებში (მსეცისძენი მოხსენებულ არიან 1519 და 1513 წ. ქვეშე): ბაგრატ მეფის ქალი გაიანე ჰყავდა ცოლად ამირინდო ამილახვარს, თაყას მამას (ეს პირნი იხ. ზემო გვ. „სამების მატიანეში") და მოხსენებულია 1508 წ. ქვეშე; იხ. აგრეთვე ჩემი „ისტორიული საბუთები შიომღვიმისა" 1508 წ. ქვეშე და ჭალის ჯვარის წარწერა. სჩანს, რომ ელენე ყოფილა ამ ბაგრატ მეფის დის გაიანესი ქალი; ფირან და ცოლი მისი, აბაშიძის ქალი ანა იხ. იქვე № 50. რომ ამირინდო იყო მამა თაყასი, ეს ადვილ გამოსაცნობია, თუ შევადარებთ ჩვენს საბუთებს (ზემო 1523 წ. ქვეშე და გვ. 333; 213; 206).

აქვე საჭიროდ ვრაცხთ ჩავურთოთ გელათურის „ვედრების ღვთის მშობლის ხატის". წარწერა. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ხატის ჭაეროვნობითს ხელოვნობას (?) გ. წერეთელი ალტაცებაში მოჰყავს და „რაფაელის სახელის ღირსად ჰხადის" (იხ. მისი Полное собр. надп. Гелатскаго храма, გვ. 31). სულ წინააღმდეგის აზრისაა ამაზე მხატრობითის ხელოვნობის წარჩინებული მეცნიერი კონდაკოვი („Опись памят. древ. Груз. გ. 28-30). ვედრების ღვთისმშობლის ხატის-წინ დაჩოქილ — მვედრებელი მეფე წარწერილიანი: „ქ. ყ̃დ წ̃ო ღთ̃სმშობელო, შენ მეოხ მექმენ პატრონსა მეფეთ მეფესა ბაგრატს, ყოველთა კაცთაგან ფ̃დ უცოდვილესსა, აქა და მას საუკუნესა წ̃ე ძისა შენისა (იხ. გ. წერეთლის Полное соб. надп. გვ. 32). წარწერის პალეოგრაფიულის ნიშნებით დ. ზ. ბაქრაძე და კონდაკოვი ამ მხატრობას მიაწერენ XVI საუკ. და მვედრებელს მეფეს ჰხადიან ბაგრატ III-დ (ibid. გვ. 30) და მართლაც, ბაგრატ III-მ „მეორედ აღაშენა", ე. ი. განაახლა 1510 წელს თათართაგან დამწვარი ეკლესია, დაასატყვინა, საკათედროდ გადაქცია, აღავსო საეკლესიო ჭურჭლებითა და გაამდიდრა ადგილ-მამულების შეწირულებითა. ამისგამო მას სრული უფლება ჰქონდა თავისი თავიცა გამოეხატა გელათის კედლებზე და ხატთა წინ მვედრებლად. ესეც რომ არ იყოს, ბაგრატ მეფე თვით სწერს, რომ მას ერთი ღვთის მშობლის ხატი მოუჭედვინებია და დაუბრძანებია გელათში (იხ. ზემო გვ. 341). რომელი იქნება ეს ხატი? რასაკვირველია არა ხახულისა და არც გელათის „საკურთხევლისა" (ესრედ იწოდებოდა გელათის ხატი), რადგან ესენი იმავე სიგელში დასახელებულნი არიან ამ ბაგრატისგან მოჭედილს ხატზე უწინ. ცხადია, რომ აქ ბაგრატი დიდს ხატზე ვედრების ღვთის მშობლისაზე იტყვის, რომელიც მას მოუჭედვინებია, თავისი თავაცა ზედვე დაუსატყვინებია წარწერითურთ და გელასში საჩინო ადგილს დაუბრძანებია. მაუსედავად ამ საბუთებისა გ. წერეთელი ამ ხატს მიაწერს ბაგრატ დიდს.

დიახ შესანიშნავია, რომ თვით ბ. გ. წერეთელი ზემოხსენებულს მისს შრომაში (გვ. 32) ამ ბაგრატს ჰხადის იმ ბაგრატად (ე. ი. ბაგრატ II-დ), რომელიც მეფობდა 1455—1478 წ. და არ ვიცი, მერე რამ შეაცვლევინა აზრი.

**1523.** შიომღვიმის სიგელი ამილახორთაგან მიცემული:

„ქ... ესე... სიგელი... მოგაკსენე... მამასა შიოს... უდაბნოსა მღვიმისასა... მე... ზევდგინისძემან ამილახორმან თაყამან და თანამეცხედრემან ჩნ̃მნ

ფანასკერტელის ასულმან ულუმპია და ჩემმა ძმამა აღნიამან და ძეთა ჩ῀თა მონაზონმან თომა, ბარზი, ავთანდილ, ფარემუზ და იოთამ.... მას ჟამსა, ოდეს... ჩუენის შვლისა... ბეჟანისგან ჩ῀თჳს ღ῀თი გარისხდა... მიიცვალა... მისთჳს... სამწირველოდ შემოგწირეთ ჩემი მკჳდრი... მამული კასპს ვენაკი... (ერთი წილი ტკბილი მეზვრესო და ორი მწირველს, მეზვრეს ერთი წილი ტკბილი სარჩოდ არ ეყოფოდაო, ამისგამო იმ მეკენახეს სხვა მამულიც მიეცაო. სხვა შეწირულებანიცა სწერია ტფილისს ბეჟანისთჳს სააღაპოდ)... დაიწერა... ქკ῀ს :სია: კელითა... გ῀ი ქარმაულისათა". —ხვეულად: „თაყა ამილახორი".

**1524** წ.—ქკ῀ს :სიბ: დავით-მეფე მონაზონ იქმნა—და დაჯდა ძმა მისი გიორგი.—მეორეს წელს მოკუდა დავით-მეფე მონაზონი (ვახ. ქრ.). ეს ამბავი ჩვენს ქრონიკებში აღნიშნულია 1526 წ. ქვეშე, რაიცა ეთანხმება „შედეგს ქ-ცხბისას" II, გვ. 270 და Hist. Géor. II, p. 335.

**1525** წ. ახლო დროებაში დაწერილია ცაიშის დიდი გულანი ხუცურად, ტექსტის ხელით წარწერებით: „- - შენსა წისკრა, პატაჲ და თანა ლიპარტიანის ქალი მანაჲ ამა სოფელსა დღეგრძელობით - - ქ῀ე შ῀ე ამის მწერალი ცოდვილი ლაზარე.—ღ῀ო შ῀ე ამის მჩხრეკელი გაბრიელ ნინიძე. ღ῀ო შ῀ე ლიპარტიანის ქალი მანაჲ (მანიაჲ)... დაესრულა... მოიკსენე აღსრულებული ლიპარტიანის ქალი მანია (მანაჲ?).—აღიწერა ლიპარტიანის ქალის მანიას ბრძანებითა და იმას წელსა მიიცვალა... დამწერი-.. გურიელის მამიას კარის მწირველი... გამიკეთებია ხიზნობაში და აშლაშიდა, ყინელთა ზამთრისათა შეჭირვებულებით და სიცხეთა"... (აქა მოხსენებული მამია გურიელი უნდა იყოს პირველი მამია, რომელიც 1533 წ. მოჰკლეს ჯიქეთში,—რადგან სწორეთ ამ მამიას დროს იყო ის საშინელი არევ-დარევა ქვეყნისა ოსმალთაგან, რომელსაც წიგნი მოიხსენებს.—გარდა ამისა განმაახლებელად წიგნისა მოხსენებულია მანუჩარისძე ლევან დადიანი († 1657 წ.) და მეუღლე მისი ნესტან-დარეჯან († 1639 წ.,) რომელთაც, როგორც მოგვითხრობს მერმიდელი მხედრული წარწერა, „მოინდომეს გულანისა . . . . . ამოღება და მოტანა. ძველათ ამისავე იყო, ზებედე ცრუმან გარდაიხვეწა და გაიპარა. ეს გულანი აქაური და ჯვარი ყველა მან ქართლით წაასვენა და ხელახლა ერთმან კელმწიფემან (როსტომ?) ხატიც წამოასვენებინა... შემოგწირეს... ღ῀ო... ადღეგრძელე ლიპარტიანი ბატონი ვამეყ და ძმა მათი გიორგი... ამის წინამძღვარმან სვიმონ კილაძემან ვიშოვე ესე გულანი". „..ვიძიე... გულანი დამპალი დიდისა ლევან დადიანისა უკნით უკმარ და გაუკეთებელი; კელვყავ მე ცაიშელ მიტროპოლიტმან მაქსიმე ციხის თავმან... სრულნი და უნაკლულონი... მრავალთა წიგნთაგან გავაკეთებინე.. დედოფლის მარიამის ბრძანებითა...და დადიანის კაციასითა... გაკეთდა წ῀ა ესე გულანი".—ჩვენა გვაქვს ხუცური ლოცვანი ლიპარტიანის ქალისა მანიას გადაწერილი, რომელშიც მანია იხსენიებს კათალიკოზს გრიგოლს და დადიანს გიორგის.

**1525** წ.—ქაღალდზე მხედრულად ნაწერი შიომღვიმის გუჯარი № 41, აქა-იქ დაზიანებული.

„ქ... ესე... სიგელი... მოგაკსენე... შიოს და ევაგრეს ცრემლ-დასხმულსა უდაბნოსა... მე... მეფისა დავითის [პალატ]ის უხუცესმან და მწიგნობართა მთავარმან სუნღულაშვილმან (სოლაღაშვილმან?) ივანე... შევსწირე თქუენდა... დიღუამს ლომისშვილისაგან ნასყიდი ვენაკი... - - - - (და ვენახის შემოსავლიდან გაუჩენია თავისთჳს აღაპი.): დაიწერა... ქკ~ს :სიგ:

მერე ხუცური ხელმოწერანი: „მეფესა· დ~თს: დამიმტ[კიცებია]".—„ეგრეთვე: „ჩ~ნ: ქ~ეს-მიერ - - ქართლისა ქ~კზი ბასილი [ჩემითა კელ]ითა ვამტ[კიცებთ].

ქვათახევის სიგელში № 3 მოხსენებულია 1519 წლის ქვეშე: «მე მეფისა... დავითის პალატის უხუცესი და მწიგნობართა მთავარი სოლაღაშვილი შალვას ძე ივანე»; რომელიც უნდა იყოს ამ გუჯარში მოხსენებული სუნღულაშვილი ივანე".

**1525** წ. შიომღვიმის სიგელი № 10: ქ... „ჩუენ... მეფის დავითის სახლის უხუცესმან და მწიგნობართა მთავარმან სოლაღასშვილმან ივანე... იგი ვენაკი... (ლომისშვილისაგან ნასყიდი) მღუიმისთჳს შემომიწირავს... (17 იანვარს კარგალებულს აღაპს გარდამიხდიდეთო)... დაიწერა კელითა გ~ი ჰერმაულისათა ქკ~ს :სიგ:" ხვეულად: „ქ. ქ. ქ. (მეფე დავით?). მერე ხუცურად: „ქ. ესე ვითა მეფესა დთ~ს დაუმტკიცებია, ეგრეთვე ჩ~ნ ქ~ეს-მიერ ქკ~ზი ბასილი კანონითა ვამტკიცებთ" (შეადარე წინ დაბეჭდილს გუჯარს).

**1526** წ.—ქკ~ს :სიდ: აქა მეფე დ~თ მიიცვალა ქალაქს (იგორთ. ძილისპირი). — ქკ~ს :სიდ: აქა მეფე დავით მიიცვალა (ჟამნი 2).

**1526** ქკ~ს :სიდ: მოსცეს ბაგრატს ქართლი არაღეთის წყალს გამოღმა ალი, სურამი და ახალ-დაბა.—ამა ქორონიკონსა მიიცვალა მეფე დავით.—ამავე ქორონიკონსა იქორწინა ძემან მისმან ლუარსაბ და შეირთო ცოლი, მეფის ბაგრატის ასული თამარ მარტს :კე: (Chr. Géor.).

---

**1527** წ.—ამ წლის ქვეშ ჩვენ უჩვენეთ იერუსალიმის ხრმლით აღება ქართველთა მეფეთაგან («ივერია», 1893 წ. №№ 12—15), აღწერილი ქ-ცხბის მეორე წიგნში გვ. 21—22 და ფრანგულს მისს თარგმანში: Hist de la Géor. II, p. 24—5 და იქვე თვით ბროსსეს შენიშვნა n. 2. ჩვენს ფელეტონს, გაზეთში დაბეჭდილს, რასაკვირველია, სამეცნიერო მნიშვნელობა არა ჰქონია, როგორც იქვე აღვიარეთ, არამედ მხოლოდ საპუბლიცისტო. ეს იქიდამაც ცხადი იყო, რომ ჩვენი ფელეტო-

ნი დატვირთული არ იყო სამოწმებელთაგან (ციტატებით). მიუხედავად ამისა პ. ა. ცაგარელმა ყურადღება მიიღო ჩვენს ფელეტონზე და შენიშვნა მოგვიძღვნა (თჳსს СВѢДѢНІЯ Кн. Ш, გვ. IX), და ამ ორჭოფად გამოთქმულს შენიშვნაში უარყო პირველად თჳთ ცნობა იერუსალიმის ქართველთაგან აღებისა და მეორედ ჩვენგან ნაჩვენები წელი 1527, და გვირჩია, რომ ამისთანა „Курьез"-ების ასაცდენად გაგვეცნო მისი (ბ. ცაგარლის) გამოკვლევა ამ საგნის შესახებ; ეს შენიშვნა ცაგარლისა „მოამბეჲ" საჭიროდ სცნო გადმოებეჭდა (№ 2) სიტყვა-დართვით.

რჩევისა და დარიგებათა მადლობით შემწყნარებელთა, ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ჩვენგან აღნუსხულნი ამბავნი ვერ ჩაითვლებიან Курьез-ებად და ისტორიულ სიცრუვედ. ყველა ის საბუთები, რომელნიც საეჭვოდ ყოფენ ამ ამბავს, ცაგარელზე დიად უწინ ბროსსემ გვიჩვენა თჳსს Hist de la Géor. II, p. 24—5, n 2; მაგრამ ღრმად მეცნიერმა არქეოლოგმა მაინც ვერ გაბედა იმისი უარისყოფა, რასაც ჩვენებურნი მეცნიერნი ესრეთის მოურიდებლობით აქარ-მტუტებენ. მოგეხსენებათ, რომ ამ უკანასკნელთა ჟამთა „მოდად" შემოვიდა ჩვენებურ მეცნიერთაგან (ხოლო უცხო-ტომთა „არა-მკითხე" მეცნიერთათჳს ეს ხომ საწადელ-სანეტაროა!), რომ ვისაც უნდა მეცნიერებისა სახელი გაითქვას, უსათუოდ უნდა უარ-ყოფას დაადგეს (ღვთისაგან დაწყებული მიყოკელთადმდე), ამისგამო არქეოლოგთაგან მეცნიერების სახელის მოხვეჭა შეუძლებლად მიაჩნიათ, თუ რომ არ უარ-ყვეს „ქართლის ცხოვრება". ეს «მოდა» და „დროთა მეფობა" ხშირად ჭკვათა-მყოფელთაც იტაცებს და რა გასაკვირია, რომ ჩვენი მატიანეები მათგან მილეწ-მოლეწილია, საბედნიეროდ მხოლოდ ცარიელის სიტყვით და უმეცრულად. საუბედუროდ ამ ჯიშის მეცნიერთა, ყოველმა წინ გადადგმულმან ნაბიჯმა ჩვენის მატიანებისა და სხვა საბუთების შესწავლისამ ცხადად დაანახვა ქვეყანას, თუ ვითარითა სიმართლითა და ჭეშმარიტების ღირსებით შემკულია ჩვენი მატიანე და რაოდენ-წილ ის მაღლა დგას ამ მხრით სხვა ტომთა ისტორიასთან. ფრთხილმა და ჩვენთა მატიანეთა ღირსებას შეგნებულმა ბროსსემ აქ ის-და შენიშნა, რომ ამბავი ქართველთაგან იერუსალიმის აღებაზე სხვათა მეისტორიეთაგან აღნიშნული არ არისო და თჳთ ფაქტისა არა სრულიად უარისმყოფელმან, მხოლოდ ვახუშტის მიერ დადებული ქრონოლოგიური წინა-უგმოობა დაგვანახვა. რომ ჩვენს მატიანეში აღნუსხული ქართველთაგან იერუსალიმის აღება «გასაკვირიოზებელი» და სიცრუვედ აღსაარებელი არ არის, ეს მარტო იმით ვერ დაინახება, რომ ამაზე აღმოსავლეთის და დასავლეთის მეისტორიეთა არა უწერიათ-რა: რამდენი ძველი და ღირს-სახსოვარი ამბები დარჩენიათ მათ აღუწერელად, რომელთა დღითი-დღე აღმოაჩენენ ახალნი არქეოლოგნი? მხოლოდ ბრმობით თუ ვინმე დაიჟინებს, რომ აღმოსავლეთის ძველი ამბები ყველანი ცნობილნი და შემოკრებილნი გვაქვსო: მეცნიერებამ აქამდინ ისიც-კი არ იცის გამოცხადებით, თუ როდის და რომელნი პატრიარქნი მსხდარან იერუსალიმ-ანტიოქია-ალექსანდრიაში, ხოლო რაც შეეხება ჩვენს ძველს ყოფა-ცხოვრებასა, ამაზე თითქმის არა იცის რა მსოფლიო ისტორიამ. და ამიტომ არავის არ უნდა ეგვირვებოდეს, თუ მსოფ-

ლიო ისტორიას არ აღუნუსხავს ქართველ-ოსმალთაგან იერუსალიმის აღება XVI საუკუნეში.

მაგრამ, საბედნიეროდ, ზემოაღნიშნული ამბავი არც სრულიად უცნობი გასლავთ აღმოსავლეთის ისტორიაში. ეს ამბავი იერუსალიმში ყველამ იციან არა მხოლოდ გადმოცემით, არამედ საბუთებითაც. იერუსალიმის უფლის საფლავის სტამბაში 1881 წელს ბერძნულს ენაზე დაიბეჭდა წიგნაკი: „აღწერილობა კატამონის მონასტრისა“, იეროთეოს პატრიარქისაგან იერუსალიმში გამოცემული, რომელშიც მოთხრობილია ამბავი 1527 წელს ქართველთ მეფეთა დავითისა და ლეონისაგან და სელიმ ხონთქრისაგან ეგვიპტის სულტნის დამარცხება და პალესტინის წმიდა ადგილების დაპყრობა. ეს წიგნი გამომიგზავნა მე იერუსალიმის ქრისტეს საფლავის რუსთა ეკლესიის კრებულის მწევრმა ბ. მ. ნოდარეიშვილმა.

მოხსენებული პატრიარქი იეროთეოს ზემოხსენებულს თვისს მოკლე აღწერაში კატამონის მონასტრისა (იერუსალიმის ახლო), გვაცნობებს, რომ კასტანტ გორგასალმა აღაშენაო ჯვარისა და სხვა მწირილი მონასტრები. იმათზე მზრუნველმა, მან გადმოასახლა ქართველნი დასაცველად ამ მონასტრებისა. შემდეგს საუკუნოებში ეს მონასტრები ქართველთა ეჭირათო და მათ შორის კატამონის მონასტერიცაო, რომელიც ისეთის მაღალ ზურჯებით იყო გარშემორტყმული, რომ კოშკების მწვერვალიდამ ზღვა მოსჩანდაო და ახლაც დიდი ნაშთი იპოვება ამ ზურჯებისაგანო.

კატამონი მიწერილი იყო ჯვარის მონასტერზე, მაგრამ შემდეგ ქართველთა ბერებ შორის განხეთქილება მოხდა; კატამონელნი არ ემორჩილებოდენ ჯვარელებსო. აღმწერი რამდენთამე ისტორიულ მოვლენათა 1177, 1483, 1519, 1527, 1544, 1573, 1620 და სხვათა წელთა, აქსიონი შეეხება იერუსალიმის ქართველთაგან დაპყრობას 1527 წ. და იტყვის: «შემდეგ ამისა, 1527 წელს იბერიელთა მეფენი დავით და ლეონ შეუერთდენ ხონთქარს სელიმს და დამსხვეს ეგვიპტის სულთანი. მაშინ ბიზანტიის ხონთქარმა დიდნი უფლებანი მიანიჭნა იბერიელთა და მიუბოძა მათ მრავალნი ღირსშესანიშნავნი ადგილნი (იერუსალიმს) და ნება დართო, რათა განაახლონ ანუ ახლად ააშენონ მონასტრები. შემდეგ ამისა იბერიელ მეფეთა მრავალი მონასტრები განაახლეს და აღაშენეს და სხვათა შორის ეს კატამონის მონასტერიცა, რომელშიც სცხოვრობდენ იბერიელნი ბერნი. ესენი განაგებდენ აგრეთვე დოსიმის და სხვათა მწირილთა მონასტერთა. მრავალნი ქართველნი ბერნი პოდიოდნენ ჯვარის მონასტერშიცა და მონასტრულ წესით ცხოვრებას შეუდგებოდენ“...

ამ ცნობის გარდა, ქართველ მეფეთაგან იერუსალიმის აღებას მოგვითხრობს ცნობილი რუსის მგზავრი და არქეოლოგი მურავიევი, რომელსაც ცნობები შემოუკრებია იერუსალიმის მონასტერში ნაპოვნ წერილთაგან. გრაფინია უვაროვისა რწმუნას ამლევს ამ ცნობებს და ამოწმებს, რომ ბაგრატ III, იმერთა მეფე, მოწვეულ იყო ქრისტეს საფლავის გამოსახსნელად მტერთაგან (იხ. „Матеріалы по археологіи Кавказа“, გვ. 136).

ამ ბ. ცაგარლის-მიერ Курьез-ულად აგდებულს ამბავს იხსენიებენ აგრეთვე

თითქმის ყველა მწერალნი, რომელთაც იერუსალიმი და წმიდა ადგილები აუწერიათ: მურავიევი, პ. იოსელიანი, თეიმურაზ ბატონიშვილი, მგზავრი ტიმოთე თფილელი და სხვანი.—მწერილ საბუთებთაგან, ჩვენის აზრით, ამ გარემოებას იგულისხმებს ზემო დაბეჭდილი დაზიანებული ნაწყვეტი (გვ. 49) იმერთა მეფის ბაგრატ III-ის გუჯრისა, სადაც მეფე აღიარებს, რომ მას „მრავალნი სასწაულნი უხილავს სმელთა და წყალთა ზედა“ ძლევა-მოსილობითა. რა საქმე უნდა ჰქონოდა იმერთა მეფეს ზღვაში, თუ არ ის, რომ მან ალბათ თჳსი ჯარი წაასხა ზღვით კონსტანტინეპოლში და იქიდამ პალესტინაში? იხილეთ აგრეთვე პოლშელ ნიკოლა რადზივილასი მგზავრობა წ~ა ადგილებში 1582 წ., სადაც იგი სწერს, რომ ქართველთ მთელი გოლგოთის მთა დაიპყრესო მაშინ, როდესაც იერუსალიმი იყო სამფლობელო ეგვიპტის სულთანთა (იხ. 1582 წ. ქვეშე).

ჯრუჭის სვინაქსრის წარწერაც მოგვითხრობს, რომ ქართველთა უშოვნიათ მეფეთა და ხონთქრთაგან ქრისტეს საფლავის ეკლესიაში წირვის უფლება წმიდა აღდგომის დღესა, გოლგოთაზე სასხლება, მარჯვენა კარი (ეკლესია) აღდგომის ტაძრისა და მუნ საჯდომი, საუკუნოდ მთებარე კანდელი დაუკიდნიათ ქრისტეს საფლავთან და სხ. (იხ. Опись Пам. древностей Грузин., კონდაკოვ-ბაქრაძისა, გვ 158). ვინ ჩაუგდებდა ამდენს საუნჯეს ქართველობას ხელში, თუ რომ მათგან იერუსალიმის ხრმლით აღება მართალი არ იყოს?

უფრო ცხადად ქართველთაგან იერუსალიმის დაჭერას, ბ. ცაგარლისაგან უარყოფილს, მოგვითხრობს იერუსალიმის ჯვარის დაზიანებული წარწერა, რომლისაგან ორიოდ სიტყვა-ღა აღმოუკითხავს ბ. პროფესსორს მიხ. ნოდარეიშვილის დახმარებით, როგორც უკანასკნელმა მიამბო. აა ეს წარწერა: „ქ. მირიან - - - - - - კოსტანტინე - - - - მეფემ ეს ჯვარი - - - - - - - - მოვიდეს - - - - - - და დაიპირა იერუსალიმი და აღაშენა ესე ჯვარი - - - - “.

ამ აღმოკითხულს ხელ-ახლა აღმოკითხვა სჭირია, მაგრამ რაც ბ. ცაგარლისაგან აღმოკითხულია, იქიდამაც სჩანს, რომ ტექსტი წარწერისა დაახლოვებით ამას უნდა იტყოდეს: მირიან მეფეს წამ~ან კოსტანტინე დიდმა, იმპერატორმა, უბოძა ეს ჯვარი (ე. ი. ადგილი იერუსალიმს ახლო, როგორც გოლგოთაცა). შემდეგ მოვიდეს (მოვიდნენ) სპარსნი და დაიპყრეს იერუსალიმი. მაშინ მეფე ქართველთა მხედრობით წარმოემართა „და დაიპირა იერუსალიმი და აღაშენა ესე ჯვარის მონასტერი“ და სხ.

ამ წარწერის უკანასკნელი ფრასა მაინც ცხადად ამბობს, რომ იერუსალიმი დაუჭერიათ იმათ, ვინც აღაშენა ჯვარის მონასტერი. რადგან ცნობილია, რომ ჯვარის მონასტერი აღშენდა ქართველთაგან, ამისგამო უეჭველად იერუსალიმის დაჭერაც ამ წარწერით ქართველთა მიეწერება.

თჳთ ქრისტეს საფლავის ეკლესიაც და გოლგოთაცა თათართაგან აოხრებული კახთა მეფეს ლეონს (1513—1574 წ.) განუახლებია და მეორედ აღუშენებია, როგორც ამოწმებს თჳთ ცაგარლისგან გადმოწერილი ქართული მისი წარწერა. იმერეთიდამ მომივიდა ფოტოგრაფიით იერუსალიმის ქრისტეს საფლავის კედლიდამ

გადმოღებული სურათი მეფეთა ალექსანდრესი და ლეონისი და ბატონიშვილის დავითისი, უკანასკნელი ეროვნულ ტანისამოსით. ესენი და სხვანი მრავალნი მწერილ საბუთნი აჭეშმარიტებენ, რომ მე-XVI საუკუნეში ქართველთ იერუსალიმ-ში მაგრა ფეხი მოუკიდებიათ და გაბატონებულან, რაიცა ადვილ გამოსაცნობი შეიქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეში ვიქონიეთ იერუსალიმის ქართველ-ოსმალთაგან ხმლით აღება და უფლებანი, რომელნიც ამისგამო მიენიჭა ქართველთა ოსმალთაგან. უამისოდ როგორ შეეძლო ბეენა ჩოლაყაშვილს (რომელიც იერუსა-ლიმში იყო 1512 წლიდამ) ისე გაკადნიერებული იყო, რომ სომხებს და ლათი-ნებს ეკლესიებს ართმევს, ნივთებს კარში ყრის და ქართველობას აყენებს, ახალ ეკ-ლესიებს აშენებს ანუ ახლებს, როგორც ამაზე თვითონვე მოგვითხრობს ჯვარის მონასტრის ხელნაწერის არშიებზე: „ესე თარგმანი სახარებისა კაფფათური მე ანტონი ფრიად ცოდვილმან დავიხსენ სპარსთაგან... ჯვარის მამად (საქართვე-ლოდამ) მოვლინებულსა ჩოლაყაშვილსა სახლ-ხუცესსა ბეენას შ~ს ღ~ნ. მე და სომეხი დავისარჩლენით იაკობ-წმიდის საყდარსა ზედა, დიდი ქირი და სარჯე-ლი გარდამხდა და კ~დ ნებითა ღ~თისათა ფრანგთა გოლგოთა დავაგდებინე და მათი ყველა რაც იყო—კანდელი და სხვა—გარეთ გამოუყარე" (ეს წარწერა იხ. ნ. ჩუბინოვის ჯვარის მონასტრის წიგნთა აღწერაში, და არ იპოვება, როგორც სხვაცა მრავალი, ცაგარლისაში. Свѣдѣнія, III, 48 – 9.).

ვახუშტიც, რომელსაც ეს ამბავი კრცლად აქვს აღწერილი, ვერ შეთხზავდა ანუ ვერ გამოიგონებდა მას, რადგან, როგორც ეხლა მაინც ყველამ უნდა იცოდეს, მას არც ერთი ცნობა თავისით არ გამოუგონია, არამედ მას ხელში ჰქონია ნამდ-ვილი ისტორიული წყაროები (რომელთაგან რამდენიმე უკვე აღმოჩენილია), რო-მელნიც მას მხოლოდ რამდენადმე შეუმუშავებია.

რაც შეეხება იმ განსხვავებას, რომ ბერძენთ მწერალნი ამ ლაშქრობის მოთავედ მეფე-დავითს ასახელებენ, ხოლო ქართული მატიანე—გიორგის, ეს ადვილად შესათა-ნხმებელია იმ გარემოების მიხედვით, რომ ხონთქრის ელჩი გაეგზავნა, ალბათ, მეფე დავითს, რომელსაც, ეტყობა, ლაშქარი გამოუგზავნია თავისის ძმის გიორგის მხე-დართ-მთავრობის ქვეშ, და მაშასადამე გიორგი იყო მხოლოდ აღმასრულებელი, ხოლო დავით—მბრძანებელი და ნების-მყოფელი ამ ლაშქრობისა. დავითს შეეძლო ეს ნება-დართვა გაეცა 1525 წელს, ხოლო სალაშქროდ მომზადებას და აღსრულებას მო-უნდა წელიწადი ანუ წელიწად-ნახევარი 1527 წლამდე, როდესაც დავით-მეფე უკვე მკვდარი იყო († 1526 წ,). ზემო აღნიშნულის ბერძულის გამოკვლევის დანდო-ბილმა და თჳთ გარემოებათა მიმდინარეობის მიხედვით ჩვენ დავდევით იერუსალი-მის აღება 1527 (და არა 1524 წ. ვახუშტისა). ამ წელსაც უარ-ჰყოფს ბ. ცაგა-რელი და თჳთ სპარსთაგან იერუსალიმის დაპყრობას და ამბობს, რომ 1516 – 7 წ. ოსმალოთა იერუსალიმიდამ გამოასხესო მეგვიპტელნი და არა სპარსნიო. უკანასკ-ნელთ გამოსხმა წ~ა ქალაქიდამ ბროსსესგანცა ნაჩვენებია 24 აგვისტოს 1516 წ. (Hist Gé. II, p. 25)

მთელი შჯურ-იარაღიანობა ბ. ცაგარლისა უარსაყოფელად ქართველთაგან

იერუსალიმის დაპყრობისა იმაში მდგომარეობს, რომ სპარსთა იერუსალიმი არ სჭერიათო, ხოლო 1516—7 წლიდამ ოსმალთ განუწყვეტლივ ეპყრათო. მაგრამ, წინააღმდეგ ბ. ცაგარლის საბუთიანობისა, სპარსთა რომ იერუსალიმი დაუჭერიათ დავითის მეფობაში († 1526), ე. ი. იმავე დროს, რომელსაც გვიჩვენებენ ქართულნი და ბერძულნი წყარონი, ამას ცხად-ჰყოფენ თვით ცაგარლისგანვე ქართულ ხელნაწერთაგან ამოწერილნი წარწერანი, რომელზედაც, სამწუხაროდ, მას ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევია. სვინაქსრის წარწერა № 142: „წ~ა ესე წიგნი ჯვარისა (ჯვარის ქართველთ მონასტერი იერუსალიმს) პატრონისა დავით-მეფისა სალოცავად მე მისმან მოძღვარმან ილარიონ ვიყიდე სპარსთაგან მას ჟამსა, ოდეს ჯვარი სპარსთა დაიპყრეს". სახარების თარგმანის მე-XIV—XVI საუკ. ხელნაწერზე წარწერა № 135: „ესე წიგნი ჯვარისა მეფეთ-მეფისა დავითის ცოდვისა შესანდობელად მე მისმან მოძღუარმან (ასო «ჰ» ცაგარლისაა) ოპიზარმან ბერმან ილარიონ დავიხსენი სპარსთაგან მას ჟამსა, ოდეს ჯვარის მონასტერი სპარსთა დაეპყრა". ნიკ. ჩუბინაშვილისგან გადმოღებული წარწერა № 6: „ესე თარგმანი კაპფათური მე ანტონი ფ~დ ცოდვილმან დავიხსენ სპარსთაგან საფასითა ჩემითა და მუნვე შევსწირე... მე და სომეხი დავისარჩლენით იაკობ-წმიდის საყდარსა ზედა.... და კვალად ნებითა ღ~თისათა ფრანგთა გოლგოთა დავაგდებინე და მათი ყველა... გარეთ გამოუყარე" (СВѢД. III, გვ. 48).

ამაზე ცხადი საბუთი რა გინდათ იმის შესახებ, რომ სპარსთა დავითის მეფობაში, (თანახმად ქ-ცხბისა და სხვათა მეისტორიეთა) იერუსალიმი დაუჭერიათ, ჯვარის მონასტერი გაუძარცვავთ და ქართველ ბერებს მათგან მოტაცებული წიგნები შემდეგ ისევ დაუხსნიათ. აქ არ შეიძლება ვიგულისხმოთ არც ხორაზმელთაგან იერუსალიმის დაპყრობა 1243 წ., არც მონგოლთაგან 1259—1260 წელს, როგორც ცაგარელი გვამცნებს, ამისთვის რომ თვით ცაგარლისავე მოწმობათ ეს წარწერა (№ 135) იპოვება XV—XVI საუკუნის ხელნაწერზე და გარდა ამისა თვით ეს წარწერანი მოიხსენებენ ანტონს და ბეენა ჩოლაყაშვილს, რომელნიც მე-XVI საუკ. ცხოვრობდენ. ერთი მაგალითიც არ იპოვება იმისი, რომ ქართველნი მონგოლ-ოსმალთა სპარსელად უწოდებდენ.

ამნაირად ძირიად დაირღვა საბუთიანობა ბ. პროფესსორ ცაგარლისა. მაგრამ ყველაზე თვალთ-საჩინო და მტკიცე საბუთად ბ. ცაგარლის მიერ „აკურიოზებულის" ქართველთაგან იერუსალიმის აღებისა ჩვენ მიგვაჩნია ის მსოფლიო მეისტორიეთაგან აღიარებული და დამტკიცებული ისტორიული ფაკტი, რომ ოსმალთა მძლავრობის დროს მე-XVI საუკუნეში ქართველთ ასეთი უფლება ჰქონდათ მოპოვებული იერუსალიმში, რომ მათ შეეძლოთ წმინდა ქალაქში შესვლა საომარ იარაღებით აღჭურვილთა, დროშა გაშლილად და ამასთან უბაჟოდ, რომლის მსგავსი უფლება არც ერთს ევროპა-აზიის ერს არ ჰქონია მოხვეჭილი. ვინც ღრმად ჩაუკვირდება ამ ისტორიულს ფაქტს, მან უსათუოდ უნდა მიიღოს ჩვენის მატიანის ცნობა, თუნდაც რომ სხვა საბუთი არ იპოვებოდეს მთელ დედამიწაზედ.

მართლაც, რად მიანიჭებდენ ოსმალნი, ეს ჩვენნი სისხლის მსმელნი მტერნი,

ქართველობას ქრისტეს უცხოსა და დიდებულს უფლებას, თუ რომ ქართველობას რაიმე დიდი ღვაწლი არ მიუძღოდათ ოსმალთა წინაშე შესახებ იერუსალიმისა? რამდენიც გინდა იხრიკოს, მაინც ეს კითხვა ერთსა და იმავე პასუხზე მოიყვანს (ლოგიკას ხომ ვერავინ გაექცევა): უსათუოდ და ჭეშმარიტად ქართველთ რაღაც ღირს-სახსოვარი ღვაწლი მიუძღვით ოსმალთა წინაშე შესახებ იერუსალიმისა. ახლა გამოიგნეთ და გამონახეთ, რომელი იქნებოდა ეს ღვაწლი, თუ არ ის, რაიცა აღწერილია ქ-ცხაში: მე XVI საუკუნის დამწყებს უნდა საბოლაოდ გადაწყვეტილ იყო ის დიდი კითხვა, თუ რომელს ერს, ყიზილბაშებს (სპარსებს) ანუ სუნნიტებს (ოსმალებს) უნდა მოეხვეჭა პირველობა მცირე-აზიაში: სასწორი თითქმის სპარსთაკენ გადიწია, როდესაც მათ აიღეს იერუსალიმი; და ამათ რომ მთელი ვაჟკაცობით განთქმული მაშინდელი ქართველობაც მიშველებოდნენ, მაშინ ხომ სპარსეთი გაპარპაშდებოდა დედამიწაზე. ამ გაჭირვებულ დროს ხონთქარმა ელჩი გამოუგზავნა ქართველ მეფეთა (დავითს, ლეონს და ბაგრატ III-ეს და ათაბაგ ყვარყვარეს) და შემოუთვალა: თქვენი სჯულის ქალაქი იერუსალიმი სპარსთა დაიჭირეს. მოდით, მომეშველენით, და თუ წმიდა-ქალაქს მათგან ამაღებინებთ, ის ქალაქი თქვენი იყოსო. ეს დესპნობა იყო დავით-მეფის და სელიმ ხონთქრის დროს, მაგრამ სანამ ქართველნი მორიგდებოდნენ და წასასვლელად ყველა-მხრით გამოეწყობოდნენ, სჩანს, კარგა ხანი გასულა და თვით აღება იერუსალიმისა ქართველ-ოსმათაგან მომხდარა 1527 წ., გიორგის მეფობაში (დავით VIII † 1526 წ.), როდესაც სპარსეთის ტახტზედაც ცვლილება მოხდა.

სამადლობელად ამ დაუვიწყარის შეწევნისათვის ოსმალთა, თუმცა მთელი იერუსალიმი ქართველთათვის არ მიუციათ, მაგრამ ზემო აღნიშნულნი ღირს-სახსოვარნი და სასიქადულო-უფლებანი ფირმანებში აღწერილნი მიანიჭეს მათ, მრავალი აქამდე დაკარგული მონასტრები ქართველთ დაიბრუნეს, კათოლიკე-სომეხ-ბერძენნი განასხეს და იერუსალიმში ფეხი მაგრა მოიკიდეს. ხომ ჰნახეთ, ვითარის კადნიერებით ბედნა ჩოლაყაშვილი აცლევინებს კათოლიკეთა და არმანთა გოლგოთას, ამ სანუკვარ და სანატრელ დიდებას ყოველ საქრისტიანო-ქვეყნისას. უამ-გარემოებოდ შეუძლებელია აიხსნას ის ყველასთვის თვალ-დასანახი, ყველა-მოგზაურთაგან დამოწმებული და თვით ბ. ცაგარლის მიერ აღიარებული ისტორიული ფაქტი, რომ მე XVI საუკუნეში უმწვერვალეს წერტილამდი აღიწია ქართველთა ძლიერება იერუსალიმში, ესე-იგი სწორედ იმ დროს, როდესაც შინაური პოლიტიკური გარემოება საქართველოსი მაფზე ეკიდა და ჩვენი ქვეყანა დღე-და-დღე მოელოდა აღსასრულს ან ოსმალთაგან და ანუ სპარსთაგან. ამ შინაურულ გაჭირვების და არევ-დარევის დროს, ამ მტრების უბეში მყოფობის ჟამს რაღა ეცხელებოდათ ქართველთა იერუსალიმისა, და თუნდაც რომ მოენდომებინათ იქ დამკვიდრება, მერე ვინ აბოგინებდა მათ მოსისხლე და მოქიშპე-მტრის ქვეყანაში მაჰმადიანეთში? ყოვლივე ეს ძნელ გამოსანახი კითხვები და ფაქტები ადვილ გასაგები და გამოსაგნები შეიქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც „ქართლის ცხოვრებაში“ აღწერილს ამბავს აღვიარებთ სიმართლედ და ჩავიხედავთ თვით იმ ხონთქართაგან სისხლით მოპოვებულს ფირმანებში, რომელთა

არსებობა ყველასაგან აღნიშნულია და რომელშიც აღწერილი ყოფილა ესრეთნი უფლებანი ქართველთა;—და ან რა ვიცით, რომ ქ·ცხოვრების თქმულება ქართველთაგან იერუსალიმის დაპყრობაზე თჳთ ამ ფირმანებისაგან არ იყოს ამოღებული?—ვგონებ ისა სჯობს, რომ ჩვენთა „მეცნიერთა“ ამ ჩვენს ყოველთა ღირსებათა და ქონება-დიდებათაგან დაქვეითების და დაძაბუნების დროს „კურიოზებს“ თავი ანებონ და ამ ფირმანების და სხვა მასალების კრებას და რკვევას შეუდგნენ: „მეკურიოზენი“ ჩვენ აურაცხელნი გვყავს უცხო ტომთა მეცნიერთაცა შორის, რომელთა სწყურისთ ჩვენი ყოველ მხრივ „გაკურიოზება“, და ბ. ცაგარლის ლახტი ხომ ის ერთილა მუგუზალა არის, რომელიც ჯოჯოხეთს აკლდა, გინა ის წისლი, რომელიც უთავაზა მიმკვდარებულს, დაბერებულ-დაძაბუნებულს ლომსა ერთმა თქვენმა მოწონებულმა სირინოზმან.

ბ. ცაგარლის უარ-ყოფობსა, სამწუხაროდ, მეტად ღრმად ფესვი გაუდგამს მისს შრომაში და იქამდი აღწეულა, რომ თჳთ ვახტანგ გორგასლის-მიერ მატიანეთაგან მოთხრობილი ჯვარის მონასტრისა ქართველთაგან აღშენებაცა უკუ-უგდია, აგრეთვე ამბავი გოლგოთისა, კოსტანტინე-დიდისგან მირიანისადმი ბოძებულისა, თურქ-სპარსთაგან იერუსალიმის დაჭერისა და ქართველ-ერისთავთაგან (შალვას და პაპასაგან) დახსნა XIV საუკ. და სხ. სხ., თუმცა ეს ცნობები გარკვეულია და დაბეჭდილი, და თჳთ ბ. ცაგარლის მიერ აღმოწერილ წარწერებიდამაც საგულისხმებელია: მაგალითად, მირიანისადმი კოსტანტინე-დიდისგან გოლგოთის ბოძება და მონასტრის აღშენება, აგრეთვე ვახტანგ გორგასლის მიერ ჯვარის მონასტრის აღშენება აღნიშნულია ამ მონასტრის წარწერებში, თუმცა არასრულად აღმოკითხულში ბ. ცაგარლის-მიერ, მაგრამ მიტროპოლიტის იონა გედევანიშვილის მგზავრობის წიგნში, მარტვილის ხელნაწერში, უფრო ცხადად და სრულად აღმოცნობილებში. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, დიდად მოეწონებოდათ იმ მეცნიერთა გუნდს, რომელთა ჭეშმარიტება მდგომარეობს სხვისს დაჩაგრვაში და ყოველ ღირსებათაგან განშიშვლებაში. ჩვენებურთ მეცნიერთა დიაღ დიდი სიფრთხილე და განმჭვრეტელობა ჰმართებთ ესრეთთა გუნდთა შორის, მაგრამ არც იმოდენი, რომ, მაგალითად, მეგრულის ქართულ-ენობა უარჰყონ და მეგრელთა ახალ-მთარგმნელ-სჯულის-მდებლად მოევლინონ...

უკანასკნელ საჭიროდ ვრაცხ ესეც შევნიშნო: ბ. ა: ცაგარელს რომ პალესტინის ქართული ხელნაწები გულდადებით გაესინჯა და აღეწერა, ჩვენ მრავალი ახალი საბუთები გვექნებოდა ზემო-აღნიშნულ ისტორიულ კითხვის შესახებ. სამწუხაროდ ბ. ცაგარელს მხოლოდ ოდნავ თვალი მოუკრავს ხელნაწერთათჳს. თავი-ბოლო გაუსინჯავს და შიგ-კი არ ჩაუხედნია. ამისს დასამტკიცებელს საბუთებს მრავალს იპოვის მკითხველი, თუ ინებებს ცაგარლის ხელნაწერთა აღწერის შედარებას ნიკ. ჩობინოვის აღწერილობასთან, სადაც ერთსა-და-იმავე წიგნში იპოვება არა ერთი და ორი ფრიად საყურადღებო წარწერა, ბ. ცაგარლისაგან შეუნიშნავი და აღუნუსხავი (СВѢДѢНІЯ III, 44—54). რომ ესრეთი ჩვეულება სჭირს ბ. ცაგარელს, ეს დიდი ხანია შენიშნა განსვენებულმა არქეოლოგმა დ. ბაქრაძემ, რომელმაც აღმოაჩი-

ნა მრავალი უმწვერვალესის ყურადღების ღირსი წარწერები შესახებ ქართველთა მე-X საუკუნის მწერლებისა და მწერლობისა იმავე ხელნაწერებში, რომელშიც ბ. ცაგარელს ორიოდ-სტრიქონიანი წარწერაღა უპოვნია და ჩვეულებრივის თავმდაბლობით განსვენებულმა თვისი აზრი მხოლოდ ესრე გამოსახა :«შეადარე ჩემი ამონაწერები ბ. ა. ცაგარლისას, СВѢДѢНІЯ» და სხ. (იხ «საქართველოს ისტორია» დ. ბაქრაძისა, გვ. 245—9 ); განსვენებული გააკვირვა იმ გარემოებამაც, რომ მრავალი ხელნაწერი ბ. ცაგარელს სრულიად შეუნიშნავი დარჩენია (იხ. იქვე გვ. 245—6; 253). *) თვით ბ. ცაგარლის ამონაწერებიდამაც სჩანს, რომ წიგნში საყურადღებო მოთხრობა ყოფილა შეტანილი, მაგრამ, სამწუხაროდ, მაინც შეუნიშნავი დარჩენია ბ. ცაგარელს. ავიღოთ მაგალითად № 77-ის მარხვნის წარწერა: ეს წარწერა მოგვითხრობს, რომ ხელნაწე-

---

*) ესრეთი თავმდაბლური შენიშნვაც ვერ იტვირთა ბ. ცაგარელმა და დ. ბაქრაძის სიცოცხლეში ხმის არ-ამომღებელმა, მისის სიკვდილის შემდეგ გასცა მას პასუხი მით, რომ გამოაცხადა (დაუსაბუთებლად) მისი შრომა თითქმის უვარგისად, რადგან მასში იპოვება пропуски, недосмотры и невѣрности და სხ. (Свѣд. Ш, გვ. V). მე ერთი შრომაც არ ვიცი ყოვლისფრით სრული, და არც შეიძლება იყოს ყოვლად უნაკლულო: უნაკლულოა მხოლოდ ღმერთი, ხოლო ქვეყნიერნი,—მეცნიერნიც-კი,—სავსენი ვართ ნაკლულევანებითა, რუსთველისაებრ: „კარგი რამ მჭირდეს გიკვირდეს: ავი რა საკვირველია?“... მაგრამ ესეც არ იკმარა და ბ. ცაგარელმა და დ. ბაქრაძეს პირდაპირ სიცრუვე დასწამა და მოწმად განსვენებული დ. ფურცელაძე დაგვიყენა (მკვდართა მოწმობა ვის მოუგონია?): თამარ-მეფის სურათი ბეთანიის ტაძარში შესავლიდამ მარჯვნით-კი-არ ჰხატიაო, როგორც ბაქრაძე იტყვისო, არამედ მარცხნითო. ეს მე პირ-და-პირ მოვახსენეო დ. ბაქრაძეს, როდესაც მასთან „არქეოლოგი“ დ. ფურცელაძე იყოო; განსვენებულს ბაქრაძეს ცოტა არ იყოს შერცხვაო, მაგრამ მიზეზი მისთა შეცდომათა ვერ ამიხსნაო (Свѣдѣнія Ш, გვ. V).—დ. ბაქრაძეს ამით ბრალდება განზრახვითი სიცრუვე, ე. ი. მომაკვდინებელი ცოდვა მეცნიერებაში: ვინც განზრახ იცრუებს (და არა უყურადღებობისა ანუ სხვა-მიზეზთა-გამო შესცდება), იმან კალამი უსათუოდ უნდა დააგდოს, რადგან ერთჯერ სიცრუვეში შენიშნულმან ბევრის-ბევრი მართალიც რომ სწეროს, არ დაუჯერებენ. ამისგამო ესრეთი მომაკვდინებელი ბრალმდებლობა დ. ბაქრაძისა ბ. ცაგარელს უნდა მისსავე სიცოცხლეში გამოემჟღავნებია და მოწმად უსათუოდ ცოცხლები დაენიშნა. ეს მას ჩამოერთმეოდა კაცობაში და დიდს სიპატიოსნეში, რადგან მეცნიერების სიყვარულმა უნდა სძლიოს მეგობრივს და ყოველ გვარს შენ-ჩემობრივს ანგარიშებს. ახლა-კი დაგვიანებულია... ჩემის მხრით მე ვალად ვრაცხ აღვიარო, რომ განსვენებულ დ. ბაქრაძეს არავითარი განზრახვითი სიცრუვე ვერ ეთვისებოდა; ხოლო ბეთანიის მხატვრობის შემდეგ მას, ეტყობა, თვალმა ანუ მეხსიერებამ უმტყუნა, გინა სხვის ნაწერებზე უნებლიეთმა ნდობამ აქნევინა. ჩემის მხრით თამარის სურათის ბეთანიაში მარჯვნივ-მარცხნეობა ადვილად ასახსნელია იმ გარემოებით, რომ ბეთანიის ტაძარს აქვს მხოლოდ ორი კარი, სამხრითი და დასავლითი: დ. ბაქრაძე თუ სამხრითიდამ შევიდა თამარის სურათი მარ-

რი დაწერილია „დიდსა სიგლახაკესა შინა, შემდგომად ტყუჳობით გამოსლვისა ხუარაზმელთაგან. ესე ყოველთა შემდგომითი-შემდგომად მოგვეთხრას მაშინდელთა ქრისტიანეთა ჭირნი და განსაცდელნი და ოხრებანი მონასტერთა და ეკლესიათანი, რომელ არა სადა დარჩომილა ერთი წიგნისა ფურცელი იერუსალიმს"... ცხადია, იმის დამწერი გვითითებს, რომ ამ წიგნში ეს ამბავი დალაგებით არის მოთხრობილი, და რომ პროფესორს არ დაზარებოდა წიგნის რიგიანად გაჩხრეკა, ჩვენს ისტორიას ერთი მარგალიტიც შეემატებოდა. აგრეთვე სხვა წარწერანი ფრიად საჭირო-ცნობებს იძლევიან ქართველ მწერლებზე (№ 138), ძველს ლექსიკონზე (ibid), კათალიკოზებზე (სინას მთისა № 64, გ. 77—9), ქართველთა მგზავრებზე იერუსალიმში (ibid), უცნობ ქართველთ მონასტრებზე (ibid № 56) და ძველ მე-X საუკ. გვაროვნობაზე (№№ 72; 79), მე-IX—X საუკ. უძველესის ქართულ მხედრულ ასოებზე (№ 11) და სხ., მაგრამ პროფესორს ესრეთი საყურადღებო ამბები მხოლოდ ორიოდ რუსულ სიტყვებით აღუნიშნავს და თვით წარწერანი ანუ არ მოუყვანია, ანუ ნაკუწად შემოუტანია და მრავალი სრულიად უარუყვია. ეს რომ ტფილისის ანუ პეტერბურგის წიგნთ-საცავთა აღწერილობაში ენებებინა, ბევრი არა დაგვაკლდებოდა რა, მაგრამ პალესტინაში და სინის მთაზე რომელი ბედნიერი შემთხვევა კვლავ მიაგდებს ქართველს მეცნიერს და თუ ეს ოდესმე ბედმა მოგვიტანა, მანამდი მაინც ბევრი წყალი ჩაივლის და ეხლანდელ ქართულ ხელნაწერთაგან მაშინ მას დახვდება მხოლოდ ნატამალი. სჯობდა, რომ სახელმწიფო ხარჯით გაგზავნილს ქართველ პროფესორს განეჭვრიტა ესრეთი ადვილ-გასაჭვრეტი გარემოება და თუ მაინც-და-მაინც «ნაზ-ბუნებოვნობა» არ დააბორკილებდა, ღვაწლი დაედვა ჩვენს მწერლობაზე.—ამითი ჩვენ არ გვინდა სრულიად განვაქიქოთ ბ. პროფესორის შრომა. ეს შრომა ისრეთს საყურადღებო საგანს ეხება, რომ იმ ნაშთთა თვით უვიცი აღწერილობაც, ორიოდ სიტყვითაც რომ იყოს აღნუსხული, მაინც ძვირფას განძად დაიდება ქართულ მწერლობის სალაროში.

ის-კი მაინც არ შემიძლია არ უსაყვედურო პროფესორს, რომ მას თითქმის ყველა თვისი მასალა განუმარტავად დაუბეჭდია (როგორ უნდა გამოიყენოს მომავალმა ისტორიკოსმა განუმარტავი საბუთები?) და სადაც თითო-ოროლა განმარტება გაუმეტნია, იქ უმეტესს შემთხვევაში სცდება (ამის მაგალითების აჭრელება აქ მეტად მიგვაჩნია). ხოლო ყველაზე მძიმე ცოდვა პროფესორისა, ჩემის აზრით, ის არის,

---

ჯვენა მხარეს აღმოუჩნდებოდა, როგორც თვითვე გვეტყვის, ხოლო თუ ბ. ცაგარელი დასავლის კარებით შებრძანდა, თამარის სურათს ის უსათუოდ მარცხენა მხრით დაინახავდა, ხოლო ტრაპეზიდამ თუ შეხედავდა—მარჯვენით დაესახვოდა. აგრეთვე დ. ბაქრაძე სწერს: „Совершенно такой (როგორც ბეთანიისა) портретъ я видѣлъ въ...Варзіи“, მე მგონია, განსვენებული იგულისხმებს ორისავე სურათის სრულს მსგავსებას, როგორც სახისას, და არა იმას, ვითომ ორსავე სურათებში ერთნაირი მდებარეობა-მიმართულება ჰქონოდეს თამარის ხელ-თითთა, გინა თვალწამწამთა.

რომ მას ახალი ორთოგრაფიული ნიშნები შემოუღია და გვარწმუნებს, ვითომ იმ ძველ ხელნაწერებში ეგრე იყოს. სხვა რაღა მოგახსენოთ და ის-კი ჭეშმარიტია, რომ ბრჯგუიანი „ჳ̂“ „ჳ̂ჾ“ „ჳ̂ა“, რომელთაც ესრე ხშირად ჰხმარობს პროფესსორი, არც ერთს ძველს ხელნაწერებში, მე-XVIII საუკუნემდი დაწერილებში, არ იპოვება და არც პროფესსორის-მიერ განხილულს ხელნაწერებში იქნებოდა. მკვლევარი რომ პროფესსორისგან დასხმულს ორთოგრაფიულს ნიშნებს დაენდოს და დაიჯეროს, ვითომ VIII—XVII საუკუნის ხელნაწერებში ესრეთი ნიშნები იხმარებოდა, როგორც ბ. ცაგარელი გვარწმუნებს, მაშინ იგი სრულიად აგვირევდა დავთრებს და ჭეშმარიტებისაგან გადაგვკარგავდა.

ვერც იმას გაუშვებთ შეუნიშნავად, რომ პროფესსორი ძალზე ამახინჯებს ტექსტს წარწერებისას: ამისი მტკიცე საბუთები ხელში გვიჭირავს: ეს გახლავსთ ის ოთხიოდ წარწერანი, რომელნიც მას შეუტანია თფილისის წერა-კითხვის წიგნთ-საცავის ხელნაწერთაგან და ათონის მანუსკრიპტიდან, რომელიც ჩვენ ხელთა გვაქვს და შედარება შეგვიძლია (СВѢДѢНІЯ II, გვ. XXIX—XXXI). ამაში ყველა დარწმუნდება, ვინც შედარებას არ დაიზარებს პროფესსორის ამონაწერისას დედანთან, ხოლო ჩვენ ორიოდ ნიმუშს მაინც დავსდებთ: 1) მესხურს დავითნში თამარის დაბადება აღნუსხულია 1561 წელს, ხოლო პროფესსორი გვარწმუნებს, ვითომ იქ ეწეროს 1552 წელი; 2) იქვე სწერს ქაიხოსროს წაბრძანებას ბათამზ ყაენთან (!) ქკ͠ს :სნჲ: (1613 წ.?), ხოლო ნამდვილში-კი სწერია მახთამაზ ყაენთან წაბრძანება (და არა ბათამზთან) ქკ͠ს:. :სნჾ: ე ი. 1570 წ. (და არა 1613 წ.); აგრეთვე ქკ͠ნი :სჲბ: (№ 7) გადაქცეულია ბ. ცაგარლისაგან :ჩჲბ: (50 წლით გარჩევა!) ესრეთმანვე დაუდევრობამ ბ. პროფესსორს „ბაკურიანი“ აქცევიანა ორბელიანად, შერგილ დადიანი—ბერგილად, აფხაზეთის კზ͠ი—ღუზის კზ͠ად, კაპპათა—კაპპალად, აბიკურა—პუკარად, ავად ჩსრეკა (ე. ი. ცუდად წერა)—„ლავრად ჩხრეკად“ (!?); შაბია—ბაბენად; ალასტნელი—ალასხნელად; ერისთავთ-ერისთავი—ერეკლედ; შაბურისშვილი—შობისშვილად და სხ. და სხ. იმავე დაუდევრობის მიზეზით პროფესსორი წ͠ის გიორგი-ათონელის სიკვდილს გვიჩვენებს ხან 1066 წ., ზოგან 1067 და იშვიათად 1068 წ. რომელს-ერთს უნდა დაუჯეროთ?—არც-ერთს, რადგან არც-ერთი არ არის მართალი.

ხოლო რაც შეეხება ამგვარს შეცდომებს, როგორნიც არიან, მაგ., «ზეობასა» (ცაგარლის განმარტვით верховенство, ხოლო ნამდვილად-კი при жизни), „გიორგი შეყენებული“ (ცაგარლის აზრით Георгій оставленный, ხოლო ნამდვილად-კი затворникъ), ფილოთეონ ისტორია (პროფესსორის აზრით Исторія Феофилона, ხოლო ნამდვილად კი Исторія богомудрыхъ ანუ ესრედ წოდებული წიგნი: „Боголюбцы“) საყდარი (Каѳедра престолъ; ხოლო ცაგარლის აზრით обитель) და სხვა ამგვარნი, შესანდობარნი არიან, როგორც ნაყოფნი უმეცრებისა და არა დაუდევრობისანი, მით უმეტეს, რომ ამ ჩვენს დროში მეცნიერნიცა და უმეცარნიც ერთნაირად ვკოჭლობთ ქართულ ენის მეცნიერებაში. თუმცა ესეც-კი უნდა აღვიაროთ, რომ მარტო უმეცრებით არ უნდა აიხსნას ის გარემოება, ვითომ მამათ-ცხოვ-

რებაში № 77, მერმინდელის ხელით იყოს მიწერილი სახელი მალე-მწერლისა ათანასესი: რადგან ცნობილია, რომ ათანასე იყო არა გადამწერი ქართულის ხელნაწერისა, როგორც პროფესორს ჰგონებია, არამედ თჳთ ავქსონი, ბერძულად აღმწერი წ̃ის ეკატერინეს ცხოვრებისა. ცხადია, რომ ეს წარწერა დედანში იქნებოდა ტექსტის ხელით და არა სხვა ხელით, როგორც გვარწმუნებს პროფესორი. ვინც დ. ბაქრაძეს მარჯვენ-მარცხენობას და განზრახულს სიცრუეს უკიჟინებს, მას უმეტესი ცნობა ჰმართებს თავისის თავისა.

იმედი მაქვს, რომ არც პროფესორი და არც მკითხველი ჩვენს შენიშნვას სხვა სარჩულს არ დაუდებენ, გარდა ჭეშმარიტების სიყვარულისას, რათა ჩვენნი მკვლევარნი უმეტესს სიფრთხილეს მიეცნენ. ყოველი ამგვარი შენიშნვა ჩემის დღე-გთილობის დამარღვეველი შეიქნა, რადგან ჩვენში ჯერ კიდევ თავმოყვარეობა უმეტეს მძლავრობს, კიდრე ჭეშმარიტების და მამულის სიყვარული.

**1526** წ.ასლო სანებისა. ტყავზე ლამაზის მხედრულით ნაწერი სიგელი მცხეთისა № 7 (ნუსხა :სა:), მიცემული შემონაზონებულის დავით-მეფისგან სიკვდილის წინ († 1526 წ.). ეს სიგელი ფრანგულად დაბეჭდილია ბროსსეს Introduct p. CXCII. აქ მოხსენებულია „თუთხმეტი კაბიწი ათიანითა ლიტრითა": ალბათ ათი ლიტრა უდრიდა ერთს მოხისულს კოდს, ხოლო კაბიწი უნდა უდრიდეს ექვსს კოდს (იხ. ზემო, გვ.) საბა-სულხანის ლექსიკონით კაბიწი სამი კოდია.

ქ... ესე... წიგნი და სიგელი მოგაკსენეთ თქუენ (მცხეთას) და თქუენსა საჴეთ-მპყრობელსა.. ქ̃ისა კ̃ზსა ბასილის მე... შენ მიერ შემოსილმან პორფირითა და გჳრგჳნითა და აწ შენ-ძლითვე ღირს ქმნულმან სახესა მონაზონებისასა დ̃თ ბაგრატონიანმან, ნებითა ღ̃თისათა მეფემან ქართველთამან და-აწ მონაზონმან დამიანე... ვიგულეთ... ესე მოსაკსენებელი... თანა ჯერჩინებითა და ნება-დართვითა-ძმათა ჩემთა ლუარსაბ, ადარაზან (sic) და რამაზისითა (sic).. შემოგწირე... (მცხეთას) და ჩემ-მიერ აღშენებულსა სამარხოდ ძუალთა ჩემთა ჩრდილოთ კერძო ევქტერსა წ̃თა მთავარანგელოზთასა... განვაჩინე და შემოგწირე საალაპოდ კელითა ჩ̃ნითა აღშენებული მთას იქით სოფელი მოხისი სამზღურითა...

გამოსავალი სოფლისა თხუთხმეტი კაბიწი პური ათიანითა ლიტრითა, ხუთი კაბიწი ქერი, კუამლზედან თვითო ლიტრა ზეთი, ს̃დ სოფელმან ერთი ძროხა, სამი ცხუარი, საყუელიარო ძღუენი, სააღდგომო, საწელიწდისთაო (sic) საშობო ძღუენი, როგორც სხუას მთის სოფელსა ედვას, თივის თიბვა, კავთისკევს ზურის მუშაობა, თუითო გზა მცხეთას ტკბილის მიტანა. კავთისკევს დალმან მეეკუდრე ბატონმან სამსახურზედან გაგზავნოს, თვთო კაცი გუერც იახლებოდეს. შემოგვწირავს გორს ჯამბეგაშვილი, ასრე რომე წელიწადშიდ გორულით ლიტრითა ოთხასით მუტყლითა (sic) ოც-და-ოთხსა ლიტრასა ზეთსა და ცხრასა ლიტრასა ცვლსა მცხეთას ჩუენსა სამარხსა ეკუდარსა მიიტანდეს. კიდევე გორს მოლარე და ნამსახური ჩუენი მკვდრი ვეფხუაშვილი ხეჩატურა

ასე რომე მივეცით დილმელაური მამული და ვენაკი და დავდევით გორულით ლიტრით ხუთი ლიტრა ზეთი; ამას მცხეთას მიიტანდეს ჩ˜ნსა სამარხსა ეკუდარსა. იდლეთს ოფლითა ჩუენითა აშენებული ზუარი მისითა სამზღურითა და ერთი კუამლი სასახლითა და სამარნით.—ბოლოს ხელისმოწერა: „Ⴃ҃ႨႧ“ (დავით).

**1526** წ. ახლო-ხანებს სიგელი მცხეთისა, ნუსხა № :სმზ:

„ქ.. ესე წიგნი.. მოგაკსენეთ ჩ˜ნ პატრონმან თარგამოს, პატრონმან ალექსანდრე და ჩ˜ნმან ძმისწულმა პატრონმა გ˜გი თ˜ქნ... (მცხეთას) და კ˜ზსა ბასილის... ამა პირსა ზ˜ა: რაიცა პატრონის მამის ჩ˜ნისა საბრძანებელშიგან მცხეთისა საყდრისა მამულნი იყვნეს, იგი ყოველნი შეხუთნეს და თ˜ქნ მისთჳს გაგჳწყერით. აწე რაც პატრონისა მამისა ჩ˜ნისა ჟამსშიგან საყდრისა მამული დახუთულა, ისი ყუელა უკლებად მოგაკსენოთ. მეფემან ბატონმა დავით შეგუიწყნეს (შეგჳწყუნეს) მაშინ, და თუ არ შეგუიწყუნეს, მაშინ ესე ასრე გაგითაოთ“... ეს პირნი უცნობნი არიან ისტორიაში: ჩვენის აზრით ესენი უნდა იყვნენ კონსტანტინე-III-ის ძმის ალექსანდრეს ძენი, ხოლო ძმისწული მათი—მეფის კონსტანტინე III-ის შვილი გიორგი ბერად შემდგარა (ის. 1540 წ. ქვემე).

**1526** წ. ახლო-ხანს.—მეფე დავით და ძმანი მისნი გიორგი და ბაგრატ აძლევენ კ˜ზს ბასილის სიგელს ასე და ამა პირსაზედა, რომე... „ჩუჱნთა მამა-პაპათაგან.. (მცხეთას შეწირული მამული) ს˜დ მიგანებეთ.. არა ეთხოვებოდეს რა (საელჩო, საჯინიბო, საბაზიერო, საახორსლარო და სხ.)... ერთის ნადირობის მეტი და სალაშქროს მეტი და არცა მალი ეთხუების... ციხეს დგომას არ დავიკლებთ“...

**5526** წ. ქკ˜ს :სიდ: მოსცეს ბაგრატს არადეთის წყალი, გამოღმა ალი, სურამი და ახალ-დაბა.—ამა ქკ˜სა მიიცვალა მეფე დავით („წიგნი ქრონიკონნი“).

**1527—1532**. ამ წლებში არის დაწერილი მცხეთის სიგელი № 272 კახთ მეფის ლეონისა მთავარეპისკოპოზის მალაქიასადმი, რომელიც საბუთებში კათალიკოზად სჩანს 1532—1549 წლებში, ხოლო 1532 წლამდი ის უნდა ყოფილიყო მთავარ ეპისკოპოსი; უკანასკნელის სარისხით იგი ის. 1511 წ. ქვემე.

„ქ. სასოო ჩუენო მარკოზ და ყარსლან! ჩუერ მაგიერად პატრონსა ქართლისა მ˜კზსა (მთავარეპისკოპოსსა) მალაქიას ასრეთ მოაკსენეთ: მცხეთისა საყდრისა და კ˜ზისა საქმესა ეგენი დახუდეს და რაც ჩუენისა შვილისა კელთ იყო და ანუ ვისმე ქონდა, ყუელა უკლებად მივაბარეთ და ჩუენი შვილი სამუქფოთა გავიჯერეთ და გარეჯისა უდაბნონი საყდარს მოვაკსენეთ, ასე რომე

კ˜ზმან მართლად მოიკლოს და უდაბნოთა ძუელითგან გაჩენილი არა მოაკლდეს და არცა გარეჯით მცხეთას მივიდოდეს: მასზედა აღაპნი არიან გაჩენილნი, იგი ტრაპეზსა არ დააკლდეს, და გარეჯის ხატნი და ნაწილნი იქვე მათსავე საბრძანისსავე ზედა მიასვენონ. სხუა ჩუენი კელი არა შევა ლაშქრობისა და ნადირობისა (და) მალისა (ჰეტი?); და თუ გავიაროთ, ძღუენითა დაგუხუდებოდენ. აგრევე სხუანი საღაპონი (sic) მამულნი მოგვიხსენებია და ტრაპეზსა მისი ნუ მოაკლდების. ამაზედა მომკლებად (მომკრებად?) საღმრთონი კაცნი უჩინეთ და ჩუენი საუკუნო საქმე ნუ მოგუაკლდების.—ამას გარეთ რანიცა მცხეთას მონასტერნი არიან აქეთ და მანდით, იგიც მოიკლონ: ჯუარისა მონასტერი მისითა შესავლითა, მეტეხთ მონასტერი მისითა შესავლითა, ქადაგის მონასტერი მისითა საკელოთა და შესავლითა, სარკისა და ვირშისა მონასტერი მისითა შესავლითა; და რაც პაპისა ჩუენისა სამწირველო არის აქეთ, იმას ჩუენ მოვიკლებთ და მაზედა მწირველსა დავაყენებთ.—ქადაგის საქმე აქაც გაუტყდით, ჩუენი მინდობილი არის და საავკაცოდ არვის დავანებებთ და არცა მცხეთით არ გამოვიყუან (გ. ი. ამ მოსხლეს მე თჳთ დავნიშნავ, მცხეთით ნუ მიგზავნიანო და არცა სად გაუშუებთ. და რაცა ჩუენგან მცხეთის საყდრის საკელო აბარია, არცა იმას წაუღებთ. როგორც მცხეთისა საყდარი არა მოიშლების, აგრევე ქადაგისა, მონასტერსა და საკელოსა არ მოვშლი.—სოფელი ახალშენი შემოწირული არის, ასრე რომე საყდარსა ემსახუროს და მისი გამოსავალი ჩუენ გულისთჳს წაიგებოდეს. აბრეშუმი რაც გამოვგზავნეთ, უკლებად შეგვინახონ: კალატოზთათუის მოგუინდების. აგრევე აქაური პური და ღვნო". ბოლოს ხვეულად „ლეონ".

**1527 წ.**—გელათის სიგელი მხედრული № 82:

„ ქ.... მეტეხთა და ხახულისა ღთისმშობელო... ჩ˜ნ... მეფეთ მეფემან (სრული წოდებულება მეფისა) ბაგრატ და თა˜მეცხედრემან ჩუენმან დედოფალმან ელენე ძე საყვარელთა და პირმშოთა ჩ˜ნთა გ˜გი და თეიმურაზ ესე... სიგელი გიბოძეთ... ფანჩულიძეს იოსებს და თქ˜ნთა შვილთა იობს.... მას ჟამსა, ოდესმე მურვან ყრუსაგან დაქცეული და აოკრებული მთავარანგელოზის ეკლესია საფუძვლამდის დაქცეული აწ მოაქანამდის არვის კელ-ეყო აღშენებად მისად... აწ ვიგულეთ... და გიბრძანეთ აღშენება წ˜ა მთავარანგელოზისა ეკლესიისა და ვქენით მოკითხული და ძველად გასყიდული ყოფილიყო და მერე ბაკურაძისაგან თ˜ქნ გეყიდა აღსაშენებლად... სხუა მისი გარეშემო ჩ˜ნ შემოვწირეთ მიქელ-გაბრიელ მთავარ ანგელოზსა... და თქუენ, აბხაზეთის კზ˜ო მალაქია და ქართლის კზ˜ო ბასილიოს და დიდისა საყდრისა მოძღუართ-მოძღუარო მანასე და წანამძღუარო მაკრე (sic)..., ასე დაუმტკიცეთ... დაიწერა... ქკ˜ს :სიე: აპრილსა :კზ:"...

**1527 წ.**—ქკ˜ს :სიე: ლევან კახთ-მეფეს თინათინ გურიელის ქალმა უშ-

ვა ძე ალექსანდრე (ვახ. ქრ. Chron. Gèor-ით ეს ყოფილა 1535 წ. იხ. 1535 წ. ქვეშე). გუჯრებისაგან საგულისხმებელია, რომ ეს ქ˜ნი უფრო მართალი უნდა იყოს.

**1527** წ. სიგელი მცხეთისა № 89 (ნუსხა № :სპგ:): „ქ..... ჩუენ... მეფეთ-მეფის გ˜ის ძემან მეფემან ლეონ... ოდეს... თქუენთა (მცხეთის) მკვდრად შეწირულთა აგარაკთა და სოფელთა უსამართლოდ სამზღუართა შემოსცილებოდეს... (სუამერნელი), მოვიდა წ˜ე ჩნ˜სა ქკზ˜ი ბასილი... მოკითხული ვქენით... და დაგიმტკიცეთ.. (და ზედვე სრული სია მცხეთის მამულებისა კახეთში). დაიწერა... ქკ˜ს :სიე: კელითა ტიმოთესითა (აზის თათრული ბეჭედი).

**1527** წ. ასლო დროებისა. სიგელი მცხეთისა, ნუსხა № :რკზ:

„ქ... ესე წიგნი გკადრეთ (მცხეთას)... და კზ˜ს ბასილს ჩ˜ნ ერისთავმან ბაინდურ და ჩ˜ნთა ძმათა ზურაბ, გოდერძი, ბარძიმ, გოსტასაბ და როსტომ (უცნობნი ისტორიაში)... მას ჟამსა, ოდენ (ოდეს) მეფის დავითის ქალი შევირთეთ; საკანონო იყო და თქუჱნ გამოგუჱნახენით და ჩ˜ნ მისთჳს დაგიდევით ჩუჱნი ნასყიდი დიღუამს ვენაკი თავაქალასეული მისითა წყლითა“...

**1527** წ. მცხეთის ნუსხა № :სოკ:

„ქ. ლეონ ბაგრატიონმა მეფემ (სრული წოდებულობა მეფისა)... ძემან... მეფეთა-მეფისა გის˜მან ესე შეწყალებისა და სამამულო წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქუჱნ... ჰარმაულსა გ˜ის და შენთა ძმათა გრიგოლს, აბიათარს და შენსა შვილსა ავთანდილს... კითხვითა და ნება-დართვითა ბასილი ქკზ˜ისათა.. თქუჱნი მკვდრი მამული ხატისწობენი მეჟმეობით გარაყანისძეთა დაეჭირა. მოხუჱდით და ჩ˜ნთა კართა ზ˜ა გაიბრჭუჱნით... გარაყანიძეს ფიცი შეჰკდა და ვერა დაიფიცნა და სამართალმან შენი მამული შენვე მოგცა. აწ ჩ˜ნცა სიგლითა ამით დაგიმტკიცეთ.... ქკ˜ს :სიე: კელითა ტიმოთეს მწიგნობრისა ჩ˜ნისათა“ (ბასილი კზ˜იც ამტკიცებს).

**1527** წ. ასლო დროებისა.—მცხეთის ნუსხა № :ტო: „ქ. ესე სათავდებო წიგნი მოგაკსენეთ ჩ˜ნ ბეგამან, სარგის, ნოდარ და ამილღაბარ თქ˜ნ... ქკ˜ზს ბასილის ასრე და ამა პირსა ზ˜ა, რომე მცხეთის საყდრის მამულსა სარკის მონასტრისა და მაჯანიძისა ბადრიასი და ბოთვერას (რაც) სამამულო საქმე იყოს და აგრევე ხუჱდურეთს რაც მცხეთისა საყდრისა მამული იყოს, ნასყიდი, თუ უსყიდელი, ყუჱლასი საქმე მართლითა სამართლითა გარდაგიწყვდოთ და ქორაზნას ვენაკითა სიგლითა რაც გქონებოდეს ისიცა სიმართლითა მოგაკსენოთ. ამისა გათავებისა თავდებად ღ˜თი და მისნი წ˜ღნი და ქართლისა მთავარ-ებისკოპოსი პატრონი თევდოსი მოგკსენებია“.

**1528 წ.**—ქკ~ს :სივ: ბატონისშვილის ვახტანგის მეუღლე, კახთა მეფის ასული ხვარამზე მიიცვალა (Chr. G.).

**1529 წ.** ქკ~ს :სიზ: სულტან-სულეიმან ხონთქარი ერევანზე მოვიდა (კას. ქრ.).

— ქკ~ს :სიზ: ამას ქკ~ს მიიცვალა ქუთათელი გერმანოზ და დადგა სვმეონ (გელათური წ~ა გი~ს გულანი).

— ქკ~ს :სიზ: ამა ქკ~ს მიიცვალა ქუთათელი გერმანოზ და დადგა სვმ~ნ (ეკ. მუზ. ხელნაწ. № 49).

გელათის გულანის წარწერა: „ქუთათელ მთავარებისკოპოზსა სვიმონს ჩხეტიძესა, რომლისა ბრძანებითა და დიდითა მოჭირვებითა აღიწერა ესე სულთაგანმანათლებელი გულანი, ცოდვანი მისნი შ~ს ღ~ნ და ამა სოფელსა დღეგრძელი და პატიოსნება მიეც, ღ~თო (დ:) ქუთათისისა და პალეასტომისა ღ~თის-მშობელო, თქუენსა მადლსა".—სხვა წარწერათაგან: „კარგარეთელსა სოფრონს შ~ს ღ~ნ;—მათსა შვილსა სვიმონს, ამა გულანისა დამწერელსა, შ~ს ღ~ნ. დაჲსა ჩემსა ანუსიას შ~ს ღ~ნ; მამის მამასა ჩემსა ვარსიმეს შ~ს ღ~ნ". „გაბრილია ქარსლაძეს .. შ~ს ღ~ნ... „მართა-ყოფილსა მარინეს ცოდვანი შ~ს ღ~ნ"—„მარკოზ ჯ~ის-მტკრთველის შვილსა შ~ს ღ~ნ";—"ამისსა დამწერსა კარგარეთელსა სვმონ მესხსა... შ~ს ღ~ნ"; ბოლოს: „სწერია ამ გულანსა შინა: დავითნი სრული;—სამოციქულო სრული;—სრული სახარება;—რვა-კმანი, პარაკლიტონი სრული და უკლები :ია: სახარებითა, გამოვლინეთა, აქებდით დიდებითა; გუნდნი ანგელოზთანი; სასოო და შესავედრებელო; დიდი შეგვწყალენი; და კრებულმან წ~თამან;—თორმეტნი თთვენი მისითა ყოვლისფერის ცისკრის სახარებითა, საწინასწარმეტყუელო იამბიკო სვნაქსარით, ტვბიკონი: - - - - ათორმეტებითა მისითა, ფსალმუნებითა, სახარება-სამოციქულოთი, საწინასწარმერყუელოთი; - - - - სრული და უკლებელი მისითაჲ - - - სტუდელითა, სამოციქ - - სახარებითა - - - ; - ზატიკნი სრული, საწინასწარმეტყუელოჲსა, სამოციქულო-სახარებითა;—ოც-და-ერთის დღის საკითხავები მეტავრასთაგან;—ქორონიკონი სრული;—კურთხევანი სრული;—მარტვლია სრული". კარგარეთელი ზოსიმე, მისი მამა სჳმონ და დედა მისი მარინე სჩანან 1562 წ. (იხ. 1562 წ. ქვეშე).

— ქკ~ს :სიზ: მიიცვალა ქუთათელი გერასიმე (გერმანოზ?) იანვარსა :ი: ამავე წელიწადსა დაჯდა მათი ძმისწული სიმიონ და წარვიდა და ეკურთხა საყდარსა ბიჭვინტისასა.—ამავე ქკ~სა მეფეთ-მეფემან ბაგრატ განყო ლიხთ-იმერითი სამ საეფისკოპოს(ო)თა ბრძანებითა აფხაზეთისა კზ~ისა აბაშისძისათა. ინება ღ~თივ-გვირგვინოსანმან მეფეთ-მეფემან ბაგრატ და დედოფალმან ელენე დიდისა და ცათა მობაძავისა საყდრისა ახლისა იერუსალიმისა გენათისა ეპისკოპოზისა მელქისადეკისა საყვარელის ძესა, საუკუნოდმცა არს ხსენება მათი! ამასვე დროს იმავე პატრონმან გააჩინა ხონელ ეპისკოპოზად მიჩხეტისძე (მჩხე-

ტისძე) მანოელ ამავე აფხაზეთის კზ̃ისა კელითა საყდართა შიგან ბიჭვინტისათა ქ̃ნი იყო :სიზ: წარჳედით აფხაზეთს საკურთხეველად ივნისსა :კ: მოვედით ივლისსა :ვ: (Chr. G. გვ. 5—6).

— ქჳს :სიზ: მცხეთის სიგელი № 6:

„ქ... ჩ̃ნ ბარათაშვილმა აბაშმა და ჩემმა ძმისწულმა დავით, შვილთა მოძავალთა სახლისა ჩუენისათა... მოგაკსენეთ... თქუენ... (მცხეთას)... და კზ̃ს ბასილის მას ჟამსა, ოდეს ჩუენთა გუართაგან სააღაპოდ შემოწირული სოფელი ყორანთა ამოწყუედილ იყო და სალალოვებს მიწებს ალარავინ გაამებდა (sic) აწ ჩუენ ახლად ავაშენე(თ)... და მოგაკსენეთ... ყორანთა... აღაპი არ მოგუეშალოს... დაიწერა... ქ̃სა :სიზ: (იხ. ზემო გვ. 232).

განაჩენი მეფის ლუარსაბისა (მცხეთის ნუსხა № :რყ: გვ. 79 და 171), რომელშიც გერმანოზ ბარათაშვილი მოიხსენიებს: „ჩუჱნმა გუარმა კაცმა დიდმა ბარათამა ყორანთა შესწირა". რადგან „დიდი ბარათა" მოხსენებულია ქაჩიბაძისძედ, ამით ცხადდება, რომ ბარათაშვილნი არიან ქაჩიბაძისძენი.

**1529—1530** წლებში უნდა იყოს დაწერილი ქვემო დაბეჭდილი ორი სიგელი მცხეთისა, რომელნიც ერთსა და იმავე საგანს ეხებიან—მცხეთის დაკარგულ მამულებს, კ̃ზის ბასილის დროს (ბასილი უკანასკნელად დასახელებულია საბუთებში 1529 წ.):

სიგელი მცხეთისა, № რლზ. სათაური: „სუეტის-ცხოვლის მამულებისა სტა არი. თავი აკლია".

„ - - - ვეძისი, უპიტი, სანე - - - ხუედურეთს ქუაბნი და რაც გლეხნი არიან საყდრისა აოკრებული და გასყიდული არის; საყდრის სამსახური არღარა შეუძლიან რა. ქუჱმო ერისთავსა ოდიშელისძენი აქვს, ბატონს ბაგრატს (მუხრან ბატონს)—მისაქციელი... ალაიანი ს̃დ ჰდობილთა დადვა და აგარულს სამზღუარსა წამოგუჱჱიდა და დაიჭირა; გარდმოუგდო ქსანი და რაც ქსანს გაღმა ქალა და მამული დარჩა, დაიჭირა და აქუს.

აქუს რატიშვილს წირი..., კორინთელს ველური..., ამილახორს თაჯუაშვილები..., ზემო-ერისთავსა ქუჱში და სათივარი და ქორდი... აქუს ვაჩნაძესა წოლდი, ფავნელიშვილსა ზაკვ და ერედუს გლეხები... კიდე კუნელთ სამზღუარშიგა ბატონმა ბაგრატ სოფელი ააშენა და თეკენა დაარქუა"... მცხეთის ნუსხაში № :სი: დამატებულია დაკარგული მამულები: „ქართლს მცხეთის ჯუარი კუართისა, ცხინვალს ურია ელიოზიძე, სოფელი ქუჱში ქუჱნივნეველსა აქუს..., რუისს მრულაშვილი... ქალაქს ურდულაშვილისეული სასახლე. ერთი კუამლი კაცი მეტეხლისა შალვას აქუს... მისაქციელი, საეკუდრო, კოდმანისა და სავანეთის მთა... წაგუართვეს გოსტასამიანთა". (ეს ერისთავნი ზემო იხ. გვ. 28).

**1529 — 1520** წ. სიგელი მცხეთისა № 262:

ქ. ქათალიკოზმა:. პატრონმა:. ბასილი:. ძმისწულთათჳს დაიჭირა კუნენელ-

თა სამი კუამლი კაცი და სხუა სრულად პატრონს ბაგრატს( ე. ი. მესრან ბატონს, კოსტანტინე-მეფის მეს) მისცა და მისაქციელი, თეკენა და წეროვნის ნახევარი; კოპინაშვილები დაასახლა და დაუკარგა მცხეთას, ასრე რომე ასრე ჯერეთ არა გარდაწყუეტილა, იქივე წეროვანს იყიდა მოყალნეების მიწები, სასახლე და პურ-მარანი და იმისმა ძმისწულებმა კიდავე (კიდევე) დაყიდეს აღაიანთას წისქუილი, ზუარი და მიწები:. მარტიცი მცხეთის პურღვნითა და ბანბითა, და კიდავე მცხეთის მამული გამოიღეს ფასად, სათალგმისი და რეკული მამული, მცხეთას სასახლე რაგუარაც თუთან მოეკიდა მცხეთასა დასაქცევრად, აღარცა სხუათა გამოენახვა, მიყვეს კელი შინაურმა და გარეულმა მცხეთის მამულსა სასყიდრად, და ასრე დაიკარგა რომე რაც სოფელი არის ზოგან ნახევარი, ზოგან მესამედი აკლია; დაიკარგა მცხეთისთჳს: ამას უკანის ერთი სოფელი ფონთხელა ქარმაულმა იყიდა გეშაშვილისაგან. მოკითხული ქენით და თუ ყუელა მის ჟამშიგა არ დაკარგულიყოს, იმის მწერალსა გარდაკდევინეთ და თუ მართალი იყოს—სარიდანა, ძმანი და მისნი დაჰკარგენით: მცხეთის დამაქცევნი არიან. როგორაცა ეს ყუელა მცხეთის დაქცევა და შეცოდება გამოაჩნდა, მეფემან საეკუდრო წაართუა და გაავდო და ამისითავე ბრძანებითა ჩუენ მარტაცი წავართჳთ და მისსავ მემკჳდრესა მიუბოძეთ“.

ხელჩართულად „კათალიკოზი“.—ეს გუჯარი გარდა საყურადღებო შინაარსისა იმასაც გვიხატავს, თუ რა დიდნი პასუხის-მგებელნი ყოფილან იმ დროს მდივანმწერალნი. აქ საჭიროდ ვრაცხთ შევნიშნოთ, რომ ძველს მხედრულ ნაწერში (XVI—XVI საუკ.), როგორც ამ გუჯარშიც, ასო „ჳ“-ს მაგიერ უსმარნიათ „უი“, მაგრამ ამ მარცვალს ასო „ი“ კუდზე მობმული აქვს მუდამ და ამ უკანასკნელს შეითხვევაში უოველთვის უდრის „ჳ“—ს.

**1531 წ.** მცხეთის სიგელი № 197 იხსენიებს მეფე გიორგის.

— ქ˜ კს: სით: და ივლისსა :ია: მიიცვალა მკეცისძე სარგის (Chron. G. P. 5). ეს ამბავი მოხსენებულია ქ-ცხბაშიც II, გვ. 271), თუმცა ბაქრაძე-კონდაკოვს ვერ უპოვნიათ სარგისის ვინაობა. მოღარეთ-უხუცესი სარგისი თავისის ცოლით ელენე-ყოფილ ეკატერინეთი (ამილახვარის ამირინდოს ქალი, დისწული ბაგრატ მეფისა) გამოსახულნი არიან დაჩოქილ-მვედრებელად გელათის ღოხასტაულის ღ˜თის მშობლის ხატზე წარწერითა (იხ. ზემო, გვ. 354—5).

**1532—წ.** მცხეთის სიგელი, ნუსხა № :სჲზ: რომელშიაც პირველად მოხსენებულია კზ˜ი მალაქია, რომელიც უნდა იყოს ქ-ცხბაში მოხსენებულის და სხვა საბუთებში უწინარეს მეფის ძის მელქისედეკისა. თუ მელქისედეკი მართლა კათალიკოზობდა, იგი უნდა მჯდარ იყო შემდეგ 1529 წ., როდესაც უკანასკნელად სჩანს კზ˜ი ბასილი და უნდა განდგენილიყო უწინარეს ამ 1532 წლისა. ბროსსესით იგი უნდა დამჯდარ და განდგენილ იყო 1529 წ.; იგი ცოცხალი იყო 1540 წ.: Rap. I p. 21. ქ-ცხბით (II, გვ. 271). მელქისედეკის შემდეგ 1530—1 წელს დასასხელებუ-

ლია კზ҃ი გერმანე (Annal, p. 474), რომელიც არცერთს საბუთში არ აღმოჩნდა.

მალაქიას კათალიკოზობის დრო აქამდი საძიებელი იყო. ვახუშტი და ბროსსე (და ყველა შემდეგნი მიმდევარნი მათნი) მისს კათალიკოზობას დასდებდენ მე XVII საუკ. დამწყებს (იხ. ქ-ცხ. II, გ. 196; Hist de la G. II 438 და Annal p. 274 აგრეთვე იხ. ჩემი „Абхазскіе Каталикосы“, 1893 г გვ. 15—16; და ამავე დროს გვიჩვენებდენ „კათალიკოზთა კანონების“ დაწერის ჟამსა, რომელშიც მოხსენებულია იმერთა კზ҃ი ევდომოს და ქართლისა მალაქია. ასლა-კი ცხადია, რომ „კათალიკოზთა კანონები“ დაწერილია პირველს ნახევარს XVI საუკუნისას, და იმაში მოხსენებული იმერთა კზ҃ი ევდომოზ უნდა იყოს ევდომოს I და არა ევდომოს II, რომელიც მიიცვალა 1578 წ., რადგან ძნელი დასაჯერებელია, რომ ევდომოზს კათალიკოზობაში ეცხოვროს 1549 წლიდამ 1578 წლამდე.

რადგან ამ გვარს სიგლებს აძლევდენ ახალ დადგინებულ კ҃ზებს და რადგან ამ სიგელში ხმარებულია ფრასა „კ҃ზად დაგადგინეთ“, ამით ჩვენ საფუძველს ვპოულობთ დავასკვნათ, რომ მალაქია კ҃ზად დაუყენებიათ ანუ 1532 წელს ანუ ამის წინა-წელიწადს—1531 წელს. (იხ. ზემო 1511 და 1527 წ. ქვეშე)

ქ. ჩ҃ნ ღთივ გვრგვნოსანმან მეფეთ მეფემან პატრონმან ლევან და დედამან ჩ҃ნმან დედოფალთ დედ-ფლმან ელენე და თანა-მეცხედრემან ჩ҃ნმან დედოფალმან თინათინ და ძეთა ჩ҃ნთა გ҃ი და იესე ესე... წიგნი.. მოგაკსენეთ (მცსეთას) და წ҃ა მეუფესა და შესავედრებელსა სულისა ჩ҃ნისასა, ზეცისა კაცსა და ქ҃ყანისა ანგელოზსა, დიდსა მამათმთავართ-მთავარსა ქართლისა კთ҃ლიკოზს პატრიაქს მ ა ლ ა ქ ი ა ს მას ჟამსა, ოდეს მცხეთის საქმე შემცირებულ იყო, იპ-რიანა ღ҃ნ ნებითა და შეწევნითა ღ҃თისათა და კათალიკოზად დაგადგინეთ და მოგაკსენეთ, რაჲცა სულ-კურთხეულთა ღთივგვრგვნოსანთა პარონთა პაპათა და მამათა ჩ҃თაგან განთავისუფლებულნი და შემოწირულნი სოფლები და მამულნი იყუნეს მთას ანუ ბარს. აწ ჩ҃ნცა იმავე წესით მოგაკსენეთ [გარესჯას უდაბნონი მთითა მამულებითა და შესავალითა უკლებად, ასე რომე რაც გარეჯისა მამულის გამოსავალი იყოს მისი ნახევარი მცხეთას და ნახევარი უდაბნოსა] (ფრჩხილებში ჩასმულები ჩამოსაზულია) და აწ ჩ҃ნგან შემოწირულა გრემს სამი ვაჴარი და არაგუს აქეთ რაც მცხეთის მამულისა მალი არის ს҃დ, გარესჯის მამულისა პაპისა ჩ҃ნისაგან შემოწირული სოფელი ახალშენი... ერწოს სოფელნი ნოდოკრა, გორანა, პიტლოვანი, კუერნასძეული, სუმერნელი, ნოჯიკებითა.. ძაგნაკორნათა, ზვიადის შვილნი და ოდიშელისძენი,... ხატის წობენი,.. ახატანს ბიწმენი,... გიჟიმყრელნი,... მჟავს,... მოსაქციელს,... კუნელნი სრულიად,... ჯუარი,... კუტსა-ფოსკ,... ჯაჭკ,... ოროტაჲ,... სხუა ჩუჱნგან არა ეთხოვებოდეს რა თვნიერ ლაშქრობისა და ნადირობისაგან მეტი... ციხე უმიზეზოდ გვმუშაონ... დაიწერა... ქკ҃ს ‧სკ:“.

**1532—1548** ამ წლებში უნდა იყოს დაწერითი უთავო და უთარიღო სიგელი

მცხეთისა, ნუსხა № :სნგ: დაწერილი მეფის ლეონისაგან, ნუსხა № :სჲ: რომელშიც მოხსენებული კ̃ზი მალაქია სჩანს 1532—1548 წ.

„სიგელი თრიალეთს ეძანისა, ბეშქენაშენისა და წინუბნისა“.

„- - - - - კათოლიკე ეკლესიასა და თ̃ქნსა საჰეთ-მპყრობელსა... კზ̃სა პატრიაქსა მალაქიას... (მოგაკსენე) ტფილისის ქალაქს მეტეხთა მონასტერი წინამძღურითა და მეტეხლითა კელ-შეუალად, ქორდს ყანდიაშვილი... მამულითა, თრიალეთს სოფელი ეძანი.., უკანა ბეშქენაშენი, ერთი ვაჰარი გორს და ერთი ქალაქს... მეფობისა ჩ̃ნისა წარსამართებელად... სხუა რაც ჟამთა-ვითარებისაგან ძუÜლნი შეწირულნი და გაჩენილნი მოშლილ იყუნეს, თ̃ქნგან წყალობად გომნი ნასიძესა ჰბოძებოდეს და ამითა ემსახური (უმსახური), ჩ̃ნ ჯავახიშვილს როინს და ელიზბარს აღარა გამოვართჳთ გომნი და გემსახუროს ასე რომე ერთი მის სახლისა არ გაგეყაროს (და სხ.) (არა გეთხოკებოდეს რა) სათათროსა საურსა გარეთ, ეზროშვლი ვირშელი წინუბნით“. (მეტი არა-რა).

№ :სჲ: „სასოო ჩ̃ნო მარკოზ და ყარასლან. ჩ̃ნ მაგიერად ბატონს ქართლს ქ̃კზსა მალაქიას ასრე მოაკსენეთ: მცხეთისა საყდრის და კ̃ზისა საქმესა ეგენი დახუდეს და რაც (მცხეთის მამულები) ჩ̃ნსა შვლსა კელთა იყო და ანუ ვისმე ქონდა, ყუÜლა უკლებად მივაბარეთ. და ჩ̃ნი შვლი სამუქფოთა გავიჯერეთ და გარესჯის უდაბნონი საყდარს მოვაკსენეთ, ასე რომე კ̃ზმან მართლად მოიკლოს და უდაბნოთა ძუÜლითგან გაჩენილი არა მოაკლდეს; და რაცა გარესჯით მცხეთას მივიდოდეს, მასზედა ალაპნი არიან გაჩენილნი, იგი ტრაპეზსა არ დააკლდეს; და გარესჯის ხატნი და ნაწილნი იქვე მათსავე საბძანებელსავე ზ̃ა მიასუÜნონ. სხუა ჩ̃ნი კელი არა შევა ლაშქრობისა და ნადირობისა (და) მალისა (მეტი?); და თუ გავიაროთ ძღუენითა დაგუხუდებოდენ. აგრეთვე სხუანი საალაპონი მამულნი მოგკსენებია... ამას გარეთ რანიცა მცხეთისა მონასტერნი არიან აქეთ და მანდით, იგიც მოიკლონ: ჯ̃ისა მონასტერი მისითა შესავლითა: მეტეხთ მონასტერი.. ქადაგის მონასტერი.. სარკისა და ვირშის მონასტერი.. და რაც პაპისა ჩ̃ნისა სამწირველო არს აქათ, იმას ჩ̃ნ მოვიკლებდეთ და მას ზ̃ა მწირველსა დავაყენებთ, ქადაგის საქმე,—აქაც გაუტყდით,—ჩ̃ნი მონდობილი არის და საავკაცოდ არავის დავანებებთ და არცა მცხეთით არ გამოვიყვან და არც სად გაუშუÜბთ და რა ჩ̃ნგან მცხეთას საკელო აბარია არც იმას წაუღებთ: როგორათაც მცხეთისა საყდრისა არ მოიშლების, აგრევე ქადაგის მონასტერსა და საკელოსა არ მოვშლი. სოფელი ახალშენი შემოწირული არს, ასე რომე საყდარსა ემსახუროს და მისი გამოსავალი ჩ̃ნის გულისთჳს (სულისთჳს) წაიგებოდეს. აბრაშუმი რაც გამოვგზავნეთ, უკლებად შაგვინახონ: კალატოზისთჳს მოგჳნდების. აგრევ აქაური პური და ღვინო“. (მეტი არა-რა) სათაური წერილისა: „ბატონის ლევანისაგან შემოწერილი“.

**1532 წ.**—ქ̃კს :ხზ: ჯიქეთს მოკლეს მამია და დადიანად დაჯდა ლევან (დადიანთ ქრ.).

— ქ˜კს :სკ: მამია დადიანი და მამია გურიელი ჯიქეთს ჩაუხდენ. დადიანი მოკლეს; გურიელი დაიჭირეს. გურიელი მისმა ძემ როსტომმა დაიხსნა; და დადიანად დაჯდა ლეონ (კახ. ქრ. კს ქ˜გნი ტუუილია: იხ. 1533. ქვეშე).

**1532 წ.**—ამ წლის ახლო-ხანებს არის დაწერილი ხუცური ტყავის სიგელი სინოდ. კანტ. მცხეთისა № 315 (და მეორე № 342), რომელშიც ჩამოთვლილია შეწირულობანი ახლად დადგენილის ქკზ˜ისა მალაქიასი. როგორც ზემო გვითქვამს (იხ. 1532 წ. ქვეშე), მალაქია ეკურთხა 1532 ანუ 1531 წ.

„ქ... ესე დაწერილი მოვაკსენე და შევსწირე:. ყ˜ლთავე ჩრდილოეთისა საყდართა შ˜ს უალრესსა და უალმატებულესსა უდიდებულესსა წ˜ასა სამოციქულოსა საყდარსა მცხეთისა სალოცველსა... ჩუენ, ქ˜ეს-მიერ Ⴔ: Ⴑ˜ႫႩ (ქართლისა პატრიარქმან) მ ა ლ ა ქ ი ა მას ჟამსა, ოდეს უღირსი ესე ღირს ვიქმენ საჭეთ-პყრობისა წ˜ისა ამის ტაძრისასა; შევსწირე და მოვაკსენე ჩემ-მიერ ნაღუაწი და ჩემითა ღონის-ძიებითა მოგებული:. ა:. (ერთი) ომოფორი მძიმედ ნაკერი, შემკობილი თვალითა და მარგალიტითა:. :ა:. (ერთი) ბისონი, იგიცა მძიმედ ნაკერი, შემკობილი თვალითა და მარგალიტითა:. ა:. ენქერი, იგიცა მძიმედ შეკერილი, შემკობილი თვალითა და მარგალიტითა:. ა:. სამკლავენი იგიცა. მითვე წესითა ნაკერავი და შემკობილი თვალითა და მარგალიტითა:. ა:. სტიხარი მძიმედ ოქრო-ქსოვილი თეჲრისა ქამხისაჲ:. ა:. კვერთხი თევზისკბილისაი, მძიმედ ოქროჲთა მოჭედილი შემკობილი თვლითა და მარგალიტითა: ა:.დიდი ხატი ყ˜დ წი˜სა ს˜დ ოქროთა მოჭედილი, შემკობილი ნაწილითა და თვალ-მარგალიტითა :.ბ:. ხატი მაცხოვრისა ვეცხლითა მოჭედილი და შემკობილი თვალითა და მარგალიტითა, უძეოდ გამოსახული: მე-Ⴢ (მეოთხე) ხატი ნათლის-მცემლისა ვეცხლითა მოჭედილი, შემკობილი თვალითა და მარგალიტითა; ორნი ხატნი წ˜თა მთავარ-ანგელოზთანი მიქელ და გაბრიელისნი ვეცხლითა მოჭედილი, შემკობილი (თვალითა და მარგალიტითა); ორნი ხატნი წ˜თა ყ˜დ ქებულთა თავთა მოციქულთა პეტრესი და პავლესი, ვეცხლითავე მოჭედილნი, შემკობილნი თვალითა და მარგალიტითა. ამა ოთხთა ვეცხლისა ხატთა ჩოლაყაშვილმა ბაადურ შემოსწირა და მე ჩემითა საფასოჲთა მოვჭედე და შევამკე. *) კიდევე შევსწირე სამღდელთ-მოძღუროჲ ყელთ-საკიდი ხატი ოქროჲსა ნაწილიანი ძვირფასითა თვალითა და მარგალიტითა შემკობილი ოქროჲს ჯაჭვთურთ. სხუაჲ ცოტა ხატი ოქროჲსავე მთავარ-ანგელოზისა მიქელ...; ერთი დიდი ბეჭედი ოქროჲსა ოქრო-ჯაჭვიანი:. მეორე ცოტა ბეჭედი ოქროსავე თვალიანი:. ესე ჩემ-მიერ მცირედი შესაწირავი ვინცა და რამცა გუარჲა კაცმა... (წყევა ვინც დააკლოსო).

კიდევ შევსწირე ერთი ქაღალდის მეტაფრასი და ერთი ძილის-პირი ეტ-

---

*) სიგელი № 342 XVI საუკუნისა აქიდამ იწყება და ბევრიც მომატებულია და უმკვლესიც არის.

რატისაჲ (ასლა აკდ. მუზ. დაცული № 85):. სამი ბედაური ჭაკი ცხენი მისითა საშენებითურთ; კვიცები გაისყიდვოდეს, მისი ნავაჭრი სასაყდროდ დაიდებოდეს.

კიდევე შემოვწირე ერთი კონდაკის ღერი (?) ვეცხლისაჲ ორგზით თავი ოქროსაჲ მძიმეთ მოთლთული პატიოსნითა თულებითა:. ოთხი ჩინურის თეფში და ოთხი ჯამი:. კიდევე ერთი თეფში და ერთი ჯამი სხუაჲ ჩინურისავე:. ერთი ვეცხლის სუფრა, ერთი ვეცხლის მაშრაპა, ერთი მძიმე ოქრო-ქსოვილი კაველი, ექუსი ორხაო, ათი ქუაბი სხვილი-წურილი, ორმოც-და-ათი თეფში სპილენძისაჲ, სამი ზედადგარი, ორი ფინარი, ცხრა ჯამი სპილენძისვე, ერთი ვეცხლის ჯაჭვი გრძელი: საყდრის კლიტეთა მხარ-ილლის დასაკიდი, არის ნაკვეთი ას-ოც-და-ერთი თავითურთ. ოთხი ფური კამბეჩი კბოიანი.—კიდევ შევსწირე ერთი მთავარ-ანგელოზის ხატი პერილევტისა თვალზედა გამოჭრილი; ერთი ოქრო-ქსოვილი ქარათის ბისონი, მეფისა ლეონისაგან ბოძებული; ერთი მუშაბახიანი სპილენძის მანკანა; ერთი ხალიჩა საკურთხევლის საყდარზედა დასაფენკლი; ერთი ორხაო გარეთსა საყდარსა ზ~ა დასაფენელი; ერთი სეფისკვრის დასაჭრელი დანაკი, თევზის კბილის ხართა ოქრო-ზარ-ნიშნიანი (?); კიდევე ერთი დიდი დევაჲ ტაფა; კიდევე ერთი ვეცხლის აბრაიგი საზედაშე; ორას-ოცი სული ცხვარი, რვა ჩინური ჯამი.

**1533** წ.—ქ~კს :სკა: ამ ქ~კს გაილაშქრა მამია დადიანი და მამია გურიელი ჯიქეთს და მოკლეს მამია და [დადიანი და გიორგი გურიელის შვილი და ტყუჱ იქმნა გურიელი და სამნი მისნი ძმანი და ლაშქარნი (წ~ა გ~ი გუდ. ჩემი უბ. წ. III 104).

— ქ~კს :სკა: ამა ქ~კსა გაილაქრა მამია დადიანი და მამია გურიელი ჯიქეთს და მოკლეს მამიაი დადიანი.. და გ~ი გურიელის შვილი და ტყჱე (sic) იქმნა გურიელი და სამნი მისნი ძმანი და ლაშქარნი (ეკ. მუზ. ჰარაკლიტონი, № 49).

— ქ~კსა :სკა: აქა გაილაშქრა მამია-დადიანი და მამია გურიელი ჯიქეთს და მოკლეს მამია დადიანი და გიორგი გურიელის შვილი, და ტყუჱ იქმნა გურიელი და სამნი მისნი ძმანი და ლაშქარნი:—(წ~ა გი~ს გულანი).

— ქ~კს :სკა: დადიანი მამია და გურიელი მამია წარვიდეს ჯიქეთს საბრძოლად ზღვით ნავებითა და შეიბნეს თვესა იანვარსა :ლ: პირველსა დღესა ამათ გაემარჯვა; მეორესა დღესა, პარასკევსა, განრისხდა ღ~თი ოდიშელთათვის ულალატეს და გამოექცნეს დადიანი და გურიელის ლაშქარი დაუტევეს. მოეხვივნეს ჯარნი და შეიბნეს; მრავალი დაკოცეს დადიანმა, გურიელმა და გურიელის ლაშქარმა; მოკლეს გურიელის შვილი გიორგი, დალალულნი (დამალულნი?) ომისაგან შეჩვენებულმან ცანდია ინალდაფითა (ინალიფა?) გაინდუნა; დადიანი გააშიშულეს სრულიად; შიშველი დაჭრეს; გურიელი და სამნი მისნი ძმანი და მისნი ეპისკოპოსნი და მისნი ლაშქარნი ტყვე ყვეს. წავიდა მალაქია

კათალიკოზი და გამოიხსნა ცოცხალნი და მკვდარნი ფასით იყიდა და მისნი აზნაურისშვილნი" (Chr. Gèor. p. 6-7).

რადგან 30 იანვარს პარასკევი მართლა 1533 წელს მოდიოდა და არა 1532 წელს, როგორც ზემო ქრონიკები გვიჩვენებენ, ამისგამო ჯაქთში დამარცხება და მამის სიკვდილი უნდა საბოლოოდ დაიდვას 1533 წელსა და არა 1532 წ., როგორც აქამდი მიღებული იყო.

**1534 წ.** — :სკბ: მოკუდა გურიელი მამია; — დაჯდა ძე მისი როსტომ; — კ~დ გიორგი-მეფე მონაზონ იქმნა და-დაჯდა ლუარსაბ, ძე დავითისი (კახ. ქრ. ეს ქ~კნი და ამბავი არ „იპოვება დ. მაყაშვილის კახუშტის ქ~კნების ხელნაწერში).

— ქ~კს :სკბ: ამას ქ~კსა არის დასაბამითგან წელნი :ხკბ: (უნდა :ჳკბ: ვიდრე აქამომდე (ყანჩაეთის გულანი.).

— ქ~კს :სკბ: აქა დასაბამითგან :ჳკბ: წელი ვიდრე აქამომდე (ყამნი № 3).

— ქ~კს :სკბ: ამა ქ~კსა არის დასაბამითგან :ჳკბ: ვ~ე აქამომდე (ქვათახევის გულანი).

— ქ~კს :სკბ: ამა ქ~კსა დასაბამითგან არიან წელნი :ჳკბ: ვ~ე აქამომდე (წ~ა ნიკოლოზის ქრონიკა).

— ქ~კს :სკბ: დეკემბრს 10-ს მეფე ბაგრატ (იმერთა), ცოლი მისი ელენე, ძენი მათნი: გ~ი, თეიმურაზ და კოსტანტინე (კანტორის სიგელი № 3).

**1534 წ.** ნიკორწმიდის (რაჭაში) დიდი გრაგნილი ტყავისა, ხუცურად დაწერილი, № 34, მიცემული იმერთა მეფის ბაგრატ III-ის მიერ 1534 წელს, მეოთხე (უნდა: ოც-და-მეოთხესა) ინდიკტიონს მისის მეფობისას; აქიდამ გამოდის, კითომ ბაგრატ გამეფებულ იყოს 1530 წელს (?), რაიცა მისაღები არ არის სხვა საბუთების მიხედვით. ნიკორწმიდელად 1534 წ. დაყენებული მანუელ შეიძლება იგივე მანუელ ჩახუტიძე იყოს, რომელიც 1529 წელს ხონელად დასვეს (იხ. 1529 წ. ქვეშე). ამავე მანუელს მოიხსენებს ჩვენგან ზემო დაბეჭდილი სიგელი (გვ. 49). — ჩვენ შემოკლებით შემოგვაქვს ეს გუჯარი, რომლის პირი, უმწვერვალესის ხელოვნებით გადაწერილი და შემკული მხატრობებით (ინაციალები, არშიები დახატულია და თჳთ ხატი წ~ის ნიკოლოზისა) ცნობილის არხიმ. ზაქარიას მიერ 1806 წელს, ჩვენ ვიპოვნეთ ნიკორწმიდის გუჯრებში, № 35.

„... ჩ~ნ მეფეთ მეფემან ბაგრატ და თ~ა-მეცხედრემან ჩ~ნმან დედოფალთ-დედოფალმან ელენე... კელვყავით აღშენებად დაკნინებულისა მონასტრისა ნიკოლოზ-წ~ისა და შევქმენ საყდრად და საეპისკოპოსოდ და დავადგინე... მეუფე მანოელ... და შემოგწირეთ... შევამკე... და შევსწირე დაბანი და სოფელნი... დაიწერა... ინდიკტიონსა მეფობისა ჩ~ნისასა მეოთხესა (ოც-და-მეოთხესა?), ქ~კს :სკბ: (sic). თ~ა აგვისტოსა ცხრასა (sic), კელითა გ~ი აბაშიძისათა.

თ~ქნ წ~ო გ~ი მთისა მთავარ მოწამეო! როგორათაც დავით-აღმაშენებე-

ლისა და ძისა მისისა დიმიტრისაგან შემოწირული ყოფილიყო, ჩ~ნ... (მეფე ბაგრატ-ძლიერმ და ძეთა მისთა... გ~ი და ალექსანდრემ)... კელვყავით ახლად აღშენებად და შემკობად ტაძრისა შენისა და გარდავაჰედინეთ ზეით ტყვიითა და სპილენძითა და მოვაჰედინეთ ხატნი წ~ის გიორგისნი და სხუანი ძუელნი ბნელნი ხატნი განვაახლეთ დ. შევკაზმენით; კარნი ავაბენ და მოუჰედენ და კლიტენი მოუწყვენ და გავამაგრენ, და ახლად დაუმტკიცენ და შემოვწირენ მამულნი და გლეხნი... (ჩამოთვლილია გლეხები).

**1535** წ.—დეკემბერსა 6-სა.—საეკლ. მუზეუმის ტყავზე ხუცურად დაწერილი ხელნაწერი სვნაქსარი infolio (362 ფურც.), რომელსაც აქვს ტექსტის ხელით შემდეგი წარწერა (ფურცელი 9 და გვ. 47): „წ~ნო მამანო ამას დღესა (10-ს ნოემბერს) დალაცა-თუ ბერძენნი არა დიდად დღესასწავლობენ, არა რაჲ არს ყენება, რათა ჩუენ ვდღესასწავლობდეთ, რამეთუ ჩ~ნ პირველითგან ესრეთ გუაქუს ჩუეულება". ფურც. 315: „ესე უძილისპიროდ გვეთარგმნეს და უგემურად მოვიდოდა. ბერძნულად თვთ ავაჯნია და მათ იციან და ჩუენ თუმცა ავაჯი დაგუდვა, ვინ დაისწავლიდა. აწ შეწევნითა ღ~თისათა ძილისპირსა ზ~ა ვთარგმნეთ (იგულისხმება მთარგმნელი წ~ა გიორგი ათონელი), რაჲცა ძილისპირი მოუვიდოდა, რომელი ძუელითგან ვიცით, იგი ეგრე ითქმოდის და სხუაჲ ძილისპირსა ზ~ა, რომელიც იყოს ბერძნულად დ~გ~ი არს ესე წაედ (?). ეძიებდი, რვათამცა კმათა შ~ა არს და კმა არს ჩუენდა, თუ არა ამას გუჩრდსა ოთხასი წელი უფრო ახსოვს"... (სჩანს დედანი, საიდამაც გადუწერია, ყოფილა 1525—400=1135 წ. ახლო დროების გადაწერილი).

ფურც. 360; „ერმოგენოს, რომელი მეგრელთა ეპისკოპოს იქმნა". ბოლოს ფურც. 362: „ხოლო ითარგმნა წ~ა ესე სვნაქსარი, რომელი არს მაუწყებელი ყოვლისა საწელიწადოჲსა, მონასტერსა ქართველთასა კელითა გ~ი დეკანოზისათა (დ~გნსთა) ჩუენ მადლი მიეცინ შრომისათჳს.—დაიწერა კელითა გლახაკისა და ულირსისა [და ფ~ღ] ცოდვილისა... აბრაჰამ დავითის ძისათა - - - სამცხით მთის ძირით კარჩხალით - - და საყდრით და ტაძრით - -- (ოპიზით?) - - [აღვ]წერე წიგნი ესე სვნაქსარი ბრძანებითა პატრონისა (კასთა) დედოფლისა თინათინისათა, დავიწყე გრემს სანახებსა ღ~თის მშობლისა საყდარსა შ~ა თუესა დეკ~მბერსსა ექუსსა, ქ~კს :სკგ: გათავდა ალონს ტაძარსა შ~ა ნათლისმცემლისასა თუესა ივნისსა :იბ: დღესა შაბათსა, ქ~კსა :სკგ: ზედნადებსა :კგ:"·—ამას და ყველა სხვა სჳნაქსრებსაც ჩართული აქვს შემდეგი საყურადღებო ცნობა (ეგ. მუზ. № 222):

„თვესა ივნისსა :კვ: წ~ისა მამისა ჩნ~ისა ი~ე (იოვანე) გუთელ ეპისკოპოსისაჲ.—ესე იყო ჟამთა კოსტანტინე და ლეონ ისავროჲსათა ქუეყანით სტავრო-სკჳთთაჲთ, ძე ლეონტი და ფოტინისი, ხოლო წი~და იქმნა სიყრმითგანვე, ვითარცა იერემია და ვითარცა დიდი სამოველ აღთქუმით იშვა და მეყ~სეულად ღ~თისა შეწირულ იქნა, არამედ ვ~ა საზომსა სულიერისა და კორციელ

სა ჰასაკისასა მიიწია და ჯერ იყო მისსა მღდელთ-მოძღურებისა პატივსა ალს_ლვაჲ თჳსისა ერისა მიერ, ქართლისა კათალიკოზისა მიერ წარივლინა და მი_ერ მოიღო კელთ-დასხმაჲ, რამეთუ მას ჟამსა საბერძნეთისა კერძონი ხატთა ბრძოლისა წვალებასა დაეპყრნეს. შ˜დ სიკუდილისა კოსტანტინესსა და ლეონისსა სამეუფოდ ქალაქად მოვიდა და ირინე დედოფალსა ფ˜დ ეზრახა მართლისა სარწმუნოებისათჳს და თჳსადვე ქყ˜ნად უკუნ იქცა და მრავალნი ჰირნი თავს ისხნა თჳსთა მიერ განცემითა ხაზარეთისა მთავართაგან და ამასტრად პონტოჲსა სილტოლით მიიწია და უფლისა მიერ მიიცვალა. ხოლო პატიოსანნი ნაწილნი მისნი წარიყვანნეს ნავითა და დაისხნეს მონასტერსა წმიდათა მოციქულთასა". მცხეთის კზ˜ის (იოვანეს) მიერ იოვანე გუთელის კურთხევა იქნებოდა 740—775 წლებ შუა.

— ქ˜კს :სკგ: მეფე ალექსანდრე, ძე ლევანისა ჲშვა (Chr. Gé.).

— ქ˜კს :სკგ: ამას ქ˜კსა: აგჳსტოსა (sic) :იგ: დღესა ხუთშაბათსა შეიბა მეფეთ-მეფე ბაგრატ და ათაბაგი ყვარყვარე (sic) ახალქალაქს და დაიკოცნეს მრავალნი კაცნი და გაემარჯვაჲ მეფესა და კელთ დარჩა ყუარყუალე (sic) და მისნი ლაშქარნი და დაიპყრა სრულიად საათაბაგო ძემან ალექსანდრესამან (ეკ. მუზ. ჰარპკლიტონი, № 49).

— ქ˜კს :სკგ: ამას ქ˜კს აგგჳსტოს :იბ: დღესა ხუთშაბათს შეიბა მეფეთ-მეფე ბაგრატ და ათაბაგი ყუარყუარე ახალ-ქალაქს და დაკოცნეს მრავალნი კაცნი და გაემარჯვა მეფესა და კელთ დარჩა ყუარყუარე და მისნი ლაშქარნი და დაიპყრა სრულიად საათაბაგო ძემან ალექსანდრესამან (წ˜ა გ˜ის გულ.— ჩემი უბ. წ. III, 104). რადგან 12 აგვისტოს ხუთშაბათი მართლა 1535 წელს მოდიოდა, ამის-გამო დასაჯერებელი არ არის სხვათა ქვემო დაბეჭდილ ქრონიკათა მოწმობა, ვითომ ეს ამბავი მომხდარ იყოს 1536 წ., ანუ 1537 წ. (იხ 1536 და 1537 წ. ქვეშე).—ეს ქრონიკა, როგორც სხვებიცა, ამ წყაროდამ ამოღებულები, სიტყვა-სიტყვით, თითქმის სრულიად შეუცვლელად, შეტანილია Chron. Géor. გვ. 7; აქიდამ სჩანს, რომ უკანასკნელი შედგენილია სხვა-და-სხვა ქრონიკებისაგან, როგორც ჩვენ ამას ცხადად დავამტკიცებთ.

· — ქ˜კსა :სკგ: ერთს ტყავის სახარებაზე წარწერილი ყოფილა: „მცირე მოთხრობა ბრძოლისა ლუარსაბ მეფისა და ყვარყვარესი ქ˜კსა :სკგ:" (ჩემი ისტ. კრებული გვ. 467).

— ქ˜კს :სკგ: მურჯახეთს შეიბეს აგვისტოსა :იგ: (უნდა :იბ:) დღესა ხუთშაბათსა. შეიბა მეფეთ-მეფე ბაგრატ და ათაბაგი ყვარყვარე ახალ-ქალაქს და დაიხოცნეს მრავალნი კაცნი, და გაემარჯვა მეფესა და კელთ დარჩა ყვარყვარე, მისი ლაშქანი და დაიპყრა სულიად საათაბაგო ძემან ალექსანდრესამან" (Chron Géor. გვ. 7).

— ქ˜კსა :სკგ: მურჯახეთის ომი, ქრისტეანეთა წარკდენის მიზეზი. (ეს წარწერა წ. გ. ხელნაწ. № 252 იმ ხელით და იმავე მელნით არის მიწერილი, რო-

მლითაც 1579 წ. ქვეშ ფრაზაც: „ესე არის აწინდელი ქორონიკონი, რომელსა დაეწერა“ (ე. ი. როდესაც დაწერილია თვით ხელნაწერი).

ქ~კსა :სკგ: (1535 წ.). აქა შეიბა (sic) მეფეთ-მეფე ბაგრატ და ათაბაგი ყვარყვარე ახალ-ქალაქს და გაემარჯვა. მეფესა კელთ დარჩა ყვარყვარე და მისნი ლაშქარნი. და დაიპყრა ძემან ალექსანდრესამან სრულიად საათაბაგო:— (ეს წ. გ. № 252 ქრონიკაში იპოვება, მაგრამ სხვა ხელით. ამ წიგნის უმეტესნი წარწერანი ორის ხელით არიან დაწერილნი: უმრავლესნი მოგვითხრობენ იმერეთ-გურია-სამეგრელოს ამბებს და უმცირესნი, რომელსაც ეკუთვნის ზემო აღნიშნული 1579 წ. ქვეშ წარწერილის ხელიცა, მოგვითხრობს სამცხე-საათაბაგოს ამბებსა და დამწერიც იქაური უნდა იყოს. უკანასკნელი მოთხრობა იმერეთში დანაწერებს წაავავს.

— ქ~კსა :სკგ: აქა მურჯახეთს შებნეს (ყანჩაეთის გულ.).

— ქ~კს :სკდ: აქა მურჯახეთს შეიბნეს (წ~ა ნიკოლოზ. ქრ.).

ქ~კსა :სკე: (უნდა :სკგ:) ამა ქორონიკონსა მურჯახეთს შეიბნეს ათაბაგსა სრულა საქრისტიენო და ათაბა(გი) - - - - (სხვა წაშლილია, ყამნი № 3). ეს ქორონიკონი დასაჯერებელი არ არის, რადგან ზემოხსენიბული ქრონიკონები და ქ-ცხ. თანახმად ჰმოწმობენ, რომ მურჯახეთის ომი 1535 წ. ყოფილა:

— ქ~კს :სკგ: მეფემან იმერთამან მოიხსენა შური ათაბაგის მზექაბუკისა და მივიდა სამცხეს, და მურჯახეთს შეიბნენ მეფე ბაგრატ და ყვარყვარე ათაბაგი. ბაგრატს გაემარჯვა, ათაბაგი შეიპყრა, გელათს ტყვედ მოკუდა და სამცხე ბაგრატ დაიპყრა; —ქაიხოსრო, ყვარყვარეს ძე, სტამბოლს წარვიდა (კახ. ქრ.).

**1536** წ.—ქ~კს :სკდ: აქა მურ[ჯახ]ეთს შ[ეიბ]ნეს (ეკ. მუზ. ხელნაწ. № 85).

— ქ~კსა :სკდ: აქა მურჯახეთს შეიბნეს (იკორთის მილისპირი).

— ქ~კს :სკდ: ამ ქ~კს არის წელიწადი დასაბამითგან :ზკბ: ვიდრე აქამომდე (წ~ა გ~ის გელათური გულანი).

— ქ~კს :სკდ: ამას ქ~კსა არის წელიწადი დასაბამითგან შვიდ ათას ოცდა-ორი ვ~ე აქამომდე (ეკლ. მუზეუმის, ჰარაკლიტონი № 49).

— ქ~კს :სკდ: მოვიდა შაჰ თამაზ მოპარვით ტფილისს, დაესხა და ალილოჲ უკუნქცეული ყარაბაღს დადგა. მივიდა მასთანა ბაგრატ მეფე და წყალობით გამოუშვა; მუნვე მივიდა ლეონ კახთ მეფე და პატივით გამოუშვა (კახ. ქრ.).

**1537** წ.—ალექსანდრე კახთა-მეფის გამეფება (კახეთს) იხ. 1552 წ. ქვეშე.

— ქ~კს :სკე: მეფე სვიმონ იშვა, ძე ლუარსაბისა (Chr. G.).

— ქ~კს :სკე: აქა სომეხნი შეიშალნეს (წ~ა გ~ის გელათური გულანი).

**1537** წ.—სიგელი მცხეთისა. № 2 (ნუსხა № :სო:):

„ქ... ჩუენ მეფეთა მეფემან პატრონმან ლეონ... (სრული მეფური წოდებულება) და თანამეცხედრემან ჩუენმა... თინათინ და ძეთა ჩემთა პატრონმა...

გ˜ი, პატრ. იესე, პატრ. ალექსანდრე და პატრ. ელიმირზა-.. შევსწირეთ... (სოფელ) ხანდაკს კირაულნი მღვდელი ლონგინოზ... (ოჯახით მისით)... მამულითა (და კიდე სხვა ოცი კვამლი უიზილაანი ზარუითს და ქვემო გაჯგუთს და ხელახლა სწირავს მელქინეთ-უხუცესს ლიპარიტ ტოხაძეს)... სულკურთხეულისა მეფეთ-მეფისა მამისა ჩუენისა პატრონისა გიორგის საფლავთა ამსახურებდე... ალაპსა გარდაიკდიდე... დაიწერა... ქ˜კს :სკე“ (ხვეულად ამტკიცებენ მეფე და გ˜ზი, რომლის სახელი კერ ამოიკითხება, მაგრამ უეჭველად უნდა იყოს მალაქია).

ამავე დროებში (1532 – 1549 წ.) უნდა იყოს დაწერილი უთარო და უთარიღო სიგელი მცხეთისა № 473 (ნუსხა №№ :სიდ: :სნგ: :სმა:)): „[ქ. ჩუენ მეფეთა-მეფემან ლეონ და თანამეცხედრემან ჩნ˜მან დედოფალთ დედოფალმა თინათინ ესე სიგელი მოგაკსენეთ თქუენ მაცხოვრის] კათოლიკე-სამოციქულოსა საპატრიარქოსა ეკლესიასა და თქუენსა საჴეთ-მპყრობელსა ქ˜კზსა მალაქიას ტფილის ქალაქს მეტეხთა მონასტერი წინამძღვრითა... (და სოფლებიც შეუწირავს, რაც მეტეხისა იყო და სხვაც)... ქალაქს ორი ლიტრა სანთელი, ერთი მეტამლეზედა და ერთი მებაჟეზედა... (შევსწირეთ) ცოდვათა ჩ˜ნთა შესანდობელად... ჩუენ ჯავახისშვილთა როინს და ელიზბარს ალარა გამოვართვით გოძნი - - ებრაშვილი ვირშელი წინა-უბნით“. ხვეულად წარწერა: „ლეონ“. ელიზბარ ჯავახიშვილი ცოცხალი იყო 1580 წ. (იხ. 1549 წ. ქვეშე).

**1538 წ.**—საყვირეთის ღ˜თის მშობლის სიგელში № 2, მოხსენებულნი არიან: ბარძიმ ამილახვარი და ძე მისი ფარემუზ: ზე-ღრდუღეთს სწირავენ.

სინის მთის აღაპებში № 54 მოხსენებულნი არიან უმკვლესნი მე-XIV საუკ. ამილახვრები: „სულსა ზედგინიძესა დოლარსნალ-ყოფილსა დამიანეს და მათსა მეცხედრესა თუმან-ყოფილსა თეკლეს, მათთა ძეთა ჯანიბეგს (იხ. ზემო გვ. 218), ზავრადს, მერაბს, გორზამს, მამისას, ქაიხოსროს შ˜ს ღ˜ნ“. (СВѢДѢНІЯ II, გვ. 77—9. ა. ცაგარლისა).

**1539 წ.**—ქ˜კს .სკზ: აქა სომეხნი შეიშალნეს (იკორთის მილისპირი).

— ქ˜კს :სკზ: აქ სომეხნი შეიშალნეს და თევდორობის კვირა-ჰამეს (ქვათახ. გულანი).

— ქ˜კს :სკზ: აქა სომეხნი შეიშალნეს და თევდორობის კვირაჲ ჰამეს (ყანჩაეთის გულ.).

— ქ˜კს :სკზ: აქა შვიდ-გზის წყეულნი სომეხნი შეიშალნეს (შემოქ. გულ.).

— ქ˜კს :სკზ: სომეხნი შეიშალნენ ალვსებისაგან (კახ. ქრ.).

— ქ˜კს :სკზ: აქა სომეხნი შეიშალნეს და თევდორობის კვირა ჰამეს (წ˜ა ნიკოლოზის ქრ.)

**1540 წ.**—ტყავზე მხედრულად კარგის ხელით ნაწერი სიგელი მცხეთისა № 52 და ნუსხა № :ლ:, რომელშიც მოხსენებულია გ˜ზი მელქისედეკ. რადგან 1532 წ.

სჩანს მალაქია, რომელიც კათალიკოზობდა 1549 წლამდი, ამისგამო უნდა ვიფიქროთ, რომ მალაქია 1540 წლის ახლო ხანებს გადაუყენებიათ, მაგრამ შემდეგ მელქისედეკ ჩამოუგდიათ და ისევ მალაქიას დაუჭერია ტახტი.—ამავე სიგელიდამ სჩანს, რომ გიორგი-მეფე ბერად შემდგარა ანუ 1540 წ. და ანუ ცოტა ადრე და არა 1534 წ., როგორც აქამდი ცნობილია, მით უმეტეს, რომ ლუარსაბ მეფედ არ იხსენიება ამ წლამდი არცერთს ცნობილს სიგელში.—სიგელში ჩამოთვლილია მთელი სამეფო ოჯახობა.

„ქ... (ეს სიგელი) მოგაკსენე... (მცხეთას) და თქუენ... კორციელად ძმასა ჩუენსა ქართლისა კ~ზ-პატრიარქს მელქისედეკს... მე... გიორგი ბაგრატუნიანმან..., ძემან... მეფისა კოსტანტინესმან: ვცან, ვითარმედ სოფელი წუთერთ და მსწრაფლ წარმავალ არს და საუკუნო იგი ცხოვრება დაუსრულებელ. ამისთჳს დაუტევე ყოველივე ამაოება და დიდება მისი და შევიმოსე სალ~თოჲ მონაზონებაჲ... და... შემოგწირე სოფლები ზერტები... ნება-დართვითა ძმისწულისა ჩუენისა მეფეთ-მეფისა ლუარსაბისითა და ძეთა მათთა პატრონთა: სჳმეონისითა და დავითისითაჲ, ძმისა ჩუენისა პატრონისა ბაგრატისითა და ძეთა მათთა კოსტანტინე და გორგასლისითა, ძმისწულისა ჩუენისა პატრონისა დიმიტრისითა და შემოგწირ~ეთ... სოფლები ზერტები... სამი კარგალებული ალაპი (გარდამიხადეთო იმ სოფლების შემოსავლიდამ)... სამნი კანდელნი... (ჩემთჳს ენთებოდნო) სამარადისოდ. ესე სოფლები ამა წესითა შემოგწირე, მე პანკრატონიანმან გიორგი-ყოფილმან მონაზონმან გერასიმე... თარხნად... ერთისა სათათროს საურისა გარეთ... ფეტჳს ლალა და ფუტკრის ბეგარა ამოგვკვეთია... დაიწერა... ქ~კს :რკ~ჱ: მე - - - (აქ აკლია).

ბოლოს ხელმოწერა: „მეფე ლუარსაბ ამისი გამთავებელი ვარ".

„ქ. მე გ~ი-ყოფილი გერასიმე ამისი გამთავებელი ვარ". სკეულად: „კ~ზი მელქისედეკ" და მერე აზის ბეჭედი.

**1540 წ.** თფილ. სიონის სიგელი, დაბეჭდილი Акт-ებში, ტომი I:

„....ყოვლად წმინდაო სიონისა ღუთის-მშობელო, თქუენ-მიერ გვირგვინოსანმან, მეფეთ-მეფემან ლუარსაბ და თანა მეცხედრემან ჩუენმან დედოფალთა-დედოფალმან თამარ და ძეთა ჩუენთა: პატრონმან სვიმონ და დავით.... მოვიდა და ისაჯა თქუენისა საყდრისა მპყრობელი, კაცი სათნო ღუთისა, ტფილელ, მთავარ-ეპისკოპოზი დომენტი, პირველ გაშვებულობისა და თარხნობისა სიგელნი მოგუართუნა და აწ ჩუენ კუალად განვაახლეთ და შემოვწირეთ და მოგახსენეთ ლალა პურისა და ბამბისა; რასაც საყდრის შვილნი და თქუენნი ყმანი ჰხნევდენ, მისსა ლალასა ტფილელი აიღებდეს, წარსამართებელად მეფობისა ჩუენისა.:. სულისა ჩუენისა სამლოცველოდ. რანიცა ტფილის ქალაქს სიონისა ღუთის მშობლისა ყმანი იყვნენ, ყოვლისა სათხოვრისა და საჩუენოსა გამოსაღებისაგან განვგვითავისუფლებიან, სრულიად არა ეთხოებოდეს რა: არა ლალა, არა გუთნის ხვნა... თვინიერ საურისაგან კიდე, ასრე

რომე სხვისა ღალა არა იმასოს, არცა ყანისა და არცა ბამბისა. თუ ვინმე სიონის ყმასა ხარი შეუბას ანუ ვისმე სიონის ყმამა შეუბას, ხარისა და გუთნისა ალოსა ნუ იმისებს და სხვის ყმისასა პატრონსა ღალასა ნუ დააკლებენ... დაიწერა სიგელი და ბრძანება ესე ჩუენი ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეათცამეტესა (?) ქორონიკონსა :სკღ: ხელითა მწერალ-მწიგრობრისა იორდანესითა.

**1541 წ.**—ქ˜კს :სკთ: აქა ყაენმან თფილის ქალაქი ამოსწყვიდა (იკორთის მიღისპირი).

— ქ˜კს :სკთ: აქა ყაენმა თფილისი ქალაქი ამოსწყვდა (ჩხეიძის ქრ.).

— ქ˜კსა :სკთ: აქა შაშთამაზ ყაენი მოვიდა და ქალაქი ამოსწყვიდაჲ (უანჩ. გულ.)

— ქ˜კს :სკთ: ამა ქორონიკონსა შაშთამაზ ყაენი მოვიდა და ქალაქი ამოსწყვიდა (ჟამნი № 3).

— ქ˜კს :სკთ: ოსმალთა და ქაიხოსრო ათაბაგს შეება ბაგრატ მეფე; ბაგრატს გაემარჯვა (ვახ. ქრ.).

**1541 წ.** ახლო-ხანს.—მცხეთის სიგელი № 483 (ნუსხა № :ტჲდ:), მხედრულად ნაწერი. ამაში მოხსენებულია მაწყვერელი იერემია, რომელიც ჩვენის „ქრონიკებით“ (იხ. წიგნი I, გვ. 336?) ცოცხალი სჩანს 1541 წელს, რომელ დროსაც უნდა ეკუთნოდეს ეს გუჯარი.

ქ..... (აქ ფრიად გრძელი და წარჩინებულად შედგენილი დიდების-მეტყველება ღვთის-მშობლისადმი, და შემდეგ)... „შენ... დიდებულსა აწყურისა ღთისმშობელსა, თავად ყ˜დ წ˜ისა აწყურისაჲ ღთისმშობელსა... ესე წიგნი... მოგაკსენეთ მე პატრონმან თამარმან და ძეთა ჩემთა პატრონმან ამილახორმან გ˜ი და პატრონმან ელბადურ და ჩნ˜მან ძმამან აბდუხან (ეს სამი სიტყვა სტრიქონს ზემოთ აწერია) და შვლთა ჩ˜ნთა ქოიარ, მელქიზედეგ, ოთარმან (ეს სტრიქონს ზემოთ აწერია) და რლეგეთელმან (ნუსხაში: რუგეთელმან).... მას ჟამსა, ოდეს ეშმაკის საბრკისაგან ძმის მკულელობა შემოგვვიდა და მოგიდეგით კარსა თქ˜ნსა და თქ˜ნსა საყდარსა და სარჯულო გარდაგვიწყვდეთ და შემოგწირეთ თქ˜ნ საშინელსა აწყურის ღ˜თის-მშობელსა და მოვაკსენეთ მას ჟამისა საჭეთ-მპყრობელსა პატრონსა იერემიჲ მაწყუერელსა, დაგიდევით წნისს შოთასშვილები მათითა მამულითა... დღეს რისაც რჩომისა და ან მამულის მქონებელი არის მით ყუალჲთა უკლებლად. კიდევე იქვე თევდორას ნაქონი სახლ-კარი და მამული..... ამას გარეთ შემოვსწირეთ ახალციხეს ნაიბაშვილი მერაბა..... იჩქითაძეებსა ჩნ˜ი მალი შეჰკდებოდა, ამოგვკუეთია სრულობით... პარკაძეს სილიბისტროს ჩ˜ნი ვალი მართებდა, ამოგვკუეთია და წიგნიც დაუფრიწოთ. ეს შემოგვიწირავს განთავისუფლებით: ჩ˜ნ მაგიერი კაცი აღარ მიუდგებოდეს და

არცა-რა ეთხოებოდეს ჩ̃ნის გუარის კაცისაგან და არც ჩნ̃გან და არა მოგე-შალოს...

**1543** წ. ქ̃კსა :სლა: აქა ფაშები გამოვიდეს ოც-და-ორი ათასი. სრუ-ლიად ტაო ამოსწყვტეს. მოვიდა ბაგრატ-მეფე ქალაქს, გაიმარჯვა, მრავალი ამო-სწყვდა (ძილისპირი იკორთისა № 6).

ქ̃კს :სლა: წარწერა მხედრული ბრჯთის ეტრატის სასარებაზედ: „ქ. აქუს საზუერისა ღმრთისმშობლისა ოქრო-მჭედელსა სამი ჩარექი ვერცხლი. მისსა სარგებელსა ასისა თანგისა ცვლსა მიართმევდეს და ნახე (sic) ლიტრა სანთ-ლისა გულსა მიართმევდეს. სხუა არასთანა სათხოვარიი (sic) არა გეთხოვებო-დეს რა, ხატის სამსახურის მეტი წელიწადშიგან ამას მიუართმევდეთ ერთი-სა სათათროსა მალის მეტი. დაიწერა ესე წიგნი ქ̃კსა :სლა: თიბათუესა :კე:"

ამ დროისავე უნდა იყვეს მეორე ასომთავრული წარწერაცა მარჯვენა ფრთაზე იმავე სახარებისა: „Ⴠ მე ფრიად ცოდვილმან შალიკაშვილის ასულმან თანამე-ცხედრემან ფანასკერტელის ფარსადანისამან გულდამ კელვყავ დიდებულისა სა-ზუერისა ღ̃ვთის-მშობლისა ოთხთავისა შემკობად სახსრად სულისა ორთავე ჩ̃ნ (ჩვენ) მეუღლეთა. და სადღეგრძელოთ ძეთა ჩვენთავს ამინ". (ბროსსეს ეს წარწერები შეცდომებით გადმოუწერია Rap. IV Ш. ჩემი. უბის წ. П გვ. 13—14). მეორე ფრთის წარწერაც ბროსსეს ვერ წაუკითხავს:. ასომთავრულად სწერია: „ჯ̃რ ც̃მ (ჯვარცმა). ამ ოთხ თავის მომჭედელს ელბეგიძესა შერვაჲს და მისა მეუ-ღლესა გულამშარს შეუნდვეს ღმერთმან ა̃ნ (ჩემი. უბ. წ. П, 12. Rap. IV, 119—112).

—ქ̃კს :სლა: აქა ხუანთქრის ფაშები მოვიდეს რიცხვით ოცდაორი ათასი: და ს̃დ ტაო ამოსწყვიდეს. მოუკლა ბაგრატ მეფე ქარალაქს, გაიმარჯვა, ამოწყიდნა მრავალნი (წ̃ა ნიკოლოზის ქრ.).

ქ̃კს :სლბ: (1544 წ.) მოხსენებულია კათალიკოსი სვიმეონ გუჯარში, რომე-ლიც მიუცია მისთჳს მეფეს ლეონს და მისს მეუღლეს და ძეთა მათთა: გიორგის, იესეს, ალექსანდრეს და ელიმარზას ამისგამო, რომ მეფეს თჳსი ქალი ელენე მიუ-თხოვებია ერეკლე ბაგრატის ძისთჳს (მუხრანისა?), ხოლო კათალიკოზს სვიმეონს დაუყენებია ახლო ნათესაობისაგამო. მეფეს „საკანონოდ" მცხეთისთჳს შეუწირავს საგარეჯოს მთის აქეთ მიწები (ჩემი. ისტ. კრ. გვ. 114. თჳთ ნამდვილი სიგელი იხ. ქვემო სინოდის კანტ. გუჯრებში). 1548 წლის ქვეშე.

**1545** წ.—„ქ. მე ერისთავთა ერისთვის იესეს ძემან ერისთავმან პატრონმან ქვენიკნეველმა ესე წმიდანი ზატიკნი დატყუშვებულ იყო მას ჟამსა, ოდეს ჩემ-ნი ოთხნი ბიძანი კანდოს კევსურთა დაეკოცნეს ქ̃კსა :სკიგ: (1545 წ.) და გამოეკუა ტაძრისათვს წ̃ისა თევდორესსაჲ და ამ ხნის დაკარგული მე ვიშოვე ქ̃კსა :სჟე: (1607 წ.) და ისრევე ტაძარსა შენსა შემოვსწირე.... სადღეგრძელოდ... თანა-

მეცხედრის ჩემისა მზისთანდარისათვს და ძეთა ჩუჱნთათვს წარსამართებელად პატრონობის ჩუჱნისა„... (წარწერა ქკლესი. მუზ. ხელნაწ. № 25).

**1545** წ. ოთხნი ბიძანი ერისთავთ ერისთვის იესეს ძისა ქვენიფნეველისანი კანდოს კევსურთა დაეკოცნეს ქ~კსა :სკიგ." (იხ. 1607 წ. ქვეშე)

ქ~კს :სლგ: (1545 წ.) აქა ძრვა იყო საშინელი (წ~ს გ~ის გულანი).

ქ~კსა :სლგ: (1545 წ.) აქა ათაბაგმა ქაიხოსრო სამცხე დაიპირა (ჟ. № 2).

— ქ~კსა :სლგ:.. ლუარსაბ და ბაგრატ მეფენი ბასიანს სოხისტაზედ ორს ფაშას და ქაიხოსრო ათაბაგს შეებნენ. ქართველთ დაუმარცხდათ; ქაიხოსრომ სამცხე დაიპირა (კახ. ქრ.) ქ~კს: სლდ ბაგრატ მეფე სამცხეს მოვიდა, ველარ დაიპირა და აწყურის ღ~თის მშობელი ციხე-ჯვარს წაასვენა; კ~დ დადიანი ლეონ შეიპყრა ბაგრატ მეფემ და გელათს ტყვე ჰყო (კახ. ხრ.).

ქ~კს :სლდ: 1546 წ. სია მცხეთის განძისა, შედგენილი მეფის ლუარსაბისა და კათალიკოზის გერმანესაგან. მეფეს ლუარსაბს შეუწირავს ფული ორი ლიტრა და ორი ჩარექი, ვერცხლი ქალაქური ლიტრა და ჩარექი და 50 მიტყალი ფულად (ჩემი. საისტ. ქრ. გვ. 64).

**1546** წ.—ტყავის სიგელი მხედრული მცხეთისა № 505 (ნუსხა № :როდ:)

ქ... ჩუენ მეფეთ-მეფემან ლუარსაბ, ძმამან ჩუენმან პატრონმან რამაზ და შვილთა ჩუენთა პატრონმან სუიმონ, პატრ. რამაზ და პატრ. ვახტანგ (ათარხნებს გლეხებს ივანაშვილებს და უკვეთავს ოცს ლიტრა ზეთს: მეტხთა ღ~თისმშობელს მიუტანდეთო)... დაიწერა... ქ~კს :სლდ: თებერვლის :იე:.. ჴელითა მდივან-მწიგნობრისა მანიშვილისა დავითისითა".

**1546** სიგელი მცხეთის № 276:

„ქ. ნებითა და შეწევნითა ღ~თისათა: ქ~კს :სლდ: გამოიღეს ახალქალაქელი თავი კაცი ორნი მოყალნენი ერთს ფურ-ბერწსა და ერთს ცხუარს: რასთენიცა დღის ყანა უთქს, დღიურზედა ოთხი კოდი ღალა, ფურისთავსა ერთი ჩარექი ერბო. ამას გარეთ საყველიერო ერთი ლიტრა ყველი და ოცი კვერცხი. რიგისად გოჭი და ქათამი, მალი, საური, ულაყი, სააღდგომო ძროხა. ცხურის სათვალავი ათისთავი; მალის თავსა თანგა ოც-და-ორი" აქ ხელ ჩართულია ხვეულად: „კათალიკოზი" (მაღაქია?).

გუჯრის ზურგზე სხვა ხელით: „ქ. ნადვალევს დღიურზედ ღალა სამი კოდი, თუ არა თივა, ათისთავი ცხურისა, ღორის, სამქმოხი (sic), რასაც ემართლებოდეს იმ წესითა ისე მოგვართონ» ხვეულად „ქ~ზი" (მეტი არა-რა).

**1546** წ.—მცხეთის სიგელი № 219, ნუსხა მცხეთის ქონებათა:

„ქ. ჩ~ნ ღ~თივ გჳრგჳნოსანმან:. მეფემან ლუარსაბ და ქ~ეს მიერ ყოვლისა საქართველოჲსა მამათ-მთავართა მთავარმან"... აქ გრძელი ნუსხა მცხეთის

ქრონებათა და მათ შორის „ერთი ქართლის ცხოვრება“. ესეც მრავალთაგან ერთი საბუთია ქ-ცხის სიძველისა.

**1547** წ.—სიგელი მცხეთისა № 331 (ნუსხა № :სმე:), უთავო:

[ქ. ჩვენ პატრო]ნმან დავით და პატრონმა ვახტანგ შემოგწირეთ... (მცხეთას) ქალაქს ლულაძისა და დათვიასეული სასახლე გზასა და მტკუარსა შუა... დაიწერა... ქ~კსა :სლე: თვესა ოკდომბერსა ოცსა“.

**1547**—ქ~კ :სლე: ლუარსაბ და ლეონ მეფეთა და მესხთა უწყეს სპარსეთს რბევა და ოკრება (ვახ. ქრ.).

**1548** წ. მოხსენებულნი არიან: კათალიკოსი სვიმეონ და მალაქია, მეფე ლეონ და ძენი მისნი: ალექსანდრე, თეიმურაზ, ელიმურზა, კოსტანტინე, ქაიხოსრო, ვახტანგი, ირაკლი (შემდეგ ნიკოლაოზ კათალიკოსი?) და ბაგრატ. მეფე ხელწერილს იძლევა, სჯულის კანონის წინააღმდეგ ჯვარისწერას არ მიუშვებო (ჩემი აღწ. წ. გ. ხელნაწ. გვ. 8).

**1548** წ.—მცხეთის ნუსხა № :სლდ:, რომელშიც 1548 წელს მოხსენებულია უცნობი კ~ზი სჳმეონ. შესანიშნავია, რომ სხვა დაბეჭდილ საბუთებიდამ სჩანს, რომ მალაქია კ~ზი, რომელიც დამჯდარა 1532 წლის უწინ, ცოცხალი ყოფილა და და კათალიკოზობდა 1649 წ. (იხ. 1549 წ. ქვემე). შეიძლება მალაქია გადამდგარი ყოფილიყო 1548 წ. და ანუ ერთის წლის შეცდომა იპოვებოდეს ამ ნუსხაში (შეად. Rap. IV p. 34).

„... ჩუჱნ... (აქ სრული სამეფო წოდებულება) მეფემა ლეონ... მეცხედრემან ჩ~ნმან... თინათინ და ძეთა ჩ~ნთა: გ~ი, იესე, ალექსანდრე და ელიმირზა... ესე სიგელი... მოგაკსენეთ... (მცხეთას) და ქ~კს სჳმეონს (sic) მას ჟამსა, როდეს ჩუჱნი ქალი ელენე ბაგრატის შვილს ერეკლეს (მუხრან-ბატონს) მივათხოვეთ უხუჱდრად და თქუჱნ სჯულისა წესითა გამოგუჱნახენით... (საკანონოდ) მოგაკსენეთ მთას აქეთ საგარეჯო ს~დ ასრე და ამა წესსა ზედა, რომე საყაენო საურსა, ლაშქრობა-ნადირობასა და გონბორს გარეთ ნახევარს ცხურის საბალახეს აქეთ, სხუა ჩუჱნი კელი აღარა შემოვიდოდეს და ჩუჱნი კერძი შესაწევარი: პური, ღვნო, ლალა, იორის საბალახე და რაც იქაური გამოსავალი იყოს, სრულიად თქუჱნ აიღებდეთ, და თუ სადმე იქით ჩავიარდეთ, პურსა გუაჭმევდენ და თუ ვინმე გარესჯელმა კაცმან შეგუცოდოს და გამოვენახნეთ, მისი ნახევარი ჯურუმიცა თქუჱნ მოგაკსენოთ... დაიწერა... ქ~კს :სლვ:“.

**1548** (ანუ 1532—1549) წლის ახლო ხანებს არის დაწერილი მცხეთის ნუსხა, უთავო და უთარიღო, № :სმა:

„- - - ...ესე წიგნი... მოგაკსენეთ ჩუჱნ მეტე[ხის] - - - შვილთა ქე-

რობინ, ავთანდილ და ზაალ... თქუენ ყოვლისა საქართველოსა მამათ-მთავარსა კ͠ზსა პატრონსა მალაქიას მას ჟამსა, ოდეს მეტეხთა [საყდარსა მამა ჩუენი] დავასაფლავეთ თქუენ უკითხავად და თქუენ გაგჳწყერით.. - - - მოგიდექით კარსა და მამისა ჩუენის მოთხრა გ[ჳბრძანეთ] - - - - (ახლა ამ შირობას გამდევთო, რომე) ჩუენისა გუარისა კაცი (მეტეხს) არ დავასაფლაოთ"...

**1548 წ.** ქ͠კს :სლვ: აქა შაჰთამაზ გამოვიდა (ჟამნი № 2).

— ქ͠კს :სლვ: „შაჰთამაზ მოვიდა ყარაბაღს, მივიდა მისთანა ლეონ მეფე შავიდნენ შირვანს, გულისტანი აღიღო, შირვანი დაიპყრა, მერმე მოვიდა, ტფილისი აღიღო. ეზრახა ათაბაგს, ქალი ცოლად გამოართვა და წარვიდა.—კვალად მოკვდა მეფე ბაგრატ და დაჯდა ძე მისი გიორგი მეფედ იმერთა (ვახუშტის ქრონიკა).

— ქ͠კს :სლვ: აქა დაიპირა მეფემან ბაგრატ ლეონ დადიანი (წმ. გიორგ. ბედათური გულანი).

— ქ͠კს :სლვ: აქა დაიპირა მეფემან ბაგრატ ლეონ დადიანი (წერა-კითხ. № 252) მეფე ბაგრატ და დედოფალ ელენესაგან მოჭედილი ხატი 1548 წ. იხილე ოყურეშში (Rap. IX, 26).

**1549 წ.** ქ͠კს :სლზ: სულტან სულეიმან მოვიდა ადრიბეჟანზედ (ვახუშტის ქრონიკა).

**1549 წ.**—მც-ეთის სიგელი № 90 და ნუსხები №№ :ტნ: და :ტნვ: პირველი თარიღიანია, ხოლო მეორე (№ :ტნდ:) ამავე პირთა მოიხსენიებს.—ჟაკახ ჭილაძე იხ. Археолог. путеш. по Гурiи и Адж. დ. ბაქრაძისა, გვ. 239; Hist. Gé. Brosset: II, liv. 2 p. CXXXIII. და livr. I, 255; 339.

№ ტნვ: „ჩ͠ნ... ჭილაძემან ჟაკახმან შემოგწირეთ... (მცხეთას) ბალასკარს (ნუსხაში „ბლის კარს") ერთი მეზუთხე მოსახლე კაცი ივანე ულურელისძე; მეორე მეზუთხე ქუემო სანავარდოს მახარა სანასძე, მესამე მეზუთხე მოსახლე კაცი ქორისუბანს ბუბასკირი თემნა; მეოთხე მეზუთხე კაცი ქუემო სანავარდოს თეენა ხურცილავა, ერთი მოსახლე კაცი ხეჩის ნასყიდი სალოქაა, ჯიქთ უბანს ერთი მოსახლე კაცი (სულ ხუთი მოსახლე და ოთხი მეზუთხე)... არა ეთხოებოდეს რა ჩ͠ნი... ეს ჩემი შემოწირული ჩ͠ნისა ცოდვისათჳს საკანონოდ დადებული ვითაც ყოფილიყოს არ მოგეშალოს. დაიწერა ქ͠კსა :სლზ: (sic).

№ :ტნვ: „მართებს... სალოქაას ორი საკლავი ოც-ოცის თეთრისა... თორმეტი კოკა ღვნო... ექუსი საციქუელი ღომი, ათი კელი მჭადი, ერთი თეთრი საალდგომო. მართებს ივანე ხუცესსა ულურელისძესა (იხ. № ტნვ) სალიმონოთ ხუთი ზუთხი, ორი საკლავი ოც-და-ათის თეთრისა, ერთი საკლავი სხუა, ხუთი ქათამი, ოცი კოკა ღვნო, ცხრა საციქუელი ღომი, ერთი სამარხუელო... ოც-და-ათი კუერცხი. მართებს ბუბასკირს ხუთი ზუთხი სალიმონოთ, ერთი

ზროხა, ორი საკლავი, ათი გოჭი და ქათამი, ოცი კოკა ღვნო, ათი საციქუ-ლი ღომი...

მართებს თემნიას ხურცილაკას ხუთი ზუთხი სალიმონოთ, სამი საკლავი, ოცი კოკა ღვნო . . . . . ერთი კმელი თევზი... თორმეტი კელი მჭადი. მართებს მახარას სანასძესა (და სხვ. დაწკრილებით).

№ :ტნდ: „ოდიშს ჭილაძის გუსნისაგან“.

„თქ̃ნ ცათა მობაძავსა დედა-ქალაქსა... მცხეთისა საყდარსა... და თქ̃ნსა საჴეთ-მპრობელსა... ქართლის კ̃ზ პატრიაქსა მ ა ლ ა ქ ი ა ს ესე წიგნი და სი-გელი გკადრეთ და მოგაკსენეთ ჩ̃ნ ჭილაძესძემა გუსტან და შვლმან ჩემმა ჯა-ვახმან... მას ჟ̃ა, როდეს ჩ̃ნსა შვლსა ჯავახსა მეფის ლუარსაბის დაჲ შევრ-თეთ, ჩ̃ნ შუა უხუცრობა იყო და მისად დასაურვებელად შემოვსწირეთ კ̃კე მცხეთის საყდარსა სამოცი ლიტრა ცვლი... არას ჟამშიგა არ მოგეშალოს. ყ̃თა წელიწადთა... მცხეთას მოვიღებდეთ“....

**1549 წ.**—ამ წლის ახლო-ხანებში უნდა იყოს დაწერილი სიგელი მცხეთისა, ნუსხა № :ტმგ:, რომელშიც მოხსენებულია კ̃ზი მალაქია და ლეონ თჳსის დიდ-ოჯახობით, რვა კაციშვილით, რომელთაგან ზოგნი ისტორიამ არ იცის. ამდენი შვილები ლეონს არ ეყოლებოდა უადრეს 1540—1549 წ., როდესაც ცოცხალი იყო კ̃ზი მალაქია.

ჩ̃ნ... მეფემან ლეონ და მეცხედრემან ჩ̃ნ̃მან... დედოფალმან თინათინ (და ძეთა ჩ̃ნთა: პატრონმა ალექსანდრე, ელიმირზა, კ̃ა, თეიმურაზ, ქაიხოსრო, კახტანგ, ერეკლე და ბაგრატ) ესე... წიგნი... მოგაკსენეთ (მცხეთას)... და კ̃ზსა მალაქიას... ასე რომე... ღდეის უკანის რაიც ასრე საკანუნო იყოს, რომე ჩუენი რჯული არ მოგუცემდეს, თქუენად ნება-დაურთავად არც ვის ქალი მივსცეთ და არც ვისი ჩ̃ნ მოვიყუანოთ და ჩ̃ნსა ბატონობაშიგა ვინც საკა-ნონო საქმე ქნას ანუ თავადმან, ანუ აზნაურმან, ანუ მცირემან, რუსხუცულ ვყოთ და თქ̃ნცა გამოგანახოთ და არცა ჩ̃ნთა კართა მოუშუათ, სანამდისი თქ̃ნ შენდობა არ მისცეთ და რ̃იცა საყდარზედა ებისკოპოსი არ იჯდეს და გარდადგომილიყოს, არცა იმას ჟამი ვაწირვინოთ... და რაც საყდრისა გუჯრე-ბი იყოს... მოვიკითხოთ... გაგიგონოთ“....

**1550 წ.** ქვათახევის სიგელი №.

„ქ: ჩუენ ღვთივ გვირგვინოსნისა მეფეთ-მეფისა პატრონისა დავითის ძე-თა, მეფეთ-მეფემან ლუარსაბ, ძმათა ჩუენთა პატრონმან ადრაზან და პატრონ-მან რამაზ ესე წიგნი და სიგელი ამისად ნიშნად შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქუენ ქვათაკეველთა, მას ჟამსა ოდეს საკარავე დაგიწყო თხოვნა; თქუენ მო-გვიდეგით კარსა ჩუენსა, სიგლებიც მოგვართვით და ვნახეთ დიდის ალექსანდ-

რესგანცა, ჩუენთა პაპათა და მამათაგანცა თარხანი და ხელშეუვალნი ყოფილხართ. აწ ჩუენცა გათარხნეთ და გათავისუფლეთ, ასრე რომ არ გეთხოებოდეს მალი, არა საური და საჯინიბო, არა სასუქი, არა ულუფა, არცა ოდეს გთხოვებია და არცა ჩუენ გთხოვთ არა აწე და არა საბოლოდ, არა ჩუენგან და არა ჩუენთა მომალთაგან. დაიწერა ესე მტკიცე შეუცვალებელი სიგელი ქორონიკონსა :სლჱ:, თვესა დეკემბერსა :ია:, კელითა კარისა ჩუენისა მწიგნობრისა თუმანიშვილისა მანუჩარისათა". — ხელრთვა: „ლუარსაბ". ადრაზან. რამაზ."

**1550** წ. ქ̃კს :სლჱ: აქა გაიპარა [ლევან დადიანი, დაჭერილი ბაგრატისაგან 1548 წ. იხ. ჩვმო] და მოვიდა შინა (წერა-კითხ. № 252)

— ქ̃კს :სლჱ: აქა გაიპარა (ლევან დადიანი) და მივიდა შინ (წმ. გიორგ. გელათური გულანი).

— ქ̃კს :სლჱ: აქა ტაოს ქუჱყანა დაიპყრეს ურუმთა (იკორთის მილისპირი № 6).

— ქ̃კს :სლჱ: აქა ტაოს ქვეყანა დაიპყრეს ურუმთა (წმიდა ნიკოლოზის ქორონიკონი).

— ქ̃კს :სლჱ: (1550 წ.) აქა ტაოს ქუეყანა დაიპყრეს ურუმთა (ყანჩ. გ.)

— ქ̃კს :სლჱ: ოსმალთ ტაოს ქვეყანა დაიპყრეს; და მანუჩარ დაიბადა (ვახ. ქრ.)

**1551** წ. იენისის 9 სა. — სიონის სიგელი № 11: „ჩუენ... მეფის დავითის ძემან პატრონმა რამაზ და თანამეცხედრემან ჩუენმან პატრონმან ხუარამზე და ძემან ჩუენმან... ბაგრატ"... სწირავენ სიონს სოფელს ფიცხისის (ფიცხისი)... „კელ შეუალად..., ასე რომე მოუკდეს ყაზახნი და ალაოკრეს და მოკითხული ვქენით... და თქუენთვს შემოგვწირავს"... დაიწერა... ქ̃კს :სლთ: იენისის :თ:".

— ქ̃კს :სლთ: ბატონიშვილი რამაზ, ცოლი მისი ხაურამზე და ძე მათი ბაგრატ (სიონის გუჯ. № 42).

**1551** — :სლთ: შაჰ-თამაზმან შაოქისციხე (შაქისციხე) დაიპყრა (ვახ. ქრ.).

**1551** წ. ახლო-წლებისა: „ღმერთო და ოქონისა ხატო პატრონსა დავითსა გაუმარჯვე, აგრეთვე პატრონსა ჩემსა თვალ-შუენიერსა და დადიანსა მამიასა". ჩვმო. ისტ. კრ. გვ. 377. თვალ-შვენიერი ქაიხოსრო II ათაბაგის ძე † 1575, მამია III † 1533. აქვე მოვიყვანთ კალისის წარწერას, რომელიც ბროსსეს სწორედ ვერ წაუკითხავს: „ნებითა ღვთისათა მე ღვთივ გვრგვნოსანმან... ქართველთა მეფეთ-მეფის კოსტანტინე-მეფის შვილის-შვილმან მეფის ბაგრატის ასულმან ათაბეგ ამირ-სპასალარის სახლის რძალმან დედის-იმედმან მეორედ აღვაშენე

წ~ა ესე ეკლესია შენ ცათა მობაძავის ვალის ღვთის მშობლისა რათა მცველ-მფარველ გვექმნა... მე და თანა-მეცხედრესა ჩემსა ათაბაგ-ქაიხოსროს და ძენი ჩემნი... ყვარყვარე, მზექაბუკ, მანუჩარ, თვალშვენიერ, ივანე, თამარი დღე-გრძელობით დაიცვენ. ა~ნ დასა მათსა ელენეს სასუფეველი დაუმკვიდრე (Bros. Uoyage arch., p. 129: ჩემი აღწერა წ.-კ. ხელნაწ. გვ. 107.

**1552 წ.** —ქ~კს: სმ: ოსმალთ დაიჭირეს არტანუჯი არსიანამდე, ფანავარი ალაშენეს, არტანიც დაიჭირეს, სამცხეს ვერ გამოვიდნენ (კას. ქრ.).

ქკ~ს :სმ: (1542 წ.) „...ესე შეწირულობის წიგნი და პირი მოგაკსენეთ ჩუენ მეფეთ-მეფემან პატრონმან ალექსანდრე და თანა მეცხედრემან ჩუენმან დედოფალმან პატრონმან თამარ (სხვა მელნით გასწორებია „თინათინ“) და ძე-მან სასურველმან დავით თქუნ დედა-ქალაქსა მცხეთას..., ასე რომე პირველად სოფელი ვეძისკევი სრულიად მისით შენობით, კევთ-უბანი და გიორგანი ორი-ვე კევი მაღლა მთიდამ დაბლა თეთრს კლდემდი რაც საველძო არის ჩელტს გამოღმართ გრემის კერძად... ეს მამულები ცოტას ხანს ხიზნობის კუალად ყარა ასლანს მივეცით ორს ოდენ წელიწადსა, ახლა ბატონი კათალიკოზი ნი-კოლოზ მობრძანდა და გუჯარნი მოიხუნა... თჳსივე მამული მკვდრი საქონე-ბელი თქუენვე დაგიდევით და მოგაკსენეთ სვეტსა ცხოველსა და ძმასა ჩუენსა სასოებასა... ბატონს კათალიკოზს, ასე რომე როგორც თქუენი მოურავი და ქადაგი ყოფილიყოს... ისევ დააყენეთ, საბალახე და აბრეშუმი და დიდი სათათ-როთ საური და რაც რამ ფერი ყუალა (sic) თქუენი ყოფილა და თქუენ აი-ღებდეთ. ჩუჱნ არაფერი კელი არა გუედვას რა, ლაშქარ-ნადირობა და მო-ნასტერი ვარცნისა, სასახლე და ციხე უმიზეზოდ გვიმუშაონ, თუ მცხეთას არ მუშაობდენ..., არც გრემელთ ქონდეს საცილობელი კელი, არც შილდელთ და არც ნეკრესელთა... დაიწერა ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა: იე: ქკ~ს :სმ: კელითა წინამძღურისა ვაჩნაძის იოსებისათა“. ჩინებული წარწერა მხედრული, ბოლოს ლამაზის ხელით ჩართული: „მეფე ალექსანდრე ვამტკიცებ ნებითა ღთისათა“. ბეჭედი ასეთი წარწერით: „მეფე ალექსანდრე“, ზედ დახატულია გვირგვინი და ლახტი (ისე როგორც ქვემო 1553 წ. ქვეშე).

**1552 წ.** — თფილისის სიონის სიგელი, მხედრულად ნაწერი, № 104, რომელიც საყურადღებო ისტორიულს ცნობებს გვაძლევს. ამაში მოხსენებული უცნობი კ~ზი ზებედე, როგორც სჩანს, მჯდარა ნიკოლოზის უწინ და ამავე 1552 წ. გა-დამდგარა, რომელშიაც პირველად სჩანს კ~ზი ნიკოლოზ (იხ. ქვემო. 1552 წ. ქვეშე).

მეფე ლუარსაბ და დედა მისი თამარ ამ სიგელს აძლევენ სიონისა ღთის მშო-ბელს: „ასე რომე ჟამთა ვითარებისაგან ულთოთა აგარიანთა მიერ წარხმულსა (იხ. 1548 წ. ქვეშე) ტაძარსა ჩუენსა ტფილისს სასხდომად თქუენ ძლით კუალად ვეგენით. მას ჟამსა ჩუენთა ცოდუათათჳს შესრულიყუნეს ტაძრად შენდა და

შეეგინნეს უმეტეს ბილწნი თავნი მათნი. ხოლო ჩუენ მოვედით და მოვიყვანეთ წ~ა მეუფე ჩუენი ქ~კზი ქართლისა (sic) ღირსი ზებედე და... თფილელ მთავარებისკოპოსი იოსებ და ყოველნი ებისკოპოსნი ქართველთა და მესხთა და განვწმიდეთ წმიდითა იაზმითა... ტაძარი თქუენი და ყოველნი ეკლესიანი ტფილისისანი (და უკელა გუჯარ-სიგელნიც სანგიახლეთო: მოსდევს სია სიონისა ყმათა)... დაიწერა... ტფილისს ქ~ksა :სმ: კელითა ჩუენისა მწიგნობრისა მთავრდიაკვნისა ზებედესითა" (შემდეგთა წარწერათაგან სჩანს, რომ მერმინდელ XVI—XVIII საუკუნის მეფეთაც დაუმტკიცებიათ).

**1552 წ.** სიგელი მცხეთისა № 10. მეფე ლუარსაბ სწერს: „შემოგწირეთ (მცხეთას) სოფელი ახოტი, ჩუენი სასახლე ალგეთს გაღმა, დოლანი, მეძლეთი, გოგას გუერდი, სახეევნი და შეხვეტილა და ლანიბანი... თარხნად... ქ~კს :სმ: კელითა მოძღურისა რომანოზისათა, მაისსა :ა: დღესა". სკეულად: „ლუარსაბ" (აზის დიდი ბეჭედი კათალიკოზისა).

— ქ~კსა :სმ: მეფე კახთა ალექსანდრე და ძენი მისნი გ~ი და დიმიტრი (ალავერდის სიგელი № 2).

**1552 წ.** ახლო ხანებისა: მეფე ლუარსაბ, მთავარებისოპოგოსი გორგინე თბილელი დომენტი, მრუელი გედეონ, პატრონნი ალექსანდრე და ერეკლე; ციციშვილნი ბეგა და ფარსადან (სიონის სიგელი №№ :სბ: და :სგ:).

**1552 წ.**—ორი სიგელი მცხეთისა: № 10 (ნუსხა № :ტკბ:) მხედრულად ნაწერი, რომელშიც პირველად მოხსენებულია გ~ზი ნიკოლოზ, და მეორე № 226, ხუცურად ტყავზე ნაწერი ქ~კს :სმ:—რადგან უკანასკნელში მოხსენებულია კ~ზი ბასილი, ამისგამო ჩვენ გვგონია, რომ ამ გუჯარში ქ~კნი :სმ: უნდა იკითხებოდეს :სკ: და ასოთა მსგავსებისაგამო ქ~კნი შემცდარი უნდა იყოს.

პირველის გუჯრისაგან საგულისხმებელია ჩვენს ისტორიაში ჯერ არ-ცნობილი გამეფება ალექსანდრესი 1537 წელს და ერთად მეფობა მისი მამასთან.

„... ესე შეწირულობის წიგნი და პირი მოგაკსენეთ ჩ~ნ მეფეთ-მეფემან პატრონმან ალექსანდრე და თანამეცხედრემან ჩ~ნმან... თამარ და ძემან ჩემმან სასურველმან ღ~თ თქუენ დედა-ქალაქსა მცხეთას... ასე და ამა პირსა ზედან, რომე პ~დ სოფელი ვეძისკევი და ფაშაანი ს~დ მისით შენობით, კევით უბანი და გირრგნი ორივე კევი მაღლა მთიდამ დაბლა თეთრ კლდემდი... ეს მამულები ცოტას ხანს ხიზნობის კუალად ყარაასლანს მივეცით ორსა დღე წელიწადსა. ახლა ბატონი გ~ზი ნიკოლოზ მობძანდა... და მოვაკსენეთ თვსივე მამული.... თ~ქნვე დაგიდევით... ასე რომე როგორც თქ~ნი მოურავი და ქადაგი ყოფილიყოს ვეძისკევს და ფაშაანს, ისევ დააყენეთ; საბალახე და აბრეშუმი და დიდი სათათრო საური და რაც რამ ფერი ყუჱლა თქუჱნი ყოფილა და თქ~ნ აიღებდეთ, ჩ~ნ არაკელი არა გუჱდევას რა. ლაშქარ-ნადირობა და მონასტერი

ვარცანისა, სასახლე და ციხე უმიზეზოდ გვმუშაონ, თუ მცხეთას არ მუშაობდენ; და როგორაც დ˜თ გარეჯას იქიდამ სარგო რგებოდეს, ნუ დააკლებთ. ასე დაგვმტკიცებია. არც გრემელთ ჰქონდეს საცილობელი კელი, არც შილდელთ და არც ნეკრესელთა... დაიწერა ინდიკტიონსა მეფობისა ჩ˜ნისასა :იე: ქ˜კსა :სმ: კელითა წინამძღურისა ვაჩნაძისა იოსებისათა".

**1552 წ.—(1515 წ.?) ქტრატზე № 226, ხუცური ძალიან კარგი ხელი:**

„ქ. ნებითა... ჩ˜ნ მეფემან პატრონმა ლეონ და პატრ. კ˜ზმან ბასილიმ ესე... წიგნი გიბოძეთ... სუეტიცხოვლის საჰურჰლის მოლარეს ჯიჯელს ბარანძელიძეს ლომსა და გიორგის, ასე რომე მის დღეში თარხანი და აზატნი ყოფილხართ და არცა საჩვენო (sic) და არცა რა ბატუნის (sic) კ˜ზისა არა გეთხოებოდეს რ˜ჲ ერთის მსახურისა და სალაროს ქეშიკობის მეტი. თუ რამ დაჰკარგო და წაადინო, კიდეც უნდა ზღო. სვეტიცხოვლის საქონელზე ფრთხილად და თვალ-მიგდებით იყავ. სხვა რიგად არასფერზე არ გაგსარჯონ. ბატონს ქ˜კზს თევზითა ჲ სამარხოთ კი ემსახურეთ... ქ˜კს :სმ: "ბოლოს ასომთავრულად: „ႱႨႭႠႰ".

**1552 წ. ქტრატზე:**

ქ. ნებითა და და... ესე შეწირულების წიგნი და პირი მოგაკსენეთ ჩუენ მეფეთ-მეფემან ალექსანდრე და თანამეცხედრემან ჩ˜ნმან,... თინათინ (გასწორებულია) და ძემან ჩ˜ნმან სასურველმან დავით თქუენ დედაქალაქსა მცხეთას... ასე... რომ სოფელი ვეძის-კევი მაღლა მთიდამ დაბლა თეთრის კლდემდი რაც საევძო არის ჩელტს გაღმართ გრემის კერძად ასე რომე თქუენი სამკვდრო ეს მამულები ცოტას ხანს ხიზნობის კუალად ყარაასლანს მიეეცით ორს ოდენ წელიწადს ახლა ბატონი კათალიკოზი ნიკოლოზ მობრძანდა და გუჯარნი მოიხუნა; გავსინჯეთ და თვსივე მამული მკვდრი საქონებელი თქუენვე დაგიდევით და მოგაკსენეთ სვეტსა ცხოველსა და ძმასა ჩუენსა სასოებასა იოვანე ოქროპირისა და ბასილის მსგავსსა და მათებრ ჩუენგან სარწმუნებელსა ბატონს კათალიკოზს, ასე რომე როგორც თქუენი მოურავი და ქადაგი ყოფილიყოს ისევ დააყენეთ; საბალახე და აბრეშუმი და დიდი სათათრო საური რაც რამ ფერი ყუალა (sic) თქუენი ყოფილა და თქუენ აიღებდეთ; ჩუენ არაფერი კელი არა გვედვას-რა. ლაშქარ-ნადირობა და მონასტერი ვარცანისა, სასახლე და ციხე უმიზეზოდ გვიმუშაონ, თუ მცხეთას არ მუშ(ა)ობდენ და როგორც კათალიკოზს სვეტს ცხოველიდამ სარგო რგებოდეს ნუ დაიკლებთ. ასე დაგვიმტკიცებია. არც გრემელთ ქონდეს საცილებელი კელი, არც შილდელთ და არც ნეკრესელთა: თქუენი მამული მოუდევარად მოგვიკსენებიან... დაიწერა წიგნი ესე ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა :ი˜ე: ქკ˜სა :სმ: (240=1552 წ.) კელითა წინამძღურისა ვაჩნაძისა იოსებისათა". ხკეულად: „მეფე ალექსანდრე ვამტკიცებ ნებითა ღვთისათა".

ნაწყვეტი ძველის გუჯრისა მე-XVI საუკ.

- - - გლეხი: მთას: ბარს: უკლებად: კიდევე მას (ზ)ედა მოგიმატეთ ალგეთს გაღმართი გიგისა მზღურით ვაკე, ღორისთავი, ცოვრეთი, გარს - - ვარხოვნა, კრეფა, ლიპნი, უგუდეთი, გოგას გუერდი და ახალდაბა და მას ზედათი ქციასა და ალგეთს შუა მიტანებით მანგლისის გარეშემო, ორი ოძისი და კველთ(ა) გქონდეს და გიბედნიეროს ღ~ნ ჩუენსა და კათოლიკე მცხეთისა საყდრისა სამსახურსა შიგან.

**1552—1582** წ. ახლო-ხანებისა.—სიგელი სინოდ. კანტ. № 246, მხედრული:

„ქ... თქუენ კზ~ს პატრიარქსა პატრონსა ნიკოლაოს ჩ~ნ ამბა ალავერდელმა ზაქარია, ნინო-წმიდელმა სილოვანე, კაწარელ ეპისკოპოსმან ფილიპე, ბოდბელმან მაქსიმე, ნეკრესელმან კლიმე, ჭერემელმან ეგნატე, ხარჭაშნელმან ელისე... (ესე წიგნი მოგეცით) ასე და ამა პირსა ზ~ა, რომელ ანუ საყდრისა, ანუ სჯულისა საქმეზედა ვისცა გაუწყრე და გამოენახო, ჩუენცა გაუწყრეთ და გამოვეენახოთ და სანამდის შენ არ ნახო და შენდობა არ მისცე, არცა ჩუენ ვნახოთ და არც შენდობა მივსცეთ. ამისად გათავების თავსმდებად ღ~თი და ყლ~ნი მისნი წმიდანი მოგვჴსენებია“.

**1552** წ.—ამ წლის ახლო ხანებს არის დაწერილი სიგელი მცხეთისა, ნუსხა № :ტკგ:, რომელშიც მოხსენებული კ~ზი ნიკოლოზ (სჩანს ქვემო 1552, 2566; 1569—1581; მოკვდა 1582 წ.).

--- „გე ჯიმშიტ და თანამეცხედრემან ჩემმან მარიხ... შემოგწირეთ (მცხეთას) ვეძისკევს სასახლე... მეფის ლეონისგან ნაწყალობევი და ზოგი ჩემითა ალალითა საქონლითა ნასყიდი... თქ~ნ ქ~კზო პატრიარქო... ნიკოლოზ!... წელიწადშიგან თვთოს დღეს ჟამს გვწირევდით“.

**1552** წ.—ამ წლის ახლო ხანებში დაწერილია ხუცური სიგელი მცხეთისა № 354 (ნუსხანი: №№ :იდ: და :იე:), უთავბოლო. ფრჩხილებში ჩასმული აღდგენილია № :იდ:

[„ქ. ზეადიდნეს ღ~ნ მეფეთ მეფობა და პატრონობა მეფისა ლუ]არსაბ[ისი. დავსხედით ბჭენი ჩუენ] მეფე პ[ატ]რონი [ლუ]არსაბ, პატრონი მთ~კზი გიორგიი~ნე (ამ ორის სიტყვის მაგიერ ნუსხაში სწერია „გორგინე“) პატრონი ტფილელი დომენტი, ბატონი მროველი (მროკელი) გედეონ, (მემატიანე იხ. ქ-ცხ. II, გვ. ) პატრონი ალექსანდრე, ერეკლე, ციცისშვილი ბეგა ფარსადან, გოსთასამისშვილი მირიან, გაბაშვილი სამადავლე, ნასიძე გულბაად და მიცობელი . ბატონი კათალიკოზი და ბატონი წილკნელი მუხრანულსა სამზღუარზედ იჩჩოდეს. მოვიტანეთ მცხეთის დიდი გუჯარი“...

**1553**—ქ~კს :სმა: შაჰთამაზ ქართლი შემოვლო, ათაბაგი ქაიხოსრო მიეგება,

ვარძია, თმოგვი, ვანის ქუაბები, აწყვერი, ასპინძა და სრულიად სამცხის ციხენი აღიღო; ქაიხოსროს მოსცა აწყვერი ღვთისმშობლითურთ. ყაენი სომხითს ჩავიდა, დაკოცა იჯუ შარმაზან და ვახუშტი დიასამიძე და ამოვან თან წარიყვანა ტყვედ და კვალად აწყურის ღვთისმშობელი ტყვედ წარიყვანეს იმერეთს. (ვახ. ქრ.).

ქ˝კს :სმა: (1553) აქა არტანუჯი წაართვეს (ყანჩ. გულანი;. ე.. ი. მესხებს წაართვესო).

— ქ˝კს :სმა: აქა არტანუჯი წაართვეს (წ˝ა ნიკოლოზის ქრ.)

„ჩუენ ბაგრატუანთა ძეთა კურთხეულისა პატ. (sic) ალექსანდრესთა პატრონმან კოსტანტინე და ძეთა ჩუენთა: ... ესე... სიგელი... მოგაკსენეთ თქუენ... სიონთა ღ˝თის მშობელსა კურთხეულისა პატრონისა მამისა ჩემისა სულისა მოსაკსენებლად... შემოგწირეთ... ქალაქურითა ლიტრითა ორი ლიტრა სანთელი და ერთი ლიტრა საკმელი ტამლისაგან. ესე ყოველთა წელიწადთა უკლებად მოგეკსენებოდეს... დაიწერა... ქ˝კსა :სმა: კელითა იორდანესითა“ ტყავის გუჯარი, ლამაზის ხელით, ბოლო ხელრთული: „კოსტანტინე“ მეტი არა არის რა.

**1553 წ.**—ნინო-წმიდის სიგელი ნუსხა № 26: „ქ... ჩუენ... მეფემან პატრონმან ლეონ და ძეთა ჩუენთა პატრონთა გ˝ი, იესე, ალექსანდრე, ელიმირზა და ღ˝თ... შემოგწირეთ... (ნინოწმიდელს ზაქარიას და ნინოწმიდას) აზამბურის ლალა, ასე რომე რასაცა საყდრის ყმა აზამბურშიგა მოკნევდეს, მისი ლალა არა ვთხოვოთ... მისი ლალა საყდრისთჳს აიღებოდეს და საჩუენოდ არა ვთხოვოთ... არა შეგეცვალოს... დაიწერა ქ˝კსა :სმა:“. ხვეულები და ერთი თათრული ბეჭედი აზის.

იმავე ნინო წმიდელს ზაქარიას მეფე ლეონ აძლევს სიგელს (№ 27): ასრე რომე რაც თქუენსა ომში (?) დასახლეული (ობაში დასახლებული?) კაცი იყოს ნინოწნიდის საყდრისთჳს იქით ასაყრელად არც შვილს და არასა კოციელსა კაცსა არა დავანებოთ და არც აგიყაროთ“. ხვეულად „ლეონ“.

მეფის ლეონის ძე გიორგი აძლევს უთარიღო სიგელს (№ 28) „ნინოწმიდას და ათორმეტთა უდაბნოთა არქიმანდრიტელსა მამასა სილაონსა... ღღეის იქით ვინცა გეპრიანებოდეს, და ნინოწმიდას მღებვარი დასვათ, რაცა იმას გამოუვიდოდეს, თქვენთჳს შემოგვიწირავს“. ხვეული და თათრული ბეჭედი.

**1554 წ.**—ჩინებულად გაკეთებულს თხელს ეტრატზედ მხედრულად დაწერილი გრაგნილი, მიცემული შერგილაძისადმი ბაგრატ-დიდისაგან 1554 წ. ცხადია, რომ ბაგრატ 1554 წელს ცოცხალი ყოფილა, თუმცა ყველა ჩვენი ისტორიული წყაროები მისს სიკვდილს გვიჩვენებს 1548 წ. რადგან გიორგი გამეფებულა 1563—4 წ., ამისგამო უნდა ვიფიქროთ, რომ ბაგრატ III 1562 წლის ახლო ხანებს უნდა მომკვდარიყოს.

გრაგნილის თავში ფერადებით დახატულია მდგომარე სახე გვირგვინიანის კა-

ცისა, რომელსაც მარჯვენა ხელში უპყრია სკიპტრა რვა-წვერიანის ჯვარით და მარცხენა ხელი არა უჩანს, პირისახე ძალიან შებღალულია, მაგრამ წვერ-ულვაში-კი, სჩანს, ძალიან მოკლე ჰქონია. მარჯვენა მხრით ასომთავრულად აწერია: „მეფეთ მეფენი“ და მარცხნით: „მეფე ბაგრატ დიდი“. (ეს ნაწილი ეტრატისა მიკერებულია, ალბათ დახატული სხვისგან არის და დაწერის შემდეგ მიუკერებია). მერე წითელ მელნით ხელ-ჩართულ-ხვეულად აწერია: „სახელითა ღმრთისათა“ (და შემდეგ ლამაზის და ძალიან თავისუფლად ნაწერის ხელით შავ-მელნით გარჩეულად):

„ზეშთა:. არსისა:. გარე:.შემოუწერელსა:. მამისა:. | ძისა:. და სულისა (ყოველ სიტყვის შემდეგ სამ-სამი წერტილი უზის) წმიდისათა ჩუენ ღ̃თივ დამყარებულმან | და ღ̃თივ ამაღლებულმან პირველ დასაბამითგან | და ვიდრე უკუნისამდე კელმწიფედ მპყრობელ-მქონებელმან ღ̃თივ-გვრგვნოსანმან მეფეთ-მეფემან პატრონმან | ბაგრატ და თანა-მეცხედრემან ჩუენმან დედოფალთ-დედო|ფალმან პატრონმან ელენე მოვიდეს წინაშე ჩუენსა | ჩუენნი დიდათ ერთგულნი და ნამსახურნი თავსდებით აზნა]ურისშვილნი შერგილაძენი ჯაკვა და მათნი შვილნი | მათე და მომავალნი მათნი ყოველნივე და სასახლის შვილნი | რათამცა დაგუეაჯნეს და ვისმინეთ აჯა და მოხსენება | მათი, შევიწყალეთ და უბოძეთ სასისხლო სიგელი ესე.—ნუმცა | იკადრების უბრალოს კაცისა სიკუდილი და ვინცა ეშმაკის მანქ|ანებითა შერგილაძეს გუარის კაცი მოჰკლას—ორასი | ათი ათასი (sic) კირმანეული ძუელი თეთრი დაგეურვოს; | ამას გარეთი სანახშიროდ ოცდაათი ათასი | კირმანეული ძუელი თეთრი დაგეუროს (sic) თქუენი შერ|გილაძეთა ჯაყვას და შენსა შვილსა მათეს და სახლის | შვილთა თქუენთა ყოველთავე; ესე ჩუენგან გაჩენი|ლი სრული სისხლი ორასი ასი (ათი?) ათასი დაგეურებ|ოდეს და სანახშიროდ ოც-და-ათი ათასი კირმანეული ძველ|ი თეთრი დაგეურვებოდეს მეფეთა, თავადთა, აზნაურთა | და აზნაურისშვილთაგან უზეშთაესთა და უქუედაესთაგან | დიდთა და მცირეთაგან. ვინცა ცოლი წაგართვას ნახევა]რი სისხლი დაგიურვოს. ვინცა ცოლი გაგიუპატიოს, თუ | არ გაეყაროს, ნახევარი სისხლი დაგიურვოს და თუ გაეყა|როს—მეოთხედი სისხლი დაგეურვებოდეს. ვინც | გრძნეულობა ჩამოგყივლოს და მართალი გამოხვიდე | —ნახევარი სისხლი დაგეუროს. ვინც პატრონსა დაგაბეზღო|ს—ნახევარი სისხლი დაგეურვოს. ვინც ექუსთა ასო|თაგან ერთი რომელი გინდ დაგიშაოს | —მეექუსედი სისხლი დაგეურვებოდეს. ვინცა | საჩინო დაღი დაგასვას—მესამედი სისხლი დაგეურვებო|დეს. ვინც სასაფლაო გაგიტეხოს—ნახევარი სისხლი დაგეურვოს. ვინც თავ-და-თავ გცეს—სამოცი ათასი კირმანე|ული ძველი თეთრი დაგეუროს. ვინც გერში გადი|ნოს—სამოცი ათააი თეთრი დაგეუროს. | ვინც მეჯინიბე, ანუ ბაზიერი, ანუ მწყემსი, ანუ უომარი | ვაჟი გიცეს, გაგილანძღოს—ოცი ათასი თეთრი | ცალკე-ცალკე დაგეურვებოდეს. ვინც ჯოგი | აგისხას ანუ სახლად დაგესხას—ასი ათასი თეთრი დაგე|უროს და ალაფი შემოგექცეს; სხვა ნაძარცვი-ნაგინები- | ნაუპატიევები რაგინდა-რა იყოს დაიდევით.

ესე ჩუენგან ბო|ძებული სიგელი და მისი მისი (sic) წესითა და რიგითა გასინჯეთ | და დაუურვებლით. აწ ქრისტეს-მიერ კურთხეულნო ებ|ისკოპოზო ქართლისა და აფხაზეთისა კათალიკოზნო, სამცხეს მაწყუე|რელო და ათორმეტნო მეუდაბნენო, ჰყონდიდელო, ცაიშელო, | მოქუელო და ბედიელო, თქუენც ასრე დაუმტკიცეთ. — | სხვანო კარისა ჩუენისა თავადნო, ერისთავთა.ერისთაო | და სვანთა ერისთაო, მანდატურთ უხუცესო დადიანო, ამის|პასალარო (ამირსპასალარო) გურიელო, თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ. | სხვანო კარისა ჩუენისა ვაზირნო ამირათ ამირო ამილახ|ორო, ციხისთაო, კარისა ჩუენისა წარჩინებულნო | თქუენცა ასრე დაუმტციცეთ. სხვანო კარისა | ჩუენისა მეკელენო, მეაბჯრე,-მეჯინიბეო, ახო|სალარო (sic), მესტუმრეო, მეღვინეო, | მუქიფო და მზარეულო, თქუენც ასრე დაუ|უმტკიცეთ. ბაზიერო, ბოქაულო, | მოლარეო, მეჩანგე-მენაღარენო, მედადაბენო, | მეძაღლე-მემწევრენო თქუენც ასრე დაუმტკიც|ენით. მალისა და ხარჯის მკრეფელნო, ზროხა-|საკლავისა მკრეფელნო, პურისა და ღვინისა მკრეფე|ლნო, გოჯ-ქათმისა მკრეფელნო, დიდ|ნო და ცოტანო კარისა ჩუენისა კელისუფალნო, | ყოველთავე ასრე დაუმტკიცენით. დაიწერა ბრძანება | და სიგელი ესე კელითა კარისა ჩუენისა დივნისა|თა, თუესა მარტსა ოც-და-ცხრასა და მთოვარესა | მოქცევასა ოც-და-ხუთისა, ინდიკტიონსა | მეფობისა ჩუენისასა ქორანიკონსა ორას ო|რმეოც-და-ორსა (sic) გათავდა სიგელი ესე ამინ. | ნებითა ღთისათა დამამტკიცებელი ამისი დაამ|ტკიცოს ღმერთმან სიგრძესა შინა ჟამთასა. ამინ. (მეტი არა-რა)

**1554 წ.** ქ̃კს :სმბ: აქა დიასამიძე და ვახუშტი დაიჭირა ყაენმან (წ̃ა ნიკოლოზის ქრონიკა).

— ქ̃კსა :სმბ: (1554) (ამა) ქორონიკონსა (შა)ჰთამაზ ყაე(ნი) ქართლისა მოვიდა (და) ამოსწყვიდა ქ̃ყა(ნაჲ). ქართლისა; (მ)ეფე (იმე)რეთს (წა)ვიდა. (ჟ. № 3 ფრჩხილებში რაც ჩასმულია წაჭრილია).

— ქ̃კს :სმბ: აქა შაჰთამაზ მოვიდა, ქართლი ამოსწყვდა; ვახტანგ და ძენი მისნი სამნი მოკლა (ჩხეიძის ქრ).

— ქ̃კსა :სმბ: (1554 წ.) აქა დიასამიძე და ვახუშტი დაიჭირეს და ამავე ქორონიკონსა შასთამაზ ყაენი მოვიდა, ამოსწყვიტა ქვეყანა ქართლისა და მეფე იმერეთ წავიდა (ჟანჩ. გ.) — :სმბ: (1554 წ.) ამა ქ̃კსა ყაენი თამაზ მოვიდა ქართლი ამოსწყვიტა (ეგ. მუზ. № 85).

— ქ̃კსა :სმდ: (1556 წ.) მოვიდა შაჰთამაზ ყეენი ქართლსა და აღაოხრა, აიხვნა ციხენი და აღაოხრა ეკლესიანი, აიღო ატენი ციხე, დედა და დაჲ მეფის ლუარსაბისა გამოიყვანა ატენის ციხიდამ. დედოფალი ნესტანჯარ გამოიყვანეს. ზედაველამდი ქვეითი წაიყანეს და იქ მეაქლემეს მისცეს და ერევანს წაიყვანეს; იქ თავი მოიწამლა და იქ მოკვდა. მეფე ლუარსაბ იმერეთს მორჩა მუხრანის ბატონი აშოთან და არჩილ აწყვერს მორჩნენ". („წიგნი ქორონიკონნი").

**1555 წ.** ქ~კს :სმგ: აქა დიდის მეფეთ მეფის ასული მარიამ-ყოფილი მარინე მიიცვალა. (წმ. ნიკოლოზ. ქრ.).

**1556 წ.** ქ~კს :სმდ: აქა დაჯდა ტბევრად ხახულარი წყმედიძე მამაჲ საბა:: (წერა-კითხ. № 252)—სჩანს ხახული ამ დროს გაუქმებულა და ხახულს ეპისკოპოზი საბა ტბეკრად დამჯდარა. (იხილ. ზემო 1552—1553 წ.)

**1556 წ.** გამეფება სვიმონისი. იხ. ქვემო 1558 წ. ქვეშე.

**556**—:სმდ: მოვიდა სულტან სულეიმან, კარი ალაშენა და ბასიანს დადგა. ამას მოუდგა შაჰთამაზ; არტანს და დადგა, შაჰთამაზის ძემ ისმაილ კარი აღილო და დააქცივა, ხვანთქარი წარვიდა, ყაენი ქართლს ჩავიდა, ალაოკრა, ციხენი აღილო, ატენის ციხიდამ გამოიყვანა დედა ლუარსაბ მეფისა, ტყვედ წარიყვანა; ლუარსაბ მეფე გითრგი მეფეს ეზრახა, დედის იმედის ძმანი არჩილ, აშოთან და ვახტანგ აწყვერს მორჩნენ. (კახ. ქრ.).

**1557 წ.** (ანუ 1558). ქ~კს :სმე: (ანუ :სმვ:) აქა შაჰ-თამაზ ჩადგა ქართლს და სომხითს და ალაოხრა სრულიად კევთამდის (წერა-კითხ. ხელნაწ. № 1204)

**1557,** სიგელი მცხეთისა № 58 მხედრული:
„ქ.. ესე... სიგელი... მოგაკსენეთ (მცხეთას)“ ჩუენ ქუენიფნეველმან რატისშვილმან შიოშ, ძმამან ჩიუემან მანუჩარ... მას ჟამსა როდეს... ძმა შემოგუაკუდა... კ~ზსა დომენტის მოვაკსენეთ... მცირე ესე შემოსაწირავი ტფილის ქალაქს ჩემი მკვიდრი ყმა დემურაშვილი დავიგულა... მისითა მამულითა, სახლ-კარითა, პურ-მამულითა; ქულბაქითა... დაიწერა... ქ~კს :სმე: †

**1558 წ.** ტუაკის სიგელი მცხეთისა № 503 (ნუსხა № :რპ:):
„ქ... ჩუენ... მეფეთ-მეფემან, პატრონმან სუიმონ და ძმათა ჩუენთა... გკადრეთ... მეტეხს... ქალაქის პირთა სოფელი შინდისი (მკვდად შეწირული, განგიახლეთ; ერთი კარგაღებული აღაპი თავისთჳს გაუჩენია და მეორე მეფის ლუარსაბისთჳს და მისის დედის თამარისთჳს)... ქ~კს :სმვ: ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეორესა (sic), კელითა ფანასკერტელის ციცისშვილის სახლთხუცესისა ზაზასითა“ (ხვეულად ამტკიცებს მეფე).
ამ სიგლიდან(და სხვა ქვემო დაბეჭდილ საბუთებიდამ) ცხადდება ლუარსაბის სიკვდილი და სვიმონის გამეფება 1556 ანუ 1557 წელს და არა 1558 წელს, როგორც ცნობილია.

**1558 წ.**—ამ წლის ახლო ხანებში უნდა დაწერილი ბიჭვინტის ტუაკის სიგელი №№ 58 და 9110, რომელშიც მოხსენებულნი არიან ისტორიაში უცნობნი

მწკვრნი გურიელის როსტომის (1534—1564 წ. (ოჯახისანი: თამარ, ქეთეონი და ხოსროთან (იგივე კახტანგ?).—

ქ... ესე წიგნი... მოგახსენე... (ბიჭვინტას) მე გურიელმან პატრონმან როსტომ და დედამან ჩ῀ნმან პატრ. დედოფალმან ქეთევან და თანამეცხედრემან ჩ῀ნმან დედოფალმა თამარ და ძეთა ჩ῀ნთა ბატონმა გ῀ი და ბატონმან. ხოსროთანგ... შემოგწირეთ ოდიშს სოფელი კიბულა მას ჟამსა, ოდეს შეგვემთხვა უმსგავსო ცოდვა... მობრძანდით კ῀ზი ევდემოს და ალგიარეთ აღსარება... (ხიბულა საკანონოდ შეუწირავს). ეს უცნობნი პირნი ცნობილნია აგრეთვე ქკ. მუზ. ალაპებში, ხელნაწ. № 97: „გურიელისშვილი გ῀ი; მამა მისი გურიელი მამია; მეცხედრე მისი (მამიასი) დედოფალი ქეთეონ... ძენი მათნი აღზარდენ“.

**1558 წ.**—ქ῀კს :სმვ: გარნისს. შეიბნენ. ქართველნნი. და ყიზილბაშნი. ქართველთ. გაემარჯა. მაგრამ. მეფე. ლუარსაბ. მოკლეს. თათართა. და ძე. მისი. სვიმონ. მეფე იქმნა. („წიგნი ქორონიკონნი“).

— ქ῀კს :სმვ: გარის (გარნისს) ქართველთ გაემარჯვათ ყიზილბაშზედ და მოკლეს მათ მეფე ლუარსაბ. გამეფდა ძე მისი სვიმონ;—და ლეონ-მეფემ ძე თვისი იესე ყაენს წარუვლინა;—კუალად მოკუდა ძე გიორგი-მეფისა ალექსანდრე (კახ. ქრ.).

**1559 წ.** მცხეთის სიგელი № 93 (ნუსხა № :ტჲვ:):

„ქ... ესე წიგნი... გკადრეთ... (მცხეთას) და კ῀ზ-პატრიარქს ჩუენ გოგიბასშვილმან იოასაფ, ჩემმა ძმამა ვახუშტ და ფალან-ხოსრო... მას ჟამსა, ოდეს ღ῀თივ გჳრგჳნოსანმან მეფეთ მეფემან პატრონმან ლეონ შეგვწყალა და მათი ქალი გვბოძა ბატონი ქეთეონ ჩუენისა ძმისა ვახუშტისთჳს, დიდად უხეპდრი და საკანონო იყო .. შესანდობელად... მოვაკსენეთ... (მცხეთას) მაჰიხელს :ლ: კუამლი კარგი გლეხი უკლ῀ებად ბეგრის გამომღები, ორი ოქროს კანდელი სუეტსა ცხოველსა და წინა დაუვსებლად ენთებოდეს... ასრე თარხნად და შეუალად... არა ეთხოვებოდეს რა, არცა ციხისის მუშაობა, არცა სახლის მუშაობა, არა ყანისა და ვენაკისა მუშაობა, არა ულაყის ზიდვა, არა ტიკი, არა ტომარა, არა გოჰი-ქათამი, არა საჯინობო, არა საახოსალარო, არა საბაზიარო, არა დიდი და არა წურილი სათხოვარი და გამოსაღები, თჳნიერ თანადგომისა და ძალ-მიცემისაგან კიდე... (წყევა ვინც მოშალოს)... დაიწერა... ქ῀კსა :სმზ:“. ბოლოს ხვეულად: „ვახუშტ“.

**1559 წ.**—ნუსხა მცხეთისა № :სით: მეფე სვიმონ სწერს:

„ქ.... რაოდენი ქება და მადლობა შევსწიროთ თქუენდა (სვეტი-ცხოვლის) მომართ..., რამეთუ აჰაესერა ბრწყინვენ ოთხნივე კედარნი მეფობისა ჩუენისანი. აგარის ნათესავნი და მტერნი ლტოლვილ და უკუნქცეულ არიან დღეინდელად დღედმდე, ა῀დ აჰაესერა მოიწია საშინელება და რისხვა საშინელებით აღძრული, მსგავსი ცოდვათა ჩუენთა და ჟამსა... მამისა ჩუენისა... მეფობისა...

მოვიდა უსჯულოებით ალძრული და ყოვლისა ქუჱყანისა მაოკრებელი და ყოვლისა სჯულისა მტერი აგარის მონათესევე და წინააღმდგომი ყოველთა ჯუარის მოსავთა... ახალი ივლიანე, უსჯულო თამაზ, აურაცხელითა და მრავლითა ულუსითა და ამოსწყვიდა საქართველო და მრავალნი სულნი პირითა მახვილისათა მოსრნა და ტყუჱ ყო და... დედა-ქალაქი მცხეთა აღაოკრა და ამას ჟამთა შ~ა მეფეთა შორის სანატრელმან:... მამან ჩემმან... ლუარსაბ თჳთცა მიიღო წამებისა გჳრგჳნი,... და უსაშინელეს და უმწარეს მოიწია დღესა მას, რ~ლ კრეტსაბმელი ტაძრისა განიპო... შ~დ მათსა... ორისავე ტახტისა ჴელმ-წიფედ მპყრობელ-ვიქმენით... და.. ახლად გუჯრითა ამით ჩუენცა დავატკიცეთ და ვათარხნეთ... მცხეთისა მამულნი (აქ ჩამოთვლილია მცხეთის მამულები და სხვათა შორის:) ქალაქს მეტეხი, მეტეხელნი, ქალაქის კარნი ძუელითგან წაღებული იყო... კიდევ იქივე ტფილის ქალაქს რანიც ვაჭარნი და გლეხნი არიან მათითა სახლ-კარითა, ქულბაქითა და მამულითა და სომხითს სოფელი ყორანთა... კიდევე ერთი საგლეხო და ერთი ზუარი. კიდევე დიღმის თავსა პატრონისა ბებია ჩუნის სააღაპო ზუარი, ლისთა ბარათაშვილისაგან შეწირულნი გლეხნი... ვირშა მისითა შესავლითა წიას-წყლითა ერისთვისგან შემოწირული... ბერშოეთი რაჲცა ძუელითგან მცხეთის შეწირულნი საგლეხონი და მამულნი არიან... (და სხვა მრავალი).... ახლად გუჯრითა ამით ვათარხნეთ... სათათროს საურისა და ულუფის მეტი არა ეთხოებოდეს წურილი ულუფა, საჩუენო საწერი მუდამი ულუფა, არა მეჯინიბეთა, არა ბაზიერთა, არა ახოსალართა, არა მემხლეთა... ქკზ~ო დომენტი... ლოცვათა თქუჱნთა (მომიხსენებდეთო)... დაიწერა ქ~კს :სმზ: თ~ა დეკემბერსა :ა:... ჴელითა... ქვათაკევის წინამძღურისა ბარათაშვილის ფილიპესითა... ქსნის კონი ნახევარი თქუჱნ გქონდა"...

**1559** წ. ქ~კს :სმზ: იყო ომი ციხე-დიდისა. თათართა გაემარჯვა. კახთ მეფის ლევანის ძე მოკლეს. აღდგომასა („წიგნი ქორონიკონნი“). იხ. 1561 წ. ქვეშე.
— ქ~კს :სმზ: სვიმონ მეფემ ქორწილი ქნა ლეონ კახ-მეფის ქალს ნესტან-დარეჯანზედ (კახ. ქრ.).

**1560** წ. ქ~კს :სმჱ: მუხრან-ბატონიშვილი არჩილი დაიჭირეს თათართა („წიგნი ქორონიკონნი“).
— ქ~კს :სმჱ: სპარსთა შეიპყრეს მეფის კოსტანტინეს ძის ძე არჩილი დედაწაულით და წარიყვანეს ყაზმინს (კახ. ქრ.). ეს არ იპოვება მაყაშვილის ვარიანტში.

**1560** წ. სიგელი მცხეთისა № 26 (ნუსხა № :ლვ:). ამ სიგელში მოხსენებული უცნობი „პატრონი კოსტანტინე“ უნდა იყოს მეფის კოსტანტინეს ძის მე ალექსანდრე შვილი (კახტანგი არის იგივე „ხოსრო“); ხოლო განაყოფი მისი „ხოსრო“ იქნება კახტანგ, ბიძა კოსტანტინესი.

მცხეთას და კ~ზს დომენტის აძლევს კოსტანტინე: „მას ჟამსა, ოდეს ჩუენის განაყოფის ხოსროს ქალი შევირთე ჩუენ პატრონმან კოსტანტინე და პატრონი კ~ზი გამოგუენახა რჯულისა წესითა; როგორც მართებდა, მიუდეგით კარსა და შემოგეხუეწენით ჩუენ პატრონი კოსტანტინე და ძმანი ჩუენნი პატრონი გ~ი და მელქისედეგ... შემოგწირეთ ცოდვათა ჩუენთა შესანდობელად... ტფილის ქალაქს ერთი სასახლე კალოზანს წინ შარამდინ მისით სახლკარითა და მამულითა და ქულბაქითა ათის; დღის მიწა კუებით მოგჳსენებია... ქკს :სმჟ: კელითა არმაზის წინამძღვრისათა (ხელრთვა:) „კოსტანტინე."

**1560 წ.**—ამ წლის ახლო ხანებში უნდა იყოს დაწერილი სიგელი მცხეთისა № 340 (ნუსხა. № (:სჲ:) მიცემული ლეონ-მეფის ძის გიორგისგან. ეს გიორგი ქ—ცხზით მოკლეს 1561 წ. (იხ. ქვემო 1561 ქვეშე).

— ჩუენ ღვთივ გჳირგჳნო[სნის მეფის~პ]ატრონის ლეონის ძემან [პატრონმან გიორ]გი:. ესე - - - [სიგელი] მოგაჳსენეთ (მცხეთას)... და კ~ზს პატრიაქსა პატრონსა დომენტის მას ჟამსა, როდეს ჟამთა ვითარებისაგან ძუელთაგან თქუენი მკჳიდრი სოფელი ოროტან (ოროტა) წაგღებოდათ ,აწე... ისრევე მოგაჳსენეთ... რა რიგადცა მარტომყოფელთა (sic) მსახური ჩუენ გჳმსახურებდეს, ისრევე ოროტელთა თქუენ გმსახურონ; რადაც მარტო მყოფელთა ჩუენ არ ვაქნევინოთ, მის მეტი მალი თქუენ არ უყოთ და ნადირობისა და ლაშქრობის ჯურუმისა როგორცა სხუაგან საყდრის მამულშიგა იყოს, ნახევარი თქუენ და ნახევარი ჩუენ:." ხელრთვა: „გიორგი"

**1561— წ.** ქ~კსა :სმთ: [ა]მ ქორონიკონს [ი]ქმნა ომი ციხ[ე]-დიდს და მოკლ[ე]ს ძე მეფისა [ლ]ეონისა (ჟამნ. № 3).—ქ~კს:სმთ: აქა ომი ციხედიდს იყო და მოკლეს ძე მეფისა ლეონისი გიორგი (ყანჩ. გულანი.).

**1561**—:სმთ: მეფე სვიმონ და ლეონ-მეფის ძე გიორგი ძეგვს შავერდისულტანს შეებნენ, შავერდის გაემარჯვა და მოჰკლეს გიორგი, ძე ლეონ მეფისა, და ამოთან, მეფის კოსტანტინეს ძის ძე, ფხოველთ მოკლეს.—კვალად დაიბადა მეფის ბაგრატის ძის ძე, ბატონის კოსტანტინეს ძე როსტომ (კახ. ქრ.)

**1561 წ.** ახლო-მახლო წლების წარწერა სახარებაზედ: „...ჩვენ... მეფეთ-მეფის ლეონის ძემან პატრონმან იესე ვიყიდე ოთხ-თავი ესე თათართაგან, ოდეს ყეენმან (შაჰ-თამაზ) ჯავახეთი აღაოხრა (იხ. 1554 წ. ქვეშე) და ვარძიის საყდარი დალეწა, მას ჟამსა დავიხსენით და შევსწირეთ ვარძიის ღვთისმშობელსა საოხად და სამლოცველოდ... ღ~ო და ვარძიისა ღვთისმშობელო, პატრონნი იესე დღეგრძელობით და გამარჯვებით ამყოფე უკუნისამდე ამინ" (ჩემი საისტ. კრებული გვ. 37).

**1561 წ.** - - - :ია: მთვარისასა. დაიბადა თამარ: აწყუერს: აპრილსა: :იӨ: დღესა პარასკევსა დღისით: ჟამსა :ვ: მთვარესა :დ: ქ҃კს :სმთ: (წერ. კითხ. № 947).

**1562**—:სნ: იმერთ მეფემ გიორგიმ და ათაბაგმან ზავ-ჰყვეს. და აწყურის ღვთის-მშობელი მოსცა ათაბაგსა (კახ. ქრ.). გამეფება გიორგისი 1565 წ. იხ ქკემო.

ამავე დროებს უნდა ეკუთნოდეს წარწერა ხონის საწინამძღვრო ჯვარზე: „ძელო ცხოვრებისაო, რომელიცა სხურებულ იქმენ უბიწოდთა მით სისხლითა ქრისტესითა, შეიწყალე სული მეფეთ-მეფისა ბაგრატისი და წარმართე და განაძლიერე მეფეთ-მეფობა ძისა მათისა გიორგისი. და მე ცვა-ფარვათა შენთა მინდობილმან, ულირსმან ხონელ მთავარ-ეპისკოპოსმან ჩხეტიძემან ზაქარია, შევქმენ ჯარი (ჯუარი) ესე სახსრად სულისა ჩემისა. ნუ ვინ მკადრ იქმნების გამოხმად (sic) საყდრისა ამის ხონისა. ა҃ნ".—იქვე მომწკრილო ასომთავრულად: „ოქრომჭედელსა მამნეს შეუნდვნეს ღ҃ნ" (ჩემი უბის. წ. III, 131). ერთს მცირე ხონისა, წ҃ა გ҃ის ხატზე მე-XVI საუკუნის ხელით ასომთავრულად წარწერილია: „ჩუენ ხონელ მთავარ-ეპისკოპოსმან გედეონ (წ҃ა გიორგის ხატი) პირველად დამწვარიყო და ჩუენ მოვ(აჭედინე)თ - - - მე ჩ҃ნს მყოფი აქაცა (და) მერმისსა - - -

**1562 წ.**—მაღალაშვილთა სიგელი, მღ. ივ. ლიაძისგან გადაწერილი:

ქ. ჩუენ ქრისტეს მიერ კურთხეულმან ქართლისა კათალიკოზ-პატრიარქმან ნიკოლოზ ესე უკუნისამდე გასათავებელი და რასა გინდავე ჟამთა ქცევათა გამოცვლილობათა შინა მტკიცე და უქცეველი წიგნი და სიგელი მოგიბოძეთ ბრძანებითა ღვთივ გვრგვნოსანისა მეფეთ მეფისა სვიმონისითა და კითხვითა და ნება-დართვითა ყოველთა მცხეთის შვილთათა შენ მაღალაშვილს ქადაგსა გედეონსა, შენთა შვილთა რომანოზსა და ნიკოლოზსა, შვილთა და მომავალთა სახლისა შენისათა ყოველთავე მას ჟამსა, როდეს ულთოთა აგარიანთაგან ქართლი აოკრდა და შენი ბიძაშვილი ამოსწყდა თათართაგან და თქუენ უმამულობასა ჩიოდით და შენის ბიძაშვილის კერძს მამულს გუეაჯენით. ჩუენ ვისმინეთ აჯა და მოკსენება თქუენი, ვითაცა არავის მართებდა სხვას გუარსა საქადაგო მამული თქუენგან კიდე და მოგიბოძეთ შეძულებით და მკვდრად სოფელი ჩოჩეთი მისითა სახლითა, ეკლესიითა, ჰურ-მარნითა, მთითა, ბარითა, წყლითა... ერთობ ყოვლითა და გორს ფუშრუკაული მამული და დიაკვნისეული და რაცა შენს ბიძაშვილს ან ჩოჩეთსა ან გორს მამული ქონდეს მისითა მიდგომითა სამართლიანითა სრულად და უკლებლად.—აწ დღესითგან წალმა გქონდეს და გიბედნიეროს ღ҃ნ საყდრისა და ჩუენსა ერთგულად სამსახურსა შინა... თუ ვისმე ამა მამულისა ნიშანი ქონდეს, მტკიცითა ამით სიგლითა გაგვიცუდებია. ვინათგან სამკვიდროდ შენს ბიძაშვილს ქონდა, იგი სრულიად უმკვდროდ იქმნა, აწე ვერავინ მოგესარჩლოს ვერა ადამის ტომი

კაცი... არა მოგეშალოს ჩუენგანა და არა შემდგომად ჩუენსა მომავალთა მეფეთაგან და კათალიკოზთაგან და არა სხუათა მეპატრონეთაგან... დაიწერა წიგნი და სიგელი ესე ქკ˜ს :სნ: ჴელითა ფრიად ცოდვილისა კარისა ჩუენისა მწიგნობრის ერასტისითა". ხვეულად ხელრთვა გ˜ზისა და აზის საკათალიკოზო ბეჭედი.

**1562 წ.** სიგელი „ივერიის" ათონურ მონასტრისა № 125.

„ქ. ჟი!.... ღმრთისმშობელო მე... ქუთათელ მთავარეპისკოპოზმან ბასილიოს... შემოგწირეთ... თქუენ პორტიატისა ღმრთის-მშობელსა.... ქუტირს გლეხა შეთატმახაშვილი ნასყიდი და უმცროსაი (sic) და იქივ გლეხი ბეთლემ ივანიკაშვილი და მისი ძმის(წ)ული გიორგაი და მესხეთს გლეხი ლანდურიძე ნასყიდა და საისარყლაი. ესენი მათის ყოვლიფრითა მამულითა... რისაცა მქონებელნი იყონ მკვიდრად და შეუცილებლად... ასრე რომე მობრძანდნენ მამა თეონე და გაბრიელ და ეგნატი და სხუანი ძმანი და მონაზონნითა მათის (sic) პირითა გარდაგვიწყვედია. და ესენი დაგვპირდენ ბზობასა დღესა ღამის თევითა, წირვითა, ლოცვითა და ტრაპეზზედან მომკსენებელნი ვიყნოთ (sic) მღრდელნი, დიაკონნი და ძმანი... ჩემის კონდაკით ნასყიდი არის... დაიწერა ქკ˜ს ორასორმოცდა-ათსა, ივნისსა ერთსა.

ბოლოს ხვეულად გამოყვანილია: „ბასილიოს" მაკურთხეველის ხელით.

მჴრმინდელის მე-XVIII საუკ. ხელით: „ჩ˜ნ ბატონი მეფე სოლომონ ვამტკიცებ". აზის ბეჭედი |სოლომონ|.

**1563—**ქ˜კს :სნა: გიორგი-მეფემ მოიყვანა ჩერქეზის ბატონის ქალი რუსუდან ცოლად (კახ. ქრ.).

**1563-**ის ახლო დროებისა. წარწერა უსანეთის წ˜ა გიორგის ხატისა: „ქ. ნიქოზელს:. ვლასის:. და: მშობელთა:. მ˜ი:. ს˜თა:. (მისთა) შ˜ენ:. ღ˜ნ:. ა˜ნ. (კლასკე მერე ურბნელი იხ. 1566 წ. ქვეშე; იერუსალიმში იყო 1570 წ.) იქვე წარწერა: „პატრონსა აბაშისძესა გედეონს შ˜ნ ღ˜ნ". და იქვე წ˜ა გიორგის მალაკი წარწერებითა.

**1563—1585.** ამ წლებში უნდა იყოს დაწერილი გელათის სიგელი №№ 54 და 8985, რომელშიც მოხსენებულია მეფე გიორგი (1565—1585) და უცნობი ბიძა მისი გიორგი (ჩვენს „ქრონიკებში" ცნობილი :იხ. გელათის სიგელი № 8971 და გვ.) და უკანასკნელის ცოლი ანა.

„ქ... ჩუენ ორისავე ტახტისა და საკელმწიფოსა, ლიხთ იმერისა და ლიხთამერისა... მპყრობელმან... მეფეთ-მეფემან გ˜გი... მოგაკსენეთ თქვენ ბიძის ჩუენის ცოლ-ყოფილსა პატრონსა ანას მას ჟამსა, როდეს ბატონის ბიძის ჩუენის გიორგის სულისათვის... გლეხები შესწირეთ და იმათი ბეგარა... საკელაპტროდ სანთლად შესწირეთ და გუჯარი იადგარი გაჩინეთ.. იმ სიგელსა.. (ჩუენცა ვამტკიცებთ).. არ მოგეშალოს"... ბოლოს ხვეულები და აზის ბეჭედი.

**1563** წ.— ნუსხა მცხეთისა № :ტა:

„ - - - ჩუÇნ მეფემან ლეონ.. და ძემან ჩ˜ნმან პატრონმან ალექსანდრე.. ესე..წყალობის წიგნი.. გიბოძეთ.. თქუÇნ მოლარეთ გ˜ის და დიმიტრის, ასე.. რომე ზემო-ღანუხიო თექუსმეტი კომლი კაცი შევსწირეთ და მოვახსენეთ.. (მცხეთას) და კ˜ზს ნიკოლოზს და გიბოძეთ მისი მოურაობა და ფაშაანთ შვდი კომლი თქუÇნი ნაყოლნი ყმანი და მოურავი სანაცლოთი დავიჯერეთ... (კათალიკოზს მიართმევდეთ აკრეფილს ღალას).. ჩუÇნ საბალახეზედ კელი არა გუაქუს.. ქ˜კს :სნა: ინდიქტიონსა მეფობისა ჩ˜ნისასა :ნთ: (უნდა :მთ:).

ამავე ქ˜კს მოხსენებულია მეფე ლეონ და ძენი :გ˜ი, იესე, ალექსანდრე და დ˜თ (გუჯარი ნინო-წმ. № 2).

ამავე დროებში უნდა დაწერილიყოს სიგელი მცხეთისა № 51 (ნუსხ. № :ლა:), რომელშიც ამილახვარი „მამისა" სწერს კ˜ზს დომენტის: „მას ჟამსა, ოდეს კორინთლის სულხანის ასული შევირთე და საკანონო იყო და გაგვწყერით... მოგაკსენეთ კირბლიდალმე ჩუÇნი სახასო ხოდაბუნი მიწა სობურის რუმდი".

ამავე დროების არის ნუსხა მცხეთისა № ჲბ (შეადარე № 63), რომლითაც ათ თუმან თეთრში ნასყიდი ყმა წინდად მიუცია (ალავერდა კოჭატაძე): ვინამდის თეთრს მოგცემდეთ, შენთან წინდათ იყოსო.

**1564**—ქ˜კს :სნბ: წარვიდა მეფის სვიმონის ძმა დავით შაჰთამაზთან გაპარვით.—კუალად მოკუდა გურიელი როსტომ; დასვა გიორგი მეფემ ძე მისი გიორგი;—და ყვარყვარემ ქორწილი ქნა მარეხ დადიანის ქალზედ (კახ. ქრ.)

**1565** წ.—ქ˜კს :სნგ: ჩვენ... ფავნელიშვილთა რობოამ, გაჯასპი, იორამ, იოთამ... შემოგწირეთ.. ხატსა ამაღლებისასა ნიქოზს სოფელი ზემო-ნიქოზი. პირველად ღვთივ გვირგვინოსანსა მეფეთა-მეფესა და მოწამესა ვახტანგ გურგასლანსა სანატრელსა აღმაშენებელსა წ˜სა საყდრისა თქუენისასა შეეწირა სოფელი ზემო-ნიქოზი... მოგშლოდათ... აწ... ჩუენ მოგაკსენეთ... სადიდებელად... მეფეთ-მეფისა სვიმონისა და თანა-მეცხედრისა მისისა... ნესტან-დარეჯანისა... რათა განაძლიერო... მფლობელობა მათი"...

ქ˜კს—:სნგ: ყვარყვარემ მოიყვანა მარეხ სამცხეს;—და დაიბადა გიორგი მეფის ძე ბაგრატ (კახ. ქრონ.)

— გამეფება გიორგისი, ბაგრატ III ძისა: გუჯარი ბიჭვ. № 22.

— ქ˜კს :სნგ: „ადიდენ ღ˜ნ ორთავე შ˜ა ცხოვრებათა ქრისტეს-მიერ კურთხევით კურთხეული საქრისტიანოს ზღუდე და მაკურთხეველი, ტომ-ნათესაობით ჩხეტიძე, დიდი მამათ-მთავარი, აბხაზეთისა კათალიკოზი ევდემონ, რამეთუ სათნო იჩინა (აღწერად) წთ˜ა ამათ... მოწამეთა, რომლისა ბრძანებითა... გათავდა წ˜ა ესე თუÇ ოკდომბერი ყოვლითურთ სრული დიდებულსა საყდარსა გელათს ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისასა, მეფეთ-მეფისა გიორგისსა

ძისა ბაგრატ მეფეთ-მეფისასა, ქკ~ს :სნგ:, მაისს :გ:... ადიდენ ღ~ნ პატრონი კზ~ი ევდემონ" იქ~ე: „ამის მჩხრეკელსა (ე. ი. გადამწერსა) ინანიკისშვილს მანოელს შ~ს ღ~ნ... დიდი წიგნი ამას მეტად არ მეწერაჲ... ჩნ~სა განმგესა და ზედა-მდგომელსა სჳმონ ჯაფარიძესა (წინამძღვარს გელათისას?) შ~ნ ღ~ნ ა~ნ“. (წ~ა გ~ის გუჯანი; ჩემი უბის წიგ. III, 108).

გელათის წ~ა გიორგის ოთხ დიდ წიგნად შეკრულს მეტაფრასზე, დეკემბრის თვისას, ტექტის ხელით აწერია: „...აღმაწერინებელი (წიგნისა ამის) ღირსი კსენებისა და მუშაკი საღთოჲსა სჯულისა, სიმდაბლითა და სიწმიდითა ღმერთშემოსილ-ქმნილი... სიბრძნითა სულიერითა და კორციელითა ზესთა ამაღლებული, მნათობი ქართველთა, სახე და კანონი მონაზონობისა, მწყემსი მწყემსთა... ლამპარი,.... მნე,..., მზე.... გმირი,.... კათალიკოსი აბხაზთა,.... ნეტარი ევდემონ.... ამზეგრძელობე“ (sic).

**1565** წ. ხუცური წარწერა ათონურ 1074 ტყავის ხელნაწერზე:

„შეწევნითა წ~ისა სამებისა და ერთარსებისა და ერთ-ღ~თეებისა მ~მისა ძისა და წ~ისა ს~ლისათა და მხ~ებითა დ~ფლისა ჩნ~ისა ღ~ის მშობლისათა მე გლახაკი და უნარჩევესი ყ~თა კაცთა ც~დვილი და უღირსი, სახით ოდენ მღ~დლ-მან~ზნი, სფ~ლვი (საფლავი?) განგოზილი უღირსი ფილიპე შაქარაშვილი ჟამთა ამათ უკანასკნელთა, მრავალთა ცოდვათა ჩემთა შენდობის მოსაღებლად წარმოვედ ქუჱყანით ჩუჱნით სამცხით აღთქუმისა ქუჱყანად ცხორებისა ჩუჱნისა წმიდათა ადგილთა, წ~დად ქ~ლქად იჱ~ლემად (იერუსალემად) წელთა: :კ:ოგ: ხოლო მუნით წარმოსლვასა ჩემსაჲ სურხანისშვილმან პატრონმან თამაზ-ყოფილმან თადეოზ მისის სულის საკსრად სამლოცველო წამომატანაჲ: ფლური თუ ოქროჲ ყოველივე ხუთასის დრაჰკნისა უმცროჲ იყო. წარმოვედ ჩუჱნით ქუჱყნით. და კმელთათ წმიდად ქალაქად მშჳდობით მივიწიე და მოვილოცენ ყოველნივე წ~ნი ადგილნი. და რაცა ოდენ ძალ-მედვა წ~თა მონასტერთა და ძმათა და დათა საწირავი და სამლოცველო მოვაკსენე და მოსაკსენებელში ჩასაწერელი და აღაპები უყავ, და ას ფლურად გოლგოთას კანდელი დაუკიდე საუკუნოჲ; ოც-და-ათრვამეტის ფლურის წინდი ბარძიმ ფეშხუჱმები დავიკსენ, კუალადვე ვაგე. ორთ პატრიაქთ მათის კრებულით ჟამი ვაწირვე, ორგზის ტრაპეზი უყავ და ჯეროვანი საწირავი მოვაკსენე. ეგრეთვე საბას ლავრას ჩასაწერელი და საწირავი და ცალკე ყოველთა ძმათა სამლოცველოჲ მივეც და სინელთა ოქროჲს საყური ჩასაწერელად და სამლოცველოდ თორმეტის მიტყლის წონა და სინის მამას ორი ფლური. ერთი წელი და ნახევარი იჱრუსალემს ჯუარის მონასტერსში დავყავ. მე უღირსი და ქუაბ ავაზაკქმნილი იმ საშინელთა წმიდათა ადგილთა ღირს-ვიქმენ თაყუანის-ცემად და ორი წმიდაჲ ნათელი ვიხილე. მუნამდის მთავარ-დიაკონი ვიყავ და ვეკურთხე მღდელად საფლავსა ზედა საუ~ფლოსა გერმანეს მიერ პატრიარხისა. (გერმანე იჯდა 1534—1579 წ.). ამისა შ~დ წარმოვედ წ~ით ქლ~ქით და წ~სა ამას მთასა ათონისსა მშჳდობით მოვიწიე, მონასტერსა ამას ცათა მობაძავსა ქართველთა-

სა. ვიხილე ეკლესია სასოჲსა ჩნ˜ისა პორტიადისა ღ˜ის-მშობლისა ფ˜დ ძუჱლი და მოშლილი, დაქცეული, ცუარისა და წჳმისა არა დამჴირველი. ასის დრაჰკანის ოქროჲ მქონდა. შევეხუჱწე მამასა და ყოველთა ძმათა, თუ ეს ამაშენებინეთ თამაზის სულისათჳს მეთქი. გაცვალეს ოქროჲ და ესე ყ˜დ წმიდისაჲ ეკლესია ახლად აღვაშენებინე და ტყჳთა გარდავაბურვინე და ორი ხატი— ერთი მაცხოვრისა და მეორე ჩუჱნთა მამათა".

**1566 წ.**—ურბნისის ტაძრის ტყავის სიგელი, მღ. ი. ღიაძისგან ჩამოტანილი:

„ქ.... (შემდგომად ღვთის-მეტყველურის წინასიტყვაობისა) უწინარეს მოწამეო და მოციქულო იესოს ქრისტესა და კუალად პირველ მოწამეო და მოწამეთა შორის წარჩინებულო, წმიდაო სტეფანე, ვითარცა შეწირულ არს ვედრება შენი წინაშე მეუფისა, ეგრეთვე მოხედე წმიდასა ტაძარსა შენსა და არა უგულებელსყო სახლი დიდებისა თჳსისა სიბრძნემან ღვთისამან და ძველთგან მრავალ-ჟამ დავიწყებული საყდარი საებისკოპოსო ურბნისი, რომელ მოშლილ იყო ჟამთა ვითარებისაგან და ულმრთოთა აგარიანთა კელითა ტყუე ქმნილიყო განძი და გუჯარი მისი, კუალად ინება განახლება. ძალითა და შეწევნითა ღ˜თისათა კელ-ვჰყავით და ვიწყეთ განახლებად ამისად ჩუენ ღთიუ გვრგვნოსანმან მეფეთ-მეფემან პატრონმან სვიმეონ და თანამეცხედრემან ჩუენმან, დედოფალთა-დედოფალმან... პატრონმან ლუარსაბ და პატრონმან ალექსანდრე ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი მტკიცე და შეუცვალებელი წიგნი და სიგელი მოგაკსენეთ თქუენ საშინელსა სასოსა და შესავედრებელსა ჩუენსა წმიდასა ღ˜თის-მშობელსა და წმიდასა სტეფანეს და... ზედამდგომელსა თქუენსა კაცსა ზეცისა და ანგელოზსა ქუეყანისასა ურბნელ მთავარ-ებისკოპოზსა პატრონსა ვლასეს მას ჟამსა, ოდეს მოგვადგა კარსა ურბნელი ბატონი ვლასე (ეს ვლასე იერუსალიმში იყო 1670 წ. იხ. „ქრონიკ." I, 178 წ. ქვეშე) და თქუენისა მამულისა და სამძღურისა საქმესა გუეაჯა და ჩუენ ვისმინეთ აჯა და მოკსენება მათი და ესე წიგნი და სიგელი მოგაკსენეთ ასრე და ამა პირსა ზედან, რომე თუ ღ˜თმან შუამდგომლობითა თქუენითა წყალობით მოგვხედნეს და ჩუენ ჩუენი სახელმწიფო და სამეფო დაგურჩეს და შეწევნითა თქუენითა მშვიდობით დავიპყრათ, თქუენ რაც მეფეთ-მეფისა პატრონს ლუარსაბისაგან გულითა და პირითა მამული შემოგწიროდეს და მიგკსენებოდეს და ანუ თქუენთჳს მამულად დადებულიყოს, იმა მეფეთ-მეფის პატრონის ლუარსაბისაგან შემოწირულსა თქუენთჳს სამკვდროდ დადებულსა მამულსა და სამძღუარსა ვერავინ გამოაკუას წმიდასა და საშინელსა ტაძარსა თქუენსა და არცა ჩუენგან და არცა შემდგომად ჩუენსა მეპატრონეთა მეფეთა და დედოფალთაგან; არაოდეს ესე სამკვდრო წიგნი და სიგელი არა მოგეშალოს და ვერცავინ ამისად მოშლად და შემოცილებად კელყოს, ამისთჳს რომე ამას წინათ კელმწიფესა მეფეთ მეფესა პატრონსა ლუარსაბს თქუენთჳს სამკვდროდ შემოეწირა

და მოეკსენებინა და ჩუენცა წიგნითა ამით დაგიმტკიცეთ და მოვაკსენეთ წმიდასა და ყოვლად პატიოსანსა თქუენსა მეფობისა ჩუენისა წარსამართებლად, სულისა ჩუენისა საუკუნოდ მოსაკსენებლად და ძეთა ჩუენთა სადღეგრძელოდ... (წყევა შემშლელთა ზედა). დაიწერა.... ქკ῀ს :სნდ: კელითა კარისა ჩუენისა მწიგნობრისა ხერხეულისძისა ნავროზისათა.

**1566** წ. ქკ῀ს :სნდ: აქა დიდი ჟამი შეიქნა (წმ. ნიკ. ქრონ.).

— ქკ῀ს :სნდ: აქა დიდი ჟამი შეიქნა (ყანჩაეთის გულანი).

— ქ῀სა :სნდ: მოკლეს ხონთქარი ფრანგთა და დაჯდა სელიმ (ვახუშტის ქრონიკა).

**1566** წ. ნუსხა მცხეთისა №: ტგ: გარსულისძენი სწერენ კ῀ზს ნიკოლოზს: „ქანდეანს მეფის გიორგისა მოალაპენი ვიყუ̃ნით... და ჩ῀ნ ორის მამის შვილნი იქით ავიყარენით და სახლის პატრონისა მ῀რმისა საეკუდრო დავიჭირეთ და მისსა საფლავსა ზედა ალავერდს ალაპი და ცვლი, საკუმეველი და ალავერდელის სამსახური დავიდევით... ბარაუნელი სოფელი, პატრონისა გი῀ს ალაპი, მცხეთისა და კ῀ზის სამსახური წილკნელსა და მისთა შვილთა დავანებეთ (რომელთაც მათი ადგილ-მამული დაუჭერიათ ერთმანეთთან შერიგებით).. ის მამულები კ῀ზის ნიკოლოზისათვს მიგვნებებია... ქ῀კს :სნდ:".

**1566** „ქ... ჩუენ.. მეფეთ-მეფემან სვიმონ და დედოფალთ-დედოფალმან ნესტან დარეჯან და ძმამან ჩემმან ვახტანგ და ძეთა ჩუენთა...გ῀ი და ლუარსაბ... შევსწირეთ (მცხეთას) ნიაბის ბოლოს სოფელი გომნი სრულიად... კ῀ზო ნიკოლოზ!.. სამი ალაპი (გარდამიხადეთო)... დაიწერა.. ქ῀კს :სნდ: ივნისს :ე: კელითა თფილელ მკ῀ზისა ბარნაბასითა.. ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა :თ:.. (ნუსხა მცხეთისა № :სკ:) [?]

**1567** ქკ῀ს :სნე: სვიმონ ქართლის მეფე და დაუთხან შეიბნეს; და მეფეს გაემარჯვა დიღომს (წიგნ. ქრონიკონნი).

— დიღომს შეიბნენ სვიმონ მეფე და დაუთხან, სვიმონ მეფეს გაემარჯვა (ვახუშტ. ქრონიკ.).

**1567** წ.—სიგელი ქვათახევისა წარჩინებულის მხედრულით ქაღალდზე ნაწერი, № 56:

«ქ... ჩ῀ნ... აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა, შარვანშა და შანშა... მპყრობელ-მქონებელმან, მეფეთ-მეფემან სვიმონ და... დედოფალმან ნესტან-დარეჯან (და ძეთა: გ῀ი და ლუარსაბ და ძმათა: ვახტანგ და ალექსანდრე)... ძველითგან თქუენი შეწირული ყოფილა სოფელი სველნეთი... აწ... კ῀დ ახლად შემოგწირეთ... სრულობით ეკლესიითა, გლეხითა, ველითა, ვენა-

კითა... თარხნად და კელშეუვალად, ვ̃ა ძველთა თქუენთა გუჯართა შიგან სწერია.... ორი კარგალებული ალაპი ჩუენის სულისათჳს (გარდაიკდებოდეს) ერთი აგვისტოსა :იე:... და ერთი ყველიერისა შაფათსა... ჟამსა სწირვიდენ და სხუანი მწირნი და დედაბერნი ლოცვითა შეგვეწეოდენ... დაიწერა ქკ̃სა :სნე: თვესა ივანისსა (sic) ათორმეტსა, ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეცხრესა კელითა სამეუფოჲს ქალაქისა მ̃თებისკზისა თფილელისა ბარნაბასითა... (ეს ბარნაბა იერუსალიმში სჩანს 1570 წელსა: იხ. «ქრონიკები» I. 978 წ. ქვეშ) ხვეულად ამტკიცებენ: მეფე სვიმონ: ნესტან-დარეჯან, ვახტანგ: «ალექსანდრე ვამტკიცებ». და ხუცურად: «ქ. ჩ̃ნ ქ̃ეს-მიერ ქართლისა კზ̃ი პატრიაქი ნიკოლოზ კანონითა ვამტკიცებ» და ხვეულად: «კზ̃ი ნკ̃ლზ». (ხვეულებით გამოსახულია მაკურთხეველი ხელი).

**1568 წ.** გელათის სიგელი, რომლის პირი ჩვენ მოგვივიდა იმერეთიდამ და შემოკლებით ვბეჭდავთ:

«ქ... ჩ̃ნ ღვთივ გჳრგჳნოსანმან მეფეთ-მეფემან გიორგი და დედოფალთა დედოფალმან... რუსუდან და პირმშომან... ძემან ჩ̃ნმან ბაგრატ... შემოგწირეთ... (გელათს) ცხუკურს თორმანეული სასახლე მისითა სახასოთა ადგილებითა და ვენაკებითა და სათიბითა მისითა და გიროებითა და ნასყიდითა, მისითა შესავალითა და გამოსავალითა..... როგორც ამას წინათ ბეჟანს ნემსაძეს ჰქონებოდეს ან საზღუარი და ან სხუა ყუელა მისითა კელითა.—და კიდევ გკადრეთ და მოგახსენეთ ამ სახლის შემავალად კუამლი კაცი ათი (ჩამოთვლილია თითოეულად: ლაბაძენი, განწურაძენი, ნადირაძენი, წიქაფაძენი, სკანიძე, ოლოლაძე) ესენი შემოგვიწირავს და მოგვიხსენებია მისითა მამულითა, მთითა და ბარითა...... ესე განთავისუფლებით და კელშეუშლელად.... ასე რომე არც მეფეთა და არც დედოფალთა კელი და სათხოვარი არა შევიდეს-რა და არცა ეთხოვებოდეს ჩუენით კარით გამოსრული და არცა მუშაობა.

აგრეთვე კიდევე გკადრეთ და მოგახსენეთ და შემოგწირეთ ჩუნეშს ხაჰაპურიძე ნასყიდა, მიქელ იოსელიანისეული პარტახი და ჰააჰისეული პარტახტი და გლეხი ფვალაძე დათვიაი, ნადირაძე მახარობელაი, ნადირაძე მაისაი, კახაძე მაისაი, იანვარაშვილი ღმერთისაი და შვიდი ზღვარი (ზვარი?) მამული ნასყიდი და მამაშვილის ტაშლაძის პარტახი; ესენიც ყველა მისითა მამულითა, მთითა და ბარითა... ეკკლესიითა, სასაფლაოთა, ჰალითა..... და მისითა სათევზოთი......

აწ ამ მამულის გამოსაელისათჳს.... გვიწირავდეს გენათელი მთავარ-ეპისკოპოსი ს̃დ ქ̃ეს შობის მარხვათა ჟამსა და ქ̃ეს შობის დღესა ალაპსა გვიზამდეს საკორცითა და მისითა პურითა და ღჳნითა და სანთელ-საკმეველითა, და ბატონი გენათელი და ს̃დ მისნი კრებულნი ჟამსა გვიწირევდეს და საწირავსა ბატონი გენათელი მისცემდეს... ნუ რა დაგვაკლდების.

ესე მამული ძველად ჩ~ნი სახასო იყო და მერმე ნემსაძეს ბეჟანს მივეცით და ჟამთა ვითარებისაგან ნემსაძემან გვიღალატა და ჩუენი ბიძაშვილი ხოსრო დაგვასხა იანეთს საშვილიაშიგან და ცოლ-შვილითა და ჩ~ნითა დარბაისრითა სასიკუდილოთ მოგვინდომა. ჩუენ იმ წინა-დღესა ავიყარენით და ზემოთ ჩ~ნს მამულშიგან ალმოვედით და ისინი მივიდნეს და დაესხნეს ჩვენს ნადგომევსა და თუ იქი დავრჩომოდით ღალატითა თუ ღმერთი მოუშვებდა დაგვხოცდეს. აწე ისიც გავაძეთ და ჩ~ნ~ს საბატონოშიგან აღარ მოუშვით და ესე მამული ნასისხრათ ხახულისა და საკურთხევლის ღ~თის-მშობელს შევსწირეთ და მოვახსენეთ.—აწ ვინცა.... ანუ მეფემან ანუ.... კელყოს შლად... (წყევა).

დაიწერა გენათელ მთავარ-ეპისკოპოზობასა შინა ანტონისსა და ინდიკტიონსა მეფობისა ჩ~ნისა მეოთხესა, ქ~კ~სა :სნვ: თვესა აგვისტოსა :ლ: კელითა... კარის მწიგნობრის თავაქალასშვილის ალასითა.

**1568 წ.**—ამ წლის ახლო-ხანებს ეგუთნის გელათური ნუსხა № 7. დავთა-რი ცხუკურისა:

ჩ~ნ... მეფეთ-მეფემან გ~ი და დედოფალმან რუსუდან... ძემან ჩ~ნმან ბაგრატ შემოგწირეთ... ცხუკურს თორმანეული სასახლე მისითა სახასოთა ალაგებითა და ვენაკებითა და სათიბითა, დობიროებითა..., საძებრითა და უძებრითა, როგორც ამას წინათ ბეჟანს ნემსაძესა ჰქონებოდეს... და კიდევა მოგაკსენეთ... კუამლი კაცი ათი (ჩამოთვლილია)... კიდე პარტახტები და გლეხები... ქრისტე-შობადღეს ალაპსა გჰზემდეს...

ეს მამული ძველად ჩ~ნი სახასო იყო და მერმე ნემსაძეს ბეჟანს მივეცით და ჟამთა ვითარებისაგან ნემსაძემ გჳღალატა და ჩ~ნი ბიძასშჳლი ხოსრო დაგვასხა თავსა იანეთს საშჳლიაშისაგან (საიაშვილოშიგან?) და ცოლშვილითა და ჩ~ნითა დარბაისრითა სასიკუდილოთ მოგჳნდომა. ჩ~ნ იმ წინა-დღესა ავიყარენით და ზემოთ ჩ~ნს მამულშიგან ამოვედით და ისინი მოვიდნენ, დაესხნეს ჩ~ნს ნასადგომევსა ალაგსა და თუ იქი დავდგომოდით ღალატითა თუ ღ~ი მოუშვებდა დაგუხოცდეს. აწე ისიც გავაძეთ და ჩ~ნს საბატონოშიგან აღარ მოუშჳთ და ესე მამული ნასისხრათა ხახულისა და საკურთხევლისა ღთის-მშობლისა და შევსწირეთ.... (იხ. ესევე გუჯ. ზემო გვ. 409—410)

**1568** სიგელი მცხეთისა ქაღალდზე მე-XVI საუკ. ხელით დაწერილი № 40 (ნუსხა № :რით:), რომელსაც აძლევს მეფე ალექსანდრე, ცოლი მისი თამარ და მე მათი დ~თ კ~ზს ნიკოლოზს და ამასთან მოხსენებულია დემეტრე ერისთავი.—ამ გუჯარს უზის ქ~კნი :ნვ: (1368 წ.), მაგრამ სტრიქონს ზემო მომატებული აქვს ასო „ს“.

**1568 წ.**—ქვათაკევის სიგელი № 23:

„.... მას ჟამსა ოდეს პაატა და მისნი შვილნი და რძალნი შვილნი სულნი ურჯულოთა მეგრელთა ძაღლის-პირშია-დასასყიდლად მიუდიოდა და ჩუენ

ღალანიძენი დავიკსენით და ვიყიდეთ და აქ სურამს დასახლებად გვეძლეოდენ, მაგრამე ჩ̃ნ თქუენ ყ̃დ წ̃ასა ქვათახევს.. ვარჩიეთ... (დეკემბერსა :კდ: პაატა და მისნი შვილნი ალაჰსა გარდაიკდიდეთო სუთითა კოკით ღვინით ოც ლიტრიანითა, ორის კოდის ნამცხვარ პურით, და ორის ზურგიელით) ქ̃კს :სმივ":

**1568 წ.** ნუსხა მცხეთისა № :სყდ: "..ჩ̃ნ.. პატრონისა ლეონის ძემან პატრონმან თეიმურაზ ესე.. სიგელი.. გკადრე.. (მცხეთას) და კ̃ზსა ნიკოლოზს.. შემოგწირეთ ბოკოწინი ბასნაშვილი მისითა შესავლითა... ქ̃კს :სნვ: სეკდემბრის :იზ:".

ქ̃კს :სნვ: (1568) „[ამა ქ̃კ]სა ი(ყო დიდი) ჟამი. ამა(სვე ქ̃კ)სა თუესა (ივნისსა :კ)დ: დღესა ხ(უთშაბათისა) გაურისხ(და ღმერთი ხოს)როსა ვა(ხტანგის შვილსა: ულა)ლატაჲ (მეფეს გიორგის), ძესა ბა(გრატისასა); ტყუ იქნ(ა ძმისწუ)ლი მეფისა, (ძე კოსტანტი)ნესი; განერა (მეფე მშვიდო)ბით.—რაც ფრჩხილებში ჩასმულია, ის მოგლეჯილია, მაგრამ აღვადგინეთ ამის ქვემო დაწერილ ქრონიკით (წარწ. გელათის გულანზე; ჩემი უბის წ. III, 87—88).

ქ̃კსა :სნვ: (1568 წ.) აქა იყო დიდი ჟამი იმერეთს: ამავე ქორონიკონსა: თვესა ივნისსა :კდ: გაურისხდა ღმერთი ხოსროსა ვახტანგის შვილსა: ულალატა მეფეს გიორგის, ძესა ბაგრატისასა, ტყვე იქმნა ძმისწული მეფისა, ძე კოსტანტინესი. განერა მეფე მშვიდობით (ჟამნი № 3).

**1568 წ.** ამ ამბავს მოგვითხრობს უფრო დაწვრილებით გუჯარი მეფე გიორგისი (იხ. ზემო. გვ. 409—410).

**1568** — ქ̃კს:სნვ: სამაღლოზედ შეიბნენ სვიმონ მეფე და დაუთხან, სვიმონ-მეფეს გაემარჯვა.—კვალად გიორგი-მეფეს ულალატა ვახტანგის ძის-ძემ ხოსრომ, იანეთს დაესხნენ ჴილაძე ვარაზა, ლიპარიტიანი და დადიანი ოდიშარით თან-ახლდნენ, ვერა რაჲ ავნეს (ვახ. ქრ.).

**1568 წ.** წარწერა ღვთის მშობლის ხატზე: „:...ყოვლისა ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კათალიკოსმან ევდემონ ჩხეტიძემ მოვაჭედინე და შევამკევ ხატი ესე.. ღ̃თის მშობელისა.., თავი ხატი ოქროთა და თვალთა მიერ და მარგალიტითა ბრწყინვალეედ განშვენებულნი... და კარნი ვერცხლითა და დავასვენე ტაძარსა წ̃ისა ღ̃თის მშობლისასა ბიჭვინტისასა... ქ̃ე შ̃ე სულითა დადიანი მამია და მეოს ეყავ და ძე მისი დადიანი ლეონ ადიდე ღ̃ო ორსავე შინა ცხოვრებათა ამინ... ქ̃კს :სნვ: წელსა ჩფჲႲ, ინდიკტიონსა ათერთმეტსა"... (ჩემი. საისტ. კრ. გვ. 364. ევდემოს † 1578 წ. მამია დადიანი † 1590 წ., ძე მისი ლეონ † 1657 წ.

**1569** ბიჭვინტის სიგელი №№ 21; 67 და 9056:

მეფე იმერთა გიორგი ბაგრატის ძე, ცოლი მისი რუსუდან და ძე მათი ბაგრატ სწერენ: „შემოგწირეთ თქუენ... წ͠ასა გიორგის... ბაგრატ მეფისა ეკლესიასა ჩუნეშის თავსა ღელეს გაღმა ხოშტიბელის სასახლე მისითა სახლ-კარითა,... ეკლესიითა... სათიბითა... და გლეხი გუენცაძე... დღეს რისაც მქონებელი იყოს... (აგრეთვე გლეხნი: ტკაბელაძე, ხაჭაპურიძე, სუბუქაძე, ქაჩხაძე, გუბელაძე, ჭკიტაკას პარტახტი, კირთაძე, ცხუკურელაძე, ჯალაძე, ზერაძე, ჯინჭველაძე, ღოღაბერიძე,)... აწ ამ ჩუნეშურ გლეხებს რაც სამეფო და საციხო ბეგარა და გამოსაღები და სამსახური შეხვდეს ისი მეფეს ნურა დააკლდების და სხუა შემოგვწირავს... რუა-რუასა ჟამსა გვწირვიდეს... ევდემოს კათალიკოზი... (წყეკა). დაიწერა ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა მეოთხესა (sic), ქ͠კს :სნზ: თ͠ა თებერუალსა :დ: კელითა კარისა ჩ͠ნისა მდივან- მწიგნობრისა... თავაქალაშვილისა ალასითა“.

**1569** წ. სიგელი მცხეთისა № 36 (ნუსხა № :ტმ:). მეფე ლეონ აძლევს სიგელს კ͠ზს ნიკოლოზს: „მას ჟამსა, ოდეს სოფელი ჯიმითი ძუელითგან სუეტის-ცხოვლის ყოფილიყო... და... გაცემულ იყო და მისად სანუქფოდ... მოგაკსენეთ და შემოგწირეთ ზემოლანუხით თექუსმეტი კუამლი კაცი ქევხა... (ჩამოთვლილია). რაც მათი გამოსავალი იყოს, ანუ საბატონო, ანუ სამოურაო, ანუ კარის სამოკელიო ყუელა უკლებად... სუეტი-ცხოვლის საყდარსა .. მიებარებოდეს და ლაშქარ-ნადირობისა ბეგარისა და საურდოვოს მეტი ჩუენგან და შ͠დ სუენსა სხუათა მეპატრონეთაგან... არა ეთხოვებოდეს... დაიწერა... ინდიკტიონსა მეფოაისა ჩ͠ნისასა :ნგ: (ნუსხაში :ნიგ:) ქ͠კს :სნზ:“.

**1569** წ. მეფე კახთა ალექსანდრე და ცოლი მისი თინათინ და ძე მათი ერეკლე მცხეთას სწირავენ მონასტერს ხატის კარსა სოფელს ბარუნთას 42 მოსახლე გლეხით (სიგელი მცხეთისა № 191 რეესტრით).

**1569** სიგელი მცხეთისა, მხედრული, № 369 (ნუსხა № :სნზ:), რომელშიც ლევან მეფე მკვდრად („სულკურთხეულად“) არის მოხსენებული და მართლაც სიგელ-გუჯრებში იგი უკანასკნელად სჩანს 1563 წ. ,თუმცა ქ-ცხზით ლეონ † 1574 წ. ამ გუჯრით ალექსანდრეს გამეფება ნაჩვენებია 1554 წ. რადგან ეს სიგელი მთლად დაიბეჭდა „მოამბეში“ 1895 № V, ამისგამო ჩვენ შემოკლებით ვბეჭდავთ.

- - - მეფეთ მეფემან ... სულკურთხეულისა პატრონის ლევანის ძემან... მეფემან ალექსანდრე და თ͠ა მეცხედრემან.... თინათინ და ძეთა ჩუენთა.. ერეკლე.. დ͠თ ,გ͠ი ,კ͠ე, როსტომ ... მას ჟამსა ოდეს (მცხეთის მამული) და აგარაკნი მიეტაცნეს... მობძანდა წ͠ე ჩუენსა ჩუენის სულის მეოხი... ჩ͠ნი ძმა კ͠ზი ნიკოლოზ... მცხეთის მულნი გუჯარნა და სიგელნი.. მოიხუნეს... (ყველა ამ გუჯრებში ჩაწერილი მამულები მცხეთას ისევე დაუბრუნეთ):

ხმაუგს სწინამძღვარო მონასტერი, ყვავისთავი, კილმატი და ასკილოვანი,

კილმატს ციხე... ვერენ-ციხითა.. საფსიტეს ციხემდი, ფადლაშენი, ტაძრები. კეხთა საბა-წმიდა: კაწარეთს ძმარაშვილის სახლს აქათ რომ ღრმა ღელე ჩამოვა ჩამოსწვრივ ჩამოვლით იორ გაღმა რაჟიანთ ეკლესიის ქვემოთ სამგორაში თამარ მეფისაგან აღებულს რუს შიგნით ჩაელით ბოსტან ქალაქის მზღურამდი... საჯერნეს ტბამდი... (ვრცლად აღწერა საზღვრისა). - - - საქალაქოს შარამდი... იორთავენ მარტვილთ მონასტერთ.... წინანდელის თავს ქედ-ქედნი მიადგებიან ხოდაშენსა... ვანთა მონასტერი... სადაც გომის წყალი ჰერემის კევს შეერთვის იქიმდი.. ვარცა და დუმას უბანი..... თორმეტი მთელი მამული საგლეხო, ორი კომლი გლეხი პანკისა და თორმეტნი კომლნი ვაჭარნი სომეხნი და ურია :გრემს... ერწოს მონასტერი, კიდევე წ̃ის არჩილის სამარხო, სოფელი კვერნაძენი, ტოხამე თავისის მამულითა... სოფელი ნოდკორტა - - - - - (და სხ. გრძლად.) მოწამენი: ალავერდელი კირილე, ჰერემელი ბასილ, ჩოლოყაშვილი რევაზ, ციციშვილი მერაბ, :დიდი: საგინაა :(sic) მაყაშვილი ზაალ: ზუბელი რუსის შვილი ინდო, ჩოლოყაშვილი თამაზ, ვაჩნაძე გ̃ი,) - - - - - - - „ვერცა ალავერდელმან და ვერცა სხუათა ჩ̃ნს საბატონოს ეფისკოპოზთ თქუენი წინამოდგომობა (sic): ვერა: ქნან :რა: - - - და ვერცა თქუენის საყდრის წესი და ბაჟი დაგაკლონ... ასე... მოგჳსენებია შეუვალად... თუნიერ ლაშქარნადირობისა და მტრის დარაჯობა; და თუ მცხეთისა და უდაბნოსაგან მოცლით იყვნეს, ციხე გვიმუშაონ და სასახლეც... ასე მოგაკსენეთ... ძმასა ჩუენსა... კზს... ნიკოლოზს. დაიწერა ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა ათხუთმეტსა, ქ̃კს: სნზ :(უნდა სნიზ). კელითა წინამძღურისა ვაჩნაძეს იოსებისითა."

ქ̃კსა :სნზ: (1569 წ.) ამა ქორონიკონსა მეფე სვიმონ დაიჭირეს ომში ყიზილბაშთა (ყამნ № 3).

— ქ̃კს :სნზ: — აქა მეფე სვიმონ დაიჭირეს ყიზილბაშთა (ყანჩ. გულანი.)

**1569** წ. ქ̃კს :სნზ: სომხითს ფარცხით შეიპყრეს სპარსთა სვიმონ მეფე და ალამუტს ტყვედ ჰყვეს (ვახუშტ. ქრონ.).

— ქ̃კს :სნზ: ქართლის მეფე სვიმონ და ყიზილბაშნი შეიბნენ ფირცხის და ყიზილბაშთ გაემარჯვა და დაიჭირეს (სვიმონ მეფე.), ყეენთან გაგზავნეს, ალამუტის ციხეში დააბეს (წიგნი ქრონიკონნი.).

— ქ̃კს :სნჱ: აქა სვიმონ მეფე დაიჭირეს თათართა ომშიდ (წერა-კითხვ. № 1204).

— ქ̃კს :სნჱ: ქაიხოსრო ათაბაგი წარვიდა ყაზმინს შაჰთამაზთან (ვახუშტის ქრონიკა).

**1570** წ. — ნუსხა მცხეთისა № :სჰა: მეფე სვიმონ, ცოლი მისი ნესტან დარეჯან და ძენი მათნი: გ̃ი, ვახტანგ, ლუარსაბ და ალექსანდრე აძლევენ სიგელს მცხეთას :„მას ჟამსა, ოდეს ანეშს ოდიშელისძენი გლეხნი.. მოშლოდეს (მცხე-

თას) - - - ჩუჱნ ახლად.. საყდარი ანეშისა და დაბა მოგაკსენეთ - - - დაიწერა ქ̃კს :სნჲ: ინდიკტიონს მეფობისა ჩუჱნისასა :იდ: კელითა ქვათაკევის წინამძღურისა მღდელმონაზუნისა ფილიპესითა".

1570 ტარას. აღწერ..., გვ. 66; 9—10.

1571 წ. ქ̃კს :სნთ: მზე-ჭაბუკ ქაიხოსრო ათაბაგის ძემ ქორწილი ქმნა გურიელის ქალს როდამზე (ვახუშტ ქრონ.).

— ქ̃კს :სნთ: აქა. - - - ეკ.. მუზ. № 85. (მეტი არ სჩანს).

— ქ̃კს :სჲ: აქაჲ ლეონ დადიანი ცხენმან მოკლა (წერა-კითხ. № 1204).

— ქ̃კს :სჲ: არჩილის ძმის ვახტანგის ძე ბაგრატ დაიბადა; ნადირობაში ცხენმა მოჰკლა ლეონ დადიანი და დაჰსჯდა ძე მისი გიორგი.—კვალად მოკუდა ქაიხოსრო ათაბაგის ძე მზე-ჭაბუკ (ვახუშტ. ქრონ.)—ამ ლეონს უნდა მოიხსენებდეს ასომთავრული წარწერა ცაიშისა საწინამძღვრო ჯვარზე: „ჯვარო ქრისტესო! შეიწყალე და დაიცევ მშვიდობით ლეონ დადიანი ორთავე შინა ცხოვრებათა. ჯვარო ქრისტესო! შეიწყალენ ცაიშელ მამათ მთავარი კირილე ჟვანიძე, რომელმან შევამკევ ჯვარი ესე პატიოსანი, რათა შემწე მექმნეს დღესა მას განკითხვისასა. ა̃ნ (ჩემ. უბ. წიგნ. IV, 60) კირილე ჟვანიძე ბედიელ მიტროპოლიტი იხ. Rap. VII—20 108; ბედიელი ანტონი ჟვანიძე Rap. IV, 160—123:

1572 წ. სიგელი მცხეთისა №

ქ. წყალობითა ღუთისათა ჩუენ მეფე მეფეთა სვიმონ გიბრძანებთ მესტუმრენო, ჩუენ მაგიერად ქალაქის ტარუღათა, მელიქთა, მამასახლისთა და მოსაქმეთა ასრე მოახსენეთ: მერმე რაც სვეტისცხოვლის ყმა იყოს მანდა, მათს მოსაქმეთ დაანებეთ, რომე სვეტისცხოველს ემსახურონ და ნურას სთხოვთ და ნურცარას აქნევინებთ, ერთის სათათროს საურის მეტს, - - - - - - - ნურც ტიკსა და ტომარასა და ნურც ულაყსა და რაც სვეცისცხოვლის ყმანი იყვნენ ან მოქალაქენი და ან გორელნი, რომ ჩვენის ფარვანით დაგვენებებინოს; მათი დამლაცა სვეტისცხოველს დაანებოთ, რომე ვისაც პატრონი კათალიკოზი დააყენებდეს, იმათ მიაბარებდენ და ნუ დააკლებენ, რომე სვეტისცხოველს მოახმარებდენ. ქორონიკონსა :სა: ქრისტიშობის-თვის :ზ:

1573 წ. სიგელი გელათისა №№ 72 და 9053, თავი აკლია: „ - - - და ამ ალაპზე დაიხარჯებოდეს ორი ცხუარი ... მონაზონმა გერმანემ ,მისმა მწირველმან ,ხარჯოს ,როგორც უნდოდეს ისრე. აგრეთვე გელათის სახლი საყუარელიძე , ის ადგილი და იმის ქვეშეთ გალავანსა და იმას შუა ბოსტანი... შეგვწირავს... დაიწერა ..ქ̃კს :სჲე:.. კელითა.. თავაქალაშვილის ალასითა"..

**1573 წ.** ქ~კსა :სჲა: აქა ოცხ[ხეს] - - - ყიზილბაშნი დაგვესხნეს (ქკლ. მუზ. №86. აქ ვგონებთ გაჩენებია ვახუშტის მიერ. **1574** წლის ქვეშ. აღნიშნული ამბავი: „ყიზილბაშთ სამცხე და უმეტეს ოცხე მოსწყვიტნეს." ჩვენს ქრონიკაში უნდა წერებულ იყოს: „აქა ოცხეს ყიზილბაშნი დაგვესხნეს".

— ქ~ს: სჲა: აქა ყიზილბაშთ ოცხე ამო|წყვტეს. (წმ. ნიკოლოზის ქრნ.)

— ქ~კს :სჲა: მოკუდა ქაიხოსრო ათაბაგი ყაზმინს და **აძ დაჯდა** ძე მისი ყვარყვარე ათაბაგად;—კვალად იშვა ძე გიორგი-მეფისა ლევან;—კვალად წარგზავნეს ყაზმინიდამ შირაზს არჩილი;—კვალად მეფის გიორგის ძემ ბაგრატ ქორწილი ქმნა ლევან-დადიანის ქალზედ (ვახ. ქრ.).

**1574 წ.** ნუსხა მცხეთისა № :მ: სვიმონ მეფე სწერს:

„ - - - მონასტერი და სოფელი ვირშა მისითა შესავლითა რა გვარადაც სვეტი-ცხოველს შემოსწირვია წასწყალს (?) არჩვაძეები ერისთავს რომ შამოუწირავს მითვე წესითა, ერეთს გ~ლაშქლი (sic) მისითა მამულითა, ზაკვ მისითა ზღურითა, სათაკი... ქორდს.. ხომატე, ღუკერისი.., მეღუკერის ვენაკი... ახალდაბას.. საგლეხოები, რაც ვარდანს შამოუწირავს, ყელშექცეულს ვირშის შეწირულნი... ესე მოგვბარებია და დაგვნებებია ყურის უბანის სანაცვლოდ... ქ~კს :სჲბ: თუჱსა მარტსა :იდ:".

**1574 წ.**— მცხეთის ნუსხა № :ჟჟ: დედოფალი ნესტან-დარეჯან სწერს: „... ვიძიეთ და ვცანით, რომელ ატენის თბილელაშვილნი... ძუჱლითგან.. თქუჱნთჳს (მცხეთას) შემოწირულნი ყოფილიყვნენ... და თუმანიშვილთა გაემამულა... აწე ჩუჱნ.. ახლად სიგლითა ამით დავამტკიცეთ.. ქ~კს : სჲბ : ივნისის : ვ : კელითა მღდელმონაზონისა ქვათაკევის წინამძღურის ფილიპესითა" (ატენი სადედოფლო იყო და ამისგამო მარტო დედოფალი განაგებს).

**1574 წ.** ქ~ს :სჲბ: აქა პატრონი ქაიხოსრო ყაზმინს მიიცვალა (ჟანჩაჟთის. გულანი)

**1574 წ.** ქ~ს :სჲბ: მოკვდა ლეონ კახთ მეფე და დასჯდა ძე მისი ალექსანდრე.—კვალად მოკუდა ხონთქარი სულტან მურად.—კვალად ყიზილბაშთ სამცხე და უმეტესად ოცხე მოსწყვდნეს და მოაოკრნეს (ვახუშტ. ქრნ.)

**1575 წ.** მეფე კახთა ალექსანდრე ოცს კომლს სწირავს მცხეთის საყდარს სოფ. ბარვუნთაში ქ~კს :სჲგ: (სიგელი მცხეთისა № 9 და ნუსხა № : ტიზ : იხ. კიდე 1579 წ. ქვეშე).

— მეფე ალექსანდრე და თინათინ უბრუნებენ მცხეთის საყდარს საგარეჯოს. ქკ̃ს :სნიგ: (ნუსხა მცხეთისა № : კზ : ).—ამავე სიგელს ზედ მისდევს უთარიღო სიგელი (№: სკჲ:) , რომელსაც თავი აკლია:

„ - - - [ვინც ჩუჱნი მოკელე] ჯურუმს აიღებდეს მისი ნაკევარი, საბალახის ცხურისა და ღორის ნაკევარი, მალი სრულიად. ვინც ჩუჱნი მეკობრის მძებნელი წავიდეს , ერთი თქუჱნი (მცხეთის) ყმა წაჰყუჱს და რაც აიღონ, ნაკევარი მისი მოგჳკსენიბიან. პურისა და ღჳნის შესაწევარსა რასაც ავიღებთ მისი ნაკევარი მოგჳკსენებია“.

— ქკ̃ს :სჲგ: აქა პატრონი ქაიხოსრო ყაზმინს მიიცვალა (წ̃ა ნიკოლოზის ქრ. იხ. ზემო 1574 წ. ქვეშე.)

**1576 წ.** ქკ̃ს :სჲდ: დაუთ-ხან დასვეს ქართლში ბატონათ („წიგნი ქრონ-ნნი“)

— ქკ̃ს :სჲდ: მოკუდა შაჰთამაზ; და დაჯდა ისმაილ ძე მისი ყაენად. ამან მოიყვანა სჳმონ მეფე ალამუტიდამ და არჩილ ცოლშჳლით და ტყჳთ შირაზიდამ (ვახუშტ. ქრონიკ.)

— ქ̃კს :სჲე: აქა ლალა ფაშა გამოვიდა. (ქვთაჴევ. გულ. იხ. 1579 წ.)

**1577 წ.** ქ̃ს :სჲე: შაჰისმაილ მოკუდა ოკდომბერში, და დაჯდა ძმა მისი ხუდაბანდა.— და დაიბადა გიორგი დადიანის ძე ლეონ (ვახუშტ. ქრონ.). ამ წელს მოხსენებულია ხურცის ძე (ხურცისძე) იოსებ მღვდელთ-მთავართ-მთავარი „აგარიანთა პირის დამყოფელი“ ქ̃კს :სჲე: ეს ქორონიკონი უნდა გვიჩვენებდეს 1577 წ. და არა 1045 წ. ,როგორც ჰფიქრობდ ბრსე. (Rapor 1,132—33)

**1577 წ.**—დედოფალი ნესტან დარეჯანი სწერს: „გიბძანებთ, ალის მოურავო ციხისთაო და მებაჟენო და სხვანო მოსაქმენო! ვინც სუჱტის-ცხოვლის ყმანი მოქალაქენი მოვიდნენ მანდა, ნურას ბაჟსა სთხოვთ და ნურცა სალამათს. სუჱტის-ცხოვლისთჳს შეგჳწირავს. ქ̃კს :სჲე:“.

**1578 წ.**—მეფე ალექსანდრე, ცოლი თინათინ და ძენი მათნი: ირაკლი, დ̃თ, გ̃ი, კ̃ე, და როსტომ (ალავერდის სიგელი № 5).

**1578 წ.** მოკვდა აბხაზთა კ̃ზი ევდემონ ჩხეტიძე ეკ. მუზ. 49; Rap. $\frac{\text{VIII;}}{123}$ XI $\frac{,202}{215}$ უბის წიგნი. III , 112.)

**1578 წ.** ქკ̃ს :სჲვ: სჳმონ მეფე და მეფე კახთა ალექსანდრე შეიბნეს მარტყოფს ჰოტორს და მეფე სჳმონს გაემარჯვა; ამავე ქ̃კს მოკვდა ვახტანგ , ბატონი მუხრანისა. („წიგნი ქრონიკონნი“).

ქ~კს: სჳვ: [ამა] კ~სს: - - ნლა | - - თხ| - - იშ | - - რ - - |-- დეკემ-ბერსა| - - მოქცევარსა - - ურ (მუზ. ხელნაწ. № 85)

— ქ~კს: სჳვ: ამა ქორონიკონსა გამოჩნდა კუდიანი ვარსკლავი, ოდეს მისებრი არა-ვის უხილავს. ამავე ქ~კს მიიცვალა აფხაზეთის კ~ზი ევდემონ ჩხეტიძე - - - - - დ. მოკ~და ყაენი შაისმაილ:-გამოვიდეს ურუმნი და აღიღეს ციხეები სამცხისა და ქართლისა:—ამავე ქკ~სა მიიცვალა მეფეთ-მეფის გიორგის შვილი ბაგრატ თვესა მაისსა :კბ: დედა მათი, დედოფალი რუსუდან, მიიცვალა აგუსტოსა :დ: (ეკ. მუზ. ხელნაწ. № 49).—ცხადია, რომ აქედამ სიტყვა-სიტყვით ამოღებულია ქ~ცხ~ბაში შეტანილი ცნობები: იხ. ქ~ცხ. II, გვ. 291, სტრიქ. 7... და გვ· 292, სტრიქ. 4—6).

**1578** წ. ქკ~ს: სნივ: „ ... ჩუენ მეფემან.. ალექსანდრე და თანა-მეცხედრემან ჩუენმან... თინათინ და.. ძეთა ჩუენთა: ერეკლე; .. დავით,... გიორგი,.. კოსტანტინე და.. როსტომ.. შევწირეთ ალავერდს წ~ა გიორგის.. და თქუენს საჴეთ მჴყრობელს ნიკოლაოზს (ალავერდელს) კარაულისძენი კოზმანიშვილი დავით, მათნი კაცნი კომლნი ჩვიდმეტნი... ლანუკს კომლი კაცი ოცი... სახლითა და მამულითა ყოვლითურთ..., კისისკევით სომეხრნი მათითა სამართლიანითა მამულითა, რაც ამას წინათ დანებებული სახნავი და სხვა მამულები ჰქონებოდეს... არბუდევით კაცი კვამლი ჩვიდმეტი... სასახლე და ზვარი; ..ამაზის უბნით კაცი კვამლი ოცი...ყოვლითურთ.. თარხნად და კელ-შეუვალად ყოვლისა ჩუენისა სამსახურისა და გამოსაღებისაგან... თვნიერ ლაშქარ ნადირობისა საურისაგან კიდე·.. აღამაღლე რქა ჴართლ-მადიდებლობისა ჩუენისა..., და დასცენ ყოველნი მტერნი ჩუენნი ... დაიწერა.. ქკს: სნივ: კელითა კარისა ჩუენისა მწიგნობრისა.. ზურაბისათა." (კელრთულია: ალექსანდრე, „ერეკლე") (იხ. კიდევ Rap. VI 41—42).

— ქ~კს: სჳვ. გამოსჩნდა კუდიანი ვარსკულავი და გამოვიდა ლალაფაშა აგვისტოს :ზ: მესხთ ციხენი მისცნეს,—და მანუჩარცა მივიდა, ციხენი შესძლვნა, ტფილისს ჩავიდა.—დაუთხან ტფილისი მოსწვა, გაეცალა.—ლალა-ფაშასთან მივიდა მუხრან-ბატონი ვახტანგ და მიიყვანა ამილახორი ბარძიმ და ქსნის ერისთავი ელისბარ და დაიხსნა ქართლი ტყვეობა-ოკრებისაგან. ფაშამ თვისნი მამულნი მისცნა და მეოთხეს დღეს განუტევნა.—კვალად წარავლინა სპანი ლალა-ფაშამან იმერეთს, დაჰხვდენ იმერნი მთაზედ; მოსწყვიდნეს და აოტნეს. აქ დაესწრა არჩილისძე ერეკლე, მრავალნი ოსმალნი მოსწყვიდნა; :ია: კრმალი და :მ: ისარი მოჰხვდა ერეკლეს; ჯაჰე-მუზარადი ვერ გაუტეხეს და აზნაურნი მოსწყვიდნეს.—წარვიდა ლალა-ფაშა შირვანს, ალექსანდრე კახთ მეფე მოეგება და თან წარჰყვა.—ოკტომბერში სვიმონ მეფე მოვიდა, არჩილ თან მოიყვანა და მრავალნი ტყვენი. —დაუთხან სტამბოლს წარვიდა.—კვალად მოკუდა კათა-

ლიკოსი აფხაზთა ევდემოს და დედოფალი რუსუდან და ძე მისი ბაგრატ.— კვალად სმვიმონ მეფემ არჩილის ძმა ვახტანგ შეიპყრა და კეხვის ციხეში ტყვე ჰყო.—კვალად წარმოავლინა მირ მარი ლალა-ფაშამ მანუჩართან და ქართლს გაუსია, ქართლს ვერ ჩავიდნენ, სადგერი დაარბივეს, ეკკლესიის განძი წარხ-და.— კვალად წარმოავლინა სანჯახი, ჩაუხდენ, და ქართლი მოარბივეს (კახ. ქრ.).

**1579** —სჲზ. მანუჩარ ათაბაგი აზრუმს წარიყვანეს (კახ. ქრ.).

**1579** წ. ქ˜ს: სჲზ: „ესე არს აწინდელი ქრონიკონი. რომელსა დაიწერა" წერა-კითხ. № 252. იხ. 1535 წ. ქვეშე)

— ქკ˜ს: სჲზ: აქა შაჰ-ისმაელი გარდაიცვალა (წერა-კითხ. № 1204)

— ქკს: სჲზ: ამა ქრონიკონსა ლალა ფაშა გამოვიდა (ყამნი № 3).

— ქკს: სჲზ: აქა ლალა ფაშა გამოვიდა (წერა-კთხ. № 252).—

— ქკს: სჲზ: აქა ლალა ფაშა გამოვიდა (ყანჩ. გულანი).

— ქკს: სჲზ: (ამა) ქრონიკონსა ლ˜ლჲ (ლალა ფაშა?) - - - იმ (აკ) ქრონი-კონსა - - და დკნბრ (დეკემბერს) და მოქცევსა - - მეტურ (ეკ. მუზ. № 85

— ქ˜კს: სჲზ: აქა ლალა ფაშა გამოვიდა (წმ. ნიკოლოზის. ქრონიკ).

**1579.**— მეფე ალექსანდრე, დედოფალი თინათინ და ძენი მათნი: ირაკ-ლი, დ˜თ, გ˜ი, კ˜ე და როსტომ აძლევენ მცხეთას სიგელს (იხ. ნუსხა № :ტივ:): „შევსწირეთ.. ჩუენად სადღეგრძელოდ.. ბარუანთით :მბ: კუამლი კაცი...ესე ბარუანთათ მონასტერი ხატისკარი მისით შესავლით ... და რომელიცა ბატონს ჩუენს ძმას გ˜ს შემოეწირა ისიც :იზ: კუამლი... ქკ˜ს: სნიზ:.. ერთის ლაშქარ-ნადირობის მეტი არა ეთხოვებოდეს რა."

**1579** წ.—ლეონ მეფის ძე კახთა მეფე ალექსანდრე, ცოლი მისი თინათინ და ძენი მათნი: ერეკლე, დ˜თ ,გ˜ი; კ˜ე და როსტომ სწერენ: „მოვიდეს წი-ნაშე ჩუენსა.. კ˜ზი ნიკოლოზ", მცხეთის მამულის საქმეს გვესაჯაო და დაუმ-ტკიცეთო კახეთს სვეტი-ცხოველის მამულები (ჩვდვკ სია ამ მამულებისა) „დაი-წერა... ქ˜კს: სნიზ:... კელითა კარისა ჩნ˜ისა მწიგნობრისა მთავარას ძის ზუ-რაბისათა" (მცხეთის ნუსხა №: სკე:)

**1580** წ. ქ... ჩუენ .. მეფეთ-მეფისა ლეონის ძემან პატრონმან ელიმირ-ზამ და თანამეცხედრემან ჩ˜ნმან პატრონმან ქეთევან და ძემან ჩ˜ნმან პატრო-ნმან ႨႭႱႤႪ... შევსწირეთ (მცხეთას) ქვემო-ანუკით...: იბ: კუამლი კაცი.. მამულითა.. ჩ˜ნგან (მათ) არა ეთხოებოდეს რა.. სათათროს საურის მეტი... დაიწერა.. ქ˜კს: სნით:.. კელითა.. იესესითა"... (მცხეთის სიგელი № 53 და ნუსხა №: ტლჟ:)

**1580** ჳ — ქკათასკვის სიგელი № 14, კარგის მხედრულით დაწერილი:
„ქ... ჩუენ მეფეთ მეფისა დავითის ძემან, პატრონმან რამაზ-ყოფილმან რომანოზ და თანამეცსედრემან ჩუენმან პატრონმან ხუარამზე-ყოფილმან ხრისტინე და ძემან ჩუენმან პატრონმან ბაგრატ... შემოგწირეთ (ვლაქერნს) ულათუბანი სოფელი, ჩუენითა ალალითა საქონლითა ნასყიდი..., რაც ურიაყოფილსა მანათურს და მისთა ძმისწულთა აქვს იმის გარეთა ს˜დ ჩუენგან ნასყიდი იყო და.. შემოგწირეთ... ჯერ ჩანებითა მეფისა სუიმეონისათა... არა ეთხოებოდეს რა სამეფო სათხოვარი და გამოსაღები... (აქ ჩამოთვლილია სია გამოსაღებთა) ყოველთა წირვათა ზედა მოგჯკსენებდენ.. ნაწილსა ალმოიღებდენ... დაიწერა.. ქკს :სნიჯ: აპრილს :კ:... კელითა სამეუფოსა ქალაქისა მთავარეპისკოპოსისა ტფილელისა ბარნაბასითა (ქს ბარნაბა 1570 წ. იერუსალიმს იყო და სჩანს ისევ დაბრუნებულა). ხვეულად: „რამაზ“; „ხუარამზე.„

**1580** ჳ. (ანუ 1590). სიგელი ქკათასკვისა ჩინებულას მხედრულით ნაწერი, № 40, რომლის თარიღი გაურჩეველია, მაგრამ უნდა იყოს ანუ :სჲჯ: და ანუ :სოჯ:
- - - მეფეთ მეფემან პ[ატ]რონმან [ს]ვ[მ]ეონ და [თანა]-მეცხედრემან ჩუენმან დედოფალთა დედოფალმან... ნესტან-დარეჯან და ძეთა ჩუენთა გ˜ი- - ლუარსაბ - - ალექსა[ნდრე] -.-. ვლაქერნისა მას ჟამსა... შემოგწირეთ ტფილისს ქალაქს ერთი კუამლი ვაჰარი ხანუმას შვილის შვილები - - - - ქულბაქითა ... მიიღებდენ ღვთისმშობლის დღესა ერთსა ქალაქურსა ლიტრასა საკმელსა... წლითი წლად .... მშვიდობით განაგე სამეფო ჩუენი... დაიწერა ქკ˜სა სჲႠ (თუ :სოჯ:?), თვესა აპრილსა ოცდა შვიდსა“

**1580**.— ლეონ კახთა მეფის ძე ალიმირზა, ცოლი მისი ქეთევან და ძე მათი ითილ მცხეთას სწირავენ თორმეტს კომლს კაცს (რეესტრი მცხეთისა № 53).
— ქკსა: სჲႠ: (1580 წ.) აქა სინამ ფაშა გამოვიდა (ყანჩ გულანი.)
— სჲႠ: (თუ: სჲთ: ?) აქა სინა ფაშა გამოკვდა (წ˜ნიკოლოზის ქრ.).

**1580**—ქ˜კს:სჲႠ: მოვიდა: :კდ: წლის ტყვე ლეონ მეფის ძე იესე ყაენიდამ; და დაესხა დილვამს სვიმონ-მეფესა ალექსანდრე, მეფე კახთა.—კვალად წარიყვანეს ყვარყვარე სტამბოლს; ხვანთქარს ფალავანი შეეპიდა, ყვარყვარეს დაეცა, ქრისტიანობით ათაბაგობა მოეცა და მოვიდა.—კვალად მოკუდა ძე ბაგრატისა და ძმა არჩილისა ვახტანგ.—კვალად ოკდომბერს: იე: ყვარყვარე და ბექა ლორეს მოუხდენ და მოარბიევს (კახ. ქრ.).

**1581**—სჲთ. ჩაუხდა მეფე გიორგი ქათლს; დადიან-გურიელი თან ახლდენ· გაღმა-გამოღმართი სულ დასწვეს.—სვიმონ მეფეს ფაშაზედ გაემარჯვა (კახ. ქრ.).

**1581** ჳ. დავით-გარეჯის სიგელი № 1:
„ქ. ნებითა ღ˜თისათა:. ჩუენ:. ღთი˜ვ:. გჳრგჳნოსანმან:. მეფეთ:. მეფემან:.

პატრონმან:- ალექსანდრე და თანა-მეცხედრემან ჩუენმან დედოფალთა დედოფალმან პატრონმან თინათინ, საყუარელთა ძეთა ჩუენთა პატრონმა ერაკლე პატრონმან დავით, პატრონმან გიოგი და პატრონმან კოსტანტინე ესე უკუნისამდე ჟამთა გასათავებელი წყალობის წიგნი და სიგელი გიბოძეთ თქუენ ერთობილთა წი˜ს დავითის ყმათა აკურელთა და ამოგიკვეთეთ საჩუენო თივის თიბვა და არა ოდეს საჩუენოდ თივასა არ გათიბინვინებდეთ, არა ჩუენ და არა შემდგომთა ჩუენთა, მეფეთა და დედოფალთაგან. ესე წყალობის წიგნი არა მოგეშალოს... მცველ, მფარველ... ჩუენო მამაო წ˜და დავით ბ პატიოსანო ლოდო წარმართე მეფობა და დედოფლობა ჩ˜ნი და ძენი ჩუენნი კეთილად აღზარდენ და განაძლიერენ. აწე გქონდეს და გიაბედნიეროს ღ˜ნ სიგელი ესე სიგრძესა შინა ჟამთათა და დამამტკიცებელნი ამისნი ღ˜ნ აკურთხნეს. დაიწერა მტკიცე და შეუცვალებელი წიგნი და სიგელი ესე ქკ˜სა:. სნით:. ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა წელსა მეშვიდესა

**1581** მეფე სვიმონ და ცოლი ნესტან-დარეჯან და, ძეთა ჩ˜ნთა გ˜ი, ლუარსაბ და ალექსანდრე შემოგწირეთ (მცხეთას)... და ქკზს ნიკოლოზს... ზემო ქართლს სოფელი მოხისი... უნაკლულოდ და კელშეუვალად რამაზისშვილის კოსტანტინეს გლეხებს გარეთ რაც სახასო ყოფილა ამას წინათ... ქკს :ს Ⴢ Ⴇ: თუესა ივლისსა ათოთხმეტსა, კელითა კარისა ჩუენისა ვაზირისა თუმანიშვილისა შაჰველისითა (მეორე მხარეს თათრული წარწერა)

**1582**—ქკ˜ს: :სო: აქა ბატონს მანუჩარს ულალატეს (ქვათახევის. ქრ.) ქ˜კს: სო: სვიმონ მეფე ლორეს მიუხდა, ქვაბები აღიღო.—კვალად მოკუდა ყვარყვარე; მანუჩარ გაათაბაგდა, და მანუჩარ ათაბაგს ოსმალთ ულალატეს. მანუჩარს გაემარჯვა და მოვიდა სვიმონ მეფესთან; სვიმონმა ასული თვისი ელენა მისცა, და აქორწინა.—კვალად მოკუდა გიორგი დადიანი და დაჯდა ძმა მისი მამია (კახ. ქრ.)

**1582 წ.**— წერა-კითხ. ხელნაწერში № 29 (infolio, გვ. 388), არქიეპისკოპოსის გაიოზისაგან შეთხუზულს (1788 წ. ოკტომბერს 6; კრემენჩუგს) და მისგანვე გადაწერილს წიგნში: „მოკლე სწავლა, თუ კითარ ჯვარ-არს კითხვა საღმრთოისა წერილისა“ ჩართულია ფრიად საყურადღებო ნაწყვეტი წიგნისაგან: „მგზავრობა წმიდათა ადგილთა იერუსალიმს ნიკოლა რადსივილასი, წელსა 1582“, თჳთ გაიოსისგან გადმოქართულებული (იხ. გვ. 169). რადსივილა, სხვათა შორის, სწერს:

„ადგილსა ზედა, სადაცა იდგა ჯუარი უფლისა, აქუსთ გეორგიანთა (ე. ი. ქართველთა) ოც-და-თორმეტი კანდელი, რომელთაგან ხუთნი ოდენ ანთიან.— ნათლისმცემლის მონასტრით ერთს მილზე არს მონასტერი წმიდისა ჯუარისა, რომლისათჳს დაურქუმევიათ ბერძენთა წ˜ს მთავარ-ანგელოსისა. არს ესე გეორგიანთა და არს განწესებითა მით, ვითარცა მონასტერი წმიდისა საბასი. ამას შინა სცხოვრებს ეპისკოპოსი გეორგიანთა (ამ დროს ჯვარის მონასტერში მარ-

თლა იჯდა წინამძღვრის ადგილას ქართველ ეპისკოპოსი, ეპითანე იხ. ჩემი „ქრონიკები“, წიგნი I. გვ. 123—124). მონასტერი ესე აღშენებულ არს, ვითარცა იტყვან, მას ადგილსა, სადაცა ზეთის-ხილის ხე ჯუარისათვს უფლისა აღმოთხარეს და დღესაც აჩუენებენ დიდსა საკურთხეველსა ქუეშე აღმოთხრილსა ქუასა შინა, სადითგანაც აღმოთხრილ არს იგი.—კათოლიკთა და ყოველთა აღმოსავლეთის ეკლესიისა ქრისტიანეთა დიდი პატივისცემა აქუთ ამისდამი. მარჯუენით კერძო დიდის საკურთხეველისა არს მცირე ეკუდერი კათოლიკთა, სადაცა ყოველს წელს სწირვენ. ეპისკოპოსმან მის ადგილისამან დაგვგო ჩუენ ზეთის-ხილი და კმელი პური, ამისთვს ვინაითგან კორცსა არა ჰსჭამენ მუნ.

გარნა ოდეს გეორგიანთა სრულიად გოლგოთის მთა განისაკუთრეს სალოცუელად, ამისთვს ადგილი არღა იყო ტაძარსა შინა და ეგრეთვე არმანთა (ე. ი. სომეხთა) მექონთა საკურთხეველისათა, არა აქუნდათ ადგილი; ამისთვს ურთიერთას თანკმობითა არმანთა და გეორგიანთათა და ეგრეთუე გეორგიანთა დ̃ კათოლიკთათა ესრეთ განიჩინა, რათამცა ნახევარი იგი გოლგოთის მთისა, რომელსა ზედაჯუარს აცუეს ქრისტე, მიეცეს კათოლიკთა და კათოლიკთა მისცენ მათ მესამე ნაწილი ზემო ასასუღლელი სალოცუელთა ზედა აბისსინთა და სორულთასა. ესე ვითარითა ხატითა გეორგიანთა და არმეანთა ამას ადგილსა შინა აქუთ საკურთხეველნი თვსნი, რ̃ლ შელ (?) ორთავე ცალკე აქუსთ კიბე ხისა, სადითგანაც ტაძრით აღვალნნ მუნ.—გაცულა ესე ადგილისა კათოლიკთათვს ფრიად სასარგებლო არს, ვინათგან მათ ნახევარი გოლგოთის მთისა და ორი კერძო ზემოს აღსავალისა სამფლობელოდ თვსად მიიღეს, რომელიცა კმად ვრცელ არს.—იქმნა ესე მაშინ, ოდესცა ჯერეთ იერუსალიმი იყო სამფლობელოდ ეგვპტის სულთანთა“ (ეს ნაწყვეტი გაიოზს უთარგმნია 1791 წ. მარტს 9-ს).

ამას ზედვე მოსდევს ის ისტორიული ცნობა, რომელიც ზემო დაბეჭდილია 1452 წლის ქვეშე).

**1582 წ.**— ქკსა :სო: აქა მანუჩარს უღალატეს ფაშებმა:. ათაბაკს:. (წგ. № 252). ამ წარწერის პირდაპირ არშიაზე აწერია: „გ̃ი“ (გიორგი) და „ლეონ.“

—ქ̃კსა :სო: აქა ათაბაგს აწყვერს უღალატეს. გეემარჯვა. თათარი გაიქცაა (წ. კ. № 1204)

ქ̃კსა :სოა: (1583 წ.) აქა პატრონს მანუჩარს აწყვერს უღალატეს და გაიმაჯვა (ყანჩაეთის. გულანი).

**1583**—სოა. ტფილისი აღიღო ოსმალთაგან სვიმონ მეფემ.—კვალად გურიას დასვეს ვახტანგ გურიელად, გიორგი განაძეს,—და გიორგი მეფემ დაიჭირა ძმა თვსი კოსტანტინე შვილით და პატიმარ-ჰყო (ვას. ქრ.) სვიმონ მეფე და თფილელი ბარნაბა ამავ წიგნში მოხსენებულნი არიან ქკს: სოა—1583 წ.

— ქკს: სოა: აქა მეფე გიორგი მიიცვალა (წ̃ა გიორგის გულანი).

**1583 წ.**—მეფე სვიმონ მუხრანელ მეტამღეთა უბრძანებს, სვეტისცხოვლის ყმებს ნურას სთხოვთო (როგორც ქვემო 1585 წ. ქვეშ): „დამლა სუეტს-ცხოველს დაანებეთ ქკ~ს: სოა: ქრისტეშობის თვის :ზ:„ ბოლოს მიწერილია: „ამ სუეტი-ცხოვლის ყმებისათჳს კიდე ხარჯი გითხოვნიათ... ყოვლის ბატონისაგან სუეტი-ცხოვლის ყმა თარხანნი ყოფილან და მერმე კათალიკოზი სუეტს ცხოველს აშენებს და მის ყმათ ჩამოეხსენით "(მცხეთის ნუსხა №: რმე:). სათაური სიგლისა: „ქალაქის ხარჯის უთხოვნელობისათჳს." ამ გვარსავე სიგელს აძლევს მეფე ბაგრატ 1616—1619 წ. :„მეფე ბაგრატ გიბრძანებ... ბრძანებითა ღ~თისათა და წყალობითა შაჰაბაზისათა... ბაჟს ნუ სთხოვ (მცხეთას).. და რაც ბაშმალი აეღოთ, ისიც მიეცით" (ამ გვარივე ბრძანებანი იხ. 1592 და 1689 წ. ქვეშე.)

**1584**—ქკს: სობ. მოიყვანა მანუჩარ ათაბაგმან ცოლი თჳსი, სვიმონ მეფის ასული სამცხეს. (კახ. ქრ.).—კ~ქს: სობ: აქა ომანიანთ ბატონს მანუჩარს ულალეტეს და გააქცივნა (წ~ა ნიკოლოზის ქრ.).

— ქკ~სა: სობ: აქა მეფე გიორგი მოკუდა და ძე მისი ლეონ მეფედ დაჯდა (შემოქმედის. გულანი.)

**1584 წ.** ?— დაზიანებული ტყავის სიგელი იტრიის ტაძრისა № 537 (მცხე-თის სიგლების № №), რომელშიც მოხსენებულია უცნობი კ~ზი დოროთეოს მეფის სვიმონის ძის გიორგის დროს. სიგელი უთარიღოა, მაგრამ რუსულს რეესტრში № 537 ნაჩვენებია 1584 წ. თუ ეს ქკ~ნი მართალია, მაშინ უნდა ვი-ფიქროთ, რომ დოროთეოს ყოფილა შემდეგ კზ~ს ნიკოლოზისა 1582—1584

უნდა შევნიშნოთ რომ კზ~ების სია XVI საუკუნისა არეულია, რადგან ეს ერთსა და იმავე დროს ორ-ორი კზ~ი სჩანს. თუ ორიანობა არ მოსდა კზ~ობაში (სამეფოს ორად გაყოფის მიზეზისაგამო), მაშინ უნდა მივიღოთ შემდეგი დაახლო-ვებითი სია კ~ზთა:

ბასილი 1516—1529; მელქისედეკ 1529 წ. (და განიდევნა); გერმანე 1530—1531; მალაქია 1532—1549 წ. (ანუ 1548) სვიმონ 1549—1550 (ანუ 1548—1550); ბასილი (სხვა?) 1552; ზებედე 1552 წ. (იხ. ზემო, გვ. 393); ნიკოლოზ 1552—1556; დომენტი I 1557—1562; ნიკოლოზ (სხვა?) 1563—1564; დომენტი II (სხვა?) 1565—1566; ნიკოლოზ (სხვა?) 1566—1567; დომენტი (იგივე?) 1567; ნიკოლოზ (იგივე?) 1567—1582; დოროთეოს 1583—1585; დომენტი III 1595 წ. (მერე ზებედე † 1610 წ. და იოანე).

„ქ - - - ჩ~ნ მეფეთ მეფისა პატრონისა სჳმონის ძემან პირმშომან, პატ-რონმა გიორგი ესე შეწირულობის წიგნი... მოგაკსენეთ იტრიის სიონისა ღთისმშობელსა მას ჟამსა, ოდეს მოვიდა წ~ე ჩუენსა ჩ~ნი მაკურთხეველი ქარ-თლის კ~ზ-პატრიაქი დოროთეოს (და) გუეაჯა, რ~ა მამულნი შეგვეწირნეს, თქუენის მონასტრისთვის, ვისმინეთ... შენი მონასტერი ძუელიდგან ყ~დ წი~ს ეკლესია ყოფილ იყო და საფუძველითურ ახლად აეშენებ[ინა] - - - მოგუართვა

ჩუენ ერთი მძიმე ზარქაშად ნაკვერი თორმეტ საუფლო - - [თ]ვალითა და მარგალიტითა შემკობილი ომოფორი; ჩუენ ლორის ღმთისშობელსა [შ]ევწირეთ. კიდე მოგუართვა ერთი სახელმწიფო ვეცხლის სურა და ნალ[ბაქი] ჩუენ.. შემოგწირეთ... ლუბრმა ჩუენის სახასოს მამულისაგან.. და შინდარას მარგველაშვილი... (და სხვა რვა გვარი გლეხებიცა).

სხუა რაც ბატონის ბიძის ჩემის მეფის გიორგისგან - - გექრთამა და გეყიდა (ჩამოთვლილია)... მე შემოვსწირე, ... დაგუიმტკიცებია"... სკეულად „გიორგი."

**1585** — ქ҃კს: სოგ: ოსმან-ფაშა მოვიდა თავრიზზედ; და მოკუდა მეფე გიორგი; დაჯდა ძე მისი ლეონ მეფედ და კონსტანტინემ, ბიძამა მისმან, არგვეთი დაიპყრა (კახ. ქრ.).

— ქკსა: სოგ (1585). მეფე სვიმონ და ფაშა შეიბნენ ლორეს და მეფეს გაემარჯვა და ფაშა გაქცეული ქალაქს შევიდა, და მოკლა ურუმი ორას სამოცდა-ცამეტი, აიღო ლორე და ქვაფთა (sic. — „წიგნი ქრონიკონნი"). ჩხეიძის ქრ.

— ქკს :სოგ: აქა მეფემან სვიმონ ლორე დაპყრა (ჩხეიძის ქრ.).

— ქკს :სოგ (1685) აქა დადიანი გიორგი მიიცვალა (გელათის გულ. ვახუშტით გიორგი†1583 წ.).

**1585** — არმაზის წარწერა ტარასის წაკითხული, (იხ. ჩემი უძის წიგ IV, 12)

**1585** წ. ქ҃კს :სოე: აქა დაიპყრეს სამცხე ისმაელთა (წერ. კ. № 252).

— ქ҃კს: სოე: აქა ახალციხე ააშენეს ურუმთა [და]საბამიდგან წელთა შვდი ათას ოთხმეოცდა-ათოთხმეტიაჲ. ნახეთ მას უკან საქმე როგორ მოვა! (წერ. კით. № 1204 შეადარე, 1587 წ. ქვეშე)

**1585** წ. „ქ. მეფე სვმონ გიბრძანებთ ერთობილნო მუხრანის მედამლენო! მერმე მანდაურის დამლის მესამედი სუეტის-ცხოველისათჳს შეგჳწირავს და ბატონის კათალიკოზის კაცი მოვა მანდა და რაც მათ დააყენონ, თქუენც გუერც მოუყენეთ. რაც მათი დამლა იქნებოდეს, ამათ დაყენებულს კაცს ნუ დააკლებთ. ქკს: სოგ: ენკენისთვის :თ:" (ნუსხა მცხეთისა № :რკბ:)

**1585** წ. ახლოსანისა. — სიგელი მცხეთისა ნუსხა № 27: „...ჩუენ მეფეთ მეფემან პატრონმან ალექსანდრე და თანამეცხედრემან ჩუენმან... თამარ და ძემან ჩ҃ნმან სასურველმან დავით ესე შეწირულობის წიგნი და პირი მოგაკსენეთ დედა-ქალაქსა მცხეთას სვეტსა ცხოველსა და კვართსა საუფლოსა და მირონს წმინდასა ასე და ამა პირსა ზ҃ა, რომელ პირველად სოფელი ვეძის-კევი და ფაშაანი სრულად მისის შენობით, კალთუბანი და გიორგნი ორივე კევი მაღლა მთიდამ დაბლა თეთრს კლდემდინ რაც საეძო არის ჩელტს გამოღმართ

გრემის კერძად, ასე რომე თქუენი სამკვიდრო ეს მამულები ცოტას ხანს ხიზნობის კვალად ყარაასლანს მივეცით ორსაოდენ წელიწადსა. ასლა გ˜ზ ნიკოლოზ მობრძანდა და გუჯარნი მოიკუნა: გავსინჯეთ და მათი ბრძანება ვისმინეთ და მოვაკსენეთ თავისივე მამული მკვიდრი საქონებელი თქუენვე დაგიდევით და მოგაკსენეთ, ასე რომე როგორც თქუენი მოურავი და ქადაგი ყოფილ იყოს ვეძისკევს და ფაშაანს ისევ დააყენეთ, საბალახე და აბრეშუმი და დიდი სათათრო საური და რაც რამ ფერი ყველა თქუენი ყოფილა და თქუენ აიღებდეთ; ჩუენ არაფერი კელი არა გვედვას რა: ლაშქარ-ნადირობა და მონასტერი კარჴანის სახასნი (სასახლე?) და ციხე კი უმიზეზოდ გვიმუშაონ, თუ მცხეთას არ მუშაობდენ და როგორც დავით გარეჯას იქიდამ სარგო რგებოდეს, ნუ დააკლებთ. ასე დაგვიმტკიცებია. არც გრემელთ ჰქონდეს საცილებელი კელი, არც შილდელთ და არც ნეკრესელთა. თქუენი მამული მოუდევრად მოგვიკსენებია ყოვლითურთ უნაკლულოთ და უცილებელად. ვინცა და რომელმან ადამის მონათესავემან დიდმან ანუ მცირემან ეს გამოსწიროს და ... (წყევა).

**1586** ქკსა :სოდ: აქა ელენე დაიბადა ახალციხელი (წერა-კ. № 252). ეს ელენე კახ მეფეს შეურთავს იხ. 1601 წ. ქვეშე.

— ქკს :სოდ : მეფე სვიმონ და ქალაქის ფაშა შეიბნეს, ასან ფაშა, ტაბხმელას, მეფეს გაემარჯვა და მოკლა ხუთასი ურუმი და აიღო გალავანი, თბილისის ქალაქის უკანა ციხე („წიგნი ქორონიკონნი“).

**1586** წ.—ორბელიანთ სიგელი. თავში დახატულია ღვთისმშობელი და ზედვე წარწერა ხუცური: „ღვთისმშობელო, მეოხ ექმენ დმანელს მტბევარ მიტრაპოლიტს ელისეს, რ˜ნ კ˜დ განაახლებინა სიგელი ესე და დაუტევა ეკლესიასა თ˜სსა ა˜ნ“.

„ქ.. ესა:. შენ:.დედოფალსა..ვიგულეთ...ორისავე ტახტისა..თვთ კელმწიფედ მფლობელ მპყრობელმან მეფემან მეფეთამან მეფემან სვიმონ და თანამეცხედრემან ჩუენმან... ნესტანდარეჯან და სასურველთა ძეთა ჩ˜ნთა... გ˜გი და.. ლუარსაბ და უმრწემესმან პატრონმან არსენ.. შემოგწირეთ განსამარჯვებლად.. და მეფობისა ჩუენისა წარსამართებლად სოფელი ჩინჩხორი, დმანისის კეობის დამლის მესამედი ამას წინათაც შეწირული ყოფილა და დიდ დმანისს რაც დმანისის ღვთისმშობლისა ყოფილა სოფელი მუტავისი ესები; და ამას გარეთად შემოგვიწირავს სოფელი ვარდის უბანი და დალმა ნახევრად გაგვიხდია; გუდარეხის ღთისმშობლის მონასტერი მისისა შეწირულისა მართლითა სამართლიანის... არა ეთხოებოდეს არა .სატარუღო, არა სამელიქო, არა საბალახე, არა სამეკობრის მძებნელო, ამას ყოველსავე დმანელ მთავარებისკობოზი აიღებდეს ვინგინდა ვინ იყოს და ანუ ვინ გინდა ვინ იქნებოდეს და წ˜სა და ცათა მობაძავსა ტაძარსა თქუენსა მოაკმარებდეს... გიბრძანებთ კარისა ჩ˜ნის ვექილვეზირნო და მოსაქმენო და დმანისისა კევისა და საბარათიანოს ტარუღანნო და მელიქნო, თქუენცა ასრე დაუმტკიცეთ... თვინიერ ამა შეწირულთა ყმათა

ლაშქარნადირობას ნუ დაგვაკლებენ, დაიწერა ნიშანი და ბრძანება ესე ქ~ს: სოდ: იანვარს ცხრას. ჴელითა მდივან-მწიგნობრისა აბაშის ძისა ესტატესითა".—აზის სამი თათრული ბეჭედი.

**1586**—ქ~ს: სოდ: სპარსთ შეიპყრეს შახ ხუდაბანდა. შააბაზ დასვეს :Ս: წლისა.

— ლეონ მეფემ მოიყვანა ცოლი, ლეონ დადიანის ასული მარეხ, ჰქმნა ქორწილი (ვახ. ქრ.)

ქ~ს :სოდ - - ესე - - - - (ქგ. მუზ. ხელნაწერის № 85 გადასული წარწერა.)

**1586 წ.** ამ წლის ახლოხანებს უნდა იყოს დაწერილი სიგელი გელათისა № 8984, ძალიან დაზიანებული, რომელშიაც მოხსენებულია ცნობილი მონაზონი გერმანე (1580 წლ. ახლოხან. :იხ. ჩემი გუჯ. წიგ. II, გვ. 284):

„ - - - [ესე წიგნი] გკადრეთ და მოგაკსენეთ - - - [ლორთ]ქიფ-ნიძე ქექაოზ და ქრთამიც მოგუართუი და უბოძეთ გელათის დასავლეთის კარსა სასაფლაოა და ცოლი ჩუენი ·ულუხან იქ დავმარხეთ და გაუჩინეთ მწირველი მღდელ-მონაზონი გერმანე... (გლეხები შეუწირავს მათის ბეგრებითურთ).

**1586 წ.** „ქ... წ~ო გიორგი გელათს სადედოფლოსაო... შემოგწირეთ... ჩუენ მეფეთ-მეფას ბაგრატის უხუცესისა შვილისა მეფეთ-მეფისა გიორგის თანამეცხედრემან, დედოფალთ-დედოფალმან ბატონისა დიასამძის სახელოანის შერმაზანისა და ანას ქალმან პატრონმან თამარ-უოფილმან ქრისტინემ.. შემოგწირეთ ჩუენის იარალისა, თაჳისა და განძისაგან დავშალეთ და შევამკევით და გავაჭედინეთ ოქროსა უ~დ წ~ისა კარისა ღ~თისმშობლისა ხატი და შევამკეთ პატიოსნითა თვალითა და მარგალიტითა და კიდევე ოქროსა მაცხოვრისა ხატი... თვალ-მარგალიტითა ჩემის მზითვისა და ჩემი საკითხავი ჟამნი და ოთხთავი და დავითნი და შეგწირეთ სხარს (ჩხარს?) გლეხი გოგილაი აბულაძე.. (და სხ. გლეხები) გზ~ი ჟამსა გვიწირვიდეს... დაიწერა... ქ~ს :სოდ:"... ამ სიგლით ცხადდება, რომ ცოლი გიორგისი თამარ მოლოზნად შემდგარა, რასაკვირველია, ქმრის სიკვდილისგამო (†1585 წ.).

**1586 წ.**—მეფე სვიმონ და ასან-ფაშა შეიბნენ ტაბახმელას. მეფეს გაემარჯვა, ამოსწყვიდნა ურუმნი. ამავე წელსა აღილო გალავანი ციხისა და შემდგომად ციხეცა (ჩხეიძის ქრ.).

**1587 წ.** ერაჲ, გულბა და საჩინო ბარათაშვილებს კალად დიდ-ძალი საეკლესიო ფული გამოურთმევიათ განსვენებულის მათის ძმის კათალიკოზის ნიკოლოზისთვის და ამ ვალის გასასტუმრებლად სწირავენ - თჳსს მამულებს, სოფლებს: ყორანთას, სამშვილდეს და სატრედოს (სიონის სიგელი № 95).

ამ გვარივე სიგელი იხ. მცხეთის სიგელში № 96 და ნუსხაში № :რჟბ: ბარათაშვილნი ერაჯ, გულაბ (sic) და სჩინლო (sic) აძლევენ მცხეთას: „როდეს ძმა ჩუენი მღდელთ-მოძღუარი ნიკოლოზ კ˜ზად იჯდა, მას ჟამსა ავიღეთ სუეტისცხოვლის საქონელი და ბევრი თეთრი დავხარჯეთ (ამის სანუქფოდ მიუციათ ველ-ვენახი).. ქკ˜ს :ს: სამოც და :იე:.“

— ქკ˜სა: სოე: გორი და ახალციხე ააშენეს ურუმთა (წიგნი. ქრონნ.)

— ქკსა: სოე: შაჰაბაზ განჯას მოვიდა, ალაშენა.—ლეონ მეფემ გაილაშქრა აღდგომას უკან; რიონს გაღმართი კოსტანტინეს ბიძასა მისსა აქუნდა სკანდის ციხით; სულ წაართვა; მას საუფლისწულო მისცა.—კვალად მოკუდა გურიელი ვახტანგ: გიორგივე გაგურიელდა (კას ქრო.ნ)

**1588.**—ქკ˜ს: სოვ: სვიმონ მეფემ სამცხე დალაშქრა.—კვალად შეიბნენ მეფენი სვიმონ და ლეონ გოფანთოს, სჯმონ მეფეს გაემარჯვა (კახ. ქრონ.)

**1589** წ. ქკ˜ს: სოზ: აქა: ბატონს: სვიმონს: შამოება: დადიანი: და: გაემარჯვა: დადიანსა: ოფის: კურას: (ქვათახევის. გულან.).

— ქკსა: სოზ: 1589—532=1057 წ. ამა ქრონიკონსა დავით-აღმაშენებელსა გელათი დაუწყია და ქკო˜ნი მობრუნებული არი (წკ. № 252 ამაზე იხ. ზემო 1057 წლ. ქვეშე).

— ქკს: სოზ (1589) „დიდნო მთავარ ანგელოზნო, მეოხ გვეყვენით წ˜ე ღთი˜სა მსაესა (sic მოსავსა?) თქუენსა ედიშერსა ძით და მეცხედრით ჩუენით, რომელმან მოვაჭედინე ხატი ესე ქკ˜ს სოზ“ (თლავის ეკ. ხატის წარწერა. იხ. ჩემი უბ. წ. № II, გვ. 6. ბროსსეს შეცდომებით გარდმოუწერია Rap I 60).—იქვე მეორე ხატზე: „წ˜ო ი˜ე ნათლისმცემელო, მეოხ ექმენ ... მამკობელსა და მადიდებელსა შენსა ედიშერს ა˜ნ.

— ქკ˜ს: სოზ (1589) აქა ეკურთხა მთავრად მ - - ლ˜ნ ჩხათა (?) გ˜ს შვლი (წ˜ა გ˜ის გულანი).—აქ უნდა იყოს ლაპარაკი მალაქია, გიორგი გურიელის შვილის კურთხევაზე. ეს მალაქია კათალიკოზად გამხდარა 1605 წ. შემდგომ ევთიმისა.. ამის შემდეგ გაკათოლიკოზებულა გრიგოლ (1629 წ.).

**1589** წ. ქ˜კს: სოზ: აქა გ˜ნქა (sic.—განძა?) აშენეს (წერ-კითხ. ხელნაწ. 1204)

**1590**—ქკ˜ს: სოთ: ლეონ მეფე და დადიანი მამია ქუთათისს შეიბნენ და დადიანმან მეფე დაიპირა, შხეთის (შსკფის) ციხეში დააბა და მუნ მოკუდა. მეფედ დასვეს როსტომ კოსტანტინეს ძე. კვალად მოკუდა დადიანი მამია, და დაჯდა მანუჩარ; ამან მოიყვანა ალექსანდრე კახთ მეფის ქალი და იკორწინა.—კვალად გიორგი გურიელმან ქუთათისი აღიღო; მოიყვანა თეიმურაზის ძე ბაგრატ, ქუთათისი მისცა, და ძე (ძმა?) თჳსი მამია მოუყენა.

— კუალად მოიყვანნა ურუმნი, ჯიჯავაძეს ციხე წაართვა; სხვა ჩიჯავაძე

დასვა.—კვალად მოვიდა სჳმონ მეფე, ქუთათისი აღიღო, ბაგრატ ქართლს წარი- ყვანა.—კვალად მოვიდა სვიმონ მეფე; ოფიშკვითს დაუმარცხდა და გამეფდა როსტომ. სვიმონ მეფემ ლორე აღიღო, ოსმალნი მოსწყვიდნა (ვახუშ. ქრონ.)

**1591** წ.—ქ˜კს: სოთ: აქა მეფემან სვიმონ ქუთათის ქალაქი დაიპირა; ბაგრატ გამოიყვანა და ძმისწული გ˜ი მეფისა ფაშად დასვა.—ამასვე წელსა იმერთა უკუიპირეს ქუთათისი;—ამასვე წელსა მეფე სვიმონ წარვიდა ლიხთ-იმერეთს; აღიღო ციხე კაცხი და ქვეყანანი გურიად და სკანამდე (სვანდამდე?) და ქუთათისი.—ამასვე ქ˜კსა შეიბნენ მეფე სვიმონ და მამია დადიანი. დადიანს თან ახლდენ იმერნი: დადიანს გაემარჯვა - - - (სხვა მოხუცდა: ჩხეიძის ქრ.).

**1591** წ. ქკ˜ს: სოთ: აქა შამოება მეფე როსტომს დადიანი და გაემაჯვა როსტომ-მეფეს და დაიპყრეს ქართველნი (წერა-კითხ. ხელნ. № 252)

— ქკს: სოთ: აქა მეფემან სვიმონ ქუთათის ქალაქი დაიპირა, ბაგრატ გამოიყვანა და ძმისწული გიორგი მეფისა ფაშად დასვა. მასვე წელსა იმერთა უკუ-იპირეს ქუთათისი. („წიგნი ქორნიკონნი").

— სოთ: (1591 წ.) აქა გურიელს მამიას აბხაზზე გაემარჯვა (წ. გ. № 1204).

— ქკ˜ს: სოთ: აფხაზნი მოუხდნენ გურიას. გურიელის ძემ მამიამ ამოსწყ-ვიდნა. უშვა მანუჩარ დადიანს კახ-ბატონის ასულმან ძე ლეონ და შობაზედ მოკუდა ქალი იგი (ვახ. ქრ.)

**1592** წ. ქ˜კს: სპ: მანუჩარ დადიანმა იქორწინა ვახტანგ გურიელის ქვრივ-ზედ (ვახ. ქრონ.)

**1592** წ. ქ. რაც ბატონის კ˜ზის ბაჟი ყოფილიყოს ახალის თევზისა, თუ ძუმლისა, პურისა თუ ღვნისა და ხილისა, ყუმლა უკლებად დაანებონ მათი კერძი და ჩუენს მოსაქმეთ მათ ასაღებზე კელი ნუ აქვთ ზენაარ! ქკ˜ს :სპ: სჳმონ-მეფისა არის ეს წიგნი" (ნუსხა მცხეთისა № :რმე:).

**1592** თბილელს ბარნაბას უეიდნია სიონის ტაძრისთჳს კენაჴი და ყმანი სოფელს დუშისს (სიგელი სიონისა № 98: ეს ბარნაბა იერუსალიმში იყო 1570 წ.).

**1593** წ. ქ˜კს: სპა: აქა ოფიშკვმს ომი ყოფილა (ეკლ. მუზ. № 186)

გუჯარი ომის წინ სატარებელის ოქონისა ხატისა (იხილ. 1708 წ. ქვეშე) ამ ომს მოიკსენიებს: „ოდეს ... სჳმონ მეფე ოფიშუეს (sic) შებმულ იყო, და-მარცხებოდა მეფის ალექსანდრეს მიერ. ... ოქონის ხატი იქ დარჩომია ... ვიდრე შაჰნავაზ მეფემდე."

**1593** წ. ქკ˜სა: სპა: ამა ქორონიკონსა დედოფალი თინათინ გარდაიც-ვალა (ყამნი № 3. იხ. 1594 წ. ქვეშე)

**1594** შუამთის გუჯარში მოხსენებულია მეფე ალექსანდრე და დედოფალი თინათინ. მოძღუართ-მოძღუარი ნიკოლოზ. (ეს გუჯარი პეტერბურღს გაუგზ- ვნიათ იხ. ჩემი ისტ. კრებული, გვ. 441).

— ქ~სა: სპბ: აქა დედოფალი თინათინ გარდაიცვალა (ყანჩ. გულ.)

**1595 წ.** მეფე-სჳმონის ცოლის ნესტან-დ:რეჯანის და მათის ძის გიორგის ნებითა თანდასწრებითა და ჯუარ ჩინებითა ყოვლთა მცხეთის შჳლთა თქუენ ყ~დ სანატრელისა მეფისა შჳლსა:

„.. ჩ~ნ ქ~ეს მიერ კურთხეულმან ქკზ~მან დომენტი... ესე საალაპო წიგნი მოგაკსენეთ ლუარსაბის ძესა პატრონსა ვახტანგს მას ჟამსა, ოდეს თქუენის ძმის მეფის პატრონის სჳმონისგან მუხრანს სოფელი ყურისუბანი სამამულოდ და სამკჳდროდ (მოგცემოდა) და ამას წინეთ ქკ~ზს ნიკოლოზს ზემო ქართლს, ქორდს, ზაკუს და სათიხარს და მათ გარეშემო რაც საყდრის შეწირული მამული ყოფილიყო თქუენთჳს ყურისუბანზე გაეცვალა.. აწ არც თქუენ მოგ- ხდომოდათ კარგათ და არც სუეტმა-ცხოველმა იპრიანა. აწე თქუენი ყურისუ- ბანი თქუენვე დაგიდევით.. და ვითა საყდრის მამული ოკერი აგეშენებინა.. და უკაცურნი სოფელნი გაგეკაცრიელებინეს, ჩუენ თქუენის ჰირნახულისა და თქუენგან დასახლებულის გლეხთ აუყრელობის სამუქფოდ დავდევით.. ალაპი ყველიერის პარასკევს თქუენთჳს.. და თქუენისა მეცხედრისა.. თინათინისთჳს.. დაიწერა კელითა დმანელ ეპისკოპოსისა საკაძის იოსებისითა.. ქკ~ს :სპგ: სიგელი მცხეთისა №№ 327 და, 129, 148 ნუსხანი №№ გვ: :პბ: :და: რკე).

**1595 წ.** მეფე სჳმონ და იგივე მისი ოჯახობა სწირავს მეტეხის ღ~თის- მშობელს სოფელს წავკისსა. „დაიწერა კელითა კარისა ჩ~ნისა წინამძღურისა იოსებისითა ქ~კს: სპგ:“ ბოლოს სკეულად ამტკიცებენ „სჳმონ“ (მეფე), „როსტომ“? და „გ~გი“ (სიგელი მცხეთისა № 501 და ნუსხა №: როთ:).

— ნინო-წმიდის სიგელი № 60 :„..ჩუენ.. მეფემან ალ:ქსანდრე.. ესე სიგელი.. გკადრე წ~ასა ნინოს, ასრე რომე.. თქუენის ტაძრისთჳს შემოწირულს და ნასყიდს მამულზედ რაც დღეს მსახლობელი კაცი იყოს, ასაყრელად დღესის უკან კელი ვერავინ დაიდვას არც კახმან და არცა ქართლელმან.. არცა ვის დავანებოთ... ქ~კს: სპგ: (თითოეული სიტყვა სამ-სამ წერტილით არის გაყოფილი, როგორც საზოგადოდ მე XVI საუკ. მხედრული ნაწერები).

**1597 წ.** სიგელი ნინო-წმიდისა № 21 :„ქ... (ფ~დ გრძელის წინასიტყვაო- ბის შემდეგ)... ესე წიგნი და სიგელი გკადრეთ და „მოგაკსენეთ ჩუენ მეფეთ- მეფემან პატრონმან ალექსანდრე და სასურველ-საყვარელთა ძეთა ჩუენთა პატ- რონმა დავით და პატრონმა გიორგი და პატრონმან კოსტანტინე თქუენ... ათორმეტთა უდაბნოთა საჳეთ-მპყრობელსა წმიდასა ნინოს... ვგიეთ შენ მიერ მართალსა და მტკიცესა სარწმუნოებასა ზედა წმიდისა სამებისასა და წ~სა

ღვთისმშობელისა მიერ, რომლისა ნაწილნი ვართ მკვიდრნი სამეფოსა ჩუენი-სანი... შემოგწირეთ მთა თუშთ სამარხის გზა რომ გარდიარს და იქით გარდაჭ-რილს კლდემდის, ასრე რომე სხუას სოფელსა და აგარაკსთანა სასამოკრე (?) მთა არა გქონდა და ჩუენ მოგაკსენეთ და სიგლითა ამით დაგიმტკიცეთ...... დაიწერა ქ̃კს სპე (1597), თუესა ივლისსა :ზ:“ ხელჩართული მშვენიერი: „ხელმწიფე ალექსანდრე ვამტკიცებ.“

**1597** წ.—ნინო-წმიდის ტაძრისაკე სიგელი № 22:

„ქ... (გრძელი წინასიტყვაობა)... ჩ̃ნ ღვთისა მიერ ძლიერმან დ̃ უძლეველმან... მეფეთ-მეფემან... ალექსანდრე და სასურველ საყვარელთა ..ძეთა ჩ̃ნთა პატრონმან დ̃თ და პატრონმან გიორგი და პატრონმა კოსტანტინე... ესე მტკიცე... სიგელი გკადრეთ... წ̃ასა ნინოს და შემოგწირეთ ამა წესითა, ვითა ჟამთა სიგრძოსა დ̃ ვითა-რებისაგან თქუენი ტაძარი მოშლილი დ̃ დაქცეული იყო დ̃ მეფემან პატრონმან ლეონ ახლა მეორედ აღაშენა და შეამკო ყოვლითურთ; დასუა ეპისკოპოზი და შეს-წირნა სოფელნი და აგარაკნი: ორკოშინს რაცა სომეხი მსახლობელი არის და კიდევე თქუენს ტაძარს გარეშემო მსახლობელი რაცა ქართველი ანუ სომეხი არის, აგრევე თუალზე რაც თქუენთჳს შემოწირული მსახლობელი ყმა არის; ამას გარეთად ვიწროვნი მისის ზუარითა, აგრევე საკოკბის ქალა თავს კევი რომე ჩაიარს და ბოლოს ღელე რომე ჩაუარს, ამას შუა სახნავი და საწისქვილე; კიდევე საკანს სააბრეშუმე, სოფელი ბიქივლი, აგრევე სარჯელავად (?) წინა-უკანა საგარეჯო მთისა და ბარისა და ჩერქაზნი უთქანელამდის. ესე ყოვლი-თურთ უნაკლულოდ და მოუსარჩლელად შემოწირული იყო და სიგლითა დამტკიცებული და ჩუენცა... შემოგწირეთ და სიგლითა ამით დაგიმტკიცეთ“.... დაიწერა.. ქკსა სპე“... ხელჩართულად: „კელმწიფე ალექსანდრე ვამტკიცებ ნებითა ღმრთისათა ამინ“ ხკეულად ამტკიცებს ნიკოლოზ კზ̃ი და აზის თათრული ბეჭედი.

**1597** წ. ქკ̃ს: სპე: აქა დედოფალი (დ̃ფი) ათაბაგის ქალი მოიყვანეს (წერ. გითხ. № 1204.)

— ქკ̃ს.: სპე: როსტომ მეფემ მოიყვანა ათაბაგის ქალი თინათინ დედოფ-ლად და იქორწინა (კასუშტ. ქრონიკა).

**1597** წ. სიგელი ნინო-წმინდისა №

ჩუენ შენ მიერ მტერთა ზედა და წინააღმდგომთა ძლიერმან და უძლეველმან, იესიან-დავითიან-სოლომონიან, ყოვლისა საქართველოსა მპყრობელ-მქონებელ-მან, შაჰანშა და შარვანშა მეფეთ მეფემან ალექსანდრე და საყვარელთა და პირმშოთა ძეთა ჩუენთა: პატრონმან დავით, პატრონმან გიორგი და პატრონ-მან კოსტანტინე ესე მტკიცე და უკუნისამდე შეუცვალებელი წიგნი და გუჯარი გკადრეთ და მოგაკსენეთ თქუენ, დედისა ღვთისა საკუთარსა მო-წაფესა და მეათცამეტესა მოციქულსა, დედასა ჩუენ ქართველთასა, წმი-

დასა ნინოს... ასრე და ამა პირსა ზედა, ვითა ჩუენთა ცოდვათა მიერ და მძლავრობითა უცხო-თესლთათა ჩუენი უხუცესი დაჲ პატრონი ქეთევან მოვიდა ჩუენსა სახლშიგან, ვითარცა უწყით ქრისტიანეთა ზედა მათ ღუთის-მტერთა მიერ ძლეულება უწყალოება, მრავალი სატანჯუელი მიჰაპყრეს და თავისის მამულისაგან ექსორია ყვეს; ჩუენ ვითარცა შეჰგვანდა კელმწიფობასა ჩუენსა ვიგულეთ და შევიტკბეთ დაჲ იგი ჩუენი, ვითარცა იტყვის წინასწარმეტყუელთა უმეტესი დიდი მოსე, ვითარმედ თჳსი ნათესავისა შენისა არა უგულებელს-ჰყო; მივეცით მონასტერი მეტოქი და სახიზარი თქუენი და უდაბნოსა გარეშჯისა და დავაყენეთ მონასტერსა მას შინა აკურისასა და დავანებეთ რაცა მისი შესავალი იყო, ამა წესითა ვითა სადამდის ცოცხალ იყოს ჩუენი დაჲ პატრონი ქეთევან, მანამდისი მას ჰქონდეს ასრე, რომე რაცა წინამძღუარს იქ მდგომსა ჰქონებოდეს და ეჭამოს, ისი ჩუენმან დამან იმაროს და ჭამოს და რა სოფელმან მისი წესი არა დაიშალოს, ისრევე, რარიგაცა ამას წინათ ყოფილიყოს, ნინო-წმინდის სამწყსო და მეტოქი იყოს და სახიზარი დიდის უდაბნოსა და სხვა რაცა საუდაბნოე პირველთა მეფეთა აღაპნი იყუნენ, ისი ისრევე მოუშლელი და შეუცვლელი იყოს. ამას გარეთად სულ-კურთხეულისა მეფის პატრონის მამის ჩუენის ლეონისაგან ორნი სიგელნი იყუნეს, ერთი მთავრისშვილის ზურაბასაგან დაწერილი და ერთი პატატა ბარათისი, ისრე დაგვიმტკიცებია და ნურა კაცი იმას მშლელად და შემცვალებელად ნუ ექმნების და რა რიგაცა ყოფილიყოს, ისრევე ვინ-გინდა ვინ თორმეტ უდაბნოთ მაკურთხეველი არქიმანდრიტი იყოს, მისი მეტოქი და სახიზარი იყოს და სადგომი და დიდის უდაბნოს სალარო; სხუა ბედნიერის პატრონის მეფის ლეონისაგან ასრე გაჩენილიყო, რომე წინა-უკანას საგარეჯოს გამოსაღები ნახევარი მცხეთისათჳს შეწირული იყო და ნახევარი უდაბნოსა გარეშჯასა. აწე ჩუენცა იმ რიგითა და წერითა (წესითა?) დაგვიმტკიცებია, ვითა რაცა წინა-უკანა საგარეჯოს გამოსაღები იყოს, შუვა გაეყოფოდეს: ნახევარი ვინცა კათალიკოზი იყოს, იმას მიერთმოდეს და ნახევარი უდაბნოსა გარეშჯასა და მუნ მყოფთა მონაზონთა საკმარ და საზდელ იყოს... დაიწერა მტკიცე და შეუცვალებელი გუჯარი ესე დასაბამითგან წელთა შვიდ-ათას-ას და ოთხსა, ქკ~სა :სპე: თთუესა აპრილსა :ლ: მზის ქცევისა :Ⴈ: სათუალავსა მთვარისასა :კდ: ინდიქტიონსა (მეფობისა ჩუენისასა) ოც-და-სამსა" და შემდეგ ხელმოწერილია: მეფე ალექსანდრე ვამტკიცებ ნებითა ღ~თისათა ა~ნ" (ბეჭედი).

**1599** წ.—ქ~კნ: სპზ: აქა მეფემან სვიმონ გორის ციხე დაიჭირა;—ამასვე ქ~კსა მოვიდა სარდარი ჯაფარ-ფაშა სპითა აურაცხელითა; იქმნა ომი ძლიერი; მეფე სვიმონ ტყუედ წარიყვანეს; სრულიად სომხითი და ლორე აღაოკრეს (ხნკიმის ქრ.)

**1599** წ. ქ~კს: გპზ: აქ მიიცვალა ბატონიშვლი ბატონი როდამ, და ამასვე ქ~კსა: მეფე სვმონი დაიჭირეს (წმ. ნიკოლოზის ქრონ.)

— ქ˜: სპზ: ამა ქრონიკონსა მოვიდა სარდარი და ბატონი სვიმონ დაიჭირა (ქვათხევის. გულანი).

— ქ˜კსა: სპზ: აქა მეფე სვიმონ დაიჭირეს ურუმთა. (ყანჩ. გულანი)

— ქ˜კს: სპზ: ამა ქორონიკონსა სვმონ მეფე დაიჭირეს ურ [უ] მთა (ყამნი №3)

— ქ˜კს: სპზ: მეფემან სვიმონ ცხრა თვეს გორის ციხეს იბრძოლა, აიღო, მას შინა მყოფნი ურუმნი გამოასხნა და მშვდობით გაუშვა. —ამავე ქორონიკონსა მეფე სვიმონ და ურუმნი შეიბნეს აწეფის, ალგეთის პირს და ცხენი წაუქციეს ბრძოლასა შინა მეფეს თულაშეილმა; დაიჭირეს თათართ მეფე სვიმონ და სტამბოლს ხონთქართან გაგზავნეს, იედიყულაში დაატყვევეს, სამი წელიწადი იქ იყო, გამოიყვანეს და ათ (sic) მეიდანზედ თავი გააგდებინეს (წიგნი ქრონიკონნი)

— ქკს: სპზ: ცხრას თთჳს გორს ადგა სვმონ მეფე, აღიღო იგი და ოსმალნი უვნოდ განუტევნა (ვახ. ქრ.).

**1600** წ. ქ˜ს: სპჱ: სვმონ-მეფე, შეიპყრეს ოსმალთა და წარიყვანეს, გამეფდა ძე მისი გიორგი.—მოკუდა გურიელი გიორგი და დაჯდა ძე მისი მამია გურიელად (კასუშტ. ქრნ.)

---

**1600** წ.— ქ˜კს :სპჱ: აქა დიდი გურიელი (გრ˜ლა) გიორგი მიიცვალა (წერა-კითს. ხელნაწ. № 1204).

— ქ˜კს :სპჱ: იმერეთს მეფის გიორგის გამეფება (იხ. 1604 და 1637 წ. ქკვშ).

— ამავე დროებს ეკუთნის შიო მღვიმის სიგელი (კანტორის № 2626), რომელსაც აძლევს მღვიმეს მეფეთ-მეფე გიორგი და ცოლი მისი თამარ და ძენი მათნი ლუარსაბ და დავით : „პირველითგანცა თქვენი ყოფილ-იყო და ჟამთა ვითარებისაგან თქუენსა უდაბნოსა აღარა ჰქონებოდა.. და ჩუენ მოგაჴსენეთ ოკამი, მეშველაანი... ყუელიერის შაბათსა ჩუენთჳს... კარგაღებული აღაპი გარდაიკდებოდეს“ (12 კოკა ღვინით, კრთის კაბიწის პურით, ოთხის ორაგულით და სხ.)

— ამავე დროებას ვაჩნაძე როინ და მისი შვილი ბოქაულთ უხუცესი იორამი სწერენ: „როდეს მეფე ბატონი სუიმონ ურუმთაგან დატყუვდა (1599 წ.) და ჩუენ ხუანთქართანა ელჩად წავედით და ეს წიგნი დატყუევებული ვიპოვეთ და ვიყიდეთ ოთხმოც ფლურად და შევსწირეთ სუეტსა ცხოველსა „მცხეთურის და აწ. ეგ. მუზეუმის ხელნაწერის წარწერა გვ. 618).

**1601** წ. ქ˜კს :სპთ: მეფე კახთა ალექსანდრე და ძენი მისნი დავით, გიორგი და კოსტანტინე მცხეთას განახლებით სწირავენ სოფელს ჯიმითს და ლანუხით რვა კვამლს გლეხს „ქ˜კსა :სპთ: ინდიკტიონსა მეფობისა ჩუნისასა :კზ:“ (სიგელი მცხეთისა № 18 და ნუსხა № :სპთ:)

— ქ̃კს :სპთ: გურიელი მამია და მეცხედრე მისი თინათინ (ათაბაგის ქა-ლი :იხ. Гурія и Аджарія და ბაქრაძისა, გვ. 123).

— ქ̃კსა :სპთ: აქა დაიპყრა სრულებით დუვალეთი, ოსეთი და ალილო ციხე და სოფლები მეფემან როსტომ იმერეთისამან (წერა-კითხ. № 252).

— ქ̃კს :სპთ: გიორგი მეფემ ლორე ალილო, თჳს-თჳსად დაიჭირა (ვ. ქრ.).

— სპთ (?) აქა მიიცვალა დიდი ათაბაგის ასული ბატონი თეოდორა (წ̃ა ნიკოლოზის ქრ. შეადარე ქრთაწმიდის წარწ. Rap VI, 33—4).

**1602 წ.**—ქ̃კს :სჟ: მეფე კახთა დავით და დედოფალი ქეთევან (წმიდანი) და ძენი მათნი თეიმურაზ და ბაგრატ გლეხებს სწირვენ ნინოწმიდას (სიგელი ნინოწმიდისა № 1).

— ქ̃კს :სჟ: (**1602 წ.**) ამ ქრონიკონსა მეფე დავით მიიცვალა კახთა (ჟამ. № 3).

**1602**—ქ̃კს :ქს: გიორგი მეფე და ალექსანდრე მეფე კახთა ერევანს მოდგომილს შაჰაბაზთან მივიდნენ (ვ. ქრ.)

— ქ̃კს :სჟ: „ქ ჩვენ... ყოვლისა საქართველოსა მამად მთავართა მთავარ-მან ქართლისა ქზ̃მან პ[ატრონმან] დო[მ]ენტ[ი] ესე... სიგელი გიბოძეთ შენ ჰარმაულსა დავითს... მას ჟამსა, ოდესცა კითხულითა (?) მეფისა პატრონისა გიორგისითა მოგიბოძეთ გოგილაში ოთხი კვამლი კაცი... რისაცა ოდენ მა-მულისა მქონებელნი იყუნეს... და რაც ჩუენი სახასო მიწა იყო ისი ორი წილი თქუენ გიბოძეთ... დაიწერა ქ̃კს :სჟ: (ბეჭედი ასო მთავრულ წარწერით :რომელი განკჳსხით ქუეყანასა ზ̃ა კჳნილ იყოს იგი ცათა შინა და შუაში ასოები: Ⴌ Ⴔ Ⴛ Ⴒ Ⴐ (?) (?) Ⴔ Ⴑ, რომელიც ვგონებ აღმოიკითხვის ესრე: „იესო ქრისტე. ძლევა... ქართლისა პატრიარქი“. ამავე სიგელს აწერია: „...ბატონის მამის ჩუენის ნება დართულობითა ქკ̃ზის ბატონის დომენტისაგან ნაბოძები... აწ ჩუენ...მეფეთ მეფემან პატრონმან ლუარსაბ...გიბოძეთ... ქკს :სჟწ“ (1610 წ. ხელ-ჩართულად: „ლუარსაბ“.—გედევანიანთ გუჯ.).

**1602 წ.**—ამ წლის ახლო დროებისა უნდა იყოს შემდეგი ორი „ბრძანება“ ალექსანდრე კახთ მეფისა. მაგრამ რადგან ენა და პალეოგრაფიული ნიშნები გუჯრისა მე-XVIII საუკუნისა, ამისგამო შეიძლება ეს ალექსანდრე იყოს ერეკლე II-ის ძე, მოწინააღმდეგე რუსთა და მეფედ მწოდებელი თავისა თვისისა.

„მეფე ალექსანდრე ვიკადრებ! ჩვენ მაგიერად ბეჟან გალობლიშვილს ასე უამბეთ: მერე სახლთხუცესი გიორგი და ნაცვალი თქვენთან გამოგვიგზავნია. რაიც საალავერდოს დაემართა ამათი სიავკაცითა ახლა ესენი მოიყვენე და რაც იმ საყდრის მსახური აზნაურშვილი იყოს ანუ გლეხნი თავი თავს მოუყარეთ და თავიანთ ალაგზე დაასახლეთ და საყდარს კარგ გვარად მოუარონ. ვინც არ დაგიჯერონ, ჩვენ მოგვახსენეთ და გარდავახდევინებთ. აქა ერთი დიდი და ფიქრი ნურავისი გაქვთ. [ალექსანდრე]

„ქ. მეფე ალექსანდრე გიბძანებთ საყდრიონის აზნაურნო, გლეხნო! მერე ეს ამდენი ხანია არეულობა იყო, ხან ლეკობა და ხან ურუმობა, არ ოდეს ეს ჩვენი სასაფლაო არ დააგდევით და მანდაურობას არ გაეცალეთ. აწე რაღა ღმერთი გაგიწყრათ, რომ ეგ ადგილი ასე წაახდენინეთ. რად უნდა წასულ იყავით, ტყეში დამალვით როგორ იქნება. ეხლა საყდრიონისა ავისა და კარ-გისა გარიგება და თავობა ბეჟან მგალობლიშვილისათვის გვიბოძებია და მანდ გამოვისტუმრეთ. ამას აქათ მანდაურ საქმეს და გარიგებას ამასა ვკითხავთ. თუ რომ კარგა გაირჯებით და იმსახურებთ, კარგს წყალობას იშოვით, თუ არა-და ხათრიჯამი იყავით, ცაში რო ახვიდეთ, იქ ვერ მოგვირჩებით: ღვთითა და ბედნიერის ხანის დოვლათის ძალითა ხელში ჩაგიყრით, და თქვენ ხომ ღ~ნ და კაცმან გარდახდევინათ, მაგრამ რაც დაგაკლდათ ჩ~ნ გარდაგახდევინებთ. უბრალოდ ტყეში, კლდეში დავლა თქვენ არას გამოგადგებათ, ისევ თქვენ ალაგს დაგროვდით და რაც სამსახური გიბრძანოთ, გაარიგებდეთ და ღთის ძალით ახლა ფიქრი და შიში აღარ არის, როდესაც გინდათ ჩამოდით, გვიახე-ლით და კარგი საქმე გქონდესთ, გაირიგეთ, ისევ წადით. რადგან თქვენი თა-ობა და უფროსობა ბეჟან მგალობლიშვილისათვის მიგვიცია და სიტყვას ნუ გარდახვალთ და იმათით გაირიგებდეთ საქმეს, ისე მოგვახსენებდეთ ხოლმე და რაც კაცნი ამას არ ითვისებს მწვედ გავუწყრებით და კიდეც გარდავახ-დევინებთ“ | ალექსანდრე |

**1603** წ.—.....ჩუენ... ყოველთა მეფეთა შორის წარჩინებულმა... მეფეთ მეფემან როსტომ და დედოფალთ დედოფალმან თინათინ მოგახსენეთ... მცირე... ესე ძლევენი და შემოსაწირავი სოლომონის გლეხი... (გელათის) საყდარსა და ბატონიშვილსა გენათელსა სუიმონს დაუდევით საუპატივოდ: ამისის თეთრის ბეგრისაგან ორი შამახური სამთელი ყოველთ დიდმარხვაში დაანთებდიან ხახულის ღთისმშობლის წინათ... დაიწერა... გენათელ მთავარეპისკოპოზისა ბა-ტონიშვილისა სვიმონის და ინდიკტიონსა მეფობისა ჩემისასა ქ~კს :სჟა: თვესა აგვისტოსა.“

— ქკსა :სჟა: აქა ელენე კახ-მეფემან წაიყუანა (წერა-კითხ. № 262).

— ქ~კს :სჟ: ალექსანდრე მეფის ძემ დავით გიორგი ძმა თვისი დაიჭირა და მამა პატიმარ ჰყო, თვთ გაბატონდა.—კვალად მოკუდა მეფე გიორგი, ძე მისი ლუარსაბ მეფე იქმნა (კახ. ქრ.).

— ქ~კსა :სჟა: „მეფე გიორგი მძლეველი და გამომღები ოსმალთაგან ერევ-ნის ციხისა მოიკლა საწამლავითა შურისაგამო შაჰ-აბაზისაგან, გარდაიცვალა :ჩქგ: წელსა (ჩემი ისტორიული კრებ. გვ. 492)

ამავე წელს მოხსენებულია მეფის ლეონის ასული მონაზონი თეკლა; სჩანს 1597 წელსაც (ჩემი ისტ. კრებ გვ. 441).

**1603 წ.** ახლო დროჲსა: „...ჩუენ... მეფემან გიორგი.. დედოფალმა თამარ და ძეთა ჩუენთა პატრონმან ლუარსაბ და პატრონმან დივით... გამოძიება ვყავთ და პირველითგანცა თქუენი (ე. ი. შიოს მონასტრისა) ყოფილიყო და ჟამთა ვითარებისაგან თქუენს მონასტერს აღარ ჰქონებოდა...და ჩუენ...მოგაკსენეთ ოკამი, მეშველაანი მთითა, ბარითა... ყუელიერის შაბათსა ჩუენთვის (მღვიმენი) ჟამსა სწირევდენ სამის მღრდლითა (sic) და ერთის მთავარდიაკვნითა, თორმეტს კოკას ღვნოს დახარჯევდეს, ერთს კაბიწს პურსა და ოთხს ორაგულსა, ოცს ლიტრას · ფიჩხულსა...კარგალებული ალაპი გარდაიკდებოდეს (ლამაზის ხელით დაწერილია ქაღალდზე, ბოლო აკლია).

**1604 წ.**—ქკ̃სა :სჟბ: აქა მოკლა კახმა კოსტანტინე მა̃ა და ძმა და თვესა მეშვდესა მოკლეს კახთა მკლველი მამისა და ძმისა კოსტანტინე (ყანჩაეთის გულანი).

— ქკ̃სა :სჟბ: მანუჩარ დადიანისძე ლეონ კახეთიდამ მოიყვანეს მამასთან ოდიშს .(კახ. ქრ.)

— ქკ̃ს :სჟბ: მეფე დავით და ცოლი მისი დედოფალი ქეთევან (წ̃ა) და ძენი მათნი თეიმურაზ, ვახტანგ. (ბაგრატ? :იხ. 1602 ქკეშე) ოთხს კვამლს გლეხს სწირავენ ნინოწმიდას პატარძეულში (ნინოწმ. სიგელი № 7).

— ქკ̃ს :სჟბ: იმერთა მეფე გიორგი და ცოლი მისი თამარ სწირვენ გელათს სოფელს „კურსებს რაც სამეფო თეთრი გამოვიდოდეს და :ოვ: კოდი ლომი, ჩემის ძმის მეფის როსტომის სულის საოხად... ალაპს გარდაიხდიდენ... დაიწერა ანდიკტიონსა მეფობისა ჩემისასა მეოთხესა, ქ̃კს :სჟბ:.. მე პაატას. აბაშიძეს დამიწერია“ (ამტკიცებენ მეფენი გიორგი და ბაგრატ :გელათის სიგელი №№ 47 და 8936). რადგან სიგლებში როსტომ ცოცხალი სჩანს 1603 წელს, იგი უნდა მომკვდარ იყოს 1603—1604 წლებშუა და არა 1605 წ.

**1605 წ.**—ქ̃კსა :სჟგ: ამა ქორონიკონსა მეფე ალექსანდრე კახთა მოკლა ძემან მისმან კოსტანტინე და თუე[სა] მეშვდესავე [მო]კლეს კახთა [მკლ]ველი მამისა კოსტანტინე (ჟამნი № 3)

— ქ̃კსა :სჟგ: კოსტანტინემ დაპატიჟა თავისი მამა ალექსანდრე და ძმა თვსი გიორგი და ჰამაზე ორივ დახოცა.—ამავ ქორონიკონს ქართლის მეფე გიორგი მეჯვრის-ხევს იდგა, თაფლი მოართვეს; შიგ ფუტკარი იყო. პირში რო ჩაიდვა, უცა ფუტკარმა, პირი გაუსივა და მიიცვალა. მაშინ ქართლი ლუარსაბს უბოძა ყაენმან („წიგნი ქრონიკონნი“).

— ქ̃კს :სჟგ: მოკვდა მეფე როსტომ. ძმა მისი გიორგი მეფე იქმნა.—მოკლა ძემან მისმან კოსტანტინემ მამა ალექსანდრე მეფე და ძმა თვისი გიორგი. შემდგომად მოკლეს კახთა კოსტანტინეცა.—ამავე წელსა მოვიდა ბატონი თეიმურაზ კახეთს და გამეფდა (კახ. ქრ.). როსტომ † 1603-4 და არა 1605 წ.

**1605** წ.—ქ͠კს :სკგ: ამა ქ͠კსა მარტსა :იბ: დღესა სამშაბათსა დიდი და მაღალი სახელოვანი კელმწიფე ბატონი ალექსანდრე აწამეს; ძე მისი და ებისკოპოსნი აწამნეს და კახეთი აოხრეს ყიზილბაშთა.—ამასვე ქ͠კსა თვესა მაისსა :იგ: დღესა ორშაბათსა კ͠ლი ყვეს ცაიშის საყდარს ახლად აღსაშენებლად (წ͠ა გ͠ის გულანი). ცაიშის მაცხოვრის ხატის წარწერა მოგვითხრობს, რომ კათალიკოზ მალაქიას მიწის ძვრისაგან დარღვეულის ცაიშის ტაძრის აღშენება შეუსრულებია 1619 წ. (იხ. 1619 წ. ქვეშე).

— ქ͠კს :სკგ: აქა მეფედ დაჯდა ბატონი თეიმურაზ კახეთს (ქკათასქვის გულანი).

**1605** წ.—„ამავე ქ͠კს (ე. ი. სკგ) აბხაზეთის კათალიკოზი ეფთვმი მიიცვალა და ცაიშელ-ჯუმათელი გრიგოლის შვილი მალაქია კათალიკოზად დასვეს" (წ͠ა გი͠ს გულანი).—სამის წლის წინეთ მალაქიას კითალიკოზად დაჯდომამდე (ე. ი. 1602 წ.) ყოფილა ის საშინელი ერთ-წლოვანი მიწის ძრვა, რომელსაც დაუქცევია ცაიშის ტაძარი გალავნითურთ (Rap. VII, 33—34).

გელათის წ͠ა გიორგის მონასტრის ხელნაწერს „ოსპიოსის" წიგნს აქვს წარწერა: „დაიწერა...ბრძანებითა დიდისა აბხაზეთისა და ყოვლისა საქართველოჲსა პატრიარხისა კათალიკოზისა პატრონისა ეფთვმისითა... ბიჭვინტისა ღვთისმშობელო, აცოცხლე... რემეთუ ჭეშმარიტად იჭირვოდა წიგნთა წმიდათა წერასა და ამკობდა პატიოსანთა საყდართა, კახეთით, ქართლით, იმერეთ-ოდიშით და გურიით და დასდებდა დიდროან და პატიოსანთა ყოვლითურთ შემკობილსა წიგნებსა და ჩვენ (ე. ი. გადამწერლებს) გვიბოძებდა მათსა ალალსა მათისა კონდაკითა ნაშოებსა საქონელსა მრავალსა და აურაცხელსა და არა დასცხრებოდა.. ყოველსა წელიწადსა შინა ოთხ ოთხისა, სამ სამისა და ორ-ორისა მწერალთაჲ; გვაწერინებდა დიდისა პატივითა და წყალობითა"... „დედ-მამათა მისთა შეუნდვენ ღმრთმან"

ეს ეფთჳმი, გვარად საყვარელიძე, პირველად ყოფილა მოქველ მთავარ-ეპისკოპოსი, როგორც სჩანს მარტვილის ერთს მეტაფრასისაგან (№ 29, ჩემი უბის წ. III, 153-154) წარწერილისა: „ქ͠ე შ͠ე მოქველ მთავარებისკოპოსი ეფთჳმე" (მარტი 25); „შენ ცათა უვრცელესო და ქერაბინთა უზეშთაესო, პატიოსანო მოქვისა ღ͠თის-მშობელო, მე მოქვლ მთავარეპისკოპოსმან ეფთჳმე საყვარელიძემან დავაწერინე ესე... მეტაფრასი და შევწირე სახსრად და საოხად სულისა ჩემისა. რომელმანცა კაცმან გამოახვას"... (წყევა) „ამა წიგნისა მეტაფრასისა მწერალსა ნავკრატიოზს" წმცაძესა შეუნდვენ ღ͠ნ"...„სრულ იქმნა...ველითა...ნავკრატიოზ წმცაძისითა...ქაღალდი ავი იყო, ამის უკეთესი ვერა არ მოიყვანა" (მეტაფრასი ლამაზად ნაწერია). „სულსა მებუნიფხე შეიწყნიერსა შ͠ნ ღ͠ნ... სულსა აბრაამისსა წმცაძესა შ͠ს... ძეთა მათთა ისაკს და ნიკოლოზს შ͠ნ ღ͠ნ". „ადიდენ უფალო... მოქველ მთავარეპისკოპოსი პატრონი ეფთჳმი საყვარელიძე და ნუ უზამ მტერთა გულისასა. ა͠ნ" სხვა ხელით: „დიაკონი ათანასე ქავჟარაძე". ზუგდიდში ასვენია მოქვის ხატი წარწერით:"

„...მოქვისა ღ˜თისმშობელო, ჩვენ... აბხაზეთისა კ˜ზმან ეფთჳმი საყვარელიძემან მოვაჭედინე ხატი ესე და დავასვენე ტაძარსა შენსა მოქვს“...

იგივე ევთიმი მოხსენებულია ტექსტის ხელით მარტვილის დიდს უთავ-ბოლო გულანში: „შ˜ე ღ˜ო აბხაზთა კ˜ზი საყუარელიძე ბატონი ეფთჳმი და მე ზებედეცა (კარგარეთელი?) შემიწყალე უფალო“... „საყუარელიძე პატრონი ეფთჳმი მრავალ-ჟამიერ ყავ... და.. მდივნიშვილი ფილიპე (გადამწერი გულანისა), რამეთუ მაფრთხილობდა ამა წიგნის სიკეთესა და იჳირვოდა“ (ჩემი უბის წიგ. III, 164).

გელათის ხუცური დიდი ხელნაწერი, „იოსიპოსი წიგნი ჰურიისაჲ“ დაწერილია „ბრძანებითაჲ დიდისა აბხაზეთისა და ყოვლისა საქართველოჲსა პატრიარხისა კ˜ზისა პატრონისა ეფთჳმისითა... ბიჭვინტისა ღ˜თის მშობელო, აცოცხლე... რამეთუ ჭეშმარიტად იჳირვოდა.. წიგნთა წერასა და ამკობდა პატიოსანთა საყდართა კახეთით, ქართლით, იმერეთ-ოდიშით და გურიით დასდებდა დიდროანთა და პატიოსანთა ყოვლითურთ შემკობილსა წიგნებსა და ჩუენ გვიბოძებდა მათსა ალალსა, მათითა კონდაკითა ნაშოებსა საქონელსა მრავალსა და აურაცხელსა და არა დასცხრებოდა.. ყოველსა წელიწადსა შინა ოთხოთხისა, სამსამისა ორორისა მწერალთაჲ; გუაწერინებდა და გუაშრომებდა დიდისა პატივითა და წყალობითა“... ბოლოს: „ადიდენ სულითა და კორცითა აბხაზეთის კ˜ზი ეფთჳმი, რომლისა ბრძანებითა დაიწერა წ˜ა ესე წიგნი, სახელით იოსიპოსი... დედ-მამათა მისთა შ˜ს ღ˜ნ“

ევთიმე უწინ ყოფილა მოქველი, როგორც სჩანს გელათურის ხუცურ უზარმაზარ მეტაფრასის წარწერათაგან :ქ˜ე შ˜ე მოქველ მთავარეპისკოპოსი ეფთჳმე“ (იხ. მარტის 25-ს)... „ამა წიგნის მეტაფრასისა მწერალსა ნანკრატიოზს წმცაძესა შ˜ნ ღ˜ო ა˜ნ“ მე-1028 ფურცელზე: „უფალო ი˜ჳ ქ˜ე ღ˜ო შეეწიე და აცხოვნენ მოქველ მ˜კსი ეფთჳმი საყვარელიძე ყოველსა ჟამსა“.-მე-1048 ფურცელზე: „ადიდენ უფალო.. მოქველ მ˜კსი პატრონი ეფთჳმი საყვარელიძე და ნუ უხამ მტერთა გულისასა. ა˜ნ“... „მოქვისა ღმრთისმშობელო, მე მოქველ მკ˜მან ეფთჳმი საყვარელიძემან დავაწერინე ესე... მეტაფრასი და შევსწირე (მოქვს)...

წმცაძეს გარდა აქა იქ მოხსენებულია აბხაზების გვარნი: მებუნიფხე, ბობოყვაფხე (იხ. კიდკვ Rap VII, 109; XI 15).

**1605 წ.** — ამა წლის უწინ, ანუ უფრო დაჭეშმარიტებით, 1578—1590 წლებშუა უნდა იყოს დაწერილი ერკეთის გულანი, პირველად ცაიშისთჳს აღწერილი, რომლის წარწერანი მოიხსენიებენ ცოცხლებში აფხაზთ კათალიკოზს ევთიმეს (1578—1605 წ.), და ცაიშელს მაქსიმეს, რომელიც იყო წინამოადგილე მალაქიასი; ხოლო მალაქია ცაიშელი კ˜ზად დაჯდა 1605 წ. დ. ბაქრაძეს ყურადღება მიუქცევია შემდეგის იმავე გულანის წარწერისთჳს: „შენ... ცაიშის ღ˜თის მშობელო.. ჩვენ მინდობილმან თქვენმან დედოფალმან ელენე შემო-

გეხვეწეთ.. რათა მცველ და მფარველ ექმნათ მას ჩვენსა მანუჩარს... შენ გაზარდე ჩემი მანუჩარ შენად მოსამსახურედ... ამ სოფელს ნუ მიზამ მტერის გულისას"..., (Гурія и Аджерія, გვ. 220-1). დ. ბაქრაძეს ჰგონია, (იქვე, გვ. 223) ვითომ ეს მანუჩარ იყოს ათაბაგი (†1656.), ხოლო დედა მისი ელენე—ქალი სვიმონ მეფისა. ჩვენ-კი გვგონია, რომ აქ მოხსენებული ელენე არის დადიანის ლევან 1-ის ისტორიაში უცნობი მეორე ცოლი, მანუჩარის დედა, რომელიც მოხსენებულია ჩვენგან შეკრებილს სხვა საბუთებშიც (ჩემი უბის წიგნი IV. გვ. 48 და 25) და შიომღვიმის გულანის წარწერაში. როგორც წარწერათაგან სჩანს, ერკეთის გულანის დამწერნი იგივე პირნი არიან, რომელთაც დაუწერიათ შიომღვიმის და ცაიშის გულანი (ჩემი უბის წიგნი IV, 66-7; 52; 48; Ш, გვ. 164).

**1606** წ.—ქ~ კსა :სჟდ: ამა ქორონიკონსამდის გელათი რომ დაწყებულა :ფ: (ხუთასი) წელიწადი გარდასულიყო (ეკ. მუზ. № 186 ამაზე იხ. ჩემი „ქრონიკები" I გვ. 238).

— ქკ~სა :სჟდ: ანუ :სჟე: აქა სჳმონ დაიბადა ბატონიშვილი (წერა-კითხ სელნაწ. № 1204 იგულისხმება სჳმონ გურიელი).

— ქკ~ს :სჟდ: შაჰაბაზ განჯა აიღო და შამახია დაიჭირა,—დაიბადა მამია გურიელის ძე სვიმონ (კახ. ქრ.)

**1607** წ.—წარწერა ეკ. მუზ. ტყავის სახარებაზე № 25 გვ. 73:

„ქ~ კსა :სკგ: (1535) მე ერისთავთაჲ ერისთჳს იესეს ძემან ერისთავმან პატრონმა ქვენიფნეველმან ესე წ~ა ხატიკნი დატყუჱვებულ იყო მას ჟამსა, ოდეს ჩენი ოთხნი ბიძანი ხანდოს კევსურთა დაეკოცნეს ქ~ კსა :სკმ: და გამოეკუა ტაძრისათჳს წი~სა თევდორესსაჲ და ამ ხნის დაკარგული მე ვიშოვე ქ~ კს :სჟე (1607 წ.) და ისრევე ტაძარსა შენსა შემოვსწირე სადღეგრძელოდ ჩვენთჳს და თანა მეცხედრისა ჩვენისა პატრონისაჲ მზისთან-დარისათჳს და ძეთა ჩვენთათჳს და წარსამართებელად პატრონობისა ჩვენისა"

— ქკსა :სჟე: აქა მეფემან თეიმურაზ მოიყვანა ასული გურიელისა, დედოფალი ანა:. (ჟამნი № 3). Chr. Giorg-ით ეს მომხდარა 1605 წელს.

**1608** წ. ქ~ს :სჟვ: „ქ· ესე აგარაკის შემოწირულობის.. წიგნი.. გკადრეთ... მეტეხის ღ~თის მშობელსა - - ჩ~ნ დედოფალმა ნესტან-დარეჯან (სვიმონ მეფის ქვრივმა?)... ატენს ზვარი ჩუჱნს ზვარს პირდაპირ კევს გაღმა, ჩვენი სახასო მიწა და ვენაკი.. ქკ~ს :სჟვ:" (ნუსხა მცხეთისა, № :როე:).

**1609** წ.-ქ~ კსა :სჟზ: აქა იშვა ძე მისი ლევან (ჟამნი № 3) იგულისხმება ძე თეიმურაზ მეფისა ანნასგან იხ. 1607 წლის ქვეშე.

— ქ~ კს :სჟზ: მეფე ლუარსაბ სწირავს სოფ. ირბოს ხუთს კვამლს გლეხს. ქ~ კს :სჟზ. მარტის :კბ: (სიგელი მცხეთისა № 25, ნუსხა № მჵ, დაწერილი ხელითა კარის მწიგნობრის რევიშვილის ქუმსისათა).

— ქ҃კს :სჟზ: ლოცვანი წმიდის ქეთევან დედოფლისა. ხელნაწერი ხუცური, ლამაზად ნაწერი ქაღალდზე გვ. 320, შავყდაში, თითოეული ფურცელი არშია შემოვლებულია და ბოლოს წარწერა: „ქ҃ე ღ҃ო ადიდე ორთავე ს҃ა ცხორებათა (და ამზეგრძელე) დე|დოფ҃ლთ დედოფალი. პტ|҃რონი ქეთაონ. (sic) რ҃ლის|ა ბრძ҃ნებითა ალიშერა]რა წ҃ა ესე წიგნი. დღითი| დღე ს҃ლოცველი. ქჳ| სჟ҃ზ. მრავალმცა არიან| წელნი ცხო҃რბისა მისისა|ნი ა҃ნ: კელითა ფ҃ღ ც|ოდვილისა ქუათაკე'ვის წინამძ(ღ)ვრისა ავა|ლიშვილისა ი҃ნესითა“.

ზედვე სხვა მდარე ხლით, ხუცურადვე: (რომელნი) ძალნი წმიდა[თა]ნი ამა დაუჯდომელ იგა, სწერია შეგეწიოს და მადლმან:. მისმან დაგუიცვას სული ჩემი: გორგისა და მისა მონაგართა ჰალაშვილმა (ჰკლიაშვილმა?)

ნიკოლოზ (sic) შავიმან (შვილმან) გიორგიმა ვიყიდე სატყოჳსაგან“. (სატუკოსაგან?.).

პირველ გვერდზე ხუცურად: „კიშოკნე“ და ზედვე მხედრულად: „ქ. ჯერ არს :დუმილი: თანათგან: (კანათგან) ვერ :შეუძლეთ: ღირსებით: ქებად: შენდა:' ღ҃თის მშობელო:“... (მეცხრე ძილის პირი ამ საგალობელს არშიაზე აწერია სხვა ხელით მხედრულად: „მამაო ლუარსაბ[ის] მიერ“ (გაურჩეველად). მეორე ფურცელზე ლამაზ მხედრულით არშიებზე აწერია: „ჩეფის ძის დავითის არის ႷႱ დაუჯდომელი თუთ Ⴌ҃ის ჩოწამის ჭეთევან Ⴆედოფლის ნაქონი არის:“

პირველის ფურცლის მეორე გვერდზე: „წ҃ა ესე დაუჯდომელი მიბოძა განსვენებულმან დავით ჩუბინაშვილმა სახსოვრად პეტერბურღს 1890 წელსა. მე მოვართვი მისს ბრწყინვალებას თავადს ნიკოლაოზ ზაალის ძეს ჭავჭავაძეს, ოდეს წმ. ეკკლესიისთვს დევნული ვიყავი და ვსჰცხოვრობდი დროებით მოსკოვს მიხ. საბინინი 1892 წ.“

მე-6-12 ფურცელს ქვემო არშიაზე ატყვია ცრემლთაგან დარჩენილი ლაქა. აქა-იქ სხვაგანაც და სანთლის ნაღვეთი. ერთს ალაგას ატყვია სისხლის წვეთი და იქვე ზემო არშიაზე ლაქა ცრემლთაგან.

— ქ҃კს :სჟზ „ამა ქკსა თათარხანი ჩამობრძანდა“—და ზედვე სწერია სხვა ხელით: „და ავათ წაბძანდა“ (ციშის ჟამნ-გულანი).

— ქკ҃ს :სჟზ: აქა მოვიდა თათარხანი და სამცხისა შავშეთისა და ნიგლის კევის ფაშები და ლაშქარი და შაება მეფე ლუარსაბ და გააქციენა და მცირედნი[ლა წარვიდნენ] - - - (წაჩრილა.—ქვათახევის გულანი.)

— ქკ҃სა :სჟზ: აქა თათარხანი მოვიდა ქართლს და ლუარსაბ მეფემან გაიმარჯუა (ყანჩაეთის გულანი).

— ქკ҃სა :სჟზ: თათარი ჩამოვიდა, ამოსწყვიტა ლუარსაბ მეფემ და მოურავმა ქართველთ („წიგნი ქრონიკონნი“)

— ქკ҃ს :სჟზ: მეფეს ლუირსაბს თათარხანზედ გაემარჯვა, მოსწყვიდნა.—და გურიელმან მამიამ აჭარა დაიპყრა, ოსმალნი მოსწყვიდნა (კახ.ქრ.)

— ქკ҃ს :სჟზ: „...ჩვენ ათაბაგმან პატრონმან მანუჩარ შემოგწირეთ... რუისის საყდარსა მღთეებისასა და ხატსა ფერისცვალებისასა სრულიად ხურია-

ნინელი ბებნის მსახლობელნი და რაც ამ ქვეყანასა იყვნენ და ან იქიდამა ჩამოვიდნენ ვერავინ შეგეცილოს რუის საყდარსა.., ოდეს მას ჟამსა კურთხეული ბატონი დედა ჩვენი მეფეთ მეფის სვიმონის ასული ბატონი ელენე მიიცვალა და მიწად აქ მივიღეთ, დავდევით ალაპი ათსა დღესა, თვითონ ეპისკოპოსი და ამ საყდრის დეკანოზი ჟამსა უწირვიდენ და დაკლვიდენ ორს ცხვარს და ეპისკოპოსი პურსა და ღვინოს თავისას დახარჯამდეს... დაიწერა.. ქკ̃ს :სკზ: (ხელმოწერილია:" მანუჩარ" —პირიდამ გადმოვიღე).

**1610 წ.** „...ჩუენ.. ქკზ̃მან.. ზებედე.. კითხვითა და ნება-დართულობითა მეფეთ-მეფის ლუარსაბისითა..გიბოძეთ...თქუენ კათოლიკე ეკლესიისა (მცხეთის) ჯუარის მტვირთველსა ელიოზის ძეთა გედეონის შვილთა დავითს, როსებს, ქაიხოსროს..ერედვს გილაშვილი გ̃ი... მისის მამულითა... (და სხვა გლეხებიც).. დაიწერა ქკს :სკჲ: კელითა ორდუბეგიშვილის ქრისტეფორესითა" (ეს შემდეგ გ̃ზად დაჯდა როსტომ მეფის დროს).

— ქკ̃სა :სკჲ: აქა მამია გურიელმან აჭარა დაიპყრა (წერა-კითხ. № 1204)

— ქკ̃ს :სკჲ: მოკუდა დედოფალი თინათინ, როსტომ (იმერთა) მეფის ცოლი. კვალად მოკვდა ბატონის თეიმურაზის ცოლი ანნა (კახ. ქრ.).

**1611 წ.**—კ̃სა :სკთ: აქა დადიანი მანუჩარ ცხენმან მოკლა (წერა. კით. № 1204).—ილორის წ̃ა გ̃ს ხატის წარწერა მოგვითხრობს... „ზუგდიდს ნადირობასა ცხენის რბევასა შიგან შეიძგერნენ ბატონი (მანუჩარ) და გოშაძე ფარუხია და ცხენი წაიქცა, ამიერ სოფლით მიიცვალა" (Rap. VIII, 99,).

— ქ̃კს :სკთ: ნადირობაში ცხენმან მოკლა დადიანი მანუჩარ და დაჯდა ძე მისი ლეონ დადიანად;—და წარვიდა ყეენთან ბატონი თეიმურაზ მგლოვიარე (კახ. ქრ. იხ. მანუჩარის სიკვდილი 1612 წლის ქვეშე.)

**1612 წ.**—ქკ̃ს :ტ: ბატონმან თეიმურაზ ქორწილი ქმნა ლუარსაბ მეფის დას ხვარაშანზედ (კახ. ქრ.) ლევან დადიანი თავის-თავზე იტყვის: „...სუდისა ნადირობასა ცხენი ხრამსა ჩამივარდა და წ̃მექცა...მოვრჩი შეწევნითა შენითა წ̃ო გ̃ი და ვერა ირგორა ამ საქმით მტერმან ჩემმან"...(წარწერა ილორის წ̃ა გი̃ს ხატზე.. ჩემი ისტ. კრებ. გვ. 381. Rap VIII, 99).

— ქ̃კსა :ტ: აქა მანუჩარ ბატონიშვილი მიიცვალა (წერა კითხ. № 1204)

**1612 წ.** მაისის 10-ს მეფე თეიმურაზ (და ძენი ლეონ და ალექსანდრე) სწერს: „ოდეს ყოველთა მპადმან არსთამან წარიყვანა თანამეცხედრე ჩემი დედოფალი დედოფალი ანა (ეს ოქრო ასოებით) ჩემგან,... შემოგწირე (ალავერდს).. კაკელთათ კვამლი კაცი (სულ 37 კვამლი, კისისხევში, შუშაანში და სხ. კრცლად ჩამოთვლილია).. თარხნად.. არა ეთხოებოდეს რა... არა ყარახარჯის (sic), თვნიერ ლაშქარ-ნადირობისა და საურისაგან კიდე.. (გაუჩენია ალაპები 11 ჯერ წელიწადში).. თითოსა ალაპსა შ̃ა დაიკლოდეს ორ-ორი ზროხა და ათ-ათი ცხვარი

და მისი პური და ღვინო და საურწყო და თევზი.. და გლახაკთათჳს სამ-სამი ლიტრა აბრეშუმი დაიხარჯებოდეს... დაიწერა ქკ̃სა :ტ: თვესა მაისსა ათსა, ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა :ვ: ხოლო კელითა ავალიშვილისა მთავარეპისკოპოსისა ი̃ნესითა.. ან" (წარჩინებული ხელი: :ის. ალავერდის სიგელი № 6 ).

**1613 წ.** — ქკს :ტ: აქა მოვიდა შაჰაბაზ ყეენი; ბატონი თეიმურაზ იმერეთს მორჩა და ბატონი ლუარსაბ თან წაიტანა, კახეთი ამოაგდო და ქართლი ბატონს ბაგრატ მეფეს უბოძა და ისე ქსნის ერისთავად დასო. (ქვათახევის გუჯარი).

**1613 წ.** მცხეთი გუჯარი № 163 (ნუსხა :ტლ:); „ქ. ესე წიგნი მოგაჴსენე მე მოსემ (მცხეთას) და.. ქკ̃ზსა იოვანეს ასრე.. რომე გავაზს ერთი კუჰმლი... გებოძეთ მათის მამულით.. და დავდევით ამისა სამუქფოთ წელიწადში ღჳნო საპალნე ათი...მოწამენი.. ნეკრესელი ებს̃კზი პატრონი რომანოზ, კარის წინამძღვარი პატრონი ზაქარია (მერე კ̃ზი?), მთავარ ანგელოზის წინამძღვარი ანტონ, სვეტიცხოვლის სახლხუცესი ივანე. ქკ̃ს" :ტ:"... (ეს კ̃ზი ივანე, ისტორიაში უცნობი, დაჯდა 1610 წელს და მოკვდა იმერეთს 1615 წლის ახლო ხანებს: იხ. 1615 წ. ქვეშე).

— ქკ̃ს :ტ: აქა ლუარსაბ მეფე ყაენთან წავიდა, თვესა აგვისტოსა (უანჩაკთის გუჯარი).

**1614 წ.** ქკ̃ს :ტბ: მოკუდა მანუჩარ ათაბაგი და დასჯდა ძე მისი მანუჩარვე ათაბაგად (კახ. ქრ.)

— ქკ̃ს :ტბ: მეფემ თეიმურაზ-ხუარაზმშან (ძენი: ლეონ და ალექსანდრე) მეტეხის ღ̃თის მშობელს „შემოგწირეთ უჯარმას მონასტერი სიონი და ხორაუგს ქუაბნი.. მას ჟამსა, ოდეს სასურველი ასული მეფისა... გიორგისი თანამეცხედრედ ჩუენდა მოყუანებად კელვყავით.. დაიწერა კელითა მოძღურისა ჩოლოყაშვილის ნიკოლოზისითა ქკ̃ს :ტბ:" (ნუსხა მცხეთისა № :სნდ:).

— ქკ̃ს :ტბ: აქა შაჰაბაზ კახეთს მ[ოვიდა]. ამავე ქ̃კს ლუარსაბ დატყვევდა ყაენისგან; ბაგრატ გაბატონდა (ცაიშის ჟამნ-გუჯარი)

— ქკ̃სა :ტბ: (1614 წ.) [აქ]ა მოვიდა ყაენი; დაი[ქე]რა კახეთი და ქართ[ლი] (ჟამნი № 3).

— ქკ̃სა :ტბ: მოვიდა შაჰ-ბაზ ყეენი ასაოხრებლად. ბატონმა თეიმურაზ თავისი დედა ქეთევან დედოფალი და ორი მისი შვილი ალექსანდრე და ლევან წინ მიაგება, ნუ თუ პატივი დამდვანო და კახეთი აღარ აღაოხრონო, მაგრამ ყეენმან არ დაიშალა. დედოფალი და ორი მისი შვილი ალექსანდრე და ლევან შირვანს გაგზავნა. დედოფალი იქ აწამეს და შაჰაბაზ ყეენმა კახეთი წაახდინა, აჰყარა და ფერიას დაასახლა. მერმე ქართლს მოვიდა ლუარსაბ მეფე იმერეთიდამ, გარდმოიყვანა და თან წაიყვანა („წიგნი ქრონიკონნი").

**1615** წ.—ქკ̃ს :ტგ: შაჰაბაზ განჯას მოვიდა. თეიმურაზ[მან] დედა და ძენი წარუვლინნა და ალიყულის ხანის გაქცევას უკან შემოვიდა კახეთს და ქართლს; ლუარსაბ და თეიმურაზ იმერეთს წარვიდნენ. მერმე ლუარსაბ მეფე წარიყვანა (კახ. ქრ.)

— ქკ̃ს :ტგ: ლუარსაბ, ძეჲ გიორგისა და მეფე კახეთისა თეიმურაზ, ძეჲ დედოფლისა ქეთევანისა, წარვიდნენ იმერეთად წელსა 1615" (ჩემი ისტ. კრებული გვ. 482).

**1615** წლის ახლო დროებისა: წარწერა სვეტი-ცხოველის „საქადაგო ხატზე": „სვეტო ღვთივ აღმართებულო, ჳართო საუფლოო. და მირონო წმიდაო... შევამკევ და გავაჭედინე ჳუბო ესე სვეტის ცხოვლისა, საქადაგე ხატისა ჩვენ ჳულისა ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კზ̃მან გურიელმა მალაქია (დაჯდა კ̃ზად 1605 წ.)... მას ჟამსა, ოდეს შააბაზ ყაენმან კახეთი და ქართლი აღაოჴრა და ქართლის ბატონები ორნივე ლიხთ მთას აქათ გარდმოვიდნენ და ჩვენ ვიხიზნეთ და ქართლისა კათალიკოზი იოვანე ჩვენთან მოვიდა და ჩვენთან მიიცვალა და რაცა საკათალიკოზო იარალი დარჩა, ზაქარია კზ̃სა მივაბარეთ (ეს ზაქარია კ̃ზი არის მოადგილე იოვანესი: იხ. 1613 წ. ქვეშე); ესე საქადაგე ხატი, სურა, ბარქაში აქ დარჩა და თუ მართლად საქართველო შეიქმნას, იპრიანოს ღ̃ნ, ჩვენ მოვახსენოთ ამის საყდრისა და სხვაცა მრავალი კარგი შევსწიროთ"... (ჩემი ისტორიული კრებული, გვ. 452). ზაქარია კზ̃დ სჩანს 1616 წ.

— ქკ̃ს :ტგ: აქა ბატონი თეიმურაზ მეფე იმერეთს ჩევიდა (sic). მესა[მეს]თვეს ყაენზედა გაიმა[რ]ჯვა გურამიანთ ბო[ლოს]. (ცაიშის ჟამნ-გულანი).

— ქ̃კს :ტგ: აქა ყარჩიხან მოვიდა; დაესხნეს ქართველნი და მოსწყვდეს და ბატონი თეიმურაზ გაბატონდა. ამავე ქკ̃ს ყორჩიბაში მოვიდა, ქართველთა სძლიეს და მერმე მათგან არა ივნეს (ცაიშის ჟამნ-გულანი.— შეადარე ქვემო 1623 წ. ქვეშე).

**1616** წ.— ქ̃კსა :ტდ: აქა ბატონმა თეიმურაზ გაიმარჯვა ყიზილბაშზედა. (ყანჩაეთის გულანი).

— ქ̃კს :ტდ: თეიმურაზ კახეთი დაიჭირა. შაჰაბაზ მოვიდა ტფილისს, დაუთხანის ძე ბაგრატ მეფედ დასვა, გაბრუნდა, კახეთი აჰყარა, წარიყვანა სრულიად, თეიმურაზ იმერეთს წარვიდა (კახ. ქრ.)

— ქ̃კს :ტდ: ყაენი მოვიდა; აღაოჴრა კახეთი, აღილო ციხე თორგა, დასწვენა ხატნი და ჯვარნი და წმიდა გიორგი ალავერდისა (ჩხეიძის ქრ.)

— ქ̃კს :ტდ: ენკენისთვეს :გ: მცხეთის მამულების სია კზ̃ს ქრისტეფორესი (მცხეთის ნუსხა № :როკ:)

**1617** წ. ქ̃კს :ტე: „ქ. ესე წიგნი მოგაკსენე... სუეტ'ა ცხოველსა.. მე ერისთავმან პატრონმან ნუგზარ (და მეთა ზაინდურ და გ̃იმ).. ასრე.. რომ ჩუენი სამკვდრო გერი და გერისთავი სუეტისცხოვლისათჳს შეწირა (შეეწირა) მეფეთა. კიდევე არბო, სგენასმანი (sic) სუეტის ცხოვლისა იყო და ეს ჩუენ დავიჭი-

რეთ და ამისად სამუქმოდ (sic) ჩუენ მოგართვით ქორდს ჩუენი სამკუიდრო კვამლი სამი ბექნიაშვილი ირემა (და სხ.) ქ~კს :ტე: (მცხეთის სიგელი № 104, ნუსხა № :მზ:).

— „მეფე ბაგრატ გიბრძანებ... წყალობითა შაბასისათა... ბაჟს ნუ სთხოვთ (სვეტი-ცხოვლის ყმებს) და რაც ბაშმალი აეღოთ, ისიც მიეცით" (ნუსხა № :რმკ:)

**1618** წ.—ქ~კს :ტვ: „ქ. ჩუენ.. მეფემან.. ბაგრატ... შემოგწირეთ. (მცხეთას) სოფელი ახალციხე... და სოფელი აგარაკი.. არა გეთხოებოდესრა...ქ~კს :ტვ: ინდიქტიონსა მეფობისა ჩუენისასა მესამესა (sic), თუესა იანვარსა :კვ:" ხველად :„ბაგრატ" (მცხეთის სიგელი № 30 და ნუსხა № :ე:).

ამავე დროებისა წერილი მეფის თეიმურაზისი: „—ერისთავს სიძეს ბატონს ზურაბს მრავალი მოკითხვა მოახსენეთ.... საფურცლე და მისაქციელი სვეტისცხოვლისა არის, მაგაზე კელს ნუ დაიდებთ, კ~ზს მიაბარეთ, სვეტის-ცხოვლის მამულთან არა-კაცს კელი არა აქვს"... (სიგელი მცხეთისა № 214).

**1618** წ.—ქ~კს :ტვ:. გურიელის მამიას ქალზედ იქორწინა მეფის გიორგის ძემ ალექსანდრემ (კახ. ქრ).

**1619** წ.—ქ~კს :ტზ: „ჩვენ დიასამიძე ბოდბელმან ევდემოს მოვაჰედინეთ ნეკი ესე წ~ისა სტეფანესი... სულისა საოხად ქ~კს :ტზ:" (ჩემი ისტ. კრებული, გვ. 479).

— ქ~კს :ტზ: მოკუდა ბაგრატ, რომელი დაუტევა შაჰაბაზ მეფედ და ჩვენ ძემან მეფისა ბაგრატისამან სვიმონ და დედამან ჩვენმან ანნა გიწყალობეთ.... (კახ. ქრ.)

— ქ~ს :ტზ: „მას ჟამსა ოდეს საჰეთ ვიპყრობდი ცაიშს ჯუმათს საყდარსა ზედა ჩვენ ძემან გურიელისა გიორგისამან პატრონმან მალაქია კელვყავ ცაიშის ტაძრის შემკობად და დავახატვინეთ და აღვასრულეთ გუმბადი საფუძველადმდე რამეთუ ესრეთ შევამკევით.... (Rap VII, 29-35)

ორბელიან გუჯრებში ჩვენ ვიპოვნე უბრალო ქაღალდზე ნაწერი შემდეგი საყურადღებო ნუსხა ორბელიანთ შემოსავლისა ყმათაგან. (არაბულ ციფრებით ჩვენ გამოკვეთილთ სიტყვები შემოკლებისათვის).

ქ~კს :ტზ: (**1619** წ.) ქ. თარხანმან ანუ მოყალნემან რაც გლახა ან მდიდარი არის კვამლზე შობას (?) თ თო ცხვარი, აღდგომას თვთო ბატკანი, საყვერულო ქათამი, თვთო საბიზიერო ქათამი უნდა მოგგვარონ.

ქ. ამას: გარდაის: ცხვრის: პირზე თვთო ჯერი ყველი, ფლურისთვის (ერთი სიტყვა ამოშლილია) თორმეტი სტილი ერბო, სოფელზე თვითო ცული, თვითო საბელი, თვთო ქორშიკი, თვითო ტომარა, ცხენის ნაბადი მოიკრიფებით დაუკლებელად.

ქ. ამას გარდა დაუკლებელად სახლზე თხა, სალორე ღორი, სამთო ღორი: ოთხას ორმოცი მოვა.

ქ̃კს :ტზ: (1619 წ.) პაპუნას ჟამში თვრამეტი თუმანი საერთოჲს მალით მოიკრიფოდა და შვიდი თუმანი პაპუნასა თავის თაოსი და საერთოს მალს ექვსს თუმანს თვითონ დაიჭერდის სამსამს ჩვენ მოგვცემდის; მას უკან თვრამეტი თუმანი და შვიდი ოცდა ხუთი შეიქნება აღარც ფული გვინახავს.

ქ. სასვონო (?) თხუთმეტი თხუთმეტი თუმანი საერთო იყო, ხუთი თუმანი პაპუნას სათავისთაო: ისრევ ამ ოცის თუმნისა არა გვინახავს რა.

ქ. ბოლნისზე თუ თრიალეთზე ან ჩვენს მამულში რაც ქარავანი გაივლის ბაჟი სულ ჩვენა: აბრეშუმზე აბაზი, ენდროზე და ბამბაზე ორი შაური, ფაჩაზე (?) ექვსი შაური, ხიზილალაზე თევზზე ერთი შაური, ბრინჯზე ერთი შაური, რკინისა რისაც ფერის ერბოს თაფლის ბაჟი არა გვიღნახავს.

ქ̃კს :ტზ: (1619) ქ. ნახიდურისა ზვარს ტკბილი საპალნეზე ასოცი.-ნახიდურს კულუხი ტკბილი საპალნე ოცდა ათი.— ქ. მუხრანას ზვარს ტკბილი საპალნე 240: კულუხი ტკბილი საპალნე 20 . .ქ. ბალახურის ზვარს . . 21
კულუხი . . . 1. ქ. შუა ბოლნისის ზვარს . 100
ქ. წურულანშის ზვარს საპალნე 45, ქ. ქვემო ბოლნისის ზვარს . . 40
და კულუხი 40 ქ. ტანძიის ზვარს საპალნე 15, კულუხი საპალნე . 15.
ქ. ჰალის ზვარს საპალნე 12, კულუხი საპალნე 1. ქ. მუსეფრიანის ზვარს
საპლნე - . . . . . . . . . . 5
კულუხი საპალნე. ქ. ვარდისუბნის ზვარს საპალნე 18; კულუხი საპ. . 10

ქ̃კს ტჱ (1620 წ.) ქ. ნახიდურს ზვარს საპალნე 180; სოფელს კულუხი საპალნე ოცი.

| | | |
|---|---|---|
| ქ. მუხრანს ზვარს ტკბილი საპალნე | 310 | . კულუხი: . . 30 |
| ქ. ბალახაურს ზვარს . | 24 | . . 1 |
| ქ. შუაბოლნის ზვარს . | 140 | . |
| ქ. ქვემო ბოლნის საპალნე . | 43 | . . . . . |
| ქ. წულრულაშენს | 50 | სოფლის კულ. საპალნე 50 |
| ქ. ტანძიას . | 22 | . . . 16 |
| ქ. ტალას ზვარს | 13 | . . |
| ქ. ჯანაზიანს ზვარს | 20 | . 1 |
| ქ. მესეფრიანს ზვარს . | 7 | . . |
| ქ. ვარდის უბნის ზვარს . | 19 | . . . . 12 |

ქ. ამის გარდაის მოკრიფა ასლან თავისს ბატონობაში ჩვენს სათავისთავის სოფლებშიაც და საერთოშიაც თეთრი თუმანი ოთხმოცდა თორმეტი, კიდევ თეთრი თუმანი თოთხმეტი. პურძვირობას მოკრიფა პური კოდი ცხრაასი. კიდევ პური კოდი სამასი; ცხვარი თავი ხუთას ოცდა ცამეტი- ამათი არც თეთრისაგან ფული გვინახავს და არც პური და სახორცე გვიჭამია.

ქ. ამის გარდაის შეაგდო აზნაურშვილებს, უდები დასდვა: ღვინო საპალნე, ზროხა, ცხვარი, პური კოდი. ამათი არა გვინახავსრა (გარდაის იმისა), რაც ერთს დღეს მეფეს კი დახვდა.

ქ̃კს ტზ (1609 წ.) ქ. ამ წლის პური,—ახალი გაბატონებული იყო,— ჩვენ არას გამოვეკიდენით, ასე დაფანტა არცა რა გვინახავს, არც მოსავლისა რა შეგვიტკბუნა. მერმე გავფრთხილდით.

ქ̃კს ტჱ 1620? ამ წელიწადს ბარის სათვიმო (?) სოსცდა. მოვიდა მათის სათემოში პური კოდი ორას ორმოცდა ათი.....

ქ. ამას გარდა ბარის ქვეყანას ბარდის, ტაშირსა და ლაქს (?) გარდა ის მარტო დმანის კევში გუთანზე მოკრიფა პური და ქერი თორმეტი ათასი ტაშირის და ბარისა სახლთხუცესს კითხეთ, რა მოვიდა ჩვენი მოსავალი ტაშირია(?)

ქ. ამას გარდაის რაც მეფის დავთარში არა სწერია და მეფისგან თარხანთა იმ სოფლების კოდის პური საბალახე და ხარის თავი, პურის თავი სახლთხუცესმან და მებალახემ და მოხელემა ბძანონ რა იქნა.

**1620** წ.—ქ̃კს :ტჱ: ბატონი თეიმურაზ სტამბოლს წარვიდა;—და შაჰაბაზ ძენი მისნი გამოასაჭურისნა (კახ. ქრ.).

**1621** წ.—ქ̃კს :ტთ: სვიმონ, მამია გურიელის ძემ, ქორწილი ქნა ლევან დადიანის დას მარიამზედ (კახ. ქრ.). ეს მარიამ მისის ქმრის ბერად შედგომის შემდეგ (1625 წ.) შეირთო ცოლად ქართლის მეფემ როსტომ 1634 წ. იყო დიდი მფარველი მწერლობისა და ქრისტიანობისა.

**1622** წ. ქ̃კს :ტი: მეფე ლუარსაბ შეწირულ იქმნა შაჰაბაზისაგან წელსა 1622 „წიგნი ქორონიკონნი“.

**1622**—ტი: შაჰაბაზმან მეფე ლუარსაბ მოაშთობინა მშვილდის საბლით გულაბყალას. (კახ. ქრ.)

— ქ̃კს :ტი: ერისთავი (ზურაბა?) სწერს „ქ̃კზს ქრისტეფორეს: მას ჟამსა ოდეს ბედნიერმა ყაენმა კელმწიფემ შაჰაბაზ ჩვენი მკვდრივე საფურცლე და გოგლაანი ჩუენვე გვიბოძა“ (ამ მამულების მაგიერ მცხეთას სწირავს ბროწლეთს (:ნუსხა მცხეთისა № :მე:)

—ქ̃კს :ტი: ფავლენიშვილს იორამს ბროწლეთი მიუყიდნია მუხრან-ბატონის თეიმურაზისთჳს, მისის ძმის ქაიხოსროსთვის (შვილნი თეიმურაზისნი: ვახტანგ, არჩილ, ბაგრატ, ერეკლე, გ̃ე და დ̃თ): „ერისთავს.. ბედნიერის ყაენის ბრძანება მოუვიდა და იქ წავიდა, ველარ იყიდა და აწე თქუენ მოგყიდეთ... დაიწერა ბრძანებითა მეფისა სვიმონისითა... არიან ამის მოწამენი.. ქსნის ერისთავი შანშე.. (და სხ.).. დაიწერა.. ქ̃კს :ტი: (მცხეთის ნუსხა № :მდ).

— ქ̃კს :ტი: მოხსენებულია ქ̃კზი ქრისტეფორე მცხეთის სიგელში № 228 და ნუსხა № :კგ:

— გლეხები სიგელს აძლევენ ქ̃კზს ქრისტეფორეს, „ასრე რომე თქუენ ანთოკს დაგუასახლეთ და ჩუენ ეს სათიცარი მოგართვით: ჩუენს სიცოცხლეში ჩუენი თავი სუტს ცხოველს არ გამოვსწირით და არცაღა სხუაგან სადმელა წავიდეთ“.. (ნუსხა მცხეთისა № :სოდ:).

**1622** წ. ბიჭვინტის გუჯართა კრებული № 111, გადაწერილი 1622 წ., როგორც გვაუწყებს ბოლო წარწერა მისი: „ღ̃თო და შვიდცათა უმაღლესო ბიჭვინტისა და ცაიშისა ღ̃თსმშობელო და მთავარ-ანგელოზო ჯუმათისაო და შვიდ-წილ უძლეველო მხედარო დიდო მოწამეო გიორგი ხონისაო! შეეწიეთ ორთავე შინა ცხოვრებათა აქა და უმეტეს საუკუნეთა ყოვლისა ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კათალიკოზს ცაიშელ-ჯუმათელსა ხონელ მთავარებისკოპოზსა გურიელის გიორგის ძესა ბატონს მალაქიას. მისითა ბრძანებითა აღიწერა ნუსხა ესე მეფეთ მეფობასა კოსტანტინეს ძისა ბატონის გიორგისასა და დადიანობასა მანუჩარის ძისა ბატონის ლეონისასა და გურიელობასა გიორგის ძისა ბატონის მამიასასა ქ̃კს :ტი: გათავდა თვესა ნოემბერსა რვასა, დღესა ხუთშაბათსა (რვა ნოემბერი ხუთშაბათს მოდიოდა 1621 წელს და არა 1622 წ.).

**1622** წ., სეკდ. 23-ს. სიგელი გედევანიანთა, მიცემული ქ̃კ̃ზის ქრისტეფორეს მიერ: „...გიბოძეთ დიდისა და ცათა მობაძავისა კათოლიკე ეკლესიისა ჯვარისმტირთველსა ელიოზისძეთა გედევანისშვილთა დავითს, როსებს, ქაიხოსროს, პე[ტრეს], გიორგის, აბიათარს... მოგეცით ბეგსარაშვილისეული სამცხეთის შვილო და ბიძისთქვენისეული გეშაშვილის მამუკასეული.. დაიწერა... ქ̃კს :ტი: (sic), სეკდემბრის :კგ: (საკათალიკოზო ბეჭედი).

— ქ̃კს :ტი: (თუ: ტია?) ამა ქ̃კსა გოჭაურის ომი იქნა (ეკლ. მუზ. № 186 იხ. 1633 წ. ქვეშე).

— ქ̃კს :ტი: „მეფე ლუარსაბ შეწირულ იქმნა შახ-აბზისაგან 1622 წ. (ჩემი ისტორ. კრებული გვ. 482).

**1622** წ. თირის მონასტერზე მხედრული წარწერა: „ქ. შეწევნითა ღთისათა, მეოხებითა და თავსდებობითა ღვთიმშობელისათა ჩუენ თაქთაქიძემ მროველ ეპისკოპოსმან ფილიპემ... ავაშენეთ საყდარი ესე წ̃სა ნიკოლოზისა, ოდეს ბედნიერის კელმწიფისაგან ჩუენს ნათესავსა სასაფლაოდ სამკვდროდ და სამამულოდ მოსცემოდა ესე მონასტერი, მამა-პაპანი მარხულ იყვნეს, მათი მოშლა აღარ იქნებოდა და ეს ეკვდერი ავაშენეთ, სასაფლაოს შეუმატეთ. ქ̃კს :ტი“ (იხ. ჩემი უბის წ. I,191 და Rap. VI, 60).

**1623** წ.—ქ̃კს :ტია: შაჰაბაზ ყაენმა ყანდარი დაიჭირა (ბ. კარბ. ქრ.).

— ქ̃კს :ტია: აქა მოვიდა ყარჩიხან და მრავალი ლაშქარი ამოწყვიტა და გააქცივაა, სამცხე, ქართლი და კახეთი ერთს დღეს წაართო ყეენსა, არეზს ზედათი დაურბივა და ქართლისა და კახეთისა ბატონად ბატონი თეიმურაზ დასვეს (ქვათახევის გულანი: შეადარე 1626 წ. ქვეშე).

— ქ̃კს :ტია: ყარჩიხან და მოურავი მოვიდნენ, სვიმონ მეფე დასვეს ტფილისს; მუხრანს კახნი მოსწყვიდნეს, მერმე მოურავმან ყარჩიხან მოკლა, სპანი მისნი სრულიად მოსწყვიდნა —და ბატონი თეიმურაზ კახეთს მოიყვა-

ნეს.—კვალად გიორგი მეფე და ლევან დადიანი გაჭიაურზედ შეიბნენ, დადიანს გაემარჯვა (კახ. ქრ.) „..შევებენით იმერელ მეფესა გიორგის ახალ-სოფელს მისვლაზედ, ოლასკურას გაღმა, ვსძლიეთ... და შევსწირეთ წელენჯიხას მეფისა ქაიანური დროშა... (ჩ. ისტ. კრა 381. Rap. VIII, 100).

**1624** წ. ქ~კს :ტიბ: ყარჩიხან და უსუფხან მოკლეს ქართველთ მუხრანში („წიგნი ქორონიკონნი")

— ქ~კს :ტიბ: ამა ქ~კსა დასაბამითგან წელნი: ხრლა: (უნდა იყოს გრლა).

— ქ~კს :ტიბ: ყორჩიბაში მოვიდა და დიდი ომი იყო (ყანჩ. გულანი).

— ქ~კს :ტიბ: ყორჩიბაში მოვიდა, მანუჩარ ათაბაგი ურუმთაგან ლტოლვილი ქართველთან მოვიდა:—და მარაბდის ომი იქნა, ქართველთ დაუმარცხდათ.—ყიზილბაშთ არშიდამ ქალი გამოიყვანეს—და წარვიდა ყორჩიბაში, სვიმონ მეფედ დაუტევა ტფილისს.—ბატონი თეიმურაზ კახეთს მოვიდა.—ქეთევან დედოფალი აწამეს შირაზს. (კახ. ქრ.). ნ. ანთაძის მიერ გელათში გარდაწერილი ქრონიკა მოგვითხრობს: „1630 წ. ქეთევან დედოფალი აწამა შაჰამ (შახ-აბას) ყეენმა".

— ქ~კს :ტიბ: დედოფალი ქეთევან შეწირულ იქმნა შაჰ-აბაზისაგან წელსა 1624" (ჩემი ისტ. კრებული გვ. 482 (*).—წელენჯიხში ბროსსეს უნახავს ხატი, იხპაგანში ნაპოვნი ალავერდელის მიტროფანესაგან წარწერით: „...ხელ ვყავი მკობად ხატისა ამის შენისა...მადიდებელი შენი დავით დაიცევ, ხოლო თანამეცხედრე მისი ქეთევან ძითურთ მათით დაიფარენ. ა~ნ". (Rap. IX, 21) ი. ჩუბინოვს მ. პ. საბინინისთვის უჩუქებია თჳთ წ~ა ქეთევანისთვის დაწერილი და თჳთ მის წმიდანის ნაქონი ლოცვანი, მის წმიდის ცრემლით დალტობილი.

— ქ~კს :ტიბ: „...ჩუენ ბატონმან მანუჩარის ძემან დადიანმან ლევან მოვაჭედინეთ ხატი ესე... როდესაც წარვემართენით მეფეს იმერეთისასა გიორგის ზედა და შევიბენით ქუთათის და გაგვემარჯვა. მეფე მოირჩა და ლაშქარი ჴელთ დაგვრჩა... და შემოგწირეთ ილორის ხატი ესე... ქ~კს ტიბ" (ილორის წ~ა გ~ს ხატზე წარწერა: ჩემი უბის წიგნი I, 125-6; Rap. VIII, 104 (გოჭაურის ომზე იხ. 1623 წ.).

— ქ~კს :ტიბ: აქა ბატონი თეიმურაზ და ყიზილბაში და ქართველნი შეიბნენ ალგეთზედა (ძილის პირი იგორთისა № 6).

— ქ~კს :ტიბ: „ქ. ჩ~ნ... ქ~კზი ზაქარია... პირველადცა ვახტანგ გორგასლისაგან ფიცისტეხისათვის შემოწირული იყო ძეგვი და ციხე-დიდი და აწ სახასოდ-საკათალიკოზოდ გავკადეთ... ქ~კს :ტიბ: თებერვალსა :ბ: ა~ნ" ... (წუგკა გრძლად: მცხეთის სიგელი № 185, ნუსხა, № :3:).

---

*) წ~ა ქეთევანის წამება ყოფილა შეიდის თთვის წინეთ ყარჩიხანზე გამარჯვებისა, რომელიც მოხდა მარტს 25-ს, 1625. წ. მაშასადამე წ~ა ქეთევანის წამება უნდა ყოფილიყოს აგვისტოს 25~ს 1624 წ. (იხ. წ. კითხ. ხელნაწ, № 213 „სიკუდილი დიდის მოურავის გიორგი სააკაძისა". შეადარე ქცხ. II, 119 და იქვე შენიშვნა ვახუშტისა). ალავერდის სახარების წარწერა მოგვითრობს, რომ წ~ა ქეთევან წამებულ იქმნა „შემდგომად ათხუთმეტის წლის ტყვეობისა, (630 წელს?).

**1625** წ.—ქ˜კს :ტიგ:. დაჯდა ათაბაგად საფარ ფაშა და მოკლა მამია გურიელი ძემან თვისმან სვიმონ და გაგურიელდა (კახ. ქრ.)

**1626** წ.—ქ˜კს :ტიდ: ბაზალეთს შეიბნენ ბატონი თეიმურაზ და მოურავი. ბატონს თეიმურაზს გაემარჯვა (კახ. ქრ.).

— ქ˜კს :ტიდ: საათაბაგო გამახმადიანდა (ანთაძის ქრ.)

— ქ˜კს :ტიდ: წარწერანი წერა-კითხ. ხელნაწერ ჟამნზე № 1163 ხუცურად აწერია" :ა აქა განჯ[ა] და[ა]რბია ქ[ა]რთლის მოურავმან და მეც იქ ვიყავი და იმ ხანს წამოვედი მეც ქართლით გურიას სად˜კნოდ (სადიაკნოდ? ანუ· სადაც დიაკონად) ვიყავ". ჟამნის ცხრილი მოყვანილია 1684 წლამდე ბ). მხედრულად: „ეს ქაღალდი განჯას ვიშოვე";—„ღ˜ო შ˜ე სული ბერიასა მეგრელის შვილისა"; გ) ხუცურად:" ამის მწერალსა დიაკონსა გიორგის შეუნდვეს ღ˜ნ" (ჩემი აღწ. წერა-კითხ. ხელნაწერთა გვ· 446).

**1626** წ.—ქ˜კს :ტიე:—აქა ბატონმა თეიმურაზ გაიმარჯვა მოურავზედა (ყანჩაეთის გულანი).

**1627** წლის ახლო დროებისა,—ილორის წ˜ა გ˜ს ხატზე წარწერა მოგვითხრობს ლევან დადიანზე: „...მიუხდით შარვაშიძესა ზუფუს, მუწუს წყალსა აქათ მოვაოხრეთ.—კიდევ მეორედ მიუხდით ზუფუს, კაპოეტის წყალს აქათ სრულობით დავსწვით და ავაოხრეთ და სადაცა სიმაგრე იყო ავიღეთ და გავაცუდეთ. კაპოეტის წყალზე შემოგვებნენ ზუფუარი და სიხუარი არშანიები და გაგვემარჯვა, დავხოცეთ, ზოგი კელთ დაგვრჩა"... (ჩემი ისტ. კრებული, გვ· 382, Rap. VIII, 100).

— ქ˜კს :ტიე:—აქა გურიელს მამიას უღალატეს და მოკლეს (შემოქმედის გულანი).

**1628** წ.—ქ˜კს :ტივ: მოკუდა შაჰაბას. დაჯდა შაჰსეფი ყეენად, შვილისშვილი შაჰაბაზისა (კახ. ქრ.).

— ქ˜კს :ტივ: „ქ...ჩუენ ერისთავმან ბატონმან ზურაბ შემოგწირეთ (მცხეთას)... და ქ˜კზს ზაქარიას საფურცლე...საფურცლე ძუელთაგანვე თქუენი ყოფილა და მუხრანის ბატონს თეიმურაზს და ქაიხოსროს წაერთმევინათ და ჩუენ... კრმლით ვიშოვეთ... და ისრეთვე თქუენ შემოგწირეთ.. ქ˜კს :ტივ: იანვარსა ერთსა (სიგელი მცხეთისა № 94 და ნუსხა № :იბ:).

**1628** წ.—სიგელი ბიჭვინტისა ტყავზე ხელოვნურად ნაწერი (თავში დახატულია ბიჭვინტის ღვთის-მშობელი) № № 43 და 9098; ნუსხა № :კზ: „ქ.. შენ ბიჭვინტის ღთისმშობელო... ჩუენ კელმწიფემან დ:დიანმა ბატონმა ლევან და ...დედოფალმა ნესტან-დარეჯან... შემოგწირეთ....ღალაძგას ძველი ჩვენი

სასახლე... (და ცამეტი მოსახლე კაცი, ვრცლად ჩამოთვლილია მათი ბეგარა-გამოსაღები).. ყოველსა წელიწადსა.. მარიამობის დღესა ღალიძგისა სასახლეში მოიტანდენ (გლეხნი ბეგარასა); და გლახაკსა, მშიერსა და ვინცა მოვიდეს აჭმევდენ და ორმან მღდელმან და ერთმან მთავარმან ჟამი სწიროს... ამას გარეთ კიდე შემოგვიწირავს ოცდა შვიდი კომლი...ეს ორმოცი კვამლი კაცი მათითა.. ყველაფერითა... (ჩამოთვლილია მათი გვარ-სახელები) მას ჟამსა, ოდეს შეგვემთხვა უმსგავსო ცოდვა (იგულისხმება პირველის ცოლის გაგდება და ჭილაძის ქალის ნესტან-დარეჯანის შერთვა 1628 წელს ანუ ოდნავ ადრე) და მობრძანდა კათალიკოზი გურიელისძე მალაქია, აღვიარეთ აღსარება ჩვენი, დაიდევით ყოველსა წელიწადსა ორი წირვა: ერთი უ~დ წ~ისა მარიამობას და მეორე ქრისტეს შობის მარხვას... აღაპს გარდაიხდიდენ წყალიძგას კათალიკოზის სასახლეში... დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ჴელითა... ხუხუ ჩარგაზემისითა ქორონიკონსა :ტივ: არისკიზ~ის წილი ხოველმადის ბაჟი ბიჭვინტისა ღ~თისმშობლისა“.. (ხელჩართულად „[ლე]ვან“).

ესევე ამბავი ბროსსეს აღმოუკითხავს ბიჭვინტის ხატის წარწერაში. Rap. VII, 136: „ჩვენ..დადიანმა ლევან.. შემოგწირეთ.. ღალიძგას ჩვენი სასახლე... და ცამეტი კაცი...აგრეთვე შეგვიწირავს წყალიძგას სასახლე და ოც-და-შვიდი მოსახლე კაცი..აღაპი (გავაჩინე) ქრისტეშობის თვეს იანაშობასა (?) დღესა, ამისთჳს რომე იანაშობასა ახალსოფელს მეფეზედ გაგვემარჯვა (ეს უნდა უოფილიყოს 1623 წ. იხ. წარწერა ილორის ხატისა).. ჯუმლად ეს ორმოცი კომლი შეგვიწირავს.. მას ჟამსა, ოდეს შეგვემთხვა უმსგავსო ცოდვა.. კ~ზი მალაქია დაიდვა ყოველს წელიწადს ჩვენთჳს ორი წირვა...აწე რაიცა ბიჭვინტვისათჳს შეგვეწიროს სასახლე ერთი ღალიძგა და მეორე სასახლე რიონის პირს წყალიძგას და... ორი სიგელი დაგვიწერია (ერთი) საკათალიკოზოს საწიგნეში ძეს და მეორე ფუწყურს სალროში ძეს...მოიჭედა და დაიჭედა ხატი ესე ქ~კს :ტკთ:“ ამ უკანასკნელმა ქორონიკონმა ბროსსეს და შემდეგთა მკვლევართა აფიქრებინა, ვითომ 1641 წელს კათალიკოზად მჯდარ იყოს მალაქია, რომელიც მოკვდა 1629 წელს (იხ. ჩემი „Абхазскіе каталикосы,“ გვ. 27).

— ქ~კს :ტიზ: სეკდ. იბ„...ჩვენ ერისთავმან პატრონმა ზურაბ და ძმათა ჩვენთა გიორგიმ, დ~თ, ზაალ და რევაზ... ძველადგან ამ საყდრის (ანანურის?) შემოწირული ყოფილა ბოდორნა და კოჭლაძე... ჩუენცა აგრე დაგიმტკიცეთ“

— ქ~კს :ტიზ.. „ბიჭვინტისა ღ~თისმშობელო... ჩვენ..ჭილაძემან ბ. ლომკაცი და თანამეცხედრემან ჩვენმან ჩხეტიძის ქალმან ბ. ასტანდარ.. შემოგწირეთ... ეკას ორი კუამლი კაცი (იოვანე და თვათველე გუნია).. მათის ცოლშვილით ძმებითა და ძმისწულებითა... ტყითა, ველითა... მას ჟამსა ოდეს შეგვემთხვია უმსგავსო ცოდვა და მობრძანდა ბ. კ~ზი გურიელისძე მალაქია და ეს ორი კუამლი კაცი გუნიები დავსდევით და სხვა მრავალი საქონელი მივართვით... ქ~ს :ტიზ... (ბიჭვ. გუჯ. № 30).

— ქ~კს :ტიზ: „ქ...მეფეთ-მეფის...გიორგის ძემან, დედოფალთ დედოფალ-

მან პატრონმან ხორაშან...მოგაკსენეთ (მცხეთას)..ზემოქართლს სოფელი ოსიაური ... დედის ჩუენის პატრონის თამარისთჳს და ყოველსა (სოფელსა) სახელგანთქმულისა ახლისა მოწამისა ღვთივ-გჳრგჳნოსნისა მეფეთ-მეფისა, ძმისა ჩუენისა პატრონისა ლუარსაბისთჳს, გამოკსნისა და ცოდვათა მათთა მიტევებისათჳს და დავსდევით ალაპი... (ლუარსაბისთჳს დღესა სულის წ͠ის მოსულის, უოკვლთ-სულთ შაბათს და თამარისთჳს კორციელს შაბათს. კრძლად ჩამოთვლილია, რა უნდა მიეტანათ გლეხებს საალაპედ). ...დაიწერა..ოკტომბერსა :იგ: ქ͠კს :ტიზ:" (მცხეთის სიგელი № 66, ნუსხა № :ოგ:

**1629 წ.**—ქ͠კს :ტიზ: ზურაბ ერისთავმან სვიმონ მეფე გამოიტყუვა და მოჰკლა. ბატონი თეიმურაზ მოიყვანა; ბატონმა თეიმურაზ ზურაბ ერისთავი მოჰკლა; დუშეთიდამ წარმოიყვანა ასული თვისი და ალექსანდრეს, გიორგი მეფის ძეს, მისცა და აქორწინნა ქინძარს მცირეს ეკლესიასა შინა (კახ. ქრ.).

**1630 წ.** იანვარს :ა მეფე თეიმურაზს, დედოფალს ხორეშანს, მათს ძეს დავითს სვეტი-ცხოვლის საკათალიკოზო მამული გაუთავისუფლებიათ სახელმწიფო სათხოვრისაგან (მალი, საური). დაწერილია ავთანდილ მარტიროზაშვილის ხელით.

— ქ͠კს :ტიჲ: მეფე იმერთა გიორგი და ძენი მისნი; ალექსანდრე, როსტომ და მამუკა სწირავენ გელათს ორს გლეხს (სიგელი გელათისა № 101).

— ქ͠კს :ტიჲ: აქა ბატონის ბაგრატის შვილი სვიმონხან მოკლა ზურაბ (ქვათახევის გულანი). იხ. 1632 წლის ქვეშე.

**1631 წ.**—ქ͠კს :ტით: როსტომ მეფე და როსტომ სარდალი საქართველოში მოვიდნენ და ოც დღეზე დაქცეული გორის ციხე აღაშენეს (ე. კარბელოვის გადმოწერილი ქრონიკა) იხ. 1633 და 1634 წლის ქვეშე.

— ქ͠კს :ტით: მეფე თეიმურაზ-ხორაშან მცხეთის გუჯარში (№ 15) სწერენ სხვათა შორის: „ხოლო კუართი იგი (ქრისტესი) უხრწნელად დამარხე კაცთაგან უხილავ და შეუხებელ", აქიდამაც ცხადდება, რომ შაჰაბაზს საქართველოდამ კვართი (Хитонъ) კი არ გაუტანია, არამედ სამოსელი უფლისა, (риза), რომლის ნაჭერი, ჯვარში დაცული, ზაგემის მონასტრით შაჰმა გაიტანა, რუსთ ხელმწიფეს მიხაილს მიართვა 1625 წელს და ახლა მოსკოვში დაცულია (იხ. ამაზე ჩემი „ქრონიკები", წიგ. I, გვ. 15—16)

**1632 წ.**—ქ͠კს :ტკ: ამა ქ͠კს ვიწყე ეს წიგნი (ე. ი. ქვათახევის გულანი იხ. ქვემო: 1648 წელს უთვიდა მე-16 წელი როსტომის მეფობისა.).

— ქ͠კს :ტკ: აქა როსტომ მეფე მოვიდა (ჩხეიძის ქრონიკა).

— ქ͠კს :ტკ: მეფე თეიმურაზ-ხორაშან უახლებს წილკანს სიგელს ქ͠კს :ტკ· დეკემბ. :კტ".

— ქკს :ტკ: როსტომ მეფეს ქართლი მოსცა ყეენმან, დაუთხანის ნაზირი იყო; დაუთხან ქართველის მეფის ლუარსაბის შვლი იყო (წიგნი ქრონიკონნი).

**1633 წ.**—ქ~კს :ტკა: აქა მეფის ლუარსაბის შვილი როსტომ მეფე მოვიდა (წ~ა ნიკოლოზის ქრონიკა).

— ქ~კს :ტკა: აქა გორი ააგეს ყიზილბაშთა (ქვათახევის გუჯანი).

**1634 წ.** ქ~კს :ტკბ: აქა ქართველთა ბატონი როსტომ მეფე შეიქმნა (ცაიშის ჟამნ-გუჯანი).

**1634**—ტკბ. მოვიდა როსტომ მეფე ტფილისს, თეიმურაზ იმერეთს წარვიდა და ყიზილბაშთ გორის ციხე ალაშენეს (კახ. ქრ.).

— ქ~კს :ტკბ: მოხსენებულნი არიან კ~ზი ევდემოს და თბილელი ელისე (სიონის სიგელი № № 288; 105).

— ქ~კს :ტკბ: დედოფალი მარიამ დადიანის ასული სწერს: „ახლა თბილელი და სათბილელო ყმა ჰორის სანახავად (ახლად გათხოვილს დედოფალს) მოგვართვეს. აწე ჩვენცა გათარხნეთ (სიონის ყმანი): არაფერი არცა საჩუენო (სადედოფლო) და არა სანეფო და არა სათათრო არცა მამასახლისსა და მელიქსა და ნაცვალს და გზირს არა ეთხოვებოდეს...დაიწერა... სიგელი ესე ქ~კს :ტკბ:“ (სიონის სიგელი № № 28 და 32). შეადარე 1636 წ.

— ქ~კს :ტკბ: აქა კიდევ სომეხნი შეიშალნეს მეორედ და თევდორობის კვირა ჰამეს (ქვათეხევის გუჯ.) იხ. 1636 წ. ქვეშე.

**1635 წ.** ქ~კს :ტკგ: მეფე როსტომ და ცოლი მისი მარიამ სწერენ: „დედოფალი (მარიამ) თქუენს (სიონის) საფარველს ქვეშე იდგა და ავად გაკდა და შემოგეხუეწენით (სიონის ღვთის მშობელს) და შეწევნითა თქუენითა უკეთ შეიქნა“, ამის სამადლობელად „რაც წინარეკს საყდრის ყმა იყოს, მათი საჩუენო მუშაობა—გუთნის კვნა და თივა ედვას, ამოგვკვეთია და თქუენთვს შეგვწირავს... ქ~კს :ტკგ:“ ხვეულად: „როსტომ“ „მარიამ“ (სიონის სიგელი № 12).

— ქ~კს :ტკგ: აქა ხვანთქარი გამოვიდა და ერევანი აღილო, ამავე ქ~კს ყეენმა აღილო ერევანი (ქვათახევის გუჯ.).

— ქ~კს :ტკგ: აქა ხუანთქარი გამოვიდა და ერევანი აილო (უანჩ. გუჯ.).

— ქ~კს :ტკგ: აქა სომეხნი შეიშალნეს მეორედ (წ~ა ნიკოლოზის ქრ.).

— ქ~კს :ტკგ: ერევანი აილო სულთან მურად და მერვეს თვეს ყაენმა ისევ წაართვა („წიგნი ქრონიკონნი“). იხ. 1636 წ. ქვეშე.

— ქ~კს :ტკგ: მოკლა როსტომ მეფემ ერისთავი დათუნა, დუშეთს შეუხდა და დაუმარცხდა. კვალად მოკვდა საფარ ფაშა და დაჯდა ძე მისი უსუფ ათაბაგად (ქრ. კახ.).

**1636** ¥.— ქ҃კს :ტკდ: ერევანი აღიღო მურად ხონთქარმან და ბატონი თეიმურაზ მოვიდა დუშეთს ზაალ ერისთავთან (კახ. ქრ.).

— ქ҃კს :ტკდ: გორიააშენა როსტომ მეფემ; ყეენის ლაშქარი ახლდა; ადლობით დაუყო და ოც-და-ათს დღეზე ააშენეს („წიგნი ქორონიკონნი".)

— ქ҃კს :ტკდ: ახლო ხანის წარწერა ილორის წ҃ა გიორგის ხატზე: „...მას ჟამსა, ოდეს შევებენით ბაღდადს იმერეთის მეფეს გიოოგის, შვილსა მისსა ალექსა-ნდრეს და მამუკას და მისსა სიმამრსა კახ-ბატონს თეიმურაზს... გიორგი მეფე კელთ დაგვრჩა, შვილები და კახი მეფე გარდაიხვეწა, უფროსი ერთი იმერელი და კახი კელთ დაგვრჩა... შემოგწირეთ კახის ბატონის დროშის თავი, ბროლის ჯვარი. იმ დროშის ბუდე ოქრო-ქსოვილი... ავყარეთ სრულობით ქალაქი ჩხარი-სა, მოვასხით ზუგდიდს და დავასახლეთ ადგილსა რუხისასა" (ჩემი უბის წიგ. I, 125 და Rap. VIII, 100).

— ამავე გარემოებას მოიხსენიებს ხონის წ҃ა გიორგის ხატის წარწერა:

„ქ. ეჰა შვიდ-წილ უძლეველო, მოწამეთა მთავარო, წ҃ო გ҃ი ხონისაო და ანჩისხატო, პირო ღ҃თისაო! შემოვსწირეთ და დავასვენეთ ტაძარსა შენსა ხატი ესე, ჩ҃ნ ხელმწიფემან დადიანმან პატრონმან ლევან მას ჟამსა, ოდეს შევებენით ბაღდადს მეფეს გიორგის და კახ-ბატონს თეიმურაზს და გაგვემარ-ჯვა ძლიერებითა შენითა: თავად მეფე კელთ დაგვრჩა და სრულობით იმერელ-ნი და კახნი დარბაისელნი ზოგნი კელთ დაგვრჩა და ზოგნი გარდაიხვეწნეს, კახთ მეფე თეიმურაზ და მეფის შვილები ალექსანდრე და მამუკა. ამავე ჟამსა ავყარეთ ქალაქი ჩხარისა და ჩავასხით ზუგდიდს, ავაშენეთ და გავაწყეთ ქალა-ქი რუხისა. აწე შემოგვიწირამს და დაგვისვენებია ხატი ესე ტაძარსა თქ҃ნსა. კიდევ შემოგვიწირავს ხონს ერთი კუამლი კაცი მამაკაცი სანოცე ჩ҃ნ და მე-უღლისა ჩ҃ნისა ნესტან დარეჯანის სადღეგრძელოდ და ძისა ჩ҃ნისა პირმშოსა ალექსანდრეს და მანუჩარის აღსაზრდელად... მოიქედა და სრულ იქმნა ხატისა ამის შემკობა ქ҃კს :ტკდ:" (ჩემი უბის წ. V გვ. 49 და Rap VII, 8).

და იქვე ხუცურად:

„ქ. დიდ არს უფლისა, რომელმან განგაძლიერა ღირსებით-მსახურებასა მისსა! ხოლო შენ მეუფისათჳს შენისა სამას სამოცთა ხუთთა დღეთა შინა თითოეულად წამებულო და ნაცვლად სატანჯველთა წილ სამეოცთა სასწაულებთა მონიჭებულო, ერთგულო მსახურო სამებისაო, დიდო მოწამეთა თავო, წ҃ო გიორგი ხონისაო! გვედრი სასოებით მამკობელი ხატისა ამის შენისა მე კელმწიფე-დადიანი პატრონი ლევან, რათა არა-სადა განმაშორო წყალობა შენი ჩემგან და ორთავე შ҃ა ცხოვრე-ბასა ჩემსა მეუღლით ჩემით კეთილად დამიფარე და ძლევა მომანიჭე ა҃ნ"

**1637** წ. ქ҃კს :ტკე: „ქ... ჩუენ...მეფეთ-მეფემან.. გიორგი და თ҃ა მეც-ხედრემან ჩუენმან დედოფალთ-დედოფალმან დადიანის ასულმან პატრონმან თამარ და ძემან ჩუენმან პირმშომან ალექსანდრე და მამიამა (უნდა: „მამუკამა").. შემოგწირეთ...(გელათს) ჰელიშის საყდარი ყ҃დ წ҃ისა მისის მამულითა; ბაჯს

სასახლე მისის მოჯალაბით და სახასოს ალაგებით... ზნაკვას კვამლი ერთი. ჯუარისას კუამლი ორი ბოჭორიშვილები, ბაჯს ერთი კუამლი გლეხი ხუცესი ვალამაძე ორის წილის ალაგითა.: (დიდის გენათის მ~სი ზაქარია აღაპს გარ-დაიხდიდესო გიორგის და დედოფლის თამარის სულისთვის..: თითო კლაპ-ტარი რკის ლიტრის..: დაინთებოდესო).. დ.იწერა ინდიკტიონსა მეფობისა ჩუე-ნისასა მეოცდა თექვსმეტესა, ქ~კს :ტკე: კელითა.. თავაქარაშვილისა პაატაჲსი-თა" (სიგელი გელათისა № № 139 და 678, ნუსხა ig: შეადარე 1604 და 1600 წ.)

— ქ~კს :ტკე: აქა მიიცვალა მეფე გიორგი იმერეთისა. ძე მისი დიდი ალექ-სანდრე მეფედ დაჯდა (წერ. კითხ. № 252). შეადარე ქვემო 1656 წ. წარწე-რა :ინდიკტიონსა მეფობისა ალექსანდრესს :იბ:", რაიცა ამტკიცებს გიორგის სიკვდილს 1637 წ. (და არა 1639 წ. როგორც ვახუშტი ჰფიქრობს)

— ქ~კსა :ტკე: (1637 წ.). აქა საფრიძე გედეონ მტბევრს (sic) დაჯდა (წერა-კითხ. ხელნაწ. ) № 252).

— ქ~კს :ტკე: აქა ხონთქარი გამოვიდა და ერევანი აიღო და ამასვე წელსა ბასეფ წაართვაჲ (წ~ა ნიკოლოზის ქრ.)

— ქ~კს :ტკე: ბარათაშვილი ზურაბ ქულბაქს სწირავს სიონს „სვიმონ-ხანისგან ბოძებულს" (სიგელი სიონისა № 13).

— ქ~კს :ტკე: ქ„...ჩუენ [მეფემან გიო]რგი და ძემან ჩემმან [პირმშომა] ალექსანდრე და მამ[უკამა მოგაკსენეთ ესე] შესაწირავი თქუენ--მხნესა მხედარ-[სა წ~ასა გიორგის?] და მას შინა დადგინებულსა ნიკოლოზწმიდელსა ჩხეტი-ძესა პატრონსა სვიმონს (გზ~ად დაჯდა 1659 წ.).. შემოგვიწირავს ჩ~ნი კერძი ესფოფოა მღრდელაძე...ქ~კს :ტკე:" |მეფე გ~ი მონა ღ~ა|

**1638 წ.**—ქ~კს :ტკვ (1638).აქა ოსმა (საეჭვოდ წაკითხულია)-.-. მოვიდა ---(ცაიშის ჟამნ-გულ.). გარდასულია შეიძლება წერებულიყოს: „აქა ოსმალის ჯარი მოვიდა".

ქ~კს :ტკვ: როსტომ მეფემან მოიყვანა ლევან დადიანის დ ა მარიამ და ქმნა ქორწილი,—და ლევან დადიანმან გიორგი მეფე დაიჭირა და ტყვედ წა-რიყვანა და მისმა ძემ ალექსანდრემ დაიხსნა (ვახ. ქრ. იხ. 1634 და 1636 წ. ქვეშე). სრული ახსნა ამ ამბისა იხილე 1648 წ. ქვეშე (როსტომის გუჯარი).

„ღმერთო მაღალო.... შენ განანათლენ..გული მეფისა როსტომისანი, დადიანის მანუჩარის ქალი კითხოკეთ ხელმწიფისანი." და ლექსადა:

ვიტყვი ფიცითა ღვთითა და ცითა სხვა ამათებრი არვინ ნახულა,
აღმოსავლეთით და დასავლეთით ქართლს სადედოფლოთ ეს მონახულა...
ვერ დივადარებ ნესტან-დარეჯანს, არცა ედრება ძილისანია.....
არვ·ს ელირსოს მისთანა, ხონთქარმან ძებნოს მთა და ბარია...
რჯულ~ც ხელთა აქვს, სამოთხის ტახტი თურმე მისთვის გამოსახულა..
(„სამღივნო წიგნიდამ.". რომელიც გადმომცა მ. პ. კარბელოვმა).

— ქ˜კს :ტკვ: მეფე თეიმურაზ—ხორაშან და ძე მათი დავით სწერენ:„.. ჟამთა ვითარებისაგან იმერეთს ვიყუÜნით, ჩამოვედით“ (მცხეთის ნუსხა №: სლგ.).

— ქ˜კს :ტკვ: „ბრძანებით: კელმწიფის თეიმურაზისათა ესე წიგნი და პირი მოგართვით ჩუÜნ ჩოლაყასშვილმან სუფრაჩმა ბიძინამა და ძმამა ჩემმა ჯამასპიმ..თქუენ (მცხეთას) და ქკ˜ზს კრისტეფორეს... ასე რომე..თუ უთქუÜნოთ ჩუÜნ მსახური ვიახლოთ (ქკლესიის მამულებიდამ) რაც არ გვახლავს იმ შეიდის კაცის მეტი.. ან კაცი გავააზატოთ და ან დავარბიოთ, უსამართლოდ, ან მამული წავართვათ ერთსა და მეორეს მივსცეთ უთქუÜნოდ და ან ვაკუნევინოთ ჩუÜნთვის, ან ვენაკი ვამუშაოთ ან, თუ არ სტუმრათ, არც ზაფხულ, არც ზამთარ საგარეჯოს არ დავდგეთ.. და არც პატარძეულსა, არც ბერთუბანს, არც თეალზე და არც გიორგი-წმიდას...ეამა ბში შვიდის კაცის მეტი არ ვიახლოთ.,თუ დავაშაოთ.., გარდაგუაკდევინეთ.. (მოწმები მოურავი გ˜ი, ჩუენი ბიძაშვილი თამაზა, ნინო- წმიდელი იოსებ).. ქ˜კს :ტკვ. არც დ˜თ-გარესჯის წილი რამ დავხარჯოთ არაფერისთანა“ (მცხეთის ნუსხა № :სიბ:)

— ამავე დროეჰში უნდა იყოს დაწერილი ფრიად გრძელი და მეტად საყურადღებო მხედრული სიგელი მცხეთისა № 330, რომლისაგან რამდენსამე ცნობას ამოვკრეფთ: „..საგარეჯო მამულის შემოსავლისაგან ნეხევარს უფაბნო აიღებდა და ნახევარს მცხეთა. საკათალიკოზო მამულში რაც სახელმწიფო სამსახური გამოვიდოდეს, კ˜ზის კაცები აიღებდენ და მეფის მოხელენი ნუ შევლენ.., როგორათაც კ˜ზის ლაშქართან სხვას სარდლებსა და სპასალარებს კელი არ ჰქონებია, ლაშქარ-ნადირობას კ˜ზს ხლებიან, ისევ ახლდენ და თუ კ˜ზი არ იყოს, კზ˜ის სარდალს იახლნენ... ვინც სამცხეთო ჯარია ქართლსა და კახეთში, სულყველა კ˜ზს იახლებოდენ; თუ კ˜ზი არ იყოს—იმის სარდალს... როდესაც ვახტანგ გორგასალს მცხეთას.. ეკლესია სვეტიცხოველზე აღუშენებია და კ˜ზი მას ზედა პატრიარქად განუწესებია... და მეექვსეს კრებაში კოსტანტინე პალონატისა და კიდევ კოსტანტინე და სხვათა ანტიოქის კრებაშიც მიუცქიათ სამწყსოდ და კელქვეშ თფილისს ზემო და ქვემო ქართლ-კახეთი ალვანია, შაქისი, შირვანი დარუბანდის ზღვამდი, დარუბანდიდამ წამოსვლით მთის ალაგები ოვსეთის სამზღვრამდის, საბარათიანო, სომხეთი, ტაშირი, თრიალეთი, ჯავახეთი, ყაიყული, მისი გარეშამო და იალათი, კარი და იმისა გარეშამო, ანისი (და) იალათი აზრუმისა და საქართველოს სამზღვარს იქითი ზემო საქართველო, რომელ არს სამცხე-საათაბაგო, ტაო, ფარსიანი, თორთომი, ოლთისი, ფანეკი (და) იმისი გარეშემო და იალათი, ლიგანისკევი, ართვინი, შავშეთი, კოლა; კლარჯეთი, აჭარა, ქობულიანი და იმისი გარეშემო, ახალციხე და აწყური და იმისი გარეშემო და იალათი, ოვსეთი ს˜დ ჩერქეზის და და სვანეთის სამზღვრამდის და მას შინა უდაბნო ეკლესიანი... მკ˜სნი, მიტროპოლიტნი და ეკლესიანი., ჩუენც მკვიდრად გვბოძებია. სამწყსო არზრუმისა ეხლა კელთ არ გვიპყრავს ... და ზემო საქართველო, რომელ არს სამცხე-საათაბაგო“... (ბოლოს რაღაცა დაწერილია უცხო ანბანებით).

**1639 წ.** ქ̃კს :ტკზ: ამა ქ̃კს მიიცვალა გრიგოლ კათალიკოზი და იმავე წელსა ქრისტიანე და ღვთის-მოყვარე მაჭუტაძე კათალიკოზი ბატონი მაქსიმე ეკურთხა კათალიკოზად. შ̃ნ [შენ?] შვიდ ცათა უმაღლეს ვინარა ღვთის მშობელო (sic)- - [წყა]ლობით გაუ[მარჯვე?] და ოდ]ეს[მოვიდეს ძე შენი განკითხვად - - - - (წ̃ა გ̃ის გულანი გელათური).

— ქ̃სა :ტკზ: აქა გურიელი კათალიკოზი მიიცვალა. [შემოქმ. გულ.]

— ქ̃კს :ტკზ: ბატონმა თეიმურაზ კახეთი დაიჭირა. კვალად მოკვდა გიორგი მეფე, ალექსანდრე ძე მისი გამეფდა იმერეთს (კახ. ქრ.)

— ამავე დროებს უნდა იყოს დაწერილი უცნობის ფარად ფაშისა (რომელიც უნდა იყოს ანუ ბექა III ათაბაგი.-წოდებული საფარ-ფაშად და ანუ მისი (ნათესავი) კათალიკოზთან (ქრისტეფორესთან?) მისის მესტუმრის სახელობაზე (ჩვეულება იყო პატივისათვს კათალიკოსს წერილებს სწერდენ მისის მესტუმრის სახელობაზე). ჩვენ ამ წერილიდამ მარტო იმას ამოვკრეფთ, რაც საქმეს ეხება: „ფარად ფაშა ვიკადრებ მესტუმრეო . . . . მერმე, მაგათმა (კზ̃ის) კარგად ყოფამ, აქამდის მწუხედ უკაცრავად ვიყავით მაგათ ზედა; ვერცა წიგნი ვაახელით და ვერც მოსაკითხი, მაგრა ჩუენი თავი კელთ-უქონელობა მაგათაც მოეხსენების აწ, თუ თავს დიდათ არ შევაწყენდეთ, სტანბოლს თავად მე ვაპირობ წასულას, თვარემ კაცს გავგზავნი მანსუბისათვნ (sic) და რასაც იქაურს საქმეზედა კელს მოგვიწყობთ თქუენი დიდი სახელი იქნების და უმსახურო არც ჩუენ დავრჩებით, ბატონო.— მერმე წიგნის ცარიელობას ეს ვარჩიეთ: ერთი ტანი კარგი შავი სკალატი და ერთი ოქროთ შეღებილი ავჟანდი მოგვხსენებია ბა :—(sic) (იხ. ნუსხა მცხეთისა № :ტჲზ:).

**1640 წ.**—ქ̃კს: აქა ჯუმათელი ნიკოლოზ მანველისშვილი (მ̃ნ შვილისშვილი) დაჯდა (შემოქმ. გულ.).

— ტკჱ: ბატონს თეიმურაზს დოდოეთს დაუმარცხდა (კახ.ქრ.)

— ქკს :ტკჱ: [ამ]ა ქორონიკონსა დიდი [თო]ვლი მოვიდა, სულ ნ̃რი (იანვარი?) თებერვალი სთოვა - - - აპრილი - - - ყველიერი არ გა - - შვა .(ეკლ. მუზ. № 86. უკანასკნელი ოთხი სიტყვა სხვა ხელით მიწერილია).

— ქ̃სა: ტკჱ: აქა ვახტანგ გურიელი მიიცვალა. ქაიკოსრო გურიელად დაჯდა (წერა-კითხ. № 1204). ეს ცნობა ახალია და დიდად ასწორებს ბროსეს და დ. ბაქრაძის გენიალოგიას (Гурія и Адж. , გვ. 337)

— ქკს: ტკჱ: „ღმერთო და პორტაიტის ღ̃თის მშობელო შეიწყალეთ ულირსი მონა ტფილელი ელისე (საგინაშვილი), რომელი მოვიწიე მთასა ამას წმიდასა ქორონიკონი იყო; ტკჱ: ა̃ნ" (წარწ. ათონის ეტრატისა რომელიც საეკ. მუზ. მობარებულია). სიონის წარწერა მოგვითხრობს: „. . . მე თბილელმა ელისე საგინაშვილმან აღვაშენე გუნბათი ესე სიონისა ორჯერ, სამკროები და კარი-ბჭე და დავხატე და შევამკევ . . : ქ̃კს ტმე"- 1657 წ.

1640 წ. ჴ . . . მამაო ნიკოლოზ . . . შეიწყალე ცოდვათა მისთაგან თანამეცხედრე ჩვენი კურთხეული დედოფალი ნესტან დარეჯან, რამეთუ მოვაჭედინეთ ჩვენ დადიანმა ლევან ხატი ესე წ~ისა ნიკოლოზისა ... მის კურთხეულისა სულისა სახსრად და დავასვენეთ საყდარსა ჰაჭვინჯს ციხესა შიგან . . . ქკსა: ტკÓ„ დედოფალი ნესტან დარიჯან გარდაიცვალა 1 ივლისს 1639 წ. ის იყო ჰილაძის ასული (Rap. VII, 46—53; 106).

1641 წ.- ქკს: ტკთ: მარტვილის ღვთისმშობლის ხატის წარწერა: „ეჰა... მარტვილთა ღ~თისმშობელო; გევედრები დადიანი ლევან, ძე კელმწიფისა მანუჩარისა, რომელმან განვაახლე სახე შენი ჟამთა-ვითარებისაგან სრულებით მოშლილი... თანამეცხედრისა ჩუ~ნისა... ნესტან-დარეჯანის სულის სახსრად, ალგვიზარდენ ძენი ალექსანდრე, მანუჩარ და ასული ჩ~ნი ზილიხან... ქკს ტკთ:" (ჩემი ძვ. ის წიგ. III, 173—4 და Rap. VIII, 136).

1642 წ.—ქ~კს :ტლ: ივლისის :იბ: სამებელ ების~კზი ზაქარია სწერს: „შაჰაბაზ ყაენმა რომ კახეთი ამოწყვიტა, ..როსებაშვილნი.. სულა ამოწყდეს" და იმათი მიწა „ბეითალმად ძეს".

— ქ~კს :ტლკ— ამა წელს (მოკვდა?) სახლის ხუცესის ქალი ელენე თებერვალსა :ა:"

— ქ~კს :ტლ: მოკუდა შაჰსეფი და დაჯდა ძე მისი შაჰაბაზ (ვახ. ქრ.).

— ქ~კს :ტლ: წარწერა მარტვილის ღვთისმშობლის ხატისა: „...დადიანი ლევან, რომელმან მოვჭედე ხატი ესე ყ~დ წ~ისა, შევამკვე... და დავასვენე ლიპარტიანისა სასახლესა ტარჩელის კარის ეკლესიისასა... შეიწყალე თანამეცხედრე ჩემი..- ნესტან-დარეჯან... ქ~კს :ტლ". (იგივე წარწერა უფრო კრძლად იპოვება იმავე ხატის ზურგზე: ნესტან დარეჯანის სულის საოხად ჭაჭვინჯს დაუსახლებია „მეჯოგეთ გოშართია შენგელია" და სხ. ჩემი ძვ. ის წიგ. III, 175).

1643 წ. ქ~კს :ტლა: აქა ბასეფ ყაენი მიიცვალა (წ~ა ნიკოლოზის ქრ.).

— ქ~კს :ტლა: როსტომ მეფეს მალაროს ბატონმა თეიმურაზ დაუმარცხა (ვახ. ქრ.).

სახლი შევამკევ სალხინოდ მე მეფემა თეიმურაზო
შევამკე კედელ-ყურენი, ვეჰვ თავსაც კარგად ბურავსო
დავხატე ფერად-ფერადად, გავს რომე იყოს მურასო
და ტალახიანის ფეკითა ნურავინ გამიმურამსო ...
(გრემის სასახლეზე თქმული მეფის თეიმურაზ. ჩემი აღწ. წ. გ. ხელნაწ. გვ. 73).

„ამბავი უსეფ ზილოხანისა", თეიმურაზ I სგან თარგმნილი, თავდება ტაეპითა :„გათავდა მათი ამბავი პირველ სპარსთაგან თქმულია, ჩვენ უწვრთნელისა ნაღვაწნი ქართულად გარდათქმულია, ენა დაეაშვრე და პირი, ვარდი ვაყარე სრულია"... (ჩემი აღწერა წ. გ. ხელნაწ. გვ.)

**1643 წ.**—ქ~კს :ტლა: აქა კათალიკოზი ევდემოს მოკლეს (ძილისპირი იკორთისა, № 6).

—ქ~კს :ტკია (1643). იერუსალიმის ჯვარის მონასტრის დასავლეთის კარებზე სწერია: „დაიხატა და განათლდა...

— ქ~კს :ტკია: მარტი:ი ბ:... ჩ~ნ მეფეთ მეფემან: როსტომ . . დედოფალმან მარიამ...ესე... წყალობის წიგნი ...გიბოძეთ..:ბარათაშვილს თამაზს და შვილთა თქვენთა სიაუშს და იესეს და დავითს . . . გიბოძეთ ლორის თავს სააკაძის ბეჟანის კერძი მამული (სიგელი ორბელიანთა).

— ქ~კს; ტლა ქ. სამღერეთას და ასადშენს და ლორის თავს სკაძის (სააკაძის?) გოდერძისა და შერმზნის მამას(?) შიოშს მისის განაყოფი ბეჟანის მამისაგან რაც წილი მიხუდომოდეს ანუ სასახლებისაგან და აზნაურებისაგან და ანუ ხოდაბუნებისაგან და ახლა ბეჟანს და მისთა შვილთა ნამადადევად ჰქონდეს რამე წილათ ნახუდომი ისრევე ... შერმაზინისა და გოდერძის შვილისათვის გვიბოძებია სამართლიან....ქ~კს ტლ~ა...“—ხკვულად :„როსტომ“ (ორბე. სიგელი

**1644 წ.**—№5). ქ~კს :ტლბ: მარტვილის დაუჯდომლის ხატზე: „ეჰა... საშინელო და პატიოსანო მ[ა]რტვილთა ღ~თისმშობელო! მოვაჭედინე და შევამკევ ხატი ესე ძლისერ (ძალისაებრ?) მსასოებელმან შენმან... აფაქიძემან მამა-ჰყოდი-ევდემონ... მოიჭედა... ქ~კსა სამას ოცდა თორმეტსა“. ეს ევდემოს დახატუდელმან ლია მარტვილის ეკლესიის სამხრეთის კარს ახლო და იქვე ზოსიმე კოპალაძეც.

**1645 წ.**— ქ~კს :ტლგ: „ქ. . . . მას ჟამსა, ოდეს აწყურისა ღთისმშობელის საყმო აზნაურიშვილი და გლეხი ჩუენს საბატონოში ჩამოსულიყვნენ და ლოდეთს დაესახლებინათ და როცა ხატი და ჯვარი ყოფილ იყო თქვენს (მცხეთის) ტაძარში დაესვენებინათ ... სხუას კაცს ლოდეთს კელი არა ჰქონდეს... ვინ იცის, სოფლის საქმე ასე მოხდეს, რომე საათაბაგოშვილოს ქრისტიანე მეპატრონე გაუჩნდეს და აწყურის ღთისმშობლის ხატი და ჯუარი თავისს სამკუიდროზედ მიასვენონ და მათი ყმა ასაყრელად მოინდომონ, ვერვინ დაუჭიროს ... რუსიშვილი სეხნია, აზნაურნი დი გლეხნი თქუჱნთჳს სამსახუროდ მოგჳხსენებია და ნუცა სად დაიფანტჳან . . . (რადგან) სხუას ერისკაცს არ ეკელყოდა (sic)! ისევ თქუენ(მცხეთას) მოგაკსენეთ .... ქ~კს: ტლგ: (ნუსხა მცხეთის №:ობ:)

—ქ~კსა ტლგ: აქა გურიელის შვილი ოტია მიიცვალა (ყანჩ. გულ.)

— ქ~კს :ტლგ: აქა გურიელისშვილი ოტია მიიცვალა (წ~ა ნიკოლოზის გულ.).

— ქ~კს :ტლგ: აქა როსტომ მეფე და თეიმურაზ შეიბნენ მა[ღაროს?]თავსა:. მეორესა წე[ლსა?] თეიმურაზ გაგდეს (sic) - - - რეთს (იმერეთს?). ბატონის შვილი - - (დავითს ზხ.) - - [მო]კლეს (ცაიშის ჟამნ-გულანი. იხილე 1648 წ. ქვეშე)

— ქ~კს :ტლგ: მეფე როსტომ—მარიამ და ძე მათი პირმშო ლუარსაბ (?)

სწირავენ მცხეთას სომხით ტალავრის კევზედ სოფელსა დარბაზს „მას ჟამსა, ოდეს კურთხეული გურიელისშვილი ჩვენს სახლში შვილად იზრდებოდა და მიიცვალა და თქუენს ტაძარს მოვაკსენეთ... და დავმარხეთ... აღაპი დაგვიდებია ოტიას სულისათჳს... იანვარს :კე:... ქ˜კს :ტლგ: თებერვალსა :კე:.. აგრეთვე :კე: იანვარსა ბატონისშვილის მიცვალების დღესა, თუმანს მწირველებს მისცემდენ (და აღაპი: სამის ძროხით, სამის ცხვრით, ათის საპალნე ღვინით და სხ..ა ეს სიგელი წარჩინებულს ეტრატზეა დაწერილი, რომლის თავში დახატულია წ. სამება :იხ. სიგელი მცხეთისა № 22; ნუსხა № :სია:).

**1645** წ. — ამავე გარემოებას აღწერს სომხურ ენაზე დაწერილი სიგელი, რომელიც ვიღაცას უხერხულად გადმოუქართულებია და ჩვენ ვიპოვნეთ დახეულს ლურჯს ქაღალდზე წარჩინებულის მხედრულით დაწერილი. აი ეს ისტორიული სიგელი, რომელშიც სომეხთა მწერალნი ისტორიულს ამბებს თავისს სომხურს დაღს ასვამენ და ამახინჯებენ:

„თარგმნილი სომხურისა წიგნისაგან ქართულსა წიგნსა და ენასა ზედან რომელთაცა ითარგმნა უმეტნაკლებოდ ნამდვილიდამ.

ეფრემ კათალიკოზი, ყოველთა ჰაოსთა პატრიარხი სარარატოჲსა საყდრისა წმიდისა ეჯმიაწინისა:

ტომობა და შთამოსირება მამიკონელთა, რომელნიცა იწოდებიან აწ თუმანიანად, წელსა უფლის განხორციელებიდამ 283-სა ჯამბაკურს (ესე იგი) მეფესა ჯინელთასა არბაკს ჰყვანდნენ ორნი თანა ერთ-ნადიდა მამა-მძუძენი შვილნი, რომელთაგან ერთი იწოდებოდა ვილდულად და მეორე მამიკონად. ესე ვილდულ ბოროტის მზრახველი იქმნა მამიკონისათვის მეფისა წინაშე, და ითანხმავა იგი მოკლვად მისად, აგრძნა ესე მამიკონმან, ამითვის ივლტოდა იგი ყოველითა სახლეულითა თვისითა წინაშე სასანიანისა, არტაშირ მეფისა სპარსთასა, ჟამსა მას ოდესცა ქვეყანა იგი ჰაოსთა იყო ველთა შინა მისთა, წარავლინა არბაკმან მოციქული წინაშე არტაშირისა, და ითხოვა მისგან მამიკონი იგი, და არა უსმინა არტაშირმა. ამისათვის აღადგინა არბაკმან ბრძოლა მასზედა. მოთხრობის წიგნისაგან ჩამჩიანისა პირველისა ტომისა ფურცლისაგან, 413 გვერდისა მოსე ხორანელისაგან მოხსენებულისა). მოკვდა რა არტაშირ და გამეფდა ძე მისი შაპურ, პირველი წელსა უფლის განხორციელებისგან, 285 სპე-სა და არა ენება მასცა მიცემად მამიკონი ველთა შინა არბაკისათა. ამისთვის წარავლინა იგი აბეთად და მიუვლინა მოციქული არბაკს სიტყვითა ამით: ვითარმედ მამასა ჩემსა შეეფიცნა მამიკონისათვის ნათელსა ზედა მზისასა არა მოცემად იგი ველსა შინა შენსა. ამასვე ფიცსა შინა და მეცა განმაფრთხილა; ამის გამო არა წარმოვავლინე იგი შენდამი, გარნა სათნო ყოფისა შენისათვის ნებისა შენისა განვსდევნე იგი ქვეყანისაგან ჩემისა დასავლეთად. მაშა ნურღარა იქმნების ამისთვის ჩვენ შორის ბრძოლა. მოეწონა ესე არბაკს, და დასცხრა ბრძოლისაგან.

ხოლო მამიკონი მოვიდა წელსა უფლისასა 286 სპა-სა ქვეყანასა შინა ჰაოსიანთასა, და იყოფებოდა მუნ და მოსვლასა სომხეთად ტრდათ გვირგვინოსან ქმნილისასა დეოკლიტიანესაგან განვიდა მიგებებად მისსა სხვათა მთავართა თანა ძლვნითა, და პატივცემულ იქმნა მაშინ მისგან ადგილითა და როჭიკითა, და იქმნა მისდამი საყვარელ, რომლისაგანცა იწარმოეს ნათესავთა მათ მამიკონელთა, ქვეყანასა ტარონისასა, რომელთაგანნი ყოველნი იპოვნენ ძლიერ და სარწმუნო, და იწოდებიან ყოველნი საზოგადოდ მამიკონიანად.

შემდგომად არა მცირედისა ჟამისა, ოდეს იგი როსტომ მეფემან ნათესავისაგან ბაგრატოანთასა იმეფა წელსა უფლისათა 1634-სა: ჩქლდისა (მოთხრობისაგან ზაქარია ამირ-სპასალარისა) და შემდგომად დამდაბლებისა მეფობისა მათისა აოხრებასა ზე ანისასა დაშთომილნი იგი ნათესაობანი ბაგრატოანთანი წარვიდნენ ქვეყანასა ქართველთასა და შეერთდნენ მეფობასა მათსა, და იქმნენ ზედა-მდგომელ ყოველთა ზედა საქმეთა ქვეყანისა ქართველთასა, და ოდეს იგი აღებულ იქმნა მეფობა იგი ქართველთა, და შთავარდა ქვეყანა იგი ჴელთა შინა სპარსთასა, და მათ მისცეს უფლება ნათესავსა ბაგრატიოთასა ფლობად ყოველსა კერძოსა საქართველოსათა, და განითესნენ ბაგრატიონნი შვილითი შვილადმდე, ვიდრე ამის როსტომისადმდე, რომელმანცა ჰშვა შვილი ერთი მარიამისაგან დედოფლისა მეუღლისა თვისისა, რომელისა სახელი იყო ლუარსაბ და რომელსა ჰგულობდა მონაცვლედ თვისა ყოფად მფლობელად ქართველთა. და დღესა ერთსა წარიყვანა ძედ თვისი მრავლითა მხედრებითა და წარვიდნენ ნადირობად ნადირთა ადგილსა მას, რომელიცა ითქმის ყარაიაზად, რომელი ითარგმანების შავ-გაზაფხულად, და იქმნა რა და განვიდნენ ნადირობასა და ყოველნივე მოსწრაფობდნენ მოკლვად ნადირთა და ხშირად დაშენასა ზედა თოფთასა მოახვედრეს ძესა მის მეფისასა ლუარსაბს და მოკლეს. და როსტომცა შეშინდა თავისათვის თვისისა; განივლტო და წარვიდა ქალაქად ტფილისად. და ჰქმნა გამოძიება მომკვლელთა შვილისა თვისისათა და ვერ შეუძლეს გამოცნობად. და შემდგომად დააბჱეს ორსა კაცსა ზედა — ერთსა სახელად ბაადურსა სომეხსა, ნათესავით მამიკონელსა, რომელნი ითქმის თუმანიანად, და მეორესა სახელად შიოშ ქართველსა, ნათესავით ბარათიანსა. ამათ დააბრჱეს: რომ „თქვენ იყვენით მახლობლად მისსა, ოდეს მოკლეს იგი, და ამისთვის ანუ იცით მომკვლელი მისი და ანუ თქვენ მოჰკალით იგი". და მოეფინა სიტყვა ესე. ჰაოსიანი იტყოდენ: „ქართველს მოუკლავს", და ქართველნი იტყოდეს „სომეხს მოუკლავსო". და მერმე თქვეს „სამართალიო", (ესე იგი) სამართლით მარტო მბრძოლობა; და რომელიცა იძლიოს, მას მოუკლავს ძე მეფისა მის. და დამკიცდა მათ შორის სიტყვა ესე, რათა განვიდნენ ორნი მარტონი და მოემზადნენ თვით თავისით. და შეიმოსეს სამოსელი ბრძოლისა და შეიჭურნენ საჭურველებითა, ეამბორნენ მუხლსა მეფისასა და განვიდნენ იმიერ კერძოსა მდინარისა მტკვრისასა აღმოსავლეთით კერძო ქალაქისა მის. ხოლო მზაკვართა ნათესავთა ქართველთასა

სამჯავროსა მასშინა ჰსწავლეს ორთავე ვითარმედ ოდეს იგი შეხვდეთ ასპა-
რეზად, ნუ იბრძოლე'ით პირველადვე, არამედ ჯერეთ მიმოარბინეთ ცხენნი
იმიერ ღ ამიერ, ნუ უმე შეგიწყალნესთ მეფემან და არა გიტეოსთ თქვენ ბრძოლად.
და ესე სწავლა ჭეშმარიტ ჰგონა ბაადურმან. ხოლო კაენის მსგავსთა ქართველ-
თა დაფარვით ასწავეს შიოშს, ვინაიდგან შენ ხარ ქარც, და უძლიერესად
ბაადურ არის ახოვან და ძლიერ და არა ძალ გიცს პირის პირ ბრძოლად მისსა,
არამედ ოდეს იგი ჰსწვრთნიდეს ცხენსა, შენ ეცადე გმერად მისსა შუბითა, რა-
თა მით შეუძლო დაცემად იგი ქვეყანასა ზედა.—და ოდეს იგი ორნივე ერთად
შევიდნენ ასპარეზად და მეფემან გაადევნა მათ სამნი თათარნი და რქვა
„რომელიცა მათგანი დაეცეს ქვეყანასა, თქვენ ზედ დაეფარენით მას და ნუ
უტევებთ მოკვლად მისსა“; და ბაადურ წინა წარვიდა უფროს შიოშისა და
შიოშ უკანით მისსა, და განავლო შორის უნაგირისა შუბი და გიმართა პირის
პირ ბაადურისა, და ესრეთ აძგერა შუბი მუცელსა ბაადურისასა ქვეშეთ თხელ
ფერდსა, და გაახედა მეორისა მხრით და შორის ხორცისა და ტყავისა განვ-
ლო ლახვარმან. კოლო ბაადურმა მისტაცა და გამოაცალა ლახვარი იგი კე-
ლისაგან შიოშისა, და დაიდვა თავსა ზედა უნაგირისასა; და ლახტითა თვისი-
თა დაჰკრა და მოსტეხა შუბისა მის სატარეჲი და გარდააგო მიწად, და შუ-
ბი იგი დაშთა მუცელსა შინა მისსა. და შიოშ ლტოლვილი მივიდოდა; ხო-
ლო ბაადურმან გამათრახა ცხენი თვისი და მოსწვდა მას იჩქითად და ჰსცა
ლახტითა ქედსა მისსა, და შთამოეკიდა ცხენზედა, და ენება მეორედცა ხეთ-
ქებად მისსა. და ვინაიდგან ტარი ლახტისა მორეულ იყო სისხლითა, გარდა-
უსხლტა კელისაგან მისისა და აღმოიწვადა კრმალი, რათა სცეს მას და ვინაიდ-
გან შერეულიყო ჰკუით შიოშ, ამისათვის დაეცა მიწასა ზედა, და ბაადურმან
მიიტანა კრმალი იგი მასზედა და სცა გავასა ზედა მის ცხენისასა და მოჰკვე-
თა სრულებით, და თათარნი იგი ზედ დაეფარნენ შიოშსა ზედა და არა უტე-
ვეს მოკლვად მისსა, და ჰაოსიანნი და თათარნი შეჯარვით გამოვიდნენ და
მისრულთა აღამაღლეს ბაადურ და მოიყვანეს მეფისადმი, და პატივ სცემდა,
და მისცა მკურნალთა განკურნებად იგი და შეიყვარა უმეტეს უფროს ზომი-
სა; მაშინ ბრძანა, რათა განთიად გამოიყვანონ შიოშ და ნაწევარ-ნაწევარ და-
სჭრან იგი და მიუყარონ ძაღლთა. და იყო ძმა მისი ვინმე მღვდელ-მონოზო-
ნი ქრისტეფორე სახელით, რომელიცა იყო მოძღვარი დედოფლისა და
რომელი მივიდა და ევედრა მას გამოხსნისათვის ძმისა მის თვისისა, და დედოფა-
ლი იგი ევედრა მეუღლესა თვისსა, და აღარა მოკლეს იგი. გარნა რაი-
ცა აქენდა შიოშს მონანი ან თუ მხევალნი, სოფელნი ანუ თუ ვენახნი, პირუტყვნი
და ანუ ყოველნი, რაიცა ეპოვებოდნენ, ბრძანა, ყოველივე წერილით მი-
ცემად ბაადურისად, და ჰქმნეს ბრძანებისამებრ მისისა, და ამისა შემდგომად
ქართველნი მცირედრე დამდაბლდნენ მხვაობრობათაგან თვისთა, ვინაიდგან
ჰაოსიანთა სიმღერანი საყვედრებელნი შეაწყვნეს ენასა მათსა ზედა და ყო-
ველისა ტაეპისა დასასრულისა იტყოდნენ: „შიოშ წადი: ბაადურ მოვიდა“, რომელ

არს: „შიოშ გაიქეც — ბაადურ მოდის“. სიმღაერასა ამასზედა ჰაოსიანთაგან ქართველთა ერცხვინებოდათ. ესმა ესე მეფესა სანიაბაზს, ესე იგი მცირესა შაჰაბაზს, და მიუწოდა ბაადურს, და მისცა მას მთავრობა დიდი ტფილისის ქალაქისა. იქმნა ესე, ჩჲთ. (1650) წელსა ჰაოსიანთა რიცხვისასა. ესე გამოიწერა ხსენებულისა სარწმუნოსა მოთხრობისა წერილთაგან, და დავბეჭდეთ და ქვემო ამისა მოვაწერეთცა წელსა უფლისასა 1813 ჩყიგ, მარტის იგ დღესა, უაღმატებულესისა საარარატოსა საყდრისა ყოველთა ჰოსიანთასა წმიდისა კათალიკესა ეჯმიაწინისა:

ჩლენნი კეთილ მოწესებითისა განმგებელობითისა წმინდისა კრებისა უმაღლესისა განმზრახველობისანი ქრისტეს მიერ დაფუძნებულისა ნათლით შემკულისა მადლ მჳენვარისა დედა-საყდრისა წმინდისა ეჯმიაწინისანი:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბეჭედი ანდრია არხიეფისკოპოზისა. | ბეჭედი იოანე არხიეფისკოპოზისა. | ბეჭედი ალექსანდრე არხიეპისკოპოზისა | ბეჭედი აკ- - - - - - - არხიეპისკოპოზ. | ბეჭედი ფილიპე არხიეპისკოპოზისა. |
| ბეჭედი ნერსეს არხიეპისკოპოზისა. | ბეჭედი ეფრემ ვართაპეტისა. | ბეჭედი გრიქურ ვართაპეტისა. | | |

**1646.** — ქ̃ს: ტლდ: მცხეთის საფლავის ქვაზე იკითხება: „მას ჟამსა ოდეს ჩუჱნ ზღკათ მეფის დადიანის ასული დედოფალი პატრონი მარიამ მოუკანებულ ვიქმენ ქართლის დედოფლად, გვყვა სასურველი ძე ბატონიშვილი ოტია, მცირეს ჟამში მიგვკეფარა ამიერ სოფლით და დამარხა ამასვე სვეტსა ცხოველსა. საფლავიცა ჩუენი ამასთან კინებეთ...ქ̃ს: ტლდ“ (ჩემი ისტორიული კრებული გვ. 446) ამ ოტიას სულის მოსახსენებლად მარიამს განუახლებია ურბნისი **1668** წ.

**1647** წ. ქ̃ს: ტლე: შაჰაბაზ ყაენმა ყანდარი დაიპყრა, ინდოეთის მეფეს წაართო და მერაბ-ბეგს უბოძა (პ. კარბელოვის გადმოწერილი ქრონ.)

— ქ̃ს: ტლე: ყეენმა შაბაზ (sic) ყანდაარი წაართვა ინდის (sic) მეფეს, ციხე აიღო, („წიგნი ქორონიკონნი)“.

— ქ̃ს ტლე: მოკუდა უსუფ ფაშა, დაჯდა ძე მისი როსტომ ათაბაგად (ვახ. ქრ.)

— ქ̃ს: ტლე: აქა არჩილ დაიბადა (იკორთის ძილისპირი № 6: იგულისხმება არჩილ მეფე).

— ქ̃ს: ტლე; აქა ქრისტიანე და ღვთის-მოყვარე შემოქმედელად ეკურთხა ბატონი იაკობ. ღმერთმან ღირს ყოს მარჯვენით ნაწილსა წმიდათასა. ა̃ნ. (წ̃ა გ̃ის გელათური გულანი). — ეს იაკობ ცნობილია მეცნიერებით, მელექსეობით, მაჰმადიანის რჯულის წინაგანწყობით და აღმოსავლეთ-ეგვიპტე-ევროპაში მგზავრობით.

— ქ̃კს: ტლე: „...წ̃ო გი̃ ილორისაო! გევედრები... კელმწიფე დადიანი პატრონი ლევან, რომელსა შენ მიერ მომენიჭა ძლევა მტერთა და გამარჯვე-ბა, ოდეს მოუხდით ქუთათისს ალექსანდრე მეფესა, ქუთათის ქალაქი დავწვით და დავტეხეთ. მერმე ბატონიშვილი მამუკა შემოგვება და თვითან მე დავირ-ჩინე კელთა.. ქკს: ტლე“. ამას მეორე წარწერა ხატისა უმატებს: „მას ჟამსა ოდეს... ქალაქი დავწვით, ავაოხრეთ და გამარჯვებულნი მოვიდოდით, მეფის ძმა მამუკა წინ დაგვიხვდა და შევებენით, თითონ მე დავირჩინე და (ე. ი. ილორის წ̃ა გი̃ს) კარზედა მოვიყვანე მამუკა“... (Rap. VIII 105 101)

— ქ̃კს: ტკიე (ანუ: ტკია:) მარტი: იბ: „..ჩუენ მეფეთ მეფემან... როსტომ ღ...დე-დოფალმა...მარიამ... ესე... წყალობის წიგნი ...გიბოძეთ ბარათაშვილს თამაზს და შვილთა თქუენთა სიაუშს და იესეს და დავითს... გიბოძეთ ლორის თავს სა-აკაძის ბეჟანის კერძი მამული“... (სიგელი ორბელიანთა).

ქ̃ეს: ტლა: „ქ. სამღერეთს და ახალშენს და ლორისას თავს სკაძის (საკა-ძის?) გოდერძისა და შერმაზნის მამას (?) შიოშს მისის განაყოფის ბეჟანის მა-მისაგან რაც წილი მიხუდომოდეს ანუ სასახლეებისაგან და აზნაურებისაგან და ანუ ხოდაბუნებისაგან და ახლა ბეჟანს და მისთა შვილთა ნაძალადევად ჰქონ-დეს რამე წილათ ნახუდომი, ისევე... შერმაზინისა და გოდერძის შვილისა-თვის გვიბოძებია სამართლიან.... ქ̃კს ტლა“... ხვეულად: „როსტომ“ (ორბე-ლიანის სიგელი № 5“).

**1648** წ. მცხეთის ნუსხაში №: სლე: ჩვენ ვიპოვნეთ შემდეგი ცნობილი საყუ-რადღებო სიგელი:

„ქ... ჩ̃ნ მეფეთ მეფემან როსტომ... და დედოფალმან მარიამ... შეწყალნითა... შენითა (მცხეთის) მტერნი და წინააღმდგომნი სამარადისოდ ლტოლვილ და უკუ-ქცე-ულ არიან და ნებით თქუენითა ვერ-ვინ მკადრე არს წინააღმდეგობად ჩ̃ნდა...

აწ დავიწყოთ ამბავისა ჩ̃ნისა მბობა. ოდეს სიყმაწჳლეთა ჟამთა ჩ̃ნს ბედ-ნიერს შაჰაბასს ყაენს მასხლეს და გამოგზარდა პატივ-ცემითა, ვითა მართებდა ჩუენთა უგართა მეფეთა ნათესავსა. რა გავაკაცდით და მოვაწიფენით თავი სამსახურითა, შევკარდით და უღირდით შჳლურად; გჳბოძა ყულარაღასობა. მაშინ იყო ყულთ ჯა-რი ქართუელიშვილი ბედნიერის ყაენისა მასახლებელი. სადაც გუასარდრის (sic) და გაგუგზავნის გამარჯუებულნი და პირნათელნი მოვიდით. მრავალი სახელი და გა-მარჯუება გვინახის. ასე ეწადა რომე სამსახურისა ჩ̃ნისა სამუქფოდ ბევრი გარგი ექნა და უფრო სიდიდე მოემატებინა.

ამ დროსა უფროსი ჩ̃ნი ძმა, მეფე ბაგრატ, ქართლით ბატონობდა და კახი ბატონი ამავ შაჰაბაზ ყაენისაგან თავის საბატონოდამე გაღარიბებულ-გაგდებულ იყო და კახეთი შიგნითი შინითი (bis) ოკერი და ნაპირის ადგილი შენი და ყაენისაგან კახეთიცა იორს აქათი და ჩერქეზს აქათი ჩ̃ნის ძმისათჳს ნაბოძები ჰქონდა. ამ საქმესა მეფობისა გარიგებასა, ნადირობასა ლხინსა და უსუად გაცემასა შინა იყო. იმ სიდიდისა დროსა სოფელმან მისი წესი მოინდომა და ამ სოფლით ბატონი ბაგრატ

მიიცვალა. შეიქნა ტირილი და გლოვა სრულიად საქართველოში და შვილი მისი იყო ბატონი სჳმონ გლოვასა და მწუხარებასა შინა. რაჟამს მიესმა სიკუდილი ბაგრატისი შააბაზს ყეენსა, და ასრე დაუმძიმდა, ვითა ძმა ყოფილიყო; მაშინვე გამოგზავნა კაცი და სამძიმრის წიგნი. შვილს იმედის მიცემა და წყალობის ქადება დაუწერა. წელიწადზედა შეიწყალა ბატონი სჳმონ: ყარჩიღახან სარდარი იყო; გამოუგზავნა თჳსი ქალის შვილი ბატონს სვიმონს ცოლად. ესე ყარჩიღახან და ათი-თორმეტი ხანი გამოატანა. ქალაქს მოვიდნეს, რომელსა ეწოდების ტფილისი და ქორწილი უყჵს. იყჳს მღერა, ნადიმი და მეჯლიში, ბურთობა და ყაბახის სროლა. რა ქორწილობა გარდაიკადეს, ბრძანება იყო ყაენისა, რომე კახი-კაცი გაეწყჳდა და კახეთში ყიზილბაში დაესახლა; და კახეთს პატრონობდა ბარდის ხანი ფეიქარხან.

შეიყარა კახი ლაშქარი; მივიდეს მუსრ:ნს ალაიანის მინდორშია და ყათლამი უყჵს ღალატით: ერთობილნი კახნი დაკოცეს. ეს იწყინეს ქართუჵლთა ქრისტიანთ უბრალოდ დაკოცა; შეიყარნეს ქართუჵლნი. დაესხნეს მარტყოფში ყიზილბაშთა თავსა. ყარჩიხან სარდარი და უსუფხან შირვანის ხანი და სხუა ხანები და სულთნებიც მრავალი დაკოცეს. აივსნეს საშოვრითა: ოქროთა, ვეცხლითა, თვალითა, მარგალიტითა. მრავალისა უცხოს ნაქსოვითა, ცხენ-აქლემითა დ̃ ჯორითა. ამაზედ ჩამოიყუანეს კახი ბატონი თეიმურაზ და გაბატონეს მცხეთას ზედათ ქართლსა და კახეთსა. ბატონი სჳმონ ტფილის იჯდა, სომხით-საბარათიანოს პატრონობდა. ჩ̃ნ იმ ჟამში ბედნიერმან ყაენმან თავის ტახტის ისპაანის მოურაობა გჳბოძა, დიაღ სიდიდე მოგუჵმატა.—ამა სობაში მოვიდა ბძანება ღ̃თისა და შაჰბაზ ყაენმან ტახტი დაცვალა და ამ სოფლით მიიცვალა მაზანდარის ქუჵყანას აშრაფს რომ ყეენის სასახლე არის, და ჩ̃ნ იყვნით ისპაანს, ყეენის შჳლები და შჳლის შჳლები იქ იყვნენ. მრავალ ჯერ ქნილიყო წინათ ჟამშია კელმწიფეთ მაცვალებასა ზედა ერთმანერთი გაეწყჳტაჲ და მრავალი სისხლი დაღვრილიყო. ჩ̃ნ ძალითა და შეწევნითა ღთისათა გავსინჯეთ საქმე: შვილიც იყო ყაენისა, მაგრამე თავად თვალ დამწუარი იყო, სინათლეცა ჰქონდა, მაგრამე უფროსი შვილი-შვილი იყო დიაღ კარგი, თუალად და ტანად შუენიერი, კელმწიფობა იმას შეფერობდა. გამოვიყუანე და ტახტზე დავსვი და მიულოცეთ კელმწიფობა შაჰ სეფის ყაენსა, ვაკურევინეთ ქანარა და ნაღარა, მივსწერეთ შორსა და ახლოსა ბრძანება: თუ „მოდით და თაყუანის-ეცით“. მოვიდეს ყოვლის ადგილიდამე ხანები და სულთნები, მიულოცევდით კელმწიფობასა და აყრიდენ თვალ მარგალიტსა წლამდისინ. და ადიდეს; და მოეწონათ ყ̃თა მნახავთა, თქუჵს და აქეს: „არა არისო კელმწიფე ქუეყანასა ზ̃ა ამისი მსგავსიო“, გააკვრა ყ̃ლი რჯული და სული ლხინითა, ნადირობითა და გაცემითა. გაისმა ქება სიკეთისა ყ̃სა ქყ̃ნასა.

ამ დროს წამოექიდა ჩ̃ნი ძმისწული ბატონი სვმონ და კახ-ბატონს ქართლი წაართუა და კახი-ბატონი თავის ალაგს იყო. იმავ წელიწადს ამდონი ისაჯა კახმა ბატონმა თეიმურაზ, თავისი ქალი და მისივ ყმა ჩარქაზი გ̃ი მოღალატედ შეუყენა და მძინარე ბატონი სვმონ დააკულევინა, ქართლს

გაბატონდა; სომხითი და საბარათიანო დაიპირა, რა გაიგონა შასეფი ყაენმან მწუხედ იწყინა, კახბატონს გაუწყრა, ჩ̃ნი საბატონო ჩ̃ნ გვბოძა. გამოგვატანა ყიზილბაშთ სარდარი, ჩ̃ნის ძმის ბატონის ბაგრატის სახლხუცის სააკაძე ბეჟანის შვილი როსტომხან და მრავალი ლაშქარი. მოვედით; კახთ ბატონი გავაგდეთ და ჩ̃ნი საბატონო დავიპირეთ. ბატონი თეიმურაზ იმერეთს შეიხიზნა: ქალი იყო იმისი იმერლის მეფის შვილის ალექსანდრეს ცოლი და ჩ̃ნ და დადიანი ბატონი ლევან დავმოყვრდით და შევირთეთ და მისი, ეს ბატონი დედოფალი რომე არს ყ̃თა მნათობთა ზ̃ა ქებული. მოვიწადინეთ იმავ წელიწადს ქორწილის ქნა და გზა არ დაგვანება იმერელთ მეფემან გ̃იმ, შევიყარენით. აქათ ჩ̃ნ და მივედით სამცხის: ოცხეს დავდეგით; იქით წამოვიდა დადიანი შეყრით და ქალი წამოიყვანა. წინ გარდაუდგა მეფე გ̃ი. შეიბნენ და გაემარჯვა დადიანსა და დარჩა კელთა მეფე გ̃ი. ჩ̃ნც ჩავედით კაკას კიდს იმერეთშია და მობრძანდა ბატონი დადიანი: შევიყარენით და გავიხარენით ერთმანერთის ნახვითა, ლხინითა და განსუსნებითა; წაბძანდა იქით დადიანი და წამოვედით მხიარულნი, იმერეთი ჩამოვიარეთ და მოვედით ტფილისს, ქორწილი გარდავიკადეთ და გულის ნებას ვეწიენით.

იყო კახი ბატონი იმერეთს. ჩხუბისა და ავის საქმისაგან თავი არ აიღო და არც დასწყნარდა: კახეთში ჩამოვიდა მთის გზიდამე. მრავალს ადგილს ჩ̃ნი თავს დასხმა და ღალატი მოინდომა და ჩ̃ნ განაღამც ბატონის სისხლსა ვსთხოვდით და ქუსყანას ურბევდით და ბევრი ავი საქმე უყავით. ბოლოს შემოვიდნენ შუა კ̃ზი, ბერები, ერისთუსბი და თავადები და დანდობის საქმეს გამოგუსხუსწნეს თუ ორს წელიწლამდი ერთმანერთი დაინდევითო, მას უკან გასამართლდითო და რაც სამართალმა გიჩინოს, ბატონის სვმონის სისხლი იმ გუარათ მოიკითხეთო. დაგვდვა კახმა ბატონმა თეიმურაზ სანდოთ საფიცრით სოფელი გავაზი და სოფელი კისისკევი, ჩუსნის თავადისშვლებისა და გლეხების მოცემას დაგუპირდეს. ჩუსნც რომელიც საფიცარი მივეცით და ან პირობა დაუდევით ყუელაკა გაუთავეთ, და კახმა ბატონმა რაც პირობა და ფიცი მოგუცა არც ერთი არ გაგვთავა. ამაზედან ავიშალენით. აქათ ჩ̃ნ შევიყარენით და იქით კახი ბატონი. ქისიყისკენ თათრები უჩინეთ. კახი ბატონი თიანეთს მისულიყო დ̃ ჩ̃ნ იქით წავედით. შემოგიარეთ სუსტო ცხოველო ღვთივ აღმართებულო, მოვედით კარსა თქუსნსა დ̃ ღაღადებით შენგან შეწევნა ვითხოეთ. არაგვს პირის-პირ შევიარეთ დ̃ თიანეთს მოუკედით. კურთხეულხარ ძლიერო დ̃ უძლეველო ყოვლისა მპყრობელო ღ̃თო, რომე სიდიდე დ̃ სამართალი შენი ყოველსა კაცს დაანახუს. შევიბენით და გავიმარჯუსთ, დროშა, ქანარა და ნაღარა გავაგდებინეთ; სახლის ხუცესი რევაზ და მრავალი საბატიოს კაცისშვლი სხუა მოუკალით და გავაქცივეთ, უკან მივყევით და გრემს მივედით, სრულად კახნი ჯალაბობრივ იქ იდგნენ, იქით ბატონის თეიმურაზის შვლი დავით და ჩ̃ნგან გაგზავნილი თათრები შეყრილ იყუნენ, შებმულიყვნენ ქისიყის ბოლოსა და თათრებს გამარჯუსბოდა და ბატონიშვილი ღ̃თ მოეკლათ და მრავალი საბატიოს კაცის

შვილი დიეკოცა. ჩ~ნ გრემს ვიდექით. მეექუსეს დღეს ეს ამბავი მოგვვიდა და კახნიც მოგვვიდეს. ბატონს თეიმურაზს ბიძის ჩ~ნის მეფის სვმონის ქალი ედ- გა; მოვიდა დ~ფლი ხურაშან და მუკლს გამოგუჱხვა, ამას გუჱხუჱწა, თუ ერ- თი წუჱთი სისხლი გუაპატივე და შენს სიძეს გზა დაანებეო. რადგან ბიძის ქა- ლი იყო ჩ~ნი აღარა გაეწყობოდა რა, გზა მივეციჲთ და იმერეთს გავაგდეთ: კახნი და დარბაისელნი ერთგულობაზე ვაფიცეთ და კახეთი ნასისხლად დავი- ჭირეთ, ყაენს მახარობელი გაუგზავნეთ და გამხიარულებულიყო, კახეთი ყა- ენმაც გვბოძა.

რადგან მოვიდა ჩ~ნ ზ~ა წყალობა დაშეწევნა თქ~ნი, ჩ~ნცა... მოვაკსენეთ... (მცხეთას) გარესჯას ორივე უდაბნო და ს~დ გარესჯის სახლი და შესავალი ყოვლითურთ უნაკლულოდ... ǯ ქ~ზ ქრისტეფორეს.. რა რიგადაც წინად ერთობა ში, ან მასუკან გაყრაშია და ან ბატონის ლეონისაგან და ანუ ალექსანდრე- საგან ან მას უკანა საგარეჯოს სოფლები ყოფილიყო შეწირული წინა-საგარეჯო ამ წესითა, რომე საყაენოს საურსა ლაშქარ ნადირობასა და გომბორს გარეთ სხუა ჩ~ნი კელი არა შემოვიდოდეს. ჩუჱნი და თქუჱნი სარგო რა რიგად ძუჱლს სიგელში ეწე~ოს... იმ გუარად შემოგვეიწირავს წინა და უკანა საგარეჯო... ორი- ვე საგარეჯო თემი და მამული; არ გაიცეს არა დიდი, არა მცირე... კიდევ შეგუიწირავს ახლად მ~რმ ჯუარში ზანდარაშვილი შაჱერდა, მისი შვლი გარ- სევან და ოთარი... ესეები მათის მამულითა... ქკ~ზო ქრისტეფორე! ნუმცა და- ვიწყებულ ვიქმნებით თქ~ნ მიერ მსხუჱრპლ შემწირველობათა, ლოცვათა და ღ~სა მიმართ ვედრებათა შ~ა... (წყევა). დაიწერა ესე გუჯარი მეფობისა ჩ~ნისა მეათექვსმეტესა... ქკ,სა: ტლვ: კელითა კარისა ჩუჱნისა სალაროს მწიგნობრის ფირალისითა.

**1648.**—ამავე დროებში უნდა იყოს დაწერილი მცხეთის ნუსხებში შეტანილი სიგელები №№: სმბ. მეფე როსტომ-მარიამს და კ~ზს ქრისტეფორეს ამ სიგელს აძლევენ ციცი- შვილები სახლ-ხუცესი ყაია, ძმამა ჩ~ნმა ქაიხოსრო და როსტომ და იესე... ასე... რო- მე... ღმერთი გაგვწყრა... ჩემი ძმა ზაზა ჩემს შვილს იესეს შემოაკუდა. ამაზედ ჩ~ნ და ჩ~ნი ძმა ქაიხოსრო და როსტომ დავსძულდით და გაყრას ვაპირებდით და ორნივ კელმწიფენი და ბატონები შუა ჩამოგვხუჱდით და ისრევ... შეგუარიგეთ ǯ ერთ- მანეთისათვს საფიცარი და პირობა მიგუაცემინეთ... ჯუარს პატიოსანსა... შევ- ფიცე ფიცი: ერთმანერთისა უზიანონი... ვიყუნეთ (თუ გავტეხოთ მტყუვნის მამული სახასოდ დაიჭირონო).

№: სმდ: მეფე როსტომმან: „ესე წიგნი გიბოძეთ... თქუჱნ ელიოზის ძეს ბა- ტონს გაბრიელს... ასრე რომე თ~ქნ ამას წინათ სულხნის ცოლ ყოფილის ქეთევანისაგან გრაკალს ამათი კერძი მამული გეყიდა, და თურმან ამაზე ისარჩ- ლა, რომე დედაკაცს მამულის გაყიდვა არა მართებსო და არც სამართალი არი- სო. ამის გულისათვს თავისი კერძი მამული .მივეცით და მას უკან ბატონი შემოქმედელი (იაკობ?) შუა შემოიყუანეთ და ჩ~ნ ამას კარგა გავსინჯავთ... და

ღ˜თს ქვეშე შევადებთ, თუ სამართალმან თქ˜ნ დაგანარჩუნა, ისრევ თ˜ქნ გი-ბოძებთ''... (თუ არა ფულს უკან მიეაცემინებო).

მეფე როსტომ-მარიამს და კ˜ზს ქრისტეფორეს ციციშვილები სახლთუცესი ყაია, ძმანი მისნი ქაიხოსრო და როსტომ და იესე..სწერენ: „ასე.. ღ˜თი გაგვწყრა... ჩემი ძმა ზაზა ჩემს შვლს იესეს შემოაკუდა. ამაზედ ჩ˜ნ და ჩ˜ნი ძმა ქაიხოსრო და როსტომ დავსძულდით და გაყრას ვაპირებდით და ორნივ კელმწიფენი და კათალიკოზი შუა ჩამოგვხუედით და ისრევ.. შეგვარიგეთ და ერთმანეთისათვს საფიცარი და პირობა მიგვაცემინეთ". ... ჯრ˜ს პატიოსანსა.. შევფიცე.. ერთმანერთისა უზიანონი.. ვიყუნეთ (თუ გატეხოთ, მტყუანის მამული სახასოდ დააშჭირონო:—ნუსხა მცხეთის № სმბ:).

მეფე როსტომმან: „ესე წიგნი გიბოძეთ.. თქუენ ელიოზის ძეს ბატონს გაბრიელს..ასრე რომე თქუენ ამას წინათ სულთნის ცოლყოფილის ქეთევანისაგან გრაკალს ამათი კერძი მამული გეყიდა, და თურმან ამაზე ისარჩლა, რომე დედაკაცს მამულის გაყიდვა არა მართებსო და არც სამართალი არისო. ამის გულისათვს თავისი კერძი მამული მიეეცით; და მას უკან ბატონი შემოქმედელი (იაკობ?) შუა შემოიყუანეთ და ჩუენ ამას კარგა გავსინჯავთ... და ღ˜თს ქვეშე შევაგდებთ, თუ სამართალმან თქ˜ნ დაგანარჩუნა, ისრევ თქუენ გიბოძებთ (თუარა ფასს უკან მიგაცემინებო).

**1650** წ.—ქკ˜ს :ტლჱ:' როსტომ მეფე სწერს: „ყ˜დ პატიოსანი ტაძარი თქუენი.. ვნახეთ მოშლილი, დაქცეული, და კ˜დ მოვიდა წ˜ე ჩუენსა კაცი სამღთო... თფილელი მ˜კსი საგინაშვილი პატრონი ელისე.. და გუეაჯა განახლებასა და მეორედ აღშენებასა... და აღაშენა ტაზარისა (sic) თქუენისა გუმბათი და სამკროები და განაახლა.. სამკაულითა. ჩუენცა აღვაშენეთ თქუენის ტაძრისა მიწანი ქარვასლად ჩუენისა ალალისა თეთრითა... და მის ქარვასლისაგან შემოგწირეთ ყოველსა წელიწადსა ასი მარჩილი თეთრი.. ქკ˜ს :ტლჱ: აპრილსა :ა:" (სიონის სიგელი № 20).

**1650** წ.—ქ˜კსა :ტლჱ: აქა საფიძეს მტბევარს მწყვერლობა (მაწყვერელობა) მოუვიდა ხვანთქრისაგან (წერა-კითხ. ხელნაწ. № 252).

— ქ˜კს :ტლჱ: ალექსანდრე მეფესთან რუსთა კელმწიფის ელჩნი მოვიდნენ ქუთაისს. ბატონი თეიმურაზიც იქ იყო (ვახ. ქრ.).

**1651** წ.—ქკ˜ს :ტლთ: როსტომ მეფე სწერს: „...სხვს ბატონობის ჟამშიცა და მერმე ბატონის თეიმურაზის ჟამშიცა.. უკან საგარეჯოს სამქოში საბატონო რამ აღებულა რაიც ნივთისთანა ან საბალახე და ან სხუა რამ საქმე, ნახევარი ბატონისა ყოფილა და ნახევარი სუეტის ცხოველისა... ჩუენცა ამ გუარად გაგუირიგებია.. და დაგვმტკიცებია: ყოველისფერის ჩუენის ასაღებისაგან ნახევარი შეგვწირავს სუეტიცხოვლისათვს.. ქ˜კს :ტლთ: გიორგობისთვს :კზ: (ნუსხა მცხეთის № :სოა:).

— ქ˜ს :ტლთ: აქა ბატონიშვ[ილი პაპუ]ა დაიბადა (ჟამნი № 3). გამოშვებული სიტყვა წაშლილია. იგულისხმება მუხრან-ბატონის ბაგრატის ძე.

— ქკ˜ს :ტლთ: „...მიუხდით მეფესა ალექსანდრეს რიონს გაღმა, ქუთათის ქალაქი დავწვით და ავაოხრეთ და შემოვადეგით გვინაყალს და ავიღეთ სწორ-ზედა ორმოცის თავადითა და აზნაურის შვილებითა, სხვისა მრავლისა მეთო-ფითა, მისის საქონლითა და ალაფითა ავსებულნი... ვიწყეთ ხატისა ამის (იღორის წმიდა გიორგის ხატის წარწერა) შემკობა... ქკ˜სა ტლთ“.

— ქკ˜ს :ტლთ: მეფემან როსტომ სანადიროთ შირაქზე გაილაშქრა თვესა მაისსა :კთ: დღესა ხუთშაბათსა“ ამ დროს თვალელთ საკოკბის-ჭალა გამოი-ფიცესო და მათ მისცაო მეფემ (სიგელი მცხეთისა № 223).

**1652** წ. ქკ˜ს :ტმ: „...ეჰა :სვეტო: ცხოველო :რომელმან: საუნჯო. ჰყავ :დღესა: :ერთსა: :ძალი: შენი :ძლიერი: :ოდესმე: :მდინარესა: შთაეტევა :რა: :ძე: დედისა :კელთაგან: ხოლო დედამან მან საწყალობელმან ვითარცა იხილა ძე თჳსი, შთაიგდო (მტკვარში) თავი თჳსი მეტყველმან სიტყუათა ამათ: „ვითარმედ მოკვედინ დედაცა შენი, შვილო სასურველო, შენთანა“. ხოლო სიტყუასა მას თანა გამოჰკრთა სვეტი იგი ნათლისა ადგილით თჳსით და შთავიდა წყალსა მას, სადა იგი შთაბნეულ იყუნე'ს დედა ძეაურთ, ხოლო შეაერთნა იგინი და ავლინებდა წყალთა მათზედა, ვიდრემდი მოაწევდა პირისპირ სვეტისა მის ცხოველისა და აღმოიყვანნა და მოავლინა წინაშე ერისა და ქადაგებდა სახელსა შენსა და ადიდებდეს ყოველნი ღ˜თის მოქმედსა საკვრველებათასა... ვითარმედ წილხ-დომილ ვიქმნენით ჩვენ ქართველნი დედოფლისა მის ღ˜თის მშობლისა ჩვენ შენ მიერ მტერთა ზედა და წინააღმდგომთა ძლიერმან... შანშა და შარვანშა, ყოვლისა აღმოსავლეთისა მპყრობელ-მქონებელმან მეფეთ მეფემან პატრონმან როსტომ და თანა მეცხედრემან ჩვენმან... მარიამ და პირმშომან და სასურველ-საწადელთა ძეთა ჩვენთა პატრონმან ლუარსაბ და ძეთა ჩვენთა თანამეცხედრემან პატრონმან თამარ და ძემან მათმან პატრონმან გიორგი შემოგწირეთ...სოფელი ქორდი თქვენ სვეტსა ცხოველსა... და მას შინა საჴეთ მპყრობელსა პატრიაქსა კზ˜სა პატრონსა ქრისტეფორეს, ასე რომე ჩვენის ნება-დართულობითა და ბრძანე-ბითა დიასამიძეს კ˜ზს გედეონისშვილის გაბრიელის(თჳს)... ებოძებინა... ჯარის უფროსს გედეონისშვილს ბატონს გაბრიელს გიბოძეთ სოფელი ქორდი... დაი-წერა... ქკ˜ს :ტმ: კელითა... თუმანიშვილის ბირთველისითა (ხელმოწერილია ჩართულად: როსტომ; თამარ; ლუარსაბ. ეს სიგელი პოლკოვნიკის ვ. გედევანოვისა).

— ქკსა :ტმ: აქა ჯვარცმას აქეთ ათას :ქ. მ. ბ. (უნდა: ჩქნბ) წელიწადი გამოსრული (წერა-კითხ ხელ-ნაწ. № 252.).

— ქკსა :ტმ: აქა დაიბადა ბატონიშვილი გიორგი (წერა-კითხ. № 1204). იგულისხმება გიორგი III გურიელი.

ქკ῀ს ჴტმ: (**1652**) ცაიშის ხელოვნურად ნაკერს ომოფორზე წარწერა: „ჵ უმაღლისო ცათაო... (ცაიშისა ღთისმშობელო), ჩ῀ნ ცვა-ფარვათა თქუენთა მინდობილმან და῀თ (დავით) ჯოლიამ ბრძანებითა თქუენითა ტაძარსა თქუენსა ცაიშს ეპისკოპოსად და[ვ]ჯედით და ომოფორი და შესამოსელი ჩ῀ნათ (ჩუენად) მის[ვ]ლამდის ერთის წლით უმალ დამწვარ იყო და არას შესამოსლისა იარაღისაგან არა დამკდომია რაჲ. მერმე აგართაგან (აგარიანთაგან) კელითა გაძარცული ომოფორი მოიტანა გასასყიდელად და ვიყიდეთ. (მერე მოშორებით სხვა ადაგას): ვიგულეთ და ვიგულსმოდგინეთ და შევაკერვინეთ დასა ჩემსა თამარს კელახლად და შევამკევით თვლითა და მარგალიტითა ომოფორი ესე და ერთი კელი შესამოსლისა იარაღი გავაწყვეთ. შეიწირე მცირე ესე და კნინი შესაწირავი რამეთუ (რათა მცკელ?) და მფარველ გვექ[მო]დეთ დღესა მას დიდსა განკითხვისასა ქურანსა (ე. ი. ქრონიკონსა) ჴტმ: ა῀ნ“.

ამავე დროებს ეკუთნის ცაიშის საყდრის ტყავზე ნაწერი მოჭედილი და მხატვრობიანი სახარება (№ 4-⁰) წარწერით: „ეჰა შენ ყ῀დ სანატრელო... პატიოსანო ცაიშის ღ῀თისმშობელო... შემოგხვეწივართ ჩვენ... დიდისა ქორთოძისა ბატონის როსტომის ასულმან ბატონმა ანიკამ (როსტომ ქორთოძე სჩანს მალაქიას კ῀ზობაში 1605—1629 წ.). მერმეთ აბხაზის ლაშქარი მოვიდა, ტაძარს მოუხდა და ჩ῀ნ დიდსა დაჭირვებასა და შიშსა ქვეშე შევვარდით და გავგზავნე ჩემნი მეთოფენი და მოვატაცებიე ორი დიდი აუყრელი ხატი და ორი კიდევ დიდი ხატი; ერთი მომცრო ხატი ჩემს ხეთას ციხეს საჯვარეშიდ დაგასვენეთ და თქვენი ტაძარი აფხაზმან გატეხა და აოხრა და ჩ῀ნ თუ დაგცალებოდა (sic) ჩვენის მამის ალაგზედ და თქვენი საფარველს ქვეშე თქვენი მონასტრის სამსახურსა ვსცდილობდით, მაგრა ჩ῀ნის ცოდვისათვის საქმე ასრე მოგვიხდა“...

**1653** წ.—ქ῀კს ჴტმა: მიიცვალა (იმერეთის) ბატონიშვილი მამუკა თუესა დეკემბერსა (ეგ. მუზ. № 186 იხ. 1654 წ. ქვეშე).

— ქ῀კს ჴტმა: ვახტანგ მუხრანის ბატონი, ძე თეიმურაზისა, ქართლის გამგე იქმნა (კას. ქრ.)

**1654** წ.—ქკ῀ს ჴტმბ: ბატონიშვილი მამუკა, ალექსანდრე მეფის ძმა, მოკუდა ოდიშს თვალ-დამწვარი (კას. ქრ. ისილე ზემო 1653 წ. ქვეშე).

— ქ῀კს ჴტმბ: „ქ. შემოგვეცილნეს ჩვენ წინ საგარეჯოველთ მთის საზღვარს ჰავჰავაძე მამუჩი და მისი ძმისწული გიორგი და გულბათ და იასონ... ფიცი ჩვენვე მოგვვარდა... დავიფიცეთ ჩ῀ნ ქკ῀ზმან ქრისტეფორემ და საგარეჯოს მოურავმან ჯანდიერისშვილმა როსებ... (და სხ.) „დაიწერა ქკ῀ს ჴტმბ: იანვარს ჴბ: კელითა ჰერემელ ებისკოპოზის (რუსიშვილის) ეპიფანესითა“ (მცხეთის სიგელი. №№ 258 და 259).

ამავე საგანზე კათალიკოზი ქრისტეფორე სწერს: „გამოფიცულს სამართლის წიგნს“ რომ ამ დავისგამო როსტომ-მეფისგან ფიცი ვითხოვეთო, „წავ῀დით და დავიფიცეთ... თვთონ მოდამნახის ციხე სამზღვარია... ასრე გამოგვიფიცავს...

მოვიდნენ მთაწმიდის (ათონის) მამა ბატონი გერმანე... (და) ერისთავმან ზაალ.. კისისკეველნი გაამტყუნეს.. საგარეჯოს დარჩა.. დაიწერა თვესა იანვარსა ორსა, ქკ~ს :ტმბ: (ნუსხა მცხეთისა № :სოე:)

— ქ~კს :ტმბ: მეფე როსტომს სოფელი ბეშქენაშენი თრიალეთს მცხეთისთვს შეუწირავს: „ჩუႭნის ბრძანებით ქ~კზი (ქრისტეფორე) აშენებს (ბეშქენაშენს) ...ანუ ჯავახეთიდამ აყრილი კაცი ზემობეშქენს მოვიდეს, ნურა-კაცი ნუ შეეცილებით... ქ~კს :ტმბ: გიორგობისთვეს :კ: (ნუსხა მცხეთისა № :სვ:).

ამავე საგანზე მეორე სიგელში მეფე სწერს: „ან ჯავახეთით, ან ლორით, ან ალისტევიდამ გლეხი იქ დასასახლებლად მოიყუანოს ქკ~ზმან, ამასთან არას კაცს კელი ნუ გაქუთ და ნუცა ვინ გაუცრცვთ.. ქ~კს :ტმბ: გიორგობისთვეს :კ:" (მცხეთის ნუსხა № :სზ:).

— ქ~კს :ტმბ: ამ დროებში „ყანჩაელმა პაპუამ ას სამოც მარჩილად გოგო მამყიდა (ფეროზაშვილი) და ის გოგო გამეპარა, თქუႭნს (მცხეთას) მამულში მივიდა და თქუႭნ.. ისევ მიბოძეთ და მე ეს წიგნი დაგიდევ (კ~ზს ქრისტეფორეს): ჯერ ვიყო ღ~თის შემცოდე და მერმე როსტომ მეფ~სა.. თუ მე ის გოგო ან გავყიდო და ან რამ ვაწყინო და ან გავ'ცე (მცხეთის ნუსხა № :რმგ:).

— ქკ~სა :ტმბ: აქა მიიცვალა დიდი მამუკა ბატონის შვილი იმერეთისა; დადიანმა ლეონ დააშავა და იქივ მიიცვალა (წერა-კით. № 252).

**1655 წ.** ქ~კს :ტმგ: ამა ქორონიკონსა: წავიდა :ბატონი: :ვახტანგ: ყაენთანა:. (კინკლოსი ეკ. მუზ. ჰარაკლიტონისა № 49).

**1656 წ.** ქკ~ს :ტმდ: აქა სვეტი ცხოვლის გუმბათი დაიქცა (წ~ა ნიკ~ზი ქრ.).

— ქკ~სა :ტმდ: გუმბათი დაიქცა სვეტისცხოვლისა და როსტომ მეფემააშენა („წიგნი ქორონიკონნი)"

ქკ~ს :ტმდ: ბატონი თეიმურაზ რუსეთს წარვიდა.—კვალად მცხეთის გუმბათი ჩამოვარდა, როსტომ მეფემ ალაშენა (კახ. ქრ.).

—„ქკსა :ტმდ: დაიქცა გუმბდი (გუმბადი) და აღვაშენე მეფემან როსტომ და დად[იანის ასულმან] მარიამ :ა: ნავრუზს" (წარწერა ასო მთავრული მცხეთის გუმბათზე. უკანასკნელი სიტყვები „:ა: ნვრზ" გუმბათის მეორე მხრიდამ არის. ბროსსემ მთელი გამოძიება უძღვნა სიტყვის „ნავრუზის" ახსნას. ჩვენის აზრით ნავრუზი აღნიშნავ' ახალწელს; და რადგან ჩვენში ახალწლად მიღებული იყო სეკდემბერი, ამისთვ-ს ზემო წარწერა მოგვითხრობს გუმბათის აშენებას პირველს სეკდემბერს. ნავრუზობა აგრეთვე აღნიშნავს რომლისამე ნაყოფის პირველად შემოსვლის დროს (сезонъ), მაგ. ყურძნის ნავრუზი ოკდომბერია და სხ.

— ქ~კს :ტმგ: (**1655 წ.**)... მე ცოდვილმან... უღირსმან გენათელ მთავარეპისკოპოსმან ბატონმა ზაქარია კელ ვყავ წი~სა ამის... გულანისა აღწერად, რამცა ესრეთ სრული და უკლები არავის კელეყო და არცა ვის აღეწერა და ჩვენ სადიდებელად და შესანდობელად ცოდვათა ჩვენთათვს ვიწყეთ წერად

ამისსა ქკსა :ტმა: (1653) და სრულ იქმნა წელიწადსა ორსა, ქ῀კსა :ტმგ: (1655 წ.), ინდიქტიონსა ბატრონისა (sic) :იႽ: და დედოფლისა კახთა-მეფისა ასულისა ნესტან დარეჯანისსა"..... იქვე მოხსენებულია ძეგლის წერაში: „რაოდენნიცა მართლმადიდებელნი აფხაზეთისა კათალიკოზნი გარდაცვალებულ არიან საუკუნომცა არს საკსენებელი და კურთხევა მ:თი. აბხაზეთისა კათალიკოზისათვს მაქსიმესთჳს საუკ..... (†1657 წ.). გენათელ მღვდელთ-მთავარ ეპისკოზისა ზაქარიასასა, რომელმან აღწერა წ῀ა ესე გულანი საუკ... (†1659 წ.) მეფეთა მეფისა გიორგისთჳს საუკ... (†1637 წ.) ძისა მისისა მეფისა ალექსანდრესთჳს... თანამეცხედრისა მისისა კახთა-მეფისა ასულისა დედოფლისათჳს ნესტან დარეჯანისა საუკ... ღ῀თო აცხოვნე... მგალობელი და მდივან-მწიგნობარი და აწ მღვდელი თეოდოსი ჰიჰინაძე..." აქა-იქ მოხსენებულია: „ამა კარშიკან ხუთი სტრიქონი იოსებ კარ-გარეთელმან დასწერა.... აქა მღვდელმონაზონი ნემსაძე მიკანანარხებდა... ღ῀ო შ῀ე აბრამ. შეწევნითა ღვთისათა. რაცა დედასა ეწერა, მგონია არა დამეკლოს რა და ავად-წერისათჳს ნუ დამწყევლით უფალნო ჩემნო... აქამდი მოვაწიე მე ფ῀რიად ცოდვილმან აბრამ.... აქედგან ვიწყე წერ῀ა მარხვნისა მე... მღდელმან საბა... ღ῀ო, შეიწყალე გენათელი ზაქარია"... აღიწერა პირველი ოთხი კმა პარაკლიტონი კელითა ფ῀დ ცოდვლისა.. მღვდლისა დემეტრესითა..- გალობასა მართალს წიგნს ვამოწმებდით... ღ῀ო შ῀ე ამის მწერალი კერძო დიაკონი იესე.:... და ბალდიაშვილი არსენი (წარწერანი. გელათის გულანისა, ეკ. მუზ. № 186).

— ქკ῀სა :ტმდ: აკურთხა მიტროპოლიტად გაენათელი ზაქარია ქვარიანი ღირსმან და ღ῀თის მოყვარემან აფხაზეთის კათალიკოზმან მაქსიმე მაჰუტაძემან თუႽსა ივნისსა (ეკლ. მუზ. გულანი № 186).

— ქ῀კს :ტმდ: ამ დროებში მეფე როსტომ სწერს (მცხეთის სიგელი № 31): „გურამიშვილმა თქუႽნს საყდარს (მცხეთას).. ბევრი ურიგო და უკადრაული საქმე გკადრა და ჩუენცა... ავად მოპყრობისათჳს შემოგწირეთ სოფელი ღურაო".

— ქ῀კს :ტმდ: მეფე როსტომ სწერს: „როდესაც თქუႽნს საყდრის (მცხეთის) მამულში ან თათრისა ან ქართუႽლისა კაცისა ცხუარმან იყიშლადოს (sic) ფარის თავს თჳთოს ცხუარს უკლებრივ თქუႽნს მებალახეთ მოაბარებდენ.. ქ῀კს :ტმდ: (ნუსხა მცხეთისა № :სოთ: და № 29)

— ქ῀კს :ტმდ: გამეფება შანაოზ მეფისა (ცაგარლის Свѣдѣнія III, 28 იხ. 1658 წ.).

**1657 წ.** ქკ῀ს :ტმე: ამა ქ῀კს მიიცვალა ბატონი კათალიკოზი მაქსიმე მაჰუტაძე. ღ῀ო შ῀ნ ა῀ნ (წ῀ა გიორგის გელათური გულანი).

— ქ῀კს :ტმე: ამ ქკ῀სა მარტსა ჩვიდმეტსა, დღესა შაბათსა მიიცვალა სახელოვანი, სახელ-განთქმული, მრავალ ჯერ გამარჯვებული დადიანი ბატონი მამია (ლევან?) მიიცვალა (sic). საუკუნომცა არს კსენება მისი (წ῀ა გ῀ის გელათური გულანი.)

— ქკ҇ს :ტმე: აქა მიიცვალა ლევან დადიანი (წერა-კითხ. № 252)

ამ ლევან დადიანზე მერაბ წულუკიძეს ხოტევის საყდრის კარის ბჭეზე წარუწერია ლექსად:

„ჰე მაცხოვარო, გვედრივარ, მე მერაბ შენის დიდებით;] ჩვენთ გვართა ჰქონდათ ეს რაჰა მრავალი კიდის-კიდებით;| მეცა შევმატე მრავალი არც მტერთა გადაკიდებით]... პირველ ოდიშსა დავიპყარ მამული მეტად ბევრია,| მერმე ამ ჩემი სამკვდრო, ყოვლგან მოვშალე. მტერია]; იწროთას აქათ ხონამდის და ხონიც შიგან ერია;] (და) აწ ნახეთ ესე სოფელი, თუ როგორ ბინდის ფერია.— მე დადიანმა გამზარდა ლევან ღვთით დოვლათიანმა], სრულ მას ჰმონებდა ქვეყანა, დაიპყრა მრავალ-ყმიანმან,] სწორუპოვარმან კმელეთზე, მან ჰკვიანმან და ბრძნიანმან] (და) ნახეთ რა უყო სოფელმან, ამ მუხანათმან ზიანმან]. შვილურად მზრდიდა, მასწავლა ზნეობა ყოვლი წესები:] ნახეთ სოფლისა სიცრუვე: სიზმარ ყოფილა ესები;] არ მიაჩნია წყეულსა უარეს-უკეთსები| (და) არავის გაუთავდების: წავალთ გლახ და ნაკუნესები“.

— ქ҇კს :ტმე: მოკუდა ლეონ დადიანი, დაჯდა ლიპარიტ;—და ალექსანდრე მეფე ჩავიდა ოდიშს, მოსტყვენა, ლიპარიტ განაძო. ვამიყ ლიპარიტიანი დადიანად დასვა, უნაგირს აქეთი თვითონ დაიჭირა (კახ. ქრ.) იხ. არჩილ მეფის ისტორიული პოემა: „ლევან დიდიანის სიკვდილი და მეფის ალექსანდრესაგან ოდიშისა, გურიისა და აფხაზეთის დაჭერა. ვამიყ დაესვა დადიანად“ (ჩემი აღწერა წერა-კითხ. ხელნაწ. გვ. 363).— „წ҇ა გ҇ი ილორისაო, მე მოსავი თქვენი დადიანი პატრონი ვამიყ და დედოფალი პატრონი ელენე შემოგწირეთ სასანთლე ესე მას ჟამსა, ოდეს შეწევნითა შენითა ვიშოვეთ ოდიშისა კელმწიფობა და დედოფლობა... ქ҇კს ტმვ“ (წარწ. სასანთლ. ილორისა. Rap. VIII-109 და V,34)

**1658 წ.** ქკ҇სა :ტმვ: აქა შამოებენ მეფეს ალექსანდრეს ბანძას დადიანი ლიპარი, გურიელი ქაეხოსრო, ფარათ-ფაშა და ურუმის ჯარი გურიელს იახლა, დადიანს ქართველი ლაშკარი მეფე როსტომ ათხოვა. მეფეს ალექსანდრეს გაემარჯვა (წერა-კითხ. № 252). ამ ალექსანდრესაგან რუსეთის ხელმწიფისადმი, ალექსეი მიხაილის ძისა, მირთმეული ხატი იპოვება ალავერდს წარწერით: იხ. Rap. I, 72 ალექსანდრე იმერელ მეფის გ҇ის ძე †1668 წ. ალბათ სიმამრს თეიმურაზ I-ს გაატანდა ხატს რუსეთში.

— ქ҇კსა :ტმვ: ამა ქორონიკონსა მეფეს ალექსანდრეს გურიელი ქაიხოსრო და დადიანი ლიპარი შემოებენ ბანძას; ქართველთ ლაშკარი და ურუმი გვერც (sic) იახლათ; ოდიშარნი და გურიელნი უნაკლულოდ გვერც იახლა. მივიდ[ა] მეფე ბანძას; ეწყო ბრძოლად, დადიანი ლიპარი მოკლეს და გურიელი ქაიხოსრო ლტოლვილი სტამბოლს შეიქცა და საქართველო მეფეს დარჩა (ქგლ. მუზ. № 186)...ამის შემდეგ გადადიანდა ვამეყ Rap. 137—132

— ქ҇კს :ტმვ: ბანძას ალექსანდრე მეფეს შეებნენ დადიანი, გურიელი, ფარად-ფაშა, ქართველნი საციციანო-ბარათიანნი; მეფეს ალექსანდრეს გაემა-

რჯვა; ვამიყ დადიანად დასვა, დემეტრე გურიელად; ლიპარიტ დადიანი და ქაიხოსრო გურიელი სტამბოლს წარვიდნენ.—კვალად მოკუდა როსტომ მეფე; დაჯდა ვახტანგ მეფედ ქართლისად (.შემოქმედის გუჯარში ეს ამბავი 1660 წ. სწერია).

— ქ̃კს: ტმვ: ჯუმათის ღვთაების ხატის წარწერა: „...დაიცევ შემოქმედელი მიტროპოლიტი ბატონიშვილი მალაქია.., ქ̃კს :ტმვ:“ (Rap. I, 183). დ. ბაქრაძეს შეცდომით ჰგონია, ვითომ ეს მალაქია. იყოს გიორგი გურიელისძე, კათალიკოსი აბხაზთა: შემოქმედელი მალაქია სხვა პირია, ქაიხოსროს ძე, როგორც ამას ამტკიცებენ ბიჭვინტის სიგელ-გუჯარნი და ბროსსეც Rap., II, 184 და Гурія Аджарія გვ. 126 1693).

— ქ̃კს :ტმვ: ამ :ქკ̃ს: დადიანი :მოკუდა: ი[ყ] - - - იმერეთ[მა] - - -(ქვათახევის გუჯანი).

— ქ̃კს :ტმვ: გამეფება ვახტანგ-შანავაზისა (1673 წელს იყო 15 წელი მისის მეფობისა: იხ. სიგელი მცხეთისა, № 427).

— ქ̃კს :ტმვ: ციციშვილი ბაადურ ყორჩიბაში მუხრანბატონიშვილს მ̃კსს დომენტის ჰყიდის ატენს საკუთარს ზვარს: მოწამენი ციციშვილი მიტროპოლიტი ბატონი ნიკოლოზ, ბარათაშვილი სახლხუცისშვილი პაპუნა... ქ̃კს :ტმვ: (სიგელი მცს. № 478 და ნუსხა № :ქთ:)

**1658 წ.**—ამ წელს უნდა ეკუთნოდეს დ. ბაქრაძის მიერ დაბეჭდილი გუჯარი (**Гурія и Адж.** გვ. 192) „შ̃ნ.. წ̃ა გიორგი აჭისაო! გევედრები მე გურიელი ქაიხოსრო მას ჟამსა, ოდეს თქვენს საყდარს სიმაგრეში ვიყავით, გამოგვიზახა დადიანმა ვამეხმა თავს-დასასხმელი დიდი ლაშქარი, იმერელნი, ოდიშარნი, შარვაშიძე; ჩვენი საპატიო კაცებიც თან ახლდენ. მოგვიხდენ და შუა-გურია დაარბიეს და შენს მეტი ღონე აღარ მქონდა და შიგ თქვენს ტაძარშიდ შევიკაზმეთ; მოვედით; ოზურგეთს სასახლეში დამაგრდენ ისინი; დავესხით თავსა; გურული ჩვენი საპატიო კაცები დავირჩინეთ, წამოვიყვანეთ. მეორეს დღეს ციხე-დარბაზი ევიღეთ; გიორგი შოუსტანი, დადიანის ძმა ლიპარტიანი, ჰილაძე, მიქელაძე, ჰიჯავაძენი, ანჩაბაძენი, ჯუმათელი სესიაშვილი სარდარი იყო,—ესენი ყველა დავირჩინეთ, მოვედით თქვენს წინაშე გამარჯვებულნი... (სამადლობელად შეუწირავს სამი კვამლი კაცი სალუქვაძენი და ანოელიძე..„ შემოქმედს ჩიჯავაძის ჯაჭვი, ხრმალი და ლახტი შემოგვიწირავს“).. აღზარდენ ძენი ჩვენნი გიორგი ბატონიშვილი“... (წყევა).

ამავე ქაიხოსროს ამბავს მოიხსენებს ბიჭვინტის გუჯრები № № III და ნუსხა № 32):

„...ჩვენ.. აფხაზეთისა დედაქალაქისა კათოლიკე სამოციქულო ეკლესიისა ბიჭვინტისა საჭეთმპყრობელმან კზ̃მან ქვარიანმა ზაქარია (კათალიკოზობდა 1656—1659 წ.) მას ჟამსა, ოდეს დაჯდა დადიანად იმავ დადიანის სახლისკაცი ლიპარტიანი ვამეყ (ეს მოხდა 1658 წ; ამას ცოლად ყვანდა ელენე, სვიმონ გურიელის ქალი), მეფეთ-მეფისა ალექსანდრეს მიდგომითა გაბატონდა და ამასო-

ბაშიგან მრავალი საკანონო საქმე გამოერია და ჩვენ დაველაპარაკენ თ დადიანს ვამეყს და გურიელის ასულს, დედოფალს ელენეს და დიდი ხვეწნითა საკანონოდ დავადებინეთ და შევაწირვინეთ ბიჰვინტისა ღ˜თის მშობლისათჳს სენაკს საყდარი მაცხოვრისა ორის მისის სასახლის ლეჳისტყითა და ოლუაციკითა, მისის შეწირულის მამულითა და რაც მის გუჯარში და დავთარში ეწეროს ყოვლისფერითა —აგრევენ სვიმონ გურიელი გააბატონა მეფეთ მეფემან და გურიელის ბერი დიმიტრი იშვილა და გაპარსეს და სადამდის აკეთი საკანონოდ არ დავადებინეთ, მანამდის ჩვენ შენდობა არ მივეცით და არც ნებადავრთეთ, აკეთის საყდარი მისის სასახლებითა და ყოვლისფერითა გურიელს სვიმონს და დიმიტრის შევაწირვინეთ. აწ ესე ორი პატიოსანი საყდარი მე ჩემს დროში გამირიგებია და შემიწირვინებია მათის მამულებითა... (გურიელს და დადიანს „სიგლები დავადებინეო“).

ამავე საგანზე ბიჭვინტის გუჯარში №№ 9 და 9106 (და ნუსხა №: კგ:) მოხსენებულია: „ჩ˜ნ კელმწიფემან დადიან˜ა. პატრონმა ვამეყ... (ცოლი ელენე და ძენი გ˜ი და ბაგრატ).. შემოგწირეთ (ბიჭვინტას) საწინამძღვრო მაცხოვარი აკეთისა მას ჟამსა, ოდეს დიმიტრი ბერად იყო და მერმე გურიელად დავსვით და ბერობის დაგდებისა საკანონოდ შემოგწირეთ და მივაბარეთ ბატონს კ˜ზს ზაქარია ქვარიანს“... (ჩემი გუჯრის წიგ. II, გვ 307).

იმავე ბიჰვინტის სიგელი № (ნუსხა № :მთ:): „...ჩვენ პატრონმა გურიელმან სიმონ და პატრონმა დიმიტრი გურიელმა.. (ეს სიგელი გიბოძეთო კ˜ზს ზაქარიას) ასე და ამა პირსა ზ˜ა, რომე ბედნიერმა კელმწიფემან ალექსანდრე მეფემან (†1660 წ. მარტს 4-ს) შეგვიწყალა და გურიელობა გვიბოძა; ბერათ ალთქმული ვიყავით და შენდობა გთხოვეთ და გვიბოძეთ და მისდა საკანონოდ მოგართვით აკეთს საწინამძღურო მისის მემულითა...“ |სვიმონ გურიელი| „დიმიტრი“ †

იმავე პიჰვინტის სიგელი № (ნუსხა № :კა:) :„...ჩვენ. ღ˜თისა მიერ ახალ გჳრგჳნოსან ყოფილმან, ლიხთ-იმერისა და ლიხთ-ამერისა, ოვსეთისა და დუალეთისა, სვანეთისა და ყაბარდოსა, ჯიქეთისა დ˜ აბხაზეთისა, დიდისა ოდიშისა და გურიისა და სრულიად საქართველოჲსა მპყრობელ-მქონებელმან დიდმან მეფეთ-მეფემან დადიანმა პატრონმან ვამეყ... და დიდისა გურიელისა მამიას ასულმინ დედუფალთ დედუფალმან ბატონმან ელენემ და ჩვენგან გაზრდილ-გაკეთებულმან დიმიტრი მას ჟამსა, ოდეს... სრულიად საქართველო დაუპყრეთ, იმ დროს ბიჰვინტის ღ˜თის მშობელსა შემოგწირეთ გურიას წ˜ის კვირიკეს საყდარი.. ძიმითს (რვა კომლის კხცით).

„ქ...მე მინდობილმან და მოქენემან შეწევნათა თქვენთამან მეფემან როსტომ და თანა მეცხედრემან... მარიამ დ˜ ძეთა ჩვენთა.. ვახტანგ დ˜ სახლისა ჩვენისა მომავალთა... მეტეხისა ღთის მშობელი მეტოქად და მისი შეწირული სოფელი კრწანისი სვეტს ცხოველს შემოსწიროდა და ცოტას ხანს ჟამთა ვითარებისაგან მოშლოდა, ახლა მოგვიდეგით კარსა თქვენსა საქართველოს პატრიარქი ქათალიკოზი... ქრისტეფორე და გვეაჯენით; ჩვენცა ხელახლად.. შემოგწირეთ მე-

ტეხთა ღთის მშობლის ტაძარი და მისი შეწირული სოფელი კრწანისი მისითა სამართლიანის საქმითა, მთითა....... ამ წესით გვითარხნებია რომე არაფერი საჩვენოს სათხოვარი და გამოსაღები არა ეთხოებოდეს რა და არა საციხო თვინიერ სათათროს საურისა და ლაშქარ-ნადირობისაგან კიდე... აღიწერა ქ̃კს :ტმვ: ბეჭედი“ |როსტომ|

ქ. ამის მოურაობა და შინდის ჯანყელაშვილი თავის მამულით რისაც დღეს მოხსენებულია სახლთხუცის მაღალაძის სახლთხუცეს პაპუასათვის გვიბოძებია სამკვიდროდ და საბოლოოდ: არას კაცს ამასთან კელი არა აქვს“... ბეჭედი. (ეს უკანასკნელი წარწერა კათალიკოზისა უნდა იყოს).

— ქ̃კს :ტმვ: „ქ.. ჩუენ... მეფემან... როსტომ და.. დედოფალთ-დედოფალმან პატრონმა მარიამ, პირმშომან ძემან ჩემმან ვახტანგ.. (ეს სიგელი მოგეცით სიონის ღვთის მშობელს) და თფილელს ელისეს ასრე და ამა პირსა ზედან, რომელ იპრიანა.. ღ̃ნ და ბედნიერმან ყეენმან ჩუენს სამკვიდროს სამეფოსა და საბატონოზედა გამოგვზავნა და მოვედით და ჩუენთანა აღზრდილი ჩუენი ერთგული და ნამსახური ყმა სუფრაჩი ჰამზაბეგ თან მოგვყუა და შეუტყობრად სიონთა ღთისმშობლის მამულში იმავ საყდრის გვერდით დავასახლეთ... აწე.. თქუენ ნაშენების ფასი მოგუართუით.. ꟷ საყდრის ალაგი (ისევ) თქუენ დაგანებეთ... დაიწერა.. ქ̃კს :ტმვ:. აპრილის:. ი:... კელითა.. შანშიანის მარტიროზის შვილის სულხანისათა“. |ვამტკიცე (ბ) მეფე როსტომ ყაენისა ფერხთა მტვერი| (სიონის სიგელი № 41).

— ამავე დროებს კ̃ზი ქრისტეფორე სწერს თფილელს ელისეს; „ასრე და ამა პირსა ზედა: თრიალეთს რაც.. წალკელის სამწყსოში სოფლები აშენდეს და შენობა ჩავარდეს ჩუენზე შორს იყო და თქვენთჳს მოგვიბარებია. საწირავს ნახევარს სვეტი-ცხოველს ნუ დააკლებთ და ნახევარი თქუენთჳს მოგკრთმევია... სანამდი თქუენს კელთ იყოს ამ პირობას სუეტი-ცხოველს ნუ გარდაუხვალთ“ (სიონის სიგელი № 228)

— ქ̃კსა :ტმვ: ამავე ქ̃კსა კურთ[ხე]ული ბატ (?)- -) ბტრნ (პატრონი) - - - ე ბატონ - - პაატა- - - -“ სხვა ხელით: „მოკლეს“ (ეგ. მუზ. № 85).

— ქ̃კს :ტმვ: აქა მიიცვალა მეფე როსტომ და მას წელსა მოვიდა ბატონი ვახტანგ თვესა [ნოე]ნბერსა (ცაიშის ჟამნ-გულ.).

— ქ̃კს :ტმვ: როსტომ მეფე მცხეთას უახლებს კრწანისს და მეტეხს (სიგელი მცხ. № 252).

— ქ̃კსა :ტმვ: აქა როსტომ მეფე მიიცვალა. აქავე მეფედ დაჯდა ბატონიშვილი ვახტანგ (ყანჩაეთის გულ.). იხ. 1670 წ. ქვეშე. ეს ვახტანგ იხსენიება გუჯრებში „ორისავე ტახტისა და სახელმწიფოისა ქართლისა და კახეთისა მპყრობელად“ (ჩემი გუჯრ. წ. გვ. 243—244).

— ქ̃კსა :ტმვ: აქა მეფე როსტომ [მი]იცვალა (ჟამნი № 3: შეადარე 1669 წ. ქვეშე)

ზემო გამოკვრბა და ზოგან შეცვლით დაიბეჭდა და ამის გამო აქ ჩავკირთავს შემდეგი ცნობები:

**1607** წელს ქ~კს :სეე: კზ~ი დომენტი საკანონოდ ჯავახიშვილს ზაქარიას ართმევს ერთს კომლს გლეხს.

**1623** წ.—ქ~კს :ტია: აქა მოვიდა ყარჩიხან და მრავალი ლაშქარი და ხანები. უღალატა მოურავმან გიორგი; ხანები დახოცა, ლაშქარი ამოწყვიტა და გააქცივა. (დანარჩენი ისრე, როგორც ზემო 445 გვერდზე დაბეჭდილია).

**1647** წ. ქ~კს :ტლე: აქა ბატონს თეიმურაზს შაებნეს ქართველნი თიანეთს და ქართველთა გაემარჯვა და ბატონიშვილი დავით მოკლეს ყიზილბაშთა (ქვათახევის გულანი).

— ქ~კს :ტლე: აქა არჩილი დაიბადა (ძილის პირი იგორთისა, № 6 :იხ. 1648 წ. ქვეშე).

**1648** წ.—ქ~კსა :ტლვ: აქა არჩილ დაიბადა, ძე მეფისა შანავაზისა.—აქავე ბატონიშვილი დათუნაჲ მოკლა როსტომ მეფემან (ყანჩაეთის გულანი.). არჩილ თვთ იმბობს: 1683 წელს 37 წლისა კიყავით ის. 1683 წ. ქვეშე. არჩილის შვილი დავით † 24 ოკტომბერს 1709 წ. 19-ს წლისა, მამუკა † 1695 წ. ცხრა წლისა, დარეჯან ასული მისი ცოლად უყანდა 1672 წ. ლევანის მეს მანუჩარ დადიანს, 1739 წ. 24 სექდ. (Brosset: add. IX გ. 627).

— ქ~კსა ტლვ. მოკლეს ერეკლე მეფის მამა და (sic) დათუნა („წიგნი ქორონიკონნი“).

— ქ~კს :ტლვ: ბატონს თეიმურაზს უღლისს დაუმარცხდა და მალარის ძე მისი დათუნა მოკლეს (კახ. ქრ.). დათუნას ცოლი იყო ელენე, ლევან დადიანის ასული.—დათუნას შვილი ერეკლე (იგივე ნიკოლოზ) ხუთის წლისა ამავ წელს იმერეთს წაიყვანეს, 1652 წ. რვა წლისა რუსეთში გაგზავნეს, სადაც 1657 წ. მივიდა იმერეთით პაპაცა მისი თეიმურაზ I (Hist. Gé. II, p. 343). *)

— ქ~კს :ტლვ: ქრისტიშობის :ა: მეფე როსტომ-მარიამ და ძე მათი ლუარსაბ სწერენ: „შემოგწირეთ წიგნნუჲ გამოსადები სათათრო საური უნაკლულოდ... განგვარინენ მძლავრთა ამათ აგარის ნაშობთაგან, რ~ნი გუბრძვანან ჩუენ და განაქარვე ზრახვა მათი.. წიგნელ მ~სო რომანოზ,... მოგჳსენებდეთ“

*) „ვარდბულბულიანში“ მეფე ჰყვედრის ბედს, რომ: „დამიკარგე ძე-ასული; ტახტი ამაი არ ღირს იყო, რომ ჯდეს ვინმე ალვა-ხრდილი, იგი ანაზდად გადმოაგდოს, აღარ იყოს მისი ჩრდილი, იმის ნაცვლად დაჯდეს ვინმე უშვერი და სულ უნდილი“... თეიმურაზს შვიდი წელიწადი რაჰაში უცხოვრია ამ არევ-დარევის დროს და იქ უნდა დაეწეროს „შამა ფარვანა“ სადაც ვკითხულობთ: „გათავდა ესე ამბავი... ცუდათ წოლით და გდებითა; ეს მომაგონა რაჰამა, ორმოს ჩამაგდო სოფელმან, ძირს ჩამიტანა რა ჭამა... ღმერთო ნუ მიწყენ ამ ცუდსა ლაყაფსა მიმოდებასა, ველარ გაუძლე შვიდ ზაფხულ მოწყენით ცუდათ გდებასა... გული ამაზე დავჩარე ბევრი დღე დავალამეო... ჩარხი უკუღმა ბრუნევდა, ბედი დამმტერდა ვამეო!“ (ჩემი აღწერა „წერა კითხ. საზოგ. ხელნაწერებსა“ გვ. 5—6).

**1648** Ⴜ.—ქ̃კს :ტლვ—აქა მო̃ყჳნეს (მოიყვანეს) დედოფალი ხუარამზე (წერა-კითხ. №1204). (ქაიხოსროს I გურიელის ცოლი; იხ. ბიჭვ. გუჯ. № 29).

**1649** Ⴜ.—ქ̃კს :ტლზ: მარიამ დედოფალი სწერს: „..მას ჟამსა ოდეს ბატონმა თეიმურაზ კისისკევი ნასისხლად დაგჳდვა და მერმე მოჴდა საქმე და თავისის საბატონოსაგან გარდაკარდა და იმერეთს წავიდა, კისისკევი ჩუენად სახასოდ დავიჭირეთ. მოვიდა.. ტფილელ მ̃ზი ელისე.. და მკელი სიგელი მოგუართვა ბატონის ლევანის შეწირულობისა, როდეს მეორედ სიონთა ღ̃თისმშობლის ხატი მოეჭედა და ეს მამულიც მაშინ... შეეწირა“. ჩვენც შევსწირეთ უნაკლულოდ. თვესა ივნისის :იე; ქ̃კს :ტლზ: (სიონის სიგ. № № 16 და 51).

— ქ̃კსა :ტლზ: აქა ბატონი შ[ვილი] თეიმურაზ დაიბადა. (ჟამნი № 3: აქ იგულისხმება მუხრან-ბატონი).

**1650** Ⴜ. ქ̃კს :ტლშ: აქა საფრიძეს მტბევარს იშხნელობა და მაწყვერლობა მოუვიდა ხვანთქრისაგან (იხ. ზემო, გვ. 465).

**1659** Ⴜ.—ბიჭვინტის სიგელი № (ნუსხა № :გბ:):

ვამეყ დადიანი, ცოლი მისი ელენე და ძენი მათნი გიორგი და ბაგრატ სწერენ: „..მას ჟამსა ოდეს,.. გარდაიცვალა ბატონი დადიანი ლევან, დაგვედასპარაკა ბატონი გენათელ კათალიკოზი ზაქარია ქუარიანი, გავსინჯეთ: სრულიად ოდიშს ერთი საყდარი ასრეთი არა ჰქონდა ღ̃ს, რომე დღესასწაული გარდაეხადა და ხან ერთსა ეპისკოპოზსა ჩაუდგებოდა და ხან მეორეს, და ეპისკოპოზები მწყემთ გარჯით და დაღონებით იყვნენ... ამისთჳს შევსწირეთ.. (ბიჭვინტას) სენაკს საწინამძღუროდ საყდარი და სასასლე ს̃დ მისის მამულითა და ორის სასახლითა... ოდესაც ღ̃ი ოდიშს მობრძანდებოდეს, ხატსა, ჯუარსა და ომფორსა იქ საყდარზედ დაასვენებდენ.. დაიწერა... ქ̃კს :ტმზ: კელითა ჩემ ცოდვილისა ღ̃ის მგალობლის თამაზისათა“.

— ქ̃კს :ტმზ: ამა წინას ქ̃კ̃ზე (ესე იგი :ტმკ:) როსტომ მეფე მიიცვალა და მუხრანის ბატონი ბატონად დასვეს და დედოფალიც მისცეს (ქვათახევის გუჯ.)

— ჩქთ (**1659** Ⴜ.), ოკტომბერს 24, შუაღამისას, დღესა კვირიაკესასა დაიბადა საბა (სულხან) ორბელიანი (ჩემი აღწერა წერა-კითხ. ხელნაწ. გვ. 151).

ქკს :ტმზ: აქა მიიცვალა ყოველთა მეფეთა მჯობი დიდი მეფე ალექსანდრე იმერეთისა (წერა-კითხ. № 252).

— ქ̃ს—:ტმზ: კახეთს დასვეს სალიმხან და ზაალ ერისთავმან კახეთს ელნი მოსწყვიტნა. კვალად მოკუდა როსტომ ფაშა, დაჯდა ძე მისი სალიმ ათაბაგად.—კვალად მოვიდა ბატონი თეიმურაზ რუსეთიდამ იმერეთს (კახ. ქრ.).

— ქკს :ტმზ: აქა მოათხოვა დადიანმა ვამეყ ასული თჳსი მეფესა შანავაზს ძისა თჳსისათჳს და მეორესა წელსა სხვათა მიათხოვა ქალი იგი (ყანჩეთის გუჯარი)

— ქკ῀ს :ტმზ: ამა ქკ῀ს გარდაკდა [კათალიკოზი] ქუარიანი ზაქარია და იმავე წ[ელსა] ქრისტიანე და ღვთის მოყუარე ქუთათელ მიტროპოლიტი ჩხეტიძე ბატონი ს῀ნ (სჳმონ) კათალიკოზად დასვეს (წ῀ა გი῀ს გუჯარი.). ქვარიანის წინ კათალიკოზობდა მაქსიმე † 1657 წ.

გელათის წარწერა: „უფალო, შეიწყალე კზ῀ი ზაქარია! ესე სათვალავი ჩემი არის და ვინც ჩვენს უკან განკსნას, შეჩვენებული იყოს!“. სხვა წარწერა: „უფალო, შ῀ე დიდისა საყდრისა გენათის მიტროპოლიტი და აწ აბხაზეთისა და საქართველოსა დიდისა ბიჭჳნტისა კზ῀ი ზაქარია ქვარიანი“ (Rap. XI, 10).

**1659 წ** — ქ῀კსა :ტმზ: როსტომ მეფე მიიცვალა თფილისის ქალაქს („წიგნი ქორონიკონნი“)

— ქ῀კს :ტმზ: როსტომ მეფე მიიცვალა გიორგობისთვეს :იზ: (პ. კარბელოვისმიერ ნაშოვნი ქრ.).

— ქ῀კს :ტმზ: ნოემბერს :იზ: გარდაიცვალა მეფე როსტომ (სოლომონის ძის ალექსიევის ნაპოვნი ქრონიკა: იხ. ცაგარლის СВѢД... III, 296)
(უმეტესის ქრონიკების და სხვა საბუთების მიხედვით როსტომ მეფის სიკვდილი უნდა დაადვას 17 ნოემბერს 1658 წ.)

თეიმურაზ II მეფე როსტომ-მეფის სასახლეზე სწერს შაირად: „როსტომ მეფისგან ნაგები საწოლი სახლეანი, |ნახატი სურათებითა, ყვავილი ფერადიანი:| თჳთ როსტომ ფალეკანი და დევნი ეხატნენ რქიანნი;| შეემკო დიდად, დაედო სახლად „როსტომიანი“

— ქ῀კს :ტმზ: როსტომ მეფე გარდაიცვალა და ამავე ქკ῀ს მეფედ დაჯდა ვახტანგ, სპარსთა ენითა შაჰ-ნავაზ წოდებული (ჩხეიძის ქრ.)

— ქ῀კს :ტმზ: კ῀ზს ქრისტეფორეს თავისს-თავს სწირავს მღვდელი. გოჩიაშვილი (ნუსხა № :რლგ:).

**1660 წ.** ქკ῀ს :ტმჱ: დაჯდა შანაოზ მეფე ბატონად; დომენტი, იმისი ბიძაშვილი კათალიკოზად („წიგნი ქორონიკონნი“).

— ქკ῀ს :ტმჱ: მეფე ალექსანდრე, ცოლი მისი კახთ მეფის ასული ნესტან დარეჯან, ძე მათი ბაგრატ და კზ῀ი ზაქარია; ჩხეიძე სახლ-ხუცესი, ერისთავი პაპუნა, აბაშიძე ხახუტა (ხონის ტაძრის სიგელთ კრება № № 80; 6 და 103).

— ქკ῀სა :ტმჱ: აქა მეფემან ალექსანდრე გურიას მოუკდა, გურიელი ქაიხოსრო გარდააგდო და დიმიტრი გურიელი გურიელად დასვა (შემოქმ. გუჯ.—იხ. ზემო 1658 წ.).

**1660** კზ῀ის დომენტის გუჯარი

— ქკ̃ს :ტმზ: ამა ქკ̃სა მიიცვალა მეფე ალექსანდრე იმერეთისა და გამეფდა მისი შვილი ბაგრატ (ვახუშტ ჟამ-გულანი).

— ქკ̃სა :ტმზ: ამა ქკ̃სა თ̃სა მარტს :დ: (ოთხსა) მეფე ალექსანდრე მიიცვალა.—ამავე წელსა და ამავე თვესა მის წილ ძე მისი ბაგრატ მეფე იქმნა.— და მასვე წელსა, თვესა ივლისსა ულალატა დედინაცვალმან და ზოგმა მისმან ორგულმა ყმებმა, დაიჭირეს და თვალი დაწუეს და სამს წელიწადს იმერეთი ოხერ და უმკვიდრო იქნა: ზოგჯერ დადიანს ეჭირა, ზოგჯერ ყიზილბაშთაგან, ზოგჯერ ურუმთაგან და ერთს წელს გურიელიც მეფობდა. ესეთი უსაზომო ჭირი იქნა ამისის დაშავებითა და :გ: წელიწადს კათალიკოზმან ჩხეტიძემ სვიმეონ და მისმა ძმამ სახლის უხუცესმან სეხნიამ და გენათელმან ლორთქიფანიძემ გედეონ დიდის ცდითა მოიყვანეს დ გააბატონეს თ ვ ე ს ა ი ვ ლ ი ს ს ა ო ც დ ა-ე ქ ვ ს ს ა (ხაზ ჩამოსმული მხედრულად მიწერილია არშიაზე და სხვა ხელით ჩაურთავს ქგ. მუზ. № 186).

— ქკ̃ს :ტმზ: მოკუდა ალექსანდრე მეფე; დაჯდა ძე მისი ბაგრატ.— დედის-ნაცვალმან დარეჯან ძმისწული თვისი ცოლად შერთო და ექვსს თთუეს უკან თვალნი დასწვა ბაგრატს. მან ვახტანგ შეირთო და გამეფდა. მერმე ასლან-ფაშა ჩამოვიდა, დარეჯან და ვახტანგ წარიყვანა და ბაგრატვე დასვა.— კვალად მოკლეს ზაალ ერისთავი მაისის :იგ: კვირას.—კვალად მოკვდა კათალიკოზი ქრისტეფორე, დაჯდა დომენტი, ძე ქაიხოსროსი (კახ. ქრ.).

— ქკ̃ს :ტმზ: ამ წლის ახლო-ხანს მაჩაბლები (ბაადურ, ლომ-კაცი და ქაიხოსრო) საფიცრის წიგნს აძლევენ ქკ̃ზს დომენტის: „დღეის იქით არც ჩუენ გავყიდოთ ტყუე და არც ჩუენს ყმას გავაყიდვინოთ, არც სხუამ მომგვაროს.. თუ ბატონმა საყეენოდ არა მთხოოს, ჩუენის ნებით არც შევაძლიოთ და არც მივართვათ. თუ უსჯულომა კაცმა ფეშქაში მოგუვართვას, არც იმას მივსცეთ“. (ნუსხა მცხეთის №: რიბ):

ამ გვარსავე წიგნს აძლევს კზ̃ს დომენტის ავალიშვილი გ̃ი „ასრე რომე არც გავყიდოთ ჩუენ ტყუე, არც ტყვის საქმეში გავერივნეთ, არც გავასყიდვინოთ ჩუენს აზნაურშვილსა და მსახურს. თუ ჩუენ ტყვს საქმეში გავერივნეთ ან თათარს მივსცეთ.., შაჰნავაზ კელმწიფემ თავის შეცოდებად მოგვკითხოს“.. (ნუსხა № :რიე:)

ამ გვარსავე საფიცარს უდებენ ფალავანდიშვილები ქკ̃ზს ნიკოლოზს: „..ასე და ამა პირსა ზედა, რომე ამოჰკუეთეთ ტყვს გასყიდვა“ (ნუსხა № :რიდ: იხ. 1681 წ. ქვეშე).

**1660 წ.**—ამ წლის ახლო დროებს ეკუთნის გელათის სიგელი №:

„ქ. ჩვენ... შენდამი (გელათის მღვთის-მშობლისადმი) მსასოებელთა.... აფხაზთა დ ქართველთა.. რანთა, კახთა დ სომეხთა მეფეთა... (დ სხვა-და-სხვა)... დედოფალთა დედოფალმან კახთა მეფისა ასულმან ნესტანდარეჯან და ძემან ჩვენმან მეფემან ბაგრატ და თანა-მეცხედრემან ჩემმან (ბაგრატისმან) პატრონ-

მა ქეთეონ გკადრეთ... გენათისა ღ̃თის-მშობელსა... მას ჟამსა ოდეს ძლიერად და უძლეველად ჟამთა მისთა არაოდეს ძლეული ღვთივ აღმატებული... მეფე და ყოველთა მეფეთა შორის უწარჩინებულესი პატრონი ალექსანდრე ამ სოფლით გარდაიცვალა და მისთჳს საალაპოდ... მოჳაკსენეთ... წოდას სასახლე მისის მოჯალაბითა და სახასოს შესავლითა"... (და სხვ. ბჟრი.)

„ჩ̃ნ... მეფეთ მეფემან ალექსანდრემან პაპის ჩუენის ალექსანდრეს საფლავი მოვიკითხეთ: მამული შეეწირა დ̃ გარიგება არ დასცალებოდა... ჩვენგან დასმული გენათელი ლორთქიფანიძე ნიკოლოზ უჩინეთ და ასე გავარიგებინეთ, რომ ცხრა შემახური სანთელი, ერთი ჩარექი საკმეველი ყოველ წელიწადს პაპის ჩემის საფლავს დეკანოზს მიებარებოდეს. ამას გარეთ ორს კარგს ცხვარს, ორს კოდს ღომს, ორს თორმეტიანს ღვინოს ყოველს სულთაობას პაპის ჩემის საფლავზე მიიტანდენ"... და სხ.

ნესტან დარეჯანი, ასული თეიმურაზ I, ქვრივი ზურაბ არაგვის ერისთავისა; ცოლი ალექსანდრე III იმერთა მეფ., რომელიც მიიცვალა 1660 წ.

— ქკს :ტმჲ: მარიამ დედოფალი უბრუნებს მცხეთას სოფელს არაშენდას. „ქ̃კსა :ტმჲ: იანვარს :კვ: ინდიკტიონსა მეფობის აჩვენისასა :ბ: "(sic), ე. ი. მეორე წელს შემდეგ მეორე ქმრის შერთვისა: აქიდამაც ცხადია როსტომ მეფის სიკვდილი 1658 წ. (იხ. 1658 წ. ქვეშე: ნუსხა მცხეთისა № :ნდ:")

**1661** წ. ჟამნ-გულანი წ̃ს ნიკოლოზის ეკკლესიისა, რომელსაც ტექსტის ხელით აქვს შემდეგი წარწერა (იხ. ფურცელი ხელნაწერისა 231):

„...მე.. ფ̃დ ცოდვილმან ფანასკერტელმა ციციშვილმა სარდრის პ̃ტახო (sic) უხუცესმან პაპუნას ძემან ზაალ და თანამეცხედრემან ჩ̃ნმან ასულმან ამირეჯიბისამან ბატონმან მ·რიამ... აღვაწერინეთ წ̃ა ესე... აღსრულებული ჯაზულითა და დახატვითა ჟამნ-გულანი სულისა ჩ̃ნისა საოხად... და მოსახსენებელად ქართველთა მეფის დის დედისიმედის საოხად. შემოგწირეთ ესე შესაწირავი შენ საშინელსა და ცათა უმაღლესსა ვედრებასა ღთ̃ისმშობელსა... დაიწერა წიგნი ესე ქ̃კს :ტმთ:... კელითა ჩემ ცოდვილისა ათანასისათა (ფურც. 318).. ახალი მოსწავლე ვიყავ და, თუ რამე დამეშავებინოს, ნუ მწყევთ"

წ̃ა ნიკოლოზის ძველს დანგრეულ ეკლესიაში საფლავის ქვებზე იკითხება:

„ქ. ესე :თავადთ:. უთავადესი:. ფანსკე[რტელი] ც[იცი]შვილ - - - სახლთუხუცესი:. პატრონი ზაზა:. მე:. თ - - - მ - - - ლისა:. ქონებისა:. დიდების:. პატრონი იყო:. - - ერი:. აუჩნდა - - - ნლა ღმერთ:. გარისხებულმან - - - ღ̃ნ:. აგისრულოთ (?) წმვაკოდინეს (?) რაც - - - სასახლე და გალავან წ̃ს ნიკოლოზის - - - - გავათლევინე".

**1661** წ. ამ დროებში ამირაჯიბნი როსებ და ზაალ პირობას უდებენ კზ̃ს დომენტის: «თუ ჩუჱნ ან ჩუჱნის მამულის, ან მოსული, ან ნაბოძავნი ტყუჱნი

გავყიდოთ და ან ტყვს სყიდვაში გავერივნეთ და ახალციხეს რომ კაცი გავყიდეთ, თუ კიდეც არ დავიხსნათ და არ მოვიყვანოთ, ან შვილი დაუკარგოთ, ან ცოლი.., ვიყნეთ შემცოდე.. ღთისა და თქუენი".. (მცხეთის ნუსხა № :რმდ:).

— ქ~ს :ტმთ: ვამიყ დადიანი გუჯარს აძლევს ბიჭვინტას (№ და ნუსხა № :გ:) და „ქუთათელ კათალიკოზსა ჩხეიძესა პატრონსა სიმონს, ასე რომე საკათალიკოზო მამულები სადაც იყო, ყოველგან ვინგინდა-ვის სახელოდ ქონდა საბატონო კაცებს და აწ.. თქვენ.. დაგვეაჯენით. ჩვენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და გარდაგვიგდია საკათალიკოზო მამულზედა და ალაგეპზედ ყოველგან მოურავი ჩვენი საბატონოშიდ.. ბიჭვინტისა მამული და ყმა არავის დავანებოთ.. თუ არ იმავ ხატის ყმა, სხუა კაცი მოურავად არ დავსვათ და არც ვის სახელოდ მივსცეთ.. საძალოდ და საავკაცოთ არ ვის დავანებოთ,.. ძველთაგან ასრე ყოფილა.. და არც ჩვენ დღეის ამას იქით თქვენდა უკითხავად და უნებურად ეპისკოპოსი არ დავსვათ... ქ~ს :ტმთ:"..

ქ~სა ·ტმთ: [აქა ქა]რთლის [მეფემან] შანაოზა დაიპყრა იმე[რეთი დ]ა ოდიში; დადიანი მოკლა [ცოლი და შ]ვილი წამოუსხა; გური[ელი] კელთ დაიპყრა; შავრაში[ძე ეყმ]ო; სულ აფხაზეთი (sic), ჯი[ქეთი და ს]ვანეთი კელთ დაიპყრა:. (ჟამნი № 3, არშია წარწერებით წაჭრილია).

ეს წარწერა უწერია ქ~ს :ტმც: თავსა, მაგრამ ნიშანი უზის ქ~ს :ტმთ:-სა.

— ქ~ს :ტმთ: შანაოზ მეფემ იმერეთი დაიპყრა; ოდიში მოსტყვენა, დადიანად ლეონ დასვა, ქუთათის ძე თვისი არჩილ აკურთხა, მეფედ დასვა. ბატონი თეიმურაზ ტფილისს წარმოგზავნა და იმერეთიდამ მოსულმან თეიმურაზ ყეენთან წარავლინა (კახ. ქრ.).

სპარსეთში უნდა დაესრულებინოს თეიმურაზ მეფეს „ქება მეფის ალექსანდრესი და დედოფლის ნესტან დარეჯანისა", რომელშიც მეფე გვაუწყებს: „კვლავც მითქვამს სიტყვა უქმისა, პატიემა შემაშინაო.... გრძლად მატირა საწუთრომა, ცრემლთა ღვარი დამელია... მე დამემტერა სოფელი, მტერთანა ყოფა მეყოფა"...

ტმთ—**1661** წ. ჩვენ კელმწიფემან, მეფემან დადიანმან პატრონმან ვამეყ და თანამეცხედრემან ჩვენმან ელენე, ძეთა ჩვენთა გიორგი და ბაგრატ გკადრეთ და მოგახსენეთ და დაგიდევით სიგელი ესე თქვენ ცათა მობაძავსა ბიჭვინტისა ღვთის მშობელსა და მას შინა დადგინებულსა ქუთათელ ქათალიკოზსა ჩხეტიძესა პატრონსა სვიმონს , ასე რომე საკათალიკოზო მამულები სადაც იყო ყოველგან ვინ-გინდა-ვის სახელოდ ქონდა ბატონო კაცებსა და აწ ბატონო კათალიკოზო თქვენ მოინდომეთ და დაგვეაჯენით და ჩვენ ვისმინე... ასე რომე... ბიჭვინტის ღვთის მშობლის მამული არავის დავანებოთ... და ვინც თქვენ სარჯულო საქმეზე წინააღგიდგეს და გაუწყრეთ ჩვენც სამართლიანის საქმით თქვენ მოგიდგეთ და სადამდის თქვენ შენდობა არ უბოძოთ და არ შეირიგოთ, არც ჩვენ შევირიგოთ"...

**1662 წ.**—ქკ̃სა :ტნ: აქა მეფე შანავაზ მოუხდა დადიანს ვამიყს, რომელსა ეპყრა იმერეთი და ოდიში; დადიანი მოკლეს, მისი ცოლი და შვილი წამოასხაჲ, იმერეთი და ოდიში დაიპყრაჲ, გურიელი და აფხაზი ეყმოჲ, იმერეთს გააბატონა ძე თჳსი არჩილ და ოდიშს—დადიანი შამადავლე, და მოვიდა მშვიდობით სამეფოსავე თჳსსა ზედა ურიცხჳთა ლარითა აღსავსე (ყანჩაეთის გულ. ნა.)". ამ ომს იხსენებს ოქონის გუჯარი (იხ. 1708 წ. ქვეშე): „შაჰნავაზს იმერეთ-ოდიში-გურია დაეპყრა და დაემონა... ოქონის ხატი კვალად ეშოვნა„.

— ქკ̃ს :ტნ: მოვიდა ძისძე ბატონის თეიმურაზისა რუსეთიდამ ერეკლე, თუშეთს და კახეთს ეკირთებოდა (კახ. ქრ.)

— ქკ̃ს :ტნ: იკორთის ზადიკის წარწერა: „ქ.... მთავარ-ანგელოზნო მიქელ და გაბრიელ... შემოგწირეთ სოფელი შუაცხვირი მე ერისთავმან იესე და ძმამან ჩემმან ზაალ და დედამან ჩემმან პატრონმან როდამ, რათამცა შევამკეთ ტაძარი თქვენი და განვადიდეთ... ქკ̃ს :ტნ:"...

ამავე დროებში ქკ̃ზს დომენტის ერთგულობის წიგნს უწერს ჯავახიშვილი მანგლელი გაბრიელ: „თქუენ მიერი (ეპისკოპოსად) კურთხევა მოვიღეთ ჩემზედა... ვიყუნეთ თქუენნი ერთგულნი და.. მორჩილნი" (მცხეთის ნუსხა №:რმა:).

— ქკ̃ს :ტნ: სჩანს ჩხეიძე მთავარ-ეპისკოპოსი ნიკოლოზ, ამილახვრისშვილი ბარძიმ (ნუსხა № :ყა:).

**1663 წ.**—ქკ̃სა :ტნა: შანაოზ მეფე ოდიშს ჩ[ა]უხდა. ამავე ქორონიკონსა მეფე თეიმურაზ ასტარაბათს მიიცვალა („წიგნი ქორონიკონნი").

— ქკ̃სა :ტნა: [აგ]ჳსტოსა :იე: აქაგ - - - - ოფლად ბატონის შვილი - - ყ̃ა იმერეთსა (გელათის გულანი)" ამ დაზიანებულს წარწერაში ეწერებოდა: „აქა გ[ახდა დედ]ოფლად ბატონიშვილი [თამარ] ყოველსა (ყ̃ა) იმერეთსა". უნდა იგულისხმებოდეს მეფის ბაგრატისგან ვამიყ დადიანის ცოლის შეთვა.

— ქკ̃სა :ტნა: ამა ქკ̃სა ვინც იმერელი კაცი მის ღალატში არ ერია, მოიყვანეს მეფე ბაგრატ დ̃ გააბატონეს თვესა გიორგობისთვესა (ეკ. მუზ. № 186. ეს წარწერა ზედ მისდევს იმავ წიგნის 1660 წ. წარწერას).

— ქკ̃ს :ტნა: ვახტანგ მეფემ ძე თვისი არჩილ იმერეთიდამ წარიყვანა და იმერეთს ბგრატ წარგზავნა და მეფედ ჰყვეს. ერეკლე თუშეთს განაძო, კახეთი თვით დაიპყრა.—კვალად ბატონი თეიმურაზ ასტარაბათს მოკუდა.—კვალად შეიბნენ ბაგრატ და ლეონ დადიანი, მეფეს გაემარჯვა და დადიანი დაიჭირა, ცოლი წაართვა დ̃ თვით შეირთო, დაჲ თვისი გოშაძის ნაცოლარი მას შერთო ცოლად (ეს ყოფილა 15-ს აგვისტოს იხ. ზემო: კახ. ქრ. შეადარე ზემო 1663 წ. და ქვემო 1664 წ. ქვეშე).

— ქკ̃ს :ტნა: გამეფება არჩილისი: 1670 წელს ყოფილა 7 წელი მისის მეფობისა (იხ. 1670 წ. ქვეშე).

— ქკ̃ს :ტნა: მცხეთის სიგელში № 49 სწერია: „დაემყარე, (სუკტი ცხოველზე იტკვის) შორის ცისა და ქუეყანისა და იწყე დენად მირონსა მას ღმერთმყოფელსა.., რომელსა შ̃ა მკვდრ არს კუართი საუფლო“. ბარათაშვილები უბუნებენ მცხეთას „ნასოფლარს“ საბროწლეს.

— ქკ̃სა :ტნა: აქა მოვიდა ლეონ დადიანი და შამოება მეფეს ბაგრატს ქუთათის ანძილახის საყდარს უკან, და მეფეს ბაგრატს გაემარჯვა:-(წერა-კითხ. № 262).

**1664 წ.**—ზემოხსენებულს (1660—1663 წ.) ოდიშ-იმერეთის არევ-დარევასა ჰმოწმობს გუჯარი გედეონ გენათელისა: „ქ... ჩუენ გენათელმან-ნიკორწმიდელმან გედეონ საკუთარ-ქმნილი მამული შენი (ე. ი. გელათისა) და წილად ხდომილი ერი შენი ესრეთს იწროებასა, ოკრებასა (იყო) და მწუხარე̃ასა· შინა იყო ხუთს წელიწადს, რომე ესე ვითარი არაოდეს მოსულიყო ესრეთი შფოთი და ურვა, მას აქეთ არა ვინ ისმინოს და არცა ვის სმენოდა; და·ბრძანებითა თქვენითა... ტაძრისა თქუენისა მოსაყდრე ჯერ ვიქმენ და ესრეთი ცდა და ღონისძიება ვქმენით, რომე ერთს მონასა და მეგობარსაც არ ექმნას რა... და ყმასა თქუენსა და არცა რამე დაკლებულ იქმნა მამულისა მის თქ̃ნთვს შემოწირულისა. მას აქათ მოხედვა ყ̃ო ღ̃ნ წყალობითა თუალითა იმერეთსა ზედა და მკვიდრი პატრონი ვიშოვნეთ და ქვეყანამ დაწყნარება და მშვდობა დაიწყეს. მას აქათ... ბრძანებითა მეფეთა-მეფისა პატრონისა თამარისათა... მაჰუტორი ვიყიდეთ; არგვეთს ძველი ციხე იყო და აღშენება ვიწყეთ და გლეხებს დასახლება და საზღვარი ამისი მუხურის მთამდის სკანდურს დაღმა, სკანდის შემოღმა აქათა თხილია-წყარომდე ღელედმდე და იქით სკანდის ღელე მოდის... ამ შუაზე რაც მიწა-ადგილია, ყველა უკლებლად., გიყიდე... და ბაგრატ-მეფის ბრძანებით... გელათის ღ̃თისმშობელს შევსწირე... ჩემის ალალის თეთრით მიყიდია... დაიწერა ქკ̃ს :ტნბ:“ (სიგელი გელათისა № 139. ნუსხა № :კ:)

— ქკ̃სა :ტნბ: ამა ქკ̃სა მეფე ბაგრატ (და) დადიანი ლევან შეიბნეს ბანძას და მეფეს გაემარჯვა, დადიანი კელთ დარჩა, ცოლი წაართვა, მან შეირთო და თვისი და თინათინი დადიანს შერთო. ნახეთ უბატონოთ (უბ̃ტნთ) იმერელთ რკმლი †═(ხრმალი)! (ეკ. მუზ. № 186).

—ქკ̃ს :ტნბ: შანაოზ მეფე თორღას მოადგა.—კვალად არჩილ კახეთს მოვიდა მეფედ.—კვალად ბატონი თეიმურაზ ალავერდს დაფლეს: (კახ. ქრ.)

— ქკ̃ს :ტნბ: გურიელი გიორგი, დედა მისი ხუარამზე და ბატონიშვილნი მალაქია და ოტია სწერენ კზ̃ს ჩხეტიძეს სვიმონს: „ასრე რომე ძველთაგან ამ სამს საბატონოშიგან სამართალიც ასრე ყოფილა და დღესაც ასრე არის: კზ̃ის უკითხავად და ნება-დაურთავად ეპისკოპოზობა არ გაცემულა და არც არავის გამოურთმევია; და არც ჩუენ დღეის ამას იქით ამ ჩუენს საბატონოშიდ თქვენდა უკითხავად და უნებლიად ჩვენ ეპისკოპოზი არ დავსვათ და არც ეპისკოპოხობა გავსცეთ და არც არავინ გარდავაყენოთ და არც არავის საწი-

ნამძღურროები მივსცეთ... და ვინ შეაჩვენოთ..., სადამდის თქვენ შენდობა არ უბოძოთ და არ შეირიგოთ, არც ჩუენ შევირიგოთ... თქუენთჳს მწყალობელნი, კარგნი და მოპატივენი ვიყუნეთ... ბიჭვინტისა.. მამული საძალოდ და საავკაცოდ... არ ვის დავანებოთ... დაიწერა.. ქკ̃ს :ტმიბ: (ბიჭვინტის სიგელი № № 35; 56 და 9103; ნუსხა № :ჲ:).

— ამავე დროებს უნდა იყოს მიცემული სიგელი მცხეთისა (ნუსხა № :ტკზ:): „ესე წიგნი მოგახსენეთ ჩ̃ნ ერთობილთ ბოკოწინელთა თქუენ.. ქკ̃ზსა.. დომენტის, ასე რომე სამუშაოზედ და გამოსაღებზედ ლაპარაკი იყო ჩ̃ნი და წინამძღურისა. აწე შევრიგდით, ასრე რომე ყოველს წელიწადს გამოსაღებსა კომლად ხუთ-ხუთსა ჩაფსა ტკბილს გამოვიღებდეთ და ჩავასხემდეთ და ზვარს მოვაკმარებდეთ სანამდისინ მოშენდებოდეს. კიდევ სამის დღის ყანა, ორის დღის ქერი, ორის დღის ფეტვ, გუთნის თავს ეს უხნათ. ამის მეტი გამოსაღები არა გვედვას რა“...— ამ სიგელს ამტკიცებს კ̃ზი ზაქარიაცა და ეს გვაფიქრებინებს, რომ ზაქარია უნდა იყოს იმერთა კ̃ზი, რომელიც მოკვდა 1659 წელს.

— ქკ̃სა :ტნბ: აქა მობრძანდა ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოზ (ჟანჩ. გულ.)

— ქკ̃ს :ტნბ: ბარათასშვლი სახლ-ხუცისშვილი ქაიხოსრო კზ̃ს დომენტის სწერს: „ეშმანმან მაცთუნა და მღდელ-მონაზონობისაგან (არსენ წოდებული) ერისკაცად შევიქენ.. გაგვწყერით. იმ კელად ანტიოქიის პატრიარქი (მაკარი) მობძანდა და მისის შუამავლობით... შეგვრიგეთ და შენდობა გვბოძეთ.. საკანონოდ მოგაკსენეთ.. მამული ორი კუამლი (ჩამოთვლილია) ქკს :ტნბ: აგვსტოსა :გ: (ნუსხა) № :რქთ: და № 49).

— ქკ̃ს :ტნბ: სიგელი მცხეთისა № 179 (ნუსხა № :რჳგ:): „ქ. ესე.. წიგნი.. მოგართვით საქართველოს პატრიარქს ბატონიშვილს პატრონს დომენტის ჩ̃ნ იევანგულიშვილმან ამირჯანამ... ასრე და ამა პირსა ზ̃ა, რომელ კაისრის (sic) საბატონოდამ ათი ხატი მოვიტანეთ: ერთი ანჩისა, ერთი ნათლისმცემელისა, ერთი ი̃ე მახარებელისა, ერთი მთავარ-ანგელოზისა და ექვსი სხვა წურილი. ესები თქვენ მოგართვით და ავიღეთ მისის თვალისა, მარგალიტისა და ოქროს ფასად მარჩილი ორი ათასი, ასე რომე ათას რვაას მარჩილად კელმწიფის მეფის შაჰნავაზის საბ უყუფმა (sic) ოქრომჭედელმა და სხვათა მცოდნეთა კაც[თა] ამად დააფასეს და ჩვენ ორი ათასად გაგვითავეთ და გვიბოძეთ, ასრე რომელ აღარა დარჩა და უნაკლულოდ მოგვებარა... და თუ ვინმე მოლაპარაკე და მოცილე კაცი გამოჩნდეს, პასუხიც ჩვენ მივსცეთ. ქკ̃ს :ტნბ: ქრისტეშობისთვის :ე: ..მე კელმწიფის მდივანს გიორგის დამიწერია.. † † †

**1665 წ.**— ქკ̃სა :ტნგ: აქა მობძანდა ალექსანდრიის პატრიარქი პაისიოს და სინის მთავარ-ეპისკოპოსი ანანია (ჟანჩ. ჟამის გულანი)“. ამავე წელს მოხსენებულია მეფე არჩილ, დედოფალი ქეთევან (ისტ კრ. 44).— პაისის მოჰყოლია საქართველოში დოსითეოს, (ჰლ. იოსელიანით 1658 წ.) შემდეგ იერუსალი-

მის სწავლული პატრიარხი და ერთი ზამთარი უცხოვრია გელათის მონასტერ-ში. პატრიარქობაში დოსითეოსმა ნახა საქართველო 1688 წ. შეკრიბა 40,000 მარჩილი ფული ქრისტეს საფლავის სომეხთაგან გამოსასყიდელად და ვალის გარდასახდელად (იხ. რეესტრი რუსული მცხეთის გუჯართა №№ 48 და 420; აგრეთვე (ჩემი ისტორ. კრებ. გვ. 230).

1666 წ.—ქკ̃ს :ტნდ: ამ ქკ̃ს, ოკდომბერს :ია: მიიცვალა ქრისტეანი და ღვთისმოყუარე კათალიკოზი ჩხეტიძე სვიმონ (წი̃ს გი̃ს გელათური გუ-ლანი; სხვა წარწერებიც ყოფილა და აწ არა სჩანს).

— ქკ̃ს :ტნდ: არადეთის ეკლესიის კარის წარწერა: „ქ. ჩ̃ნ *დადიანის ასულმან დედოფალმან პატრონმა მარიამ აღვაშენე ეკლესია ესე და შევსწი-რე წ̃სა.. მამასა საბას... ქკ̃სა :ტნდ:“ (Rap. VI ,114).

— ქკ̃ს :ტნდ: „ქ... ესე წიგნი მოგართვით ჩ̃ნ სინის მთავარ-ეპისკოპოს-მან ანანია და სინის მონასტრის კრებულმან ბერმან თქუენ ქართლის კელმწი-ფეს პატრონს შაჰნავაზს, ძეთა თქუენთა... კახთა მეფეს არჩილს, გი̃ს, ლევანს, ლუარსაბს და სულეიმანს, ასე რომე სინის მონასტრის მამული მელურეკის ცოტას ხანს კახაბრიშვილს გორჯასპის ჰქონებოდა და იმ მონასტრის მამუ-ლისგან იქ მიწები მიეყიდა ფავნელიშვილის რევაზსა და პაპუნასთვს. იმათ ზოგი ვენაკად აეშენებიათ, ზოგი სახლები და ქვევრები ჩაედგა და ზოგი ის-რევ მიწად იყო. ჩ̃ნ ჩუენის მონასტრიდამ მოვედით თქუენს საბატონოშია და შემოგეხუეწენით.. დაკსნასა.. თქუენ იყიდეთ და ისევ ჩუენს მონასტერს შემოსწირეთ. ჩუენ დავდევით თქუენის დედის და მამის აღაპი... კორციელს შაბათს.. და ორს კანდელს სამუდამოდ... ავანთებდეთ... წ̃ა ეკატირინა რომ იქ მარხია.. (სინას, იმას ფიცულობს, არ მოგიშალოთ აღაპი).. დაიწერა.. ქკ̃ს :ტნდ: თვესა აპრილსა :კ: კელითა... ტფილელ იოსებისითა“ (მცხეთის ნუსხა № ლთ:).

—ქკსა :ტნდ: აქა (?) მეფე ალექსანდრე მიიცვალა (ჟამნი № 3).

**1666** წ.—ტნდ. მოკუდა ჩხეტიძე კათალიკოზი სვიმონ; დაჯდა საყვარე-ლიძე ევდემოზ: აფხაზთა.—კვალად სეხნია ჩხეიძემ ქუთათისის ციხე აღიღო და ოსმალთა მისცა (კახ. ქრ.).

— ქკს :ტნდ: მელეტის საქართველოში შეუკრებია 1501 მილანთუნი ქრისტეს საფლავის გამოსახსნელად (მცხეთის გუჯ. № 265).

— ქკს :ტნდ: აქა კუწლედი (კუდიანი?) მსკულავი გამოჩნდა და ჩხეტიძე კათალიკოზი [სვიმონ გარდაიცვალა] და შაჰაბაზ ყაენი მოკუდა და მისი შვილი შასეფი გაბა[ტონდა] (კინკლოსი ეკ. მუზ. ჰარაკლიტონისა № 49).

— ქკს :ტნდ: მცხეთის სიგელი № 56 (ჩემის აღწერით № 93: და 111 შეა-დარეთ № 243); იერუსალიმის ქართველთა ჯვარის მონასტრის მამა მელეტი სწერს თფილელს იოსებს: „..ასე რომელ კურთხეულმან (თეიმურაზმან) ელისე საყდრის ალაგი მიბოძა და მე აღვაშენე და ჩემი ძმა იმას ვაყმე და მას უკან

მე ჯვარის მამად დამაყენეს და მერმე ჩემი ძმა აბდულმესი ბატონს ციცის ვაყმე და მე იერუსალიმს წაველ და ის სახლ-კარი თქვენ მოგაბარე ამან ათად (?), რო რაც ქირა აიღოთ ნაშენებისა, მე შემინახოთ; საყდრის წილი და სამართალი რაც იყოს თქვენი, დაიჭიროთ" (თუ სახლი გაიყიდოს, ნახევარი სიონის არისო და ნახევარი ჩემიო).

**1667**—ქკს :ტნე: მოკუდა შაჰაბაზ, დაჯდა ძე მისი შაჰ-სულეიმან.—კვალად არჩილ მოიყვანა სამცხიდამ ბატონის თეიმურაზის ძის დავითის ასული ქეთევან და იქორწინა ტფილისს.—კვალად ბეჟან ლორთქიფანიძემ ქუთათისის ციხე აღიღო, ოსმალნი მოსწყვიდნა (ვახ. ქრ.).

— ქკს :ტნე: მცხეთაში საფლავის ქვაზე აწერია: «საქართველოს სახლთუხუცესი ბატონისშვილი პაპუა... მეფის შანავაზის ძმა ბატონიშვილი მუხრანბატონი კოსტანტინე ქეს აქეთ: ჩქნიზ: (1667), ქკსა: ტნვ (1668 წ.) ..მოიკსენე უფალო მეუღლე მათი ასული საქართველოს აბაშიძის ლონანასი დარეჯან-ყოფილი დომნა და ძე მათი დივით..." (ჩემი უბის წ. I, 76—77).

— ქკსა :ტნე: აქა მოიყვანეს დედოფალი თამარი (ცოლი გურიელის გიორგი III-ის: წერა-კითხ, ხელნაწ. № 1204).

— ქკს :ტნე: კზს დომენტის ამერიჯიბი როსაბ და ძმა მისი ზაალ სწერენ: „მამულის სამზღუარზე ცილობა შეგუექნა.. იფიცეს: კÜ: კაცმა"; ამას იქით კელი არა გვაქვსო. მოწამენი: ურბნელი ეფთვმე, აÜირეჯიბი კაცია, აბაშიძე მამუკა, დიასამიძე ლოლენა... სააკაძე ბერი ზაქარია.. „დაიწერა დღესა სამშაბათსა ქკს: ტნე: ოკდომბერსა: ა: (ნუსხა №: ოზ:).

— ქკს :ტნე: (თუ :ტნვ:?) აქა (1667 ანუ 1668 წელს) მიიცვალა დევან დადიანი (წერა-კითხ. ხელნაწ. № 252)

**1668** წ.—ქკსა :ტნვ: (1668 წ.) ამა ქკსა [შა]ჰნავაზა მეფის ძმა ბატონისშვილი კოსტანტინე მიიცვალა (ჟამნი № 3. ეს წარწერა ხუცურია, მის ქვეშ ძლივს სჩანს იგივე წარწერა მხედრული).

— ქკს :ტნვ: ამავე წელს უნდა იყოს დაწერილი ბიჭვინტის სიგელი № მიცემული „მეფეთ-მეფის" გურიელის დიმიტრის მიერ. მართლაც, დიმიტრი იმერეთს გამეფდა 1668 წელს (იხ. ქკმო): „ქ... ჩუენ ახალ გვირგვინოსან ყოფილმან ლიხთა იმერისა და ლიხთა ამერისა, ოსეთისა, დასავლეთისა და ყაბარდოსა, ჯიქეთისა და აფხაზეთისა, დიდისა ოდიშისა და გურიისა და ს҃დ საქართველოსა მპყრობელ მქონებელმან, დიდმან მეფეთა მეფემან კელმწიფემან დადიანმან პატრონმა დიმიტრი: მას ჟამსა ოდეს... საქართველო დავიჭირეთ, იმ დროსა ბიჭვინტისა ღ҃თისმშობელსა შემოვსწირეთ გურიის წ҃ის კვირიკეს საყდარი ძიმითისა და.. დეკანოზი გაბრიელ და მისი ძმა მოსე კბილიანისშვილი.. და მისი ყმა მამია ქართველიშვილი... მოწამენი.. გ҃ი მიქელაძე... გიორგი ჩხაიძე... გაბრიელ კალანდარაშვილი.. კზ҃ის სვმეონისთვს მიგვიცემია".

— ქკსა :ტნვ: ამა ქკ̃სა ფაშამ ჩამოიყვანა კახ-ბატონის ქალი დარიჯან დედოფალი, გააბატონეს. მაგრამ ქუთათის ლეჩხუმლებმა მოკლეს და ისევ ბაგრატს დარჩა მეფობა (წერა-კითხ. ხელნაწ. № 252).

— ქ̃კს :ტნვ: ჰადი-ჯვარის ეკლესიის კარებზე აწერია: „ქ. მიქელ და გაბრიელ! მეოხ მეყვენით.., ქკზ̃სა დომენტის, რომელმან აღვაშენე საყდარი ესე ქართლს მეფობასა ძმისა ჩვენისა მეფის შაჰნავაზისასა და კახთ-მეფობასა ძისა მისისა არჩილისა... ქ̃კს :ტნვ:“ (Rap. VI, 87).

**1668** წ. ქ̃კსა: ტნვ: :ამას: ქ̃კსა დედოფალმან:. ნესტან დარეჯან:. ჩამოიყვანა: ურუმისა: ლაშქარი:. და მრავალი ავი ქნა და მრავალი სოფელი წახდა და კიდეცა შიმშილობა იქნა. იმ წელსა მე გენათელმა გედეონ (იხ. 1664 წ. ქვეშე). ხიდი ავაშენე ჰიშურაზედა სულის ჩემის საოხად, და ვინცა შენდობა ბრძანოთ, ღმერთმა თქვენცა შეგინდეს:. ამინ: ქ. მეორესა წელსა (ე. ი. 1669 წ.) გელათს წყალ-წითელზედ ვაშენებდი ხიდსა და არ დამაცალეს რაჭველებმა, თვარა გათავებას ვპირობდი. იმა წელსა აღდგომა აპრილსა თერთმეტსა იყო (ეგლ. მუზ. № 186).

— ქ̃ს :ტნვ: დარეჯან დედოფალმან ოსმალნი ჩამოიყვანნა; მრავალნი სულნი მოსწყვიდნეს, ხატნი და ჯვარნი შემუსრნეს; დადიან-გურიელი თან-ახლდნენ; დარეჯან მეფედ დასვეს; თვით წარვიდნენ; ბაგრატ მეფე ქართლს წარვიდა; მერმე მოკლეს იმერთა დარეჯან დ̃ ვახტანგ. გურიელი დემეტრე მეფედ ჰყვეს. კვალად შეიპყრეს გურიელი, თუალნი დასწვნეს და გურიას დაჯდა გიორგი (კახ. ქრ.)

— ქ̃კს: ტნვ: ურბნისის საყდრის წარწერა: „ქ. შენ ყ̃დ სანატრელო...სტეფანე! შემწე მექმენ..., რომელ აღვაშენეთ ძირითურთ აღმოფხვრილი ტაძარი შენი ჩ̃ნ დადიანის ასულმან დედოფალმან მარიამ. რათა მეოხ ექმნა სულსა ჩემსა და სულსა ძისა ჩვენისა სასურველისა ოტიასსა წინაშე ღ̃ვთისა შენისა... ქ̃კს; ტნვ“ (ჩემი უბის წიგ. I, 183).

**1669**—ტნზ. ჰსთხოვეს შაჰნაოზ მეფეს იმერთა ბაგრატ მეფე დ̃ მეფედ ჰყვეს. მერმე სალთუხუცესი, ჩხეიძე სეხნია, სრულიად იმერელნი დადიანიანურთ მეფეს შეებნენ, მეფეს რაჭა-ლეჩხუმით გაემარჯვა (კახ. ქრ.).

**1669** წ. ქ̃კს: ტნზ: სჩანს ურბნელი ევდემოს და მიტროპოლიტი ეტკფანე (მცხ. სიგელი. № 140 ნუსხა № :რყზ:).

— ბატონიშვილი გიორგი და ძმა მისი ლეონ ერთს გლეხს სწირავენ ურბნისის ტაძარს, „მას ჟამსა, ოდეს აღაშენა ძირითგან აღმოფხვრილი ტაძარი შენი ასულმან პატრონისა დადიანისამან დედოფალთა-დედოფალმან მარიამ (შანავაზ-მეფის ცოლმა) ..ქკ̃ს :ტნზ:“ და იქვე: „ჩვენ ქსნის ერისთავთა ერისთვის სახლის

ძმან ჟბრნელ ეპისკოპოსმან პატრონმან ექდემოს გიშოკე გლეხი ესე და სიგლითა ამით დაუმტკიცე წ̃სა სტეფანეს". ურბნისის წარწერა აღმოაჩენს, რომ ტაძარი განუახლებია მარიამს 1668 წელს.

**1670** წ.—ქ̃კს: ტნЋ: მეფე არჩილ და ცოლი მისი ქეთევან სწირვენ მცხეთას და კ̃ზს „ბიძასა ჩუЋნსა დომენტის" მტკვრის პირს „შაბადინი ჰალა ენჩო და ენჩოს დაბლა მინდორი (საზღვარი აღწერილია)" ინდიკტონსა მეფობისა ჩუЋნისასა: ზ: ქ̃კს ტნЋ: თვესა ივლისსა: იЋ: (სიგელი მცხეთისა № 11 და ნუსხა №: ტმზ, აღაპი გაუჩენია: „გლახაკთა და მშიერთ მოიწყალედით").

**1670** წ. წარწერა მხედრული სამთავისის წ̃ის ღვთაების ხატისა: „ეჰა... ერთარსება-ერთუფლებაო... საყდრ-საყოფელო ერთ-ღმრთაებისაო, სამთავის მონასტერო! შეგავედრებ თავსა ჩვენსა და დავდებ სასოებასა ჩვენ ამილახორის იოთამისშვილი ყორჩაბაში დემეტრე და თანა-მეცხედრე ჩვენი ქსნის ერისთვის ასული თამარ: ოდეს ვიხილეთ ტაძარი თქვენი, ჟამთა ვითარებისაგან უფროსი ხატი მოშლილიყო და ტაძარსა თქვენს აღარ ესვენა. აღგვძრა სურვილმან და ძლიერებამან თქვენმან და მოვაჭედინეთ და შევამკევით ხატი ესე მაცხოვრისა სულთა განმანათლებელი და კორცთა მკურნალი და დავასვენეთ ტაძარსა და საყოფელსა თქვენსა სულისა ჩვენისა სახსრად და ცოდვათა ჩვენთა შესანდობელად... ა̃ნ, ქ̃კსა ტნЋ" (ჩემი უბის წ. II, 40—41). ბროსსეს შეცდომებით დაუბეჭდავს ეს წარწერა, მაგ. „აღარ ესვენა"-ს მაგიერ დაუბეჭდავს „ადრე ესვენა", ქ̃კნ ტნჳ (1670 წ.) მაგიერ წაუკითხავს „ქ̃კსა ტნა (1663 წ.), და ამისგამო ჩვენ ჩაგვირთავს აქა. ამ ხატზე ჰკიდია გულზე სატარებელი ხატი თვალ-მარგალიტიანი წარწერით: „ძელი ჭეშმარიტი მეფის ბაქარისა სამთის (სამთავისისის) ღვთაებას"; და ოქროს ჯვარი წარწერით: „მღვთაების ეკკლესიისა სამთავისისა"... „ბაგნიშვილის ბების ჩვენის თამარის ჯვარი და ძველები (sic) იყო, ჩვენ დიმიტრიმ განვაახლეთ, შენდობას მათვე უბრძანებდეთ, ქ̃კს უმბ"—1754 წ. ბაქარ ✝ 1750 წ. და შეიძლება მისი გულზე საკიდი ჯვარი სამთავისს გამოეგზავნათ.

— ქ̃კს: ტნЋ: მანგლელი არსენ ამირაშვილებს სწერს: „მიწებზე მჭიდროთ იყავით" და ხოდაბუნი მიუცია (გუჯ. წიგ. II, გვ. 189).

მეფე შანავაზ სწერს მდივანბეგს ერასტის (ორბელი?): „ვიცი, რომ ჩემს ვახუშტიზე გულ-მტკივნეულად იქმნებით: მწვედ დასაკარგია"... (ორბელიანთ სიგელი № 8).

**1670** წ.—ქკს: ტნЋ: ინდიკტიოსა მეფობისა ჩ̃ნისასა: იბ:—მეფე შაჰნავაზ „მოვიხმეთ ს̃დ საქართველოს მაკურთხეველი ქართლისა ღ კახეთისა ქკ̃ზი ბატონიშვილი ბატონი დომენტი, ბატონიშვილი პატრონი გ̃ი, ლევან, მთავრებსკ̃ზი ჩხეიძე ბატონი ნიკოლოზ, ამილახორი ბატონი გ̃ვი, ბატონიშვილი ბატონი

აშოთან, სახლთუხუცესი ბატონი ზაზა, ტფილელი იოსებ, ბოვნელი იოსებ, ჩხეიძე ბეჟან, ბარათაშვილი მეჯინიბეთ უხუცესი პაატა, რატიშვილი მეჯინებეთ უხუცესი პაპოა. დავსხედით ბარათაშვილის ბატონის ყაფლანისა და მისის შვილების პაპუნასა, ასლანისა, ვახტანგისა, თამაზისა და გ՜ისა და ვირშელისა პაპუნასი, შანშესი, და მათის შვილის ასლანისა, ზურაბისა და რევაზისა სასამართლოდ. სარჩიელი და საჩივარი ორთავესი გავიგონეთ... ზოგი წყენა და დანაშაული ერთმანეთს შეუფარდეთ და ისე ჩავარიგეთ... (სიგელი № ორბელიანთა ..—სიგრძისაგამო დანარჩენს არ ვბეჭდავთ).

— ქ՜კს: ტნჲ: „ჩუენ... მუხრან-ბატონმა სახლთუხუცესმა თეიმურაზ და ძმათა ჩუენთა: აშოთან, სვმონ, პაპუამ, დათუნამ, ერეკლემ, ქაიხოსრომ, იესემ და ძეთა ჩუენთა (თეიმურაზისთა?) კონსტანტინემ, ოტიამ, ადარნასემ და ლევან... ოდეს ეპისკოპოსი ბატონი წილკნელი რომანოზ ნასიძე (სჩანს 1676 წელსაც) პატრონობდა (წილკანს)... ბარბარობას დღეს, შაბათ დამეს... იხილა ნათელი წ՜ასა ამას მონასტერსა“...

**1671 წ.**—ქ՜კს: ტნთ: მეფე არჩილ რუსეთს წაბძანდა მარიამობის თვის: დ: (ჩხეიძის ქრ·).

—ქ՜კს: ტნთ: ერეკლე მეფე რომ რუსეთიდამ მობძანდა მცხეთასა და ყაენთან წაბძანდა (პ. კარბელოვისაგან გადმოწერილი ქრონიკა.)..

— ქ՜კს: ტნთ: ირაკლი I მობრძანდა რუსეთიდამ კახეთს (სოლომონის ძის ალექსიევის ნაპოვნი. ქრონიკა: იხ. ცაგარლის Свѣд. III, 296

— ქ՜კსა: ტნთ: აქა დაიბადა ბატონიშვილი (გურიელი) ქაიხოსრო (წერაკითხ. № 1204).

— ქ՜კს: ტნთ: ქუთათისს სრულიად იმერნი დადიანითურთ მეფე՚ა დაესხნენ. მეფე რაჭას გაეცალა. ისინი გეგუთს დადგნენ. იმერეთს არბევდნენ. მეფე რაჭალეჩხუმით ჩამოვიდა, ქუთათისს შეიბნენ; მეფეს გაემარჯვა, დადიანი დაიჭირა; შეწყალებული გაუშვა (კახ. ქრ.)

— ქ՜კს: ტნთ: ქ:. ჩუენ:. ბარათა:. შვილთა:. სულ-კურთხეულის ყაფლანისშვილებმა პაპუნ-ბეგ, მოლარეთ-ხუცესმან ასლან, ვახტანგ, თამაზ, გიორგი ესე წიგნი მოგართვი სიონთ ღ՜ვთის მშობელსა ღ̃ თბილელს იოსებს, ასე რომ ცოტას ხანს წარუთი და ბალახური აღარა დაგნებებოდა სამწყსოდ.. მას უკან მოკითხული ვქენით... და მართალი შევიტყევით... რომ თფილელისა ივე სამწყსოდ; ჩვენც ასე დაგვინებებია ...დმანელს კელი არა ჰქონდეს... ღ̃ თქუენის ბრძანებით იმწყესოს . ქ՜კს: ტნთ:“ (სიონის სიგელი № 230).

აქიდანაც ახალი საბუთი გვეძლევა იმისა, რომ ყაფლანისშვილნი არიან ბარათაშვილნი, როგორც ორბელიშვილნიცა (იხ. ზემო გვ. 486 და 497)

**1672** წ. ქკ՜ს :ტჲ: ფაშა და ბაგრატ მეფე ქუთათისს შეიბნენ. ფაშას გაემარჯვა, ბაგრატ მეფე შეიპყრეს (კახ. ქრ.).

— ქკსა :ტჲ ანუ ტჲბ (1672 ანუ 1674 წ.) „აქა დაესხა ქუთათის მეფე ბაგრატს ასან-ფაშა, გურიელი გიორგი და შეება მეფე და ფაშას გაემარჯვა; წვრილი კაცი დაკოცეს და ცხენოსანი ჭახთაშიდ (ჭ~ხთაშიდ) გარდაყარეს (წერა-კითხ. ხელნაწ. № 252).

— ქ~კსა :ტჲა: ამა ქ~კსა ქრისტეანე და ღთ~ის მოყუარე კ~ზი დავით ნემსაძე კ~ზად დაჯდა (წ~ა გიორგის გელათური გულანი).

**1673** წ. ზღვინის (ოსეთში) ზარის წარწერა: „ქ. ჩვენ კელმწიფემან ქართლისა მეფემან გიორგი-მცირემან შემოგწირეთ ზარი ესე ზღვინის წ~ა გიორგის ძლევისა მოცემად ჩვენდა ქკს :ტჲა: (Закавк. ВѢСТНИКЪ, 1849 წ. № 12 Rap, VI და XII, 74; I, 59 აქ ქკ~ნი უნდა იყოს :ტჲია:—1683 წელი).

— ქკს :ტჲა: იკორთის ეკლესიის დასავლეთის კარის ფრიად დაზიანებულს წარწერას ჩვენ ასრე აღვადგენთ:

[ქ. ჩვენ დედოფალთა დედოფალმან] როდამ, დიდ[ისა მეფეთ-მეფისა შაჰნავაზის] ცოლ-ყოფილმან [დ ერისთავთ ე]რისთავმან იესე ვიგულსმ[ოდგინეთ] - - - ღვთაებისაგან ეს მთავარ-ანგელოზის [ტაძარი] კელახლად კელვყავით, ვითაც დიმ - - - ოთხი სამკრო გავაკეთეთ, შიგნით სახლები [დავდგით, როგორიც ამ დიდებულს მონასტერს ეკად]რებოდა; სამრეკლო საძირკვლით გავასრულეთ-- თა, აღვაშენეთ სულისა ჩ~ნისა საოხად, ძეთა ჩვენთა სასული[ეროდ და კორციელად სა]დღეგრძელოდ. შეიწირეთ წ~ნო მთავარანგელოზნო მეორე ესე მსახურე[ბა, რათა მე]ოხ გვეყვენით [წ~ე ღ~თისა] - - - ამასვე ქკსა :ტჲა, შანაოზის [მეფობასა, ინდიკტიონსა :იე:]“.

— ქკს :ტჲა: ინდიკტიონსა მეფობისა შაჰნავაზისა :იე: (ის. ზემო გვ 277).

— ქკს :ტჲა: კ~ზს დომენტის სწერს მაღრაძე ბაამან: „ერთი ჩემი გლეხი ამჟარა და თავ-მრგვალას მოვიდა... და ორის ძმის საწირავათ და საიმრუსალიმოთ ის კაცი მოგართჳთ“. მოწამენი: ციციშვილი მიტროპოლიტი ეპიფანე, მისი ძმისწული იესე... ციციშვილს ბოდბელს ნიკოლოზს დამიწერია ქ~კს :ტნია“ (მცხეთის ნუსხა № ჳფ:).

**1674**—ტჲბ. „ბაგრატ მეფემ ქუთათისი აღილო. კვალად ყეენის მოწოდებული ერეკლე, ბატონის თეიმურაზის ძის ძე, კახეთს მოვიდა (კახ. ქრ.)“ იხ. პირველი ინდიკტიონი (წელი) მისის გამეფებისა 1675 წ. ქვეშე.

— ქკს :ტჲა ამა ქკს ქრისტეანე და ღვთის მოყუარე კათალიკოზი დავით ნემსაძე კათალიკოზად დაჯდა (წა~გის გულ.).

ქკს :ტნიბ (1674 წ.) ღ~ო შ~ე ცოდვილი მთავარ-ეპისკოპოზი (ევდემოს)... პირველად ვიყავ ურბნელი, მერე მანგლელი და მერმე მთავარეპისკოპოსი ქართლისა ქკსა :ტნიბ: (წარწერა ყანჩაეთის მარხვანზე.)

**1674** წ. ქკს :ტჲა: წარწერა რეკომის ზარისა: „ქ. ჩ͠ნ კელმწიფემან ბაგრატოვანმან, დიდისა მეფისა შანავაზისა ძემან, მეფემან გიორგი, შემოგწირეთ ზარი ესე წმიდასა მამასა ოსეთისა ქვეყნისა დიღორისა და დვალეთისა მეოკსა სადღეგრძელოდ ჩვენდა და მეფობისა ჩვენისა წარსამართებლად ქკს :ტნიბ:“ Rap. XII, 78).

**1675** წ. მარტის :კე: მეფე შანავაზ (ვახტანგ) და ძენი მისნი: „კახთა მეფე არჩილ“, გ͠ი ლეონ, ლუარსაბ, სოლომონ და ბაგრატ სისხლის სამართლის სიგელს აძლევს მცხეთის სახლთხუცესს მაღალაძეს პაპუას და ბეჟანს და „ქადაგს ძესა შენსა მონაზონსა ნიკოლოზს“, რევაზს და სვათა: ვინც შენის გვარის კაცი მოკლასო, 300,000 თეთრი გადიხადოსო; თუ შენის გვარის ბერი ან მონაზონი შეიპყრას—სრული სისხლიო, თუ ერისგანი—ნახევარიო; თუ ცოლი მოგიტყუონ—ნახევარიო, თუ ხუცესს შენის გვარისას მოუტყუონ—სრულს სისხლს 40,000 მიემატოსო და სხვა-და-სხვა. „დაიწერა ქ͠კს :ტნიგ: ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა :ივ: და ძისა ჩუენისა კახთა მეფობისა :ი: თვესა მარტსა :კე:“. (სიგელს ამტკიცებენ ზემოხსენებულ პირთ გარდა „მმისწული შანაოზ მეფისა მესრანის ბატონი თეიმურაზ“; ორბელიშვილი ვახტანგ და ერისთვისშვილი იასონ.

— ქკ͠ს :ტჲბ: მეფე შაჰნავაზ და ძენი მისნი: გ͠ი, ლეონ, ლუარსაბ და სულეიმან სწირვენ წილკანს „კურთხეულის დედის ჩვენის სასულიეროდ ⷣ ჩვენთა და ჩვენთ ძეთ სადღეგრძელოდ“ გლეხს მერაბ იობიძეს, რომელსაც ბეგრად დაედვა: ხუთი ლიტრა სანთელი, ½ ლიტრა საკმელი, ორის მღდლის და ერთის მთავრის წირვა და საწირავი: „დაიწერა ქკ͠ს :ტნიბ: თვესა ივნისსა :იდ: ინდიკტიონსა მეფობისა ჩ͠ნისასა :იდ: (ხკეულები და ბეჭდები).

ეს სიგელი ამტკიცებს, რომ დედოფალი როდამ 1674 წელს მკვდარი ყოფილა. Chronique Géor.-ით (გვ. 111) როდამ † 17 ივნისს 1678 წ.

— ქკ͠ს :ტჲბ: მეფე არჩილ და ცოლი მისი „კახთა მეფის ასული“ ქეთევან „და ძემან ჩუენმან პატრონმან ალექსანდრე და პატრონმან მამუკამ... შევსწირეთ.. (საძებას) ხაშმს კვამლი კაცი ოთხი და საკუამლო ორი და უმამულო კაცი (ბოგანო) ერთი... ოკდომბერსა :დ: ქკ͠ს :ტნიბ:“. აქიდამ ისიც საგულისხმებელია, რომ წინაამდეგ ბროსსეს ცნობათა, მამუკა მომკვდარა 1695 ელს არა ც͞რის წლისა და ალექსანდრე 1710 წელს არა 23 წლისა (იხ. გენეალოგია ბროსსესი, Add. IX).

**1675** წ. „...ჩუენ სრულისა ოდიშისა და აფხაზეთისა მპყრობელ-მქონებელმან დადიანმა პატრონმა ლეონ და თანამეცხედრემან ჩუენმან მეფეთ-მეფისა ასულმან დედოფალმან პატრონმა თინათინ და პირმშომან ძემან ჩუენმან მანუჩარ... ვიგულვეთ... პირველადგანაც ხოფი ბიჭვინტის ღ͠თისმშობლისა შეწირული ყოფილიყო ⷣ ჟამთა-ვითარებისაგან გამო ხმოდათ. აწე საკანონო საქმე

დაგვედუა: ნათესავის სახლშიდ (სისხლში?) გავერიეთ და მობრძანდით თქუენ ბატონი კ˜ზი დავით ნემსაძე და ჰყოინდელ-ცაგერელი ბატონი გაბრიელ.:. და ცოდვათა ჩუენთა აღსახოცელად და ძეთა ჩუენთთა მანუჩარისა აღსაზრდელად... შემოგვწირავს ხოფი ორის სასახლითა, სხულებითა და ხორგითა.. ხორგას სამი ნავი ვაჭარი თუ მოვიდეს, ერთი ბაზირაგანი ვაჭარი სახობოს კაცისას დადგებოდეს და სხუა რომელიც სარგო იყოს, ხოფის ღთ˜ისმშობლის შეწირულია ყველა... (სიგელი ბიჭვინტისა № 9085)

— მეფე ერეკლე სწერს: „დაიწერა ქკ˜ს :ტნიგ: ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა ერთსა" (sic! იხ. ჩემი გუჯრ. წიგ. II, 341 იხ. ქვემო გვ. 490.).

— :სჲგ: მცხეთის სიგელი № 477 (ჩემის აღწერით № 68): შანავაზ მეფეს და კზ˜ს დომენტის ერთგულობის წიგნსა უწერს ჯვარის-მამა (იერუსალიმის ქართველთ მონასტრისა) წულუკიძე ნიკოლოზ: „ასრე რომე ჯვარის-მამა თქვენის ბრძანებით დადგომილა ნიადაგ ქართველის ბატონისაგან და კზ˜ისაგან და ჩვენცა გიახელით და გთხოვეთ ჯვარის-მამობა და გვიბოძეთ სრულიად საქართველოსა ჯვარის მონასტრის მამულები. აწე ვიყოთ თქვენი ერთგული... რაც ჩემის კელით გამოვიდოდეს და რაც საიერუსალიმო ვიშოვნო ამ ოთხს საბატონოში, სრულიად მონასტრისათვს შევინახო და არც ჩემს შვილსა და ჩემს ნათესავს არ მივსცე უსასყიდლოდ და თქვენ ბატონს კზ˜ს მოგაბარო... დაიწერა კელითა მაღალაძის ნიკოლოზისათა ქკ˜ს :ტნიგ: ფებერვალსა :ჟ:". ხელმოწერილია ხვეულადა: „ჯუარის მამა ნიკოლოზ" (შეადარე 1666 წ. ქვეშე). აქ ნუსხაში № :რკა: მიმატებულია: „ესე ფიცი ასე მოგვკსენებია: რაც გაბრიელ, იოსებ და მელენტიოზ ქნეს, ჩუჱნ ის არც ერთი მოვინდომოთ და არც მონასტერზე ვსტყუოთ... და სანამდი სული მედგას, მონასტრის სამსახურს ჵრა გვერჩიოს რა"...

**1675 წ.** 15 სეკდემბერს დაბადებულა ვახტანგ ლეონის ძე (Rap. VI, 61).

— ქკ˜ს :ტჲე: წარვიდა არჩილ-მეფე იმერთა დასაჭერად.—კვალად წარვიდა შანაოზ მეფე ყეენთან და გარდაიცვალა ხოსკაროს.—კვალად გარდაიცვალა კათალიკოზი ქართლისა დომენტი.—კვალად წარვიდა ძე შანაოზ მეფისა გიორგი ყეენთან სამეფოდ (კახ. ქრ.) „დომენტი (კათალიკოზმა) აღვაშენე დაძუელებული და დაქცეული კელ-ახლად სამკუჱთლოს წინ სამკრე ორი სახლი თლილის ქვითა და ორის ქვის სუჱტითა და დავბურე ქვის ლორფინითა.—გავაკეთე დაქცეული პალატები ხითა და ლამფა მივაკარით და სხუა წურილი სახლები და სენაკები ბევრი.—ანჩისხატის საყდარში შიგნით აჩხორვილი და ცუდ-მადად გაკეთებული იყო, განვჰესწმიდე და განვაშენ (განვაშვენე?); განვაახლე ტახტი კათალიკოზთ სადგომი თლილის ქვითა და ქვის სვეტებითა.—კიდევ გავაკეთე ქალების სადგომი ხისა.—მეტეხს გავაკეთე სალხინებელი.—რაც სუჱტის ცხოველი მამული და ყმა დაკარგული იყო კახეთს, სამასი თუმანი გავიღე, დავხარჯე და ვიშოვნე ისევ.—დავახურვინე ანჩისხატის საყდარი

ფიცრითა და სასახლე ყავრითა. (ს. კანტ. გუჯ. № 411; ეს გუჯარი აწ არ იპოვება მიზეზისა გამო, აღნიშნულისა 1698 წ. ქვეშე იხ. 1676 წ. ქვეშე).

**1676 წ.**—ქ̃კსა :ტჲდ: შანაოზ მეფე ყეენად (sic) წავიდა და გზაზედ მიიცვალა ტოშკაროზს.—ამავ წელს (21 სეკდემბერს) მიიცვალა კათალიკოზი დომენტი („წიგნი ქორონიკონნი"). დომენტი დამარხულია მცხეთას და საფლავის ქვა მისის გარდაცვალების დროს გვიჩვენებს ქ̃კს :ტნიდ: (1676 წ. ჩემი უბ. წ. № 1 გვ. 81).

— ქ̃კს :ტჲდ: აქა მეფე შანავაზ ყაე[ნთ]ან წაბძანდა და ყუმს მიიცვალა და მას წელს ძე მათი გიორგი გამეფდა (ცაიშის ჟამნ-გულანი).

— ქ̃კსა :ტჲდ: აქა მეფე შანავაზ მიიცვალა (ჟამნი № 3).

— ქ̃კს :ტნიდ: მეფე შანავაზ, დედოფალი მარიამ, ძენი: გ̃ი, ლევან, სულეიმან აძლევენ ბარათაშვილს ვახტანგს ქართლის მდივან-ბეგობას და, „სამართლის ქნა ვითა მამათქვენსა ჰქონებოდა მდივან-ბეგობა ქართლისა, ქალაქისა, საბარათაშვილოსა, სომხითისა დ̃ თათრისა... ან სისხლისა დ̃ სახვისა»... (sic) დაუწერია თუმანიშვილს გიორგის (ორბელიანთ სიგელი № 6).

**1676 წ.** წარწერა მცხეთის კარიბჭისა, გადმოწერილი არქიმანდრ. ტარასის მიერ: „ქ. ბაგრატიონთა ძე ბატონი დომენტი მიიცვალა სეკდემბრის :კბ: ქ̃კს :ტნიდ:".

**1676**—:ტნდ. მოვიდა გიორგი მეფედ ყეენიდამ :ი: იანვარს; დასვა კათალიკოზად ნიკოლოზ.—კვალად ბაგრატ მეფეს უშვა თამარმან ძე გიორგი (კახ. ქრ.).

—ქ̃კს :ტჲდ: შანაო მეფე მიიცვალა ისპაანს გზაზე (პ. კარბელაშ. ქრ.):

**1677 წ.**—ქ̃კსა :ტჲე: ამას ქ̃კსა მიიცვალა განძლიერებული და აღმატებული სახელ-დიდი მეფე შაჰ-ნავაზ (კანჩაეთის გულანი).—ამ წელს (ქ̃კს: ტნიე) არჩილ მეფეს შეუმკობია წ̃ა ნინოს ხატი (იხ. ხატზე წარწ.).

— ქ̃კს :ტჲე: აქა შანავაზ მეფე და ქ̃ზი დომენტი მიიცვალა (ძილისპირი იკორთისა № 6).

— ქ̃კს :ტჲე: ბექან-ხან კახ-ბატონად მოვიდა.—კვალად ბაგრატ-მეფემ გიორგი გურიელს მისცა ასული თვისი დარეჯან ცოლად (კახ. ქრ.).

— ქ̃კს :ტჲე: გიორგი მეფე რომ ბატონიშვილად ბძანდებოდა, ისპაანს წაბძანდა მარტის :იზ: (პ. კარბელ. ნაპოვნი ქრონ.)

**1677 წ.** ქ̃კს :ტნიე: /ბატონიშვილები გიორგი და ლევან მცხეთას სწირავენ სოფელს წავკისს (სიგელი მცხეთისა № 41).

**1677 წ.** ქკს :ტჲე: „ქ ნებითა:. და შეწევნითა ღ˜თისათა ჩუენ თვით კელმწიფის შვილმან პატრონმან გ˜იმ, პატრონმან ლევან და პატრონმან სულეიმან ესე... წყალობის წიგნი და ნიშანი გიბოძეთ ჩვენთა ერთგულთა ყმათა. ორბელისშვილს პაპუნა ბეგს ძმათა თქვენთა მოლარეთ უხუცესს ასლან მდივანბეგსა და ჩვენსა ხოშიადსა ვახტანგს სარდარს საბარათაშვილოსა და სომხითისასა თამაზს გ˜ის და შვილთა და მომავალთა სახლისა თქვენისა ყლთავე მას ჟამსა ოდეს ანჯიყაფაშვილები თავისის მამულით თქვენის სამკვიდროს საცაფლაოს ფიტარეთის ღვთისმშობლისა შეწირული და თქვენის სახლისკაცისათვის ბოძებული ყოფილიყო ჟამთა ვითარებისაგან გამოგრთმეოდათ და კურთხეულმან მამა ჩუენმან ორისავე ტახტისა და საკელმწიფოსა ქართლისა და კახეთისა მპყრობელმან მქონებელმან მოკითხული ქნა და ვითაც თქუენის სამკვიდროს სასაფლაოს ფიტარეთის მღვთისმშობელის შეწირული იყო ჰკადრა და კელ-ახლად შესწირა მათად სულისა მეოხებლად და ჩუენად სადღეგრძელოდ:. აწე ჩ˜ნ ხელახლა შევსწირეთ... დაიწერა.. ქ˜კს ტნიე კელითა კარისა ჩ˜ნისა მდივან მწიგნობრისა თუმანიშვილის გიორგისათა.

**1678 წ.** — ქკ˜ს :ტჲვ: „..ჩუენ მეფეთ-მეფის თეიმურაზის ძის დავითის ძემან მეფემან კელმწიფემან ერეკლემ... მოგაკსენეთ.. წ˜სა გიორგის ალავერდისასა... ჟამთა ვითარებისათა ვიყუენით ადგილსა და საყოფელსა რუსეთისასა და ალვიზარდე დიდისა და მაღლისა კელმწიფის სახლში. — ოდეს ყოველთა მბადმან მოიღო წყალობა... ჩუენზედა.. და.. მოვედით ადგილსა და საყოფელსა სამკვდროსა ჩუენსა ქუეყანასა კახეთისასა, ვითაცა ჩუენცა და ჩუენი ქუეყანა ბედნიერის ყაენის კელდებულნი ვიყუენით, არა ვხლებოდით, არ იქნებოდა. ბრძანებაც მოგვივიდა ბედნიერის ყაენისა და ვიახელით ყაზმინს; და გვიახლა ჩუენი ბოქოულთ (sic) უხუცესი და ნათესავი ბატონი გორჯასპი და მრავალგვარად ჩუენს სამსახურსა და სიამოვნეს ეცადა. აწე სოფელი მრავალგვარად მორთავს კაცის საქმესა, არც ძმა და არც სახლის-კაცი ჰყუანდა და არც შვილი ეყოლა. მოგვიდგა კარსა.. და სულ თავისის მამულითა და ალაგითა.. პატრონისა ტაძრისა და საყოფელისა თქუენისა (ალავერდის წ˜ა გიორგის) შემოწირვას დაგვეაჯა.. ვისმინეთ აჯა მისი.. და მოგახსენეთ.. სამარხოსა ჩუენსა ალავერდს.: დ შემოგწირე ჩუენი ბოქაულთუხუცესი ზაალიშვილი გორჯასპ სულ ყოვლის მისის ყმითა, მამულითა.. რისაც მამულის და ან ალაგის მქონებელი ან მამა, ან პაპა ყოფილიყოს და ან თვითონ იყოს.. (გავაზეთი, იკაროთ, გონდოლს ზვრები, გისისკევს ყმები, გავაზს ყმა, ქისიყლში).. თარხნად. მოგკსენებია:. არა ეთხოებოდეს რა.. ღვნო..., არა აბრეშუმი.., არა ყარა ხარჯი საური, არა ბელბაში, არა ფაგაბაში.., თვნიერ ლაშქარ-ნადირობისაგან კიდე.. და გავაჩინეთ (ორი ალაპი მეფისთჳს, ალაპს გარჯასპი უნდა გარდიხდიდესო)... ვინ იცის, სოფელმა არ მოიშალოს და, ამათ გარდა, ის ვისაც იმისი მამული დარჩეს, ესრეთ განეგებვოდეს და არაოდეს არ დააკლდებოდეს... კი-

დევე ეს წყალობა უყავით გორჯასპის: ასე რომე მადამდი ცოცხალი იყოს, ჩუენ უნდა გვახლდეს, ბოქაულთ უხუცესობა არ მოეშალოს, ფაგაბაშობა ერთის ამხანაგითა, მეკობრისმძებნელობა ორის ამხანაგითა, სარქართუფროსობა ერთის ამხანაგითა, გომბორის მოურაობა... დაიწერა.. ქკ҃ს :ტნიგ: ინდიკტიონსა მეფობისა ჩუენისასა ერთსა.. კელითა.. მდივნის პეტრესითა". ხვეულად: „ერეკლე ვამტკიცე". დედოფალი ანნა და ძენი მისნი (იმამყული, მამადყული, თეიმურაზ). ამ სიგელს ამტკიცებენ ქკ҃ს :ტყ: აპრილს :დ: (ტფილისის ოლქის სასამართლოშია დაცული ეს სიგელი).

**1678 წ.** ქკ҃ს :ტჲვ: „ქ.. ოდეს წყალობითა შენითა ძე მაღლისა კელმწიფისა მეფე პატრონი გიორგი საკელმწიფოსა თჳსსა საქართველოსა ზედა მჯდომარე იქმნა და კელმწიფედ ეკურთხა, ზეგარდამო შენი (მცხეთის) აუარებელი წყალობა ჩუენ ამილოხორის შვილს პატრონს ნიკოლოზზედ გარდმოფენილ იქნა და მოგვეცემოდა კელმწიფის მეფის.. გიორგისგან სრულიად საქართველოსა კათალიკოზობა... კათალიკოზად ვეკურთხენით ქკ҃სა :ტჲვ: და ვიწყევ ჟამსავე ამა ქორონიკონისასა ტაძრისა ამის შეწირვა, შემკობა და შემატება... (იხ. 1687 წ. ქვეშე სიგელი მცხეთისა № 216).

— „...ჩუენ ძემან იოთამ ამილოხორისამან კზ҃მან ნიკოლოზ ოდეს [მიიცვალა საქართველოს კელმწიფე შაჰნავაზ და იქმნა კელმწიფედ [ძე მისი გიორგი] ყოვლითურთ სრული და უკლებელი... და კელთ მიდვა კათოლიკე-სამოციქულო საყდარი სვეტი ცხოველი და კათალიკოზობა და რაც ოდენ ძალმედვა, ვეცადე მის შენებასა და კეთებასა"... (სიგელი № 210).

**1678 წ.**—ქ҃კს: ტჲვ: აქა შაჰნავაზ მეფე გარდაიცვალა და ამავე ქ҃კს ძე მისი გიორგი მეფე იქმნა (ჩხეიძის ქრ.).

— ქკ҃ს ტჲვ მიიღო (საკათალიკოზო) ტახტი კათალიკოზმან ნიკოლოზ (ამილახვრიშვილი), შეუწირავს მცხეთისთვის მრავალი ძვირფასი ნივთები: 1) ოქროთ ნაკერი საკკოსი, 2) მარგალიტით ნაკერი საკკოსი მურასა ოქროს ღილებით, 3) ზარბაბის სტიხარი, 4) ყავარჯენი ვეცხლისა მურასად მრავალი ვეცხლ-ოქროს ჭურჭეული (ჩემ. საისტ. კრებ. 63).

— ქ҃კს: ტჲვ: გიორგი მეფე წაბძანდა ყეენთან. ყეენმან ქართლი მოსცა და მოვიდა იანვრის: ი: (ათსა) ქალაქსა.—ამა ქორონიკონსა გურიელის ქალი თუთა, ვახტანგის დედა, მიიცვალა.—ამავ ქორონიკონსა როდამ დედოფალი მიიცვალა თიბათვის: იზ: (წიგნი ქორონიკონი.)

— ქ҃კს: ტჲვ: არჩილმან იმერეთი დაიპყრა. (ეს მომხდარა სეკდემბერს, იხ. 1683 წ. ქვეშე).—ბაგრატ გურიას წარვიდა;—მიიცვალა თუთა ბატონისშვილი, გურიელის ქალი, მეფის ძის ლეონის ცოლი (ვახ. ქრ.)..

— ქკ҃ს: ტნივ: ჩვენ... ყოვლისა: საქართველოსა: დიდმან: მამათ: მთავარმან ქართლისა კათალიკოზმან: ამილახორის: (იოთამის) ძემან: პატრონმან: ნიკო-

ლოზ: ესე... ესე წყალობის წიგნი... გიბოძეთ თქვენ სვეტისცხოვლისა და ჩვენსა ერთგულთა და თავდადებით ნამსახურთა ყმათა ელიოზის ძეთა გედევანის შვილის გიორგის, ძმასა შენსა დავითს, როსებს, ზაალს და გედევანს... ვირშის წყალი მთავარანგელოზის მონასტერი და ნასოფლარი ბადანი საყმოთ დაგვეაჯენით და გიბოძეთ... დაიწერა მარტსა ოც-და რვასა ქ͠კსა: ტნივ: (ხელჩართულად კ͠ზი ნიკოლოზ და ბეჭედი. იქვე): ქ:. ჩვენ დიასამიძემ კ͠ზმან პატრონმან ივანემ (sic) ასე დაუმტკიცეთა:. (sic). (გედევანიანთ გუჯარი).

**1679 წ.** ქ͠კს: ტჲზ: აქა გურიელის ქალი თუთა გარდაიცვალა (ჩხეიძის ქრ.).

— ქ͠კსა: ტჲზ: ამა ქორონიკონსა დაჯდა მეფედ ძე მეფისა შაჰნავაზისა ქართლს, ბრძენი და ღვთის-მოყვარე, გმირი და ლომ-გული, გლახაკთა და დავრდომილთა კელის აღმპყრობელი, ბერთა და მღვდელთა დიდად პატივის მიმგები, მშვიდი და ლმობიერი მეფე გიორგი იანვარსა: იე: (ყანჩაეთის გუჯ. იხ. 1684 წ. ქვეშე).

— ქ͠კს: ტჲზ: აჯი-ალი-ხან თავრიზს მოვიდა.—კვალად ჩამოვიდა არზრუმის ფაშა იმერეთს, არჩილ განაძო, ბაგრატ მეფევე დასვა.—(ეს ყოფილა თიბათვეს, იხ. 1683 წ. ქვეშე.) მერმე მოკლა აზრუმის ფაშამ ახალციხის ფაშა ასლან კვახჰირს და წარვიდა (კახ. ქრ.).—ანჩის ხატზე წარწერაც გიორგის გამეფებას გვიჩვენებს 1679 წ. ქ͠კსა: ტოდ, მეშვიდესა წელსა გიორგის მეფობისას: (Rap. v. 20—28.) ამ დროებში უნდა იყოს დაწერილი კახთა მეფის ერეკლე I წერილი:„... დედიდავ, ბატონო თამარ.

— ქ͠კს ტჲზ. წარწერა მცხეთის ღთისმშობლის ხატზე (5×4 ვერშოკი, ოქრო-თვლებიანი): „ეჰა საუდარო... ღ͠თის მშობელო, ჩვენ ცვა-ფარვათა მინდობილმან დადიანის ასულმან დედოფალმან მარიამ ვინებე ხატისა ამის მოჭედვა და შევამკევით ოქროთა და თვალ-მარგალიტითა და წმიდათა შენთა ნაწილებითა: ოდეს ინებო განყოფა სულთა და კორცთა ჩუენთა, მომხედე წყალობით... და დაესვენოს საფლავისა ჩემისა თავსა ზედა ცოდვათა ჩვენთა შესანდობლად... ქ͠კს: ტჲზ“.

**1679 წ.**— ქ͠კს: ტნიზ: აპრილს: კთ: „ქ. შეწევნითა:. და:. წყალობითა ღთისათა:. ჩუენ... ოქროს გვირგვინოსანმან საქართველოს კელმწიფემან მეფეთ... მეფემან პატრონმან გიორგიმ... თანამეცხედრემან ჩუენმან ... პატრონმან თამარ, პირმშომან და სასურველმან ძემან ჩნმან პატრონმან ბაგრატ...ესე...წყალობის წიგნი და სიგელი... დაგიმკვიდრეთ თქვენ. ჩვენთა... ნამსახურსა ყმასა მდივანბეგსა ორბელიშვილსა ვახტანგს, შვილთა თქუენთა სულხანსა, (საბა-სულხან, მწერალი) ერასტისა, ვახუშტისა, ყაფლანსა, ზაალსა, ზურაბსა... გიბოძეთ ჩვენის მებაღეთ ხუცის ნაქონი სასახლე. ჟამთა ვითარებისაგან ჩვენი მებაღეთ ხუცესი შაფურა ამოვარდნილიყო და ეს სასახლე სულ-კურთხეულს კელმწიფეს მამაჩვენს თავის დალაქის ფარვნას ჵ მისის შვილებისთვის ებოძებინა. ფარვნას შვილებიც დახოცოდა და ის ალაგი ბეითალმანად დარჩომილიყო. პატრონი არ-

ვინ გაჩნდა. იმ ალაგის წყალობას დაგვეაჯენით და... გიბოძეთ, ამას გარდა-
ის ათინის (ათანასის?) ნაქონი სახლების წყალობაც გიყავ˜თ და ფასიც მიეც
და იყიდე. სხვა ზოგი ალაგები კიდეც გეეყიდა... გვიბოძებია... არ მოგეშალოს..
დაიწერა კელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრის თუმანიშვილის სულხანი-
სათა ქ˜კს ტნიზ, აპრილის: კთ: გიორგი ხვეულად „გიორგი". (ორბელიანთ სი-
გელი № 58).

— ამავე დროებში უნდა იყოს დაწერილი სიგელი მანგლისისა № 34: „..ოდეს.. განაგებდა:, სამეფოსა:.... შაჰნავაზის ძე... მეფე გიორგი ჟამსა მას თჳსსა შემოსწირა მანგლისისა ღვთის მშობელსა.. თრიალეთზედ სოფელი მეთრევანი და ჩ˜ნ... ქსნის ერისთავის სახლის ძემან მანგლელ მ˜ხმან ევდემოს გავზეგრეთ.. ამაზე ვერამ ების˜კზმან ვერ მოუმატოს და ვერც დააკლოს. — უნდა გამოიღონ, მოვიდეს თუ არ მოვიდეს, ოცი კოდი ანეულის გუთანზე და ოცი შემოდგომის გუთანზე. (ე. ი. გუთნის თავს 40 კოდით) რასაც კოდით თრიალეთზე მეფისთჳს იღებენ იმ კოდით; სადაც უნდა-იქ მიიტანოს. ნაქურდალი ხუთეულად უნდა ზღონ. საბალახე როგორც თრიალეთზე იღებენ ისრე, იმ წესით გამოიღონ... ერთი გზა ულაყი სადაც მანგლელს ეპრიანებოდეს სთველზე—იქ გაგზავნოს. თავის გასატეხი კარი მანგლელს, აბაზი მოურავს. ფური თუ მიაბაროს ბატონმა ორი ლიტრა ერბო ფურზე და კამბეჩზე — სამი. თუ საყველეთ მიაბაროს კამბეჩზე ლიტრა ყველი :იბ:.. (ამას გარეთ არა ეთხოებოდეს რა: არ გუთნის კუნა, არცა კოდის მჳრი და სხ..).. მოურავს უნდა მისცენ საჩქმე მარჩილ" ---

**1680** წ.—ტჲჱ: მოკუდა დადიანი ლეონ (იხ. ზემო 1667 წ.). — კვალად ათაბაგად დაჯდა ძე ასლანისა უსუფ. — მეფის ძემ ლეონ იქორწინა თინათინზედ (კახ. ქრ.).

**1681** წ. ქ˜ს: ტჲთ: აქა მიიცვალა მეფე ბაგრატ იმერეთისა, ძე ალექსანდრესი. ვაჲ, მემკვიდრე ბატონის გარდაშენება!:—(წერა-კითხვის № 262).

ქ˜კს: ტჲთ: ფაიქომიდამ მეფე არჩილ რუსეთს წარვიდა. კვალად მოკუდა ბაგრატ-მეფე და გამეფდა მერეთს გიორგი-გურიელი. (კახ. ქრ.) —

ქკს: ტჲთ: ამა ქ˜კს მეფე ბაგ[რატ]ს შობის— — — —(გელათ. გულანი). აქ უნდა ყოფილიყოს მოთხრობილი ბაგრატის სიკვდილი მის შობა-დღეს.

**1681** წ. ამ წლის ახლო დროეჲს ეკუთნის ქვემო დაბეჭდილი ორიგუჯარი.

ქ. ბატონიშვილს გიორგის სწერს ვიღაც ლუარსაბ: „ორბელის პირითაც მოვაკსენეთ რაც რამ იქნა ან დაშავდა ან კახის ბატონის (არჩილის?) საქმე და ან სხვა რაც რომ მოკდა სულ ყველა ჩემი ბრალია, თავი რომ ვიმართლო, არავინ მამართლებინებს თავსა მიცს (sic) ყველა ჩემით იქნა ...ამდენის ძმისა მამისა და სახლის კაცის დამნაშავე რომ კაცი იყოს, ვითა ვნახო ან ძმა, ან

მამა... ქალაქს ვაპირობ ჩასლვასა... ჩვენს სახლს (თუ) ჩუენვე გვბოძებთ დიდი წყალობა იქნების... შვილი თვე არის რომ აქათ ვარ... ჩემი სახლი გიორგი ქვარინისთვის გებოძებინათ..." (ორბელიანთ სიგელი № 19).

— ქ~ს: ტნით:—მხედრული წარწერა ანჩხატის მხატრობიანს გულანზე, (საკლ. მუზ. ხელნწ. №).

"...ინება ძლიერმან ძ უძლეველმან გოლიათმან, არწივთა უმაღლესმან ძ ლომისა უძლიერესმან მორწმუნემან მეფემან ვახტანგ (გორგასლან) კუართსა მას ზედა სამეუფოსა სამოციქულოსა საყდრისა აღშენებად...გარდაკდეს მრავალნი წელნი, რომელნიმე წიგნნი და სამკაულნი მისნი წარტყუენილ იყუნეს. ოდეს განგებამან შენმანვე და...მეფემან გიორგიმ კელთ მიდვა მას ზედა საჭეთ მპყრობელობა და წესთ მთავრობა, ინდიკტიონსა მეფისა ძლიერისა გიორგისასა და კათალიკოზობასა ჩემსა :გ: მე ამილახორის იოთამისშვილი კათალიკოზი ნიკოლაოზ ღირს ვიქმენ წიგნისა ამის გულანისა აღწერად... განვაშვენე და შევამკენ (მხატრობითა)...შევსწირე..სვეტსა ცხოველსა, კუართსა საუფლოსა...აღიწერა ქკს :ტნით:

"აღიწერა კელითა გარის დეკანოზის შვილის აზელისათა": ამ წიგნის მხატვრობა დიდათ მოიწონა მეცნიერმა არქეოლოგმან კონდაკოვმან, როგორც საუკეთესო და იშვიათი XVII საუკუნის მხატვრობითის ხელოვნობისა. ამ წიგნის და სვეტიცხოვლის წარწერათაგან სჩანს, რომ წიგნის დამხატველი იგივე პირია, რომელსაც დაუხატავს სვეტიცხოველი.—რამდენიმე ნაწილი სვეტიცხოვლისა დაუხატვინებია გზ~ს ბოსტოღნიშვილს ქრისტეფორეს ქკ~ს :ტლდ: (1646 წელს), როდესაც მცხეთის გუმბათი ჩამოვარდა და როსტომ მეფემ ააშენა (იხ. 1646 წლის ქვეშე)

**1681** წ. წარწერა: "ესე... სახარებისა თარგმანი ჩვენ მაღალაძე ნიკოლოზ გავაკეთებინეთ... მეფობასა გიორგისასა, კათალიკოზობასა ამილახორის შვილისასა ნიკოლოზისსა ქ~ს ტნით» (ეკ. მუზ. №).

— ქ~კსა :ტო: (**1682** წ.) მიიცვალა დედოფალი მარიამ ("წიგნი ქორონიკონნი") "ასული დადიანისა დედოფალი საქართველოჲსა მარიამ დაკრძალდა მეორესა ამას (მცხეთას) საფლავსა ... ქ~კს: ჩჰ: "... (ჩემი საისტ. კრებ. გვ. 446). იხ. მისგან შეწირ. 1679 წ. ღ~ვთისმშობლის ხატი მცხეთას.

**1682**—ქკ~ს ტო. მარიამ დედოფალი მიიცვალა. კვალად წარგზავნა ძე ბაგრატისა ალექსანდრე გიორგი მეფემან სამეფოდ ახალციხეს (ვახ. ქრ.)

ბროსსეს აზრით მარიამ დედოფალი გარდაიცვალა 1680 წ. Rap I, 30 VI, 18). ამ მარიამს აღუშენებია "ძირითურთ აღმოფხვრილი ტაძარი" ურბნისისა 1668 წ.—მარიამის გარდაცვალება იხ. 1683 წ. ქვეშე

— ქკს :ტო: ჰალის ხატის წარწერა: "ქ... უ~დ წ~ა ღთის მშობელო... მე ამილახორმან გივმან (და) მეცხედრემან ძ~ნმან ქართველთ მეფის ასულმან ბატონიშვილმან თამარ... მოვაჭედინეთ (ხატი შენი) ოქროთი და შევამკეთ თვალითა... ქ~კს: ტო:".

— ქკს: ტო: „ქ...ჩვენ.. მეფე გიორგი, დიდის... კელმწიფის ვახტანგის ძე დედოფალი თამარ... ძე ჩვენი პატრონი ბაგრატ:..მამის ჩვენის...მოსაკსენებლად და დედისა ჩუენისა დედოფლისა რვადამ-ყოფილისა ბარათაშვილის ორბელიშვილის ეკატირინესათვს..დავდევით ალაპი.. ოკდომბერს ერთს...დაიწერა.. ქკს: ტო“ (მცხეთის სიგელი № 200). როდამ მოკვდა 1691 წ. (იხ. ქვემო).

— ქკს :ტო: ამ წელს აფხაზთ კ~ზი დავით ხოფის ღვთისმშობელს სწირავს გლეხებს „მას ჟამსა, ოდეს გურიელმან გიორგიმ იმერეთი დაიჭირა და ოდიში და მისის ბრძანებით და ნება-დართულობით და ბატონის დედოფლის თამარის ბრძანებით შემოგწირეთ“... (ბიჭვინტის სიგელი, ნუსხა №: დ: მეორე სიგელი იმავე წლისა: კ~ზი დავით ნემსაძეს ფირან მხეცისძისაგან უყიდნია გლეხი ქვიბია და ბიჭვინტას სწირავს „მას ჟამსა, ოდეს გიორგიმ გურიელმან იმერეთი, ოდიში დაიჭირა და მისის ბრძანებითა შეგვიწირავს... ქკს :ჩქპბ:“

**1683** წ.—ქკს :ტოა: აქა: მარიამ დედოფალი მიიცვალა: ჯ~ი (ჟვარი?) ა[ქა] თამარ დედოფალი მიიცვალა და: ჟამი გაჩნდა (ძილისპირი იკორთისა № 6).

**1683** წ. :ტოა: ქკს მე ფ~დ ცოდვილმა და ყ~ლთა ცოდვათაგან შებლალულმან საქართველოსა მოსამართლემან ქართლისა და კახეთისა კელმწიფეთა და მეფეთა დედის ძმამან დიდის ორბელისშვილის ბატონის ყაფლანის ძემან მდივანბეგმან ორბელ აღვაშენე ჩემს სამკვიდროს სასახლესა შ~ა ტანძიას კარის ეკლესია სახელსა ზ~ეწდ~ისა და დიდებულისა უბრალოთა სიკვდილისაგან დამხსნელისა ნიკოლოზისა და შევამკევ ყ~ლითა წესიერებითა საეკლესიოსა რიგითა წიგნითა და ხატებითა შესამოსელითა და მოფენილობითა და მოვახსენე და შევსწირე თავად ბარაკლიტონი ერთი (მარხვანი ერთი), სვინაქსარი ესე ერთი, განთვისული სამოციქულო ერთი, განუკვისკვი (?) ოთხთავი სახარება ერთი, დავითნი ერთი, აპრილისთვე ერთი ყ~დ წ~დის მეტაფრასი ერთი :ა: ცოდვილისა სულისა ჩემისა განსასვენებლად და მეუღლისა ჩვენისა არაგვის ერისთვის ზაალის ასულის ბატონის თამარის ცოდვათა შესანდობელად და რვათა ძეთა და სამთა ასულთა წარსამართებელად და სადღეგრძელოდ. (წარწერა სვინაქსარზე, რომელიც დაწერილია გიორგი XII-ის ცოლის თამარისთვს).

— ქკს :ტოა: „ქ... ესე წიგნი... გიბოძეთ ჩუჲნ მუხრანის ბატონისშვილმან ბაგრატის ძემან ბოვნელ ეპისკოპოსმან პატრონმან ნიკოლოზ შენ ჩვენს ყმას... თამაზას ახულედიანს... ასრე... რომე კურთხეულის ბიძის ჩემის ბატონის კ~ზისაგანცა.. (მცხეთას) შეწირულ იყავ და ჩუჲნცა... შემიწირავხარ... ქკს :ტოა: (სიგელი მცხ. № 168 და ნუსხა :რზ:).

— ქკსა მიიცვალა დედოფალი თამარ, ქრისტეშობის თვის ოთხს („წიგნი ქორონიკონნი“ იხ. 1684 წ. ქვემო).

— ქ~კს :ტოა: ბატონიშვილი ლევან სამწერისის მესთვლეობას აძლევს ოთარ მაჰუტაძეს (შემდეგ ონოფრე გარესჯის წინამძღვარს: სიგელი გარესჯისა № 6).

— ქკს :ტოა: მიიცვალა თამარ დედოფალი, მეფის გიორგის ცოლი, — და იმერეთს ალექსანდრე გამეფდა. — კვალად მოკუდა იმერთს თამარ დედოფალი, მუხრან-ბატონის ქალი. — კვალად ბეჟან-ხან წარვიდა, სხვა ხანი მოვიდა კახ-ბატონად (კახ. ქრ).

— ქ~კს: ტოა: აპრილის: ზ:-სა მოხსენებულია მეფე (იმერთა) ალექსანდრე (ხონის გუჯრები № 80).

— ქ~კს :ტოა: ამა ქ~კს შეკ - - [ბაგრა]ტის ძე ო - - - მამუკა (გელათ: გუდ.).

**1684** — წ. ქ~კს :ტობ: დიდს მტრობას (ჭირობას?) ქალაქი რომ აიყარა მარიამობის: დ: (მ. გარბელოვის ნაწოკნი ქრ.).

— ქკს :ტობ: დასაბამითგან 7191 წ. მეფე არჩილი ზამთარს ასტრახანს ყოფილა და იქ გაუთავებია თავისი თხზულება „ბაასი კაცისა და სოფლისა". ამ წელს ის ყოფილა 37 წლისა.

არჩილ მეფე მოგვითხრობს, რომ „მეფის თეიმურაზის ამბავი თჳთ მნახავთა და თან ნახლთა მის ყმათაგან... მსმენოდა, რამეთუ ათორმეტ წელ კახეთს მე ვმეფობდი (1663—1675 წ.) მისნი დაზრდილნი და ნამსახურნი დარბაისელნი გვერთს მახლდენ და მიამბობდეს და როდეს კახეთით იმერეთის დასაჭერად წამოველ, (1675 წ.) სამ წელ არა-მცირე სარჯელი ვნახე და მეოთხეს წელს დხვიჭირე ჭნკენისთვეს (1678 წ.) ჭ თიბათვეს (1679 წ.) ხვანთქარმან სუაზის აქეთი ლაშქარი გამომისია და მეფე (ბაგრატ) და გურიელი (გიორგი?) წინ მიეგებნენ და ზოგნი იმერელნი დარბაისელნი და ყაენმან ადრობეჟანის ლაშქარი ქართლსა და კახეთს პირს მოუყენა. რომელნიც იმერნი მე მახლდენ, ზოგთ იმათაც იქით ირჩიეს, და ოდვალეთს გარდამოველ, დედოფალი იქ დავაყენე და მე იქიდ იმერეთს ჩაველ (1680 წ.) და რვას თთვეს ჩხერს ვიყავ და ისევ დვალეთს წამოველ (1681 წ.) და იქიდამ ოსეთს ფაიქომში გარდმოველ და ერთს წელიწადს იქ ვიდექ. ვითაც მოწყენილის კაცის წესია რა-გინდა-რას მოგონება და ჟამის დაუმორჩილებლობა სხვას ზღაპრულს ამბავს ესე მართალი ვარჩიე» (წერა-გ. № 942. ჩემი ადწ. გვ.)

ქკ~ს :ტოვ: ამავე დროებს უნდა ეკუთნოდეს შემდეგი სიგელი:

„ქ. ნებითა და შეწევნითა ღთისათა ჩ~ნ გვირგვინოსანმა ჴელმწიფეთ ჴელმწიფის შვილმან და თჳთ ჴელმწიფემან ბატონმა ერეკლემ, დედამა ჩვენმა ბატონმა ელენემ ესე წყალობის წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ ჩემსა ერთგულსა და თავდადებით სამსახურის მდომს ყმას მგალობლიშვილს პეტრეს, ასე და ამას პირსა ზ~ა, რომე ჩვენის ერთგულებისა და სამსახურის გულისათჳს წამოხველ და რუსეთს უნდა რომ გემსახურებინა, გზაზე დაგიჭირეს და დაგაბეს და აღარ მოხდა, თორემ შენ მწვედ მდომ; ახლა ჩ~ნ მოვედით რუსეთიდამ კახეთს და აქაც ბევრი გვემსახურე; ისპაანს წაველ და თან მიახელ და ერთგულათ მსახურეთ. ახლა ამით ვითაც ნამსახურნი ხართ, მოგვიდეგით კარ-

სა დარბაზისა ჩვენისასა, გვეაჯენით წყალობა. ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი, წყალობა გიყავით, ვითაც ჩვენი გული გენდობოდათ, გიბოძეთ მდივნობა ყოვლის კაცის უცილობელი, ...არა მოგეშალოს... არცა სხუათა მეფეთა და მეპატრონეთაგან.. მე ჩოლაყაშვილს არქიდიაკონს ნიკოლოზს დამიწერია, დამამტკიცებელნი ამისნი ღ̃ნ აკურთხოს. ამინ". „ერეკლე."

— ქკს :ტობ: გიორგობის ერთსა: ქ... ნებითა... ნასყიდობის წიგნი მოგეც მე ციციშვილმა ბატონმა ზაალ... თქვენ ორბელის შვილს მდივანბეგს ბატონს ორბელს და შვილსა თქვენსა ბატ. სულხანს (მწერალი სულხან საბა), ბ. ერასტის, ბ. ვახუშტის, ბ. ყაფლანს, ზურაბს, დიმიტრის, ...მოგყიდეთ ქალაქს ჩვენი საბაზიერო გურგენის ნაქონი (საზღვრები).. მოწმები: საააკაძე მოურავიშვილი ავთანდილ [ ]; ამირეჯიბი ქაიხოსრო [ეშიკაღა ბაში ქაიხოსრო?] მამასახლისი გიორგი [მამასახლისიგიორგი] მე იესე სიონის დეკანოზს დამიწერია [ ]. სხვა გუჯარში (იხ. 1679 წ. ქკეშე) სულხან-საბა და მისი ძმები ვახტანგის შვილებად იწოდებიან.

— ამავე დროებს ეკუთნის მცხეთის სიგელი (ნუსხა № :ტოდ:):

„იჱრუსალიმის პატრიარქს საფიცარი რომ მოუცია ამილახორიშვილის კ̃ზის ნიკოლოზისთვს, ის დაუკარგავს და ეს მოეწერა:

„ეს წიგნი ერთი მე მებოძა და ერთი გიორგი მეფესა. მე რომ ოსეთს წაველ, ისი და ბევრი სხუა წამართუჱს, შენის სუჱტის ცხოვლის მადლმა, აღარა მაქუს, იქ დავკარგე, თორე ჩემთვს გამოუყენებელია. როგორც ღ̃თის უარისმყოფელი არ შეგექნები, ისე არც ამასა და არც რას ტყუილს მე შენ არას მოგახსენებ".

ეს წიგნი ამილახორმა კ̃ზმა მომცა, რომე დოსითეოს იჱრუსალიმის პატრიაქის საფიცარი მომცა, რომე ჩუჱნი საზიანო საქართველოს, თუ სხუას ქუჱყანას არა ქნას რა და ახლა დაუკარგავს და ეს წიგნი მოეწერა" (მეტი არა-რა).

— ქკს :ტობ: აქა როკითს მეფეს ალექსანდრეს გურიელი გიორგი შამოება და მეფეს გაემარჯვა (წერა-კითხ. №252).

— ქკს :ტობ: როკითს ალექსანდრე მეფეს გაემარჯვა, მოკლეს გიორგი გურიელი და გაგურიელდა მალაქია ძე გიორგისი (ვახ. ქრ.).

— ქკს :ტობ: იყო ტფილისსა შინა დიდი ჭირი (სოლომონ ალექსიევისაგან ნაპოვნი ქრონ. ცაგარლის Свѣд. III, 296).

— ქკს :ტობ: „ჟამსა მას ოდეს ჩუჱნსა სამკვდროსა საკელმწიფოში გავებატონდით მეფის შანავაზის შვილი გიორგი ინდიკტიონსა მეფობისა' ჩუჱნისასა :ე: უხანომან სოფელმან მოგვცლინა სიკუდილის სალმობა და მოგვჴფარა თუალთა ჩუჱნთაგან თანა-მეცხედრე ჩუჱნი დედოფალი თამარ... უკეთუ ვინმე... ეს საფლავი განხსნას..., იგიმცა განიკითხვის... ადამს აქეთ: კრკბ. ქკს :ტობ: (ჩემი უბის წიგ. № 1 გვ. 76).

— ქკს :ტობ: თიბათვის :კე: „ქ- - - -...ესე... ნასყიდობის წიგნი.. მოგართვით თქვენ მდივანბეგს ბატონს კახტანგს (ორბელიანი?), შვილთა თქვენთა

ბატონს სულხანს, ერასტის, ვახუშტის, ყაფლანს, ნიკოლოზს, ზაალს, ზურაბს და დიმიტრის.... ასრე..., რომე დაგვეჭირა და მოგახსენეთ ჩვენ იარაღის შეიდთ პატრონმან მანუჩარ... მოგვიდეთ ჩვენი სამკვდრო მამული კრუშულს... მანუჩარ (ორბელიანთ სიგელი).

— ქკს :ტობ: ბრეთის მაცხოვრის ხატის ვეცხლის არშიაზე ასომთავრულად აწერია: „შენ კრაო ღვთისაო და ძეო მამისა ევმანუილ და მკსნელო ადამისაო იესო ქ~ე! შემწე გვეყავ ჩვენ ბატონიშვილს ლევანს და თანა-მეცხედრესა ჩვენსა თინათინს, რომელთა მოვაჭედინეთ ხატი ესე მაცხოვრისა შიშთა-კვეისა მეორედ დამწვარი დღეთა ჩვენთა სადღეგრძელოდ და ძეთა ჩვენთა. ქკს :ტობ". ბროსსეს ეს წარწერა მეტად არევით წაუკითხავს, ვახტანგის სახელი აღმოუკითხავს ლევანის მაგიერ და გაჰკვირვებია, საით წარმომდგარა ესეთი ანახრონიზმიო, რომლის ასაცდენად ქ~კონი ტობ (1684 წ.) გარდაუქცევია უბ: (1714 წ.) (Rap. IV, 110) აქ მოხსენებული ლევანი (შაჰყულიხან-წოდებული), ძმა მეფე არჩილის და მეფე გიორგი XI, განაგებდა ქართლსა 17 წელიწადი.

ამ ახლო-მახლო დროებს უნდა ეკუთნოდეს მეორე წარწერა გულზე საკიდს კარებიან სალაშქრო ხატზედ, რომელიც ბროსსეს ვერ წაუკითხავს მართებულად. ასომთავრული წარწერა მოგვითხრობს: „ჯვარი ქრისტესი. ძლევა მტერთა. ცოდვათა ჩვენთა და ჩემდა შესანდობელად, გასამარჯვებლად - - - (ერთი სტრიქონი წაშლილია) წყალობითა ღვთისათა მე ავ~ლმა (ავალიშვილმა) და თანამეცხედრემან ჩემმან მარიამ მოვაჭედინე ხატი ესე მაცხოვრისა (სადიდებლად ჩვენდა და) სადღეგრძელოდ" (ჩემი უბის წიგ. II, 18).

**1684—1730 წ.** ჩვენის მწერლის საბა-სულხან ორბელიანის საბიბლიოგრაფიო ცნობები.

რადგან ქვემო-დაბეჭდილს ორბელიანთა საბუთებში იპოვება ძვირფასი ცნობები საბა-სულხან ორბელიანზე, ამისგამო ჩვენ ქვემოთ ერთად ვუყრით თავს ამ ცნობებს და აქ ქრონოლოგიურს რიგს ჩვენის შრომისას გზას ვუქცევთ. ამ ცნობათა შესავსებელი მასალა იხ. ზემო გვ.

**1684 წ.** ქკს :ტობ: იანვარ იზ. „ესე ფიცი მოგეცით ჩ~ნ ბატონმა პაპუნამ და თანამეცხედრემან ჩ~ნმან ბატ. ხანგიჯასპმა თქვენ ჩვენს ძმებს მდივანბეგს ვახტანგს (საბას მამის) და სარდარს თამაზს ასე, რომე... შვილი არ მომეცა; ჩვენდა შვილად ჩვენი ძმისწული ერასტი (ძმა საბასი) ვიშვილეთ და ამ მიზეზით ძმათში სამღურავი ჩამოგვივარდა... ჩემს სატფეროსას არავინ წამოეჭიდოს, ისეკ ტკბილად და სასურველად იყავით და ერთობა ქენით" (სჩანს, რომ სატფეროსაზე ცილობდნენ ძმები) (სიგელი № 28).

დაახლოვებით იმავე დროისა არის სიგელი № 22.

ორბელიშვილი დემეტრე აძლევს ორბელიშვილს ვახტანგს საფიცრის წიგნს (მამაჩემსაც ჰქონია საფიცრის წიგნიო) : „მტერთან მტერნი ვიყვნეთ და მოყვარეთან მოყვარე" (სიგელი № 22).

სარდალი თამაზი აძლევს საფიცრის წიგნს „ჩემს ძმას მდივანბეგს ვახტანგს... (საბას მამას) მეფის გ̃ის და ბატონიშვილის ლევანის ბრძანებით მოვკვეცა, ლევან ბატონიშვილის კელითა დაწერილია, მეფის კელი რთავს... ჩვენს ხიცოცხლეში არ გავიყარნეთო“ და ეხლა ხელახლა ვამტკიცებთ, არ გაგეყართ, გაუფროსოთ, ბატონის პაპუნასი და ჩვენის ძმის მორჩილნი ვიყვნეთო.

ქკ̃ს :ტპე: (1696 წ.) „სამმოდ შეგიფიცეთ, ჩვენ ბიძა თქვენმა... ასლან, შვილმა ჩემმა უულდარდას სარდალმან ლუარსაბ, პატრონმა ქაიხოსრომ, ბაზიერთ უხუცესმან ოთარ, მოლარეთ უხუცესმან მანუჩარ, მეჯინიბეთ უხუცესმა რევაზ... მტერზე მტერი კიყოთო... ქკ̃ს ტპდ, დეკემბერსა :იე: (სიგელი № 25).

სიგელს (№ 61) აძლევს ორბელი ყაფლანიშვილი სულხანს, ბოქაულთ უხუცესს ბატონის-ერასტის, ვახუშტის, ყაფლანს, ზაალს, ნიკოლოზს, ზურაბს და დიმიტრის 1696 წ. (ტპდ.)

ესრეთსავე ერთგულობის წიგნს აძლევს ასლანიშვილის შვილი, ქაიხოსროს ძე ქაიხოსრო ვახტანგ ორბელიანს „ჩემს ძმას“ (სიგელი № 26).

—ქკ̃ს :ტპდ: 1696 წ. სეკდ :იე: ...„შემოგფიცეთ (ვის?) ჩვენ ბიძა თქვენმა პატრონმან ასლან, შვილმა ჩემმან პატრონმა უულდარდას სარდალმან ლუარსაბ, ქაიხოსრო, ბაზიერთ უხუცესმან ოთარ, მოლარეთ უხუცესმან მანუჩარ, მეჯინიბეთ უხუცესმან რევაზ, ...დღეის იქით „მტრისა მტრნი კიყვნეთო და მოყვრისა მოყვარე ჩვენის ძმის პაპუნას უზიანოს საქმითა“ (სიგელი № 27).

ქკს :ტჟბ: (1704 წ.) ენკენისთვის :კბ: „ქ. ნებითა...ჩვენ ირანის მდივნ... და საქართველოს ჯანიშინმან პატრონმან შაყულიხან - - პატრონმა ქაიხოსრომ, პატრ. ვახტანგ, იასემ, სვიმონ და - - (თეიმუ)რაზ (?) ესე... წყალობის წიგნი... გიბოძეთ... ორბელიშვილს სულხა-ნყოფილს საბას, თქვენს ძმასა... ასე რომე ჩვენს ძმას მეფეთ მეფეს, ირანის სპასალარს, ყანდრისა და ქირმანის ბეგლარბეგს, გირიშკის და აჰიალათის პატრონს მეფე გი̃ს შანავაზ ხანს თქვენთვის საჯილდოდ სოფელი შოშილეთი ებოძა, ჩვენც სიგლითა ამით ასე დაგიმტკიცეთ... ქკს :ტჟბ: ენკენ :კბ: კელითა კარისა მწიგნობრისა თუმანიშვილის ზაქარიასითა“. ხვეულად: „შაჰყულიხან“ ს̃ე (იესე?).

| | | | |
|---|---|---|---|
| მონავე ღვთის ძე მეფის ვამტკიცებ | მონა ღვთისა ბატონიშ. თეიმურაზ | რტოდ ვარ დავითისა... ვახტანგ ვამტკიცებ... | მონავე ღვთისა ბატონიშვილი (სვიმონ) |

— ქკ̃ს :ტჟდ: (1706) ორბელიშვილი ყაფლან, მდივანბეგ ვახტანგ, შვილთა თქვენთა სულხანს (საბა სულხან), ერასტის, ვახუშტის, ყაფლანს, ზაალს, ნიკოლოზს ჩვენ თამაზიშვილმა შიოშ, იესემ, დ̃თ შვილთ ჩ̃ნთა თამაზ, გუგუნამ, ბერმან, გიორგიმ, ბარათამ, დურმიშხან.

ქ̃კს :ჳიე: (1727) ორბელიანები მდივანბეგი ერასტი და მისი შვილი: ელიზბარ, ვახტანგ (სიგელი № 47).

ტჟზ (1709 წ.) ორბელიშვილები მდივანბეგი ერასტი, ძმა მისი ყაფლან, ზურაბ, დიმიტრი; ძმისწულები ელიზბარ, ვახტანგ, ორბელი, დ̃თ, გ̃ი და სულხან.

ქკს :ტჟჱ: 1710 წ. ორბელიშვილებს მდივანბეგს ერასტის, ძმისწულსა შენსა ელიზბარს და ვახტანგს და ძმასა შენსა ყაფლანს, ზურაბს და დიმიტრის „მას ჟამსა ოდეს თქვენი უხუცესი ძმა სულხან-ყოფილი საბა, მამაჩვენზე დიდად-მრავალ ნამსახური და მრავალ გარჯილ იყო და საჯილდოდ ჩაჩიკაშვილი გივის შვილები თავისის სოფლებით და აგარაკებით ებოძა და კ~დ სოფელი შოშილეთი... არც ჩვენგან მოგეშალოს“ (მეფე ქაიხოსრო სიგელს აძლევს).

ქკ~ს :ტჟჱ, იანვრის :კზ: (1710 წ.). „ქ. ნებითა...მეფეთ მეფემან და თვით მფლობელმან ქ·იხოსრომა ესე წიგნი... და სიგელი... გიბოძეთ თქვენ ორბელიშვილს მდივანბეგს ბატ. ერასტის, ძმისწულსა შენსა ელიზბარს და ვახტანგს და ძმასა შენსა ყაფლანს, ზურაბს და დიმიტრის, მას ჟამსა ოდეს თქვენი უხუცესი ძმა სულხან-ყოფილი საბა, კურთხეულსა... სახელოვანსა ბიძა და მამაჩემზედ დიდად ნამსახური და მრავალ გარჯილი იყო და მათ მისთვის საჯილდაოდ ჩაჩიკაშვილი გივისშვილები თავისის სოფლებითა და აგარაკებითა ებოძა და კ~დ ქცის ხევზე სოფელი შოშილეთი ებოძა, ჩვენც გავსინჯეთ და მისი ნამსახურობა თქვენ აღარ ჩაგიტარეთ და გიბოძეთ გივის ჩაჩიკაშვილები ზურაბ და ოთარი --.. სოფლებითა და აგარაკებითა ..ეგრეთვე სოფელი შოშილეთი... დაიწერა კელითა კარისა ჩ~ნისა მწიგნობრისა თუმანიშვილის ბირთველისათა.“ ხვეულად: „ქაიხოსრო“, „ვახტანგ“.

ქ. ჩვენ სარდალმა ლუარსაბ, თქვენმა მაზლმა და ძმისწულმან ჩვენმან, ქაიხოსრო და ძმამან ჩ~ნ~მან ოთარ, მანუჩარ და რევაზ თქვენ ჩვენს ძმას ბატონიშვილს ბატონს ანახანუმს: „სანამდინ თქვენ ცოცხალი ბძანდებოდეთ სოფელი შინდლარა და მუხრანას სამეკრო მოგვირთმევია“... (სიგელი № 23)

**1726 წ.** ჩღკვ მეფე ვახტანგ, დედოფალ რუსუდან, ძენი ბაქარ და გ~ი... „ბიძა ჩვენი სულხან-ყოფილი საბა ორბელიშვილი დიდად-ნამსახური და გარჯილ ყოფილიყო მამა-ბიძათა ჩვენთა და საჯილდოთ მეფე გი~ს სოფელი შოშილეთი ებოძა და თქვენ სულხან-საბას (სულხანს) მეუღლეს ათაბაგის ქალს ბატონს თამარს (იხ. 1699 წლ. სიგელი) მზითვად მოჰყოლოდით (თქვენ კარგარე-თელნი გიორგის შვილები და თამაზას შვილებით) და ის შოშილეთის სოფელი საბას თქვენთვის ებოძა. ჩვენ რომ რუსეთ წავედით საბამ მოხუცებულმან სამოც-და შვიდის წლისამან (საბა დაიბადა 1659 წ. 24 ოქტომბერს: იხ. 1659 წ. ქვეშე). ჩვეულებისაებრ ჩვენი მამა-ბიძათ სიყვარული და ჩვენი ერთგულობა არა უდებყო და თან გვიახლა სამის ძმითა და ორის ძმისწულითა და თქვენ კარგარეთელი დიმიტრი და ტიტე თან ახლდით და ბევრი მსახურეთ... სულხან საბა ჩვენთან აღესრულა მოსკოვს (ჩვენის ქრონიკებით, საბა აღესრულა 1725 წ. 26 იანვარს, „მწუხრსა მოსკოვს სესენცკას,— ე. ი. ვსესვიატსკის,— არჩილ მეფის სასახლეში და იმავ საყდარს დაემარხა“.. იხ. ქვემო 1725 წ. ქვეშე) .თქვენ ამაზე ნამსახურსა დიდათ დაგიმადლეთ და ეს წყალობა გიყავით: ამისგან ნაბოძები

სოფელი შოშილეთი ასე გაგითარხნეთ... არა ეთხოებოდეს რა... დაიწერა ჴელითა კავკასიძის მელქისედეკისათა, ქ˜კს აქეთ :ჩღკვ:" ხვეულად: „ვახტანგ", „რუსუდან", „ბაქარ". | სვესა და.. |

**1730** „ქ. ..ჩვენ... მეფემან პატრ. ვახტანგ და თანამეცხედრემან... რუსუდან, ძემან... ბაქარ და გ˜იმ ესე... წყალობის წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ... ორბელისშვილს სახლხუცესს ელიზბარს და ძმასა შენსა ვახტანგს, ასე რომ ძველთაგან დიდათა გარჯილნი და ნამსახურნი იყვნენ თქვენნი პაპანი ჩვენს მამა-პაპა ბიძათ ზედა და ახლა კიდე უფროსად განგვიახლე თქვენი სამსახური, ასე რომე ბატონი ბიძა ჩვენი, მეფე გ˜ი, ყაჴდაარს ყეენის ბრძანებით წაბრძანდა და აქედამ მამაშენი ორბელიშვილი ვახუშტი .. (?) მოინდომა მეფესთან წასვლა და მრავალი კარგნი დიდებულნი და კაი მოლაშქრენი წაჰყვენ თანა და ჩავიდა ყანდაარს და იახლა ბატონსა, მის წინ სამსახურები ქნა და მასთანავე მიიცვალა ყანდაარსა: მერე ურუმთ ჯარი ჩამოვიდა ქართლში და ჩვენ აღარ დაგვინდვეს და საქართველოში ველარსად დავდექით. წამოვედით რუსეთის ჴელმწიფესთან და გვეახლა ბიძაშენი, მეფის გი˜ს გაზრდილი სულხან-ყოფილი საბა, მისი ძმა ბიძაშენი თბალელ მიტროპოლიტი ნკ˜დზ და ბიძაშენი დედოფლის სახლთხუცესი დიმიტრი ცოლით და შვილით. ბიძაშენი ზაალ-ყოფილი ზოსიმე, და შენი ბიძაშვილი ბენედიკტე და მრავალი სარჯელი და სამსახური გამოიარეთ.. საბა რუსეთს ჩვენთან მიიცვალა. ამ დიდის სამსახურისათვის... წყალობა გიყავით. თუ ღ˜ნ ჩვენს საბატონოში ჩვენ და ჩვენს შვილს ვისმე წყალობა გვიყო და მივაწიეთ იქ, ქართლში, შენი თეთრის გირაოდ სომხითის მელიქისაგან გირაოდ ნახევარი სოფელი წოფისი შენ გექირა... ახლა... ეს სოფელი... ჴელშეუვალად თქვენთვის გვიბოძებია... (კავკასიძე.. მელქისედეკს დაუწერია)

ქკს :უიც: (1730 წ.) ორბელიშვილი ვახუშტის შვილს ვახტანგს, ამის მეუღლეს ჩხეიძის ასულს ბ. ანახანუმს და შვილსა თქვენსა ერასტისა...

**1685** წ. ქ˜კს :ტოგ: ამა ქ˜კს გაემარჯვა მეფეს ალექსანდრეს, ძესა ბაგრატისა გურიელ და ოდიშარზედა ბერი (ბკრი?) მრალი (მრავალი?) ახლდა. გურიელი (გიორგი) მოკლეს; სხვა ტყუც ყვეს (წ˜ა გ˜ის გულანი).

— ქკს :ტოგ: იმერთა მეფე ალექსანდრე აფხაზთ კზ˜ს დავით ნემსაძეს და ბიჭვინტას სწირავს ორს მოსახლე გლეხს (უუბლაშვილს და ობოლაშვილს); მოწმენი: ჩხეიძე როსტომ და მდივანი მაჭავარიანი ქაიხოსრო (ბიჭვინტის სიგელი № № 76 და 9087).

— ქკს :ტოგ: „ამბა ალავერდელს ენდრონიკაშვილს ნიკოლოზს პირობას უდებენ ფშაველნი, იყალთელნი, ართანელნი ღ ქორდელნი „ასე რომა დღეის უკან თუ ჩვენში ან ქალაგი ვინმე გამოჩნდეს, ან მარხვა ჭამოს... რომელიც ჯურუმი.. გეპრიანებოდეთ, თქვენ გარდააკდევინოთ (სიგელი ალავერდისა № № 82; 83).

— ქკსა :ტოგ: იქა ჯუმათელი შარაშიძე მიიცვალა (წერა კითხ. № 1204).

მცხეთის სამხრეთის კარზე არქიმ. ტარასის წაუკითხავს: „ქ. ჩვენ ქართლისა კზ˜მა ამილახურის იოთამის ძემან ბატონმა ნიკოლოზ განვიახლე მეორედ კედელი ესე... სვეტისა ცხოველისა... ქკ˜ს :ტოგ:" ჩვენ წავიკითხეთ თვით სვეტი-ცხოველზედ: „უფალო, შენისა დიდებისათჳს ბრძანებითა ნიკოლოზ კათალიკოზისათა დავსატე მე ფ˜დ ცოდვილმან გულჳადარიშვილმან გრიგოლ სვეტი ესე; ვინც შენდობა ბრძანოთ, თქვენც მიგიტევნეს ცოდვანი". (ამ გრიგოლისაგან არის დახატული ანჩისხატის გულანი და ერთი ნაწილი სვეტი-ცხოვლის მხატვრობათა).

— ქკს :ტოგ: დაჯდა გურიელად ქაიხოსრო გიორგის ძე. მალაქია ახალციხეს წარვიდა (კას. ქრ.).

— ქკს :ტოგ: ამ წელს სულხან (საბა) ორბელიანს შეუდგენია ლექსიკონი (ჩემი აღწერა წერა-კითხ. ხელნაწერთა გვ. 434).

**1686** წ. ქკს :ტოდ: ამა :ქკს: იქნა:. ერისთვის:. ქორწილი:. შობას:. დღესა:. მეფის:. გიორგის:. ასულის:. მარიამთანა:. (ქვათახევის გულანი).

— ქკს :ტოდ: სააკაძე გივსა ცოლის დაჲ შეურთავს და საკანონოდ ერთი გლეხი შეუწირავს. მოწამე სიგლისა მროველი ფილიპე (ნუსხა № :რ:).

— ქკს :ტოდ: კაცია ჩიქვანმა დაიპყრო (sic) სალიპარტიანო ლეჩხუმითურთ (გელათში გადმოღ. ნ. ახთაძის ქრ.).

ამ ახლო დროებს ეკუთვნის მარტვილის ჩრდილო კარებს ზემო კედელზე მხედრული წარწერა: „ჳ... მარტვილთა ღ˜თისმშობელო! ჩვენ ცვა-ფარვათა შენთა მინდობილმან, ლეჩხუმისა და საინასარიძოს და ს ლიპარტიანოს პატრონმან, დიდის კელმწიფის მეფისა და დადიანისა ვაზირმან, იმერეთისა, ოდიშისა თავმან და სარდარმან ჩიქვანმან კაცია და თანამეცხედრემან ჩ˜ნმან დიდისა - - - (აქ ორის სიტყვის ადგი განგებ ამოფხეკილია, მაგრამ იქ უნდა წერებულიყო „ოტია მიქელაძის ასულმან სეკდია") და ძეთა ჩვენთა გ˜იმ, იოსებ, ოტიამ დავახატვინეთ სამკრო ესე ტაძრისა შენისა ჩვენად საფლავად, შევამკევით მურასად პატიოსნისა ხატითა სახისა შენისათა და წირვისა იარაღითა. სხვა რაც გლეხები შემოგწირეთ, ან რ˙ც ბეგარი სძეთ და ჩვენთჳს ალაპი გავიჩინეთ იმისი გუჯარი დაგვიძს თქვენს ტაძარში, ის გასინჯონ და მოგახსენებთ... დაიხატა სამკრო ესე ქ˜ს :ტოდ: - - -" (ჩემი უბის წიგნი III, 174; იქვე დახატულია მთელი ოჯახობა კაციასი და შეუნდოდელნი! ეკდემოს, ზოსიმე კოპალაძე და სხ.)

— ქკს :ტოდ: ლევან მეფე წაბრძანდა ისპაანს (პ. კარბ. ნაპოვნი ქრონიკა.— აქ Rap. V, 28 ანჩისხატის წარწერა 163).

ხონის ტაძარში დაცულია მჭირფასად ნაკერი ენქერი წარწერით: „შეკაკერვინე ბატონმა მიქელაძის ასულმან სეკდიამ მამის ჩემის მიქელაძის ოტიას სულის საოხად".. (სეკდია იყო ცოლი კაცია დადიან-ჩიქვანისა).

**1686** დაბადება ღ˜თისი, მერე იმამყულიხანისი: (ჩემი გუჯ. წიგ. II, 6).

— ქკსა :ტოე: აქა ჯუმათელი იოანე ბერიძე დაჯდა ჯუმათლად (წერა-კითხ. № 1204).

— ქკს :ტოე: აქა თეიმურაზ მეფის ძე ერეკლე ქართლს ბატონად დაჯდა (ჩხეიძის ქრ.). სჩანს, რომ 1696 წელს ყოფილა მერვე წელი ერეკლეს მეფობისა: (იხ. 1696 წ. ქვეშე).

— ქკს: ტოე: ...„ოდეს.. გიორგი.. კელმწიფეედ ეკურთხა... ჩუენ ამილახორისშვილს პატრონს ნიკოლოზს.. მოგვებოძა.. ს˜დ საქართველოს კათალიკოზობა... კზ˜ად ვეკურთხენით ქკს :ტჲვ: და ვიწყევით ჟამსავე ამა ქკ˜ნისასა ტაძრისა (ამის) შეწირვა, შემკობა და შემატება... (არაზუდ ციფირებს ჩვენ გსსამთ):

1) ძუელითგან დაფუქნებული კედელი სვეტის-ცხოვლის ტაძრისა მკარსა სამკრეთისასა ახლად ავაშენეთ; 2) კიდევ ხუთი სამხრო გამოუცვალეთ და ხელ-ახლად აღვაშენეთ; 3) კიდე სვეტზე სადაფქარის ჩარდახი გავაკეთეთ და მის გარშემო ხომლითა და კანდლითა შევამკევით; ძირს მავთულისა ფანჯარა შემოვავლე და სვეტი გარშემო მოვფინეთ; 4) სამირონისა და სვეტისა პირდაპირ ჩრდილოეთის კერძი დავახატვინეთ და ერთი ხომლი დავკიდეთ; 5) აგრეთვე საყდრის იარაღისაგან შევწირე ერთი დიბის ბისონი ..,შვდი მურასა ბისონი ოქროს ღილი, ერთი იისფერი ხარა ზარბაბის სტიხარი; 6) ერთი წყვილი მურასა საბუხარი შევაკერვინე;... ვეცხლის ლიტრა.. აზარფეშა.., ჯამი ვეცხლისა,.. სამარილე ვეცხლისა.. 7) აგრეთვე შიგნით ქუიტკირის კედლები სულ დავხურე; 8) ერთი დიდი გულანი (ახლა ანჩისხატის, ეკკლესიის მუზეუმშა დაცული: იხ. 1681 წლის ქვეშე) დავაწერინე და მისადს აკადრისად დავახატვინე (ამ გულანზე იხ. ზემო გვ. 496); 9) აგრეთვე კიდევ ერთი დაბადების წიგნი და ერთი დავითი დავდევ; 10) აგრეთვე ერთი მაზარა მარგალიტის ტრფებითა დი ოქრომკედის დინარით შევაკერვინე; 11) კიდევ ერთი კელი პერექლები ხალასად შევაკერვინე; 12) ..ერთი მურას ყავარჯენი გავაკეთებინე; 13) აგრეთვე დიდს გვრგვნს მრავალი თვალი, მარგალიტი და ოქრო შევმატე და შევამკვე; 14) არაგუზე კიდი გავსდევ... 15) ანტიოხიასთან დიდი ჩარდახი ჩავდგი; 16) კიდევ მცხეთას გალავანს გარეთ ქუიტკირის სასახლე ავაშენე კარითა და ფანჯრით... 17) მცხეთას წლითი-წლადი ყოველს დღეს ალაპი გავაჩინე.. 18) სამირონე ძირს გარშემო სულ ხალასად ნაკერის ხალიჩებით მოვფინე... 19) ყვითელის ავჷრანგის ხაველის ბისონი შევაკერვინე... 20) ერთი ოქროთ დაფერილი ვეცხლის ჯვარ-სანთელი გავაკეთებინე; 21) ერთი საძოხე სპილენძის ქუაბი ჲ :ლ: თეფში... 22) ქალაქს საყდარი (ანჩისხატი?) ლორფინით გარდავსჭედე ...დავახატვინე, საფსალმუნე დავდგი, ხომლი და კანდელები დავკიდე; 23) ქალაქს სასახლე ავაშენე.. და ბევრი შევმატე.. 24) ერთი კაი (sic) ბაღი ავაშენე.. 25) ერთი კაი ზარი ქალაქს დავკიდე.. 26) კოჟორზე ერთი კარის საყდარი დავდგი და კაი საზაფხულო სასახლე ავაშენე.. 27).. ავაშენე საწნახელი და დარბაზი; 28) ყორანთის თავს ერთი სოფელი ავაშენე.. 29)

ციხე-დიდს ზუარი გავაკეთე; 30) ძეგვს ზურისთვს საყდარი თლილის ქვსა ავაშენე.. 31) გომს კაი მარანი.. 32) სალხინოს საყდარი.. 33) მეტეხს ნამეტნავად დაფუძუნებული დ დაძუელებული საყდარი ხელახლად განვაახლე.. დ მეტეხისთვს სოფელი სხერტო ავაშენე.. 34) აშენდას ერთი საყდარი დავდგი... 35) თრიალეთზედ სოფელი ბარალეთი აოკრებული ახლად ავაშენე და კაცნი დავასახლეთ.. 36) სამოცამდის კუამლი კაცი დაკარგული და განბნეული ახლად ჩუენ მოგვყვანია.. დაგვსახლებია ქკს :ტოე: 37) ძუელ წიგნებს რა გაახლება, ჩამატება და შეკრვა უნდოდა, ყველა გავაკეთებინე და თვთ თვსა შიგან სწერია. 38) კიდევ ერთი წინამძღოლი ჯუარი თავით ბოლომდი ოქროსი მოვაჭედინე და მურასად გავაკეთებინე... 39) ერთი ხელი ბერძული წიგნები სვეტ ცხოველს დავსდევ"... (და სხვაცა ბევრი სწერია). ბოლოს ჩვეულებით დამტკიცება. (მცხეთის დიდი სიგელი № 216).

— ქკს :ტოე: „ღ~ო.. შეუნდევენ ცოდვანი და ბრალნი მისნი ნიკოლაოზ იშხნელს ქკს :ტოე" (წარწერა ხელნაწერზე, ჩ. ისტ. კრებ. 375. ეს არის უკანასკნელი იშხნელი, ჭოროხის ხეობიდამ განდევნილი მაჰმადიანთაგან; დიდებული ტაძარი იშხნისა ჯერეც შეურყევლად დგას).

— ქკს :ტოე: აქა როკეთს შეიბენ; გიორგი გურიელი მოკლეს, მისი შვილი ქაიხოსრო დაჯდა (წერა-კითხ. № 1204. შეადარე ზემო 1685 და 1684 წ. ქვეშე).

**1687** წ. ქკსა :ტოე: გოგი მიქელაძის ქალი მოიყვანა მეფემ გიორგიმ ხორაშანი დედოფალი («წიგნი ქორონიკონნი").

— ქკს :ტოე: გიორგი მეფემ კოჯორზედ ქორწილი ქმნა მიქელაძის ქალს ხვარაშანზედ.—კვალად ალექსანდრე მეფემ რაჭა დალაშქრა (კახ. ქრ.).

ამას იხსენიებს გუჯარი ორბელიანთა (ჩემი კრებ. № 18): მეფე გიორგი და დედოფალი ხორეშან უწყალობებენ მიწა-წყალს დურმიშხანს მიქელაძეს და სწერენ: „მას ჟამსა ოდეს ბატონი დედოფალი რომ მოვიყვანეთ, თქვენ იქიდამ მზითვად მოჰყევით".

**1688** წ. ქკს :ტოვ კათალიკოზ ნიკოლოზს, გივი ამილახურის ძმას (ითამის ძეს) აღუშენებია: ეკუდერი სამკრო, მაშინ როდესაც პატრონი გიორგი მეფედ ეკურთხა, სუსტზედ სადაფქარის ჩარდახი გავაკეთეთ და მის გარშემო ხომლით და კანდლით შევამკევით; ძირსა მავთულისა ფანჯარა შემოვავლეთ და სუსტი გარშემო მოვფინეთ; სვეტი დავახატვინეთ და ხომლი დავკიდეთ; არაგვსა ხიდი გავსდევ და გავაკეთე; ანტიოქიასთან (შიგ მცხეთის ტაძარში რომ მცირე ეკლესიაა, კუთხეში) დიდი ჩარდახი ჩავდგი; მცხეთის გალავანს გარეთ კვიტკირის სასახლე ავაშენე კარითა და ფანჯრითა, მოვრთე და გავალესვინე; თფილისს ქალაქსა სასახლე ავაშენე; ერთი ბაღი აქვე ავაშენე; ერთი ზარი ქალაქსა დავჰკიდე; კოჟორზე ერთი კარის საყდარი დავდგი და კაი საზაფხულო სახლი ავიშენე; მეტეხს ძუელი საყდარი განვაახლე... ქკს ტოვ. (გუჯ. სინ. განტ. № 210).

ქკს :ტოვ (1688), ენკენისთვის :ა: „ჩვენ მეფეთ-მეფემ... გიორგიმ და თანამეცხედრემან... ხორეშან ჩვენდა სადღეგრძელოდ და გასამარჯვებლად ზემო-ნიქოზის საყდრისა ყმანი.. ამოკვეთილ იყო... და ახლა შევწირეთ ზემო-ნიქოზს ოთხი საკომლო კოდის პური, ღვთაების საყდარში მიართმევდენ კოდი პურს“ (სინ. კანტ. გუჯ. ჰირი).

— ქკს :ტოვ: [ამ]ა ქ̃კს აპრილს - - [გარდაი]ცვალა ბა[ტო]ნიშვილი (მუხრან ბატონი) [თე]იმურაზ (ჟამნი № 3).

— ტოვ: ამა:. ქკს:. შეუკდა:. გიორგი მეფე.. საერისთოსა:. გაიმარჯვა:. არაგვის:. ერისთავმა:. გამობრუ[ნდ]ა:. (გამოაბრუნა?) მეფე გიორგი:. და ქართველნი:. გარდააგდეს:. გიორგი:. ნე[ფ]ე:. და მარიამობის თვ[ეს]:. ბატონიშვილი:. [ერ]ეკლე:. დასვეს:. მეფედ:. (ქვათახევის გულანი).

— ქკს: ტოვ: აქა გორგა (გიორგი) მეფე გ(ა)და(აგდ)ეს; ერეკლალ (ერეკლე) დაჯდა („ახხაზთა ქრონიკა“, მერმინდელის ხელით მიწერილი).

— ქკს :ტოვ: შეუხდა მეფე გიორგი არაგვის ერისთავს და ერისთავს გაემარჯვა და წავიდა იმერეთს („წიგნი ქორონიკონნი“).

— ქკს :ტოვ: კახ-ბატონად მოვიდა აბაზ-ყულიხან.—გიორგი მეფემ ძმა თვისი ბაგრატ და ძმა ლეონ ყეენთან წარგზავნა, და გაზაფხულს შეუხდა თუშეთსა, დაუმარცხდა.—ამას ზაფხულსვე მოვიდა ერეკლე ტფილის მეფედ.—გიორგი მეფე რაჭას წარვიდა.—კვალად ამავ შემოდგომას მოვიდა რაჭას არჩილ მეფე რუსეთიდამ (კახ. ქრ.).

ბროსსეს ცნობით ერეკლე 1664 წ. დაბრუნდა რუსეთით თავისის დედითურთ ელენეთი (ძმისწული ეკდემოზ კათალიკოზისა დიასამიძესი), 1674 წ. ისევ რუსეთს წავიდა რუსთ მეფესთან ̃დ იმავ წელს სეკდემბერს წამოვიდა ასტრახნიდამ შემახიაში 1675 წ. და გამეფდა კახეთს 1677 წ. მაჰმადიანობა მიიღო და 1778 წ. ისპაგანში იყო და შეირთო ანნა ჩოლაყაშვილის ქალი (მონაზონობაში ანასტასია) და მეფობდა ქართლში 1688—1703 წ.

— ქკს :ტოვ: ხელწერილს აძლევს: „ჩვენ თქვენდა კურთხევად მოსრულმა აბა (ამბა) ალავერდელმა ჩოლაყაშვილმა თქვენ კათალიკოზს დიასამიძეს იოანეს, ასე რომე ვიყვნეთ თქვენსა და თქვენის საყდრის მორჩილნი და ნების-მყოფელნი რჯულიერის წესითა“. (სინ. კანტორის გუჯ. № 240. იხ. 1693 წ. ქვეშე).

— ქკს :ტოვ: აქა ერეკლე მეფე და ქ̃კზი იოანე დაჯდა (იკორთის მადლისპირი).

**1688 წ.** „ჩვენ.. ბატონის.. ყაფლანის შვილმან ბ̃ტნმან პაპუნამან და თანამეცხედრემან ჩემმა ბატონმა ხანგიჯასპიმ ძმან ჩემმან ბატონმან ერასტიმ ესე ამიერითგან... წიგნი და სიგელი შემოგწირეთ და მოგართვით თქვენ საშინელსა ̃დ ყ̃ლწსა ̃დ ხატსა პატიოსანსა დმანისის მღვთის-მშობელსა მონასტერსა და სასაფლაოსა ჩ̃ნსა ასრე რომე მოვიწადინეთ ̃დ შემოგწირეთ ჩვენი მხე-

დელი (?) ყარახანა თავის ცოლითა და შვილითა და ასრე გავათარხნეთ არას-ფერისთანა ჩვენი არ ეთხოვებოდეს რა თქვენის სამსახურისა და სახდელისაგან კიდე... ქ~კს ტოა მკათათვის კბ |____| |______|.

**1689** წ. ჩუენ: დიდასა: ორბელისძის პატრონის ყაფლანის შვილმა პატრონ-მან პაპუნამ და თანამეცხედრემან ჩუენმან აბაშის ასულმან პატრონმან ბანგიაჯასპამ შემოგწირეთ და მოგახსენეთ სარკინეთს ერთი კომლი კაცი პაატაშვილის ბიძინაშ-ვილები გ~ი დ მახარა მისის მამულითა, მთითა და ბარითა შენ... პატიოსანსა მო-ნასტერსა და საეფისკოპოზოსა და თავსა სასაფლაოსა ჩუენსა დმანისის ღთის-მშო-ბელსა... რომე არა ჩუენი სათხოვარი და გამოსაღები არა ეთხოვებოდეს... არა სა-ბალახე, არა ღალა, არა კულუხი, არა მალი, არა ულაყი თჳნიერ ღმრთისა და დმა-ნელის მეტს კაცს შენთან კელი არა ჰქონდეს. ასე უნდა: ბატონმა დმანელმა თავი-სის კრებულით კორციელის შაბათს ყამი გვიწიროს და აღაპი გარდაგვიხადოს... დაიწერა სიგელი ესე ხელითა მღდლის მგალობლის იოსებისითა თუესა აპრილსა ათერთმეტსა ქკს ტოზ [ ].

შემოგწირა გლეხი ესე ყამსა (დმანელის) ბარათაშვილის ქრისტეფორეს დრო-სა სანამდი ჩ~ნ ცოცხალი ვიყვნეთ ეს აღაპი არ მოიშალოს დ შ~დ ჩუენსა ვინცა დმა-ნელი ბრძანდებოდეთ ნურც თქუენ მოშლით.

მხედრული წარწერა ტაძრის მეორე ეკლესიისა: „აღვაშენე კარის ბჭე ესე.. ორბელმან პაპუნამ და თანამეცხედრემან ჩუენმან აბაშიძის ასულმან ბანგიაჯასპამ“-..

**1689** წ. ქკს :ტოზ: ერეკლე მეფე მობძანდა ქალაქს: იდ: წელი იბატონა (შ. კარბელოვის ნაპოვნი ქრ.).

— ქკს :ტოზ აქა მეფე გიორგი გარდაავდეს და მათწილ გამეფდა ბატო-ნის თეიმურაზის ძის [წ]ული მეფე ერეკლე (ცაიშის ჟამნ-გულ.).

— ქკს :ტოზ: ამა ქ~კსა მობძანდა ერეკლე-მეფე ქართლ-ბატონად და გა-ბატონდა (ყანჩაეთის გულ.იხ. 1688 წლის ქვეშე).

— ქკ~ს ·ტოზ: მარტის :ივ: „ქართლისა სამეფოს გამგებელი პატრონი ნაზარალიხანი“, დედა მისი ელენე დ ძენი: იმამყული, კოსტანდილე და ისლა-მირზა.

— ქკს: ტოზ: ოსმალთა მოკლეს ქაიხოსრო გურიელი; მალაქია გააგუ-რიელეს, მერე—მამია ძე გიორგისა (კახ. ქრ.).

— ქკ~ს :ტოზ: დედოფალი ელენე (?), ძე კოსტანტინე (?); კათალიკოსი დიასამიძე იოანე („წელთა აღწერა“).

— ქკ~ს :ტოზ: წარწერა ანანურის ეკლესიაზე; „✠... ყ~დ წ~ო ღვთის-მშობელო ევმანოელისაო, რომლისა ნებითა და შეწევნითა კელ ყო არაგვის ერისთვისშვილმან მდივანბეგმან პატრონმან ბარძიმ თჳსისა საფლავისა ამის ანანურისა მღვთისმშობლისა საფუძველითურთ შენობად მრავალმცა არიან ხელნი ცხოვრებისა მისისანი და მე წინამდგომელი... თჳსი.. შვილი ბოქაულთ უხუცესი ქაიხოსრო დამადგინა წ~სა ამის მონასტერსა ზედან სარქრად: უწყის

ღმერთმან, რაც შეძლება მქონდა, დღივ და ღამ მოუსვენებრად ვშრომობდი და არ ვეც ძილი თვალთა ჩემთა ვიდრემდის განასრულებდენ მონასტერსა... ვეც ამას... ანანურის მღვთის მშობელო შენ მცველ და მფარველ ექმენ..... ქკ̃სა :ტოზ:" (ჩემი უბის წიგ. № 1, გვ. 8—9). ბარძიმის ქალი გუქა სვიმონს, ვახტანგის ძმას, ჰყავდა ცოლად (იხ. 1717 წ. ქვეშე).

— ქკ̃ს :ტოზ: „--- მეტამღეთა ზედა და -- გელაქუნურის საპალნეზედა სამსა გელაქუნურსა და ბახტისა საპალნესა ზ̃ა ორსა ბახტასა ნუ დიაკლებთ. და რასაც აიღებდე, წიგნად დასწერდი და ისრე მოაკსენებდე პატრონს ქკ̃ზს. ქალაქის მელიქ მამასახლისო! რაგუარადაც სულ-კურთხეულსა მეფელუარსაბს ბატონის ქკ̃ზისთვს გელაქუნურისა და ბახტის ბაჟი ებოძებია, ჩუენც ამ რიგად გვბოძებია.. ქკ̃ს :ტოზ:" და იქვე შენიშვნა: „მეფის ერეკლესია" (ნუსხა № :რმͲ:).

— ქკ̃ს :ტოზ: ჩუენ ბარათაშვილმა იასემ და დ̃თ შენ ენდრონიკაშვილს ჯანიოზს. ძ̃ შვილთა შენთა ოთარს და გოსტასაბს მოგყიდეთ ჩუენი მემკვდრე ყმა ლონიაშვილი პაატა და მისი ძმა მახარ, კიდევ მისი ძმა დათუნა მისის შვილებითა და ... და გამოგართვით ფასად ოქროს ხანჯალი.... ქკ̃ს :ტოზ: მარტს ·ე (მცხეთის ნუსხა № :ტგ:).

1689 წ. იანვარს 27 იშვა ბატონიშვილი პაატა (იხ. 1709 წ. ქვეშე).

— ქკ̃ს :ტოზ: თირის მონასტრის ქვის წარწერა; „ქ. ყ̃დ ქებულის მეფის არჩილისა და დიდად სახელოვანისა ქართლის მეფის გიორგის ძმის ყ̃დ შემკულის ბატონის ლევანის ძე, საქართველოს გამგებელი ბატონიშვილი ვახტანგ (ვიყავ სამკჳდროსა მამულსა ჩემსა სოფელსა ამას რაოდენთამე წელთა და მიიცვალა ძე ჩემი პირმშო ბატონისშვილი როსტომ და დავფალ ეკლესიასა ამას შ̃ა სამკჳდროსა მამულსა ჩემსა ქკ̃ს აქათ :ჩქპთ:" (Rap. №, 61).

ქკ̃ს :ტოზ: ამ დროებისა უნდა იყოს წერილი ორბელიანთ № 20: „ქ... დედიდავ ბატონო თამარ!.:. მერმე თქვენის მაზლიშვილის სულხანის (ვახტანგ ორბელიანის) შემორიგების საქმეზედა მიგიწერიათ და ოთარი (არაგჳს ერისთავი ლოპინა?) გაახლებინათ... თქვენი შუამავლობა და პატივის დებით მაგის დანაშაული შეგჳნდვია.... მიჭპატიებია". (მეფე ნაზარალიხანის ბეჭედი).

თამარ იყო მდივანბეგის ორბელ ორბელიანის ცოლი, ზაალ არაგვის ერისთვის ასული. რა დანაშაული დაედვა მეფისა ორბელიანს სულხანს (ბერობაში საბა, მწერალი) არა სჩანს. შეიძლება, ბერად შედგომა ამ დიდად ნამსახურის კაცისა ეწყინა მეფეს.

1689 წელს ანუ ცოტა უწინ არის დაწერილი შემდეგი მხედრული სიგელი, ცნობილის მეცნიერის იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის მიერ მიცემული.

აქ დიდი საპატრიარქო ბეჭედი, რომელზედაც დახატულია ყველა საუფლო დღესასწაულები და წარწერა ბერძნული.

„ქ. წყალობითა: ღ̃თისა და დიდისა ქალაქისა: იერუსალიმისა. პატრიარქი: დოსითეოს: მოგახსენებს: ყოველთა; მართ-მადიდებელთა ქრისტიანეთა, ამას მოგელით ვისაც ჩვენი ლოცვა კურთხევა გინდათ, ეს იოვანე ბერძენი აქ ქალაქსა ჩვენის ბრძანებით დადგა, და ამაზედ ყოველთ ქრისტიანეთა თვალი და ყური გეპყროსთ; და ნურავინ რას შესცოდებთ ჩვენის გულისთვის; გებრალებოდეთ, ამასთან არას კაცს კელი ნურავისა გაქვსთ ამასად უნებურად; არა ეთხოვებოდეს რა არა საბატონო და საკელმწიფო სათხოვარი; არა სამოურაო სამსახური არა მოადგებოდეს რა და ყოველთაგან თავისუფლად იყოს. ვინცა ეს ჩვენი წიგნი და ბძანება გაათაოს და არავინ არა შესცოდოს, ღმერთმან და ქრისტეს საფლავმა კურთხევით შენდობილნი ამყოფოს და თუ ვინ გინდა ვინ ეს ჩვენი ბძანება და ნიშანი არ გაათაოს და ამ იოანე ბერძენს შესცოდოს რამე, წყეულ და შეჩვენებულ იყოს ჩვენგან და ქრისტეს საფლავის მადლითა. კეთილის მყოფელნი ამისნი ღ̃ნთკურთ̃ვთ ამყოფინე". (აქ ბერძნულად ამტკიცებს დოსითეოს იერუს. პატრიარქი. იმავე გუჯრის მეორე მხარეზე):

ქ. ჩვენ მღთ̃ივ გვირგვინოსანმან: მეფეთ მეფემან და კელმწიფემან, პატრონმან ერეკლემ, ნაზარალიხან, ვნახეთ იერუსალიმის პატრიარქის მიერ წყალობით ბოძებული წიგნი იოვანე კეისრელის ბერძნისა. ჩვენც ასრე წყალობა უყავით, როგორათაც პატრიარქს უბოძებია, არაფერი არა გამოსაღები დ̃ ხარჯი არა ეთხოვებოდეს არას კაცისაგან... ასრე დაუმტკიცეთ. ქ̃კს ტოზ. ერეკლე. (ერეკლე)..

„ჩვენ, ქართლისა დ̃ ყაზახ-ბორჩალოს გამგებელი, პატრონი, მეფე ერეკლე; ამ ბატონის პაპის ჩვენის ნაწყალობევს ამავ რიგად ვამტკიცებთ, გიორგობისთვის (ი) ქ̃კს ულვ. (1748) ერეკლე. (ქნარს მიცემს—.—.—კახეთის მეფე).

(სხვა გუჯარი) ქ. ჩვენი ბძანება არის: ჩვენო მოხელენო და მოსაქმენო. მერე ეს წმინდის საფლავის ყმა კეისრიელი ბერძნის შვილი რომ ქალაქში სახლობს, ამას ნურას ხარჯში ნუ გარევთ, ნურცა სალეკოში და ნურცა სხუას საქუშყნოსა და საბატონოს გამოსაღებში. ამას წიგნი აქუს იერუსალიმის პატრიარხისაგან ბოძებული, და პაპის ჩვენისაგან დამტკიცებული და იმ წიგნს ჩვენ არ მოუშლით. აქამდინ არ უძლევია და ნურც ახლა გამოართმევთ. აღიწერა აგვისტოს (ივ) ქ̃კს უობ (1784 წ.) ერეკლე

**1690 წ.**—ქკ̃სა :ტოჲ: აქა მამია გურიელი დაჯდა ბატონად (წერა-კითხ. № 1204).

— ამ დროებში უნდა იყოს დაწერილი ბიჭვინტის სიგელი №№ 9104 და 51: „ქ...ჩუენ... კელმწიფეთ-კელმწიფემან დადიან გურიელმა პატრონმა მამია... რადგან ბედნიერმა ხონთქარმან დადიანობა და ოდიში ჩუენ გვბოძა, ჯერ იყო ჩემმიერ.. (ბიჭვინტისადმი) შემოწირვა... და შემოგვიწირავს (განუახლებია). ხორგას ნაპარკაო სასახლე ცხრა კვამლი კაცი.. (ესენი უწინ გ̃ზს დავითს ჰყოლია, მაგრამ შემდეგ სადადიანოდ გამხდარიყო).

ქ~კს :ტოჱ: კზ~ი იოანე, ალავერდელი ნიკოლოზ, ნინოწმიდელი არსენ სწერენ: „გავარიგეთ უდაბნო გარესჯისა“. არჩილ მეფემ აღადგინაო გარესჯას მოღვაწეობა, მაგრამ ისევ მოიშალაო. ახლა ერეკლე მეფის ბრძანებით ონოფრე მაჭუტაძე წინამძღვრად დავაყენეთო და კრებულნი.. ქკ~ს ტოჱ, მარტს :იბ: სიგელს სხვათაშორის ამტკიცებენ თეჳილელი დომენტი (XVIII საუკ.) რუსთველი ნიკოლოზ, მკ~სი ქრისტეფორე (სიგელი გარესჯისა № 8).

—ქკ~ს :ტოჱ: მოკუდა უსუფ-ფაშა; დაჯდა ძმა მისი სალიმ ათაბაგად;— და კვალად არჩილ იმერეთს გამეფდა;—კვალად გოდოგანის ომი იქნა, არჩილს გაემარჯვა და ალექსანდრე ქართლს წარვიდა (ვახ. ქრონ).

**1691** წ.—ქკ~ს :ტოთ: ქუთაისის ყ~დ წ~ის ეკლესია შემუსრეს ახალციხელ თათრებმა (ნ. ანთაძის მიერ გელათს გადმოწერილი ქრონიკა).

— ქკ~ს :ტოთ: ამა ქკ~ს ქრისტეშობისთვესა შამოება გოდოგანს მეფე არჩილს მეფე-ალექსანდრე და გაერმაჯვა არ[ჩილ] მეფესა (გელათის გუჯანი).

— ქკ~სა :ტოთ: აქა მოიყვანეს დედოფალი ელენე აბაშიძის ქალი (წერაკითხ. № 1204; მამია III გურიელის ცოლი).

საქართველოს მეფეთ-მეფის ვახტანგის მეუღლე და იმერთა და კახთა მეფის არჩილის და ქართლის მეფეთ-მეფისა და ყანდაარისა, ქირმანისა, ზირიშკისა და აიალათის მპყრობელისა და სპარსეთის სპასალარის მეფის გიორგისა და ერანის მდივანბეგის ლევანისა და ძმათა მათთა დედა და ორბელის ძის ყაფლანის ასული დედოფალი როდამ ყოფილი ცქემოსანი (სქემოსანი) ეკატერინე აწ მდებარე ვიქმენ მკვდრსა ამას საფლავსა ჩვენსა... ესე არს განსასვენებელი ჩემი, ამას დავემკვდრე, რამეთუ მთნავს ესე ...ქკ~ს :ტოთ: „სვეტოცხოველო, მფარველ ექმენ ძეთა ჩემთა ყოველთა!“ (ჩემი უბის წიგ. № 1, გვ. 74 ეს რუისის საფლავის ქვაზე წარწერილია).

Chron. gèorq.-ში. (გვ. 111) ვკითხულობთ: „ქკ~ს :ტდვ:.. მიიცვალა ასული ყაფლან ბარათაშვილის.. მეუღლე მეფის შაჰნავაზისა როდამ თვესა თიბათვესა :იზ: ტფილის ქალაქსა“.

— ქკ~ს :ტოთ: ამ დროებს, ანუ ცოტაოდენ ადრინდელსა უნდა ეკუთვნოდეს სიგელი ორბელიანთა 10:

„ჩვენ ფანასკერტელმან ციციშვილმა ფარსადან ძმამან ჩვენმა მოლარეთხუცესმან ბ. ვახტანგ მერიქიფეს უხუცესმა ბ. პაატამ და ამილახვარ და შვილმა ჩვენმა ზაზამა (ეს სიგელი მოგვეცით) თქვენ ორბელისშვილს სულხანს (საბა-სულხან) ბოქაულთ უხუცესს ერასტის, ვახუშტის, ყაფლანს და ძმასა თქვენსა ასე რომ მეფის არჩილისა დ~ მეფის გ~ის და მათის ძმების უზიანეს საქმითა ჩვენ და თქვენ პირი გავაერთოთ, ამისთვის რომე რა ჩვენ და ბიძა ჩვენი ციცი გარდვიკიდენით, თქვენ იმათკენ დარჩით; ჩვენ დაგშორდით. ახლა რადგან ისინი ბატონსა და ქართველთზედ ასე დამნაშავედ და მუხანათად დარჩნენ და მეფემ არჩილ დ~ მეფემ გიორგიმ ჩვენი გაერთება მოინდომა, ჩვენ ასე გაგიერთდით“...

— ქკ~ნ :ტოთ: მარტვილის საკრებულო ტაძარში ამას წინეთ იპოვეს დიდი სპილენძის თასი მურასა წარწერით მხედრულად: „ვენეტიკის საქმე და გაკეთებუ-ლი კარ; კათალიკოზს მომართვეს დიასამიძეს პეტრონს იოანესა. კ~ზმა (კათალიკოზმა) სახლთხუცესს მაღალაძეს რჩევაზე მისცა. მანუმ ჯმეთ (ჟიმეთ?) ოთუზ უჩ-რუშ. ქკ~ნ :ტოთ:" (ჩემი ჟბის წიგ. III, 170)

— ქკსა :ტოთ: აქა შამოება გოდოგანს მეფე არჩილს მეფე ალექსანდრე და გაემარჯვა არჩილ-მეფეს (წერა-კითხ. № 252).

— ქკს :ტოთ: ამა ქკ~სა ქრისტიშობითვესა შამოება გოდოგანს მეფე არ-ჩილს მეფე ალექსანდრე და გაემარჯვა არ[ჩილ] მეფეს" (გელათის გულანი.)

— ქკ~ნ :ტოთ: გიორგი-მეფემ, ახალციხიდამ გამოლტოლვილმა, ქართლი დაიპირა; ერეკლე-მეფე ტფილისის ციხეში შევიდა; კვალად ფაშამ ალექსანდრე ჩაიყვანა, იმერეთს გაამეფა; არჩილ რაჭიდამ ქართლს ჩავიდა და ქუთაისს ეკკ-ლესია ყოვლად წმიდისა შემუსრეს ოსმალთა;—კვალად ალექსანდრე მეფემ გიორგი აბაშიძის ქალი თამარ შეირთო ცოლად; კვალად ქართველთ დაუმარცხ-დათ ნინოწმიდას, მოკლეს ბარძიმ მდივანბეგი (კარ. ქრონ.)

**1692** წ: ქკ~ს :ტპ: აქა მაეფა (sic) არჩილ იმერეთს (sic) დაჯდა („წელთა-აღწერა") ვგონებ, 1691 წ. უნდა იყოს.

— ქკ~ს—:ტპ: მოკუდა შაჰ-სულეიმან; დაჯდა ძე მისი შაჰსულთან უსეინ.— კვალად შეიპყრეს არჩილ-მეფე ჩერქეზთა (კახ. ქრ.)

— ქკ~ს :ტპ: ერეკლე მეფე სწერს: „ოდეს მოიწინეს უღმთონი ლეკნი სამ-ღავსა და მონასტერსა წ~ისა დავითისასა, წ~ნა მღვდელ-მონაზონნი და კრებულნი მოსრნეს და ყოველნი სასმარნი... და სიგელნი იავარყვეს" და ამისგამო ათარხნებს ყველა გარესჯის მამულებს (სიგელი გარესჯისა № 14; 26).

— ქ~კს :ტპ: აქა მაეფა (მეფე) არჩილ იმერეთს დაჯდა („აბხაზთა ქრონიკა", წარწერილი მერმინდელის ხელით).

**1693** წ. ქკ~ნ :ტპა: (უფალო, შეიწყალე) ცოდვილი ზაქარია, რომელმან ესე ჟამნ-გულანი, (ი. ყანჩოეთისა ნახატი გულანი) რაიცა უძლურებასა ეძლო მოვიპირ-ვე კარგად გაკეთება ბრძანებითა მთავარეპისკოპოსისა რატიშვილის ევდემოსი-სათა, რომლისა კეთილმცა არს საკსენებელი მ.-.-.- იყო ტკბილ სიტყვთა, მშვიდ გულითა და ასე საკვირველ იქმნა: ებრძანებინ (?) დაწვა (?) მას ღამე-სა, ჟამსა ცისკრისასა მეძინა სენაკსა მცირესა; გოდოლსა მასთანა იყო ზღუდე-გალავნისა სიმაღლე წყ~რთა :კა: გამოველ საკმრისათვს კორცთასა, გარდა-სცდა ფერკი და ძირსა დავარდა (?) მის გულოვნისა (გალავნისა?) და კიდევ უვნოთ მოვრჩი ღვთისა შეწევნითა და—წ~ისა მამისა დთ~სითა. ღვთის გუ-ლისთვს შენდობით მომიკსენეთ... ქ~კსა ტპა. ქ~ე შ~ე ურბმნელ მთავარეპისკ~ზი ევდემოზ. ქ~ე ადიდე გლონისთავიძე... ქსნის ერისთავთ ერისთავის სახლის ძე უვბნელ მთავარ-ეპისკოპოზი ევდემოზ".

—ქკ˜ს :ტპა: ამა ქკ˜ნსა კახნი და ქართველნი შეიბნენ.-.- ზღას და კახთა გაემარჯვათ და ამავე ქკ˜სა თვესა მესა[მესა] კახთ გაემარჯვათ ქართველზედ -.-ნეთის ქედზედ (ყანჩაეთის გულანი. უნდა იყოს :„თიანეთის ქედზედ“).

— ქკ˜ს:ტპა: იელისს :ე: „ჩვენ კახეთის ბატონმან, ყარაბახის ბეგლარბეგმან პატრონმან აბაზ-ყული-ხან.. გიბოძეთ თქვენ.. ჩოლაყაშვილს მამუკას, სახლისხუცესს დურმიშხანს, შვილთა თქვენთა ზაალს, ედიშერს, საზვერელს და გიორგის.. ასე რომე დიაღ ნამსახური და კალდებული დარჩით, მისად საპასუხოდ გიბოძეთ კაკაბეთი, რამაზიანი, ალვანი..., რავკარათ გორჯასპისა და ერისთვის შვილს დათუნას ჰქონდა.. უოკლის კაცის მოუდევრად“..

— ქ˜კს :ტპა: წავიდა მეფე გიორგი ისპაანს ენკენისთვის :იე: („წიგნი ქორონიკონნი“)

— ქკ˜ს :ტპა: გიორგი მეფე მონასტერს მობძანდა, მეფე ერეკლე ქალაქს ციხეში ბძანდებოდა (პ. კარბ.ნაპოვნი ქრონიკა).

— ქკ˜ს :ტპა: მეფე ნაზარალისან სწერს: „ოდეს მოიწივნეს უღთონი ლეკნი“, და გარესჯის ბერნი მოსრესო (იხ. 1692 წ. ქვეშე.)

— ქკ˜ს :ტპა: ამ დროში უნდა იყოს დაწერილი „ერთგულობის წიგნი“ ალავერდელის ნიკოლოზ ჩოლოყაშვილისა (ნიკოლოზ ენდრონიკაშვილი უწინ იყო იხ. 1685 წ. ქვეშე) კზ˜ის იოანე ღიასამიძისადმი: „...ასე რომე ვიყვნეთ თქუენი და თქუენის საყდრის მორჩილნი და ნების-მყოფელნი სჯულიერითა წესითა“ (მცხეთის სიგელი № 240).

— ქკ˜ს :ტპა: ამ დროებში უნდა იყოს დაწერილი წერილი (№ 492 ალავერდელ ნიკოლოზისა თფილელ იოსებთან. ალავერდელად იჯდა ნიკოლოზ ენდრონიკაშვილი 1685 და ნიკოლოზ (ჩოლაყაშვილი) 1695—1711 წ. ხოლო მე XVIII საუკუნეშიც ნიკოლოზ პაატა ენდრონიკაშვილის ძე 1737—1757 წ.; მაგრამ ჩვენის სიით მე XVIII საუკუნეში თფილელად არ იჯდა იოსებ, რომელიც სჩანს 1681—1694 წლებში (ბარნაბას შემდეგ); ხოლო 1696 წელს თფილელად იჯდა დომენტი. ამისგამო, ქვემო მოყვანილი წერილი მე-XVII საუკუნისად მიგვაჩნია, როდესაც პოლიტიკურმა განხეთქილებამ ქართლ-კახეთში დაჰბადა ეკლესიური უწესოებაცა:

„ქ. წ˜აო და ყ˜დ სანატრელო მეუფეო ჩემო იოსებ, ჩემო ბატონო თფილელო!.. მერმე არა ამის წინადაც და კიდევ ასლა ჩვენისა და ბატონის კზ˜ის ერთად შეყრა და ურთიერთას მშვიდობის დაგებისა ყოფა გებძანა. ღმერთი არს მოწამე და კაცნიც მრავალი, რომე ჩემის თავის მოთმინებითა და არც თავხედობითა და არც წინააღმდეგობითა მე გვირგვინი არ დამეხუროს: მრავალთ დარბაისელთ და მახსოვართ კგითხე, მეც მითხრეს და მაგ ბატონს კზ˜საც მოახსენეს, რომ სხვა ალავერდელსა უკათალიკოზოდ) დაუხურავსო და მეც დავიხურე. აწე ასე უსახო და ღ˜თის მოძულე როგორ ვიქმნები, რომე წდ˜ას-სვეტი-ცხოველს მოსლვა და თაყვანისცემა არ მინდოდეს და ბატონის კზ˜ის შენდობის აღება, მაგრამ ასე რიგად საქმე მაქვს მოსული, რომე თავად სხვა კზ˜ის კაცი და უფროსღა მე ვერ წამოვალ მანდით. ეს რომ გამიწყრება, სულ

ამ სოფლის გათავებას მოკლი: ეგ გიდემ მოწყალე არის, შემიწყნარებს რაგინდ დიდი რამ დანაშაული მქონდეს, ან მე ასე მომივიდა საქმე, რომ უმაგათოდ დავიხურე... ახლა და ქრისტიანობისთჳს ჩვენცა ამას მოგახსენებთ თქვენ და მათ ების კოშოზთა, რომე ჩემიც ინაღულოთ: ამდონი შუამავლობა მიყავით, რომე მე დანაშაულზე დამიც თავი, დავაშავე; საქმემ და დრომ ასე მოიყვანა; მეც ერთი წიგნი მომწეროს, ისევ შემირიგოს, ქრისტიანობასაც ასე უჯობს. მას უკან თუღა ან მაგათის აქათ ჩამობრძანებასა და მაგათ ნახვას მაღირსებ და ან მე კიახლები, რომელსაც ეგ მიბრძანებს, იმას ვიქთ; ნუღარც ეგ გვიწყრების; ამდონი გულის კლება გაათაოს; თუ არა და ბედნიერად იყოს: ჩვენგან ხვეწნის მეტი არა გაეწყობა-რა. რა ვქნა, საბოლოსი უბრძანებია და საბოლოსი ეს პირობა მომიხსენებია: ჩვენ რო გარდავიცვალნეთ, ვინც ჩვენს უკან ალავერდელი დაჯდეს, უკათალიკოზოდ გვირგვინი ვერ დაიბუროს და ახლა მანდ ჩამოუსვლელობა მოგვიტეოს და შერიგების წიგნი გვიბოძოს. მოხსენება და ხვეწნა ამას ჰქვიან და ჩვენც მაშინც ამის მეტს არას მოვახსენებთ"... ბოლოს ხვეულად: „ალავერდელი ნიკოლოზ": (ამ გარემოების გამო უნდა იყოს მიცემული 1688 წელს მორჩილობის წელიწდი: იხ. ზემო გვ. 507)

—ქკ̃სა :ტპა: ამას ქ̃კსა მიიცვალა კახელი ბატონის-შვილი მარიამ ყოვლითა სიკეთითა გასრულებული. უფალო მოიხსენე სასუფეველსა შინა ცათასა. ახალციხეს:. (წერა-კითხ. № 252. ხაზ ჩამოსმული იმავე ხელით არის დაწერილი, მაგრამ სხვა მელნით და მოშორებით).

— **1694 წ.**—ქ̃კს :ტპბ: გიორგი მეფე მცხეთას დადგა, ერეკლე მეფე—ჯვარს. ერეკლეს მოეშველა აბაზ-ყულიხან და ჰბრძოდენ ერთმანეთს.—კვალად მოკვდა თამარ, მეფის ქალი, გივი-ამილახორის ცოლი. (კახ. ქრ. იხ. 1695 წ.)

— ქ̃კს: ტპბ: მოუყვანიათ ჩერქეზთ დედოფალი რუსუდან, როგორც სჩანს ზ. ყიფშიძესგან არადეთში შეგროვილ გუჯრების პირისგან № 1, რომლის ბოლოს სწერია: „დაიწერა ინდიკტიონსა დედოფლობისა ჩვენისასა: ზ: ქ̃კს: ტჟა" (1703—7=1694 წ.).

ცხადია, რომ კახტანგს პირველი ცოლიც ჰყოლია, ჯერ უცნობი, რომლისაგან პირმშო უნდა იყოს შვილი როსტომ († 1689 წ. Rap. V, 61).

— ქკ̃სა :ღპბ: მარტის :კვ: მეფე ნაზარალიხან (ერეკლე) და დედა მისი ელენე სიგელს აძლევენ „მკვიდრსა აზნაურშვილსა ქარუმიძეს გიორგის და ძმასა შენსა ზაზას... მას ჟამსა, ოდეს ქართლში ორიანობა შეიქნა (ე. ი. ორი მეფე იჯდა) და ჩვენ ბედნიერის ყაენის ერთგულობისათჳს ქალაქის ციხეში შემოვედით და თქვენც ჩვენის ერთგულებისათჳს პკერს გაისარჯენით"; სამაგიეროდ უთარხნებს გლეხებს: „თქვენი გლეხნნი მკვლადგანაცა თარხანნი ყოფილიყუნეს და ახლა ჩვენც გაგითარხნეთ... არა ეთხოვებოდეს რა.. (კოდის პური, საბალახე, პირისთავი, ნახირისთავი და სხ.). [მეფე ნაზარალიხან]

**1695** წ. ქ˜კს ტპგ: ქალბალიხან ქალაქში მობძანდა (პ. კარბელ. ქრ.).

— ქ˜სა :ტპგ: მიიცვალა ბატონი-შვილი თამარ, გივის ამილახორის მეუ-ღლე მარტის :ით: („წიგნი ქრონიკონნი". გივის ძმა იყო ნიკოლოზ კათალიკოზი. თამარ იყო გიორგი მეფის და. მზითვის სია ამისი მღვდელს პ. კარბელოვს აქვს).

— ქ˜კს :ტპგ: დაფარნა მკ˜სის ევდემოსისაგან შეკერილი ოქროთი გარშემო წარწერით (ჩემი ისტ. კრებულ. ნ80).

— ქ˜კს :ტპგ: მიიცვალა დედოფალი ხორაშან, მეფის გიორგის მეუღლე („წიგნი ქორონიკონნი").

— ტპგ. ხვარაშან დედოფალი, გიორგი მეფის ცოლი, მიიცვალა. კვა-ლად მისცა ყაენმა ქალბალიხანს კახეთი და სარდლობა. მოვიდა ივლისში ერე-კლე-მეფითურთ და დადგა თრიალეთს და გიორგი მეფე კლდე-კარზედ;— იმერთ შეიპყრეს ალექსანდრე მეფე, მოსცეს გიორგი მეფეს, მოაშთვეს რუისს და დაფლეს მუნვე და არჩილ იმერეთს გამეფდა. ოკტომბერში გიორგი მეფეს (კლდე-კარს) დაუმარცხდა, იმერეთს წარვიდა. ერეკლე-მეფემ ქართლი დაიპყრა. კვალად იმავ ზამთარს შეუხდნენ კახნი ჰარსა, დაუმარცხდათ და მოსწყვიდნეს ლეკთა მრავალნი (კახ. ქრ.)

—ქკ˜ს :ტპგ: „ქ... შემოგწირეთ... წილკანს... ჩ˜ნ მუხრანის ბატონმა ბატონისშვილმა პაპუამა, პატრონმა კ˜ემ და ქაიხოსრომ, ერეკლემ, ბაგრატ, ოტიამ, ლევან და ადარნასემ ციხისძირს... ინდუაშვილი პაპუა.. მამულითა"... ქკ˜ს :ტპგ:

— ქკს :ტპგ: „..ჩუენ... მეფემან ერეკლემ.. (ოჯახობით) მკელი გუჯრები (მცხეთისა) დავამტკიცეთ მას ჟამსა, ოდეს ქართველნი უმეგვიდგნენ ჩ˜ ჩუენ ჯუარს კიდექით და ქართველნი ტაძარს გარშემო; ერთმანეთის თოფისა და ზარბაზნის სრო-ლა იყო და თქუენმა მადლმა და შეწევნამა და ბედნიერის ყაენის წყალობამა და ჩემმა სიმართლემ გელი მოგვიმართა და საქართველო ისევ დავიპყარით და ბიძა ჩუენი დი-სამიძე ...იოვანე კ˜ზად დავადგინეთ. თუ რომ თქუენზე (მცხეთის ტაძარზე) დავაშავეთ, მის საუპატიოდ და საპასუხოდ შემოგწირეთ.. კრწანის და ტაბაკმელას შუა მინდისი... (განუახლებია და არა ახლად შეუწირავს) დაიწერა თებერვალსა ერთსა, ქკს :ტპგ:.. ველითა სამებელ ეპის˜კზის ნიკოლოზისათა, მისა მდივნისა" (ბეჭდები და ხელუღე-ბი. სიგელი მცხეთისა № 39; ნუსხა: რპა:).

**1696** — ქკს :ტპდ: წარვიდა გიორგი მეფე იმერეთიდამ ყაენთან ისპაანს. შემდ-გომად არჩილ განაძეს იმერთა. გიორგი დასვეს მეფედ, გოჩიად წოდებული. კვალად მოკუდა რაჭის ერისთავი პაპუნა; დაჯდა ძე მისი შოშიტა ერისთავად (კახ. ქრ.).

ქ˜კს :ტპდ: „ქ..შემოგწირეთ... (მცხეთას) და კ˜ზს უფალს ბიძა ჩუენს იოვანეს... ჩუენ... მეფეთ მეფემან ერეკლემ...თუხარლის პაპუნაშვილი გ˜ი...კზ˜ს ემსახურონ...მოწამენი მ˜კსი ქრისტეფორე, თფილელი დომენტი, ორბელიშვილი პატ-რონი ასლან, სახლთუცესი ციცისშვილი ბატონი ქაიხოსრო, სარდალი ლუარსაბ და

ბოკნელ ეპისკოპოსი მაქსიმიოს... დაიწერა ინდიკტიონსა მეფობისა ჩუჱნისასა მერკესა, ქ~კს :ტპდ:“ (სიგელი მცხეთისა ნუსხა №: რიზ:)

— ქ~კს: ტპდ: „..ბრძანებითა დიდის გელმწიფის შაჰ-სულთანისათა.. ესე.. სიგელი-გიბოძეთ ჩუჱნ კელინამოთის მუსაიბმან ზიად-ოღლიმ სარდარმა, ყარაბაღის ბეგლარ-ბეგმან, კახეთის აქიმმან ბატონმან ქალბალიხან თქუჱნ ბედნიერის ყაენის ერთგულსა დიასამიძეს პატრონს კ~ზს იოანეს, ასე და ამა პირსა ზედან, ვითაცა პირველადვე სხუათა მეფეთაგან... საგირეჯოს მამულები სუჱტის ცხოველასა შეწირული ყოფილიყო, მოგითხული გქენათ...რაგუარადაც გქონებოდათ ჩუჱნც ისე სიგლითა ამით დაგიმტკიცეთ და კახმი გქენით და გიბოძეთ შეუვალად.. ერთის ჩობან-ბეგის საყაენოს მეტი... ქ~კს :ტპდ:ინდიკტიონსა ხანობისა ჩუჱნისასა :ბ: მარტსა :კდ: (ნუსხა მცხეთისა № ტნ:).

— ქ~კს :ტპდ: მეფე ერეკლე უსხლებს ჯამაგირს ცხრა თუმანს გარესჯელ ბერებს და წინამძღვარს ონოფრეს და ხუთს ლიტრა სანთელს უწესს მონასტერს სამეფო კარიდგან (სიგელი გარესჯისა № 16).

— გრიგოლ აფხაზთა კათალიკოზის ბეჭედზე აწერია: „მეუფე და მ~ღდელთმთავარი აფხაზეთისა ქ~ზი გრიგოლ. ქ~კს :ტპდ:“. ამ წარწერით საგულისხმებელია, რომ 1696 წელი უნდა იყოს დრო კზ~ის დავით ნემსაძის სიკვდილისა და გრიგოლის კათალიკოზად დადგინებისა (ის. ბიჭვინტ. სიგელნი № № 42; 75; 9057 და ჩემი გუჯრის წიგ. II, გვ. 397).

**1697**—**წ.** ქკს :ტპე: კ~ზს დიასამიძეს იოანეს აძლევს ფანასკერტელი ციციშვილი ნოდარისძე ფარსადან, ძმა მისი ვახტანგ, პაატა და ამილბარ, შვილი მისი ზაზა, გრმგ~ლ (?), სეხნია და ღ~თ: „ასრე რომე მოგუჱჭირა და მოგუიდეთ ზანდრიშვილი მღვდელი ღ~თ: და მისი შვილი... ავილეთ ფასი სრული». მოწამენი: მგ~სი რატიშვილი ევდემოს, მაღალაძე ქადაგი ნიკოლოზ, მათი ძმა სახლთხუცესი რევაზ, გედევანიშვილი სარდარი გ~ი...„ქ~ზგმან ესე მღდელი დაიკსნა“... (სიგელი მცხეთისა № 152 და ნუსხა: რლე:).

ქკს :ტპე: წარწერა იოანე სინელის „კიბე-ცად აღმყვანია-ზე (მუზ. ეკლ. № 105): „მე სუცეს-მონაზონი, ნათესავით ბარათაშვილი, ტომობით ორბელიშვილი ბესარიონ უდაბნოსა გარესჯისასა... ლოცვა ყავთ წინამძღვრისა ჩვენისა ონოფრესთჳს... დაიწერა ქ~კსა: ტპე... ხოლო უწინარეს ამისა აღვწერე ეფრემ ასურისა... და ლავსაიკონი და კასიანე... და ეგვიპტისა და აღმოსავლის მონასტერთა განგება... და ესენი იმავ ნათლის-მცემლის მონასტერს დავდევ მოსახსენებლად მშობელთა ჩემთა ბეჟანისა და მარიამისა»...ეს ბესარიონ 1724 წ. აღვიდა კათალიკოზობის ტახტზე და † 1735 წ. მისს თხზულებებში შესანიშნავია უოკელ მხრით „გრდემლი“, განმაქიქებელი რომის სარწმუნოებისა, და ქართველთ წ~თა ცხოვრება.

— ქკს :ტპე: ამ ქკსა -. - . - ათანასე ნიკოლოზის შვილი (წერა კით. № 1204).

— ქკ~ს :ტპე: მეფე გიორგი გარდაიგდეს („წიგნა ქორონიკონნი.“)

— წელსა :ჩქჳზ: გიორგი მეფე გარდააგდეს (ისტორ. მასალა სტამბაზე, გვ.).

**1698** წ.—ქკ̃ს :ტპვ: „ჩვენ მეფეთ-მეფემან ჯანიშანმა ვახტანგ ეს შეწირულობა (ზედგინიძისა წიგნისადმი) ასე დავამტკიცებთ ქ̃კს :ტპვ: იანვარსა :თ:".

— ქკს :ტპვ: ყლჯა (sic) ზადა მიიცვალა მარტს :გ: (პ. კარბ. ქრონ.).

— ქკს: ტპვ: ჩამოიყვანეს ოსეთიდამ არჩილ. იმერეთს მეფედ ჰყვეს; გორჩია განაძეს. შემოდგომაზედ ფაშამ ჩამოიყვანა ძე ალექსანდრე-მეფისა სვიმონ, მეფედ დასვა და არჩილ-მეფე დვალეთს წარვიდა (ვახ. ქრ.)

რუსეთში მოწყენით მყოფს არჩილ-მეფეს ბევრი ლექსები უწერია: „სასაქმო და სასამართლო სადღა მაქვს; თორე ვინ მიწყანა; ვეღარ ვბურთაობ, ვერ ვნადირობ, ვეღარ ვლხინობ ვით უწინა... ამად მივჰყავ შაირს ხელი, აშთარხანმა მომაწყინა"... „ცუდად ყოფამ მომაწყინა, სულ ფიქრებმა დამაღამა".

— ამ დროის ახლო წლებსა უნდა ეკუთნოდეს ერთი საყურადღებო წარწერა გერგეთის „სულთა მატიანეთა", რომელსაც სრულიად ახალი ცნობები შემოაქვს გიორგი მეფის და ვახტანგ ბატონიშვილის ისტორიაში, აი თვთ წარწერა მხედრული, ქმნილი თვთ ვახტანგ ბატონიშვილის-მიერ № 99 „:ჲ: უ̃ღ ძლიერო ღ̃თო: რომელმან...ქმენ ქვეყანად მეფენი და მთავარნი ჴ აწ ქართლის მთავრად ქმენ გიორგი, ბრძანებითა შენითა; სძლიეს სპარსთა და გარდავარდა; დაუწელი ღარიბობაში ოთხი და მოვიდა და დაიჭირა ქართლი. სთხოვა სპარსთა და არ მოსცა და მე ვახტანგ გამაგზავნა ლექში (sic); და მე ბრძანებითა შემო[ვი]არე აქ (მთიულეთს)და მივდიოდი, რათა შეგვეწიონ სპარსთა ზედა [ძა]ლი სამებ[ისა და მ[რევლ]ნი; და აწ გევედრები, რათა წარმიმართო საქმენი ჩემნი და ორსავე შინა ცხოვრებასა ღირსად მყავ".

— ქკ̃ს :ტპზ: ზაქარია ანდრონიკაშვილმა ააშენა ალავერდის სამრეკლო (Rap. I, 55).

— ქ̃კსა ტპვ „ქ.. ესე გულანი (ე. ი. ყანჩოეთის გულანი) დამეკარგა. არაგვის ერისათვის შვილმან გრიგოლ იშოვნა. კაბენს გეთსამანიის ღთ̃ის მშობლის შეწირული იყო. მე ყოვლად ულირსმან მთავარეპისკოპოზმან ევდემოს ფეშკაში მივართვი და ისრევ გეთსამანიისა ღვთის მშობელს შევსწირე და ესე აღთქმა დაუდევ: გრიგოლს ხარებობა დღეს კაბენს წინამძღვარი ვინც იქნებოდეს და დეკანოზი ჟამსა სწირევდენ... გრიგოლის მამას, პაპას, მის მეუღლეს დარეჯანს, მათ შვილთა ზურაბს და ვამიყს და გრიგოლი ხარჭაშნელს მოიგსენებდეს. თუ ეს დააკლონ სასუფეველმსაც დააკლდებიან...... ღ̃ო შ̃ე ც̃ი მთავარ ეპისკოპოსი, რომლისა ბრძანებითა აღიწერა ჟამნ-გულანი ესე: პირველად ვიყავ ურბნელი, მერე მანგლელი და მერმე მთავარ-ეპისკოპოსი ქართლისა ქ̃კს :ტნიბ: (sic)...მე მთავარ-ეპისკოპოზმან ევდემონ შევსწირე საძვალესა ჩემსა კაბენს მონასტერსა გესამანიისა ღთ̃ის მშობელსა... ქ̃კს ტპვ".

— ქკ̃ს :ტოვ: მეფე გ̃ი და დედოფალი ხორაშან, ძე მისი ბაგრატ უწ-

ყალობებნე მიქელაძეს გიორგის... „მას ჟამსა ოდეს ბატონი დედოფალი რო[და]მ მოვიყვანეთ, თქვენ იქიდამ მხითვად მოყევით და მამულის წყალობას დაგვეაჯენით"... დურმიშხანისთვს ბევრი მიწები უბოძებია (სიგელი ორბელიანთ № 18).

— ქკ~ს—:ტპვ: „...მუხრან-ბატონიშვილმა კონსტანტინე და ბატონმა ბიძაჩემმა. მკს~მან ქრისტეფორემ და ძმამა ჩემმა და ადარნასემ" ერთის განაყოფის გლეხის მამული წილკანს გიბოძეთო ქკ~ს :ტპკ: ივნისის :იბ:

— ქკ~ს :ტპვ: ამ დროებს ანუ უფრო დაჯეშმარიტებით 1689—1696 წ. ეკუთნის სიგელი მცხეთისა, ნუსხა № :ტობ:, მიცემული ერეკლე მეფის მიერ, რომელიც არის ერეკლე I, რადგან მთელი ეს ნუსხა აღწერილია მე XVII საუკუნის დამლევს:

„ქ. ჩუჱნ მეფის პატრონის ერეკლეს ბრძანება ეს არის: ვინც სამართალში კაცი მიეფეროს და მართალი არა თქოს ან ჩემის ყმობით, ან დიდის კაცის ყმობით, ან შიშითა და ქრთამითა, ან მოყურობითა და სულიც წაუწყმდეს. მეორე ესე: რომა ერთმა კაცმა რომ ტყუილი მოუგონოს კაცსა და დააფიცოს, გასაჯოს და დაახარჯვინოს, ბევრი უბრალოდ გასაჯოს, და თავი იმართლოს იმ კაცმა და გამართლდეს ფიცითა და მოწმითა, რაც ხარჯი დაემართოს იმ მართალს კაცსა ტყუილის მომგონებელმა გარდაუხადოს. მესამე ესე: ვინ დააფიცოს მოფიცარი, ნახევარი დამფიცებელმა გარდაიხადოს და ნახევარი ვინც დაიფიცოს იმან. ეს ასრე გაგვირიგებია და ვინც გადავა, ჩუჱნად შეცოდებად მოვიკითხავთ, ვინც არ დაიჯერებს და ამ ჩუჱნს ბრძანებასა და ასრე არ გაათავებთ".

1699 წ.—ქკ~ს :ტპზ: „ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ ჩვენ პატრონმან ქაიხოსრომ, ძმამან ჩვენმან კახტანგ, იესემ დ~ სვიმონ შენ ...აბიაშვილს მახარებელსა... არა ჩვენგან და არცა ჩვენის ნათესავის კაცისაგან საბალახე, ნახირის თავი, არა პირისთავი, არა შიშლიგი, არცა საჯინიბო ბატკანი არა გეთხოვებოდეს რა :ქკ~ს: ტპზ:". ხვეულად: „კახტანგ".

— ქკ~ს :ტპზ: კ~ზი:იოანე აძლევს მანგლელს გაბრიელ (ჯავახიშვილს) სამწყსოდ ბარათაშვილთა აბაშ დ~ დავითის ყველა ყმებს დ~ აგრეთვე ალგეთს გაღმა სოფლებს შუა, ორი ობისი (ოძისი?) დ~ „ქციასა" და ალგეთს კველთა;" კიდევ თქვენ დ~ დმანელსა სარჩიელი გქონდათ და ბატონიშვილს კზ~ს გაემსაზღვრა" (მანგლისის სიგელი № 29).

—ქკ~ს :ტპზ: „წინამძღვარს მაჭუტაძე ონოფრეს და ერთობილ (გარესჯის) კრებულთ" მეფე ნაზარალიხანი უნიშნავს წლითი-წლად ქართლის შემოსავლიდამ ასს კოდს პურს, ათს საპალნე ღვინოს, ასს ლიტრა ბრინჯს, ასს ჩარექს ერბოს, ასს ლიტრა ყველს, ასს ლიტრა მარილს და სხ. (სიგელი გარესჯისა № 20).

— ქკ~ს :ტპზ: დაახლოვებით ამ დროს ანუ რამდენადმე ადრე უნდა იყოს დაწერილი ათაბაგის ხალიფაშის საფიცარი, ათაბაგის „სიძის" საბა-ორბელიშვილისადმი მიცემული. საბა-სულხანი მისი სიძე ყოფილა. ვინ არის ხალიფაშა ათაბაგი, ისტორიამ არ იცის; რადგან სიგლის სათაური „საფარ ფაშას" მოიხ-

სენიებს, შეიძლება, ხალიფაშა და საფარ-ფაშა ერთი იყოს ანუ ახლო ნათესავნი, ერთის ოჯახისანი ყოველს შემთხვევაში ხალიფაშა ყოფილა ათაბაგი, თუმცა საათაბაგოს ფაშებში იგი არ სჩანს (საფარ-ფაშა † 1635; უსუფ I—† 1647; როსტომ—† 1659; ასლან I 1659—1680; უსუფ II—† 1690; სალიმ —1703).

ქ…ესე მტკიცე… საფიცისა წიგნი.. მოგეცით ჩვენ ათაბაგმა პატრონმა ხალიფაშამ (საფარ?) თქვენ ჩვენსა სიძესა ორბელიშვილსა პატრონსა სულხანს (საბა ორბელიანს), ბიძასა თქვენსა პატრონსა თამაზ სარდალსა და თქვენსა ძმებსა, ასე და ამა პირსა ზედან, რომ პატრონის მეფის ბრძანებით ჩვენთან მობრძანდით და ჩვენ და პატრონი მეფე საფიცრითა და მოყვრობით მოგვარიგეთ და თქვენც საფიცარი მოგვეცით და ჩვენც ეს საფიცარი მოგვიცია, რომ ვიყვნეთ თქვენთვის კაი და კაისა მდომი… რომელიც მეზობლობაში გაგვეწყობოდეს და კელი მოგვიცდებოდეს… კელი მოგიმართოთ… ავი არვის კაქნევინოთ… არ დაგიზარდეთ". ბეჭედი თათრული სათაური სიგელისა: „ფაშის საფარ"…

პალეოგრაფიულ ნიშნების მიხედვით ამავე დროს (XVII საუკუნეს) უნდა იყოს გადაწერილი მხედრულად ახალი ფრიად შესანიშნავი ვარიანტი წმიდა ნინოს ცხოვრებისა, რომელიც ეკუთვნის მღ. ვასილ კარბელაშვილს. ამ ვარიანტს ბოლოს დამატებული აქვს ქართველ მეფეთა მოკლე ისტორია, რომელიც, როგორც შედარებიდამ ცხადდება, ამოღებულია ცნობილის იოანე ბერაძისგან გიდაწერილის უძველესის ქართლის მატიანისაგან „მოქცევა ქართლისაჲ" (დაბეჭდილი ჩვენს „ქრონიკებში", წიგ. I გვ. 9—70). ნიმუშად შემოგვაქს აქა ნაწყვეტი ამ ხელნაწერისაგან (გვ. 132—135).

„შემდგომად მისსა (მირიან მეფისა) ძემან მისმან რევ ყოველი რომელი ემცნო მამასა მისსა (მირიანს) მორჩილებით აღასრულა და სათნოდ ღთისა წარმართა მეფობა [1]) და იგიცა წარვიდა გზასა მამათა მისთასა.

უწყება ჯერ არს ამისთვისცა, საყვარელნო, ვითარმედ ესე მეფე მირიან ანუ სხუანი მეფენი ქართველთანი, რომლისა ტომისაგან იყვნეს ანუ ჩვენ ქართველნი, რომელთა ნათესავთა შვილნი ვართ; რამეთუ ალექსანდრე მაკედონელი იქმნა რა მეფე, პირველად უცხო-თესლნი იგი ბოროტნი წარმოიქცინა დასავლით და კედარსა მას ჩრდილოსასა დასხნა და ვითარცა უკმოიქცა მუნით და შემოვიდა საზღვართა ქართლისათა, იხილნა ნათესავნი იგი სასტიკნი წარმართთანი, რომელთა ჩვენ აწ ბუნთურქად და ყივჩაყად უწოდთ, მსხდომარენი მდინარეა ზედა მტკურისასა მიხუევით და ქალაქნი მათნი ძლიერნი და ციხენი ფრიად მაგარნი და ცხოვნდებოდეს იგინი ყოვლად უცხოდ კაცთა ბუნებისაგან, ვითარცა მეცნი და პირუტყვნი, რომელთა ქცევასა წარმოთქმა უმარ არს. და ენება, რათამცა აფხურნა იგინი ქვეყანისა მისგან, არამედ მას ჟამსა ვერ უძლო. კვალად სხუანი ნათესავნი ქალდეველთაგანნი, და დაეშენნეს

---

[1]) ქ.-ცხბით მირიანის შემდეგ მეფობდა ბაქარ და არა რევ.

იგინიცა ქართლს.—შემდგომად ამისსა განძლიერდა და დაიპყრა ყოველი სოფელი ამანვე ალექსანდრე მაკედონელმან სიბრძნითა და სიმჴნითა თვისითა და აღმოვიდა კვალად ქვეყანასა ქართლისასა და ქალაქნი და სიმაგრენი ყოველნი უცხო თესლთა მათ გამოუკვნა, რომელნიმე მოსრნა და სხუა სიმრავლე მათი ურიცხვი წარავლინა კედარსა მას, სადა იგი პირველნი მიიყვანნა გარეგან ოვსეთისა, და არს ქვეყანა იგი მაღალ და ვრცელ და სიმრავლე წყალთჳა, სადა იგი მიერითგან მკვიდრობენ დიდნი იგი ნათესავნი ყივჩაყთანი. და თვით იწყო შენებად ქვეყანასა ჩვენსა.—ხოლო ჰყვა თანა ახოვე (აზოკე), ძე არიან (უნდა: „ძე არან“) ქართველთა მეფისა და მისცა ქვეყანა ესე ჩვენი სამეუფოდ და სამკვიდრებელად. და განუჩინა საზღვარი ჰერეთი და ეგრის წყალი და სომხითი და მთა ცროლისა და თვით წარვიდა. ხოლო ესე აზოვე (ე. ი. აზო) წარვიდა არიან (უნდა: «არან») ქართლად მამისა თავისისა და წარმოიყვანა მუნით ათასი სახლი მდაბიო და მოქალაქე დედებით ყმებითურთ მათით და კვალად ათი სახლი მთავართაგან პალატისათა და ყრმებით მათით და მათ თანა ჰყვეს კერპნი ღთად. და ესე აზოკე არს პირველი მეფე ქართველთა. და ამისთანა შვილის-შვილთაგან ოც-და-მერვე მეფე იყო მირიან, რომელი იგი მხოლოდ იქმნა ქრისტიანე და მიერითგან ყოველნი მეფენი ქართველთანი არიან მორწმუნე კეთილად და ჩვენ ქართველნი შვილნი ვართ მათ არიან (უნდა: „არან“) ქართლით გამოსრულთანი და ენა მათი უწყით და ყოველნი მეფენი ქართლისანი ამათ მეფეთა შვილის-შვილნი არიან [2]). ხოლო მათ ჟამთა სპარსთა მიერ ფრიად იმძლავრებოდეს, რომელნი მსახურებდეს ცეცხლსა და ღვთად თაყვანის ცემდეს მზესა. და ვითარცა შემდგომად მირიანისა გარდაიცვალნეს ცხრანი მეფენი, მეათედ მეფედ იქმნა ვახტანგ გურგასლან. და ვიდრე ყრმაღა იყო იძულებით წარვიდა სპარსეთად და დიიცვა სარწმუნოება ქრისტესი კეთილად. შემდგომად რაოდენისამე ჟამისა მოიქცა და იყო მიქაელ დიდი მთავარ-ეპისკოპოსი და შეასმინეს მისჳანა, ვითარმედ ვახტანგ ქრისტიანობა დაუტევა, ხოლო მან მსწრაფლ ირწმუნა და არღარა შეიმთხვია მიმავალი მოკითხვად მისსა, არამედ ფერჯი შეამთხვია პირსა მისსა და განაძო ეკლესიისაგან.—ხოლო მეფემან ერს კელი განუპყრა და დაადუმა სიბრძნით და წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთად და ითხოვა მეფისაგან და პატრიარქისაგან კათალიკოზი და მან წარმოგზავნა პეტრე კათალიკოზად და სამოელ ღირსი და სხუანი მისთანა. ხოლო მეფემან ვახტანგ აღაშენა ქუემო ესე დიდი ეკლესია და სუეტისა ცხოველისა საკათალიკოზოდ რამეთუ პირველი იგი მცირე იყო... და დაამდაბლა პატივი სამთავროსა ესრეთ ღონის-ძიებით შეურაცხებისა მისთვის.—ამან ვახტანგ აღაშენა ტფილისი და ქალაქი მცხეთა მუნ მისცვალა. ამან დაიმორჩილნა ოვსნი და ყივჩაყნი“...

[2]) არანის და აზოს ღმერთი (კერპები) მცხეთას გადმოტანილი ცნობილი იქმნა „არან-აზოდ“ ანუ „არ-მაზად“, რომელმაც პირველი ადგილი დაიჭირა საქართველოს ღმერთებში.

სხვა ვარიანტით წმიდის ნინოს ცხოვრებისათი, რომელიც გადაწერილია 1732 წელს და იმავე პირს ეკუთვნის, ესევე ამბავი ცოტა მეტ-ნაკლებობით არის აღწერილი, ერთი-მეორეს აღავსებს დ̃ უმეტესად გვარწმუნებს, რომ ორისავე ვარიანტის ცნობა ამოღებულია „ქართლის მოქცევის ქრონიკიდამ“. გარდა ამისა ორივე ვარიანტი ამტკიცებს ჩვენგან გამოთქმულს აზრს (იხ „ქრონიკები“ წიგ. I, გვ. XXVII—XXVIII), რომ „ქართლის მოქცევის ქრონიკა“ წარმოგვიდგენს შემოკლებულს უძველესს საეკლესიო მატიანეს. ჩვენ საყურადღებოდ ვცანით მათი განსხვავება და ამისგამო შემოგვაქვს აქა:

„უწყება ჯერ არს თუ მეფენი ქართლისანი ვიეთ ტომით იყვნეს. რამეთუ ალექსანდრე მეფემან ვითარცა დაიმორჩილნა ყოველნი, მაშინ ქართლისა ნათესავნი, სასტიკნი ნათესავნი წარმართთანი, რომელთა აწ ჩვენ ბუნთურქად უწოდთ, რამეთუ ცხოვნდებოდეს იგინი ყოვლად უცხოდ კაცთა ბუნებისაგან, ვითარცა იყვნეს მხეცნი რამეთუ (?) საძულველნი და ენება, რათამცა აღფხვრნა იგინი. ხოლო იყვნეს ციხენი მათნი (მაგარ) და ვერ შეუძლეს ჟამსა მას აღფხვრა მათი. კვალად გამოვიდეს სხვანი ნათესავნი ქალდეველთანი და დაეშენეს მუნვე ქართლს. და ვითარცა ყოველგნით მოირჰვნა ალექსანდრე, კვალად მოვიდა ქართლად და შემუსრნა ციხე-ქალაქნი მათნი, და რომელიმე მოსრნა და რომელიმე წარიტანა. ხოლო სარკინელნი იგი განუმაგრდეს ჟამ რავდენმე და უკანასკნელ განხვრიტეს კლდე და ივლტოდეს და წარვიდეს გარეგან ოვსეთისა. და თვით იწყო შენებად ქვეყანასა ქართლისასა, და მისცა ქვეყანა ქართლისა აზონს და განუჩინა სამზღვარი ერთი (უნდა: „ერეთი“) და ეგრის წყალი და სომხითი და მათ ტროლისა (უნდა: „და მთა ცროლისა“) და თვით ალექსანდრე წარვიდა. მაშინ (წარვიდა) აზოელ (sic) ქართლად არიან (უნდა: „არან“) მამისა თვსისა და წარმოიყვანა მუნით ათასი სახლი მდაბი უფლისა (?) და კვალად ათი სახლი მთავართაგან და ყოველით დედა-წულით მათით მოიყუანნა (sic) და დააშენნა ქართლს და თანა ჰყვეს კერპნი მათნი ღმერთად (ღ̃თად). და ესე აზონ პირველ(ი) მეფე იყო ქართველთა, და ამისთა შვილთაგან ოც-და-მერვე მეფე იყო მირიან, რომელი მეფე იქმნა ქრისტეს აღმსარებელი და ქრისტეს მორწმუნეთა მეფე (?) და ჩვენ შვილნი ვართ არიან (უნდა: „არან“) ქართლითანი (უნდა: „მეფეთა ქართლისათანი“) და ენა მათი უწყით და მეფენი ჩვენნი მათის შვილის შვილთანი. ხოლო ქართველნი პირველე (sic) მსახურებდეს რომელნიმე ცეცხლსა და სხვანი მზესა და ვარსკვლავთა და თაყუანისცემდენ ძეთა (უნდა: „ძელთა“) და ქვათა და ღ̃თად ხადოდეს. ხოლო რაჟამს მოხედვა ყო ღმერთმან ქართველთა ზედა და ინება წმიდამან ღვთისმშობელმან, რომლისა ნაწილნი ვართ და ნათელგვილებიეს სახელსა ზედა ძისა და ღთისა მისისა ქრისტეს უფლისა ჩვენისა, მადლითა და შეწევნითა სასოჲსა მის ჩვენისა წ̃ისა ღვთის მშობლისა დედოფლისა მარადის ქალწულისა მარიამისათა, არაოდეს მიდრეკილა გული ჩვენი ურწმუნოებად და სამებისაგან წმიდისა ერთ-ღვთაებისა. ხოლო ბერძენნი მიიქცეს კერპთმსახურებად და კვალად

წვალებისა ღვარძლი შემოიღეს და კნინღა წარწყმდეს და დაეცნეს. ხოლო ჩვენ ესე კეთილი სარწმუნოება, რომელი მოგვცა ღმერთმან, ნებითა და ჯერ-ჩინებითა დედისა მისისათა მტკიცედ გვიპყრიეს მეოხებითა ყოვლად წმიდისა ღვთის მშობელისათა. ხოლო შემდგომად მირიანისა მეათე მეფე იქმნა ვახტანგ გორგასალი და ვიდრელა ყრმა იყო, იძულებით სპარსეთად წარვიდა და ქრის-ტეს სარწმუნოება კეთილადა მიცვა (უნდა: „დაიცვა") და შემდგომად რაო-დენისამე ჟამისა მოიქცა და მაშინ ჟამსა იყო მიქელ მთავარეპისკოპოსად და დააჯერეს... (დანარჩენი ისე, როგორც ზემო დაბეჭდილ ვარიანტში და თანახ-მად ცნობილ ვარიანტებისა: ეკ: მუზ. ხელნაწერნი №№ 170, 160 და 130; „სამოთხე" საბინინისა, გვ. 153—4 და ჩემი „ქრონიკები" წიგ I, გვ. 50; 58;

---

შესავსებელად ჳ გამოსარკვეველად ზემო აღნუსხულ ბნელ ამბებისა უც-ნობის თემურის შესახებ და ქართველთა პალესტინის მონასტრების შესახებ ჩვენ საჭიროდ ვრაცხთ აქ შემოვიტანოთ რამდენიმე მეტად საყურადღებო ცნო-ბანი ჯრუჭის ტყავის სვინაქსრის წარწერათაგან № 34.

ეს სვინაქსარი ტყავზე დაწერილია 1155 წელს ხუცურად (სიგრძე ექვსი გოჯი ანუ რუსული ვერშოკი და სიგანე $4^1/_2$ გოჯი) 340 ფურცელზე ანუ 680 გვერდზე. სვინაქსარი სრულია და მაგარს ყდაში ჩასმული. ტექსტის ხელი წარწერათაგან სჩანს, რომ ეს სვინაქსარი ყოფილა იერუსალიმის ქართველთა ქრისტეს საფლავის ეკლესიისა. როგორც მრავალ წყაროთაგან და თვთ ამ ხელ-ნაწერის წარწერათაგან ცხადდება, ქრისტეს საფლავის ტაძრის ერთი ნაწილი ქართველებს სჭერიათ. როგორც წარწერათაგან სჩანს, ეს ხელნაწერი 1806 წელს იერუსალიმში ყოფილა და ლავრენტი ბერს გოგელაძეს ოკრიბელს წა-რუწერია იერუსალიმს მყოფობაში. ხოლო 1812 წელს წიგნი უკვე ჯრუჭში ყოფილა. სჩანს, ლავრენტი ბერს უნდა გამოეტანოს იგი იერუსალიმიდგან. აი უმთავრესნი წარწერანი:

1) „ესე სვნაქსარი აღდგომის საფლავისა არს" (ტექსტის ხელით).

2) სადაც სვინაქსარში ჩართულია სია პატრიარქთა და მეფეთა და შემდეგ დოროთეოსის ისტორია 70 მოწაფეთათჳს, ამ უკანასკნელ საკითხავის ბოლოს ტექსტის ხელით წარწერილია:

„ესე (საკითხავი) სამგზის სანატრელმან ღვთის მოშიშმან დოროთეოს ჰრომს მყოფმან ჰრომაელებრ მეტყუ͞ელება წერილითა მოსაჴსენებელი დაუტევა, რომლისაგან ჩუ͞ენცა (ე. ი. გიორგი მთაწმიდელმა) შევკრიბეთ და ბერძენთა ენასა ვთარგმნეთ და საცნაურ ყოველთა ვყავთ... ლოცვა ყავთ მამის გიორგის, ამ წიგნის მთარგმნელისა. შ͞ნ ღ͞ნ. დაიწერა წიგნი ესე წ͞სა ქალაქსა იერუ-სალიმსა შინა ჯუარისასა კელითა უცბად მჩხრეკალისა ხუცესმონაზონისა გი-ორგი დოდისითა (sic)... ბერძენთა ზედა მეფობასა მანოელისასა, ქართლს დი-მიტრისასა, იერუსალიმს ბულდიონისასა, დასაბამითგან წელნი იყვნეს: ხღ͞ნთ (ე. ი. 1164 წელს) დ - - - (სხვა წაბღალულია). შეადარე ზემო გვ· 79.

3) წიგნი შეუკაზმავს ურბნელ ეფისკოპოზს ვლასეს „სალოცველად და სადიდებლად მამისა ჩუჱნისა ტფილელ მთავარებისკოპოსისა ბარნაბასათჳს“ ქ~კს :სნჱ: (1570 წ.)- (შეადარე ჩვენი „ქრონიკები“ წიგ. I, გვ. 123—4; 178—181).

4 არშიაზე ხუცურად, კარგის ხელით, მერმინდელი წარწერა:

„წელთა დასაბამითგან :კჲიდ: ქორონიკონს :სმიე: მოვიდა შაქარაშვილი მონაზონი ფილიპე წმიდად იჱრუსალიმად ჩუჱნ ჯუარელთა მამასა და ძმათა, აღდგომელსა (ე. ი. აღდგომის ქრისტეს საფლავის წინამძღვარს) ჵ სრულ ქართველთა მოგუაბარა კანდლისათჳს ასი ნაღდი ფლური სურხანის შვილის თამაზის სულისათჳს რაც კელიდან გამოუვიდოდა, სხუაც ბევრი კარგი საქმე ქნა ჯუარის მონასტერში. ჩუჱნ ერთობით ქართველთა დაუკიდეთ დიდებულსა და შესაძრწუნებელსა გოლგოთას ერთი კანდელი; არას ჟამში, სადამდის ქართველობა იყოს, არავინ მოუშალოს, უკუნისამდე დღე და ღამე დაუვსებლად ენთებოდეს და მისი სული წირვაზე იკსენებოდეს. ყოფილს თადეოზს შ~ს ღ~ნ“...

5) შიგ ტექსტში, ივნისის 14-ის ქვეშ სწერია: „ამასვე დღესა (ე. ი. 14 ივნისს) მიცვალება ნეტარისა მამისა ჩუჱნისა იოანესი ეფთჳმეს მამისაჲ, ჭეშმარიტისა მონაზონისაჲ და ქრისტეს ნების მყოფელისაჲ, რომელსა პირველ აზნაურით ერქუა ერისმთავრობას“ (ეს ჩამოხაზული ცნობა სრულიად ახალია და უცხო :იხ. ჩემი „ქრონიკები“ წიგ. I, გვ. 110—III).

6) შიგ ტექსტშივე 12 თებერვლის ქვეშ ვკითხულობთ ფრიად შესანიშნავს და ახალს ცნობას ქართველთა ჯვარის მონასტრის აშენებაზე და მაშენებელზე:

„ამასვე დღესა (12 თებერვალს) მიცვალება ნეტარისა მამისა ჩუჱნისა პროხორესი. ხოლო იყო ღმერთ-შემოსილი ესე მამა ჩუჱნი პროხორი ნათესავით ქართველი, ქუჱყანით შავშეთით, და ვიდრე ყრმა იყო, წარვიდა იგი მონასტერსა კლარჯეთისასა, რომელსა ჰრქჳან წყაროჲს თავი. რამეთუ იყო მონასტერსა მას შინა ძმაჲ ამის ნეტარისაჲ და მისთანა ისწავლიდა; და ვითარცა განმწჳსნარე (sic), აკურთხეს დიაკუნად და დაემოწაფა მოძღუარსა სულიერსა, რომელსა ეწოდა არსენი და მის მიერ შეიმოსა სახე მონაზონებისა, და მერმე აკურთხეს ხუცად; და ამისა შემდგომად წარვიდა წმიდად ქალაქად იჱრუსალიმად და დაემკჳდრა წმიდასა საბაჲს ლავრასა და დაყვნა მას შინა წელნი მრავალნი: ოდესმე უდაბნოს წარვიდის და იღვწინ ლოცვითა და მარხვითა, რამეთუ იყო დიდად მოღუაწე და ოდესმე ლავრასა არნ; ოდესმე დაეყუდის თჳსგან და ოდესმე მსახურებნ მოძღუარსა სულიერსა და ძმათა, რომელნი უძლურ არიან, მოართუამნ მათ საკმარსა იჱრუსალიმით. რამეთუ იყო შემძლებელი მსახურებად და აქუნდა მადლი ღ~თისა მიერ, სულთა განკითხვისაჲ, რამეთუ ესენა მას თქმული იგი უფლისაჲ წინასწარმეტყუჱლისა მიერ, რომელსა იტყჳს: ვითარმედ „რომელმან გამოიყვანოს პატიოსანი არაწმიდებისაგან, ვითარცა პირი ჩემი იყოს“. და ამისა შემდგომად ღ~თისა განგებითა იწყო შენებად მონასტრისა მახლობელად იჱრუსალიმსა, დასავლით კერძო, რომელსა უწოდიან

ჯუარისა მონასტერი, და აღაშენა და განასრულა და შეამკო ეკლესიაჲ ყოვლითა სამკაულითა და შეკრიბნა მას შინა ძმანი მოღუაწენი და მობაძავნი სათნოებათა მისთანი, რიცხვით ვითარ ოთხმეოცნი და განუჩინა წესი და კანონი მონასტრისაჲ მსგავსადვე წმიდისა საბაჲს ლავრისა. *) და კუალად აღაშენა ქსენადუქი ვრცელი და შუჱნიერი; და ვითარ სრულ ყო ყოველი შეწევნითა ღთისაჲთა, მერმე მოუძლურდა გუამი მისი ფრიადისა შრომისა და სიბერისაგან. მაშინ გამოარჩია მოწაფეთა მისთაგანი ძმა ერთი, სახელით გიორგი [იხ. ამაზე ჩემი „ქრონიკები" გვ. 177—182) და დაადგინა იგი მამასახლისად და ამცნო, რათა ყოვლითა მოსწრაფებითა ზრუნვიდეს იგი ცხოვრებისათჳს მასშინა მყოფთა ძმათაჲსა. და ამისა შემდგომად წარვიდა იგი უდაბნოსა არნონს და თანა წარიყვანნა მოწაფეთა მისთაგანნი ორნი, ერთი ხუცესი და მეორე მონაზონი, და შემდგომად მცირედისა ჟამისა შემკობილი ყოვლითა სათნოებითა ცხოვრებისა მისისაგან განვიდა და უფლისა მიმართ მიიცვალა ფებერვალსა :იბ:-სა, დღესა კვირიაკესა".—კვირა დღე 1040 წლის (როდესაც ცოცხალი იყო პროხორე: იხ. ჩემი „ქრონიკები" წიგ. I, გვ. 111) და 1050 წლებშუა მოდიოდა მხოლოდ 1049 წელს, რომელიც უნდა იყოს წელიწადი პროხორის გარდაცვალებისა.

6) ამავე წიგნის მერმინდელს XIII—XV საუკუნოების აღაპებში მოხსენებულია მრავალი იტალიანური სახელები (მაგ. გვილიამ პატერა, ჯირარდ „ძმა ჩუჱნი", ასილინა, ჯუან, სირი ჯილიბედ, სირ არბერდ, „ძმა ტაძრელთა ჯუან„, სირპერ კუმანდური ტაძრელთა", „ძმაჲ პერი ტაძრელთა" და სხ.), რაიცა გვიმტკიცებს, რომ ქართველი ბერები და იტალიელნი მეგობრულად ყოფილან და ბევრნი იტალიელნი თვით ქართველ ბერების „ძმანი" (ე. ი. იმავე მონასტრის ხელქვეით მცხოვრებნი) ყოფილან.

7) ხუცური მდარე ხელით XIV—XV საუკ. :„...აქა (იერუსალ იმს) მოვიდა მაწყუჱრელი პიმენ მას ჟამსა ოდე' თემურ დიმიშტი აოკრა (აღაოკრა) და ჯ῀რსა (ჯუარის მონასტრის) სახლი აშირთ (ამირ ჯ?) აოკრეს (აღაოკრეს) და დაჰირებ-ულს ზეთი და ცვლი შემოსწირა და აანთო ალდგომას (კანდელი) და გაიჩინა სჳნაქსარსა ზედა სალოცავი. შ῀ს ღ῀ნ". იმავე ხელითა ზედვე:

*) თუმცა ეს პროხორეს ცხოვრება და გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფიც ჯვარის მონასტრის აღშენებას ამ პირს მიაწერენ, მაგრამ ჩვენ მრავალი წვრილი საბუთები გვაქვს იმისი, რომ ჯვარის მონასტერი პირველად აღშენებული ყოფილა ანუ დაფუძნებული პეტრე მაიონელის მიერ, ბაქარ მეფის ძისა, ვახტანგ გორგასლანის დროს და ვახტანგისავე შემწეობით. აქ მხოლოდ ვუჩვენებ თვთ ჯვარის მონასტრის წარწერას საკურთხეველში, რომელიც სრულად ვერ აღმოუკითხავს პროფესსორს ცაგარელს: Палестинскія надписи" გვ. 99—102. „ესე წ῀ა და ყ῀დ პატიოსანი მონასტერი - - - მადლითა და შეწევნითა - - - სალს (ცაგარლის აზრით „სავლეს") აღუშენებია". ცხადია, პროფესსორს ბევრი სიტყვა გამოუშვია წარწერისაგან, რომელშიც დაახლოვებით ეს ეწერებოდა: „ესე წმიდა და ყ῀დ პატიოსანი მონასტერი [ჯუარისაჲ] მადლითა და შეწევნითა [ღმრთისათა მეფესა ვახტანგ გორგა]სალს აღუშენებია". დიაღაც საჭიროა, რომ ქართველ საზოგადოებამ პალესტინეში გაგზავნოს ბეჯითი კაცი და შეკრიბოს ცნობები ჩვენთა წინაპართა იერუსალიმს ყოფა-ცხოვრებისა.

„ამასვე დღესა იყიდა ვენაკი და შესწირა აბესალამ ლომინაძემან ქრისტეს საფლავს ამას პირსა ზედა, ვისცა ეს ვენაკი ჰქონდეს, თორმეტსა ლიტრასა ზეთსა მოსცემდეს აღდგომელსა და აღდგომელმა (ე. ი. აღდგომის ტაძრის ქართველ წინამძღვარმან) აღანთოს ერთი კანდელი დაუვსებლად“.... (წყევა).

ეს მეტად ბნელი დ გაურკვეველი ამბავი თემურზედ დიაღ ღირსია გამოკვლევისა. ჩვენ ამას შემდეგ შევეხებით, ხოლო აქ მივუთითებთ მკითხველს, სხვა ცნობები ამავე საგანზე აღმოიკითხოს შემდეგთა წელთა ქვეშე: 1463 (ორი ცნობა), 1484 და 1486 წ. (გვ. 303—304). და „ქართლის ცხოვრება“ წიგ. I, გვ. 477. უკანასკნელი ცნობა ვახუშტის ქრონიკაში თვალსაჩინოდ შეცვლილია.

7) სხვა წარწერა ლამაზ ხუცურით, XV საუკ. ხელით:

„ესე უწყოდეთ ყ̃თა ქართველთა: ღვთისაგან, მეფეთაგან, სურტანთაგან მოცემული და ნაბოძვარი აღდგომას სალოცავი ეკლესია და სახლი, სადა არს ადამის თხემი გოლგოთა, ჯუარს ჯუარი და სახლი, საპყრობილეს საპყრობილე და სახლი, გარდამოკსა (sic) და სახლი, ბირჩასზედა (ბირქას?) ორი სახლი არს: ფრანგთაკენ მათი და ამიერ ჩუენი. ორი კარი აბია აღდგომისა კართა ზედა, მარჯვენით ჩუენია ჯდომაჲ. საფლავსა ზედა ჰკიდავ რ̃ომე *) ენთებოდეს ნიადაგ, თავით ორი კანდელი, სხუაგან თჳთო. წიგნები ყვალაი (sic); ე. ი. ყველა) უკლებად ძეს; ნუ ვინ გაიღოთ: დაკრულვით არის. ესე ესრეთ მესმა მამათაგან და დავსწერე აღგომელმან მახარებელმან. ჯუარისა დასუენებაჲ (sic) კარზედა ყოველთა კვრიაკეთა და დღესასწაულთა ჩუენია“.

8) იმავე ხელით ზედვე: „სახელითა... მე აღდგომელმან მახარობელმან წიგნი გავგზავნე საქართველოს ზეთისთჳს ხელსა წინაშე („მოლარეთ-უხუცესი ხელი თაველისძე და მისნი დედმამანი ასათა და სოსანა“, იხ. ზემო 1401—1407 წლის ახლო ხანებში, გვ. 207) და მას გამოეგზავნა ასი ფლური ქრისტეს საფლავისათჳს და ჯუარელთა დაიჭირეს, და მონასტერმან, მამამან პიმენ, მოძღუარმან ი̃ე, კანდელაკმან ნიკოლოზ და სრულიად კრებულთა და კელოსანთა, კელარმან, ვეჟინარ და მწისქჳლელმან (sic) ყოველთავე გოუჩინეთ (გაუჩინეთ) ზეთი თორმეტი ლიტრა ყოველთა წალიწადთა მიეცემოდეს ქრისტეს საფლავსა ჯუარისა მონასტრისაგან, და ვინცა აღდგომელ იყოს, აანთებდეს ერთსა კანდელსა დღე და ღამე დაუვსებლად ქრისტეს საფლავსა ზედა და არავინ მოშალოს, არცა შეცვალოს ხელასათჳს, სადამდის ესე ჯუარსა მონასტერი ეგოს და მონაზონნი იყვნენ“.

9) იმავე საუკუნის ხელით, ლამაზ ხუცურით: „არის შილას შემოწირული ყოველივე ფლური სამეოცდა სამი ჯუმლად სრულიად“. „დიდება ღმერთსა... და პატიოსანსა გოლგოთასა... რომლისა წყალობითა ღირს ვიქმენ მე უღირსი

---

*) ეს სიტყვა „რ̃ომე“ ქარაგმიანია და არ ვიცი, რას აღნიშნავს. უნდა იყოს „რომე“ ანუ უფრო სარწმუნოდ მიმაჩნია „რო“-მე, ე. ი. საფლავის ტაძარში ჰკიდიაო ას სამოც და ათი კანდელი და იმათგან ორი თვით საფლავის თავით და სხვაგან თითოო.

შილა მღდელმონაზონი აღდგომელობასა და შევსწირე წ̃ასა ამას გოლგოთასა ერთი ბარძიმი ვეცხლისა, ორი თეფში, ერთი წურწუმა საზედაშე, ერთი კოვზი, ერთი კამარა და ერთი სატფობი, ესევე ვეცხლისა არის, ოთხი სპილენძის სასანთლე, ერთი საყრაყი (sic), ერთი კანდელი შემოვსწირე წ̃ასა გოლგოთას სალოცველად და საოხად ცოდვილისა სულისა ჩუჱნისა... (წყევა, ვინც გაიტანოსო).

## დამატებანი.

ჩვენ ქვემო ჩავურთავს რამდენიმე უდიდებულესთა ქართველთა გვარეულის გვაროვნებითი შტოები, შედგენილი ჩვენგან შეკრებილის წყაროებით და სხვა საბუთებით. აქ ჩვენ მოკლედ და განუმარტავად შემოგვაქვს, ხოლო აზრადა გვაქვს განმარტებული შტოები ამ გვარონებისა და სხვა თავადებისაცა მესამე წიგნში ჩაურთოთ.—არაბული ციფრები რომ უზის აღნიშნავს, რომ იმ წლებს ის პირნი საბუთებში ცოცხალნი სჩანან, ხოლო ჯვარი სადაც ციფრებს წინ უზის (†) ის ციფრი აღნიშნავს დროს იმ პირთა სიკვდილისას.—წარჩინებულ გვართა გენიალოგია დიდად გამოსაყენებელია არქეოლოგთათვის.

### I მუხრან-ბატონების გვაროვნობითი შტო (გენიალოგია).

**მეფე კოსტანტინე III (1469„—1505 წ.).**

1. **ბაგრატ**, ძმა მეფეთა დავითისა († 1526) და გიორგისა, († 1540) შვილი მეფისა კოსტანტინესი († 1505 წ.). ბაგრატ მუხრან-ბატონად დაჯდა 1512 წ. ბერად შედგა ბარნაბას სახელით 1539 წ.—ცოლი მისი ელენე.

- 2. **ვახტანგ**, (1539—1578 წ.) ცოლი მისი ხუარამზე, კახთ მეფის აკ-გიორგის ქალი († 1528). ვახტანგ † 1578 („ქრონიკა".).
  - 4. **ბაგრატ**, II დაიბადა 1572 წ. ცოლი მისი ელენე
  - 5. **თეიმურაზ**, I ქართლის გამგე 1623 წელს. ცოლი მისი ნუგზარ ერისთვის ქალი † 1624
  - 6. **ქაიხოსრო**, ქართლის გამგე 1624 წ. ცოლი მისა მამია გურიელის ქალი. † 1627 წ.
- ალექსანდრე 1550; ბროსსეს საბუთებში ცოცხალი სჩანს 1604 წ.
- 3. **ერეკლე**. ცოლი ელენე, კახთ მეფის ლეონის ქალი 1548 წ. 1546. 1550
- არჩილ. მოკვდა სპარსეთში 1582 წ. 26 ნოემბერს.
  - ერეკლე დაიბადა 29 მარტს 1560 წ. შეირთო ცოლი თამარ 1578 წელს.
- აშოთან † 1561. 1540.
  - წ-ა ქეთევან, კახთ მეფის დავითის ცოლი; იწამა 1624 წელს. 1588
- დედის ამედი, აღმწერი „მესხურის დავითის ქრონიკისა", გათხოვდა ქაიხოსრო ათაბაგზე 1545 წ. და ცოცხალი იყო 2587 წ.
- იუთ.
- იოანათანი
- თეოდორა

(№ 5: თეიმურაზ I)

- 7. **ვახტანგ** II. 1622.1638(1627—1658). ცოლი იმისი ყაფლან ორბელიან - ბარათაშვილის ქალი როდამ † 1678 წ. (მოლოზნობაში ეკატირინე). ვახტანგ გამეფდა ქართლს შახნავაზად წოდებული 1658 წ. და მისი შვილი არჩილ კახეთს.— როსტომ მეფის ცოლი დადიანის ქალი მარიამ შეირთო. მოკვდა 1676 წ. ამისგან წარმომდინარეობენ შემდეგნი ქართლის მეფენი 1744 წლამდი, როდესაც ქართლის მეფობა დაიპყრო კახთა მეფემ თეიმურაზ II-მ.
  - 10 **თეიმურაზ** II, სახლთხუცესი; მოკვდა აპრილს 1688 წ.—დაიბადა 1649 წ. ჩანს 1670;1686 წ. (ერთ სიგელში თეიმურაზ წოდებულია 1717 წელს კოსტანტინეს შვილად, ხოლო კოსტანტინევე ძმად თეიმურაზისა დ ოტიას ბიძაშვილად: იხ. ჩემი გუჯრის წიგ' II, გვ. 327)
- არჩილ 1622.
- დავით 1622;1631.
- 9. **ბაგრატ** III, ცოლი მისი ქეთევან, გივი ამილახორის ქალი 1622;1671
  - **აშოთან** 1670;1689. მოკვდა 1697 წ. წინეთ
    - ქაიხოსრო 1686; 1700
    - იესე † 1716 წ.
  - თამარ, პირველი ცოლი ლევან დადიანისა.
  - **პაპუა** სახლ-ხუცესი დაიბადა 1651 წ. ლევან—პაპუა † 1717 წ.— თებერვალს.
  - დათუნა 1670—1697. ურუმთ მოკლეს ქრისტიანობისთვის 5 ნოემბერს1728 წ.
  - ნიკოლოზ ბოლნელ ეპისკოპოსი 1683 წ.
  - სვიმონ,
    - ბაგრატ—სვიმონ 1717 წ.
    - გივი 1717
  - 12. **ერეკლე** II 1670;1689;—1700;—1707 თვალი დასწვეს 1716 წ. მოკვდა 3 იანვარს 1723 წ.
    - დავით 1703 წ.
    - მამუკა 1726 1732 წ. 1732, 1716.
  - ქაიხოსრო 1689;1697 1695
  - იესე 2670;1689;1698
- ერეკლე 1622
- 8. **კოსტანტინე** † 1668 წ.—1622. ცოლი მისი გუანა აბაშიძის ქალი დარეჯან, მოლოზნობაში დომნა.
  - პაპუა, ცოლი მისი თაბა აბაშიძის ასული (იმერეთისა).
  - ბაგრატ 1695. 1701 1671
    - სვიმონ 1758 დაიბადა 1715 წ.
      - ბაგრატ 1803
        - გოგია 1808
        - ედიშერ 1808
        - ქაიხოსრო 1823 წ.
        - გიორგი, კაპიტანი 1820
    - გოგია 1758

(№ 6: ქაიხოსრო)

- ელენე, ცოლი გიორგი არაგვის ერისთავისა 1643 წ. 1647.
- დედის იმედი, ციციშვილის პაპუას ცოლი, ზაზასი დ ზაალის დედა 1661
- მთავარ-ეპისკოპოსი დომენტი 1643; 1654;1556. მერე კათალიკოსი ქართლისა 1660—1676 წლებში.

თეიმურაზ II № 10

- 11. **კონსტანტინე** II სახთ-ხუცესი: სჩანს 1703, 1670; 1698; მუხრან-ბატონად დაჯდა 1699 წლის ახლოხანს. 1708
  - 14 **კონსტანტინე**, III დაიბადა 1716 წ. პირველი ცოლი ქეთევან; მეორე ცოლი ბარბარე, ბარძიმ ერისთვისქალი მოკლეს 1756
    - სამი ქალი ბარბარესგან. მათგანი ქეთევან, დანიშნული ერეკლე მეფის ძის ვახტანგისა.
    - დავით
    - 15 **იოანე** სარდალთ-უხუცესი და მსაჯულთ უხუცესი დაიბადა 1756 წელს; ცოლი მისი ერეკლე მეფის ქალი ქეთევან; ერევნის გუბერნატორი, ქეთევან რუსეთს წასულა 1768 წ. მაისის 27-ს. ქეთევან ცოცხალი იყო 1812 წ. იოანე მოკვდა 1801 წ. 44 წლისა (საფლავის ქვის წარწერა).
      - 16 **კონსტანტინე** IV 1785 წ. ხოლო 1808 წელს პოლკოვნიკი იყო. 1820 წელს გენერალ მაიორი
        - გიორგი
        - **ივანე** ღენერალი ცოლი მისი. ნინა, ლევან დადიანის ქალი (Rap. VII, ღ. 13)
          - **კონსტანტინე**, ახლა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი, კამერგერი **მისის იმპერატორებითის უდიდებულესობისა**; ცოლი მისი ელისაბედ.
        - მიხაილ
        - ალექსანდრე
        - ირაკლი
          - ალექსანდრე — გიორგი
          - ლეონ
      - თეიმურაზ 1785
        - კონსტანტინე 1799 და ლევან
      - დავით 1794
        - ვახტანგ
        - ნიკოლოზ — ნიკოლოზ
        - ევსტათი — გიორგი
      - გიორგი (გრიგოლ?) 1790; 1794.
- ოტია 1670—1718 მოკვდა 1718 წ.
  - ალექსანდრე ოტიაძე: 1717 წ.
  - ვახტანგ: დაიბადა 1718 წ.
- მთავარეპისკოპოსი ქრისტეფორე 1700 წ. 22 ოქტომბერს
- ბაგრატ 1703 - - - ლუარსაბ: დაიბადა 1715 წ. მარტის 24.
- ადარნასე 1670 6198. 1701
- 13. **ლევან** 1670—1739. მოკვდა მაისის 14, 1739 წ.
  - ლევან - - - - - - - - - ლეონ დაიბადა 1753 წ.
  - ელია: დაიაბდა 1728 წ. ივლისის 20-ს.
  - **სვიმონ**, „ნასჩხიბაში“ დაიბადა 1726 წ. აგვისტ 17-ს. მოკვდა 1785 წ. თებერვალს 13-ს. - - ლუარსაბ: დაიბადა 1754 წ.
  - **იოანე**: დაიბადა 1727 წ. მოკვდა 1793 წ. იანვრის
    - პაპუა დაიბადა 1780 წ. დეკემბ. 23.
    - ნიკოლოზ: დაიბადა 1767 წ. დეკემბ. 6. სჩანს 1794 წ.
  - გოგია: 1757; 1773. 1788
  - პატარა: დაიბადა 1719 წ. იანვრის 1-ს.
  - (?) ედია: დაიბადა 1732 წ. იანვრის 20-ს.

1758 წელს გაყრილან ლევანის ძე სვიმონ, ბაგრატის ძე სვიმონ და კონსტანტინეს ძე იოანე.

1773 წელს იყრებოდენ ლევანის ძენი სვიმონ და იოანე, კონსტანტინეს ძის იოანესგან.

1820 წელს გაყრილან კაპიტანი გიორგი და კაიხოსრო კონსტანტინესაგან,

1727—1736 წელში სჩანს ქრისტეფორე წილკნელი მუხრან-ბატონი, ვგონებ, ძმა კონსტანტინე IV-ისა.

აქ საჭიროდ ვრაცხ ჩაურთოთ მუხრან-ბატონთა გვაროვნობითი შტო, რომელიც გამომიგზავნა მე უბრწყინვალესმა თავადმა კონსტანტინე ივანეს ძე მუხრან-ბატონმა რუსულ ენაზე შედგენილი. ჩვენ აქა-იქ ნუსხები (ნომრები) მოუსხით ჩვენგან შედგენილის შტოსთან ადვილად შესადარებლად. როგორც ეტყობა სია შედგენილია 1817 წლის ახლო ხანებს რაღაც საჩივრისაგამო, კონსტანტინე № 16 მუხრან-ბატონისაგან აღძრულისა. რაც ბოლოს ქართულად მიწერილია, ის მერე დამატებული.



## II არაგვის ერისთავთა გვაროვნობის შტოჲ

### ა) ერისთავნი შაბურის მენი

1 შანშე
2 ვახტანგ } XIII საუკ?.

3 ვარამ XIV საუკ.

4 კუკაჲ და ცოლი მისი დაბდაჲ.

5 ვახტანგ. XIV საუკ.

6 მიქაჲ 1398 | ელენე | ვარამ 1398 | ქავთარ? 1398 (გუჯ. წიგ. II, 103)

7 ნუგზარ და ცოლი მისი დედისიმედი.
მეორე ცოლი გულდაბ? 1418 (ჩემი გუჯრის წიგნი. II,84).

8. ლომი XV საუკ. ცოლი მარეხ(ეკ. მუზ. № 97; გვ. II, 8)
სუნდულიძე ლომი იხ. 1398 წ.
ამ სუნდულიძედამ უნდა იყვნენ ზედგინიძე—ამილახორნი. ვარამ და მიქიაჲ მკვდარნი 1466 წ.

9. შაბური; ცოლი ლალია?

სარო 1465

10 ვამიყ, ცოლი მისი შურია. მეორე ცოლი მარიამ? 1465, 1474 მესამე ცოლი დულარდუხტ; მოლოზნობაში დომნე.

II. გიორგი, ცოლი მისი (მარიამ?) გიორგი მეფის ქალი 1465 1475 1474 | ომარ 1465 | მიქაჲ 1465 | ვარამ 1465; | ნუგზარ 1445

### ბ) არაგვის ერისთავნი განათლნი.

X აზნაური ვანათელი. ამან მოსპო წინანდელნი ერისთავნი დ თვით გაერისთავდა.

X

1 ბაინდურ 1519 წ. ახლო ხანს დ 1550 წ. ახლო ხანს: ეს უნდა-იყოს, რომელმან 1560 წლის ახლო ხანებს დახოცა ყველა თვსი ძმები (ქ-ცხ. II, 37).
ამას შეურთავს დავით მეფის ქალი 1527 წლის ახლო ხანს. (იხ. ჩემი გუჯრის წიგნი II, გვ. 189).

ზურაბ 1519. გოდერძი. ბარძიმ. გოსტასაბ. როსტომ. 1519 წლის ახლო ხანებში (გუჯ. წ. II, 186; 221).

„ნუგზარ დიდი“ წოდებული „პირველ ერისთავად“ 1617.—მოკვდა 1619 წლის ახლო ხანს. ამან დაიპყრო ბაზალეთი და მაიუღლეთი, რომელიც მისცეს მას 1578 წელს. ანანურის ეკლესიის აღმშენებელი.

3. „ბაინდურ დიდი“ 1619—1620 † 1621 წ.

4. ზურაბ. † 1630 წ. ახ. ცოლი დარეჯან, თეიმურაზ მეფის ქალი.

გიორგი I. 1643 წ. ცოლი მისი ელენე მუხრან-ბატონის ქაიხოსროს ქალი

5. დავით 1629 (იგივე „დათუნა“ † 1635)

6. ზაალ 1629; 1654 მოკლეს 1661 წ. ახ.

№ ცოლი იესე ქსნის ერისთვისა.

8. რევაზ დაჯდა 1626 წ. ახ. 1650 წ.

№ ქალი, თეიმურაზ მუხრან-ბატონის ცოლი

№ ქალი, გიორგი სააკაძის ცოლი.

(რევაზ № 8).
- 11 ბაინდურ, დაჯდა 1697 წ. ახ. ცოლი თამარ 1701 წ. ამისგან შეკერილი ოლარი ის. ეკ. მუზეუმში.
  - ლუარსაბ 1701; 1661; 1678
  - იასონ 1678 ანუ იასე.
  - ქაიხოსრო ლოპინა 1710 — ედიშერ.
- მარიამ ცოლი ლუარსაბისა, მეფის ვახტანგ V-ის ძისა.
- მიტროფანე ნინოწმიდელი 1705
- ნუგზარ
- ზაალ 1678.
- პაატა

(ზაალ № 6)
- ზურაბ, 1695 ცოლი ვახტაგ V ქალი
  - 14. რევაზ II. დაჯდა 1728 წ. ახ. — დავით გადავიდა რუსეთს 1724 წ. † 1738 წ. — სტეფანე.
  - 15. პაპუა 1729 წ. ახ.
- თინათინ (იგივე თეონა) ლევან აბაშიძის ცოლი.
- № ქალი, ოტიას ცოლი, მარიამ დედოფლის დადიანის ასულის შვილისა.
- თამარ, ორბელ ორბელიანის ცოლი † 1735 წ.
- ელენე 1686 (იგივე „ლელუკა") ფარე მუზ ჩოლაყაშვილის ცოლი, 1689 წ. მოლაზონი. ხუთნი ქალიშვილნი.

ესენი სხანან ცოცხლად 1772 და 1788 წელს. 1710 წელს მოკვდა მთავარ-ეპისკოპოსი გრიგოლ ერისთვის შვილი.

(გიორგი I)
- ედიშერ ცოლი ანახანუმ აბაშიძის ქალი
- 9. იასონ სახლთუცესი 1675 † 1679 ახ. ცოლი ქეთევან (მოლოზნობით ნინო).
  - 13. თეიმურაზ სახლთ-ხუცესი, ერისთავი 1723 —1728 წ.
    - ბეჟან
    - ვახტანგ.
    - ვამიყ
    - გრიგოლ ხარჭაშნელი 1788 წ.
    - არსენ ჯვარის
    - პაატა (მამა
    - ოტია
    - ედიშერ
    - ბაინდურ რუსეთს
    - იყო ელჩად 1723
- პაპუა
  - რევაზ.
  - საულ
  - ედიშერ
- 7. ოთარ I 1660—1670. ცოლი მარიამ, ენისელთ მოურავს ქალი 1693— † 1674 წ.
  - ავთანდილ — ვახუშტ. უთრუთ 1734 წ.
  - № ქალი, ვახტანგ ციციშვილის ცოლი.
  - 10 გიორგი II. (1680—1723) ცოლი თამარ თამაზ ყაფლანის შვილის ქალი († 1737). გიორგი მოკლეს 1723 წ.
  - ბარძიმ მდივანბეგი † 1692 წ. ახ.
    - ბარბარე, ცოლი კონსტანტინე მუხრან-ბატონისა: † 1790 წ.
    - გუქა, ცოლი სვიმონისი, ვახტანგ VI ძმისა † 1717 წ.
    - უთრუთ
    - გიორგი
- გრიგოლ ცოლი მისი დარეჯან: 1674, 1689 წელს.
  - ბალათარ 1727
  - აბელ † 1738
  - მამუკა 1729.
  - ოტია † 1743
- დათუნა - - -

(გიორგი № 10)

- ანნა, ანუ „ხანუმ“ ბაქარ მეფის ცოლი 1731.
- ვახუშტ 1732
- გივი † 1738
- უთრუთ † 1738
- მავარ-ეპისკოპოსი რომანოზ, რუსეთს გადასული, მწერალი.
- 16. ბარძიმ, ერისთავი 1730. † 1738 ქსნის ერისთავმან შანშემ ამისი ოჯახობა გასწყვიტა სრულიად 1738 წ· (ქ-ცხ. 92-4)
  - ერთი ქალი. გიორგი † (ქ-ცხ. 472) 1738 წ.?
- 12 ოთარ II. „ლოპინად“ წოდებული. დაჯდა 1723 წ. ახ. და გადააყენეს 1725 წ. და წავიდა ასტრახანს. რუსეთს დარჩა და ამისგან მომდინარეობენ რუსთა ერისთავენი. მსახურებდა „ქართველთა გუსარის პოლკში“ და 1739 წ. საქართველოში.
  - ალექსი, რუსეთში მყოფი.
    - დიმიტრი სენატორი 1856 წ.
  - თამარ 1723

(გრიგოლ, ოთარ № 7-ის ძმა)

- სარიდონ 1729.
- ოტია 1729
- გრიგოლ ხარჭაშნელი 1674 წ.
- ზურაბ 1727. 1674
  - პაპუა; დავით
- 17 ვამიყ. 1727; 1729;1730;ცოლი მარიამ.
  - უთრუთ 1727
  - ნინა
  - ნუგზარ 1727
  - მამუკა და ცოლი მისი მარიამ.
  - 1727

(მამუკა)

- 18. ბეჟან 1740 წლიდამ. ბეჟან მოკლეს 1743 წ. და ერისთავად დასვა თეიმურაზ მეფემ ჯიმშერ ჩოლაყაშვილი.(1743—1756) და შემდეგ საერისთოს ჰმართვიდენ რეკლე მეფის ძენი ვახტანგ და ლეონ.
  - სვიმონ პროტოიერეი.
- ოტია
- სარიდონ ბრმა
- მამუკა
- უთრუთ
- ქაიხოსრო
- ერასტი

  ესენი სჩანან 1729 წ.
- ვახუშტი, ბერობაში ბასილი, ცოლი ქეთეონ, მოლოზნობაში ქრისტინე
  - ამილან

  1786 წელს მოხსენებულია ერისთვის შვილი ბეჟან მსაჯული.

# III გვარომვნომეითი შტო ქართლის ბატონიშვილთა

ქსტატი 1586 წ.

მამუკა 1667 წ.

ვახუშტი, ცოლი მისი ანიკა, ვახტანგ VI მეფის ქალი † 1746. 30 იანვარს. 1722;1745,

ნიკოლოზ 1750. სიძე ყაფლანიშვილთა ორბელიანთა 1764;1775.

- გიორგი სახლთუხუცესი 1776—189 წელს.
  - იოანე
  - ესტატე 1805
  - დავით 1805
- ივანე
  - ესტატე
  - იოანე 1804
- სვიმონ 1777—1807
  - დიმიტრი 1804.
  - ლევან 1785; 1807
- ნიანია 1785—

პაატა 1764;1789. 1764 წ.

- ქაიხოსრო 1737 † 1795 წლის ახლო დროებს. შეირთო სოლომონ I მეფის ქალი დარეჯან, რომელიც მოკვდა მოსკოვს 1827 წ. 24 იანვარს, 72 წლისა.
  - დავით 1791
  - პაატა 1801
  - სვიმონ 1160წ.
  - იოანე 1800
  - ვახუშტი 1800
  - ნიკოლოზ მდივანბეგი 1793 წ.
  - იოანე (bis) 1795. დაიბადა 1794 წ. ახ.
- ევგენი: 1729—1800 წ. 1807 წ. ევგენი იყო გორის „ისპრავნიკი“.
- დავით
  - ფარსადან მდივანბეგი
    - სვიმონ 1800.
    - თომა
    - პაატა, რომელმან ომარ-ხანზე გაიმარჯვა 1081 წ. 1799. 1741
    - იოანე 1801 წ.
    - № ქალი, ცოლი სოლომონ I მეფის ალექსანდრესი; განქორწინდა 1780 წ.
- თამარ, ნიკოლოზ ორბელიანის ცოლი † 1804
- ნიკოლოზ † 1790 წლის ახლოხანს.

## IV შტო უკანასკნელთა ქსნის ერისთავთა

ზემო (გვ .30) დაბეჭდილს შტოში რამდენიმე პირი გამოგვრჩა და ამის-
გამო აქ ხელ-მეორედ გბეჭდავთ.

### 53) შანშე II

- ზურაბ 1779 წ. ახ.
- ივანე (№ 1 :დ)
  - როსტომ 1788;
    - დავით 1808წ. ცოლი მისი თინათინ 1810 წელს.
      - გიორგი „გლუხარი-ჩი“ მწერა-ლი, მოკვდა 10 სეკტ. 64 წლისა
        - დავით მწერალი, † 1892 წ.
      - იასე; ცოლი მისი მუხრან-ბატონის ივანეს ქალი.
        - შანშე † 1831 წ.
        - თორნიკე 1853 წ. ცოლი მარიამ
          - ელენე (გათხოვ-და პოპოვზე)
        - გიორგი, დაიბა-და 1760 წ. გე-ნერალ ინფანტე-რი, ცოლი მისი გაიანე, მეფის გი-ორგი XIII-ის ქალი. † 1863 წ; ნოემბრის 3-ს.
          - ზაქარია, მოკლული ლეკთაგან 1850 წ.
      - შალვა 1810 წელს.
      - სოლომონ † 1822 წელს.
  - შანშე 1788 წ; ცოლი ელენე † 1815 წ.
- 55) გიორგი, რომელ-მაც უმეხანათა მეფე ერეკ-ლეს † 1820 წ.
  - ელიზბარ მელექ-სე; ცოლი მარი-ამ († 1798 წ.), სოლომონ მეფის ქალი. ელიზბარ † 1813 წ. 75 წლისა.
    - ივანე „სწავლული“. — ნიკო.
    - ზურაბ
    - დიმიტრი
  - რევაზ 1813 წ., ცოლი ანასტასია, ერეკლე მეფის ქალი.
    - შალვა 11813; 1828 წ. — რევაზ (ცოცხალია)
    - იესე † 1811 წ.
    - ბიძინა 1813 წ. — ნიკოლოზ (ცოცხალია)
    - გიორგი „ატამანი“ † 1891 — ზაქარია (ცოცხალია)
  - ლუარსაბ
    - ლევან
    - რევაზ
    - დავით
  - თუთა, ზაზა ციციშვილის ცოლი
  - ბესარიონ არქიმანდრიტი, 1803 წელს ალავერდელის მოადგილე: 1819

# შინაარსი ამ წიგნისა.


I. „ძეგლი ერისთავთა“, ანუ ისტორიული წერილი მთიულეთზე (ქსნის და არაგვის ხეობა). VI—XV საუკუნებში: გვ. 1 – 19.

II. სხვა-და-სხვა ხელ-ნაწერებიდამ ამოღებული ცნობები ქსნის ერისთვებზე: გვ. 19 – 26.

III. გვაროვნობითი შტო ქსნის ერისთავთა უძველესის დროითგან მე-XIX საუკუნემდი: გვ. 26 – 30. უნდა შევნიშნოთ, რომ ამ შტოს უკანასკნელს გვერდზე (30) გამოშვებულია დავითის ძე გიორგი „გლუხარიჩად“ წოდებული, ცნობილი მწერალი და მსახიობი (ძმა იასესი) და გიორგის ძე დავით, ცნობილივე მწერალი, რომელიც გარდაიცვალა 1892 წელს.

IV. სიგელი 1020 წლისა, მელქისედეკ კათალიკოზისა: გვ. 31—36.

V. ახალი ვარიანტები ძველის ქართულის დაბადებისა XII, XIII და XVI საუკუნოებისა და რამდენიმე ცნობა უძველესის ქართულ „კიმენის“ დაბადებაზე: გვ. 36—39 და გვ. 40 (შენიშნვა).

VI „ასკეტიკონი“ ბასილი დიდისა, თარგმნილი ეფრემ მცირის მიერ: გვ. 39 – 40 და მის-მიერვე თარგმნილი „ფილოთეონ ისტორია“ თეოდორიტე კვირელისა: გვ. 40—43.

VII. ნიკორწმიდის სიგელი XI საუკუნისა გვ. 43 – 49 და ზედვე მეფის ბაგრატ მესამის სიგლის ნაწყვეტი გვ. 49.

VIII. მეფის გიორგი II-ის სიგელი 1078 წლისა, გვ. 50.

IX. ანდერძი წ˝ის დავით აღმაშენებელისა გვ. 50—52.

X. თამარ მეფის საფლავის წარწერა, გვ. 52.

XI. იამბიკო, თქმული რუსთველის მიერ გვ. 52.

XII. სამცხე-საათაბაგოს მღვდელთ მთავარნი გვ. 53—54.

XIII. ძეგლის წერა რუის-ურბნისის კრებისა გვ. 54 – 72.

XIV. „მეფესა დავითს (აღმაშენებელს) მონაზონი არსენი“ (შესხმითი სიტყვიერება) გვ. 68—70.

XV. გელათის სიგელი, თამარ-მეფის მიერ მიცემული 1189 წელს გვ. 72—75.

VXI. წერილი გიორგი მონაზონისა, გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფისა გვ. 75 – 79.

XVII. სიგელი თამარ-მეფისა 1202 წ. გვ. 79—82.

XVIII. წ˝ის ევთიმე მთა-წმიდელის წერილი გვ. 82 – 88.

XIX. ახალ-ციხური ტყავის სახარება XII საუკ. გვ. 89 – 90.

XX. „აფხაზთა ქრონიკა“, იხილე შემდეგთა წელთა ქვეშ: 1222 წელს 1236; 1245; 1484; 1486 და 1688 წ. (გვ. 507); 1692 წ. გვ. 512.

XXI ქრონიკა საეკლესიო მუზეუმის ძილისპირისა № 85: იხილე შემდეგთა წელთა ქვეშე: 1211 წელს; 1352; 1355; 1360; 1366; 1396; 1409; 1413; 1428; 1444; 1447; 1452; 1461; 1464; 1465; 1466; 1472; 1477; 1478; 1485; 1498; 1505; 1516; 1536; 1554; 1571; 1573; 1578, 1579; 1586; 1640; 1654: „აქა დომ--[და]იბადა“ (ეს გამოკვრჩა); 1658;

XXII. ვახანის ძეგლი, სარგის მხარგძელის მიერ აღწერილი (ნაწყვეტი), იხ. გვ. 91—94.

XXIII ნაწყვეტი არსენ კათალიკოზის სიგლისა, XIII საუკ. იხ. გვ. 94—96.

XXIV სიგელნი შიომღვიმისანი: № 37 XIII საუკ. გვ. 97—100; № 67 XIII საუკ. გვ. 100—102; № 39, XIII საუკ. გვ. 125—126; № 34, XIII საუკ. გვ. 126—128; № 65—1260 წელს გვ. 145—148; გვ. 149—153; 1344 წ. ქვეშე. 1376 წ. 1433; 1475 წ.; 1508; 1523; 1525; 1603;

XXV. იოანე შავთელის კვინკლოსი 1233 წ. გვ. 103—122. იქვე კზ˜ის არსენის და საბა კარელის მიერ თხზული საგალობლები გვ. 107—108.— წერილი ბულმაისის ძის კზ˜ის არსენისი გვ. 108—109. გალობანი სინანულისანი წ˜ის მეფის დავით აღმაშენებელისა გვ. 104—110; ისტორიული წერილი აბუსერიძის ტბელისა: ა) წ˜ის გიორგის ტაძრის აღშენება ოპიზის ლავრის ახლო „ბაჩილას-მიერ“ გვ. 111—117; ბ) ათხრება საქართველოსი ხუარამზელთაგან გვ 118—119; გ) ხიხათა ტაძრის აღშენება გვ. 119—121

XXVI. გვაროვნობითი შტო ერისთავთ ერისთავთა აბუსერისძეთა გვ. 122—123.

XXVII. გელათის სიგელნი №№ 49 და 8,978 გვ. 128—9, დავით ნარინის დროჲსა; —1464 წ. 1495 წ. №№ 52 და 9865; 1504 №№ 639; 178; 1509 № 127; 1519 (გვ. 336-340 და 340—4); 1527 № 82; 1568 გვ. (409) და № 7; 1573 № 72; 1586; 1603; 1604; 1630 № 101; 1637 № 139; 1660; 1664 წ. № 139;—

XXVIII ხობის და მარტვილის მონასტერთა ხატების XIII საუკუნის წარწერანი და ცნობანი ძველ დადიანებზე გვ. 129-132 და 199.

XXIX რკონის სიგელი 1259 წლისა: გვ. 132-145.

XXX. სიგელი გრიგოლ სურამელისა XIII საუკ. 145—146.

XXXI. სიგელი ბეგა სურამელისა XIII საუკ გვ. 153; 168—169; 170—171.

XXXII აღაპები ათონის ივერიის მონასტრის 1074 წელს დაწერილის ხელნაწერისა, XIII საუკ. გვ. 154—156; 169; 298-9; 312,—315; 406—7; 1640 გვ. 454;—

XXXIII თამარ-მეფის კარაბადინის წარწერა გვ. 156.

XXXIV ეტრატის სახარება შიო-მღვიმისა 156—158.

XXXV სამი სიგელი მეფისა დავით ნარინისა: გვ. 158—162.

XXXVI. ძვირფასი ნაწყვეტი მე-XIII საუკუნის სამღვდელო კრების ძეგლისა: გვ. 162—166. თუმცა ეს კრება ჩვენ დავსახეთ 1280 წლის ახლო ხანს, დიმიტრი თავდადებულის მეფობაში, მაგრამ ქვემო, სხვა საბუთების მი-

ხედვით, ჩვენ დავასაბუთეთ, რომ ეს კრება უნდა ყოფილიყო ცოტა უწინ, ულუ-დავითის მეფობაში: 1262 წლის ახლო ხანს გვ. 184 — 185.

XXXVII. სიგელი წმიდის მეფის დიმიტრი თავდადებულისა: გვ. 167.

XXXVIII ცნობანი მხარ-გრძელებზე: გვ. 168; შეად. 91—94.

XXXXIX ყანჩაეთის ეტრატის სახარება: გვ. 171 — 172.

XL მოქვის მხატრობიანი ტყავის სახარება 1300 წ. გვ. 172 — 174.

XLI სამსარის ქვაბის წარწერა გვ. 174.

XLII ცაიშის ოლარი, 1312 წელს შეკერილი და სხ. გვ. 175 — 6.

XLIII სინოდალურ კანტორის ნუსხის წიგნისგან № 507 ამოღებულნი ცნობანი: ნუსხა №; სბ: XIV საუკ. გვ. 176; — ნუსხა № ჲ: 1392 წ. გვ 198.

XLIV ფიტარეთის ტაძრის წარწერანი: გვ. 177.

XLV ისტორიული ლექსი, XIV საუკ. წარწერილი ნუზლა საყდარზე, ნარ სოფელს, ოსეთში გვ. 177—179.

XLVI დემურ ბალახის ეტრატის სახარება. გვ. 179 — 180.

XLVII დაბის სოფლის ტაძრის წარწერა: გვ. 180.

XLVIII „დადიანთა ქრონიკა“ იხილე შემდეგთა წელთა ქვეშე: 1345; 1384 (გვ. 199); 1396; 1414; 1444; 1470; 1474; 1482; 1512; 1532;

XLIX ძეგლი მეფეთ-მეფის გიორგი ბრწყინვალისა: გვ. 182 — 183.

L სიგელი მეფისა დავით VII-ისა 1355 წ. გვ. 184 -- 185

LI ცაიშის ომოფორი, შეკერილი XIV საუკ. გვ. 186 — 7.

LII სიგელი ალექსანდრე მეფისა 1362 წ. გვ 187 — 188.

LIII „წიგნი ქორონიკონნი“ ანუ ქრონიკა, ჩართული ლექსთა კრებაში, იხილე შემდეგთა წელთა ქვეშე: 1373; 1385 (გვ. 199); 1394; 1396; 1402; 1431; 1444; 1456; 1471; 1478; 1485; 1508; 1511; 1513; 1518; 1526; 1554; 1558; 1559; 1560; 1566; 1567; 1569; 1576; 1578; 1585; 1586; 1587; 1591; 1605; 1609; 1614; 1622; 1624; 1632; 1636; 1647; 1648 (გვ. 474); — 1656; 1659; 1660; 1663; 1678; 1682; 1683; 1687; 1688; 1693; 1695; 1695; 1697;

LIII ქრონიკა, ჩართული ჩემს ხელნაწერ ჟამნში № 3 იხილე შემდეგთა წელთა ქვეშე: 1444; 1510; 1513; 1534; 1535; 1541; 1554; 1561; 1568; 1569; 1579; 1593; 1599; 1602; 1605; 1607; 1609; 1614; 1651; 1649; (გვ. 475); 1658; 1661; 1666; 1668; 1676; 1688;

აფხაზეთისა აკლება თურქთაგან 1452 წ. გვ. 266.

LIV: ქრონიკა 1375—1401 წ; გადმოწერილი უცნობის პირისაგან: იხილე შემდეგთა წელთა ქვეშე: 1375; 1387; 1389; 1390! 1392; 1384; (გვ. 199). 1393; 1394; 1395; 1400; 1401.

მაჭავარიანთა სიგელი იხ. 1452 წ. ქვეშ.

აშანდაძეთა სიგელი იხილე 1452 წლის ქვეშე.

ქავთარაძის სიგელი 1487 წელს გვ. 305—306.

LV მაყაშვილთა სიგელი 1377 წლისა: გვ. 190—191.

LVI ქრონიკა, ჩართული სოფ. ძეგვის წ~ა ნიკოლოზის ეკლესიის გულანში იხილე შემდეგთა წელთა ქვეშე: 1388; 1423; 1429; 1439; 1444; 1463; 1474; 1498: 1500: 1516; 1534; 1535; 1539; 1543; 1550; 1553; 1554; 1555; 1573; 1575; 1579; 1580; 1584; 1599; 1601; 1613; 1632; 1637; 1643; 1645; 1656; 1661;

LVII მაღალაშვილთა სიგელნი 1391 წ. (გვ. 191—193); 1472; 1512; 1562; 1675;

LVIII სიგელი, მიცემული იმერთა მეფის ალექსანდრეს მიერ 1392 წელს: გვ. 193—4.

LIX სია მცხეთის საკათალიკოზო მამულებისა: გვ. 195—8.
ბოდორნის სიგელი 1474 წელს (გვ. 291 - 3).

LX მცხეთის სიგელები: 1393 წ. № 38. გვ. 200; იხ. კიდე 1397 წ. და 1398 წ. გვ. 202:— 1398 წ. № 169: გვ. 202.—3;—1399 № 56: გვ. 204—; 1401 წ. № 476: გვ. 205; № 121 გვ. 207; № 101; გვ. 2:3:—1405 წლისა № 106 გვ. 213;—1408 წლისა № 339: გვ. 217; № 612 გვ. 218:—1411 წლისა № 160; გვ. 219;—1413 წ. № 105 და № 337 გვ. 219—220; 1414 წ. № 44; 1419 № 91;—1420 № № 3 და 250; გვ. 325—7;—1424 № 57;—1425 № 20;—1428 № № 5 და 127;—1429 № № 252 და 356;—1431 №№: 23: 249; 365;—1433 №№: 336; 332; 103; 1434 №№ 332; 341;—1335 №№ 333; 34,—1438 №№ 438 და 64;—1439 № 36;—1441 №№ 14; 189; 28; 107; 1442 №№ 338;—1443 № 144;—1445 № 292;—1448; №12;—1449 № 37:—1451 № 54.—1453 №№: 296; 311; 48; 401; 475 და 344, 1457 № 167 (გვ. 271),—1459 წ. №№ 484; 103;—1460 № 124;—1464 №№ 236; 33;—1465 № 75;—1466 № 35;—1488 № 130 (ნუსხა №: ს~მგ:); 1492 № 480; 1497 № 479;—1498 №№ 10; 328;—1500 №№ 464 (შეადარე № 311.); 415 (გვ. 316—8);—1502 № 407; 1503 № 47;—1504 №№ 122; 482 (გვ. 321); 128: 123; 1505 №№ 126;—260;—1511 № 472;—1514 № 351; 1516 № 8;—1517 № 582; 1519 №№ 238 დ 243 (გვ. 346); 1526 № 7;—1527 №№ 272 (გვ. 369); 89 (გვ. 371); 6 (გვ. 373); 1529 წ. № 262;—1531 № 197; 1532 №№ 315; 342; 1534 № 3:—1537 №№ 2; 473;—1540 № 52;—1541 № 483;—1546 №№ 505; 276: 219;—1547 № 331;—1549 № 90; 1552 გვ. 392; №№ 10; 226; 246 (გვ. 395); 354; 1558 № 503;—1559 № 93;—1560 №№ 26; 340;—1569

№№ 36; 191; 369; 1575 № 9; 1580 № 53;—1585 № 27;—1595 №№ 129; 148; 327;—1595 № 501;—1601 № 18;—1609 № 25;—1613 № 163;—1617 № 104; 1624 № 185; 1628 № 94; 1629 № 66; 1631 № 15;—1638 № 330; 1645 № 22;—1651 № 223;—1654 №№ 258—9; 1656 № 31 და 29; 1658 №№ 478; 252: 1663 № 49;—1666 № 265; და 56;—1669 № 140; 1670 № 11;—1675 № 477;—1676 №№ 411; 1677 № 41;—1678 №№ 216; 210; -1682 № 200; 1683 № 168; 1687 № 216; და 1688 № 210, 1688 და 1693 № 240; 1693; № 492; 1695 № 39; 1697 № 152;—

LXI ქრონიკა, ჩართული ჩემს ჟამნში № 2, იხილე შემდეგთა წელთა ქვეშე: 1394; 1414; 1424; 1444; 6446; 1462; 1465; 1475; 1489; 1513; 1516; 1518; 1526; 1548;

LXII ქრონიკა იკორთის ძილისპირისა № 6: იხილე შემდეგთა წელთა ქვეშე: 1431; 1444; 1446; 1457; 1461; 1463; 1466; 1471; 1476; 1478; 1483; 1485; 1498; 1505; 1508; 1513; 1526; 1536; 1539; 1541; 1543, 1550; 1624; 1643; 1647; 1647; (გვ. 474). 1673; 1677; 1683; 688;

LXIII. ქრონიკა ჩხეიძეთა იხილე შემდეგთა წელთა ქვეშე: 1396; 1402; 1414; 1416; 1424; 1431; 1446; 1457; 1461; 1465; 1471; 1483; 1484; 1485; 1504; 1508; 151; 1554; 1585; 1586; 1591; 1599; 1616; 1632; 1659; 1671; 1578; 1679;

ქრონიკა, ჩართული უანჩაეთის ტყავის გულანში იხ. შემდეგთა წელთა ქვეშე; 1444; 1485; 1498; 1500; 1516; 1534; 1535; 1539; 1541; 1550; 1553; 1554; 1561; 1566; 1569; 1574; 1579; 1580; 1582; 1594; 1599; 1604; 1609; 1613; (აქ უნდა ქკ~ნი :ტა: და არა :ტ: იხ. გვ. 440); 1616; 1624; 1626; (გვ. 447); 1635; 1645; 1658; 1648; (გვ. 474); 1659; 1662; 1664; 1665; 1674; 1577; 1579; 1687; 1689; 1693; 1693; 1698;

LXIV. ცნობანი სამების ეტრატის „სულთა მატიანე“-საგან ამოღებულნი: გვ. 23—4; 206; 245;—7; გვ. 293; გვ; 303; გვ. 321—2; 517;

LXV. ლარგვისის ჰარაკლიტონის ისტორიული წარწერა 1400 წ. გვ. 204—5.

LXVI. მცხეთის ნუსხის წიგნი, № 507 გადაწერილი ნიკოლოზ კზ~ის ბრძანებით 1687 წლის ახლო ხანებს: 1401 წ. ნუსხა №№ სპზ. და სპჳ; სნა და ტმვ გვ. 205 № ტბ, გვ. 206; № ტჲ: გვ. 207; № ჰვ: გვ. 213;—1408 წლისა №№ :კბ: :სპვ: და :ოვ: გვ. 217—8; 1413 წ. № რლზ:—1414 № ნთ (გვ. 221);—1415—19 № რბ: და № :რმ: 1416 № რდ: გვ. 222 3; 1417 № სპთ; 1419 №№ :კა: და :ჲა: გვ. 224—5; 1420 № :სყ:—1424 № :ყზ:—1427 № :ლჳ:—1431

№ :ლბ: 1433 № :სმთ:—1437 № :ტ:—1440 № :რლზ:—1443 № :მჵ:—1453 №№ :ტმა: და :ტპა:—1457 № :პგ:—1464 № :სღ:—1468 № :სი: 1479 № :ტვ: 1483 № ტოვ; 1493 № :რპე:: და :ტკვ:—1498 № სჲე:—1500 №№ :სკთ:—1504 №№ :რი: სნიჵ; და :დ:—1506 № რჲბ:—1511 № რმზ:—1526 № სმზ:—1527 №№ რკზ; :სოვ: და :ტო:—1529 № რლჵ:—1532 №№ სჲზ :სჲ: და სნგ: 1548 №№ :სლდ: სმა: -1549 №№ ტნდ; ტნვ; ტმგ:—1552 № ტკგ:—1559 № სით: 1563 №№ ტაჲბ: ლბ:—1566 №№ ტბ; სკ.—1568 № სყდ:—1570 № სპა:—1574 №№ ყე; მ;—1580 გვვერ. 420;—1583 № რმე:—1585 № რკბ.—1591 № რმვ: 1608 როე:—1614 № სნდ:—1622 №№ :მე: მდ; სოდ; 1638 №№ :სლგ; სჲბ;—1639 № ტჲზ:—1645 № ობ:—1648 №№ :სლე:—სმბ; სმდ:—1651 № სოა: 1654 №№ :სოე; სვ; სზ; რმგ:—1660 №№ რიბ; რიე; რიდ; ნდ:—1661 №№ რმდ; კ;—1662 №№ რმა; ყა; 1664 №№ ტკზ; რპგ; რყთ; 1666 № ლთ; 1667 № ოზ: 1673; № პჵ:—1684 გვ. 499 № ტოდ; 1686 № რ; 1689 №№ :რმჵ: და :ტკ:—1696 №№ რიზ; ტნ:—1698 № ტობ:—

LXVII. ქრონიკა გელათური, ნ. ანთაძის მიერ გადმოწერილი 1845 წ. იხილე შემდეგთა წელთა ქვეშე: 1462; 1469; 1630; გვ; (446); 1624; 1686; 1691;

LXVIII. ბიჭვინტის სიგელნი №№ 6ó; 9054 „მცნებას სასჯულო“, მიცემული ანტიოქელ პატრიარქის მიხაილის მიერ გვ. 294—7;—1558 № 58; 1569 №№ 21; 67; 1622 № 111;—1628 № 43; 1629 № 30; 1658 №№ 32; 111; 9; და გვ. 472;—1659; 1664 №№ 35; 56;—1668 გვ. 484; 1676; 1682 გვ. 497;—1685 № 75; 1690 გვ. 510; 1696 № 42;

LXIX. ამირეჯიბთა გვაროვნობითი ისტორიული გუჯარი 1240—1415 წლე-ბისა გვ. 207—213.

LXX. ამირეჯიბთა გვაროვნობითი შტო გვ. 214—215.

LXXI. სიგელი კონსტანტინე მეფისა 1407 წ. ახლო-ხნისა: გვ. 215—6; 218—9;—წითლიძეთა სიგელი 1413 წ. გვ. 221—222.

LXXII. ქვათახევის სიგელი 1415—1430 წ. გვ. 222;—1442 გვ. 251; 253; 263; 1460 გვ. 280 1472; 1488 გვ. 306; 1492; 1512; 1519; 1520; 1550; 1567; 1568; 1580; 1582;

LXXIII. ზევდგინიძეთა სიგელი 1426 წ. გვ. 229—230;—1453 გვ. 266—7;

LXXIV. სიგელი თოფურიძეთა დაწერილი 1478—1485 წ., რომელსაც ათაბა-გობდა ჩვენს ქრონიკაში ცნობილი ივანე, იგივე იანქო და კათალიკო-ზობდა დავით; ხოლო იმერეთს მეფობდა ალექსანდრე და სამცხეს მაწ-ყვერლობდა სვიმონ (იხ. გვ. 232—5.).

LXXV. ახალი და უძველესი ვარიანტი აღბუღას კანონებისა გვ. 256—7;
LXXVI იკორთ.ს ტყავის ზადიკის წარწერანი: 1446 წელს. ქვეშე.
LXXVII. სიგელი წულუკიძეთა იხ. 1451 წელს ქვეშე.
LXXVIII. თფილისის სიონის გუჯრები იხილე შემდეგთა წელთა ქვეშე: 1432; 1442; 1443:—1463; 1523 № 39;—1540 გვ. 384; 1551 №№ 11; 42;—1552 № 104;—1553 გვ. 396; 1587; 1592; 1634; 1635; 1637; 1650; 1658; 1649 (გვ. 475); 1660; 1671;
LXXIX. ჩემის უბის წიგნებიდამ: იხილე შემდეგთა წელთა ქვეშე: 1429, 1430; 1442; 1455; 1470; 1492; 1502; 1562; 1565; 1572; გვ. 414; 1589; 436; 7; 1622; 1624; 1636; 1641; 1642; 1667; 1668; 1684; (გვ. 499—500); 1686 გვ. 504; 1689 გვ. 508—9; 1691; გვ. 511; 1691;
LXXX. ჭარმაულთა სიგელი 1442 წ. გვ. 252;
LXXXI. „სამთავნელთა სარკო და საკანონო“ 1459 წ. სიგელი გვ. 272—7. 1670; გვ. 486.
LXXXII. ჟურულთა სიგელი 1460 წ. გვ 278 280.
LXXXIII. იოთამ ზევდგინიძე-ამილახორის გმირობა 1465 წ. გვ. 284—285.
LXXXIV. გიორგი მეფის ქალის დაწინდვა ბერძენთ იმპერატორზე გვ. 286—7.
LXXXV. ელიოზიშვილთ გუჯარი იხ. 1467 წ. ქვეშე.
LXXXVI. სხვა-და-სხვა გუჯრები 1518 წ. (გვ. 334); 1522; 1538; 1552; გვ. 395; 1562; 1565; 1578; 1579; 1595; 1602; 1609; 1610; 1612; 1629; 1630; 1637; 1661; 1674; (გვ. 489); 1688; 1689; გვ. 509—510; 1693; 1694; 1698. 1699;
LXXXVII. „მთის წმიდა გიორგის“ სიგელი. 1491 წ. გვ. 307—8;
LXXXVIII. დავით გარესჯის სიგელნი იხ. შემდეგთა წელთა ქვეშე: 1479; 1513; 1513. (გვ. 332); 1581 გვ. 419; 1683; 1690; 1692; 1693; 1696; 1699.
LXXXIX. თფილისის საეკლესიო მუზეუმის ხელნაწერთა წარწერანი: გვ. 301; 322; 380; 387; 431; 435—6; 1607; 1681; გვ. 496; 1697 გვ. 516
XC. ქრონიკა, ჩართული გელათის დახეულს გულანში: 1568; 1681; 1683; 1691;
XCI. ქრონიკა, ჩართული წერა-კითხვის ხელნაწერში № 252 იხილე შემდეგთა წელთა ქვეშე: 1490; 1498; 1500; 1510; 1516; 1535; 1548; 1550; 1556; 1579; 1582; 1585; 1586; 1589; 1591; 1601; 1603; 1637; 1642; 1650: „აქა საფრიძეს მტბევარს [იშხნელობა და] მაწყვერლობა“... (ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები გამოშვებულია და უნდა დაემატოს);—1652; 1654; 1657; 1658; 1659; 1667; 1668; 1672; 1681; 1684; 1691, 1693;

XCII. ქრონიკა, ჩართული გელათურს წ˝ა გიორგის გულანში იხ. შემდეგთა წელთა ქვეშე: 1510; 1529; 1533; 1535; 1536; 1537; 1548; 1550; 1583: 1589; 1605; 1639; 1647; 1657; 1659; 1666; 1673 (გვ. 488); 1674; 1685. (გვ. 503);

XCIII. ქრონიკა, ჩართული ეკლესიის მუზეუმის ხელნაწერ ჰარაკლიტონში № 49 იხ. შემდეგთა წელთა ქვეშე: 1510; 1529; 1533; 1535; წ.; 1536; 1578; (გვ. 416—417): 1655; 1666;

XCIV. ქრონიკა, ჩართული შემოქმედის გულანში იხ. შემდეგთა წელთა ქვეშე: 1513; 1525; წ. (გვ. 335); 1539; 1584; 1627; 1639; 1640; 1660;

XCV. სამთავისის სიგელი 1459; 1513; 1613 (გვ 333);

XCVI. ქრონიკა, ჩართული ბედიის ტაძრის XVI საუკუნის ხელნაწერ გულან-ში, რომელიც დაცულია საეკლესიო მუზეუმში № 186; იხ. შემდეგთა წელთა ქვეშე: 1519; 1593; 1606; 1622; 1653; 1655; (გვ. 468—9); 1656; 1658; 1660; 1663; 1664; 1668;

XCVII. ქრონიკა, ჩართული წერა-კითხვის ხელნაწერში № 1204; იხილე შემ-შემდეგთა წელთა ქვეშე: 1557; 1570; 1572; (გვ. 414); 1579; 1582: 1585; 1589; 1591; 1597; 1600; 1606; 1610: 1611; 1612; 1640; 1652; 1648; (გვ. 475;); 1667; 1671; 1685; 1687; (გვ. 505); 1687; 1690; 1691; 1697;

XCCII. ბარათაშვილთა გაყრილობის სიგელი 1523 წელს დაწერილი (გვ. 349—352); ერთი წყაროთაგანი ვახუშტის ქრონიკისა.

XCVIII. გელათის გულანის წარწერა 1529 წ. იხ. გვ. 372; 1585; 1663;

XCIX. ნიკორწმიდის ეტრატის გრაგნილი გუჯარი 1534 წ. გვ. 379;

C. ცნობანი მცხეთის კზ˝ის იოანეს მიერ გუთელ ებისკოპოზის წი˝ს იოა-ნეს კურთხევაზე მცხეთაში 740—775 წლებ შუა გვ. 381

CI. გვაროვნობითი შტო უძველესთა ბარათაშვილთა გვ. 353—4.

CII. გელათის ვედრების ღვთის მშობლის წარწერანი და სხ. გვ. 354—5.

CIII. ცაიშის გულანის წარწერა 1525 წ. გვ. 356. 1652;

CIV. ამბავი იერუსალიმის ქართველთაგან აღებისა 1527 წ. და უკურღვევა ცაგარლის აზრებისა; ხასიათი მისის კრიტიკანობისა და შრომათა გვ. 357;—368.

CV. ბრეთის სახარების წარწერანი 1543 გვ. 386;

CVI. ნინოწმიდის სიგელნი 1553 №№ 26; 27; 28; 1595; 1597; 1602; 1604;

CVII. შერგილიძეთა ეტრატის სიგელი 1554 გვ. 396—398.

CVIII. ათონის ხელნაწერის ისტორიული წარწერა 1565 წ. გვ. 406.

CIX. ურბნისის ტაძრის სიგელი 1566 გვ. 407;

CX. ქრონიკა, ჩართული ქვათახევის ჟამნ-გულანში იხ. შემდეგთა წელთა ქვე-შე: 1534; 1539; 1577 (გვ. 416); 1582; 1584; 1589; 1599;

1605 (bis); 1609; 1623. აქ გამოშვებულის შემდეგი დიდ-ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები: „აქა მოვიდა ყარჩიხან და მრავალი ლაშქარი [და ხანები. უღალატა მოურავმან გიორგი; ხანები დახოცა. ლაშქარი] ამოწყვიტა“ და სხ. იხ. გვ. 445;—1630; 1632; 1633; 1634; 1635; 1658; 1647 (გვ. 474); 1659; 1686; 1688 წ.

CXI. ნიკოლა რადზივილისა აღწერა ქართველთა ჯვარის მონასტრისა იერუსალიმს 1582 წელს, გვ. 420—421.

CXII. იტრიის ეკლესიის სიგელი 1584 გვ. 422 - 423.

CXIII. ორბელიანთა სიგელნი: 1586 წ. 1619; 1643; 1637; (გვ. 461); 1643 (გვ. 461); 1670; 1676; 1676; 1679; 1681; 1683; 1684 (გვ. 499—502); 1687 (506); 1688; 1689; 1691; 1698;

CXIV. ჩემის საისტორიო კრებულიდამ ამოღებული ცნობები: 1603; 1612; 1615; 1619; 1622; გვ. 446; 447; 1646; 1665; გვ. 483; .678; 1682; 1687; 1695;

CXV. წ-ს ქეთევან დედოფლის ნაქონი ლოცვანი 1609 (გვ. 438).

CXVI. ქრონიკა, ჩართული ცაიშის ჟამნ-გულანში: 1609 წელი; 1614; 1615 (bis); 1634; 1638; 1645; 1658; 1660; 1676; 1689;

CXVII. გედევანიანთ სიგელნი:: 1622; 1652; 1678;

CXVIII. ცნობა გიორგი სააკაძის მიერ განჯის დარბევაზე 1626 წ. გვ. 447.

CXIX. მღ. პოლიევკტ კარბელაშვილის მიერ ხელნაწერიდამ გადმოწერილი ქრონიკა: 1623; 1631; 1647; 1659; 1671; 1676; 1677; 1684; 1686; 1689; 2693; 1695; 1698;

CXX. როსტომ მეფის შვილობილის ლუარსაბის მოკვლა და ხმალზე გამოსვლით გასამართლება; სომხურ გუჯრიდამ 1645 წელს (უნდა 1654 წელს და არა 1645 წ.); გვ. 457—9;

CXXI. როსტომ მეფის ისტორიული სიგელი 1648 წ. გვ. 461—464. (ერთი წყაროთაგანი (Chronique Géorgien-ისა).

CXXII. ალავერდის სიგელი 1678 წ. გვ- 492—493; 1685 (გვ. 503).

CXXIII. მანგლისის სიგელი 1679 № 34;

CXXIV. არჩილ მეფის ამბავი 1684 გვ. 498 და 517;

CXXV. ერეკლე მეფის I-ის ამბავი, გუჯარი 1684 წ. გვ 498 და გვ. 516.

CXXVI. ვახტანგ მეფეზე ახალი ცნობა გვ. 517.

CXXVII. საბა-სულხან ორბელიანზე ცნობანი: 1684 (გვ. 499—600); 1704 გვ. 501; 1706; 1710; გვ. 502; 1726; გვ. 502; 1730; გვ. 503; 1685 გვ. 504; 1689 (გვ. 509); 1691 გვ. 511—512; 518—519.

CXXVIII. ქრონიკა, წოდებული , „წელთა აღწერა“: იხ. შემდეგთა წელთა ქვეშე: 1689; 1691.

CXXIX. ახალი ვარიანტები წმიდა ნინოს მეტაფრასულის ცხოვრებისა გვ. 519—520. 521—523

CXXX გვაროვნობითი შტო მუხრან-ბატონებისა გვ. 525 — 529
CXXXI გვაროვნობითი შტო არაგვის ერისთავთა გვ. 530 — 534.
CXXXII. გვაროვნობითი შტო ქართლის აბაშიძეთა გვ. 535.
CXXXIII. იერუსალიმის ქრისტეს საფლავის ქართული სვინაქსარი, 1155 წელს გადაწერილი და მისნი ისტორიულნი წარწერანი: ა) ახალი ცნობა გიორგი მთაწმიდელის მიერ ლათინურიდამ ბერძნულს ენაზე ნათარგმნს დოროთეოსის თხზულებაზე; ბ) ახალი ცნობები იერუსალიმის ჯვარის მონასტრის აღშენებაზე და მაშენებელზე: პროხორეს ცხოვრება; გ) უმთავრესნი საკუთრებანი ქართველთა პალესტინეს, მეფეთა და სულთანთაგან ბოძებულნი (აღდგომის ეკლესია, გოლგოთა, ჯვარის მონასტერი, გარდამოხსნა, ბირჩა და სხ.); დ) პიმენ მაწყვერელის და შილას შეწირულებანი და ცნობა თემურისგან და ამირთაგან დიმიშტის და ჯვარის მონასტრის აოხრებაზე (1484 წელს?) და სხ იხ. გვ. 523 — 529.

ჯრუჭის მონასტრის ოქროპირის ქადაგებათა ტყავის ხელნაწერში, რომლის აღწერა გამოგვრჩა, იპოვება შემდეგი წარწერა, აღმავსებელი ცნობათა შესახებ პალესტინის ქართველთა მონასტრებისა: „...მადლითა აღდგომისაჲთა..მე გლახაკმან გრიგოლ ხარიტონ-წმიდელმან მოვიგე წმიდა ესე წიგნი...დაიწერა წ~ა ესე წიგნი საყოფელსა შინა წ~ისა მამისა ხარიტონისასა პალავრას ძუელსა მონასტერსა კელითა (გრიგოლ) ფრიად ცოდვილისაჲთა ქ~კ~ს: სჲ: (1040 წ.) და იმავე საუკუნის ხელით: „..მე ბერმან გრიგოლ შევსწირე ესე წიგნი.. მონასტერსა დედათასა დერტავს“...

## უმთავრესნი კორექტურულნი შეცდომანი:

სწერია: უნდა გასწორდეს ესრეთ:

გვერდი 12. სტრიქონები (ზემოდამ) 27 თავად თავადი
— 35 34 სახელიც სახელით
— 45 37 ქართლის ქრთილის
— 51 . 27 საზღურადმდე ზღუადმდე
— 36 (იხ. გვ. 96) 33 (ო) ოქროპირს. ქართლისა პატრიარქს
— 134 4 კეთავე კელთავე
— „ 17 მაბოძა მიბოძა
— 137 6 სწორ სწორად
— „ 9 მორჩებოდეს მოჭრჩებოდეს
— 147 22 მისცემა მისცემს
— 159 35 მომავადნი მომავალნი
— 11 31 მნ მან
— 207 16 თავხელიძემან თაველიძემან
— 219 18 გ - - - სლ გ[არდა]სულ
— 240 10 ქუუში ქუეში
— 244 36 ჩუენისა თამარისგან ჩუენისა...თამარისგან.
— 245 21 უნდა: 909 წ. უნდა: 907 წ.
— 318 . . . 19 მესითა წესითა
— 322 აქ გამოტოვებულია „სულთა მატიანის“ წარწერა №№ 59 და 60: „ტრაპიზონელსა ბერძენსა მაწუუტრელ მთავარებისკოპოსსა სნ͠ს (სვიმეონს) დღეგრძელ[ობით] ახარე. შ͠ს ღ͠ნ ა͠ნ უ͠კე“ და ზედვე: „პატრონისა სახელგანთქმულისა დიდისა ბატრონისა (sic) ყუარყუარეს მესტუმრესა და ამისათ ამირასა ნოშრევან ყოფილსა ნეოფიტეს შ͠ნ ღ͠ნ და მისსა მეუღლესა გულქან ყოფილსა გაიანეს შ͠ნ ღ͠ნ“..— 330 გვერდზე მოხსენებული მეფე დავით უნდა იყოს დავით VII (იხ. გვ. 184—5) და
— 337 8 ვურევს კურსევს
— 338 22 შეგიალნა შეგიწყალნა.
— 357 . . . 13 გამოშვებულია: „ქკ͠ს :სიგ: აქა გელათს ომოფორი დასდვეს („შემოქმ“. გულანი)
— 360 . . . 27 გამოშვებულია ფრჩხილები წარწერაში: „ქ მირიან [მეფეს წ͠ამან] კოსტანტინე [დიდმან იმპერატორმან უბოძა]ეს ჯვარი. [შემდგომად მრავლისა ჟამისა] მოვიდეს [სპარსნი და დაიპყრეს იერუსალიმი. მაშინ მეფე

ქართველთა წარმოემართა] და დაიჭირა იერუსალიმი და აღაშენა (ე. ი. განაახლა) ესე ჯვარის მონასტერი".

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| — | 365 | 20 | მოწმობა | მოწმეობა |
| — | " | 34 | შემდეგ | შესახებ |
| — | 388 | 22 | ქკ̃ზს | ქკ̃ზს პატრიარქსა |
| — | 389 | 23 | ნუხაში | ნუხსაში. |
| — | 393 | 31 | ღდე | ოდენ |
| — | 396 | 3 | იჯუ | იჯუ, |
| — | " | 9 | ძეთა | ძმათა |
| — | 397 | 21 | თქუენი | თქუენ |
| — | " | 35 | ათააი | ათასი |
| — | 398 | 23 | ქართლისა | ქართლსა. |
| — | 402 | 22 | [ლ]ეონისა | [ლ]ეონისა გიორგი. |
| — | 438 | 28 | ციშისა | ცაიშისა. |
| — | 440 | 8 | ისე | იესე |
| — | " | 17 | ქკ̃ს :ტ: | ქკ̃ს :ტა: |
| — | 441 | 17 | ამის საყდრისა | ამსა საყდარსა. |
| — | 445 | 30 | ლაშქარი | ლაშქარი და ხანები. უღალატა მოურავმან გიორგი; ხანები დახოცა, ლაშქარი (ეს გამოშვებულია). გასწორებული ტექსტი იხ. ქვემო გვ. 474. |
| — | 447 | 13 | **1626 წ.** | **1627 წ.** |
| — | " | 29 | ისრეთვე | ისრევე |
| — | 448 | 30 | (ანანურის?) | (წილკნის). |
| — | 451 | 28 | დიდ არს | დიდ არს დიდება |
| — | 456 | 22 | და 24 დოღეთს | დოღეთს. |
| — | 457 | 9 | **1645 წ.** | **1654 წ.** |
| — | 460 | 23 | გამოშვებულია „ქვათახევის ქრ" ის, რაც ქვემო დაბეჭდილია გვ. 474 | |
| — | 465 | 27 | აქ გამორჩენილი სიტყვა გასწორებულია გვ. 475. | |
| — | 519 | 37 | კვალად სხვანი | კვალად **ႢႠႫႭႥႨႣႤႱ** სხვანი |

„ქრონიკების" პირველს წიგნში შეპარულან შემდეგნი აღუნუსხველნი შეცდომანი, რომელთაც აქ ვასწორებთ:

| გვერდი: | სტრიქონი: | დაბეჭდილია: | უნდა გასწორდეს: |
|---|---|---|---|
| 14 | 1 | მოქმნა | მოაქმნა |
| 23 | 3 | რითა | რი῀თა (ე. ი. რომლითა). |
| „ | 8 | ანაკრი | ანაკ, რ῀ი (რომელი) |
| „ | 15 | გოანაკ | ანაკ |
| „ | 32 | ყინულისასა | ყინელისასა |
| 25 | 17 | ისწავლეს | ისწავეს |
| „ | 30 | მხედრობითა | მხედრებითა |
| „ | 34 | ურთიერთას არამედ რაოდენიცა | ურთიერთას არამედ რაოდენცა |
| „ | 36 | შემოსოს | შეიმოსოს |
| 26 | 11 | ურთიერთარს | ურთიერთას |
| „ | 26 | მამულისა | მამულისა მის |
| „ | 29 | მსახურება | მსახურებასა |
| „ | 30 | მსახურება თათჳს | მსახურებათა მისთათჳს |
| „ | 31 | ნაშითა | ნებითა |
| 27 | 9 | ულთოებითა | ულთოებითა |
| 100 | 14 | და (შ-მა ჩემი თუმცაღა) | და [ამით არა] |
| 101 | 26 | მე გრეხნი | მეგრეხნი |

110 აქ აღწერილ გვაროვნობითს ნუსხაში წმიდა იოანე ვარაზვაჩესაგან უნდა ჩამოტანა ხაზისა, რადგან ევთიმე და მასთან ერთს ხაზზ ქვემო აღნიშნულნი პირნი მისნი შვილნი არიან. საყურადღებოა, რომ ჩვენგან ახლად პოვნილ წყაროთი, წ῀ა იოვანე მთაწმიდელის ეროვნობის სახელი ყოფილა არა ვარაზ-ვაჩე, არამედ აბულჭერით (იხ. ეს წიგნი, გვ. 23—25 და ჩემი უბის წიგნ. № V, გვ 39: ჯრუჭის ეტრატის 1155 წელს აღწერილ წიგნიდამ); ხოლო № 7-ის აბუჭარაბის შვილის შვილი ყოფილა ჩორდვანელ (იხ. „ქრონიკები" I, გვ. 133).

132 აქ დაბეჭდილი კითხვა № :ჲა: ყოფილა ამოღებული მაქსიმე აღმსარებელის ცნობილ სიტყვისგების თხზულებისაგან, რომლის ცალი მრავალი იპოვება და ამიტომ აქ განწყვეტილის საკითხავის გაგრძელებას მკითხველი ადვილად იპოვის ზემოაღნიშნულს თხზულებაში.

| | | | |
|---|---|---|---|
| 147 | 32 | ევსტატოჲსი | ევსტათისი |

234 23 რაც ფრჩხილებშია, ის არ უნდა. აქ მოხსენებული მარიამი არის მეფის ბაგრატ IV-ს დედა და არა მისი ქალი.

36 33 (და 17) აქ კ῀ზის მალაქიას სიკვდილი ნაჩვენებია 1639 წელს,

უნდა გასწორდეს 1629 წლის ახლო ხანს; ხოლო 1639 წელს მოკვდა შემდეგი კ̃ზი გრიგოლი, რომელს შეუდგა მაქსიმე კ̃ზი და სხ.

311 29-33 რაც აქ ჩვენად შეცდომად აღვიარეთ, ის შეცდომა არ არის, რადგან მიქელ სვინკელი (X საუკ.) და მიქელ ხუცესი (XI საუკ.) სხვა-და-სხვა პირნი არიან.

320 6 ამ სტრიქონიდან გამოტანილ შენიშვნაში ისიც უნდა დაემატოს, რომ წ̃ა შუშანიკის ქმარმა ვარსქენ დასტოვა ქრისტეს სჯული მერვე წელს ხუასრო მეფისას ე. ი. 539 წელს და შუშანიკის წამებაც ამ წლებში (540 - 545) იქნებოდა, ანუ უფრო დაახლოვებით 542 წელს, როგორც ჩვენ აღვნიშნეთ („ქრონიკები" I, გვ. 55).

| | | | |
|---|---|---|---|
| 336 | 8 | პატიმონითისაგან | პატიმოთინისაგან |
| 337 | 25 | აღსარებისა | აღსრულებისა |
| 338 | 13 | წერით თჳსით | წერით |
| 339 | 4 | შგომადემდ | შემდგომად |
| " | 11 | მეფემან არა | მეფემან არა თანა |
| " | 12 | ებისკოპოსთა | ებისკოპოსთა სომეხთა |
| 340 | 8 | იქმნა | აქვნდა |
| " | 20 | არა ეწამნეს ეზრას | არა ეწამნეს ეზრას, გარნა |

იგინიცა ეწამნეს. მაშინ იოანე აუუწდრებდა მათ და ემტერებოდა მათ და შემდგომად ეზრას აღსრულებისა... (და არა „აღსარებისა", როგორც დაბეჭდილია.)